

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

# ივანე ავსთიანი



ტ. ა. ა.

VI

თბილისი • 1982

9(C41)+34(C41) (09) -  
63.3(2Г)+67.3(2Г)  
9(47.922)+34(47.922) (09)  
‡ 146

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა  
12-ტომეულის მთავარი სარედაქციო  
კოლეგია:

დ. ჩხიკვიშვილი (მთავარი რედაქტორი),  
ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,  
თ. გამყრელიძე, პ. გუგუშვილი,  
ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, ქ. ლომთათიძე,  
მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი,  
ე. მეტრეველი, ა. სურგულაძე,  
ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა,  
გ. ჩიტაია, შ. ძიძიგური,  
ა. ჯავახიშვილი, გ. ჯიბლაძე.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის  
მდივანი მ. ინასარიძე

ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის VI ტომი  
შეიცავს „ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნს და II წიგნის პირველ ნაკვეთს, რომლებიც 1928 წელს გამოქვეყნდა.  
წინამდებარე წიგნის დედანი შეჭერებულია ავტორისეულ ხელნაწერთან.

ტომის რედაქტორი | ისიდორე დოლიძე |



## რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ი ს მ რ ა ვ ა ლ დ ა რ გ ს ჩ ა უ ყ ა რ ა ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი , მ ა თ შ ო რ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ის ტ ო რ ი ა ს ა ც .

სამართლის ისტორია საზოგადოების სახელმწიფოებრივი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. რაც უფრო მაღალია ამა თუ იმ ხალხის სამართლებრივი კულტურა და მართლშეგნება, მით უფრო განვითარებულია მისი იურიდიული ინსტიტუტები და სამართლის დარგები.

ქართულ სამართალს, ისე როგორც მთელ ქართულ სახელმწიფოებრივ ცივილიზაციას, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენამდე მოღწეულ ქართული სამართლის წიგნებსა, სიგელ-გუჯრებსა თუ ჩვეულებით სამართალში ასახული იურიდიული ინსტიტუტები და სამართლებრივი დებულებები ქართველი ხალხის განვითარებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების, იურიდიული აზროვნებისა და, საერთოდ, დაწინაურებული ქართული სამართლებრივი კულტურის ნათელ დადასტურებას წარმოადგენენ.

ქართული სამართლისა და კანონმდებლობის ისტორიაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სჯულმდებელ მეფე-მეცნიერს ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, რომელმაც XVIII ს. დამდეგს, ქართლის გამგებლად რომ იყო, საკოდიფიკაციო კომისია შექმნა, რომლის დახმარებით შეკრიბა ქართული სამართლის გადარჩენილი ძეგლები, შეადგინა სამართლის წიგნი, გადმოთარგმნა საქართველოში მოქმედი ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები და, ამრიგად, ქართული და უცხოური სამართლის წიგნთა დიდი კრებული შეადგინა. მისივე ბრძანებით შედგენილ იქნა ქართული სახელმწიფო სამართლის დიდებული ძეგლი — დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი და რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი. მისი ხანმოკლე გამგებლობისა თუ მეფობის პერიოდს სამართლიანად შეიძლება ქართული სჯულმდებლობის განახლებისა და აღმავლობის ხანა ეწოდოს.

ქართული სამართლის ისტორიის მრავალი საკითხი განხილულია ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნ ა შ რ ო მ ე ბ შ ი . ვ ა ხ უ შ ტ ი , ი ო ა ნ ე დ ა დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ნ ა შ რ ო მ ე ბ ს ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ის ტ ო რ ი ი ს დ ა რ გ შ ი წ ყ ა რ ო თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი თ ი მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა ა ქ ე თ .

ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხები განხილულია მ. ბ რ ო ს ე ს , პ . ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს , დ . ბ ა ქ რ ა ძ ი ს , დ . ფ უ რ ც ე ლ ა ძ ი ს , ა ლ . ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს , თ . ყ ო რ დ ა ნ ი ა ს , ე ქ . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა დ ა ს ხ ვ ა ის ტ ო რ ი კ ო ს თ ა ნ ა შ რ ო მ ე ბ შ ი .

XIX საუკუნის ბოლოს ქართული სამართლის ისტორიის საკითხების კვლევას შეუდგნენ რუსი მეცნიერები, რომლებმაც მთავარი ყურადღება ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლას მიაქციეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. მ ა ქ ს ი მ ე კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი ს შ რ ო მ ე ბ ი .

ევროპელ მეცნიერთაგან ქართული სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ისტორიას იკვლევდნენ რ. დარესტი, ფ. ჰოლდაკი, რ. კლუტმანი და ე. კარსტი. ხსენებული მკვლევარნი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წარმომადგენლები იყვნენ იურისპრუდენციაში და ქართული სამართლის ისტორიის საკითხებსაც ამ მეთოდით სწავლობდნენ.

ქართული სამართლის ისტორიის სპეციალური კვლევა-ძიება პირველად ნ. ურბნელმა (ხიზანაშვილმა) დაიწყო. მან გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის დამდეგს რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი და ცალკეული წერილები გამოაქვეყნა, რომლებშიც განხილულია ძველი ქართული სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. ურბნელის ორი ნაშრომი: „ათაბაგი ბეჟა და აღბულა და მათი სამართალი“. და „ძველის დადება გიორგი ბრწყინვალესი“. ნ. ურბნელის ნაშრომებში ბევრი საგულისხმო მოსაზრებაა გამოთქმული, რომლებსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარმა. ნ. ურბნელის ღვაწლი და დამსახურება ქართული სამართლის ისტორიის დარგში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მუშაობის მაშინდელ მეტად მძიმე პირობებს. არავითარი მატერიალური და სამეცნიერო-კვლევითი ბაზა იმ დროს არ არსებობდა და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაც არავის აინტერესებდა. ასეთ პირობებში ნ. ურბნელმა, რომლის ძირითად საქმიანობას საგამომძიებლო მუშაობა შეადგენდა, ქართული კულტურის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი დარგის შესწავლისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა.

ივ. ჭავჭავიძელმა თავის ადრინდელ ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ნ. ურბნელის ნაშრომებს უწოდა „საუცხოო თხზულებები ქართული კანონმდებლობის ისტორიის შესახებ“, ხოლო „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში აღნიშნა, რომ ნ. ურბნელი „ქართული სამართლის ისტორიის ერთადერთი მკვლევარი“ იყო, რომელსაც „ქართულ მაშინდელ ღარიბ საისტორიო მწერლობაში მანამდე ხელუხლებელი, სრულებით ახალი ასპარეზის შესწავლით ძვირფასი წვლილი შეჰქონდა“.

ახლა, როცა თითქმის 100 წლის შემდეგ, კვლავ გამოქვეყნდა ნ. ურბნელის იურიდიული ნაწერები, კიდევ უფრო ცხადი გახდა მისი ნაშრომების მეცნიერული ღირებულების ესოდენ მაღალი შეფასების სრული საფუძვლიანობა.

ამავე დროს ივ. ჭავჭავიძელმა მოგვცა ნ. ურბნელის სამეცნიერო კვლევის მეთოდის სწორი მეცნიერული შეფასება და აღნიშნა ის არსებითი ნაკლოვანებები, რომლებიც ამ მეთოდს ახასიათებდა. ნ. ურბნელი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წარმომადგენელი იყო. იგი თავის გამოკვლევებში ხშირად იმორწმუნებ ცნობილი რუსი მეცნიერების მ. კოვალევსკისა და თ. ლეონტოვიჩის ნაშრომებს კავკასიელი და ქართველი ტომების ადამიანობის სამართლის ინსტიტუტების შესახებ და ამ გამოკვლევებს ხსენებულ რუს მეცნიერთა ნაშრომების საერთო მიმართულების გავლენა ემჩნევა.

ივ. ჭავჭავიძელი, აკრიტიკებს რა ზემოდასახელებულ რუს მეცნიერთა კვლევის მეთოდს, მიუთითებს, რომ ისინი თანამედროვე ზნე-ჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ და კვლევა-ძიების

უდიდესი ენერჯია ამ პირველყოფილობის ძებნაში იღოდა. ნ. ურბნელსაც ყურადღება ქართველ მთელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და მასაც პირველყოფილობის ძიებისადმი მიღრეკილება ემჩნევა. „მაგრამ რამდენადაც „უკულტურო“ და უმწერლობო ტომთა და ერთა სამართლის შესასწავლად კვლევის ასეთი მეთოდი ერთადერთი შესაძლებელი გზა არის, იმდენად მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონებელი ერის სოციალური ისტორიის შესწავლა მარტო ამ გზით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. ერის თანამედროვე ზნეჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო და მარტო თვით იურიდიულ ძეგლებში დაცული ცნობებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. რაკი სამართლის წერილობითი ძეგლები ყოველთვის შედარებით უფრო გვიან ჩნდება ხოლმე, ამიტომ მხოლოდ მათი საშუალებით უძველესი ხანის მდგომარეობის გამორკვევა შეუძლებელია. სამართლის ისტორიის მკვლევარი ამის გამო ვალდებულია ყოველგვარი მასალებით ისარგებლოს, მათ შორის რასაკვირველია უპირველესად საისტორიო ძეგლებითა და საბუთებით“.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა, წერს ივ. ჯავახიშვილი, უძველესი დროით უნდა დაწყებულიყო ყველა ამისთვის გამოსადეგი მასალის გამოყენებით, სამართლის ძეგლების ტექსტის წინასწარი კრიტიკული შესწავლითა და პირვანდელი სახის აღდგენით, ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ზუსტი მნიშვნელობის გამორკვევითა და ქართულ იურიდიულ დაწესებულებათა ბუნების გამორკვევის შემდგომ სხვა მეზობელ, გინდა შორეულ, მაგრამ ოდესმე საქართველოსთან დაკავშირებულ ერთა ასეთსავე დაწესებულებებთან შედარებით შესწავლით, ამა თუ იმ ქართული ინსტიტუტის წარმოშობილობის გასაგებად და ღირებულების დასაფასებლად.

„ქართული სამართლის ისტორია“ ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს. დასახელებული ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი ავტორს წინათაც ჰქონდა გამოქვეყნებული: მაგალითად, „სოციალური ბრძოლისა და დემოკრატიული რეფორმების შესახებ IX—XI საუკუნეების ქართულ ეკლესიაში“ დაბეჭდილი იყო რუსულად 1904 წელს. ერთი წლის შემდეგ პეტერბურგში გამოქვეყნდა მონოგრაფია «Государственный строй древней Грузии и древней Армении». 1905 წელს თბილისში ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ხოლო შემდეგ ცალკე ამონაბეჭდის სახით გამოქვეყნდა ნაშრომი „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“. 1906 წელს გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა მონოგრაფია — „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“, რომელიც ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში სოციალურ-ეკონომიკური იდეალების გამო ატეხილ ბრძოლას ეხებოდა.

1907 წლისათვის ივ. ჯავახიშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა „ქართული სამართლის ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული XIII ს. დამდეგამდის“, რომლის ბეჭდვა დაიწყო კიდეც 1909 წ. აღმანახში „ერი“, მაგრამ ცენზურისაგან ორგანოს შეჩერების გამო პუბლიკაცია მალე შეწყდა. 1919 წელს ქუთაისში გამოქვეყნდა „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი, რომელიც სინამდვილეში მეორე წიგნის პირველ ნაწილს წარმოადგენდა და IX—XIII სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის, მოსახლეობისა და მოხელეობის შესახებ ცნობებს შეიცავდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდანვე „ქართული სამართლის ისტორია“ სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული. ამის წყალობით ბევრი საკითხი, რომელიც ავტორს წინათ სრულებით არ ჰქონდა ან მეტად მოკლედ ჰქონდა განხილული, ახლა საფუძვლიანად იქნა შესწავლილი, რის გამოც ქართული სამართლის ისტორიის კურსი საგრძნობლად შეივსო და გაიზარდა.

„ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი ორი წიგნი 1928 წელს გამოქვეყნდა. პირველ წიგნში განხილულია ქართული საერო და საეკლესიო სამართლის წყაროები და უძველესი ხანის საქართველოს სოციალური და სახელმწიფო წესწყობილება არაბთა შემოსევამდე, ანუ VII საუკუნის შუა წლებამდე. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი მთავარ ყურადღებას წყაროების განხილვასა და სამართლის ტერმინოლოგიას აქცევს, რადგან ამ საკითხების გარკვევა სამართლის ისტორიის ნამდვილ საფუძველს შეადგენს. აქ ავტორი იკვლევს ყოველი ძეგლის შედგენის დროს, პირობებს, მიზნებს და მოქმედების ასპარეზს, პირვანდელი ტექსტის სახესა და მისი დანაწილების წესებს. ამ საკითხების შესწავლამ ცხადყო, რომ ძველად საქართველოში იურიდიული ძეგლების შედგენის გარკვეული წესები ყოფილა შემუშავებული, რომელთა ცოდნა აუცილებელია ქართული სამართლის ძეგლების დამახინჯებული აღგებების აღდგენისათვის.

„ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნი ორ ნაკვეთად გამოქვეყნდა: პირველში განხილულია IX—XIII სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის, ტერიტორიის, მოსახლეობისა და სამოხელეო წყობილების საკითხები, ხოლო მეორე ნაკვეთით მთავრდება საქართველოს სახელმწიფო, სისხლისა, საკორპორაციო, სამოქალაქო სამართლისა და სამართალწარმოების ისტორია მონღოლთა შემოსევამდე. ამრიგად, მეორე ნაკვეთი პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასახელებულ ნაშრომში მას მიზნად ჰქონდა დასახული ქართული სამართლის ისტორიისა და დოგმის გამოკვლევა აღდგენა; რაც შეეხება ქართული სამართლის ისტორიის შედარებით შესწავლას, ავტორი შეგნებულად უვლის გვერდს, რადგან ჯერ თვით სამართლის ისტორიისა და დოგმის უტყუარი სურათის აღდგენა იყო საჭირო და მხოლოდ შემდეგ—მათი შედარებითი შესწავლა. სწორედ ასეთი მიდგომითაა დაწერილი ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას გადმოგვცემს მონღოლთა შემოსევამდე.

ქართული სამართლის ისტორიისა და საერთოდ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის აუცილებელ პირობად ივ. ჯავახიშვილს ქართული საისტორიო წყაროების, კერძოდ, სამართლის ძეგლების წინასწარი კრიტიკული შესწავლა და მათი პირვანდელი სახის აღდგენა მიაჩნდა.

ი. ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1918 წელს საისტორიო საბუთების გამოქვეყნების მდგომარეობას რომ ახასიათებდა, წერდა: „მართალია, პირველად დ. ფურცელაძემ დაიწყო ამ დარგში მუშაობა, მაგრამ მან თავის ხელთვე ძირი გამოუთხარა ამ საქმეს და მისი განვითარება შეუძლებელი გა-

ჰხანა იმიტომ, რომ თვით საბუთების ქართული ტექსტის დაბეჭდვის მაგიერ მან მხოლოდ მათი რუსული შემოკლებული თარგმანები დაბეჭდა. თ. უორდანიამაც, რომელსაც ამ დარგში საპატიო ღვაწლი მიუძღვის, თავის შრომას სანახევროდ ღირსება დაუქარგა მით, რომ საბუთები შემოკლებით გამოაქვეყნა და ისინი მრავალი სხვა წყაროების ცნობებში აქა-იქ ჩაურთო და ამის გამო მათ მხოლოდ დამხმარე ხასიათის თვისება მიანიჭა“ („მრავალთავი“, V, 1975, გვ. 255).

მიმოიხილავს რა თ. უორდანიას, ექ. თაყაიშვილისა და ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ საისტორიო საბუთებს, ივ. ჯავახიშვილი წერს: „იმ დიდი უცილობელი ღვაწლისდა მიუხედავად, რომელიც ზემოდასახელებულ გამოცემელთ მიუძღვით, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათი გამოცემათაგანი თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, არც ერთს მათგანს გამოქვეყნებული საბუთები გამოცემამდე თავისთავად, ვითარცა დიპლომატიკის ძეგლი, არ შეუსწავლიათ და დაუფასებიათ და სწორედ ამიტომაც არის, რომ იქ ნამდვილი და ნატყუარი საბუთები ერთიერთმანეთშია არეული და ყალბი ნამდვილად არის მიჩნეული. ყველა ამ თვისებისა და ნაკლის გამო ზემოაღნიშნული კრებულები შეიძლება მხოლოდ წინასწარ გამოცემაზე და ჩაითვალოს და მათი ხელახალი ჭეკოვანი გამოცემა ახლო მომავალში „აუცილებელია“ (ქართული დიპლომატიკა, 1926, გვ. 19).

დიდი მეცნიერი შემდგომშიც არაერთგზის აღნიშნავს საისტორიო ძეგლების დაუყოვნებლივი შესწავლისა და გამოცემის საჭიროებას: „თუ ჩვენ ახლავე არ შევუდგეით ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას, — ამბობდა იგი 1938 წელს, — შემდგომი საკვლევო მუშაობისას პირდაპირ გადაულახავ დაბრკოლებას წავაწყდებით. ჩვენ ორიოდე ძეგლს გარდა არაფერი მოგვეპოვება წესიერად გამოცემული“.

საისტორიო თხზულებების, ქრონიკების, სიგელ-გუჯრების, სამართლის წიგნების და სხვა წერილობითი ხასიათის დოკუმენტების მეცნიერული გამოცემის აუცილებლობაზე გულისტკივილით ამბობდა დიდი მეცნიერი თავის უკანასკნელ მოხსენებაშიც, რომელიც 1940 წლის 18 ნოემბერს წაიკითხა და რომლის დროსაც უეცრად შეწყდა მისი დამაშვრალი გულისცემა.

დიდი მეცნიერის ეს ანდერძი მნიშვნელოვანწილად დღემდე შეუსრულებელი რჩება. მართალია, უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში განხორციელდა „ქართლის ცხოვრების“, „აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებისა“ და „ქართული სამართლის ძეგლების“ მრავალტომეულების გამოცემა, მაგრამ ამ მხრივ ჭერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ქართული საისტორიო წყაროების, საისტორიო დოკუმენტებისა და სხვა ხასიათის ძეგლების კრიტიკული გამოცემა არსებითად ახლა იწყება.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ აუცილებელი წინაპირობად ივ. ჯავახიშვილი თვლიდა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ზედმიწევნითი მნიშვნელობის გამოკვლევასა და დადგენას. სწორედ ამიტომ გამოჩენილი მეცნიერი „ქარ-

თული სამართლის ისტორიის" სამივე წიგნში დიდ ადგილს უთმობს იური-  
დიული ტერმინების ზუსტი შინაარსის დადგენას, მათი ბერძნულ-ლათინური  
შესატყვისების დამოწმებით.

ცნობილია, რომ დადი ისტორიკოსები ამავე დროს სახელმწიფოებრივი  
და სამართლებრივი ინსტიტუტების გამოჩენილი მკვლევარნიც იყვნენ (მომ-  
ზენი, ფიუსტელდეკულანჯი, ვინოგრაძოვი, კლიუჩევს-  
კი და სხვ.), რომლებმაც კაპიტალური გამოკვლევები შექმნეს სამართლის  
დარგშიც. ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული სამართლის ის-  
ტორია, როგორც იურიდიული მეცნიერება, XIX ს. მეორე ნახევარში ჩამო-  
ყალიბდა, რასაც შედეგად არაერთი ფუნდამენტური კურსის შექმნაც მოჰყვა.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა ივ. ჯავახიშვილმა მიზნად  
დაისახა თავისი სამეცნიერო მუშაობის დაწყებისთანავე. როგორც ცნობილია,  
მან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი დაამთავ-  
რა და სპეციალური იურიდიული განათლება არ მიუღია. სამართლის მეცნი-  
ერებას იგი დამოუკიდებლად დაეუფლა, მან საფუძვლიანად შეისწავლა რო-  
მის სამართლის ისტორია და სისტემა, რომელიც საერთოდ სამართლის ისტო-  
რიის საფუძველს შეადგენს, ხოლო შემდეგ გამოჩენილი მეცნიერების ჰ. ბრუ-  
ნერის, რ. შრედერის. ა. ესმენის, ცახარიე ფონ ლინ-  
გენტალის და ვ. სერგეევიჩის ფუნდამენტური შრომების მიხედ-  
ვით გერმანული, ფრანგული, ბიზანტიური და რუსული სამართლის ისტორიას  
დაეუფლა.

ქართული სამართლის ინსტიტუტების ისტორიის გამოკვლევისას ივ. ჯა-  
ვახიშვილი ზმირად იყენებს რომისა და შუა საუკუნეების სამართლის ინსტი-  
ტუტების ცნებებს, აანალიზებს მათ მსგავსება-სხვაობას და გამოაქვს სათანა-  
დო დასკვნები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვ-  
ნა ევროპული ფეოდალიზმისა და ქართული პატრონყმობის მსგავსება-განსხვავ-  
ებების შესახებ „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემ-  
სგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო  
საუკუნეების ფეოდალურს წესწყობილებას, ე. წ. ფეო-  
დალიზმს“.

ქართული პატრონყმობის საკითხთან დაკავშირებულია ფეოდალური სა-  
ქართველოს წოდებათა წარმოშობისა და აღზევება-დაცემის საკითხი. „წო-  
დებრივობა საქართველოში თუმცა ძლიერი იყო და ღრმა კვალსაც სტოვებ-  
და იმდროინდელ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესწყობილებაში, მაგრამ  
მანაც წოდებანი ერთიმეორისაგან გარდუვალ ზღუდით არ ყოფილა განკალ-  
კევებული. წოდებრივად აღზევებაც შეიძლებოდა და დაქვეითება, ჩამომცრო-  
ბაც, ჩამომავლობასა და წოდებრივ ღირსებას გარდა მაშინდელ ცხოვრებაში  
პირად ღვაწლსა, ნიქს და სამსახურსაც თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა“.

„ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნის ბოლო თავებში გან-  
ხილულია ძველი საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი  
წყობილების საკითხები, რასაც ავტორი შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „სრუ-  
ლი სიციხადით ირკვევა, რომ საქართველოში I—VII სს-ში  
მხოლოდ მონობა იყო, პატრონყმობა მაშინ არ არსე-

ბობლა. X ს-ის მეორე ნახევრით განკითხვარ თველოში მარტო პატრონუმობა იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა, უკვე აღარ არსებობდა. ამ მხრივ I—VII სს-ის საქართველოსა და X—XIII სს. საქართველოს სოციალურ წესწყობილებას შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ყველას კარგად გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს. VII—IX სს-ში მონობის ხსენება ქრება, მაგრამ პატრონუმობა ჯერ არ არის. ამ ხანას გარდამავალი ხანის თვისებები აქვს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი სოციალური დამოკიდებულება სუფევდა მაშინ უფალთა და იმ მსახურთა, ან სახლეულთა შორის, რომელნიც ამ დროს ძეგლებში მოხსენებული არიან“.

ამეამად საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის განსხვავებული სქემა შემუშავებული, სხვა თვალსაზრისია მონობასა და პატრონუმობაზე. რათქმა უნდა, „ქართული სამართლის ისტორიაში“, კერძოდ, პირველ წიგნში, არის ზოგიერთი ისეთი დებულება, რომელიც ამეამად გაზიარებული არ არის ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ამ დებულებათა შორის მთავარია შეხედულება გვაროვნული წყობილების შესახებ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, უძველეს დროს საქართველოში სუფევდა გვაროვნული წესწყობილება. იგი გაბატონებული იყო სახელმწიფო ცხოვრებაშიც და საზოგადოებრივშიც; სტრაბონის დროინდელი საქართველო გვაროვნულ წყობილებაზე დაფუძნებულ საზოგადოებას წარმოადგენს, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს გვაროვნული წესწყობილება პირველადი კი არ იყოს, არამედ მეორადი, ან მესამეგზისიც. ზემოთხსენებულ დებულებას ავტორი შემდეგი დასკვნის სახით აყალიბებს: „გვაროვნული წესწყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევე ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს. ამისთვის საკმარისი იყო მხოლოდ, რომ ის გაჭირვება და გვაროვნობის დაყოფის პროცესის შემადგერჩებელი გარემოება შედარებით ხანგრძლივი ყოფილიყო. ასეთ მდგომარეობაში-კი ჩვენი ერი არა ერთხელ ყოფილა: საქართველოს პოლიტიკური ბედის ტრიალი მრავალჯერ ყოფილა უკუღმართი და სწორედ ამიტომაც გაყრილობის პროცესიც შეფერხებულა და შეყრილობა დაწყებულა. თუ ესლა იმ გარემოებასაც გავიხსენებთ, რომ ძველადვე მაღალი კულტურის მქონებული ქართველი ერი იძულებული იყო თავის წინანდელ სამშობლოთგან დაძრულიყო და ახალი მიწაწყალი დაეპყრა, ადვილად წარმოიდგენთ, რომ ქ. წ. საუკუნეებშიც ჩვენი ერი შესაძლებელია არა ერთხელ იძულებული ყოფილიყო გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესზე შეეცვალა და თავდაცვის გულისათვის გვაროვნული წყობილება განეახლებინა. ამის შემდგომ ვგონებ უფლება უნდა გვქონდეს ვთქვათ, რომ ადვილი შესაძლებელია სტრაბონის დროინდელი საქართველოს გვაროვნული წესწყობილება პირველადი არ იყოს“.

აკად. სიმონ ჯანაშიას, გ. მელიქიშვილისა და მათი მოწაფეების გამოკვლევების შედეგად ამეამად ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ სტრაბონის დროინდელი საქართველო წარმოადგენდა არა გვაროვნულ წესწყობილებას, არამედ კლასებად დაყოფილ საზოგადოებას, რომელიც სახელმწიფოს არსებობას განაპირობებდა.

ჩვენი წერილის მიზანი არ არის „ქართული სამართლის ისტორიის“ თუნდაც მოკლე მიმოხილვა. აქ საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ კაპიტალურ ნაშრომში შესწავლილია ქართული სამართლის უძველესი და უძნელესი პერიოდი და მთელი სისავსით წარმოჩენილია ქართველი ხალხის მდიდარი სამართლებრივი კულტურა. იგი წარმოადგენს მტკიცე სამეცნიერო საძირკველს, რომელზედაც ქართული სამართლის ისტორიის სრული კურსი უნდა აიგოს.

ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა წინამდებარე VI ტომში ქვეყნდება „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი და მეორე წიგნის პირველი ნაკვეთი. ტექსტი იბეჭდება უცვლელად 1928 წლის გამოცემის მიხედვით, გასწორებულია მხოლოდ კორექტურული შეცდომები.

ტომის დანართში დაბეჭდილია სამართლებრივი ხასიათის გამოკვლევები და იურიდიული ძეგლები, რომლებიც ავტორის მიერ პირველ გამოცემაში შეტანილი არ ყოფილა. ირკვევა, რომ ივ. ჯავახიშვილს დიდი მუშაობა ჩაუტარებია კელმწიფის კარის გარიგებისა და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტის დადგენისათვის. თუმცა ეს მუშაობა დასრულებული არ არის, მაგრამ, რაც გაკეთებულია, მეტად ფასეულია მეცნიერებისათვის.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში 1913 წ. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მე მინდოდა მკითხველი თანამოზიარედ გამეხალა, რომ მას თითონაც ეგემნა ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერი ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს... ამის გამო ჩემი თხზულება ძნელ საკითხავ წიგნად იქცა... ისტორიის მკვლევარებმა არის, იგი არასდროს გასართობ წიგნად არ გამოდგება“.

ქართული სამართლის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი და მკვლევარი ჰეშმარიტ „გონებრივ სიამოვნებას“ იგრძნობს ამ გამოკვლევის გულისხმისყოფით წაკითხვისას.



დიდი გოეთე ამბობდა: „გამოჩენილ ადამიანთა გახსენება ღროღადრო ფიქრებს აგვიშლის ხოლმე. ისინი წამომიპართებიან ჩვენ თვალწინ, როგორც ანდერძი თაობებისა“.

ივანე ჯავახიშვილი სწორედ ასეთი ადამიანი იყო: სიცოცხლეში თავისი მრავალმხრივი დაუტყდომელი მოღვაწეობით გვეწრთინდა და გვზრდიდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ მისი სახელის ხსენებაც კი აღგვაფრთოვანებს. მისი მოღვაწეობა ჰეშმარიტი ანდერძია შემდგომი თაობებისათვის. მისგან ვსწავლობთ და მომავალი თაობები კვლავაც ისწავლიან მეცნიერებისადმი ერთგულებას და ჰეშმარიტებისადმი პატივისცემას.

ძველად საქართველოში გამოჩენილ ადამიანებს იმ დამსახურების მიხედვით, რაც მათ ერის წინაშე მიუძღოდათ, თანამედროვენი მათ სახელს საპატიო წოდებულებით ამკობდნენ: „დიდი არსენა“, „დიდი ეფრემ“, „გურგენი დაუქნობელი“, „მოდლუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა“, „დიდი მნათობი ნათესავისა ჩუენისა“.



ეს ეპითეტები მთლიანად შეეფერება ივ. ჯავახიშვილს. იგი იყო ჭეშმარიტად დიდი მნათობი, მოძღუართმოძღუარი და განმანათლებელი ერისა. მას ჭაბუკობიდანვე ამშვენებდა ბუნებისაგან მომადლებული თვისებები: ბრძნული სიღინჯე, გონების სისრულე, აზროვნების კეთილშობილება, ზნეობრივი სიფაქიზე და სისპეტაკე, იგი იყო „გონიერი გონებითა და გულისკმის-ყოფითა“.

ჩვენი ძველი მოძღვარ-მწიგნობარნი ბრძნულ დარიგებას ჭადაგებდნენ: „ნუ აღმართებ თავისა შენისა ძეგლსა“. მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე ივ. ჯავახიშვილი დიდი გულჰოდგინებითა და თავდადებით იცავდა ამ მცნებას. არაჩვეულებრივი თავმდაბლობა და მოკრძალება ასწივოსნებდა მის კდემამოსილ სახეს, მის სულსა და გონებას. ეს იყო მამაცური რიდი კეთილშობილი და მაღალგონიერი რაინდისა, ყველგან და ყველათურში თავის გამოჩენას რომ ეკრძალება, მუდამ თავს რომ იმდაბლებს, მაგრამ ცათამდე რომ მაღლდება: „ხშირად მე ჩემი თავი წარმომიდგენია ისე, როგორც ჰიანჭველა პატარა, რომელიც ეპოტანება დიდ მარცვალს“.

დიდ მოძღვარს ბუნებით მინიჭებული ჰქონდა „სიმდაბლე უზომო და სიმაღლე შეუსწორებელი“, „სიხარულ იყო თხრობათა შინა და კდემულ განმსწავლელობათა... სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუელ“

ჭართველი ხალხისა და ქართული მეცნიერების წინაშე ივ. ჯავახიშვილის დიდი დამსახურების შეფასების დროს უნდა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულება: „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“.

თავის წინამორბედებთან შედარებით კი ივ. ჯავახიშვილმა მთელი ეპოქა შექმნა ქართველოლოგიაში.

## პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ქართული სამართლის ისტორიის ერთადერთი მკვლევარი ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი) იყო, რომელსაც წარსული საუკუნის ოთხმოციანი წლებითგან მოყოლებული არა ერთი ქვევით თავ-თავის ადგილას მოხსენებელი მონოგრაფია ჰქონდა გამოქვეყნებული. მისი ღვაწლი ამ მხრივ თვალსაჩინოა. ნ. ურბნელი ნიჭიერი დამკვირვებელი იყო და მის ნაშრომებში ბევრი საგულისხმო გარემოება იყო გამორკვეული. მაგრამ ამ სფეროში მას არც მიმდევარი და არც გამგრძელებელი არ აღმოსჩენია.

ნ. ურბნელი იმ დროს რუსულსა და ევროპულ მწერლობაში გაბატონებული სოციოლოგიური და შედარებითი სკოლისა და მეთოდის მიმდევარი გახლდათ, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებადაც რუსეთში პროფ. მ. ა. კ. ს. ი. მ. ე. კ. ო. ვ. ა. ლ. ე. ს. კ. ი. და პროფ. ლ. ე. ო. ნ. ტ. ო. ვ. ი. ჩ. ი. იყვნენ. ამ ორ მეცნიერს თავიანთი კვლევა-ძიების საგნად სხვათა შორის კავკასია და ჩვენი ქვეყანაც ჰქონდათ აღებული და მათი შრომების საერთო მიმართულების გავლენა ემჩნევა კიდევ ქართული სამართლის ისტორიის პირველ მკვლევარს.

რადგან ზემოდასახელებული ორივე რუსი მეცნიერი კავკასიელთა თანამედროვე ზნეჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ, მთელი კვლევა-ძიების უფუდიდესი ენერგია ამ პირველყოფილობის ძებნაში ილეთა. ამის წყალობითვე მათი მიმდევარი ნ. ურბნელის ნაშრომებსაც ყურადღება ქართულ მთიელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისაქენ ჰქონდა მიპყრობილი და პირველყოფილობის ძიებისადმი მიდრეკილება ემჩნევა.

მაგრამ რამდენადაც „უკულტურო“ და უმწერლობო ტომთა და ერთა სამართლის შესასწავლად კვლევის ასეთი მეთოდი ერთადერთი შესაძლებელი გზა არის, იმდენად მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონებელი ერის სოციალური ისტორიის შესწავლა მარტო ამ გზით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. ერის თანამედროვე ზნეჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო და მარტო თვით იურიდიულ ძეგლებში დაცული ცნობებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. რა-კი სამართლის წერილობითი ძეგლები ყოველთვის შედარებით უფრო გვიან ჩნდება ხოლმე, ამიტომ მხოლოდ მათი საშუალებით უძველესი ხანის მდგომარეობის გამორკვევა შეუძლებელია. სამართლის ისტორიის მკვლევარი ამის გამო ვალდებულია ყოველგვარი მასალებით ისარგებლოს, მათ შორის რასაკვირველია უპირველესად საისტორიო ძეგლებითა და საბუთებით. მ. კოვალევსკისა და ნ. ურბნელის ნაშრომების უმთავრესსა და თითქმის ერთადერთ წყაროს კი სწორედ ვახტანგ VI-ის კოდიკოში დაცული სამართლის ძეგლები და სოციოლოგიური მასალები შეადგენდნენ. იმ საგულისხმო და უხვი ცნობების გამოყენება კი, რომელიც საის-

ტორიო თხზულებებსა და სიგელ-გუჯრებში მოიპოვება, ფიქრად არ მოსვლიათ. ამასთანავე სათანადო ისტორიული და ფილოლოგიური მეთოდოლოგიის უცოდნელობის გამო ნ. ურბნელს ქართული იურიდიული ძეგლების ტექსტის კრიტიკული განხილვისა და აღდგენის საჭიროებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ძველი ქართულის უცოდინარობა მას ზოგჯერ ძეგლის ტექსტის დედაზრის სწორედ გაგებას უძნელებდა. ამასთანავე ევროპულ ენებზე სათანადო სამეცნიერო მწერლობის მისთვის მიუწევდომელობის გამო, ნ. ურბნელი იძულებული იყო ამ დარგის დარიბი რუსული სამეცნიერო ლიტერატურით დაემაყოფილებულიყო. ამის გამო რომისა, დასავლეთი ევროპისა, ბიზანტიისა და აღმოსავლეთის სოციალური წესწყობილებისა და სამართლის შესახებ მას სათანადო წყაროებით სარგებლობა არ შეეძლო, რომ ამ გზით ქართულ იურიდიულ დაწესებულებათა ჯეროვანი შეფასება შესძლებოდა. დასასრულ ნ. ურბნელის ნაშრომებს სათანადო ისტორიულ პერსპექტივიც აკლდა: ქართული სამართლის ისტორიის კვლევა-ძიება უძველესი ხანითგან კი არა, არამედ XIV-იდან, დაქვეითების ხანის ძეგლებით დაიწყო და ეს გარემოება მას სწორე გეზის აღებას უძნელებდა.

მაგრამ ნ. ურბნელის მოღვაწეობის შეფასების დროს უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ მაშინ ქართული საისტორიო კვლევა-ძიებაც მეთოდოლოგიურად ძალიან დაქვეითებული იყო და არც წყაროების კრიტიკული შესწავლის და არც ტექსტის აღდგენისა და წესიერად გამოცემისა და ფილოლოგიური თარგმანების აუცილებლობის შეგნება არსებობდა. ისეთი საისტორიო სამეცნიერო დისციპლინების, როგორც ქართული პალეოგრაფია, ანუ დამწერლობათამცოდნეობა და დიპლომატიკა, ანუ სიგელთმცოდნეობა, და სხვების ხსენება არ იყო. საქართველოს ისტორია იმ დროს უმეტესად ქართლის ცხოვრების მოთხრობის გამეორებითა და ზოგიერთი უცხო მწერლის ცნობების დართვით კმაყოფილდებოდა, ასეთ პირობებში სამართლის ისტორიის მკვლევარს რასაკვირველია იმაზე მეტი ვერც მოეთხოვება, რაც ნ. ურბნელმა შესძლო. პირიქით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი, რომ ასეთ მძიმე პირობებში და ხელშემწყობ გარემოებათა უქონლობისდა მიუხედავად თავისი სამსახურის მოვალეობით, ვითარცა სასამართლოს გამომძიებელს, პრაქტიკული საქმიანობით დატვირთულს, მას ქართული სამართლის ისტორიის მონოგრაფიული კვლევა-ძიების ხალისიც ჰქონდა და ქართულ მაშინდელ დარიბ საისტორიო მწერლობაში მანამდე ხელუხლებელი, სრულებით ახალი ასპარეზის შესწავლით ძვირფასი წვლილიც შეჰქონდა. ეს სხვებისათვისაც საუკეთესო მაგალითი უნდა ყოფილიყო და ნ. ურბნელის საქმეს ქართველ იურისტთა შორის გამგრძელბელნი უნდა გამოსჩენოდნენ, რომელთაც თანდათანობით ყველა ამ ზემოაღნიშნული ნაკლის გასწორება და შევსება შეეძლოთ. მაგრამ ეს იმედები არ გამართლებულა: ურბნელის გარდა არცერთ იურისტს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა თავის სპეციალობად არ აუჩრჩევია. შესაძლებელია ეს გარემოება იმითაც აიხსნებოდეს, რომ სამართლის ისტორიკოსი უნდა ერთსადაიმავე დროს იურისტიცა და ფილოლოგოს-ისტორიკოსიც იყოს, რაც რასაკვირველია იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ხოლმე.

იმ ნაკლის თავითგან ასაცილებლად, რომელნიც ნ. ურბნელის ნაშრომებს თან სდევდა, ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა უნდა უძველესი დროითგან დაწყებულიყო ყველა ამისთვის გამოსადეგი მასალის გამოყენებით,

სამართლის ძეგლების ტექსტის წინასწარი კრიტიკული შესწავლითა და პირვანდელი სახის აღდგენით, იურიდიული ძეგლი ქართული ტერმინოლოგიის ზედმიწევნითი მნიშვნელობის გამორკვევითა და ქართულ იურიდიულ დაწესებულებათა ბუნების გამორკვევის შემდგომ სხვა მეზობელ, გინდა შორეულ, მაგრამ ოდესმე საქართველოსთან დაკავშირებულ ერთა ასეთსავე დაწესებულებებთან შედარებითი შესწავლით, ქართული ამა თუ იმ ინსტიტუტის წარმოშობილობის გასაგებადა და ღირებულების დასაფასებლად.

ამ მიზნის მისაღწევად ხანგრძლივი გულდასმითი მუშაობა იყო საჭირო ზემოდასახელებული გეგმისადა მიხედვით. წინამდებარე ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“-ც სწორედ ასეთი ხანგრძლივი მეთოდური მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს, რომლის ზოგიერთი ნაწილი ამ სტრუქტურის ავტორს წინათაც ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგ., სოციალური ბრძოლისა და დემოკრატიული რეფორმების შესახებ IX—XI ს. ქართულ ეკლესიაში 1904 წ. იყო დაბეჭდილი (იხ. Журн. Мин. Нар. Прос., 1904, № 2, განყ. 2, გვ. 358—372). 1905 წ. გამოვიდა პეტერბურგში მონოგრაფია „ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წესწყობილება“ (ტ. I. რუს.), რომელიც უძველეს ხანას ეხებოდა, და ტფილისში „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“, რომელიც ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში იბეჭდებოდა (1905 წ. №№ 28, 56, 60, 62 და 66), ხოლო იმავე 1905 წ. ცალკე ამონაბეჭდადაც გამოიცა. ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში სოციალ-ეკონომიური იდეალების გამო ატეხილ ბრძოლას ეხებოდა მონოგრაფია, რომელიც 1906 წ. გაზ. „ივერია“-ში დაიბეჭდა და ეწოდებოდა „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“ (№ 10—13).

1907 წლისათვის უკვე დაწერილი მქონდა „ქართული სამართლის ისტორია“ უძველესი დროიდან მოყოლებული XIII ს. დამდეგამდის, რომლის ბეჭდვა დაიწყო კიდეც 1909 წ. ალმანახში „ერი“ და მის გაგრძელებაში, მაგრამ ცენზურისაგან ორგანოს შეჩერების გამო შეწყდა. მოესწრო მხოლოდ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისა და სამართლის წყაროების ისტორიული მიმოხილვისა და კრიტიკული გარჩევის შემცველი თავების დაბეჭდვა. შემდგომაც ამ დარგში მუშაობა შეუწყვეტილვ გრძელდებოდა და ახალ-ახალი საკითხების შესწავლით „ქართული სამართლის ისტორიის“ შინაარსიც ვრცელდებოდა და შემადგენლობაც იზრდებოდა. ამ ახალმოპოვებული შედეგების შესახებ 18 იანვარს 1915 წ. წაკითხული მქონდა ტფილისში ლექცია „ქართული სამართლის ისტორიითგან“. 1917 წელს ქუთაისში კვლავ დაიწყო „ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვა, რომელიც 1919 წ. შეცდომით I წიგნის სახელით გამოვიდა იმ დროს, როდესაც გამოცემული ნაწილი ამ ისტორიის II წიგნის მხოლოდ პირველს, IX—XIII სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის მოსახლეობისა და მოხელეობის შესახები ცნობების შემცველ ნაწილს შეადგენდა. ფინანსიური კრიზისისა და უქალაქობის გამო ამ შემთხვევაშიაც „ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვა კვლავ შეწყდა. საქართველოში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შემდგომ ამ საგნის უნივერსიტეტში სავალდებულოდ ქცევის გამო ამ დარგში მუშაობა, რასაკვირველია, უნდა გაცხოველებულიყო, რადგან ქართული სამართლის ზოგადი კურსის წასაკითხავად ყველა საკითხი წინასწარ სათანადო სისრულით

უნდა საფუძვლიანად შესწავლილი ყოფილიყო. ამის წყალობით ბევრი საკითხი, რომელიც წინათ ან სრულებით არ ყოფილა, ან მეტად მოკლედ იყო განხილული, გულდასმით უნდა ყოფილიყო გამოკვლეული. ამით „ქართული სამართლის ისტორია“ შეივსო და საგრძნობლად გაიზარდა კიდევ.

ასეთ ხანგრძლივი დროისა, სხვაგან და სხვადასხვა პირობებში გაწეულ კვლევა-ძიებას, რა თქმა უნდა, სრული ერთგვარობა არ ექნება იმისდა მიუხედავად, რომ მისი ავტორი ყოველნაირად ცდილობდა ასეთი ერთგვარობა დაეცვა.

რამდენიმე წიგნად განზრახული „ქართული სამართლის ისტორია“-ისგან ამ უმად მხოლოდ პირველი ორი წიგნი იბეჭდება, რომელთაგან პირველი წყაროების განხილვასა და უძველესი ხანის ისტორიის შეიცავს არაბთა შემოსევამდე, ანუ VII ს. შუა წლებამდის. მეორე წიგნი—კიდევ ქართული სამართლის ისტორიის IX—XIII სს-ს ეხება და სახელმწიფო სამართალს, სისხლის სამართალს, სამოქალაქო სამართალსა და სასამართლოს წარმოებასაც შეიცავს.

ხოლო „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში მთავარი ყურადღება წყაროების განხილვასა და ტერმინოლოგიაზეა მიქცეული, რადგან იგი დანარჩენი მოთხრობისა და თვით სამართლის ისტორიისათვის ნამდვილ საფუძველს წარმოადგენს: აქ გამორკვეულია ყოველი ძეგლის შედგენის წარმოება, პირობები, მიზნები და მოქმედების ასპარეზი, პირვანდელი ტექსტის სახე და დანაწილების წესები. სამართლის წიგნების ასეთმა დაწერილებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ჩვენი იურიდიული ძეგლების შედგენისა და წერის ერთგვარი წესები ყოფილა, რომელთა ცოდნა ამიერითგან ამ ძეგლების დამახინჯებული აღგილების აღდგენას შეგვძლებინებს.

თვით ქართული სამართლის ისტორიის უძველესი ხანა 1905 წ. დაბეჭდილთან შედარებით ახალი მასალების მიხედვით ხელახლად არის დამუშავებული. მაგრამ, ამ დროისათვის მასალების მეტისმეტი სიმცირის გამო ბევრი საკითხი გამოურკვეველი რჩება.

თავდაპირველად განზრახული მქონდა, რომ პირველი და მეორე წიგნისათვის ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონიც დამერთო ლათინური, ბერძნული, ფრანგული და გერმანული შესატყვისობით, მაგრამ რაკი დანარჩენ წიგნებშიც ასეთი მასალა ბლომად იქნება, ამიტომ ამგვარი ლექსიკონის სულ ბოლოში დართვა ვამჯობინე. ამასთანავე პირველსა და მეორე წიგნს დართული აქვთ იმდენად ვრცელი სარჩევი და ტერმინთა და სახელების საძიებლები, რომ მკითხველს ნაწილობრივ ლექსიკონისა და საგნობრივი საძიებლის მაგიერობასაც გაუწევენ.

დაკვირვებული მკითხველი, რომელიც ამ ორ წიგნს გულდასმით გადასინჯავს, დარწმუნდება, თუ რაოდენი შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში სოციალური ცხოვრების ასპარეზზე, სამართლის სფეროშიაც. ამ ისტორიის მეორე წიგნში, მეტადრე მის მეორე ნაწილში, რომელიც ამჟამად ჯერ კიდევ იბეჭდება, იგი თავისი თვალთ დაინახავს იმ გაცხოველებულ მუშაობასა და შეუწყვეტელ ბრძოლას, რომელიც სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში და სოციალურ ცხოვრებაში წარმატებისა და სამართლიანობის მოსაპოვებლად სწარმოებდა. ქართული სამართლის ისტორია მეცნიერსაც და ჩვეულებრივ განათლებულ მკითხველსაც ბევრ სა-

გულისხმოსა და საყურადღებო გარემოებას უშლის თვალწინ. რასაკვირველია, მომავალში, როდესაც საქართველოში ამ დარგშიც სხვა მკვლევარნიც აღმოჩნდებიან და ეხლანდელის მსგავსად მკვლევარს ყველაფრის მართო თითონ გამოარკვევა არ მოუხდება, მაშინ ინტენსიური და უფრო გაღრმავებული მუშაობის წყალობით ამ სურათს უფრო მეტი მკაფიოებაც, ფერადოვნებაც და მეტი მიმზიდველობაც მიენიჭება. ამჟამად ისიც კარგი იქნება, თუ ეს ორი წიგნი მკითხველს ქართული სამართლის ისტორიის, ადამიანის შემოქმედების ამ საყურადღებო დარგის, შესწავლას გაუადვილებს. ყოველ მკითხველს უნდა ახსოვდეს მხოლოდ, რომ „ქართული სამართლის ისტორია“ ჰგულისხმობს, რომ მკითხველმა ქართველი ერის ზოგადი ისტორია უკვე იცის. ამას გარდა, თუ მას საისტორიო წყაროების შესახები ცნობები დასჭირდა, უნდა მიჰმართოს ჩემი მონოგრაფიის („ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“) I წიგნს, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.

ჩემ თავს მოვალედ ვრაცხ გულითადი მადლობა მოვახსენო დოც. ს. ყაუხჩიშვილსა და ლექტ. ს. ჯანაშიას იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც ამ წიგნის ბეჭდვისთვის თვალყურისდევნებითა და კორექტურის გასწორებით გამიწიეს. საკუთარ და საგეოგრაფიო სახელების სარჩევი შედგენილია უნივერსიტეტთან დატოვებულის ნ. ბერძენიშვილისა, ლევ. მუსხელიშვილისა, იასეცინცაძისა და გ. გოზალიშვილის მიერ რომელთაც იმგვარადვე, როგორც უნივერსიტეტის გამოცემათა კორექტორს გ. ათანელიშვილს აგრეთვე დიდად ვმადლობ.

ივ. ჭავჭავაძის შვილი.

ტფილისს  
1927 წლის 11 დეკემბერს.

## ქარაზმიანი და შვიმოკლებული სიტყვების განმარტება

АПГА = დ. ბაქრაძის Археол. путешествие по Гурин и Аджаре.

Арх. Экс. = ე. თაყაიშვილის Арх. Экскурсии.

ის ტ<sup>რ</sup>ნი და აზ<sup>მ</sup>ნი = ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულება.

კარის გარიგება } ხელმწიფის კარის გარიგება პროფ.

კ. გარიგება, ან გარიგ. } ექ. თაყაიშვილის გამ.

კარიჟ = დ. კარიჟაშვილის გამოცემა.

მტ<sup>ნე</sup> ქ<sup>ა</sup> = მათიანე ქართლისა.

მ<sup>მ</sup> = დღ<sup>ლი</sup> ქ<sup>ც</sup>ა = მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამოცემა.

მქ<sup>ც</sup>ა ქ<sup>ა</sup> = მოქცევა ქართლისა.

ეამთაალ. = ეამთაალმწერელი, მონღოლთა ბატონობის ქართველი ისტორიკოსი.

ს<sup>ქ</sup>ს სამოთხე = საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა.

ს<sup>ქ</sup> სძ<sup>ლ</sup>ნი = საქართველოს სიძველენი, საქ. საისტ. და ეთნოგრ. საზოგ. გამოცემა ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ს. კაბაბ., ან კაკ. = ს. კაკაბაძის გამოცემა.

ТР = Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.

ქ<sup>კ</sup>ბი = ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა თ. ჟორდანიას გამ.

3 ქ<sup>კ</sup>ა = სამი ისტორიული ქრონიკა ექ. თაყაიშვილის გამ.

ქსიფ. = ეფრემ მცირე, იხ. კ. კეკელიძის Иоан Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, Хрис. Восток. II,

ქ<sup>ლი</sup> ერის ისტ. = ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია.

ც<sup>ა</sup>, ც<sup>ა</sup> = ცხოვრება, ცხოვრება.

ც<sup>ა</sup> გ<sup>რ</sup> მთ<sup>მ</sup>დლსა = ცხოვრება და მოქალაქეობა... გიორგი მთაწმიდელისა, იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი, საეკ. მუზეუმის გამ.

ც<sup>ა</sup> გ<sup>ლ</sup> ხანძ<sup>თ</sup>ლსა = შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისა... მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისა, ნ. მარჩის გამოც. ТР, წიგნი VII.

ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> და ეფ<sup>თ</sup>მსი = ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთუმესი, იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი, საეკ. მუზეუმის გამ.

ც<sup>ა</sup> მ<sup>ფ</sup>სა და<sup>თ</sup>სი = ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. დავით აღმაშ. ისტორიკოსის თხზულება.

ც<sup>ა</sup> მ<sup>ფ</sup>თა = ლეონტი მროველის ცხოვრება მეფეთა.

ცა სრპნ ზარზმლსა = ცხოვრება და მოქალაქეობა და ლმერთშემოსილისა  
 შეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი, მ. ჯანაშვილის გამ., იხ. მისი „ქართუ-  
 ლი მწერლობა“.

XB = Христианский Восток, რუს. სამეც. აკადემიის ორგანო აკად.  
 ნ. მარის რედაქტორობით.

რაცხვის წინ ხელთნაწერის გვერდსა ნიშნავს, მომდევნო „გვ“. მ. მ.  
 დვლი ქცის ე. თაყაიშვილის გამოცემის გვერდს.



# ქართული საგარეოს ისტორია

წიგნი პირველი.



## კ ა რ ი კ ი რ მ ე ლ

### ზ ო ბ ა ღ ი ც ნ ო ბ ე ბ ი

ქართული სამართლისა და საქართველოს სოციალური ისტორიის შესასწავლად საისტორიო ძეგლების გარდა, რომელთა მიმოხილვას მკითხველი ჩემს გამოკვლევაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (იხ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი I) იპოვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლის ძეგლებსა აქვთ. ამიტომ, სანამ საქართველოს სოციალური ისტორიის მოთხრობას შევუდგებოდეთ, უნდა წინასწარ ქართული სამართლის წყაროები განვიხილოთ, გამოვარკვიოთ თვითოეული მათგანის დაწერილობის თარიღი, შემდგენელისა თუ შემდგენელთა ვინაობა, ძეგლების საერთო ხასიათი და პირვანდელი სახის გარეგანი, ტექნიკური თვისებები.

ხოლო რადგან სამართლის სფეროში, იმგვარადვე როგორც სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრებაში, ორი მთავარი უწყება მოქმედებდა, ერთის მხრით თვით სახელმწიფოს ხელისუფლება, მეორეს მხრით ეკლესია, ამიტომ სამართლის ძეგლებიც ორნაირი იყო, საეკლესიო და საერო კანონმდებლობის ძეგლები არსებობდა. რამდენადაც მაშინ ეკლესია სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა და ერის მთელ აზროვნებაზე დიდი გავლენა ჰქონდა, განსაკუთრებული უფლებრივი უპირატესობით იყო მოსილი, თანაც საეკლესიო წესწყობილებას სახელმწიფო და სოციალურ წესწყობილებაზეც ხშირად თვალსაჩინო კვალი დაუჩნევია, ამიტომ და ამდენად საეკლესიო სამართლის ძეგლების ცოდნაც საქართველოს სოციალური ისტორიის მკვლევარისა და მკითხველისათვის აუცილებლად საჭიროა. ამასთანავე საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებს როგორც მსოფლიო ეკლესიისას, თარგმანებს, ისევე ადგილობრივ შემოქმედებასაც, ქართული სამართლის ისტორიისა და ტერმინოლოგიის შესასწავლადაც აქვთ მნიშვნელობა.

მრავალი ქართული იურიდიული ტერმინის სრული ზედმიწევნილობითი მნიშვნელობის გამოარკვევაც სწორედ ამ ნათარგმნი ძეგლების ენის დედნებთან შედარებითი შესწავლითაა შესაძლებელი.

რაკი ეკლესია თავის წერილობით ძეგლებს უკეთესად ინახავდა და იცავდა, ამიტომ ქართული სამართლის უძველესი ძეგლებიც სწორედ საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებია და წყაროების განხილვა მათგანვე უნდა დავიწყოთ.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

## სამართლისა და სამართლის ძეგლის აღმნიშვნელი ტერმინები

საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლების შესწავლა რომ შემდეგში უფრო გაადვილდეს და თვით საგანი გასაგები გახდეს, სანამ ქართულად არსებული ძეგლების ჩამოთვლასა და დახასიათებას შევუდგებოდეთ, ჯერ საკანონმდებლო ძეგლებისათვის მიღებული ტერმინოლოგიის გამორკვევას უნდა მივყოთ ხელი.

სამართლის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაშიაც იხმარებოდა და ეხლაც არის შერჩენილი სიტყვა „კ ა ნ ო ნ ი“. გრიგოლ ხანძთელი რომ გვარამ მამფალს შეება და საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეებში მის ჩარევას წინააღუდგა, საპასუხო სიტყვაში მოაგონა თურმე: „წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღვდელთმოდღუართაგან განსაზღვრებულსა კ ა ნ ო ნ ს ა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ვითარცა... შჯულის მოძღვრებასა იკადრებდა“-ო (გ ი მ ე რ ჩ უ ლ ი, ო ო გ ლ ხ ნ ძ თ ა, მ შ). ამ მაგალითიდანა ჩანს, რომ აქ და მაშინ კ ა ნ ო ნ ს ზ ო გ ა დ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა და სამართალს უდრიდა.

მაგრამ თუ უფრო მეტად არა, მაინცდამაინც იმგვარადვე ხშირად ეს ტერმინი ქართულში სამართლის წიგნის თვითოეულ მუხლსაც კნიშნავდა. რუის-ურბნისის 1103 წ. კრების ძეგლის წერაში, მაგ., ნათქვამია: „ქმნილ იყენეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი — პირველი ანკურისა, რომელსაცა დაესხნეს კ ა ნ ო ნ ი ო ც დ ა ო თ ხ ნ ი, მეორე ნეოკესარისა, დამსხმელი კ ა ნ ო ნ თ ა ო ც დ ა ა თ ო თ ხ მ ე ტ თ ა მ... ამისა შემდგომად მეორე წმიდაჲ და მსოფლიოჲ კრებაჲ კონსტანტინეპოლისა ასერკასისთა წმიდათა მამათაჲ, რომელთა კ ა ნ ო ნ ნ ი ა რ ი ა ნ რ ი ც ხ უ თ შ ვ დ“ (ქკბი, II, 59). ყველა ზემოყვანილ შემთხვევაში, როგორც ეს განსაკუთრებით ნათლად უკანასკნელი სიტყვებიდანა ჩანს, „კანონი“ სამართლის ძეგლის მუხლსა კნიშნავს.

ასეთივე მნიშვნელობა ამ სიტყვას ბერძნულშიაც ჰქონდა და ბერძნული დიდი სჯულის კანონის წიგნშიაც შესატყვის ადგილებში ამგვარადვეა ნახმარი ეს ტერმინი. საფიქრებელია, რომ კ ა ნ ო ნ ს ქ ა რ თ უ ლ შ ი სამართლის წიგნის მუხლის მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოდ, სულერთია, საერო იყო თუ სასულიერო ის სამართლის ძეგლი, რომლითგანაც მუხლია ამოღებული. ეს იქითგანა ჩანს, რომ რუის-ურბნისის ძეგლის წერაში ნათქვამია „კ ა ნ ო ნ ნ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ო ნ ი“-ო (ქკბი, II, 58). კანონი რომ მართო საეკლესიო სამართლის ძეგლის მუხლსა ჰრქმეოდა, მაშინ სიტყვა „საეკლესიონი“ დამატებული არ იქმნებოდა.

რაკი სამართლის ძეგლის თვითოეულ მუხლში დამნაშავეთათვის განსაზღვრული სასჯელია აღნიშნული, ამიტომ ქართულად სიტყვას „კანონი“ სასჯელის მნიშვნელობაც მიეცა და ზოგჯერ ბერძნულს „ეპიტიმისა“ სასჯელს უდრიდა ხოლმე, მაგ.: მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ქართულ თარგმანში, რომელიც ე ფ თ ვ მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს ე კ უ თ ვ ნ ის, შ გ მუხლში ნათქვამია: „მონაზონი უკეთუ სიძვითა დაეცეს და მონაზონებისა

—ოდენ კურთხევა აქუნდეს, ს ი ძ ვ ი ს ა კ ა ნ ო ნ ი აღასრულოს“ო (იბ. *DB*, *T. 2*, *B. III*, გვ. 109). ბერძნულ დედანში, § *μτ'* ნათქვამია „*αὐτὸς ὁ αὐτὸς παρρησιαστικῶς ἐλάττωσις... ἡ ἀσκήσιον*“ „ტოას ტონ პორნეუონტონ ეპიტომიონს... ჰვობლენ ფეზეტამ (იბ. ამგვარივე შემთხვევა იმავე ძეგლში მუხ. შვ. *ibid.* გვ. 110 = ბერძნულ დედანს § *μτ'*). იმავე თარგმანში მ. ზ. ოზ ნათქვამია: „რლნი მისცემენ დედათა წამალსა, შეილის მკვლელსა საშოსა შინა... კაცის კვლისა კანონსა ქვეშე არიან“ო (იქვე, გვ. 124), ხოლო ბერძნულ დედანში შეს. სწერია „*ἡ δὲ τὰ μακάριστα ἡμῶν ἔστιν ἡ ἀσκήσιον*... ἡ δὲ τὸν ἑαυτῶν ἐλάττωσις... ἡ ἀσκήσιον...“ „ტას ტა ამბლოთრიდია დიდუზას ფარმაკა ტო ტუ ჭონეოს ეპიტომიო კათვობალომენ“. ამისდა მიხედვით ჩვენ ძველ მწერლობაში ზმნას „გ ა ნ კ ა ნ ე ბ ა“-ს ხშირად დასჯას მაგიერ ხმარობდენ. „განკანონება“-ს ისეთს დასჯას ეძახდენ, რომელიც სამართლის შესაფერისს კანონზე იყო დამყარებული. გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი მოვეითხრობს, მაგ., რომ ათონის ქართველთა მონასტერში ეფთჳმე „უკუეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა ზელა ცისკრისასა, გ ა ნ კ ა ნ ო ნ ი ს ჭეროვნად ვ ი თ ა რ ც ა გ ა ნ ე წ ე ს ა მამასა“-ო (ც<sup>ა</sup> მ<sup>ო</sup> ე და ეფ<sup>ა</sup>მესი, 36). შემდეგ იგივე ავტორი გვიაპობს, რომ ეფთჳმეს „უკუეთუ ტყუვილით რამე მოახსენიან, მძიმედ გ ა ნ კ ა ნ ო ნ ი ს და მის მიზეზისათჳს მრავალნი ძმანი მონასტრისაგან გაასხნა“-ო (იქვე, 42). ხოლო როცა იგი ეკლესიაში წირვის დროს მძინარე მონაზონს შეამჩნევდა, აფრთხილებდა თურმე: „აქა ნუ დაიძინებ, თუ არა მძიმედ გ ა ნ კ ა ნ ო ნ ე ბ ს“-ო (იქვე, 49).)

მაგრამ „კ ა ნ ო ნ ი“ მარტო სასამართლოს წიგნის ერთერთს მუხლს-კი არა ნიშნავდა, არამედ თვით იმ კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს კ რ ე ბ უ ლ ს, თ ვ ი თ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო წ ი გ ნ ს ა, ა ნ ძ ე გ ლ ს ა ც, ს ა დ ა ც კ ა ნ ო ნ ე ბ ი მ ო - ი პ ო ვ ე ბ ა, მაგალითად:

იოანე მმარხველის სამართლის წიგნს ქართულად ჰქვიან „რ ჩ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი წ მ ი დ ი ს ა ი ო ა ნ ე მ მ ა რ ხ ვ ე ლ ი ს ა მ (იქვე, 29), ცნობილს საეკლესიო სასამართლო კრებულსაც „შჯულის კანონი“ ეწოდება.

ქართული „კანონი“ ბერძნულ *κανών* „კანონ“-ისაგან არის წარმომდგარი. ბერძნულში კი ეს სიტყვა შემოხიზნულია ძველისძველ დროსავე, უკვე ჰომეროსის წინათ, ერთ-ერთი სემიური ენითგან (*Th. Zahn. Grundriss d. Geschichte d. neust. Kanons*, 1901, გვ. 2), სადაც იგი ლერწამსა ჰნიშნავდა, ლელის მუხლებს. ბერძნულად „კანონ“-ს თავდაპირველად ხუროს ერთს ხის იარაღს ეძახდენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თარაზოს მაგიერ სისწორეს გასაგებად ხმარობდენ ხოლმე (იქვე, 2). შემდეგ საბერძნეთშიაც სამართლის წიგნებსაც „კანონს“ ეძახდენ, იმიტომ რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითვლებოდა (იქვე, 4). II საუკუნის ნახევრითგან მოყოლებული „კანონი სარწმუნოებისა“ (*ὁ κανὼν τῆς πίστεως*) იმ მცნებასა და წესსა ჰნიშნავდა, რომელიც ყველა მაშინდელ საქრისტიანო ეკლესიაში მიღებული იყო, ხოლო მსოფლიო კრებების შემოღების შემდგომ „კანონ“-ს მსოფლიო და ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებას ეძახდენ, სადაც განსაზღვრული იყო „მართალი სარწმუნეობა“, საეკლესიო წესწყობილება და ის სასჯელი, რომელიც უნდა გადაეხადა სამღვდლოებასა და მრევლს სხვადასხვა დანაშაულობისათვის სარწმუნოებისა, წესიერებისა და სინდისის წინაშე (იქვე, 5).

სხვებისავეთ ქართული საეკლესიო სამართალიც უმთავრესად მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობას ემყარებოდა. ამიტომ მსოფლიო ეკლესიის მიერ შემუშავებული ძეგლები სავალდებულო იყო მისთვისაც და მისი შედგენილობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია მსოფლიო ეკლესიის სამართლის მთავარ წყაროდ საეკლესიო კრებები იყო, რომელთა დადგენილებანიც ყველასაგან უცილობელ ჰუმანიტეტად იყო ხოლმე მიჩნეული, თუმცა არა ერთხელ მოწინააღმდეგენიც გამოჩენილან.

საეკლესიო კრებები კი ორგვარი იყო. რუის-ურბნისის ძეგლის წერაშიც არის ნათქვამი: „მეფემან კონსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიო კრება და ნიკეას..., რომლისა პირველად ქმნილ იყვეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი“ ანკვირას და ნეოკესარიას და „შემდგომად დიდისა და მის მსოფლიოესა კრებისა და სხუანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი“-ო (ქკბი, II, 59). დიდი სჯულისკანონის ქართულ თარგმანში ნათქვამია: „მსოფლიოსა კრებასა და სხუათა ადგილობითთა კრებათა განწესებანი“-ო (ტფილ. უნივ. ხელთნ. № 741, XB, II, 356).

მსოფლიო ეკლესიას 7 მსრფლიო საეკლესიო კრების დადგენილება მიანდა სავალდებულოდ: პირველი ნიკეის (325 წ.), მეორე კონსტანტინეპოლის (381 წ.), მესამე ეფესოს (431 წ.), მეოთხე ქალკიდონის (451 წ.), მეხუთე კონსტანტინეპოლისა (553 წ.), მეექვსე კონსტანტინოპოლისავე (680 წ.) და მეშვიდე ნიკეის (787 წ.).

მაშასადამე, საეკლესიო კანონმდებლობის სათავედ ერთის მხრით „მსოფლიო კრება“, მეორეს მხრით „ადგილობითნი კრებანი“ იყო. ტერმინი „მსოფლიო კრება“ ბერძნულს „ἡ οὐνομένη συνodus“-ს (იხ. სჯულისკ., XB, II, 368) უდრის.

მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილების გარდა ძველად ქრისტიანეთა წრეში რაპაკვირველია, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდენ ყველაფერს, რაც მოციქულთაგან ნაანდერძევედ თუ დაწერილად იყო მიჩნეული. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისეთი ძეგლები, როგორც მოციქულთა კანონებია, მსოფლიო ეკლესიის სამართლის წიგნს, ე. წ. სჯულისკანონს შეეთვისებინა. მოციქულთა კანონებს, რომელთაც ბერძნულად ეწოდებოდა *Διατάξεις τῶν Ἀποστόλων*, ლათინურად *Constitutiones apostolicae*. ან *apostolorum*, ქართულად ერქვა „განწესებანი წთა მოციქულთანი“. მაგ. დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანის „განწესებანი... მოციქულისა პავლესნი საეკლესიოთა კანონთათჳს“. „განწესებანი წთა მოციქულთა პეტრე და პავლესნი“, „ნაწილნი კანონებრივთა განწესებათანი“ უდრის ბერძნული დედნის „Πάσης τῆς ἀποστόλης διατάξεις παρὸν ἁγίου ἁγίου ἁγίου“, „Πέρου καὶ Πάσης τῆς ἁγίου ἀποστόλης διατάξεις“, „ἐν τῇ τῆς ἁγίου ἁγίου ἁγίου“ სჯულისკ., XB, II, 359, 365). მაშასადამე, „განწესებანი“ ბერძნულს ἢ διατάξεις ჰე დიატაქსის-სა და ლათინურს *constitutio*-ს უდრის.

საეკლესიო სამართალმა შეითვისა აგრეთვე ზოგიერთი განთქმული მღვდელთმთავრის, თუმცა კერძო, გარკვეული შემთხვევით გამოწვეული, წერილები ანუ ეპისტოლეები, მაგრამ რომელთა შინაარსი საეკლესიო ცხოვრების რომელსავე მოუწესრიგებელ მხარეს ეხებოდა და მათ ავტორთა განსა-

კუთრებული გავლენიანობის წყალობით საყოველთაოდ მოწონებული იყო. ასეთ ეპისტოლეებს ბერძნულად ეძახდნენ „ἐπιστολὴ καὶνοὶ“ როცა ერთი იყო, ხოლო კრებულს— „ἐπιστολὰ καὶνοὶ“, ლათინურად *epistolae canonicae*. ქართულად ამის გამოსახატავად მიღებული იყო ტერმინი „ეპისტოლე კანონიანი“. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში მაგ. ნათქვამია: „გრიგოლ ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკრველთმოქმედისა ეპისტოლე კანონიანი, დიდისა ბასილის... ეპისტოლე კანონიანი დიდორეს მიმართ, მისივე ეპისტოლე კანონიანი გრიგოლის მიმართ ზუცისა, მისივე ეპისტოლე კანონიანი ხორეპისკოპოსთა მიმართ, მისივე ეპისტოლე კანონიანი მის ქუეშეთთა ეპისკოპოსთა მიმართ“ (ქკბი, II, 59, 60). ყველა ამ ძეგლის ქართული სათაური დიდი სჯულის კანონის თარგმანში „ეპისტოლე კანონიანი“ ბერძნული დედნის „ἐπιστολὴ καὶνοὶ“-ს უდრის (XB, II, 362—363).

გარკვეული მისამართითა და პირისადმი მიმართულ კანონიან ეპისტოლეებს გარდა არსებობდენ ეპისტოლეები, რომელნიც ყველასთვის იყო განკუთვნილი წასაკითხავად და სახელმძღვანელოდ. ასეთს ძეგლს ბერძნები ეძახდნენ „ἐγκύκλιος ἐπιστολή“ ფრანგ. *encyclique*. ქართულად ამ ცნებისათვის ორი განსხვავებული ტერმინი მოიპოვება ძველს მწერლობაში: ერთი მათგანი „საყოველთაო ეპისტოლეა“ ამ ცნების აზრის გადმომცემია, ხოლო მეორე „მრგული ეპისტოლეა“ სიტყვასიტყვითი თარგმანია. რათგან ეს ორი ტერმინი ერთისა და იმავე ძეგლის სათაურში გვხვდება, აქ უნებლიეთ აზრი იბადება, რომ სხვადასხვაობა შესაძლებელია მთარგმნელთა სხვადასხვაობით აიხსნებოდეს. დიდი სჯულის კანონში ნათქვამია: „გენადი წისა პატრიარქისა კოსტანტინუპოლელისა... საყოველთაო ეპისტოლე“ (XB, II, 365), „მრგული ეპისტოლე გენადი წისა ეპისკოპოსისა კსტნტინუპოლისა“ (იქვე, II, 376). ბერძნულად ორთავე შემთხვევაში სწერია „ἐγκύκλιος ἐπιστολή“ (იხ. იქვე). თანამედროვე სამეცნიერო იურიდიულს მწერლობაში შეიძლება ორივე ტერმინი გამოყენებულ იქმნეს ისე-კი, რომ თვითოეულს მისთვის უფრო შესატყვისი მნიშვნელობა მიენიჭოს.

საეკლესიო სამართლის ერთ-ერთ წყაროდ აგრეთვე მწერლობის ის დარგი იქცა, რომელიც სახელგანთქმულ მოძღვართადმი მიმართული კითხვების საპასუხოდ დაწერილ ნაწარმოებს წარმოადგენდა და თვითოეულ წამოყენებულ კითხვაზე შესატყვის პასუხს შეიცავდა. ამგვარ ძეგლებს ლათინურად ეწოდებოდა „*responsa canonica*“. ბერძნულად „ἑκ πατρίσ τε καὶ ἐκ κληρικών“, ქართულად კი „კითხვა მიგებაა“. დიდი სჯულის კანონის ქართული თარგმანის „ტიმოთე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა... მის მიერ აღწერილთა კითხვათაგან კანონნი იე“ ბერძნული დედნისა უდრის: „ἐκ τῶν παρὰ Τιμοθέου ἐπιτολῶν καὶ ἐκ τῶν ἐπιτολῶν τῶν ἐκκλησιαστικῶν... ὑποθέσεων ἐκ πατρίσ τε καὶ ἐκ κληρικών“ (XB, II, 364). როდესაც საპასუხო ეპისტოლე კითხვა-პასუხის სახით

1 თ. კორდანიას ასე აქვს დაბეჭდილი „კანონი ანი (ე. ი. ერთი)“-ო. მაგრამ აქ „ანი“ დაბოლოვებაა და არა რიცხვითი ნიშანი.

კი არაუო დაწერილი, არამედ მხოლოდ პასუხს შეიცავდა, ბერძნულად ერქვა „ἡ ἀπάντησις τῆς ἀποκρίσεως“, ლათინურად „responsa canonica“, ხოლო ქართულად „მიგებაჲ კანონებრივი“. სუქლის კანონში ნათქვამია: „მიგებაჲ კანონებრივი ტიმოთე... ალექსანდრიელისაჲ“, რაც უდრის ბერძნული დედნის „ἡ ἀπάντησις τῆς ἀποκρίσεως. Τιμῶθ... Ἀλεξανδρείας“ (XB, II, 375).

იმას, რაც თვითველ ერს კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედება-დამოკიდებულებათა უზენაეს და ქეშმარიტ გამსაზღვრელ მცნებად მიაჩნია, იმას რასაც რომაული სამართალი „norma agendi“-ს ხოლო გერმანელი „das objektive Recht“, ფრანგები „droit positif“, რუსები „оb’ективное право“-ს ეძახიან,— იმას ქართულად „სამართალი“ ჰქვიან (ცა გვლ ხნძთჲ, გვ. ლბ; მზ; ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი). ეს სიტყვა „მართალი“-საგან არის წარმომდგარი, რაც თავდაპირველად „სწორესა“ ნიშნავდა. ამისდა მიხედვით „სამართალი“-ც სისწორესა, სწორობასა აღნიშნავს და ამ მხრივაც ფრანგულს droit’s, რომელიც ლათინურ „directum“ (=სწორეს)-ისაგან არის წარმომდგარი, და გერმანულს „Recht“-ს უდრის. უძველეს დროს „სამართალი“-საც სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ., იოანეს სახარებაში ნათქვამია: „ნუ თულხუბით შჯით, არამედ საშჯელი სსამართალი საჯეთ“-ო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიაც გიორგი მერჩულს უწერია: „სამართალ არს სიტყუჲა შენი“, სამართალ იყო სიტყუსგებაჲ იგი“-ო (ცა გვლ ხნძთჲ, გვ. ლ, მე), ესე იგი „შენი სიტყვა სწორეა, კამათი სწორე იყო“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც იმ აზრის გამოსათქმელად, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ყოველგვარი შეცდომა და კანონის შელახვა გაასწორა, შემდეგს წინადადებასა ხმარობს: „ყოველი ცთომილი „განმართვეს“-ო (\*გვ. 291).

თუ უძველეს ხანაში ტერმინი „სამართალი“ სწორესა ჰნიშნავდა, შემდეგში მას სწორედ norma agendi-ს მნიშვნელობა მიენიჭა. უეჭველია ამაზე უწინარესაც უნდა ჰქონოდა ამ ტერმინს ასეთი განყენებული ცნების მნიშვნელობა, მაგრამ ძეგლების გამოუქვეყნებლობისა და შეუსწავლელობის გამო ამ ეჲმად პირველ საკანონმდებლო ძეგლად, სადაც „სამართალს“ უკვე სრულებით გარკვევით norma agendi-ს მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ XIV ს. ბექა-აღბულას სამართლის წიგნის სათაური „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდები-სა ყოველისავე“ და სვიმონ მეფის 1590 წლის განწესება მეკობრეთმძებნელებზე შემიძლიან დავასახელო. იქ მეფეს ნათქვამი აქვს: „ვისაც სასისხარი საქმე ჰქონდეს, ჩუენს კარზედ მოვიდეს და რა რიგადცა კარისა ჩუენისა სამართალი იყოს, ისრე გარდასწყვიტონ“-ო (სქს სძვლნი, II, 24). ამით სვიმონ მეფეს უნდოდა ეთქვა: სისხლის სამართლის საჩივარი სახელმწიფო კანონების მიხედვით გადასწყვიტონ. XVII—XVIII სს-ში ეს სიტყვა უკვე ერთადერთი ტერმინია ამ განყენებული ცნების გამოსახატავად. მაგ., ვახტანგ VI კანონების კრებულში დასავლეთ საქართველოს XVI ს. საეკლესიო კანონმდებლის ძეგლს სათაურად აქვს „სამართალი კათოლიკოზთა“, გიორგი V ბრწყინვალის ძეგლის დადებას „სამართალი მეფისა გიორგისა“ ეწოდება, ათაბაგ ბექას და აღბულას კანონებს ჰქვიან „სამართალი აღბულასი“, ვახტანგ VI საკანონმდებლო ძეგლსაც თავში აწერია „სამართალი



ბატონიშვილის ვახტანგის ნაბრძანები“, დასასრულ სომხურითგან და ბერძნულ-ლითგან ნათარგმნ საკანონმდებლო ძეგლებსაც ხომ „სამართალი სომხური“ და „სამართალი ბერძნული“ ეწოდება. თუმცა ყველა ამ ზემომოყვანილ შემთხვევაში „სამართალი“ შემოკლებულ გამონათქვამს წარმოადგენს „სამართლის წიგნი“-ს მაგიერ და ვახტანგ VI კრებულში სომხური კანონების თარგმანის პირველ წინადადებაში ნათქვამია კიდევ: „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნი და ზედან გადმოთარგმანებული“-ო, მაგრამ როგორც „სამართლის წიგნი“ აგებულობითაცა და მნიშვნელობითაც გერმანულს Rechtsbuch-ს უდრის, ისევე „სამართალი“ ყველა ასეთ შემთხვევაში ლათინურს jus-ს, ფრანგულს droit-სა და გერმანულს Recht-ს ეთანასწორება.

იმავე მნიშვნელობით, რაც „სამართალსა“ ქონდა, ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვა „სჯული“, ანუ „სჯული“-ც იხმარებოდა (ძველი და ახალი ალექსის წიგნები, გ. მერჩულის ცაგვლ ხმართლსა, გვ. მე, მთ და „ძეგლის წერაჲ“ რუის-ურბნისის 1103 წ. კრებისა, ქკბი, II, 61). ბერძნულითგან ნათარგმნ თქმულებებში ἡ νόμος; ჰო ნომოს-ს უდრიდა, რაც კანონს, სამართალს ნიშნავდა. ეს სიტყვა ზმნა „სჯა“-სგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ძველ ქართულ მწერლობაში „სჯულს“, ან „სჯულს“ მაინც უფრო სარწმუნოებრივი, საეკლესიო სამართლის მნიშვნელობის ელფერი ედვა და ამით იგი ტერმინისაგან „სამართალი“ განსხვავდებოდა.

ის, რასაც რომაულს სამართალში facultas agendi, გერმანულად das subjektive Recht, რუსულად право в субъективном смысле ერქვა, ქართულად „უფლება“ ეწოდებოდა (ყველგან ძველს ნაწერებში, დაბადებისა და სახარების თარგმანშიაც).

სამართალი ან ერის საზოგადოებრივი ცხოვრებით შექმნილი ჩვეულება და წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელი კრების გაჩენილია ხოლმე. უძველეს ხანაში რასაკვირველია სამართალი, და ერის ზნე-ჩვეულება ერთიდაიგივე იყო, შემდეგ, როცა კაცობრიობა განვითარდა და წარმატებული მოქალაქეობრივი ცხოვრება შექმნა, მაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებას დაჰშორდა, დაწინაურდა და კანონდებულ სამართლად გადაიქცა. რაკი იმ ხანაში, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, კანონებს საქართველოში ჩვეულებრივ მეფის მიერ მოწვეული სამღვდელოებისა, მაღალ წოდებისა და მოხელეობის წარმომადგენელთა და „საბჭოთა საქმეთა მეცნიერთა“ კრება, ან სახელმწიფო დარბაზი ადგენდა ხოლმე, ამიტომ სამართალს იმ დროს „გაჩენილი“ სამართალი ერქვა (ზაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი), ხოლო თვით მოქმედებას „განჩინება“ ეწოდებოდა, — „განჩინება“ სარწმუნოებისა და დებულისა იწეს მიერ ღთისმეტყველისა (სჯულისკანონი, XB, IV, 115—116), რაც ბერძნულ ἐπιμαρτυρία-ს უდრის, — ანუ „განაჩენი“ (გიორგი V-ის ძეგლის დადება, შესავალი).

კანონმდებელი კრება სასამართლო წიგნს ადგენდა ხოლმე, ეს იყო მისი ბჭობისა და შრომის ნაყოფი და ნაშთი, ამის გამო ამისთანა კრების ნაღვაწსა და დადებულს „ძეგლი“ ეწოდებოდა ხოლმე. მაგ., ეფთვიძე მთა-

წმინდელი VI მსოფლიო კრების კანონების ქართული თარგმანის შესავალში ამბობს: წევრებმა „აღწერილი იგი მართლისა სარწმუნოებისა ძეგლი და საეკლესიო იგი კანონნი წინაშე ლთისმსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხეს“-ო (იხ. *ДБ*, т. 2, в. III, 1903, გვ. 78). ბერძნულთგან ქართულად ნათარგმნ თხზულებებში „ძეგლის წერაჲ“ ბერძნულ *ἐπιτομή* ექთეზისის უდრის (სჯულისკანონი, *XB*, IV, 117), რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედგენილი კანონებიც ხომ „ძეგლის წერა“-დ იწოდება თვით დედანში. გიორგი V ბრწყინვალის სამართლის წიგნსაც „ძეგლის დაღება“ ჰქვია და მეფის სიტყვივითგან ჩანს, რომ სამართალი შეიძლებოდა განიხილიყო „ძეგლითა, განაჩენითა და დაღებითა“ (ძეგლის დაღება, შესავალი). კანონმდებელი კრების განაჩენი, რომელიც კრების „ძეგლად“ უნდა ჩათვლილიყო, სამეფოს სამართლად მიეცემოდა, „დაეღებოდან“, ის „დაღებულნი“ იყო. გიორგი ბრწყინვალის მიერ მოწვეული კანონმდებელი კრების შედგენილ სასამართლო წიგნს ამიტომ ჰქვია „ძეგლის დაღება“. უძველეს ხანაში დაღების მაგიერ „დასხმა“ და „დაღებულნი“ მაგივრადაც „დასხმულნი“ იხმარებოდა, მაგ. ამბობდენ „კანონნი დასხმულნი“, რაც ბერძნულ *καὶ νόμος ἐξέχθη*, ან *παρετέθη* უდრიდა (სჯულის კანონი, *XB*, II, 371, 367).

როგორც ტერმინი „სამართალი“-ს განმარტებისათვის მოყვანილი მაგალითებივითგან ჩანს, საკანონმდებლო ძეგლს XIV—XVIII სს-ში „სამართლის წიგნი“-ც ეწოდებოდა და XVII—XVIII სს-ში უფრო ხშირად სწორედ ეს ტერმინი იხმარებოდა.

განცალკევებული საკანონმდებლო ძეგლის გარდა, რასაკვირველია, ამნაირი ძეგლების კრებულსაც არსებობდა ხოლმე როგორც საეკლესიო უწყებაში, ისევე სახელმწიფო სამოსამართლო დაწესებულებაში. ბერძნები კანონების ამგვარ კრებულს უწოდებდენ *Συναγωγή νόμων*. არსენი იყალთოელს ამის შესატყვის ტერმინად ნახმარი აქვს „შეკრებაჲ კანონთაჲ“ (სჯულის კანონი, *XB*, II, 360).

ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება აგრეთვე ტერმინები „კოდიკოჲ“ და „დიგესტნი“. ტფ. სახ. უნივ. № 9 ხელთნაწერში პირველი ამ ტერმინთაგანის მნიშვნელობის განსამარტავად ნათქვამია: „კოდიკოჲ არს სახელი პრომაული და ეწოდების გუჯარსა განვრცელებით მქონებელსა სამეფოთა რათამე პირთა და სჯულდებათასა“-ო (*XB*, II, 357). ეს სიტყვა ლათინურია და, როგორც „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“-ში განმარტებული მაქვს, „კოდექსი“-ი შეკვრას და წიგნსა ჰნიშნავდა (გვ. 31). ზემომოყვანილი ქართული განმარტების მიხედვით „კოდიკოჲ“ საკანონმდებლო ძეგლების ვრცლად, ანუ მრავლად მქონებელ კრებულს წარმოადგენდა და არსებითად ეს ახსნა სწორეა. ჩენი „კოდიკოჲ“ კოდექსის ნასესხებ ბერძნულ ფორმას წარმოადგენს და საფიქრებელია, რომ ზეპირად შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში ეს ტერმინი აღდგენილი უნდა იყოს კოდექსის აღსანიშნავად. „კოდიკოჲ“ სხვადასხვა საკანონმდებლო ძეგლების უბრალო შეკანიკურ გროვასა და შენაკრებს კი არ ეწოდებოდა, არამედ შინაარსის მხრით

შეთანხმებულ კანონების კრებულს, რომელშიც სხვადასხვა-დროინდელი ძეგლების ურთიერთშორისი შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა მოსპობილია და ამ გზით მთლიანობა დამყარებული იყო.

იმავე ხელთნაწერის განმარტებით „დიგესტნი კულა ეწოდების კრომაულად წიგნსა ყოველთა მეპირატესთა ბრძენთასა, ვითარ სოლონისა, სოკრატისა, პლატონისა, არისტოტელისა და ეგვიპტისა სამოქალაქოთა წესთა ზედა განვრცელებით თქმულთა წიგნთა შემოკლებით მქონებელსა წიგნსა მრავალნაწილ [ელ]სა“-ო (XB, II, 357). „დიგესტი“ ლათინური სიტყვაა. იუსტინიანე კეისარმა 530 წ. ქ. შ. შექმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც გამოჩენილი რომაელი იურისკონსულტების სამართლის შესახებ დებულებათა ამონაწერების შეთანხმებული კრებულის შედგენა დაავალა. ეს დავალება 529 წ. შესრულებულ იქმნა კიდევ: კომისიამ ამგვარი კრებული შეადგინა და მას სახელად ლათინურად *digesta* ეწოდა, ბერძნულად კი *παρακείμενα* „პანდეკტა“. ქართული განმარტებაც სწორედ ამიტომ ამბობს, რომ დიგესტნი რომაულად ერქვა წიგნს, რომელიც ყველა საუკეთესო ბრძენთაგან „სამოქალაქო წესთა ზედა“ ვრცლად თქმულ წიგნების დებულებათა „შემოკლებით მქონებელი“ იყო, ე. ი. სხვადასხვა ვრცელი ნაწარმოების მოკლე ამონაწერებს შეიცავდა. გამონათქვამი „სამოქალაქო წესნი“ აქ სამოქალაქო სამართალს კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ მოქალაქეობრივ, კულტურულ ცხოვრებას. ქართული განმარტებით დიგესტნი, ანუ პანდეკტები მრავალნაწილედ წიგნს წარმოადგენს.

სამართლის წიგნის „ნაწილი“ ქართულ იურიდიულ ნათარგმნ მწერლობაში ბერძნული ტერმინის *τίτλος* პო ტიტლოს-ისა და ლათინური *titulus* ტიტულუს-ის შესატყვისობას წარმოადგენს: დიდი სჯულისკანონის წინადადება *συνηγορη ἡγοραῖος ἐκκλησιαστικῶν ἐξ ἰδ' ἐκκλησιᾶς δι' ἡγουμένην* ქართულად მაგ. ნათარგმნია „შეკრებაჲ კანონთა საეკლესიოთაჲ განყოფილი ათოთხმეტ ნაწილად“ (XB, II, 360). ტიტულუსი, ან ტიტლოსი თავდაპირველად წარწერას, ზედწერილსა ჰნიშნავდა. ეს ჩვენ წინაპრებსაც სცოდნიათ. ტფ. სახ. უნივ. № 9 ხელთნაწერის განმარტებელს მაგ. შემდეგი ცნობა მოეპოვება „ჩვეულება რომთა იყო... შეტყუებულთა ფიცართა ზედა სჯულთა<sup>2</sup> პირთა სხუთა მათ თქმულთა და დაჰკიდებდენ ურაკპარაკთა ზედა (მოედნებზე) ქალაქისათა, რათა არავინ იყოს უმეცარ სჯულისა, ამ ჩუეულებისა მკურობელმან პილატე დაწერა ტიტლოსი ფიცარსა იესოსათვის სამწილად მათუწყებელი“-ო. ხოლო „ტიტლოსნი, რომელთა ჩუენი უწოდთ ნაწილებად პირთათჳს, ნივთნი არიან, ჰრომაულად ტიტლოსად წოდებულნი, ესე იგი არს პირთა რათმე მქონებელნი ფიცარნი, განა განსაგებელთა გინა საქებელთა ანუ საჯიობელთა“ (XB, II, 358).

განმარტება მთლად მკაფიო არ არის. *Titulus* ჰნიშნავდა წარწერას, სათაურს წიგნისას, ან თავისას, ფიცარზე იქმნებოდა იგი გამოყვანილი, თუ სხვა რაიმე ნივთიერებაზე. საკანონმდებლო ძეგლების კრებულში ტიტლოსი ან

<sup>2</sup> დაბეჭდილია „სასჯელთა“. მაგრამ შემდეგითგან ირკვევა, რომ სამართალზეა საუბარი და „სასჯელთა“ აქ შეედრება უნდა იყოს.

კრებულის ნაწილს აღნიშნავდა, რადგან თვითოეულ ნაწილს თავისი საკუთარი სათაური ჰქონდა. ეს ტერმინი ფრანგულ იურიდიულ მწერლობაშიაც არის შესული და იქაც le titre კოდის ნაწილს აღნიშნავს.

რაკი XIV ს-ზე უწინარესი ქართული საერო კანონმდებლობის ძეგლები დაკარგულია, ან ჯერ აღმოჩენილი არ არის, არა ვიცით რა დანამდვილებით, იხმარებოდა თუ არა ტიტლოსი, ან ნაწილი იმდროინდელ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში. ვახტანგ VI სამართლის წიგნში კი არც ერთი ამ ორ ტერმინთანაა არ გვხვდება, თუმცა თვით ძეგლი მართლაც ნაწილებად არის დაყოფილი. ამ სამართლის წიგნში ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინად ნახმარია სიტყვა „კარი“ და იქ სწერია მაგ.: „კარი თეთრის გარიგებისა“, „კარი გაყრისა და ერთმანერთის დაშორებისა“, „კარი ვალისა“ და სხვა.

როგორც აღნიშნული იყო უძველეს ხანაში სამართალი დამყარებული იყო ზნე-ჩვეულებათაზე. „ჩვეულებათა აღმნიშვნის ისეთს ქცევას ჰქვიან, რომელსაც იგი უნებლიეთ მისდევს, რომელსაც იგი ჩვეულებაა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს მაგალითად, რომ „ესრქთ იყო ჩვეულებათა მის უამისა წინამძღუართა მამათა, რამეთუ თვნიერ დედისა ფებროლასგან ზრავისა საქმე არაა ველყვიან“-ო (ცმ გვლ ხმ, ნხ). იგივე ავტორი ფიქრობს, რომ როცა აშოტ კურაპალატმა სხვა ქალი შეიყვარა, ეს ეშმაკის ბრალი იყო, იმიტომ რომ „პირველ არა აქუნდა ეგე ვითარი ჩუეულება“ (ibid, ნე). გიორგი მთაწმიდელიც მოგვითხრობს, რომ „ესე ვითარი ჩუეულებათა აქუნდა წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს, რამეთუ სამთა დღეთა შუდეულისათა—ორშაბათსა, ოთშაბათსა და პარასკევსა—სენაკსა თჳსსა მზის დასლვასა პური და წყალი აგმარის“-ო (ცმ იე და ეფსი, 39, იხ. აგრეთვე გვ. 32). მაგრამ „ჩვეულებათა მართოკერძო, თვითოეული აღმნიშვნის ქცევას კი არ ერქვა, არამედ აღმნიშნათა მთელი ჯგუფის, გვაროვნობის, წოდების, დასის, ან მთელი ერის ზნესა და ქცევასაც. მათიანე ქართლისა, მაგ., ამბობს, რომ ქართლის აზნაურობამ ბაგრატ III-ის დროს ისევე ზაკვას მიჰყვეს ხელი „ვითარცა არს ჩვეულებათა ქართლისა აზნაურთა“-ო (გვ. 238), ხოლო „ძეგლის წერის“ დამწერნი აღიარებენ, რომ „წარმომადგენლობითი“ გვირგვინის კურთხევისა და ქორწინების წესი საქართველოში „კაცობრივისა ქცევისა და ჩვეულებისა“ ნაყოფიანო (ქკები, II, 66). ამიტომაც არის, რომ ეფთჳმე მთაწმიდელი შეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნული დედნის ან კანონში სიტყვას ზმის „ეთოს“ ქართულად „ჩვეულებათა“-დ სთარგმნის (იხ. მუხ. კთ).

სიტყვა „წესი“ სხვებზე უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაში და არც გასაკვირველია. „წესი“ აღნიშნავს ისეთს ცნებას, რომელიც საზოგადოებრივს, სახელმწიფოსა და საეკლესიო ცხოვრებაში მუდმივ მოქმედობს. მნიშვნელობით სიტყვა „წესი“ არც სამართალს, არც შჯულს და არც კანონს არ უდრის და არ ეთანასწორება. პირიქით ძველ მწერლობაში „წესი“ და „შჯული“ თითქმის ყოველთვის გარკვეული, განსაკუთრებული მნიშვნელობით იხმარება და ერთიმეორის მაგიერ არ ზის ხოლმე. „წესი“ ყველზე უწინარესად ჩვეულებათა ერქვა. გიორგი მთაწმიდელი, მაგალითად, მოგვითხრობს „წესი იყო მამისა ჩუენისა (ეფთჳმესი), რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობენ“-ო (ცმ იე და ეფსი, 40),

ან კიდევ „წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ უკუეთუ დიდი რაჲმე საქმე არნ, გინა სამეფოჲ, გინა ბჭისაჲ, ეკლესიას დაიუბნის ძმანი“-ო (იქვე, 41). ამ ორსავე წინადადებაში ავტორი ეფთვმე მთაწმიდელის ჩვეულებებზე ლაპარაკობს და აქ სიტყვა „წესი“ გარკვეული რიგისა და წესიერების დამამყარებელ ჩვეულებას კნიშნავს, ისეთს ჩვეულებას, რომლის აღსრულებაც მონასტრის სხვა ბერებისათვისაც სავალდებულო იყო და გახდა, ამიტომაც არის, რომ მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნული დედნის § 4-ის სიტყვები „*ἵσθηται ἡ ἐκείνη ἡ ἀσκήσεια*“ „იუდაეკოს ეთეზინ ჰეპომენონ“ (ებრაულ ჩვეულებათა მიხედვით) თვით ეფთვმემ ქართულად გადასთარგმნა „ეს წესი ებრაული არს“ (მუხ. ლდ). ამიტომვეა, რომ დიდი რჯულისკანონის ქართული თარგმანის „წესი“ ბერძნული დედნის ἡ βίβλος: „ჰე დიატაქსის“-ს უდრის (იხ. XB, II, 366). ამნაირად „წესი“ გერმანულ Anordnung-ს ეთანასწორება.

ამნაირივე მნიშვნელობა აქვს „წესს“ გუარამ მამფლის სიტყვაში, რომლითაც მან გრიგოლ ხანძთელს მიჰპართა: „უკეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერისკაცი ვინმე... მიიწიოს იერუსალჴმად ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა და იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შეუენოდის და ჩუენ შორის არ იყოს“, — შეიძლება თუ არა ჩვენშიც თავისნებით შემოიღოსო (გრგლ ხნძთლს ცა, მწ). აქ გუარამს სარწმუნოების სიმბოლო, დოგმატები და კანონები-კი არა აქვს მხედველობაში, არამედ კეთილი ჩვეულება, წესრიგი. ქრისტიანობაც ხომ ორი უმთავრესი ნაწილისაგან შესდგებოდა: თვითოეულს კეთილმორწმუნეს ჰქონდა „ტურთი შჯულისაჲ და წესი ქრისტეანობისაჲ“ (გრგლ ხნძს ცა, მწ). ამისდაგვარად თვითოეულ მართლმადიდებელს უნდა სცოდნოდა „წესი და შჯული“ (იქვე, მთ): შჯული სარწმუნოების აღსარებას, სიმბოლოს და საეკლესიო სამართალს, კანონებს შეიცავდა, წესი კიდევ ცხოვრებისა და ქცევის რიგს, საქრისტიანო და საეკლესიო ჩვეულებას. ეფთვმემ მთაწმიდელიც მეექვსე კრების დადგენილების § 4 ბერძნული დედნის წინადადებას „*ἡ βίβλος ἡ ἀσκήσεια*“ ქართულად სთარგმნის „წესი კეთილ არს ყნისავე რი იწყებოდეს“ (§ ბ, 84). ამ გვარი გარკვეული ყოფა-ცხოვრებისა და ქცევის რიგი, აღწერილი იყო იგივე დაუწერელი, მაინც წესად იწოდებოდა.

რაკი მონაზონების ყოველდღიური ცხოვრება სამუდამოდ გარკვეულ რიგზე იყო დამყარებული, დილითგან დაწყებული მეორე დილაშდის მათი თვითოეული მოქმედების დრო და ხასიათი წინდაწინვე განსაზღვრული იყო: დილით ერთ დროს დგებოდენ, ერთ დროს ლოცულობდენ ეკლესიაში, ერთად, ერთსა და იმავე დროს იძინებდენ ხოლმე, ამიტომ ამ გარკვეულს სამონასტრო ცხოვრების რიგსაც „წესი“ ერქვა. უფრო ხშირად იგი დაწერილი ინახებოდა ხოლმე თითოეულ მონასტერში, მაგრამ შეიძლება დაუწერელიც ყოფილიყო და მხოლოდ ზეპირი გარდმოცემითა და ჩვეულებით სცოდნოდათ. გიორგი მთაწმიდელის შესახებ მაგალითად ნათქვამია, რომ მან ქართველ საზოგადოებასა და სამღვდლოებას „წესნი დაუსხნა წერით და უწერლად“ (ცა გი მთ წა, გვ. 328).

სამონასტრო ცხოვრებისათვის სახელმძღვანელო და სავალდებულო დე-

ბულებას ან დამფუძნებელი ადგენდა ხოლმე, ან თვით ძმობა ერთობლივ. მაგალითად ხანძთაში თვით გრიგოლ დამაარსებელმავე „განაწესა წესი თვისისა ეკლესიისა და მონასტრისა“ (ც<sup>ა</sup> გრ<sup>ა</sup> გლ<sup>ა</sup> ხნ<sup>ა</sup> ძმ<sup>ა</sup>; კ) დავით აღმაშენებელი კიდევ მოგვითხრობს, რომ შიო მღვიმის მონასტრისათვის ჩემის მოძღვრის რჩევით „წესისა ზედა სკმონ-წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვიმისა წესი“ (შმ<sup>ა</sup>ლ<sup>ა</sup> საბ., 16). ეს იყო მონასტრისათვის სავალდებულო წესდება, სადაც წევრების მიღების შესახებ, შინაურ და საეკლესიო („წესი ლოცვისა“, ც<sup>ა</sup> ო<sup>ა</sup> და ე<sup>ა</sup> ფი, 53) ყოფაქცევაზე, მონასტრისა და მისი ქონების გამგეობაზე („საკელარო მსა წესი“, იქვე, 49) ეწერა და თვითოეული წესდების მუხლის დარღვევისათვის გარკვეული სასჯელი იყო დაწესებული<sup>3</sup>. გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, რომ იოანე მთაწმიდელმა სიკვდილის წინ „უფლებამ მამას ეფთვემს მისცა, რათა, რომელიცა განგებამ და წესი ენებოს, იგიცა დაუდევას მონასტერსა და მას ზედა განკანონოს“ (ც<sup>ა</sup> ო<sup>ა</sup> და ე<sup>ა</sup> ფესი, 22). როცა გრიგოლ ხანძთელმა სამონასტრო წესდების წინააღმდეგ თავის მონასტერში ორი უწვერული ქაბუკი შემოიყვანა, ბერებმა იუცხოვეს და თავიანთ სულიერ მამას უსაყვედურეს: „წესისა შენგან დამტკიცებულსა“ შენვე არღვევ, შენი საქციელი სამონასტრო წესდებას ეწინააღმდეგება, „გარე შე წესისა არს საქმე ესც“—ო (ც<sup>ა</sup> გრ<sup>ა</sup> გლ<sup>ა</sup> ხნ<sup>ა</sup> ძმ<sup>ა</sup>, კხ).

ხოლო რაკი სამღვდლოება და მონაზონები საეკლესიო წესის მიმდევარნი და მსახურნი იყვნენ, ამიტომ სასულიერო პირს ზოგჯერ „მოწესე“-ს უძახდენ: „მოწესენი და ერისკაცნი“ (ძეგლის წერა, ქ<sup>ა</sup> ები, II, 68).

„წესი მარტო სამონასტრო-საეკლესიო წესდებას, დებულებასა და ჩვეულებას კი არ ერქვა, არამედ სამოქალაქოს და სახელმწიფოსაც. მაგალითად, იმ გარკვეულს ჩვეულებებსა და რიგსა, რომელსაც ქართველი მეფეების დარბაზობის დროს მისდევდენ და ასრულებდენ, ერქვა „წესი სახლისა საქელმწიფოსა“ (ისტორიანი და აზმანი, \*643, გვ. 426) და დარბაზობის წესი (ისტორიანი და აზმანი, \*669, გვ. 459). დარბაზობის დროს მხოლოდ განსაზღვრულს დიდებულ მოხელეთა ჯგუფს შეეძლო მეფის წინაშე მჯდარიყო, სხვები უნდა მდგარიყვნენ. ამას გარდა ამთ შორისაც, ვისაც ჯდომა შეეძლოთ, ზოგს სასთაულის უფლებაც ჰქონდა, ზოგნი კი უსასთაულოდ უნდა მსხდარიყვნენ. ამის შესახებ გარკვეული, მტკიცე დებულება არსებობდა, რომელსაც ერქვა „წესი ჯდომისა და დგომისა“ (ისტორიანი და აზმანი, \*677, გვ. 470). იმ ჩვეულებებს, რომლითაც სტუმარი და მასპინძელი ერთიერთმანეთს დარბაზობის დროს მიესალმებოდნენ ხოლმე, „მოკითხვის წესი“ ერქვა (ისტორიანი და აზმანი, \*643 და 677, გვ. 459 და 470). დასასრულ, იმ ჩვეულებებს, რომელთაც მიცვალებული მეფის დატირებისა და გლოვის დროს მისდევდენ და ასრულებდენ, „გლოვის წესი“ ეწოდებოდა (იქვე, \*618—619, გვ. 393). ზოგი წესი ჩვეულებაზე იყო დამყარებული, ზოგი კიდევ „მეფეთა განწესებული“ იყო. თავის დალოცვაში გრიგოლ ხანძთელმა აღნიშნა ბაგრატ კურაპალატის ღვაწლი და სთქვა „გლახაკთა ნაწილი (საქველ-

<sup>3</sup> იხ. ხანძთის მონასტრისა (ც<sup>ა</sup> გრ<sup>ა</sup> გლ<sup>ა</sup> ხნ<sup>ა</sup> ძმ<sup>ა</sup>, გვ. კ—კბ), ათონისა (ც<sup>ა</sup> ო<sup>ა</sup> და ე<sup>ა</sup> ფსი, 35-53) და ვაჰანის მონასტრის ტიპიკონეზი (ზ<sup>ა</sup> მ<sup>ა</sup> ლ<sup>ა</sup> ს<sup>ა</sup> მ<sup>ა</sup> ზ<sup>ა</sup>, 30—43).

მოქმედლო) თქვენ მიერ განწესებულ არს“-ო (ცაგრგლ ხნძა, ლბ). ერთი სიტყვით „წესი“ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დაწესებულების მართვა-გამგეობის მომავარებელ ჩვეულებას, რიგსა და დებულებას ერქვა და არა სასამართლო კანონს.

სიტყვა „განგება“ს თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „წესი“. მაგ., გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში საბაწიღური სამონასტრო წესი იწოდება „საბაწმიდისა განგება“დ (იხ. გვ. კ). როცა ამ ცხოვრების ავტორი ხანძთის სამონასტრო წესის აღწერას იწყებს, აღნიშნული აქვს, „განგებაჲ ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა მას, არამედ თითო სიტყუად ყოვლისაგან“ (იქვე, კ), შემოკლებული შინაარსი წესდებისაო. გიორგი მთაწმიდელის თხზულებითგანაც ჩანს, რომ სამონასტრო წესი, ანუ ტიპიკონი „განგება“-დაც იწოდებოდა. იგი რომაულ ეკლესიაში განთქმულ ბენედიქტეს სამონასტრო წესდებას „განგება“-ს უძახის და მოგვითხრობს, რომ ქართველების მეგობარი რომაელი ბერები ათონის მთაზე „ცხოვრდებიან კანონსა და განგებასა ზელა წმიდისა ბენედიქტესისა“-ო (ცაიქე და ეფსი, 31).

მართო სამონასტრო ტიპიკონი-კი არა, საეპისკოპოსოს წესსა და რიგს, სარგოსი და შემოსავლის განჩინებასაც „განგება“-ს ეძახდენ. ისტორიკოსი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ როცა ლეონ აფხაზთა მეფემ მოქვის ეკლესია ააშენა და საეპისკოპოზო საყდრად გახადა, „განასრულა ყოვლითა განგებითა“-ო (მატიანე ქა, \*457, გვ. 233).

„განგება“ საზოგადოდ გამართვას, მოწყობასა კნიშნავდა: როცა მაგალითად გიორგი მთაწმიდელი გვამცნებს, რამდენად მძიმე იყო ათონელი ქართველი ბერებისათვის ვენახში მუშაობა, აღნიშნავს, რომ ახალნერგი ვენახი ჰქონდათ და ვაზებს „ყოველთა სართა განგებაჲ უნდა“-ო (ცაიქე და ეფსი, 47), სარის შედგმა სჭირდებოდაო. საზოგადოდ, საეკლესიო, ან სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებასა და განმართვასაც „განგება“ ეწოდებოდა. მაგ., როცა გუარამ მამფალმა დაინახა, რომ ქართველ სამღვდლოებს ეწყინა და იუკადრისა მისი ჩარევა კათალიკოზის არჩევანის საქმეში, ფიცხლავ უკან დაიხია და დაუთმო „თქუენგან ჯერ არს განსაგებელი განგებად“-ო (ცაგრგლ ხძა, მზ). გიორგი მთაწმიდელიც მოგვითხრობს, რომ იოანე ათონელმა სამონასტრო საქმეების მართვა თავის შვილს ეფთუმეს უანდერძა: „შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს“-ო (ცაიქე და ეფსი, 22), ხოლო მამის სიცოცხლის დროსაც ეფთუმე „განაგებდა საქმეთა მონასტრისათა, ვითარცა იკონომოსი“ (იქვე, 21). სახელმწიფო მართვა-გამგეობასაც „განგება“ ერქვა. მემატინე მოგვითხრობს, მაგ., რომ გიორგი აფხაზთა მეფემ „განაგანა და განაწყუნა ყოველნი საქმენი კეთილნი მამულსა და სამეფოსა თვისსა“ (მტენე ქა \*452, გვ. 229), ხოლო როცა ბაგრატ III ქართლისა და აფხაზთა მეფედაც დასვეს, იმავე მემატინეს სიტყვით იგი „გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგანეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი“. მაგრამ ქართლის აზნაურებს მისი მოსვლა არაფრად მოეწონათ, „რამე-

თუ თუთეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“ (იქვე, \*664, გვ. 239). ანისდა მიხედვით ყველა სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეს „განსაგებელი“ ეწოდებოდა. გიორგი მთაწმიდელი წერს, რომ როცა ბასილი და კონსტანტინე მცირეწლოვანები იყვნენ, „ყოველი განსაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა“-ო (ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> და ეფ<sup>ს</sup>ი, 10).

ამგვარად თუ მც<sup>ა</sup> მნიშვნელობით „განგება“ „წესს“ მიაგავს, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „წესი“ განსაკუთრებით საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დაწესებულების მართვა-გამგეობის დებულებასა და რიგს ერქვა, „განგება“ კი ამას გარდა თვით მართვისა და მოწესრიგების მოქმედებასაც აღნიშნავდა.

კანონებისა და წესის შემოღებას ბევრი სხვადასხვანაირი სახელი აქვს ქართულად, მაგალითად: „დასხმა კანონთა“ (ძეგლისწერა, ქ<sup>ე</sup>ბი, II, 59) „განწესება“ (იქვე, 59, 65, ც<sup>ა</sup> გ<sup>ლ</sup> ხ<sup>ძ</sup>, მთ, ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> და ე<sup>ფ</sup>სი, 22), რომელიც მეექვსე მსოფლიო კრების ეფთუმეს თარგმანში ბერძნული დედნის „ბრი<sup>ა</sup>“ და „მ<sup>ე</sup>ჟო<sup>ჲ</sup>სა“ „პორიძო“, „დიავორეუო“-ს უდრის (შეადარე მუხ. ც<sup>ა</sup> = ც<sup>ა</sup>. მ<sup>ა</sup> = მ<sup>ჲ</sup>; კ<sup>ზ</sup> = ა<sup>ს</sup>'), „განსაზღვრა“ (ძეგლისწერა, ქ<sup>ე</sup>ბი, II, 64) და „განჩინება“ (იქვე, 64, 59).



## ქ ა რ ი მ ე ო რ ა

### ქართული სამართლის წყაროები

როგორც აღნიშნული გვექონდა, საქართველოს სოციალური ისტორიის შესასწავლად კანონმდებლობის ყოველგვარი ძეგლები უნდა იქმნეს გამოყენებული. რადგან ქართული საეკლესიო სამართლის როგორც შეცულობა, ისევე მისი მოქმედების ასპარეზი მარტო წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრებოდა, არამედ გაცილებით უფრო ფართო დანიშნულება და საზიელი ჰქონდა, რაკი ეკლესიას საქართველოში თავისი დროშა და საკუთარი ჯარი ჰყავდა, თავისი ყმები და სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა მოეპოვებოდა, თავისი ეკონომიური პოლიტიკა ჰქონდა და თავისივე სასამართლო, ამიტომ ქართულ ეკლესიას ბევრის მხრით სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობა. ამის გამო შეუწყნარებელი შეცდომა იქმნებოდა, თუ ჩვენ ქართული საეკლესიო სამართლის შესასწავლად მარტო მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების ძეგლისწერით დაგვამყოფილებით. ასე რომ მოვიქცეთ, მაშინ არც ერთ ზემოჩამოთვლილ საყურადღებო საკითხთაგანისათვის საჭირო ცნობები არ გვექმნებოდა, რადგან, ვითარცა პატრონყმობის ნიადაგზე აღმოცენებულთ, ამ დაწესებულებებს მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობასთან ძალიან მცირე კავშირი ჰქონდათ, ზოგჯერ კი სრულებით არავითარი დამოკიდებულებაც კი არ იყო მათ შორის. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული საეკლესიო სამართალი საეკლესიო სამართლად მარტო იმ მნიშვნელობით-კი არ უნდა იწოდებოდეს, რომ მისი შინაარსი მხოლოდ ეკლესიას, ვითარცა საჩემუნოებრივს დაწესებულებას, ეხებოდა, არამედ იმ მნიშვნელობითაც რომ იგი ეკლესიის როგორც სახელმწიფოებრივი სხეულის ყოფა-ცხოვრების წარმონაშობი იყო. მაშასადამე, ქართული საეკლესიო სამართალი მარტო შინაარსით კი არ იყო საეკლესიო, არამედ წარმომდინარებით. ამ მხრივ ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის „Corpus juris canonici“-ს მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წესწყობილებით ბევრი თვისებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს.

ქართულს საეკლესიო სამართალი ჩვენ ამჟამად გვიანტერესებს თავისი წმინდა საეკლესიო-თვისებით კი არა, არა ვითარცა საეკლესიო სამართალი jus canonicum, არამედ როგორც საეკლესიო წესწყობილების მომწესრიგებელი ერთის მხრით და მეორეს მხრით ვითარცა სახელმწიფოებრივი სხეულისა და ეკლესიის და დაწესებულებათა პატრონი, ამასთანავე რამდენადაც საეკლესიო

სამართლის მოძღვრებას სისხლისა და სამოქალაქო სამართალზე გავლენა ჰქონდათ. წმინდა საეკლესიო სამართალი, მისი საიდუმლოებათა და შეცოდებულთა შესახები კანონმდებლობა ჩვენი კვლევის სფეროს გარეშე დარჩება.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### საეკლესიო სამართლის ძეგლები

#### § 1. მსოფლიო კრებების კანონმდებლობა

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა მეტადრე ადგილობრივ, ქართულ საეკლესიო სჯულდებულებას აქვს, მაგრამ მსოფლიო ეკლესიის კრებების დადგენილებანი და ბერძნული სჯულისკანონიც ძვირფასია მკვლევარისათვის ჯერ ერთი იმიტომ, რომ კანონმდებლობის ეს ძეგლებიც მოქმედ სამართლად იყვნენ საქართველოში, მაშასადამე, მათი ქართული თარგმანის ცოდნა ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართათვის აუცილებლად არის საჭირო. მეორეც იმიტომ, რომ ამ თარგმანში მეცნიერი უხვ მასალას იპოვის ქლი იურიდიული ტერმინოლოგიის შესასწავლად. სჯულის კანონის წიგნები საბერძნეთში იყო შედგენილი. ამგვარი მოღვაწეობით მეტადრე კონსტანტინეპოლის საპატრიარქო იყო განთქმული. უკვე ძველი დროითგან ცნობილია და უალრესი პატივისცემა დამსახურებული ჰქონდა ერთ კრებულს, რომელიც 14 თავად ანუ ტიტლოსად იყოფებოდა და თავისი მრავალი უპირატესობის გამო „დიდ სჯულის-კანონად“ იწოდებოდა. მის უმთავრეს ღირსებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი შინაარსისა და მიხედვით სისტემურად და ქრონოლოგიურადაც არის დალაგებული. ამასთანავე იქ სამოქალაქო კანონმდებლობითგანაც მეტია შეტანილი და სხვადასხვა ძვირფასი ძეგლებითგან ნაკვეთებიც არის ამოღებული.

ეს „დიდი სჯულის-კანონი“ უცნობი კერძო პირის მიერ შედგენილი პირველად VI საუკ. ჩნდება და იმთავითვე სხვა კრებულებს სჯობნის ისე, რომ თანდათან თითქმის განსაკუთრებით მხოლოდ იმასლა ხმარობენ, მეტადრე VII საუკუნეიდან მოყოლებული კონსტანტინეპოლის სამწყსოს ეკლესიებში (B. H. Бенешевич. Грузинский Великий номоканон. ХВ, № IV, 349—350). თუ ამ კრებულის დიდ მნიშვნელობას გავისხენებთ ცხოვრებისათვის და მეტადრე საეკლესიო მართლმსაჯულებისათვის, შეიძლება დავასკვნათ, რომ „დიდი სჯულის-კანონი“ ალბათ IX—X სს-ში ქართულადაც უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, მეტადრე მას შემდგომ, რაც სამცხისა და უფრო კი ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში სამწერლობო მოღვაწეობა გაჩაღდა და ბიზანტიის განათლების უმთავრეს საეანეებთან მჭიდრო სულიერი კავშირი შეიქმნა.

მაგრამ უცნაურია, რომ ამ ხანაში „დიდი სჯულის კანონი“-ს ქართული თარგმანის არც არსებობის შესახებ მოგვეპოვება ცნობები და ამ დროიდან არც თვით ამგვარი ძეგლებია შერჩენილი. ისეთი ცნობა, რომელიც უნებლიეთ „დიდი სჯულის კანონი“-ს თარგმანის ქართულად არსებობას გვაფიქრებინებს, პირველად ე ფ თ ვ მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს შრომაში გვხვდება, რომელიც VI

მსოფლიო კრების კანონების თავის თარგმანს „მ ც ი რ ე ს ა... სჯულის-კანონსა“ უწოდებს (ვ. ბენეშევიჩი, იქვე, 350). მისი სიტყვებითგან შეიძლება დავასკვნათ, რომ „დიდი სჯულის კანონი“-ც არსებობდა<sup>1</sup>. ამ აზრს არ ეთანხმება კორნელი კეკელიძე, რომელსაც შესწავლილი აქვს ამ ძეგლის შემცველი ქართული ხელნაწერები. ერთს მათგანში, გელათის მონასტრის XII-XIII სს. ხელნაწერში შენახულია ანდერძი, რომელიც ამ საკამათო საკითხს ეხება და ამუშქებს. მისი გადამწერი გრიგოლ ჩახრუხანასძე თავის თავზე ამბობს: „დიდის გულმოდგინებითა გარდავწერე თვისთა ჯელითა ქრისტეანეთა წინამძღუარი დიდი ესე სჯულის კანონი საუკუნოდ მოკსენებულისა და ჩუენ ქართულთათჳს ფრიად ჭირთათჳს მდებელი საჩხეინი იყალთოელისა თარგმნილი: საუკუნო ყოს ღთნ კსენებამ მისი“-ო (იქვე, იხ. ვ. ბენეშევიჩის ზემოაღნიშნული გამოკვლევა, სადაც მოყვანილია კორ. კეკელიძის მიერ მისაღმი მიწოდებული ყველა ცნობა და თვით მისი პირადი მოსაზრებაც ქართული დიდი სჯულის კანონის თარგმანის შესახებ XB, წ. V. 1917 წ. გვ. 120—121). რაკი რუის-ურბნისის 1103 წ.საეკლესიო კრების ძეგლისწერას ქართული დიდი სჯულის კანონის არსებობა ნათლად ეტყობა, ამიტომ კორ. კეკელიძემ სამართლიანად დაასკვნა, რომ არსენ იყალთოელს ზემოაღნიშნული დიდი შრომა უთარგმნია XI საუკ. დასასრულს, უკანასკნელ ოცეულში (იქვე, გვ. 125). მაგრამ ქართ. საეკლესიო ისტორიისა და მწერლობის მკვლევარი მარტო ამ დასკვნით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ამტკიცებს, რომ პირველად არსენ იყალთოელმა თარგმნა ქართულად დიდი სჯულის კანონი და მანამდის ამ ძეგლის ქართული თარგმანი არ არსებობდაო (იქვე, 125). ამ დასკვნას ვ. ბენეშევიჩი არ ეთანხმება, მაგრამ თვითვე გრძნობს, რომ კორ. კეკელიძის საბუთიანობის საწინააღმდეგოდ პატივისცემბი მოსაზრება ვერ წამოუყენებია (იქვე, 126).

პროფ. კ. კეკელიძე ეხლაც, თავის 1923 წ. გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში ამტკიცებს, რომ „მეთათე საუკუნის გასვლამდე ქართულ ენაზე არ შენახულა არამცთუ რაიმე კანონიკური კრებული, არამედ ცოტად თუ ბევრად ექვმიუტანელი და კატეგორიული ცნობა ასეთი კრებულის არსებობის შესახებ“ (გვ. 607). შემდეგ მას გარჩეული აქვს ის ცნობები, რომელთა მიხედვით მსოფლიო ეკლესიის კანონების ქართული ძეგლის თარგმანის არსებობის გულისხმობა შესაძლებელია და ამტკიცებს, რომ კირიონ ქართლისა კათალიკოზის აბრაამ სომეხთა კათალიკოზისადმი მიმართულ წერილში მოხსენებული ოთხი მსოფლიო კრების წიგნი ბუნდოვანი გამონათქვამია, და კ. კეკელიძის აზრით „აქ იგულისხმება წიგნი, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ოთხთა კრებათა დადგენილებანი, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ დოღმატიკური ხასიათისა, ეგრედწოდებული სარწმუნოებრივ-ალსარებიითი ფორმულები, ან სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელიც სწორედ ოთხ კრებაზე ჩამოყალიბდა საბოლოოდ და რომელიც აღნიშნულ მომენტში შეადგენდა საცილობელ საგანს ქართველთა და სომეხთა შორის. ასეთი ფორმულები კი, რასაკვირველია, იმთავითვე იქნებოდა ქართულად ნათარგმნი, მაგრამ ეს უფრო დოღმატიკური მწერლობის ძეგ-

<sup>1</sup> შეად. კორ. კეკელიძის აზრს (იქვე, 1917, წ. V, 125-126).

ლია, ვიდრე კანონიკურისა“-ო (იქვე, 607—608). შემდეგ მისივე აზრით ეფთჳმე მთაწმიდელი VI მსოფლიო კრების დადგენილებებსა და იოანე სქოლასტიკოსის პენიტენციალურ კრებულს არ გადმოსთარგმნიდა, რომ „ან ესენი, ან, მით უმეტეს, თოთხმეტტიტლოვანი კრებული ქართულად მის დრომდე ნათარგმნი ყოფილიყო“-ო (იქვე, 608).

ამ თავის წიგნშიაც კ. კეკელიძე არღვევს ვლ. ბენეშევიჩის აზრს, რომ X ს-ში პატრიარქ ფოტიოსის დიდი თოთხმეტტიტლოვანი სჯულისკანონის ქართული თარგმანი არსებობდა, და მისი საბუთების საპასუხოდ ამტკიცებს, რომ სინას მთის ქართული წიგნთსაცავის კატალოგის ნაწყვეტში მოხსენებული „ერთი დიდი კანონი“ ნამდვილად სჯულისკანონს კი არ ჰქონდა, არამედ იგულისხმება „ლიტურჯიკული კანონი“, რომელიც ცნობილია „იერუსალიმის განჩინებისა და განწესების სახელით“-აო. ხოლო, თუ ეფთჳმე მთაწმიდელმა თავის თარგმნილს VI მსოფლიო კრების ძეგლისწერას „მცირე სჯულისკანონი“ უწოდა, ესეც დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანის არსებობის დამამტკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება, იმიტომ რომ „მეექვსე მსოფლიო კრების სჯულისკანონი ნაწილია დიდი სჯულისკანონისა, მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ იმ წიგნს, რომელიც შეიცავს მხოლოდ ნაწილს მთელისას, მან მცირე უწოდა; თუმცა ისიც შეიძლება, რომ ფრაზა მცირესა სჯულისკანონისა ექვთიმეს ჩვეულებისამებრ ეხმაროს ამ შემთხვევაშიაც სიმდაბლით, იმ აზრით, რა აზრითაც იტყვიან ხოლმე: „ეს ჩემი მცირე ნაშრომიო“. დასასრულ არც ბენეშევიჩის მიერ მოყვანილი მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. სიგლის ცნობა „სჯულისკანონი ახალი ერთი“ მიაჩნია კ. კეკელიძეს დამაჯერებელ საბუთად რადგან „სიტყვა ახალი კიდევ არ ნიშნავს რომელიმე ახალს რედაქციას ან კრებულს; მელქისედეკს შეეძლო ასე ეწოდებინა თუგინდ ექვთიმეს მიერ ნათარგმნი კრებულისათვის, რომელიც მან ახლად გადაწერია“-ო (იქვე, 608—609).

პროფ. კ. კეკელიძის საბოლოო დასკვნა ამგვარია: „ასე და ამნაირად, პირველს ორ პერიოდში ჩვენში სჯულისკანონი ჯერ კიდევ არ ყოფილა ნათარგმნი“ და „მხოლოდ მეთორმეტე საუკუნის პირველს მეოთხედში, რუისურბნისის კრების შემდეგ, ქართულად ითარგმნა პატრიარქ ფოტის თოთხმეტტიტლოვანი „დიდი სჯულისკანონი“; მთარგმნელი მისი არის, როგორც მტკიცედაა დამოწმებული თვით ნუსხებით, არსენ იყალთოელი“-ო. (იქვე, 609—610).

კორ. კეკელიძის ღვაწლია, რომ გამოარკვია, რომ არსენ იყალთოელს დიდი სჯულისკანონი ქართულად უთარგმნია. მაგრამ იგი უქვევლია შემცდარია, როდესაც ამტკიცებს, ვითომც ეს თარგმანი საზოგადოდ ამ შესანიშნავი ძეგლის პირველი ქართული თარგმანი იყოს, ჯერ ერთი ეს თვით გრიგოლ ჩახრუხაძის ანდერძში ნათქვამი არ არის. მეორეც—მარტო ის გარემოება, რომ არსენ იყალთოელს ეს ძეგლი XI ს. დამღვეს და XII ს. დამღვეს უთარგმნია, თავისდათავად მისი თარგმანის პირველობას არ ამტკიცებს. ჩვენ ვიცით, რომ სახარება ქართულად, სულ ცოტა რომ ვიანგარიშით, ოთხჯერ მაინც სხვადასხვა დროს იყო ნათარგმნი (იხ. ქლი ერის ისტორია, II, 485—487). ქართული მწერლობის ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის, როდესაც ძველი ქართული თარგმანი შემდეგ თაობათა მოღვაწეებს დაუწუნებიათ და ძეგლის ხელახალი თარგმანი საჭიროდ უცვნიათ.

ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე ისეთი დახელოვნებული და გამოჩენილი მეცნიერი მთარგმნელის შრომასაც-კი, როგორც გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს სამოციქულოს თარგმანია, წუნსა სდებდა (იხ. ნ. მარის Предварит. отчет о работах на Синае... и в Иерусалиме в 1902 г. Сообщ. прав. Палест. общ., т. XIV, ч. II, 28—30). ჩვენ ვიცი, რომ ისეთი უწყინარი რავეც კი, როგორც საგალობლებია, ქართულად ერთიდაიგივე ნაწარმოები სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამოჩენილი მწერლის მიერ იყო ნათარგმნი. მაგ., ან დ რ ი ა კ რ ი ტ ე ლ ი ს საგალობელნი ჯერ ე ფ თ ვ ე მ თარგმნა, მერმე გ ი ო რ გ ი მ, მაგრამ არც ერთი და არც მეორე შრომა მერმინდელ ქართველობას ალარ აკმაყოფილებდა და ამის გამო დავით აღმაშენებელმა მისი ხელახლად, მესამედ გადათარგმნა არსენ იყალთოელს მიანდო (იქვე, 42). ამიტომ კ. კეკელიძეს მოსაზრება, რომ ე ფ თ ვ ე მ „მცირე შჯულისკანონს“ არ გაღმოსთარგმნიდა, დიდი შჯულისკანონის თარგმანი რომ ყოფილიყო, საფუძვლიანი და დამაჯერებელი არ არის.

საფიქრებელია, რომ დიდი სჯულის კანონის თარგმანსაც ამგვარივე თავგადასავალი უნდა ჰქონოდა. როგორც კარგად განსწავლულს მეცნიერსა და ფილოსოფოსს, არსენ იყალთოელს, იოანე პეტრიწსა და ეფრემ მცირესავით, წინანდელი ქართული თარგმანები არ აკმაყოფილებდა და ამიტომ შეუდგა დიდი სჯულის კანონის ხელახლად თარგმნას. იქნებ ეს საქმე მას დაეალებულიც კი ჰქონდა, როგორც დავით აღმაშენებლის დავალებით გადაუთარგმნია მას მესამედ ან დ რ ი ა კ რ ი ტ ე ლ ი ს საგალობლები. მაგრამ ამ მკაცრ მეცნიერთა მთარგმნელობითს მოღვაწეობას ყველა არ შეჰხაროდა, არამედ მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. ამას ცხადყოფს ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე ს (იქვე, 29—30) და ი ე პ ე ტ რ ი წ ი ს ჩივილიც (იხ. ნ. მარის Иоанн Петр. ЗВОРАОБ, XIX, გვ. 44—45), და მათ ნაშრომს ბევრ ქართულ მონასტერში არც კი ჰქონდა გასავალი. გრ.ჩახრუხაძის სიტყვებიც მგონია ამტკიცებენ, რომ არსენ იყალთოელის ნათარგმნს დიდს სჯულისკანონსაც, ალბათ ამავე მიზეზის გამო, პირველ ხანებში გასავალი არა ჰქონია. მას ჰშინებია, რომ მის მიერ გადაწერილი არსენ იყალთოელის თარგმანი შეიძლება ჯვარის მონასტერში არ მიეღოთ. აი რასა სწერს იგი: „უკუეთუ ღირს მყოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატროსნისა ჯუარისასა შინა შეიწყნარონ, არა დაეკლდები ხილვასა ამისსა, და თუ არა, ვიდრე ცოცხალ ვიყო... მე მქონდეს და შემდგომად ჩემსა, სადაც ღმერთმან ინებოს“-ო (გ. ბენეშევიჩი, Груз. Вел. номоканон: XV, V, 1917, გვ. 121).

არსენ იყალთოელის შრომა რომ დიდი სჯულის კანონის პირველი ქართული თარგმანი ყოფილიყო, დაუჭებელია, რომ გრ. ჩახრუხაძეს შიში ჰქონოდა, ვაძათუ ჩემი გარდანაწერი არ მიიღონო. პირიქით ის დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მის საჩუქარს ორთავე ხელით მოეჭიდებოდენ. სამაგიეროდ ამგვარი ეჭვი ბუნებრივად გვეჩვენება, თუ წარმოვიდგენთ, რომ არსენის შრომა ხელახალი თარგმანი იყო და ამაზე წინათაც ამ ძეგლის ქართული თარგმანი არსებობდა.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ არსენ იყალთოელის ნათარგმნი დიდი სჯულის კანონი პირველი ქართული თარგმანი არ

უნდა ყოფილიყო, არამედ, უკანასკნელი თუ არა, მეორე მაინც. საეკლესიო კანონების კრებულის ქართული თარგმანი რომ არსენ იყალთოელზე უწინარეს და კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო, ამას ცოტა არ იყოს გიორგი მეჩულის საისტორიო თხზულებაში შენახული ერთი ცნობაც გვაფიქრებინებს. მისი სიტყვით გვირამ მამფალს რომ საეკლესიო საქმეებში ჩარევა მოუნდომია და მისგან მოწვეულს საეკლესიო კრებაზე სიტყვა წარმოუთქვამს მძლავრობით მოხდენილი არჩევნების გასაბათილებლად, სხვათა შორის ხაზგასმით შეუნიშნავს: „წმიდანო მამანო ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, იცით ყოველთა კანონი შჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა“ (ცა გვლ ხნძორლს, გვ. მვ, 64—66). ამის საპასუხოდ გრიგოლ ხანძთელს აგრეთვე საბუთები საეკლესიო მსოფლიო კანონმდებლობითგან ამოულია და მკაცრად უპასუხია: „# ჰელმწიფეო... ესმ უწყოდე, რამეთუ... წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღვდელთ მოძღუართაგან განსაზღვრებულსა კანონსა შინა არავებრძანებულ არს ერისკაცისაჲ ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღუართა მამათა განსაგებელისა სჯულის მოძღუროებასა იკადრება“-ო (იქვე, გვ. მზ, 90—91, 96—100). ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ ორივე მოპირდაპირე მხარეს, როგორც ერისკაცს და მთავარს გვირამ მამფალს, ისევე რასაკვირველია საეკლესიო წრეების წარმომადგენელს გრიგოლ ხანძთელს შჯულის კანონის ცოდნაზე აქვთ დამყარებული თავიანთი მსჯელობა და საბუთიანობა; გრიგოლ ხანძთელს დასახელებული აქვს კიდევ შჯულის კანონის სახელდობრ რომელ ნაწილზე ამყარებდა თავის საპასუხო სიტყვას — მოციქულთა და მღვდელთმოძღუართაგან განსაზღვრებულს კანონებზე. თუ გრიგოლ ხანძთელი ამ კანონების დამსწრე მსმენელთაგან ცოდნას გულისხმობდა, მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებიც ნათარგმნი არ ყოფილიყო. უეჭველია მღვდელთმოძღვართაგან განსაზღვრულ კანონთა შორის ხანძთის არქიმანდრიტს და მის ისტორიკოსს მსოფლიო კრებების კანონებიც ჰქონდა ნაგულისხმევი. თუნდაც მელქისედეკ კათალიკოზის 1020 წ. სიგელში მოხსენებულით „სჯულის კანონი ახალია:“ (ქკბი, II, 32) მართლაც ეფთვმემთაწმიდელის მიერ ნათარგმნი მეექვსე მსოფლიო კრების სჯულისკანონი იგულისხმებოდეს, როგორც კორნ. კეკელიძე ფიქრობს (XB, V, 125), მაინც ეს გარემოება, რომ მელქისედეკი ამ ძეგლს ახალს უწოდებს, ძველის არსებობასაც გვაფიქრებინებს იმგვარადვე, როგორც გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი სახარებისათვის მაშინ ქართულ მწერლობაში მიღებული ტერმინი „საჩარება ახალი“ (იხ. ქკბი, II, 90, XII ს. სახარების ანდერძი და სხვაგან ბევრგან) ძველი სახარების არაერთისა და ორი წინანდელი თარგმანის არსებობას ჰგულისხმობდა. პროფ. კ. კეკელიძის აზრი, ვითომც მელქისედეკ კათალიკოზისაგან 1020 წ. სიგელში ნახმარი გამონათქვამი „სჯულის კანონი ახალია:“ (ქკბი, II, 32) შეიძლება იმ მნიშვნელობით იყოს ნახმარი, რომ ეს წიგნი მელქისედეკ კათალიკოზმა ახლად გადააწერინა, მცდარია, რადგან მელქისედეკ კათალიკოზს საზოგადოდ აღნიშნული აქვს, რომ სვეტიცხოველი მან სრულად შეამკო სხვათა შორის „საღვთოთა წიგნებისა დაწერითა“ (ქკბი, II, 31), ე. ი. ყველა მისგან შეწერილი წიგნები ახალგადაწერილები ყოფი-

ლა და თუ აქ მხოლოდ სჯულისკანონის შესახებ ხაზგასმით არის ნათქვამი „ახალი“-ო, ცხადია ამ შემთხვევაში მისი სიახლე გადაწერილობას არ უნდა ჰგულისხმობდეს. ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო სწორე იქნებოდა გვეფიქრა, რომ შჯულისკანონის ქართული თარგმანი არამც თუ XII ს-ში, არამედ უკვე IX ს-აც უნდა ყოფილიყო. თუ მეღქმისედეკ კათალიკოზის სიტყვები ეფთემეს VI მსოფლიო კრების კანონების თარგმანს არ გულისხმობდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ XI ს-ის დამდეგს კვლავ უნდა ეთარგმნათ სჯულისკანონი, რომელიც ახლად იწოდებოდა. ამ გარემოებას ისიც გვაფიქრებინებს, რომ რუის-ურბნისის 1103 წ. კრებას არსენ იყალთოელის ნათარგმნი სჯულისკანონისაგან სრულებით განსხვავებული რედაქცია ჰქონია (იხ. ქვევით). ხოლო სულ ბოლოს XI ს-ის დასასრულს და XII ს. დამდეგს დიდი სჯულის კანონი არსენ იყალთოელსაც უთარგმნია, რომლის თარგმანი, როგორც ეტყობა, ყველგან არ ყოფილა მიღებული.

ბუნებრივად იბადება აზრი, რომ გრიგოლ ხანძთელის ცნობრებაში გ. მერჩულეს მიერ მოთხრობილი ამბავი გვარამ მამფალისაგან მოწვეულ საეკლესიო კრებაზე მოპირდაპირეთა საბუთიანობის საეკლესიო კრებათა და მოციქულთა კანონებზე დამყარების შესახებ სჯულისკანონის საფუძვლიან ცოდნას ჰგულისხმობს და IX ს-ში ამ ძეგლის ქართული თარგმანი ზემოდანაზელებული კრების მოკამათით უექველია შესწავლილი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ გამოსარკვევია, როდის უნდა ყოფილიყო საეკლესიო კანონები, ანუ მსოფლიო კრებათა საკანონმდებლო ძეგლები პირველად ქართულად გადმოთარგმნილი? ამ საკითხის გასაშუქებლად კირიონ კათალიკოზის ეპისტოლეში საყურადღებო ცნობა მოიპოვება. მას პროფ. კ. კეკელიძემ ისეთი მნიშვნელობა არ მიაკუთვნა და იმოდენი ყურადღებით არ მოეპყრო, როგორისაც ის ღირსია.

აღსანიშნავია, რომ სომხურ კრებულში, რომელსაც „ეპისტოლეთა წიგნი“ „*Գիրք թղթոյ*“ ეწოდება და სხვათა შორის სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ მიწერ-მოწერა აქვს დაცული, კირიონ კათალიკოზის ეს ეპისტოლე სრულად შენახული არ არის, არამედ იქ ეპისტოლეს მნიშვნელოვანი ნაწილი გადამწერთ გამორჩენიათ და შინაარსიც ამის გამო დამახინჯებულია. საბედნიეროდ სომეხთა ისტორიკოსს უხტანესს ამ ძეგლის პირველი ნაწილი თავის თხზულებაში შეტანილი აქვს და ამნაირად „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის დასაწყისის შევსება შეიძლება. მაგრამ უხტანესსაც კირიონ კათალიკოზის ეპისტოლეს ტექსტი სრულად არა აქვს გამოყენებული და მარტო მისით, უ-„ეპისტოლეთა წიგნი“-თ ამ წერილის მთლიანი შინაარსის აღდგენა შეუძლებელია, რადგან სწორედ ბოლოშია მოთავსებული ცნობა, რომელიც ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს.

კირიონ ქართლისა კათალიკოზს აბრამ სომეხთა კათალიკოზისადმი მიმართულს თავის მესამე ეპისტოლეში ნათქვამი აქვს:

*«იო ხტէ գրատათս მსր կამիք  
քննել և դիხსել, ხითო թարգմանել  
և բերել զգիրս չորից ժողովոյն,  
որով ჳითიմք վարին, և ի սուրբ*

„თუ რომ ჩვენი სარწმუნოების  
გამოძიება და ცოდნა გასურთ, მე  
გამოვთარგმნინე და გაახლით თხ-  
თა კრებათა წიგნები, რომლითაც

*მწასათაა და 'ხ თორენ შიონე ნიენ  
ქარიფი. ხმტ კამტი და ხმტ ჯ'კა-  
მტი' წაღათ მსო არე და (მსოთა-  
ნისა. შათმოქიან რაქანმან  
ქრავი ხ ლავი. 1871 წ. გამოც.,  
გვ. 57—86).*

პრომნი ხელმძღვანელობენ და ანას-  
ტას-წმიდასა და წმიდა სიონში იქა-  
დაგების. ვინდათ თუ არა, ჩვენი  
სარწმუნოება ეს არის—ო (უხტა-  
ნეს. მოთხრობა ქართველთა განყოფისა  
სომეხთაგან, 1871 წ. სომხ.  
გამოც., გვ. 87—88).

ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ კირიონ კათალიკოზს აბრაამ კათალიკოზისათვის ოთხი მსოფლიო კრების აღსარების შემცველი ძეგლი გადმოუთარგმნიებია. ეს აღსარება ბიზანტიაში და იერუსალიმის ეკლესიაშიც ყოფილა მიღებული. ამ ცნობის მიხედვით მართლაც, როგორც კ. კეკელიძეც ამბობს, საკითხის გამორკვევა ძნელია. მაგრამ „ეპისტოლეთა წიგნში“ რომ ჩაიხედოს ადამიანმა, დარწმუნდება, რომ ქართლისა კათალიკოზი აქ სწორედ სარწმუნოების აღსარების შემცველ ძეგლზე ლაპარაკობდა. ხოლო ვინც ამ მესამე ეპისტოლეს იმავე წიგნში ბოლომდე წაიკითხავს, აქ იმის პასუხსაც მიიღებს, თუ რაზე იყო კირიონ კათალიკოზის მიერ აბრაამ კათალიკოზისთვის გაგზავნილი სარწმუნოების აღსარება დამყარებული. ქართლის კათალიკოზს თავის ეპისტოლეს ბოლოში ნათქვამი აქვს:

*«სოფ ვაკა ერსვად ქასან ახიო  
ბერი, ვი არდარი ხ დგმარქოთ ნა-  
ღათს აქარხეც და სხანს იხიხეც:  
ზიტხეც ვი ანბამე ხნე ვაკა იე  
ერსვად, აქ ქორაგანსქორ ტიო-  
ქივს ვიოვ» (ზიტე ქოქი, გვ. 188).*

„ხოლო დავწერეთ ესე სიყვარულისათვის თქვენდამი, რომ მართალი და ჭეშმარიტი სარწმუნოება დაიცვათ და ცხოვნდეთ. იცოდეთ, რომ თავით თვისით ამაში (იგულისხმება გადათარგმნილ აღსარებაში) არა დავგიწერია რა, არამედ თვითოეული (საეკლესიო) კრებათა წიგნთაგან ამოღებულიაო (ეპისტოლეთა წიგნი, სომხ. ტექ. 18, გვ. 188).

ამ სიტყვებითგან სრული უეჭველობითა ჩანს, რომ VI—VII სს. საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლის წერათა წიგნი ჰქონია და ამგვარად ქართული კანონიკური მწერლობა, ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების თარგმანების სახით მაინც, უკვე არსებობდა, რასაკვირველია ადგილობრივი კრებების ძეგლისწერათა წიგნებიც იქნებოდა. მაშასადამე, ქართული კანონიკური მწერლობის დასაწყისად არამც თუ XI ს. მიჩნევა არ შეიძლება, არამედ ამ დარგის მწერლობის პირველი ძეგლები უკვე ხანმეტობის ხანაში ყოფილა. მომავალი კვლევა-ძიების საქმეა გამოარკვიოს გადარჩა თუ არა რაიმე ამ დროითგან და რა თვისებისა იყო ეს ძეგლები.

ჯერჯერობით დიდი სჯულის კანონის ქართული თარგმანი არამც თუ გამოცემული არ არის, საკმაოდ შესწავლილიც არ ყოფილა. მხოლოდ ერთი გამოკვლევაა დაბეჭდილი ამ საკითხის შესახებ პროფ. ვლ. ბენეშევიჩის მიერ Грузинский великий номоканон по спискам Тифлисского церковного музея



(XB, II, 349—377 და V, 112—127), რომელიც მხოლოდ ხელნაწერების აღწერილობასა და სჯულისკანონის ნაწილებისა და თავების სათაურების შესახებ ცნობებსა და ზანდუკს შეიცავს. სჯულისკანონის ქართული თარგმანის ისტორიისა და შედგენილობის თანდათან ცვლილებათა შესასწავლად ჭერაჭერობით არც მტკიცე ცნობები მოიპოვება და არც შესაფერისი კვლევა-ძიება მოუხდენია ვისმე. მხოლოდ პროფ. კ. კეკელიძეს აქვს ეს საკითხი მოკლედ განხილული თავის „ქართული ლიტერატურის ისტორია“-ში. მისი აზრით არსენ იყალთოელის ნათარგმნი დიდი სჯულისკანონი შემდეგში სხვადასხვა ჩანართებით შეუვსიათ. ამნაირ ჩანართებად მიაჩნია მას: პეტრე და პავლე მოციქულების კანონები, „კანონი მეექვსე კართაგენს შინა შეკრებულთა მამათა“, რომელიც კართაგენის კრების მარტო მეექვსე კანონი, ანუ მუხლი-კი არაა, არამედ მეშვიდე და ორმოცდამესამე მუხლებიც, ამას გარდა მოციქულთა კანონების § 69, ღანღრის კრების § 19, პეტრე ალექსანდრიელისა 15, მოყვანილია სხვადასხვა წმიდა მამათა თხზულებებითგან ამოღებული ამონაწერები და ვრცელი ტრაქტატი სინანულისა და მარხვის შესახებ. ბერძნულად ამნაირი ძეგლი არა ჩანს (იხ. ქართული ლიტ. ისტორია, I, 610).

რუის-ურბნისის კრების დადგენილებით ქართული ეკლესიის მიერ ცნობილი იყო „დიდისა კლიმენტოსის მიერ“ დაწერილი მოციქულთა „კანონი საეკლესიონი“, შეიდი მსოფლიო კრება (ნიკეისა, კონსტანტინეპოლისა, ეფესოსისა, ქალკედონისა, 2 კონსტანტინეპოლისა, სამეუფოსა პალატისა გუმბადსა შინა მომხდარი, ე. წ. ტრულისა, 2 ნიკეისა), ექვსი ადგილობითი კრება (ანკირისა, ღანღრისა, ანტიოქიისა, ლაუდიკიისა, ფრიგიისა, კართაგენისა), 8 განთქმულ მამათა მიერ განჩინებულნი და თანაღრიცხულნი კანონნი და კანონიანი ეპისტოლეები პეტრე ალექსანდრიელისა, გრიგოლ ნეოკესარიელისა, ბასილი დიდისა დიოდორესა, გრიგოლ ხუცისა, ხორეპისკოპოსთა, ქუეშეთთა ეპისკოპოსთა და ამფილოქესა მიმართ, გრიგოლ ნოსელისა, ტიმოთე ალექსანდრიელისა, ფილოთეოს ალექსანდრიელისა ორთის გამოცხადებისათვის, ავგინოსი, აგათონისა მინაას ეპისკოპოსთა მიმართ, კვრილე ალექსანდრიელისა და გენადი კონსტანტინეპოლელისა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით სწორედ „ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი თუნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა“ და ამ კანონების „მეცნიერებაჲ და შედგომაჲ და მტკიცედ პყრობაჲ უკმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტიანობითისა მადიდებლობისათა: მღვდელთმთავართა და მღვდელთა და დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა(?) მონაზონთა და ერთბამად ყოველსა სახსებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა“-ო (ქ. კბი, II, 60).

პროფ. კ. კეკელიძეს სამართლიანად აღნიშნული აქვს, რომ „შემადგენლობა სჯულის კანონისა რუის-ურბნისის კრების ძეგლის წერით განირჩევა არსენის თარგმანის რედაქციისაგან; მაგალითად, ძეგლისწერაში არაა აღნიშნული სარდიკიის კრება, აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყველის და ამფილოქე იკონიელის კანონნი, მარტვირი ანტიოქიელისა და ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლენი; არსენის თარგმანში არაა მოხსენებული ვასილი დიდის 85 კანონი, სხვადასხვა ნაირადაა ჩამოთვლილი ამ წყაროებში ვასილის ეპისტოლენიც“. ყველა ამ გარემოებათა გამო კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ რუის-ურბნისის 1103 წ. კრების დროს დიდი სჯულისკანონის არსენი იყალთოელის

თარგმანი ჯერ არ არსებობდა და ეს ძეგლი ნათარგმნია არსენი იყალთოელის საქართველოში 1114 წ. დაბრუნების შემდგომად (ქართული ლიტ. ისტ., 1,301).

რაცი ცხადი ხდება, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წევრთ დიდი სჯულის კანონის კრებული არსენი იყალთოელისაგან თარგმნილი დიდი სჯულისკანონისაგან განსხვავებული შედგენილობის ჰქონიათ, ამით სრული უეჭველობით ირკვევა, რომ 1103 წ. დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანი სხვა რედაქციის კანონთა კრებული ყოფილა. არსენი იყალთოელის თარგმანი სხვათა შორის საფიქრებელია ამ გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

## § 2. ეფთჳმე მთაწმიდელის ნაშრომები და სარედაქციო მუშაობა ამ სფეროში

მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობითგან ჯერჯერობით მხოლოდ ორი ძეგლის ქართული თარგმანია გამოცემული.

1. ერთია „წესი და განგება და სჯულის კანონი მეექვსისისა კრებისა“. ეს. თხზულება ეფთჳმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნად ითვლება და მართლაც გიორგი მთაწმიდელის სიტყვით „რჩულისკანონი წმიდისა იოანე მმარხველისა და მეექვსისისა კრებისა“ ეფთჳმე მთაწმიდელის ერთ-ერთ ნათარგმნ თხზულებათაგანია (ცა იე და ეფრთსი, 29). ალ. ხახანაშვილმა ეს ძეგლი მოსკოვში გამოსცა ოთხი ხელნაწერის მიხედვით, რომელთაგან ერთი XI ს-ისაა, მეორე XVIII ს-ისაა და საქართველოს საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნის, ქართული ტექსტის გამოცემა კრიტიკული არ არის და ხელთნაწერებში არსებული სხვებრობა არსად აღნიშნული არ არის, თანაც არ ჩანს, რომელი ხელთნაწერთაგან იყო გამოცემის დროს საფუძვლად მიჩნეული.

გამომცემელსაც ნათქვამი აქვს (იხ. Правила VI Вселенского собора. Труды восточной комиссии Московского Археологического общества, т. II, 76—136), რომ ქართული თარგმანის ტექსტი ზოგიერთში ბერძნული დაბეჭდილი ტექსტისაგან განსხვავდება (იხ. გვ. 76). არსებულ ბერძნულ მსგავს ძეგლებთან შედარება კი ცხად ჰყოფს, რომ ქართულის მსგავსი რედაქცია ბერძნულში ჯერჯერობით მაინც არა ჩანს. ბუნებრივად იბადება საკითხი, რით უნდა აიხსნებოდეს ეს გარემოება? რასაკვირველია ბიზანტიური იურიდიული ძეგლები ისე არ არის შესწავლილი, რომ ხელთნაწერებში გაბნეული მასალები ყველა შესწავლილად და ამოწყულად ჩაითვალოს და ამიტომ საბოლოო დასკვნის გამოყვანა გაბედულად და უცდომელად შეიძლებოდეს, მაგრამ ზოგიერთი უდავო გარემოება ეხლაც უნდა აღინიშნოს. VI მსოფლიო კრების ძეგლისწერის ბერძნულ ტექსტებთან შედარებით ქართული ტექსტი სიდიდით სულ ცოტა ერთიორად სჭარბობს. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული ტექსტი შეუძლებელია ბერძნული ცნობილი ტექსტის პირდაპირ თარგმანად ჩაითვალოს. აგებულობითაც ქართული ხშირად არსებითად განსხვავდება ბერძნულისაგან. უკვე პირველი წიდან მოყოლებული იწყება განსხვავება და ბერძნული დედნის წა' უღრის ქართულის მხოლოდ მეორე თავს (ათავი ბ"). ქართული ტექსტის პირველი თავი ხუთი უწინარესი

მსოფლიო კრების კანონებისა და წინანდელ კრებათა მიერ მიღებული წა მამათა კანონიანი ეპისტოლეების განახლება-დამტკიცებას წარმოადგენს მე-ექვსე მსოფლიო კრებისაგან (იხ. გვ. 78—83).

მხოლოდ ამ დამტკიცებას მოსდევს წარწერა „თ ა ვ ნ ი ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს ა ნ ი“, რომელსაც მოკლე შესავლის შემდგომ მიჰყვება § ბ, რომელიც, როგორც აღნიშნული გვექონდა, ბერძნულის § ა' უდრის. თუ ადამიანი ჩაუკვირდება, ცხადი შეიქმნება, რომ ქართული ტექსტის მიხედვითაც მე-ექვსე კრების კანონთაგან § 2 ნამდვილად ბერძნულის მსგავსად § 1 გამოდის. ამიტომ შესაძლებელია ეს ქართველი მთარგმნელის მიერ შეტანილი ცვლილება იყოს, რომელსაც მეექვსე კრების დადგენილების შინაარსისდა მიხედვით დალაგება უცდია, მაგრამ კანონთა აღრიცხვაში ბოლომდის და სისტემატურად ვერ გაუტარებია. საზოგადოდ ბერძნულ-ქართულ-სლავურ ტექსტებს ეტყობათ კანონების შინაარსისდა მიხედვით დალაგების კვალი, მაგ. § ლთ, რომელიც ბერძნული დედნის § მ' უდრის, წინ უძღვის სათაური „ⲛⲉⲣⲓ ⲛⲉⲧⲁⲗⲉⲛⲟⲩⲥⲁⲓⲛⲟⲩⲥⲁⲓ“ (ბენეშ., I, 171), ქართულად მოკლედ „მ ო ნ ა ზ ო ნ ე ბ ო ს ა თ ვ ს“ (გვ. 106). ბერძნულ-სლავურ ტექსტებს კიდევ ერთგან აქვთ სათაური „ⲛⲉⲣⲓ ⲓⲉⲣⲉⲗⲁⲩⲥⲁⲓⲛⲟⲩⲥⲁⲓ“ (ბენეშ., I, 144), რომლის შემდგომაც კანონები მართლაც „მღვდელობის წეს“-ს ეხება. ქართულში, რამდენადაც ალ. ხახანაშვილის გამოცემითგან ჩანს, ამგვარი სათაური არ მოიპოვება (გვ. 85), თუმცა კი მოსალოდნელი იყო. ამგვარადვე თუმცა არც ქართულსა და არც ბერძნულ ტექსტებში სათაურები ქვემოდასახელებულ ადგილებში არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სათაურები „მარხვსა-თვს“ (შეად. ქლი ტექს., 91, § ივ), „ღღესასწაულებისა-თვს“ (იქვე, გვ. 93, § იმ) და სხვაგანაც. საზოგადოდ რადგან ქართული ტექსტი ჭეროვანად არ არის შესწავლილ-გამოცემული, მსჯელობა სახიფათოა. მაგრამ მაინც ცხადია, რომ არც ბერძნული და არც ქართული ტექსტები თავდაპირველი სახით შენახული არ უნდა იყვნენ.

საკითხი მეექვსე მსოფლიო კრების კანონების პირვანდელ-მერმინდელ რედაქციათა და ქართულ თარგმანსა და ბერძნულ დედანს შორის დამოკიდებულების შესახებ საეკლესიო სამართლის მკვლევართა, კანონისტების საქმეა. ჩვენთვის კი უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო ისაა, თუ რა უნდა ჩაითვალოს ამ თარგმანის თავისებურს რედაქციაში თვით მთარგმნელის საკუთარ ნაშუშევრად და ერთგვარ შემოქმედებად, ან უკეთ რომ ვთქვათ, მოიპოვება თუ არა იქ რაიმე კვალი ეფთვმის ამგვარი მოღვაწეობისა? აღსანიშნავია, რომ ეფთვმე მთაწმიდელი უფრო ვრცელ წყაროდ, რომელშიაც მკითხველს დაწვრილებითი ცნობების პოვნა შეეძლო, იხსენიებს „წ ი გ ნ ს ა მ ა ს წ მ ი დ ა თ ა კ რ ე ბ ა თ ა ს ა და ც ხ ო რ ე ბ ა ს ა ც ა შ ი ნ ა ნ ე ტ ა რ ი ს ა მ ა მ ი ს ა ჩ ო ნ ი ს ა ზ ა ქ ს ი მ ე ა ღ მ ს ა რ ე ბ ლ ი ს ა ს ა“ (გვ. 135). უეჭველია პირველი სათაურით დიდი სჯულისკანონი იგულისხმება. ამგვარად ისე გამოდის, თითქოს ეფთვმეს შრომაზე უფრო მოზრდილი ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. მაგრამ არსებულ რედაქციათა შორის დიდი სჯულისკანონის წიგნში მოთავსებული მეექვსე მსოფლიო კრების ძეგლისწერა ეფთვმის ნათარგმნზე გაცილებით უფრო მომცროა. საყურადღებოა რომ მეორე დასახელებული წყარო მაქსიმე აღმსარებლისა ეფთვმეს მიერვე იყო ნათარგმნი (იხ. პროფ. კ. კეკელიძის Monumenta

hagiographica Georgica, I, გვ. XLII). საფიქრებელია, რომ ის ბოლოსიტყვაობაც, რომელშიაც ზემომოყვანილი ცნობა მოიპოვება, ეფთვმე მთაწმიდელის დაწერილი იყოს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბერძნულთან შედარებით ქართული ტექსტი ხშირად კანონების ერთგვარ ვრცელ განმარტებასა და დასაბუთებასაც შეიცავს, ზოგან გრძელი და არსებითი ხასიათის მსჯელობაა კანონში მოკლედ მოჭრილი საკითხის შესახებ. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ქართული ტექსტის § 33 (გვ. 129—131), რომელშიაც მშვენიერი განმარტებაა კაცისკვლის იურიდიული ბუნებისა და თვისებათა შესახებ. უწინარესი მუხლების ცნობისდა მიხედვით საფიქრებელი იყო, რომ ეს განმარტება ბასილი კესარიელის ნაწარმოები უნდა ყოფილიყო (იხ. გვ. 129, § 3დ). მაგრამ ბერძნულ არც სჯულისკანონში და არც ისე ბასილი კესარიელის თხზულებათა შორის არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება.

ამგვარადვე საყურადღებოა, რომ ბერძნულთან შედარებით ეფთვმე მთაწმიდელის ნაშრომში უფრო მეტი ცნობებია იმ მწვალებლობად მიჩნეული წესების შესახებ, რომელნიც სომხეთში ყოფილა გავრცელებული.

ხოლო ერთგან § 5დ-ში, სადაც საწარმართო კერპთა და ჩვეულებათა შესახებაა საუბარი, უკვე ცხადად ემჩნევა, რომ მექვე კრების ძეგლისწერაში ქართველ მთარგმნელს თავისი საკუთარი ცნობები და სიტყვა-აზრებიც უნდა ჩაერთოს. ამ მუხლში სხვათა შორის ნათქვამია: „კდ სახელისდებანი იგი საწარმართთა კერპთანი, რლნი მათ ღთად შერაცხნეს რლნიმე მამათა და რლნიმე დედათა, სდ მოისპენ. დიოს ანუ აპოლოს ანუ არტემის ანუ ბოჩი და გაცი და ბადაგონ და არმაზ“ და სხვა (გვ. 113). იმას გარდა, რომ ბერძნულ დედანში (იხ. ბენეშ., I, 183, § 43') კერპთა ბერძნული სახელებიც-კი არ მოიპოვება, კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ თითქოს ბერძნული პანთეონისათვის ღმერთების სახელები ეფთვმეს შეიძლება ბერძნულ დედანშივე ამოეკითხა, მაინც, უეჭველია, ბოჩისა, გაციისა, ბადაგონისა და არმაზის სახელები იქ არ იქნებოდა და ცხადია თვით ეფთვმეს ჩანართი უნდა იყოს.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ „წესი და განგება და სჯულისკანონი მეექუსისა კრებისა“ უბრალო და უშუალო თარგმანი-კი არ უნდა იყოს, არამედ ეფთვმე მთაწმიდელის მიერ გადაკეთებული და განმარტებებით შემკული რედაქციაა. საყურადღებო ცნობა აქვს ეფთვმე მთაწმიდელს თავის ნათარგმნი მეექვესე კრებისა და იოვანე მმარხველის აღწერილი განწესებულების შესახებ. მას ნათქვამი აქვს, რომ ძეგლები „სასწავლეულად“ გადმოაქართულა, რომ „იკითხვიდენ წინამძღუარნი და მოძღუარნი ეკლესიათანი“. ამ შრომის შესახებ მკითხველს ამცნებს, „ყოველივე პირი და სახესხუათამათ პირველთა მამათა მიერ აღწერილისა რჩულის კანონისა და აქა შემოკრებულ არს და კეთილად განმარტებულ არს“-ო (გვ. 94). რას ენება ეს ცნობა, ერთერთ ამ ორ ძეგლთაგანს, თუ ორთავეს, თუ ერთს პირველს, მე-ნ კრების სჯულისკანონს, თუ იოანე მმარხველის თხზულებას, დასასრულ მათ დედანს ახასიათებს ეფთვმე მთაწმიდელი, თუ თავის ნათარგმნს?

დიდებული ქართველი მოღვაწის სიტყვებში აზრი სამწუხაროდ, სრულის სიმკაფიოად არ არის გამოთქმული და ყველა ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ გადაჭრილი პასუხის მოცემა ძნელია და მხოლოდ ზოგი რამეს გამოორ-

კვევა შეიძლება. თუ რომელ ძეგლს ეხება ეფთვმეს სიტყვები, ამის გადასაწყვეტად უნდა გავიხსენოთ, რომ თვით ეფთვმე „რჩულის კანონს“ მეექვსე კრების ძეგლისწერას უწოდებს და იოანე მმარხველის ნაშრომისათვის-კი მას სათაურში „კანონნი შეცოდებულთანი“ დაურქმევია, ანდერძში-კი „განწესებულს“ უძახის. მაშასადამე მისი ზემონათქვამი მეექვსე კრების სჯულის-კანონის თვისებას უნდა ახასიათებდეს. ირკვევა, რომ იგი სხვადასხვა მამათა მიერ აღწერილი „რჩულისკანონების“ „ყოველსავე პირსა და სახეს“ შეიცავს და ამ ნაწარმოებში ყოველივე ეს „შემოკრებულ არს“ ჯერ ეს ერთი და თანაც „კეთილად განმარტებულ არს“, ე. ი. ერთგვარს ნარკვევს წარმოადგენს განმარტებითურთ.

ბერძნულ დედანზე ლაპარაკობს თუ თავის ნაშრომზე? ეფთვმე მთაწმიდელის ჩვეულებრივი თავდაბლობა უფლებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავის ნაწარმოებზე ეთქვა კეთილად განმარტებულიაო. მაგრამ ამ ცნობაში ჩვენთვის ის გარემოებაა საყურადღებო, რომ ეფთვმეს მიერ გადმოქართულებული მეექვსე მსოფლიო კრების კანონები ამ კრების ძეგლისწერას კი არ წარმოადგენს, არამედ მერმინდელს „შემოკრებულ“ ნაწარმოებს, რომელიც ამასთანავე განმარტებებით ყოფილა შემკული. ასეთს ნაშრომს „დაბეჭდული“ ძეგლის თვისება რასაკვირველია არ შეიძლება ჰქონოდა და ამიტომვე ეფთვმე მთაწმიდელს შეეძლო უფრო თავისუფლად მოქცეულიყო და სადაც საჭიროდ დაინახავდა ცვლილებები შეეტანა და თარგმანებაც განეწყო და გაეცხოველებინა. ეს ეფთვმე მთაწმიდელის სამწერლობო მოღვაწეობის ჩვეულებრივი თვისებაა და ის სწორედ ამგვარადვე მოქცეულა, როდესაც ზემოაღნიშნული მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება გადმოქართულებია (იხ. MHG, I, გვ. XLII), იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ“ უთარგმნია და არა თუ შინაარსი, სახელიც-კი შეუცვლია, როდესაც როგორც ქვემოთ უფრო დაწვრილებით აღნიშნული იქნება, იოანე მმარხველის „კანონი შეცოდებულთა“-ც სთარგმნა. ამ დიდებული ქართველი მოღვაწის ასეთი ნიშანდობლივი თვისება უკვე განთქმულ ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს ჰქონდა შემჩნეული და მასაც კი აღნიშნული აქვს, რომ ეფთვმე მთაწმიდელს „კლესიოფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა“ ნათარგმნი თხზულებებისა (იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ თარგ. ანდერძი, ქკბი, I 216 და კ. კეკელიძის „ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან“: ტფ. უნივ. მოამბე, I, გვ. 51). თანამედროვე მკვლევართა დაკვირვებაც ამ გარემოებას ადასტურებს (პროფ. კ. კეკელიძეც თავის ქართული ლიტ. ისტორიაში ამავე აზრს ადგია, I, 210—211).

2. მსოფლიო ეკლესიის საკანონმდებლო ძეგლთაგან, ზემოდასახელებულის გარდა, გამოცემულია მხოლოდ „კანონი შეცოდებულთანი“, რომელიც იმავე ეფთვმე მთაწმიდელის მიერ იყო ნათარგმნი. მის შრომათა სიაში ეს ძეგლი მოხსენებული აქვს გიორგი მთაწმიდელს, რომელიც თუმცა იმ სათაურით არ არის აღნიშნული, როგორც თვით დედანშია, და ეწოდება „რჩულის კანონი წმიდისა იოანე მმარხველისაჲ“ (ცქ იწ და ეფსი, 29), მაგრამ უეჭველია ერთი და იგივე თხზულება უნდა იყვეს: ეფთვმე მთაწმიდელის თარგმანი აღ. ხახანაშვილმა გამოსცა 1902 წ. პროფ. ნ. ზაოზერსკისთან ერთად (იხ. Номоканон Иоанна Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской с преди-

словнем издателей. Изд. Общ. истории и древ. рос. при Моск. Уни-  
верситете). გამოცემული ტექსტიდანაც ჩანს, რომ იგი ეფთვმე მთაწმი-  
დელის თარგმანია. ბოლოსიტყვაობაში ღიღებულნი ქართველი მოღვაწე წერს:  
„ღირს ვიქმენ მე გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მოწესეთაჲ ეფთვმე  
თარგმნებად (sic). ბერძნულისა ქართულად მცირესა  
ამას რჩულის კანონსა წდისა მის მეექუსისა კრებისა მიერ აღწე-  
რილსა და ყოვლად ნეტარისა იოვანეს მმარხველისა მიერ  
კონსტანტინეპოლისა მთავარეპისკოპოსისა განწესე-  
ბულსა“-ო (გვ. 94). ქართული ტექსტი გამოცემულია 4 ხელთნაწერის მიხედ-  
ვით, მაგრამ დიდის შეცდომებით (იხ. ნ. მარის რეცენზია Виз. Врем., 1906,  
XII, 191—192).

გამოცემული ტექსტი ორი ნაწილისაგან შესდგება და პირველს ეწოდება  
„კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა  
ჩნისა იოვანეს მიერ კონსტანტინეპოლელ მთავარეპის-  
კოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდებოდა“ (გვ. 2—38),  
რომელიც თავებდა არის დაყოფილი, მაგრამ თავების რიცხობრივი რომელო-  
ბის გარდა არაფერია სათაურებში აღნიშნული და შინაარსიც არ აწერია. მე-  
ორე ნაწილს სათაურად აქვს „კანონნი შეცოდებულთანი განწე-  
სებულნი ნეტარისა მამისა ჩნისა იოვანე მმარხველისა მიერ  
კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა“ (გვ. 39—92), ბერძნულად  
ამ ძეგლს ეწოდება „κανονισμοί“ (გვ. 3) და სხვა ამგვარ თხზულებებსაც  
κανονισμοί ან κανονισμοί-ს ეძახოდნენ ხოლმე.

თუმცა ქართულის მსგავსად ბერძნულ მწერლობაშიაც ზოგიერთ ხელთნა-  
წერში ეს ძეგლი იოანე მმარხველის კონსტანტინეპოლელი პატრიარქის აღ-  
წერილად არის მოხსენებული, მაგრამ ეს მცდარი ცნობაა და ამ ძეგლის ორი  
ნაწილი ორი სხვადასხვა პირისაგან უნდა იყოს შედგენილი. მართლაც ბერძ-  
ნულსა და სლავურს ხელთნაწერებში ამ თხზულების პირველი ნაწილის ავტო-  
რად იოანე მონაზონია აღნიშნული. ამ ნაწარმოებების ნამდვილ აღმწერელთა  
ვინაობის გამორკვევა ზაოზერსკის შეუძლებლად მიაჩნია და მხოლოდ ამ გარ-  
დმოცემის მიხედვით პირველი ნაწილის ავტორად იოანე ბერს, მონა-  
ზონსა, სთვლის, მეორისას კი იოანე მმარხველს, კონსტანტინეპო-  
ლელ პატრიარქს (გვ. 33—34 და 83).

ზაოზერსკის სიტყვით ეფთვმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნი ძეგლი  
წარმოადგენს იოანე მონაზონის კანონარსა და კონსტანტინეპოლელი პატრი-  
არქის იოანე მმარხველის შეცოდებულთა კანონებს (იხ. წინასიტ., გვ. 83)  
და ამ ნაწარმოებთა ჭერჯერობით უძველეს რედაქციად უნდა ჩაითვალოს  
მორინის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან ერთად (იქვე, 45), მაგრამ  
ქართული თარგმანი ხშირად განსხვავდება ბერძნული დედნებისაგან და რაც  
ეფთვმეს თარგმანშია, იქ არ მოიპოვება. ამიტომ ამ შემთხვევაშიც საფიქ-  
რებელია, რომ ეფთვმე მთაწმიდელს უბრალო მთარგმნელობის მაგიერ ერთ-  
გვარი შემოქმედება უმჯობინებია. პროფ. ვლ. ბენეშევიჩსაც აღნიშნული აქვს,  
რომ ეფთვმეს რედაქციის მსგავსი რედაქცია ბერძნულ-  
შივერ აღმოაჩინა და ისიც ფიქრობს, რომ ეფთვმეს  
თარგმნის დროს რამდენიმე რედაქცია უნდა ჰქონოდა

და დედანიც მისგან თავისებურად უნდა იყოს გადაკეთებული (Груз. великий номоканон, XV, V, გვ. 113).

ავტორის სიტყვით მისი კანონი სინანულისანი ერთის მხრით სხვათა მოძღვრებას შეიცავს, მეორეს მხრით მოძღვრის საკუთარი გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენს. მას ნათქვამი აქვს: „ვიქმ გამოძიებასა ამას და განწესებასა... ვითარცა... ნარჩევთა უნარჩევესი ნაბიჭვევსა ღირსთა და მეცნიერთა ტაბლისასა შევჭკრებ და უმეტესად გამოცდილებისაგან და გულისკმისყოფისა სულიერისა მის მოძღუარისა ჩემისა, რომელმან აღმზარდა, რომელი იგი სანთელი იყო განკითხვისა და მეცნიერებისა, რომლისაგან ყოველი სულიერი სწავლა ამისწავიეს“-ო (გვ. 16).

თუმცა სინანულთა კანონების ავტორად სათაურში იოანე კონსტანტინე პოლელი მთავარეპისკოპოსია მოხსენებული, მაგრამ თხზულების პირველი ნაწილის შესავლითგან უფრო საფიქრებელია, რომ ავტორი სამონასტრო ძმობის ძმათაგანი, ანუ მონაზონი უნდა ყოფილიყო. როდესაც იგი ვეამცნებს, რომ მან თავის სურვილით კი არ შეადგინა ეს ნაშრომი, არამედ სხვათა რჩევითა და იძულებით, ავტორი სხვათა შორის ამბობს: „ვინაითგან უკუე მიძულეს ღთის მოყუართა და სულიერთა ძმათა აღწერად მცირედი ესე რჩულისკანონი და თითოეულისა ცოდვისა განწესებული სინანული“, ამიტომ „კრძალულებითა და შიშითა კელეყავ საქმესა იმას“-ო (იქვე, 16).

რამდენადაც დედააზრისა და მოძღვრების მთავარი დებულების მხრით „კანონნი შეცოდებულთანი“ საყურადღებო და საგულისხმოა, იმდენად შინაგანი აგებულობითა და შინაარსით მდარე ნაწარმოებს წარმოადგენს, ხშირად გამეორებას შეიცავს და უმთავრესად ზნეობრივი ხასიათისა და სქესობრივი ცხოვრების ცოდვების აღნუსხვასა და უსიამოვნო აღწერილობას წარმოადგენს. დანაშაულობათა ბუნებისა და თვისებათა ანალიზისათვის-კი თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული.

კანონნი შეცოდებულთანი აღმოსავლეთის საქრისტიანო ეკლესიის გარდა რომის ეკლესიასაც ჰქონდა და იქ ეს დარგი საშუალო საუკუნეებში განსაკუთრებით იყო განვითარებული. იტალიური კანონნი შეცოდებულთანი ცნობილი არიან „libri poenitentiales“-ს სახელით. ამგვარი თხზულება პირველად ირლანდიისა და ბრიტანიის ეკლესიაში გაჩნდა, სადაც განსაკუთრებით ცნობილი იყო ინგლისის გარეშეც განთქმული ერთი „კანონნი შეცოდებულთანი“, რომლის ავტორადაც ინგლისის ეკლესიის უპირველესი თევდორე კენტერბერის არქიეპისკოპოსი ტომით ბერძენი (†690) იყო მიჩნეული. ამ კანონებში ბევრი რამეა, რაც აღმოსავლეთის ეკლესიას უახლოვებს (А. Павлов, Курс церковного права, 1902, გვ. 83 და ზაოზერსკის Номок. И. Постника, 69). ინგლისური შეცოდებულთა კანონების გარდა ფრანკებისა და რომაული ამგვარივე ძეგლებიც არსებობდნენ. ამ ძეგლებში ადგილობრივი სისხლის სამართლისა და ხალხური ადათების იმდენად ძლიერი გავლენა მოჩანს, რომ ისინი მარტო შეცოდებულთა კანონებად-კი არ შეიძლება ჩაითვალოს, არამედ სისხლის სამართლის ძეგლებადაც.

ინგლისური კანონნი შეცოდებულთანი იმ მხრივ განსხვავდებიან რომაული ამნაირისავე ნაწარმოებებითგან, რომ იქ სასჯელის ხანგრძლივობის შემცირება ეპისკოპოსის გადაწყვეტილებაზე (arbitrium) იყო დამოკიდებული და ამის გამო გერმანელმა მეცნიერმა შმიცმა ინგლისური ძეგლების სისტემას „საარბიტრო“ უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ თვით რომის დედაეკლესიის შეცოდებულთა კანონები ამ მხრივ თვალსაჩინოდ განსხვავდებიან და იქ სასჯელის ან სინანულის ხანგრძლივობა კანონების მიხედვით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული (Schmitz, Die Bussbücher und die Bussdisciplin der Kirche, 1883, გვ. 521 და ზაოზერსკი, Номок., 70).

ფრანკების ეკლესიის შეცოდებულთა კანონები მონაზონური სიმკაცრით არის შედგენილი და სასჯელებიც ცოდვებისა და დანაშაულობათათვის იმდენად მძიმეა დანიშნული, რომ უფრო ბერებისათვის იყო გამოსადეგი, ვიდრე ერისკაცთათვის (იქვე).

### § 3. საქართველოს ადგილობითი კრებების ძეგლები

ჩვეულებრივი, საეკლესიო კანონებით დაწესებულ, ადგილობით საეკლესიო კრებებს გარდა, რომელნიც კანონმდებლობითი მოღვაწეობისათვის რაკაკიერველია, განუთენილი არ ყოფილან, საქართველოში არა ერთხელ საგანგებო დიდმნიშვნელოვანი კრებებიც ყოფილა მოწვეული პირველხარისხოვანი საკითხების განსახილველად და გადასაჭრელად. თუ ჩვეულებრივი კრებების დადგენილება, ვითარცა მიმდინარე წვრილმანი საქმეების მომწესრიგებელი, შესაძლებელია ძეგლისწერის სახით აღნუსხული არც კი ყოფილიყო, ძნელი დასაჯერებელია საგანგებო და დიდმნიშვნელოვანი ადგილობითი კრებების ნამუშევარი უკვალოდ დაეტოვებინათ და ამა თუ იმ სახით შესაფერისი ძეგლისწერის შედგენისათვის არ შეეწუხებინათ თავი. დაუჯერებელი რამეა, მაგ., რომ ქართლის ეკლესიის თვითმწყობის პირველად შემოღების დროს ადგილობითს კრებას ჩვენში სათანადო მსჯელობა არ ჰქონოდა და დადგენილება არ აღნუსხა. შეუძლებელია თუნდაც 607 წ., როდესაც ქართველთა და სომეხთა ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა და სომეხთა ეკლესიის მესვეურებმა ქართველები, ვითარცა მწვალებელნი, შეაჩვენეს კიდევ, რომ ქართველთა სამღვდლოებას ამის საპასუხოდ საეკლესიო კრებაზე შესაფერისი დადგენილება არ განეჩინა და შთამომავლობისათვის ეს წერილობით არ შეენახა.

როგორც მოქცევაა ქართლისაჲს მატთანითგანა ჩანს, ქართულ ეკლესიას VIII—IX საუკუნემდის ცოლოსნობა შეუწახავს ეპისკოპოსთათვის იმ დროს, როდესაც მსოფლიო ეკლესიაში როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთში დიდიხანია უკვე ცოლოსნობა მოსპობილი და აკრძალული იყო. საფიქრებელია, რომ ამ თვალსაჩინო განსხვავების შესახებაც შესაფერისი საბუთიანობა და დადგენილება ექმნებოდა ქართულ ადგილობითს საეკლესიო კრებას. გიორგი მერჩულს შენახული აქვს ცნობა ჯავახეთში IX ს. შუა წლებში შეკრებილი კრების შესახებ, რომელმაც კათალიკოზის არჩევნების უკანონობის საკითხი განიხილა (ც'ა გ'ვლ ხანძთლსჲ, გვ. მე, § მბ). თუ ის, რაც „უამთა უკუე ღმრთის-მსახურისა მეფისა ბაგრატიისა“ მოხდა, როდესაც „აქმნა კუალად



კრებად ღრტილას“, ნამდვილად „არა ვიდრემე სამღუდელო, არამედ უფროსდა სამხედრო“ იყო (სქეს სამოთხე, 615) და ვითარცა არა საეკლესიო, არამედ საბაქრო კრება შეიძლება უძველესწეროდაც დარჩენილიყო, რამდენი ნამდვილი საეკლესიო კრებები ყოფილა საქართველოში, რომ მათი კვალი ამ უამად ან გამქრალა, ან ჯერ აღმოჩენილი არ არის.

ამ მხრივ XII ს-მდე გამონაკლისს მხოლოდ რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრება შეადგენს, რომლის ძეგლისწერა არამც თუ მარტო შენახულ იქმნა და არის ეხლაც, არამედ დიდ სჯულისკანონშიაც კი იქმნა ძველადვე შეტანილი (იხ. ბენეშევიჩის Гр. уз. велик. номок. XV. II).

### A. რუის-ურბნისის 1103 წ. კრების ძეგლისწერა

რუის-ურბნისის კრების ოქმები ორჯერ არის გამოცემული: პირველად 1882 წ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ გვ. 518—530, მეორედ თ. ჟორდანიამ დაბეჭდა ქკების II წიგნში გვ. 54—72. საბინინს ნათქვამი აქვს: „ძეგლისწერაჲ ესე დიდითა ჰირითა და იწროებითა გადმოვწერე მცხეთის საწიგნობელითგან, რომელიც იპოება დიდსა ნომოკანონსა შინა. ეკზარხოს ევსევის დროსა შინა, რომელმან რჩევითა მაკარი არხ. და ბასხაროვისა აღმიკრძალა შესვლა სადმე მონასტრის ანუ ეკლესიის საწიგნობელსა შინა. და თუ რამე შეცდომა შეერია ამ ძეგლისწერასა, დამნაშავენი ეს პირნი არიან, რათა მპარაობით უნდა გადმომეწერაო“ (სქეს სმთხე, 530, შენ. 3). თ. ჟორდანიას ტექსტი საეკლესიო მუზეუმის № 76 ხელთნაწერის მიხედვით დაუბეჭდია. ხელთნაწერი სქელ ქალაღლზე ყოფილა დაწერილი, უთარილოა, მაგრამ „პალეოგრაფიული ხასიათი წერისა უეჭველ ჰყოფს, რომ ხელნაწერი ეკუთვნის XII ანუ XIII საუკუნეს“—ო (ქკები, II, 54), პროფ. ბენეშევიჩის აზრით კი ამ ხელთნაწერის უმთავრესი ნაწილი გვ. 7—495 XIII—XIV ს-ის ხელით ყოფილა („рука XIII-XIV века“) ნაწერი (XB, II, 351).

„ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღთივ-შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრება ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა პირთათჳს, რომელნი ქუემო მოქსენებულ არიან“—ო (ქკები, II, 56). ამ სათაურით იწყება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებანი. უკვე ეს სათაური და მახასიათებელი და საყურადღებო. ეს კრება „ღთივ-შეკრებულად“ არის გამოცხადებული. თუმცა აქვე აღნიშნული, რომ იგი „შემოკრება ბრძანებითა მეფისა“. მაშასადამე, საფიქრებელი ხდება, რომ ამ კრების მოწვევის თაოსნობა დავით აღმაშენებელს ეკუთვნის. მისი ისტორიკოსის მოთხრობა ამ კრების შესახებ და ამ კრების განაჩენის მნიშვნელობა უმთავრესად საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო წესწყობილებისათვის უფრო აძლიერებს სათაურის ზემომოყვანილ ცნობას. არსენ მონაზონის მიერ საეკლესიო კრების სახელით დაწერილ სამადლობელ ქება-დიდებაშიც ეს გარემოება აღნიშნულია და ნათქვამია: „ესე (ე. ი. ძეგლის წერა) აწ ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან... რომელ მოსწრაფებით შემოკრებაჲ უბრძანე შენ და

დიდისა ამის და ღმრთისა-სათნოსა წარმართებისა თანაშუამდგომელად ღმრთისა მიმართ მოიგენ“-ო (ქკბი, II, 69).

ამას გარდა, როდესაც საეკლესიო კრება მოუწვევია, როგორც ჩანს, მეფეს უკვე წინაწინვე მსჯელობის საგანი და განსახილველი საკითხების სია განუსაზღვრავს ისე, რომ იგი შემოკრება პირთათვის, რომელნი ქუემო მოქსენებულ არიან“-ო. ამგვარად ცხადი ხდება, რომ რუის-ურბნისის კრების მოწვევა წინასწარ განზრახული მიზნითა და გეგმის განსახორციელებლად ყოფილა გამოწვეული და იგი ჩვეულებრივი, მორიგე კრება კი არა, არამედ საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა ყოფილა.

თვით ძეგლისწერაში აღნიშნულია კიდევ ამ კრების მთავარი მიზანი და დანიშნულება. „ამისთვის შემოკრება კრებაა... გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებასა ბიწირაჲმე შექხებოდა... არამედ სხუათა საეკლესიოთა და სამღვდელოთა და საქრისტიანოთა ძიებათათვის“-ო (ქკბი, II, 61—62).

მაშასადამე, რუის-ურბნისის კრების შეყრის მიზეზი და მიზანი დოგმატური საკითხების „ძიებანი“ კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ „საეკლესიო“, ე. ი. რაც ეკლესიას ვითარცა დაწესებულებას ეხებოდა „სამღვდლო“ ანუ მღვდელთმსახურთა შესახები საკითხების განსახილველად და „საქრისტიანო“ შრევის, ხალხის წრეში გავრცელებულ მავნე და უწესო ზნე-ჩვეულებათა და ცოდვათა ამოსაკვეთად. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ გამოიხატოს ამ კრების მიზანი, მისი მსჯელობისა და კანონმდებლობის საგნად საეკლესიო წესწყობილებებისა, სამღვდელმსახურო ქვესებისა და მრევლის ზნე-ჩვეულებათა და შეცოდებულების განმართვა და მოწესრიგება ყოფილა. მართლაც ამ ძეგლის წერაში ერთი სტრიქონიც კი არ მოიპოვება რაიმე დოგმატური უთანხმოების შესახებ.

მეფის მიერ მოწვეული კრების სხდომების საჭლომდ არჩეული ყოფილა ისეთი ადგილი, რომელიც მდებარეობდა „სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუის(ის)ა და ურბნისისა“ (ქკბი, II, 61). იყო იქ თუ არა რაიმე დაბა ან მონასტერი, არა ჩანს, მხოლოდ ცხადია, ფართო და შესაფერისად მოწყობილი შენობები რომ არ ჰქონოდათ იქ შეკრებილთა და თავმოყრილებს, მას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ უწოდებდა „ადგილსა ჯეროვანსა“ და წვერებიც ვერ შესძლებდენ „მრავალ დღე გამოწულივითა ფრიადითა“ საქართველოს საეკლესიო წესწყობილებისა და ყოფა-ცხოვრების ნაკლის გამოძიებასა და განმართვას (ცა მწესა დთსი, \*524, გვ. 291). ამგვარი საფუძვლიანი და ხანგრძლივი მუშაობისათვის მართლაც და შესაფერისი სადგომი იყო.საქირო.

კრებაში მონაწილეობა მიუღია სამღვდლოებებს და იგი იყო „კრებაჲ ღმრთის მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატროსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკონთაჲ, ქრისტეს მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუღაბნოეთაჲ“ (ქკბი, II, 61). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით კი ამ კრების შემადგენლობა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ყოფილა. მეფემ თურმე მოიწვია „ერი მრავალი, რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოზი, მღვდელთმთავარი, მეუღაბნონი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მათსა“-ო (ცა მწესა დთსი, \*524, გვ. 291). მაშასადამე, საკუთრივ სამ-

ღვდულოების გარდა ყოფილან აგრეთვე თავისი ცოდნით განთქმული პირები, ამ შემთხვევაში საფიქრებელია სასულიერო წრის წარმომადგენელი „მეცნიერი“. მართლაც, ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს არსენი მონაზონი კალიპოსელი, რომელსაც ვითარცა „სჯულთმცოდნისა მოღვაწისა“ სახელის მქონებელს რუის-ურბნისის კრებამ მრავალყამიერობაც კი ჩაუწერა ძეგლში (ქცბი, II, 71).

თუ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მეფისგან იყო მოწვეული და მისგანვე ჰქონდა მის გარკვეული მიმართულების გეზი მიცემული, კრების თავმჯდომარედ კათალიკოზი ყოფილა. თვით ძეგლის წერაშიც აღნიშნულია, რომ „თავ და წინამძღუარ... წმიდისა მის კრებისა იყო... იოვანე ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოდისა დიდი მამათმთავარი“-ო (ქცბი, II, 62).

ამ კრების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღია და მის ნაყოფიერებისა და წარმატებისათვის თავის მსჯელობითა და საბუთიანობით საუკეთესოდ ხელი შეუწყვია საქართველოს მაშინდელ მწიგნობართუხუცესსა და დავით აღმაშენებლის გაბედული სახელმწიფოებრივი და კულტურული მოღვაწეობის თანამზრახველსა და დაუღალავ მონაწილეს. ამ „გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა“ ღვაწლი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ვითარცა თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა“-თვის კრებას ძეგლისწერაში მისი მრავალყამიერობაც შეუტანია (ქცბი, II, 71).

ხოლო რუის-ურბნისის კრების ოქმებისა და საზოგადოდ ძეგლისწერისა და მეფისადმი სამადლობელი ქება-დიდების შედგენა, როგორც ჩანს, არსენ მონაზონსა ჰქონია მინდობილი. ის ყოფილა, როგორც ეხლა იტყოდენ, ამ კრების მდივანი. ეს იქითგანა ჩანს, რომ თვით ამ კრების კანონების ბოლოს დართულს დავით აღმაშენებლისადმი დაწერილ მიმართვას სათაურად აქვს „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“-ო, რაც ძეგლის ამ ნაწილის არსენის დამწერლობის მომასწავებელია. მაგრამ რადგან ამ მიმართვასა და ქება-დიდებას უშუალოდ კრების დადგენილებით აღვლენილი მრავალყამიერობა ცოცხალ, ხოლო მიცვალებულ გამოჩენილ მოღვაწეთათვის საუკუნო ხსენებაა მოთავსებული, ამიტომ ეს ბოლო ნაწილიც მთლად ძეგლისწერას ეკუთვნის და იმავე არსენის ნაწერის გაგრძელების შთაბეჭდილებას ახდენს. ძეგლისწერის მთავარი და ამ ბოლო ნაწილების ენის იგივეობა გვაფიქრებინებს, რომ რუის-ურბნისის კრების მდივნად და ძეგლისწერის შემდგენელად სწორედ არსენ მონაზონი უნდა ყოფილიყო.

რუის-ურბნისის კრების დადგენილების დიდმნიშვნელოვანობა თვით მონაწილეთაც ნათლად ჰქონიათ გათვალისწინებული და თანამედროვე თაობასაც კარგად ესმოდა მისი დადგენილებანი და აღწერილი თავისი თვისებებით ყველას მოსწონდა ვითარცა „ძეგლი შუენიერი“, ხოლო ღირსებით რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა ცნობილი იყო როგორც „მომდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა“ (ცა მწესა დწისი, \*524, გვ. 291—292).

ძეგლისწერა ოთხი მთავარი ნაწილისაგან შესდგება, თუმცა თ. ჟორდანიას გამოცემის მიხედვით მხოლოდ ერთს, სახელდობრ მესამე ნაწილსა აქვს განსაკუთრებული სათაური. პირველ ნაწილს შე-

სავალი შეადგენს, იწყება თავითგანვე და თავდება იქ, სადაც საკუთრივ კრების დადგენილება იწყება (ქვბი, II, 56—62). მეორე—სწორედ ამ დადგენილებებს შეიცავს (გვ. 62—68), რომელსაც მესამე ნაწილის სათაურის მსგავსად წითურად ასომთავრულად დაწერილი წინადადება მისდევს „მეფესა და ვითს მონაზონი არსენი“. აქ მესამე ნაწილი იწყება. იგი დავით აღმაშენებლისადმი მიმართულ სამადლობელ ქება-დიდებას წარმოადგენს, როგორც ამ კრების მოწვევისა და ისევე საზოგადოდ მთელი მისი მოღვაწეობისათვის (გვ. 68—70). ამას ბოლოში მისდევს კრების მიერ წარმოთქმული და აღწერილი მეფისა, მისი სახლობისა და გამოჩენილ ქართველ ცოცხალ მოღვაწეთათვის მრავალყამიერი ცხოვრება, ხოლო მიცვალებულთათვის საუკუნო ხსენება. ეს ძეგლისწერის მეოთხე და ამასთანავე უკანასკნელი ნაწილია (გვ. 70—72).

პირველი ნაწილი რთული შედგენილობისაა და ჯერ მსოფლიოსა, ადამიანისა და სარწმუნოების განვითარების შესახებ საზოგადო ფილოსოფიურ მოძღვრებას შეიცავს (გვ. 56—58)), შემდეგ საქართველოს პირველგზისი და მეორეჯერი გაქრისტიანებისა და ქართული ეკლესიის დაფუძნების შესახებ. საუბარი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ისტორიკოსის ეფრემ მცირესგან შექმნილი კონცეპციის მიხედვით (გვ. 58—59). მერმე იმ საეკლესიო კანონმდებლობისა და სამართლის ძეგლების აღნუსხვა მისდევს, რომელთა ცოდნა და „შედგომა“ მართლმადიდებელთათვის სავალდებულოდ იყო მიჩნეული (გვ. 59—60). ამის შემდეგ ბუნებითი და დაწერილი სამართლის განვითარების ზოგადი ფილოსოფიური მოკლე მიმოხილვაა (გვ. 60—61) და სულ ბოლოს რუის-ურბნისის კრების მოწვევის გარემოება და მიზანია აღნიშნული (გვ. 61—62).

ამ პირველ ნაწილს, რომელიც რუის-ურბნისის კრების კანონებს წინ უძღვის და შესავალად აქვს, მკითხველისათვის ის საზოგადო ფილოსოფიურ-უფლებრივი და ისტორიული საფუძველი და მოძღვრება უნდა გაეთვალისწინებინა, რომელზედაც ამ კრების დადგენილების შემადგენელთ თავიანთი კანონმდებლობითი მოღვაწეობა დაუწყარებიათ. იქ ეს პირდაპირ არის კიდევ ნათქვამი და სწერია: „ხოლო ჩუენ ესე ამისთვის მოვიჯსენენით, რათა პირველით განპირისიტყვსა განვმართოთ“-ო (გვ. 60).

საყურადღებოა და აღსანიშნავი, რომ თვით რუის-ურბნისის კრების კანონები, თ. ყორდანის სიტყვით, ხელთნაწერში გარეგნულად მუხლებად არ ყოფილა დაყოფილი და არც სათვალავები ჰქონია: „კანონების თავს მუხლები (ა, ბ, გ და სხვა) ჩვენ დავსხით“-ო (გვ. 62 შენ.), თ. ყორდანის რუის-ურბნისის ძეგლისწერის ტექსტი 15 მუხლად გაუყვია. პროფ. კ. კეკელიძეც ამბობს, რომ რუის-ურბნისის კრებას „დაუდგენია 15 კანონი“ (ქართული ლიტ. ისტ., I, 617). მაგრამ ამ ძეგლისწერაში ეფრემ მცირისეული განკვეთილობისა და სასვენი ნიშნებია ნახმარი და მათი დასმულოების დაკვირვება ტექსტის მუხლებად დანაწილების გაგებას გვიადვილებს. სამუხუხაროდ, არა ჩანს, რომ თ. ყორდანის თავის გამოცემაში ამ ნიშნებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექციოს და სათანადოდ დაეცვას. ამიტომ ეს საკითხი საგანგებოდ ხელთნაწერების მიხედვით უნდა იყოს შესწავლილი.

ამაზე გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა იმ გარემოებასა აქვს, რომ დადგენილების მუხლობრივ დანაწილებას თვით ენაც ამქუდავენებს და ყოველთვის, როცა შინააარსის მხრივ ახალი დადგენილება იწყება, თავში შესაფერისი, ერთგვარად გამომყოფელი და ყურადღების მიმზიდველი სიტყვებია ხოლმე ნახმარი, მაგ.:

§ 1 ასე იწყება: „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელთმთავრობისასა... გავეუთენით“-ო (გვ. 62).

§ 2. „ამასთანავე სულმოკლება იცა კელდასხმათაჲ... დაეკენით“ (იქვე).

§ 3: „ხოლო წესი კელდასხმადთა სრულებისაჲ“ (გვ. 63).

§ 4: „ხოლო ქრთამისა და საფასისასა, რომელსა მიიღებენ კელთდამსხმელნი კელთდასხმადთაგან“ (იქვე).

§ 5: „მერმეცა სამღვდელთა ჰურჰელთა და ღთისადა შეწირულთა სიწმიდედათჳს“ (იქვე).

§ 6: „ამასთანავე ესეცა მოვიხსენეთ“... (გვ. 64).

§ 7: კუალად ამასაც განვასაზღვრებთ, რათა“ (გვ. 64).

§ 9: „შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვგონეთ მოქსენებაჲ“ (იქვე).

§ 11: „ხოლო ერთსა საკურთხეველსა... უამის წირვისაჲ“ (გვ. 65).

§ 13: კუალად განვაწესებთ, რათა“ (გვ. 65).

§ 14: ვინაითგან ესეცა უწესოებაჲ მრავალთა მიერ აღსრულებულად გუეუწყა“ (გვ. 66).

§ 15: „მერმეცა ღთის მოძაგებულისა... ცოდვათა უბილწისისა საძაგებლებისა სოდომელთაჲსა“ (გვ. 66).

ამგვარად ირკვევა, რომ თვითეული დადგენილების გამომყოფელ გამონათქვამებად ძეგლისწერის შემდგენელთ უხმარიათ: ორჯერ „ამასთანავე“ (§§ 2 და 6), სამჯერ „ხოლო“ (§§ 3, 4 და 11), ორჯერ „მერმეცა“ (§§ 5 და 15), ორჯერ „კუალად“ (§§ 7 და 13), თითოჯერ „შემდგომად ამათსა“ (§ 9) და „ვინაითგან“ (§ 14), აღსანიშნავია მეტადრე მუხლის შესავალი წინადადებები: „ესეცა მოვიხსენეთ“, „ამისიცა სათანადოდ ვგონეთ მოქსენებაჲ“, „ამასაცა განვასაზღვრებთ“, „განვაწესებთ რათა“, „ესეცა გუეუწყა“, რომელნიც ახალი საკითხის დასაწყისს უძღვის ხოლმე წინ და ამ გარემოების მომასწავებელია. ყოველი ახალი საკითხი კი თავის მხრით შეიძლება მუხლებად იყოს დაყოფილი.

ამ დაკვირვების შემდგომ საფიქრებელია, რომ § 5 უნდა ორ მუხლად გაიყოს, რომელთაგან პირველი ნაწილი სამღვდელთა ჰურჰელთა და შეწირულებათა ხელუხლებლობის საზოგადო დაკანონებას შეიცავს, მეორე ნაწილი კი იწყება „ხოლო“-თი, რომელსაც წინ: სასვენინიშანი უზის, და ამ დადგენილების დამარღვეველთათვის დაწესებულ სასჯელს შეიცავს (იხ. გვ. 65—64, § 5). ამგვარადვე საფიქრებელია, რომ ძეგლისწერის შემდგენელთ § 6 ორ მუხლად ჰქონიათ ნაგულისხმევი და პირველი ნაწილი გვირგვინ-

თა კურთხევის საზოგადო წესებს შეიცავს, მეორე კი, რომელსაც თავში ამნაირადვე „ხოლო“ უძღვის და წინ: სასვენი ნიშანი უზის, გვირგვინთა კურთხევის შემდგომად მიღებულ წესებს ეხება. შესაძლებელია ამ დადგენილებათა დამარღვეველთათვის სასჯელის შესახები ცნობაც ცალკე წად იყოს ნავარაუდევო, რადგან იგიც, ნიშნითა და „ხოლო“-თი არის წაძღვანებული (გვ. 64).

აღსანიშნავია, რომ სამს (§§ 8, 10 და 12) მუხლს თავში დაბეჭდილი ტექსტიდა მიხედვით მაინც არავითარი ზემოაღნიშნულის მსგავსი გამომყოფელი გამონათქვამი წინ არ უძღვის, მაგრამ ჯერ გამოსარკვევია, იმთავითვე ასე იყო, თუ შემდეგში გადამწერთაგან იქმნა გამოტოვებული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ძეგლისწერის პირუანდელი სახე დამახინჯებული ჩანს და ჯერ კიდევ აღდგენა სჭირდება, მაგრამ ზემონათქვამის შემდგომ მაინც საფიქრებელია, რომ ტექსტი 17 წად არის ნაგულისხმევი.

კრების კანონებრივი დადგენილებანი მხოლოდ თავშია შინაარსისდა მიხედვით დალაგებული, მერმე კი ეს აღარ არის დაცული.

რუის-ურბნისის 1103 წ. კრების ძეგლის-წერა ქართული საეკლესიო სამართლის საუცხოო ძეგლია და როგორც შინაარსით, ისევე გარეგნულადაც საინტერესო ნაწარმოებია და ძვირფას ცნობებს შეიცავს ქართული საერო სამართლის ისტორიისათვისაც. ამ ძეგლის შესახებ დაწერილი აქვს მონოგრაფია ნ. ურბნელს „ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, ძეგლისწერა“ (იხ. გვ. „ივერია“, 1888, №№ 38, 46, 47, 75, 270 და 271).

## **ბ. 1268 წ. ახლო დროის საქართველოს საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება**

თ. ჟორდანიამ თავისი „ქრონიკები“-ს II წიგნში XIII ს. საეკლესიო კრების დადგენილება მისგან ნაპოვნი XVII ს. პირის მიხედვით დაბეჭდა. ამ ძეგლის ტექსტი აქა-იქ დამახინჯებული ჩანდა. 1925 წ. გ. გოზალიშვილმა საქართველოს ცენტრარქივში ამ ძეგლის ტექსტი „XIII საუკუნის ლამაზი მხედრული ხელით“ ქალაღზე დაწერილი იპოვა და „საისტორიო მოამბის“ 1925 წ. I წიგნში პატარა გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა (გვ. 219—224). ამ ხელთნაწერის „დასაწყისი დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა არ იკითხება“, მაგრამ გ. გოზალიშვილის აზრით ამ ადგილს „აღბად იგივე უნდა წერებულყო, რაც ჟორდანიას მიერ დაბეჭდილში, რადგან ტექსტი სხვაში ერთმანეთს ეთანხმება“-ო (იქვე, გვ. 219). საქმე ისაა, რომ იმ XVII ს. პირშიაც, რომელიც თ. ჟორდანიას ხელთ ჰქონია, ამ ძეგლს თავი და დასაწყისი არ უჩანს. ამიტომ ცხადია, რომ იმ ხელთნაწერს, რომლითგანაც XVII ს. პირი გადმოუღიათ, თავი დაზიანებული ჰქონია და ამის გამო ვერც ეს პირი ავსებს იმ დანაკლის ნაწილს, რომელიც მას თავში აქვს. ამ გარემოების გამოა, რომ ამ საბუთის როგორც დაწერილობის თარიღი, ნამდვილი შემდგენელისა, ისევე იმ ზეფის სახელი, რომლისადმიც ეს მოხსენება და დადგენილება მიმართული ყოფილა, ძეგლის დაცული ტექსტიდან არა ჩანს და გამოსარკვევია.

გ. გოზალიშვილს ნათქვამი აქვს: მის მიერ ნაპოვნი „დედანი უნდა წარმომდინარეობდეს საკათალიკოზო არქივიდან, მაშასადამე, რადგანაც საბუთი

წარმოადგენს საეკლესიო ყრილობის მომართვას მეფისადმი, ამიტომ არსებობდა ეს არ უნდა იყოს თვით ის საბუთი, რომელიც მეფეს წარედგინა, არამედ მისი პირი, საკათალიკოზო არქივში დაცული“-ო (იქვე, გვ. 219). სწორი მსჯელობაა, რამდენადაც ეს ხელთნაწერი არ შეიძლება მეფისადმი მიერთმეულ საბუთად მიჩნეულ იქმნეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ამ საეკლესიო კრების დადგენილების არც ის ნუსხა-დედანი უნდა იყოს, რომლისგანაც კაიხელად გარდნაწერს მეფეს შიართმევედენ. ამ გარემოებას ტექსტის შეცდომები ცხადპყოფენ. ის უნდა მართლაც მხოლოდ პირი იყოს, ეგების XIII საუკუნისა.

საფიქრებელია, რომ ამ ძეგლს თავის გარდა ბოლოც აკლია. მართალია კრების თვით დადგენილების ტექსტი დამთავრებულ შთაბეჭდილებას ახდენს და დანაკლისი არ ემჩნევა, მაგრამ დაუჯერებელია, რომ დადგენილების ბოლოში ამ საეკლესიო კრების თავმჯდომარესა და მთავარ ხელმძღვანელთ ხელი არ მოეწერათ. მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები იყო მისი დადგენილება, რომ ხელმოუწერელი წარედგინათ მეფისათვის. ამიტომ უეპველია ამ ძეგლს ბოლოც უნდა აკლდეს.

ეს ძეგლი საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებას შეიცავს საეკლესიო მამულების სახელმწიფო ხელისუფლებისაგან სხვებზე გაცემის გამო და მას ჩვენი ქვეყნის როგორც სოციალური, ისევე ეკონომიური ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე იგი ფრიად საგულისხმო ცნობებს შეიცავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის X—XIII სს-ში არსებული უფლებრივი დამოკიდებულების გასათვალისწინებლადაც.

ტექსტის დასაწყისის დაზიანებების გამო, როგორც აღნიშნული იყო, ამ საეკლესიო კრების ძეგლისწერის თარიღი გამოსარკვევია. თ. ჟორდანი, ამ ძეგლის პირველი მპოვნელ-გამომცემელი, თავის საბოლოო დასკვნაში ულუ-დავითის დროისად სთვლიდა, მაგრამ თარიღი დაახლოვებითაც განსაზღვრული არ აქვს (ქკბი, II, 184). ამ ძეგლის მეორეჯერ ხელთნაწერის მიხედვით დამბეჭდავი გ. გოზალიშვილი ამ კრების დაახლოვებით დათარიღებას შეეცადა. მისი სიტყვით მატიანეში ნათქვამია, რომ „ყამსა სიბერისა მისისასა (ულუ-დავით) არა მართლად ვიდოდა წინაშე ღვთისა და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა საეპისკოპოზოთა“ და სხვა იმგვარადვე, როგორც ქართველ ქამთა აღმწერელსა აქვს მოთხრობილი. ამ ამონაწერის თანახმად გ. გოზალიშვილის სიტყვით „საგულისხმებელია, რომ ულუ-დავითი იმულებული ყოფილა ამ ზომისთვის მიემართა ყამსა სიბერისა მისისას, მისი შვილის გიორგის სიკვდილის წინ ახლო ხანებში“. ხოლო რაკი გიორგი უფლისწული 1268 წ. გარდაიცვალა, „ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საეკლესიო (ალბათ კათალიკოზთან) შეკრებლობა, რომელიც მეფეს განსაზღვრულ მოთხოვნილებას უდგენს, უნდა შემდგარიყო დაახლოვებით 1266—1268 წლებში. ჩვენი საბუთიც ამ დროს უნდა იყოს დაწერილი“-ო (საისტ. მოამბე, 1925, I, 224).

თვით ქლ ქამთა აღმწერელის ეს სიტყვები სიბერის ყამის შესახებ იმდენად მეფე ულუ-დავითს არ ეხება, რამდენადაც სოლომონს. მართალია, ჩვენი ისტორიკოსის მოთხრობა აქ ცოტა დაზიანებული უნდა იყოს და ერთი, ან ორიოდ სიტყვა მის წინადადებას უნდა აკლდეს, მაგრამ მისი აზრის გაგება

ნაინც ადვილია. ეს ამ თ ა ა ლ მწ ე რ ე ლ ს ნათქვამი აქვს: „ხოლო თ ქ მ უ ლ არ ს ესეცა, ვითარ ბრძენისა სოლომონისათჳს წერილ არს ესმისა სიბერისა მისისა არა-მართლად ვიდოდა წინაშე ღთისა და მძლავრებისაგან თათართა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსთა“ და სხვა (\*851, გვ. 696). გულდასმითი გადაკითხვა ყველას აგრძნობინებს, რომ „ვიდოდა წინაშე ღთისა“-სა და „და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან-ს“ შორის ტექსტს რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს და მის გამო ამ წინადადების აზრის ბუნებრივი მიმდინარეობა და განვითარება დარღვეულია. ამას გარდა, ცხადია სიტყვები „ესმისა სიბერისა მისისასა არა მართლად ვიდოდა წინაშე ღთისა“ სოლომონს ეხება და ეკუთვნის და არა ულუ-დავითს. მართლაც სოლომონ ბრძენის შესახებ დაბადებაში, მეფეთა წიგნში წერია („წერილ არს“), რომ სოლომონ მეფე დედათმოყვარე გახდა, ბევრი ცოლი შეირთო და მრავალრიცხოვანი საყვარლები მოიყვანა, თანაც დამატებულია, რომ ეს „იქმნა ესმისა შინა სოლომონის სიბერისა“ (3 მეფეთა, XI, 1—5). გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართულ თარგმანშიაც ნათქვამია, რომ სოლომონის დედათმოყვარეობა და კერპთმსახურება „იყო დღეთა სიბერისა მისისათა“, როდესაც ის „არა ვიდოდა შემდგომად უფლისა, ვითარცა დავით მამა მისი“-ო (სვ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი ს გამოც. 93—94). ესამთაღმწერლის შედარება იმაზეა დამყარებული, რომ როგორც სოლომონზე საღმრთო წერილში სწერია სიბერის დროს სწორე ღვთისნიერ გზას გადაცილდაო, ისევე ულუ-დავითზეც თქმულა, რომ საეკლესიო ქონების გაცემით სწორ („მართალ“) გზას გადაუხვიაო.

მაგრამ ესამთაღმწერლის ამ შედარების მეორე ნაწილის დასაწყისი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დაზიანებულია და დაკარგული. ჯერ ერთი წინადადების ამ მეორე ნაწილს უნდა აკლდეს სიტყვები „ესრე სახედ-ვე“ ან „ესრეთ-ვე“, ან და ამის მსგავსი სხვა რომელიმე გამონათქვამი,—ეს ცხადი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ წინადადების პირველი ნაწილი და შედარება იწყება სიტყვით „ვითარ.“ შემდეგ „ესრე სახედ-ვე“-ს, ან ამის მაგვარ გამონათქვამს უშუალოდ ვერ მიჰყვებოდა სიტყვები „და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან“, რადგან კავშირი „და“ ცხადპყოფს, რომ მძლავრების გარდა თათართაგან ულუ-დავითის უცალო ქმნილობის სხვა მიზეზიც ყოფილა დასახელებული. როგორი გამონათქვამი იყო ამ პირველი მიზეზის დასახასიათებლად, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, მაგრამ დაზიანებული ტექსტის აღდგენა ამავე ისტორიკოსის მსგავსი ადვილის მიხედვით შეიძლება, სახელდობრ იმ ცნობის მიხედვით, სადაც ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელის განდიდების მიზეზი და პირობებია მოხსრობილი, რომ თათართა წყლის ღობეზე, „სიბა“-ზე ყოველწლიურმა გამგზავრებამ ულუ-დავითი თავის სახელმწიფოს ჩამოაშორა და ამ გარემოებამ ვაზირთა-უპირველესი დამოუკიდებელ და თვითნება მბრძანებლად აქცია. ისტორიკოსს ნათქვამი აქვს თათართა „საქმეთაგან“ მოუცლელობის გამო. ზემომოყვანილი დაზიანებული წინადადებაც ამისდაგვარად ასე შეიძლება აღდგენილ იქმნეს: „ესრეთვე მეფემან საქმეთა და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა“-ო.

ულუ დავითისაგან საეკლესიო მიწების გაცემის მომთხრობელ წინადადებას უშუალოდ მისი ამისთვის ღვთისაგან დასჯილობის ამბავი მოსდევს,



რომელიც აგრეთვე თავში ოდნავ დამახინჯებულია. ტექსტი მარიამ დედოფლისეულ ხელთნაწერში ამჟამად ასე იკითხება: „და მძლავრ სიბერესა შინა ვითარ სოლომონისა ამისთვის სწვრთნიდა ღმერთი არა ჩვენებითა, არამედ შევნიერებითა ძისა მისისითა სიკუდილსა გლოვითა“-ო (\*851, გვ. 696). საფიქრბელია, რომ თავდაპირველად ჩვენს ისტორიკოსს ასე უნდა ჰქონოდა: „და ამისთვის მძლავრსა სიბერესა შინა ვითარ სოლომონსა სწვართიდა ღმერთი არა ჩვენებითა, არამედ მშვენიერისა ძისა მისისა სიკუდილისა გლოვითა“. ამ შედარების გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ დაბადებაში შეტანილი ცნობის თანახმად, სანამ სოლომონი სიბერეში ჩადენილი ცოდვებისათვის დაისჯებოდა, ღმერთმა ორჯერ „ჩვენებით“ მისი სწორ გზაზე დაბრუნება სცადა.

ქამთაალმწერელი ქართველ მკითხველს ამცნობს, რომ დავით მეფის მორაჯულება ღმერთს „ჩვენებით“-კი არა, არამედ საყვარელი და მშვენიერი შვილის უდროო სიკვდილით უნდოდა, მაგრამ ვერც ამან მოიყვანა გონსაო.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ თუ ქამთაალმწერლის პირველ წინადადებაში სიბერის შესახები ცნობა სოლომონ ბრძენს ეხება, მეორე წინადადებაში ნახშიარი სიტყვა ულუ-დავითს უნდა ეხებოდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ულუ-დავითი ნამდვილ სიბერეს არც მოსწრებია, რადგან, როდესაც ის მუცლის სნეულებისაგან გარდაიცვალა, მით უმეტეს როცა შვილი მოუკვდა, მხოლოდ შუახნის, ან ხანში შესული კაცი იყო: 1266 წელს ის სულ ბევრი 50 წლისა იქნებოდა. ამ ხნის ადამიანს-კი მაშინ, როცა ეხლანდელზე გაცილებით უფრო მეტი დღეგრძელობა იყო, შეუძლებელია ბებერი სწოდებოდა. ამიტომ თითქოს ისე გამოდის, რომ ქამთაალმწერელს დავით მეფის სიბერე უფრო სოლომონ ბრძენის თავგადასავალთან მსგავსების გამაძლიერებელ ღონეობად უნდა ჰქონდეს გამოყენებული, ვიდრე საქმეთა ნამდვილი ვითარების გამომხატველად. მაინცდა-მაინც ჩვენს ისტორიკოსს ულუ-დავითის სიბერე შვილის დაკარგვის დროსა აქვს მოხსენებული, ამიტომ საეკლესიო მიწების გაცემისა და ღვთის რისხვას შუა არც ისე ცოტა ხანია საგულისხმებელი.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ საეკლესიო მიწების გაცემა, ანუ ეგრეთწოდებული „შლა საყდართა“ ულუ-დავითის სიბაზე სიარულს შემდგომ დაიწყო ე. ი. 1263 წ-ს. ამაზე უწინარეს საეკლესიო კრება, მაშასადამე, არ შეიძლება რომ ყოფილიყო. მეორეს მხრით, როგორც გოზალიშვილიც ფიქრობდა, გიორგი უფლისწულის სიკვდილის უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ მარტო იმიტომ-კი არა, რომ ქლი ქამთაალმწერელი ამ სიკვდილს ღვთის სასჯელადა სთვლის (XIV ს. ისტორიკოსს აქ შეიძლება ნებისითი თუ უნებლიეთი ანაქრონიზმი ჰქონდეს), არამედ იმიტომ, რომ საეკლესიო კრების ძეგლისწერაში ამის არავითარი კვალი არ ჩანს.

ეხლა ის გარემოებაც არის გასათვალისწინებელი, რომ საეკლესიო მიწების გაცემა ეკლესიისათვის იმდენად მნიშვნელოვანი და თავისი მოულოდნელობით განსაკუთრებით სახიფათო მოვლენა იყო, რომ სრულებით დაუჭრებელია სამღვდელეობას ამ გარემოებისათვის მაშინვე ფიცხელი წინააღმდეგობა არ გაეწია ამის გამოსაფიქრებელია, რომ საეკლესიო კრება 1263 წ. შემდგომ სულ ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო მოწვეული.

C. „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა<sup>2</sup> მიერ“

ასეთი სათაური აქვს იმ ძეგლს, რომელსაც მისი 1913 წ. გამომცემელი ს. კაკაბაძე და პროფ. კორ. კეკელიძე რატომღაც უწოდებენ „სამართალი კათალიკოზისა“ (ს. კ. „სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო“; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტ., I, 617). უკანასკნელი „საკათალიკოზო კანონები“-ს სახელითაც-კი იხსენიებს (იქვე). ამ ძეგლის შესავლითგან-კი ცხადადა ჩანს, რომ მხოლოდ ვახტანგ მეფის საკანონმდებლო კრებულში დაცული ზემომოყვანილი სათაური შეიძლება ნამდვილ და სწორ სათაურად ვიცნათ. ამ ძეგლის შესავალში, რომელიც XVIII ს. უცნობ კოდიფიკატორს. ნეცდომით პირველ წ-ად მიუჩნევია და აღუნიშნავს და ს. კაკაბაძესაც ასევე გამოუცია, შემდეგია ნათქვამი: „სახელითა ღთისათა მე ქვეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქვეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემოს დავსკედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი. დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწესობა და უჭერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრებვა და უხვედრობა. დავიდევით სჯულისკანონი და ჩუენცა იმისგან გამოვიღეთ, და რაც იმისგან არ გამოვიღევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგვიმატებია რა და სჯულისკანონიც ასე ბრძანებს“-ო. ამ შესავლითგან ირკვევა, რომ ამ საკანონმდებლო ძეგლის შემდგენელი ერთი კათალიკოზი კი არ ყოფილა, არამედ მართლაც კათალიკოზნი და აფხაზეთის სამწყსოს ეპისკოპოზთა კრება და ამიტომ მის სათაურად შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“.

ბატონიშვილს ვახუშტს ეს ძეგლი XVII ს. დამდეგს მიაჩნდა შედგენილად, რაც აკად. მ. ბროსეს მიერ უარყოფილ იქმნა და ევდემოს კათალიკოზი 1578 წ. გარდაცვლილ ევდემოს ჩხეტიძედ იქმნა აღიარებული (H. d. la G, II. I. II. 437—8). ს. კაკაბაძემ ამ კრების მონაწილე კათალიკოზ-ეპისკოპოზთა ზეობის წლებისდა მიხედვით ეს „სამართალი“ 1544—62 წ-ში შედგენილად აღიარა (იხ. მისი ზემოდასახ. გამოცემის გვ. 8—10).

პროფ. კ. კეკელიძე მალაქიას 1531—49 წ. კათალიკოზობისა და ევდემოს I ჩხეტიძის 1543—78 წ. კათალიკოზობის გამო ამ ძეგლს 1543—49 წ. შედგენილად სთვლის (იხ. ქართ. ლიტ. ისტ. I, 617—618) და ეს დათარიღება უფრო ზედმიწევნითია.

ეს ძეგლი ჭერჭერობით შესწავლილი არ არის. მხოლოდ ნ. ურბნელსა-ჰქონდა დაბეჭდილი მონოგრაფია „ჩენი საეკლესიო ისტორიიდან, სამართალი კათალიკოზისა“ (მოამბე, 1898 წ. №№ 3 და 4). ს. კაკაბაძე ამ ნაწარმოების დათარიღების გარდა სხვას არაფერს შეჰხებია. პროფ. კორ. კეკელიძეს ალბათ ამ ქართული გამოცემის არსებობა გამოჰპარვია და ვახტანგის კანონების კრებულის ფრენკელის უვარკისი რუსული თარგმანის მიხედვით აღნიშნული აქვს მხოლოდ ამ ძეგლის მოკლე შანაარსი და 22 მუხლიანობა (ქართ. ლიტ. ისტ., I, 618).

კათალიკოზთა სამართლის წიგნის ტექსტის პირვანდელი სახე დამახინჯებული ჩანს. ჭერჭერობით მისი დედანი ვახტანგ VI კრებულის გარეშე არსად.

<sup>2</sup> ჩემს 1794 წ. ხელნაწერში სწერია „კრებათა“.

ცალკე არ იბოვება, ამ კრებულში შეტანილი ტექსტი კი სისწორით გადმოწერილი არ არის. საკმარისია მაგ. აღამიანმა ამ ძეგლის ხელრთვას მიაქციოს ყურადღება, რომ ეს გარემოება მისთვის ცხადი შეიქმნას. როგორც ამ სამართლის წიგნის შესავლითგანა ჩანს, კანონმდებელი კრების პირველ მონაწილედ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია ყოფილა, ბოლოში დართული ხელრთვა-კი რომ გადაიკითხოთ, იქ მალაქიას ხელისმოწერას ვერ იბოვით. შემდეგ აფხაზეთის კათალიკოზის ხელრთვაც უსახელოდ არის შენახული და სწერია მხოლოდ „მე აფხაზეთის კ“ზი კანონითა ვამტკიცებ“-ო. ცხადია სახელი გამორტოვებულია. ამგვარადვე უსახელოდ არის ვახტანგ VI კრებულში ჭყონდიდელისა, ბედიელისა და მოქუელის ხელრთვა და ნათქვამია მართო: „მე მამა[თმთავარი?] ჭყონდიდელი კანონითა ვამტკიცებ, მე ბედიელი მიტროპოლიტი კანონითა ვამტკიცებ, მე მოქუელ მთავარეპისკოპოსი კანონითა ვამტკიცებ“-ო დანარჩენი მონაწილე მწყემსმთავარების, — დრანდელისა, ცაგერელისა, ზონელისა<sup>3</sup>, ნიკორწმიდელისა და ჩაიშელის ხელრთვა—კი სრულად არის დატული.

კათალიკოზთა სამართლის წიგნის ტექსტი ვახტანგ VI კრებულში წ-ებად არის დაყოფილი და სულ 23 წ-ია. ასევეა ს. კაკაბაძის გამოცემაშიც დაბეჭდილი, მაგრამ პირველ მუხლად შეცდომით შესავალია ჩათვლილი, რომელშიაც მხოლოდ საკანონმდებლო კრების მოწვევის მოთავენი თავიანთ თავს ასახელებენ და მკითხველს ამ კრების მიზეზსა და მიზანსაც ამცნებენ. რამდენადაც აქ კანონის არავითარი დადგენილება არ არის და მხოლოდ მისი შესავალია, მისი კანონის წ-ად ჩათვლა მართებული არ არის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუხლების სათვალავები კოდიფიკატორის საქმე უნდა იყოს. მას—კი ამ შემთხვევაში წ-ები მექანიკურად დაუსვამს ყველგან, სადაც ხელთნაწერში სტრიქონის პირველი სიტყვა, ან სიტყვის პირველი ასოც კი წითურად იყო დაწერილი.

ამ სამართლის წიგნის გულდასმით შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ მის შემდგენელთ კანონების ტექსტი ჯერ შინაარსის მიხედვით რამდენიმე მთავარ ნაწილად დაუყვიათ, ხოლო ზოგი ნაწილთაგანის ტექსტი რამოდენიმე მუხლად არის ნაგულისხმევი. ეს გარემოება ჩვენთვის ცხადი შეიქმნება, თუ ერთის მხრით შესავლის ცნობას დავაკვირდებით, მეორეს მხრით თვით კანონების ზოგი მუხლის დასაწყის სიტყვებს მივაქცევთ ყურადღებას. შესავალში ნათქვამია, რომ „მრავალი უწყისობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრებვა და უხვედრობა“ და სჯულისკანონის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი დავადგინეთო. ამ შესავალს უშუალოდ, მაგრამ ახალი სტრიქონითგან მისდევს „რამანც კაცმან კაცი გაყიდოს“ ეს და ეს სასჯელი მიესაჯოსო. ეს მუხლი ხელთნაწერებში ამჟამად მე-2 წ-ად არის აღნიშნული, მაგრამ ნამდვილად პირველ წ-ად გამოდის.

ამ მუხლს მისდევს „ეკლესიის მკრეხველთათვის ესე განგვიწესებია“-ო და შემდეგ მკრეხველობის ორნაირი შემთხვევაა დასახელებული,—ეკლესიის გატეხა და ხატის გაცარცვა ერთის მხრით, მეორეს

<sup>3</sup> ს. კაკაბაძის გამოცემაში ზონელის ხელრთვა არ არის, მაგრამ ჩემს ვახტანგ VI კრებულის 1794 წ. ხელთნაწერშია, და იქ ან თვით გამოცემულს უნდა გამორჩენილა, ან იმ ხელთნაწერს, რომლის მიხედვითაც მას გამოცემული უნდა ჰქონდეს.

მხრით ეკლესიითგან რაიმე ნიეთის („საქონლის“) მოპარვა — და ორივესთვის ცალცალკე სასჯელია დანიშნული.

მერმე ორი § მკველელობას ეხება და ერთი § ქურდობას. ამ მუხლებს ზემომოყვანილის მსგავსი წინამძღვარი სიტყვები არა აქვთ. მაგრამ ამ სამი მუხლის შემდგომ კვლავ ნათქვამია: „ეპისკოპოზისა საქმე ასე<sup>4</sup> გაგვიჩენია და გავაჩინეთ“-ო და ამას 9 § მისდევს, რომლებშიაც ეპისკოპოზისა და საეპისკოპოზოს, ან ეპისკოპოზისადმი ჩადენილი დანაშაულობისათვის სასჯელია განჩენილი.

ამის მერმე § 16-ში, რომელიც შეცდომით 17-ად არის აღნიშნული, მეფისადმი ღალატის შესახებაა საუბარი, მომდევნო §-ში კათალიკოზისა და ეპისკოპოზის გინებაზეა. შემდეგ §-ში ისევ ეპისკოპოზის დანაშაულობაზეა საუბარი. რაკი მთელი ძეგლის მუხლები შინაარსის მიხედვით არის დალაგებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ეს § „ეპისკოპოზისა საქმის“ განჩინების ნაწილში იქნებოდა მოთავსებული და მხოლოდ შემდეგში შეცდომით იქნება გადმოსმული. მერმე გამომძიებლისა და მოსამართლის სიმრუდეს ეხება მუხლი და ბოლოს საეკლესიო მამულების მიმტაცებლობისათვის განკუთვნილი სასჯელია განჩენილი.

ამ მუხლის შემდგომ § კბ, ანუ 22-ედ (ნამდვილად § 21 გამოდის) აღნიშნულ ნაკვეთში შემდეგია ნათქვამი: „ვინცა ეს მოციქულთა და წმიდათა კრებათაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული სჯული და წიგნი გაათაოს, კურთხევა ღმრთისა, უბიწოდ მშობელისა მისისა და წმიდათა კრებულთაგან და წმიდათა მოციქულთა და ყოველთა წმიდათაგან ვინცა ეს დაამტკიცოს, ლოცვა-კურთხევით და მშვიდობით იყოს თავითა, ცოლითა, შვილითა, სახლით, მამულით, აგარაკით რაც ღმრთსა კაცისათჳს კეთილი დაებადოს ყოვლითა კეთილითა აღსავსე იქმნეს, ლოცვა-კურთხევით და შენდობით ამყოფოს. ვინცა ამ წმიდათა კრებათა [და] მოციქულთაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული [და] რომელმანცა არ შეიწყნაროს და კათოლიკეს საყდარზედ დასმულსა წინააღუდგეს და ჩუენი მცნება არ დაიმარხოს კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა წმიდათა კრებულთაგან, წმიდათა მოციქულთაგან და ყოველთა წმიდათაგან, შე-მცა-ექნების (ედების?) ძრწოლა კაენისა, შინთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, მოშთობა გმირთა, დაწევა სოდომელთა, კეთრი გეზისა, დანთქმა დათან და აბირონისა, სირცხვილი კრისკენტი და თაბინესი და ყოველთა ქრისტეს ურიასმყოფელთა თანამცა არის ნაწილი მისი: —“. ცხადია, ეს ნაკვეთი შინაარსით „კათალიკოზთა სამართლის წიგნის“ დასასრულს წარმოადგენს, რომელშიაც კურთხევაა ამ კანონების დამამტკიცებელთათვის და კრულვაა დამარღვეველთათვის. თავისი სიტყვიერი შედგენილობითა და გამონათქვამებით იგი სიგელთამცოდნეობაში კარგად ცნობილს სიგლის მეხუთე ნაწილს უდგება, რომელსაც „ბრალთა-დამხდელთა და კურთხევა“ ეწოდებოდა (იხ. ამის შესახებ ჩემი „ქლი სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 108—112). რაკი ეს ნაკვეთი კონკრეტული დანაშაულობის შესახებ არავითარ დადგენილებას არ შეიცავს და მხოლოდ საერთო ხასიათის კურთხევასა და კრულვას წარმოადგენს, ამიტომ მისი კანონის მუხლად მიჩნევა არ შეიძლება, და არც რაიმე სათვალავი უნდა

<sup>4</sup> ხელთაწერშია „ეს“.

ქონდეს: იგი ამ ძეგლის დასასრულია, იმგვარადვე როგორც თავში მოქცეული ნაკვეთი, როგორც დავრწმუნდით, § 1-კი არ არის, არამედ შესავალი.

კათალიკოზთა სამართლის წიგნის ამ კურთხევა-კრულის შემცველი საერთო დასასრულის შემდგომ მკითხველი მოულოდნელად § კვ (23) პხვდება, რომელშიაც ნათქვამია: „ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან რძალი შვირთოს, შეჩუენებულმცა არის ღთისაგან და მისთა წმიდათაგან და შვიდთა კრებათა [და] წმიდათა მოციქულთაგან, კაცი-ცა და დედაკაცი-ცა გაღმა-გამოღმა დაკირონ. დამკირაენი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულ იყვენენ“-ო. ბუნებრივად იბადება აზრი, თითქოს ეს მუხლი მერმინდელი დანართი იყოს და ამ ძეგლის პირვანდელ შედგენილობას არ ეკუთვნოდეს, რათგან ის ამ სამართლის წიგნის დასასრულის შემდგომ არის მოთავსებული.

ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა გათვალისწინებული გვექონდეს შესავალში აღნიშნული ყველა ის უწყსოება და უჭერო საქმე, რომლის ამოსაფხვრელად ან ასალაგმავად საკანონმდებლო კრების მიერ კათალიკოზთა სამართლის წიგნი იქმნა შედგენილი. თუ იქ უკანასკნელ, მერმინდელ დანართად მისაჩნვე, მუხლში დასახელებული დანაშაულობა არ იხსენიება, მაშინ მისი დანართად ცნობა მართებულიცა და სწორეც იქნება. მაგრამ სწორედ ამ შესავალში უწყსო და უჭერო საქმეთა შორის უკანასკნელ ადგილას „უხუედრობა“ არის დასახელებული. რძალის შერთვაც ნამდვილად ამ უხუედრობის ერთი შემთხვევათაგანია და ამიტომ ამ მუხლის მერმინდელ დანართად მისაჩნვეად შინაარსის გამოყენება არ შეიძლება და ერთადერთ საბუთად მისი უადგილო მდებარეობა რჩება, რადგან ძეგლის დასასრულის შემდგომ არის მოთავსებული. ეს გარემოება-კი შეიძლება ტექსტის მერმინდელ გადაწყურთაგან აღრევიდა და ამ მუხლის გადასმულობით აიხსნებოდეს. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად იგი კათალიკოზთა სამართლის წიგნის უკანასკნელი მუხლი იყო და ამ ძეგლის დასასრულს წინ უძლოდა.

ამნაირივე მერმინდელი დანართობის ექვის აღმძვრელია კრების მონაწილეთა ხელრთვის შემდგომ მოთავსებული მუხლი „რომელმან უბრალოდ ცოლი დაადოს, შეჩუენებულმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიოეს“-ო, ამ მუხლის ადგილმდებარეობაც მისი დანართობისა და მერმინდელობის მომასწავებელია და ის ყოვლად მოულოდნელი სიმკაცრეც, რომელიც ამ დანაშაულობისთვის დაწესებულ სასჯელში მოჩანს: ცოლის დაგდებისათვის სიკუდილის განჩენა იმ კანონმდებელი კრებისაგან, რომელმაც ძმისა და თვით მამის მკვლელობისათვისაც-კი მხოლოდ ხელის მოკვეთა და მამულისაგან გაძევება დააწესა (იხ. § ე), სრულებით დაუჭერებელი რამეა. მართალია § კვ-ად აღნიშნულ მუხლშიაც სასჯელი მეტად მკაცრია დადებული („დაკირვა“), მაგრამ საუბარი რძლის შერთვაზეა, რაც სქესობრივი აღრევის თანასწორად ითვლებოდა და ქართული ხალხური ზნე-ჩვეულებითაც სწორედ ამნაირივე ძალიან მკაცრი სასჯელი, ჩაქოლვა არსებობდა ისე, რომ ხალხური ზნე-ჩვეულებისა და უწყლებრივი აზროვნების გავლენა უნდა იყოს. უკანასკნელი §-ის შესახებ-კი ამის თქმა არ შეიძლება და ვითარცა მთელი ძეგლის საერთო ხასიათთან შეუთანხმებელი და კრების მონაწილეთა ხელრთვის შემდეგ მოთავსებული მერმინდელ დანართად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ კათალიკოზთა სამართლის წიგნის ტექსტი პირვანდელი სახით შენახული არ ყოფილა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ძეგლის კანონები შინაარსის და მიხედვით არის დალაგებული და ჯერ კაცის ყიდვაზეა საუბარი, შემდეგ ეკლესიის მკრეხველთათვის 2 წ-ია განკუთვნილი, მერმე მკვლელობის შესახები ორი მუხლია, შემდეგ ქურდობის შესახები 1 მუხლი მისდევს. მერმე ეპისკოპოზისა და მის შესახები დანაშაულობების შემცველი ცხრა მუხლია მოთავსებული ერთად და აქვე უნდა ყოფილიყო თავდაპირველად აქამად § 19 აღნიშნული და თავის ალაგითგან ალბათ შემდეგში გადასმული მუხლი ეპისკოპოსისაგან უღირსი მღვდლისა და დიაკონის კურთხევის შესახებ. ამნაირად ეს ნაწილი სულ 10 მუხლის შემცველი უნდა ყოფილიყო. მერმე მეფის ღალატის შესახები 1 წ-ია და კათალიკოზ-ეპისკოპოზისადმი მიყენებული უკადრისობის შესახები მუხლია, შემდეგ, მრუდსა და პირმოთნე მოსამართლეზეა და აქამად უკანასკნელ მუხლად საეკლესიო მამულების მიმტაცებლების შესახები სასჯელია განჩენილი. ხოლო თავდაპირველად ეს ძეგლი ალბათ იმ უხვედრობის შესახები წ-ით თავდებოდა, რომელიც ეხლა § 21-ად ითვლება.

ამას გარდა საყურადღებოა, რომ ეკლესიის მკრეხველობისათვის განკუთვნილ ორ მუხლს წინ უძღვის „ეკლესიის მკრეხველთათვის ესე გაგუიწესებია“-ო და ამნაირადვე ეპისკოპოზისა და ეპისკოპოზისადმი ჩადენილი დანაშაულობის შესახებს 9 მუხლსაც წინ უძღვის „ეპისკოპოზის საქმე ესე გაგვიჩენიდა და გავაჩინეთ“-ო. ცხადია ეს ორი წინამორბედი წინადადება ახალი საკითხის დასაწყისის მომასწავებლად არის გამოყენებული. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ კათალიკოზთა სამართლის წიგნის შემდგენელნი ცდილან ამ ძეგლის შინაარსის სისტემურად დაეღებინათ და თვითოეული ახალი საკითხისათვის წინამორბედი წინადადება დასაწყისის აღსანიშნავად წაუძღვანებიათ. ასეთი წინამორბედი წინადადებები, ან გამონათქვამები, როგორც დავრწმუნდით, რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების ძეგლისწერაშიაც არის ნახმარი და კათალიკოზთა სამართლის წიგნიც ამ მხრით მაშასადამე იმავე ღონეობას მისდევს. ამის გამო საფიქრებელია, რომ ამ ძეგლის თავდაპირველ ტექსტში ახალი საკითხის დასაწყისის მომასწავებელი წინადადებები სხვა ყველა სათანადო ადგილას, სადაც კი ახალ საკითხზე ვადადის კანონმდებლობითი მუხლი და სადაც ვახტანგ VI-ის კრებულის ხელთნაწერებში ამნაირი წინამორბედი წინადადება არ ჩანს, წინათ. უნდა ყოფილიყო და მერმინდელ გადამწერთაგან იქნება გამოტოვებული.

კათალიკოზთა სამართლის წიგნის მოქმედების ასპარეზი თვით ძეგლის შესავალში აღნიშნული არ არის, მაგრამ ბოლოში დართული მღვდელთმთავართა ხელის მოწერა ცხად ჰყოფს, რომ იმერეთის სამეფოთი, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრებით შემოფარგლული უნდა ვიგულისხმოთ ის მიწაწყალი და მოსახლეობა, რომლისთვისაც ეს სამართლის წიგნი იყო განკუთვნილი. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა ვითარცა ქართული ეკლესიის უზენაესი საქეთმპყრობელი. აღსანიშნავია, რომ გურიის საეპისკოპოზოს მღვდელთმთავარს ამ კრებაში მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ უეჭველია მისგან შედგენილი ძეგლი ამ სამწყსოს არ ეხე-

ბოდა. კათალიკოზთა სამართლის წიგნი XVI ს. დასავლეთი საქართველოს უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანი ძეგლია და სწორედ სამწუხაროა, რომ მისი ტექსტი ჯერ სათანადოდ გამოცემული არ არის, რათგან ს. კაკაბაძის 1913 წ. გამოცემა ამ ძეგლის უბრალო მექანიკურ ბეჭდვითს გადმოლუბას წარმოადგენს. გამოცემელს იმდენად არ შეუწუხებია თავი, რომ იმ ხელთნაწერის აღნიშვნაც-კი დაჰვიწყებია, რომლის მიხედვითაც ტექსტი არის გამოცემული.

#### D. 1767—8 წ. განჩინება

თავისი მოქმედების ასპარეზისდა მიხედვით საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლადვე უნდა იქმნეს მიჩნეული ის „განჩინება“, რომელიც 1767 წ. ყოფილა შედგენილი და დაბეჭდილი და ანტონ კათალიკოზსა და ერეკლე მეფეს 1768 წ. დაუმტკიცებიათ, თანაც უბრძანებიათ „ეს განჩინება უნდა ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“-ო (თ. ჟორდანიას, Опис., I, 315). ამ განჩინების ტექსტი 13 მუხლისაგან შესდგება და იქ წმინდა საეკლესიო საკითხებს გარდა ქართულ ხალხურ ზნე-ჩვეულებათა, წარმართობის ნაშთისა და სისხლის სამართლის ზოგიერთი დანაშაულობის შესახებ, ისევე როგორც სასჯელთა შესახებაც საგულისხმო ცნობები მოიპოვება. ამ ძეგლის ტექსტი ტ. ს. უ. ხელთნაწერ № 317 (ყოფ. საეკ. მუხ.)-შია დაცული, ხოლო შინაარსი რუსულად გადმოცემულია და ერეკლე მეფის განკარგულება ქართულად დაბეჭდილია თ. ჟორდანიას მიერ (Опис., I, 313—315).

#### § 4. საქართველოს ეკლესიის უპირატესობათა სიმტკიცის წიგნები

საქართველოს ეკლესიას, როგორც რომის ეკლესიას, სახელმწიფო ცხოვრებასა და წესწყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდა მოპოვებული და მინიჭებული, რომელთა წყალობითაც მას მარტო წმინდა საეკლესიო დაწესებულების ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თვისებებიც მოეპოვებოდა. ქართული ეკლესიის ამ უფლება-უპირატესობათა შესახებ მკვლევარი ვერც სჯულისკანონში, ვერც ადგილობითი კრებების ძეგლისწერაში ვერავითარ ცნობებსა და კვალსაც-კი ვერ აღმოაჩენს. ამ ფრიად საყურადღებო საკითხის შესწავლისათვის მკვლევარმა უნდა სიგელ-გუჯრებს მიჰმართოს. ამ შინაარსის საბუთთა შორის ბევრი ქართული ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის ცენტრალური სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ საგულისხმო ცნობების შემცველია, მაგრამ უძველეს ძეგლად, რომელშიაც საქართველოს ეკლესიის უზენაესი საკეთმპყრობელის განსაკუთრებული უპირატესობა საკუთარი ჯარის ყოლისა და საკუთარი სარდლის მეთაურობით ლაშქარ-ნადირობაში განცალკევებული სამხედრო ერთეულის სახით მონაწილეობის უფლებაა აღბეჭდილი, ალექსანდრე მეფის 50 ქრონიკონით, ანუ 1362 წ. დათარიღებული წიგნია. ეს საბუთი ალექსანდრე მეფისაგან არის კათალიკოზ ბასილისადმი ბოძებული და ე. თაყაიშვილის მიერ იყო გამოცემული (სქსქლნი, I, 244—245).

ამ საბუთისადმი მიძღვნილ შესავალში გამოცემელს ნათქვამი აქვს: „მეფე ალექსანდრე 1362 წ. ცნობილი არ არის. შესაძლოა ქრონიკონი შეცდომით

იყოს მოყვანილი და სიგელი ეკუთვნოდეს ალექსანდრე მცხეთის განმაახლებელს 1413—1442. სიგელი გადმოგვცა ვ. გედევანიშვილმა—ო (იქვე, გვ. 244, № 203). ხოლო „საქართველოს საძველეთა“ ამავე I ტომის საძიებლის შენიშვნაში ასეთი განმარტება მოიპოვება: „ამ დროს ქართლში მეფე ალექსანდრე ცნობილი არ არის, ხოლო ამ დროის ახლო ხანებში იმერეთს ცნობილია ალექსანდრე, მეფის ბაგრატ I შვილი, რომელიც ბაგრატ დიდის დროს გამგებლად იყო იმერეთისა, და შემდეგ მეფის სახელსაც ატარებდა, † 1389“—ო (გვ. 497). ეს საბუთი თ. ჟორდანიასაც აქვს სინოდ. კონტორის XVII ს. ზუცურად დაწერილი ნუსხის მიხედვით თავის ქკების II წიგნში დაბეჭდილი 1362 წ. ქვეშე (გვ. 187—188). მასაც აღნიშნული აქვს ის სიძნელე, რომელიც მეფე-კათალიკოზის სახელებისა და საბუთის თარიღის გამო იზადება, მაგრამ XIV ს-ად მიაჩნია (გვ. 187—188).

როგორც ზემომოყვანილ განმარტებათაგან ჩანს, ე. თაყაიშვილი გრძობდა, რომ ეს საბუთი ჯერ კიდევ განსახილველია და მისი მბოძებელის ვინაობაც გამოსარკვევია. რომელი თავის აზრთაგანი მიაჩნია სწორედ, არა ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ საძიებელში მოთავსებული, ვითარცა უკანასკნელი, უფრო სწორედ უნდა ჰქონდეს მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ სიგელი სრულიად საქართველოს მეფისაგან არის ბოძებული, რადგან მისი განკარგულების ასპარეზი იმიერ-ამიერ საქართველოს შეიცავს. ამიტომ ე. თაყაიშვილის მეორე აზრი ძნელი დასაჯერებელია. ამნაირად ისე გამოდის, რომ საბუთი თითქოს ალექსანდრე I დიდის მიერ უნდა იყოს დაწერილი. მაგრამ ალექსანდრე დიდის სიგელებში სხვანაირად იწერებოდა და ამ საბუთში არც მეფისათვის ნახმარი სახელდება—წოდებულება („ჩვენ ჰელმწიფემან მეფემან ალექსანდრემ“), არც სიგლის ბოლოში ნაჩვენები თარიღი და დათარიღების წესი („ქს.: მი“) XIV ს-ისა და ალექსანდრე I-ის სიგელებში მიღებულ წესებს არ უდგება (იხ. ჩემი „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, გვ. 124—126, 126—129 და 130).

ამას გარდა ალექსანდრე დიდის სხვა სიგელებში კათალიკოზი ბასილი არც გვხვდება. ერთი გარემოებაა კიდევ აღსანიშნავი: თ. ჟორდანიას მიერ XVII ს. პირის მიხედვით დაბეჭდილს ამ საბუთის ტექსტში მერმინდელ მეფეთა დამტკიცებულობის ხელრთვა სრულებით არა ჩანს (ქკები, II, 188) და ე. თაყაიშვილისგან გამოცემული ამ საბუთის დედანიც, რომელიც ვ. გედევანიშვილს გადაუცია, მხოლოდ ერეკლე მეფის 1769 წ. დამტკიცებულობის ხელრთვისა და 1770 წ. დამტკიცებასვე შეიცავს დარეჯან დედოფლისასა და ლეონ ბატონიშვილისას (სქს სძვლნი, 1, 244—245). ამნაირად ირკვევა, რომ ეს სიგელი XIV—XV ს. შემდგომ არც ერთი მეფისათვის არ წარუდგენიათ განახლებისა და დამტკიცებისათვის ერეკლე მეფის გარდა, რომელსაც ეს საბუთი XVIII ს. საშობადანო წლებში დაუმტკიცებია. ეს მეტად დამაფიქრებელი და გასაოცარი გარემოებაა, თუ გავიხსენებთ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს სიგელი კათალიკოზისადმი მინიჭებული უფლებების მხრით.

ძველ დროს, მაგ. დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობაში, რამდენადაც მათი ისტორიკოსების თხზულებებითგან ამის გამოჩვენება შეიძლება, არც ერთი ომისა თუ ბრძოლის აღწერილობაში არ ჩანს, რომ კათალიკოზს თავისი ჯარის ცალკე სარდალი ჰყოლოდეს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს



შედარებით მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს. გამოსარკვევია ამ მნიშვნელოვანი უპირატესობის მინიჭებისა თუ გაჩენის თარიღი. ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოდასახელებული ალექსანდრე მეფის 1362 წ. სიგლის სინამდვილეც გამოსარკვევია, რათგან ზემომოყვანილი არა ერთი გარემოება მას საეჭვოდ ჰხდის. იქნება გამოიკრვეს, რომ აქ საქმე ცხოვრებაში შემოსული მოვლენის, ან მოპოვებული უპირატესობის ძველად მიღებული უფლების მოსაჩვენებლად და გასამართლებლად შედგენილ საბუთთანა გვექონდეს.

ამნაირივე შინაარსის საბუთია 1722 წ. დავით ქახთმეფისაგან რუსთველისათვის ბოძებული გუჯარი, რომელიც ასე იწყება: „აქეთგან აღწეროთ დროშისა სპათთვის, რომელი განუწყესებიათ პირველთა მეფეთა უწინარეს ჩვენსა და აწკდ ჩვენცა ესრეთ დავამტკიცეთ“-ო. ამ ძეგლის ტექსტი დედნის მიხედვით 1913 წ. ს. კაკაბაძემ გამოსცა (იხ. ისტორიული საბუთები, I წიგნი, გვ. 42—45), ხოლო ამაზე უწინარეს, 1910 წ., მაგრამ 1852 წ. გარდანაწერის მიხედვით ე. თაყაიშვილმა „საქართველოს სიძველეთა“ III წიგნში (გვ. 509—514).

## § 5. მონასტრების წესი და განგებანი

რაკი საქრისტიანო ქვეყნების ძველსა და საშუალო საუკუნეების ცხოვრებაში მონასტრებსა და სამონასტრო წესწყობილებას ფრიად დიდი გავლენა ჰქონდათ, ამიტომ მოკლედ სამონასტრო წესწყობილების აღმნუსხველი ქართული ძეგლებიც უნდა დასახელებულ იქმნეს. ასეთი შინაარსის ძეგლებს „განგებაჲ“ და „წესი“ ეწოდებოდა. გ. მერჩულს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ იერუსალიმიდან მოსულმა კაცმა გრიგოლ ხანძთელს „მოართუა საბაწმინდისა (იგულისხმება მონასტრის) განგებაჲ დაწერილი, ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას უამსა განაწესა წესი თვისისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“ (ცაგლ ხნძლსა, გვ. კ, წ ივ).

კლარჯეთის მონასტრების წესი და განგება ჯერ აღმოჩენილი არ არის, მაგრამ მისი მოკლე შინაარსი გ. მერჩულსა აქვს თავის თხზულებაში (ცაგლ ხანძლსა, გვ. კ-კბ) მოყვანილი, რომლის მთელი ტექსტი ისედაც მაშინდელი ქართული სამონასტრო წესწყობილების შესახებ ბევრ საგულისხმო ცნობას შეიცავს.

ათონის მონასტრის წესწყობილების შესასწავლად ჯერჯერობით ერთადერთ წყაროდ უნდა გ. მთაწმიდელის თხზულება „ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳმესი“ ჩაითვალოს, რომელშიაც ეფთჳმე მთაწმიდელისაგან დაღებული სამონასტრო წესისა და განგების ვრცელი შინაარსი და აღწერილობა მოიბოვება (იხ. გვ. 35—55). ამ სავანეს წესწყობილების შემდეგდროინდელ ცვლილებათა შესახებ ამავე ნაწარმოებში და გ. ხუცეს-მონაზონის თხზულებაში „ცაგორგი მთაწმიდელისაჲ“ არის საყურადღებო ცნობები დაცული.

გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაარსებული პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდების ქართული ტექსტი თუმცა ჯერ აღმოჩენილი არ არის, მაგრამ მისი ძველი ბერძნული თარგმანი გამოცემულია Louis Petit-ის მიერ 1904 წ. (იხ. Византийский Временник, т. XI. დამატება № 1).

შიომღვიმის დიდებული ლავრის წესწყობილების აღმნუსხველი ძეგლი მთლიანად დაცული არ არის, არამედ შენახულია მისი მხოლოდ ერთი პა-

ტარა ნაწყვეტი, რომელსაც სათაურად აქვს „უდაბნოს წინამძღვრის რიგი“ და თ. ჟორდანიას მიერ არის გამოცემული. საყურადღებო ცნობებია ამავე მონასტრის წესწყობილების შესასწავლად დავით აღმაშენებლისაგან შიომღვიმისადმი 1123 წ. ბოძებულ ანდერძში, რომელიც პირველად თ. ჟორდანიამ-ვე გამოსცა (იხ. ისტორიული საბუთები შიომღ. მონასტრისა, 1896, გვ. 15—21), ხოლო მეორეჯერ ს. კაკაბაძემ (იხ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა, 1912 წ.).

მხოლოდ ვაჰანის მონასტრის წესი და განგება შედარებით უკეთესადაა შენახული. თუმცა მასაც თავი აკლია და შიგადაშიგ ტექსტიც დაზიანებულია, მაგრამ ეს ჭერჭერობით მაინც სამონასტრო განგების ერთადერთი დედანია, რომელიც გადარჩა. მისი შინაარსი ფრიალ საყურადღებოა როგორც სამართლისა, ისევე საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ვაჰანის მონასტრის განგების ტექსტიც ყველა მინაწერითურთ თ. ჟორდანიას მიერ არის გამოცემული (იხ. ისტ. საბ. შიომღ. მონასტრისა, გვ. 30—49).

დასასრულს ს. კაკაბაძემ 1914 წ. დაბეჭდა „თამარ მეფის დროინდელი ერთი მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტი (იხ. წერილები და მასალები, I, 71—73), რომელიც ბოლნისის, ან მის მახლობლად მდებარე რომელიღაც მონასტრის წესისა და განგების ბოლოს-ღა წარმოადგენს და გადარჩენილ ნაწყვეტში მონასტრის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ განკარგულებებს შეიცავს.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

### საერო კანონმდებლობის ძეგლები

#### ნაწილი I

### სახელმწიფო სამართლის ძეგლები

#### A. „გარიგება კელმწიფის კარისა“

ეს შესანიშნავი ძეგლი ე. თაყაიშვილმა იპოვა და სამუდამო დაღუპვისაგან გადაარჩინა. სამწუხაროდ ხელთნაწერი, რომელიც XVII ს-ის-აა, უკვე ძალზე დაზიანებული იყო: ფურცლები ამოხეული ყოფილა და თავშიაც, შუაშიც და ბოლოც აკლია. ამის გამო ამ ძვირფასი ძეგლის მხოლოდ მცირედი ნაწილი-ღა არის შენახული. ერთადერთი იმედია, რომ შემთხვევით კიდევ სხვა ხელთნაწერიც აღმოჩნდება, რომელშიაც ეს ძეგლი სრულად იქმნება დაცული. „გ ა რ ი გ ე ბ ა კ ე ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს ა“ საქართველოს სამეფოს დარბაზობისა და ვაზირობის წესის აღწერილობას და მოხელეთა უფლებამოვალეობათა აღნუსხვას შეიცავს, ესე იგი ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლად უნდა ჩაითვალოს. ეს „გარიგება“ ე. თაყაიშვილის მიერ უკვე გამოცემულია კიდევ. პროფ. ე. თაყაიშვილის ანგარიშით „სულ უნდა ყოფილიყო დარჩენილი რვეულების მიხედვით თორმეტი რვეული, თუ ბოლოში მართო ერთს რვეულს მივიჩნევთ ნაკლულად. ამათგან მთლად დაკარგულია პირველი, მეექვსე, მერვე, მეათე და მეთორმეტე. მთლად დაცულია მეორე, მეოთხე, მეშვიდე და მეცხრე. მესამე რვეულითგან უკანასკნელი ფურცელია დაცული და პირველი ხუთი აკლია. მეხუთე რვეულითგან მართო პირველი ფურცელია შენახული, დანარჩენი ხუთი აკლია. მეთერთმეტე რვეულს აკლია ორი ფურცელი. საერთოდ ნაკლულევანი რვეულების ფურცლები ექვ-

„სია და უდრის რიცხვით ერთს რვეულს... კელმწიფის კარის გარიგებას 62 გვერდი აკლია საერთოდ“ (კელმწიფის კარის გარიგება, გვ. I—II. Monumenta Georgica № IV, Leges № 1, 1920).

ამ ძეგლს რომ მართო ფურცლები აკლდეს, კიდევ არა უჭირდა რა, მაგრამ საქმეს უფრო ის გარემოება ართულებს, რომ ამ ხელთნაწერის უკვე დედანი არეული ყოფილა და ამიტომ შინაარსიც სწორედ არ არის დალაგებული. ვინც გულდასმით შენახულ ტექსტს შეისწავლის, ის უეჭველია შეატყობს, რომ აწინდელ ხელთნაწერში, როგორც ეს პროფ. ექ. თაყაიშვილსაც აქვს აღნიშნული (იხ. გვ. XXII—XXIII), ბევრი ცნობა თავის ალაგას არ არის მოთავსებული. მკვლევარს შეურყეველის სიმტკიცით შეუძლია დაამტკიცოს, რომ ამ ძეგლის თავდაპირველი დედანის შინაარსის ულსხვანაირად ყოფილა დალაგებული, ვიდრე აღმოჩენილ ხელთნაწერშია შენახული.

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ეხლანდელი სახით „გარიგება“ შეიცავს ცნობებს დარბაზობისა და პურობისა, აგრეთვე ვაზირობისა, მეფისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობათა შესახებ, მაგრამ ცნობები არეულად არის დალაგებული. უეჭველია წინათ, თავდაპირველად ამ ძეგლის შინაარსი წესიერად ყოფილა მოთხრობილი. დარბაზობა ორგვარი წესით სცოდნიათ „დიდითა წესითა... თუ უმცროსითა“ (225-27). რა ალაგას უნდა ყოფილიყო თავდაპირველ დედანში დარბაზობის წესი აღწერილი? ეხლანდელ ტექსტში ნათქვამია: „ეს ზემოთ დამაკლდა: კრმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა“-ო (228-29). მანასადამე დარბაზობის აღწერილობა ზემოთ ყოფილა. ეხლა კი დარბაზობის წესი ზემოთ-კი არა, ქვემოთ არის მოთხრობილი, ე. თაყაიშვილის გამოცემით იწყება გვ. 12258 იქ, სადაც სწერია: „საწოლის მეკრე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვევერ დაჯდების“-ო და გვ. 15351 თავდება: აქ ეს პირდაპირ ნათქვამიცაა, „დაესრულა დარბაზობის წესი“-ო. თუ ამ სამისიტყვის წყალობით ნათლად ირკვევა, სად თავდება დარბაზობის წესი, მის დასაწყისად შეუძლებელია საწოლის მეკრეს შესახებ ის წინადადება ვიცნათ, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი: უეჭველია დარბაზობის წესს დასაწყისი აკლია. თუმცა შენახულ ხელთნაწერში ამ ადგილას (იხ. გვ. 12) ფურცლები არ აკლია და მოთხრობა ერთი მეორეს მისდევს, მაგრამ თავდაპირველს დედანში რასაკვირველია ასე არ იქმნებოდა: ცნობას იმის შესახებ, რომ მონადირენი ანთებული ლამპრებით „მრგვალს დაბმენ“, რომელიც დიდი დარბაზობის ზემომოყვანილს დასაწყისს წინ უძღვის, არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, თუ საწოლის მეკრეს რა მოვალეობა ჰქონდა დიდი დარბაზობის დროს. ამიტომ ცხადია აქ ეს ორი სხვადასხვა საგნის მოთხრობა შეცდომით არის ერთი ერთმანეთზე გადაბმული და დიდ დარბაზობასაც დასაწყისი აკლია.

მაგრამ თავიდათავი და ჩვენთვის უფრო დიდმნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვეცნა, რომ თავდაპირველ დედანში „დარბაზობის წესი“ ზემოთ ყოფილა მოთავსებული და არა იქ, სადაც ეხლაა. ამ დასკვნის სიმართლეს შემდეგი

ცნობაც ადასტურებს. იქ, სადაც ლაშქრობის წესი და ვაზირობაა აღწერილი, ნათქვამია: „დაჯდომა და სხვა წესი ზემოთ და გვერდია“—ო (2192—193)—რაკი „დაჯდომის წესი“ დარბაზობის წესის ერთი საკითხთაგანი იყო, ამიტომაც ცხადია, რომ დარბაზობა თავდაპირველს დედანში მართლაც „ზემოთ“ ყოფილა მოყვანილი და არა იქ, სადაც იგი ამჟამად შენახულს ხელთნაწერშია.

ამგვარადვე „პურობის წესის“ აღწერილობაც არეულია და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სხვადასხვაგან უალაგოდ არის ჩაკერებული. „თუ პურობას ღამე შემოესწრას“ სანთელი „სასანთლითა“ ფარეშთა-უხუცესმა მიიტანოს და ვაზირთა წინ დასდოსო, ნათქვამია ერთგან (7, § 17146—8148). მაგრამ თვით „პურობის წესის“ დასაწყისის ერთი ნაწყვეტი მოთავსებულია გვ. 16, § 32377, სადაც იწყება. ეს ნაწყვეტი რომ მართლაც „პურობის წესს“ ეკუთვნის, ამას ამტკიცებენ სიტყვები „ესენი მარცხენის მკარს სუფრისასა“—ო (17382). ზემოაღნიშნული ადგილითგან მოყოლებული პურობის წესს ეკუთვნის ყველაფერი ვიდრე გვ. 18418, სადაც მოთხრობა წყდება იმით, რომ ხელთნაწერს 2 ფურცელი აკლია, და თვით პურობის წესი დასრულებული არ არის. მაგრამ რომ ამ წესის ზოგიერთი ნაწყვეტიც გაფანტულია სხვადასხვა ალაგას, ამას შემდეგი წინადადებაც ამტკიცებს, — „საწოლის მეკრე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების, ითვალავენ და საწოლსა და წინამწოლსაცა მიუთა სათვალავი და მუნ სქამენ“—ო (12250-260), რომელიც უალაგოდ ალაგას არის ჩართული.

არეულია და სხვადასხვა ალაგას არის გაბნეული დღესასწაულებში მიღებული წესის გარიგებაც, ამასთანავე ზოგს ნაკვეთს თავიცა და ბოლოც აკლია, ზოგისათვისა მხოლოდ შენახული. მაგ. „წელიწდისთავის“ წესს თავი აკლია. ხელთნაწერში ეხლა ასე იწყება: „მსახურთუხუცესსა სალართ მოლარეთ-უხუცესი მოართომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების. მას წელიწდის თავის დღეს მეფე არავისგან შეიმოსს მისგან კიდე“ (11—3). ეს ნაწყვეტი ამავე საგანს ეხება გვ. 111—მდე, შემდეგ და მეტადრე გვ. 2, § 318 სულ სხვა საგანზეა ლაპარაკი, განცხადების დღესასწაულობაზე. წელიწდის თავის დღესასწაულობის აღწერილობას-კი ბევრი აკლია, მაინცდამაინც ბოლო არა აქვს. იქნებ ამ საწელიწდისთავოს დღესასწაულობის წესისათვის ერთი ნაწყვეტთაგანი იყოს ის, რაც გვ. 15332-342 შუაა მოქცეული, რომელიც იწყება სიტყვებით „ძღვენი საწელიწდისთავო ერისთავთა“ და შემდეგ ნაჩვენებია ვის რა უნდა მიერთშია მეფისათვის, მაგრამ შეიძლება ეს ნაწყვეტი ძღვენის გარიგების ერთი ნაწყვეტთაგანი იყოს.

ნაწყვეტ-ნაწყვეტადვე და დიდის დანაკლისით არის შენახული განცხადებისა (213-27) და აღვსების (3, §§ 6 და 7) დღესასწაულების წესის გარიგებაც, თუმცა ხელთნაწერს ამ ადგილას არაფერი აკლია. მაშასადამე, ნაკლი უკვე იმ დედანს უნდა დაჰქონოდა, რომლითგანაც ე. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი ხელთნაწერია გადმოწერილი.

ამ ძეგლის ტექსტის ამნაირად შესწავლის შემდგომ მისი პირვანდელი აგებულებისა და სახის აღდგენაც შეიძლება, რასაკვირველია, რამდენადაც გადარჩენილი ტექსტი მკვლევარს ამის საშუალებას აძლევს.

„ქელმწიფის კარის გარიგება“, როგორც ჩანს, უნდა სამეფო კარის მოხელის მიერ იყოს დაწერილი, რომელსაც სამეფო კარის წესის განგების აღმასრულებელის ერთ-ერთი თანამდებობა ექმნებოდა ჩაბარებულად, ალბათ სამანდატურთუხუცესოს ერთ-ერთი მოხელეთაგანი იქმნებოდა. ერთგან, მაგ., მას ნათქვამი აქვს: „საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან“-ო (13283-284), ე. ი. მეფისგან ამის მსგავსი არა გამიგონია რაო. ავტორის სახელი არა ჩანს.

თვით ძეგლს, როგორც ეტყობა, ოფიციალური ხასიათი არა აქვს, კანონმდებლობის შედგენი არ არის, არამედ მოქმედ სახელმწიფო სამართლისა და წესის აღნუსხვაა. მის შემდგენელს ყველაფერი თვით-კი არ დაუწერია, არამედ, როგორც პროფ. ე. თაყაიშვილსაც აღნიშნული აქვს, წერილობითი წყაროებითაც უსარგებლია. უცხო სახელმწიფოთა მეფეების წვეულობის წესის შესახებ ჩვენ უცნობ ავტორს ნათქვამი აქვს: „ზოგთა ვიეთთამე, ასრე უწერია, ვითა ტრაპიზონელი და შარვან-შანშე (sic) და სომხეთა მეფე რა მოვიდენ, საჯდომი ერთი არის ორთავე“-ო (12260-262). ქვევით ამავე საგანზე აღნიშნულია: „ამ ოთხთაგან ერთი საჯდომი მარჯვენით დაუწერია მოძღვართ-მოძღვრისა და აფხაზეთის კათალიკოზის ქვეშეთ და ჭყონდელისა (sic!) ზემოთ“-ო (12269-271).

მასასადამე, წინამდებარე ძეგლი „ქელმწიფის კარის გარიგება“ პირველი და ერთადერთი ამგვარი ნაწარმოები არ ყოფილა. როგორც ჩანს, ერთი იმ წყაროთაგანი, რომლითაც ჩვენს ავტორს თავისი შრომის შედგენის დროს უსარგებლია, სოფრომიძის დაწერილი ყოფილა. ეს ჩვენი ავტორის შემდეგ ცნობითგან ირკვევა: „ოდეს მათი (პატრონ მეფის) შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზი თანა ჰყვა და აღს, ეკლესიის კარს დგა. და რაა წვევის ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონის წინაშე დგა და პატრონმა ბრძანა: „ვინ აწვიის კათალიკოზიო?“. და მიბრძანეს მე ვაწვიო. ამის სიტყუსათუს სოფრომიძისძე იტყვის: „და მეორეს წელს ეგრე ბრძანა, ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა წვევაო. მაშინ ამირეჯიბი ქვაბულიძე უგემურად იყო და არ იყო მანდა“. აწ ვინათგან „დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან“-ო (13284-291).

„კარის გარიგების“ ავტორის სადაურობის გამორკვევაც შეიძლება. მისი ნაწერი ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველოში უნდა ეცხოვრა, რაც პროფ. ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობაშიც არის აღნიშნული. იქაური იყო იგი შთამომავლობით თუ არა, ამის თქმა შეუძლებელია, ხოლო, რომ მას დასავლეთ საქართველოში უცხოვრია, ეს სრულებით ცხადია. ამას ავტორის შემდეგი სიტყვები ამტკიცებენ: „ეპისკოპოსნი მოვიდენ იმიერით: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი“-ო (14311-312), ხოლო „ამიერი ბედიელი მოსაფლავეა და ქუთათელი მოსაფლავეც არის [და დამლოცველიც]“ (14316). ამგვარად ჩვენი ავტორისათვის ბედია და ქუთათისი ამიერ საქართველოში ყოფილა, იშხანი, ანჩა და ტბეთი კი იმიერ საქართველოში. აშკარაა, ასე შეეძლო მხოლოდ იმას ეთქვა, ვინც თვით დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, ამასთანავე შემ-

თხვევით კი არა, არამედ მუდმივ იქ ცხოვრობდა. ჩვენ ავტორს რომ აღმო-  
სავლეთ საქართველოში ეცხოვრა, მაშინ ბედელისა და ქუთათელის შესახებ  
ის, ცხადია, იტყოდა „იმიერი“-ო.

დაახლოვებით იმის განსაზღვრაც შეიძლება, თუ  
როდის უნდა ეცხოვრა „ქარის გარიგების“ შემდგენელს.  
რაკი ამ ძეგლში ნათქვამია, რომ მსახურთ-უხუცესი პირველად „რუსუდანი  
მეფეს შეუყვანია სავაზიროსა“ (19417), ამიტომ ცხადია ავტორს XIII საუკუნე-  
ზე უწინარეს შეუძლებელია რომ ეცხოვრა. მაგრამ ამაზე მეტიც ითქმის. ამა-  
ვე ნაწარმოებში ერთგან სწერია: „ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და  
მერმე კოსტანტინე. დისარჩლეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი  
იოვანე“ და უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ სამეფო ნიშნები, სკიპტრა  
და გვირგვინი ჩემ საყდარში უნდა ინახებოდესო (14318-322). საფიქრებელია,  
რომ ავტორს ლაპარაკი აქვს ვახტანგ II-ზე, რომელიც 1289—1292 წ-მდე მე-  
ფობდა, და კონსტანტინეზე, რომელიც იმავე 1292 წ-ს ავიდა ტახტზე, მაგ-  
რამ უმალ მისი ძმა აუჭანყდა. ავტორის ზემომოყვანილი ცნობა ცხადყოფს  
მანც, რომ მას შეუძლებელია XIII საუკუნის დასასრულზე  
უწინარესაც ეცხოვრა.

ამასთანავე თვით ამ ძეგლის მთელი შინაარსიც ამტკიცებს, რომ იგი  
იმ დროს არის შედგენილი, როდესაც საქართველო  
ჯერ კიდევ განუყოფელი, სრულიადი და დამოუკიდებე-  
ლი იყო. იქ მაგ., ნათქვამია: „მონადირენი კახეთს და იმერეთს  
ყოველგან არიან, ორას სამოცი სახლი არის“-ო (11239-240). მანდატურთ-უხუ-  
ცესის შესახებაც ნათქვამია, რომ მისი „ველი არის ამიერ და იმიერ“-ი,  
ესე იგი მთელი საქართველო (593-94). მაშასადამე, ავტორის დროს მეფეს კა-  
ხეთიც და იმერეთიც ემორჩილებოდენ.

საქართველოს საეკლესიო სფეროდანაც ერთი მხრით „გელათური“  
ძღვენია მოხსენებული (15336), მეორეს მხრით არც „გარე[ს]ქული ძღვე-  
ნი“-ა დავიწყებული (15339). ამასთანავე იშხნელიც არის ნახსენები (14311) და  
მტბევარიც, რომელიც შავშეთის ერისთავადაც ითვლებოდა (15329-331). ერთი  
სიტყვით, „ქარის გარიგება“ გაერთიანებული, სრულიადი საქართველოს სა-  
ხელმწიფო წესწყობილებას გვისურათებს და ამიტომ უეჭველია ძეგლის  
შემდგენელს იმ ხანაში უნდა ეცხოვრა, როდესაც საქართველო კვლავინდებუ-  
რად განუყოფელი იყო.

ამიტომ უეჭველია მართალი უნდა იყოს პროფ. ე. თაყაიშვილი, როდესაც  
ამ ძეგლის შედგენის უგვიანეს თარიღად XV ს. მეორე ნახევარსა სდებს და  
უფრო კი გიორგი ბრწყინვალის, ანუ XIV ს. პირველ ნახევარში დაწერი-  
ლად სუელის (იხ. ქელმწიფის კარის გარიგება, გვ. VIII).

ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს  
როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიური  
და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უადრესი მნიშვნელობა  
აქვს. ამ დარგში სხვა ასეთი უხვი ცნობების შემცველი ძეგლი XVIII ს. დამ-  
დეგამდე არ მოგვეპოვება ჭერჯერობით მაინც და XVIII ს. ამ ხასიათისავე  
განრიგება ვახტანგ VI-ის დასტურლამალი თუ შეედრება და აჯობებს მას, თო-  
რემ სხვა ვერაფერი. ამისი თქმაც მხოლოდ იმიტომ შეიძლება, რომ კარის გა-

რიგება დაზიანებულია და ნაკლულევანად დაცულობის გამო ბევრ ისეთს ცნობას არ შეიცავს, როგორც დასტურლამალსა აქვს, და თანაც კ. გარიგება ოფიციალური კანონმდებლობის ძეგლი არ არის, დასტურლამალი-კი სწორედ ამნაირი თვისების მქონებულია. იქნებ მომავალში როგორმე კ. გარიგების ან სრული ტექსტი, ან ამავე ხასიათის ძეგლი ოფიციალური წარმოშობილობისაც აღმოჩნდეს და მაშინ ყველა ის ხარვეზი შეივსება, რომელთა დანაკლისის ანაზღაურება არაფრით შეიძლება. მანამდის კი აწ დატული ტექსტის კრიტიკული შესწავლის საშუალებით შეძლებისდაგვარად მისი პირვანდელი სახის აღდგენას მაინც უნდა ვეცადნეთ.

### B. „წესი და განგებაჲ მეფეთა კურთხევისა[ა]“

თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგანა ჩანს, რომ თუ იმაზე უწინარეს არა, მაინცდამაინც XII ს-ში მეფის კურთხევის წესი საქართველოში უკვე შემუშავებული იყო. მას თამარ მეფის კურთხევის შესახებ ნათქვამი აქვს: „ვინათგან ლიხთიმერიითგან იყო წესი და დგმად გვრგვნიისათავსა სამეფოსა, აწუიეს... მთავარებისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირის ძე მიღებად გვრგვნისა“-ო (ისტნი და აზმნი, \*625, გვ. 400). ამ ცნობით იმის დამტკიცება არ შეიძლება, რომ ეს „წესი“ უეჭველად დაწერილი ყოფილიყო, მაგრამ ცხადია მაინც, რომ მეფეთა კურთხევის განსაკუთრებული, ქართული წესი ამ დროს უკვე შემუშავებული ყოფილა. მხოლოდ ის გარემოება, რომ თამარ მეფის დროს სახელმწიფო კარის თითქმის ყოველი დარგისათვის გარიგებაში ცვლილება იყო შეტანილი და მოწესრიგდა, გვაფიქრებინებს, რომ ეს წესები შეიძლება აღწერილიც ყოფილიყო.

თამარ მეფის დროინდელ მეფის კურთხევის წესს ძეგლად მაინცდამაინც ჩვენამდის არ მოუღწევია. ჭერჭერობით ორი სხვადასხვა წესია ცნობილი მეფეთა კურთხევისა. პირველად მათ შესახებ მოკლე ცნობები თ. ჟორდანიამ მოათავსა თავისი „ქრონიკები“-ს პირველს წიგნში. შემდეგ ვრცლად აღწერილი და შესწავლილი აქვს ვითარცა სამღვდელმსახურო მწერლობის ძეგლი, კორნ. კეკელიძეს თავის დიდ გამოკვლევაში „Литургические памятники в отечественных книгохранилищах“.

ამ წესის თვით ტექსტი ს. კაკაბაძემ 1913 წ. ქარაგმიანად და იმავე შეცდომებით გამოსცა, როგორც თვით ხელთნაწერშია შენახული, შემდეგი სათაურით: „მეფის კურთხევის წესი, XIII საუკ. დასაწყისს შედგენილი“. ტექსტი გამოცემულია წ. კ. ს. წიგნთსაცავის № 352 ხელთნაწერისდა მიხედვით.

მეფის კურთხევის წესის მეორე რედაქცია შენახულია ამავე წიგნთსაცავის № 352 ხელთნაწერშივე, მაგრამ თავი აკლია. ეს რედაქცია ჭერ გამოცემული არ არის.

ს. კაკაბაძე მის მიერ გამოცემული მეფის კურთხევის წესის შესახებ ამტკიცებს, რომ „ის უნდა იყოს შედგენილი არა უადრეს XIII საუკუნისა, რადგან მასში მოხსენებული თანამდებობა ათაბაგისა შემოვიდა ჩვენში XIII საუკუნის დასაწყისს“ (გვ. 1). ამავე აზრის სამართლიანობის დამამტკიცებელ საბუთად მას ის გარემოება აქვს მოყვანილი, რომ „წესში აფხაზეთის კათალიკოზია მოხსენებული“, რომელიც ს. კაკაბაძის სიტყვით „დაარსდა... უფრო XIII საუკ. დასაწყისში“ (გვ. II). შემდეგ გამომცემელი ამბობს: „შესაძლე-

ბელა. რომ... ტექსტი მეფეთ კურთხევისა თამარის მეფობის მეორე ნახევარში იყოს შედგენილი... შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი წესი გიორგი ლაშას კურთხევისათვის იყოს შედგენილი“-ო (იქვე).

მეფეთა კურთხევის წესის მეორე რედაქციის შედგენის დროის შესახებ ს. კაკაბაძეს შენიშვნაში ნათქვამი აქვს: „დომიტრი თავდადებულის გამეფებისას 1270 წ. შედგენილ იქმნა სხვა წესი მეფეთა კურთხევისა და ეს წესი მიღებული იყო საშუალო საუკუნეებში ქართველ მეფეების კურთხევის დროს“-ო. მისი აზრით ეს მეორე რედაქცია 1270 წ. შედგენილი წესი არის (გვ. II, შენ.\*). მაგრამ ს. კაკაბაძეს ამ აზრის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არა აქვს მოყვანილი და არა ჩანს, რაზეა იგი დამყარებული.

ნ. ბერძენიშვილს სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ ს. კაკაბაძის აზრი, ვითომც მეფის კურთხევის წესი ლაშა-გიორგის კურთხევისათვის ყოფილიყოს შედგენილი, მცდარია. ამასთანავე რადგან მსახურთუხუცესი ამ ძეგლში ვაზირთა შორის იხსენიება, ამიტომ იგი შეუძლებელია რუსუდანის გამეფებამდის იყოს დაწერილი, რადგან ცნობილია, რომ მსახურთუხუცესს პირველად რუსუდან მეფემ მიანიჭა ვაზირის უფლება (იხ. ნ. ბერძენიშვილის „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება“: „მიმომხილველი“, საქართველოს საისტ. და საეთნ. საზოგ. ორგანო I, 105—106, შენ. 1).

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ „მეფის კურთხევის წესი“ „ჯელმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი უნდა იყოს, მაგრამ ამ ორი ძეგლის შედარებითი შესწავლა შემდეგს გარმოებას არკვევს. „კარის გარიგებით“ მეფის მგზავრობის დროს „ზ ა რ დ ა ხ ნ ი ს უ ხ უ ც ე ს ი და ა მ ი რ ა თ - ა ჩ უ ხ ჩ ი წ ი ნ ა თ ი ა რ ე ბ ი ს ჯ უ ა რ ი ს მ ტ ვ რ თ ე ლ ს ა და მ ე ფ ე ს შ უ ა“ 10<sub>212-213</sub>) „მეფის კურთხევის წეს“-ში კი ნათქვამია „მ ა ნ დ ა ტ უ რ თ - უ ხ უ ც ე ს ი სამანდატუროსა არგნისა კელთა მქონებელი შე მ დ გ ო მ ა დ ჯ ი ს მ ტ ვ რ თ ე ლ ს ა წ ი ნ ა უ ვ ი დ ო დ ე ს მ ე ფ ე ს ა“-ო (65-6).

სამეფო ნიშნების შესახებ „კარის გარიგება“-ში სწერია, რომ ქუთათელი იოვანე და აფხაზეთის კათოლიკოზი ერთი ერთმანერთს შეეცილნენ, ქუთათელი ამტკიცებდა სკიპტრა და გვრგვნი ჩემ საყდარში უნდა ინახებოდესო. ეს ცილობა ისე გადაწყდა, რომ „ვაზირთა ერთობილთ ლაშქართა თქვეს თუ „ქუთათელი უმართლეაო“ და ს კ ი პ ტ რ ა ქ უ თ ა თ ე ლ ს გ ა უ ჩ ი ნ ე ს - ო (14<sub>323-325</sub>). მეფის კურთხევის წესი“-დან ჩანს, რომ როდესაც ეს წესი შედგენილი იყო, „გ ვ რ გ ვ ნ ი , ს კ ი პ ტ რ ა მ , პ ო რ ფ ი რ ი დ ა ბ ი ს ო ნ ი“ საყდარში-კი არა, არამედ მეფის „პ ა ლ ა ტ ს ა შ ი ნ ა“ ინახებოდა (56-7).

ეპისკოპოსთა უფროს-უმცროსობის შესახებ „ჯელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ დარბაზობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთაგან ყველაზე მეტი პატივი მეფეს იშხნელისათვის უნდა მიეპყრა: „ჯელნი მეფემან ნობთა ზედა დასხნეს ი შ ხ ნ ე ლ ი ს ა თ ვ ს უ ფ რ ო მ დ ა ბ ლ ა დ“-ო (14<sub>312-313</sub>). დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთაგან მხოლოდ ქუთათელს „ი შ ხ ნ ე ლ ი ს ს წ ო რ ი პ ა ტ ი ვ ი მ ა რ თ ე ბ ს“-ო (15<sub>326-327</sub>).

ყველა ზემოაღნიშნული განსხვავება ცხადყოფს, რომ მეფის კურთხევის წესი და ჯელმწიფის კარის გარიგება ერთი და იმავე დროის ძეგლები არ უნდა იყოს. შესაძლებელია და საფიქრებელიც, რომ კარის გარიგების სრულ ტექსტში მეფის კურთხევის წესიც იქნებოდა შეტანილი, მაგრამ უეჭველია ეს წესი სხვა რედაქციისა იქნებოდა.



მეფის კურთხევის წესი საეკლესიო კურთხევს წესს კი არ წარმოადგენს, არამედ მისი სახელმწიფოებრივი წესის განგებაა. ამიტომ იგი ძვირფას წყაროდ უნდა იქმნეს მიჩნეული მეფის ხელისუფლების, სამოხელეო წესწყობილებისა და სახელმწიფო დარბაზობის შესასწავლად. ამ ძეგლის ტექსტის ჯეროვანი გამოცემა აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს.

„წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულები მცხეთას კურთხევასა მეფეთასა“. ამ ძეგლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ეწოდება „წესი და განგება კურთხევისათვის მეფისა დროსა, თუ ვითარ დაჰსხდენ მღუდელთმთავარნი სრულიად საქართველომსანი“, რომელიც ორი რედაქციით არის ცნობილი, ერთი ძველი, ხოლო მეორე ძველის შესწორებაა, რომელიც 1745 წელს მოუხდენათ (ე. თაყაიშვილი, არხ. მოგზაურობანი, I, 86). ეს „წესი და განგება დარბაზობისა“ არა ერთხელ არის გამოცემული და ცნობებიც მოუთავსებიათ, თ. ჟორდანიას (ქკბი, I, 45—46), პროფ. ალ. ცაგარელს (Сведения о памятниках грузинской письменности, III, XXXVI და 292—296), ვანხილული აქვს პროფ. ნ. მარრსაც (იხ. Доклад в предсобрном присутствии). ეს ძეგლი არჩილ მეფის დროს შედგენილად აცხადებს თავის თავს და შემდგენელად მიქელ ქართლისა კათალიკოზი იხსენიება. ამ წესის შესავალში ნათქვამია: დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქნებოდეს ეპისკოპოზთა ცილობისაგან და ღვთივ-გვრგვანოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად და გვბრძანა გაჩენად, ვითა ნიშანთა შეეტყუებოდა, და ჯელვყავით მეგლახკემან მიქელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმ მირონი. ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღღელთმოდურნი შემოკრბენ მცხეთას დიდსა ხუთშაბათსა, დიდსა სომხეთისა მიტრაპოლიტსა ჰმართებს ნიეთთა ზედა დღჳნად“. მირონის კურთხევის წესს მისდევს „განგება დარბაზობისა“ (იხ. ქკბი, I, 45—46). ამ წინასიტყვაობითგან, ანუ შესავალითგანა ჩანს, რომ ეს ძეგლი V ს. ნაწარმოებად არის გამოცხადებული და მისი შემდგენელი მიქელ ქართლისა კათალიკოზიც, მასხადამე, თავის თავს იმდროინდელ მწეგმსმთავრად აცხადებს. პროფ. ალ. ცაგარელს ნათქვამი აქვს, რომ ამ ძეგლში მოთავსებული დარბაზობის წესი ალბათ გაცილებით უფრო გვიან უნდა იყოს საბოლოოდ ჩამოყალიბებული, სახელდობრ XI—XII სს-შიც სპგპც, III, გვ. XXXVI). თ. ჟორდანიაც ამ ძეგლის დედანს „ძალიან ძველად“—ა სთვლიდა, V ს-ში შედგენილად მიაჩნდა, მაგრამ „დარბაზობაში“ ათაბაგის მოხსენებულობის გამო ფიქრობდა, რომ „დროთა მიხედვით სხვადასხვა ცვლილება უნდა შემოეღო“ (ქკბი, I, 46—47, შენ. \*\*).

მაგრამ ამ ნაწარმოების არც პირველი, მირონის კურთხევის წესრიგის შემცველი ნაწილი, არც მით უმეტეს მეორე, დარბაზობის წესის მომთხრობი ნაწილი მიეკუთვნება იმ დროს, რა დროინდელადაც ეს ძეგლი თავის თავს აცხადებს და გინდ პროფ. ალ. ცაგარელს მიჩნეული აქვს. გ. მერჩულის თხზულებითგან და ჯვარის მონასტრის აღაპებითგან დანამდვილებით ირკვევა, რომ მირონის საქართველოში კურთხევის უფლება ჩვენმა ეკლესიამ IX ს. მეორე

ნახევარში მოიპოვა (იხ. ჩემი „საქართველოს ისტორიის IX—X სს. ზოგიერთი უთარილო ცნობის დათარიღებისათვის“ „მიმომხილველი“, წ. II). ამიტომ ცხადია, რომ მირონის კურთხევისათვის V ს-ში დარბაზობის წესს არაეინ შეადგენდა, რადგან მაშინ საქართველოს ეკლესიას საკუთარი მირონის კურთხევის უფლება არ ჰქონდა. ხოლო დარბაზობის წესიც რომ სრულებით შეუძლებელია XI—XII ს-ში საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ძეგლად მივიჩნიოთ, ამისთვის საკმარისია მარტო ის გარემოება აღინიშნოს, რომ ამ წესში ათაბაგი იხსენიება. ცნობილია, რომ ათაბაგობა საქართველოში თამარ მეფის „დროს, 1212 წ. იქმნა შემოღებული (იხ. ჩემი „ქლ“ ერის ისტორია“, II). რაკი ამ ძეგლში ასეთი ანაქრონიზმია, შეუძლებელია ის XIII ს. მეორე ნახევარზე აღრე იყოს შედგენილი. პროფ. ექ. თაყაიშვილმა თავის მხრივ იმ გარემოებას მიაქცია ყურადღება, რომ ამ ძეგლში იშხნელ ეპისკოპოსს მე-10 ადგილი აქვს მიკუთვნებული ე. ი. მაწყვერელზე, რომელსაც მე-5 ადგილი უკავია, ბევრად დაბლა დგას. ხ. კარის გარიგებაში კი პირიქით იშხნელი მაწყვერელზე აღრეა მოხსენებული და მაწყვერელი იშხნელს მისდევს. ამას გარდა „დარბაზობის წეს“-ში ჭყონდიდლის გარდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მღვდელთმთავარი არიან დასახელებულნი და მხოლოდ ამიერ საქართველოსთვის განკუთვნილი ჩანს. ამიტომ ექ. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ეს დარბაზობის წესი“ ხ. კარის გარიგებაზე უფრო გვიან უნდა იყოს შედგენილი და მაინცდამაინც „მეხუთმეტე საუკუნის ადრინდელი არ უნდა იყოს“-ო (იხ. კელმწიფის კარის გარიგება, გვ. XXVIII—XXIX).

ამ ძეგლის ზემოაღნიშნული ანაქრონიზმები და მისი შემდგენელის ცხადი წადილი თავისი ნაშრომი უაღრესი სიძველის შარავანდედითა და ავტორიტეტით შეემოსა გვაფიქრებინებს, რომ აქ ნატყუარ ძეგლთანა გვაქვს საქმე. უეპველია XV ს-ზე უწინარეს შედგენილი არ უნდა იყოს, მაგრამ ჭერ კიდევ გამოსარკვევია, როდის ჩნდება იგი დანამდვილებით და როდის ემყარებიან მას ვითარცა უცილობელ საბუთს.

### C. დასტურლამალი

„ქ. კარის გარიგების“ შემდგომ იყო თუ არა XV—XVII სს-ში საქართველოს რომელსამე სამეფოს, ან სამთავროში ამის მსგავსი ძეგლი შედგენილი, ჭერ გამორკვეული არ არის. მხოლოდ XVIII ს. პირველ ათეულში ვახტანგ VI-მ შეადგინა თავისი „დასტურლამალი“. ამ ძეგლის სახელი სპარსულ-არაბულია „დასტურ აღ-ვამალი“, რაც ნიშნავს დასტურს მოქმედებისას, განრიგებას. როგორც ამ ნაწარმოების გამომცემელს განსვენებულ პეტრე უმიკაშვილს აღნიშნული აქვს, ეს ძეგლი 1704—1711 წლებში უნდა იყოს დაწერილი (იხ. დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1886, გვ. IV). „დასტურლამალი“, როგორც თვით ვახტანგ VI-ის მიერ არის აღნიშნული, წარმოადგენს „სჯულის დებასა საკელმწიფოთასა“, ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლია.

მისი შინაარსი რამდენსამე დარგს ეხება, უმთავრესი მათგანი თვით კონმდებელის წინასიტყვაობაშიც არის დასახელებული. ვახტანგ მეფის სიტ-

ყვით „დასტურლამალ“-ში დადებულია „წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა“ და ამასთანავე დაწესებული და განგებულია „ყოველნი ქელისუფალნი და მოქმედნი დარბაზისრიგისანი“, როგორ უნდა „იქცეოდენ და განაგებდენ... საკელოთა თსთა“ (გვ. 3). უკანასკნელი ცნობა ცოტა ბუნდოვანია და არა სჩანს, „ქელისუფალნი“ აქ მხოლოდ „დარბაზის რიგისანი“ არიან ნაგულისხმევი, თუ ამ შემთხვევაში „დარბაზის რიგისანი“ მხოლოდ „მოქმედნი“ უნდა ვიგულისხმოთ, ან იქმნებ „ქელისუფალნი“, როგორც თვით ძეგლშიც აღნიშნულია, „ყოველნი“, ე. ი. საზოგადო მნიშვნელობით ყოველგვარი იგულისხმებიან, „დარბაზის რიგისანი“-ც და „საქვეყნოდ გამრიგენი“-ც. უკანასკნელი აზრი ვგონებ უფრო სამართლიანი უნდა იყოს.

მამასადამე, „დასტურლამალის“-ის უმთავრესი შინაარსი უნდა „სამეფო დარბაზობის“ წესსა და განგებას და ყველა ხელისუფლის და „დარბაზის რიგის“ საქმისმოქმედთა უფლება-მოვალეობის აღნუსხვეას შეიცავდეს. მართლაც „დასტურლამალ“-ში ყველა ამაზე შესაფერისი „წესი და გარიგება“ მოიპოვება, მაგ.: „კარი სასახლეების რიგისა“ (იხ. გვ. 196—197) რომელშიაც დარბაზობის წესია აღნუსხული, „მოკვლენი როგორ უნდა მოიქცენენ“ (გვ. 197, 5 ეე), და „კარი პირველი, ყოვლისა კელჯოხიანისა და მათის სარგოსი“ (გვ. 194) მრავალი წმ-ის შემცველი „დარბაზის რიგის“ მოხელეებისა და საქმის მოქმედთა უფლება-მოვალეობას ეხება.

მაგრამ „დასტურლამალი“-ს თვით შინაარსი გაცილებით უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე ვახტანგ მეფის ზემომოყვანილი სიტყვებითგან საფიქრებელი იყო. იქ მაგ. დაწვრილებითი ცნობებია ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრების შედგენის წესრიგის შესახებ („ქართლის აწერისა“, „სამს წელიწადში ელის აღწერა“, „სამასპინძლოს შეწერისა“, „ითათის აწერა“, ქალაქის აღწერა, კოდის პურისათუს, საბალახოსა თუ როგორ აიღონ და სხვაც მრავალი), საქალაქო დაწესებულებათა და წესწყობილების შესახებ (§§ მდ, მა, რა—რპ, რუ, სიჰ, ია და სხვა), შემოსავლისა და გადასახადების აკრებისა, გზების შენახვის შესახებ (§ მბ) და მრავალი სხვა საკითხის შესახებაც. ყველა ამ საკითხს „დარბაზის რიგის“ მოხელეებთან არა ჰქონდა კავშირი ან მცირეოდენი იმგვარადვე, როგორც წმ-ს „სამდივანბეგო გარიგებისა“ და სამდივანბეგო აილება“ (§ რ და რა), არც სამეფო დარბაზობასთან, არც მოხელეობასთან კავშირი არა აქვს და მხოლოდ სასამართლო დაწესებულებასა და წარმოებას ეხება. დასტურლამალის ამგვარი ვრცელი და მრავალმხრივი შინაარსი მას მართლაც რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლად ჰხდის.

იმ სამი ხელთნაწერისგან, რომელიც „დასტურლამალი“-ს გამოცემის დროს განსვენებულს პ. უმიკაშვილს ხელთ ჰქონია, უძველესი და საუკეთესო სულხან მდივნის, სულხანმდივნისეული ხელთნაწერია. როგორც სამართლიანად შენიშნული აქვს გამომცემელსაც, იგი „შესანიშნავია თავების დალაგებით საგანთა შინარსის კვალობაზე“ და არა ანბანის რიგზე, როგორც ეს დანარჩენ ხელთნაწერებშია პ. უმიკაშვილი არ სცდებოდა, როცა ამტკიცებდა, რომ ეს „ხელთნაწერი უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციასა“. სულხან მდივნის ხელთნაწერი ძველი და დაზიანებული დედნითგან

ყოფილა გადმოწერილი „დედანს ბეერგანჰჰელეზი, ფურცლები დახეული ჰქონია და შემდეგ თითო-ოროლა ადგილს ჩაუმატებიათ“ (იხ. დასტურლამალი, გვ. V და VI). თვით სულხან მდივნის ხელთნაწერში ერთგან მაგ. ნათქვამია კიდევ: „სამი ფურცელი ცარიელია, ამიტომ რომ დედანი დაძველებული იყო“-ო (იქვე, გვ. 145). სულხან მდივნის ხელთნაწერში უეჭველია დედნის ზემოაღნიშნული მდგომარეობის გამო „ნაკლებობა და არევა თავებისა მეტად შესამჩნევად ჩანს“ ზოგიერთს ადგილას. ამას გარდა ამ ხელთნაწერში „სათაურებს ანბანით აღრიცხვა არა აქვს“ (იქვე, VI).

დანარჩენ ხელთნაწერებში, რომლებითაც პ. უმიკაშვილი თავისი გამოცემისათვის სარგებლობდა, შინაარსი ანბანის რიგზეა დალაგებული. უეჭველია „დასტურლამალი“ ასე „შემდეგ ხანებში არის გადაკეთებული მოხელეთა სხმარებლად“, რასაკვირველია, საჭირო ცნობების „ადვილად საძიებლად“ (იქვე, გვ. V).

ერთი იმ სამ ხელთნაწერთაგანი იესე მელიქიშვილისეული 1773 წ. ყოფილა გადაწერილი. საყურადღებოა, რომ იესე მდივანი სომხითის მელიქის-შვილი ამბობს: „გარდა ევწერე, არ დაიკარგოსო, ერთის მეტი არ იყო საქართველოშიო“ (იქვე). სულხან მდივნის ხელთნაწერის არსებობა ამტკიცებს, რომ იესე მელიქიშვილის ცნობა გადაჭარბებულია და მეორე ხელთნაწერიც ყოფილა, ამასთანავე იმ ერთზე უფრო უკეთესიც. მაინც-და-მაინც ცხადია, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარშივე, ჯერ კიდევ ალამაჰმადის შემოსევასა და აოხრებამდე აღმოსავლეთ საქართველოში „დასტურლამალი“ ძნელი საშოვარი ყოფილა. ის ხელთნაწერი, რომელიც იოველ ალექსიძის მიერ ყოფილა გადაწერილი, სათვალავში განსაკუთრებით მისაღები არ არის იმიტომ, რომ 1821 წელს არის გადაწერილი და რაკი „ეთანხმება მელიქიშვილის დედანს“-ა და მხოლოდ „გადამწერს ადგილ-ადგილ ცოტაოდენი ცვლილება მოუტანია“ (იქვე). ამიტომ საფიქრებელია, რომ ალექსიძეს დედნად დაახლოვებით იმგვარივე ხელთნაწერი უნდა ჰქონოდა, როგორც იესე მელიქიშვილისა არის.

უეჭველია, რომ ალექსიძისა და მელიქიშვილის ხელთნაწერების გამამწერთა „დასტურლამალი“-ს დედანიც დაზიანებული და არეული უნდა ყოფილიყო. ამას შემდეგი ცნობა გვაფიქრებინებს. § 38-ში, რომელსაც სათაურად აწერია „მურდრისათვის“, გადამწერს ნათქვამი აქვს — „სხვა ამისი შემდგომი მდივანბეგის განაჩენის ბოლოს იძიეთ: სხვაგან ვიპოვე და იქ დაწერე, აქ არ დაეტიო“-ო (იხ. გვ. 51, სულხან მდივნის ხელთნაწერში ეს § სრულებით არ არის, შეად. გვ. 202).

როგორც აღნიშნული გვქონდა, პ. უმიკაშვილის დაუსაბუთებელი დაკვირება, რომ შინაარსის მიხედვით „დასტურლამალი“-ს ტექსტის დალაგება, რა სახითაც იგი სულხან მდივნის ხელთნაწერშია შენახული, „უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციას“, სამართლიანია. მაგრამ, თუნდაც რომ სულხან მდივნის ხელთნაწერი შენახული არ ყოფილიყო, იმის დამტკიცება, რომ თავდაპირველ დედანში შინაარსი სხვანაირად ყოფილა დალაგებული და არა ისე, ანბანურად, როგორც იესე მელიქიშვილისეულსა და 1821 წ. ხელთნაწერშია, მართო იესე მელიქიშვილის ხელთნაწერის ტექსტის კრიტიკული შესწავლითაცაა შესაძლებელი. ამას შემდეგი მაგალითიც ცხად-ჰყოფს.

მე-7 (ზ) თავში, რომელსაც სათაურად აქვს „ალაყაფის შუა სახლის რიგისათვის“, სხვადასხვა მოხელეების შესახებ, რომელთაც მეჭლისის დროს უნდა ემსახურათ, ნათქვამია: „ამათ იმავე ზემოთის წესით იმსახურონ“-ო (გვ. 5). ზემოთ კი არსად არაფერია ნათქვამი, თუ მოხელეებმა ამისთანა შემთხვევებში როგორ უნდა იმსახურონ. ცოტა ქვევითაც მე-9 (თ) მუხლშიაც, რომელიც „ახალის სასახლის რიგისათვის“ არის დაწერილი, მოხელეებზე ნათქვამია: „ესენი იმავე ზემოთის წერილის წესით იმსახურებოდენ“-ო (იქვე). არც ამის ზევით არის რაიმე ცნობები, თუ როგორის წესით უნდა ემსახურათ ამგვარ შემთხვევებში. ეს ორთავე ამონაწერი ცხადად ამტკიცებს, რომ თავდაპირველს დედანში ამ ორ მუხლს წინ უძღოდა ისეთი მუხლი, რომელიც ამ მე-7 და მე-9 მუხლებისათვის სამაგალითოდ არის დასახლებული. ამგვარ წად უეჭველია ის წ უნდა ყოფილიყო, რომელიც წ რაგ 163-ად არის ეხლა და მე-77 გვერდზეა მოთავსებული და სათაურად უწერია „სასახლეების რიგისათვის“. ეს მუხლი სხვებთან შედარებით დიდია (გვ. 77—80) და მართლაც სხვათა შორის დაწვრილებითს ცნობებს შეიცავს, თუ „ქელჯობიანები“ და სხვა დარბაზის წესრიგის დამცველი მოხელეები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. იქ მეჭლისის წესრიგიც არის აღწერილი. ამ მუხლს თავდაპირველად მისდევდა „მუშაობის სახლის რიგისათვის“ (იხ. გვ. 54, წ 33) და „ტოგუნის რიგისათვის“ (გვ. 81, წ რაგ), რომელშიაც მოხელეების მეჭლისის დროს სამსახურის შესახებ ნათქვამია „ესენი იმავე ზემოთის წერილის წესით იმსახურებოდენ“-ო (გვ. 81). მაშასადამე ცხადია ამ მუხლსაც თავდაპირველად დარბაზობისა და მეჭლის-ნადიმის საზოგადო წესრიგის აღწერილობა მიუძღოდა წინ. საკმარისია სულხან მდინის ხელთნაწერში ჩაიხედოთ (იხ. გვ. 196), რომ დარწმუნდეთ, თუ რამდენად სამართლიანია ზემოაღნიშნული მუხლების თავდაპირველი დალაგებულობის აღდგენის ზემომოყვანილი ცდა.

ეს ერთი მაგალითიც საკმაოა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ იესე მელიქიშვილის ხელთნაწერის შესწავლითაც შეიძლება ცხადყოფილ იქმნას, რომ ვახტანგ მეფეს თავისი „დასტურლამალი“ შინაარსისა და მიხედვით დაულაგებია.

არც ის გარემოება უნდა დაგვაიწყდეს, რომ როდესაც ძველი დროის რომელიმე ძეგლი შენახულია ორი სახით, ანბანურად და შემდგომითი-შემდგომად დალაგებული, მაშინ სრულის დაკეშმარტებით შეიძლება ითქვას, მეორე წესი თხრობისა თავდაპირველია იმიტომ, რომ ანბანურად დალაგებული თხრობის შინაარსისა და მიხედვით დალაგება დედნის იმდენად ძნელსა და რთულს წინასწარ კრიტიკულ შესწავლას მოითხოვს, რომ ამისთვის მაშინდელ მეცნიერთ ძალა არ შესწევდათ და ამის გამო წარმოუდგენელიც არის, „დასტურლამალი“ რომ თავდაპირველად ანბანურად ყოფილიყო დაწერილი და მერმე მისი შინაარსი საგნობრივად დალაგებულ თხრობად გადაკეთება შესძლებოდათ.

შენახულია თუ არა სულხან მდინის ხელთნაწერში მაინც „დასტურლამალი“ იმ სახით, როგორც ეს ძეგლი თვით ვახტანგ VI მიერ უნდა შედგენილი ყოფილიყო. განსვენებული პ. უმიკაშვილი ბრძნული სიფრთხილით ამბობს, რომ ეს „ხელთნაწერი უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციასა“ და ეს დასკვნა იმაზე აქვს დამყარებული, რომ იქ შინაარსი საგ-

ნობრივად არის დალაგებული და არა ანბანურად (იქვე, V). ამ მხრივ დაკვირვება, როგორც აღნიშნული იყო, სრულებით სამართლიანია.

მაგრამ სხვაფრივ ზემოწამოყენებული საკითხის შესახებ ამაზე მეტიც შეიძლება ითქვას. არა, არც სულხან მდიენის ხელთნაწერშია „დასტურლამალი“ შენახული იმ სახით, როგორადაც ვახტანგ VI ჰქონია დაწერილი. ამას თუნდ ის გარემოებაც ცხადპყოფს, რომ მის დედანს, როგორც აღნიშნული იყო, ბევრგან ფურცლები ჰკლებია და აქა-იქ შინაარსიც არეული ყოფილა. მაგრამ ამასვე უფრო ნათლად ის ნაწილიც ამტკიცებს, რომელიც დედანში მთლად შენახული ყოფილა და სულხან მდიენის გადამწერს სამუდამო დაღუპვისაგან გადურჩენია. თუ სულხან მდიენისა და იესე მელიქიშვილის ხელთნაწერების „დასტურლამალს“ გადაიკითხავთ, მთელ თხზულებაში შინაარსის ვერავითარ (სამეფო და სადედოფლო დ-ს გარდა) დანაწილებას ვერ იპოვით, მუხლობრივი დაყოფის გარდა, რომელთაც თვითთველს თავისი განსაკუთრებული სათაური აქვსთ და იესე მელიქიშვილის ხელთნაწერში თვითთველ მუხლს სათვალავიც უზის.

წინათ კი უეჭველია მთელი „დასტურლამალი“ შინაარსის და მიხედვით „კარებ“-ად ყოფილა დაყოფილი. ამისი დამამტკიცებელი კვალი აქა-იქ ეხლაცაა შენახული. ვახტანგ მეფის შესავალის შემდგომ, რომელიც იწყება სიტყვებით „ეჰა შენ ყოველთა მბადო“, ამ ხელთნაწერში, მაგ., შემდეგი სათაური მისდევს: „კარი პირველი. ყოვლისა კელჯობიანისა და მათის სარგოსი“ (იხ. გვ. 195). ცხადია მასსადამე, რომ „დასტურლამალს“ დედანი თავდაპირველად „კარებად“ ყოფილა დაყოფილი და რაკი ნათქვამია „კარი პირველი“-ო, უეჭველია მეორე, მესამე და შემდეგი კარებიც იქმნებოდა. „დასტურლამალი“-ს ტექსტი რომ მართლაც კარებად იყო დაყოფილი, ამის დამამტკიცებელი მეორე კვლიც არის შენახული. იქ ერთგან, მაგ., აგრეთვე სწერია: „კარი სასახლეების რიგისა“-ო (გვ. 196). ცხადია მხოლოდ, თავდაპირველ დედანში ისიც იქმნებოდა ნათქვამი, თუ რომელი კარი იყო, მაგრამ გადამწერთაგან გამოტოვებული უნდა იყოს.

ამგვარად გამოირკვა, რომ ვახტანგ მეფეს თავისი „დასტურლამალი“ შინაარსის და მიხედვით „კარებად“ გაუყვია და თვითთველი კარისათვის საგანგებო საგანი და განსაკუთრებული სათაურიც აურჩევია. კარების სათაურები და მათი სათვალავები სულხან მდიენის დედანშიაც კი ორი ზემოაღნიშნული შემთხვევის გარდა შენახული აღარ არის, მაგრამ შინაარსის წინანდელი დალაგების წესრიგის ნაშთად ბევრგან შერჩენილია, რომ „დასტურლამალი“-ს ნუხლები მომეტებულ ნაწილად შინაარსისდა გვარად მისდევს ერთი მეორეს, თუმცა აქა-იქ სულხან მდიენის ხელთნაწერშიაც შინაარსი არეულია. ეს გარემოება უეჭველია იმის შედეგი უნდა იყოს, რომ სულხან მდიენის ხელთნაწერის დედანი, რომლითგანაც გადმოწერილა, დაზიანებული ყოფილა.

მაგრამ მართო „კარები“, მათი სათვალავები და სათაურები კი არ უნდა აკლდეს და მხოლოდ მუხლების წესრიგი კი არ უნდა იყოს არეული, არამედ თვით ტექსტიც ყველგან იმ სახით არის შენახული, რანაირადაც იგი თავდაპირველად იყო დაწერილი. ტექსტს ზოგან არსებითი ნაწილი აკლია ხოლმე ისე, რომ აზრის შეტყო-

ბა შეუძლებელი ხდება, ზოგან ცნობებია შეცვლილი. მაგ., შესავლის ბოლოს ერთი წინადადებაა მოთავსებული, რომელშიაც აღნიშნული ყოფილა, თუ პირველად რა საგანზე უნდა ყოფილიყო „დასტურლამალ“-ში ლაპარაკი. იქ სახელდობრ ნათქამია: „პირველად ჯერ არს ხსენება და აღწერა, რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხვისა“-ო (გვ. 4). როგორც მკითხველიც დარწმუნდება, ამ წინადადებას სწორედ ის ადგილი აკლია, სადაც ნათქვამი ყოფილა, თუ რის ხსენება და აღწერა „პირველად ჯერ არს“. ეს დანაკლისი ყველა ხელთნაწერში ყოფილა (შეად. გვ. 131 და 157). სულხან მდიენის ხელთნაწერში შენახული სათაურების დახმარებით ამ ტექსტის დანაკლისის შევსება დაახლოვებით შეიძლება. იქ შესავალს, როგორც აღნიშნული იყო, მისდევს „ქარი პირველი. ყოვლისა კელჯოხიანისა და მათის სარგოსი“ (იხ. გვ. 194). მამსადაამე, პირველად „დასტურლამალში“ კანონმდებელს „კელჯოხიანებზე“ ჰქონია ლაპარაკი. სწორედ ამიტომაც საფიქრებელია, რომ ზემოაღნიშნული წინადადება თავდაპირველად ასე უნდა წერებულყო, „პირველად ჯერ არს ხსენება და აღწერა [ყოვლისა კელჯოხიანისა და მათის სარგოსი], რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხვისა“. რომ დაახლოვებით მართლაც ასე უნდა წერებულყო, ამის დასამტკიცებლად იმ მოსაზრების მოყვანა შეიძლება, რომ პურობის, ან მეჯლისის მოწყობის, რისხვის და წყალობის გამოცხადების დროს წესრიგის დამცველად მართლაც „კელჯოხიანი“ იყვნენ ზოლმე.

„დასტურლამალი“-ს დედანი დროთა განმავლობაში შინაარსის მხრივ უფრო თვალსაჩინოდ იმ ადგილებში უნდა დამახინჯებულყო, სადაც ვახტანგ მეფის დროინდელი მოხელეების სიები და სხვადასხვა სტატისტიკური ცნობებია მოთავსებული. პ. უმიკაშვილს წინასიტყვაობაშიც აღნიშნული აქვს, რომ სიებში იესე მელიქიშვილისეულისა და სულხან მდიენისეულს ხელთნაწერებს შორის განსხვავებაა (გვ. VI) და ვინც მისი გამოცემის „დამატებულებათა“ იმ ნაწილს გადაიკითხავს, რომელიც ხელთნაწერების „განსხვავებათა“ აღწერას შეიცავს (გვ. 131—162), ის თავის თვალთაც დარწმუნდება, რაოდენი სამეცნიერო მუშაობაა ჯერ კიდევ საჭირო, რომ გამორკვეული და აღდგენილი იყოს ქართული სახელმწიფო სამართლის ამ შესანიშნავი ძეგლის პირვანდელი სახე და შინაარსი ისე, როგორც იგი ვახტანგ VI მიერ დაწერილი ყოფილა.

ვახტანგმა თავისი „დასტურლამალი“-ს შექმნით მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა კვლავ ერთი-ერთმანეთისაგან განსაზღვრა და სახელმწიფო სამართალსაც დასტურლამალის შექმნით ისევ მტკიცე საფუძველი დაუდვა: ამიერითგან სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარკვეული წესრიგი იყო დამყარებული და მისი რყევა და დარღვევა ისე ადვილი აღარ იქნებოდა. თუმცა თვით ვახტანგის „დასტურლამალი“-დან ჩანს, რომ დასტურლამალის ზოგიერთი ნაწილი „პირველ მეფის გიორგისაგან“ განწესებული ყოფილა და ვახტანგს მხოლოდ განუახლებია (იქვე, გვ. 109), ზოგი კიდევ უფრო ადრეც ყოფილა დაწესებული, არსებობდა, მაგ., „ძველადგან და აწ მეფე გიორგისაგან დამტკიცებული“ საბუთები (იქვე, 128, 129), მაგრამ უმთავრესი ღვაწლი მაინც ვახტანგ VI-ს მიუძღვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ მე-

ფის დროს. როგორც ჩანს, დასტურლამალისთანა წიგნი, სადაც დარბაზობის და სხვა სახელმწიფო გამგეობის შესახებ ცნობები ყოფილა მოთავსებული, უეჭველია უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც მრავალი სხვა საბუთიც შემდეგ ალბათ დაკარგულა. როგორც ეტყობა, თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი ხელმწიფის კარის „გარიგება“-ც ვახტანგის დროს დაკარგული ყოფილა. ვახტანგის დროს მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო მართვა-გამგეობის დარგის შესახებ არსებობდა გ ი ო რ გ ი მ ე ფ ი ს დასტურლამალი.

რაკი სიტყვა „დასტურლამალი“ არაბულ-სპარსული სიტყვაა, შეიძლება გვეფიქრა, რომ თვით ეს ვახტანგის წიგნიც სპარსული ამგვარისავე თხზულების მიბაძვით ყოფილიყო შედგენილი, მაგრამ სპარსულად ამნაირი ნაწარმოები არ არსებობს, მხოლოდ ერთ სპარსულ XIX საუკუნის ისტორიკოსს თავის წიგნის ბოლოს სპარსეთის ყველა მოხელის ნუსხა აქვს დართული, მაგრამ ვახტანგის დასტურლამალსა და იმ ნუსხას შორის დიდი მზღვარი ქვეს. ვახტანგის წიგნი რომ მისი ნაწარმოებია, ეს თვით შინაარსითაც მტკიცდება: იქ სხვადასხვა მართვა-გამგეობის შესახები ნამდვილი ქართული საბუთებია შეკრებილი და რიგზე დალაგებული. მაგალითად: „მდივანბეგობის წესი და რიგი“, რომლის შესახებაც ვახტანგი ამბობს, „მოკითხული ვქენით და ამ წესით ყოფილიყო გარიგებული და ახლაც ამ წესით გვიბოძებია“-ო (იქვე, 56), ერასტი ორბელიშვილის სახელობაზე დაწერილი საბუთია, „მდივნების სარგოსათვის“ (იქვე, 49), „ვაზირის სარგოსათვის“ (იქვე, 32), „ბოქაულთ-ხუცესების სარგოსათვის“ (იქვე, 16) და სხვაც მრავალი.

სამწუხაროდ, აქ უადგილობის გამო ვრცლად ვერ შევვებებით იმ საკითხს, თუ როგორ შესდგა თანდათან „დასტურლამალი“. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ „დასტურლამალი“ ძვირფას, საუცხოვო ცნობებს გვაძლევს სამეფოს წესწყობილების ყოველი მხრის შესახებ, ისეთს მასალებს, რომლის პოვნა სხვაგან არსად არ შეიძლება. ეს წიგნი ჩვენი სამართლის ისტორიისა და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისათვის დაუფასებელი განძია. იგი პ. უმიკაშვილის მიერ საუცხოვოდ არის გამოცემული სამი დედნის მიხედვით და თანაც ჩინებული ლექსიკონი აქვს დართული.

ვახტანგ VI-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართული სამართლის ასპარეზზე ამაზე არ შეჩერებულა.

საქართველოში სასოფლო პოლიციის მოვალეობა, ქურდების და დაკარგულის აღმოჩენა XVI—XVII საუკ. ხევის ბერებს ებარათ. ეს მოვალეობა სამართლის ისეთი დარგი იყო, რომ სახელმწიფოსაცა და მართლმსაჯულებასაც ეხებოდა და ამის გამო საქმე შეიძლებოდა არეულიყო, ამიტომ ვახტანგ VI-მ ეს დარგი გამოაცალკევა და განსაკუთრებული „სახევისთავო სამართლის წიგნის“ შედგენა დააპირა. დაუღალავი მეფე ბრძანებს: „ქვეის თავმა როგორც ისამართლოს, იმის სამართლის წიგნს მივსცემთ, ისრე მოიქცენ“-ო (დასტურლამალი, გვ. 106). სამწუხაროდ, მასალებიდან არა ჩანს, დასცალდა თუ არა ვახტანგს ამ თავისი განზრახვის ასრულება? ცხადია მაინც, რომ ცალკე სახევისთავო სამართლის წიგნის დაწესებით ვახტანგ VI ქართული საპოლიციო სამართლის შემქმნელიც იქნებოდა.



## ნაწილი II

## სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წყაროები

ქართული სამართლის უძველეს ძეგლად ჩვეულებრივ მეფე გიორგი V-ს „ძეგლის დადება“ ითვლება. რასაკვირველია, თვით განსვენებული დ. ბაქრაძეც კარგად გრძნობდა, რომ საქართველოში ამ სასამართლო წიგნის წინათაც უნდა ყოფილიყო სამართლის ძეგლები (იხ. Сборник законов груз. царя Вахтанга VI, а. ფრენკელის გამოცემა, დ. ბაქრაძის რედაქტორობით, გვ. 81, 112, შენ.), მაგრამ ამგვარი ძეგლები მას დაკარგულად მიაჩნდა. გასაოცარი ის არის, რომ ვერც ბექა და ალბულას სამართლის წიგნის 99-ე მუხლს მიუხევედრებია განსვენებული ისტორიკოსი და თავის შენიშვნაში იგი ამბობს, ამ მუხლის აზრი ისააო, რომ სასამართლო წიგნები ძველი მეფეების დროსაც უწერიათო, მათი ბრძანებითა და სამღვდელოებისა და საერო პირთა თანამშრომლობით, და თვით ალბულასაც ხელთ ჰქონია ამგვარი ძველი კანონებიო (იქვე, გვ. 117, შენ.). არც განსვენებულ ნიჟიერ მკვლევარს ნ. ურბნელს მიუხედავად 99-ე მუხლისათვის ჯეროვანი ყურადღება და აღბათ იმიტომ, რომ იგი ათაბაგ ალბულას დადგენილი სასამართლო წიგნის ნაწილად მიაჩნდა (იხ. ნ. ურბნელის „ათაბაგნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი“, გვ. 267-8.).

ქვემოთ ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ საქართველოში კანონები არამც თუ გიორგი ბრწყინვალეზე წინათაც არსებობდა, არამედ რომ ამ კანონების ერთმა ნაწყვეტმა ჩვენ დრომდის მოაღწია კიდევ. თვით გიორგი V თავის „ძეგლის დადება“-ში პირდაპირ ამბობს, რომ იმის წინათაც საქართველოში არა ერთი და ორი სამართლის წიგნი ყოფილა და თვით მასაც ხელთა ჰქონია, როცა მთიულეებს კანონებს უწერდა. ვალის თაობაზე მაგალითად იგი წერს: „ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ: სარგებელი არც ქართველთა რჯულთა სძესთ წესად რომ აიღონ, არც სხვათა რჯულთა უწერიათ“-ო (§ მე). შემდეგ ათაბაგ ბექა და ალბულას სამართლის წიგნში ნათქვამია: „აწყვერისა და საფარისა, ვითა ძველით განყოფილიყო, არცა დიდსა მეფესა მოეშალა და ჩვენ განალამცა აგრევე დავამტკიცეთ“-ო (იხ. ჩუბინაშვილის ქართ. ქრესტომატია, 1863 წ. გამოც. გვ. 208-9). აქ დიდ მეფედ, რასაკვირველია, გიორგი V-ა ბრწყინვალედ წოდებული და აწყვერსაფარის განსაკუთრებული სამართლის უფლება მამასადამე, იმაზე წინათ, „ძველითგანვე“ ყოფილა დაწესებული. თუ კი ამ ეპისკოპოზებისათვის განსაკუთრებული სამართლის წიგნები უბოძებიათ, განა დასაჯერებელია, რომ მთელი სამეფო, დანარჩენი მცხოვრებნი და უმრავლესობა უკანონოდ ყოფილიყო?

## § 1. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი

მაგრამ რომ გიორგი ბრწყინვალეზე წინათ საქართველოში საკუთარი სამართლის წიგნი არსებობდა, ამას თითქმის დამტკიცებაც არა სჭირია, იმიტომ რომ თვით ამ კანონების ნაწყვეტს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ დრომდისაც მოუღწევია: იგი შეტანილია ვახტანგ VI-ის კოდიკოში

მოთავსებული ბექა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლო ნაწილში 99-ე მუხლში, რომელიც ზოგ ხელთნაწერში § 100-დაც არის აღნიშნული. იქ ნათქვამია:

„სახელითა ღთისათა დაიწყების საღმთოსა [სჯულსა] გაჩენილი და გასაჩენელი პირველად დაეითიან ბაგრატ კურაპალატ და აღმაშენებელთა მეფეთ მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჰკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღთისათა: „ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მართალსა საჩივარსა მართლად მოიკსენებდეთ, თქვენთა გულთა შიგან ღთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნითოთ, — არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმთა და მეყვისთა არას ქრთამის ქადებისათვის არაღარა, მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ“—ო.

ვინც ამ 99-ე, ან მე-100 მუხლს წინამდევალი მუხლების შემდეგ გულდასმით წაიკითხავს, რასაკვირველია შეატყობს, რომ აქ რაღაც სხვა კანონის ნაწყვეტი იწყება, რომელსაც §§ 96, 97 და 98 არავითარი კვეთი არა აქვს: 96-ე მუხლში იმ სასჯელზეა ლაპარაკი, რომელიც უნდა გადაახდევინონ „თუ ვაჭარი მოჰქვას ვაჭარმან თუ სხვამან ვინგინდამ“, ხოლო § 97 გზას მიმავალი ვაჭრის გაცარცვას შეეხება. 98-ე მუხლში კი ახსნილია, თუ როგორ უნდა გაასამართლონ, როცა დარბაზის კაცს „კაცი“ წაუფა. ამას მისდევს 99-ე მუხლი, რომელიც სრულებით მოულოდნელად ისეა დაწერილი, როგორც რომელსამე განაჩენს, ან სამართლის წიგნს თავითგან იწყებენ ხოლმე—„სახელითა ღთისათა დაიწყების“ და სხვა. შემდეგ თვით ამ მუხლში ნათქვამია, რომ იგი ბაგრატ კურაპალატის „ბრძანებითა“ და „ეპისკოპოზთა, დიდებულთა აზნაურთა და ჰკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი“—ა. მამასადამე, არც ბექას, არც აღბუღას ამ სამართლის წიგნთან არაფერი ჰქონიათ საერთო. ერთმაცა და მეორემაც თავიანთი კანონები თავიანთი სახელით გამოსცეს და საქართველოს მეფე არ მოუხსენებიათ, 99-ე მუხლში კი არც ბექა, არც აღბუღა კანონმდებელად მოხსენებულნი არ არიან. ერთი სიტყვით, § 99 (ან 100) სხვა სამართლის წიგნიდან არის ამოღებული და იმ წიგნის შესავალს წარმოადგენს. ეს სამართლის წიგნი ბაგრატ კურაპალატის ბრძანებით შეკრებილი უმაღლესი სამღვდლოების დიდებული აზნაურებისა და ჰკვიანი კაცების „მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი“ ყოფილა.

ხოლო რაკი თვით ამ ნაწყვეტში თარიღი ნაჩვენები არ არის, ამ სამართლის ძეგლის შედგენის დრო უნდა დაახლოვებით მაინც გამოვარკვიოთ. XIV საუკუნეში 1360—95 წლებს შორის მეფედ იყო ბაგრატ V დიდი, მაგრამ მას კურაპალატობის პატივი არა ჰქონია და არც შეიძლება რომ ჰქონოდა. სამართლის წიგნის გამომცემელი უეჭველია სხვა ბაგრატი უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ საქართველოს მეფეები დავით აღმაშენებლის შემდგომ კურაპალატობასა და სხვა ბიზანტიურ სახელმწიფო საპატიო სახელებს აღარა კადრულობდენ. ამის გამო ცხადია, რომ ზემოაღნიშნული სამართლის წიგნის კანონმდებელს დავით აღმაშენებელზე წინათ უნდა ემეფნა. ამასთანავე XI საუკუნითგან მოყოლებული XV საუკუნემდე ბაგრატ V დიდის გარდა არც ერთს საქართველოს მეფეს სახელად ბაგრატი არა რქმევია.

XI საუკუნემდე სამი მეფე იყო ბაგრატიის სახელის მქონებელი: ერთი ბაგრატ II, მეტ სახელად რეგვენად წოდებული (†994), შემდეგ ბაგრატ III (978—1014) და ბაგრატ IV (1027—72). სამართლის წიგნის შედგენის მოთავედ შეუძლებელია ბაგრატ II ყოფილიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი კურაპალატი არა ყოფილა, მერმე იმიტომაც, რომ რეგვენს ცოტა არ იყოს არც კანონმდებლობა შეჭვერის. რჩება მაშასადამე, ბაგრატ III და ბაგრატ IV. ორივეს კურაპალატობის პატივი ჰქონდათ: პირველს ეს პატივი თვით ბიზანტიის კეისარმა ბასილიმვე მისცა (სუმბატ. ცა და უწყება, 3; ქკა, 65 და ქლი ერის ისტ., II), ხოლო მეორემ ითხოვა თავის დედის პირით და მიიღო კიდევ კურაპალატობა (ქლი ერის ისტ., II). მაშასადამე, ზემოაღნიშნული კანონები იმ სამ ბაგრატს შორის ან ბაგრატ III-ს, ან არა და ბაგრატ IV-ს, უნდა გამოეცა. ბაგრატ I კურაპალატზე ჩვენ აქ განგებ არას ვამბობთ და ჯერ იმის გამოკვევა გვსურს, თუ რომელს ბაგრატს, — III-ს, თუ IV-ს, — მეტა უფლება აქვს კანონმდებლად აღვიაროთ, ხოლო ამის შემდგომ ბაგრატ I-ის კანონმდებლობასაც შევეხებით.

მემატთანე მოგვიხსრობს, რომ ბაგრატ IV-ის დროს „ქუეყანასა და წყნარება არა აქენდა, ეკლესიანი, გლახაკნი, აზნაურნი ვერ იკითხვებოდეს“—ო (იხ. იქვე) და გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებითგანა ჩანს, რომ ეს მემატთანეს ცნობა სრულიად სამართლიანი ყოფილა. ცხოვრების ავტორი, რომელიც მთაწმიდელი მამის მოწაფე იყო, მოგვიხსრობს, რომ გიორგიმ, საქართველოში ჩამოვიდა თუ არა, „პირველად ყოვლისა აღღესა მახვლი მხილებისა“ ბაგრატ მეფის წინააღმდეგ და სხვათა შორის „ეტყოდა მსჯავრთათჳს და სამართალთა სამეფოთა, რათა უსჯიდეს ობოლთა და ქურიეთა... და რათა არა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა, დიდისა გინა მცირისა“—ო (ცა გი მთწმდე, 321). ერთი სიტყვით საისტორიო წყაროები ერთმხრივ მოწმობენ, რომ ბაგრატ IV-ის დროს სამართალი განსაკუთრებით დაცემული და შელახული ყოფილა და არც საფიქრებელია, რომ ასეთ მეფეს სამართლის წიგნის შედგენით თავი შეეწუხებინა. ბაგრატ III-ის შესახებ კი მატთანემი პირიქით ნათქვამია, რომ „არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისა დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლისა მართლად მოქმედი ყოველთა კაცთა თჳს“—ო (იხ. ჩემი ქლი ერის ისტ., II). რაკი ისტორიკოსი ბაგრატ III-ის მართლმსაჯულობას განსაკუთრებით აქებს, უეჭველია ამ მეფეს სამართლის საქმისათვის სხვებზე მომეტებით უზრუნვია და გაუკეთებია კიდევ. სწორედ ასეთ ხელმწიფეს შეეძლო შეეკრიბა სამღვდლოება, დიდებულნი, აზნაურნი და „ქკვიანი კაცნი“ სამართლის წიგნის შესადგენად. ყურადღების ღირსია, რომ როგორც ზემოაღნიშნული სამართლის წიგნის შესავალში მეფე ბაგრატ კურაპალატი „აღმაშენებლად“—აც არის წოდებული, ისე მემატთანეც მას „მაშენებელს“ უწოდებს.

მაგრამ ამ ორი ბაგრატის გარდა იყო კიდევ ერთი ბაგრატი, პირველი, ამოტ კურაპალატის ძე. მასაც კურაპალატის პატივი ჰქონდა. როცა ამოტ 826 წელს არაბებმა მოკლეს, ბაგრატი და მისი ორი ძმა „უსრულო—ლა იყვნეს ასაკითა“ და „იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა“ (სუმბატ. ცა და უწყება, 3; ქკა, 55). შემდეგ, ალბათ როცა წამოიზარდნენ, ბაგრატმა

ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმთა თვისთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოილო კურაპალატობაჲ“ (გ. მე რ ჩ უ ლ ი. ც ო გ ო ლ ხ ნ ძ ძ, გვ. 13 და 3: ქნკა, 55). სწორედ ეს ბაგრატიც თავის კანონმდებლობითი მოღვაწეობით განთქმული იყო: მისი „განწესებულ არს“ „გლახაკთა ნაწილი“ (გრიგოლ ხანძ. ც ა, ლბ) სახელმწიფო საქველმოქმედო თანხა (იხ. ამის შესახებ ქართული სამართლის ისტორიის წიგნი, II). მისივე საქებურ ღვაწლად ითვლებოდა „ყოველისა ერისა სამართლით განკეთხვამ“ (ც ო გ ო ლ ხ ნ ძ ძ, გვ. ლბ). იქნებ რაკი ნათქვამია „ყოვლისა ერისაო“, სწორედ სამართლის წიგნის შედგენა ჰქონდეს ცხოვრების ავტორს ნაგულისხმები. იგი განთქმული იყო ვითარცა „წმიდათა ეკლესიათა მამცნებელი“ (იქვე, ლგ). აქაც, მამასადაძე, ბაგრატი „აღმაშენებლად“ გამოდის.

მაგრამ საბედნიეროდ, ვახტანგ VI კოდიკოში შეტანილ ბექასა და ალბულას კანონებში ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის მართო შესავალი კი არ არის შერჩენილი, არამედ რამდენიმე სხვა მუხლიც. მე-100 მუხლი ხომ, სადაც ნათქვამია „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნაყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდვაჟარი, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს. აგეთი კაცი იყოს, ის დასვი[თ] ბქედ ჰქვიანი იქმნების და კარგად ეცოდინების ბქობა და უსამართლოს არას იტყვის“-ო, რასაკვირველია შესავალის გაგრძელებას წარმოადგენს. ამის გარდა 101, 102 და 103-ე მუხლიც უეჭველია ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნიდან არის ალბულას კანონებში შეტანილი. ყველა ამ მუხლში „პატრონი“ ათაბაგი კი არა, არამედ მხოლოდ მეფეა მოხსენებული: „თუ ეპისკოპოზმან მეფესა შესცოდოს, მეფისაგან ხელად შეპყრობა არ ეგების, ამაღ, რომე მისდა მუქაჲად სასჯელისა დამამტკიცებელი არის, შეხვეწა, შეკაზმა მართებს ეპისკოპოზსა მეფისა“-ო (§ 101). 102 მუხლში ნათქვამია: „თუ მეფე ეპისკოპოზს გაუწყრეს, — გინდა უსამართლოდ, გინდა სამართლითა, — ხელთა შეპყრობა არცა მაშინ მოხდების, ამისთვის რომე მეორე მეფე ეპისკოპოზი არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და არცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარენ“-ო. 103 მუხლი ამბობს: „თუ მოძღვარმან, ანუ მღვდელმან, ანუ მონაზონმან მეფესა, ანუ ეპისკოპოზსა შესცოდოს ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიასა შესცოდოს, ხელთა არავისგან შეიპყრობის: გაკითხვა უნდა და, რაც მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა უნდა გამონახვა და გადახდევა“-ო. როგორც ბექას კანონებში, ისე საკუთრივ ალბულას კანონებში, არსად მეფე მოხსენებული არ არის, ყოველთვის პატრონი ათაბაგზეა ლაპარაკი. ბექაცა და ალბულაც თავიანთ სამართლის წიგნებს სამცხე-საათაბაგოსათვის აღგენდენ და თავიანთ სამფლობელოში საქართველოს მეფისაგან იმდენად დამოუკიდებელნი იყვნენ, რომ მეფეს არც კი იხსენიებდენ, 99, 100, 101, 102 და 103-ე მუხლებში კი პირიქით მხოლოდ მეფეა მომქმედი და მთავარი პირი, ხოლო ათაბაგზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. განა ეპისკოპოზს, ან მოძღვარს ან მონაზონს ათაბაგისათვის კი არ შეეძლოთ შეეცოდნათ და ათაბაგი კიდევ გასწყრომოდათ? ყველა ეს მუხლი რომ მათი დადგენილი ყოფილიყო, ნუთუ „პატრონი“ (ათაბაგი) ერთხელ მაინც დასახელებული არ იქნებოდა? რასაკვირველია, იქნებოდა და, თუ 101, 102 და 103 მუხლში ათაბაგზე ლაპარაკი არ არის, იმიტომ, რომ ეს წყნებები ისეთი სამართლის წიგნიდან უნდა იყვნენ ამოღებული, რომელიც მთელი სამეფოსა-

თვის იყო საზოგადოდ შედგენილი და არა კერძოდ სამცხე-საათაბაგოსთვის, ათაბაგ ბექა და ალბულას კანონებივით.

შემდეგ ყურადღების ღირსია, რომ ამ სამსავე მუხლში ბექა და ალბულას სხვა კანონებისავეთ მაწყვერელ-საფარელზე კი არ არის ლაპარაკი, საზოგადოდ ეპისკოპოზებზე ანატიკვამი, ე. ი. ამ მხრივაც საზოგადო ხასიათი აქვს და კერძოდ სამცხე-საათაბაგოს წინაშე არ ეტყობა. დასასრულ ამ მუხლების შინაარსიც ბექა-ალბულას დროინდელ საზოგადოებრივ ვითარებას არ შეესაბამება: აქ ეპისკოპოზი და საზოგადოდ სამღვდლოება სრულ ბატონად არის გამოყვანილი, მათ წინააღმდეგ მეფე უძღურობდა, არაფერი არ შეუძლიან. ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა სამღვდლოებას ცოტა არ იყოს ფრთები შეაკვეცა და ბატონობას გადააჩვია. XIII საუკუნეში ხომ, როცა მონღოლები საქართველოს დაეპატრონენ, სამღვდლოებას ძალა სრულებით მოაკლდა: ამას თითონვე ამტკიცებენ. XIII საუკუნის საეკლესიო კრება საქართველოს მეფესა და დიდებულებს სწერდა: ჩვენ „არღარავისგან გუაქუს პატივი, — არც სჯულსა და არც ეპისკოპოზთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიპრონსა, არც ქორებისკოპოზთა: ყუელა ყუელას უპატიოდ, შეურა ცხად, გონებით, ბასრობით ვჰყავთ“-ო (ქნები, II, 166 და საისტ. მოამბე, 1925, გვ. 221—222). თუმცა შემდეგ სამღვდლოების საქმე გამოკეთდა, მაგრამ მაინც წინანდელ ბატონობამდე ვეღარ მიაღწია.

ცხადია, 101, 102 და 103 კანონი რომ ათაბაგ ალბულას, ან იმდროინდელი მეფის დაწერილი ყოფილიყო, სამღვდლოებას ასეთი გასაოცარი უპირატესობა არ ექმნებოდა. ამიტომ ეს სამივე მუხლი ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდლოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მალლა ეჭირა თავი, ესე იგი დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა იყოს. სწორედ ამ დროს იყვნენ მონაზონები ბატონად და მთავრის მოწვევის ბარათზე პასუხად შეეძლოთ შეეთვალათ, ბერს შენთან „არაჰნებაეს მოსვლაჲ“ო (ც-მ გგ-ლ ხა-ძმ, გვ. კთ-ლ). სწორედ ამ დროს შეეძლო მთავრისათვის ბერს ეთქვა: „შენ წარმავალთა ამათ ყამთა მეფე ხარო“, მე შენ კი არა, მხოლოდ ქრისტე ღმერთს ვემორჩილები და იმის გარდა სხვას არავისო (იქვე, გვ. ლ). სწორედ ამ დროს იყო ბერი-არქიმანდრიტი იმდენად ძლიერი, რომ სრულებით თავისუფლად მეფეს საყვარელ სატრფოს ართმევდა, მონასტერში ჰკეტავდა. ასეთ ხანას, რასაკვირველია, დაადგენდნენ: რაც უნდა შესთოდოს ეპისკოპოზმა, მოძღვარმა, მღვდელმა თუ მონაზონმა მეფესაო, მაინც ხელი არ ახლოთო, იმიტომ რომ „მეორე მეფე ეპისკოპოზი არის და ქრისტიანეთა სჯულის დამამტკიცებელი და არცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს“-ო. განა ეს უკანასკნელი აზრი იმავე წინადადების გამეორება არ არის, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა გვარამ მამფალს, როცა მან საეკლესიო კრების საქმეებში ჩარევა მოიწადინა, პირში მიახალა: „მორწმუნენი მეფენი“ სამღვდლოებასთან ერთად „შჯულის მოძღვრებას არ იკადრებდეს“-ო და „კანონსა შინა არავე ბრძანებულარს ერისკაცისაჲ, ვითარმცა... შჯულის მოძღვრებასა იკადრებდა“ იმიტომ, რომ ეს „შჯულისა და მღვდელთმოდვართა შეურაცხებაჲ არს“-ო (იქვე, მზ).

ერთი სიტყვით, თვით ამ კანონების შინაარსი გვიჩვენებს, რომ ისინი

თითქოს უფრო IX საუკუნის საზოგადოებრივი განწყობილების გამომხატველია. ამგვარად თავისი შინაარსის საერთო თვისებებით და არა ენით, რომელიც ღროთა განმავლობაში სრულებით განახლებულ-შეცვლილი ჩანს, კანონთა ეს მუხლები თითქოს უფრო ბაგრატ I კურაპალატის დროინდელად გამოდის.

მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ერთი დიდი დაბრკოლება არსებობს: სამართლის წიგნის შესავალში ბაგრატი მეფეთ-მეფედ არის წოდებული, ხოლო ბაგრატ I კი მაშინ ცხოვრობდა, როცა მეფობის უფლება-კი საქართველოში ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო. მართალია, თუ იმ დროინდელ საისტორიო თხზულებას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ მივუბრუნდით, ირკვევა, რომ თვით ბაგრატ კურაპალატს მისი თანამედროვენიც მეფეს ეძახდნენ (იხ. გრიგ. ხანძ. ცხოვრება, გვ. კმ, სტრიქ. 12, 23, 30, გვ. ლბ, სტრიქ. 42, 61), მაშასადამე, კანონმდებელი მეფე ბაგრატ კურაპალატი შეიძლება „მეფე“ ბაგრატ I კურაპალატიც უთილიყო. მაგრამ რაკი ბაგრატ I მაინც მეფეთ-მეფის წოდებულებას ვერავენ მიაწერდა, ამიტომ ეს წნ უფრო სწორე იქნება. თუ ბაგრატ III-ისად და XI ს. დამდეგისად მივიჩნით.

1909 წ. რომ ჩემი „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი, 1907 წ. დაწერილი, ნაწილი დაიბეჭდა (იხ. აღმანახი „ერი“, № 1), ამის შემდგომ ს. კაკაბაძემ 1912 წ. გამოსცა პატარა მონოგრაფია „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“, რომელშიაც ამბობდა: „ამ სჯულმდებელის ბაგრატის სამართალი, რომელიც დ. ჩუბინოვის გამოცემით 77 მუხლს შეიცავს, ჯერ სრულიად შეუძნეველი იყო, ხოლო შემდეგ მისი შედგენა მიაკუთვნეს XI საუკუნეს. მაგრამ როგორც გარეგანი სტილისა, ისე რეალური შინაარსის მიხედვით ყოველად შეუძლებელია ეს სამართალი ასე აღრინდელ დროს შეედგინოთ. ერთის შეხედვითვე ის წარმოადგენს შუა საუკუნეების ბოლოდროინდელ ნაწარმოებს“-ო (გვ. 3). მკითხველი ვერას გზით ვერ მიხვდებოდა, თუ ვის და სად გამოქვეყნებულ აზრს ეკამათებოდა ს. კაკაბაძე, რადგან ამ „მიმკუთნებელის“ არც გვარი და სახელი და გამოკვლევის სათაური დასახელებული არაა, რომ მკითხველს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, მართლა სრულებით უსაბუთოდ, ზეპირად იყო მიკუთვნილი XI ს., თუ ეს აზრი რაიმე მოსაზრებით იყო დასაბუთებული. ასეთი უცნაური და არაჩვეულებრივი საქციელის გამო, საქმის ვითარების უცოდინარ მკითხველს შეეძლო ეფიქრა, რომ სწორედ გამომკემელმა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა მიაკუთნა ეს კანონები ბაგრატ კურაპალატს და მანვე დაათარიღა XI ს-ით. მაგრამ ამ მეცნიერს ამაზე სრულებით არაფერი აქვს ნათქვამი.

თვით ს. კაკაბაძის მტკიცებით ამ საკითხს მან უცილობელი განმარტება მოუძებნა, რადგან თუ მანამდე საქართველოს ისტორიაში „არც ერთი მეფე ბაგრატ კურაპალატის სახელწოდებით შემდეგ მე-11 საუკუნისა“ ცნობილი არ იყო და ეს გარემოება აძლევდა მიმკუთნებელს ძეგლი XI ს-ად მიეჩნია, ს. კაკაბაძემ ნიკორწმიდის სიგელზე მიწერილი სიგლის მიხედვით, რომელშიაც „მეფე კურაპალატი“ არის მოხსენებული და რომლის თარიღი მან 236 ქრონიკონად წაიკითხა, ბაგრატ კურაპალატი რაჭა-არგვეთის მეფეთა დინასტიის წარმომადგენლად გამოაცხადა. თვით ასეთი პოლიტიკური ერთეულის არსებობა საქართველოში თავის ახალ აღმოჩენად ამცნო მკითხველ სა-

ზოგადობას, და სწორედ ამ ბაგრატიანად გამოაცხადა ის საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც ვახტანგ VI კოდიკოში ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის შემადგენლობაშია მოქცეული.

1920 წ. ს. კაკაბაძემ-ვე ამ მიწერილი საბუთის თარიღი სრულებით შესცვალა და 106 ქრონიკონად გამოაცხადა. ასეთი მოულოდნელი გარემოების გასამართლებლად მას შემდეგი აქვს ნათქვამი: „მინაწერი საზოგადოდ სანახევროდ გადასულია. ბევრი სტრიქონი, როგორც ნაჩვენებია იყო თავის დროზე სრულებით არ ჩანს, მაგრამ ქორონიკონი რვ, ასომთავრულად დაწერილი, იკითხება თავისუფლად (კურს. ჩვენია) და თუ მიუხედავად ამისა მინაწერის დაბეჭდვის დროს ქორონიკონის ნაჩვენებელი ასოები საეჭვოდ იქმნა გამოცხადებული (ს. კაკაბ. სჯულმდ. ბაგ. კურაპ., 5), ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნიკორწმიდელად მანოელის დადგინება მოხსენებულია იმერეთის მეფის ბაგრატი 1544 წლის სიგელშიც (იქვე, 6—8) და ამიტომაც ნიკორწმიდის დიდ სიგელის მინაწერიც მე ჩავთვალე XVI საუკუნისად—“ო (ცვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ გვ. 4). მამასადამე, ეხლა ეს მიწერილი საბუთი 1418 წ-ისად იქცა და ბაგრატი კურაპალატიც XVI ს-იდან XV ს. დამდეგს იქმნა გადმოყვანილი.

ამ ბაგრატი კურაპალატის ვინაობისა და მფლობელობის შესახები აზრიც ს. კაკაბაძემ შეიცვალა: თუმცა ჩემ წინანდელ „შრომაში ვახტანგ მეფის ვინაობის შესახებ ის აზრი იყო გამოთქმული, თითქოს ეს პირნი ეკუთვნოდნენ სამეფო დინასტიის მეორე ხარისხოვან, ასე ვთქვათ, რაჟა-არგვეთის მეპატრონეთა შტოს, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება თითქოს ეწინააღმდეგება ამ დებულებას. 1432 წლის სიგლის მიხედვით ვახტანგ მეფე სამართალს აწარმოებს ქუთაისში ქართლის ერისთავის და სხვა საკმაოდ მრავალრიცხოვან წარჩინებულთა თანდასწრებით“. დასასრულ ს. კაკაბაძეს ნათქვამი აქვს: ყველა „ამ მოსაზრებისა გამო ჩვენ ამ ეამად (sic!) გვგონია, რომ ბაგრატი და ძენი მისნი ვახტანგ და გიორგი უნდა ყოფილიყვნენ აფხაზ-იმერეთის სამეფოს მფლობელები და დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის მეთაურნი“—ო (ცვლევა-ძიებანი, გვ. 5).

ამ XV ს. დამდეგისად დათარიღების სრული შეუწყნარებლობა ცხადი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ვისაც ფულების ქართული სახელების საკითხი ისტორიულად შესწავლილი ჰქონდა, რადგან ნიკორწმიდის სიგლის მიწერილი საბუთში ფულის ერთეულის სახელად ნახმარია „შაური“ (გვ. 5). ტერმინი შაური კი, როგორც ჩემს „ქართული საფას-საზომთა მცოდინეობა“—ში გამოკვეთული მაქვს, მხოლოდ XVI ს-ში, თანაც ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოდის საქართველოში (იხ. „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 1—2).

ეს გარემოება ს. კაკაბაძეს 1920 წელს, როგორც ჩანს, საფას-საზომთა-მცოდნეობის ზემოდასახელებული მონოგრაფიის გამოკვეყნებამდე არ სცოდნია და იმისდა მიუხედავად, რომ ავტორი აცხადებს, რომ „საკითხი ფულის სისტემათა შესახებ საქართველოში, როგორც ძირითადთაგანი ეკონომიური ფაქტების გასაგებად, თავიდანვე გვიანტერესებდა ჩვენ და ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ, 1905 წლიდან დამზადებული გეჰონდა გამოკვლევის ერთი ცდა. შემდეგს ხანებშიდაც, მუშაობის განახლების პერიოდებში, ამ საკითხით ჩვენ დანტერესებული ვიყავით“—ო (იხ. მისი „სასისხლო სიგელე-

ბის შესახებ“, საისტორიო მოაზრება, 1924, II ტ., გვ. 72). მაგრამ საფას-საზომთა-მცოდნეობის გამოკვეყნების შემდგომ ნიკორწმიდის სიგლის მიწერილი საბუთის 1418 წ-ისად მიჩნევის შეუსაბამობა, რასაკვირველია, უნდა თვით ს. კაკაბაძესაც ეგრძნო და 1924 წ. დაბეჭდილ წერილში „ეგრედ წოდებული ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესახებ“ ამ საბუთის დათარიღებაზე ნათქვამი აქვს: ნიკორწმიდის სიგლის მიწერილი საბუთი, რომელშიაც მოხსენებულია „მეფე კურაპალატი“ და რომელიც „ქორონიკონის 236-ად წაკითხვით“ XVI ს-ად გამოვაცხადეთ, „ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს მეფე ბაგრატ კურაპალატი უნდა ყოფილიყო რაქა-არგვეთის (ჩხარის) მფლობელთაგანი და ზედ სახელად კურაპალატად იწოდებოდა... ამ ბაგრატ კურაპალატის პიროვნებასთან ჩვენი მაშინდელი აზრით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სჯულმდებელის ბაგრატ კურაპალატის ვინაობაც. ამ ქამად შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ხსენებული აზრი ბაგრატის 1541 წლიდან რაქა-არგვეთის ტერიტორიაზე მფლობელობის შესახებ არ გამართლდა“-ო (საისტ. მოაზრება, 1924, II წ., გვ. 242). ნამდვილად კი როგორც დავრწმუნდით, თავისი პირველი აზრის მცდარობა ს. კაკაბაძეს უკვე 1920 წ. ჰქონდა აღიარებული და მის ურყევ თარიღად 1418 წ. იყო გამოცხადებული. აი ამ თავის მეორეჯერ დათარიღების შესახებაც ეხლა ნათქვამი აქვს: „შემდეგ (ე. ი. 1912 წ. შემდგომ) ჩვენ შევასწორეთ ამ მინაწერის ქორონიკონის წაკითხვა 106-ად (ს. კაკაბაძე კვლევა-ძიებანი, 4), მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მინაწერის ტექსტში მოხსენებულია შ ა უ რ ი (სჯულმდ. ბაგრ. კურ., 5), ხოლო შაური, როგორც ფულის სახელწოდება, უკავშირდება მე-16 საუკუნეზე არაადრინდელ ხანას (ზემოთ ს. კაკაბ., სასისხ. სიგელების შესახებ, 86), ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ნიკორწმიდის მე-11 საუკუნის სიგლის მინაწერი, მანოელ ნიკორწმიდელის მიერ შესრულებული ბაგრატ კურაპალატის მოხსენებით, უნდა ეკუთნოდეს მე-16 საუკუნეს. მ ი ნ ა წ ე რ ი ს ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი წ ა კ ი თ ხ ვ ა (236=1548 წ.) უ ფ რ ო ს წ ო რ ი უ ნ და ი ყ ო ს“-ო (საისტ. მოაზრება, 1924, წიგნი, II, 242, შენ.\*). გაოცებული მკითხველი, რომელსაც ს. კაკაბაძისავე ზემოთყვანილი კატეგორიული განცხადება, რომ „ქორონიკონი რგ (106) ასომთავრულად დაწერილი, იკითხება თავისუფლად“, დავიწყებული არა აქვს, ალბათ უნებლიეთ იფიქრებს, რა საშუალებით შეიძლება დიდი, ასომთავრული დამწერლობით გამოყვანილი 106 რიცხვის, რომელიც თურმე სრულებით გარკვევით იკითხება და მაშასადამე მისი წაკითხულობის სისწორე არავითარ ეჭვს არ იწვევს, 236-ად გადაკეთდეს ან რა უფლება აქვს მკვლევარს ის გარემოება, რომ თარიღი 106 ქორონიკონი თურმე „იკითხება თავისუფლად“, საბუთის ტექსტის პირველად გამოცემის დროს მკითხველს არამც თუ დაუმალოს, არამედ თვით თარიღიც კი თავის ნებით 236-ად შეასწოროს, ტექსტში დაბეჭდოს „დაიწერა ქვ (სა სლ) ვ:“ და ასეთი შენიშვნა გაუკეთოს: „ქორონიკონის მარჯვენაგანი ვ გარკვევით ჩანს, სლ-კი საეჭვოა“-ო (იხ. ს. კაკაბაძის სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, გვ. 5, შენ.\*)? ეს ხომ თავის თეორიის სიმართლის დასამტკიცებლად საბუთის ტექსტის გაყალბებას უდრის.

შემდეგ, თუ მიწერილი საბუთის ქორონიკონი თავისუფლად 106-ად იკითხება, მართო იმის გამო, რომ ამ ძეგლში მთელი საუკუნით შეცდომაა შეპარული და XV ს. დამდგვის საბუთში „შაური“ იხსენიება, როცა ფულის ეს



სახელი მხოლოდ XVI ს. მეორე ნახევრიდან შემოდის საქართველოში, როგორ შეიძლება გამომცემელმა დედნის მკაფიო ცნობა და წანაკითხი თვითნებობით 236-ად შეაწიროს, რომ ამ საშუალებით საბუთი XVI ს-ად იქცეს, მისი ტექსტის ცხადი ანაქრონიზმი გაქრეს და საეჭვო უეჭველად განდეს? თუ საბუთი 1418 წ. დაწერილად ასაღებს თავისთავს და შიგ „შაურა“ იხსენიება, ამნაირი ტლანქი ანაქრონიზმის გამო ის საეჭვოდ და ნატყუარად უნდა იქმნეს ცნობილი.

რაკი ს. კაკაბაძისათვისაც ცხადი შეიქნა, რომ ბაგრატ კურაპალატი არც რაჭა-ლეჩხუმის მეფეა, — რომელიც არც კი არსებობდა და თვით ს. კაკაბაძის მოგონილია, — და არც აბხაზეთ-იმერეთის მეფე, მან თავის 1924 წ. წერილში გამოაცხადა, რომ „ბაგრატ, კურაპალატად წოდებული, არ უნდა ყოფილიყო ლიხთიმერეთის 27-15 საუკ. პირველ მეოთხედში მეფედ ცნობილი ბაგრატი, მამა ვახტანგ გორგასლად წოდებულისა, არამედ ძმა დიდი ალექსანდრე მეფისა. ეს ბაგრატ, ალექსანდრე მეფის ძმა, იხსენიება 1414 წლის მცხეთის ერთ სიგელში“ (ქრონ., II, 221; ისტორ. საბუთ., II, 10) და შემდეგაც ალბათ ცოცხალი იქნებოდაო (საისტ. მოამბე, 1924, წიგნი II, 246). ამნაირად ს. კაკაბაძის აზრით „სასისხლო სიგელებთან დაკავშირებით ახლად მოპოებული საბუთიანობის მიხედვით გამოდის, რომ ეგრედწოდებული ბაგრატ კურაპალატის სამართალი... შედგენილი უნდა იყოს დიდ ალექსანდრე მეფის დროს დიდი ბჭობის მიერ. მთავარი მოღვაწე ამ საქმისა უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მეფის ძმა ბაგრატ, რომელიც, როგორც ჩანს, კურაპალატის ზედმეტ სახელს ატარებდა..., სამართალი (= დიდისა ბჭობისა განაჩენი) შედგენილი უნდა იყოს 1420—1440 წლებში“-ო (საისტ. მოამბე, 1924, წიგნი II, 247).

როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, მთელი ეს მსჯელობა და ს. კაკაბაძის მორიგი მტკიცება სასისხლო სიგელებზე და ალბათობაზეა დამყარებული, რომელთა ღირებულება და ცხადი ნატყუარობა გამორკვეული გვაქვს მონოგრაფიაში „ქართული სიგელთა მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ (1926, გვ. 156—188). საითგანა ჩანს, რომ ალექსანდრე დიდის ძმას კურაპალატი ეწოდებოდა, ან რომ 1414 წ. შემდეგაც ის ცოცხალი იყო, თუმცა სხვ. მერმინდელ საბუთებში, 1419 წ. საბუთის გარდა (იხ. ჩემი ქლი ერის ისტ., IV წ., 17), არ იხსენიება?

მაგრამ თავიდათავი ის არის, რომ როგორ შეიძლება ალექსანდრე დიდის სიცოცხლეში და ზეობაში დაწერილი საკანონმდებლო ძეგლის შესავალში, რომელიც მის დროს და მისი ბრძანებით იყო შედგენილი, ის მეორე ადგილას იხსენიებოდეს, პირველად კი ბაგრატ კურაპალატი? ამნაირად, ვითარცა ნატყუარ სასისხლო სიგელებსა და თავის საკუთარ ნააზრევზე, ალბათობაზე დამყარებული და დაუსაბუთებელი მოსაზრება, ს. კაკაბაძის ეს მესამეჯერი მტკიცებაც ბაგრატ კურაპალატისა და მეფეთ-მეფის XV—XVI ს-ში არსებობის შესახებ უნაყოფო ცდად უნდა ჩათვალოს. თავის ამ მცდელობის უშედეგობას თვით ს. კაკაბაძეც იმდენად კარგად გრძნობდა, რომ ნათქვამი აქვს: „ცდა ამ საკითხის გარკვევისა ჯერ კიდევ რამდენჯერმე შეიძლება გამეორებულ იქმნას“-ო (საისტ. მოამბე, 1924, წიგნი II, 243). რასაკვირველია, უთაროლო ძეგლების დათარიღება ადვილი საქმე არ არის და ცდაც შეიძლება, მაგრამ მკვლევარი უნდა თავის მოვალეობას სიღინჯით ეპყრობოდეს და

თავის წინასწარ აკვირებული აზრის სიმართლის დასამტკიცებლად საბუთების ცნობებს არ სცვლიდეს და არ ამახინჯებდეს.

ამნაირად რადგან კურაპალატისა და სხვა ამგვარი ბიზანტიური წოდებულება საქართველოს მეფეებს XII ს. დამდეგიდან აღარ უტარებიათ და ძეგლის საერთო ტენდენცია სამღვდელოებას სრული ხელშეუხებლობის შესახებ დავით აღმაშენებლის მეფობაზე უწინარეს ხანას შეჰქმენის, ბაგრატიც შედეთ-მეფედ იწოდება, ამიტომ, სანამ ამ დებულებათა საწინააღმდეგოდ მტკიცე უთუო საბუთები აღმოჩნდებოდეს, ეს ნაწყვეტი უფრო ბაგრატ III-ის დროისად უნდა მივიჩნიოთ.

ყურადღების ღირსია ერთი მინაწერი, რომელიც მე შემხვდა სრულებით მოულოდნელად, როცა ეს გამოკვლევა უკვე დამთავრებული მქონდა. პეტრ. სანეცნ. აკადემიის სააზიო მუზეუმის Msc. Georg №. 99 ვახტანგის სამართლო წიგნის ბოლოს: „ბაგრატ კურაპალატის სამართალი აღბუღადამ. მუხლი 141. თუ ცოლი დასნეულდეს ქმარი ცოლის გვარს არას ემართლებს“... და სხვა. ეს მუხლი მართლაც იქ მოიპოვება. ეტყობა ამ მინაწერის უცნობ ავტორს სცოდნია, რომ აღბუღას სამართალში ბაგრატ კურაპალატის სამართალია შეტანილი და ეტყობა ფიქრობდა, რომ § 141-იც იმავე კანონმდებელს ეკუთვნის. სამწუხაროდ, არა ჩანს, რომელ ბაგრატს გულისხმობდა ავტორი.

## § 2. „ძეგლის დადება“ გიორგი ბრწყინვალისა

უეჭველია შემდეგ საუკუნეებშიც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროსაც იქნებოდა გამოცემული კანონები, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ჭერჭერობით ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობები არ აღმოჩენილა.

შენახულია გიორგი V ბრწყინვალეს (1318—46) „ძეგლის დადება“, რომლის ტექსტი ვახტანგის კოდიკოში შეტანილის გარდა, ექ. თაყაიშვილმა XVII ს. ხელთნაწერშიაც აღმოაჩინა. ეს ძეგლი მთელი სამეფოსათვის არ არის შედგენილი, არამედ, როგორც თვით ამ სასამართლო წიგნშია ნათქვამი, მთიულთათვის. ახალშედგენილი კანონებით უნდა მხოლოდ „ჯვართაყელს აქეთ, ხადა-ცხაოტს, ზანდუკის ხევის კიბეთ ქვეშეთ და მენესოს ზემოთ“ ეხელმძღვანელათ. მაშასადამე, ამ „ძეგლის დადებას“ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონია.

დ. ბაქრაძე და ნ. ურბნელი ამტკიცებდენ, რომ გიორგი ბრწყინვალემ ამ მთიულთა სასამართლო წიგნის გარდა მთელ საქართველოს სამეფოსათვისაც გამოსცა საზოგადო სასამართლო წიგნიო (ფრენკელის გამ. Сборник зак. груз. и. Вахтанга, დ. ბაქრაძის რედაქც., 1, გვ. 81 და ნ. ურბნელის „ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“, გვ. 1), მაგრამ ეს აზრი მგონი სწორე არ უნდა იყოს და თვით მეფე გიორგი V-ის სიტყვებსაც ეწინააღმდეგება: მეფე „ძეგლის დადებას“ წინასიტყვაობაში ბრძანებს: „ვსცანით ესე, რომელ ღთივ გვირგვინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთგან ამათ (ე. ი.

6 ეს სიტყვა „ჩვენ“ გვარის ჩამომავალს პნიშნავს, იმიტომ რომ წინამავალი „სანატრელ-“ გვიჩვენებს, რომ მკვდრს წინაპრებზე აქვს ლაპარაკი.

მთიულებს, ხელთნაწერში შეცდომით სწერია „ამად“) არ გასჩენოდათ ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხვათა მრავალთა უწესოთა მიმძღავრებულთა საქმეთა, — რომელთამე (ხელთნაწერში შეცდომით „რომელნიმე“ წერია) საქმისა, რომლისათვის ჰპირანებოდათ აღრევით ყოფა ერთმანერთსა შიგან და რომელთამე სხვისა ქამისა შემოსრულობისათვის უკვე (ხელთნაწერში ამ სიტყვას შეცდომით მისდევს „ყოფა“) გაჩენა ვერ ჰსწრებოდეს-ლა სრულად მთიულთა საქმითა მოკლებასა და გაჩენასა“-ო. ამგვარად, საქართველოში მეფე გიორგი ბრწყინვალემდე მხოლოდ მთიულებს არა ჰქონიათ სასამართლო წიგნი, დანარჩენ საშეფოში, მაშასადამე, გიორგის დროსაც მოქმედებდა განსვენებულ „ლთივ გვირგვინოსანთა და სანატრელ მეფეთგან ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა“ განჩენილი სასამართლო წიგნები. ხოლო რაკი მთიულები გიორგის დრომდე უკანონებოდ ყოფილან, ამიტომ მეფეს ეს ნაკლი შეუფსია და მხოლოდ მათთვის შეუღგენია ძეგლი. დანარჩენი სამეფოსათვის გიორგი V-ს, როგორც ჩანს, წინანდელი და მომქმედი კანონები საქმარისად მიაჩნდა და რასაკვირველია არც ახალი სასამართლო წიგნის შედგენას დაიწყებდა.

გიორგი ბრწყინვალე ამტყიცებდა, ვითომც ქართველი მეფეები მთიულებს იმიტომ არ უღებდენ სასამართლო წიგნსა, რომ მათ „ეპრიანებოდათ მთიულთა აღრევით ყოფა ერთმანერთსა შიგან“-ო, ესე იგი მათთვის სასარგებლო იყო, როცა მთიულებს ერთმანერთში დავიდარაბა ჰქონდათ ატეხილი და ერთმანერთსა სკამდენ. საბუთებითგან არა ჩანს, რამდენად სამართლიანია ამგვარი ბრალდება. უფრო სწორი იქნება, ვგონებ, ვიფიქროთ, რომ საქართველოს მეფეები მთიულების შინაურ საქმეებში არ ერეოდენ და ადგილობრივი სამართლის საქმეს არ ეხებოდენ. ამასთანავე თამარ მეფის ისტორიკოსის „მთიულთა, ფხოელთა და დიდოთა“ შესახებ ცნობებს ეტყობა, რომ მაშინდელი განათლებული ქართველი საზოგადოება ჩამორჩენილ მთიულებს მედიდურად უყურებდა და დიდ ფასსა და ღირსებას არ სდებდა: „ფხოელნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენო“ (იხ. ჩემი ქლი ერის ისტ., II). შემდეგ, როცა საქართველოს მონღოლები შემოესივნენ, თუნდაც რომ სდომნოდათ, მეფეებს „სხუისა ქამისა შემოსრულობისათვის“ აღარ შეეძლოთ წადილი განებორციელებინათ. გიორგი ბრწყინვალეს მთიულებში საქართველოს საერთო კანონები კი რასაკვირველია, იმიტომ არ შემოუღია, რომ იქაურ ცხოვრების პირობებს არ შეეფერებოდა.

მეფეთ-მეფე გიორგის, დიმიტრი მეფეთ-მეფის ძეს, მთიულთათვის რომ სამართლის წიგნი შეუღგენია, მთელი საქართველო მის ხელთ ყოფილა. „უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად ჰყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა“ შეგუღდეგი მთიულთა ცხოვრების მოწესრიგებასო. მას ჯერ თვით ხალხის მდგომარეობა ადგილობრივ შეუსწავლია და საამისოდო „წარვედით ტახტით ჩუენით, ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანს და მუნით მივედით ჯადა-ცხაოტს“. აქ მეფეს გამოუჟიოთხავს საქმის ვითარება და ქვეყნის გასაჟიო მოუსმენია: „მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ჟევისბერნი და ჰეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი“. შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს თავის მოგზაურობა განუგრძია და ჯადაცხაოტიგან დაძრული „მივედით დარიელამოის“-აო. აქაც სასამართლო

საქმეების მდგომარეობის გამორკვევის შემდგომ მეფეს ისევე სამხრეთისაკენ უბრუნია პირი. „დარიელთ მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ქევი და მოვიკვლიეთ მუნებურნი სასაქმე[ნი]“. აქაც რომ ყველაფერი გამოუკითხავს, ჯერ მუხრანში დაბრუნებულა, ხოლო შემდეგ ტფილისში მოსულა.

ტფილისში მეფეს თან არაგვის ხეობის მოხელენი ჩაუყვანია: „შემოვიტანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და ქვეისთავნი და ქვეისბერნი და ჰეროვანნი“. დედაქალაქში გიორგი მეფეს არაგვის ხეობის საქმეების მოსაწესრიგებლად სახელმწიფო დარბაზის საგანგებო სხდომა მოუხდენია: „დაესხედით, დავსვით წმიდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ეფთვიმი და დავსხით ვაზირნი და ეპისკოპოსნი და მოურავნი და გავიგონეთ“ მთიულთა გაქვირება და ცხოვრების სიდუხჭირეო. სხდომაში, მამასადამე, მონაწილეობა მიუღიათ ყველა ვაზირსა და მოურავებს ანუ დარბაზის კარსა მყოფ ხელისუფალთ ერთის მხრით, სხვადასხვა თემის ერისთავთ, ქვეისთავებ, ქვეისბერებს და ჰეროვანთ, ანუ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს მეორეს მხრით და კათალიკოზ ეპისკოპოზებს ვითარცა დარბაზის მუდმივ წევრებს. ეს სახელმწიფო დარბაზის ჩვეულებრივი სხდომა კი არა ყოფილა, არამედ საკანონმდებლო და სწორედ ამიტომაც არის, რომ დარბაზის ერთა გარდა ისეთი შედარებით დაბალი და ხელქვეშეთი მოხელეებიც ყოფილან მიწვეულნი, როგორც ქვეისთავნი, ქვეისბერნი და ჰეროვანნი იყვნენ. რაკი ძნელი საფიქრებელია, რომ მთელ საქართველოთგან ყველა ამგვარი მოხელისათვის თავი მოეყარათ, ამიტომ უეჭველია ქვეისთავ-ქვეისბერ-ჰეროვანნი მხოლოდ არაგვის ხეობითგან უნდა ყოფილიყვნენ, რასაკვირველია, ვითარცა მთიულთა ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნენი. დარბაზის სხდომები, როგორც ჩანს, თვით მეფის თავმჯდომარეობით წარმოებდა.

მუშაობა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ჯერ არაგვისხეველ მოხელეთა მოხსენებით დაწყებულა მთიულთა მდგომარეობის შესახებ: „გავიგონეთ“ დარბაზის სხდომის დამსწრე პირთაგან, „რომელ დიდი უსამართლო[ბა?] და მძლავრებულება ქმნილიყო ერთმანერთსა ზედა“ არაგვის ხეობაში. იქ მეტადრე გავრცელებული ყოფილა: „ერთმანერთის დალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და ურალოდ დაგდება და მრავალ-ფერნი ულოსობა[ნი]“. ძალმომრეობა და თვიონებობა ისე გავრცელებული ყოფილა, რომ თვით ადგილობრივ მოხელეთა სიტყვითა და სახელმწიფო დარბაზის მოწმობით საქართველოს ამ მიყრუებულ კუთხეში „ყოვლადვე სამართალი აღარ იყო“.

საქმის ვითარების გამორკვევის შემდგომ საკანონმდებლო კრებას ამ ხეობის მცხოვრებთა ეგოდენ სამწუხარო მდგომარეობის მიზეზების შესახებ საზოგადო მსჯელობა ჰქონია. ერთ-ერთ მიზეზად კრებას „განაჩენ-დაუღებლობა“ დაუსახელებია, რაკი საქართველოს წინანდელ მეფეთაგან ამ მთიულთ „არ გასჩენოდა ძეგლითა განაჩენითა დაღებითა“ და არავითარი კანონით დაწესებული სასჯელი არ გადახდებოდათ ხოლმე დამნაშავე და ბოროტმოქმედ პირებს. მეორე მიზეზად კრებას მიუჩნევია იმ სასჯელის სიმსუბუქე, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებით ყოფილა სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაწესებული: „სისხლისა მსუბუქობისათვის ადვილად ჩნდა ჩუენდა“ ყველა იმ ბოროტმოქმედების ჩადენა, რომელიც ამ კუთხეში

გავრცელებულ იყო. მაშასადამე, დარბაისელთა და მმართველი წრეების აზრით. სასჯელის „მსუბუქობა“ შედარებით ადვილებდა ბოროტმოქმედების ჩადენას, რადგან სასჯელის შიში მათ ისე არ აყენებდა და არ იკავებდა, როგორც შეაკავებდა დამნაშავეთათვის რომ მკაცრი სასჯელი ყოფილიყო.

საქმის ვითარების შესწავლისა და მიზეზების გამორკვევის შემდგომ სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრება მთიულთა ყოფაცხოვრების მოწესრიგებას შესდგომია. რაკი მთავარ მიზეზად „განაჩენ-დაუდებლობა“ იყო ცნობილი, ამიტომ სამართლის აღდგენას შეუდგენ და სწორედ ის, რაც წინათ არაგვის ხეობის მცხოვრებლებს აკლდათ, „აწ ყუელა გავაჩინეთ“, თუ ყოველს დამნაშავეს „რა რიგად ვის რა ეყოს“, სახელდობრ როგორი სასჯელი უნდა „გარდახდეს“-ო. ამგვარად შედგენილი იყო ეს საკანონმდებლო ძეგლი. ვითარცა საკანონმდებლო კრების მსჯელობისა და შემოქმედების ნაყოფი, „ძე გ ლ ი ე ს ე გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“ იყო. ყოველგვარ დანაშაულობისა და ბოროტმოქმედებისათვის ჩვენ „ე ს ე გ ა ნ ა ჩ ე ნ ი დ ა ვ დ ე ვ ი თ“-ო. ხოლო როგორც საკანონმდებლო კრების დადგენილების შედეგი, იგი ამ სხდომების „განაჩენის“ მხოლოდ „ძეგლი“ იყო. მაგრამ რაკი კრების ეს „განაჩენი“ ძეგლი გიორგი ბრწყინვალემ და დარბაზმა სასამართლო წიგნად დაუმტკიცა და მთიულებს დაუდვა, ამიტომაც აქვს მეფე გიორგი ბრწყინვალეს ნათქვამი: „დ ა ვ დ ე ვ ი თ ძ ე გ ლ ი ე ს ე გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“-ო.

ძეგლის დადების შედგენის თარიღის შესახებ ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ „როგორც ქსნის ერისთავთა ძეგლი დან ჩანს, გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიულების დამორჩილებას — ძეგლის დადება კი დაწერილია ამის შემდეგ—წინ უძღოდა გორის აღება. გორს გიორგი მეფე ბრძოლა სამ წელს (ქრონიკ., II, 8). ამასთანავე სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ მთიულებთან ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობს მეფის ძე დავით (იქვე, 9—10), რომელიც მაშასადამე, ამ დროს პატარა არ იქნებოდა. თვით გიორგი ბრწყინვალე დაიბადა 1286 წლ. ახლოს. ამისდა მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ძეგლის დადება არ უნდა იყოს 1325 წელზედ უფრო ადრე დაწერილი, ის უნდა იყოს დაახლოვებით 1325—1338 წლებში შედგენილი“-ო (იხ. მისი „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, 1913, ტფილისი, გვ. 3). მაგრამ ამ საკითხს ჯერ კიდევ გულდასმით შესწავლა სჭირდება.

გიორგი მეფის „განაჩენ-დადებულების“ ძეგლი შინაარსით მხოლოდ საერო, „მსოფლიოსა ამის“ კანონმდებლობას შეიცავდა, ამიტომ იქ განზრახ არ იყო არც ერთი „სასჯულო საკითხავი“ შეტანილი. რაკი „სასჯულო საქმე და საეკლესიო რისაც გინდა სასაქმისა: კაცის მკულელთა, ეკლესიის მკრებხუელთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა, ანუ წამკურელთა სხუათავან“ სასულიერო სასამართლოს ეხებოდა, ამ მოსაზრებით საკანონმდებლო კრება მათ არ შეჰხებია და მეფე ჰბრძანებდა, ამგვარი საქმეები „კათალიკოზმან და... ეპისკოპოსთა მათ ჰკითხონ“-ო. გიორგი ბრწყინვალეს თავის საკანონმდებლო ძეგლის წინასიტყვაობის ბოლოში ხაზგასმულობით აღნიშნული აქვს: „ჩუენ მსოფლიოსა ამისი სისხლი, პატივი და სასაქმო გავუიჩენია“. „სისხლი“ ძველ ქართულს იურიდიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის დაწესე-

ბულ სასჯელს ეწოდებოდა. „პატივი“ მოხელეობას და თანამდებობას ერქვა. „სასაქმო“ რასლას ჰნიშნავდა? ეს ტერმინი საბაო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ლექსიკონში შეტანილი არა აქვს და შედარებით იშვიათად გვხვდება, ამიტომ მისი მნიშვნელობის გამორკვევა ისე ადვილი არ არის.

საქმე და სასაქმო ერთიდაიგივე არ იყო, არამედ თვითელს განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონია. გიორგი მეფეს, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ ჯაღა-ცხაოტში ყოფნის დროს „გავიგონეთ მათნი საქმენი და დავსხედით მათსა სასაქმოსა“ო. ერთგან ისეთი ცნობაა, თითქოს სასაქმო“ სასამართლო საქმის, შემთხვევის, კაზუსის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. თავის კანონმდებლობითი ძეგლის შესავალში გიორგი ბრწყინვალე სხვათა შორის ამბობს: „სასჯულო საქმე და საეკლესიო რისაც გინდა სასაქმისა: კაცის მკუთელთა, ეკლესიის მკრეხუელთა, ცოლის დამგდებელთა ანუ წამგურელთა სხუთაგან, სხუა რაც სასჯულო საკითხავი იყოს“, საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებაო. ამ გრძელ წინადადებაში „სასჯულო და საეკლესიო საქმე“ საზოგადო ცნების საეკლესიო სამართლის სამოქმედო ასპარეზის აღმნიშვნელია, „სასაქმო“-კი ამ სამართლის ისეთი კერძო შემადგენელ ცნებისა, ანუ, როგორც ბოლოშია ნათქვამი, „საკითხავი“-ს, საკითხის, შემთხვეულობის აღმნიშვნელი ტერმინია, როგორც, მაგ., მკვლელობა, მკრეხველობა, ცოლის წაგვრა და სხვა ამგვარი იყო.

გიორგი V ბრწყინვალეს „ძეგლისა დადება“-ში აღნიშნული აქვს მის მიერ გაჩენილი სამართლის წიგნის კანონების სამოქმედო ასპარეზიც: „ჯუართა ყელსა აქეთ, ჯაღა ცხაოტს, ზან დუკის ქევს, კიბეთ ქუე შეთ და მენესოს ზემოთ ეს. განაჩენი დავედით“-ო.

ამ სამოქმედო ასპარეზის სამზღვრების შემოფარგვლა ცოტა ძნელდება იმის გამო, რომ ზოგიერთი აქ მოხსენებული საგეოგრაფიო სახელი არც სხვაგან გვხვდება ძველ წყაროებში და არც ვახუშტის გეოგრაფიასა და თანამედროვე ხუთვერსიან რუკას აქეთ მათ შესახებ ცნობები.

ამ ასპარეზის ჩრდილოეთის სამზღვრად „ძეგლის დადება“-ში „ჯუართა ყელი“-ა დასახელებული: „ჯუართა ყელის აქეთ“-ო. მაგრამ ვახუშტს ჯუართა ყელი არ მოუხსენებია. არც ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული. „ძეგლის დადებას“ ეტყობა, რომ ჯუართა ყელი ჯაღა-ცხაოტის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ „ჯუართა ყელი“ იმ ადგილს რქმეოდეს, რომელსაც რუსულ ხუთვერსიან რუკაზე აწერია «Крестовой перевал» და სადაც აღნიშნულია ჯუარის მთა (r. Крестовая нб. 96, 62°—42°30') ჯვრითა გადასავალი. რადგან ვიწრო გადასავალს ქართულად ყელიც ეწოდებოდა, ამიტომ რუსული საგეოგრაფიო სახელი ქართული „ჯუართა ყელი“-ს თარგმანი უნდა იყოს. ვახუშტსაც ნათქვამი აქვს: „მთიულეთის ჩრდილოთ არს ქევი. გარდავალს გზა ქევს ჯადის დასავლეთიდან კავკასსა ზედა... ამას უწოდებენ ყელსა“-ო (მ. ბროს., 224). ხოლო რაკი თვით ვახუშტს ჯაღა რუკაზე ლომისისა და ბურდულის ჩრდილოეთით აქვს აღნიშნული, ამიტომ ეს „ყელი“ სწორედ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლანდელ რუკაზე ჯვარის მთა და ჯვარის გარდასავალია. საფიქრებელია, რომ აქვე უნდა ყოფილიყო „ჯუართა ყელი“-ც. ამას ცოტა არ იყოს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ამ საგეოგრაფიო სახელის „ჯუართა ყელი“-ს მეორე ნაწილი, „ყელი“ ვახუშტის ზემომოყვანილს ცნობაშიაც არის შენახული.

რუსულ 5-ვერსიან რუკაზე არც კიბურა და არც მენესო აღნიშნული არ არის. მაგრამ რაკი გიორგი ბრწყინვალე მისი სიტყვით ამ ხეობის მცხოვრებთა იურიდიული მდგომარეობის გამოსარკვევად დარიალანამდის მისულა, ამიტომ ცხადია, რომ მისგან მოწვეული საკანონმდებლო კრების „ძეგლის დადების“ მოქმედების ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად უნდა დარიალანი მივიჩნიოთ.

„ძეგლის დადება“-ში შესავალში რომ აღწერილია მეფის წინასწარი სამზადისი და მუშაობა, ეს აღწერილობა უფრო მეტს საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ „ძეგლის დადების“ სამოქმედო ასპარეზის საზღვრები. მეფე ბრძანებს: „შევედით სასახლესა ჩუენსა უინვანს და მუნიოთ მივედით ვადაცხაოტს... და გავიგონეთ მათნი საქმენი... და მივედით დარიალამდის... დარიალით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარ მოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის კევი და მოვიკვლიეთ მუნებური სასაქმე“-ო და შემდეგ მუხრანში ჩამოსულა.

მაშასადამე, სასამართლო საქმეების შესასწავლად მეფე დარიალამდის მისულა, ე. ი. ჭუართა ყელზე უფრო ჩრდილოეთით ყოფილა. იქ, სადაც კანონის სამოქმედო ასპარეზის საზღვრებია აღნიშნული, აღარაფერია დარიალანზე ნათქვამი, მაგრამ უეჭველია დარიალანი ამ ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად უნდა ყოფილიყო და მხოლოდ გადამწერთაგან უნდა იყოს ეს ცნობა გამოტოვებული.

სამხრეთით ამ ასპარეზს როგორც ეტყობა ზანდუკის კევი ჰსაზღვრავდა „კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ“. ზანდუკის კევის მდებარეობა ვახუშტს ასე აქვს აღნიშნული: „ოკერ კიდის ჩრდილოთ არს ბოდორნას ქვაბნი გამოკვეთილნი... ჩრდილოთ მისა არანისთან ზანდუკლისა კევი“-ო (გგ<sup>რ</sup>ფა, მ. ბროს., 218). მაშასადამე, ძეგლის დადების სამოქმედო ასპარეზის უკიდურეს სამხრეთის საზღვრად დაახლოებით შეიძლება არანისი ჩავთვალოთ, რადგან კიბეთა და მენესოს მდებარეობის გამოურკვეველობის გამო ამაზე ზედმიწევნით განსაზღვრა ჭერჭერობით შეუძლებელია.

ვახტანგ მეფის კოდიკოში შეტანილი ძეგლის დადების ტექსტი მუხლებად არის დაყოფილი და სულ 46 მუხლს შეიცავს. მაგრამ ეს რომ გიორგი ბრწყინვალის დროინდელი ტექსტის დაყოფა არ არის, ამას ე. თაყაიშვილის ხელთაწერიც უცილობლად ცხად ჰყოფს: იქ 59-ად დაყოფა ან აღნიშვნა არსად არის მხოლოდ აქა-იქ პირველი, ან ორი პირველი სიტყვა სინგურით არის დაწერილი, რაც იმის მომასწავებელია, რომ დამწერს ეს ადგილები ახალი აზრისა თუ მუხლის დასაწყისად მიაჩნდა. ამ წითურად ნაწერის მიხედვითაც გამოდის, რომ ძეგლის ტექსტი შესავალს გარდა სულ 46 მუხლიანად იგულისხმებოდა.

მაგრამ ძეგლის დადების ტექსტის გულდასმით შესწავლა ცხადჰყოფს, რომ საკანონმდებლო კრებას ეს ძეგლი რამოდენიმე მთავარ ნაწილად დაუყვია: თვითთელი ნაწილი ერთ გარკვეულ საკითხს ეხებოდა და თვითთელ ამ ნაწილთაგანს თავისი მოკლე, ახალი საკითხის დასაწყისის

მაუწყებელი წინადადება მიუძღვოდა. ამ დასაწყის წინადადებათა უმრავლესობა შერჩენილია, ზოგ ნაწილს კი არ აქვს და საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში გადაწერის დროს უნდა იყოს გამოტოვებული. ახალი ნაწილის ამ დასაწყისის მაუწყებელ წინადადებათაგან ხელნაწერებში შემდეგია შენახული.

§ 3 (6)-ს წინუძღვის: „ჭევის ბერთა ასრე გავაჩინეთ“, რომელიც მე-7, 8, 9 და 10 მუხლებისათვისაც საერთოდ უნდა მივიჩნიოთ და ამნაირად საკანონმდებლო კრებას § 6—10 ერთ ცალკე ნაწილად ჰქონია გაულისხმევი.

მე-11 (ია) მუხლს უკვე თავისი შესავალი წინადადება უძღვის წინ „პეროვანთა ასრე გავაჩინეთ“, რომელიც § 12 (იბ)-ისათვისაც საერთოა, და ამნაირად მე-11 და 12 §-ები ერთ ცალკე ნაწილად არის მიჩნეული.

მე-13 და 14 მუხლები ციხისთავებს ეხება და აქ მე-13 §-ის წინ მოსალოდნელი იყო წინადადება „ციხისთავთა ასრე გავაჩინეთ“, მაგრამ არ არის და შექვევლია გამოტოვებული უნდა იყოს.

მე-15 §-იდან მოყოლებული ხელთნაწერებში მე-19 (ით) §-ამდე შესავალი წინადადება არსად არის, თუმცა-კი მოსალოდნელი იყო და შექვევლია თავდაპირველ დედანში იქნებოდა.

მე-19 (ით) მუხლს წინ უძღვის „სალაშქრო საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო, რომელიც § 20 (კ)-აც ეხება, რადგან ისიც სალაშქრო საქმის მოსაწესრიგებლად არის დაწერილი.

§ 21—26 (კა—კვ) ქმრისაგან ცოლის უბრალოდ დაგდებასა და ცოლის წაგვრას ეხება, მაგრამ 21-ე მუხლს შესავალი წინადადება არ მოეპოვება, შექვევლია თავდაპირველ ტექსტში § 21-ის წინ ასეთი, ან ამის მსგავსი შესავალი წინადადება უნდა ყოფილიყო: „ცოლის დაგდებისა და წაგურისა საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო. აღსანიშნავია, რომ § 25 (კე) 21-ე მუხლის გამეორებას წარმოადგენს და შექვევლია შემდეგ უნდა იყოს გადამწერის დაუდევრობითა და შეცდომით მეორეჯერ გადმოწერით წარმომდგარი. ამიტომ ამ ნაწილს თავდაპირველად 5 §-ის მაგიერ მხოლოდ 4 მუხლი უნდა ჰქონოდა.

§ 27 (კზ) ციხის დაქცევას ეხება, ე. ი. სრულებით ახალი საკითხია, რომელსაც შინაარსით § 26-ესთან საერთო არაფერი აქვს, ამიტომ აქაც შესავალი წინადადება იყო მოსალოდნელი, მაგრამ არ არის. თავდაპირველად შექვევლია აქაც §-ის წინ ეწერებოდა: „ციხის დაქცევისა საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო.

§ 28 (კძ) ბეთალმანის საკითხს აწესრიგებს და ამ მუხლის შინაარსი ახალ საკითხს ეხება. ამიტომ მის წინაც შესავალი წინადადება უნდა ყოფილიყო, რომელიც დროთა განმავლობაში გადამწერთ უნდა გამოჩინოდნო, თავდაპირველ დედანში კი ალბათ ასე ეწერებოდა: „ბეთალმანის საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო.

29-ე (კთ) მუხლი ზედღამსხმელთა საქმეს ეხება იმგვარადვე, როგორც 30 §-იც. რაკი 29 მუხლითაგან ახალი საკითხი იწყება, ამიტომ მას წინ უძღვის: „ღამსხმელისა ასრე გავაჩინეთ“. საფიქრებელია, რომ აქ



მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა აკლდეს და თავდაპირველად ეწერებოდა: „დამსხმელისა [საქმე] ასრე გავაჩინეთ“-ო.

მე-30 (ლ) მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც უარზანგობას ეხება და ასე იწყება: „მამულისა ანუ სხუისა რისამე ესრე იყოს“, შინაარსით ახალი საკითხის დასაწყისი უნდა იყოს და § 31 (ლა)-თან ერთ საგანს, უარზანგობის გაჩენის წესს ეხება. ამიტომ საფიქრებელია, რომ თავდაპირველად § 30-ის მეორე ნახევარი ცალკე უნდა ყოფილიყო და დასაწყისის მაუწყებელი წინადადება ჰქონოდა წინ, რომელიც იქნება ასე ყოფილიყო გამოთქმული: უარზანგობისა საქმე ასრე არის და ამ წესით გაგუიჩენია.

§ 32 (ლბ)-ითგან მოყოლებული დაჭრილობაზეა საუბარი. სახელდობრ თვით § 32 გერშს ეხება და წინ უძღვის: „გერშის საქმე ასრე იქნას“.

ხოლო §§ 33—40 (ლგ—მ) ადამიანის ასოთა დაკოდვას ეხება და, ვითარცა ახალი ნაწილის პირველ მუხლს, § 33-ს ასეთი წინადადება უძღვის წინ: „ასოთას საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო.

§ 41 (მა) ასაბიას, მკვლელობა-დაჭრის მეშველს და § 43 (მგ)-ც მიდგომა-მიშველებას ეხება. ამ ორ მუხლს შუა მოქცეული 42 (მბ)-ე § კი ლომისის კაცის მკვლელობას ეხება და უაღაგო ალაგას ჩართულის შთაბეჭდილებას ახდენს, იქნებ თავდაპირველად აქ არც იყო. აღსანიშნავია, რომ § 41-ს წინ, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი საკითხის დასაწყისის მაუწყებელი წინადადება არ მიუძღვის, მაგრამ პირველი წინადადების მეორე ნახევარში ასეთი სიტყვებია: ვისიც ასაბია ყოფილა, მათი საქმე ასრე იქნას“-ო. მიუძღოდა თუ არა თავდაპირველ დედანში შესავალი სიტყვები „ასაბიათა საქმე ასრე იქნას“, თუ საკანონმდებლო კრება ზემომოყვანილი, შუაში ჩართული, სიტყვებით დაკმაყოფილდა, ძნელი სათქმელია, რადგან ახალი საკითხის დაწყება ამითაც ცხად-ყოფილი იყო.

§§ 44 და 45 (მდ, მე) პარავს ეხება და, ვითარცა ახალი საკითხის პირველ მუხლს, § 44-საც შესავალი წინადადება აქვს: „სამეკობროს საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო.

დასასრულ ამ საკანონმდებლო ძეგლის უკანასკნელი, 46 (მე) მუხლი ვალის საკითხის მოწესრიგებას ეხება და მასაც წინ უძღვის: „ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო.

როგორც ზემომოყვანილი ტექსტის განხილვისა და აღდგენისაგან ჩანს, ძეგლისდადება შინაარსისდა მიხედვით არის გარკვეულ, ცალ-ცალკე საკითხების შესახებ ნაწილებად დაყოფილი. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ეს კანონები სულ დაახლოვებით 18 ნაწილად უნდა ყოფილიყო დაყოფილი, ამთგან ნახევარს, 9 ნაწილს თავ-თავისი შესავლის მაუწყებელი წინადადება XVII—XVIII სს. ხელთნაწერებშიაც შერჩენილი აქვს. უეჭველია თავდაპირველად ყველა ნაწილს ამგვარივე თავ-თავისი შესავალი წინადადებები ექნებოდათ.

ამისდა მიხედვით მე-6 მუხლამდე, რომლითგანაც შესავალი წინადადება დატულია, მხოლოდ 2 ნაწილია საგულისხმებელი და § 1 ერისთავის მკვლელობას ეხება, § 2, 3, 4 და 5 გამგებლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობას. პირველს შესავლად საფიქრებელია ექნებოდა „ერისთვისა ასრე გავაჩინეთ“, ხოლო მეორეს — „გამგებლისა ასრე გავაჩინეთ“-ო.

ზემომოყვანილითგან, რომელსაც კიდევ ბევრი სხვა მაგალითიც შეიძლება დაემატოს, ცხადი უნდა იყოს, რომ ძეგლის დადების პირვანდელი ტექსტი დამახინჯებულია დროთა განმავლობაში. ტექსტის შერყენილობა უკვე XVII ს. ხელთნაწერსაც ემჩნევა და უკვე იმ დროს მომხდარა, როდესაც ეს ძეგლი ჯერ ვახტანგ VI კოდიკოში შეტანილი არ ყოფილა. ტექსტის მართო შესავალი წინადადებები კი არ არის გამოტოვებული, არამედ თვით კანონების შინაარსიც აქა-იქ დაზიანებულია.

საკანონმდებლო კრებას ძეგლისდადების შედგენის დროს, რასაკვირველია, ხევის ადგილობრივი პირობებისა და მცხოვრებთა კულტურული დონესთან შედარებით მაშინდელ საქართველოში არსებული კანონმდებლობით უნდა ეხელმძღვანელა. აქა-იქ ეს გარემოება თვით ძეგლშიაც არის აღნიშნული, მაგ. ლომისის გლეხის მკვლელობისათვის განსაზღვრულ დებულებასა და სისხლის რაოდენობაზე ნათქვამია: „თვით ძეგლითგან გაჩენილი არის“-ო (§ 42). ვალის საკითხის შესახებაც ნათქვამია: „სარგებელი არც ქართველთსჯულთა სძესთ წესად რომე აღიკონ და არცა სხუათა სჯულთა უწერია“-ო (§ 46). ამ უკანასკნელი წინადადებითგან ჩანს, რომ საკანონმდებლო კრების წევრთხელთ მართო ქართული სამართლის შესახებ იცნობა კი არ მოეპოვებოდათ, არამედ იმის გამორკვევაც შეეძლოთ, თუ ამათ უიმ საკითხზე უცხო ქვეყნის სამართლის წიგნებში რა ეწერა. ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ მეზობელ ერთა სამართლის ძეგლები დედნად, თუ ნათარგმნი ამ დროსაც საქართველოში უნდა ჰქონოდათ და ქართული სამართლის წიგნების შედგენის დროს მათი ცნობებისათვისაც ანგარიში გაუწევიათ.

ძეგლის დადების ტექსტი ს. კაკაბაძემ ამ სათაურით „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“ გამოსცა 1913 წ. ტფილისში. სამწუხაროდ ამ გამოცემაში არსად ნათქვამი არ არის, თუ რომელი და რა დროის ხელთნაწერთგან არის ამოღებული დაბეჭდილი ტექსტი. ამის გამო ამ გამოცემას არავითარი სამეცნიერო ღირებულება არა აქვს. ჯერ-ჯერობით სხვა გამოცემის უქონლობის გამო შეიძლება წასაკითხავად წინასწარ შინაარსის და ძეგლის საერთო გასაცნობად გამოყენებულ იქნეს. ეხლა რაკი ძეგლის დადება XVII ს. ხელთნაწერშიაც აღმოჩნდა და ვახტანგ VI წიგნში შეტანამდე მისი ტექსტის გათვალისწინება შეიძლება, ამ საყურადღებო ძეგლის კრიტიკულად აღდგენილი ტექსტის გამოცემა აუცილებლად საჭიროა და ამნაირ გამოცემას ვამზადებთ კიდევ. „ძეგლის დადება“ ინგლისურადაც არის გადათარგმნილი ოლივერ უორდროპ-ის მიერ „Laws of King George V, of Georgia. surnamed «the Brilliant», translated by Oliver Wardrop (ob. Journal of the Royal Asiatic Society, 1914 წ., ივლისის №).

### § 3. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი

„ძეგლის დადების“ გარდა XIV საუკუნის დამდეგს კიდევ ერთი სხვა სასამართლო წიგნიც იყო დაწერილი. თუმცა იგიც მთელი საქართველოსთვის არა ყოფილა განკუთვნილი, არამედ „ძეგლის დადები“-ვით მართო

საქართველოს ერთი ნაწილისათვის. მაგრამ ამ ნაწილს ფართო საზღვრები ექირა და ეროვნულ ცხოვრებაშიც გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“. ამ სათაურით არის შემკული ბექას და აღბულას სამართლის წიგნი, რომელიც წინათ მხოლოდ ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კოდიკოში იყო დაცული, მაგრამ თ. ჟორდანიამ ხელთნაწერი მიიღო 1672 წ. გადაწერილი ვინმე ა. ფეიქრი-შვილისაგან, რომელშიაც ეს საკანონმდებლო ძეგლი ცალკეა მოთავსებული (ქრონიკები, II, 256). თ. ჟორდანიას გარდაცვალების შემდგომ მისმა შვილმა გ. ჟორდანიამ რომ თავისი განსვენებული მამის წიგნთსაცავი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოსწირა, ამ წიგნებში ეს ხელთნაწერიც აღმოჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ უკვე დაზიანებული: ბოლო რვეულში რამდენიმე ფურცელი ამოხეულია, რომელთაგან ერთ-ერთზე სწორედ თარიღი უნდა ყოფილიყო. ამ ხელთნაწერის პირველ გვერდზე ფანქრით თ. ჟორდანიას ხელით რუსულად აწერია: „Законы Агбуги переписанные 1662 году, хуцури, приобретено Ф. Д. Жордания от Пейкришвили, 1885 г.“, ხოლო ამის ცოტა ქვეით მქრთალი მეღნიტ წვრილად იმავე თ. ჟორდანიას ხელით ქართულად სწერია: „ველითა ფედ ცის იესესითა ქეს ტმ“. როგორც ეტყობა ეს წინადადება ამ ხელთნაწერის ანდერძის ამონაწერი უნდა იყოს. კიდევ კარგია, რომ ეს მანც გადაჩნა. რადგან 360 ქრონიკონი ქრისტესით 1672 წ. უდრის, ამიტომ რუსულად წარწერილ ცნობაში ამ ხელთნაწერის გადაწერილობის აღნიშნული თარიღი 1662 წ. თ. ჟორდანიას უნებლიეთ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს. გასაოცარია, რომ თავის „ქრონიკების“ მეორე წიგნში თ. ჟორდანიას ნათქვამი აქვს: „წარწერათაგან სჩანს, რომ იგი გადაწერილია „ველითა ფედ ცოდვილისა იესესითა ქეს ტმ“ (ე. ი. 1670 წ.) ძველის დედნისაგან“-აო (ქკბი, II, 256). ამჟამად ზემომოყვანილი „ტმ“ 360 ქრონიკონის შემცველი ცნობის გარდა ხელთნაწერს სხვა არავითარი „წარწერა“ არ მოეპოვება. ხოლო რადგან თ. ჟორდანიას მიერ ქკბში დაბეჭდილი ამ ხელთნაწერის ანდერძის ამონაწერი სიტყვა-სიტყვით უდგება პირველ გვერდზე დაცულს ზემომოყვანილი ანდერძის ამონაწერს, ამიტომ საფიქრებელია, რომ იქნებ ქრონიკების II წიგნშიც შეცდომა იყოს შეპარული ისევე, როგორც რუსულ თარგმანშიც გადაწერილობის თარიღად შეცდომით 1662 წ. აღნიშნავს 1672 წ. მაგიერ.

ვახტანგ VI კოდიკოში ამ ძეგლს ეწოდება „სამართალი აღბულასი“ და თანაც 176 მუხლად არის დაყოფილი. ბროსეს ცნობით პარიზის ხელთნაწერში „აღბულას სამართალი“ 178 მუხლსაც კი შეიცავს თურმე (Hist. de la G. Ip. 684, n. 3): ვახტანგის კოდიკოს ზემომოყვანილი სათაურის თანახმად ქართულ სპეციალურ მწერლობაში განმტკიცდა აზრი, რომ ეს ძეგლი აღბულას კანონებს შეიცავს. პლატონ იოსელიანმა თავის რუსულად გამოცემულ „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“-ში აღნიშნა, რომ აღბულამ თავისი პაპის ათაბაგ ბექას კანონების მიხედვით შეადგინა. ამასთანავე ბექას ათაბაგობა მას 1361—1391 წ. ჰქონდა განსაზღვრული, აღბულას კანონები კი 1446 წ. დაწერილად მიაჩნდა (იხ. Краткая история Грузинской церкви, Изд. в торое, С. Петербург, 1843, გვ. 116, შენ. 88).

ნ. ურბნელმა თავის 1890 წ. „ჯერ „ივერია“-ში და შემდეგ ცალკე წიგნად დაბეჭდილ მონოგრაფიაში „ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი“ აღნიშნა, რომ „სამცხე-საათაბაგოს რჯული, რომელიც ცნობილია „აღბულას სამართლად“, მარტო აღბულას არ ეკუთვნის და შეცდომით უწოდებენ ასეთ სახელს. სამართალსაც ცხადად ეტყობა, რომ იგი სხვადასხვა დროს დაწერილია. მისი შინაარსი და ორი წინასიტყვაობა (მუხ. ა და მზ) პირდაპირ ამტკიცებს ამ აზრს და აგრეთვე გვიჩვენებს, რომ იგი სამართალი ორ ნაწილად გაიყოფება. პირველი ნაწილი ბექას შეუდგენია და იმის შეიღისშვილს საჭიროდ უცენია პაპის განაჩენი უცვლელად დაეტოვებინა — „სრულებით და უკლებლად დაეწერეთო“. რაკი „იმის დროს ავკაცობა და ბოროტმოქმედება გამრავლებულა“ აღბულამ თავისი შედგენილი სამართლის წიგნიც „დაურთო პაპის განაჩენს“ აო (გვ. 2—4). ნ. ურბნელს, როგორც ეტყობა, პლ. იოსელიანის ზემომოყვანილი შენიშვნა გამოჰპარვია. მაგრამ მასაც ბექას სამართლის წიგნი XIV ს. დამლევის ძეგლად, ხოლო აღბულას სამართლის წიგნი XV ს. პირველი ნახევრისად მიაჩნდა (იქვე, 1—2).

1897 წ. თ. ჟორდანიამ ქრონიკების II წიგნში მკითხველ საზოგადოებას ამცნო, რომ აღმოჩნდა 1670 წ. ხელთნაწერი, რომელიც სხვათა შორის შეიცავს ნაწარმოებს „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“ ანუ „აღბულას კანონებს“. ამ ხელთნაწერში „ჩვენ ძვირფას განძად მიგვაჩნია აღბულას კანონები“, რადგან წინათ იგი მხოლოდ ვახტანგ VI კრებულთგან იყო ცნობილი, ეხლა კი ხელთა გვაქვს ხელთნაწერი, რომელიც „დაწერილია დიდათ ადრე ვახტანგ მეფისა და როგორც ჩანს ძველის დედნიდამ. გარდა ამისა ჩვენ ვარიანტში გამოთქმულია უფრო მოკლედ და აქაიქ საყურადღებო განსხვავებით“. დასასრულ „ჩვენი ვარიანტი შესანიშნავია იმიტაც, რომ მას აქვს სათაური ანუ წინასიტყვაობა, რომელიც აკლია ვახტანგისაში“—ო. რამდენ მუხლს შეიცავს ეს ძეგლი თ. ჟორდანიას აღნიშნული არა ჰქონდა (ქრონიკები, II, 256—257). ზემომოყვანილითგანა ჩანს, რომ თ. ჟორდანიასაც პლ. იოსელიანის და ნ. ურბნელის საყურადღებო დაკვირვება გამოჰპარვია და ის ძველებურად ამ ძეგლს აღბულას კანონებადა სთვლიდა.

1907 წ., ბექასი და აღბულას სამართლის წიგნის შესწავლამ დამარწმუნა, რომ იმ 176 თუ 178 მუხლად დაყოფილ ძეგლში მარტო ბექასი და აღბულას საკანონმდებლო შემოქმედება-კი არ არის დაცული, არამედ სხვა-დროინდელიც, რომ ბექა აღბულას კანონები § 99-ზე უნდა სწყდებოდეს, რადგან შემდეგი მუხლი ბაგრატ კურაპალატისა და მეფეთა-მეფის ბრძანებით შედგენილი კანონების შესავალს წარმოადგენს (იხ. ჩემი წერილი „ქართ. სამართლის ისტორია“, თავი I, ქართ. სამართ. წყაროები, „ალმანახ“-ში „ერი“, № 1, გვ. 14—15 და „ალმანახ“, გვ. 13). ფეიქრიშვილისეულმა ხელთნაწერმა ამ დაკვირვების სისწორე დაამტკიცა: იქ მართლაც ბექა-აღბულას სამართლის წიგნი § 99-ითგან მოყოლებული არ არის და ამ ძეგლის უკანასკნელ მუხლად § 98 არის. რადგან ამის შემდგომ მთელი გვერდნახევარია (გვ. 39—40) თავისუფალი და 41 გვერდითგან უკვე სრულებით სხვა ძეგლი, მოსეს სჯულითგან ამოღებული კანონები იწყება, ამიტომ ცხადია, რომ ბექა-აღბულას სამართლის წიგ-

ნი თავდაპირველად მართლაც § 98-ით თავდებოდა და დანარჩენი შემდეგში შემთხვევითა და შეცდომით არის ამ ძეგლთან დაკავშირებული.

1912 წ. დაბეჭდილ თავის პატარა წერილში „სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა“ ს. კაკაბაძემ აღძრა საკითხი ბექას და აღბუღას ვინაობისა და დროის შესახებ, რომელიც მანამდე ვახუშტის გენეალოგიურ-ქრონოლოგიური სქემის მიხედვით იყო გადაწყვეტილი. ამ წაშრომში უარყოფილია წინანდელი აზრი ამ პირთა ვინაობის შესახებაც და მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიური საზღვრებიც. ამასთან დაკავშირებით შეცვლილია ამ საკანონმდებლო ძეგლების დაწერილობის დათარიღებაც. ს. კაკაბაძის სიტყვით „აღსანიშნავია, რომ ათაბაგი აღბუღა თავის პაპას ბექას უწოდებს მანდატურთ-უხუცესს და არა ათაბაგს. საქართველოს ისტორიამ იცის ერთი მანდატურთ-უხუცესი ბექა, ცნობილი სამცხის მთავარი, რომელიც ცხოვრობდა XIII საუკ. დასასრულს და XIV საუკ. დასაწყისს (ვახუშტით 1285—1306 წ.). მისი სიკვდილის შემდეგ სამცხის მთავარი—როგორც ყველა საბუთიდან ჩანს—აღარ ატარებდნენ მანდატურთ-უხუცესის ღირსებას, არამედ ათაბაგისას. მარტო ეს მოსაზრება კმარა იმის დასარღვევად, რომ სჯულმდებელი ბექა არ უნდა იყოს ბექა II-ო (გვ. 4). ხოლო წინათ კანონმდებელი ბექა მეორედ იმიტომ იყო მიჩნეული, რომ ვახუშტის ცნობების მიხედვით ბექა მანდატურთ-უხუცესს შვილიშვილი აღბუღა არ ჰყავდა. ს. კაკაბაძემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამ ძეგლის უძველეს ხელთნაწერში დაცული აღბუღას შესავლის ცნობის მიხედვით აღბუღას ჰყოლია „ბიძაძე შაშია“, რა კი ჯვარის მონასტრის სულთა მატინანეში, ანუ აღაპებში შეტანილია „სარგისის შვილისა შაშიასა არტანუჯელისა“ ხსენება და სარგისი მართლაც ბექა მანდატურთ-უხუცესის შვილი იყო, რომლის გარდა ბექას კიდევ ორი ძე, — ყვარყვარე და შალვა, — ჰყავდა, ამიტომ აღბუღა უნდა ან ყვარყვარეს ან და შალვას შვილი ყოფილიყო.

ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ „ათაბაგი აღბუღა სჯულმდებელი უნდა ყოფილიყო შვილი შალვასი, ბექას მესამე ძისა“ (გვ. 5—6). ამას გარდა ს. კაკაბაძემ იმ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება, რომ ბექას სამართლის წიგნში სასჯელი ყაზანაური თეთრით, ე. ი. ყაზან ყენის († 1304 წ.) ფულით ყოფილა დაწესებული, მაშასადამე ბექას „მისი თანამედროვის მიერ მოჭრილი ფული გაუჩენია“. ხოლო რადგან აღბუღას დროს ეს ფული უკვე აღარა ყოფილა, მას თავის მხრით გიორგი ბრწყინვალის დროის „თეთრი“ გაუჩენია საზღაურად. ამ მოსაზრებათა გამო სამართლის წიგნის შემდგენელი ბექა მანდატურთ-უხუცეს ბექა I უნდა იყოს ცნობილი, ხოლო აღბუღა XIV ს. მეორე ნახევრის ათაბაგად, რომელიც 1386 წ. ცოცხალი ყოფილაო (იქვე, 6—7). თუმცა XIII—XIV სს. მესხეთის თავგადასავლის აღსადგენად ძალიან მცირე მასალები მოგვეპოვება და საბუთები ხომ, რომელსაც ს. კაკაბაძე იხსენიებს, თითქმის არცვია გადაჩენილი ისე, რომ ს. კაკაბაძის ზემომოყვანილი კატეგორიულ განცხადებათა უთუობა ისეთი ცხადი არ არის, როგორც შეიძლება მკითხველს ეჩვენოს, მაგრამ მთავარი მისი დასკვნა მაინც სწორეა. ამას, რასაკვირველია, უმთავრესად ამ საკანონმდებლო ძეგლებში მიღებული ფულის ერთეულის სახელი სწყვეტს. რაკი ბექას თავის სამართლის წიგნში საზღაური ყაზანაურით დაუწესებია, ცხადია ძეგლი იმ დროს უნდა იყოს შედგენილი, როდესაც საქართველოში ეს ფული ტრია-

ლებდა, ე. ი. ყაზან ყაენის დროს ანუ 1295—1304 წ.წ., ან ამის ახლო ხანებში. ხოლო რაკი მის შვილისშვილს აღბუღას ყაზანაურობის გაქრობის გამო გიორგი ბრწყინვალის თეთრი შემოუღლია საზღაურად, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ აღბუღა მართლაც ამ მეფის ახლო მომდევნო თაობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად ბექას სამართლის წიგნი უნდა XIII ს. დამლევის, ან XIV ს. დამდეგის ძეგლად ვიცნათ, აღბუღას სამართლის წიგნი კი XIV საუკ. მეორე ნახევრისად. მაშასადამე, ამ ორი ძეგლის შედგენილობის დრო ერთი საუკუნით უნდა იქმნეს გადაწეული.

რადგან ბექას სამართლის წიგნი გიორგი ბრწყინვალის ხანას წინ უსწრებს, ამიტომ იგი ძეგლის დადებამდე აღბუღას აღბუღას საკანონმდებლო ნაწარმოებად გამოდის. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ჩვენამდის ბექას სამართლის წიგნს დამოუკიდებელივ არ მოუღწევია და აღბუღას სამართლის წიგნში წინააღმდეგობას მას თავისი საკუთარი შესავალი არ უჩანს, უშესავალოდ კი ეს ძეგლიც რასაკვირველია არ იქნებოდა, ამიტომ აღბუღას განცხადება, ვითომც ბექას სამართლის წიგნი „უკლებად“ დაწერილი იყოს, მთლად სწორე არ გამოდის. შესაძლებელია იქ სხვა რაიმე ცვლილებებიც იყოს შეტანილი, მეტადრე საზღაურის რაოდენობის განმსაზღვრელ მუხლებში, რადგან ბექას ყაზანაურით ჰქონდა გადაჭრილი და აღბუღას კი გიორგაულით შეუცვლია. ამგვარად უფრო სწორე იქნებოდა გვეთქვა, რომ ბექას სამართლის წიგნი შენახულია აღბუღა ათაბაგის დროის საკანონმდებლო კრების რედაქციით.

საკუთრივ ბექას სამართლის წიგნი 66 მუხლით თავდება და § 67 უკვე აღბუღას კანონების შესავალს წარმოადგენს.

1672 წ. ხელთნაწერის ტექსტის მიხედვით აღბუღას სამართლის წიგნი § 98-ით თავდება და იქ § 99-ც არ არის, რომელიც თავის პირვანდელ ალაგას არც უნდა იყოს და ვახტანგის კოდიკოში აქ შემთხვევით ჩართული ჩანს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ, როგორც თ. ჟორდანიასაც აღნიშნული ჰქონდა, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტი 1672 წ. ხელთნაწერში ვახტანგის კოდიკოში შეტანილისაგან ბევრგან საგრძნობლად განსხვავდება. მაგრამ სამწუხაროდ არც ამ უძველეს ხელთნაწერებშია ამ კანონების ტექსტი ყველგან კარგად დაცული. ზოგან პირიქით საუკეთესო წინააღმდეგობის სწორედ ვახტანგის კოდიკოსა აქვს ხოლმე შენახული.

აღსანიშნავია, რომ როგორც 1672 წ. ხელთნაწერითგანა ჩანს, ბექა-აღბუღას კანონების ტექსტიც მუხლებად დაყოფილი არ ყოფილა და იქ არავითარი §-ის სათვალავები არც არის. სამართლის წიგნში ნახშირი წითური და მთავარი ასოების მიხედვით შეეძლო ადამიანს ეფიქრა თუ სად იწყება ახალი აზრი, მაგრამ ამისდა მიხედვით §-ად დაწინააღმდეგობა მაინც არ შეიძლება. ცხადია მხოლოდ, რომ ამ ორი ძეგლის კანონმდებლებსაც თავიანთი ნაშრომი რამდენიმე მთავარ ნაწილად ჰქონიათ გაყოფილი შინაარსის და

მიხედვით ისე, რომ თვითეული ნაწილი ცალკე საკითხს ეხება. თავდაპირველად უმჯველია ყოველ ასეთ ნაწილს თავისი სათაური ან დასაწყისის მაუწყებელი წითურად დაწერილი წინადადება უნდა ჰქონოდა, რომელთაგან ზოგი ეხლაც არის შენახული. მაგ. კანონების პირველი შესავლის შემდგომ სინგურით სწერია: „უწინ სისხლისა საქმე გავაჩინეთ“. დაჭრილობის შესახებ წყ-ებს წინ უძღვის „პლ გერშისა ასრე იქმნას“, შემდეგ გვხვდება კიდევ: „შუა მისრულისა ასრე იქმნას“,—„თუ... საფლაოსა ზედა დაესხას და საფლავსა ქელი მიყოს, მისი ასრე იქმნას“,—„ნაპარევისა გაჩენამ ასრე იქმნებოს“,—„გულარლოს ცხენისა ასრე იქმნას“, „გლებთა ასრე იქმნას“,—„თუ ვაჭში ექამოს, ასრე იქმნას“-ო. ზოგი მუხლის ჯგუფს ეხლა თავისი ამნაირი შესავალი წინადადება, როგორც ეტყობა, დაკარგული აქვს, მაგ. უმჯველია წინათ უნდა ყოფილიყო „ზედა დასხმისა (ან დასხმისა, ან დასხმულობისა) ასრე იქმნას“-ო, რათგან სხვა მუხლში ნათქვამია: „დასხმისა წესი დაუურვოს“, „დასხმულობისა წესითა“ დაუურვოსო. საფიქრებელია უნდა ყოფილიყო „დაწინდულობის წესის“ წყ-ის წინამორბედი წინადადებაც.

აქეთგან ცხადი ხდება, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტიც დროთა განმავლობაში საგრძნობლად დამახინჯებულა და აღდგენა სჭირდება, რაც ადვილი საქმე არ არის, რადგან XIII—XIV სს. გადარჩენილი ძეგლების მეტისმეტი სიმცირის გამო ამდროის ძეგლების ენა ჯერ შესწავლილი არ არის.

ბექა-აღბუღას კანონები პროფ. დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა თავის 1863 წელს გამოცემულ „ქართულ ქრესტომატია“ში (I, გვ. 207—233), მაგრამ არ ჩანს, რომელი ხელნაწერის მიხედვით, და სრულებით უკრიტიკოდ.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის აღდგენილი ტექსტის გამოცემას უძველესი და ვახტანგის კოდიკოს მიხედვით ვამზადებ.

ბექას სამართლის წიგნის წინასიტყვაობის დაკარგვის გამო ამ ძეგლის შედგენის გარემოება და მოქმედების ასპარეზი გამოურკვეველი გვრჩება. აღბუღას კი თავისი სამართლის წიგნი საკანონმდებლო კრებაზე შეუდგენია. ათაბაგ-ამირსპასალარ აღბუღას ამ კრებაზე მოუწვევია მაწყურელი, თავისი „ბიძაძე“ შაშია და მისი ძმა საფარის მოძღვარი პაფნოტე, „ხუთისავე თემისა სამცხისა“ ტაოელთა, კლარჯთა, შავშთა და უეჭველია ჯავახთა და მესხთა<sup>8</sup> „ეპისკოპოზნი, მეუღაბნოენი“, უეჭველია წარჩინებულნიც და უფროსი მოხელენიც<sup>9</sup>. საკანონმდებლო კრება „ქოლ(ე)თა“-ს შეყრილა და ქვეყნის მართლმსაჯულების იმ დროინდელი მდგომარეობის შესახებ მსჯელობის შემდგომ მას საჭიროდ უცენია ბექას კანონებისათვის დაემატებინა ახლად გაჩენილ, თუ გახშირებულ დანაშაულობათა დასასჯელად განკუთვნილი მუხლები. ამ ნაირად ბექას 65 მუხლისაგან<sup>10</sup> შემდგარ კანონებს კიდევ 32 მუხლი დაერ-

<sup>8</sup> ეს ორი სახელი 1672 წ. ხელნაწერშიც გამოტოვებულია.

<sup>9</sup> ეს ცნობა წინასიტყვაობაშიც გამოტოვებული ჩანს.

თო, § 67-ე, ვითარცა შესავალი, ვახტანგისეულ კოდიკოში შეცდომით არის კანონის მუხლად მიჩნეული.

ამ საკანონმდებლო ძეგლის მოქმედების ასპარეზის საზღვრები უეჭველია კრების მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს და როგორც იქ ტაოს, კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და სამცხის წარმომადგენელთ მიუღიათ მონაწილეობა, ისევე ბექა-აღბულას სამართლის წიგნი მესხეთის ამხეთი-ვე თემისათვის სავალდებულო საკანონმდებლო ძეგლად უნდა იქმნეს მიჩნეული. აქეთგან ცხადი ხდება, რომ მისი მოქმედების ასპარეზი ძეგლის დადებასთან შედარებით საგრძნობლად სპარბობს, რადგან საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა. თუ ამასთანავე მესხეთის ცხოვრებისა და განვითარების მაღალ კულტურულ დონესა და პოლიტიკურად დიდ ღირებულებასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ბექა-აღბულას სამართლის წიგნის დიდი მნიშვნელობა სრულებით ცხადი შეიქმნება. ამ ძეგლში მთიულთათვის შედგენილ ძეგლის დადებასთან შედარებით გაცილებით უფრო რთული სოციალური და ეკონომიური ცხოვრება გვეხატება და რადგან ამ დროს მესხეთსა და საქართველოს დანარჩენ ცენტრალურ ადგილებს შორის კულტურულსა და სოციალური მდგომარეობის მხრივ რაიმე თვალსაჩინო განსხვავება არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ ამ ძეგლის ანალიზით მოპოებული სურათი ნაწილობრივ შეიძლება დანარჩენ (მთა-ადგილებს გარდა) საქართველოსათვისაც დამახასიათებლად მივიჩნიოთ.

#### § 4. ვახტანგ VI-ის კოდიკოში ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ბოლოში შეცდომით დართული კანონების შესახებ

ამ დანართი კანონების §§ 99—103-ის შესახებ და მათი ბაგრატი კურაპალატის დროინდლობაზე უკვე გვქონდა საუბარი. ესლა დანარჩენ მუხლებსაც უნდა შევხვით. როგორც ვახტანგის კოდიკოს ერთი ხელთნაწერის შემომოყვანილი ცნობიდანა ჩანს, ამ დანართ კანონთაგან უცნობ შემნიშვნელს § 141 ბაგრატი კურაპალატისად მიაჩნდა ალბათ ყველა სხვა მუხლებთან ერთად. ამგვარი აზრი თავისდა-თავად იბადება, რადგან § 99 შესავალს წარმოადგენს და ამის გამო დანარჩენი გავრძელებად შეიძლება ადამიანს ეჩვენოს.

მაგრამ დანარჩენ კანონებს, სამწუხაროდ, ისეთი ცხადი ნიშანი არ ეტყობა, რომ საკითხის გადაჭრა პირდაპირ შეეძლოს მკვლევარს. აღსანიშნავია, რომ 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 167bis, 168 და 169 მუხლებს ერთი საზოგადო თვისება აქვთ რომელიც სხვა, არც ბექას და არც აღბულას დადებულ კანონებს არ მოეპოვებათ: თვითეულ მუხლში სასჯელს უეჭველად კრულვაც ზედ მისდევს: „კრულ და წყეულ შეჩვენებულ იყავნ“ (§ 161, 164, 167), ან „კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყავნ დაუსაბამოსა ღუთისა პირითა“ (§ 161, 163), „კრულ და წყეულ შეჩვენებულ იყავნ და ცულმცა არის ამო მოსახსენებელი სიცოცხლე და სიკვდილი მისი“ (§ 162), „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ [იყავნ] პირითა ღუთისათა და კანონსაცა ქვეშე იქნების წმიდათა მოციქულთასა“ (§ 165). მე-167 bis მუხლი უმატებს მხოლოდ „და წმიდათა კრებათასა“-ო, „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ“



იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა... და კანონსა ქვეშე იყოს“ (§ 168) და დასასრულ § 169-ში „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ იყავნ და ცუდმცა არის მოსახსენებელი სული და ხორცი მისი ამას სოფელსა და მას საუკუნოსა დაუსაბამოსა ღუთისა მადლითა და კანონსა ქვეშე არს წმიდათა მოციქულთასა“-ო.

ერთი სიტყვით ყველა ამ კანონს განსაკუთრებული ბეჭედი აზის და ბეჭასა და აღბუღას კანონებს არ მიაგვანან. დამნაშავეს წყევლა-კრულვა და მოციქულთა და წმიდათა კრებათა კანონების ქვეშ დაყენება განსაკუთრებულ საეკლესიო ელფერს აძლევს მათ, თითქოს სამღვდლოების კრების დადგენილება იყოს და არა საერო სამართლის ძეგლი. ამ თავისი თვისებებით ეს წყ-ები კათალიკოზთა სამართლის წიგნის კანონებს ძალიან მიაგვანან, რომელიც მართლაც XVI ს. საეკლესიო კრების ძეგლის წერას წარმოადგენს (იხ. აქვე). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წყ 161—169 მუხლების შინაარსი ბეჭა-აღბუღას და გიორგი ბრწყინვალის კანონებისას ან არ უდგება, ან თუ მსგავსებაა, წყევლა-კრულვა მაინც უეჭველად აქვს მიმატებული. § 161-ში მაგალითად ნათქვამია: „რომელმან ც, ვინცინდა დიდმან ანუ მცირემან კაცმან დალატიოთ ძმა მოჰკლას, ანუ დალატიოთ სხვა კაცი, კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყავნ დაუსაბამოსა ღუთისა პირითა და ვითარ(ისა)ცა გვარისა იყოს კაცი იგი ორ-კეცი სისხლი დაუურვოს და ვინცა უშველოს და შეიწყნაროს კრულ და წყეულ შეჩვენებულ იყავნ“-ო. ხოლო § 117-ში წერია: „თუ კაცი კაცმან დალატიოთ მოჰკლას თორმეტი ათასი სისხლსა ემატოს“-ო. ამგვარად გამოდის, რომ ერთისა და იმავე დანაშაულობისათვის ორი სხვადასხვანაირი სასჯელი ყოფილა დაწესებული: 1) ორკეცი სისხლის დაურვება „გვარსა ზედა“ და შეჩვენება არამცთუ მკვლელს, არამედ ყველას ვინც კი მას ხელს გაუმართავს (§ 161) და 2) ერთი სისხლისა და ზედმეტად მხოლოდ 12000 თეთრი დალატისათვის (§ 117), არც კრულვა-შეჩვენება მკვლელს, არც რასაკვირველია, მის გულ-შემატკივარს, — ერთი სიტყვით გაცილებით უფრო ნაკლები სასჯელია დაწესებული. ცხადია, რომ შეუძლებელია ეს ორი (§ 161 და 117) მუხლი ერთსა და იმავე კანონმდებელს ეკუთვნოდეს.

ამ ორი მუხლის გარდა მესამე, ბეჭას § 22-ე კანონიც გვაქვს, რომელიც მკვლელობასვე ეხება. იგი ბრძანებს: „თუ ძმამან ძმა მოჰკლას ერთსახლი და გაუყოფელი იყოს და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი ორკეცი სისხლი დაუურვოს რაც გვარისა იყოს, — ამად რომე საღუთოდ ბრალია და საკანონო არის ასკეცი და აგრევე ამა სოფელს ძლიელა ინახვის კაცთაგან, აილოს ვინცა გავლენიანი იყოს, ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწა პატრონისა და ლაშქართაგან, გადახდევასა არავისგან მოხსენება უნდა: ეპისკოპოზმა მისი წესი იცის, რაც მართებს მან უყოს“-ო. თუმცა ამ მუხლის შინაარსი 161 მუხლისაზე უფრო ახლოა, მაგრამ მაინც მათ არსებითი განსხვავება ეტყობა: იქ ორკეცი სისხლს რომ გადაახდევინებდენ მკვლელს, მას შემდეგ შეაჩვენებდენ და ვითარცა შეჩვენებულს ვერავინ მიეკარებოდა, არავის არ უნდა ეშველნა მისთვის, თუნდ რომ გაჰირვებულ იყოფილიყო, იმიტომ რომ, ვინც კი მას მიიღებდა, ისიც წყეულ-შეჩვენებული გახდებოდა. ერთი სიტყვით, თუ თავის ქვეყანაში დარჩებოდა

მკვლელი, შემშლით ამოერთმეოდა სული, თუ არა და სამუდამოდ უნდა გადაკარგულიყო და იქნებ ამით როგორმე სიკვდილს გადარჩებოდა. 22-ე მუხლში კი ორკეცი სისხლის დაურევებისა და მამულის ჩამორთმევისა და გადახვეწის მისჯის შემდგომ, ეპისკოპოზი „რაცა მართებდა“ მას დაუნიშნავდა: საეკლესიო სასჯელს ცოდვის მოსანანიებლად. ამ შემთხვევაში მკვლელს მაინც სიცოცხლის იმედი უნდა ჰქონოდა, მხოლოდ საზოგადოებას ჰპოვებოდა. ერთი სიტყვით ჩვენამდის სამ სხვადასხვა დროინდელ კანონს მოუღწევია. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“-ში ძმის მკვლელობისათვის 10 წლით გაძევებაა მამულით გან და სისხლის დაურეება „გვარსა ზედა“ (§ 17). აქ ორკეცი სისხლის დაურეება არ არის დაწესებული, ხოლო კათალიკოზთა სამართლის წიგნში მამისა და ძმის მკვლელობისათვის: ხელის მოკვეთა და მამულიდან გაძევებაა სასჯელად დაწესებული (§ 5).

შემდეგ, 165-ე მუხლიცა და 135-ეც ცოლის ძალით მოტაცებას შეეხება და ერთსა და იმავე სასჯელსაც აწესებს ამ დანაშაულობისათვის: „სრული სისხლის“ დაურეება<sup>10</sup>. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ 165-ე მუხლში ამას გარდა სწერია „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ [არის] პირითა ლუთისათა და კანონსამცა ქვეშე იქმნების წმიდათა მოციქულთასა“-ო. რა ფიქრად მოსასაველეია, რომ 135-ე და 165-ე მუხლები ერთი და იმავე კანონმდებლის შედგენილი იყო: მას რომ წყევლა-კრულის ასეთი იმედი ჰქონოდა, 135-ე მუხლსვე ზედვე მიიყოლებდა და ამის გულისათვის ცხადია ახალ მუხლს არ დასწერდა.

167-ე მუხლი უფრო საინტერესოა. იქ ნათქვამია: „რომელმან ცკაცმან რაგინდარა მოიპაროს და გამოჩნდეს—ორნივე თვალნი და ეწვენენ და ანუ ხელფეხი და ექრას, თუ საპატრიუოსა აღგილსა არა მოეპაროს“. შემდეგ 152 მუხლი უნდა ჩაემტოს, რომელიც ამავე საგანს ეხება: „ესეც იცოდეთ, უმეფოსა და უდიდებულესის კაცისაგან თვალთა და წვას არავინა ღირსა, ისიც ასრე რომ ენ დიდი სალარო, ან ეკლესია, ან ჯოგი, ან ღალატი ქნას“. შემდეგ ისევ 167-ე მუხლი უნდა განვაგრძოთ: „ვინ იყიდეს (ნაპარევისა), ვითარცა დაფასონ, ეგრე მიყიდონ და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს, და კრულ, წყეულ და შეჩვენებულ იყავნ“-ო.

ამავე საკითხის შესახებ 62-ე მუხლში კი, რომელიც ბექას ეკუთვნის, წერია: „ნაპარევისა პირველ ასრე გაჩენილა და ასრე იქნას აწ-ცა, რომე თუ ცხენი და რაგინდარა კაცმან მოიპაროს, თუ ხელთავე აქვდეს თავის ნაპარევი, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა, და, თუ არა აქვდეს, აფიცოს საქონლის პატრონმან, როგორცა დაიფიცოს იგი მისცეს და ერთი ზომი სხვა“-ო.

62-ე მუხლი ბექას სამართლის წიგნს ეკუთვნის და ათაბაგის მოწმობით ნაპარევის ორკეცად გადახდევინება პირველ ასე

<sup>10</sup> არის აგრეთვე § 46 და 47, რომლებიც ბექას ეკუთვნის, იქ ცოლის წაგვრისათვის „სისხლი ორი ნაწილი“-ა დაწესებული გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“-ში ამავე დანაშაულობისათვის 1/2 სისხლია „გვარსა ზედა“ დაწესებული (§ 23).

გაჩენილიაო. 167-ე მუხლში კი იმავე დანაშაულობისათვის რომ „კაცმან რაგინდარა მოიპაროს“, „ორივე თვალნი დაეწენენ“ სასჯელადაო. თუ საპატიუო ადგილს მოეპაროს, ხოლო თუ „საპატიუოსა ადგილსა არა მოეპაროს“, მაშინ სასჯელად მხოლოდ ხელფეხი დაეჭრას“-ო. 152 მუხლში ახსნილია, თუ რა ითვლებოდა საპატიუოდ: „ან დიდი სალარო, ან ეკლესია, ან ჯოგი, ან ღალატი“ (აღსანიშნავია რომ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდადება“-ში პარვისათვის ნაპარევის 3 კეცი ღირებულების გადახდევინება დაწესებული, § 44 და 45). რასაკვირველია, 167-ე მუხლი გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე ბექას კანონი, ამასთანავე არც ამ მრისხანე სასჯელსა კმარობს და ზედმეტად წყევლ-კრულვას უწესებს მპარავსა.

167-ე მუხლი 62-ე მუხლზე უფრო ძველის შთაბეჭდილებას ახდენს. თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებითგან ჩანს, რომ თვალთა დაწვა და ხელფეხის მოჭრა განსაკუთრებით თამარ მეფის წინადა სცოდნიათ და საქართველოს დიდებულ გვირგვინოსანს ამგვარი მკაცრი სასჯელები ამოუყვეთნია (იხ. ქლ'ი ერის ისტ., II და აქვე კარი მეოთხე). ამისთანა მდგომარეობას გვიხატავს ბექას 62-ე მუხლი, სადაც ნათქვამია „პირველ ასე გაჩენილა“-ო, ცხადია იმის წინათ, თორემ ეხლა ჩვენ კარგად ვიცით, რომ თამარ მეფემდე სხვანაირი სასჯელი ყოფილა. 152-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თვალთა დაწვა მხოლოდ საპატიუო ადგილას მოპარვისათვის შეიძლება და მიესაჯათ, მაგრამ სასჯელის აღსრულება „უმეფოსა და უდიდებულესის კაცისაგან არავინა ღირსა“-ო და თამარ მეფის ისტორიკოსიც ამტკიცებს, რომ ასეთი სასჯელებისათვის მეფის თანხმობა იყო საჭირო (იქვე). სწორედ ამ თავის უფლებით უსარგებლია სახელოვან თამარს და სასჯელს არ ამტკიცებდა თურმე (იქვე). წინათ, როგორც ჩანს, მპარავებს მეფეები ასე ღმობიერად არ უცქეროდნენ. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ XVI ს. კათალიკოზთა სამართლის წიგნს სიკვდილად დასჯა და ხელის მოკვეთით დასჯა დასავლეთ საქართველოში კვლავ აღუდგენია (იხ. §5 2, 3, 4, 5, 17 და 23).

ზემონათქვამითგან ცხადი ხდება რომ ვახტანგ VI-ის კოდიკოში ბექა აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონები თავისი შინაარსით არც ერთ აქამდე ცნობილს ქართულ საკანონმდებლო ძეგლს არ უდგება, წყევლ-კრულვითა და ნაწილობრივ სასჯელთა სიმკაცრით მხოლოდ კათალიკოზთა სამართლის წიგნს უახლოვდება, მაგრამ ამგვარი თვისებები შეიძლება თამარ მეფეზე უწინარესი ხანის ძეგლებსაც ჰქონოდათ. რადგან ამკანონების წეს-ს დათარიღებისათვის გამოსაყენებელი არავითარი მკაფიო ნიშნები არ ემჩნევათ ენაც შეიძლება განახლებული იყოს, ამიტომ მათი დათარიღებისათვის ჯერ კიდევ საკმაო კვლევა-ძიებაა საჭირო. ამ კანონების შინაარსი და განსხვავებული თვისებები ამ ძეგლს საყურადღებოდ ახდის და მათი სადაურობის გამოკვლევა და დათარიღება ჩვენი მეცნიერების მორიგ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

## § 5. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და კოდიკო

აღბუღას სამართლის წიგნის შემდეგ XVI და XVII საუკუნეებში საქართველოში, როგორც ეტყობა, ახალი სასამართლო წიგნი ან არ შეუდგენიათ.

ან ამ ხანის ნაღვაწი მცირედი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ცხოველდება კანონმდებლობა. სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გარდაეცათ.

ამ დიადი საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად გიორგი XI და მეტადრე დიდებული დაუვიწყარი ვახტანგ VI იყო. მან შეკრიბა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მატიაწებების დახელოვნებული მცოდნე პირები, მათი დახმარებით საისტორიო მასალებს ერთად თავი მოუყარა, ძველი შეავსო და შეასწორა. მანვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები და ძეგლები და სამართლის წიგნების კოდიკო შეადგინა. როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე), მანვე გამგებობისა და მოხელეობის შესახები მასალები შეაგროვა და ერთი ქართული სახელმწიფო სამართლის წიგნი „დასტურლამალი“ შეადგინა. ამაზე ცოტა წინათ საბა სულხან ორბელიანი ოცდა ათი წლის განმავლობაში ქართული ლექსიკონისათვის მასალებს აგროვებდა და ჩვენი დედაენის საუნჯეს ადგენდა. იმის დროს ქართული ენის ლექსიკონი „არღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინაჲთგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენაჲ ქართული თვისთა ნებათა ზედა გაერყვნათ“ და მეფე გიორგიმ უბრძანა საბას ახალი ლექსიკონი შეედგინა, „რათა ისწავლონ ენაჲ ქართული შესრულებული და განვრცელებული“-ო (იხ. საბა სულხან ორბელიანის ქართული ლექსიკონი, გვ. III—IV). ვახტანგ VI-ის შვილი ბატონიშვილი ვახუშტი ამავე ხანაში თავის საქართველოს ისტორიასა და შესანიშნავ საგეოგრაფიო აღწერილობას ადგენს, ხოლო ანტონ კათალიკოსი ქართულ გრამატიკასა წერს და ქართველი მოღვაწეების შესახებ ცნობებს აგროვებს. მრავალმხრივი იყო და საყურადღებო ეს ხანა და ცხოვრების განახლების მომასწავებელი, გარეშე პოლიტიკურ გარემოებას, მტრების შემოსევასა და ქვეყნის აოხრებას რომ ეს ღრმა მოძრაობა არ დაებრკოლებინა!..

XVI—XVII ს. საქართველო ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო, რომ სასამართლოს სწორი მოქმედება არ შეეძლო, მართლმსაჯულება შეღახული ყოფილა: „ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბძნით და თავით თვისით სჯიდნენ და განაგებდნენ“-ო, ამბობს მეფე ვახტანგი, „ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღუთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ ეგრეთ ჰსჯიდნენ“-ო (იხ. ჩუბინაშვილის ქრესტომატია, პირველ გამოც., გვ. 394). დაცემული მართლმსაჯულების აღდგენისათვის ვახტანგ VI-მ თავდაპირველად შეკრიბა ქართული ძველი სასამართლოს წიგნები „ქათალიკონისა, და მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები“, ზედ დაურთვა „დაბადებისა მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი და კჳალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნული“ (იქვე, 395). ამ შრომის შემ-

დღე მან დიდებული სამღვდლოებისა და მოხელეების თანადასწრებით და ჯდარბაზის ერთა, ქუთათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა“ თანამშრომლობით ახალი სამართლის წიგნი შეადგინა.

ამაზე ვახტანგის კოდიკოში ნათქვამია: „პირველვე დასაწყისმან წიგნისა ამისამანვე გამცნოსთ და მუნვე მოგითხრასთ, თუ ვითარ მიზეზ ვექმენით აღწერად თითოეულად სამართალთა ფრიადთა შრომითა და მრავლის გამომეძიებლობითა თვით გულსმოდგინეთ, რომელსა ზედა მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით საღმრთოთა და გინასამხედროთა, ბრძენმან და მონახულმან ყოველმანვე ერთბამათ და ესე ესრეთ არს შემზადებული: ხოლო სხვანიც ზემორე ხსენებულნი წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთანი მოვიძიეთ და მოვიღვეით და მრავლის სარჯელითა ვიდრე წელთა მეორედმდე გადმოვთარგმნეთ და იგინცა უკლებლად აღგვიწერიეს“—(ვახტანგის სასამ. წიგნის § 204 მინაწერი).

კანონმდებელ მეფეს განმარტებული აქვს, თუ რა მიზანი ჰქონდა, როდესაც ძველი ქართული და უცხოური სამართლის წიგნების ერთად თავმოყრის შემდგომაც მან მაინც ახალი ქართული სამართლის წიგნის შედგენა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია. ამის მიზეზად უცხოური სამართლის ნორმების საქართველოსთვის გამოუდევარობას ასახელებს, რადგან საქართველოს ყოფაცხოვრებას ეს კანონები არ შეეფერებოდაო: „ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვარამე არს და არამიჰგაცხსხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ლაღატი და უკადრისი, ამათ ესევეითარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლედ იპოვების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უხმარ არს,—ნუ სიქადულად შემირაცხავთ და ვგონებთ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას სასარგებლოდ ქვეყანისა ამისად“ (ვახტანგის სასამ. წიგნის § 204 მინაწერი).

მოსეს სჯულის წინ, შესავალში, რომელიც თუმცა თვით ვახტანგს არ ეკუთვნის, როგორც სამართლიანად შენიშნა დ. ბაქრაძემ (Сбор зак. груз. и. Выхтауга. გვ. 146, შენ.), მაგრამ რომელშიაც მისი სურვილი და წადილი რამაც აიძულა ახალი კანონები შეედგინა, მაინც კარგად არის ახსნილი, ნათქვამია: ვახტანგი ზედავდა, რომ მოსესი, ბერძნული და სომხური კანონები ყოველთვის ვერ გამოდგებოდა, ამიტომ რომ სხვა ქვეყნებისათვის იყო შედგენილი და საქართველოში სულ სხვა პირობები არსებობდა, რომელთაც ადგილობრივ შედგენილი სასამართლოს წიგნი უკეთესად მოუხდებოდა და მიუდგებოდაო (აქვე, 164). მაგრამ ახალი კანონების დადგენის შემდეგაც ვახტანგი კარგადა გრძნობდა, რომ მისი ნამუშევარი სრული არ იყო: „მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია. არც ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა“—ო, გულწრფელად აცხადებს კანონმდებელი, „ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომ ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწულებსი კაცის გონება“—ო (ჩუბინაშვილის ქრესტ. გვ. 395). მოსამართლეს განაჩენის დადგენის დროს ჯერ წინანდელი და ახალი გამოცემული კანონები უნდა გაესინჯა და თუ იქ შესაფერისს ვერას იპოვიდა, მაშინ იგი თითონ „მიხუდეს რასმე და მოიგონოს“ განაჩენი და თუ ამ „მოგონებულს“ სამართლის წიგნში ჩაურ-

თავს და დასწერსო, „კარგსა და მართებულს იქს“-ო, დასძენს ვახტანგ მეფე.

ვახტანგ VI თხოულობდა, რომ ეს ახალი დანართი სამართლის წიგნის ძირითად ტექსტში არ გაერიათ და არ შეეცვალოთ: „რომელმან ბრძენმან და გულისხმისმყოფელმან მოსამართლემან... ი ნ ე ბ ო თ შ ე ე ც ვ ლ ა სამართალთა სხეებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნუ ცა გარყუენით წერილთ ჩვენთა, რომელი აღგვეწეროს, არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით თვისგან თქმულად, სადა ენებოს, მუნ დაიწეროს და იგიც ეგოს“-ო (ვახტანგის სასამართ. წიგნის § 204 მინაწერი).

როგორც ბექა-ალბულას სამართლის წიგნის ფეიქრიშვილისეული ხელთნაწერის განხილვის დროს (იხ. აქვე, § 3) აღნიშნული გვექონდა, ქართულ საკანონმდებლო ძეგლებთან ერთად უცხო ქვეყნის ამგვარივე ძეგლების, მაგ. ებრაელთა სამართლის წიგნების, ერთ ხელთნაწერში ერთნაირი კრებულის მსგავსად მოთავსება ვახტანგ VI-ზე უწინარესაც სცოდნიათ. ამას გარდა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდადებ“-ის განხილვის დროსაც (იხ. § 2) დავრწმუნდით, რომ სხვა ერთა კანონმდებლობის ძეგლები ქართველი იურისტებს XIV ს-ის პირველნახევარშიაც ხელთ ჰქონიათ. მაგრამ ამ ძეგლების ქართული თარგმანის არსებობა ვახტანგ VI-ს, როგორც ეტყობა, არ სცოდნია. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ვახტანგ მეფეს ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები ხელახლად გადმოუქართულებია. ამნაირი ძეგლების ძველი ქართული თარგმანი უეჭველია წინათაც იქმნებოდა, მხოლოდ XVIII ს. ალბათ ან დაკარგული იყო, ან სრულებით მივიწყებულა.

ბერძნულიდან ნათარგმნი კანონების შესახებ თავიანთი აზრი აქად. ბროსესგან მოყოლებული ბევრს მეცნიერსა აქვს გამოთქმული, მაგრამ უკანასკნელად ეს საკითხი საფუძვლიანად განხილული აქვს პროფ. ვ. სოკოლსკის თავის მონოგრაფიაში „Греко-римское право в уложении грузинскаго царя Вахтанга VI“ (იხ. Жур. Мин. Нар. Прос. 1897 წ. ენკენისთვის №, გვ. 56—93). მისი აზრით ვახტანგის კოდიკოში შეტანილი „ბერძნული სამართლის წიგნი“ ვლასტარის სინტაგმის შემოკლებას წარმოადგენს არმენოპელიოტგან და სხვა წყაროებთან შევსებულს. ამ სახითვე უნდა ჰქონოდა ამ ძეგლის ბერძნული დედანი ქართულად გადმომთარგმნელს, რასაც ამ კანონთა შინაარსის ბერძნული ანბანის რიგზე დალაგებულობა ამტკიცებს. გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის პროფ. ცახარიე ფონ-ლინგენტჰალის მიერ შემოღებული კლასიფიკაციის მიხედვით ამ ქართულად ნათარგმნს ბერძნულ საკანონმდებლო კრებულს უნდა ეწოდოს „Epitome Syntagmatis Matthaei Blastaris ad Hexabiblum Harmenopuli mutati“ (იხ. სოკოლსკის ზემოდასახელებული მონოგრაფიის გვ. 584 შემდეგი). „ბერძნული სამართლის წიგნი“-ს ქართული ტექსტი ჯერ გამოცემული და ფილოლოგიურად შესწავლილი არ არის.

სამაგიეროდ ვახტანგის კოდიკოში შეტანილი „სომხური სამართალი“ უკვე გამოცემულია დოც. ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ (იხ. „სამართალი-სომხური“, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, გამოსცა ლეონ მელიქსეთ ბეგმა: Monumenta Georgica. IV, Leges № 2 ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1927).

„სომხური სამართალი“ ორი ნაწილისაგან შესდგება, რომლის პირველი, 150 მუხლისაგან შემდგარი ნაწილი, როგორც უკვე პროფ. ვ. სოკოლსკიმ თავის ზემოდასახელებულ მონოგრაფიაში აღნიშნა (გვ. 59), V ს. დამლევს ბასილისკე კეისრის მეფობაში შედგენილი და აღმოსავლეთში მიღებული რომაული კანონების სომხურ რედაქციას წარმოადგენს. ამ ძეგლის სამი, არაბული, ასურული და სომხური, ტექსტია ცნობილი. სამივე გამოცემულია პროფესორების ბრუნსისა და ზახაუს მიერ: Dr. K. G. Bruns und Dr. Ed. Sachau. „Syrisch—Römisches Rechtsbuch aus dem fünften Jahrhundert“, Erster Theil. Die orientalischen Texte, Zweiter Theil Die Uebersetzungen (Leipzig, 1880).

„სომხური სამართლის წიგნი“ 1703—1711 წწ. უნდა იყოს გადმოთარგმნილი. ლეონ მელიქსეთ-ბეგს, რომელსაც ამავე ძეგლის შესახებ სპეციალური მონოგრაფიაცა აქვს დასაბეჭდად დამზადებული, გამორკვეული აქვს, რომ ამ კანონების პირველი 150 მუხლი ასურულ-რომაული V ს. სამართლის წიგნის ნერსეს ლამბრონისეული XII ს. დამლევის სომხური ვერსიის თარგმანს წარმოადგენს, — მეორე, 152—431 მუხლების შემცველი, ნაწილი-კი მხითარ გოშის მიერ XII ს. დამლევს შედგენილი „სომხური სამართლის წიგნი“-ს თარგმანია (იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემის გვ. VIII—IX).

ლ. მელიქსეთ-ბეგს გამორკვეული აქვს, რომ „ქართული ტექსტი შესაფერისი სომხური დედნების მხოლოდ თავისუფალ (და არა ზედმიწევნით სწორ) თარგმანს წარმოადგენს“, ზოგან შემოკლებულს, ზოგან დანართებით დამახინჯებულსაც. ამიტომ ბევრგან ქართული თარგმანი სომხურ დედანს არ უდგება (იქვე, XII). ამას გარდა თარგმანის ენა ცხად-ჰყოფს, რომ მთარგმნელს ქართული იურიდიული ტერმინოლოგია არ სცოდნია და დაკისრებული საქმისათვის სათანადო შესაფერისი პირი არ ყოფილა. როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგის დაკვირვებიდან ჩანს, „სომხური სამართლის წიგნი“-ს შინაარსს კოდიკოს დანარჩენ შემადგენელ ნაწილებზე და თვით ვახტანგ VI სამართლის წიგნზე გავლენა არ მოუხდენია (იქვე, XIII).

საკუთრივ ვახტანგ VI-ის კანონები საქმად დიდი სამართლის წიგნია. ტექსტი იქ დარგების მიხედვით კარებად არის დაყოფილი, მაგ.: შესავალს მისდევს „კარი თეთრის გარიგებისა“, შემდეგ „კარი გაყრისა და ერთმანეთის დაშორებისა თუ ვითარ უნდა“, „კარი პირველი ვალისა თუ როგორ აიღების“, „ამანათისთვის“, „კარი ქურდობისა და სამართალი მისი“, „კარი ნასყიდობისა“, „გაცვლილობისა“, „თუ ვითარ ხამს დაწერა განაჩენისა“, მაგრამ ზოგადი სათაურები დაკარგული, ან დამახინჯებული ჩანს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ბევრი ხელთნაწერია შენახული, მაგრამ კარგი და ძველი მათ შორის სამწუხაროდ ცოტაა. ე. თაყაიშვილის აღწერილობის თანახმად სულ სამიოდე ხელთნაწერი უნდა იყოს XVIII ს. პირველი მეოთხედის, ან ნახევრის. მათგან უძველესად მიჩნეულია წ. კ. გ. ს., აწ ტ. ს. უ. სიძველეთა მუზეუმის ხელთნაწერი № 3683, რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით თვით ვახტანგის დროინდელი უნდა იყოს, მას ხელთაჰქონია და ზოგიერთი ადგილი, როგორც მაგ. § 207-ს ბოლო და §§ 262, 263 და 270, თითქოს თვით ვახტანგ მეფის ხელით იყოს ნაწერი (იხ. Опис. II, 614—615). დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგიც ამტკიცებს, რომ ეს ხელთნაწერი „თვით ვახტანგის სიცოცხლეშია გადაწერილი (რაც, სხვათა შორის, ნათლად

ჩანს ამ ძვირფასი მანუსკრიპტის გადამწერის სიტყვებიდან: „დღეგრძელ პყავ ღ'თო პატრონი ვახტანგ“ [იხ. ჩენი გამოცემით გვ. 42 გ.] და „ქრისტე, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებათა საქართველოს გამგებელი ბატონი-შვილი ბატონი ვახტანგ. ამინ“ [ibid., გვ. 179] (იხ. სომხური სამართალი, გვ. X—XI).

მოუცლელობის გამო იმ ადგილების შედარება, რომელნიც თვით ვახტანგ VI-ის ხელით დაწერილად არის მიჩნეული, ვერ მოვასწარი, მაგრამ თვით ხელთნაწერის გადაკითხვამ დამარწმუნა, რომ პატივცემული შკვლე-ვარნი შემცდარი უნდა იყვნენ: იქ ტექსტში ხარვეზებია, უეპველია დედნის, საითგანაც ეს ხელთნაწერი გადმოწერილი უნდა იყოს, დაზიანებულობის გამო. ასეთ მდგომარეობაში ვახტანგის კანონები ვახტანგის დროს არ იქნებოდა რასაკვირველია. ამას გარდა თვით კანონების ტექსტი არა ერთგან ისეა დამახინჯებული, რომ ასე მაშინ არ შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ ეს ხელთნაწერი ვახტანგის მერმინდელი უნდა იყოს, იმ დროისა, როდესაც აღმ. საქართველოში თურქთა და სპარსთა ბატონობის წყალობით ზოგი ხელთნაწერი სრულებით დაიღუპა, ზოგი ძალზე დაზიანებული გადაარჩა და XVIII ს. მეორე ნახევრითგან განახლებული იქმნა. ამ და სხვა თითქმის ყველა ხელთნაწერის ვახტანგის კანონის ტექსტის ხარვეზიანობა სწორედ ამ გადაარჩენილი დედნის დაზიანებულობის შედეგია და მომასწავებელი. ასეთ პირობებში ვახტანგ VI-ის ამ ხელთნაწერში დღეგრძელობით მოხსენება თავდაპირველი დედნითგან მერმინდელ გადამწერთაგან თავდაპირველი ანდერძის დაცულობად უნდა აიხსნას. საბოლოო დასკვნისათვის, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ამ ხელთნაწერის გულდასმითი შესწავლა საჭირო, მაგრამ ზემოაღნიშნული გარემოება მის ვახტანგის დროისად მიჩნევის აზრს მეტად სათუოდ აქნის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი თუმცა მხოლოდ ქართლის სამეფოსთვის იყო შედგენილი, მაგრამ მთელ საქართველოში იყო მიღებული. იგი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგლია. სამწუხაროდ, მისი ტექსტი აქამდის მეცნიერულად გამოცემული არ არის. არსებობს პროფ. დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, რომელიც პეტერბურგში 1846 წ. გამოსული ქართული ქრესტომატიის პირველ გამოცემაშია დაბეჭდილი (გვ. 394—455). ამ ძეგლის ორი, შეცდომის გამო ერთნაირად უვარგისი, რუსული თარგმანი მოიპოვება: ერთი „Сборник законов грузинскаго царя Вахтанга VI, изд. Правительствующаго Сената“, პეტერბურგშია 1823 წ. დაბეჭდილი, მეორე მისივე ოდნავ შესწორებული გამოცემა: „Сборник законов царя Вахтанга VI, изд. Френкеля под редакциею Д. З. Бакрадзе“, ტფილისში 1887 წ. გამოვიდა. განზრახული იყო ამ ძეგლის ფრანგული გამოცემაც, რომელიც, როგორც „Collection orientale“-ის პირველი „L'Histoire des Mongols de Rachid-eddin“-ის შემცველი წიგნის შესავალში აღნიშნულია, იმ მეხუთე რჩეულ ძეგლად უნდა ყოფილიყო, რომელთა გამოცემა საფრანგეთის მაშინდელ გამოჩენილ ორიენტალისტთა აზრით საჭირო იყო, მეფისადმი მიმართულ და 1833 წ. დაწერილ შესავალში ნათქვამია: „Enfin le Code du roi Wakhtang VI, dont la traduction est confiée à M. Brosset, de la Société asiatique“ (იხ. გვ. 4) სამწუხაროდ,



ეს კარგი აზრი ვერ განხორციელდა და ვახტანგ VI-ის კანონების ფრანგული თარგმანის გამოცემა, რასაც ამ ძეგლის ევროპაში შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ვერ მოხერხდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შესახებაც შედარებით უფრო მეტია დაწერილი, რომელთა შორის შეიძლება დასახელებულ იქმნეს:

1) Д. Пурцеладзе, Краткое систематическое изложение уголовного законодательства Вахтанга VI. царя Грузинского, с показанием достоинств и недостатков его. ტფილისი, 1864;

2) Dr. jur. et phil. Felix Houldack. Zwei Grundsteine zu einer grusinischen Staats— und Rechtsgeschichte, Leipzig, 1907 წ. (გვ. 91—255 სწორედ ვახტანგის კანონებს ეხება).

3) გ. თარხნიშვილი, სასამართლოს წარმოება საქართველოში ვახტანგ VI-ის კანონების წიგნის მიხედვით (იხ. „ქრებული“ პეტერბ. ქართული სამეცნიერო წრისა ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1915 (გვ. 113—130);

4) პ. კიზირია, სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მეფე ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით (გაზ. „საქართველო“, 1915, №№ 92, 94—100, 104 და 105).

ყველა ამ მონოგრაფიის შეფასება ჩვენი „ქართული სამართლის ისტორიის“ სათანადო წიგნში იქნება.

ქართული სისხლის სამართლის ისტორიისათვის საერთო საკანონმდებლო ძეგლებს, სამართლის წიგნებს გარდა, დიდი მნიშვნელობა ზოგიერთ საბუთში, მეტადრე გარიგების წიგნებში სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაწესებული სასჯელების შესახებ შეტანილ ცნობებსაცა აქვთ. ამიტომ წყაროების განხილვის დროს უნდა ამგვარი შინაარსის ძეგლებიც მოვიხსენიოთ. მათ შორის პირველი ადგილი ქრონოლოგიურად უნდა 1459 წ. დაწერილსა და 1673 წ. განახლებულს სამთავნელის დრამისა და საკანონოს გარიგების წიგნს მიეკუთნოს, რომლის ტექსტი შემოკლებით თ. ჟორდანიას ქმზშია მოთავსებული (II, 272—277). აქ მოთავსებული ცნობები ქსნის ხეობას ეხება.

ქსნის ერისთავთა ერისთავის შალვა ქუენიფნეველის აგან ლარგვისის მონასტრისადმი 1470 წ. მიცემული სიგელიც სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაწესებული სასჯელის განჩინებას შეიცავს. განჩინება ლარგვისის მონასტრის გარეშემო მდებარე მიწა-წყალსა და მოსახლე ხალხს ეხება, მაგრამ ვითარცა „კითხულობითა და ბრძანებითა... მეფეთა მეფისა ბაგრატისითა“ დადებული შეიძლება მაშინდელი დანარჩენი საქართველოს სამეფოსათვისაც ცოტად თუ ბევრად დამახასიათებლად ჩაითვალოს. ამ ძეგლის ტექსტი „საქართველოს სიძველეთა“ მესამე წიგნშია დაბეჭდილი (გვ. 555—561).

ყურადღების ღირსია ნაწილობრივ წილკნელის სარგოს გარიგების წიგნში მოქცეული ცნობებიც (იხ. საისტორიო ჩოამბე, 1925, წ. II, გვ. 9—26).

შემდეგ უნდა სვიმონ მეფის 1590 წ. ბრძანება იყოს დასახელებული მეკობრის მძებნელებად გოშფარ ჯავახიშვილისა და ლარაძის ყა-

რაიგის დანიშნვის შესახებ, რომლის ტექსტი „საქართველოს სიძველეთა“ მე-2 წიგნშია დაბეჭდილი (გვ. 23—24). ამ ძეგლში თვით მეკობრის მძებნელის სამოსამართლო უფლებებიც არის აღნიშნული და დასახელებულია, რომელი დანაშაულობისათვის რასასჯელი უნდა ყოფილიყო დადებული. თუმცა გომფარ ჯავახიშვილის და ლარაძის სამოხელეო მოქმედების ასპარეზი დილომს ზეეთა და მტკვრის გამოღმა ხევამდე მდებარე (იხ. გვ. 23) ადგილს შეიცავდა, მაგრამ ამ საბუთში აღნიშნული სასჯელები უეჭველია მთელი მაშინდელი ქართლის სამეფოსთვის სავალდებულო და საერთო იქმნებოდა. ამიტომ ამ ძეგლის შინაარსს ზოგადი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოში მოქმედი სისხლის სამართლის შესასწავლად.

### § 6. ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის დროის სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლები

ერეკლე მეფის დროს ახალი საზოგადო სასამართლო წიგნები არა შეუდგენიათ რა, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო გამგეობისა და წეს-რიგის შესახები ცალკე კანონები და ერთი პატარა ადგილობრივი სამართლის წიგნი იყო გამოქვეყნებული: 1765 წელს მეფე ერეკლეს, საქართველოს კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა, დარბაზის ერთა და ყოველთა ჩინებულთა განჩინება იყო დადებული, რომ ტყვეობითგან დაბრუნებული გლეხები ყმობისაგან განთავისუფლებულები უნდა ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ ჭერჯერობით ამ განჩინების ქართული დედანი გამოქვეყნებული არ არის, დაბეჭდილია მხოლოდ რუსული თარგმანი (Д. Пурцеладзе. Груз. крест. грам., გვ. 17).

1774 წ. 4 იანვარს დადგენილი იყო განაჩენი საქართველოში „მორიგი ლაშქრობის“ დაწესების შესახებ. განაჩენი დაიწერა „ერეკლე მეორისა საქართველოს მეფისაგან, თანადასწრებით... უფლისწულის გიორგისათა და ყოველად სამღვდელთა საქართველოს ეპისკოპოზთა და ბრწყინვალეთა თავადთა და ეგრედვე ყოველთა კარის მოხელეთაგან და შემდგომთა დარბაზის ერთა და ყოველთა სამღვდელთა დასთაგან და ეგრეთვე ყოველთა საქართუელთა ჩინებულთაგან“; ეს საყურადღებო განჩინება დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენ“-ში (ტომი 1, 187—198).

1782 წ. 14 ოქტომბერს არაგვის საერისთაოს მპყრობელმა ერეკლე მეფის ძემ ვახტანგმა თავის „ძმის ბატონიშვილის ლეონისაგან მთებში დადებული განჩინება ხელმეორედ“ განაახლა და რამდენიმე თავის მიერ განწესებულებიც თან ჩაურთო. ეს არაგვის საერისთავოს განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა არაგვის ხეობის სასამართლო წიგნია. ეს საყურადღებო ძეგლიც ე. თაყაიშვილმა გამოსცა (იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტომი 1, გვ. 203—208).

აღსანიშნავია, რომ არც ალა-მაჰმად ხანის საშინელმა შემოსევამ და ქვეყნის აოხრებამ გაუტეხათ მაშინდელ მოღვაწეებს გული. თვით მთავრობის ზოგიერთი წრე გრძნობდა, რომ დავრდომილი სამშობლოს აღდგენისათვის საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა იყო საჭირო. სა-

ქართველოს აღდგენის საშუალებაზე გიორგი XIII-ის ძეს იოანე ბატონი-შვილსაც ბევრი უფიქრია და 1799 წელს ვრცელი მოხსენება დაუწერია, რომელშიაც დაწვრილებით ჩამოთვლილია, თუ რაღარა ცვლილების შეტანა იყო იმის აზრით საჭირო საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში: „სხტა და სხტა გტარმან ცტალებამან კანონთამან, უთანვმოებამან და უწესოებამა მართებლობისამან მოიყუანეს თითქმის სრულიად საქართტლო-ჯსა ერნი განწირულებასა შინა და ამა გარემოებასა შინა აღყუანებულ ექმენ, მოახსენებს იოანე ბატონიშვილი გიორგი XIII-ს, საყდარსა წინაპართა შენთასა და ჰსჭურეტ ყოელსა ამას უწესოებასა და წარუმართებლობასა საქმისა: სა და, უკეთუ ღონესა არა რაჟსამე მოიპოვებთ, ესე უბედურებაჲ იქმნების ჯანგრძელბულ; მოქრისტიანულისა და ერდგულურისა გულითა, ვითარცა მშობელისა მიწისა ჩტმნისა ერთმამულეთათვის, ეგრეთვე უმალღესობისა თქტმნისათვის შევედ ესე გუარსა კადნიერებასა და ესე ღონეჲ, რომელიცა იქმნების სარგებლოვანი და არცა სამძიმო ერთათვის, აქა მოვიხსენენ რაოდენიმე მუხლი ჰსჯულსადებლად ქტშვეგრდომთა და სქესთა მეფისა ძეთა: სა და სამღვდლო თავადთასა; რომელი, უკეთუ იქმნების სრულყოფა ამისი, ესასოებ, რათა ამის ძალით იდიდნეთ თქტენცა და სარგებელ ექმნენცა საზოგადოდ მცხოვრებთა საქართტლოსა შინა“-ო, დასძენს იოანე თავის „წინადადება“-ში (იხ. პეტერბურგის საჯარო სამკითხველოს ამ უამალ საქართ. საისტ.-საეთნოგრაფიო მუზეუმში გადმოტანილი ხელნაწერი თვით იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკითგან № 65, გვ. 1 ა).

შესავლის შემდეგ ბატონიშვილი მხედრობისა, შემოსავლისა, ფულისა, მოხელეებისა, სამღვდლოთა დიკასტერიისა, ნიშნებისა და სხვანაირი ჯილდოებისა, სკოლებისა და სასწავლებლებისა, მეფისა და წევრთა მეფისათა ჯამაგირის დაწესებისა, მეფისძეთა მემკვიდრეობისა და ბევრ სხვა საგნების შესახებ მსჯელობს. ეს მოხსენება დაწერილია „წელსა 1799, თტტსა მაისს 10, ტფილისს“. იოანე ბატონიშვილს იგი მეფისათვის წარუდგენია და, როგორც თვით ავტორი ამბობს, „მათმან სიმალემ ღთსადმი განსვენებულმან მეფემან აღმითქო და მოიწონა ესე ჰსჯულდება სამოქმედოდ“-ო, გარნა სიკვდილმან მოუსწრაფა“-ო, დასძენს ბატონიშვილი, „ჩუტნცა შეგტტმთხუა ესე და მოვაკლდით ყოველსავე“-ო, განაგრძობს იგი. „ვისაც ღთნ მოგცეთ და კელმწიფის წყალობით მიემთხტთ“, თქტენც განიხილეთ ესე და ნუ მომდგრდებით; რა ერთხელ დაიდება წესი, წარმატებაში წავალს; პირველ დაწყება ყოვლისა საქმისა ძნელია და ოდეს გულსმოდგინედ შეუდგება, ასეთი არა არს რა ბუნებისაგან ნაწარმოები, რომელსა ზედა არა ძალედვას შეძართებად ძალსა კაცობრიუსა. მე ამაზედ ვსასოებ, რადგან ეკლესიის კანონნი სხტა და სხტა ცტალებაშიაც მაინც მომდინარეობენ პირველისამებრ; უკეთუ ესეცა დაწესდება, ერთა შორის არღა ჰსცუალებს მომდინარეობასა თვისსა, ვინაჲდგან ერნი საქართველოსანი, ვა არიან მტკიცე სარწმუნოებასა ზედა, ეს სახედვე მტკიცედ დაიცვენენ ჰსჯულვილებასაცა, ვინაჲდგან სდ საზოგადოებისა სასარგებლო არს“-ო (ხელნაწერის გვ. 22 a-b). იქვე იოანე ბატონიშვილი საკუთარი სახელით აწერს „იოანე“ ბატონიშვილი. მაშასადამე, რუსის მთავრობას რომ საქართველოს სამეფო არ გაეუქმებინა, მაშინ ეს მოხსენება განხორციელებული იქნებოდა. ამიტომ ამ საინტერესო ძეგლის შესწავლა

აუცილებლად საჭირო, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ნაყოფის მოტანა შეეძლო ამ მოხსენების განხორციელებას, და გავითვალისწინოთ, რამდენად სწორედა ქონდა წარმოდგენილი ავტორის საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და გაქირვება. მთელი ეს ნაწარმოები დედნითგან გადმოწერილი გვაქვს და ქართული სამართლის სხვა წყაროებთან ერთად ვაპირობთ გამოცემას.

ამ საყურადღებო მოხსენების გარდა იმავე დროს იოანე ბატონიშვილის უფროს ძმას საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს დავითსაც შეუდგენია სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და მართლმსაჯულების ცვლილებისათვის ახალი კანონები. შავად დაწერილი ხელნაწერი მისივე შენიშვნებითა და მინაწერებით პეტერბურგის საჯარო სამკითხველოში ინახება და იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკას ეკუთვნის (№ 79). თავი აკლია და თუ როდის არის შედგენილი ეს კანონები, ხელნაწერში არ არის აღნიშნული, მაგრამ რაკი დავითი თავის თავს „მეფედ და მფლობელად“ უწოდებს, ეტყობა, რომ გიორგი XIII-ის სიკვდილის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი, იმ დროის განმავლობაში, როცა ბატონიშვილები ჯერ კიდევ სამშობლოში იმყოფებოდნენ. ხელნაწერში შემდეგი კანონებია: „№ 1 უცხო საქვეყანათ შემოსულთ წყალობაზედ, სითარხნეზედ და ბინის მიცემაზედ ღთისათა (sic!) და წყალობა ჩვენ დავითი<sup>1</sup> მეფე და მფლობელი სრულიად საქართველოსი სხვადასხვათა“, — ამ სათაურს ზედ მისდევს შესავალი და კანონებად 20 მუხლი, — „№ 2 ყოველივე ძველისა და ახლის დავების გარდაქრაზედ“, აქაც სათაურს შესავალი მისდევს და 17 მუხლი, — „№ 3 კაცის სიკუდილის უკან მისი დოვლათისა და მის ცოლშვილის ბინის მიცემაზედ“, შესავალს 83 მუხლი მისდევს, — „მანიფესტით № 3 (sic!) კაცი რომე მოკვდეს და მას ობლები დარჩეს მისი დოვლათისა და ობლების ბინის მიცემაზედ საქართველოსა შინა“, შესავალს 41 მუხლი მისდევს, — „№ 4 მამის სიკუდილის უკან ვისმეს ობოლს თუ ვალი რჩებოდეს და მის დახსნაზედ ვალისაგან“, შესავალს 12 მუხლი მისდევს, — „მანიფესტით № 4 (sic!) მამის უკან რომე ვალი დარჩეს და შვილებს ედაებოდნენ“, შესავალს 9 მუხლი მისდევს (მე-9 მუხლი თუმცა გადახაზულია), — „№ 5 დედის ვალის ქვეშე ჩავარდნაზედ და თუ შვილებს ედაებოდნენ მასზედ გაცემული“, ვრცელს შესავალს 29 მუხლი მიჰყვება, — „მანიფესტით № 5 (sic!) დედა რომე ვალქვეშ ჩავარდეს და შვილებს ედაებოდნენ“. შესავალს 16 მუხლი მისდევს, — „განუყრელთ ძმებზედ დოვლათიანთ და ბედოვლათთათვის და მრავალს რიცხვთ უსამართლობაზედ“, გრძელს შესავალს 82 მუხლი მისდევს, — „№ 6 მანიფესტით: ყოველთ განუყრელთ ძმათათვის ბიძაშვილებისათვის ბედოვლათობისა და გაყრის მიზეზებისათვის, მამულის გაფუჭებისათვის (sic!) და ანუ სხვა კეთილთ და ბოროტთ ძმათა შინა რა სამართალთ უნდა მიეცესთ“, ვრცელს შესავალს 43 მუხლი მისდევს, — „№ 7 სრულიად საქართველოს აღწერაზედ კაცისა და მანდილოსანთ გვამი, მოხუცებულთ ყრმათამდე და რომლის რიგზედაც უნდა აღწერონ და რიგის ჩამოვარდნაზედ“, შესავალს 6 მუხლი მისდევს, — „№ 8 რა სარწმუნოების მღუღელი რომე იყოს მათის-

11 მერვე ეს სიტყვა წაუშლიათ; ამ სახელს მისდევს ფრჩხილები ( ) მაგრამ შიგ კი არაფერი სწერია.

ვალის აღსრულებაზედ“, შესავალს 12 მუხლი მიდევს.—„მანიფესტით № 9 სენადისა (sic!) და სასამართლოების განწესებაზედ და მათ მოვალეობაზედ (sic!)“, შესავალს 11—5 მუხლი მისდევს; „უქაზით ანუ ინსტრუქციით № 10 პოლიციისა (sic!) და ანუ მოვრავის (sic!) მოვალეობა ქალაქებსა შინა თუ როგორც უნდა მოიქცეს ქალაქის მოვრავი (sic!) და მისი რიგის მიცემაზედ“, მოკლე შესავალს 36 მუხლი მისდევს, — „№ 11 სამძღვრის მოვრავის მოვალეობაზედ და ანუ რა რიგით უნდა მოიქცეს“, შესავალს 39 მუხლი მისდევს. ამით თავდება ხელნაწერი, მაგრამ რაკი იგი უყდოა, შეიძლება დანარჩენი მოგლეჯილი იყოს.

ამგვარივე თხზულება სხვა ხელნაწერშიაც მოიპოვება სახელდობრ, სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის ხელნაწერშიაც (№ 102, Msc. Georg.). შენახულია „სამართალი ბატონის შვილის დავითისა“, ორ წილად. პირველი, რომელიც 32 თავისაგან შესდგება, „ს რ უ ლ ი ქ მ ნ ა ო კ დ ო მ ბ რ ი ს. ე. (5) წ ე ლ ს ა. ჩ. ყ. (1800) ს ა მ ე უ ფ ო ს ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა ტ ფ ი ლ ი ს ს კ ე ლ ი თ ა ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი ს კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს მ ლ უ დ ლ ი ს გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა თ ა“. თვითველი თავი მუხლებად არის დაყოფილი და სულ ერთობლივ მუხლების რიცხვი 245 უდრის. როდის არის მეორე ნაწილი დაწერილი, არა ჩანს, მხოლოდ სხვა ქალაქებზე (თეთრზე, პირველი ნაწილი ლურჯზე) და სხვა უფრო ლამაზი ხელით არის დაწერილი. არც წინასიტყვაობა, არც ბოლოსიტყვაობა ამ ნაწილს არა აქვს, აქა-იქ, მეტადრე ბოლოში, თვით დავით ბატონიშვილის საკუთარს ხელით დაწერილი კანონები მოიპოვება.

პირველ ნაწილს შემდეგი წინასიტყვაობა უძღვის: „შეწევნითა ღწისათა ჩნ საქართველოს მემკვიდრე და რუსეთის სამხედროს ლენერალ ლეიტენანტი და კავალერი მეფის-ძე დავით წარმოვუდგენთ ერთა ჩტწნთა გონებისა ჩემისა ჰსჯასა რწლისა ცა კარგიერებმ შემოიტანს შეკავშირებასა ერთასა. ვინადგან უწყიან ყთა, თუ ვითართამე სურვილითა უყოფიესთ წინაპართა ჩტწნთა სჯულისათვის ერთა კარგიერებისადმი მოსაყუნათა. რწლთა ცა შრომაჲ არა არს უსარგებლოჲ მაგრა ცულილებისა გამო სოფლისა და ანუ უვითარებლობისა მწერალთასა იხილვებოდა კელყოფილსა შა მათსა მეტ და ნაკლ ყოფობაჲ რწლისა გამო იყო უთანხმობაჲ. და დაუმორჩილებელობაჲ ჰსჯულთა მათ და განწესებათა ამის გამო იძულებულ მან ვჰყავ შრომაჲ და შევჰსთხზევ მრავალთა პირად-პირადთა განსჯულთა და განწესებათა რწლთა ცა აქუნდა-ყე მახლობელ დგომაჲ ბუნებითისა ჰსჯულისა. რა ამით უჩვენო ერთა ჩემი ესე უმწვერვალესი სიყვარული და მოვიყვანო იგინი კარგიერებასა შა და მით უღელსა ქტწშე მორჩილებისასა. და რათა მსაჯულთა ცა მივსცე გზაჲ ქმნად სამართლისა და მიცემად ჰსჯისა: საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე რუსეთის ლენერალ ლეიტენანტი და კავალერი დავით“.

დავით ბატონიშვილის ორივე სასამართლო წიგნი ყურადღებისა და შესწავლის ღირსია: იგი ნათლად დაგვანახებს, თუ რა და რა საგნებს აკვირდებოდნენ მაშინდელი მმართველი წრეები, რომელი მხარე უფრო საჭირობოროტო საქმედ მიაჩნდა და დაუყოვნებლივ საჭიროდა სთვლიდნენ ძირითადი ცვლილება მოეხდინათ ან არა და რა ახალი დაწესებულება შემოეღოთ? ჩვენ ვიცით, თუ როგორ დაიწყო რუსის მთავრობამ საქართველოში მოქმედება და რას აკეთებდა პირველ ხანებში. მეტად საინტერესო იქნება ეს რუსის მთავრო-

ბის ნამოქმედარი იმას შევადაროთ, რაც უეჭველია განხორციელებული იქნებოდა, თუ რომ საქართველოს სამეფოს არსებობა არ გაუუქმებინა.

დასასრულ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „ქართველი მეფეების დროინდელთ ჩვეულებებ“-ს, რომელიც ჩაწერილი იყო 1810—15 წლებში. სამწუხაროდ ამ საბუთის ქართული დედანი ჯერ აღმოჩენილი არ არის და მხოლოდ მისი რუსული თარგმანია გამოქვეყნებული (იხ. ფრენკელის გამ. Сборн. закон. груз. и. Вахтанга, დამატება, გვ. 365—382).

სამართლის ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები მეტადრე სიგელ-გუჯრებში არის შენახული. სწორედ დაუფასებელი განძია ეს უკანასკნელი წყარო იმიტომ რომ იგი მოქმედი სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელ საბუთს წარმოადგენს. მაგრამ სიგელ-გუჯრებით სარგებლობისათვის მათი აგებულობისა და ნატყუარობა-უეჭველობის ცოდნა საჭირო. ამისათვის კი საგანგებო სამეცნიერო დარგი არსებობს, რომელსაც სიგელთა-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა ეწოდება. როგორც საბუთების გამოცემებზე, ისევე დიპლომატიკაზე მკითხველი ყველა ცნობას იპოვის ჩემ მონოგრაფიაში „ქართული სიგელთა-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ (ტფ. უნ. გამოცემა, ტფილისი, 1926).

ამ მიმოხილვითგან მგონია ნათლად ჩანს, რომ ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად მაინც საკმარის მასალები მოიპოვება, საჭიროა მხოლოდ შესაფერისი ცოდნა და ამ უხვი და ძვირფასი წყაროების ბეჭითი და გულდასმითი შესწავლა.

## § 7. ზოგადი მოძღვრება ადამიანის ბუნებასა და კანონმდებლობაზე

ვიდრე თვით ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას შევეუდგებოდეთ, თავდაპირველად საჭიროა მოკლედ მაინც მოვიხსენიოთ, თუ რა ფილოსოფიური შეხედულება სუფევდა მაშინდელ ქართულს განათლებულს საზოგადოებაში მსოფლიოსა და ადამიანის ბუნებისა და თვისებების შესახებ. საშუალო საუკუნეებში ქართველების წარმოდგენით მსოფლიო ორ მთავარ ნაწილად იყო დაყოფილი: „ხილულ და უხილავ სოფლად“ (ძეგლის წერა, ქრ. კბი. II, 56); პირველს ეკუთვნოდა ყველაფერი, რაც-კი „საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა“ მფლობელი იყო, მეორეს, რასაც-კი „ზესთასოფლისა ძალთა ბუნებაჲ“ ჰქონდა (ibid). ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი ამ ორისავე „სოფლის“, „ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა“ შემაერთებელი იყო (ibid, 56 და 60): მას ჰქონდა „საცნაურ და გრძნობად ბუნების“ მექონე სხეული და უხილავი, „ზესთასოფლისა ძალთა“ ბუნებოვანი სული (ibid).

ამგვარად იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო („მიკროკოსმოს“-ი) დიდს მსოფლიოში („მაკროკოსმოს“-ში). კაცის ბუნების შინაგანი აგებულება განხილული და განმარტებული ჰქონდა ბერძნულ მწერლობაში გრიგოლ ნოსელს თავის წერილში „Περὶ χαρακῆς ἀνθρώπου“ „პერი კატასკეუეს ანთროპუ“, რომელიც ლათინურადაც იყო ნათარგმნი VI საუკუნეში (ორივე ტექსტი დაბეჭდილია Migne Patr. graeca). ეს თხზულება უკვე IX—X სს. ქართულადაც საუცხოვოდ გადმოუთარგმნიათ და დიდი სახელიცა ჰქონდა

ჩვენს მწერლობაში მოხვეჭილი; ამ წერილს ეძახდნენ „კაცისა შესაქმე“, ხოლო მისი § 30 შეეხება „ასოთა გუამთა კაცთასა დაბადებასა“. ეს თხზულება გამოცა მ. ჯანაშვილმა ავტორის სახელის დაუსახელებლად და იმის აღუნიშვნელად, რომ ნაწარმოები თარგმანია და არა ქართული ორიგინალური გამოკვლევა, თავის კრებულში „მწერლობა IX—X საუკუნისა“ (ტფილისი, 1891 წ.). გრიგოლ ნოსელის თხზულება დამყარებულია ძველ ბერძნულ ფილოსოფიურსა და საბუნებისმეტყველო მწერლობაზე; მისი აზრები ქართულმა მწერლობამაც შეითვისა და მთელ საშუალო საუკუნოების განმავლობაში უტყუარ ქეშმარიტებად ჰქონდა მიჩნეული. გრიგოლ ნოსელის შეხედულებით, რომელიც ამასთანავე მთელი განათლებული საზოგადოების შეხედულება იყო საშუალო საუკუნეებში როგორც დასავლეთს ევროპაში, ისე აღმოსავლეთშიაც, სახელდობრ არაბეთსა და სპარსეთში, ადამიანის ბუნებაში მსოფლიოს სტეიქიონები სუფევდნენ: „ცხად არს ყოველთათვის, ამბობს ავტორი, ვითარმედ ბუნებასა შინა ჩუენთასა პოვნილ არიან სტეიქისნი ამის სოფლისანი“-ო (გვ. 94); ამ სტეიქიონებად მას მიაჩნდა — სიტვოჲ“, „ყინელი“, „ნოტიოჲ“ და სიკმელე“ (ibid); ამათს ზომიერს შეზავებაზე იყო ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებული, ისინი „არიან ძალნი, რომელნი განაგებედ სიცოცხლესა“-ო (ibid). ამას გარდა კაცის სხეულის ყველა ასო სამი უმთავრესი მიზნისათვის არსებობს: „რომელიმე სიცოცხლისათჳს“ — ამ ასოთა ჯგუფს ეკუთვნიან თავი, გული და ღვიძლი, — „რომელნიმე სიმდიდრისათჳს სიცოცხლისა“ — ამ ასოთა ჯგუფს შეადგენს ის „ჭურჭერი, რომელსა შინა არიან საგარდნობელნი“, ამ ასოთა ქონება ადამიანს სიცოცხლისათვის კი არა სჭირია, „რამეთუ თვნიერ ამათსაცა შესაძლებელ არს ცხორებაჲ ჩუენი“, მაგრამ მაშინ „ცხორებაჲ ჩუენი გემოფენებითი“ აღარ იქნებოდა.

ასოთა მესამე ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, რომლისაგან „იქმნების დადგრომაჲ შვილიერებისაჲ და დამტკიცებაჲ ნათესავობისაჲ“ (ibid., 92). როგორც აღნიშნული იყო, იმ ასოთა ჯგუფში, რომელნიც კაცს სიცოცხლეს ანიჭებენ, თავიც ითვლებოდა; ხოლო უმთავრესად ტვინი, იგი „არს მიზეზისი სიცოცხლისაჲ“ (ibid., 99); ეს იმითა მტკიცდებოდა, რომ „ოდეს იგი ეცის რამე აკასა ტვინისასა წყლულებამ, მწრაფლ მოიწიის სიკვდილი“-ო (ibid); ამიტომ „ქეშმარიტად ტვინი არს მომკემელი სიცოცხლისაჲ“ (ibid) ამავე დროს „აკაჲ თავისაჲ“ არის სწორედ, რომელზედაც ადამიანის სახსრებისა, კუნთებისა და სხეულის მოძრაობაჲ დამოკიდებულიო, ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, „რომლისაგან არს ძრეჲა ყოველთა იოგთაჲ, შეოქვაჲ და განმარტებაჲ ლართაჲ, რომელი ძრავს ყოველთა ასოთა გუამისათა“ (ib., 108). ამგვარად ადამიანი სულდგმული, მოძრავი, თავისუფალი არსებაჲ, „არს კაცი ჭური თვთმოდრავი სულითა კელმწიფმ ნებასა თჳსსა“-ო (ib., 97). სულდგმულ არსებად მარტო ადამიანი არ ითვლებოდა: ყველაფერს „რომელსა აქუნდეს ნაწილი ცხოველებისაჲ და ძვრისაჲ, არა ერქუმის მასუსულ“-ო (ib., 115), როგორც მაგალითად „მცენარეთა მოზარდთათვის ვიტყვი, ვითარმედ ცხოველ არიან“, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, სახელდობრ „ვერ მიწვევულ [არიან] საქმესა გრძნობისასა“ (ibid). ამგვარადვე ავტორი ამტკიცებს, რომ „პირუტყუთა შინა

არს სული პირუტყუებრი მგრძნობელი“, მხოლოდ იგი „ვერ მიწევნულ არს სისრულესა, რომელ არს მადლი მეტყუელი და გულის ხმის მყოფელი“-ო (ibid., 115—116). ერთი სიტყვით, ყველა ცოცხალი არსება ერთისა და იმავე სულის პატრონები არიან, მხოლოდ სხვადასხვა სახით წარმოდგენილიო.

იმის დასამტკიცებლად, რომ ერთისა და იმავე ადამიანის სულიერი თვისება შეიძლება სხვადასხვა სახით გამოიხატოს, თუმც მისი სული ერთდროივად რჩება, ავტორს პავლე მოციქულის აზრი მოჰყავს, რომელიც მან თავის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ გამოსთქვა: „ოდეს ყრმა ვიყავ, ვიტყოდი ვითარ ყრმად, ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც დაუტევე სიყრმისაჲ იგი“ (ib., 115); ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სული-კი არ იცვლება არამედ მისი გამოსახულება, „რამეთუ არა სხუაჲ სრული არს ყრმისაჲ და სხუაჲ მამაკაცისაჲ, არამედ უსრულ არს ყრმისა შინა და სრულ მამაკაცისა შინა“-ო (ib., 115). ადამიანის სულიერი ბუნება უსრულობისაგან სისრულეს აღწევს, ანუ როგორც ავტორი ამბობს: „გამოთლამ ბუნების მის ჩუენისაჲ სულისა — არს პირველად დაწყებაჲ უსრულად, განსრულებაჲ — სრულ“ (ibid., 114). ერთს დროს კაცი „იყოცა სრულ“, მაგრამ ადამის ცოდვის გამო კაცობრიობის სულიერი ბუნება „დაებრკოლა მადლისა მისგან სრულისა“-ო (ibid), ხოლო მას შემდგომ მართო თანდათანობითი განვითარებითა და მოღვაწეობით ღვთაების შეწევნით ადამიანმა კვლავ სულიერს სისრულეს მიაღწია და „შრომითა და მოგზაურობით მიმავალი სული კაცისაჲ მასვე სისრულესა“ ეღირსაო (ib., 114—115). ასე აქვს წარმოდგენილი გრიგოლ ნოსელს ადამიანის სულიერი განვითარების სრბოლა.

შემოქმედმა პირველს ადამიანს და მის ჩამომავლობას „ნივთად თუმფლობელისა“ მისცა „სჯული“ (ძეგლის წერა, ქრკები, II, 56 და 60); ეს იყო „ბუნებითი სჯული“ (ibid., 57 და 61)<sup>12</sup>; მაგრამ რაკი უკვე პირველმა ადამიანმა მიცემული ბუნებითი სჯული დაარღვია და „წინა-უკმოდ საღთოაჲსა ნებისა იყუმა“ (ibid., 56) და შემდგომად ვერც შემოქმედის მრავალგვარ სასჯელმა მოაქცია კაცობრიობა სწორე და წესიერ გზისაკენ, ამიტომ ღმერთმა მოსე წინასწარმეტყველის ხელით „დაწერილი სჯული“ (ibid., 57 და 61) მისცა; ეს იყო „სჯული წიგნისაჲ (დავით აღმაშენებლის „გალო... სინანულისანი“, ქრკები, II, 105). ერთი სიტყვით იმდროინდელი შეხედულობის თანახმად ჩვენ კაცობრიობას „მოგუჭენეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული“ (ძეგლის წერა, ქრკები, II, 61).

მაგრამ კაცობრიობას ვერც მოსეს ჩაწერილმა სჯულმა უშველა: „ვერცა ერთი რაჲ... შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებად (ადამიანისა), გინა თუ მტანჯველობითა და საშინელებათა, ანუ ქველის მოქმედებითა სიტკობებათაგან“ (ibid., 57), კაცობრიობის განსაკურნებლად საჭირო იყოო ღვთის განკაცება, რომელმაც „წიგნის სჯულის“ მაგიერ ისევ „ბუნებითი სჯული“ დაამკვიდრა, მაგრამ ეს იყო „ახალი ბუნებითი სჯული“ (ღთ აღმა-

<sup>12</sup> ამავე იმეორე შეხედულება დასაუღეთს ვეროპაშიაც არსებობდა იხ. H. Eicken. Geschichte d. System d. mittelalt. Weltanschauung, 1887, გვ. 548—549.



შენებელის სინანული, ქრონიკები, II, 105). რომ ადამიანის ბუნება განსპეტაკებულიყო და „თანამოქალაქე მყენეს წმიდათა და სახლეულ ღთისა“ (ძეგლის წერა, *ibid.*, 61), სხვათა შორის „ამისთვის იქმნნეს... მეფეთა მიერ ჟამადჟამადი კრებანი ღთისმოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღთისა სათნო ყოფილთა მამათანი“ (*ibid.*); ეს კანონმდებლობა ადამიანის სულიერ მხარეს შეეხებოდა, ხოლო რაკი ხორციელი სამოქალაქო საქმეები მეფეებს ეკითხებოდათ იმიტომ, რომ გრიგოლ ხანძთელის სიტყვით „ველმწიფენი უფალჰყენა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა“ (ცმ გგლ ხძძ, ივ), იმიტომ საერო, სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესი და სამართალი მათგან მომდინარეობდა.

## ქ ა რ ი მ ე ს ა მ ე

# საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წესწყობილება

I ს. ქ. წ.—VII ს. ქ. შ.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

წყარომების ზოგადი დახასიათება

### § 1. ლეონტი მროველის თხზულების და სხვა წყაროების ღირსება

საკითხი საქართველოს უძველესი სახელმწიფო სოციალური წესწყობილების შესახებ, როგორც ცნობილია, ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველად ლეონტი მროველმა აღძრა და თავისებურად გააშუქა კიდეც. მასზე უწინააღმდეგარა „მოქცევაჲ ქართლისაჲ—ს მატიაჲნე ამაზე არაფერს ამბობს (იხ. ჩემი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“, 1921 წ. გამ., გვ. 173—184). ლეონტი მროველს თავისი თეორია აქვს მეფობის წარმოშობის შესახებ საქართველოში. მისი სიტყვით ისე გამოდის, რომ უკვე ქართველთა პირველი მამათმთავარი ქართლოს იყო თავის ძმების „გამგე და უფალ“ და მის მერმინდელ მემკვიდრეთა ყოველ თაობაში უხუცესი შვილი უზენაესი უფლებით იყო მოსილი. მხოლოდ როდესაც მცხეთოსი გარდაიცვალა და მის მაგიერ უნდა მისი უფროსი ძე უფლოსი გამეფებულიყო, მაშინ მას აღარ დაემორჩილნენ და არეულობა დამყარდა. ამ დროს, ლეონტი მროველის სიტყვით, ქართლში მეფის ხელისუფლება მოისპო. უმეფობა ვითომც ფარნავაზამდე გაგრძელდა, რომელმაც მეფის ხელისუფლება კვლავ აღადგინა და საქართველოში მტკიცე სახელმწიფო წესწყობილება შექმნა.

ამნაირად ქართველი ისტორიკოსის თეორიის თანახმად საქართველოში მეფობა დასაწყისითაგანი დაწესებულედა ყოფილა, ერთ ცოლ-ქმრიანი ოჯახის საფუძველზეა აღმოცენებული და პირმშობისა და პირდაპირი მემკვიდრეობის კანონზე დამყარებული. როგორც უკვე გამოჩევეული მაქვს, მთელი ეს თეორია და სქემა ისტორიული ცხოვრების სინამდვილის ანარეკლს კი არ წარმოადგენს, არამედ იმ დროს აღმოსავლეთში გაბატონებული თეორიების მიხედვით არის ლ. მროველისაგან შეთხზული და ყალბ ეფერემ ასურის თხზულების „განძთა ქებაის“ მიმბაძველობას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ისტორიკოსის ეს ცნობები საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების სურათის აღსადგენად გამოსადეგი არ არის (იხ. ჩემი „ისტორიის მიზანი“ I, გვ. 178—182).

ლ. მროველის სიტყვით ფარნავაზ მეფემ გაბატონებისთანავე „განაწესნა ევნი რვანი და სპასპეტი ერთი. ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ევთა ზედა. ხოლო ამათ ევთა ქუეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთაო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა“-ო (ცა მეფეთა\*, 129 და 130, გვ. 20 და 21). სულ 8 ერისთავი და ერთი სპასპეტი დაადგინაო.

ჩვენი ისტორიკოსის ცნობა იმ მხრივ არის სწორი, რომ სპარსეთის, სახელდობრ, სასანიანთა სამეფოში ზემოდასახლებული თანამდებობანი მართლაც არსებობდა: სპასპეტი უდრის უეპველია „ერან სპაპატ“-ს, სპასალარი „სიფაპსალარ“-ს და ათასისთავი წარმოადგენს „პაზარაპატ“-ის ქართულ თარგმანს. ეს ტერმინი ბერძენ ისტორიკოსებსაც აქვთ აღბეჭდილი ἀπαρχαταις „აზარაპატეის“-ის სახით (იხ. Spiegel. Eranische Alterthumskunde, III, 635). მაშასადამე, თვით ძირითადი ცნობა რომ სწორი ყოფილიყო და ფარნავაზი ზღაპრულ პიროვნებად არ ყოფილიყო ლ. მროველის თხზულებაში და ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანის თვისებების მქონებელად ყოფილიყო წარმოდგენილი, მას, ვითარცა სპარსული სახელმწიფოებრივობის საქართველოში გადმომწერგველს, სწორედ ასეთი დაწესებულებები უნდა შეექმნა. მაგრამ ლ. მროველის ფარნავაზ მეფეს რეალური პიროვნების თვისებები აკლია და ის წესწყობილებაც, რომელიც მას ვითომც უნდა საქართველოში შემოეღოს, უფრო სასანიანთა სამეფოს შექმვნის, ვიდრე იმ ხანას, როდესაც ფარნავაზი ჩვენ ისტორიკოსს ეგულებოდა. ამიტომ სანამ სხვა უფრო ძველი და უფრო სანდო წყარო არ აღმოჩნდება, მანამდე ლ. მროველის ამ ცნობების ქრონოლოგიურად განსაზღვრავა და სინამდვილის სისწორის შემოწმებაც შეუძლებელია. ამის გამო ამ ცნობაზე დამყარებაც სახიფათოა. ისევ სჯობია სტრაბონისა და V—VI სს. ქართული ძეგლების თუნდაც მცირე, მაგრამ უეპველი ცნობებით დაკმაყოფილდეთ.

საქართველოში წოდებრივობის გაჩენის საკითხიც პირველად ლეონტი მროველს წამოუყენებია. მას სცოდნია, რომ წოდებრივი დანაწილება და უთანასწორობა მერმინდელი და არაპირველადი მოვლენაა. მთელი ქართველი ერი, „ქართლოსიანნი“ მას თანასწორად მიაჩნდა, აზნაურობა შემდეგშია გაჩენილი, ამასთანავე ლ. მროველის სიტყვით საქართველოს ცხოვრებაში უცხო ძალის შეჭრის შემდგომ. მისი თეორიით აზნაურნი იმ 1000 ბერძენი მხედრის შთამომავალნი არიან, რომელნიც ვითომც ალექსანდრე მაკედონელმა აზონს მცხეთაში დაუტოვა. როდესაც ფარნავაზი აზონს განუდგა, მაშინ ეს 1000 კაცი ფარნავაზს მიემხრო და მათი დახმარებით ფარნავაზმა აზონი დაამარცხა. ამის წყალობით ფარნავაზმა ეს მხედარნი დააწინაურა და დაასაჩუქრა: „განყუნა ქევთა და ქუეყანათა შინა“, ე. ი. უძრავი ქონება, მამული და სამფლობელო მისცა, „იპყრნა იგინი კეთილად“ და „უწოდა მათ სახელი აზნაური“, რომელიც ამგვარად ქართველ ისტორიკოსს პირვანდელ „აზონაური“-ს ფორმისაგან წარმომდგარად ეგულებოდა. მხოლოდ როდესაც საურმაგი ამ აზნაურთა დახმარებით გამეფდა, ამ დროითგან მოყოლებული

მათ სოციალურ ცხოვრებაშიც განსაკუთრებული უპირატესობა მოიპოვეს. საურმაგმა „დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ-ყუნა აზნაურნი“. წოდებრიობის ჩანასახი და წარმოშობაც ლ. პროველს აქ და ამ ხანითგან ეგულებოდა. ჩემ მონოგრაფიაში „ისტორიის მიზანი“ (I წიგნი, იხ. ლ. პროველი) აღნიშნული მაქვს, რომ ქართველი ისტორიკოსის ეს თეორია საქმის ვითარებისა და წოდებრივი უთანასწორობის გენეზისის გამოსარკვევად გამოსადეგი არ არის. იგი დამახასიათებელია და საგულისხმო მხოლოდ იმ ეპოქისათვის, როდესაც ლ. პროველი მოღვაწეობდა.

ასეთი სათუო ღირსების და უძველესი დროისათვის გამოუღებარობის გამო მკვლევარმა უმთავრესი თავისი ყურადღება იმ მშვენიერ აღწერილობას უნდა მიაპყრას, რომელიც ბერძენთა განთქმულ გეოგრაფს სტრაბონს მოეპოვება თავის თხზულებაში. მართალია, მისი ცნობა სახელმწიფო წესწყობილების შესახებ აღმ. საქართველოს, იბერიის სამეფოს ეხება და დასავლეთ საქართველოზე ამ მხრივ მას თითქმის არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ ეს აღწერილობა ერთადერთი დალაგებული და საკმაოდ ვრცელი ცნობაა ამ საკითხის შესახებ. არსად სხვაგან არაფერი ამის ოდნავაც მაინც ბადალი არ მოგვეპოვება და ეს გარემოება მით უფრო ძვირფას განძადა ჰხდის ამ ცნობას. მის დიდ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ ქრონოლოგიურად კარგად განსაზღვრულ ხანას ეკუთვნის და I საუკუნეს დამლევს ეხება ქ. წ.

სტრაბონის აღწერილობის გარდა V—VI სს. აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შესასწავლად ძვირფასი ცნობები იაკობ ხუცესის თხზულებაში და ევსტათე ღებთელის მარტივობაშიც მოგვეპოვება. ამ ძეგლების ისტორიული ღირსების შესახებ ჩემ მონოგრაფიაში „ისტორიის მიზანი“-ს I წიგნში მაქვს საუბარი და აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

დასასრულ ფრიად მნიშვნელოვან მასალას აგრეთვე საღმრთო წერილის ქართული უძველესი თარგმანი, მეტადრე მისი ხანმეტური რედაქცია გვაწვდის.

მართალია, ჯერ სრული სურათის აღსადგენად ბევრი აუცილებლად საჭირო ცნობა გვაკლია, მაგრამ ყველა ამ წყაროების ცნობათა შედარებითი შესწავლა და შემოწმება მკვლევარს მაინც საშუალებას აძლევს ძირითადი საკითხები წამოაყენოს და გააშუქოს. ქართული სამართლის ამ I წიგნის შინაარსი მხოლოდ I ს. ქ. წ. ხანით იწყება და VII ს. ქ. წ. თავდება. ამაზე უძველესი ხანის შესახებ მდგომარეობის გასათვალისწინებლად არც სანდო და საკმაო წერილობითი ცნობები მოგვეპოვება და აქ, ამ წიგნში არც იმ ფრიად საგულისხმო მასალების გამოყენება შეიძლება, რომელსაც ენის ტერმინოლოგიის ანალოზი გვაწვდის, რადგან ამისთვის ყოველი აზრისა თუ დებულების დასასაბუთებლად იმოდენა წმინდა ლინგვისტური საკითხების გამოყენება გაუშუქება იყო საჭირო, რომ ქართული სამართლის ისტორია მაშინ წმინდა ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევად იქცეოდა, რაც სრულებით შეუძლებელი იყო. რადგან ეს საკითხები ისტორიის წინა დროის ხანას ეხებიან და ამ პრობლემის განხილვას ჩემ ახალ სპეციალურ გამოკვლევაში ვაპირებ, ამიტომაც წინამდებარე თხზულების ქრონოლოგიური საზღვრები ზემოაღნიშნული საუკუნეებით მაქვს შემოფარგლული.

## § 2. სტრაბონის ცნობა

სტრაბონის აღწერილობა იბერიის სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების ძირითადი საკითხების შესასწავლად პირველი საუკუნის დამლევს ქ. წ. მეკიდრსა და სრულებით მკაფიო ცნობებს გვაწვდის. ამის წყალობით მკვლევარს სანდო დასაყრდნობი აქვს, რომელიც მას საშუალებას მისცემს რეტროსპექტიურად უფრო უძველესი ხანის მდგომარეობაც გაითვალისწინოს და ამავე სფეროში მოკლენათა მერმინდელი ცვლილების შესაფასებლადაც გამოადგება.

სტრაბონის სიტყვით მაშინდელ იბერიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში ოთხგვარი მოსახლეობა ყოფილა. მოსახლეობის პირველ წრეს შეადგენდა ის, რომლისაგანაც მეფეებს სვამდენ, სახელდობრ გარდაცვლილი მეფის შემდგომ წლოვანობითა და მახლობელობით უხუცესს წევრს. ხოლო მეფის შემდგომ მეორე, ალბათ ამავე ჰასაქისა და მახლობელობის თვალსაზრისით, უფროსი წევრი მოსამართლეობდა და სარდლობდა. მოსახლეობის მეორე წრეს ქურუმნი შეადგენდენ, რომელთაც მეზობელ ერებთან საცილობელი საქმეების, ე. ი. საერთაშორისო საქმეების მოწესრიგებაც ებარათ. მოსახლეობის მესამე წრეს ისინი შეადგენდენ, რომელნიც სამხედრო საქმეებსა და მიწათმოქმედებას მისდევდენ. დასასრულ მოსახლეობის მეოთხესა და უკანასკნელ წრეს ის ხალხი შეადგენს, რომელნიც მეფის მონები არიან და ყველაფრით, რაც საცხოვრებლად საჭიროა, მეფეს ემსახურებიან. ხოლო ქონება იბერებს საერთო აქეთ საგვარეულოებისდა მიხედვით, რომელსაც საგვარეულოს უხუცესი წევრი განაგებს (*Geographica, Lib. XI, cap. III*).

რასაკვირველია, ეს აღწერილობა მეტად მოკლეა. ამის გამო უეჭველია იგი სრულ სურათსაც არ უნდა შეიცავდეს. მაგ., ვისაც სტრაბონის აღწერილობა აქვს წაკითხული იბერიის შესახებ და ის ცნობაც ახსოვს, რომლის მიხედვით მაშინდელი აღმოს. საქართველო საქალაქო დაწესებულებითა, მშენიერი შენობებითა და სავაჭრო მოედნებით, გზებითა და ხიდებით მოფენილი ყოფილა, გაკვირვებულნი უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ გამოჩენილ ელლინთა მეცნიერს იბერიის არც ქალაქების მცხოვრებთა და არც ვაჭრობა-მრეწველობის მიმდევართა წრეების შესახებ მოეპოვება რაიმე ცნობები. რაჟი მისი აღწერილობა ამ წრეების მაშინდელ იბერიაში არსებობას უცილობელჰყოფს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის აღნიშვნა სტრაბონს გამოჩენილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ. მაგრამ სტრაბონის ამ სისრულეს მოკლებულ აღწერილობასაც მეცნიერებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს და ძირითად წყაროს წარმოადგენს.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

### მიწაწყლის ერთეულში

მიწაწყლისა და მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში ქართულ სახელმწიფო და სამწერლობო ენაში დროთა განმავლობაში დიდი ცვლილება მომხდარა: არა ერთ სიტყვას სრულებით შესცვლია მნიშვნელობა იმისდა მიუხედავად, რომ მისი ბგერითი შემადგენლობა და გარეგნობა სრულებით უცვლელი დარჩენილა. ეს გარემოება განსაკუთრებულ სიფრთხილეს გვი-

კარნახებს, რომ ძველი ძველის შინაარსი შეცდომით მერმინდელი და თანამედროვე მნიშვნელობით არ გავიგოთ.

თუ ეხლა ამ თვალსაზრისით მივიხედვით საკითხს და მიწაწყლისა და მოსახლეობის ერთეულების ტერმინების მნიშვნელობის შესწავლას შევეუდგებით, უნდა აღინიშნოს, რომ სრულებით შეცვლილია ტერმინის „სოფელი“-ს მნიშვნელობა, რომელსაც ეხლა და უკვე დიდი ხანია დაბის მნიშვნელობა აქვს. უძველეს ქართულ მწერლობაში „სოფელი“ ქვეყანასა და პნიშნავდა. იაკობ ხუცესის V ს. თხზულებაში, მაგ., ნათქვამია: „შუშანიკის სანახავად „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“-ო (წამებად შუშანიკისი, ს. გორგაძის გამ., 203ა-35). ევსტათე მცხეთელის VI ს. მარტილობაშიც სპარსეთის მარზპანი ევსტათეს ეკითხება: „რომლისა სოფლისა ხარ, ანუ რომლისა ქალაქისა“ ამის საპასუხოდ „წმიდამან ევსტათი პრქუა მას: „მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ, [ქვეისა] არშაკეთისა, ქალაქისა განძაკისა ვიყავ“ (იხ. ხელთნაწერის მიხედვით აღდგენილი ტექსტი, შეად. საქართველოს სამოთხეს 314, სადაც საგეოგრ. სახელები დამახინჯებულია). მეორე დაკითხვის დროსაც ევსტათეს მოსამართლესთვის ასე უპასუხნია: „მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისა, ქვეისა არშაკეთისა, ქალაქისა განძაკისა“-ო (იქვე, საქართ. სამოთხე, 316).

სწორედ ამ უკანასკნელი წინადადებიდანა ჩანს, რომ პირველი პასუხის გამონათქვამი „სოფლისა სპარსეთისა“ უდრის „ქუეყანისა სპარსეთისა“-ს, ე. ი. „სოფელი“ ქვეყანას პნიშნავდა და არა დაბას, როგორც შემდგომში და ეხლაცაა მიღებული. ასეთივე მნიშვნელობა იაკობ ხუცესის ნაწარმოებთგან ზემო მოყვანილ ამონაწერშიაც და „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ პნიშნავს ქართლის აზნაურებსა და უაზნოებს.

ამ ტერმინის სწორედ ასეთი მნიშვნელობა სრული უექველობით საღმრთო წერილის ძველი ქართული თარგმანითაც მტკიცდება. მაგ. ბ შჯულის 34-5, 13 და 14 ნათქვამია: „სამეოცი ქალაქი დავიპყარი სოფლებითა მათითა“ და „ყოველი იგი გარემო სოფლები არგობისა“ და „დაიპყრო ყოველი იგი სოფლები არგობისა“. ბერძნულად შესატყვისად ნახმარია „περιχωρη“ და „περιχωρη“, სომხურად *բախան*, რაც მართლაც სანახებსა და ქვეყანას პნიშნავს.

ამ ტერმინს „სოფელი“ ქვეყნის აღმნიშვნელობათ ვით VIII ს. დამლევამდეთა აქვს შენარჩუნებული და იოანე საბანის ძესაც ნათქვამი აქვს: „ვდღესასწაულობდეთ კსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხ ჩუენდა ქრისტემან მოგვანიჭა“-ო (წამებად ჰაბომასი, საეკ. მუხ. გამ., № 3, გვ. 35), — ან კიდევ: „ქრისტმს მიერთთა საყუარულითა შემოყუარე მე ვიდრე იყავ-და სოფელსა ამას შინა ჩუენსა“-ო (იქვე, 36). ამის გამო, როდესაც იგივე იოანე საბანის ძე მოგვითხრობს, რომ ზაზარეთში „მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქუეყანასა მას ჩრდილოისასა“ (იქვე, 17), რომ ჰაბო ტფილელი „სამისა წლისა ეამთა იქეოდა ქალაქსა მას შინა (ტფილისში) და გარემომოყველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტიანედ“ (გვ. 22), უნდა ვიფიქ-

რომ, რომ ჩვენ ავტორს სოფლებად დაბები კი არა, არამედ სანახები, თემები, ქვეყანა უნდა ჰქონდეს ნაგულისხმები.

IX—X ს-იდან მოყოლებული „სოფელი“ უკვე წინანდებურად ქვეყანასა და სანახებს აღარ აღნიშნავს, არამედ დაბას.

ამგვარადვე უძველეს ხანაში სოფლის მერმინდელი და თანამედროვე მნიშვნელობის შესატყვისად ტერმინი „დაბა“ იხმარებოდა, რომლის პირვანდელი ფორმა უნდა „დაბანი“ ყოფილიყო. ამ სიტყვას თავდაპირველად დამუშავებული მიწისა და ნახნავის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და სენურში „დაბ“ ეხლაც ხნულსა ჰნიშნავს. იაკობ ხუცესს ნათქვამი აქვს: „მოვიდა მონა იგი დაბასა, რომელსა სახელი ჰქვან ცურტავ“ (გვ. 2, II, 18—79), — „მივწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ“ (გვ. 3, III, 29—30). ევსტათე მცხეთელის მარტილობაშიაც გვხვდება ეს ტერმინი (იხ. საქართ. სამოთხე, 314, 318) და აქვე ნათქვამია: „ჩუენი მდობიური არს“—ო (გვ. 316), ე. ი. ჩვენი სოფელი არისო. საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში „დაბა“ ბერძნულ  $\alpha\mu\eta$ -სა და სომხურ  $գեղ$  ან  $չհ-$ ს უდრის ხოლმე (მათე, 9<sub>35</sub>, 10<sub>11</sub>, 14<sub>15</sub> და მარკოზ, 8<sub>23</sub>, 26, 27 და სხვაგანაც). აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ „დაბა“ ბერძნული ტექსტის  $\alpha\rho\sigma\iota$ -სა და სომხურის  $ազարակ$ -ს უდრის (მარკოზ, 5<sub>14</sub>). ეს გარემოება იმის დამატკიცებელია, რომ ამ სიტყვას თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა სამწერლობო ქართულშიაც ჯერ კიდევ V ს. ქ. შ-აც შენარჩუნებული ჰქონდა.

მოსახლეობის ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად სიტყვა „სახლი“—ც იხმარებოდა. იაკობ ხუცესს, მაგ., დასახელებული ჰყავს „ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისა“ (გვ. 3, III, 17—18). შუშანიკზეც ნათქვამი აქვს, რომ გარდაცვლის წინ „მოუწოდა ეპისკოპოსსა მისოსასახლისასა“—ო (გვ. 21, XVIII, 26), ამ ისტორიკოსის თხზულებითგანვე ჩანს, რომ ეს პიტიახშის „სახლი“—ს ეპისკოპოზი ცურტავის, ანუ ჰერეთის ეპისკოპოზი ყოფილა. აქეთგან ცხადი ხდება, რომ ქართლისა პიტიახშის სამფლობელოს გარკვეულ ერთეულს „სახლი“ ჰქმევია. 506 წ. ბაბგენ სომეხთა და გაბრიელ ქართლისა კათალიკოზების თავმჯდომარეობით შეკრებილი კრების ძეგლის წერის ხელრთვაშიაც იხსენიება *Եկայսկոպոս թագաւորութեան տանն* „სამეფო სახლის ეპისკოპოსი“ (Գիրք թղթոց 182—183). ამ შემთხვევაშიაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფის პირადი, მისი კარის ეპისკოპოზი კი არ იგულისხმება, არამედ იმ მიწა-წყლის მღვდელთმთავარი, რომელიც მის უშუალო სამფლობელოს შეადგენდა. ამავე მნიშვნელობის მქონებელია ეს სიტყვა გამონათქვამში „მცხეთისა სახლი“, რომელიც საქართველოს აღსანიშნავად იხმარებოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სამცხე—საათაბაგოს მღვდელთმთავართა სამწყსოების საზღვრების აღწერილობის შემცველ ძეგლში მაწყვერელის სამრევლოდ დასახელებულია „სადგერი, სულ აწყუერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი და გურიის წარდგომამდის“, — ხოლო წურწყაბელის კუთვნილებად იხსენიება „ხურსიძის სახლი სულა, ბოცოთ-კევი ხერთვისის ქვეით მისია“—ო (იხ. დ. ბაქრაძის АПГАдж., გვ. 81). ცხადია ამ ცნობაში „დიასამიძის სახლი“ და „ხურსიძის

სახლი“ დიასამიძიანთა და ზურსიძიანთ საკუთარ სახლსა და სამოსახლო ადგილს კი არა, არამედ მიწაწყლის ერთეულს აღნიშნავს. ლეონტი მროველსაც თავის საისტორიო თხზულებაში ნათქვამი აქვს: „ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქვეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, მასვე ხვდა წილად ქართლი“-ო (ც<sup>ა</sup> მეფეთა, \* 111, გვ. 10). ამ წინადადებაშიაც „სახლი“ სამფლობელოს, საბრძანებელს ჰნიშნავს.

ყველა ზემომოყვანილი მაგალითითგან ცხადადა ჩანს, რომ „სახლი“ ძველად მართო ოჯახის საცხოვრებელ ადგილს კი არ ერქვა, არამედ მიწაწყლისა და აღმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა. რაკი გვარსაც, როგორც დავრწმუნდებით, ძველად „სახლი“ ჰრქმევია, ამიტომ აღმინისტრაციულ ერთეულთა ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა უეჭველია გვაროვნული წესწყობილების დროს უნდა იყოს შესული და სწორედ ამ ხანის უკვე მცირეოდენ ნაშთთან-ლა უნდა გვქონდეს საქმე ყველა ზემომოყვანილ მაგალითში.

ტერმინი „ქუეყანაჲ“ უძველეს ქართულ სამწერლობო ენაში მიწასა და დედამიწას ჰნიშნავდა. ამიტომ არის, რომ სახარების თარგმანში მთესველის შესახებ იგავში ნათქვამია, რომ ერთი თესლოთაგანი „დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა“-ო, ე. ი. კარგ მიწაზე, ნიადაგზე დავარდაო. იოანეს თავის სახარებაშიაც, 9<sup>6</sup> წერია: „პერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიჯა ნერწყუსაგან“, ე. ი. დედამიწას დააფურთხაო. ამ სიტყვას ასეთი მნიშვნელობა X საუკუნემდისაც-კი შერჩა და გ. მერჩულს აღნიშნული აქვს, რომ გრიგოლ ხანძთელი პირველ მეუღბნოეთაგან ისწავლებდა „ქუეყანასა ზედა წოლასა“-ო (ც<sup>მ</sup> გ<sup>გ</sup>ლ ხნძ<sup>თ</sup>ლს, გვ. ზ. 4), ე. ი. მიწაზე წოლას შეეჩვიო.

მაგრამ ასეთი მნიშვნელობის გარდა „ქუეყანაჲ“ იმ მნიშვნელობითაც იხმარებოდა, როგორც ეს სიტყვა ეხლაც გვესმის. იაკობ ხუცესს, მაგ., ვარსკენ ქართლისა პიტიახშის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ სპარსეთის მეფისაგან გამოგზავრებული „მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა“-ო (გვ. 2, II, 12—13). ჰერეთის იმ თემის შესახებაც, სადაც შუშანიკი იყო საპყრობილეში ჩამწყვდეული, ჩვენ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ იქაური ჰავის მკვებლობის გამო „მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“-ო (გვ. 17. XIV, 29—30). ევსტათე მცხეთელის ჩვენებაშიაც ნათქვამია: „მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისა“-განაო (საქართველოსა სამოთხე, 316). შემდეგში, მეტადრე IX ს-ითგან მოყოლებული, რაკი „სოფელი“ უკვე დაბის აღმნიშვნელად იქცა, „სოფლის“ პირველადი მნიშვნელობა განსაკუთრებით სიტყვა „ქუეყანა-ზე გადავიდა, რომელმაც თავის მხრით თავისი პირველადი მიწისა და დედამიწის აღმნიშვნელობა დაკარგა და ჩვეულებრივ მხოლოდ იმ მნიშვნელობით-ლა იხმარებოდა, როგორც ეს სიტყვა ეხლაც გვესმის.

მიწაწყლის ერთეულის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად „პევი“-ც იხმარებოდა. ევსტათე მცხეთელს მარზპანისათვის დაკითხვის დროს განუცხადებია: „მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისა, კევისა არშაკეთისა, ქალა-



ქისა განძაკისა“-ო (საქართ. სამოთხე, 316. ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობაშიც ნათქვამია: „იყო სოფელი ერთი დიდი თავსა-ზედა დიდისა მის მდინარისა, რომელსა ჰრქვან მტკუარი, ქევსა რომელსა ჰრქვან კოლაჲ“ (ნ. მარის გამ., TP, V, 55). ქვეყნის ხეებად დაყოფვა გეოგრაფიულ თვისებებზეა დამყარებული და საქართველოს მომეტებული ნაწილისათვის ამიტომ ჩვეულებრივი იყო.

მიწაწყლისა და მოსახლეობის ცალკე ერთეულს შეადგენდა რასაკვირველია „ქალაქი“-ც. ვესტათე მცხეთელის მარტვილობაში ნათქვამია, რომ სპარსეთითგან ვესტათე „მოვიდა იგი ქალაქად მცხეთად“, ხოლო როდესაც თანამემამულეთაგან დასმენილი და მამაპაპეული სარწმუნოების ღალატისათვის შეპყრობილ იქმნა მცხეთისა ციხისთავისაგან, წინასწარი გამოძიების შემდგომ ციხისთავს გადაუწყვეტია: „წარუძღუანო ეგეტფოლისსა ქალაქსა არვანდ გუშნასპს ქართლისა მარხპანსა“-ო (იბ. ყოფ. საეკ. მუზ. ხელთ., №№ 130 და 170).

### თავი მესამე

#### მოსახლეობის ერთეულები

მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელ ტერმინებად უძველეს ქართულ ნათარგმნსა და ორიგინალურ ძეგლებში „თესლი“, „ნათესავი“, „ტოჰმი“ და „ერი“ გვხვდება.

„თესლი“ საღმრთო წერილის თარგმანებშია ნახმარი ბერძნული  $\sigma\epsilon\rho\mu\alpha$ -სა და სომხური *սերմ*-ის შესატყვისად (მაგ., შესაქმეთაჲ 21<sub>12,13</sub> და სხვაგან). იაკობ ხუცესს ნახმარი აქვს გამონათქვამი „თესლ-ტომი“. მას აღნიშნული აქვს, რომ ცოლზე გულმოსული ვარსკენ პიტიახში „აგინებდა... თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მოხრებელად სახელ-სდებდა“ (გვ. 8, VI<sub>112-113</sub>).

უცხო შთამომავლობისა და ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინიც ამავე სიტყვითგან ნაწარმოებ სიტყვას წარმოადგენდა. დაბადების ქართულ თარგმანში ამ ცნების გამოსახატავად „უცხო-თესლი“-ა ნახმარი, რომელიც ბერძნულს  $\alpha\lambda\gamma\epsilon\tau\epsilon\rho\iota\sigma$ -ს და სომხურს *օտարითի*-ს უდრის.

„ნათესავი“ თესლის შთამომავალსა ნიშნავდა და შემდეგ ტომის მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგ. შესაქმეთა 105 ნათქვამია: „ამათგან განიყუნეს... თუთეული ენად-ენად ტომთა შინა მათთა და ნათესავთა შინა მათთა“. ამავე წიგნის 27<sub>23</sub> წერია. „გმსახურებდენ შენ ნათესავნი“, ხოლო გამოსვლათა 6<sub>14,16</sub> აღნიშნულია: „ეცე არიან ნათესავნი რუბენისნი“, „ნათესავისა ებრა მათისა“-ო. ამ ამონაწერებში „ნათესავი“ ბერძნული  $\tau\epsilon\beta\epsilon\iota\sigma$ -ის და  $\eta\sigma\upsilon\chi\epsilon\nu\iota\alpha$ -ს, ხოლო სომხური *տիրմ*-ისა და *սყფ* შესატყვისად არის ნახმარი.

„ტოჰმი“ ანუ „ტომი“ სპარსული სიტყვაა. სპარსულში „ტუჰმ“ თესლსა ჰნიშნავს. სპარსულითგან ეს ტერმინი ასურელებსაც აქვთ „ტუჰმა“-ს სახით შეთვისებული და სომხურშიც არის *տիրմ*-ის სახით. აღსანიშნავია, რომ დაბადების ქართული თარგმანის შესაქმეთა 10<sub>5</sub>, „ტომთა შინა მათთა“

უდრის ბერძნულს *φιλανθροπία* და სომხურს *սոցիա* იმ დროს, როდესაც ამავე მუხლის „ნათესავთა“ სომხ. *սირამა*-ის შესატყვისობად გამოდის. ბამოსლვათა 16-ში „ტომნი“ ბერძნულს *αι πατριαι*-ს და სომხურს *ցხղღ*-ს უდრის. ეს ტერმინი იაკობ ხუცესის ნაწარმოებში არის ნახმარი „თესლ-ტომი“-ს სახით (გვ. 8, VI, 112-113).

ტომი და ნათესავი იმით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, რომ პირველი უცხო სიტყვაა და მეორეინდელი შენათვისებია, მეორე კი ნამდვილი ქართული და ძველი ტერმინი არის. ამას გარდა ნათესავი ნათესაობას აღნიშნავდა და უფრო ფართო მნიშვნელობითაც, ეროვნების აღსანიშნავადაც იხმარებოდა, — ტომს კი ასეთი ფართო მნიშვნელობა არ ჰქონია და გვარს, ან გვართა ჯგუფს აღნიშნავდა.

მთელი მოსახლეობის სქესისა და ჰასაკისდა მიუხედავად შემკრებლობით აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულ მწერლობაში „ერი“ იხმარებოდა. იაკობ ხუცესს აღნიშნული აქვს, რომ როდესაც შუშანიკი მის ქმარს ქართლისა პიტიახშს ციხეში დასამწყვდევად მიჰყავდა, მას თურმე მისდევდა „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა და სიმრავლეს ურიცხვს, რამეთუ უკანა შეუდგეს, ჯამა აღემალა და ტიროდეს“. მაშინ „შუშანიკ უკმოხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შეილნო ჩემნო“-ო. როდესაც პიტიახშმა იხილა „ტირილი მამათა და დედათა და, მოხუცებულთა და ყრმათა და“, დაედევნა და ყველანი გაფანტაო (გვ. 124 - 129). ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ორთავე სქესისა და ყოველივე წლოვანობის ხალხის სიმრავლე „ერი“-ს ზოგადი სახელით იყო ცნობილი.

V ს-შიაც ქ. შ. „ერი“ ორ მთავარ ნაწილად იყოფებოდა. ერთს შეადგენდნენ სასულიერო პირნი, მეორეს საერონი, ანუ ერისკაცნი. პირველი ჯგუფის აღსანიშნავ ტერმინად იხმარებოდა „მლდელთაგანი, მეორე ჯგუფის წარმომადგენელს „ერისკაცი“ ეწოდებოდა. იაკობ ხუცესის სიტყვით წა შუშანიკს გამწარებითა და საყვედურით უნდა ეთქვას: „არცა მლდელთაგანი ვინ იბოვა მოწყალეს, არცა ერისკაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითულეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“ (გვ. 7, VI, 10-14).

უკვე სტრაბონის დროს მოსახლეობაში ქურუმნი და მიწის მოქმედნი განცალკევებულ წრეებად იხსენიებიან. იბერიის მოსახლეობის განსაკუთრებულ და მეორე წრეს ქურუმნი შეადგენდნენ, რომელთაც თავიანთი პირდაპირი მოვალეობის, მღვდელთმსახურების, გარდა საერთაშორისო საქმეებიც ჰხარებიათ. სტრაბონის ცნობის მეტისმეტი სიმოკლის გამო არა ჩანს, წარმოადგენდა თუ არა ქურუმთა წრე სრულებით გამოცალკევებულ სოციალურ ერთეულს, ჰქონდა თუ არა მას წოდებრივობის თვისებები. უეჭველია მხოლოდ, რომ ქურუმობა ალბათ მეგვიდრეობითი პატივი უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ საგვარეულოებში. მაგრამ თვით ქურუმობის მიღებისა და დამკვიდრების წესის შესახებ, ცნობების უქონლობის გამო, ჯერ არაფრის თქმა

არ შეიძლება. უძველეს დროითგან ქართველთა შორის გავრცელებული მნათობთა-თაყვანისცემა მის მღვდელმსახურთაგან ვარსკვლავთმრიცხველობის ცოდნას მოითხოვდა. თვით ქურუმთა შემადგენლობა უეჭველია რამდენიმე უფროს-უმცროსობაზე დამყარებული ხარისხის მქონებელი უნდა ყოფილიყო, სხვადასხვა მოვალეობის აღმსრულებელი საფეხურების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ ქურუმთა წრეს უეჭველია თავისი შინაგანი ორგანიზაცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამის შესახებ ჩერჩერობით არაერთარი ცნობები არ მოგვეპოვება.

მოსახლეობის მთავარ ნაწილს, რომელიც სტრაბონის აღწერილობის თანახმად მესამე წრედით ვლენობდა, მთელი ხალხი შეადგენდა, რომელიც მიწისმოქმედებასა და მოლაშქრეობას მისდევდა. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ხელობის მიმდევარი ცალ-ცალკე, განსაკუთრებულ სოციალურ ერთეულებს არ შეადგენდნენ, არამედ ერთ ოდენობად ჰყავს სტრაბონის დასახელებული. საფიქრებელია, რომ ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ დღევანდელი მიწისმოქმედი ხვალ, თუ ქვეყანას გასაჭირი დაადგებოდა, ან სახელმწიფოს ინტერესი ამას მოითხოვდა მემორად გახდებოდა. ეს რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას ერისა და მეომრის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინიც ამტკიცებს. საღმრთო წერილის უძველეს ქართულ თარგმანებში ხალხის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარება „ერი“, რომელიც სათანადო ადგილას ბერძნულ *ἄλλοι*, ან *λαῖς*-ს უდრის და სომხურს *ամբոխ*, ან *ժողովուրդ*-ს (მათე, 26, 47, 55; მარკოზ, 14, 43; ლუკა, 8, 19, 7 და იოანე, 11, 50). ამავე დროსა და ხანაში „ერი“ ჯარსაც აღნიშნავდა. მაგალითად მესუკავეთა მარტვილობის ქართული თარგმანის წინადადება „ამიერითგან ერის კრება ყო“ (ხახანაშვილი, MΓAr., 127) სომხური დედნის „*այնուღ-ხოსი ვირა ვიძარხაլ*“ (*Սուխերք Հակ.*, XIX, 34), ხოლო ამავე ძეგლის ცნობა, „*ნამარ ათნქრ ვირავენ*“ (იქვე, 39) ქართულად ნათარგმნია „აღრაცხვა ყო ერისა“ (იქვე, 14, 5). ამგვარად ქართული ერი სომხურ *ვირ* „ზორ“-ს ანუ ჯარს უდრის. სახარების ქართულ თარგმანშიაც ჯარისკაცის აღმნიშვნელ ერთადერთ ტერმინად „ერისაგანი“ იხმარება და ბერძნულს *στρατιώτης*-ს და სომხურს *ვირական*-ს, ან *զինավոր*-ს უდრის (მათე, 8, 28, 12; იოანე, 19, 32, 34). ამავე დროს და ამავე ძეგლში „ერისაგანი“ ხალხისაგანსაც ჰნიშნავს და ბერძნულს *ἕκαστος* და სომხურს *ժողովուրդ*-ს უდრის (ლუკა 12, 13). ამგვარად ირკვევა, რომ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში ხალხისა და ჯარისათვის ერთი და იგივე სიტყვა იხმარებოდა და ეს გარემოებაც იმის დამადასტურებელია, რომ სტრაბონის დროს აღმოსავლეთ საქართველოში გაცალკეებული სამხედრო და მიწისმოქმედთა სოციალური ერთეულები არ უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>. რაკი იბე-

1 პროფ. გ. აღონის ნათქვამი აქვს: სტრაბონის ცნობა ისე უნდა იქმნეს გაგებული, რომ რადგან ბარის მცხოვრებნი უფრო მიწისმოქმედებას მისდევდნენ და მშვიდობიან ცხოვრებას ეტანებოდნენ, მთის მცხოვრებნი-ც უფრო მოლაშქრეობას რჩებოდნენ, თუმცა არც მათთვის იყო მიწისმოქმედება უცნობი, ვითომც ამიტომ იხსენიებს სტრაბონი მებაშე

რიაში გაქირვების დროს სალაშქროდ ყველა სრულპასაკოვანს შეეძლო გამოსვლა, ამიტომ არც გასაკვირველია, რომ აღმოს. საქართველოს სტრატონის ცნობით ალბანელთა 60000 ქვეითობისა და 22000 მხედრობაზე ნაკლების გამოყვანა შესძლებია (Geographica lib., XI. cap. IV, 5).

გვარის აღმნიშვნელი თავდაპირველი ტერმინი უძველეს ქართულ ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ უეჭველია „სახლი“ უნდა ყოფილიყო. ამისი კვალი როგორც სხვადასხვა ტერმინებში ჩანს, ისევე IX—XI სს. ძეგლებშიაც. მოქცევაჲ ქართლისაჲს მათიახეში, მაგ., ნათქვამია, რომ აზომ ქართველთა ამიერკავკასიაში გადმოსახლებისას თავდაპირველ სამშობლოთგან „წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“ (ე. თაყაიშვილის Опис., II, 709). ცხადია, რომ აქ მ „სახლი“ მთელ გვაროვნობას უნდა ჰნიშნავდეს, რადგან მართო მ ოჯახს ქვეყნის დაპყრობა და დამკვიდრება არ შეეძლო.

ამას გარდა ერთი გვარის მქონებელ პირებს, თუნდაც მათ შორის არავითარი ნათესაობაც კი აღარ ყოფილიყო, „სახლისკაცები“ ეწოდებოდა. უეჭველია ეს ტერმინიც იმის მომასწავებელია, რომ ყოველი ცალ-ცალკე გვარის აღსანიშნავად „სახლი“ იხმარებოდა. ამ გარემოების დამამტკიცებელი მაგალითების უქონლობა V—VI სს. ძეგლებში იმით აიხსნება, რომ ამ დროისათვის გვაროვნული წესწყობილება უკვე დარღვეული იყო და ამას გარდა სპარსული ტერმინები იყო უკვე შემოხიზნული.

## თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

### გვაროვნული წესწყობილება

#### § 1. საგვარეულო წესწყობილება I ს. ქ. წ.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ლ. მროველს ქართველი ერის უძველესი სოციალური წესწყობილება ერთ ცოლქმრობაზე დამყარებული ოჯახის სახით ეხატებოდა. მაგრამ ეს სურათი საქმის ნამდვილ ვითარებას რომ სრულებით არ შეეფერება, ამას სტრატონის აღწერილობაც ამტკიცებს. მართალია გამოჩენილი გეოგრაფის ცნობა I ს. ეკუთვნის ქ. წ., ლ. მროველი კი ქართველი ერის უძველესი ხანის წესწყობილების დახატვასა ლამობდა, მაგრამ მაინც სოციალური ცხოვრების მიმდინარეობა არ შეიძლება მთლად უკუღმა მოტრიალებულიყო.

სტრატონის აღწერილობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი მა-

წრეში მიწისმოქმედებისა და მოლაშქრობის მიმდევართ (იხ. Армения в эпоху Юстиниана, 1908 წ., გვ. 407, შენ. 1). ამგვარად ისე გამოდის, თითქოს სტრატონი მიწის-მოქმედებად ბარელებს ჰგულისხმობდა, მოლაშქრებად—მთიელებს. მაგრამ ეს სრულებით მცდარი აზრია. სტრატონს თუმცა აღნიშნული აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ბარელთა და მთიელთა მიდრეკილება, მაგრამ ირსად ნათქვამი არა აქვს, რომ ჭარს მართო მთიელები შეადგენდნენ. ბირჟით მას გააკვევით აქვს აღნიშნული ბარელთა შეიარაღების წესი აშნაირად იდონის განმარტება სტრატონის ცნობითგან არ გამომდინარეობს და მის სიტყვებს ეწინააღმდეგება კიდევ.

შინდელ აღმოსავლეთ საქართველოში საგვარეულო მიწისმფლობელობის არსებობის შესახებ ცნობაა. მისი სიტყვით, ქონება იბერებს საერთო ჰქონიათ საგვარეულოთა მიხედვით და ამ საერთო საგვარეულო ქონებას გვარის უხუცესი წევრი განაგებდა. მაშასადამე, კერძო საკუთრება მაშინ, უძრავი მაინც, არ ყოფილა. უძრავი ქონება გვარის საერთო საკუთრება იყო და თვით ამ ქონების მოვლა-გამგეობაც საერთოვე ყოფილა, რათგან მისი მართვა-გამგეობის უფლება გვარის უხუცეს წევრსა ჰქონია ხელთა.

რა უნდა ჰქმეოდა სახელად ამ გვარის უხუცესს, რომელიც საგვარეულოს უზენაესი ბატონ-პატრონი ყოფილა? თუ იმ გარემოებას ანგარიშს გაუწევთ, რომ ტერმინი „გვარი“ XI ს-ზე უწინარეს ქართულ სამწერლობო ენაში არა ჩანს და „ტომი“-ც უცხო სიტყვაა და სპარსულითგან არის შემოსული და უძველესი ქართულისათვის აგრეთვე უცნობი სიტყვა იყო, მხოლოდ ორი სიტყვა „ნათესავი“ და „სახლი“-ლა გვრჩება, რომელიც გვარის აღსანიშნავად შესაძლებელია მიღებული ყოფილიყო. ხოლო რადგან ერთი-და იმავე საგვარეულოს წევრს და ერთიდაიმავე გვარის მქონებელ ადამიანს ქართულად „სახლისკაცი“, ან „სახლისშვილი“ ეწოდებოდა და ეხლაც ეწოდება, აქეთგან ცხადი ხდება, რომ გვარს, როგორც დავრწმუნდით, უძველეს დროს „სახლი“ ჰქმეოდა.

ამის შემდგომ ადვილი მისახედრია, რომ სტრაბონის დროინდელი საქართველოს საგვარეულოს იმ უხუცეს წევრს, რომელსაც გვარის საერთო ქონების მართვა-გამგეობა ჰქონია ჩაბარებული, „მამასახლისი“ უნდა ჰქმეოდა სახელად.

თუმცა იმდროინდელი ქართული წყაროების უქონლობის გამო ამ დებულების სიმართლისა და სისწორის დასამტკიცებლად პირდაპირი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ არაპირდაპირი არაერთი მოიპოვება. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, მკვლევარისათვის მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი გარემოება ირკვევა, თუ ქართული სახარების უუძველესი, ხანმეტი თარგმანის მათეს თავის X<sup>25</sup> ტექსტს ჩაუყვირდებით. X ს. რედაქციით ეს მუხლი ასეა წარმოდგენილი:—„უკუეთუ სახლისა უფალსა ბელზებულთ ჰხალოდეს, რაოდენ უფროას სახლეულთა მისთა“-ო. აქ „სახლისუფალი“ არის ბერძნული *ὁ οὐρανός*-ისა და სომხური *տանուտէր*-ის შესატყვისობა, ხოლო „სახლეულნი“ ბერძნული *οἱ οὐρανοί*-ს და სომხურს *ընտանիք*-ს უდრის. მართლაც, ქართული თარგმანის „სახლის-უფალი“ ბერძნულს *ὁ οὐρανός*-სა და სომხურს *տանուտէր*-ს ზედმიწევნით გამოჰხატავს, რადგან *ὁ οὐρανός* და *տէր* სწორედ რომ უფალსა ჰნიშნავს.

მაგრამ ეს მუხლი ჩვენს პირველ მთარგმნელებს ასე არ გადმოუთარგმნიათ: პალიმფსესტად დაცულ ხანმეტ სახარებაში სახლისუფლის მაგიერ წერია „მამასახლისსა“ და ასევეა ეს ადვილი ჰადიშის IX ს. სახარების ხელთნაწერში დაცული. ქართველმა პირველმა მთარგმნელებმაც, რასაკვირველია, კარგად იცოდნენ,

რომ მესაბრუნე და მიტოვებულ ქართულად უფალი“-ა. ეს სიტყვა მათ არა ერთხელ აქვთ თავიანთ თარგმანში ნახმარი. მაშასადამე, მათაც შეეძლოთ ეს ტერმინი „სახლისუფალ“-ად გადმოეთარგმნათ, ან ნამდვილი ქართული სიტყვა „მამფალი“ ეხმარათ. მაგრამ ისინი ასე არ მოქცეულან. ტერმინ „მამფალ“-ში სახლის უფროსობის ცნების გამომხატველი სიტყვა წარმოდგენილი არ არის და ამიტომ გამოსადეგი არ იყო. ხოლო თუ „სახლის უფალი“-ს მაგიერ „მამასახლისი“ იყო ნახმარი, უეჭველია იმიტომ, რომ მაშინ ეს სიტყვა ერთადერთი ჩვეულებური იგი ზოგადი ქართული ტერმინი უნდა ყოფილიყო სახლის უფროსისა და უხუცესის წევრის აღსანიშნავად. შემდეგ საუკუნეებში, როდესაც ძველი გვაროვნული წესწყობილება უკვე დარღვეული იყო, სახარების ქართული თარგმანის ბერძნულთან შეწამების დროს მიუქცევიათ ყურადღება, რომ ძველი ქართული ტერმინი „მამასახლისი“ ბერძნული οἰκονομάρχης-ის ზედმიწევნით შესატყვისობას არ წარმოადგენს და ამის გამო სამართლიანად უფრო სწორედ „სახლისუფალი“ მიიჩნიეს.

ესეც არის კიდევ აღსანიშნავი, რომ იმ ფაქტის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად ძლიერი ყოფილა გვაროვნული წესწყობილების ნიადაგზე წარმოშობილი ადმინისტრაციული ტერმინი „მამასახლისი“, ის საგულისხმო გარემოებაც ამტკიცებს, რომ როდესაც საქართველოში მეუღლებნობა და სამონასტრო დაწესებულებები გაჩნდა, მონასტრისა და ბერმონაზონთა სათავეში მდგომ თანამდებობის პირსა და უფროსს „მამასახლისი“-ვე ეწოდა, თუმცა იქ გვარის მსგავსი არაფერი იყო და მონაზონთა მთელ მისწრაფებას ხორციელ ნათესაობასთან და ნათესავებთან ყოველივე კავშირის შეწყვეტა და უარყოფა შეადგენდა.

## § 2. სოფლების გვაროვნობათა მიხედვით დასახლებულობა

საგვარეულო წესწყობილების მნიშვნელობის საკითხის გამორკვევის შემდგომ საქართველოს სოციალური ცხოვრებისათვის უძველეს ხანაში თავისდა თავად იბადება აზრი, რომ მოსახლეობაც საქართველოში გვაროვნობათა მიხედვით უნდა ყოფილიყო დაშენებული. უძველესი ხანისათვის ამის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა წერილობითი ძეგლებითგან რასაკვირველია შეუძლებელია და შემდეგშიაც მხოლოდ იმ დროთაგან, რა დროსაც ხალხის აღწერის დავთრებია გადარჩენილი, მკვლევარს საშუალება აქვს ამ საკითხის შესასწავლად სანდო ცნობები ხელთ იქონიოს. სამწუხაროდ, XVIII ს-ზე უწინარესი დროის ამგვარი ძეგლები ჯერ აღმოჩენილი არ არის და ამ დროისაც საქართველოს მხოლოდ ზოგიერთი თემისა და ხეობის აღწერილობა მოგვეპოვება, მთელი საქართველოს მთლიანი სურათის აღსადგენად კი მასალები ჯერ არ არსებობს, ამისდა მიუხედავად მაინც არაგვისა და ქსნის ხეობათა XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრებიც ფრიად საგულისხმო დასკვნის გამოყვანის საშუალებას გვაძლევს.

ამ 1774 და 1781 წწ. დავთრებიდან ჩანს, რომ XVIII ს. მეორე ნახევარშიაც არა ერთი სოფელი ყოფილა, რომლის მთელი

მოსახლეობა მხოლოდ ერთ გვარეულობას ჰქუთნებია. მაგ., არაგვის ხეობის: ს. ქვემო მლეთის ყველა მცხოვრები ბურღულები ყოფილან, სეთურთკარში ყველანი სეთურიძეები იყვნენ, ჭალუმანთ-კარში ყველანი ჭალუმიძეები, კაიშაურთ-კარში — კაიშაურნი, ქოროლოს — წამალაიძენი, სვიანანთ-კარში — სვიანაიძენი, ციხიანთ-კარში — ციხაურნი, როროს — ბელიძენი, გვიდაქეს — ბუჩუკურნი, ჩონჩოს — ნაჩიანიძენი, ბეჭიანთ-კარს — ბეჭიაურნი, ჩოქურს — ჩოქურნი, კობიანთ-კარს — კობაიძენი, ძმიანთ-კარს — ქავთარაძენი, რომელთაც ბატატიანთ-კარშიაც მთელი სოფელი უკავიათ, ამირთ კარს — ამირიძენი, ჩოხს — ჩოხელნი, ჩობაურთ-კარს ჩობანაურნი, ლიდას — თლოშიაურნი, გოგონაურთას — ბეჭაურნი, რომელთაც კიტოხშიაც მთელი სოფლის მოსახლეობა ეკუთვნით, მაქართას — თლოშიაურნი, წინამხარს აფციურნი, ფხაეთს იგრიაურნი, ქოჭოხს ჩოხელნი, ვეშაგურთ-კარს ვეშაგურნი, ზენუბანს გიგაურნი, პავლეურთ-კარს პავლეურნი.

ქსნის ხეობაში 1781 წ. დავთრის მიხედვით შემდეგი სოფლების მოსახლეობა მთლად ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა: ილურთ-კარში ყველანი ილურიძენი იყვნენ, დორეულთ-კარს — დორეულნი, შველიეთს შერმადინნი, რომელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა ს. მოჭალიათი და საქორეთი, ხარბალს — ქენჭაძენი, რომელთაც ქარჩოხის მოსახლეობაც (ერთის გარდა) ეკუთვნოდა, მიდელაანთ-კარს — მიდელაანნი, თინიკანთ-კარს თინიკანნი, რომელთაც კორინთის მთელი მოსახლეობაც ეკუთვნოდათ, და ჩიტიანთ-კარს ჩიტიანნი.

ბევრი სოფელია, რომლებშიაც მოსახლეობა მხოლოდ ერთს საგვარეულოს ეკუთვნის და მხოლოდ თითო ან ორი, სამი სხვა გვარის მოსახლე არის ხოლმე, ხშირად სხვაგანთგან შემოხიზნული, როგორც ეს დავთარში ხშირად აღნიშნულიც არის. სოფლების მოსახლეობის პირვანდელ ერთ-გვაროვნეულობას სწორედ ეს ხიზნობა და შიშიანობის დროს ბართგან მთაში შეხიზვნა და ჩასახლება არღვევდა, ბარად კი მტრის შემოსევა-აოხრებოსაგან სოფლის მცხოვრებთა ამოვარდნა — დაწიოკება.

საქართველოში რომ სოფლის მოსახლეობა გვარეულობებად ყოფილა თავდაპირველად დაშენებული და შემდეგშიაც საგვარეულო წესწყობილების დარღვევის და პატარა ოჯახების გაჩენისდა მიუხედავად ერთსადაიმავე სოფელში ერთსადაიმავე გვარის მეკომურები ცხოვრობდნენ, ეს გარემოება უფრო მეტი სიციხადით წარმოგვიდგებოდა, ხალხის აღწერის დავთრებში რომ თანდათან საგვარეულო სახელების მაგიერ მამისშვილობის სახელების ჩაწერა არ დაეწყათ და ამით ჩვენთვის მეკომურთა ნამდვილი გვარის გაგების საშუალება არ მოესპოთ. ჩვენამდის მოაღწია ორმა ერთი და იმავე ხეობის დავთარმა, რომელთაგან ერთში მოსახლეობის გვარი, მამისშვილობისა და საკუთარი სახელები სრულად არის შეტანილი, მეორეში კი გვარები გამოტოვებულია და მხოლოდ მამისშვილობისა და საკუთარი სახელებია შეტანილი. ამ უკანასკნელი დავთრის მიხედვით რომ გვემსჯელა და სრული აღწერილობა ბელთ არ გვექონოდა, სოფლების მოსახლეობა მთლად სხვადასხვა გვარეუ-

ლობის წარმომადგენელთაგან დასახლებულად გვეჩვენებოდა. ბარად, რაკი იქ შედარებით უფრო ინტენსიური ცხოვრება იყო, ძველი წესებიც მთაზე გაცილებით უფრო ადვილად ქრებოდა და საგვარეულო სახელებს უფრო სწრაფადაც ივიწყებდნენ.

### § 3. საქართველოს იმდროინდელი საგვარეულო წესწყობილების პირველადობის საკითხი

ამნაირად გამოირკვა, რომ სოფლები საქართველოში გვარეულობებად ყოფილან დასახლებულნი და მთაში ამისი კვალი XVIII ს. დამლევამდისაც მკაფიოდ ჩანდა. ცნობილია, რომ დიდ საგვარეულოებს მეტადრე აღმოს. საქართველოში XIX ს-შიც კი კარგა ხანს საგვარეულო მამულები გაუყოფელი და საგვარეულო მიწისმფლობელობა ჰქონდათ. ბუნებრივად იბადება საკითხი, ეს ხომ ძველისძველი მდგომარეობის ნაშთი არ იყო და ქართველობამ პირვანდელი საგვარეულო წესწყობილება ხომ არ დაიცვა XIX ს-მდე?

უკვე დიდი საგვარეულოების XVI—XVIII სს-ის ბლომად შენახული გაყრილობის წიგნებითა მტკიცდება, რომ საქართველოში გინდ დიდი საგვარეულოების განუყოფლობა-გაუყარელობაზე და ამ გზით პირვანდელი წესწყობილების დაცულობაზე მსჯელობა და ლაპარაკი შეუძლებელია. ხოლო, როგორც „შუშანიკის წამება“-იდან ცხადადა ჩანს (გვ. 13, X—18, XVI), უკვე V ს-ში მაღალი წოდების ღვიძლი ძმები ერთ სახლად არ ცხოვრობდნენ და საერთო მეურნეობაც საეჭვოა რომ ჰქონოდათ, ამის გამო დაუჭერებელია ის საგვარეულო მიწისმფლობელობა, რომელიც საქართველოში XVI—XIX სს-ში იყო, სტრაბონისდროინდელი წესწყობილების ნაშთად ვიცნათ.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ უძველესს დროს საქართველოში სუფევდა საგვარეულო წესწყობილება: იგი გაბატონებული იყო სახელმწიფო ცხოვრებაშიაც, საზოგადოებრივშიაც. ზემონათქვამის შემდგომ აქაც უნებლიედ გვებადება საკითხი, თავდაპირველი, პირველადი მოვლენა არის ეს საგვარეულო წესწყობილება, თუ არა? ამგვარი ეჭვი სრულებით ბუნებრივი იქმნება თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი ერი ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობის მქონებელი ეროვნება, საგვარეულო წესწყობილება კი კაცობრიობის განვითარების თითქოს პირველ საფეხურთაგანია.

ჯერჯერობით ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა არ შეიძლება, მაგრამ არის ერთი საყურადღებო გარემოება, რომელიც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია სტრაბონის დროინდელი საგვარეულო წესწყობილება პირველადი კი არ იყოს, არამედ მეორადი, ან მესამეგზისიც.

საზოგადოდ ირკვევა და ქართული სამართლის წყაროებითაგან ჩანს, რომ საგვარეულოსა და ოჯახის გაყრის შემდგომაც გვაროვნობითი ერთობა შეიძლება კვლავ განახლდეს. ეს გარემოება რომ ჩვენთვის ცხადი გახდეს, უნდა ერთს საგულისხმოდ დაწვსებულებას შევხებით, რომელსაც ქართულ იურიდიულ მწერლობაში „შეყრილობა“ ეწოდებოდა. ამის შესახებ ცნობები ქართული სამართლის წიგნებში რასაკვირველია არა მოიპოვება რა; იგი კერძო ცხოვრების მოვლენა იყო და ამის გამო მხოლოდ საბუთებშია აღნუსხული. როგორც გვარისა და ოჯახის დაყოფა გაყრის საშუალებით წარმოებდა, ისევე შეერთების პროცესიც ყოფილა, რომელსაც თავისი წესები ჰქონია ამ



მეტად საყურადღებო და აქამდე უცნობი დაწესებულების შესასწავლად ჯერ „შეყრილობის წიგნები“-ს სახელით ცნობილი საბუთების ცნობები მოვისმინეთ. 1717 წ. საბუთში ნათქვამია: „ნებითა და შეწყენითა ღთისათა... ესე ძმობის წიგნი მოგართვით თქვენმა ძმისწულემა დათუნამ და პატამ თქვენ ბიძა ჩვენს იესეს, შვილსა თქვენსა ოთარსა და გერმანოზს, ასე და ამა პირსა ზედა: გაყრილნი ვიყავით და ისევე ერთმანერთის თავი მოვიწოდომეთ და ისევე ძმათ შევიყარენით. ეს პირობა დავზღვევით (sic!), რომ მამის მამული და ბიძის და ოთარისა და რაც ჩვენი მამა-პაპათ მამული იყოს, ნასყიდიცა და უსყიდიცა, ყველა გავგვიერთებია; რაც ერთობაში შევიმატოთ, საერთო იყოს, რაც დაგვეკარგოს ისიც საერთო იყოს. ...ჩვენ რომ ვალი გუმართებს ოცი თუმანი, საერთოდ გადავიხადოთ, და სხვა, რაც დარჩეს, თავ-თავისთვის გარდავიხადოთ. თქვენ და უკითხავად არც მამული გავსცე, არც დაგირბიოკაცი, არც გამოვიყვანო მსახური და მსლებელი; თუ პური და ღვინო გადაგურჩეს, საერთო მოვიხმაროთ, ან მამული ვიქრთამოთ, ან ვიყიდოთ, ყველა საერთო იყოს“-ო (სქს სძვლნი, I, 445).

1675—1685 წ. საბუთში წერია: „სახელითა სახიერისა არსება-დაუსაბამოსა ღთისა, მამისა, ძისა და წმიდისა სულისათა... ესე ფიცი და პირობა მოგვეცე მესარდალმან თამაზ თქვენ, ჩემსა ძმასა მღვანბეგს ვახტანგს ასე და ამა პირსა ზედან: ძმობისა და ხახლის კაცობის პირობაზე ვიყო შენთვის კარგი და კარგის მღომი... ჩვენი ხახლი არ მოიშალოს და არ გაიყაროს, თვარადა, ღთან ნუ ქნას, ერთობა არ მოკლეს, ჩვენ ერთმანერთს არ მოვეშოროთ და ერთნი ვიყვნეთ, რაც, ან ღთითა და ან ბატონით, მომეცეს და ვიშოვო, ნასყიდს გარდა, საერთო იყოს, არც ჩემს ქამში მოგშორდე და გაგეყარო“-ო (სქს სძვლნი, II, 208.).

1779 წ. საბუთში ნათქვამია: „ნებითა და შეწყენითა მღლისათა... ესე ამიერთ უკუნი სამი ძამთა და ხანთა მტყიცე და შეუცვალეგელი და საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და პირი დავღვევით თუმანი შვილმა ფირან და ჩემმა შვილმა ბეჟანმა, ასე რომე მოვედით და თქვენ, ჩემს ვანაყოფს, მანუჩარის-შვილს გორჯასპის შემოგეყარეთ ასე რომ მანამდი ცოცხალი ვიყოთ, შენ არ გავეყაროთ, ჩვენი სასახლითა და ყმითა და მამულით, თუ რამ გვაქვს ქონებითა და ამ პირობითა. რომ მანამდი ცოცხალი ვიყოთ, არ მოგშორდეთ, და ჩვენს უკან ჩვენი მამული და სასახლე და თუ რამ გვაქვს, ისიც სულ შენი იყოს... მე თუმანიშვილის ბეჟანის შვილს გოგიას ამ კურთხეულის პაპის ჩემისაგან მოცემულის შეყრილობის წიგნის ყაბული მაქვს. ღთ«მა» სიცოცხლე და სიკვდილიც თქვენთან მომცეს“ (სქს სძვლნი, III, 506).

1778 წ. ქრისტიანობის დღეს შედგენილს საბუთშიც სწერია: „ესე საძმო და ერთობის წიგნი მოგე მე გოსტაშაბის შვილმა დავითის შვილმა ერასტიმ და სახლისა ჩემისა მომავალმა შენ ჩემს ბიძაშვილს ბეჟანის შვილს ზურაბს და სახლისა შენისა მომა-

ვალს ასე და ამა პირსა ზედა, რომ ავის დროს მიზეზით პაპა ჩემი და მამა შენი ერთმანერთს დაშორებულნიყვნენ და გაყრილიყვნენ და მას უკან ძმობისა და სახლის კაცობის სიყვარულით ძმათ შეყრილიყვნენ... რომ მაშინდელი იმათი შეყრილობის წიგნი დღესაც არის. მას უკან კიდევ გაყრილიყვნენ და ახლა ჩვენ ერთმანერთის სიყვარულით მოვიდომეთ ძმათ (sic) შეყრა და ერთათ ყოფნა... რომ რაც პაპას ჩემს თავისი საუფროსოთი სახლის კაცებიდამ წილი გამოჰყოლია სამკვიდრო, თუ ნასყიდობა და თუ მას უკანდელი შემატებული ყმა და მამული, დღეს რისაც მქონებელი ვარ ამ წიგნის მოცემაში ყმისა თუ მამულისა ამით ძმათ შეგყრივარ, რომ დღეის უკან... მე ჩემის მამულით და ყმით და შენ შენის მამულით და ყმით ერთათ ძმურებ სიყვარულით უნდა ვიყვნეთ... იმ მამულის გამოსავალიც ერთავ ერთობაში უნდა მოვიხმაროთ და სხვა რიგათ სამამულოთ შენ ზურაბს ბებია ჩემის ნასყიდობასთან საქმე არა გაქვს. ამას გარდა შენი წილი ნასყიდი, თუ უსყიდი ყმა და მამული და აგრეთვე ჩემი ნასყიდი თუ უსყიდი ყმა და მამული ლხინში თუ ჭირში საძმოთ უნდამოვიხმაროთ" (სქს სძვ., I, 102—103).

1777 წ. საბუთშიც სწერია: „ეს წიგნი მოგართვი მე ელიზბარსოლოლაშვილმა ქაიხოსროს შვილმა შენ, ნათესავსა ჩემსა, ხოლო დღეთგან ძმისა ჩემსა შიოშს სოლოლაშვილს და შვილებს შენსა იესეს, მანუჩარს და იორამს, სამსავე ერთად და არა სათითოდ ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თქვენი დიდი სიყვარული მქონდა და მაქვს იმიტომ-კი არა, რომ ჩვენ ნათესავეები ვართ, არამედ იმიტომ რომ ნებითა ღვთისითა შევეერთდით თითქოს ერთი მამის და ერთი დედისა შვილები ვყოფილიყავით: შენ შენი შვილებით ერთი ძმა ხარ, მე კი მეორე ძმა, მე უფროსი ძმა ვარ, შენ-კი უმცროსი. რაც გვაბადია და მომავალშიც გვექმნება ჩვენ თანასწორად უნდა გვეკუთვნოდეს და ყველაფერი უნდა საერთო შეთანხმებით გავაკეთოთ და გადაეწყვიტოთ ხოლმე და რასაც შევიძენთ, საერთო უნდა იყოს“-ო (დ. ფურცელაძე, Кр. грам., 28).

განსაკუთრებით საყურადღებოა და აღსანიშნავია, რომ ეს შეყრილობაშეერთების პროცესი მართო მაღალ წოდებას, თავად-აზნაურთა შორის კი არ წარმოებდა, არამედ სხვა წოდებათა წილში მყოფ ერთეულებსაც ემჩნევა. ამ წრის შესახები ცნობები უფრო საგულისხმოა თავიანთი გულახდილობით: შეერთების ნამდვილი მიზეზი იქ პირდაპირ არის დასახელებული და ნათქვამი. აი მაგ. ერთ ასეთს 1797 წელს შედგენილ საბუთში რა სწერია: „აღამაჰმედ-ხანის ტფილისში შემოსევის დროს სპარსელებმა ჩვენი სახლითგან რამოდენიმე კაცი ტყვედ წაასხეს და ამას გარდა დიდი ზარალი და დანაკლისიც შეგვემთხვა. ჩვენი ტყვეების გამოსყიდვისა და ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ ერთიერთის თანხმობით ერთად შევიყარენით: ამიერთ-

გან ჩვენ ყველანი ძმანი ვართ, თითქოს ერთი დედ-მამისა შვილები და რაც გვაქვს და რასაც მომავალში შევიძენთ უნდა საერთო იყოს“-ო (დ. ფურცელაძე, Кр. грам., 65—66).

ამაზე უფრო საინტერესო ცნობები სოციალური ცხოვრების ამ საინტერესო მოვლენის შინაგანი წესებისა და მოწყობილობის შესახებ ერთს 1798 წ. საბუთში მოიპოვება, რომელშიაც ნათქვამია: „ტფილისის აოხრების შემდგომ ჩემმა ძმამ ყიზლარით გან ჩემი რძალი გამოიხსიდა და მე იმის ჩამოსაყვანად ყიზლარში წავედი და ჩამოვიყვანე. თუმცა მე და ჩემი ძმა და რძალი გაყრილები ვიყავით და ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ ჩვენი საერთო კეთილდღეობის გულისათვის ერთ ოჯახად შევიყარეთ. ჩვენ უნდა ერთი ერთმანერთს ვუშველოთ, ვიმუშაოთ და ვაჭრობა ვაწარმოოთ და ყველაფერი გავაქეთოთ, რაც ჩვენი სახლისათვის სასარგებლო იქმნება და ჩვენ შორის სიტყვები „ჩემია“, ან „შენია“ არ უნდა იყოს არამედ ყველაფერი რაცა გვაქვს და რაც გვექნება, ყველას თანასწორ წილად უნდა გვეკუთვნოდეს. ვინც ჩვენ გან გამოყოფას მოისურვებს, ჩვენი სახლით გან უარაფროდ გავიდეს, სახლში შემოსულ ჩვენ პატარძალს ჩვენი სახლის უფროსმა უნდა მისი მზითვეი ჩამოართვას და მას ამის ხელწერილი მისცეს. თუ მას ფულები ექმნება, ჩვენი სახლის უფროსმა საერთო სათავეთს მიუმატოს. ჩვენი სახლის ქვრივს გათხოვება შეუძლიან და თუ გათხოვდა, უნდა მზითვეიც დაუბრუნდეს და სამარხაიც მიეცეს სოფლური წესით. სახლში ყველაფერს ჩვენი სახლის უფროსი (მამასახლისი?) განაგებს: იმის დაუკითხავად ვერავინ თავის დანიშნულ საცოლოსაც-კი ვერაფერს აჩუქებს. ქალებს უფლება არა აქვთ თავიანთთვის თავისით რაიმე იყიდონ. მათ ეძლევათ ყოველ კვირა წმინდა სანთელი და რაც-კი ეკლესიისათვის არის საჭირო. ყველა იმათ უნდა ერთნაირად ჩაიცივან და დაიხურონ: ქალებს უფლება არა აქვთ სხვადასხვანაირი და ძვირფასი ტანისამოსები ჩაიცივან, ხოლო თუ ვინმე მათგანი დიდ კაცობას მოინდომებს, უნდა ჩვენი სახლითგან ხელცარიელი გავიდეს. მთელ ჩვენ სახლეულობაში ყველას ერთი მოძღვარი უნდა ჰყავდეს და ერთი ნათლია. თუ ნათლია ხელმოკლე იქნება, ნათლობის ხარჯს ჩვენი სახლივე კისრულობს“-ო (იქვე, 68).

ზევით განგებ მოვიყვანეთ საბუთებიდან ბლომად ამოღებული ამონაწერები: ამ საბუთებითგანა ჩანს, რომ შეყრილობისადმი მისწრაფება და პროცესი ქართველი ერის ყველა წრეში იყო უმაღლესითგან მოყოლებული სოფელელებამდე. ცხოვრების უშიშროების შესაქმნელად გაყრილ-დამორებული წევრები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შეკავშირებაზე ზრუნავდენ. ამნაირად გაყრილი და დაშლილი ოჯახი ან საგვარეულო კვლავ ერთდება, მამულს აერთებს და საერთო მეურნეობის წარმოებას იწყებს. ამასთანავე სახლის ან გვარის უფროსს ირჩევენ, რომელიც ძველი დროის მამასახლისის მსგავსად საერთო საქმეებს ხელმძღვანელობს და არიგებს. სწო-

რცლ ასეთ პირობებში და ამ გზით გვაროვნული წესწყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს. ამისთვის საკმარისი იყო მხოლოდ, რომ ის გაჭირვება და გვაროვნობის დაყოფის პროცესის შემფარებელი გარემოება შედარებით ხანგრძლივი ყოფილიყო. ასეთ მდგომარეობაში კი ჩვენი ერი არა ერთხელ ყოფილა: საქართველოს პოლიტიკური ბედის ტრიალი მრავალჯერ ყოფილა უკუღმართი და სწორედ ამიტომაც გაყრილობის პროცესიც შეფერხებულა და შეყრილობა დაწყებულა. თუ ეხლა იმ გარემოებასაც გავიხსენებთ, რომ ძველადვე მაღალი კულტურის მქონებული ქართველი ერი იძულებული იყო თავის წინანდელ სამშობლოთგან დაძრულიყო და ახალი მიწაწყალი დაეპყრა, ადვილად წარმოიდგინოთ, რომ ქ. წ. საუკუნეებშიც ჩვენი ერი შესაძლებელია არა ერთხელ იძულებული ყოფილიყო გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესზე შეეცვალა და თავდაცვის გულისათვის გვაროვნული წესწყობილება განეახლებინა. ამის შემდგომ ვგონებ უფლება უნდა გვქონდეს ვთქვათ, რომ ადვილი შესაძლებელია სტრატონის დროინდელი საქართველოს გვაროვნული წესწყობილება პირველადი არ იყოს<sup>2</sup>.

#### § 4. ცოლქმრობისა და ქორწინების წესები საქართველოში

ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს ძეგლებში ჯერ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება; მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობები არსებობს. ამასთანავე ცნობები სხვადასხვა დროისაა და ამიტომ ცოლქმრობისა და ქორწინების წესების განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურებს ეხება. ამის გამო ?თლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია.

2 აღსანიშნავია, რომ შეყრილობის პროცესი ჩვენ დროშიაც ყოფილა და შეყრილობის წიგნის წერა სოფლად ეხლაც ცოდნიათ. გ. ჩიტაიამ ერთი ამნაირი საბუთის პირი 1926 წელს გადმოძცა, რომელიც ამ მხრივ საგულისხმოა და აქვე სრულად წომყავს. გ. ჩიტაის ამ პირობის წიგნის გარდმონაწერისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ. აი თვით ეს თანამედროვე შეყრილობის წიგნი სიტყვა-სიტყვით:

„ვღებთ

პიროვნობის ხელწერილს ჩვენ გორის მაზრა ახალქალაქის თემის ამავე თემის სოფელ გრაკალში მცხოვრებნი ნინია სუარისძე და მისი შვილები ვანო და ნიკო და სვიმონი ესე მამა შეილიანათ ოთხივე პირნი მახედა ეხლა შავერთლით 1924 წ. იანვრის 3 დღესა როგორც ყოფილა ძველათა და ამითა ვღებთ პიროვნობის ხელწერილსა ორივე პირნი ვისაც ოჯახში ამოგაჩნდეს სიმტყუნე და ღალატი ეს მტყუნანი პირნი გავიდეთ ცარიელზედა წილიდანა და მტყუნანს პირს არ გავვივიდეს საჩივარში რაზედაც ვემოწმებით ერთი მეორეს ჩვენის საკუთარის ხელის მოწერითა.

1. ვანო სუარისძე
2. + + + ნინია სუარისძე
3. + + + ნიკო სუარისძე .
4. + + + სიმონ სუარისძე

ვაღვნთ ამ პირობის ხელწერილს პეტრე ქავთარაძის თანდასწრებითა მიხეილ ქავთარაძის დასწრებითა რაზედაც ვემოწმებით ჩვენის საკუთარის ხელის მოწერითა მიხეილ ქავთარაძე

+ + + პეტრე ქავთარაძე“.

ზოგმა მათგანმა თავისი ველურობით შეიძლება სიძველისა და პირველ-ჯოფილობის უთაბეკედილებაც მოახდინოს, მაგრამ ნამდვილად ზოგჯერ პირ-ველყოფილი იქ არაფერია. მაგ., XV ს. დამდეგს აღმოსავლეთში და საქარ-თველოშიაც ნამყოფი გერმანელი ტყვედ ჩავარდნილი მეომარის პანს შილტ-ბერგერ-ის მოგზაურობის აღწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ქართველებსა (die Georgiter Kurtzy) და ოსებს (die Jassen Ass) იმგვარადვე როგორცსომხეთში (in Armenia) ასეთი ქორწინების წესები აქვთ: როდესაც მშობლებს თავის შვილისათვის საცოლოდ ქალწულის მოყვანა სურდათ, მაშინ საცოლოს დედას პირობას ადებინებდენ, რომ მისი ასული მართლაც ქალწუ-ლი იყო. ქორწილის დროს ქალიშვილებს საცოლო სიმღერით საქორწილო ოთახში მიჰყავთ. ამის შემდგომ საქმრო ყმაწვილი კაცებითურთ მოდის ამო-წვდილი ხმლით, იქვე მაყრიონითურთ ჯდება და დიდი ლხინითა, ცეკვითა და სიმღერით ჭამა-სმას შეექცევიან. ასე რომ დროს გაატარებენ, მერვე საქმრო საცოლოსთან შეჰყავთ და ყველანი დანარჩენნი გადიან. შემდეგ მისი ძმა, ან ერთი მახლობელ მეგობართაგანი ოთახის კარებს ხმალამოწვდილი დარა-ჯობს, სანამ საქმრო ადგება. თუ საცოლო ქალწული არ გამოდგა, მაშინ დე-დას აცნობებს. საქმროს დედა რომ თავის მეგობრებითურთ სარეცელთან მოვა, ზეწარს გაშინჩავენ და თუ იქ არავითარ ისეთ ნიშანს არ შეამჩნევენ, რომელიც ქალწულს უნდა ჰქონდეს, მაშინ ყველანი დალონდებიან. მეორე ღღეს რომ საცოლოს დედამა ქორწილში მოვლენ, საქმროს დედა ერთ ძირ-გახვრეტილ სასმისს დაამზადებს და როცა ღვინის დაღვეის ჭერი დადგება, ამ სასმისში ღვინოს ჩაასხამს ისე კი, რომ ნახვრეტი ქვეითგან თითით აქვს დაცობილი, და საცოლოს დედას გამოსაცლელად მიაწვდის. ამ დროს, რა-კი სასმისის გახვრეტილ ძირს თითი მოშორდება და ღვინო დაიღვრება, საქ-მროს დედა საცოლოს დედას მიიძახებს: შენი ასულიც ასე მთელი აღმოჩნ-დაო. ეს რასაკვირველია საცოლის ყველა მახლობელისათვის მეტად სასირ-ცხვილო იყო და საცოლოც ასეთ შემთხვევაში თავის მშობლებს უბრაუნდე-ბოდა ხოლმე (იხ. Hans Schiltbergers, Reisebuch, გამოც. Dr. Walen- tin Langmantel-ის თერ 1885 წ. Tübingen-ში. Bibliothek des litterarischen Vereins in Stuttgart. CLXXII, გვ. 98—99).

მთელი ამ ჩვეულების ველურობისდა მიუხედავად რასაკვირველია იგი ძველი არ უნდა იყოს. პირველყოფილ მდგომარეობაში ქალწულების ასეთი შემოწმება წარმოუდგენელი რამეა. აღსანიშნავია, რომ კორ. ბოროზდინს ამ-ნაირი ჩვეულება სამეგრელოს ებრაელთა შორის XIX ს-ში აღწერილი აქვს და იმასვე მოთხრობილი აქვს, რანაირი გაუგებრობა შეიძლება მომხდარიყო ასეთი უცნაური შემოწმების დროს და როგორ შეიძლებოდა სრულებით უმანკო ქალწული ტყუილ-უბრალდ და სრულებით დაუმსახურებლივ გა-წბილებულ-შერცხვნილი ყოფილიყო. საცოლოს ქალწულების შემოწმების ჩვეულება და წესი ებრაელთა შორის მიღებული ყოფილა და მეორე შჯუ-ლთა 2213-21-შია აღწერილი, მაგრამ იქ ნათქვამია, რომ როდესაც საქმროს მხრით ბრალდება იყო ხოლმე წამოყენებული, თვით საცოლოს ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება მოხუცებულთა და მოსამართლეების წინაშე უნდა მომხდარიყო. რადგან ზემომოყვანილი ცნობის გარდა სხვაგან არსად ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება და პირვანდელიც იგი შეუძლებელია ყოფილიყო, გამოსარკვევია საითგან, სახელდობრ ებრაელ-

თავან, თუ არა, და როდის უნდა ყოფილიყო შეთვისებული ეს უცნაურო ჩვეულება. პანს შილტბერგერის აღწერილობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ის, რაც ბოროზდინს XIX ს. შუაწლებში სამეგრელოს ებრაელთა შორის უნახავს, უკვე XIV—XV ს. ყოფილა საქართველოში, ოსეთსა და სომხეთშიაც.

ყველა ცნობა ქორწინების წესების შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ დროიდან მოგვეპოვება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. ქრისტიანობამ კი ბევრი წარმართობის წესები ამოფხრა და თავისი შემოიღო. სხვათა შორის ცოლქმრობისათვის ქრისტიანობამ საეკლესიო ლოცვა-კურთხევა, გვირგვინთა კურთხევა აუცილებელ პირობად გაჰხადა. ამ გარემოებამ ქორწინების ზოგი ძველი წესი შესცვალა და ამით მათ პირვანდელი თვისებები დაუკარგა. მაგრამ ხალხი დიდ ხანს საეკლესიო გვირგვინთა კურთხევას ცოლქმრობისათვის თავისთვის სავალდებულოდ არ სთვლიდა.

საეკლესიო ქორწინება და ჯვარისწერა რომ ქართველ ხალხს ქრისტიანობის ხანაშიაც აუცილებელ წესად არ მიაჩნდა, ეს სამთავნელის სარგოს გარიგების 1459 წ. და წილენელის სარგოს გარიგების 1669 წ. წიგნებითგანაცხადა ჩანს. სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნში, მაგ., ნათქვამია: „უკეთუ ჯარ დაუწერელად კაცმა ცოლი დააორსულოს, გ: (3) ძროხა მიართვას“ სამთავნელს ამ დანაშაულობის საზღაურად, ხოლო „უკეთუ მღღელმან ორსულს ჯი დასწეროს, გ: (3) ძროხა მიართვას, თუ იცოდეს,—თუ არ იცოდეს; ა: (1) და მექორწინემ: გ: (3) ძროხა მიართვას“-ო.

წილენელის სარგოს გარიგების 1669 წ. განახლებულ წიგნშიაც წერია: თუ ვინმე „ჯვარ დაუწერელი ცოლთან დაწვეს, საკანონო ცხვარი ორი და ხარი ორი აქეს“-ო (საისტ. მოამბე, 1925, II, 1510-11). ქვემოთ ახალუბნის შესახებ დებულებაში ეს ცნობა ამნაირად არის გამოთქმული: „თუ ჯვარ დაუწერელს დაუწვეს, საკანონო ძროხა ერთი“-ო (იქვე, 1735-36).

მაგრამ ქრისტიანობის გავლენით შეცვლილ ქორწინების ზნეჩვეულებებსა და წესებში ბევრი რამეა შენახული, რაც შორეული წარსულის ნაშთს წარმოადგენს და ცოლქმრობის დამყარების ძველისძველი წესების ისტორიის ერთ-ერთი საფეხურის დამახასიათებელია. ამიტომ მკვლევარი ვალდებულია ყველა მცირეოდენი ცნობაც კი გამოიყენოს, რომელიც ამ საკითხის გაშუქებას ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობს. ისტორიულად ცნობილ ხანაში ქალის წაგვრით, ანუ მოტაცებით ცოლად შეერთვა უწესოება და დაუკანონობად ითვლებოდა და ქართული სამართალი ასეთ მოვლენას ებრძოდა ხოლმე თვით ისეთ ხანაშიაც კი, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებას ქვეყნისა და ხალხის კულტურული დაქვეითება მოჰყვა. სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის უძველესს, 1459 წ. დაწერილ ნაწილში ნათქვამია: „შევიყარენით ჩუჴნ ცხრაზმის კევისა სამისავე კევის კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვასენეთ სამთავნელსა და ჯ. ომფორსა: დღეს ამას უკანით რამანცა ხუცესმან ანუ სუნდიკინოზმანთა ანუ მეყვისთა ანუ უწესოდ მიტაცებულთა ანუ გურგუნნი აკურთხენეს, ანუ:

ჯი დასწერნეს, ანუ სარჯულო დაუმალოს, რაც ეპრიანებოდეს და აუტრეზინოს, და შუა ვერცა პატრონი შემოუვიდეს, ვერცა ქვეყანა“-ო. ამავე ძეგლში ამ საგანზე ქვევითაც არის ორჯერ საუბარი და იქ ასე წერია: „უქთუ უქრმო (sic!) დედაკაცი მოიტაცოს ცოლად, ბ (2) ძროხა მიართოს“ სამთავნელს დანაშაულობის საზღაურადო, ხოლო „უქთუ მდღელმან ამგვარად მოქმედს (sic!) კაცთა ჯი დასწეროს, განიკუჭთოს“-ო. მაგრამ ამ ცნობებით განაცხანს, რომ წაგვრის წესი ოდესღაც ქართველ ერსაც უნდა სცოდნოდა, როგორც სრულებით ბუნებრივი ჩვეულება.

V ს. ქართველ ისტორიკოსს იაკობ ხუცესს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა მოეპოვება, რომელიც ქორწინების მაშინდელი ქართული ზოგი წესის აღდგენის საშუალებას გვაძლევს. მას სახელდობრ აღნიშნული აქვს, რომ, როდესაც ვაზრქენსა და მისი მეუღლის შუშანიკის შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე მომხდარი განხეთქილების გამო საცოლქმრო მყუდრო ცხოვრება შეიწყდა, შუშანიკმა ქმრისაგან განშორებისათვის ვაზრქენის სახლი მიატოვა და სხვაგან გადავიდა. ქმარმა, რაკი დარწმუნდა, რომ მათი ცოლქმრობა უკვე შეუძლებელი იყო, შუშანიკის მოძღვარს იაკობ ხუცესს მოუწოდა და თურმე შემდეგი უთხრა: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს: იპოს ვინმე რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე რააცა რაა არს“-ო (წამებამ შუშანიკისა, 10, § VII, 6—10). ვაზრქენის ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ მას თავის დროს ცოლისათვის სამკაული და სხვაც ბევრი რამე („ყოველივე რააცა რაა არს“) მიუერთმევია, რომელიც მის ცოლს შეიძლება ჰქონოდა, სანამ მის ცოლობას სწევდა, ხოლო როდესაც საცოლქმრო კავშირი დაირღვეოდა, ქმარს შეეძლო იგი ჩამოერთვა. აქ რომ უბრალო სამკაულზე არ იყო საუბარი, არამედ საქმროს საცოლოსთვის მისართმევ ნივთებს ეხებოდა, ვაზრქენის დართული სიტყვებითგანაცა ჩანს: მას უთქვამს, რომ სხვა ვინმე აღმოჩნდება, რომელიც ამ ნივთებს მოიხმარებსო. ცხადია, აქ მეორე საცოლო იგულისხმება, რომლის შერთვასაც ვაზრქენი აპირებდა და რომლისათვისაც მას წესისაებრ საჩუქრები უნდა მიერთმია. ამ გარემოებას იაკობ ხუცესის მიმდევნო მოთხრობაც ადასტურებს. როდესაც მოძღვარს შუშანიკისათვის ყველა ეს ნივთები გამოურთმევია და ვაზრქენისათვის მიუტანია, „მან მიიღო ჩემგან, აღიხილა და იპოვა ყოველი გებულად და კუალად თქუა: „მერმეცა იპოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“-ო (იქვე, 10, § VII, 14—16). აქეთგან ცხადი ხდება, რომ ეს ის ნივთებია, რომელიც საცოლოსა და ცოლს უნდა მიჰართმეოდა.

იაკობ ხუცესის ზემომოყვანილი ცნობის მთელი შინაგანი მნიშვნელობის გასაგებად ქართული ძველი ქორწინების წესების ცოდნაა საჭირო, რომელთა დალაგებული აღწერილობა ერეკლე მეფისძეს ვახტანგ ბატონიშვილსა აქვს. მისი სიტყვით ოდეს დაამტკიცებდენ ვინმე ვისამე სასძლოდ თვისსად მოყვანად, წარუგზავნიდიან ქალსა მას შეძლებისაებრ ნიშნად სამკაულთა ძვირფასთა... და მიტანისა ეამსა დასდებდიან

ოქროსა ანუ ვერცხლისა სინსა ზედა სამკაულსა სასიძლოსა და ეგრეთ მიაართვიან ქალსა მას“ (გვ. 11).

თვით ქორწილის დროსაც, როცა ჯვარის წერითგან სახლში დაბრუნებული მეფე-დედოფალი და მექორწილენი დალოცვასა და სადღეგრძელოებს მორჩებოდნენ. „ადგების ეჯიბი მეფისა ორისა შიშველისა კლმითა და მდივანმან ანუ მწიგნობარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქრმისა თვისისაგან მიცემულთა სოფელთა ნუსხა პირბადის ასახლელად. შემდგომად მივიდის ეჯიბი, დაუჩოქის კრმლებითა და ახხადის პირბადე სძალსა მას. შემდგომად წარმოდგების საშუალ მდივანი ანუ მწიგნობარი ვინმე და წარიკითხის, რასაცა ქალს მას გაატანდიან ზითად“ (ბატონიშვილი ვახტანგ. ისტორიები რი აღწერა, 15).

ქორწინებებს წესის ამ აღწერილობაში ის გარემოებაა საყურადღებო, რომ საცოლოსთვის პირველად სწორედ საქმროს უნდა მიერთმია სამკაული-საჩუქარი, ისევე ქონება და მხოლოდ ამის შემდგომ საცოლოს მზითევსაც ჩამოსთვლიდნენ ხოლმე. ამგვარად პირველად საქმროს მიჰქონდა საცოლოს ოჯახში ქონებრივი საჩუქარი ქალისათვის. „ქართველი ერის ისტორიის“. IV წიგნის პირველ ნაწილში ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის მოციქულის ცნობა მაქვს მოყვანილი, რომელშიაც ჩვენი საკითხისათვის საქართველოს მეფის გიორგის ერთი საყურადღებო განცხადებაა აღბეჭდილი. მისი ასულის ბიზანტიის მეფისათვის საცოლოდ მიზღვნულ დესპანისათვის გიორგი მეფეს განუცხადებია: ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულებების თანახმად საქმროს მოაქვს საცოლოსთვის ქონება და არა საცოლოს საქმროსთვის. ამიტომ მე ჩემს ასულს მზითევს ვერ გამოვატან. მაგრამ სხვაფრივ ქონებრივად უზრუნველვეყოფო (იხ. გვ. 44—45). აქაც, მასშასადამე, გარკვევით არის ნათქვამი, რომ ქართული ქორწინების წესი პირველად სწორედ საქმროს ავალებდა საცოლოსათვის ქონების მიტანას. მზითევი საქართველოში IX ს-შიც უკვე იხსენიება და თვით ტერმინი უკვე დაბადების ქართულ თარგმანში გვხვდება, მაგრამ მაინც ჯერ საქმრო იყო მოვალე, რომ ქალისათვის საჩუქარი მიეტანა და ალბათ სწორედ ამასვე გულისხმობდა გიორგი მეფე, როდესაც ქართულ ზნე-ჩვეულებაზე ლაპარაკობდა.

ეს გარემოება არქანჯელო ლამბერტისაც აქვს XVII ს. სამეგრელოს აღწერილობაში აღნიშნული. მისი სიტყვით სამეგრელოში, ევროპაში მიღებული წესის მსგავსად, ცოლის შერთვის დროს მზითევს არ დაეძებენ: „კოლხიდაში ასე როდია, იქ ქალს არავითარი მზითევი ქმრისათვის არ მოაქვს.. სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქრები და მდიდრული ძღვენი... ეს ვალდებულებაა სასიძოსი, რომ მშობლებს უნდა მიუტანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სასიძოლო მონა არისო და მის ფასს იხდის. ჩვეულებრივ საჩუქრად მოყავთ ხოლმე ძროხები და ხარები, ან ცხენები, ან ყმები ან და სხვა ამისთანები“-ო (სამეგრელოს აღწერა, ალ. ჭყონიას თარგ., 90).

ქორწილის ყოველივე ხარჯი სამეგრელოში სასიძოს უნდა გაეწია (იქვე, 91). მხოლოდ ახალ ჯვარდაწერილთა ქმრისა და სიძის სახლში გასტუმ-



რებისას ქალის მშობლები თავიანთ ასულს თან მოძრავ ქონებასაც ატანდენ (იქვე, 92—93), უეჭველია მზითევის მსგავსად.

არქანჯელო ლამბერტის თავის მოთხრობაში წამოსცდენია ის აზრი, რომელიც ადამიანს ამ ჩვეულების განხილვის დროს შეიძლება დაებადოს: საქმრო ამით „თითქოს ფასს იხდის“ საცოლოსთვის. დიახ, ის სწორედ ურვადი იყო, ქალის წამოყვანისათვის მირთმეული ქონებრივი საზღაური და იაკობ ზუცესის ცნობაშიაც ამავვე ურვადის კვალი და ნაწილი უნდა ვიგულისხმოთ.

ამას გარდა ქართული ქორწინების წესს დაცული ჰქონდა და ნაწილობრივ ეხლაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი ფრიად საგულისხმო ჩვეულება, რომელიც უძველესი დროის პირობების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ. ბატონიშვილ ვახტანგის სიტყვით ჯვარის წერისათვის საცოლოს სახლში მიმავალ სასიძოს „მიუძლოდიან მოხელენი და მგალობელნი მყარულისა თქმითა და კარგად შეკაზმილნი. და თვითცა და თანამყოლნიცა ისხდებოდნიან ცხენთა ზედა ვითა შორს მიმავალნი, ეგრეთ ახლოს“ (ისტორიები აღწერა, 12). ეკლესიაში მიმავალ მეფე-დედოფალს „წარუძღვიან ყოველნი ქვეითად და ეგრეთვე მგალობელნი თქმითა მყარულისათა. ქალსა მას გაყვის მდადი ქალნი მრავალნი და მაყარი და ნათესავნი“ (იქვე, 13). მეფე დედოფალი რომ ჯვარის წერის შემდგომ „გამოვლენ ეკლესიით, მაშინ ეჯიბი სიძისა და მაყარი სძლისა ორნივე ამოიღებდენ ხმალთა და მიაბჯენდენ კარსა ეკლესიისასა და მის ქვეშ განვლიდენ სიძე და სძალი“ (იქვე, 13—14).

აღსანიშნავია, რომ საქმროს საჩუქრისა და პირბადის ასახდელად ძღვენის ნუსხის წასაკითხად „ადგების ეჯიბი მეფისა ორცსა შიშვლისა კლმითა“ და ნუსხის შინაარსის გამოცხადების შემდგომ „მივიდის ეჯიბი, დაუხოქის კრმლებითა და აჰხადის პირბადე სძალსა მას“ (იქვე, 15).

უეჭველია ამ საქორწინო ზნე-ჩვეულებაში დაცულია ცოლის წაგვრისა და მოტაცების ძველი წესები. აქ უკვე მხოლოდ სიმბოლური გამოხატულება იყო იმ ხანის სურათის, როდესაც საქმრო თავის საცოლოს მოტაცებით ირთავდა, როცა ის მართლაც იძულებული იყო ცხენოსანი და შეიარაღებული თანამებრძოლებითურთ შორს გზა[ს] გასდგომოდა, რომ ცოლი მოეყვანა, როდესაც ამოწვდილი ხმლები მშვიდობიანი ქორწილის მარტო მხატვრული ფერადოვნების სამკაული კი არ იყო, არამედ მართლაც აპრიალელებული ხმლების ტრიალი სწარმოებდა. ჰანს შილტბერგერის ზემომოყვანილი აღწერილობითგანა ჩანს, რომ ხმალამოწვდილი მყარიონის თანხლების წესი უკვე XIV ს-ში და რასაკვირველია ამაზე მრავალი საუკუნით უწინარესაც მშვიდობიანი ქორწინების მხოლოდ უბრალო ჩვეულება-ღა იყო. ამგვარად, თუმცა ქართველმა ერმა მაღალი კულტურული წარმატების წყალობით წაგვრის წესის განვითარების საფეხური დიდი ხანია განვლო, მაგრამ იმ დროინდელი წესების ნაშთი და კვალი ქორწინების მერმინდელ ზნე-ჩვეულებებში მაინც შერჩა.

პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში ქართველ მეფეთა შესახებ მოყვანილ ცნობებით განაჩანს, რომ სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არა ყოფილა და ეს „ენდოგამია“ ალბათ სპარსული მზღენობის გავლენის შედეგი უნდა იყოს: იქ როგორც ვიცით, დაძმათა შეუღლებაც კი ნებადართული და ასე გასინჯეთ ღვთისნიერ საქციელადაც კი იყო აღიარებული. რომელი ისტორიკოსი ტაციტუსი მოგვითხრობს, რომ ფარსმანს (ფარასმანეს) იბერთა მეფეს ძმა ჰყავდა მიპრდატი (მითრიდატეს), რომელმაც რომაელთა დახმარებით სომეხთა სამეფო ტახტი დაიპყრა, და ამ მიპრდატს ცოლად თავისი ძმისწული, ფარსმანის ასული ესვაო (Annales, XI, 44, 46) და ამ ცნობითაც მტკიცდება, რომ იბერიაშიც შესაძლებელი ყოფილა და ნებადართული ასეთ მახლობელ ნათესავთა შეუღლება, როგორც არიან ბიძა-ძმისწული. კონსტანტინე პორფიროსანის (912—959) მოწმობითაც ქორწინება სახლისკაცთა შორის საქართველოში დიდებულთა საგვარეულოებში იმის დროსაც კი ჩვეულებად აღიქმებოდა (De administrando imperio, cap. 45, ed. Bonnae, p. 197).

იოანე საბანისძესაც ერთი საგულისხმო ცნობა მოეპოვება. მისი სიტყვით ნერსე ერისთავის ქართლითგან გაქცევის შემდგომ „წარმოავლინა მჰადი ამირა-მუმნან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოზ, ძეჲ გურგენისი დისწული ნერსე სი, ნაცვალად დედის ძმისა თვისისა ნერსესა ერისმთავრად ქუეყანასა მას ქართლად. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებამ იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა ღმერთმან“-ო (წამებაჲ ჰაბოასი, 20). და ეს ცნობაც იმავე ზემოაღნიშნული დებულების დამადასტურებელი უნდა იყოს.

მაგრამ ენდოგამია მხოლოდ წარჩინებულ საგვარეულოებში იყო ხოლმე, საერთო მოვლენად იგი არ ყოფილა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს აღმწერელს ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება, რომელიც სწორედ ამ საერთო და უძველესი მოვლენის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. მისი სიტყვით როდესაც აზომ არან ქართლისა მეფის ძემ ვითომც აღექსანდრე მაკედონელისაგან მცხეთა და მთელი ქართლი მიიღო, „ესე აზომ წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წართოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას“ (ე. თაყ. Опис., II, 709). ჯუანშერს კიდევ ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგ გორგასალის მამამ „მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლსა აღზარდიან“-ო (ცა მფსა ვახტანგისი, \*301, გვ. 121). ამავე თხზულებაში ავტორს აღნიშნული აქვს, რომ „მოკუდა საურმაგ სპასპეტი მამა-მძუძე ვახტანგისი“ (იქვე, \*303, გვ. 123).

რადენის წამებაშიც მოთხრობილია: „წესი იყო მაშინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩუენ ქართველთა შორის, რომელსა მამა-მძუძედ უკმობდეს... მეფემან ვახტანგ... მოითხოვა ცოლად ასული იგი (სპარსთა მეფისა), რომლისადა მამამძუძე ქმნილიყო სანატრელი იგი“ რადენ (მ. ჯანაშვილის Опис., III, 152 და 153).

როგორ უნდა გავიგოთ ზემომოყვანილი ცნობები და რას უნდა ჰნიშვნავდეს „მამა-მძუძე“? ტერმინი „მამა-მძუძე“ საბა ორბელიანსაც მოეპოვება ლექსიკონში და განმარტებული აქვს როგორც „კაცი გამზრდელი“ და ამის დამამტკიცებელ საბუთად 4 მეფეთა X, § 1-სა ასახელებს. მაგრამ შესატყვის ადგილას ბატ. ბაქარის გამოცემაში „მამა-მძუძე“ არ არის, არამედ „მზრდელი“-ა. საბა ას როგორც ეტყობა დაბადების თარგმანის ისეთი რედაქცია ჰქონია, რომელშიაც ამ ადგილას ტერმინი „მამა-მძუძე“ ყოფილა ნახმარი.

მამა-მძუძეობის არსებობას საქართველოში V ს. ისტორიკოსის იაკობ ხუცესის სიტყვებით ადასტურებენ. მისი სიტყვით შუშანიკმა სიკვდილის წინ „მოუწოდა ე პ ი ს კ ო პ ო ს ს ა მ ი ს ი ს ა ს ა ხ ლ ი ს ა ს ა ა ფუცს და მადლსა მისცემდა მის მიმართ მოწლებისა მისისათვის ვითარცა მამას და მამამძუძესა“ (2126-28). ამავე ავტორს ნახმარი აქვს მეორე ტერმინიც, რომელიც ამავე აღზრდილობის წესთან არის დაკავშირებული. იაკობ ხუცესი ამბობს, რომ „პიტიახშმან გამოარჩია ძუძუ მსმტე მისი (ე. ი. შუშანიკისა) საკუთარი, რამთა მოიყუანოს იგი ტაძრად“ (164-5).

ტერმინი „მამა-მძუძე“-ს არსებობა „დედამძუძე“-ს არსებობას გვაგულისხმებინებს, რადგან ამ სიტყვის შინაარსი რასაკვირველია დედაკაცს შეჰქვენის და არა მამაკაცს. საისტორიო ძეგლებში „დედამძუძე“ მოქცევაა ქართლისაჲს მათიანე“-ს გარდა (ОПИС., II, 711 და 746) ჯერ არსადა ჩანს, მაგრამ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ეს სიტყვა და ასე აქვს განმარტებული: „დედა-მძუძე მზრდელ ქალი“-აო და ამის საბუთად დასახელებულია 4 მეფეთა XI, 2. ბატონიშვილ ბაქარის გამოცემაში ნათქვამია: „იოსაბეს ასული მეფისა იორამისა და ოქროზიასი შეირთო იორია, ძისა ძმისა თვისისა და მოიპარა იგი საშუალისაგან ძეთა მეფისათა მოწყუედლითა იგი და ძუძუს-მტე მისი“-ო (4 მეფეთა XI, 2). ამგვარად დედამძუძეს მაგიერ იქ „ძუძუს-მტე წერია, რომელსაც სულ სხვა მნიშვნელობა აქვს და, როგორც ს. ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია „სძის მოზიარე“, ანუ ერთი ძუძუს გამოზრდილ პირებს აღნიშნავდა. დაბადების ბერძნულ თარგმანში შესატყვის ადგილას ἡ τρυφή; „ჰე ტროფოს“-ისა, ხოლო სომხურ თარგმანში *դայայ* „დადაეა“-ის ხმარება ცხად-ჰყოფს, რომ ჩვენი სახელოვანი ლექსიკოგრაფის ცნობა სწორია და ქართულ თარგმანშიაც აქ თავდაპირველად მართლაც „დედა-მძუძე“ უნდა ყოფილიყო და არა „ძუძუს-მტე“. რადგან ზემომოყვანილი ბერძნულიცა და სომხური სიტყვები აღმზრდელსა და ძიძას ნიშნავს.

ესლა რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ზემომოყვანილ ცნობას დაეუბრუნდეთ, მისი დედაზრის გაგება გავვიადვილებთ. უცნობი მემატიაანის სიტყვით ქართველთა თავდაპირველ სამშობლოთგან ამიერ-კავკასიაში „რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“ წამოსულან და საქართველოს მთელი მერმინდელი მკვიდრი მოსახლეობა მათგან წარმომდგარა. მოსახლეობის ამ ორ ჯგუფს შორის მკვიდრო დამოკიდებულება: რვა სახლს, ანუ საგვარეულოს ჰყავს თავისი „ათნი სახლნი მამამძუძეთანი“. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც ისტორიკოსი ჯუანშერის სიტყვით ვახტანგ

გორგასლის დროინდელ საქართველოში „წესი იყო, რომელ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლსა აღზარდიან“ და ასეთი აღმზრდელი სახლის უფროსს „მამა-მძუძე“ ეწოდებოდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს აღმწერელს ამიერ კავკასიაში გადმოსახლებული მკვიდრი საგვარეულოების შორის არსებული დამოკიდებულება ამ გვარადვე ჰქონდა წარმოდგენილი. მაშინდელსა და ვახტანგ გორგასალის დროინდელ მდგომარეობას შორის ამ ორ ისტორიკოსის შეხედულებით ის განსხვავებაა, რომ რაღაც V ს-ში მხოლოდ მთავართა და წარჩინებულთა სახლების ურთიერთ დამოკიდებულებას ახასიათებდა და მამა-მძუძეთობა მაღალი წოდების წრის ფარგლებში-და იყო მოქცეული და მისი მოქმედების ასპარეზი მარტო იქ-და იყო შეჩენილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს ქართველთა მთელი ძველი მოსახლეობის საზოგადოებრივ წესწყობილების საერთო მოვლენად ჰქონდა მიჩნეული: მაშინ მარტო მთავრის შვილები კი არა, არამედ რვავე საგვარეულოს ყველა შვილი ათი სხვა საგვარეულოს სახლში უნდა ყოფილიყვნენ აღზრდილნი, რომელთაც სახელად „სახლნი მამა მძუძეთანი“ ჰქმევია.

ამ ქართველი ერის სოციალური ცხოვრების საერთო მოვლენას ღრმა ფესვები უნდა ჰქონოდა გადგმული, თუ რომ მერმინდელ ისტორიკოსსაც მისთვის გვერდი ვერ აუქცევია და მისი აღბეჭდვა აუცილებლად დაუნახავს. უნდა ვიფიქროთ რომ ამის შესახებ მას რაღაც საგულისხმო ძველი წერილობითი თუ ზეპირი წყარო უნდა ჰქონოდა.

ამ მამა-მძუძეთობის ჩვეულებას მაინც ჩაკვირება და განმარტება სჭირდება. რამდენადაც მემპტიანე 10 „მამა-მძუძეთა“ საგვარეულო სახლზე ლაპარაკობს, აქ რასაკვირველია, პირვანდელი ცხოვრების ამ მოვლენის უკვე ნკრთალ ანარეკლთანა გვაქვს საქმე, რადგან თითქოს უფრო ბუნებრივიცა და სწორიც იქნებოდა ამ სახლებს „დედა-მძუძეთა“ სახლების სახელი რქმეოდა: გაბარებული ბავშვები ძუძუს ამ სახლის დედისას სწოვდენ. მაგრამ ამისდა მიუხედავად „მამა-მძუძეთა სახლი“ ძველია და რეალური შინაარსის მქონებელიც არის.

ამ დროს, როგორც ეტყობა უკვე მხოლოდ ჩვეულებად ქცეული ძველი სოციალური ცხოვრების ძირითად მოვლენასთან ჰქონდა საქმე VIII ს. მემპტიანეს, მაგრამ ჩვეულებაშიაც მისი პირვანდელი სახეობის დანიშნულების განჭვრეტა შეიძლება. მამა-მძუძეთობის წესი იმ მთავარ დებულებაზეა დამყარებული, რომ მამის ღვიძლი შვილი თავის მამის ოჯახში და საგვარეულო სახლში არ შეიძლება ყოფილიყო, გაზრდილიყო და თვით ძუძუც კი ეწოვა. ის უეჭველად სხვა საგვარეულოს სახლში სწოვდა ძუძუს, იქ იზრდებოდა და როდესაც წამოიზრდებოდა, მხოლოდ მაშინ შედიოდა თავისი ღვიძლი მამის საგვარეულოსა და სახლში. აღსანიშნავია, რომ თუმცა მას დედა აწოვებდა ძუძუს, მაინც ამ აღმზრდელ სახლს დედა-მძუძე სახლი-კი არა, არამედ „მამა-მძუძეს სახლი“ ეწოდებოდა. ამგვარად სოციალური ცხოვრების ამ ინსტიტუტის აღმნიშვნელი ტერმინის მთავარი საკითხი და აზრი ბავშვის მამისადმი (და არა დედისადმი) დამოკიდებულების გამოხატვაა.

ამ ტერმინის უკანასკნელი ჩამონაკვთილობის ხანაში უკვე ისეთი მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც ბავშვი იქ იმყოფება, სადაც მამაა: სახლი და მამა ერთი მეორისაგან განუყრელი ცნებაა. მაგრამ პირვანდელი ცხოვრების ამ მერმინდელ გამოხატულებაში ისე არ იყო, არამედ ყოფილა ხანა, როდესაც ისეთი ჩვეულება სუფევდა, რომ ბავშვი ცხოვრების ამ აუცილებელი წესისდა თანახმად თავის ღვიძლ მამასთან არ იზრდებოდა, არამედ სხვა საგვარეულოში და იქ მის აღმზრდელს „მამა-მძუძე“ ეწოდებოდა.

ესლა რომ მამა-მძუძეთა სახლების წესის წარმოშობის საფუძვლის გამოჩვენებას შეეუდგეთ, ჯერ უნდა ამ ჩვეულების დედაზრს მივაქციოთ ყურადღება. ხოლო თუ მამა-მძუძეობას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ცხადი გახდება, რომ ეს წესი აღმოცენებულია იმ ძირითად რწმენაზე, რომ ბავშვი თავის მამის საგვარეულოსა და სახლში არ სწოვს ძუძუს და არც იზრდება. ის მხოლოდ შემდეგში, უკვე წამოზრდილი, შედის თავისი საკუთარი მამის სახლსა და საგვარეულოში.

მართლის გარემოებაც, რომ მამა-მძუძეობა სახლობრივ, ანუ საგვარეულოებს ეწოდებოდა და „მოქცევაა ქართლისაჲ“-ს აღმწერელს იგი მთელი ქართველი ერის სოციალური ცხოვრების ბუნებრივ გამოხატულებად ქონია წარმოდგენილი, ამ მამა-მძუძეობის წესის უადრეს მნიშვნელობასა და სიძველეს ცხად-ჰყოფს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი თავდაპირველად ცხოვრების იმ უცილობელ კანონად ყოფილი შოგლენის ანარეკლს წარმოადგენს, როდესაც ბავშვი თავისი ღვიძლი მამის სახლსა და საგვარეულოში არამც თუ არ იზრდებოდა, არამედ არც იზადებოდა. აქ მას ღვიძლი მამა გვერდით არ ჰყავდა, არამედ დედა, რომელიც მაშინ აგრეთვე ჯერ თავისი ქმრის ოჯახში არ იმყოფებოდა, არამედ თავისსავე საგვარეულოში რჩებოდა.

რაკი მაშინ ბავშვს ძუძუს მისივე დედა აწოებდა, ამიტომ მას რასაკვირველია „დედა-მძუძე“ არც ესაჭიროებოდა და ამგვარი ტერმინი მაშინ არც შეიძლება ყოფილიყო. სამაგიეროდ ასეთ პირობებში, როდესაც ბავშვი დედის საგვარეულოში იზრდებოდა, მისი აღმზრდელი და მფარველი მამა-კაცი დედის მახლობელი მამრობითი სქესის ნათესაეები, დედის ძმა და სხვები იყვნენ, ისინი ამ ბავშვს აღზრდა-მზრუნველობის მხრივ მამობას უწევდნენ და სწორედ ამიტომ ღვიძლი მშობელი მამისაგან გასარჩევად მას „მამა-მძუძე“ ეწოდა. ამგვარად ტერმინი „მამა-მძუძე“ მეორე ტერმინ „დედა-მძუძე“-ზე აღრინდელი უნდა იყოს იმნაირადვე, როგორც მერმინდელი მოვლენაა, როდესაც შვილს ძუძუს უკვე საკუთარი დედა აღარ აწოვებდა, არამედ სხვა, რომელსაც მშობელი დედისაგან გასარჩევად „დედა-მძუძე“ ეწოდა.

როგორც აღნიშნული გვექონდა, მამა-მძუძეობის წესი ცოლქმრობის ამაზე უწინარეს ხანისა და ისეთი წესის არსებობას გვაგულისხმებინებს, როდესაც მართლ ბავშვი კი არ იზრდებოდა თავის მამის საგვარეულოსა და სახლის გარეშე, არამედ როდესაც თვით მისი დედაც, ქმრის ცოლი ჯერ კი-

დევ ქმრის საგვარეულოსა და სახლში შესული არ იყო და ცოლად ქცივის შემდგომაც ისევ თავის საგვარეულოს წიაღში რჩებოდა. ამ გვარი ცოლქმრობის წესი კი იმ ძირითად მოძღვრებაზეა დამყარებული, რომ მამაკაცს თავისი საცოლო და ცოლი უმკველად სხვა საგვარეულოში უნდა მოეძებნა და სხვა საგვარეულოთგან უნდა ჰყოლოდა. ასეთ ცოლქმრობის წესს, როგორც ცნობილია, ექსოგამიის წესი ეწოდება და ქართველი ერის ეს დაწესებულება უძველეს ხანაში, მაშასადამე, ექსოგამიის წესზე ყოფილა დამყარებული.

ნათესაობის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების აგებულობისა და პირველადი მნიშვნელობის ანალიზი ამაზე უფრო შორსა და საუკუნეთა სიღრმის წყვდიადში განკვერტის საშუალებას გვაძლევს, თანაც ცოლქმრობისა და ქორწინების წესების უძველესი საფეხურის გათვალისწინებას გვიადვილებს, მაგრამ ამისთვის მეტად რთული ლინგვისტური წინასწარი კვლევა-ძიებაა საჭირო, რომ ამ საკითხზე აქ მსჯელობა შესაძლებელი იყოს, მით უმეტეს, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ განსაკუთრებულ მონოგრაფიაში გვექნება საუბარი.

## თავი მეხუთე

### სახელმწიფო წესწყობილება

#### § 1. მეფე და მეფის ხელისუფლების საფუძველი

ამ საკითხის შესასწავლადაც ჩვენ ხელთ თითქმის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ მოგვეპოვება საკმაო ცნობები, რომ საფუძველიანი მსჯელობა შესაძლებელი იყოს. დასავლეთ საქართველოს აღწერილობა ამ პრობლემის შესასწავლად სანდო მასალებს არ გვაძლევს, მაგრამ რის შესახებაც ცნობებია, ის ქვემოთ მოყვანილი იქნება.

სტრაბონის აღწერილობიდანა ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობითგან განირჩეოდა და გამოყოფილი იყო ის წრე, რომელითგანაც მეფეს ირჩევდენ, ან სვამდენ ხოლმე. ხოლო რადგან ამავე ავტორს ნათქვამი აქვს, რომ მეფედ ისეთ პირს ირჩევდენ ხოლმე, რომელიც გარდაცვლილი მეფის შემდგომ მახლობელობითა და წლოვანობით ყველაზე უფროსი იყო, აქედან ცხადი ხდება, რომ მახლობელობა ნათესაობის თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, მაშასადამე, ის წრე, საიდანაც იბერიის მეფეს ირჩევდენ უნდა იმ სოციალურ ერთეულად ვიგულისხმოთ, რომელიც ნათესაობას წარმოადგენდა და ნათესაურ კავშირზე იყო დამყარებული. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს წრე და ნათესაური კავშირი ერთი გარკვეული საგვარეულო უნდა ყოფილიყო, რომელიც ეგების რამოდენიმე შტოდ იყო დაყოფილი. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ იბერიის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს სათავეში სამეფო საგვარეულო მდგარა.

მეფის ხელისუფლების დამკვიდრების წესი სტრაბონს მკაფიოდ აქვს აღწერილი:

მეფედ იმასა სვამდენ, ვინც საგვარეულოში წინანდელი მეფის ყველაზე მახლობელი იყო ნათესაობითა და წლოვანობით კიდევ უხუცესი. მაშასადამე, მეფის ხელისუფლება არ შეიძლება, რომ მამის შემდგომ მის უფროს, ან რომელსამე სხვა. შვილს მიეღო, რადგან ის საგვარეულოში ყველაზე უფროსი არ იქნებოდა. ამგვარად მეფის ხელისუფლების შემკვიდრობის წესი აღმოჩნდა საქართველოში პირდაპირი მემკვიდრეობის წესი კი არ ყოფილა და პირმშობის კანონზე კი არა, არამედ უხუცესობის კანონზე ყოფილა დამყარებული.

რა წოდებულება უნდა ჰქონოდა საქართველოს მეფეს? თუ გავიხსენებთ, რომ იგი მეფის საგვარეულოს უხუცესი იყო, საფიქრებელია, რომ მას იგივე სახელი უნდა ჰქმედოდა, რომელიც გვარის უფროსს ეწოდებოდა, ე. ი. მამასახლისი. რასაკვირველია, ჩვეულებრივ გვარის უფროსთა და სხვა ხელისუფალთაგან განსარჩევად მის წოდებულებას ამას გარდა რაიმე განმასხვავებელი დანართი სახელიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლეონტი მროველსაც სცოდნია, რომ საქართველოს უზენაესს საჭეთმპყრობელს და მმართველსა და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლებსაც ქართულად წინათ „მამასახლისი“ ეწოდებოდათ. ეს ცნობა მას რომელიღაც ძველი ქართული წყაროსგან უნდა ჰქონდეს ამოღებული, მხოლოდ ქრონოლოგიურად ეს მოვლენა შეცდომით მერმინდელად და ვითომც არეულობის დროინდელად მიუჩნევია. მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „არავინ იყო მათ (ე. ი. ქართლოსიანთა) შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი (ე. ი. მეთაურნი) იჩინიან. ხოლო, რომელიც იყვის მცხეთას, იგი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა. და არცა სახელედებოდა მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა და იგი იყვის მაზავებელ და ბჭეს ხუათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედა-ქალაქად“-ო (ცა მეფეთა, \*107, გვ. 8, სადაც ტექსტს 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> სტრიქონი აქლია, შეად. ქცა ზ. კიქ., 24).

მცხეთის მამასახლისი, ვითარცა ქვეყნის უზენაესი ბატონ-პატრონი, ჩვენ ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს თორქთა აღმოს. საქართველოში დასახლების შესახებ ცნობაშიაც: ისინი „მოვიდეს მცხეთას სახლი რვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართულთა და ინებეს მეგობრობა მათ თორქთა“-ო (იქვე, \* 125, გვ. 12).

მაგრამ, როგორც ლ. მროველის ცნობიდან ჩანს და შემდეგში სხვა წყაროების მოწმობითაც დავრწმუნდებით, მამასახლისი მართო მეფეს-კი არა, არამედ თემისა და თემის, ქალაქისა, დაბისა და საგვარეულოს მმართველსაც ეწოდებოდა სახელად. ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ როგორ უნდა გაერჩიათ ქვეყნისა და სამეფოს უზენაესი გამგე საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებისაგან. ლ. მროველის სიტყვით საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელს „მცხეთის მამასახლისი“ უნდა ჰქმედოდეს და თითქოს სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მისი სხვებისაგან გამარჩეველი წოდებულება. ეს ცნობა რომ

მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს, ამას ერთი ანალოგიური მოვლენაც გვაფიქრებინებს: ქართული ეკლესიის საკეთმპყრობელსაც ქართლისა კათალიკოზის სახელის გარდა მცხეთისა კათალიკოზიც ეწოდებოდა. მაგრამ მაინც დაუჯერებელია, რომ მცხეთისა მამასახლისის სახელის გარდა აღმოს. საქართველოს უზენაეს გამგეს თავისი განსაკუთრებული წოდებულება არ ჰქონოდა. ქართული ეკლესიის საკეთმპყრობელის მსგავსად შეუძლებელია მას ქართლისა მამასახლისი ჰქმეოდა, რადგან იბერიის სამეფოში ქართლი თუმცა უდიდეს, მაგრამ მაინც ერთადერთ შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა. საკუთრივ ქართლის გარდა ჰერეთი და მესხეთიც იყო. ამიტომ არის რომ „ქართლისა მამასახლისი“ ქართლის საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლის სახელი იყო.

სრულუფლებიანი ხელისუფლების მქონებელს ქართულად „ქელმწიფე“ ეწოდებოდა და შემდეგში, მაგ., XI—XIII სს-ში, საქართველოს მეფესაც მართლაც ხელმწიფეს ეძახდნენ. იქნებ იბერიის მეფეს „მცხეთისა მამასახლისი“-საც ხელმწიფეს უწოდებდნენ? საეჭვოა, რადგან უძველეს ქართულ ძეგლებში, მათ შორის საღმრთო წერილის უძველეს თარგმანშიც, „ქელმწიფე“ არას დროს მეფეს არ ჰქვია. „ქელმწიფეა“, როგორც თვით ამ ტერმინის აგებულობითგან ჩანს, ისეთ პირსა ჰქვია, რომელსაც „ქელი“, ე. ი. უფლება „მწიფე“ ანუ სრული აქვს. ამგვარად „ქელმწიფეა“ სრულუფლებიანს, უფლების მქონებელს უდრის იმისდა მიუხედავად, თუ ვინ იყო ეს პირი, მაგ. იაკობ ხუცესის სიტყვით, როდესაც ვარსკენ პიტიახშის გამაზდიანების გამო მისმა ცოლმა შუშანიკმა წარმართ ქმართან ერთად ყოფნა აღარ მოისურვა და სხვაგან გადავიდა, ვარსკენს უთქვამს: „რამსა ქელიწიფა ჩემზედა ცოლმან ჩემმან ესევეითარისა საქმედ“-ო (გვ. 5, IV, 12—14), ე. ი. ჩემ ცოლს რა უფლება ჰქონდა ესრე მოქცეულიყო? ევსტათე მცხეთელის მარტვილობის ავტორის ცნობითაც მცხეთაში მცხოვრებ სპარსელს ხელოსნებს მცხეთის ციხისთავისათვის უთქვამთ: „აქ არის კაცი ერთი ჩუენისა რჭელისაგანა... აწ შენ მოუწოდე და ჰკითხე, რამეთუ ამას ქალაქსა შინა ქელმწიფე ხარ“-ო (საქართ. სამოთხე, 313), ე. ი. ამ ქალაქში შენ სრული ხელისუფლება გაქვსო, ხოლო როდესაც ამ მცხეთის ციხისთავს დასმენილი პირი დაუბარებია და საქმე გამოუძიებია, მას თურმე განუცხადებია: „ამის კაცისა პატიჟი (ე. ი. დასჯა) მე არა რაჲ ქელმეწიფე ბის არცა აღბმა ძელსა, არცა ჰყრობილება“-ო (იქვე, 314), მისი არც ციხეში ჩასმისა და არც ჭვარზე აღბმის უფლება არა გაქვსო. ზემონათქვამითგან ცხადი უნდა იყოს, რომ „ქელმწიფეა“ იბერიის მეფის განმასხვავებელ წოდებულებად შეუძლებელია ყოფილიყო.

ეხლა თუ გავიხსენებთ, რომ ქვეყნის უზენაესი გამგისა და ბერძნული *πατριάρχης* „ბაზილეთს“-ისა და სომხური *թագավոր* „თავაგორ“-ისა და *արქა* არქა-ს ერთადერთ აღმნიშვნელ ტერმინად და შესატყვისობად „მეფე“ იყო, რომელიც თავდაპირველად „მეფე“-დ გამოითქმოდა და იწერებოდა (იხ. მათე 18<sub>23</sub>, 21<sub>5</sub>, 22<sub>2</sub>, 25<sub>34</sub>, 40, 27<sub>11,37,42</sub>—მარკოზ 15<sub>2,9,26,32</sub>—ლუკა 19<sub>38</sub>, 23<sub>2,38</sub>,—იოანე 12<sub>15</sub>, 18<sub>37</sub>, 19<sub>3,12,19</sub>), ხანმეტ ტექსტებში ამ სახითვე გვხვდება, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის მეფეს თავდაპირველად საქვეყნოდ გამრიგე მოხელე და გვარის უფროსი მამასახლისებისაგან განსარჩევად ალბათ „მეფეა მამასახლისი“ ერქმეოდა, რომლისგანაც შემდეგში მარ-



ტივად „მეუფეა“ და შემდეგ მეფე წარმოსდგა. აღსანიშნავია, რომ შემდეგ ხანაშიაც, მაგ. XI ს-ში, როდესაც საქართველოს მეფის ხელისუფლება, როგორც „ქართული სამართლის ისტორიის“ II წიგნში დავრწმუნდებით, სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენდა, საქართველოს მეფე ვითარცა სამეფო სახლობისა და საგვარეულოს უფროსი, იმავე დროს მამასახლისადაც ითვლებოდა. ამ გარემოებას ბაგრატ IV საკუთარი სიტყვები ცხადყოფენ, რომელიც მას ოპიზის სიგელში აქვს ნათქვამი: თუმცა დავა მიჯნაძოროლებმა მოიგეს, მაგრამ ოპიზარნიც რომ გულნატკენი არ დარჩენილიყვნენ, ამიტომ „რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ... თავსავე ჩემსა დეათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებელისა ჩუენისაგან სოფელი ბარევანი და მივეც ოპიზართა“-ო (სქს სძვლნი, II, 4). მაშასადამე, ამგვარად, როგორც სამეფო სახლობის წევრებს „უფლისწულები“ ეწოდებოდათ და მათ სამფლობელოს „საუფლისწულო“ ერქვა, ისევე უნდა დავასკვნათ, რომ რაჟი მეფის პირად კერძო საკუთრებას „სამამასახლისო სამსახურებელი“ ჰქმევია, თითონ ისიც მამასახლისად ყოფილა მიჩნეული.

## § 2. მეფის ხელისუფლების უხუცესობით დამკვიდრების წესის დამადასტურებელი ცნობები

სტრაბონის საუცხოვო აღწერილობა იმდროინდელი იბერიისა, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, ძვირფასს ცნობებს გვაძლევს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესრიგის შესახებ. იქ, როგორც ვიცით, ნათლად არის აღნიშნული, რომ მემკვიდრეობის რიგი პირდაპირი კი არ იყო, მამის შემდგომ მეფობის უფლება შვილზე პირმშობის წესით კი არ გადადიოდა, არამედ წლოვანობასა, უფროსობაზე და მსოფიანებაზე, უხუცესობაზე იყო დაყარებული: განსვენებული მეფის შემდგომ ვინც სამეფო საგვარეულოში ყველაზე უფროსი იყო ხნიერებით და ყველაზე მახლობლად ითვლებოდა, იმას ეკუთვნოდა კიდევ იბერიის სამეფო ტახტი.

ფრიად საყურადღებო საგანაა, გამორკვეულიყო, რომდენად ადასტურებენ სტრაბონის ამ ცნობას ქართული საისტორიო წყაროები? ლეონტი მროველის თხზულება ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო მასალებს არ გვაძლევს, „მქცდ ქა“-ს მატიაწეში კი მოიპოვება ბერძენთა გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვების სიმართლის დამამტკიცებელი ცნობები. სამწუხაროდ, ამგვარი ცნობები მატიაწეს თავითგანვე არ იწყება, დასაწყისში მეფეთა ნუსხა მეტად მოკლეა და სიტყვა ძვირი, ისე რომ იქ მეფეთა ჩამომავლობა-ნათესაობაზე მემატიაწეს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მხოლოდ მირიანის შემდგომ არის აღნიშნული, ისიც მხოლოდ ხუთი მეფის ნათესავობა და სწორედ ეს ცნობებია ჩვენთვის საყურადღებო. მქცდ ქა“ს მატიაწე ამტკიცებს, რომ მირიან მეფის გარდაცვალების შემდგომ „დაჯდა მეფედ ბაკურ ძე რევისი“ (Опис., II, 719). ჩვენ ვიცით შატბერდისეული წაწინოს ცხოვრებით, რომ მირიანს ჰყავდა შვილი, მაგრამ მშინც სამეფო ტახტზე ის კი არ ასულა, არამედ „ბაკურ ძე რევისი“. დასახელებულს შატბერდისეულ ცხოვრებაში მირიანის შვილი იწოდება რევად (Опис., II, 804), მაგრამ ჭელიშისეულში იგი „რევასად“ (ibid.), ესე იგი რევანად, არის მოხსენებული. თუნდაც რომ ამ შემთხვევაში შატბერდისე-

ული ცხოვრების ცნობა უფრო სწორე იყოს, მაინც მგონია ეს ბაკური მირიანის შვილის შვილი კი არ უნდა იყოს, — იმიტომ რომ მაშინ გაუგებარი იქნებოდა რატომ არ ავიდა სამეფო ტახტზე მირიანის ძე, თუ რომ მის შვილის-შვილს გამეფება შეეძლო, — არამედ მირიანის ძმა უნდა ყოფილიყო, რევის (ან როგორც „მქ“ცა ქ“ა“ს მატიანეში ალბათ შეცდომით წერია ლევის „ლეე მამაე კ“ზ (27) მეფის მირიანისი“) ძმ.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ როცა „მოკუ და რეე“, მის მაგირ ტახტზე „დაჯ და მქ ფედ ძმა მისი თრდატ“ (Опис., II, 720) და არა ძე მისი. უფრო მეტი მნიშვნელობა შემდეგს ცნობასა აქვს, რომ „შემდგომად მისა (ესე იგი თრდატისა) და დგავარაზბაკურ მეფედ“ (იქვე, II, 720) და არა შვილი მისი, რომელიც სამეფო ტახტს ელირსა მამის შემდგომ კი არა, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ვარაზბაკური მიიცვალა. სწორედ „მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ ძმ თრდატისი“ (იქვე, II, 720). დასასრულ ბაკურის „შემდგომად მეფობდა ფარსმან დის-წული (ძმისწული?) თრდატისი“ (იქვე, II, 721). სამწუხაროდ, აქა სწყდება მემატიანეს ცნობები მეფეთა ნათესაობაზე, მაგრამ ზემომოყვანილი მაგალითებიც ნათლად ამტკიცებენ, რომ მეფობის უფლება პირდაპირი მემკვიდრეობის წესრიგით კი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე, პირმშობის წესით კი არა, არამედ ყოველთვის წლოვანობით უფროსზე ანუ უხუცესობით, მაგალითად განსხვავებულ მეფის ძმაზე. როგორც ქვემოთ გამოჩვენებული იქნება, მქ“ა ქ“ა“ს მატიანეს მეფეთა ნუსხა სწორი და სრული არ არის, მაგრამ მაინც მატიანეს ზემოაღნიშნულს ცნობებს მეფეთა ნათესაობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს: საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესრიგი იმდენად შეთვისებული და ძვალ-რბილში ჰქონია გამჭდარი, რომ მაშინაც კი, როცა მეფეთა ქვეშაირების ნუსხის შესადგენად ღირსეული მასალები არ მოეძებნებოდა, მას სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი არ დაპიწყებია.

სტრაბონის სიტყვების სრულ ქვეშაირებებს ამტკიცებს მეტადრე VI საუკუნე. დამდეგს ასურულად დაწერილი პეტრე იბერის ანუ ქართველის ცხოვრება (იხ. რ. რააბეს გამოცემული Petrus der Iberer, გვ. 10). ეს თხზულება ასურულად როგორც ამ ცხოვრების ქართულ თარგმანითგანა ჩანს (ნ. მარრი. ცხოვრება პეტრე ივერისა, Палест. сборник, წ. XVI, ნ. II, გვ. XXXV და 51) პეტრე ქართველის მოწაფის ზაქარია ქართველისავე მიერ ყოფილა დაწერილი: „მე გლახაკი მოწაფე მისი ქართლითგანვე უკანა შეუღდექ წმიდასა, მას ვიდრე მიცვალებადმდე მისა; ამისთვისცა აღვწერე ცხოვრება მისი და სასწაულნი თვალითა ჩემითა ხილული და ყურითა სმენილი“-ო, ნათქვამია იქ (იქვე, 51). მაშასადამე, ჩვენ ხელთა გვაქვს თანამედროვეს მიერ დაწერილი ნაწარმოები, რომელსაც თუმცა რ. რააბეს მიერ გამოცემულს ასურულს ცხოვრებაში სამწუხაროდ, უკვე თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს (ნ. მარრი, იქვე, გვ. XXII—XXIII და XXXII—XXXVI), მაგრამ მაინც შიგ ძვირფასი საისტორიო ცნობები არის შენახული. ცხოვრების პირველ ნაწილში მოთხრობილია და ჩამოთვლილი პეტრე ქართველის ჩამომავლობა და ნათესაობა, ხოლო რაკი იგი სამეფო საგვარეულოს წევრი იყო, ამიტომ იქ აღნუსხულია ქართველ, ივერთა მეფეთა სამი თავობა. სამწუხაროდ, ასურულ დედანში სახელები ცო-

ტა არ იყოს დამახინჩებულია და ბოლოშიაც თვითველ სახელს ბერძნული დაბოლოება „ოს“ აქვს მიმატებული. პეტრე ივერის, ანუ ქართველის ერის-კაცობის სახელად თურმე ყოფილა „ნბრნევიოს“<sup>3</sup> (იქვე, გვ. 86), რაც შეიძლება სხვადასხვანაირადაც იყოს წაკითხული: ან „ნაბარნევიოს“ (გერმან-თარგ., 14), ან „ნაბრონევიოს“ (იქვე), ან ნიბარნევიოს, ნიბარნევიოს და სხვა ქართველ მთარგმნელს ამის მაგაერ „მორვანოზი“ უწერია (გვ. 5). რომელია სწორი, ჯერ ამის თქმა არ შეიძლება იმიტომ, რომ თუმცა ნ. მარჩისა არ იყოს, იქნებ ასურელ გადამწერს მისთვის უცნობი სახელი „მორვანოზ“, ანუ „მურვანოზი“ დამახინჩებინა (ცხოვრება პეტრე ივერისა; XXVIII—XXIX), მაგრამ ესეც კია, რომ სამაგიეროდ ქართულ თარგმანშიაც, რომელიც პავლე ხუცესისა და დეკანოზს შეუსწორებია (ც<sup>ა</sup>, 53—54), სწორედ შესავალი და მეტადრე მეფეთა საკუთარი სახელები გადაუკეთებია. ამასთანავე მას თვით შესავალიც კი იმდენად გადაუსწორებია, რომ მეფე მირიანისა და წ<sup>ა</sup> ნინოს შესახებ ი ცნობები ჩაურთავს: ასურულ დედანში კი არც ერთი, არც მეორე მოხსენებული არ არის (შედ. ასურული ც<sup>ა</sup>, 4—16, გერმ. თარგ. 14—24, ქართულ ც<sup>ა</sup>ს, გვ. 3—10). ამიტომ იქნებ სწორედ ასურულში იყოს შენახული პეტრე ქართველის ერის კაცობის სახელის მართლწერა. მაინც და მაინც სხვათა სახელები ასურულში უკეთესად არიან შენახული ვიდრე ქართულში. რაკი პეტრე ქართველის ყმაწვილობის სახელი ჩვენნი კვლევის საგნისათვის არა გვპირდება, ამიტომ მისი მართლწერის საკითხს აღარ გამოვეკიდებით.

პეტრე ქართველის მამა ყოფილა „ბუსმრიოს“ (ასურ. ც<sup>ა</sup>, გვ. 5, 15 და 16), ან „ბუსმურიოს“ (ასურ. ც<sup>ა</sup>, გვ. 86). თავდაპირველად იქნებოდა: „ბუსმპრიოს“. თუ ბერძნულ დაბოლოებას „ო“-ს მოვაკეცეთ, დარჩება „ბუსმირი“ ან „ბუსმიპრი“, ბუზმიპრი სპარსული საკუთარი სახელია, რომელიც საქართველოშიც მიღებული ყოფილა; ეს სახელი ჰრქმევია მაგ., ქართლის მთავარს (*ჩიქრე მჩქიფი*, 134). „ბუზმილ“-ადვე იწოდება ეგვიპტე მცხეთელის ერთი მეტრომეთაგანი. პეტრე ქართველის მამა ბუზმიპრი იბერთა მეფედ ყოფილა (ასურული ც<sup>ა</sup>, 5, 16; თარგმ. 15, 24). პეტრეს მამის მამას, პაპასაც, თურმე „ბუზმიპრი“ რქმევია (იქვე, ასურ. ც<sup>ა</sup>, 5 და 86 თარგმ., 15 და 84), მაგრამ ის მეფედ არ იხსენიება. პეტრე ქართველის მამის მამას ბუზმიპრს ცოლად ჰყოლია ქალი, რომლის სახელის ასურული დაწერილობა (ც<sup>ა</sup>, გვ. 5, 15) შეიძლება წაკითხული იყოს სხვადასხვა გვარად: „ოსდუქტია“-დაც და ასე კითხულობს რ. რააბე (თარგმ. 15), „ევსდუქტია“-დაც, „ავსდუქტია“-დ, „ავსდუქტია“-დ და სხვანაირადაც იმისდა მიხედვით, თუ რა ხმოვნები უნდა მისდევდეს თანხმოვნებს. ამ სახელის მეორე ნაწილი უდრის სპარსულს „დუხტ“-ს, რომელიც ფაქლაურში ქალიშვილსა ჰნიშნავდა და ფაქლაური დედათა საკუთარი სახელების მეორე შემადგენელ ნაწილად იყო ხოლმე, როგორც მაგ. აზარმიდუხტ, ორმიზდუხტ, პეროზდუხტ და სხვა. ქალთა ამგვარად ნაწარმოები საკუთარი სახელები საქართველოშიც იყო მიღებული, როგორც მაგ. მიპრანდუხტი, ვახტანგ გორგასალის და და მეფე არჩილის ასული და გურანდუხტ დედოფალი.

პეტრე ქართველის დედას და ბუზმიპრ მეფის თანამეცხედრესა ჰრქმევია „ბაკურდუქტია“ (ასურ. ც<sup>ა</sup>, 5 და 12, თარგმ., 15 და 20), ანუ ბაკურ-

<sup>3</sup> სახელების ასურულ ტრანსკრიპცია ვერ მოგვეყვას, რადგანაც სტამბაში სათანადო შრიფტი არ აღმოჩნდა.

დუხტი. როგორც ცხოვრებაში აღნიშნულია, ბაკურდუხტი ყოფილა ბაკურ მეფის ასული (ასურ. ცა, 5, თარგ., 15), რაც თვით სახელშივე არის გამოთქმული. დედის მხრავ პეტრე ქართველის პაპა ყოფილა მეფე „ბაკურიოს“ (ასურ. ცა, 5, 7 და 8, თარგ., 15, 16 და 17), ანუ ბაკური, რომლის თანამეცხედრესა რქმევია „დუქტია“ (ასურ. ცა, 5 და 7. თარგ., 15 და 16) ანუ დუხტი. ბაკურ მეფეს ჰყოლია ძმა „არსილიოს“ (ასურ., ცა 5, 8, თარგ., 15 და 18) არჩილი, რომელიც აგრეთვე მეფედა მჯდარა. ნუსხა რომ სრული იყოს, უნდა კიდევ გავიხსენოთ, რომ პეტრე ქართველის მამის მამას ბუზმიჭრის თანამეცხედრეს ძმა ჰყოლია, რომლის სახელი ყოფილა „ფარსმანი“ („ფარსმანიოს“ ასურ. ცა, 5, თარგ., 15). ეს ფარსმანიც სამეფო ტახტზე ასულა (იქვე).

ეხლა გამოსარკვევია, თუ ვინ როდის და ვის შემდგომ მეფობდა. როგორც თვით ცხოვრებიდან ჩანს, ყველაზე უწინ ბაკურს, „დიდს ბაკურს“ (ცა, 5, 7 და 8, თარგ., 15, 16, 17) უმეფნია. ბაკურის მეფობის დროს განსაზღვრა დაახლოვებით შეიძლება: ის პირველი მეფე იყო ივერიაში, რომელმაც თითონაც ქრისტიანობა მიიღო და მთელი ერიც ქრისტიანობისადმი მოაქციაო, ნათქვამია ასურულს ცხოვრებაში (გვ. 5, თარგ. 15)<sup>4</sup>. ხოლო ამჟამინე მარცელინის თხზულებით ჩვენ ვიცით, რომ 361 წ., როდესაც პრომელებს სპარსთა მეფის ლაშქრობის შიში ჰქონდათ და ამის გამო მეზობელი მეფეების გულის მოგებას, განსაკუთრებით კი სომეხთა და ივერთა მეფეების თავიანთკენ მიმხრობასა სცდილობდნენ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალგვარი საჩუქრებით, მაშინ ივერთა სამეფო ტახტზე თურმე უკვე მირიპანნი (ლათინურად მერმინდელ გადამწერთა შეცდომით სწერია „მერიბანეს“) იქდა (*Regum gestarum libri quae supersunt, lib. XXI, cap. 6, § 7; В. Лавршев. Известия etc. II, 324*). მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში 360 წ. მოყოლებული შეუძლებელია ბაკური ივერიაში ისევ მეფედ ყოფილიყო. ყურადღების ღირსია, რომ პეტრე ქართველის ცხოვრების აღმწერი, თვით ქართველივე, მირიპანს სრულებით არ იხსენიებს. შესაძლებელია, ამგვარი უცნაური დუმილი იმით აიხსნებოდეს, რომ ავტორი ცნობებს ყველა მეფეზე კი არ მოკვიბობს არამედ მარტო პეტრე უფლისწულის პირდაპირ ნათესაობაზე, და იქნებ მირიპანი ამ შტოს არ ეკუთვნოდა. მირიპანის მეფობამ, როგორც ჩანს, დიდ ხანს არ გასტანა, 368 წელს იბერიის ტახტზე მეფედ საურმაგი მჯდარა (*Amniansus Marcelinus Res gestae, L. XXVI, 21, -ლათინურ II, 332*), საურმაგი ვგონებ 374 წ.-საც მეფედა ყოფილა, მაგრამ ამჟამინე მარცელინის სიტყვით ამ დროს იბერია უკვე ორად ყოფილა გაყოფილი (იხ. ქართველი ერის ისტორია).

არკადი კეისრის დროს (395—408) იბერიაში სამეფო ტახტზე ასულა ფარსმანი, რომელსაც ჯერ არკადი კეისარი თურმე დიდს პატივსა სცემდა, მას პირველი ადგილი ეკავა და სპასალარად იყო, მაგრამ მერმე, როცა გამოამჟაჯავდა, რომ კეისრის თანამეცხედრეს ევლოქსიას ჰყვარობდა, და დედოფლის მრუსება გამომქლავნდა, გაიქცა თავის სამშობლოში და შემდეგ იბე-


<sup>4</sup> საკითხი პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის შესახებ დაწვრილებით იქვე ერის ისტორიის I წიგნის ახალ გამოცემაში იქნება განხილული.

რიაში. გამეფდა. იგი რომაელებს ჰპტრობდა. ამისათვის მან თეთრი ჰონნები გამოიყვანა და მიუსია რომაელების ქვეშევრდომებს (ასურ. ცა, 5, თარგ., 15). რაკი ევლოქსია 404 წ. გარდაიცვალა, ამიტომ ფარსმანის დაბრუნება სამშობლოში და გამეფება დაახლოვებით 395—404 წ. შუა უნდა მომხდარიყო. როდემდის იმეფა ფარსმანმა, არც ეს ვიცით.

თევდოსი II კეისრობის დროს-კი (408—450) იბერიის მეფედ უკვე პეტრე ქართველის მამა, ბაკურ მეფის სძემ, მისი ასულის ბაკურდუხტის მეუღლე ბუზმიპრი იყო (ასურ. ცა, 16, 5 და თარგ., 24 და 15). როდის გამეფდა იგი არა ჩანს, მხოლოდ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ თევდოსი კეისარი მრავალგზის სთხოვდა მეფე ბუზმიპრს თავისი მცირეწლოვანი შვილი მისთვის მძევლად გამოეგზავნა და ბოლოს მეფე იძულებული იყო კეისრის დაჟინებული თხოვნა აესრულებინა და თავის თორმეტი წლის შვილი თევდოსი II-ისა და მის თანამეცხედრე ევლოქსიასთვის გაეგზავნა კონსტანტინეპოლში (ასურ. ცა, 15—16, თარგ., 23—24). რაკი თევდოსი II-ემ ევლოქსია მხოლოდ 421 წ. შეირთო, ხოლო მელანიას ქართველი უფლისწული 424 წ. ბიზანტიაში დახვდა (ასურ. ცა, 29, თარგ. და შესავალი, 10, შენ.), მაშასადამე, 421—424 წ. ბუზმიპრი მეფედა მჯდარა. ხოლო ამ დროს კეისართან მძევლად მოყვანილი პეტრე ქართველი 12 წლისა ყოფილა და რაკი ცხოვრებაში აღნიშნულია რომ თევდოსი მრავალგზის სთხოვდა შვილს მძევლადო და ამასთანავე შეუძლებელია სამის წლისაზე აღრე განეზრახა კეისარს ბავშვის მძევლად წაყვანა, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუზმიპრი, თუ უფრო აღრე არა, ყოველ შემთხვევაში დაახლოვებით 413—416 წ. უკვე მეფედ უნდა ყოფილიყო. შვილის მძევლად გასტუმრების შემდგომ როგორც ჩანს დიდხანს აღარ დასცლია სიცოცხლე.

როდესაც პეტრე ქართველი მონაზონად შემდგარა, მაშინ იბერიაში მეფედ უკვე მისი დედის მამის ბაკურის ძმა მოხუცებული არჩილი ყოფილა. თავის ძმისწულის შვილის განთქმული ასკეტიკური მოღვაწეობით გახარებულმა არჩილ მეფემ ეპისტოლე გაუგზავნა და მისი სულისათვის მგონება სთხოვა (ასურ. ცა, 10, თარგ. 19). ხოლო პეტრე ქართველის მოქალაქობის აღმწერი ამბობს, რომ ქართველ უფლისწულს მონაზონობა ოცი წლისა ს მიუღია (იქვე, 33 და თარგმ. 37), ქართულ თარგმანში „ოცდახუთნი წელნი“ არის მოხსენებული (ნ. მარტის გამოც., გვ. 14), მაგრამ ეს მისი აღკვეცის თარიღი კი არ არის, არამედ მისი გულმოდგინე მონაზონური მოღვაწეობისა: მამასახლისმა „აკურთხნა მონაზონად ...და უწოდა... სახელი პეტრე... და წარიყუანა მონასტერადვე და ილუწიდეს... ვიდრემდის წარედეს ოცდახუთნი წელნი წმიდისა პეტრეს ცხოვრებისანი და ესოდენ ტანჯნა ჯორცნი თვისნი წმიდამან პეტრე ვიდრემდის დაშთეს ძუალნი ოდენ და ტყავნი“ (იქვე, 14—ასურ. ცა, 34). ამგვარად ქართული თარგმანის მიხედვითაც გამოდის, რომ პეტრე ქართველი უფრო წინათ აღკვეცილა და ამიტომ ბერად შედგომის ასაკად 20 წ. უნდა ვიცნათ, ხოლო 25 წლისა შესრულებულა, როცა მისი ასკეტიკური მოღვაწეობა უკვე განთქმული ყოფილა. სწორედ ამ ხნის განმავლობაში იგონებოდა დაწერილი არჩილ მეფის ეპისტოლეც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 421—424 წ. პეტრე ქართველი 12 წლის ყმაწვილი ყოფილა, მაშასადამე დაახლოვებით 409—412 წ. უნდა დაბადებულიყო. ამიტომ პეტრე ქართველი ბერად დაახლოვებით 429—432წ.

იბერიის IV—V ს. ს. მეფეთა გვაროვნობითი შტო (იხ. გვ. 207).



უნდა შემდგარიყო, ხოლო განთქმულ განდევილად იგი იქნებოდა 434—437 წ. ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ 429—437 წ. დაახლოვებით იბერი-აში მეფედ იჯდა არჩილი, პეტრე ქართველის მამა ბუზმიპრი გარდაცვლილა და მისი დაქვრივებული მეუღლეც ბაკურდუხტი შეილთან აპირებდა იერუსალიმში წასვლას, მაგრამ პეტრემ განდევილური სიმკაცრითა და გულქვაობით დედის გულის ნატვრა უარპყო (ასურ. ც<sup>ა</sup>, 12, თარგ., 20). აქეთგანა ჩანს, რომ არჩილ გამეფებულა ბუზმიპრ მეფის გარდაცვალების შემდგომ. ზემომოყვანილი გამოანგარიშების შემდგომ იბერიის IV—V სს. მეფეთა ნათესაური დამოკიდებულება აქვე დართული შტოს სახით წარმოგვიდგება (იხ. შტო).

როგორც ამ შტოთგანა ჩანს, მეფობის უფლების მემკვიდრეობის წესრიგი მართლაც პირდაპირი არ არის, არამედ გადადის მთელი სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ წევრზე უფროსობის მიხედვით. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ ასურული ცხოვრების დამწერს აღნიშნული აქვს, არჩილი მოხუცებული იყო, როცა მეფობა მიიღო (ასურ. ც<sup>ა</sup>, 5—6, 8, —თარგ., 15—16, 18), და როცა თევდოსი მცირემ პეტრე უფლისწულის ბერად აღკვეცის სურვილი შეიტყო წინააღმდეგა ჰაბუქს, ერმა, რომელმაც ეს ყმაწვილი მძევლად ჩამაბარა, რომ უკან მომთხოვოს, რაღა პასუხი გავცეო (ასურ. ც<sup>ა</sup>, 20, თარგ. 27). ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ თუმცა უფლისწული მეფის-ძე იყო, მაგრამ მეფობა მამის შემდგომ მაინც და მაინც მას არა ჰკუთნებია და სამეფო ტახტზე მართლაც მისი პაპის (დედის მხრივ) ძმა არჩილი ასულა.

დასავლეთ საქართველოს, ე. წ. ლაზიკის სამეფოს მეფის ხელისუფლებისა და სოციალური წესწყობილების შესახებ სტრაბონს სამწუხაროდ, არაფერი აქვს ნათქვამი და ამის გამო ამ საკითხზე იმ დროისათვის არაფრის თქმა არ შეიძლება. მხოლოდ მერმინდელ ავტორს პრისკოს პანიელს აღნიშნული აქვს, რომ ლაზიკაში შესაძლებელი იყო მამასაცა და შვილსაც ერთსა და იმავე დროს ემეფნა (Ἱστορία Γεωγραφία IV, 26.—ლათ.შევის Scyt. et Caucasicა 840—1). მაშასადამე, თანამოსაყდრეობის წესი ყოფილა. საფიქრებელია, რომ მოვლენა უხუცესობაზე დამყარებული ტახტის მემკვიდრეობის წესის დასარღვევად და პირმშობის კანონის განმტკიცებისათვის ლაზთა მეფეთაგან გამოყენებული საშუალება უნდა იყოს. საეჭვოა, რომ იგი ძველი ჩვეულება ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოშიაც, ლაზიკაშიც რომ სამეფო ტახტის დამკვიდრების კანონი პირმშობის პრინციპზე არ ყოფილა დამყარებული და უხუცესობას ეყრდნობოდა, ამის დამტკიცება ისტორიული ცნობების საშუალებითაც შეიძლება. მაგ., ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობით VI ს. მეორე ნახევარში ლაზიკაში მეფობდა წათე, რომელიც გაქრისტიანდა (იხ. ქლი ერის ისტ., I). შემდეგ პროკოპი კესარიელი ლაზთა მეფედ იხსენიებს ოფსიტეს, გუბაზის ბიძას, ე. ი. წათეს ძმას (Ἱστορία Γεωγραφία 840—1, de bello Goth. I, 4, 9), მერმე გუბაზი გამეფებულა, წათეს შვილი (Agathias I, 3, გვ. 74—76 და Дестунис Прокоп. Кесар. II, 117 შენ.). შემდეგ სამეფო ტახტზე წათე აღის, გუბაზის უმცროსი ძმა (Agathias I, 3, გვ. 81—89). ამ ლაზთა მეფეთა სიითგან

ცხადდა ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოშიაც მამის შემდგომ სამეფო ტახტზე მისი შვილი-კი არ აღის, არამედ ძმა. მაშასადამე, იქაც მემკვიდრეობის კანონი უხუცესობის პრინციპზე ყოფილა დამყარებული და ამის გამო უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოშიაც მეფის ხელისუფლება საგვარეულო წესწყობილების ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული.

რაკი აღმოსავლეთიცა და დასავლეთ საქართველოც I ს-ით ქ. წ. რომაელების პოლიტიკური გავლენის სფეროდ იქცნენ, მათი მფარველობის ქვეშე იმყოფებოდნენ, მათ ყმად-ნაფიც სახელმწიფოებად გახდნენ. ხოლო შემდეგ მათი ადგილი ბიზანტიამ დაიკავა. IV ს-ითგან მოყოლებული სპარსეთი თანდათან აღმოს. საქართველოში გაბატონებას ცდილობს ჭერ ვითარცა მფარველი, შემდეგ როგორც დამპყრობელი, ამიტომ როგორც რობაელები და ბიზანტიელები, ისევე მათი მეტოქე სპარსელები, თავიანთი პოლიტიკის განსამტკიცებლად ცდილობდნენ, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მათი მომხრე მჯდარიყო. ამ თავიანთი წადილის განსახორციელებლად ისინი არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ, სხვათა შორის უფლისწულებიც მძევლად მიჰყავდათ და შემდეგ მათ გამეფებას ცდილობდნენ (ამის შესახებ ცნობები იხ. ქლ-ი ერის ისტ., I). ცხადია, რომ ასეთ პირობებში მემკვიდრეობის კანონის უხუცესობის პრინციპი არა ერთხელ დაირღვეოდა და პირმშობის პრინციპის განმტკიცებას ყოველნაირად ხელი შეწყობილი ექნებოდა.

ქართული სამართლის ისტორიის შემსწავლელს უნდა კარგად ჰქონდეს გათვალისწინებული ის ძირითადი განსხვავებები, რომელიც I—VI სს-ისა და IX—XIII სს-ის საქართველოს სამეფოს შორის იყო: თუ I—VI სს-ში სამეფოს მთელი წესწყობილება და მეფისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების ხელისუფლება გვაროვნულ წესწყობილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლისობიდან წარმოიშვა და განვითარდა, IX—XIII სს. მეფის ხელისუფლება ერისმთავრობის ნიადაგზე აღმოცენდა და აღორძინდა. ამგვარად აქ ორი სხვადასხვა სამყაროა, ცხოვრების სხვადასხვა პირობებით წარმოშობილი.

### § 3. მთავარსარდალი და უზენაესი მსაჯული

სტრაბონის სიტყვით მეორე პირი, ალბათ მეფის შემდგომ, მოსამართლეობდა და სარდლობდა, ე. ი. მართლმსაჯულებასა და სამხედრო საქმეს განაგებდა. საფიქრებელია, რომ მეფის შემდგომ მეორე პირად მიჩნევის საკითხი ამ შემთხვევაშიაც იმავე პრინციპის თანახმად იქნებოდა გადაწყვეტილი: აქაც უხუცესობასა და მახლობლობას უნდა ჰქონოდა გადაწყვეტი მნიშვნელობა. ამნაირად ისე გამოდის, რომ რადგან იბერიის უზენაესი მოსამართლე და სარდალი მეფის შემდგომ მეორე პირი იყო და იმავე დროს მეფის შემდგომ ყველაზე უხუცეს წევრადაც ითვლებოდა, მეფის გარდაცვლის შემდგომ იბერიის მეფედ უხუცესობაზე დამყარებული მემკვიდრეობის კანონის ძალით სწორედ ეს მეორე პირი, უზენაესი მართლმსაჯული და მთავარსარდალი უნდა დაესვათ.





ლისნი ქვეყნისანი“ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს სხვადასხვა თემთა საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო.

მართლაც ევსტათე მცხეთელის VI ს. მარტილობაში აღმოს. საქართველოს მმართველთა წრეში არშუშა ქართლისა პიტიახშის გარდა, რომელიც ნამდვილად პერეთის მთავარი იყო, იხსენიება „გრიგოლ ქართლისა მამასახლისი“-ც (საქართველოს სამოთხე, 315). საფიქრებელია, რომ ამავე წყაროს ცნობაში ზოგადად დასახელებული „ქართლის მთავარი“-ც ალბათ სხვადასხვა თემის საქვეყნოდ გამრიგენი, მამასახლისნი უნდა ყოფილიყვნენ.

ლენტი პროველის „მცხეთისა მამასახლისი“-ს შესახები ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ძველ საქართველოში უძველეს ხანაში ქალაქის უფროსსაც მამასახლისი ჰქმევია. ეს თანამდებობა და სახელი შემდეგშიაც არსებობდა, მაგრამ უკვე ჩამოძვრობილი და გარკვეული ხანითგან არაბულსპარსულ ტერმინთან „მელიქ“-თან შეერთებით მელიქ-მამასახლისის სახით. მაგრამ ეს მერმინდელის, არაბთა ბატონობის დროინდელი ნაშთია და წინათ კი ქალაქის თავის აღმნიშვნელ ტერმინადაც „მამასახლისი“ ყოფილა.

რაკი ქართულ უძველეს საისტორიო ძეგლებში დაბა-სოფლების ყოფა-ცხოვრება და მეტადრე წესწყობილება ჯერ აღმოჩენილი არ არის, ამიტომ XI ს-ზე უწინარეს სოფლის მამასახლისის ხსენება ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ უეჭველია XI—XIII და მერმინდელ საუკუნეებში გავრცელებული ეს ტერმინი იმ უძველესი ხანის წესწყობილების ნაშთი უნდა იყოს, როდესაც დაბა-სოფლის მოსახლეობა მომეტებულ ნაწილად ერთი რომელიმე გვარის, ანუ „სახლის კაცთა“-გან შესდგებოდა და როდესაც დაბა-სოფლის უფროსი, მართლაც, ამ გვარის მამასახლისი უნდა ყოფილიყო.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ უმცირესი სოციალური და ადმინისტრაციული ერთეულითგან, დაბა-სოფლითგან, მოყოლებული ყველა ერთეულის (ქალაქისა, ხევისა, თემისა და თვით მთელი სამეფოს) უფროს ხელისუფალთა აღმნიშვნელ ტერმინად „მამასახლისი“ ყოფილა. ეს იმ უცილობელი ფაქტის მომასწავებელია, რომ უძველეს საქართველოში გვაროვნული წესწყობილება მარტოს სოციალურის კი არა, არამედ სახელმწიფო წესწყობილების საფუძველიც ყოფილა.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის 523 და 532 წ. წ. მოსპობის შემდგომ მეუფე მამასახლისის ხელისუფლებაცა და წოდებულებაც უნდა გამქრალიყო. მაგრამ რაკი სპარსეთის მთავრობა ჩვეულებრივ დაპყრობილი ქვეყნების შინაურ მართვა-გამგეობაში არ ერეოდა ხოლმე და უმთავრესად გადასახადების წესიერად მიღებითა და პოლიტიკური ერთგულებით იყო დაინტერესებული, ამიტომ წინანდელი ადმინისტრაციული აპარატი აღმოს. საქართველოშიაც მთლიანად არ მოიშლებოდა და მოისპობოდა, არამედ მომეტებული ნაწილი თავის უფლებას შეინარჩუნებდა და მუშაობასაც წინანდებურად განაგრძობდა. სომხეთშიაც სპარსთა ბატონ-

ნობის ხანაში სპასპეტისა და ტანუტერ-მამასახლისთა თანამდებობანი კვლავინდებურად არსებობდა.

VI ს. ქართველ ავტორსაც აღნიშნული აქვს, რომ ქართლიდან სპარსეთის მარზანის არვანდ გუშნასპის გამგზავრების დროს „შეკრებს ქართლისა მთავარნი“ და „რაჟჟამს ამქედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამუელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშაჲ ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი“ და მარზპანს ევსტათე მცხეთელის საპყრობილეთგან განთავისუფლება სთხოვეს (მარტკლობაჲ ევსტათის მცხ.). ამ ცნობითგანა ჩანს, რომ VI ს. შუა წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი უმაღლესი საერო ხელისუფლების მქონებელი „ქართლისა მთავარნი“ ყოფილან. ამ მმართველ წრეს ქართლისა მამასახლისი, ქართლისა პიტიახში და „სხუანი სეფეწულნი“ ჰკუთნებიან. ცხადია, ქართლისა მამასახლისი ამ დროს მხოლოდ საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალია იმგვარადვე, როგორც ქართლისა პიტიახში, რომელიც ამ სპარსულ სამოხელეო სახელს მხოლოდ იმიტომ ატარებდა, რომ სანაპირო თემის მმართველი იყო.

საფიქრებელია, რომ გამონათქვამი „მთავარნი ქართლისანი“ სრულად არ არის წარმოდგენილი და ეს ტერმინი სრულად უნდა ან როგორც „ერისმთავარნი ქართლისანი“ ვიგულისხმოთ, ან როგორც მამასახლისნი. მაგრამ შეორეს მხრით ცხადია, რომ VI ს. ქართველი ისტორიკოსის ზემომოყვანილ ცნობაში მთავარნი ქართლისანი მხოლოდ და მხოლოდ ჯარის უფროსებად არა ჩანან, არამედ, როგორც აღნიშნული გვქონდა, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებად გვევლინებიან. მაშასადამე, პირველი საუკუნის შემდგომ ცვლილება უნდა მომხდარიყო და ერისმთავართა ხელისუფლება საგრძნობლად გაფართოვებულა და ბუნებითაც არსებითად შეცვლილა: ჯარისუფროსობისა და მოსამართლეობის მაგიერ ის საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლად ქცეულა, მაგრამ ჯარის მეთაურობაცა და მართლმსაჯულების უფლებაც შეუნარჩუნებია. ამ მხრივ ლეონტი მროველს რომელიღაც მასზე შედარებით ძველი წყაროთგან ამოღებული ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება, სადაც ნათქვამია: „მეფემან სპარსთამან... მოუწოდა მთავართა სოფლებისათა, პიტიახშთა, და ერისთავთა სოფლებისათა“-ო (ც<sup>1</sup> მფთ<sup>2</sup>, \*171—172. გვ. 44). ამ საგულისხმო წინადადებაში გამონათქვამი „მთავარნი სოფლებისანი“ ცხადია, სპარსული ტერმინის „პიტიახშნი“-ს ქართულ თარგმანს წარმოადგენს და სპარსული „ხაოთრა“, ქვეყანა, როგორც ეს უძველეს ქართულ ენასა და მწერლობაში IX ს-მდე იხმარებოდა (იხ. აქვე „მიწა-წყლის ერთეულები“), „სოფელად“ არის წოდებული. ამიტომ მომდევნო ტერმინიც „ერისთავნი სოფლებისანი“ აქ უნდა ქვეყნის ერისთავებს პნიშნავდეს, ისიც სპარსული ტერმინის ქართულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. რაკი „მთავარი სოფლისაჲ“, პიტიახში საქვეყნოდ გამრიგე მოხელის სახელი იყო, ამნაირადვე „ერისთავნი სოფლებისანი“ აქ სპარსული სამოხელეო ტერმინის ქართულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ გამოსარკვევი გვაქვს საკითხი ამ ტერმინის მაშინდელი მართლწერის შესახებ, მთავრისა, ერისმთავრისა და ერისთავის ტერმინების გარეგნულა, ფონეტიკური დიფერენციაციის შესახებ: შესაძლებელია, თუ არა, რომ ერისმთავარი და ერისთავი ამ ხანაში და თვით VIII—IX სს-მდე „ერისთა-

ვი“-ს ფორმით ყოფილიყო და აქ გარეგან განსხვავებულობაში ფუნქციათა სხვაობაც ხომ არ ჩანს?

იოანე საბანისძე ამ ხელისუფლების აღსანიშნავად ამ ტერმინს ძველი სახეობითვე ხმარობს. ადგილობრივი ხელისუფლების მაშინდელ წარმომადგენელს ის „ერისმთავარი“ უწოდებს: „ერიმთავარი იგი ქართლისა სახელით ნერსე ძმ აღრნერსე კურაპალატისა და ერისმთავრისა მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა... ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს“ (წამებაჲ ჰაბოასი, 15). ჰაბო ტვილელმა ბაღდადიდან „ინება წარმოსვლაჲ თვისი აქა ერისმთავრისა მის ნერსეს თანა“ საქართველოშიო (იქვე, 15). ნერსეს ქართლითგან გახიზვნის შემდგომ იოანე საბანისძის სიტყვათ მაჰლი ამირამ დაადგინა „სტეფანოზ ძე გურგენისი... ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლად“ (იქვე, 20), რომლის „ერისმთავრობასა“-ვე უწამებიათ ჰაბო (იქვე, 20). აფხაზეთის მმართველსაც ჩვენი ისტორიკოსი მთავარს ეძახის (იქვე, 18, 20, 21). ამიტომ ორიოდვე სხვა ადგილას ნახმარი ფორმა „ერისთავი“ (იქვე, 17, 25) მერმინდელი გადამწერის უნებლიეთ შესწორებად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ამაწიად ირკვევა, რომ IX ს-მდე ამ ხელისუფლებას „ერისმთავარი“ ჰქმევია. ამაზე გაცილებით უწინარეს კი მისი უფლება-მოვალეობა მართოქარისუფროსობით არ ამოიწურებოდა და დიდი ხანი იგი საქვეყნოდ გამრიგე მოხელედ იყო ქცეული, რასაც სხვათა შორის ლ. მროველის თხზულებაში დაცული ტერმინი „ერისთავნი“, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას „ერისმთავარნი სოფლებიანი“-ც ცხადყოფს. მაშასადამე, ერისმთავრის პირვანდელი უფლების გაფართოებას ამ თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინის ფონეტიკური ცვლილება არ გამოუწვევია და ლ. მროველის ზემომოყვანილ ცნობაში „ერისთავნი სოფლებისანი“ უნდა ან მერმინდელი გადამწერის დამახინჯებული იყოს, ან თვით ლ. მროველის მიერ თავის დროის შესაფერისად იყოს ნახმარი.

## თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

### წოდებანი, სოციალური უთანასწორობა

სტრაბონის აღწერილობის განხილვის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მოსახლეობის მთელი ერთეულისაგან ცალკე წრედ გამოყოფილი იყვნენ ქურუმნი. არაფერი ჩანს იმის მომასწავებელი, რომ აქ წოდებრივობასთანა გვაქვს საქმე. საფიქრებელია, რომ მაშინ ქურუმობა გარკვეულ საგვარეულოებში იყო, მაგრამ რასაკვირველია ამ საგვარეულოს ყოველი წევრი ქურუმში არ იქნებოდა. ეგების იმ დროსაც ქურუმთა წრისა და დანარჩენი მოსახლეობის, მთელი ერის ისეთივე დაპირისპირება ყოფილიყო, რომლის გამოხატულებაც იაკობ ხუცესის თხზულებაში გვაქვს და შუშანიკის ერთ-ერთ სიტყვაშია მოქცეული. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შუშანიკის მწარე საყვედურში ნახმარი გამონათქვამები: „არცა მღღელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისაკაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“-აო (წამებაჲ შუშანიკისი, 710-13). შუშანიკის ამ სიტყვიდანა ჩანს, რომ მაშინ მთე-

ლი ერი, ხალხი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდა, რომლითგან ერთს „მ დ ღ ე ლ-თ ა გ ა ნ ნ ი“, ანუ სამღვდელოება ეკუთვნოდა, მეორეს კიდეც „ე რ ი ს კ ა ც-ნ ი“. იაკობ ხუცესის თხზულებითგან და ევსტათე მცხეთელის მარტილობითგანაც არა ჩანს, რომ V—VI სს-შიც სამღვდელოების წოდება ყოფილიყო.

ქართული ეკლესიის სათავეში იდგა „თავი ეპისკოპოსთა“ (იაკობ ხუცესი, წმბა შუშანიკისი, 2027). ქართველი მატრიანების ცნობით ვახტანგ გორგასლის დროს ამ ქართლის მთავარეპისკოპოსს „კათალიკოზის“ წოდებულება მიენიჭა და ამით თითქოს ქართული ეკლესიის თვითმწყობა იწყება. მთავარეპისკოპოსს ან კათალიკოზს ყველა სამწყსოს ეპისკოპოზები ემორჩილებოდნენ. ამ დროს და კიდეც IX ს-მდე ქართულ ეკლესიაში ყველა ეპისკოპოსნი „ცოლო სანნი“ ანუ ცოლშვილიანი იყვნენ. იაკობ ხუცესს მართლაც აღნიშნული აქვს, რომ შუშანიკის სანახავად მივიდნენ „თავი იგი ეპისკოპოსთა სამოველ და იოვანე ეპისკოპოსი“ და „სახლეულითურთ თანაყოფით იყვნეს“ (წმბა შუშანიკისი, 2027-28). ხოლო აფოც ეპისკოპოზზე ნათქვამი აქვს, რომ შუშანიკი მას მადლობას უხდიდა „ვითარცა მამასა და მამამძუძესა“ (იქვე, 2126-28).

ეპისკოპოზებს „ხუცესნი“ ექვემდებარებოდნენ და „დიაკონნი“ (იქვე, 57, 923, 106, 1126, 1324 და სხვაგანაც). ევსტათე მცხეთელის მარტილობაში იხსენიება „არქიდიაკონი“, რომელიც „სჯულისამეცნიერი“ იყო და, როგორც ეტყობა, ამ თანამდებობის პირთა მოვალეობას სწორედ საღმრთო სჯულის სწავლება შეადგენდა (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 316). იაკობ ხუცესის სიტყვებითგან და ევსტათე მცხეთელის მარტილობიდანა ჩანს, რომ ეპისკოპოზსა, ხუცესსა და დიაკონს შორის დამოკიდებულება მარტივი და სათნოებით აღსავსე სუფევედა.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა მოეპოვება. მას ნათქვამი აქვს: „მეფობდა ფარსმან სხუაჲ და კათალიკოზი იყო დასაბია მკვდრი მცხეთელი და აქათგან ორთა სახლთა აღიდეს კათალიკოზობაჲ მცხეთელთა მკვდრთა“ (Опис., II, 723). ამ ცოტა არ იყოს ბუნდოვანი წინადადებითგან ცხადადა ჩანს, რომ განსაზღვრულ დროითგან ქართლისა კათალიკოზობა მცხეთელ „მკვდრთა“ სახლს ანუ საგვარეულოს ჩაუგდია ხელში და ალბათ ერთ-ერთი ამ ორი საგვარეულოს შვილთაგანი ჯდებოდა ქართული ეკლესიის საკათალიკოზო საყდარზე. თუმცა ამ შემთხვევაში პირდაპირი მემკვიდრეობის წესის არსებობა არ შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგრამ დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნისას მაინც მოგვაგონებს და საგვარეულო მემკვიდრეობისას მაინც უახლოვდება. სამწუხაროდ, ამ ადგილას „მქცა ქა“-მატიანეს ცნობები ქრონოლოგიურად არეული აქვს, მაგრამ მოთხრობის შემდგომითი შემდგომადობით ცხადი ხდება, რომ ეს ამბავი VI ს. დამდეგს არის ნაგულისხმევი. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ ორკვევა, რომ VI ს-ში გვაროვნულ პრინციპს ქართული ეკლესიის წესწყობილებაში გზა გაუკაფია და ქართლისა კათალიკოზობა „მცხეთელთა მკვიდრთა“ ორ „სახლს“ ანუ საგვარეულოს ჩაუგდია ხელში. შესაძლებელია ამ დროს სამღვდელოება წოდებად ყოფილიყო ქცეული.

სტრაბონის აღწერილობიდანა ჩანს, რომ I ს. ქ. წ. სოციალური უთანასწორობის მხოლოდ მცირე ჩანასახი იყო. მარტო მეფესა ჰყოლია მონები,

რომელნიც მას ემსახურებოდენ ყველაფრით, რაც ცხოვრებისათვის საჭირო იყო. ამ უკანასკნელი ცნობის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მეფის მონები (βασιλικοι δούλοι) მეფეს სასოფლო და სხვაგვარი მეურნეობის ყველა იმ ნაწარმოებს აწვდიდენ ხოლმე, რომელიც ადამიანის არსებობისათვის საჭიროა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი მიწაზე იხდნენ და მიწისმოქმედებასა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებსაც მისდევდნენ. მოსავლის გარკვეულ გადასახადს იხდიდენ მეფის სასარგებლოდ, თუ სხვანაირად იყო საქმე მოწყობილი, არა ვიცით რა.

ცხადია, რომ რაკი მარტო მეფეს ჰყოლია მონები და დანარჩენი მთელი მოსახლეობისაგან მონათა-მფლობელობის შესახებ სტრატონი არაფერს ამბობს, მონები მაშინ აღმოს. საქართველოში მრავალიცხოვანნი არ უნდა ყოფილიყვნენ. ამ გვარად სოციალური უთანასწორობის მხოლოდ ჩანასახი ყოფილა და მთელი იბერიის მოსახლეობა თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ყოფილა.

სულ სხვა სურათი გვეშლება თვალწინ V და VI სს. ქ. შ. ქართული საისტორიო ძეგლების მიხედვით. იაკობ ხუცესის სიტყვებით 472 წელს მომაკვდავი შუშანიკის სანახავად „აზნაურნი დიდ-დიდნი და სეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (წამებად შუშანიკისი, 20<sub>33-35</sub>). მაშასადამე, „სოფლისა ქართლისა“, ანუ ქართლის სამეფოს მოსახლეობა ორ მთავარ ჯგუფად ყოფილა ამ დროს დაყოფილი: ყოფილან აზნაურნი და უაზნონი“. მარტო ის გარემოება, რომ „უაზნო“ წარმოადგენს „აზნაურ“-ის უარყოფით წარმოებას, ცხადჰყოფს, რომ ამ შემთხვევაში „აზნაური“ წოდებრივობის აღმნიშვნელი ტერმინი არ უნდა იყოს. ეს დაკვირვება რომ სრულებით სამართლიანია, ამას იაკობ ხუცესის ნაწარმოების ძველი სომხური თარგმანიც ამტკიცებს (ამ სომხური თარგმანის შესახებ იხ. ჩემი „ისტორიის მიზანი“, წიგნი, I, მე-2 გამ., გვ. 20—24), სადაც ზემომოყვანილი წინადადების შესატყვისად ნათქვამია: „აყათჳ ს ანაყათჳ აქსარჩჳ ჴრავ“ (შიქხრჳ ჯაქ. წ. გვ. 52), რაც ისევ ქართულად, მაგრამ თანამედროვე ენით ნათარგმნი იქნება: თავისუფალნი და არა თავისუფალნი (უთავისუფლონი) ქვეყანისა ქართლისანიო. მაშასადამე „აზნაური იმ დროს თავისუფალსა ჰნიშნავდა.

ასეთი მნიშვნელობით არის ქართული „აზნაური“ სომხურითგან ნათარგმნი თხზულებებშიაც. მაგ., ატომისა და მოყვასთა მარტივობაში ნათქვამია: „ქვეყანით სომხითით მოწვევულ არიან აქა აზნაურნი“ (გვ. 233b). რაც უდრის სომხური დედნის *აქსარჩჳ ჯაქიგ აქარ რახაქ ხს აყათჳ* (შიქ. ჯაქ. XIX, გვ. 71),—ან კიდევ „მონათა ჩემთა, აზნაურთა და ჩინებულთა მვედართა მიმართ ქვეყანისა სომხითისათა“ (იქვე, გვ. 234a), რომლის შესატყვისად დედანში სწერია: *ათ... ბარაკჳ ძხრ, ათ აყათჳ ს იამქჳ ჩხბხაქ ჯაქიგ აქსარჩჳ* (იქვე, გვ. 72).

მაშასადამე, ტერმინი „აზნაური“ ჯერ კიდევ V—VIII სს-ში თავისუფალსა ჰნიშნავდა, „უაზნო“ უთავისუფლოს. მაგრამ ამ სიტყვის ძირითადი და პირ-

ველადი მნიშვნელობის გამორკვევა მისი აგებულობის ანალიზის საშუალებით შეიძლება. ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსემ აღნიშნა, რომ ქართულ ტერმინს „აზნაური“ უნდა სომხურ *սզն* „აზნ“-თან კავშირი ჰქონდეს (იხ. Description géographique de la Géorgie, 7) პროფ. ნ. მარბა კი ეს ტერმინი სომხური *սզն* აზნ-ისა, რომელიც გვარსა ჰნიშნავდა, და „ურ“, ან „ვერ“-ისაგან წარმომდგარად მიიჩნია. ური, ან ვერი შვილსა ჰნიშნავსო (Физиолог. ТР, VI, 81). ამგვარად აზნაურის პირველადი მნიშვნელობა გვარის შვილი, გვარიანი უნდა ყოფილიყო.

ნ. მარბის ეტიმოლოგია, მნიშვნელობის განმარტების მხრით, დაახლოებით სწორი უნდა იყოს და აზნაური თითქოს მართლაც გვარის შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, მაგრამ ამ ტერმინის პირველი ნაწილი მართლა „აზნ“-ისაგან არის წარმომდგარი, როგორც მარბი ფიქრობდა? მაშინ საითგან გაუჩნდა მას ბოლოში „ა“-ნი (აზნა-ური)? ამას გარდა, ის გარემოება, რომ „აზნ“ ძირისაგან ნაწარმოები წოდების აღმნიშვნელი ტერმინი თვით სომხურში არ ასებობდა, ამ აზრს საექვეო და ჰხდის. „აზნ“-ის ეტიმოლოგიაც სომხურში გამოურკვეველია და არც პროფ. ჰებშმანს, არც პროფ. ნ. მარბს მისი განმარტება არ მოუპოვებთ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მეგრულში ეს ტერმინი წარმოდგენილია „ზინო-ს-ქუა“-ს, „ჟინო-ს-ქუა“-ს და „ჩინო-ს-ქუა“-ს სახით (იხ. იოს. ყიფშიძის Грам. мингр. языка, 393, სქუას ქვეშე). ამ სამ ფორმათაგან უეჭველია პირველი „ზინო-ს-ქუა“ უძველესი უნდა იყოს. ეს სიტყვა აზნაურს აღნიშნავს, მაგრამ აგებულობით „ზინო-ს-ქუა“-სა ჰნიშნავს, ე. ი. აქაც სამწერლობო ქართულის მსგავსად ბოლოში ხმოვანია, „ო“-ნი, რომელიც ალბათ უკუქცევითი ასიმილაციის წყალობით არის პირველადი „ა“-ნისაგან წარმომდგარი. ამნაირად ამ ტერმინის პირველად სახედ უნდა „ზინა-ს-ქუა“ ვიგულისხმოთ. ქართული სამწერლობო ენის „აზნაური“—საგან ის თავისი შუა ხმოვნით „ი“-ნითა და ბოლოვიდური „ური“-თ განსხვავდება. ამას გარდა მეგრულ ტერმინს თავიკიდური „ა“ არ აბადია. იქნებ შემთხვევითი მოვლენა არ იყოს და მართო თავისი ხელოვნურად შეთხზული თეორიის გამართლების სურვილით არ აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ლ. მროველს „აზნაური“ აზონაური-საგან წარმომდგარად მიაჩნდა, იქნებ ხალხურ გამოთქმაში მართლაც არსებობდა აზონაურის მსგავსი ფორმა, მაგ. აზანა — ური, ან აზინა — ური. მეგრული „ზინო — სქუა“ ამნაირად ძველი ფორმის ნაშთი იქნებოდა.

ეხლა რომ საქმე ამ ტერმინის ეტიმოლოგიაზე მიდგეს, საფიქრებელი ხდება, რომ ამ სიტყვის პირველი ნაწილი „ზინა“, ან „აზინა“ უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ იგი სპარსულში ახემენიანთა დროითგან გავრცელებულ ტერმინს „ზინა“-სთან იყოს დაკავშირებული, სადაც ეს ტერმინი გვაროვნობათა კავშირსა და ერსა ჰნიშნავდა. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ „აზინა“-ს თავიკიდური „ა“-ნის პირველადობისა და ბუნების საკითხი გამოსარკვევია, ამ თავიკიდურ ხმოვანს მოკლებული მეგრული „ზინო-ს-ქუა“-ს ფორმა ხომ უფრო ძველს სახეს არ იცავს, ან აზნაური პირველად საზანო-

ური-საგან არ არის წარმომდგარი, რომელშიაც საზნანო სა-გვარეულო-ს მსგავსი წარმოება იყოს?

ამნიარად „აზნაური“ თავდაპირველად გვაროვნობათა კავშირის, ერის-შვილის (ე. ი. „პეროვანის“ მსგავსი ტერმინია), ან გვარის შვილის ილმნიშ-ვნელი უნდა ყოფილიყო და ამასთან დაკავშირებით თავისუფალის მნიშვნელო-ბაც ჰქონია. აქედან ცხადი ხდება, რომ მაშინ თავისუფალი მხოლოდ ის იყო, რომელიც რომელიმე საგვარეულოს შვილად ან წევრად ითვლებოდა. ხოლო ვინც უაზნო, ე. ი. უგვარო იყო, უცხო ქვეყნიდან შემოხიზნული, თუ: ტყვედ წამოყვანილი, ის თავისუფალი არ ყოფილა. მა-შასადამე, თავისუფლებისა და უთავისუფლობის შესახები ცნება მთლიანად გვაროვნული წესწყობილების ცნებათა ნიადაგზეა დამყარებული და თვით ტერმინიც „აზნაური“ და „უაზნო“ იმავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს. იმ დროს უაზნოთა წრეს ალბათ ის მეფის მონები ეკუთვნოდენ, რომელთა შესა-ხებაც სტრაბონსა აქვს ცნობა.

მაგრამ იაკობ ხუცესის ზემომოყვანილ ცნობას თუ ჩავუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ტერმინს „აზნაური“ V ს-ში მარტო ასეთი ზოგადი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონოდა, არამედ უკვე სპეციალური ცნების აღმნიშვნელიც უნდა ყოფი-ლიყო. ამ გარემოებას გამონათქვამი „აზნაური დიდ-დიდნი“ ცხადყოფს, რადგან დიდი აზნაური თავისდათავად ჩვეულებრივი, ან მცირე აზნაურის არსებობასაც ჰგულისხმობს და ამნიარად თვით თავისუფალი მო-სახლეობაც ერთნაირ და ერთიან სოციალურ ერთეულად აღარ გამოდის. არამედ უფროს-უმცროს ერთეულებად დაყოფილი ჩანს. ამის გამო უეჭვე-ლი ხდება, რომ „აზნაური“ V ს-ში და რასაკვირველია, ამ აზნ-გაცილებით უწინარესაც უკვე წოდებრივობის აღმნი-შვნელი ერთი ტერმინთაგანიც იყო.

V ს-ში დიდ აზნაურს მრავალრიცხოვანი ამაღა, აზნაურნი, საკუთარი მსახურნი და მონებიცა ჰყავს. იგი უფალია, მისი მეუღლე დედოფალი. აი-მაგ., რა ცნობები აქვს ამის შესახებ იაკობ ხუცესს.

მისი სიტყვით ქართლისა პიტიახში „უფალი“ იყო და ასევე უწოდებ-ნენ მას ყველა ხელქვეშეთნი, მათ შორის სამღვდლო პირნიც. იაკობ ხუ-ცესის სიტყვით ერთმა მღვდელმა ვარსკენს უთხრა: „უფალო, რამსა ეგ-რე იქმ და იტყუ ეგრეთ ბოროტსა“-ო (10<sub>32-33</sub>).

ქართლისა პიტიახშის ვარსკენის მეუღლეს, შუშანიკსაც იაკობ ხუცესი ყველგან „დედოფალს“ უწოდებს (18<sub>25</sub>). შუშანიკისათვის მას მაგ. უთქვამს: „ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ“ (4<sub>8-10</sub>). ამავე ავტორის მოთხრობილი აქვს: მო-ციქული „შევიდა წინაშე შუშანიკისა დედოფლისა ჩუენისა“ (2<sub>20</sub>). თავის თავზეც მისი მოძღვარი ამბობს: „მეტა ხუცესი დედოფლისა შუშა-ნიკისი“ (3<sub>20-23</sub>). შუშანიკის სასახლესაც მისი მაზლი ჯოჯიკი „სახლსა მას სადედოფლოსა“-ს ეძახის (6<sub>28-29</sub>).

დიდი აზნაურის სახლობის წევრებსაც V ს-ში თავი-ანთი განსაკუთრებული სახელი ჰქონიათ: ქალების სახე-ლად, როგორც ეტყობა, ყოფილა „სებურნი დედანი“ და „სეფე ქა-



ლ 0“, რომელთაგან პირველი შემდეგში „ზეპურ“-ად დამახინჯდა, ვაჟებს კიდევ „ს ე ფ ე-წ უ ლ ი“ ეწოდებოდათ. ევსტათე მცხეთელის მარტივობის ავტორს სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ VI ს. შუა წლებში სპარსეთში მიმავალი ქართლისა მარზპანის გასაცლილებლად მისულან „ქართლისა მთავარი... და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიანში და სხუანი ს ე ფ ე წ უ ლ ნ ი“ (საქართველოს სამოთხე, 315).

რას ჰნიშნავდა „ს ე ფ ე“? როგორც პროფ. ნ. მარსს გამორკვეული აქვს, ამის მსგავსი ტერმინი სომხურშიაც არსებობდა, რომელიც „სეპუჰ“-ად (*სეპუღ*) გამოითქმოდა. თავის მხრით სომხური „სეპუჰ“ სპარსულისაგან შეთვისებულ სიტყვას წარმოადგენს. სპარსულად „ვისოპუთრა“, ან „ვისპურ“ სახლის შეილსა ჰნიშნავდა (იხ. ნ. მარსის წერილი ЗВОРАОН, ტ. V, გვ. 286—9 და ტ. XI, გვ. 165—170). სომხურსა და ქართულში ამ სპარსულ ტერმინს თავიკიდური „ვი“ მარცვალი აქვს ჩამოცილებული.

ნ. მარსი ფიქრობდა, რომ ქართულს ეს ტერმინი სპარსულისგან სომხურის საშუალებით უნდა ჰქონოდა შეთვისებული. მაგრამ რაკი V ს. ქართველ ისტორიკოსს იაკობ ხუცესს ამ ტერმინის „სეპური ფორმა აქვს მოყვანილი, რომელიც სპარსულ „ვი-სპურ“-ს თავის დატული ბოლოკიდური „რ“-აეთი სომხურ *სეპუღ* „სეპუჰ“-ზე მეტად უახლოვდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი ქართულს სპარსულისგან უნდა ჰქონდეს ზეპირად შეთვისებული.

ეხლა თვით ამ სიტყვის მნიშვნელობა გვაქვს გამოსარკვევი. პროფ. ნ. მარსის აზრით სომხური „სეპუჰ“-ი და ქართული „სეფე“ სახლის მხოლოდ უფროსი შეილის აღმნიშვნელი იყო (იქვე). მაგრამ მისი სპარსული აგებულობის მიხედვით საფიქრებელია, რომ „სეპური დედანი“, ან „სეფექალი“ და „ს ე ფ ე-წ უ ლ ი“ საგვარეულოს ყოველი წევრის, ყოველი გვარის შეილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამ ტერმინის უცხო ენითგან შეთვისებულობის გამო ეს სიტყვა უეჭველია დიდ აზნაურთა გვარის შეილების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

მარტო ის გარემოებაც, რომ აღმოხ. საქართველოში „ზეპური დედანი“ ყოფილან და „სეფექალები“ იყვნენ, ცხად-ყოფს ნ. მარსის აზრის მტკიცობას, რათგან ქალთა ურთიერთშორის უფროსობას სოციალურ ცხოვრებაში არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონოდა. სომეხთა ისტორიკოსსაც მოსე ხორენელს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში სეფექალები მეფეთა ნათესაობის, შთამომავლობის წევრებს ეწოდებოდათ (*ჩე ვარძიქე ქაფაღორავ აოაჯნიე. ირყეა ს თქიქ ლკავ აჯაჰარჩუ, ირ სხიქილუნი კიჯიქა* (შათა. ჯ. II, ს), მამასადამე, სომეხთა ისტორიკოსის ცნობით მეფეთა შთამომავლობის წევრების აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა მოსე ხორენელის დროს. ამისდა მიხედვით ტერმინი „ს ე ფ ე წ უ ლ ი“ უდრის „უფლისწულ“-ს. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მეორე მთლად ქართული ტერმინია, პირველი-კი სპარსულ-ქართული. მამასადამე, ქართულში ამ სპარსულ ტერმინს. თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაუკარგავს და „სეფე“ სახლი შეილისა კი არა, არამედ უფლის აღმნიშვნელი გამხდარა. ამ დე-

ბულებას ტერმინი „სე ფ ი ს კ ვ ე რ ი“-ც ამტკიცებს, რომელიც უფლის კვერსა ჰნიშნავს რასაკვირველია და არა სახლისუფროსი შვილის კვერს, როგორი მნიშვნელობაც ამ სიტყვას უნდა ჰქონოდა, ნ. მარის განმარტება რომ სწორე ყოფილიყო<sup>5</sup>.

პირველად როდის უნდა ქცეულიყო „აზნაური“ წოდებრივობის აღმნიშვნელ ტერმინადაც, დანამდვილებით თქმა ძნელია, მაგრამ დიონ კასიოსის სიტყვით იბერიის მეფე ფარსმანი თანამეცხედრითურთ რომ აღრიანე კეისარს სწვევია სტუმრად, კეისარს მარხის პიპოდრომზე ამ ქართველთა მეფისა, მისი შვილისა და „სხვა პირველ იბერთა“ (τῶν τε ἄλλων πρῶτων Ἰβήρων) ჯირითი და იარაღით ვარჯიშობა უნახავს (Epit., LXIX., 15—ლათიმეფ, Scyt. et Caucasica, 622). მარკოზის სახარების 6<sub>1</sub> ქართულ თარგმანში ბერძნული πρῶτοι-ს. „პირველთა“ და სომხური *ძեծამსեք*-ის შესატყვისად ნახმარია „აზნაური“, ამიტომ იბადება სკაითხი, დიონ კასიოსის ზემომოყვანილ ცნობაშიც იბერიის პირველთა შესახებ ზომ აზნაურნი არ იგულისხმებინან. მაგრამ სკაითხი საქართველოში წოდებრივობის წარმოშობისა და განვითარების საფეხურების შესახებ I—VII სს-ში მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

დიდ აზნაურთა ხელქვეშეთ აზნაურთ გარდა V—VI სს. ძეგლებში იხსენიებიან კიდევ „მსახურნი“, „საკუთარნი“ და „მონამკვეცალნი“. აი მაგ. იაკობ ხუცესს რა ცნობები აქვს თავის თხზულებაში:

ვარსქენ პიტიახში რომ „მოიწია... საზღვართა ქართლისათა ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო რამთა აუწყოს და წინამოეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი... და წარმოჰმართა სადიასპანოათა ცხენითა მონათვისი“ (იაკობ ხუცესი. წამებად შუშანიკისი, 212-16). ქართლისა პიტიახშის ამაღისა და მახლობელთა წრის შესახებ რომ სრული ცნობები გვექონდეს, უნდა ვიცოდეთ, რომ მას ჰყავდა აგრეთვე „საკუთარნი“. ისტორიკოსის სიტყვით განრისხებული პიტიახშის გაბოროტებული გული თურმე სწორედ მან დაამშვიდა, როდესაც „ჰრქუავინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან“, რომ დიდ მარხვის დროს შუშანიკის დევნისათვის თავი დაენებებინა.

ვარსქენის ძმის ჯოჯიკის შესახებ ნათქვამია, რომ შუშანიკის აღსასრულის მოახლოებისთანავე „წარვიდა და თანა წარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონამკვეცალნი მისნი“ შუშანიკის სანახავად ციხეში (1825-27). როცა მას უნახავს თავისი რძალი, ჯოჯიკს თურმე შუშანიკისათვის უთხოვნია: „მკურთხე მე და ცოლი ჩემი, მკვეალი შენი, და შვილნი ჩემნი და მონამკვეცალნი ჩემნი“ (1917-18). მას თავის მახლის ეს თხოვნა აუსრულებია. კიდევაც და „აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და მონამკვეცალნი მისნი და ყოველი ეზოა და პალატი მისი“ (2017-18).

აღსანიშნავია, რომ მონამკვეცლები VI ს. შუაწლებში სა-

<sup>5</sup> ნ. მარის შემდეგაც (იხ. Ж. М. Н. Пр. 1908 წ., მაისის № გვ. 219—220) თავისეზრის სიმართლეს იცავდა, მაგრამ სომხურის შესახებ ამის საწინააღმდეგო საბუთებობ. ნ. აღდნის Армения в эпоху Юстиниана, 472—473.

ქართველოში მართო აზნაურებს კი არ ჰყოლიათ, არამედ უფრო დაბალი წოდების წაჩმომადგენლებსაც მაგ. ხელოსნებსაც კი.

ევსტათი მცხეთელის მარტილობაში ნათქვამია, რომ როცა „წარემართებოდეს ევსტათი და სტეფანე ტფილისს, ჰრქუა ევსტათი სიდედრსა თვსსა და მონამკევეალთა თვსთა“, გზორდებით სამუდამოდ. ტფილისისაჲსაჲ გამგზავრებულ ევსტათეს თურმე „სახლეულნი, ნათესავნი და თვსნი მისტიროდეს უკანა“.

როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, სოციალური ცხოვრებისა და უაზნოთა ჯგუფის უმდაბლეს საფეხურზე „მონამკეველები“ იდგენ. „მკეველნი“ იგივე მონაა, მხოლოდ ქალი. აღსანიშნავია, რომ უაზნოთა, ანუ უთავისუფლოთა ჯგუფში, არსად V—VIII სს. ძეგლებში „ყმათა“ ხსენება არ არის. თვით სიტყვა „ყრმაჲ“ მაშინაც იხმარებოდა, მაგრამ იმ დროს ეს ტერმინი მხოლოდ ბავშვს აღნიშნავდა. იაკობ ხუცესის სიტყვით სამოელ ეპისკოპოსსა და იაკობ ხუცესს რომ თათბირი ჰქონიათ, „მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ ვითარმედ „რაჲ გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“ (წამებაჲ შუშანიკისი, 9—10). „იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ“. (წამებაჲ შუშანიკისი, 12<sub>13-18</sub>). ამ წინადადებითგან ნათლად ჩანს, რომ იაკობ ხუცესს „ყრმა“ ყმაწვილის მნიშვნელობით აქვს ნახმარი ყველგან მის ნაწარმოებში. ამასვე ადასტურებს შუშანიკის პასუხიც, რომელიც მას ცოდვათა მიტევების მთხოვნელი ჯოჯიკისათვის მიუცია: „თუ შენ სხუად სახედ ყრმებრ არა რაჲ ჰქმენ ღმერთმან მოგიტევნეს შენ“-ო (19<sub>6-8</sub>). ე. ი. რაც შენ ბავშვობით, ანუ ყმაწვილობის დროს ჩაგიდენია, იმის ცოდვები გეპატიოსო, რადგან „ყრმებრ“ ჩადენილი ცოდვა ისედაც ცოდვად არ შეერაცხებოდა ადამიანს.

ამაზე უფრო საყურადღებო გარემოებაა, რომ „ყრმაჲ“, ან ყმაწოდების აღმნიშვნელ ტერმინად არც გეჩმინდელ VIII—IX სს-ის ძეგლებში გვხვდება. მაგრამ იმავე დროს ამ ხანაში საქართველოში მონების არსებობის შესახები ცნობები ჯერ მეტად იშვიათი ხდება, ხოლო მერმე სრულებით ქრება კიდევც.

ეს გარემოება ცხადი იქნება, თუ ადამიანი VIII—X სს. საისტორიო ძეგლებს გადაიკითხავს. მაგ. იოანე საბანისძის თხზულებაში ჰაბო ტფილელის შესახებ ნათქვამია, რომ ნერსე ერისმთავრის ქ. ბაღდადში ყოფნის დროს „შეეყო იგი მსახურად მისა“ და იქითგან საქართველოში წამოჰყვა (გვ. 15) ალბათ ვითარცა „მენჯლსაცხებლმჲ კეთილად შემზადებელი სულნელთა მათ საცხებელთა“ (გვ. 28). ნერსე ერისმთავარი რომ არაბთა დევნას გაჰქეცვია, თან ხაზართა ქვეყანაში წაუყვანია „ერიისაგან მისისაჲ ვითარსამასოდენ მამაკაც“, რომელთა შორის ჰაბო ტფილელიც ყოფილა, უეჭველია როგორც მსახური (გვ. 17). ხოლო „დედამ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი“ ნერსეს აფხაზეთში გაუგზავნია ხიზნად (გვ. 18). „მონამკეველები“ აქ არა ჩანან, იმგვარადვე როგორც ყმები.

გრიგოლ ხანძთელი წოდებრივად დიდებული აზნაურის შვილი იყო და როდესაც მისი დედა თავის ძეს, ამ დროს უკვე განთქმულ სამონასტრო მოღვაწესა და კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტს ეწვია, ის თურმე „წარმოვიდა საქედრითა და თანა იყვნეს მსახურნი მისნი, მამანი და დედანი“ (გ. მერჩული, გვ. ლდ). გრიგოლის დედამ თავის ძეს „თანამოსრულნი იგი სახლეულნი თუსნი შეჰვედრნა“ და სთხოვა: „ჩემდა მსგავსად ესენი გვედიან, შვილო, რომელთა გულმოდგინედ მსახურებაა ჩემი თავს იღვეს“-ო. ამის საპასუხოდ ხანძთელ მამას ტიმოთეს I ეპისტოლეს 5,8 დაუმოწმებია: „უკუეთუ ვინმე თუსთა და უფროსს სახლეულთა არა იღუწიდეს ეგვეითარსა მას სარწმუნოებაა უვარ-უყოფიეს“-ო (ცა გვლ ხნძთლსა, გვ. ლე).

მხოლოდ აშოტ დიდი კურაპალატის სატრფოს, გ. მერჩულის სიტყვით, „მკვევალნი“ უნდა ჰყოლოდა არტანუჯის ციხეში. როდესაც გრიგოლ ხანძთელი იქ მივიდა და მისი ნახვა მოისურვა, აშოტის სატრფო გრიგოლთან „ორთა თანა მკვევალთა თუსთა“ თანხლებით მოვიდა. როგორც მოთხრობის შემდეგი მიმდინარეობითგანა ჩანს, ეს ორი მკვევალი მისი „მსახურნი დედანი“ ყოფილან (ცა გვგლ ხნძთლსა, გვ. ნვ). როცა კურაპალატის ამ სატრფოსთან მოლაპარაკების შემდგომ, იგი დედათა მონასტერში შესვლაზე დაიყოლია, გრიგოლ ხანძთელმა „უბრძანა მკვევალთა მათ მისთა წარსლვაჲ ციხედვე“ (იქვე, ნზ.)

ზემოაღნიშნული გარემოება საქართველოს სოციალური ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანია. სრული სიცხადით ირკვევა, რომ საქართველოში I—VII სს-ში მხოლოდ მონობა იყო, პატრონყმობა მაშინ არ არსებობდა. X სს-ის მეორე ნახევრით განკისაქართველოში მართო პატრონყმობა-და იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა, უკვე აღარ არსებობდა. ამ მხრივ I—VII სს-ის საქართველოსა და X—XIII სს. საქართველოს სოციალურ წესწყობილებას შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ყველას კარგად გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს. VII—IX სს-ში მონობის ხსენება ქრება, მაგრამ პატრონყმობა ჯერ არ არის. ამ ხანას გარდამავალი ხანის თვისებები აქვს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი სოციალური დამოკიდებულება სუფევდა მაშინ უფალთა და იმ მსახურთა, ან სახლეულთა შორის, რომელნიც ამ დროს ძეგლებში მოხსენებული არიან. ძეგლების სიმცირე ამ საგულისხმო საკითხის გაშუქებას ამჟამად აძნელებს, მაგრამ მომავალში იმედია ახალი მასალები აღმოჩნდება და ამასაც შუქი მოეფინება.

ქართული სამართლის  
ისტორია

წიგნი მეორე

ნაკვეთი პირველი



## პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

ქართული სამართლის ისტორიის მეორე წიგნი სრულიად საქართველოს სამეფოს ეხება IX ს. მოყოლებული. მისი წინაარსი XV ს-მდე არსებულ წყაროებზეა დამყარებული იმდენად, რამდენადაც იქ ქართული სამართლის ძირითადი დაწესებულებანი მოჩანან. მაგრამ ამ მეორე წიგნში განხილული არ არის ის, რაც ქართულ სამართალს XIII ს. მოყოლებული შეეძინა მონღოლთა ბატონობის წყალობით, არც ის ცვლილებებია აღნუსხული, რომელიც ამავე მიზეზის გამო ქართულ სამართალს დაეტყო. ყველა ეს საკითხები მესამე წიგნში იქმნება განხილული. ამ მეორე წიგნის პირველ ნაწილში სახელმწიფო სამართლის მხოლოდ ორი თავია მოთავსებული, სახელდობრ მიწა-წყლისა და მოსახლეობის შესახები (პირველი თავი) და მოხელეობაზე (მეორე თავი). სახელმწიფო სამართლის დანარჩენი თავები, ისევე როგორც სასხლის, სამოქალაქო სამართლის და სასამართლოს წარმოება მეორე წიგნის მეორე ნაწილშია განხილული. წინამდებარე პირველი ნაწილი პირველად 1919 წ. დაიბეჭდა ქუთაისში შეცდომით ქართული სამართლის ისტორიის პირველი წიგნის სათაურით „მეორე წიგნის პირველი ნაწილი“-ს მაგიერ, ეხლანდელი გამოცემა პირველი გამოცემისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება, რადგან 1919 წ. შემდგომ იქ განხილული საკითხების შესასწავლად არავითარი ახალი წყაროები არ აღმოჩენილა და არც რაიმე გამოკვლევა ყოფილა გამოქვეყნებული. პირველ გამოცემასთან შედარებით ამ მეორე გამოცემას ვრცელი საძიებლები აქვს დართული.

ჩემ თავს მოვალედ ვრაცხ უღრმესი მადლობა მოვახსენო დოც. ს. ყაუხჩიშვილსა და ლექტ. ს. ჯანაშიას ამ წიგნის ბეჭდვის დროს თვალყურის დევნებისა და კორექტურების გასწორების ტვირთის გაზიარებისათვის. დიდად ვმადლობ აგრეთვე უნივ. დატოვებულებს ნ. ბერძენიშვილს, ლევ. მუსხელიშვილს და იასე ცინცაძეს, აგრეთვე გ. გოზალიშვილს სარჩევთა შედგენისათვის, ხოლო უნივ. კორექტორს გ. ათაბეგლიშვილს კორექტურების გასწორებისათვის.

ოვ. ჭავჭავაძე.

ტფილისი  
1928 წლის 25 აპრილს.

## პ ა რ ი პ ო რ ე ლ ი

### სახელმწიფო სამართალი

#### წინასწარი ცნობები

სანამ ბაგრატ III საქართველოს ერთ სამეფოდ შექმნიდა და დავით აღმაშენებელი ამ სახელმწიფოს სრულ გაერთიანებას დაამთავრებდა, ჩვენი ქვეყანა რამდენსამე პატარა სამეფოდ იყო დაყოფილი. კახთა და ჰერეთის სამეფო აღმოსავლეთით, უკვე გაერთიანებული აფხაზთა მეფეთა საბძანებელი, რომელიც ლიხის მთამდე იყო გადმოკმული, დასავლეთით, დასასრულ მესხეთისა და ქართლის მფლობელთა, „ქართუელთა მეფე“-დ წოდებულთა სამეფო,—აი ის პატარა ქართული სახელმწიფო ერთეულები, რომელთაც თავიანთი საზოგადოებრივი წესწყობილებაც ჰქონდათ და სახელმწიფო დაწესებულებანიც. შეუძლებელია საერთო თვისებებს გარდა მათ ადგილობრივი, კუთხებრივი თავისებურებაც არ ჰქონოდათ, ზოგ რაშიმე განსხვავება არ ყოფილიყო. საქართველოს გაერთიანების დროს რასაკვირველია საერთო სახელმწიფო წესწყობილება და დაწესებულებანი შეიქმნენ. ამ საერთო დაწესებულებათა შექმნის დროს უეჭველია საქართველოს ყველა შემადგენელ ნაწილს თანასწორი მნიშვნელობა არ ექნებოდათ, არამედ სხვებზე ძლიერი კულტურულად და სახელმწიფო წესწყობილებით თავის გავლენით დანაჩინთ თავისას შეათვისებინებდა. მაგრამ ამისდა მიუხედავად სრულებით ცხადია, რომ საქართველოს შემადგენელი თვითოეული ნაწილთაგანიც სახელმწიფოს ხუროთმოძღვრებაში ცოტად თუ ბევრად საკუთარ წვლილსაც შეიტანდა. ამას გარდა გაერთიანებული საქართველოს საზოგადო სახელმწიფო დაწესებულებანი ადგილობრივ თავისებურებას მთლად ვერ მოსპობდენ და ზოგი რამე მაინც წინადროითგან საქართველოს თვითოეულ ნაწილთაგანს შენარჩუნებული ექნებოდა.

სამწუხაროდ, თვითოეულის ამ ქართველთა სამეფოთაგანის სახელმწიფო წესწყობილების შესასწავლად საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება. ამ ხანის საბუთებს ჩვენამდის ან სრულებით არ მოუღწევია, ან იქნება ჭერ აღმოჩენილი არ არის. ამგვარადვე ჭერჭერობით დაკარგულად ითვლება „ცხოვრება აფხაზთა“ და სხვა ისტორიული თხზულებები აფხაზთა მეფეების შესახებ, რომელთა არსებობა ყოველგვარს ეჭვს გარეშეა (იხ. ისტორიის მიზანი, I). კახთა მეფეების მატიანეებიც დაკარგულია. არსადა სჩანს ტფილისისა და ქართლის კერძო მატიანეც (იქვე, I). ამის გამო ამ ხანის საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების შესასწავლად მხოლოდ „მატიანე ქართლისა“ არის. მაგრამ ცნობილია, რომ ამ ნაწარმოების ავტორი მეტად სიტყვაძვირი მოუბარია და მისი მოთხრობა მხოლოდ პოლიტიკურ ვითარებას გვისურათებს. ამასთანავე მისი უმთავრესი ყურადღება და



გულისყური საქართველოს გაერთიანების ისტორიისკენ იყო მიპყრობილი: მთელს თავის ძალას ამის აღწერას ალევს და რაკი გაერთიანებისათვის ბრძოლა უფრო რომ ქართლის გამოისობით გაჩაღებული ბრძოლა იყო (იხ. ქლი ერის ისტორია, II), ამიტომ მის მოთხოვნაში მთავარი ადგილი ქართლს უკავია, დასავლეთ საქართველოსა და კახეთს ნაკლებად ეხება, იმდენად, რამდენადაც იქ მომხდარი ამბები საქართველოს გაერთიანებასთან ასე-თუ ისე დაკავშირებული იყო. ამას გარდა მემპტიანეს ვითარცა ქართლელს თავისი თემის ამბები უკეთ სცოდნია, ვიდრე საქართველოს დანარჩენი ნაწილებისა (იხ. ისტორიის მიზანი, I).

წმინდათა და მარტულთა ცხოვრებანი, რომლებშიაც ხშირად ძვირფასი ცნობებია ხოლმე შენახული სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრებისა და სოციალური წესწყობილების შესასწავლად, განსაკუთრებით მესხეთისა და ქართლის სულიერ მოძღვართა მოღვაწეობას და თავგადასავალს გვისურათებენ. ჭერჭერობით არც ერთი ცა, ან მარტულობა აღმოჩენილი არ არის, რომ საკუთრივ აფხაზეთის, ან დასავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხის, ან კიდევ კახეთის მარტულსა და წმიდანს ეხებოდეს. ილარიონ ქართველის ცა სათვალავში მისაღები არ არის იმიტომ, რომ ის ბერძნულითგან არის ნათარგმნი. დავით გარესჯღის, ანტონი მარტომყოფელის, ამა ალავერდელისა და აბიბოს ნეკრესელის თავდაპირველს ცხოვრებაში შეიძლება ბევრი საყურადღებო და ძვირფასი ცნობა ყოფილიყო, მაგრამ ჭერჭერობით ეს პირვანდელი ცხოვრებანიც დაკარგულია.

ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ისტორიის იმ ხანის შესასწავლად, როდესაც საქართველო ჯერ გაერთიანებული არ იყო და ცალცალკე კახთა, აფხაზთა და „ქართულთა“ მეფეები და სამეფოები არსებობდნენ, ცოტად-თუ-ბევრად საკმაო ცნობები მხოლოდ მესხეთისა და ქართლისათვის მოგვეპოვება, დასავლეთ საქართველოზე უფრო ნაკლები ვიციით, ხოლო კახეთ-ჰერეთზე თითქმის არაფერია შენახული და კახეთის ქორეპისკოპოსების სახელებისა და ორიოდ პოლიტიკური ამბავის გარდა თითქმის არაფრის დასახელება არ შეგვიძლიან. სწორედ ამიტომაც არის, რომ ჩვენი ქლი სამართლის ისტორიის მეორე წიგნი იწყება საქართველოს გაერთიანების პირველი ხანითგან მოყოლებული და უკვე გაერთიანებულ, სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ეხება. წინა ხანის სხვადასხვა დაწესებულებათა ისტორია კი მხოლოდ იმდენად არის განხილული, რამდენადაც წყაროები მკვლევარს ამის საშუალებას აძლევენ.

## თავი პირველი

### მიწა-წყალი და მოსახლეობა

#### § 1. საქართველოს სახელმწიფოს მიწა-წყალი

უძველეს ქართულ მწერლობაში, როგორც უკვე გამოჩვენებულია (ქლი ერის ისტ., I), მიწა-წყლის აღსანიშნავად სიტყვა „სოფელი“ იხმარებოდა. ფაახლოებით VIII საუკუნიტგან მოყოლებული იმ ძველი ტერმინის მაგიერ

თანდათან ახალი სიტყვა „ქუეყანა“ შემოდის, რომელიც მალე გაბატონდა და ერთდერით საზოგადო ტერმინად იქცა. თუ წინათ იტყოდენ „აზნაურნი... სოფლისა ქართლისანი“-ო, ესლა უკვე ამბობდენ „ქუეყანა ქართლისა“ (ქ-ლი ერის ისტ., II). ეს სიტყვა ამიერითგან ქართულ მწერლობაში ერთდერით<sup>1</sup> საზოგადო ტერმინია მიწა-წყლის აღსანიშნავად. როდესაც სახელმწიფო მიწა-წყლის ცნების აღნიშვნა ჰყოლოდა, მაშინ საამისოდ „სამეფო ქუეყანა“, „სამეფონი ქუეყანანი“ იხმარებოდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაგ. ამბობს: დიდებული გვირგვინოსანი ხედავდა, რომ ღმერთი მას თმში ეწეოდა და „მოსცემდა სამეფოთა ქუეყანათა. ქალაქთა და ციხეთა“-ო (ც-ა მფ-სა დ-თსი, \*533, გვ. 299). ემათა-აღმწერელსაც ნათქვამი აქვს: „ქუეყანა სამეფო არა ვისგან იცეებოდის“-ო (\*806, გვ. 648). ხშირად ამავე ცნების გამოსახატავად მარტივად „სამეფო“-ც იხმარებოდა. ამისთანა შემთხვევაში „ქუეყანა“ თავისთავად იგულისხმება.

როგორ და როდის გაერთიანდა რამდენიმე სამეფოდ დაყოფილი საქართველო, ეს საკითხი პოლიტიკურ ისტორიას შეეხება და რაკი უკვე დაწვრილებით „ქ-ლი ერის ისტორია“-ში არის განხილული (II), ამიტომ აქ ამაზე ლაპარაკი მეტი იქმნებოდა. ქართული სახელმწიფო სამართლის განხილვის დროს უნდა მხოლოდ საგანგებოდ აღნიშნული იყოს, რომ გაერთიანების შემდგომაც, ერთ სრულიად საქართველოს სახელმწიფოს არსებობისა და მიუხედავად, ქართულ საისტორიო მწერლობაში წინანდებურად საქართველოს შესახებ ხშირად „სამეფონი“-ა ნათქვამი და არა სამეფო: მრავლობითად ითქმოდა მხოლოდობითის მავიერ. დავით აღმაშენებლის შესახებ მისი ისტორიკოსი მაგ. ამბობს, რომ „სლვასა შანა თვსთა სამეფოთასა... ვერ აღვილ მიემთხუროდიან მოჩივარნი“ და ამიტომ საგანგებო მოსამართლენი დააყენაო (ც-ა მფ-სა დ-თსი, \*555, გვ. 322—323), რომ „აქუნდა ყოვლით კერძო მშვიდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა“-ო (იქვე, \*564, გვ. 332) თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება ამტკიცებს, რომ მის დროსაც საქართველოს სახელმწიფო შეიდა სამეფოს შემცვლელად ითვლებოდა. გიორგი III-ემ სამეფო ტახტზე აბრძანებისთანავე „იპყრნა შარაყანდედნი მეფობისა[ნი] შეიდ სამეფოდ განწესებული[სანი]“-ო. (ისტნი და. აზმანი, \*597, გვ. 366). გიორგი მეფე რომ მიიცვალა: „შემყრელთა [დიდებულთა] შეიდთავე ამის სამეფოსათა“ თამარს მოაქსენეს და სთხოვეს საქართველოს სახელმწიფო ტახტი დაეპყრა (იქვე, \*623, გვ. 398). ისიც „მორჩილებდა პირველსავე ბრძანებასა დიდებულთა შეიდთავე სამეფოთასა“ და სამეფო ტახტზე დაბრძანდა (იქვე, \*624, გვ. 329). რიცხვი 7 რასაკვირველია სინამდვილეს არ შეესაბამება და თუ პატარა სამეფოებსაც ჩათვლით მეტიც გამოვა, ხოლო შეიდად აქ იმიტომ არის ნაანგარიშევი, რომ ბედნიერ რიცხვად ითვლებოდა და სხვაგანაც ამ მოსაზრების გამო შეიდად ანგარიშობდენ ხოლმე. უფრო საგულისხმო ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში ის ცხადი გარემოებაა, რომ საქართველო მისი ძლიერების

<sup>1</sup> თუმცა აქ-იქ XI—XII სს-შიც მწიგნობრულად იხმარება სიტყვა „სოფელი“ პირვანდელი მნიშვნელობით

ხანაშიც რამდენისამე სამეფოსაგან შეერთებულ სახელმწიფო სხეულად ითვლებოდა, თუმცა ერთი გვირგვინოსანის მბრძანებლობის ქვეშ.

შემკრებლობითი ცნების გამოსახატავად, როგორც ვიცით, ჯერ „ყოველი ქართლი“ ან „ერთობილი ქართლი“ იხმარებოდა (ქლი ერის ისტორია, II, გვ. 281), ხოლო უკვე XI საუკ.-ითგან მოყოლებული საზოგადო ტერმინად „საქართველო“ ან კიდევ „ყოველი საქართველო“ დაკანონდა. გიორგი მთაწმიდელს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ ათონის ივერთა მონასტრის ახალი წინამძღვრის „სათნოებთა სახელი და ღირსებაჲ ყოველსა საქართველოს განეფინა და არა ხოლო საქართველოსა, არამედ საბერძნეთსაცა“ (ცა იე და ეფთმისი, 62). „მატიანე ქართლისა“-შიც სწერია, რომ ბასილი კეისრის და გიორგი მეფის დროს „მეოტ სპანი საქართველოსანი“-ო (\*476, გვ. 250). ამის შემდგომ ქართულ მწერლობაში ჩვენი სახელმწიფოს ქვეყნის და მიწაწყლის აღსანიშნავად მხოლოდ ეს სიტყვა იხმარება (იხ. ქლი ერის ისტორია, II). ქართველი ქამთააღმწერელი ხშირად ხმარობს ამ სიტყვას. „ყოველნი მკვდრნი „საქართველოსანი“-ო, ამბობს იგი (\*850, გვ. 694). ვახტანგ უფლისწულს ყანმა „მოსცა მეფობა და ყოველი საქართველო“-ო (\*903, გვ. 744). მას აღნიშნული აქვს ყოველი საქართველოს საზღვრებიც: ვახტანგ უფლისწულმა გამეფებისთანავე „დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსიით დარუბანდამდე“-ო (\*903, გვ. 744).

სახელმწიფო ქვეყნის და სამეფოს რაოდენობა თავდაპირველად ვიწროდ შემოფარგლული თანდათან იზრდებოდა და ფართოვდებოდა. იმ ხაზს, რომლითაც სამეფო ან სათემო ქვეყანა მეზობელთა და მახლობელ ქვეყანათაგან შემოფარგლული და შემოზღუდული იყო, „საზღვარნი“ ეწოდებოდა. როცა სახელმწიფო მიწაწყლის ფარგლებზე იყო ლაპარაკი, მაშინ უფრო ნიშანდობლივ აღსანიშნავ სიტყვად იხმარებოდა „საზღუარნი სამეფოსანი“. იოანე საბანისძეს მოთხრობილი აქვს, რომ ჰაბო ტფილელმა შავი ზღვის ნაპირას, ბერძენთა მეფის საბრძანებელში „იხილა... ქუეყანაჲ“ მთლად ქრისტიანებით დასახლებული და „არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრ იპოების საზღუართა მათთა. რამეთუ საზღუართა მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ“ (ცა ჰაბოჲსი, 19). „მატიანე ქართლისაჲ“-ს სიტყვით აშოტ დიდი კურაპალატი „ეუფლა ქართლის საზღუართა მისთა“ (\*445, გვ. 219). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ დიდებული მეფის დროს „დღითი-დღე შემატებოდა საზღუართა სამეფოსათა“ (ცა მფსაღთსი, \*529, გვ. 296).

ქართველი ქამთააღმწერელიც ამბობს: მონღოლები „მოიწიენეს საზღვართა საქართველოსათა, ქვეყანა[დ] გაგისა“-ო (\*738, გვ. 559). იმავე მემატინეს მოწმობით, „წარვიდა ყაან ქვეყანად შარვა[ნ]შასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა რომელსა უწოდიან ჩალანუსური“ (\*844, გვ. 689).

იმავე მნიშვნელობით, როგორადაც „საზღუარნი“ იხმარებოდა, თუმცა უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც სიტყვა „ნაპირნი“-ც გვხვდება. „მატიანე ქართლისა“-ს აღნიშნული აქვს, რომ განძის მფლობელმა ფადლონმა „აღმოვლო... მუხნარსა და ქართლისა ნაპირნი“ (\*503, გვ. 273). აბუსე-

რიცხვითი ტბელიც ამბობს, რომ „ვინმე კაცნი წარვიდეს ნაპირსა წარმართთა-სა მოსარეწლად რამსამე“-ო (ქქ<sup>ბ</sup>, II, 118 გვ.). იმისდა მიუხედავად, რომ ეს ტერმინი იშვიათად გვხვდება იმდროინდელ ქართულს საისტორიო მწერლობაში, იგი მაინც ოდესღაც საყოველთაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო. ამას ის საგულისხმო გარემოება ჰქონდა, რომ საზღვარზე მდებარე სანაპიროების გამგე ხელისუფალს საქართველოში „მონაპირე“ რქმევია (იხ. საქვეყნოდა გამრიგენი).

იმდენად საგამგეო ერთეულად არა, როგორც განსაზღვრული რაოდენობის მიწა-წყლის და სამფლობელოს აღსანიშნავად მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში იყო ძველი დროითგან შერჩენილი საგვარეულო წესწყობილების ხანის ტერმინი „სახლი“. მაგ. სამცხე-საათაბაგოს სამწყსოს წიგნში მაწყვერელის საეპისკოპოზოში სხვათა შორის დასახელებულია: „სადგერი, სულ აწყუერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის ვალმართი“ და სხვა (დ. ბაქრაძე, АПГА, 81). დანარჩენ ამ ნაწყვეტში მოყვანილი სახელებით, „დიასამიძის სახლი“-ც უეჭველია ადგილის, საგეოგრაფიო ერთეულის სახელია. ამგვარივე მნიშვნელობა აქვს ტერმინს „სახლ“-ს წურწყბელის სამწყსოს სიაშიაც „ხურსიძის სახლი, ბოცოთ-ჭევი ჰერთვისის ქვემოთ მისია“-ო (იქვე, 81). მეფის კერძო საკუთრება და სამფლობელოც ზოგჯერ ძველებურადვე სახლად იწოდებოდა. მაგ., როდესაც ბაგრატ IV სომეხთა მეფის საბრძანებლის მოზრდილი ნაწილი ხელში ჩაიგდო, მან „შეიწყალა“ კვრივე მეფე და თითქმის ყველაფერი დაუბრუნა, „სამშვილდე ოდენ იპყრა სახლად თესად“-ო (მტ<sup>ნე</sup> ქ<sup>ა</sup>, \*499, გვ. 270), ე. ი. თავის სამფლობელოდ შეინარჩუნაო. ავგ ათაბაგის მამული და სამფლობელოც „სახლ“-ად არის მოხსენებული. უამთაღმწერელიც მოგვითხრობს, რომ დიმიტრი თავდადებულმა „წარავლინა ძე მისი დავით მცირე სახლსა ზედა ათაბაგისსა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქვნიდეს საუფლისწულოდ“ (\*892, გვ. 734). უკანასკნელი სიტყვები იმის შესახებ, რომ მეფემ ათაბაგის „სახლი“ ბატონიშვილს საუფლისწულოდ მიუბოძა, ნათლად ამტკიცებს, რომ აქაც „სახლი“ მნიშვნელობით მამულს და სამფლობელოს უდრის. რომ ეს მართლაც ასეა, ამას იმავე ისტორიკოსის ქვემოთმოყვანილი სიტყვები ცხადყოფენ. როდესაც დიმიტრი II ურდოში მიემგზავრებოდა, „ვითარ მივიდა ქვეყანასა ხვამაქისა, ავაგისას ულისა, მუნ დახვდა ძე მისი დავით“-ო (იქვე, \*897, გვ. 738). მაშასადამე, „სახლი ავაგისა“, რომელიც მის ასულს ხვამაქს ჰქონდა დამკვიდრებული, იგივე ქვეყანა ყოფილა. დასასრულ მცხეთის საკათალიკოზო ტახტი, როგორც საბრძანებელი, „მცხეთის სახლი“-ს სახელს ატარებდა. გრიგოლ სურამელი თავის 1250 წ. შეწირულობის წიგნში ამბობს: შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულს გლეხს „მცხეთის სახლისა ზეგარი თუთ არცა რაა წინას ზედა სდებია... არცა რაი ამის წაღმა საქმეც მცხეთისა სახლსა“ (ს. კაკაბაძე, 5, 17—20).

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფოს მიწა-წყალს „ქუეყანა“ ერქვა. ამგვარადვე იწოდებოდა სრულწიად საქართველოს შემადგენელი მთავარი ნაწილების, ყოფილი სამეფოების მიწა-წყალიც. მაგრამ უფრო მცირე ერთეულებსაც, რომელთაც არას დროს ცალკე სახელმწიფოებრივი მოწ-

ყობილება არა ჰქონიათ, როგორც მაგ., ჯავახეთს, თრიალეთს, შავშეთს და სხვათა, ძველ ქართულ მწერლობაში მაინც ქვეყანა ჰქვიან (იხ. ქლი ერის ისტორია, II, 252).

ქვეყანაზე უფრო მომცრო, საგამგეო ერთეულად „ქევი“ ითვლებოდა. სწორედ ქვეყანა შესდგება ხეებისაგან. სუმბატ დავითის ძე, მაგ., ამბობს, რომ ამოტ დიდის სიკვდილის შემდგომ „იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკონოზთა ყოველნი ქევინი შაშვეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი“-ო (ცა და უწყება, \*577, გვ. 346). იმავე მატრიანეში ნათქვამია, რომ ბაგრატ III „დაიზამთრა ქევეთა ტაოსთა“ (იქვე, \*483, გვ. 343). რომ „ქევი“ საზოგადო საგამგეო ერთეული იყო, ამას ბაგრატ IV სიტყვებიც ამტკიცებს. ოპიზის სიგელში მას ნათქვამი აქვს, ოპიზართა და მიჯნაძორთელთა რომ დავა გამერჩია, დარბაზში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიე „ყოველთა ქევეთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“-ო (სქ-ს სძვლნი, II, 3). ამ უკანასკნელი ცნობის გარდა, რომელიც აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ხეებს უნდა გულისხმობდეს, ყველა ცნობა „ქევი“-ს შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს და მესხეთს ეკუთვნის. დასავლეთ საქართველოს შესახებ ეს ტერმინი ნახმარი არ არის და არც ვიცით თუ რა ეწოდებოდა იქ „ქუეყანა“-ზე უფრო მომცრო საგამგეო ერთეულს.

როგორც დიდ „ქუეყანა“-ს სათავეში ერისთავთა ერისთავი ოდგა და მცირესაში ერისთავნი, ისევე საგამგეო ერთეულ „ხევი“-ს უფროსად „ქევისუფალი“ ითვლებოდა (იხ. საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი). რაკი დასავლეთ საქართველოში „ქევი“ (ჯერ მაინც) არა სჩანს, იქნებ ამიტომევა, რომ გელათის ორსავე სიგელში 1078 წ. და 1189 წლისაში მოხელეთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო და აღმოსავლეთ საქართველოს საბუთებში ჩვეულებრივია, ხევისთავი დასახელებული არ არის. თუ ეს შემთხვევით მოვლენად ვერ ჩაითვლება, მაშინ თავისთავად საკითხი იზადება, თუ რა ეწოდებოდა დასავლეთს საქართველოში შესატყვისის მოხელეს?

დასასრულ, საგამგეო ერთეულის სახელად ქართულ მწერლობაში სიტყვა „თემი“-ც იხმარებოდა. VII—XI სს-ის საისტორიო ძეგლებში იგი არა გვხვდება და როგორც ეტყობა დაახლოვებით XII საუკ.-ში ჩნდება. „თემი“ იმავე ცნების აღმნიშვნელია და იმავე ერთეულის სახელია, როგორისაც „ქუეყანა“ იყო. თამარ მეფის ისტორიკოსი მაგ. მოგვითხრობს, რომ ქ. ანისის ალების შემდგომ გიორგი III-ემ, „დამგდებელმან ივანე ორბელისა მანდატურთა უხუცესისა და ამირსპასალარი[სამან] თანაშემწეობითა სარგის მკარგძქელისითა და სხუათა თემის დიდებულ[თა] აზნაურთათა“, ისევ სამშობლოში გამოსწიაო (ისტორიანი და აზმნი, \*598, გვ. 368). ცხადია, ამ შემთხვევაში თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება ამტკიცებს, რომ მის დროს „თემი“ უკვე სრულებით ჩვეულებრივი ტერმინი იყო და როგორც წინათ „ქუეყანა“ იხმარებოდა, ისევე მაშინ „თემი“ ყველგან მიღებული ყოფილა. სამხედრო ხელოვნების ტერმინოლოგიაშიც კი, სპარსეთში ქ. ზენგანის ალების აღწერილობაში მაგ. ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ „ვითარ გაგრძელდა ომი, განყუეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა რათა შესთხარონ“ და ასე საქართველოს თვითოეული თემის ლაშქარს ციხის ზღუდის განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩენილიო (ისტორნი

და აზმნი, \*715, გვ. 520). მაშასადამე, ლაშქარიც თემობრივად ყოფილა დანაწილებული.

მემატიანეს სურდა აღენიშნა, რომ მეფემ ანისში ივანე ორბელთან ერთად საქართველოს სხვა კუთხეების აზნაურნიც დასტოვა, იგივე ავტორი სიტყვა „თემ“-ს სამეფოს მაგიერ ხმარობს და ერთგან ნათქვამი აქვს კიდევ: „ამას ესევეთარსა შინა დაწყებასა წყალობისასა იმიერთა [და] ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა [მკვდრთა] შუიღთავე თემისა, იწყეს რომელთა-მე“ კაცთა გაფიცვაო (იქვე, \*628, გვ. 404). სხვაგან ამისთანა შემთხვევაში ავტორს „შვიდთავე სამეფოთასა“ აქვს ხოლმე ნათქვამი და ამ შემთხვევაში ტერმინი „თემი“, მაშასადამე, სამეფოს უდრის. ამგვარადვე სამეფოს, სახელმწიფოსაც კი ნიშნავს ეს სიტყვა შემდეგ წინადადებაში, რომელიც ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებითგან არის ამოღებული. მას აღნიშნული აქვს, რომ როდესაც მონღოლთა ძლევამოსილმა სარდლებმა ბევრი სხვადასხვა სახელმწიფო დაიპყრეს, მათ თავიანთ ყაანს „აუწყეს ალება სპარსეთისა, საქართველოჲსა, საბერძნეთისა და ყოველთათემთა ქუდი და აბჯარი და ტანისამოსი გაუგზავნეს და წესი მიუძენეს“-ო (\*755, გვ. 606). ავტორს სურდა მკითხველის ყურადღება ამ გარემოებისათვის მიეპყრო, რომ მონღოლებმა თვითოეულ დაპყრობილი ქვეყნის და სამეფოს, როგორც მაგ. სპარსეთის, საქართველოს და სხვათა ტანისამოსის ნიმუშები აახლეს თავიანთ მზრძანებელს. დაახლოებით XII საუკუნეში ქართულ მწერლობაში შემოსული ეს ტერმინი თანდათან ვრცელდება და XIII ს-ში უკვე ჩვეულებრივ სიტყვად ხდება. ქართველ ჟამთააღმწერელს სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ დავით ლაშა-გიორგის ძემ „თუითეული [სა] თემისა [განგება] თუითეულსა კაცსა შევედრის, რომლისათუის კახეთიცა პირველსა თორღუას შევედრა“-ო (\*813, გვ. 657). აქ კახეთიც თემად არის ნაგულისხმევი და მემატიანის სიტყვები „თუითეულისა თემისა განგება“-ო საქართველოს თვითოეული ქვეყნის ან ნაწილის განგებას ჰნიშნავს. დასასრულ იმავე ავტორს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ მეფე დავითმა ლაშა-გიორგის ძემ სარგის ჯაყელს „ქვაბულიანი თემი ერთი სამცხეს... სიგლითა სამამულოდ მიუბოძა“-ო (\*837, გვ. 683). ეს აღგილი ეხლაც არსებობს, მართლაც სამცხეშია. და ქვაბლიანის ხეობად იწოდება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში თემი ხეობას უდრის.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ირკვევა, რომ „თემი“ ახალი რაიმე საგამგეო ერთეულის სახელი არა ყოფილა. იგი ხან სამეფოს, ხან ქვეყნის, ხან ხეობის მაგიერ არის ნახმარი. მხვრამ თუ ასე იყო თავდაპირველად, შემდეგში მას უფრო გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭა. მან თავისებური ელფერა მიიღო. ქვეყანა საზოგადო, ფართო ცნების გამომხატველად იქცა და მის მაგიერ თემი ჩაღდა. ზემოთმოყვანილი მაგალითებთან ირკვევა, რომ სრულიად საქართველოს შემადგენელ ნაწილებს და კუთხეებს, როგორც მაგ. კახეთს და სხვას, წინათ „ქუეყანა“ ეწოდებოდა, XII—XIII სს-ში უკვე „თემ“-საც ეძახდნენ. შემდეგში ხომ უფრო მკაფიო ცნების აღმნიშვნელად იქცა და „თემი“ ერთი ტომით დასახლებულს, განსაზღვრულ საგეოგრაფიო-საგამგეო ერთეულს ეწოდებოდა და ეხლაც ასე ეწოდება.

## § 2. საქართველოს მკვიდრნი და მოსახლეობის ერთეულები

განსაზღვრულ ადგილზე მუდმივ მცხოვრებს და დაბინავებულს, სახლკარის მქონებელს ძველ ქართულში „მკვდრი“ ერქვა. იოანე საბანის ძეს ნათქვამი აქვს, რომ ნერსე ერისთავთ-ერისთავთან ერთად აფხაზეთში მისულმა ჰაბო ტფილელმა „იხილა... ქუეყანაჲ იგი სავსეჲ ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრი იპოვების საზღვართა მათთა“-ო (ც<sup>ა</sup> ჰაბოასი, 19), ე. ი. ადგილობრივი მცხოვრებნი ყველანი ქრისტიანენი იყვნენო. დავით აღმაშენებელიც თავის უკანასკნელ ანდერძში ამბობს: ჩემი შვილი დიმიტრი „სიბრძნითა, სიწმიდითა, ანოვნებითა და სიმჴნითა უმჯობესი ჩემსა“ არს და „ნამდვლ ესევეითარი ჯერ იყო მეფე მოცემული ღუთისა მიერ მკვდრთა თვის სოფლისათა მართლმორწმუნეთა“-ო (ქ<sup>ა</sup>ზი, II, 51<sub>11-14</sub>). აქ „სოფელი“ თავდაპირველი მნიშვნელობით არის ნახმარი და დავით აღმაშენებელს უნდოდა ეთქვა, რომ დიმიტრი I ყოველგვარი ღირსებით იყო შემკული, რაც კი მეფისათვის საჭირო იყო, და ამის გამო სწორედ ამგვარი მეფე ეკუთვნოდათ ღვთაებისგან მართლმადიდებელ ქვეყნის მცხოვრებთ, საქართველოს მკვიდრთ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ საქართველოში მტრის ნავარდისა და საშინელი მიწისძვრის გამო „არა დამშვიდნა ქუეყანა, არცაღა იქმნა ლხინება კაცთა უკეთურებისათს მკვდრთა მისთასა, რამეთუ ყოველმან პასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა“-ო (ც<sup>ა</sup> მფ<sup>ა</sup>სა ღ<sup>ა</sup>თსი, \*517, გვ. 285). თურქთა შემოსევის დროს კლარჯეთში, შავშეთში, აჭარაში, სამცხეში, ქართლში, არგუეთში და სამოქალაქოში „ტყუე იქმნა ამთ ქუეყანათა მკვდრი ყოველი“-ო (იქვე, \*514, გვ. 582). ზემოხსენებულ საშინელ მიწისძვრის დროს თურმე „დაეცნეს სახლნი, დაინთქნეს და დაირღუნეს და იქმნეს საფლავ მას შინა მკვდრთა“-ო (იქვე, \*519, გვ. 287).

ჩვენს ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ მონღოლთა შემოსევის დროს „გოდებითა მიერ შეიცვლებოდეს ყოველნი მკვიდრნი საქართველოსანი ამერნი“ (\*765, გვ. 595): ხოცვა-ჟლეტისაგან ამიერსაქართველოს მცხოვრებნი დიდს ვაებაში ჩავარდნენო. ხოლო როდესაც ხალხის აღსაწერად და ხარკის დასადებად არღუნი „მოიწია საქართველოსა, დიდსა ჰირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა დავითისნი“, ამიტომ რომ მძიმე, აუტანელ ტვირთად დააწვა ხალხს არღუნის მიერ დაწესებული ხარკი და სხვა გადასახადებო (\*819, გვ. 664). იგივე ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოშიაც მთელი ერი დავით რუსუდანის ძის სათნო ხასიათისა და ბრძნული მზრუნველობის გამო დიდ პატივსა სცემდენ და უყვარდათ კიდევ. ამიტომაც იყო, რომ როდესაც მისი შვილი ვახტანგი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა და ამ გზით ორად გაყოფილი სახელმწიფო წინანდებურად ერთი სამეფო სახლის ხელში გადავიდა, განიხარეს ყოველთა მკვდრთა საქართველოსათა“-ო (იქვე, \*903, გვ. 744). ამგვარადვე იმავე ქართველს ავტორს აღნიშნული აქვს, რომ როდესაც დიდი ხნის უნახავი დავით „მეფე მოიწია ტფილისს“ და ქართველობამ თავისი გვირგვინოსანი იხილა, „იყო სიხარულსა ყოველი მკვდრი საქართველოსი“ (\*814, გვ. 658). ცხა-

და, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს ყველა მცხოვრებზე არის საუბარი და მემატიანეს უნდოდა ეთქვა, რომ თავის „მეფის ნახვით მთელი საქართველოს მკვიდრი, ერი გახარებული იყო.

რაკი ამ ტერმინს („მკვდრი“) ქართულ სასამართლო მწერლობაში, სახელმწიფო სამართალშია და სამოქალაქოშია, როგორც თავ-თავის ადგილს გამოორკვეული იქნება, საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა, თავდაპირველი ცნების გამოსახატავად, მცხოვრების და მოსახლეს აღსანიშნავად ამავე სიტყვის განსხვავებული სახეც იხმარებოდა: „მკვდრი“-ს მაგიერ „მკვდროვანი“-ც ითქმოდა ხოლმე. ქართველ ჟამთააღმწერელს, მაგ., ცნობა აქვს მოყვანილი, რომ ჩინგიზხანმა თავისი სარდლები გაგზავნა მრავალი ქვეყნის დასაპყრობად, მათ შორის აგრეთვე „კავკასთა ჩრდილოთა ყოველთა მკუიდროვანთა“ (იქვე, \*759, გვ. 585). განუმარტებლადაც ცხადია, რომ აქ „მკუიდროვანი“ მცხოვრებსა ჰნიშნავს.

ამ საზოგადო მნიშვნელობის გარდა სიტყვას „მკვდრი“ განსაკუთრებულაც ჰქონდა. სამოქალაქო სამართალში „მკვდრი“ მამრობითი სქესის ჩამოშვალს, მემკვიდრეს ეწოდებოდა ალბათ იმიტომ, რომ სახლობის დედრობითი სქესის წევრნი რაკი მომწიფდებოდენ, „კიდე გათხოვდებოდენ“ ხოლმე, მამასა და საგვარეულოს შორდებოდენ და ქმრის სახლში შედიოდენ, ბინადრობასაც ამის გამო იცვლიდენ და ქმრის „მამულს“ მკვიდრად ხდებოდენ. ეს საკითხი განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალს ეხება და იქვე არის ყველა ამის შესახები ცნობა მოყვანილი. აქ უნდა განმარტებული იყოს ნხოლოდ, თუ რას ჰნიშნავდა ტერმინი „უმკვდრო“, „ადგილნი უმკვდრონი“. დავით აღმაშენებელს თავის უკანასკნელს ანდერძში ნათქვამი აქვს: ადგილნი, რომელნი მიშობიან, უმკვდრონი და უმამულონი, მათგანც ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოზმან გამოარჩიონ, მეფემან მიცემითა წიგნთა და სიგელთა განასრულონ“-ო (ქეზი, II, 52<sub>11, 12</sub>). ვისაც ქართული სასამართლო ძეგლების ენა და ტერმინოლოგია შესწავლილი არა აქვს, მას ეგონება, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძის ზემომოყვანილ სიტყვებში უბინადრო, ან გაოხრებული და გაპარტახებული მიწების გაცემაა ნაგულისხმევი: „ადგილნი უმკვდრონი“ მას დაუსახლებელ, ან მოსახლეობას მოკლებული ადგილების აღმნიშვნელად ეჩვენება. მაგრამ შეცდომა მოუვა. „უმკვდრო“ ისეთ სოჯახს, ან ადგილს ეწოდებოდა, რომელსაც მამრობითი სქესის ჩამომავალი, მამრობითი სქესის კანონიერი მფლობელი არა ჰყავდა. დაუსახლებელ და გაოხრებულ ადგილს კი ძველ ქართულში „უშენი“, „უშენებელი“, „უკაცრიელი“, „უქმი“ და „უღვაწი“ ერქვა ხოლმე (იხ. ქლი ერის ისტორია, II). დავით აღმაშენებელიც თავის ანდერძში ამბობს: ჩემ მიერ დაპყრობილი ადგილებითგან, რომელთაც კანონიერი მამრობითი სქესის მემკვიდრე არა ჰყავთ და რომელნიც ვისიმე საგვარეულო საკუთრებას არ შეადგენენ და „მამულად“ არ ითვლებიან, ასეთი მიწები ჩემმა შვილმა დიმიტრიმ ჩემ მაგიერ უწყალობოს.

რომ ჩვენ არა ვცდებით და უმკვდრო ადგილი, „უმკვდრო მამული“ სრულებითაც გაპარტახებულს და უკაცრიელს ადგილს და მამულს არა ჰნიშნავდა და სწორედ ისე უნდა გვესმოდეს, როგორც ზევით არის განმარტებული, ამას ქართველი ჟამთააღმწერელის შემდეგი მოთხრობა და სიტყვებიც



ცხად-ჰყოფენ. კახეთის ერისთავთ-ერისთავს თორღვას ურჩობის გამო მეფე იზარებდა, მაგრამ მას სასჯელისა ეშინოდა და ამიტომ მან უვნებლობის ფიცი და შუამდგომნი მოსთხოვა. ასეთ შუამდგომად ხორნაბუჯელი გამოვიდა და თორღვაც მას მიენდო. თორღვა თურმე ხორნაბუჯელს აფრთხილებდა: „მარტო ვარ და სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნები ს მამული ჩემი“-ო, თუ იმედი არა გაქვს, რომ შენის შუამდგომლობით სიკვდილს გადაარჩენ, მაშინ უკეთესია თავი დამანებო (\*815, გვ. 658). თორღვას მამრობითი სქესის ჩამოძვალი ჯერ არა ჰყოლია და ამიტომ ეუბნებოდა ხორნაბუჯელს: „სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნების მამული ჩემი“-ო. ცხადია, თუნდაც რომ თორღვა მოეკლა მეფეს, მისი მამული ყმებით დასახლებული ამის გამო არ გაუჟაცრიელდებოდა და არ გაოხრდებოდა. სიტყვა „უმკვიდრო“-ს რომ უჟაცრიელის მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ თორღვა ვერც იტყოდა „სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქმნების მამული ჩემი“-ო. მაგრამ მოთხრობის ბოლო უფრო ნათლად გვიჩვენებს ამ ტერმინის ნამდვილს მნიშვნელობას. თორღვამ დააფიცა ხორნაბუჯელი: თუ მილალატო და ჩემს ცოდვაში ჩადგე, როგორც მე არ მომკლავენ და „უმკვდრო“ ვიქმნები, „ეგრევე უმკვიდრო ყო ს წმიდამა მთავარმოწამემა (გიორგიმ) სახლი შენი“-ო. ხორნაბუჯელის შუამდგომლობისა და უვნებლობის სიმტკიცისდა მიუხედავად მთავრობამ მიცემული ფიცი გატეხა და თორღვა სიკვდილით დასაჯა. თუმც ამასი პირადად არავითარი ბრალი არ ედვა, მაგრამ ისტორიკოსის სიტყვით მაინც „მეგო ბოროტი ხორნაბუჯელსა... ფიცისა გატეხისათჳს, რამეთუ ესეა შვილი ხორნაბუჯელს“, რომელსაც შალვა ერქვა. ამ „შალვას ესხნეს შვილნი და დაიჯოცნეს და ეგრეთვე ბერი ხორნაბუჯელი მოკვდა მწუხარებითა“ ცალკე იმითომ, რომ უნებლიედ ფიცის გატეხაში გარეეს და თორღვას სისხლის ბრალი მას დააწვა, ცალკე კიდევ თავზე დამტყდარი უბედურებით. მისი შვილი შალვაც თათრებს ჩავარდნიათ ხელში და „თათართა მიერ მოიკლა და უმკვიდრო იქმნა სახლი მისი“-ო, ამბობს ქართველი ჟამთააღმწერელი (\*815, გვ. 659). როგორც მკითხველიც ალბათ შეამჩნევდა, მთელ ამ მოთხრობაში მამრობითი სქესის წევრებზეა ლაპარაკი და სწორედ მათი სიკვდილით იქმნა ხორნაბუჯელის სახლი „უმკვიდრო“. ძნელი დასაჯერებელია, რომ არც ხორნაბუჯელს, არც მის შვილს ერთი ქალი მაინც არ ჰყოლოდეს. მაგრამ რაკი გვარის გამგრძელებლად და საგვარეულო სახელის მატარებლად ვაჟი-შვილები არიან და არა ქალიშვილები, ამიტომაც არის, რომ ისტორიკოსს დამენილი აქვს, „უმკვიდრო იქმნა სახლი მისი“-ო.

სახელმწიფოს მცხოვრებთა საზოგადო, შემკრებლობითი ერთეულის ცნების გამოსახატავად ქართულ ძველს მწერლობაში რამდენიმე ტერმინი არსებობდა. როდესაც ყველა მცხოვრების, ვითარცა ერთთესლოვანი ჩამომავლობისაგან წარმომდგარი ერთეულის, ეროვნების აღნიშვნა სურდათ, მაშინ ძველს ქართულ მწერლობაში ხმარობდენ ხოლმე სიტყვას „ტოპმი“, ან „ტომი“. მაგ., ჰაბო ტფილელის შესახებ იოანე საბანის ძეს ნათქვამი აქვს: იგი „იყო აბრამიანი, ძეთაგან ისმაელისათა, ტომისაგან სარკინოზთა დასა და არაჲ თუ უცხოასაგან თესლისა... არამედ ყოველადვე არაბიელთა თესლი მამულად და დედულად“-ო (ცა ჰაბომსი, 1520-23). ამ წინადადებაში „ტომი“, „ტომისარკინოზთა“ ეროვნებას, სარკი-

ნოზთა ანუ არაბების ეროვნებას ჰნიშნავს, ხოლო „თესლი“ ჩამომავლობას და იოანე საბანის ძეს სურდა ემცნო ჩვენთვის, რომ ჰაბო მარტო ეროვნებით კი არ იყო არაბი, გაარაბებული უცხო ჩამომავალი მშობლების შვილი კი არ იყო, არამედ ჩამომავლობითაც, დედის მხრივაც და მამის მხრივაც, „თესლით“ თავნაკარი არაბი იყო.

მაგრამ თავდაპირველად ყოველთვის ვგონებ ასე არ უნდა ყოფილიყო. ქართულ სახარებაში „ტომში“ იშვიათად გვხვდება და ამ სიტყვის მაგიერ ჩვეულებრივ „ნათესავი“ იხმარება. ქართულ დაბადებაშიც კი „ტომ“-სა და „ნათესავ“-ს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და ნათესავი ეროვნებას უდრის, ხოლო ტომი ეროვნების ერთ-ერთ შტოს, თემს. „გამოსლვათა“ წიგნში, მაგ., ნათქვამია: „აღდგა... მეფე ეგვპტეს შინა... და ჰრქუა ნათესავსა თვსსა: აჰა-ესე რა ნათესავი ესე ძეთა იქმლისათაჲ დიდი სიმრავლჳ არს უფროჲს ჩუენსა“-ო (თ. I, 8—9). ეს წინადადება ამტკიცებს, რომ ნათესავი ერის, ეროვნების შესატყვისი სიტყვა იყო და აქ ეგვპტელთა ერზე, ისრაელთა ერზე ანუ ეროვნებაზეა ლაპარაკი. თუ ებრაელთა მთელ ერს ნათესავი ეწოდება, მისი ერთი შტოჲს აღსანიშნავად „ტომი“-ა ნახმარი. მაგ., იმავე წიგნში სწერია: „იყო ვინმე ტომისაგან ლევისა, რომელმან მოიყვანა ცოლი“ (თ. II, 1) ტომში სპარსული სიტყვაა და თესლს, გვარსა ნიშნავს. ეს სიტყვა შეთვისებული აქვს სომხურსა და ასურულსაც. ქართულშიაც თავდაპირველად ტომი და თესლი ერთად და შესატყვისი ცნებათა აღმნიშვნელად იხმარებოდა. შუშანიკის მარტულობაში, მაგ., ნათქვამია, რომ ვარსკენ ქართლისა პიტიახში თავის ცოლს შუშანიკს „აგინებდა თესლტომსა მისსა და სახლისა მოხრებელად სახელ-სდებდა (წმბაჲ შუშანიკისი, 8, 12, ს. გორგაძის გამოცემა).

იმ ხანაში, რომლის სამართლის ისტორიასაც ამჟამად ვიკვლევთ, ტერმინები „ნათესავი“ და „ტომი“ სწორედ იმ მნიშვნელობით იხმარებოდა ქართულ საისტორიო მწერლობაში, როგორც დაბადების ზემომოყვანილს წინადადებაშია ნაგულისხმევი: „ნათესავი“ თითქმის ყოველთვის, მაინცდამაინც, განსაკუთრებით ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინია. გიორგი მთაწმიდელი, მაგ., ამბობს: იოანე (მთაწმიდელი) იყო „ნათესავით ქართველი“-ო (ც<sup>ე</sup> ი<sup>ე</sup> და ეფ<sup>ე</sup> თმსი, 5 20<sup>21</sup>). „ნათესავი ჩუენი (ე. ი. ქართველი) წრფელ იყო და უმანკო“-ო (ც<sup>ე</sup> გ<sup>ე</sup> მთწმ<sup>ე</sup> დლსჲ, 295). „რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართუელთა წრფელი და უმანკო“-ო, ეკითხებოდა გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქს (იქვე, 315). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც უწერია, რომ გვირგვინოსანმა „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე“-ო (ცხოვრება მეფეთ მფ<sup>ე</sup>სა დ<sup>ე</sup> თსი, \*534, გვ. 300). ხოლო რომ ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრნი დაეწყნარებინა, „აიხუნა მძევალნი ორგნითვე ოვსთა და ყივჩაყთა და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი“-ო (იქვე, \*535, გვ. 301). დასასრულ იქ, სადაც მემატთანეს მეფის პოლიტიკის გასამართლებლად საბუთები მოყვანილი აქვს, ნათქვამია: მეფემ იცოდა, რომ „ნათესავი ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველითგან თვსთა უფალთა“-ო (იქვე, \*561, გვ. 329).

შემდეგშიაც ამგვარისავე მნიშვნელობით იხმარებოდა ეს ტერმინი და „ნათესავი“ ისევ ეროვნების აღმნიშვნელია. ქართველ ეპმათაღმწერელსაც

ბევრი ამის დასამტკიცებელი მაგალითი მოეპოვება. ეს იყო „განწირვა ქართველთა ნათესავისა“-ო, ნათქვამი აქვს მას ერთგან (\*739, გვ. 560). „ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა“-ო (ყამთააღმ., \*739, გვ. 561). ულო ყაანი „არა მეცნიერ იყო ნათესავისა ქართველთასა“-ო (იქვე \*806, გვ. 648). იყო „შადინი ვინმე ნათესავით სომეხის“-ო (იქვე, \*834, გვ. 679). ქართველმა გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ ალოსმა „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა“-ო (იქვე, \*889, გვ. 731). ბევრი ლაპარაკი და მტკიცება საჭირო არ არის და მკითხველისათვის ისედაც ცხადი იქნება, რომ ყველა ზემომოყვანილს ამონაწერში „ნათესავი ქართველთა“, „ნათესავით სომეხი“, „ნათესავი ლეკთა“ ქართველთა, სომეხთა და ლეკთა ეროვნებას ნიშნავს.

მაგრამ სხვა შემთხვევებიც არის და ყოველთვის მარტო ეროვნების გამოხატველი არ არის ხოლმე „ნათესავი“, არამედ ზოგჯერ ჩამომავლობას, ერთსისხლხორცობას და ნათესაობას ჰნიშნავს ხოლმე ეს ტერმინი. გიორგი მერჩულს, მაგ., მოხსენებული ჰყავს „ნათესავი აზნაური“ (ც<sup>ა</sup> გ<sup>ლ</sup> ხანძ<sup>ა</sup> თლს<sup>ა</sup>, ლგ), რაც უეჭველია ჩამომავლობით აზნაურსა ჰნიშნავს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მკითხველისათვის არ დაუშალავს, რომ როცა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე „უღარსად გამოჩინებულნი (მღვდელმთავარნი) გარდამოსთხივნეს საყდართაგან“, საამისოდ კრებას დიდი შრომა და გამბედაობა დასჭირდა იმიტომ, რაკი „არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა“ (ც<sup>ა</sup> მფ<sup>სა</sup> დ<sup>თ</sup>სი, \*524, გვ. 291). ცხადია, ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ უღირს ეპისკოპოსებს ძლიერი და გავლენიანი თანამოგვარენი ჰყავდა და ეხმარებოდნენ. თამარ მეფის ისტორიკოსიც ამტკიცებს, ვითომც მხარგრძელმა სამაგალითო გულადობა იმიტომ გამოიჩინა, რომ „იყო ნათესავი არტაქსერქს მკარგრძელისა“-ო (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*718, გვ. 525-526), მამაცობით განთქმულ აქემენიანთა სპარსეთის სამეფო გვარის შთამომავლობას ეკუთვნისო. ქართველი ყამთააღმწერელიც გაიძახის: „უგუნურებასა შინა ვართ ნათესავნი ადამისნი“-ო (\*851, გვ. 696). საქართველოს მთავრებმა უმეფობის დროს მონღოლებს თურმე უთხრეს: „არა ეგების თუმცა დავემორჩილენით ვისმე უკეთუ არა იყოს ნათესავი მეფეთა“-ო (ყამთააღმ., \*799, გვ. 639), თუ არ ქართ. მეფეთა ჩამომავალს, სხვას არავის გავიხდით მეფედაო. არღუნ ყაანის ბრძანებით ლალატისათვის „მოაკუდიწნეს ბულა და ყოველნი ნათესავნი მისნი“-ო (იქვე, \*894, გვ. 736).

თუ მკითხველი ტერმინ „ნათესავი“-ს ამგვარი ორაზროვნობის ზემომოყვანილ ყველა მაგალითს ჩაუკვირდება, განმარტებასაც ადვილად მოუძებნის. როდესაც სიტყვა „ნათესავი“ კერძო საკუთარ სახელთან, ან რაიმე ღირსებასთან არის დაკავშირებული და თან სდევს, მაშინ იგი ჩამომავლობის, ნათესავობის აღმნიშვნელია. ხოლო როდესაც „ნათესავი“ ეთნოლოგიურს სახელს თან სდევს, მაშინ იგი ეროვნების ცნების გამოხატველია.

თუმცა ქართველი ყამთააღმწერელის თხზულებაში ასეთ ცნებათა აღრევის დამამტკიცებელი აზრია ერთგან გამოთქმული, რომ „ანტონი ნაოჭრებლისძე ნათესავით მესხი“ იყოო (იქვე, \*889, გვ. 731), აქ „ნათესავი“

შეცდომით ტომის მაგიერ არის ნახმარი, ტომობრივი სადაურობა და ეროვნება ერთმანეთშია არეული, მაგრამ ეს იმ ხანაში, რომელსაც ვიკვლევთ, გამოწვევის შედეგად. გიორგი ხუცესმონაზონის თხზულება ნათლად ამტკიცებს, რომ უკვე XI ს-ში, როდესაც საქართველოს სრული პოლიტიკური გაერთიანება და ერთი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, მაშინაც მოწინავე ქართველ წრეებს და მოღვაწეებს მშვენიერად ჰქონდა შეგნებული, თუ რა განსხვავებაა ეროვნებასა, ტომობრივ კუთვნილებასა და დაბადების სადაურობას შორის. თავისი შეხედულება ამ საგანზე მას საუცხოვოდ გამოთქმული აქვს შემდეგს, თუმცა მოკლე, მაგრამ საგულსხმო სიტყვებში გიორგი მთაწმიდელის ჩამომავლობის შესახებ. მას ნათქვამი აქვს: გიორგი მთაწმიდელი იყო „ნათესავით ქართველი, ხოლო მამისა მამეულად — ქუეყანის [გან], რომელსაც სამცხე ეწოდებოდა, ხოლო თუთ აღმოეცენა იგი ქუეყანისათრიალეთისასა“-ო (ცა გრ მოწმდლსა, 285<sub>16-20</sub>). გამასადამე, ავტორს სამივე ცნება საგანგებოდ განსაზღვრული აქვს და აღნიშნულია, რომ გიორგი მთაწმიდელი ეროვნებით ქართველი იყო, ტომობრივად მამის მხრივ მესხი, ხოლო დაბადებით თრიალეთელი.

რაკი „ნათესავი“ ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ამისდა გვირად თანამემამულეს, ან ერთი ეროვნების წევრებს „თანამონათესავე“, „თანამონათესავენი“ ეწოდებოდა. უმთავრესი, მაგ., იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც გარნისის ომში ივანე ათაბაგი და საქართველოს მხედრობა თავის მოწინავე რაზმს ბრძოლაში არ მიეშველენ, აღშფოთებული ამბობს: ათაბაგი „ივანე და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა“-ო (\*745, გვ. 568). სამცხის მთავარს ბექას მესხეთის წარჩინებულთათვის ბრძოლის წინ შემდეგი სიტყვით მიუმართავს: „ისმინეთ, მთავარო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენი“-ო (იქვე, \*923, გვ. 767).

ცხადია, რომ როდესაც ქართულ მწერლობაში ეროვნების აღმნიშვნელ ტერმინად „ტომი“ იყო მიღებული, მაშინ თანამემამულეს აღმნიშვნელი სიტყვაც „ტომი“ საგან იქნებოდა ნაწარმოები და „თანამეტომე“ ეწოდებოდა. მართლაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ამ მნიშვნელობით აქვს ნახმარი ტერმინი „მეტომე“. „იოსიბოს (ფლაბიოსმა) ებრაელთა“ ისტორიკოსმაო, ამბობს ზემოაღნიშნული ქართველი ავტორი, „ტიტომს-მიერნი მეტომე--თათვსთაზე დანი ჭირნი მისცნა აღწერასა“-ო (ცა მფსა დათსი, \*541, გვ. 307—308), მოგვითხრო თავის თანამემამულეების დაწიოკების ამბავი კეისარ ტიტე-ბესპასიანეს დროსაო.

შემკრებლობითი, საზოგადო ცნების გამომხატველი იყო აგრეთვე სიტყვა „ერი“, რომელსაც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, ხალხსაც ჰნიშნავდა და ჯარსაც. მაგ., სახარების ქართულ თარგმანში ტერმინი „ერი“ ხან ხალხის, ბრბოს და კრებულის შესატყვისია (მათე 9<sub>25</sub>, 26<sub>47</sub>, 55. მარკოზ 14<sub>43</sub>. ლუკა 8<sub>4</sub>, 19<sub>47</sub>. იოანე 11<sub>50</sub>), ხან ჯარსა და ლაშქარს უდრის. ამის გამოა, რომ „ერისაგანი“ ქართულ სახარებაში ჯარისკაცს, მეომარს ეწოდება (მათე 8<sub>9</sub>, 28<sub>12</sub>, იოანე 19<sub>2,32,34</sub>), თუმცა ზოგჯერ ხალხისაგანსაც უდრის (ლუკა 12<sub>13</sub>). დაბადების ქართულ თარგმანშიაც „ერი“ ხშირად იხმარება საზოგადო შემკრებლობითი მნიშვნელობით, ხალხის

შესატყვისად, მაგ., „გამოიყვანო ერი ჩემნი ძენი ისრაჲლისანი ქუეყანით ეგვიპტით“ (გამოს. III, 10), „მე მიგავლინო შენ რაამთა გამოიყვანო შენ ერი ჩემი ქუეყანითა ეგვიპტით“ (იქვე, III<sub>12</sub>).

სიტყვა „ერი“-ს ორგვარი მნიშვნელობა ხალხისა და ჯარის აღსანიშნავად გასაკვირველი არც არის იმიტომ, რომ ხალხი და ჯარი უძველეს დროს ერთიდაიგივე იყო. მხოლოდ მომავალში, როდესაც ქართული მწერლობის უძველესი ძეგლები საკმაოდ აღმოჩენილი, შესწავლილი და მეცნიერულად გამოცემული იქმნება, შეიძლება გამოიკვეს, რომელი ამ ორ მნიშვნელობათაგანი თავდაპირველი და ძირითადია. მაინცდამაინც ნათლად ეტყობა, რომ „ერი“ თანდათან ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს და განსაკუთრებით ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად ხდება. ჯარისათვის კი სამწერლო ენაში ჯერ ერთი სპარსული სიტყვა „სპა“ შემოდის, შემდეგ მეორე სიტყვა „ლაშქარი“-ც ემატება.

იმ ხანაში, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს. „ერი“ უკვე თითქმის განსაკუთრებით ხალხის შესატყვისი და აღმნიშვნელია. აბუხერიძე ტბელი, მაგ., მოგვითხრობს, რომ მათი სამრევლო ეკლესია პატარა ყოფილა და ხალხი ვერ ეტეოდა და ამის გამო უფრო მოზრდილი ავაგეო; „მაიძულა ეკლესიისა მცირეობითა ერის ვერა დატევებამან... და ამისთვის კელგყავ შეკადრებად აღშენებისა“-ო (ქკბი, II, 120). უკვე XI საუკუნეში ასეთი ტერმინებიც მოიპოვება, როგორც, მაგ., „წურილი ერი“ (მტნე ქმ, \*481, გვ. 255), ან „ერნი სოფლიონი“ (ცა და უწყება, 77) მდაბიო ხალხის აღსანიშნავად და „მდიდარნი ერისანი“ (ისტრნი და აზმნი, \*617, გვ. 391) მაღალი წრეებისათვის. „ერი“-ს საზოგადო შემკრებლობის მნიშვნელობაზე არის დამყარებული, როდესაც ეფრემ მცირე საზოგადო, ყველასათვის სასარგებლო საქმის აღსანიშნავად ამბობდა „საერო მსაქმე და საზოგადოდ სარგებელი“-ო (ქსიფ., 341). მხოლოდ როდესაც მკითხველმა იცის, რომ „ერი“ ხალხსა ნიშნავს, მაშინ „საერო მსაქმე“-ს აზრსაც სწორედ მიუხვდება.

რაკი ერთხელ ამ სიტყვამ ასეთი გარკვეული მნიშვნელობა შეითვისა, შემდეგ უფრო და უფრო განმტკიცდა და საყოველთაოდ სწორედ ასეთის ფართო მნიშვნელობით, ხალხის აღსანიშნავად იხმარებოდა. ქართველთა ეამთააღმწერელი, მაგ., ამბობს, რომ ურდოში გამგზავრებამდე დარბაზის ერთან ბჭობის დროს, როდესაც დიმიტრი II-ს ყველანი ურჩევდენ მთებში შეხიზნულიყო და თავისი თავი განსაცდელისგან ეხსნა, თავდადებულმა მეფემ უპასუხაო: „მეწყალის ებრალო ერი“, მე რომ ჩემ თავს ვუშველო, განრისხებული ყანი საქართველოს ააოხრებს და უდანაშაულო ხალხს გასწყვეტს. ისევ სჯობია მე წაეიდე, წავალ და მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა“-ო (ეამთააღ., \*896, გვ. 738). ხოლო როდესაც მეფემ ყველანი დითანხმა, ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: დამსწრენა ყველანი „განკვრდეს თუ ვითარ დადვა მეფემან სული თვისი ერისათვისისათვის“-ო (იქვე, \*896, გვ. 737).

ეროვნება „ნათესავი“, როგორც უდიდესი ერთეული, შესდგებოდა და იყოფოდა მრავალ უფრო პატარა ერთეულად. ქართველ ეამთააღმწერელს მონღოლების შესახებ ნათქვამი აქვს, რომ „მათნი ნათესავნი მრავალ გვარად განყოფილ იყუნეს“ (\*733, გვ. 552). „გუარი“ ან უ

„გვარი“ უძველეს ქართულ მწერლობაში, არც სახარებაში და არც პირველ ხანის მარტვილობებში, არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს მატიანეში, არსად არ გვხვდება და შედარებით გვიან ჩნდება. თუ არ ვცდები გვარეულობის აღსანიშნავად ამ ტერმინს, ვითარცა ჩვეულებრივ სიტყვას, საისტორიო მწერლობაში პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხმარობს. მაგრამ ცხოვრებაში და ლაპარაკში ალბათ ამაზე კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ისტორიკოსს ეს სიტყვა განუმარტავად მოჰყავს და არც ეტყობა, რომ იგი სრულებით ახალი ან ცოტა ხნის შემოღებული იყოს. ლიპარიტ ამირას ორგულობაზე სახელოვანი მეფის ისტორიკოსი ამბობს, სხვათა შორის, რომ ლიპარიტს „ორგულობა და სიძულელი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა“ (ცა მფსა დთ სი, \*521, გვ. 288), მათ საგვარეულოში მეფეთა ღალატი ჩვეულებრივი იყო და ლიპარიტსაც ეს თვისება წინაპრებისაგან ჰქონდა დამკვიდრებული. დავით აღმაშენებელმაც ყიფიყა „ნათესავი“ საქართველოში რომ გადმოასახლა, მათი დაბინავების დროს თურმე „დააწყუნა გუარად-გუარად“-ო (იქვე, \*536, გვ. 302), საგვარეულებათა მიხედვით მიუჩინა დასაშენებელი ადგილებით. თამარ მეფის ისტორიკოსსაც მოეპოვება ეს სიტყვა. ზაქარია მხარგრძელსაო, ამბობს იგი, მამაცობა და ბრძოლაში გამარჯვებულობა „გვარისაგან მოვეაქვნდა“-ო იმითომ, რომ სპარსთა განთქმულის მეფის არტაქსერქს მხარგრძელის ჩამომავალი იყო (ისტორნი და აზმნი, \*718, გვ. 525—526). შემდეგში, რაც დრო გადიოდა, ტერმინი „გვარი“ სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა და ჩვეულებრივ სიტყვად იქცა. ქართველ უმათაღმწერელს უკვე ცნების აღსანიშნავად მხოლოდ ეს სიტყვა-ღა მოეძებნებოდა (ყამთაღ., \*733, 837, 862 და 877, გვ. 552, 682, 706 და 721).

გვარს ძველ დროს ყველგან და საქართველოშიაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; საგვარეულო მაშინ თვითოეულის თავისი წევრის ძლიერი და სანდო მფარველი იყო. ამის გამო მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც გავლენიან გვარს ეკუთვნოდა, თვითონაც უმნიშვნელო არ იქნებოდა: ნათესავთა წყალობით მას ზურგი გამაგრებული ჰქონდა და არავის დაეჩაგვრინებოდა. ამაზე მეტიც შეიძლება ითქვას. საგვარეულოს და ნათესავებს მოკლებული მხოლოდ პირად ნიქსა და ძალაზე იყო დამოკიდებული და იმ დროს ამგვარ უგვართათვის სამოქმედო გზის ფართოდ გაკაფვა და დაწინაურება ძნელი იყო. ამიტომაც არის, რომ მაშინ, როდესაც ადამიანის ღირსების ქება სურდათ, ამბობდნენ ხოლმე „გუარიანი“-აო (ისტორნი და აზმნი, \*628 და 631, გვ. 405 და 410). თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, მაგ., რომ საქართველოს სახელოვანმა გვირგვინოსანმა „უბოძა მეტურჴლეთუხუცესობა დიღსა და გუარიანსა კაცსა ვარდანის ძესა“-ო (ისტორნი და აზმნი, \*631—632, გვ. 410).

ამავე შეხედულებაზე იყო დამყარებული სახელმწიფოს მკვიდრთა ორ მთავარ ჯგუფად დაყოფაც: ერთს შეადგენდნენ „გუარიანი“, მეორეს— „უგუარონი“ (ისტორნი და აზმნი, \*628, გვ. 405). თუ საქართველოს საზოგადოებრივი დანაწილების ამ ორს ტერმინს დავაკვირდებით, დავარწმუნდებით, რომ პირველს საპატიო და გავლენიანს ჯგუფს „გუარიანი“ იმითომ ეწოდება, რომ თვითოეული მათგანი ამა თუ იმ გვარის შვილნი იყვნენ, ხო-

ლო პატივსა და ძალას მოკლებულს ჯგუფს ეკუთვნოდენ ისეთი პირნი, რომელნიც „უგუარონი“ იყვნენ და მხოლოდ თვითონ პირადად გამოდიოდენ პირველად სამოღვაწეო სარბიელზე.

თუმცა უკვე ბაგრატ III-იდან მოყოლებული საქართველოს მეფეები დაუცხრომლად ცდილობდენ, რომ სახელმწიფო და სამოხელეო ასპარეზზე მოხელეთა საგვარეულო ღირსებას კი არა ჰქონოდა მნიშვნელობა, არამედ მათ პირადს თვისებებს და ღვაწლს. დავით აღმაშენებელმა და გიორგი III-ემ თავიანთი წადილი და პოლიტიკა განახორციელეს კიდევ, მაგრამ ცხოვრებაში „გვარიანობას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უეკველია იმ დროს ყველანი დიდად აფასებდენ, თუ რომ ადამიანი „გვარიანი“ და „მსახურებული სახლი“-ს შვილი იყო. თვით მეფეებიც რასაკვირველია მათ დაწინაურებდენ, ქედღვიცხელობისათვის რომ თავი დაენებებიათ, განსაკუთრებით, როდესაც სამსახურშიაც ნიქსა და ერთგულებას გამოიჩენდენ.

რამდენად აფასებდენ იმან იმას, რომ ადამიანს პირად ღირსებასთან ერთად „გურიანი“-სა და „მსახურებული სახლი“-ს (ისტორი და აზმნი, \*628, გვ. 504) შვილის სახელი ჰქონოდა, ძველი და „საჩინო გვარი“-ს (ყამთააღ., \*862, გვ. 706) შთამომავალის შარავანდღვით ყოფილიყო მოფენილი, შემდეგი საგულისხმო გარემოებაც ნათლად ამტკიცებს. თვით ისეთი პირებიც კი, რომელნიც წარჩინებულისა და ძველი საგვარეულოს შვილი არ იყვნენ, რა წამს სამოხელეო სარბიელზე დაწინაურდებოდენ, ცდილობდენ როგორმე თავიანთის საპატიო გვარისშვილობა მოეპოვებიათ და გარდმოცემა შეეთხზათ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია, რომ მხარგრძელნი, რომელნიც სომეხ ისტორიკოსთა ცნობისამებრ ქურთების შთამომავალნი ყოფილან (იხ. ქლი ერის ისტორია, II, 584—585), მაინც ამტკიცებდენ და თვით თამარ მეფის ისტორიკოსიც კი დაურწმუნებიათ, ვითომც ისინი სპარსეთის განთქმული მეფის არტაქსერქსის, მხარგრძელად წოდებულის, შთამომავალნი ყოფილიყვნენ (ისტორი და აზმნი, \*718, გვ. 525—526).

რაკი გვარიშვილობა ხალხში და ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი იყო, ცდილობდენ, რომ გვარს ძველის „მსახურეული“ და „საჩინო“-ს სახელი ჰქონოდა მოხვეკილი. ყოველი გვარისშვილი მოვალე იყო თავისი გვარის კარგი სახელი არ გაეფუჭებინა და არ გაეტეხა იმიტომ, რომ რაკი სააუგო ხმა გავრცელდებოდა, მთელი საგვარეულოს ღირსებაც დაეცემოდა: მან რასაკვირველია იცოდა, რომ ყოველის მისის საძრახისი საქციელით „წარქდების გვარი“ მისი (ყამთააღ., \*837, გვ. 682).

წა შუშანიკის მარტვლობა ამტკიცებს, რომ უკვე V საუკუნეში საქართველოში „სახლი“ მარტო საგვარეულოსა და გვარს კი არ ნიშნავდა, არამედ ერთ-ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც (იხ. ქლი ერის ისტორია, I, 232). შემდეგში ხომ ამგვარი მნიშვნელობა უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო. ასეც მომხდარა. იოანე საბანის ძეს, მაგ., იქ, სადაც აღნიშნული აქვს, რომ ნერსე ერისმთავარმა თავისი ოჯახობა აფხაზეთში გახიზნა, ასე უწერია: „წარგზავნეს... დედა და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისამისისანი“-ო (ცა ჰაბოასი, 186-გ). ოჯახობის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „სახლს“ „მატიანე ქართლისაჲ“-ს შემდეგს ცნობაში: ბულა თურქმა „განალო კარი დარუბანდისა და გადმოიყვანა ხა-

ზარნი სახლი სამასი დასხნა ივინი შანქორს, დარიალანით გამოიყუანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი“-ო (\*444—445, გვ. 222). ძნელი დასაჯერებელია სიმრავლის გამო, რომ ბუღას 300 საგვარეულო ხაზარი და 100 საგვარეულო ოსი გადმოესახლებინა, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ მემატიანეს ოჯახობაზე აქვს ლაპარაკი.

მაგრამ „სახლის“ თავდაპირველი მნიშვნელობა აქა-იქ მაინც შერჩენილია და ზოგჯერ წინანდებურად გვარსა ჰნიშნავს. უეჭველია, მაგ., რომ მოქცევამ ქართლისაჲ“-ს მატიანეში საგვარეულოებზეა საუბარი, როდესაც შერმინდელის, ისტორიული ქართლის დასახლების ამბავია მოთხრობილი. მემატიანე ამბობს, რომ აზომ პირვანდელის, სადაც სამხრეთით მდებარე ქართლთგან ამიერკავკასიაში მდებარე ქართლში დასამკვიდრებლად „წარმოიყუანნა რვა მასხლი და ათნი მასხლი მამამძეთანი“ (3 ტკ, 47-8). იმავე იოანე საბანის ძის თხზულებაჲ-კი, სადაც სიტყვა „სახლი“ ოჯახის შესატყვისად არის ნახმარი, ამტკიცებს, რომ მაშინაც „სახლს“ ყოველთვის ერთ-ცოლქმრობაზე დამყარებული ოჯახით ვიწროდ არა ჰქონია საზღვრები შემოფარგლული და მახლობელ ნათესავეებსაც ჰგულისხმობდა. მას, მაგ., ნათქვამი აქვს: „მაჰდი ამირა მუნმან... სტეფანოზ ძე გურგენისი, დისწული ნერსისი, ნაცვლად დედის ძმისა თვისისა (დაადგინა) ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლად მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლება იგი (ერისმთავრობისა) სახლისა მისისა გან არა განაშორა ღმერთმან“ (ცაჲ ჰაბოასი, 20). მაშასადამე, დისწულიც ნერსე მასხლის წევრად შეიძლებოდა ჩათვლილიყო და ითვლებოდა კიდევც.

სახლ-ოჯახის, განსაკუთრებით კი ერთს ჰერ ჰვემ მცხოვრები სახლობის აღსანიშნავად და მოსახლეობის აღმნიშნელ ტერმინად მიღებული იყო სიტყვა „ქომლი“ (იხ. სქს ეკონ. ისტორია, I, 16—17).

დასასრულ მოსახლეობის თვითოეულ წევრს განცალკევებულად, საქართველოს თვითოეულ მკვიდრს განმარტობით „სული“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი უუკნინესის ერთეულის გამომხატველია. როდესაც უნდოდათ ეთქვათ ამდენი და ამდენი ადამიანიო, სწორედ მაშინ ამის გამოსატქმელად „სული“ იხმარებოდა. „მატიანე ქართლისა“-ში, მაგ., აღნიშნულია, რომ 1068 წ. საქართველოში სელჩუკიანთა შემოსევის დროს „მოისრა და ტყუე იქნა ურიცხვი სული ქრისტიანეთა“ (\*500, გვ. 271). ხოლო წყალდიდობის დროს მოვარდნილმა მტკვარმა „წარიღო მრავალი სული“-ო (იქვე, \*572, გვ. 272) ქართველ ქრისტიანულ მოსწყდა“ (\*881, გვ. 724). „იხილეთ რაოდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის“ თათართაგანო. სწერია იმავე ისტორიკოსის თხზულებაში (ქრისტიანული, \*895, გვ. 737).

### § 3. საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილება

საქართველოს მკვიდრნი მარტო თემობრივ და ტომობრივ კი არ ყოფილან დანაწილებულნი, არამედ სოციალურადაც რამდენსამე ერთეულად იყვნენ დაყოფილნი. იმგვარადვე, როგორც ეროვნული გრძნობა ჩვენი სამ-



შობლოს სხვადასხვა კუთხისა და ტომის შეიღს ერთსხეულად ჰქმნიდა და აერთებდა, საზოგადოებრივი მდგომარეობა და წოდებრივი კუთვნილებაც საქართველოს მცხოვრებთ ტომობრივ-თემობრივობის მიუხედავად რამდენსამე განსაკუთრებულ ერთეულად აყალიბებდა. წოდებრივი და საზოგადოებრივი ერთობის გრძნობა მეტადრე მალალ წოდებათა და მმართველ ჯგუფების წრეებში იყო ძლიერი. საერთო მიზანი და ინტერესი მაღალი წოდებისა და საზოგადოებრივ ჯგუფის წევრებს ზოგჯერ უფრო მჭიდროდ აკავშირებდა. ვიდრე თვით ეროვნული გრძნობაც კი და ჯგუფობრივი და წოდებრივი გამოჩენის წადილი ზოგჯერ ეროვნულ თვითშემეცნებასაც სჭარბობს ხოლმე.

სოციალური და წოდებრივი დანაწილება სხვადასხვა ნიადაგზეა აღმოცენებული და სხვადასხვა მიზეზით არის წარმოშობილი, ეს ცხადია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ამის შესახებ ან მეტად მცირედი ცნობები გვაქვს, ან სრულებით არაფერი ვიცით. ჯერჯერობით ჩვენთვის ისიც დიდი საქმე იქნება, თუ შეეძელით და გამოვარკვიეთ, რა და რა წოდება და რამდენი და რომელი სოციალური ჯგუფები არსებობდნენ მაშინდელ საქართველოში. მათი წარმოშობის ისტორიის გამოკვლევა მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, როდესაც საამისო ცნობები აღმოჩნდება.

არსებობდა თუ არა მაშინ წოდების ცნების აღსანიშნავად საგანგებო ქართული ტერმინი, არა სჩანს: შენახულ ძეგლებში არ გვხვდება. საგანგებოდ უნდა აღნიშნული იყოს, რომ იმ დროინდელ საქართველოში, როგორც ქვემოთ იქნება გამოკვლეული, ისეთი საზოგადოებრივი ერთეულებიც მოიპოვებოდნენ, რომელნიც თუმცა წოდებად ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ წოდებრივობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისება ებადათ, თითქოს წოდებისა და საზოგადოებრივ წრის შუა იდგენ.

მოსახლეობის თვისების მიხედვით სახელმწიფო ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა: ქალაქად და სოფლად. ეს აზრი მშვენიერად არის გამოთქმული ქართველი ჟამთააღმწერელის შემდეგ ცნობაში. როდესაც მონღოლთა ყანის დავით მეფეს და მის ერთგულს მოყმეს სარგის ჯაყელს ქართველთა განდგომის მიზეზს ეკითხებოდა, სარგისმა უპასუხაო: არღუნ ნონის მიერ საქართველოში დადგენილმა ზოჯა აზიზმა „მიიღო მეფობა დავითისი. ქალაქი და სოფელი“ და ამის მოთმენა შეუძლებელი იყოო (ჟამთააღმწერ., \*839, გვ. 684).

იმისდა მიხედვით, თუ სად ჰქონდა ადამიანს მუდმივი ბინა და სადა ცხოვრობდა, მას „მსოფლიო“, ან „მდაბიორი“ ეწოდებოდა, როდესაც სოფლის მცხოვრებნი იყო, და „მოქალაქე“ ერქვა, თუ ქალაქის მცხოვრებად ითვლებოდა.

სოფლელებად, რომელთაც გიორგი მერჩულის სიტყვით საერთოდ „მსოფლიონი ერისკაცნი“ ჰქვიათ (ცაგგლ ხნთლსა, გვ. ია 43) „ერნი მსოფლიონი“ (ცა და უწყება) ხოლო თვითოვეულს მსოფლიოთა (ცა მფსა დთსი, \*557, გვ. 325), ან „კაცი მდაბიოთა“ (ცაგგლ ხნთლსა, ნე წ ნდ) ეწოდებოდა, მხოლოდ თავდაპირველად თუ იგულისხმებოდა დაბის ან სოფლის ყველა მცხოვრები და მკვიდრი საზოგადოებრივი მდგომარეობისდა მიუხედავად, თორემ შემდეგში, და უკვე გიორგი მერჩულის თხზულებაშიაც კი, ამ სიტ-

ყვას და ტერმინებს აზრი და მნიშვნელობა შეეცვალათ და როდესაც ამ სიტყვებს ხმარობდნენ ხოლმე, მართო დაბის ან სოფლის მოსახლეს კი არა ჰკულისხმობდნენ, არამედ ისეთ პირთ, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბლა იდგნენ, დაბალ წოდებრივ, ან საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნოდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში ნახმარი ტერმინი „მ და ბ ი ო რ ი“ (ქკბი, II, 684) თუმცა აზნაურის გვერდით არის დასახელებული, მაშასადამე, წოდებათა ჯგუფშია მოთავსებული, მაგრამ აზნაურის მოწინააღმდეგე ცნებად არის გამოხატული. იქ, მაგ., ნათქვამია: „ვამცნებთ ყოველსა, დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახასა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღვდელთა, მოწესეთა და ერისკაცთა“ და სხვათ, რომ მავნე სენსა თავი დაანებონო (ქკბი, II, 682-4). ამ წინადადებაში ცნებათა რამდენიმე ჯგუფია დასახელებული: საზოგადოებრივი მდგომარეობის (დიდი და მცირე), ქონებრივი მდგომარეობისა (მდიდარი და გლახაკი), სახელმწიფო უფლებრივი მდგომარეობისა (მეფე და მთავარი) და წოდებრივი მდგომარეობისა (აზნაური და მდაბიორნი) და სხვათა. ამასთანავე თვითოეულს ამ ცნებათა ჯგუფთაგანში ორი უკიდურესი, მაღალი და დაბალი, წერტილია აღნიშნული და ამის გამო აზნაურს ვითარცა წოდებათა შორის პირველს დაპირდაპირებული ჰყავს „მდაბიორი“, რომელიც, მაშასადამე, აქ უკვე წოდებრიობის ან საზოგადოებრივ წყობილების დაბალ საფეხურზე მდგომარედ არის ნაგულისხმევი. ეფრემ მცირეს თხზულებებიც ამტკიცებენ, რომ „სოფლური“ და „მსოფლელი“ უკვე საზოგადოდ დაბალხარისხოვანს, მარტივს და ღირსებამოკლებულს რამეს ნიშნავს, როდესაც ეფრემ მცირეს უნდოდა ეთქვა თხზულება მარტივი და უბრალო ენით არის დაწერილიო, ამ აზრის გამოსახატავად მას ნახმარი აქვს „სოფლური სიტყუა“: „სოფლურითა სიტყუთა“, „ენითა მსოფლელთაჲთა“ არის დაწერიო (იხ. ისტორიის მიზანი და მეთოდები, I).

ამგვარადვე თუმცა ტერმინი „მოქალაქე“ თავდაპირველად მხოლოდ ქალაქის მკვიდრ მცხოვრებს ჰნიშნავდა და ამ მხრივ „მსოფლიო“-სი და „მდაბიორ“-ის საწინააღმდეგო ცნების აღმნიშვნელი იყო ისე, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიციკი მათ თითქოს ერთიმეორეს უპირდაპირებს, დიდებული მეფის დროს „ვერც მსოფლიო ვინმე, ვერც მოქალაქე“ უწესოების ჩადენას ვერა ბედავდნო (ცა მფსა დთსი, \*557, გვ. 325), მაგრამ იმ ხანაში, რომელსაც ვიკვლევთ, რასაკვირველია, ამ სიტყვას ასეთი ფართო და საზოგადო აზრი აღარა ჰქონდა. მაინცაღამინც საეკლესიო, რომ მაშინ ვისმე მაღალი, წარჩინებული აღამიანისათვის, დიდებულ აზნაურისათვის, მაგ., თუნდაც რომ მას მუდმივი ბინა რომელსამე ქალაქში ჰქონოდა, მოქალაქის სახელი ეწოდებინა. მოქალაქენი თუმცა მაშინ ვგონებ ჯერ ერთს წოდებას არ შეადგენდნენ, მაგრამ მაინც საკუთრივ ქალაქის მკვიდრთა საშუალო წრეებს ეწოდებოდა. ამნაირი მნიშვნელობა აქვს ალბათ ამ ტერმინს ქართველი ჟამთააღმწერელის შემდეგს მოთხრობაში. როდესაც არღუნ ყაანმა დიმიტრი II დააპყრობა და მისი ქონების ჩამორთმევა ბრძანა, გამოგზავნილმა კაცებმა საქართველოს დედაქალაქითგან „წარიღეს ყოველი, არარა დაშთა რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს

ს ა გ ა ნ დ უ რ ნ ი მ ე ფ ე ის; ა ნ ი და შინაგამცემელ იქმნეს“-ო (კამბააღ., \*898—899, გვ. 739). აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა შესახებ ძველს ქართულ საისტორიო მწერლობაში მეტად ცოტა და უშინაარსო ცნობები მოიპოვება. ამის გამო მოქალაქეთა ვინაობისა და რაობის შესახებ მსჯელობაც ნაადრევია.

წა შუშანიკის მარტულობა ამტკიცებს, რომ V საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდნენ. მაშინ ყოფილან „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ (ს. გორგაძის გამ. 20<sub>34</sub>—35).

„აზნაური“ და „აზნაურებაჲ“ ძველს ქართულ მწერლობაში თავისუფალს და თავისუფლებას ნიშნავდა. ეს ნათლად მტკიცდება საღმრთო წერილის ქართული თარგმანითაც. კორინთელთა მიმართ მე-2 ეპისტოლეს სიტყვებში „სადა სული უფლისა, მუნ აზნაურება არს“ (თავი 217). „აზნაურებაჲ“ ბერძნულ დედნის „ელეუთერია“-ს უდრის, რაც თავისუფლებას ჰნიშნავს. ამგვარადვე გალატელთა მიმართ ეპისტოლეს ქართული თარგმანის „აზნაურები თა მით, რომლითა ჭრისტემან „განგააზნაურნა“-ო (თ. 5) ბერძნული დედნის იმავე ზემომოყვანილს ბერძნულს სიტყვას „ელეუთერია“-ს და ზმნას „ელეუთერიაზე“-ს უდრის, პირველი „თავისუფლება“-ს, ხოლო მეორე „განთავისუფლება“-ს ჰნიშნავს. გრიგოლ ხანძთელის ცნობით, სადაც საღმრთო წერილის ეს ადგილებია ამოწერილი, ავტორს შემდეგის თავისი სიტყვების დასასაბუთებლად აქვს მოყვანილი: „პოვეს კაცთა თავისუფლებაჲ“-ო (ც<sup>ა</sup> გ<sup>ლ</sup> ხ<sup>ნ</sup>ძ<sup>ლ</sup>სა, გვ. მ17—18). მაშასადამე, აქაც „აზნაურებაჲ“ თავისუფლებად არის ნათარგმნი. „სახისამეტყუელ“-ის ქართულ თარგმანშიც გააზნაურება განთავისუფლებას უდრის (TP., VI, 19<sub>35</sub>).

ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“-ც ამისდა გვარად უნდა გავიგოთ, ესე იგი „თავისუფალნი და უთავისუფლონი ქართლისანი“-ო. მაშასადამე, „აზნაური“ მნიშვნელობით თავისუფალს უდრის. თვით სიტყვა „თავისუფალი“-ც გვხვდება დამოუკიდებელის მნიშვნელობით ძველ ქართულ მწერლობაში (იხ. ნ. მარის Физиологи TP., VI, გვ. XXXVI. შენ. 1).

თუ ქართულ ტერმინს („თავისუფალი“) ჩაუტყვირდით, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა ცხადი იქნება: ის იყო „თავისუფალი“, ვინც თავისის თავის უფლად ან ბატონად იყო, ვისაც ბატონი, ან უფალი არა ჰყავდა და ბატონს არ ემორჩილებოდა. ამიტომ ქართული ტერმინი „აზნაური“, ან „თავისუფალი“ რომაული სამართლის „persona sui juris subiecta“-ს (Gaius 1,48 apud P. R. Girand. Droit Romain V გამოცემა, გვ. 94, შენ. 1) უდრის, ხოლო „უაზნონი“ იქმნებოდა personae alieno juris subiectae, რომელნიც თავიანთ თავის უფალნი კი არ არიან არამედ რომელთაც სხვა ჰყავთ უფლად.

მაგრამ რომ უკვე V ს-ში „აზნაური“ მარტო საზოგადო ცნების, „თავისუფალი“-ს აღმნიშვნელი კი არ იყო, არამედ ამასთანავე საწოდებრიო სახელად და ტერმინად იქცა, ამას წა შუშანიკის მარტულობაც ამტკიცებს. იქ მოხსენებულნი არიან „აზნაურნი დიდ-დიდნი“ (ს. გორგაძის გამ., 20, 33). მაშასადამე, აზნაურთა შორისაც განსხვავება იყო და ეს წოდ-

ზაც უკვე ხარისხებერ დანაწილებული ყოფილა. უმაღლესი საფეხური „დიდ-დიდ აზნაურებს“ სჭერიათ. უეჭველია „მცირენი“-ც იქმნებოდნენ.

შესაძლებელია, რომ ვახტანგ გურგასლის დროსვე აზნაურთა წოდების უფრო რთული ხარისხებრივი დანაწილებაც ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ შემთხვევით არ იყოს ცნობები შენახული. ხოლო იმ ხანაში, რომელიც ამ ეპოქად ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, ყოველ ექვს გარეშეა, რომ აზნაურთა წოდებას რთული და სხვადასხვა შემადგენლობა ჰქონდა.

მათალია, ამ დროსაც იყვნენ დიდ აზნაურთა მსგავსნი „დიდებულნი აზნაურნი“ (ც<sup>ა</sup> გგ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ლ</sup>სი, მგ.; მტ<sup>ნ</sup>ე ქ ი, \*487, გვ. 260; ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმანი, \*640, და 649, გვ. 421 და 435), მაგრამ ამ აზნაურთა „დიდებულება“ (ც<sup>ა</sup> გგ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ლ</sup>სა, კვ), როგორც ეტყობა, სხვა თვისებისა იყო. გიორგი მერჩულის თხზულება გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს სიტყვა და ჩვეულებრივ საითგან მომდინარეობდა დიდებულება. „იყო ვინ-მე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული“-ო, მოგვითხრობს გიორგი მერჩული (ც<sup>ა</sup> გგ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ლ</sup>სა, იბ, § 96—7). მაშასადამე, აზნაური დაფანჩული მესხეთის მთავრის წინაშე და მის მიერ ყოფილა დიდებულნი. ეს საკითხი, თუ რა იყო დიდებულება და ვინ უნდა ყოფილიყო დიდებული აზნაური, უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქმნება განხილული. აქ ჩვენთვის ისიც საკმარისია, რაკი დავრწმუნდით, რომ აზნაურთა შორის ერთის განცალკევებული წრის გამოყოფა მეფის წინაშე დამსახურებითაც ყოფილა გამოწვეული.

თუნდაც დიდებულ აზნაურებს თავი რომ დავანებოთ, მაინც აზნაურთა შემადგენლობა IX—XIII სს. სხვადასხვაგვარი და რთული დარჩება. ზოგი იყო „ნათესავით აზნაური“ (გ. მერჩული. ც<sup>ა</sup> გგ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ლ</sup>სა, ლგ), ანუ ჩამომავლობით იყო აზნაური და არა მეფის წყალობით აღზევებული. გიორგი მერჩულს, მაგ., ნათქვამი აქვს: „იყო ეპისა მას ხანძთას წინამძღურად მამამ არსენი ნათესავით აზნაური“-ო (იქვე, ლგ21—22). ჩამომავლობით აზნაური იყო სწორედ „გუარინი“, მისი წოდებრივი ღირსება მისის გვარის აზნაურობაზე იყო დამყარებული და მასაც მხოლოდ გვარი-შვილობით ჰქონდა აზნაურობა დამკვიდრებული.

საფიქრებელია, რომ „ნათესავით აზნაური“, ანუ მემკვიდრეობით მქონებული აზნაურობისა სწორედ იმ „აზნაურთა მემამულეთა“ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც გიორგი II-ის სიგელში არიან მოხსენებულნი (შოი მლ. ისტ. საბ., 12; ს. კაკ. შოი მლ. სამი სიგ., 5).

ძველს ქართულში სიტყვა „მემამულე“ ჰნიშნავდა მემკვიდრეს, ისეთ პირს, რომელსაც ჩამომავლობით რაიმე უფლება ეკუთვნის. მაგ., „მატიანე ქართლისა“ ამბობს, რომ როდესაც ბაგრატ IV ტფილისი აიღო, „არა დაიჭირა ბაგრატ თვსად ტფილისი“, არამედ მახლობელი ადგილები შეინარჩუნა მხოლოდ. რაც შეეხება საქართველოს დედაქალაქს, მეფემ „შემოიყუანა ტფილისად მემამულე სახელით სითილ არაბი და მისცა მას ტფილისი“-ო (\*505, გვ. 274—275).

მემატიანეს სიტყვების მნიშვნელობა რომ ჩვენთვის უფრო ადვილი გასაგები იყოს, უნდა გავიხსენოთ, რომ ზემომოთხრობილ ამბავზე უწინარეს,

ჯერ კიდევ 1046 წ. აღრე ტფილისის ამირა მომკვდარიყო და ტფილელმა ბერებმა ბაგრატ IV მიიწვიეს ტფილისში (ქლი ერის ისტორია, II), მაგრამ ბაგრატმა ტფილისი სამუდამოდ ვერ წინააღმდეგა და ტფილისის ამირობა კვლავ განახლდა. 1068 წ. სპარსეთის სულტანმა საქართველოში შემოსევის დროს ტფილისი თავის ერთგულს მოკაცშირეს განძის პატრონს ფადლონს მისცა (იქვე, II). მაშასადამე, საქართველოს მეფის მოყმე-ამირასათვის, რომელსაც ამირობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა, სულტანს ჩამოურთმევია. როგორც ეტყობა ის ამასთანავე განდევნილიც ყოფილა. როდესაც ქართველებმა გათამამებული ფადლონი დაატყვევეს, მაშინ მან ტფილისის ამირობაც დაჰკარგა. ხოლო ბაგრატ მეფემათ თითონ კი არ დაიჭირა ტფილისი, არამედ მოიწვია „მემამულე“ ანუ ტფილისის ამირათა შთამომავალი, რომელსაც უფლება ჰქონდა მემკვიდრეობით ამირობა მიეღო, და ის დასვაო. თამარ მეფის ისტორიკოსსაც აქვს ეს სიტყვა „მემამულე“ ნახმარი და იმავე კანონიერი მემკვიდრის მნიშვნელობით. გიორგი III-ემ 1161 წ. ქ. ანისი რომ აიღო, წინანდელი გამგის შედადიანის გვარის შვილს-კი არ დაუბრუნა და ჩააბარა, არამედ თვითონ დაიჭირა (ქლი ერის ისტორია, II). მაგრამ რაკი მაჰმადიანთა მფლობელნი გააფთრებთ ებრძოდენ ამ ქალაქს, რომ კვლავ მაჰმადიან მმართველთა ხელში ჩავარდნილიყო, ბრძოლით მობეზრებულმა გიორგი III ზავის მთხოვნელს მტერს წინააღმდეგობა არ გაუწია და „უბოდა ანისი თქსსავე მემამულესა და ითაყუანა თავისა თქსისა ყმად“-ო, ამბობს ქართველი ისტორიკოსი (ისტორი და აზმნი, \*610, გვ. 381—382). როდესაც გიორგი III-ეს ქ. ანისი აუღია, მაშინ ანისის მმართველად შადადის ძმა ფადლუნი ყოფილა (ქლი ერის ისტორია, II). დაზავების დროს კი საქართველოს მეფეს ანისი უწყალობნია მაჰმადის შვილის არსლანისათვის (იქვე, II), რომელიც ალბათ შედადიანთა ნათესავი და ჩამომავალი ყოფილა და ამის გამო მათ უფლებათა კანონიერი მემკვიდრეც. მაშასადამე, „აზნაურნი მემამულენი“ მაშინ ისეთ აზნაურებს შეიძლება და რქმეოდათ სახელად, რომელთაც აზნაურობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდათ და წინაპართაგან დამკვიდრებული ჰქონდათ, ანუ რომელიც „ნათესავით“ აზნაურნი იყვნენ.

„მემამულე“ აზნაურთა გარდა იყვნენ „აზნაურნი მოსაკარგავენი“, რომელნიც გიორგი II სიგელში „მემამულეთა“-გან განცალკევებით არიან დასახელებულნი (შო მლ. ისტ. საბ., 12; ს. კაკ. შო მლ. სამი სიგ., 5). ამიტომ საფიქრებელია, რომ „აზნაურნი მოსაკარგავენი“ მაინცადამაინც „მემამულეთა“, ანუ ჩამომავლობით აზნაურთა ჯგუფს არ ეკუთვნოდენ. „სქლოს ეკონომიურ ისტორია“-ში მოყვანილია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი ცნობა, რომლის საშუალებით ირკვევა, რომ „მოსაკარგავე“ თითქოს გადასახადების ამკრებს ნიშნავდა. „ვისრამიან“-ის ქართულ თარგმანშიც ვხვდებთ ეს სიტყვა და იქ ნათქვამია: „რამინმა კელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავე მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულობა და სამსახური მოიმატა“-ო (ვისრ., 449,7 ქვ.). ამ წინადადების მიხედვით, „საკარგავე“ თითქოს მოხელეთა სარგოს უნდა უდრიდეს.

მაშასადამე, ცხადია „აზნაურთა მოსაკარგავეთა“ რალაც საქმე უნდა ჰქონოდათ „საკარგავ“-თან, მაგრამ მხოლოდ ამის ამკრები მოხელეები იყვნენ, თუ მათაც ეძლეოდათ „საკარგავი“ ვითარცა სამოხელეო სარგო, ამის თქმა შეუძლებელია.

„აზნაურნი მოსაკარგავენი“, მაშასადამე, მოხელე აზნაურთა ჯგუფის შემადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ. იმისდა მიუხედავად, რომ „აზნაური“ თავდაპირველად თავისუფალსა ნიშნავდა, ვერც აზნაურები გადურჩნენ ყმობის უღელს. ამის გამოა, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულია „აზნაური მეფისა“ (ცა გგლ ხანძალისაჲ, იგ.). ის, მაშასადამე, მეფის აზნაურია, ამავე დროს იგი იმავე ნაწარმოებში დიდებულ აზნაურადაც იწოდება.

მაგრამ მართო მეფის აზნაურები კი არ იყვნენ, დიდებულ ხელისუფლებს, ერისთავთა-ერისთავებსა და სხვებსაც ჰყოლიათ აზნაურნი. ვაჰანის მონასტრის 1212—1227 წ. ტიბიკონში მაგ. მოხსენებულნი არიან მხარგრძელის „სახლისა აზნაურნი... ნამსახური... და სჷპატიო აზნაურის შვილი“ (შიო მლ. ისტ. საბ., 41). ქართველი ეპითაალმწერელიც ასახელებს ჯერ სამცხის მთავრის სარგისის: „აზნაურის შვილთ“, მის ყმებს (\*841—842, გვ. 687), შემდეგ „აზნაურთა ბეჰასათა“ (\*884, გვ. 727). ცხადია, სულ სხვა საზოგადოებრივსა და უფლებრივ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ აზნაურნი „მემამულენი“, „დიდ-გუარიანი“ აზნაურები და ყმა-აზნაურნი, თუნდაც აზნაურნი მეფისანი.

თავისუფალი და გვარიანი აზნაურნი საქართველოს გავლენიან წოდებას შეადგენდნენ. მათ დიდი ქონებრივი ძალაც ჰქონდათ და რასაკვირველია სამხედროც, განსაკუთრებით, ერთ ჯგუფთაგანს. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ აზნაურნი ორ ჯგუფად იყოფებოდნენ: სუმბატ დავითის ძის სიტყვით აზნაურნი თურმე „რომელნიმე ციხეთა [უფალნი] და რომელნიმე უციხონი“ ყოფილან (ცა და უწყება, \*589, გვ. 359). „ციხეთა უფალნი კაცნი“, ან დიდებულნიო (მტნე ქა, \*486, გვ. 260 და \*499, გვ. 270) ისეთ პირებზე ამბობდენ ხოლმე, რომელთაც საკუთარი ციხე ჰქონდათ და ფლობდენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად ციხეთა უფალნი აზნაურნი ძლიერნი და გავლენიანი უნდა ყოფილიყვნენ სხვებთან, განსაკუთრებით უციხოებთან, შედარებით. ზემო ქართლის კათალიკოზის სამწყსოს სია ამტკიცებს, რომ ყოველს დიდგვარიან აზნაურს თავისი რასაკვეთრველია საგვარეულო სასაფლაო, მონასტერი და კარის ეკლესიაც ჰქონდა (დ. ბაქრაძე, АПГА, გვ. 79—80).

აზნაურობა საქართველოს სახელმწიფო წოდებრივი წყობილების საერთო მოვლენა იყო და აზნაურნი საქართველოს ყოველ თემსა და კუთხეში იყვნენ: ქართლშიაც, ჰერეთ-კახეთშიც, მესხეთშიც, შავშეთშიც, აფხაზეთსა და სომხეთშიც: ყველგან აზნაურები მოხსენებულნი არიან (მტნე ქა\* 454—455, 456, 458, 463—464, 478 და 480 გვ. 231, 232, 234, 252 და 254; ცამფსაღისი \*512, გვ. 281; ისტონი და აზმნი \*654, გვ. 440).

უძველეს დროს, განსაკუთრებით მეფობის მოსპობის შემდგომ აზნაურთა წოდებას უდიდესი ძალა ჰქონდა საქართველოში: მაშინ თურმე „იპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“ (მქც<sup>ა</sup> ქ<sup>ა</sup> სამი ქ<sup>კა</sup>, 44), ქვეყნის შინაური საქმეების მართვა-გამგეობა მათ ხელში ყოფილა. აზნაურებს ამგვარი უფლება დიდ ხანს შერჩენიათ: სანამდის მეფობა არ განახლდა, „იპყრობდეს ქართლს აზნაურნი“-ო (მ<sup>ტ</sup>ნე ქ<sup>ა</sup>, \*448, გვ. 225). აზნაურთა წოდებას შემდეგშიაც დიდი ძალა ჰქონდა და სამეფოს საქმეებშიაც მათი თვალსაზრისი გავლენა ყოველ ექვს გარეშეა. უცხოელებსაც კარგად სცოდნიათ ეს გარემოება, მეტადრე ბიზანტიის მთავრობის თვალს კარგად შეუნიშნავს და ხშირად ქართველ აზნაურთა მთელი ძალა და გავლენა თავის სასარგებლოდაც გამოუყენებია. სხვათა შორის ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ როდესაც „ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატს მისცნა“, ქართველთა მხრივ ერთგულების უზრუნველსაყოფელად თურმე „აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვა“ დავით კურაპალატისაგან (გ. მთაწმიდელი, ც<sup>ა</sup> ი<sup>ე</sup> და ეფ<sup>ა</sup>-თსი 6—7). საქართველოს მეფეებს რამდენჯერ გამოუტყდათ აზნაურთა წოდების ძლიერება და ქედ-ფიცხელობა (იხ. ქვევით, „მეფე“). ვინც საქართველოს სოციალურ ისტორიას ჩააკვირდება, ის მაინც ალბათ შეამჩნევს, რომ IX—X სს. და XI—XIII სს. შორის დიდი განსხვავებაა: IX—X ს-ში პოლიტიკურ ცხოვრებასა და ბრძოლაში აზნაურთა წოდების მაღალი წრე თითქმის მთლად იღებს მონაწილეობას, XI—XIII ს-ში კი უკვე მხოლოდ დიდებულნი და წარჩინებულნი-ღა არიან ქვეყნის ბედის გადამწყვეტნი.

ცალკე წოდებრივ ჯგუფს შეადგენდნენ „მსახურნი“, მაგრამ აზნაურებივით ისინიც ერთგვარსა და თანასწორუფლებიან გუნდს არ წარმოადგენდნენ. „მსახური“ (ც<sup>ა</sup> ჰაბოასი, 15<sup>ა</sup>—<sup>ბ</sup>) ისეთ პირს ეწოდებოდა, რომელიც სხვასთან იყო რომელიმე საქმის ან მინდობილობის გასაკეთებლად, და სასყიდლითა, ან სხვაგვარის გასამრჩელოთი მას ემსახურებოდა. ამიტომ მსახურნი მეფესაც ჰყავდა, მთავრებსაც და აზნაურებსაც. თვითოეულს მსახურთაგანს და მსახურთა ჯგუფს შეიძლებოდა საგანგებო საქმე ჰქონოდა ჩაბარებული. მაგ., ჰაბო ტფილელი, რომელიც ნერსე ერისთავთ-ერისთავს „შეეყო... მსახურად მისა“, თურმე ყოფილა „ქელოვან კეთილად შემზავებელ სულნელთა მათსაცხებელთა“ (იქვე, 15<sup>ა</sup>—<sup>ბ</sup>—16<sup>ა</sup>—<sup>ბ</sup>), ალბათ ნერსეის სახლობისათვის, საპირფარეო სულნელოვან საცხებლებს ამზადებდა. ზოგი გასაგზავნ-გამოსაგზავნად ჰყავდათ და იყვნენ ხოლმე „მსარბოლ გზათა შორთა“ (ც<sup>ა</sup> სრ<sup>ა</sup>ნ ზრ<sup>ა</sup>მ<sup>ა</sup>ლს<sup>ა</sup>, 38).

როგორც უკვე აღნიშნული იყო, აზნაურებსაც ჰყავდათ მსახურნი: გაბრიელ ერისმთავრის ერთი „მსახურთაგანი“ მოხსენებულია გიორგი მერჩულის თხზულებაში (ც<sup>ა</sup> გგ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ლ</sup>ს<sup>ა</sup>, ივ<sup>12</sup>—<sup>13</sup>). ცნობილნი არიან „მსახურნი ერისთავთ-ერისთავისა მაგისტროზისა ლიპარიტისანი“ (ქ<sup>კ</sup>ბი I, 191). ვაჰანის მონასტრის ტიბიკონშიც მხარგრძელთა „სახლისა... მსახურნი“-ც არიან აღნიშნულნი (შიო მლ. ისტ. საბ., 41).

უეჭველია მსახურთავე ჯგუფს, მხოლოდ უმაღლესს, ეკუთვნოდნენ მთავრის „წინაშე მდგომელნი“ (ც<sup>ა</sup> გგ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ლ</sup>ს<sup>ა</sup>, ივ<sup>12</sup>) და ტაძრე-

უ ლ ნ ი“ (ცა მფსა დტსი, \*530, გვ. 297 და ჭუნაშერი, ცა მფსა ვებტნგისი, \*430, გვ. 209). ტაძრეულნი რომ მაღალის, აზნაურთა წოდებისა არ იყვნენ, შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. ჭუნაშერი ამბობს, რომ არჩილმა „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა იგინი“ (ცა მფსა ვებტნგისი \*430, გვ. 209-210). თუკი მათი აზნაურ-ყოფა შეიძლებოდა, ცხადია, ტაძრეულნი აზნაურთა წოდების არ უნდა ყოფილიყვნენ.

უეჭველია „ვაჭარნი“ (1020 წ. მეღქმისედეკ კრის სიგ. ქკბი, II, 33; ცა მფსა დტსი, \*539, გვ. 305) ცალკე წოდებას შეადგენდენ, მაგრამ რაკი ვაჭართა წოდებას მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ზან მცირედი, უფრო ხშირად არავითარი გავლენა არა ჰქონდა, ამიტომ ქართულ იმდროინდელ საისტორიო წყაროებში ვაჭართა შესახებ თითქმის არაფერია შენახული. ამასთანავე რაკი საქართველოს დედაქალაქი ტფილისი ხანგრძლივ არაბ-სპარს ამირათა ხელში იყო და ტფილისის საამიროს შეადგენდა, ამიტომ სანამ დავით აღმაშენებელი ტფილისს საქართველოს შემოუერთებდა, ტფილისში და დმანისშიც ვაჭრები უფრო მაჰმადიანნი ყოფილან (ცა მფსა დტსი, \*539, გვ. 305). შემდეგ კი რასაკვირველია მდგომარეობა თანდათან შეიცვალა.

ვაჭარნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდენ: უმაღლეს წრეს ვაჭართა შორის „დიდ-ვაჭარნი“ (ისტრნი და აზმნი, \*635, გვ. 415; ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნი; ვეფხისტყაოსანი, კაკაბაძე, 143<sub>1011</sub>—1023, 149<sub>1075</sub>—1077) შეადგენდენ. დიდ-ვაჭართაგან ნიშნავდა მეფე მოსამართლეს (იხ. სქეს ეკონომიური ისტორია, 27-28). ამასთანავე ისინი სახელმწიფო საქმეებშიაც იღებდენ მონაწილეობას, იგზავნებოდენ დესპანებად უცხოეთში. თამარ მეფის დროს, მაგ., „ერთი მკვდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი“ ისეთი საპატიო და დიდმნიშვნელოვანი საქმისათვისაც კი იყო არჩეული, როგორც თამარ მეფისათვის საქმროს ჩამოყვანა (ისტრნი და აზმნი, \*635, გვ. 415).

დანარჩენს და უმრავლეს ჯგუფს რასაკვირველია „ვაჭარნი“ შეადგენდენ. როგორც ჩანს, საკუთრად ვაჭრებს საგანგებო ტანისამოსიც ჰქონიათ. შ. რუსთაველს, მაგ., ერთგან ნათქვამი აქვს:

„ყმა ვაჭრულად იმოსებ ის, არ ჩაიცვამს არა მისსა“.

(კაკაბაძე, 144<sub>1034</sub>—კარიჭაშვილი, 175<sub>1058</sub>)

ვაჭართა ტანისამოსს „სავაჭრო“ რქმევია. შოთას უკვდავ ქმნილებაში, მაგ., სწერია:

„მესავაჭროსა ჩივიცვამ, დავიწყებ ჭუბაჩობასა“-ო.

(კაკაბაძე, 142<sub>1012</sub>—კარიჭაშვილი, 170<sub>1038</sub>).

ვაჭრებს თავიანთი წყობილებაც უნდა ჰქონოდათ და უფროსიც ჰყავდათ, რომელსაც „ვაჭართ-უხუცესი“ ეწოდებოდა (ვეფხისტყაოსანი, კაკაბაძე, 143<sub>1022</sub>, კარიჭაშვილი, 173<sub>1046</sub>), ხოლო თვითონ ვაჭრები ირჩევდენ მას, თუ მთავრობა ნიშნავდა, ამის შესახებ არა ვიცით რა.

მიუხედავად იმისა, რომ „ვაჭრებს“ საერთო წოდებრივი სახელი ერქვათ, მათი მდგომარეობა ერთნაირი არ ყოფილა და მათ შორისაც დიდი განსხვავება იყო. თუ „დიდ-ვაჭრები“, მაგ., თავისუფალნი იყვნენ და პოლიტი-



კურ ცხოვრებაშიაც მონაწილეობას იღებდენ, ისეთი ვაჭრებიც იყვნენ, რომელნიც პირად თავისუფლებას მოკლებულნი ყოფილან და სხვის ყმებად ითვლებოდენ, რომელთაც ჰყიდდენ და ჰყიდულობდენ (იხ. 1020 წ. მელქისედეკ კ<sup>ბ</sup>-ის სიგ., ქ<sup>ბ</sup>-ი, II, 33).

ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდენ ხელოსნები, ცალკე წოდებას შეადგენდენ, თუ რომელსამე, მაგ., ან მსახურთა, ან გლეხთა წოდებაში შედიოდენ. საქართველოში, XII საუკუნეში მაინცდამაინც, ხოლო საფიქრებელია, რომ კარგა ხნით უწინარესაც, ისეთი ხელოსნები იყვნენ, რომელნიც მხოლოდ თავიანთი ხელობით და პირადის შრომით ირჩენდენ თავს და ინახავდენ ოჯახსაც. აბუსერიძე ტბელის თხზულებაში, მაგ., მოთხრობილია, რომ ვილაც ბასილი „ქვით-ხურთა, რომელსა ეწოდების ვალატოზი“, სამუშაოდ „წარვიდა ქუეყანასა სომხითისასა“. თვით კალატოზი ბასილი ამბობს: „მე ესრეთ გლახაკსა ნუ გეშინის საცემელად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობაჲ, რათა მოვირეწო დასაარჩენელი სახლეულთა ჩემთაჲ“-ო (ქ<sup>ბ</sup>-ი, II, 113). მაშასადამე ამ ხელოსანისათვის მუშაობა ერთადერთი ცხოვრების სახსარი ყოფილა და სამუშაოს საშოვნელად უცხო ქვეყანაშიაც კი მიდიოდა.

ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ საქართველოდან ფულის საშოვნელად და სამუშაოდ უცხოეთში წასულიყვნენ. იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ დაბა ცხმორისის „კაცნი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწლად რაჲსამე ღონედ სიგლახაკისა თვისისა“ (ქ<sup>ბ</sup>-ი, II, 118). შემდეგ მოთხრობითგან ირკვევა, რომ ცხმორელნი სპარსეთში ყოფილან წასული, ხოლო ეს გარემოება ამტკიცებს, რომ სარჩოს საშოვნელად და სახლობის გამოსაკვებად, რაკი „სიგლახაკისა“ გამო სხვა „ღონე“ არა ჰქონიათ, უცხოეთშიც კი მიდიოდენ სამუშაოდ.

წოდებრივობის უმდაბლეს ხარისხზე „გლეხნი“ (1020 წ. მელქისედეკ კ<sup>ბ</sup>-ის სიგ. ქ<sup>ბ</sup>-ი, II, 34; ნიკორწმიდის XI ს. სიგ., აქვე, II, 45—49; ც<sup>ა</sup> მფ<sup>ს</sup>ა დტ<sup>ს</sup>, \*540, გვ. 307; ეამთაალ. \*819, გვ. 664) იღვნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უნდოდა მკითხველისათვის საქართველოს დიდებული მეფის ბრწყინვალე გამარჯვება ბრძოლის ველზე ცხადეყო და თავისი აზრის უაღრეს ცხოველყოფილობისათვის ალტაცებული იძახის: „გლეხთა, იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყუანდეს ტყუედ“-ო (ც<sup>ა</sup> მფ<sup>ს</sup>ა დტ<sup>ს</sup>, \*540, გვ. 307). ამაზე ნეტი დამარცხება რალა იქნებოდა, რომ არაბთა უმაღლესი პირნი, მეფენი ქართველთა წოდებრივ წყობილების უმდაბლეს საფეხურზე მდგომ გლეხთა მიერ დატყვევებულნი იყვნენო, გვამცნებდა თავისი ზემომოყვანილი სიტყვებით ქართველი ისტორიკოსი. საყურადღებოა, რომ, თუ არ ვცდებით, ტერმინი გლეხი არც გ. მერჩულის, არც ბ. ზარზმელის, არც სხვა ძველი ავტორების თხზულებებში, არც „მტ<sup>ნ</sup>ე ქ<sup>ა</sup>“-ში არა გვხვდება. გ. მერჩულს ამის მაგიერ „მსოფლიონი ერის კაცნი“ და „მდაბიოჲ“ აქვს ნახმარი (ც<sup>ა</sup> მფ<sup>ს</sup>ა გ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ლ</sup>სა გვ. ი<sup>ა</sup>ჲ და ნე<sup>ს</sup>ნდ). „მატიანე ქ<sup>ა</sup>“-ს კი გლეხობის აღსანიშნავად „წურთილი ერი“ უწერია. სუმბატ დავითის ძე ამავე ცნებისათვის ხმარობს სიტყვებს „ერნი მსოფლიო-

ნი“-ო (ც“ა და უწყ“ება, 77). თუ ეს უბრალო შემთხვევით არ აიხსნება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი „გლეხი“ თავდაპირველად არ ყოფილა ქართულ მწერლობაში და შემდეგ შემოსულა.

რაკი გლეხები სოფლის მუდმივი მკვიდრნი იყვნენ და მათი ერთადერთი საცხოვრებელი და მარჩენალი მიწისმოქმედება იყო, ამიტომაც არის, რომ ხშირად მათ მარტივად „ქუეყანისა მოქმედნი“ ეწოდებოდათ. როდესაც ისტორიკოსმა თამარ მეფისდროინდელი საქართველოს საარაკო გამდიდრების დასურათება მოისურვა, მან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსივით შედარებას მიმართა, ორი ერთი-მეორის უკიდურესი ცნება ერთმანეთს დაუპირდაპირა და თქვა, ისეთი სიმდიდრე დატრიალდა, რომ „გააზნაურდეს ქუეყანისა-მოქმედნი“-ო (ისტორნი და აზმნი, \*632-633, გვ. 411).

„მსოფლიონი ერისაკაცნი“, ანუ „მდაბიონი“ როგორც აღნიშნული იყო, „მრომიოთ და ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდეს“ და მხოლოდ „შრომისაგან მათისა“ შეეძლოთ შეეძინათ რამე (ცა სრპნ ზრზმლსა, 4). მათი ყოფა-ცხოვრება მარტივი იყო, ქონებრივის ავლადიდებით ისინი „ლიტონად ცხოვრებულთა“ (იქვე) წრეს ეკუთვნოდნენ.

სანამ ოჯახის ბურჯი ჯანსაღად იყო და მუშაობდა, მის სახლეულებსაც არა უქირდა რა, სამყოფი სარჩო ჰქონდათ, მაგრამ როცა ის წაიქცეოდა, მუშაობა აღარ შეეძლო, ან წუთისოფელს გამოესაღებოდა, მაშინ მისი ოჯახის წევრნი „აღსა მას შინა სიგლაზაქისასა შეთხელნი“ (იქვე, 4-5) იყვნენ ხოლმე.

მდაბიოთაგანნი პირადად თავისუფალნიც ყოფილან, როგორც მაგ. თავისუფლად ჩანს სერაპიონ ზარზმელის მამა (ცა სრპნ ზრზმლსა, 4-5), მაგრამ უმრავლესობას, განსაკუთრებით XI ს-იდან მოყოლებული, თანდათან ყმობის უღელი დაედო და „აზნაურის ყმა“-დაც იქცა. ამიტომაც არის, რომ თამარ მეფის ისტორიკოსა წოდებრივობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის დაბალ საფეხურზე მდგომ გლეხთა აღსანიშნავად სწორედ ამ ტერმინს, „აზნაურის ყმა“-ს ხმარობს. გიორგი III-ეს რომ სულტანი უეცრად ლაშქრითურთ თავს დაესხა, იმ ბრძოლაში „არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაქლებულ იქმნა“-ო (ისტორნი და აზმნი, \*608, გვ. 380). რასაკვირველია გლეხები მართო აზნაურებს არა ჰყავდათ ყმებად, თვით მეფესაც და ეკლესიასაც, მაგრამ აქ თუ „აზნაურის ყმა“-ა დასახელებული იმითომ, რომ გლეხ ყმათა შორის აზნაურის ყმა ღირსებით მეფისა და ეკლესიის ყმებზე დაბლა იდგა. ყველა გლეხ-ყმათა მდგომარეობა ერთგვარი არა ყოფილა, მათ შორის რამდენიმე ჯგუფი არსებობდა. რომელთა უფლებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობა არსებითად განირჩეოდა. მაგრამ ეს საკითხი უკვე პირდაპირ წოდებრივობას არ ეხებოდა და ცალკე უნდა იყოს განხილული იქ, სადაც საგანგებოდ „პატრონ-ყმობა“-ზე იქნება საუბარი.

წოდებრივობა საქართველოში თუმცა ძლიერი იყო და ღრმა კვალსაც სტოვებდა იმ დროინდელ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წესწყობილებაში, მაგრამ მაინც წოდებანი ერთიმეორისაგან გარდაუვალი ზღუდით არ ყოფილა განცალკევებული. წოდებრივად აღზევებაც შეიძლებოდა და დაქვეითება, ჩამომცრობაც. ჩამომავლობასა და წოდებრივ ღირსებას გარდა მაშინ-

დელ ცხოვრებაში პირად ღვაწლსა, ნიჰს და სამსახურსაც თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა. როდესაც თავისი პირადი ღირსებით ადამიანი „საჩინოა კაცი“ (გ. მერჩული, ცა გგლ ხნძლსა იზ), „განთქმული და საჩინო კაცი“ (გ. მთაწმიდელი, ცა იესი და ეფისი, 14) იყო, მის წოდებრივობასაც მიმზიდველი ნათელი ეფინებოდა და ამალღებდა, „სამსახური“ შესაფერისად დაჯილდოვებული იყო ზოლმე (ისტრნი და აზმნი, \*620, გვ. 406). მაშინ ის მარტო „გუარიანი“-კი აღარ იყო, არამედ მას და მის ოჯახს „მსახურეული სახლი“-ს (ისტრნი და აზმნი, \*628, გვ. 405) სახელგანთქმულობაც ემატებოდა. ამგვარადვე, თუ დიდებულის ყმა-აზნაური „ნამსახური“ იყო, მას პატივისცემაც და სახელიც ემატებოდა: იგი ვითარცა „დიდად საპატიო და ნამსახური“ პატრონისათვისაც და ხალხშიაც „საპატიო აზნაურის შვილი“ იყო (1212—1227 წ. ვაჰანის მონასტრის ტიბიკონი, შიო მღვიმ. ისტ. საბ., 41). ყმა-გლეხსაც კი პირადი ნიჭითა და ღირსებით დაწინაურება შეეძლო: მას ყველანი შეამჩნევდენ, იგი უბრალო ყმა კი არ იქნებოდა, არამედ „ვარგი და საცნაური აზნაურის ყმა“ (ისტრნი და აზმნი, \*608, გვ. 380). ყურადღების ღირსია ამ მხრივ, რომ სვანურში „ვარგ“ აზნაურსაც კი ჰნიშნავს.

ყველა ეს ცნობა ნათლად გვიმტკიცებს, რომ პირადი ღირსებით და განსაკუთრებით სამსახურით წოდებრივობის მხრივაც დაწინაურება შეიძლებოდა. ერთის, უფრო დაბალი წოდებითგან უფრო მაღალ წოდებაში გადასვლა რომ შეიძლებოდა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობებიც მოიპოვება. ამას სხვათა შორის ჯუანშერის სიტყვებიც ცხადად ამტკიცებენ; მას აღნიშნული აქვს, რომ არჩილმა თავისი ტაძრეულნი „აზნაურ ყუნა“ (ცა მფსა ვებნგ გრგლსა, \*430, გვ. 209—210). წოდებრივ ამალღებას „აღზევება“ რქმევიცა, ხოლო დაწინაურებულებს „აღზევებულნი“ ეწოდებოდა (ისტრნი და აზმნი, \*629, გვ. 406).

#### § 4. მმართველი წრეები

ვისაც ერთხელ მაინც ქართული საისტორიო ძეგლები გულდასმით წაუკითხავს, მას უეჭველია შემჩნეული ექნება, რომ „დიდებულთ“, „წარჩინებულთ“ და კიდევ ორიოდ სხვა სახელის მქონებელთ საქართველოს სახელმწიფო საქმეების მართვაში თვალსაჩინო გავლენა ჰქონდათ. ქართული სახელმწიფო სამართლისათვის ამ ტერმინების განმარტებას ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილების გათვალისწინება შეუძლებელია, თუ თავდაპირველად ეს საკითხი საფუძვლიანად შესწავლილი არ იქნება.

მაშ რას ნიშნავდა სიტყვა „დიდებულნი“ და „დიდებულბა“? ამ სიტყვის თავი-და-თავი მნიშვნელობა იყო განდიდებული, პატივცემული, დაწინაურებული წარჩინებული და განთქმული. მაგალ, „კლარჯეთისა დიდებულნი, უდაბნონი“, „დიდებულნი მონასტრები“ (ცა გგლ ხნძლსა, ბ), „იშხნისა პირველი დიდებულბა“ (იქვე, ით), „ძენი სარგის ამირსპასალარისანი რომელნი მას ყამსა დიდად განდიდებულნი იყუნეს მეფის მიერ“ (ისტრნი და აზმნი, \*686, გვ. 481). ქართველი ყამ-

თაღმწერელიც ამბობს: „სიბღვიანი განდიდებულ იყო ყანისა ულოსა გან და საღუნიცა მისი გან განდიდებულ იყო. ყოველი საბრძანებელი ყანისა მისთა კელთა შინა იყო და ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს“-ო (ყამთაალ., \*874, გვ. 718). იგივე ისტორიკოსი ერთგან წერს: „ამათ ყამთა შინა განდიდნა საქცხის სპასალარი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა, რომელნი მთავრობდეს სამცხეს“-ო (იქვე, \*874, გვ. 718).

ჩვენთვის ამჟამად ამ სიტყვების მნიშვნელობის გამოკვევა იმდენად არის საჭირო, რამდენადაც „დიდებული“ და „დიდებულება“ სახელმწიფო სამართლის ცნების გამომხატველ ტერმინებად იხმარებოდა. ხოლო თუ ჩვენ ამ მხრივ გვწადიან გამოვარკვიოთ, რაზე იყო დამყარებული „დიდებულება“, მაშინ თავდაპირველად უნდა გამოვარკვეული გვექონდეს, თუ რა იყო და რა ცნების აღმნიშვნელი ტერმინი „დიდება“?

როგორც ეტყობა, „დიდება“ ძველად თანამდებობასა და თანამდებობაზე დაფუძნებულს პატივს ჰნიშნავდა. მაგ., ბაგრატ მეფის შესახებ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, მეფემ „განაგნა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი, უჩინი თვისნი შესცუალნა დიდებისა გან, ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“ (მტნე ქა, \*467, გვ. 242). დავით აღმაშენებელის ისტორიკოსიც ამბობს, რომ რაკი „ლიპარიტ ამირა“ წინაშე მეფისა „ზაკვდა“ და ორგულობდა, მეფე დავითმა „ინება გაწურთა მისი, ამისთვისცა პყრობილყო იგი ყამსა რაოდენსა“, ხოლო შემდეგ „განუტევა იგი და მითვე დიდებითა აღიდა და არა შეუცვალა“-ო (ცა მფსა ღთსი, \*521, გვ. 289). თამარ მეფის ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ დიდგვარიანი ხელისუფლები განთავისუფლებულ ამირსპასალარობის, მანდატურთუხუცესობის და მსახურთუხუცესობის თანამდებობას ერთიმეორეს ეცილებოდენ, „ბრძოლ[ისა] მყოფთა ქელისუფლობის და დიდებისათკს“-ო (ისტრნი და აზმნი, \*629, გვ. 406).

ამისდა მიხედვით ცხადია, რომ „დიდებული“ დიდი ხელისუფლობით დაჯილდოვებული და აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო, ე. ი. „დიდებული“ იმავე დროს დიდი მოხელე იქმნებოდა. მაგ.: გიორგი მთაწმიდელი რომ საქართველოში ყოფილა, გიორგის მომლოდინე მეფე ბაგრატ IV-მ თურმე „პრქუა მთავართა თვსთა“, გიორგი მთაწმიდელი მოვა და ყურადღება მიჰაქციეთ, იუბნებს, მაგრამ ჩვენ კი არ შემოგვხედავსო და „ვითარცა შემოვიდა სამეუფოსა მას კარავსა, აღდგეს ყოველნივე დიდებულნი... იწყო მეფეჟან უბნობად მისა... აგრეთვე ეპისკოპოზთა და მთავართა“-ო (ცა მთწა, 296). ცხადია, ამ შემთხვევაში დიდებული მთავარსა ნიშნავს.

XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ ბაგრატ III მოიყვანეს აფხაზეთისა და ქართლის მეფედ „ყოველთა დიდებულთა ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა“-ო (მტნე ქა, \*469, გვ. 239). იმავე ავტორს მოთხრობილი აქვს, რომ ბასილი კეისრის საქართველოში ლაშქრობის დროს „მოიკლნეს ერის-ავნი დიდებულნი რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი“ (იქვე, \*474, გვ. 247). თამარ მეფის ისტორიკოსიც ამბობს, რომ მეფის კურთხევის დროს „სრულ ყუეს მოკე-

ლეთა<sup>3</sup> სუიანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამაწელის ძეთა მოღება[დ] და დადება[დ] კრმლისა“ო (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*625, გვ. 400), იგივე ავტორი იხსენიებს „დიდებულთა ვიეთ[თა]მე კელისუფალთა“ (იქვე, \*428, გვ. 405).

მაგრამ დიდებულად მარტო მოხელეები კი არა ყოფილან, არამედ აზნაურიც შეიძლებოდა „დიდებული“ ყოფილიყო. სხვადასხვა დროის თხზულებებში „დიდებულნი აზნაურნი“ არაერთხელ არიან დასახელებულნი (ც<sup>ა</sup> გგ<sup>ლ</sup> ხნძ<sup>ს</sup>ს, ლგ, მგ; მტ<sup>ნ</sup>ე ქ<sup>ა</sup>, \*478 და 486, გვ. 252 და 260; ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*622, გვ. 396). მაგ., გრიგოლ ხანძთელის ც<sup>ა</sup>ში მოხსენებულია „აზნაური დიდებული... ერქუა მას გაბრიელ დაფანჩული“ (გვ. ი<sup>ბ</sup> და ი<sup>დ</sup>). მაგრამ იმავე დროს ეს „გაბრიელი მთავარი“ ყოფილა (იქვე ი<sup>გ</sup>). მაშასადამე, მისი დიდებულებაც დიდ მოხელეობაზე ყოფილა დაფუძნებული. აკი იგივე ავტორი ერთგან ამბობს კიდევ: „განსრულდა ძუელი იგი ეკლესიაჲ ხანძთისაჲ კორციელად მოლუაწებითა დიდებულნი საგაბრიელ მთავრისაჲთა“-ო (იქვე, ი<sup>ე</sup>).

თამარ მეფის ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ ომში თავი ისახელეს „ვარდან და და[დია]ნმან მსახურთ უხუცესმან, ორთავე მკარგრძელთა და სხუათა დიდებულთა აზნაურთა“-ო (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*640, გვ. 421). ქართველი ჟამთააღმწერელიც ერთგან ამბობს: „ქვეყანათ ციხენი... და დიდებულნი აზნაურნი და მონასტერნი... ყოველნი მას აქვნდეს“-ო (\*915-916, გვ. 758).

ზემომოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ დიდებულება აზნაურობასთანაც ყოფილა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ყოველს ექვს გარეშეა, რომ თვითთელი აზნაური „დიდებულ“-ად არ ითვლებოდა. სიტყვები „დიდებული“ და „აზნაური“ ერთისა და იმავე შესატყვის ცნებათა გამომხატველი არ ყოფილა, არამედ „დიდებული“ განსაკუთრებული აზნაურობისაგან განსხვავებული ჯგუფის წევრის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ეს მიზეზია, რომ ჩვენი ძველი ისტორიკოსები ერთსა და იმავე წინადადებაში საქართველოს მოხელეთა და მკვიდრთა სხვადასხვა ჯგუფის ჩამოთვლის დროს ამ ორ ტერმინს ცალ-ცალკე ასახელებენ ხოლმე. მაგ.: „ვაზირნი (და) სპასალარნი, კელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი“ (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*603, გვ. 373). „არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური ასნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ ლაშქართა შინა თუნიერ ერთისა ჯუარის მტვირთ[ვე]ლისა“-ო (იქვე, \*608, გვ. 380). „ზრახვა ყუეს, რომელნი მყოფ იყუნეს, თვთ ჳიაბერ მანდატურთუხუცესი, ჳერნი და კახნი დიდებულნი და აზნაურნი“ (იქვე, \*654, გვ. 440). „ბოცოს ძე ბოცო და მათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაურნი“-ო (იქვე \*686, გვ. 480-481). ქართველი ჟამთააღმწერელიც ამბობს: „მოვიდეს ერ-კახნი დიდებულნი და აზნაურნი დავით მეფის წინაშე“-ო (ჟამთააღ., \*913, გვ. 755).

<sup>3</sup> M „მკვეალთა“ > „მველთა“.

ზემომოყვანილი მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს, რომ დიდებულნი აზნაურთა საზოგადო ჯგუფს და წოდებას არ ეკუთვნოდნენ. დიდებულნი აზნაურებზე მალლა იდგნენ. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში და თვით ცხოვრებაშიაც იმათ, მაინცა-დამაინც XI საუკუნითგან მოყოლებული, უუმაღლესი საფეხური ეკავათ: მეფის შემდგომ პირველი ადგილი მათ ეკუთვნოდათ: აზნაურებს კი დიდებულებთან შედარებით მეორეხარისხისადგილი ექირათ. ეს გარეშეობა თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითაც მტკიცდება. მას სხვათა შორის აღნიშნული აქვს: თამარის მეფობაში ისეთი კეთილდღეობა იყო საქართველოში, რომ „გააზნაურდეს ქუეყანის მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაქელმწიფდეს დიდებულნი“-ო (ისტორი და აზრნი, \*632-633, გვ. 411). მაშასადამე, დიდებულნი აზნაურებზე უფრო მაღალ წრეს ეკუთვნოდნენ.

თავისდათავად საკითხი იბადება, აზნაურებივით დიდებულებიც ხომ წოდებას არ შეადგენდნენ და აზნაურობას გარდა ცალკე დიდებულთა წოდებაც ხომ არ არსებობდა? არა. დიდებულება წოდებრივი ცნება არ ყოფილა. წოდების დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენდა, რომ წოდებრივი ღირსება სახლობისა და საგვარეულოს თვითოეულ წევრს ეკუთვნოდა მაგ., აზნაურთა გვარის ყოველი შვილი და თვითოეული ოჯახის წევრი აზნაურად ითვლებოდა. დიდებულებას კი ეს თვისება არ ჰქონია და ამის გამო ვერც წოდებად ჩაითვლება. ყოველი იმ გვარისა და სახლის შვილი, რომელსაც ესა თუ ის დიდებული ეკუთვნოდა, დიდებულად კი არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ ის პირადად იყო „დიდებული“: მის შვილს, არც მის ძმებს, ან სხვა ნათესავებს დიდებულთა სახელი არ ენიჭებოდათ.

ამ მხრივ საყურადღებოა, თუ როგორ ესმოდათ დიდებულება შემდეგ საუკუნეებში, საქართველოს დაქვეითების ხანაში, როდესაც წოდებრივობა ცხოვრების დედა-ბოძად იქცა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში, მაგ., „დიდებული თავადი“-ს მნიშვნელობა ამგვარად არის განმარტებული.

„დიდებული თავადი ეს არის:

ერთი თავი თვითან არაგვის ერისთავი გაუყრელი, გაუყრელი ერთი თავი თვითან ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითან ამილახვარი, გაუყრელი ერთი თავი ორბელიშვილი, როდესაც გაუყრელი ყოფილა ციციშვილი და ამათთან კი არა და სომხითის მელიქიც ყოფილა. ამათ გარდა ისა და ამათსავე სახლიკაცებს ამათან სისხლი არა სდის“-ო (§ 35).

მოყვანილი განმარტება ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთს საქართველოში, სახელდობრ მარტო ქართლის სამეფოში, მხოლოდ 6 დიდებული ყოფილა: ერთი არაგვის ერისთავიანთ სახლითგან, ერთი ქსნის ერისთავიანთ სახლითგან, ერთი ორბელიშვილთა გვარიდან, ერთი ამილახვიანთ გვარიდან, ერთი ციციანთაგან და ერთიც სომხითის მელიქის გვარიდან მაშასადამე, მხოლოდ ამ ექვს გვარში შეიძლებოდა, რომ თითო-თითო დიდებული ყოფილიყო. რატომ? ამის საპასუხოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ კანონმდებელს თვითოეულის ზემოაღნიშნული საგვარეულოს შესახებ საგანგებოდ აღნიშნული აქვს „გაუყრელი“-ო. ციციშვილებზე კი

ნათქვამია: „როდესაც გაუყრელი ყოფილა ციციშვილიცა“-ო. ხოლო მას შემდეგ, რაც გაყრილან, უკვე აღარ შეიძლებოდა, რომ ციციანთაგან დიდებული გამოსულიყო. აქეთგან ცხადია, რომ დიდებული მხოლოდ დიდსა და გაუყრელ გვარში შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაგრამ ზემომოყვანილი კანონი ამას გარდა ამტკიცებს, რომ დიდებულებისათვის მარტო დიდგვარიანობა არ კმაროდა. კანონმდებელს საგანგებოდ აღნიშნული და ხაზგასმული აქვს, რომ არაგვის ერისთავთაგან დიდებულად მხოლოდ „თვითან არაგვის ერისთავი“ ითვლებოდა, ქსნის ერისთავთაგან მხოლოდ „თვითან ქსნის ერისთავი“. ამილახვართაგან მხოლოდ „თვითან ამილახვარი“, მეღიქვიშვილთაგან მხოლოდ „სომხითის მეღიქვი“ პირადად. მაშასადამე, ზემოჩამოთვლილ დიდ საგვარეულოთაგან დიდებულად მარტო ის ერთი გვარისშვილი ითვლებოდა, რომელსაც მეფისგან მაღალი, საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლება ჰქონდა ნაბოძები: ქსნის, ან არაგვის ერისთავად დადგენილი იყო, ან ამილახორად, ან სარდლად, ან მეღიქვად და სხვად იყო დანიშნული.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ ხუთ-ექვს დიდებულს გარდა მათ არც მახლობელ ნათესაეებს, არც გვარიშვილებს, „ამათსაც სახლის კაცებს“ დიდებულების სახელი და ღირსება არა ჰქონიათ. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ დიდებულებმა წოდებამ არ იყო და დიდებულნი ცალკე წოდებას კი არა, არამედ მხოლოდ ცალკე წრეს შეადგენდნენ. იმისდა მიხედვით, თუ აზნაურთა გაუყრელ გვარში ვის უწყალობებდა მეფე მაღალ ხელისუფლობას, დიდებულადაც ის იქნებოდა. მაშასადამე, დიდებულებმა გვარის ყველა შვილთათვის მემკვიდრეობითი და საგვარეულო კუთვნილება კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ დიდგვარიანობასა და დიდ მოხელეობაზე იყო დამოკიდებული.

თუ XVIII საუკუნეშიც კი, როდესაც სხვადასხვა თანამდებობანი დროთა განმავლობაში საგვარეულო და მემკვიდრეობით კუთვნილებად იყო ქცეული, დიდებულება მაინც მემკვიდრეობით და წოდებრივ ღირსებად არ ითვლებოდა, მით უმეტეს შეუძლებელია დიდებულება მემკვიდრეობით და წოდებრივ ღირსებად ყოფილიყო იმ ხანაში, რომელსაც ეხლა ვიკვლევთ.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ზემომოყვანილი განმარტება ალბათ ძველ დროისთვისაც გამოსადეგი იქნებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ თავადობა, როგორც წოდება, ჯერ არ არსებობდა და მის მაგიერ მარტო აზნაურობა იყო. ამიტომ მაშინ ამბობდნენ „დიდებული აზნაური“-ო და არა „დიდებული თავადი“-ო, როგორც ვახტანგის კანონებშია ნათქვამი. ამ შესწორების შემდგომ ზემომოყვანილი განმარტება „დიდებულთა აზნაურთა“ ბუნებისა და თვისებათა შესასწავლად შეიძლება გამოდგეს. მაშასადამე, „დიდებულ აზნაურ“-ად იწოდებოდა დიდისა და გაუყრელი გვარის მხოლოდ ერთი წევრი, სახელდობრ, რომელსაც მეფისაგან დიდი ხელისუფლება ჰქონდა ნაბოძები. მაგრამ იმ დიდებულებისათვის, რომელიც დიდგვარიანობაზე კი არა, არამედ დიდ ხელისუფლებაზე იყო დამყარებული, ალბათ სხვა პირობები იქნებოდა საჭირო.

მაშასადამე, დიდებულება დიდ მოხელეთა და ხელისუფალ აზნაურთა ჯგუფისაგან წარმომდგარა და გამოყოფილა. უკვე XI საუკუნეში დიდებულ-

ნი ცალკე არიან გამოყოფილნი და განსაკუთრებულ საზოგადოებრივ წრედ და ერთეულად მოჩანან. გიორგი ხუცეს-მოწაზონს, მაგ., მოთხრობილი აქვს, რომ მთაწმიდელი მამის წინაშე „იწყეს აღსარებად და სინანულად... დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა“-ო (ც<sup>მ</sup> გ<sup>ი</sup> მთ<sup>წ</sup>მ, 320), და დიდებულთ განცალკევებულ ჯგუფად ასახელებს. ამავე საუკუნის მეორე ისტორიკოსიც „დიდებულთ“ საქართველოს განსაკუთრებულ და ძლიერ ჯგუფად იხსენიებს, მაგ.: ლიპარიტის ტყვედ ჩავარდნის შემდგომ „დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა ლიპარიტისთა... გამოიყუანეს მეფე მეფედ“ (მტ<sup>ნ</sup>ე ქ<sup>მ</sup>, \*492, გვ. 264). „შემდგომად დღეთა მრავალთა მოიმტკიცის მეფე და დიდებულნი ამის სამეფოსანი ციხ[ოვან]თა და ლიპარიტისათა მშვიდობით გაშუებისათჳს ლიპარიტისა“ (იქვე, \*495, გვ. 267. ამგვარივე მაგალითები იხ. იქვე, \*499 და 507, გვ. 270 და 277, ის<sup>ტ</sup>რნი, \*610 და 613, გვ. 382 და 386). „მცირედისა ეამისა შემდგომად ამის სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი, სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს და შეიპყრეს... ლიპარიტ“ (მტ<sup>ნ</sup>ე ქ<sup>მ</sup>, \*494, გვ. 266).

„ქართულნი დიდებულნი“ (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*654, გვ. 440), როგორც თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობებითგანა ჩანს, გავლენიან წრეს შეადგენდნენ და საქართველოს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებზე მსჯელობის დროს თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდნენ, პირველად ისინი არიან მოხსენებულნი. მაგ.: გიორგი III თავისი ასული თამარი „მეფე ყო თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“ (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*616, გვ. 390-391). მამის სიკვდილის შემდგომ დიდებულთა თხოვნისაებრ თამარის მამილამ თავის ძმისწულს მეფედ კურთხევა ურჩია და „მოახსენა თამარსა მეფესა და დედოფალსა და [და]მორჩილდა პირველსავე ბრძანებასა, აჲ კადრებულსა დიდებულთა [მირ] შვიდთავე [სამეფოსასა“-ო (იქვე, \*624, გვ. 399). თამარის პირველ ქმარსაც „უბედურს რუსს“ სოლომური ქცევა „უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა“ და მათვე „ჩელ-ყუეს“ და „წარიყუანეს ექსორია ქმნად“ (იქვე, \*640, გვ. 422-423). XIII საუკუნეში „დიდებულნი საქართველოსანი“ ჩვენს სახელმწიფოში მძლავრსა და გავლენიან წრეს შეადგენდნენ. ქართველ ეპითაღმწერელს, მაგ., აღნიშნული აქვს, რომ დიმიტრი თავდადებულის სიკვდილის შემდგომ „ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი შემოკრბეს და ყუეს ფიცი და სიმტკიცე ერთგულობისა და მოსცა ძე მისი (ვახტანგ) მეფემ“ დავით რუსუდანის ძე-ბაო (ეპითაღ., \*903, გვ. 743).

„წარჩინებულნი“ და „წარჩინებულნი“ (ც<sup>მ</sup> ი<sup>ე</sup> და ეფ<sup>ს</sup>ი, 15) უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა ხოლმე. თუმცა ზოგჯერ „დიდებულნი“-ს მაგიერაც გვხვდება და არა ერთხელ თითქოს მისი შესატყვისობის გამომხატველია. მაგ., ერთს ქართველ ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ უსინათლო თევდოსის მეფობის დროს აფხაზეთში „განიწყუნა ქუეყანა იგი, შეიცუალა ყოველი წესი მისი და განგება პირველთა მეფეთა განწესებული: იხილეს რა წარჩინებულთა მის ქუეყანი-



ს ა თ ა, იყუნეს ყოველნი მწუხარებასა შინა დიდსა“-ო (მტ<sup>ნ</sup>ე ქ<sup>ა</sup>, \*463, გვ. 238).

რაკი დავით აღმაშენებელის ანდერძში „წარჩინებულნი“ და „დიდებულნი“ ცალ-ცალკე არიან დასახელებულნი, ამიტომ ცხადია, რომ მსგავსებას გარდა ამ ორ ტერმინს შორის მცირეოდენი მაინც განსხვავება უნდა ყოფილიყო. იქ სახელდობრ ნათქვამია: გიბრძანებს... თქვენ ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოსა მისისათა: კათალიკოზთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა“-ო (ქ<sup>კ</sup>ბი, II, 514—5).

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება ცხადად ამტკიცებს, რომ დიდებულებივით „წარჩინებულნი“-ც სახელმწიფო საქმეების განგებაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ. მას, მაგ., მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც მხარგრძელებმა თამარს მოახსენეს, სპარსეთში გალაშქრება უბრძანე საქართველოს მხედრობასო, თამარ მეფემ თურმე „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა იმერთა და ამერთა, აუწყათ ქმული მათი... სთნ და ყოველთა თქმული მათი და დაასკუნეს ლაშქრობა“-ო (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*711, გვ. 516). იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი შეცილების დროს ძმანი მხარგრძელნი, „ყოველნი მკედრნი მეფის წინაშე იყუნეს კათალიკოსი და ეპისკოპოსნი, სხუანიცა საქართველოს წარჩინებულნი“-ო (იქვე, \*686, გვ. 481). ხოლო როდესაც შეცილება ქართველი სამღვდელოების გამარჯვებით დამთავრდა და „კათალიკოზი შესევს შემოსილი ჰუნესა თუსსა... თანაჰყუებოდეს ყოველნი წარჩინებულნი“ და ფსალმუნების გალობით შემოატარესო (იქვე, \*696, გვ. 492).

სხვებზე უფრო ხშირად წარჩინებულებს, ამასთანავე ყოველთვის ვითარცა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობის მონაწილეთ ქართველი ეპითაიდმწერელი იხსენიებს. მაგ., როდესაც დავით ლამას ძემ მონღოლთაგან ვანდგომა დააბირა, „წარჩინებულნი ამის სამეფოსანი რომელნიმე დაუმტკიცებდეს და რომელნიმე არა“-ო (ეპითაიდ., \*825, გვ. 671). „მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი [სამეფოსანი, რამეთუ (დედოფალმა) ჯიგდამან არა შვა შვილი“ (იქვე, \*821, გვ. 667). მონღოლთა შემოსევის დროს „წარჩინებულნი სამეფოსანი თუსისა ქვეყანისათვის ზრუნვიდეს“ (იქვე, \*806, გვ. 649). ულუ ყანის დასახვედრად ნოინნი თურმე ადარბაგანში „წარემართნეს მიგებებად... და თანა წარიტანნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი და უმეტეს ეგარსლანი, რომელსა ვითარცა მეფესა მორჩილობდეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“-ო (იქვე, \*803—804, გვ. 645). ამ უკანასკნელი წინადადებითგან ირკვევა, რომ ზოგჯერ მაინც წარჩინებულებად მთავარნი არიან ნაგულისხმევენი. ამასვე ამტკიცებს შემდეგი მაგალითიც. ბექა სამცხის სპასალარმა „მოუწოდა წარჩინებულთა სამცხისათა შავშ-კლარჯთა და შეკრიბნა ყოველნი და ჰრქვა: ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო“-ო (იქვე \*923, გვ. 767). ეს უკანასკნელი ამონაწერი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ გვაფიქრებინებს—წარჩინებულნი საქართველოს თვითოეულ თემში და კუთხეში ყოფილან.

ქართულ საისტორიო თხზულებებში დიდებულთა და წარჩინებულთ გარდა არა ერთხელ არიან მოხსენებულნი „მკვდრნი“ და „თავადნი“ ვითარცა საქართველოს სამეფოში გავლენიანი პირნი.

როგორც უკვე განმარტებული იყო, ტერმინ „მკვდრი“-ს თავდაპირველი მნიშვნელობა მცხოვრები და დაბინავებული იყო (იხ. საქართველოს მკვიდრნი და მოსახლეობის ერთეულები). მაგრამ „მკვდრი“ შემკვიდრესაც ერქვა. მაგ., დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „მოკუდა რატი ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული... და ესრე დასრულდა სახლი... და აღარავინ დარჩა საყოფელთა მათთა მკვდრი... და მამული მათი აღილო შემდგომად მეფემან“-ო (ცა მფსა ღთსი, 522, გვ. 290). ამას გარდა „მკვდრი“ სამეფო ტახტის შემკვიდრესაც ეწოდებოდა. მაგ., ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც დემეტრე „აფხაზთა და ქართულთა“ მეფე უძეოდ გარდაიცვალა და უსინათლო თეოდოსის მეტი სამეფო გვარში აღარავინ იყო, „არღარა დარჩა მკვდრი აფხაზეთისა და ქართლსა, გამოიყუანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ“-ო (მტნე ქე, \*460, გვ. 236). ხოლო როცა უძეოდ დავით დიდმა კურაპალატმა ქართლში თავისი ნაშვილები ბაგრატ III მოიყვანა; მან შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკვდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი... ამას დაემორჩილენით ყოველნი“-ო (იქვე, \*462, გვ. 237—238). რაკი უსინათლო და უშვილო თეოდოსის გარდა აფხაზთა სამეფო სახლში აღარავინ დარჩა, „უმკვდრო ქმნილი იყო ქუეყანა აფხაზეთისა“-ო (იქვე, \*463, გვ. 239). ცხადია, ამ სამსავე უკანასკნელ მაგალითში სიტყვა „მკვდრი“ სამეფო ტახტისა და ქვეყნის შემკვიდრეს ჰნიშნავდა.

მაგრამ ქართულ საისტორიო წყაროებში ისეთი ადგილებიც მოიპოვება, სადაც „მკვდრი“ არც მცხოვრებს და არც ტახტის შემკვიდრეს ჰნიშნავს, არამედ სულ სხვა, განსაკუთრებული აზრით არის ხოლმე ნახმარი. „მტნე ქე“-ში, მაგ., აღნიშნულია, რომ დემეტრე „აფხაზთა და ქართულთა“ მეფის გარდაცვალების შემდგომ „მკვდრთა ქუეყანისათა... გამოიყუანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ“-ო (\*460, გვ. 237). უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში „მკვდრნი ქუეყანისანი“ ქართლ-აფხაზეთის ყველა მცხოვრებს კი არ ჰნიშნავს, არამედ ქვეყნის გავლენიან, მმართველ წრეებს, რომელთაც უფლება ჰქონდათ უფლისწული სამეფო ტახტზე დაესვათ. თამარ მეფის ისტორიკოსსაც მოთხრობილი აქვს, რომ რა წამს გაძევებული გიორგი რუსი საქართველოს შემოესია და დასავლეთი საქართველო მას მიემხრო და თამარს გადაუდგა, თამარი „იკითხვიდა მიზეზსა მკვდრთა მისთავან“-ო (ისტრნი და აზმნი, \*651, გვ. 437). ცხადია, აქაც „მკვდრი“ არც მცხოვრებთა აღმნიშვნელია, იმიტომ რომ მაშინ ამ წინადადებას აზრი დაეკარგებოდა, არც ტახტის შემკვიდრისა, იმიტომ, რომ ჯერ იგი დაბადებული არც კი იყო. შემდეგ იმავე ავტორს მოთხრობილი აქვს, რომ სანამ ქართველ-სომეხთა საწმუნოებრივი შეცილება მოხდებოდა, ამაზე უწინარეს მხარგრძელნი და „ყოველნი მკვდრნი მეფის წინაშე იყუნეს“-ო (იქვე, \*686, გვ. 481). რასაკვირველია, არც ამ წინადადებაში შეიძლება, რომ „ყოველნი მკვდრნი“ საქართველოს ყველა მცხოვრებს აღნიშნავდეს: მთელი სამეფო ხომ მეფის სასახლეში თავს ვერ მოიყრიდა?! თამარ მეფის მეორე

ქმრის არჩევის შესახებ იგივე ისტორიკოსი ამბობს, რომ დავით სოსლანის შერთვა ურჩიეს, „ჰკადრეს და მოაჯსენეს (დედოფალსა რუსუდანს) მკვდრთა ამის სამეფოსათა. იგი განაღამცა ნებისა დამრთავი ვაზირთა და დიდებულთა თანაშემწე ქმნითა მომკსენებელ და მოაჯე ექმნეს თამარს“-ო (იქვე, \*646—647, გვ. 431). ეს მაგალითიც ამტკიცებს, რომ „მკვდრნი სამეფოსანი“ მნიშვნელობით საქართველოს მცხოვრებთა შესატყვისობა კი არ იყო (თამარ მეფისათვის საქმროს არჩევაში ყველას ხომ ვერ გარევედენ), არამედ საქართველოს სახელმწიფო საქმეებზე გავლენიანი წრის.

ზემომოყვანილი მაგალითების წყალობით თუმცა ყოველ მხრივ გამორკვეული დასკვნის გამოყვანა შეუძლებელია, მაგრამ ის გარემოება მაინც სრულის სიცხადით ირკვევა, რომ საქართველოში სამეფოს მემკვიდრედ, მის სახელმწიფოებრივი უზენაესი უფლებების პატრონად მართო სამეფო სახლი კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთა მოწინავე წრეც, რომლის წევრებსაც ეწოდებოდათ „მკვდრნი ქუეყანისანი“, ან „მკვდრნი სამეფოსანი“ და რომელიც აგრეთვე სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი საქმეების განგებაში მთავარ მონაწილედ მოჩანან.

მასალების სიმცირე ჯერჯერობით საშუალებას არ გვაძლევს ზედმიწევნით გამოვარკვიოთ, თუ ვინ ითვლებოდენ სამეფოსა და ქვეყნის „მკვდრ“-ად. ცხადია მხოლოდ, რომ სხვათა შორის „დიდებულნი“, ვაზირნი და დანარჩენი დიდი ხელისუფალნიც ერივნენ.

საყურადღებოა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს აგრეთვე ერთი „მკვდრთა ტფილისისათაგანი, თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-ველდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა სახელით აბულასან“ (ისტორნი და აზმონი, \*635, გვ. 415) და „ერთი მკვდრთაგანი დიდვაჰარი ზანქან ზორაბაბელი“ (იქვე).

უფრო ძნელი განსამარტებელია ტერმინის „თავადი“-ს მნიშვნელობა. ეს სიტყვა ქართულ საისტორიო მწერლობაში უკვე XI საუკუნიდან მოყოლებული ჩვეულებრივია. მაგრამ XI—XIII სს. იგი, რასაკვირველია, ჯერ წოდების აღმნიშვნელი სიტყვა არ არის, როგორც შემდეგში მოხდა.

თავდაპირველად ამ სახელს („თავადი“) ალბათ მოთავეს, თავკაცს და მეთაურს ეძახდენ. ამგვარი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას მემბარჩანის შემდეგ მოთხრობაშიაც კი. ბაგრატ IV-ის მოტებელმა ლიპარიტმა „აიხუნა ზემონი ციხენი და მიირთნა თავადნი კაცნი“-ო (მტნი ქა, \*491, გვ. 264).

მეტად საყურადღებოა, რომ როგორც „დიდებულნი სამეფოსანი“ და „მკვდრნი ქუეყანისა და სამეფოსანი“ არსებობდენ, ყოფილან თურმე „თავადნი სამეფოსანი“-ც. იმავე ისტორიკოსს, მაგ., აღნიშნული აქვს, რომ ივანე ლიპარიტის ძეს მეფე ბაგრატმა უბოძა „მამული არგუეთისა და ქართლისა და ჰმონებდა ერთგულობით და იყო. თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსათა“-ო (იქვე, \*496, გვ. 268). მართლაც, იგივე ავტორი ამბობს: „ცნა ტფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან ქართლის ენება, წამოსულა ფადლონისი, გამოგზავნა თავად (ნ) ივანე ძე ლიპარი-

ტისი ერისთავი და ნიანია ძე ქუაბულისი და მურვან ჯაყელი ერისთავი ყუე-  
ლისა და თანა სხუანიცა აზნაურნი“-ო (იქვე, \*503, გვ. 273). ამავე მემართი-  
ანს ცნობით მეფე გიორგი II-ეს „თავადთა ამის სამეფოსათა —  
ნიანია ქუაბულის ძემან, ივანე ლიპარიტის ძემან და ვარდან სულანთა ერის-  
თავმან... აუშალეს ქუეყანა“ (ცა მფსა დთსი, \*509, გვ. 278).

თავარ მეფის ისტორიკოსი იხსენიებს „თავადთ“. საქართველოს მხედ-  
რობა სამშობლოში ძლევამოსილი რომ დაბრუნდა და ტფილისში შევიდა,  
„დაჯდა მეფე ტახტსა სამეფოსა. შეუძღვა ამირსპასალარი და შევიდეს თავ-  
ვადნი და დასხდეს წესისაებრ“ (ისტორნი და აზმნი, \*718, გვ. 525).

ქართველი ეპითალოგის თხზულებაშიც „თავადნი“ ხშირად გვხვ-  
დებიან. ამ ისტორიკოსის სიტყვებიდან ირკვევა, რომ როგორც „დიდებულნი  
საქართველოსანი“ და „წარჩინებულნი საქართველოსანი“ იყვნენ, ისევე  
თურმე „თავადნი საქართველოსანი“-ც არსებობდნენ, რომელ-  
თაც სახელმწიფო საქმეების მიმდინარეობაზე დიდი  
გავლენა ჰქონდათ: „თვინიერ მათისა განზრახვისა“  
არც ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი არ უნდა გა-  
დაწყვეტილიყო. ერთგან ეპითალოგის, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ ლა-  
შა-გიორგის საუგო ქცევის „მცნობელნი თავადნი საქართველოსა-  
ნი ფრიად მბრძოლ (ექმნეს) და უმეტეს ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარისა  
ძე განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან. «არა თავს ვიდებთ შენსა  
მეფედ ყოფასა უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა ს(ი)ახლ(ე)სა  
(და) აგსა წესსა რომელსა იქმნ». ხოლო მეფემან შენიშნა და აღ(უ)თ-  
ქვა სიმტკიცეთა მიერ არღარა ქმნად თვინიერ მათი-  
სა განზრახვისა“ (ეპითალოგ., \*727, გვ. 544).

იმავე ისტორიკოსის ცნობებიდანა სჩანს, რომ სახელმწიფოს დიდმნიშვნე-  
ლოვან საქმეთა მიმდინარეობა და თვით სამეფოს ჩარხის ტრიალიც კი  
ბევრ რიგად „თავადთა“ ნებაზე იყო დამოკიდებული. სარგის ჯაყელი მაგ.  
თურმე ლაშა-გიორგის ძეს დავით მეფეს ურჩევდა, ლიხთ-იმერეთს გადავი-  
დეთ და, თუ რუსუდანის ძემ კარგად არ მიგვიღო, „ვეზრახნეთ თავად-  
თა იმერთა და განვსცეთ საჭურჭლე(ნი) და ჩვენ კერძო დავიყუ-  
ნოთ“-ო (იქვე, \*831, გვ. 676). ალბათ „თავადთა“ მომხრეობა საკმარისი  
იყო, რომ ს. ჯაყელისა და დავით მეფის წადილი განხორციელებულიყო.

ერთგან ეპითალოგის ისიც კი აქვს გაკვრით მოხსენებული, თუ სა-  
ხელდობრ ვინ ითვლებოდნენ „თავადებად“. იქ, სადაც ს. ჯაყელის ზემომო-  
ყვანილი სიტყვებია — „ვეზრახნეთ თავადთა იმერთა და... ჩვენ კერძო და-  
ვიყენოთ“-ო, დაძენილია: „ვეზრახნეს კახაბერის ძესა რაჭის ერისთავსა კა-  
ხაბერსა, ქუაბულის ძეთა, ფარჯანიანთა სარგის(ს), რათა ლაშას ძე დავით  
ყონ მეფედ. რომელნი ერჩდესცა და რომელნიმე წარუდგეს ლაშას ძესა და  
რომელნიმე რუსუდანის ძესა. ეგრევე დადიან-ბედიანი ჯონშერის ძე დადგა  
ერთგულობასა ზედა“ (იქვე, \*831—832, გვ. 676). მამასადამე, რაჭის ერის-  
თავი კახაბერის ძე კახაბერი, ქუაბულის ძენი, ფარჯანიანი სარგისი, ჯონშე-  
რის ძე დადიან-ბედიანი და სხვანი „თავადები“ ყოფილან.

ერთი სიტყვით, ზემომოყვანილი მაგალითებიდან ცხადად ირკვევა, რომ  
საქართველოში ყოფილან სახელმწიფო საქმეებში  
უადრესად გავლენიანნი პირნი, რომელნიც ცნობილ-  
ნი იყვნენ ვითარცა „თავადნი სამეფოსანი“ და „თავად-

ნი საქართველოსანი“. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს „თავადნი“ საქართველოს ძვირფასების გადაწყვეტილებით იყვნენ, ხოლო ჩვეულებრივ შემთხვევებში ერთად და მეფის გვერდით სახელმწიფოს სათავეში უდგენ. ქართველი მემკვიდრე ერთგან მოგვიტყობს, რომ ქართველ აზნაურთ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მისი ნახევარ-ძმის დემეტრეს გაშვება უნდოდათ, მაგრამ „ვერცა გაამეფეს, თუ ვის გულსა ედვა და ვერცა-ლა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან და ვერცა-ლა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა“-ო (მტ-ნე ქ-მ, \*483, გვ. 257). ტახტის მძივბელი დემეტრე იძულებული იყო ბიზანტიაში გახიზნულიყო. სამეფო შიგნით კი დამშვიდდა, მაგრამ მაშინ საქართველოს გარეთგან მოადგა უსიამოვნება: „დიდი ფაღლონ ავად იქცეოდა და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა“-ო (იქვე, \*483, გვ. 257). ამგვარად, „თავადნი დიდებულნი ამის სამეფოსანი“ ყოფილან იგივე „მოთაულნი ამის სამეფოსანი“. მაშასადამე, „თავადნი“ სახელმწიფოს „მოთაულნი“ ყოფილან და სათავეში მდგარან, რაც ზემომოყვანილი სხვა მაგალითებითაც მტკიცდება.

მაშინ იყვნენ და ვინ ითვლებოდენ თავადებად? უკანასკნელი მაგალითისდა მიხედვით ერთის მხრივ საფიქრებელი იყო, რომ „თავად“-ად დიდი ხელისუფლები იწოდებოდნენ. მართლაც, გიორგი მთაწმიდელის ც-ა-ში ნათქვამია, რომ ბაგრატ IV-ის დედა მარიამ დედოფალი კონსტანტინეპოლითგან პალესტინაში მიმავალი გზად ანტიოქიაში შევიდა „და აქუნდა სამეფო ბრძანებათ თავადს-ათანა და პატრიარქსა ანტიოქიისასა, რათა ყოვლითა დიდებითა და პატივითა წარგზავნონ. ხოლო პატრიარქმან და მოთავარმან განიზრახეს“, რომ დედოფლისთვის მოგზაურობა დაეშლევინებინათ იმიტომ, რომ პალესტინა მაჰმადიანთ ეპყრათ (ც-ა გ-ი მთ-წ-მ, 308). ამ წინადადებაში „თავადი ანტიოქიისა“, მაშასადამე, ანტიოქიის მთავარს და გამგეს ნიშნავს.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს „თავადნი“ და „კელისუფალნი“ ერთ ჯგუფში ჰყავს მოხსენებული: „საყუარელნი და საყუთარნი, ვაზირნი [და] სპასალარნი, კელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი“ (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*603, გვ. 373). ამას გარდა ზოგი ზემოაღნიშნული მაგალითითგანაც ჩანს, რომ „თავადნი ამის სამეფოსანი“ ივანე ლიპარიტის ძე, ვარდანი ერისთავები იყვნენ, ერთი ქართლისა, მეორე სვანთა (ც-ა მგ-სა დ-თსი, \*509, გვ. 278-და მტ-ნე ქ-მ, \*403, გვ. 273). თამარ მეფის ისტორიკოსსაც აღნიშნული აქვს, რომ ქართველთა სპარსეთში ლაშქრობის დროს „თავრეველებმა“ სცადეს „ხარკის მოცემითა“ დაემშვიდებინათ ქართველნი თავადნი და სპანი“ (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*714, გვ. 519) და ამ ადგილას ავტორს თავადებად შეიძლება მხედართმთავრები ჰყავდეს ნაგულსხმევი.

მაგრამ ტერმინი „თავადი“-ს მნიშვნელობის ამგვარად განმარტება მაინც სწორე არ იქნებოდა. თავადი შეიძლებოდა, რასაკვირველია, იმავე დროს მთავარი, ან სხვა რომელისამე ხელისუფლობის მქონებული ყოფილიყო მაგრამ, როგორც ეტყობა, ყოველი დიდი მოხელე და მოთავარი „თავად“-ად არ ითვლებოდა. „თავადი“ და მოთავარი, ან

ერისთავის სხვა და სხვა ცნებების გამომხატველი იყო. ამიტომაც არის, რომ ეს ორი ტერმინი განცალკევებულად არის მოხსენებული. ქართველ ქაშთააღმწერელს, მაგ., აღნიშნული აქვს, რომ როდესაც XIII საუკუნეში საქართველოს ორ სამეფოდ ჰყოფდნენ, თავადები და ერისთავნი ურთიერთს შეასწორნეს ნიკოფსით დარუბანდამდე (\*832, გვ. 677).

ისეთი ცნობაც კი მოიპოვება, როდესაც უკვე თავადად წოდებულ პირი შემდეგ დიდის თანამდებობით ყოფილა დაჯილდოვებული. თამარ მეფის ისტორიკოსს სახელდობრ მოხსენებული ჰყავს ერთი „მკვლრთა ტფილისისათაგანი, თავადი და მეფეთამეფისაგან წყალობა-კვლდასმული ამირად ქართლისა და ტფილისისა სახელით აბულასან“ (ისტორნი და აზმნი, \*635, გვ. 415). მაშასადამე, აბულასანი ისედაც „თავად“-ად ითვლებოდა და მისი „თავადობა“ ქართლისა და ტფილისის ამირობაზე არ ყოფილა დამყარებული. როგორც მთავარისაგან მისი საბრძანებელის აღსანიშნავად „სამთავრო“ იყო ნაწარმოები, ისევე „თავადი“-საგან წარმომდგარია „სათავადო“-ც (იქვე, \*631, გვ. 409).

უეპველია, რომ „თავადი“ და „დიდებული“-ც ერთისა და იმავე შესატყვისი ცნების გამომხატველნი არ უნდა ყოფილიყვნენ. რასაკვირველია, შეიძლება ზოგჯერ ისეც მომხდარიყო, რომ „თავადი“ იმავე დროს დიდი ხელისუფლობით ყოფილიყო მოსილი და „დიდებულის“ სახელიც ეტარებინა. ამისთანა პირნი მაშინ მართო „თავადნი“ კი არ იქნებოდნენ, არამედ „თავადნი დიდებულნი“. მართლაც, „თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა“ ერთი ქართველი ისტორიკოსიც იხსენიებს (მტნი ქა, \*483, გვ. 257). მაგრამ ეს ორი ტერმინი ცნებათა შესატყვისობის გამომხატველნი რომ არ იყო, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ორივე სიტყვა ერთად, მხოლოდ მაინც განცალკევებულადაც არის დასახელებული: ქართველ ქაშთააღმწერელს, მაგ., ნათქვამი აქვს: „შეკრბეს თავადნი ქართველნი და დიდებულნი და წარიყუანეს მეფისა ძე დიმიტრი ურდოსა“, რომ შემდეგ საქართველოში გაემეფებინათ (ქაშთააღ. \*869-870, გვ. 714).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ „თავადნი“ მართო „სამეფოსანი“ კი არ იყვნენ, ე. ი. მართო სახელმწიფო წესწყობილებაში კი არ გვხვდებიან, არამედ საქალაქოშიაც. ზემოთ უკვე ქ. ტფილისის „თავადი“ იყო დასახელებული. ქართულ საისტორიო წყაროებში სხვა, უცხოეთში მყოფ ქალაქებშიაც კი არიან მოხსენებულნი. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს, მაგ. მოთხრობილი აქვს: „ავვისტოსა კ(20) მოვიდეს მეწიგნენი ანელთათავადთანი, მოაქსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა“ მეფე დავითსაო (ცა მფსადთსი, \* 544, გვ. 311). საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი ნრავლობითად არის ნახმარი. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ „თავადი“ ქალაქშიც ერთი კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილა. მაშასადამე, შეუძლებელია აქ „თავადი“ ქალაქის გამგეს ან მოურავს ნიშნავდეს. ამასთანავე მოყვანილი ცნობიდან ირკვევა, რომ „თავადნი“ სწორედ ის პირნი ყოფილან, რომელთაც ქალაქის ბედ-იღბლის გადაჭრის უფლება ჰქონდათ.

მეორე ქართველი მემატიანეც იხსენიებს „სამთათავადთაგანძი-

სათა“ (მტ<sup>-</sup>ნე ქ<sup>-</sup>მ, \*505, გვ. 275). ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ სპარსეთში ლაშქრობის დროს ქართველთა მხედართმთავართან „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი, ყოველნი თავადნი თავრეუქისანი“-ო (ისტ<sup>-</sup>რნი და აზმ<sup>-</sup>ნი, \*714, გვ. 519). ყველა ზემოაღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ „თავადნი“ ქალაქებშიაც ყოფილან და იქაც ქალაქის ბედ-იღბალი მათ ხელში ყოფილა.

სხვათა შორის „მკვდრ“-სა და „თავად“-ს შორის ის განსხვავებაც არის, რომ „მკვდრი“ უფრო ფართო, ზოგადი ცნების გამოხატველია და უფრო მრავალრიცხოვანს და მრავალფეროვანს საზოგადოებრივ წრეს შეიცავდა, „თავადი“ კი ვიწრო და უფრო განსაკუთრებული ჯგუფის წევრის სახელად ითვლებოდა. ზემოთ უკვე გამოჩვენებული იყო, რომ „მკვდრნი ქუეყანისანი“ და „მკვდრნი სამეფოსანი“ დიდებულებს, ვაზირებს და დიდ მოხელეებს და სხვებს ეწოდებოდათ, „მკვდრთა“ წრეს „თავადნი“ და დიდვაჰრებიც ეკუთვნოდნენ. თვით „თავადნი“-კი უფრო მცირერიცხოვანი იყვნენ.

ზემოაღნიშნული მასალებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ „თავადი“ აზნაურივით წოდებრივი ტერმინი კი არ იყო, არამედ პირადი ღირსების აღმნიშვნელი. ამ მხრივ იოანე შავთელს თავის „აბდულმესია“-ში ერთი საყურადღებო ტაეპი მოეპოვება:

„გუნდთ მწყობრი დასი  
მას ბევრ-ათასი  
ჰყავს დიდებულთა,  
დიდგვარ [თ] თავადთა“

(ნ. მარის გამოცემა TP, წიგნი IV, გვ. ლა, 46)

თუ ის მცირედი შესწორება, რომელიც ჩვენ ტექსტში შევიტანეთ, სამართლიანია, მაშინ ცხადი იქნება, რომ „თავადი“ დიდგვარის უფროსი და თავიყოფილა. რომ „თავადი“ თავდაპირველად წოდებრივი ღირსება არ იყო და „თავადი“-ს ყოველი მახლობელი ნათესავიც კი „თავად“-ად არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ თვითონ ის პირადად, ეს XVIII ს-მდე კარგად ყოფილა შენახული „დიდებული თავად“-ის ცნებაში. როგორც ვახტანგ VI-ის ზემომოყვანილი განმარტება ამტკიცებს, მაშინაც კი „დიდებული თავადი“ მთელ საგვარეულოში მხოლოდ „ერთი თავი“ ყოფილა და „თავად“-ის დანარჩენ „სახლის კაცებს“ მასთან თანასწორი უფლება და მასავით „თავადობა“ არ ჰქონიათ. მიინცადამაინც ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ როგორც თვითოეულ ქალაქში, ისევე სახელმწიფოშიაც მეფის შემდგომ პირველი ადგილი მცხოვრებთა შორის „თავადთ“ ეკუთვნოდათ.

თუ „თავადი“ მართლაც „დიდგვართ“ თავია, მაშინ რა განსხვავება უნდა ყოფილიყო „თავად“-სა და „დიდებულ“-ს შორის? თუმცა „დიდებული“, როგორც დავრწმუნდით, დიდი გვარის შვილი იყო, მაგრამ ამასთანავე მას უეჭველად დიდი „ქელისუფლობა“-ც უნდა ჰქონოდა ნაწყალობევი, უამისოდ შეუძლებელია, რომ მას, თუნდაც დიდგვარიანს, „დიდებულ“-ს სახელი ეტარებინა. „თავადი“ კი შეიძლებოდა „უქელო“-ც ყოფილიყო და არავი-

თარი თანამდებობა არა ჰქონოდა. მისთვის ისიც კმა-  
როდა, რომ იგი დიდი გვარის უფროსი და თავი იყო.

„დიდებულნი“, „წარჩინებულნი“ და „თავადნი“, ვითარცა საქართვე-  
ლოს მკვიდრთა მოწინავე და მმართველი წრეების წარმომადგენელი, „თავ-  
ნი და პირნი ქვეყანისანი“ იყვნენ (ყამთაალ., \*826, გვ. 671). მე-  
ფე მათთ იგებდა ხოლმე საქართველოს მცხოვრებთა შეხედულებას ქვეყნის  
დიდნიშვნელოვან საქმეებზე და იმათ „პირით“-ვე მეტყველებდა მაშინ ქარ-  
აული საზოგადოებრივი აზრიც. როდესაც დავით ლაშას ძემ მონღოლთა  
წინააღმდეგ განდგომა განიზრახა, ისტორიკოსის სიტყვით, „წარჩინე-  
ბულნი ამის სამეფოსანი რომელნიმე დაუმტკიცებდეს და რომელ-  
ნიმე არა“ (ყამთაალ., \*826, გვ. 671). ხოლო როდესაც მეფემ წარჩინე-  
ბულთა უმრავლესობის წინააღმდეგობისდა მიუხედავად მაინც გან-  
დგომა გადასწყვიტა, წარჩინებულთა განიც „უმრავლეს-  
ნი წარვიდეს ყაანს წინაშე“ სამსახურად: „შანშას ძე ივანე და  
გრიგოლ სურამელი, [ორბელი და თორელი], კახა ერისთავი ახალ-  
ქალაქისა, — თავნი და პირნი ქვეყანისანი წარვიდეს ყაანს  
წინაშე და უმრავლესნი ჰერ-კახნი“. რაკი „ცნა მეფემან წარსლვა  
დიდებულთა, მანცა ნება სცა... განდგომად“ (იქვე, \*826, გვ. 671).

დიდებულთა, წარჩინებულთა და „თავადთა“ ცოლებსაც კი განსაკუთ-  
რებული სახელწოდება ჰქონიათ და თუ ხელმწიფისა და მეფის თანამეცხედ-  
რეს დედოფალი, „დედოფალთა-დედოფალი“ ეწოდებოდა, მათ კიდევ „დი-  
ოფალ“-ს და „დიოფალთ-დიოფალ“-ს ეძახდნენ თურმე. ივანე ერის-  
თავთ-ერისთავის ძე აბუსერიძე ტბელი, მაგ., ამბობს: ეკლესია იმიტომ ავაგე,  
რომ „დიოფალთ-დიოფალისა დისავე ჩუენისა ვანანესი... დიო-  
ფალთ-დიოფალისა ნისიმესი ჰაპისა ჩუენისა ჰაპის დისაი“  
სული მოიხსენონ ხოლმეო (აბუსერიძე ტბელი, ქქ<sup>ბ</sup>, II, 121<sup>გ</sup>—7,9—10).

საქართველოს საზოგადოებრივი დანაწილების მიმოხილვა სრული არ იქ-  
მნებოდა, თუ ტერმინები „ლაშქარნი“ და „სპანი“ განსაკუთრებით  
განხილული არ გვექმნება. სიტყვა „ლაშქარნი“ მრავლობითი რიცხვია, მხო-  
ლოდობითი „ლაშქარი“ კი, როგორც ცნობილია, სპარსულითგან ნასესხები სი-  
ტყვაა. ამგვარადვე სიტყვა „სპანი“-ც მრავლობითი რიცხვია. მხოლოდობი-  
თი—„სპა“-ც სპარსულითგანვეა შეთვისებული. ორივე სიტყვა სპარსულა-  
დაც და ქართულადაც ჯარს ნიშნავს.

მაგრამ ქართულში ეს ორი სიტყვა „ლაშქარნი“ და  
„სპანი“ განსაკუთრებულნი მნიშვნელობითაც იხმარე-  
ბოდა და საგანგებო ცნების აღმნიშვნელ ტერმინება-  
დაც იქცა. თამარ მეფის ისტორიკოსს, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ გიორგი  
III-ის დროს ერთხანად საქართველოში მშვიდობიანობა იყო, რაკი არავის  
ეომებოდა. ამიტომ „ულონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი  
ამის სამეფოსანი, [მომხსენებელი ექმნეს] მკადრებელნი ესრეთ:  
„არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვნიერ ლაშქრობისა და რბევისა“-ო  
(ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*610, გვ. 382). ცხადია, აქ უბრალო ჯარზე კი  
არა აქვს ისტორიკოსს საუბარი, არამედ რომელიღაც  
მაღალსა და გავლენიან სამხედრო წრეზე, რომელსაც  
შეუძლიან მეფეს გაუბედოს და თავისი წადილი მო-  
ახსენოს.



იმავე ავტორს თამარ მეფის დროინდელ დიდგვარიან მოხელეთა გაფიცვის შესახებ გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ეს გაფიცვა მოაწყვეს „დიდებულთა ვიეთ[თა]მე კელისუფალთა“, რომელნიც ამასთანავე „გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი“ იყვნენ (ისტორი და აზმნი, \*628 გვ. 405). მოთხრობის ბოლოში კი ისტორიკოსს დაძინილი აქვს, რომ ამ გაფიცვის წყალობით უგვარო ხელისუფალნი დაიხვეწნენ „ნებითა და თნევითა ლაშქართა“-ო (იქვე, \*629, გვ. 406). მამასადამე, აქ სრულებით ცხადია, რომ „ლაშქარნი“ უბრალო ჯარს კი არ ჰნიშნავს, არამედ „გუარიან და დიდებულ“ ხელისუფლებას.

ყუთლუარსლანის თანამოაზრედ, „თანაშეფიცულად და თანაშემწედ“-აც თამარ მეფის ისტორიკოსი „ლაშქართ“ სთვლის (იქვე, \*630, გვ. 407): „ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყუელობისა და უკეთურობისათა“ იმედით ჰქონდა ყუთლუარსლანს ზურგი გამაგრებულთ (იქვე). ხოლო როდესაც იგივე ავტორი ამ ამბავის დასასრულს აღწერს, მას ნათქვამი აქვს, თამარ დედოფალმა ორი საპატიო მანდილოსანი მიუგზავნა მათ, „ლაშქართან“ მოსალაპარაკებლად, „უბრძანა ფიცით მინდობათ“-ო. მიგზავნილებმა მინდობილობა თურმე კარგად აასრულეს: „მოჰყუეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა“-ო (იქვე, \*630, გვ. 408). მამასადამე, აქაც „ლაშქარნი“ „დიდებულთ“ მაგიერ არის ნახმარი და სრულებით უბრალო ჯარს არ ჰნიშნავს.

იქნებ ამ ორმა უკანასკნელმა მაგალითმა მკითხველს აფიქრებინოს, ვითომც „ლაშქარნი“ სხვა შემთხვევაშიაც და ჩვეულებრივ „დიდებულების“ მაგიერ იხმარებოდა, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა და ამას ის გარემოებაც ეწინააღმდეგება, რომ „ლაშქარნი“ და „დიდებულნი“, როგორც უკვე ვნახეთ, ერთსა და იმავე წინადადებაში თუმცა ერთი მეორის გვერდით, მაგრამ განცალკევებულად გვხვდება. ამიტომ უეჭველია „დიდებულნი“ და „ლაშქარნი“ ჩვეულებრივ ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი არ არიან, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც „ლაშქართა“ წევრნი იმავე დროს „დიდებულნი“ იყვნენ, მართო ამ შემთხვევაში ეს ორი ტერმინი შეიძლება ერთმანეთის მაგიერ ყოფილიყო ნახმარი.

მეფის კურთხევის წესი უფრო ცხადყოფს ჩვენ აზრს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში „ლაშქარნი“ მართო ჯარის აღსანიშნავად კი არ იხმარებოდა, არამედ განსაკუთრებული ცნების გამომხატველ ტერმინადაც იქცა. ამ „წეს“-ში წერია, როდესაც ჯვარისმტკრთველი „მეფედ გამოზადებულ“-ის საყდარში წასაყვანად მოვიდოდა, „პალატ“-ში შევიდოდა და მეფეს მიესალმებოდა. იგივე მისალმების სიტყვები „მერმე სრულიად ლაშქართაცა თქუან“-ო. ხოლო ამის შემდგომ ჯვარისმტკრთველმა „თავის მომდრეკელმან ჰრქეას ლაშქართა: „და თქუნცა გიხსაროდენ ძლიერნო, უძლეველნო და დამამკობელნო მტერთა სამეფოთანნო“ და სხვა (52—24). აქ რომ უბრალო ჯარზე არ არის ლაპარაკი, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ეს „ლაშქარნი“ სამეფო პალატში და დარბაზში იყვნენ. ხოლო რომ ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული სამხედრო გავლენიანი წრე არის ნაგულისხმევი, ამას ცხადყოფს ის არაჩვეულებრივი პატივისცემა, რომლითაც ჯვარისმტკრთველს ამ „ლაშქართა“-თვის უნდა

მიემართა. როგორც მეფის ჯვარისმტვირთველი „თავ-მოდრეკილი“ მიჰმართავდა ხოლმე დაწესებული მისალმებით, ისევე ლაშქართაც „თავის მომდრეკელმან“ უთხრას მისალმებაო, დადგენილი იყო მეფის კურთხევის წესში. ამ „წეს“-ის ბოლოშიაც ნათქვამია, რომ სამეფო დარბაზში დაბრუნების შემდგომ „ჯვარისმტვირთველი შემოსილი... მარჯვენით მეფისა დგეს ტახტსა ზედა ვიდრე ლაშქართა თაყვანისცემადმდე და ძღუნის შეწირვა(დემდე“-ო (მ12—13). ცხადია, აქაც გავლენიანი სამხედრო წრეა ნაგულისხმევი და არა მთელი ლაშქარი და ჯარი.

იმავე განსაკუთრებული მნიშვნელობით როგორც „ლაშქარნი“ მეორე სიტყვა „სპანი“-ც იხმარებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსს, მაგ., აღნიშნული აქვს, რომ პირველი საქმროს არჩევის დროს „პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა მოახსენეს თამარს და მათგან ნებადაურთავი განზადნეს ქორწილ(ნი)“ (ისტორნი და აზნი, \*635, გვ. 416). თუმცა თამარი წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ არა (მო)მშვეებელმან დედოფალმან (რუსუდანმან) და სპათა აიძულეს-ო (იქვე, \*636, გვ. 416—417). აქაც რასაკვირველია, „სპანი“ უბრალო ჯარის აღმნიშვნელი არ არის მხედრობა ამისთანა საქმეში როგორ გაერეოდა და აიძულებდა. უეჭველია ამ შემთხვევაშიაც რაღაც მაღალი და გავლენიანი სამხედრო წრე, ან დაწესებულება არის ნაგულისხმევი.

იმავე ავტორს მოთხრობილი აქვს, რომ ლაშა-გიორგის დაბადებით აღტაცებულნი „იხარებდეს... და შვიდისავე სამეფოსა სპათა თანა და თვთ დედოფალმან [რუსუდან] და გამზრდელმან მისმან... და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა მსგავსად მოგუთასა კელ-ყუეს ძღუნებად“-ო (ისტორნი და აზნი, \*659, გვ. 447). შამქორის ომისათვის მზადების შესახებაც ნათქვამია: „შეკრებს თამარს წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი, თვთ შარვანშა და [და]მასკუენელთა მიმართებისათა უყოვნელ ყუეს დღენი“ (იქვე, \*671, გვ. 461). ყოველ ექვს გარეშეა, რომ ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში „სპანი“ ვითარცა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საქმეებზე ბჭობისა და გადაწყვეტის მონაწილენი მხოლოდ საქართველოს მაღალ გავლენიანი სამხედრო წრის, ან დაწესებულების აღმნიშვნელი უნდა იყოს. „შვიდისავე სამეფოსა სპანი“ ამ შემთხვევაში უნებლიედ „შვიდისავე სამეფოს დიდებულებს“, „წარჩინებულებს“ და „თავადებს“ გვაგონებს. ამის გამო საფიქრებელია, რომ იმათ მსგავსად „ლაშქარნი“ და „სპანი“-ც საქართველოს განსაკუთრებული გავლენიანი წრის აღმნიშვნელი ტერმინები იყვნენ.

„სპანი“ რომ მხოლოდ უბრალო ჯარის გამომხატველი სიტყვა არ იყო, ამას ქართველი ჟამთააღმწერელის შემდეგი ცნობაც ამტკიცებს: მეფე დავით ლაშას ძე „მიისწრაფოდა პალატად, სადა დახვდეს სპანი და ვაზირნი დამალულნი და შავითა შემოსილნი“ გიორგი უფლისწულის სიკვდილის გამო (ერთაჲლ, \*852, გვ. 697). თავისთავად ცხადია, რომ „სპანი დამალულნი“ სამეფო პალატში აქ ჩვეულებრივი ლაშქრისა და ჯარის აღმნიშვნელი ვერ იქნება და ავტორს ეს, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოსვლია.

ყველა ზემოაღნიშნული ცნობიდან, მაშასადამე, ცხადად ირკვევა, რომ იმდროინდელ ქართულში სიტყვები „ლაშქარნი“ და „სპანი“ საგანგებო მნიშვნელობითაც იხმარებოდნენ და საქართველოს გავლენიანი სამხედრო წრის გამომხატველ ტერმინებად ყოფილან. უეჭველია ორივე ტერმინი წრის აღმნიშვნელია და არა სამხედრო წოდების: განსაკუთრებული სამხედრო წოდება საქართველოში არა ჩანს. ამასთანავე „ლაშქართ“ ეკუთვნოდნენ თვით დიდებულნიც. ამ „ლაშქართა“ დამახასიათებელი და შემკავშირებელი თვისება, როგორც თვით ტერმინითგან ჩანს, სამხედრო ხელობა და მამაცობა იყო. მაგრამ ისინი უბრალო მეომრები კი არ ყოფილან, არამედ მეომართა რჩეული ნაწილი, ქვეყნის ბედობა და კეთილდღეობაზე მზრუნველი წრე. უნებლიედ დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების რაინდობა გვაგონდება, რომელიც ამგვარადვე მხედართა რჩეულს და გავლენიან წრეს შეადგენდა და განსაკუთრებული რაინდული წესებითა და ზნეჩვეულებით იყო ცნობილი. საგულისხმოა, რომ იქაც რაინდების სახელად იხმარებოდა „milites“ „მილიტეს“ (Schröder. Lehrbuch der deutschen Rechtsgeschichte, 1898, გვ. 437—444), ე. ი. მეომარნი. ძველ საფრანგეთშიაც ლათინური სიტყვა „miles“ „მილეს“, რომელიც რაინდის გამომხატველ ტერმინად იყო მიღებული, ერთსა და იმავე დროს მხედარსაც ჰნიშნავდა და წარჩინებულსაც (A. Esmein. Cours d'histoire du droit français, 1892, გვ. 220). მაშასადამე, სახელის მხრივ ზემოაღნიშნულ ქართულ მოვლენასა და დასავლეთ ევროპის რაინდობას შორის ერთგვარი მსგავსებაა. ნ. მარტოა გამოარკვია, რომ რაინდული ზნე და რაინდული სულისკვეთება იმდროინდელ საქართველოშიაც ყოფილა „მოყმობისა“ და „კარგყმობის“ სახით. ქართული „მოყმე“ უდრის სწორედ დასავლეთ ევროპის „რაინდს“ (იხ. Вступит. и заключ. строфы Витязя въ барсовой коже Шоты изъ Рустава съ этюдомъ „Культь женщины и рыцарство въ поэме“, ТР, წიგნი XII, გვ. X—XXX). ხოლო თვით „რაინდობა“-სთვის, ვითარცა ერთეული დაწესებულებებისათვის, ქართულად, მაშასადამე, ტერმინად ან „ლაშქარნი“ ან არადა „სპანი“ იხმარებოდა.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ საქართველოშიაც „ლაშქარ“-ში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის. ისეც კი ყოფილა, რომ როდესაც დამნაშავეს მოქალაქობრივი დასჯა სურდათ, მაშინ მას თურმე სწორედ ამ უფლებას ჩამოართმევდნენ ხოლმე. ამის შესახებ პირდაპირი ცნობა მოიპოვება 1263 წ. ახლო ხანის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში.

საქართველოში წესად იყო, რომ როდესაც რაიმე „მიზეზითა და საქმითა“ რომელიმე დამნაშავე ეკლესიის მიერ „დაიკრულებოდა“, მაშინ ეკლესიის მიერ „დაკრულელი“ (ქეზი, II, 165<sub>17</sub>) სამეფო მთავრობის მიე-

რაც უეჭველად „შერისხული“ (იქვე, II, 165<sub>18</sub>) უნდა ყოფილიყო. ეს იყო თურმე „წესი სახლისა და პალატისა“ სამეფოსი (იქვე, II, 165<sub>16-17</sub> და საისტ. მოამბე, 1925, წ. I, გვ. 221).

საყურადღებოა, რომ „დაკრულვილობა“-ს ავტომატურად „შერისხულობა“-ც უნდა ზედღართოდა სახელმწიფოს მთავრობის მხრივ: „რათაჲ მიზეზითა და საქმითა“ არ დაედვა საქართველოს ეკლესიას თავისი „კრულვა“, ამ მიზეზების განხილვისა და განსჯის უფლება სახელმწიფო მთავრობას არა ჰქონდა. მას მხოლოდ თავისი მოვალეობა უნდა აესრულებინა. ხოლო „სადმართთა წერილთა მოძღურებისაებრ“ მთავრობა ვითომც მოვალე იყო „კრმლითა“ თან სდგომოდა სჯულთა და წესთა სამღვდლოთა“ (იქვე, II, 165<sub>23-25</sub> და იქვე, I, 221).

შერისხულობა თურმე ისე ყოფილა მოწყობილი, რომ შერისხულს „მამული დასკირვია და ლაშქართა შიგან არ შეშვებულა“ (იქვე, II, 165<sub>18-19</sub>). მაშასადამე, ჯერ უძრავი ქონება ჩამოერთმეოდა ხოლმე, ხოლო შემდეგ „ლაშქართა შიგან“ სამსახურისა და ყოფნის უფლება მოესპობოდა.

ამ ფრიად საყურადღებო ცნობის წყალობით ირკვევა, რომ საქართველოს მცხოვრებთა ძირითად მოქალაქობრივ უფლებად მიჩნეული ყოფილა ჯერ ერთი „მამულის“ სრული მფლობელობის უფლება, შემდეგ „ლაშქართა შიგან“ ყოფნისა და სამსახურის უფლება<sup>4</sup>.

ჩვენთვის ამჟამად ის გარემოება უფრო საყურადღებოა, რომ „ლაშქართა შიგან“ სამსახურისათვის აუცილებელ პირობად საქართველოში ყოფილა უმწიკველო სახელი და პატიოსანი, უდანაშაულო ყოფა-ქცევა, სარწმუნოების და ეკლესიის ერთგულება<sup>5</sup>.

საქართველოს მოწინავე წრეების წევრებს განსაკუთრებული, მტკიცედ შემუშავებული ზნე და ქცევის ჩვეულება ჰქონიათ. ურთიერთ შორის თანასწორობის და შესაფერისად შემუშავებული ერთმანერთის დახვედრისა და მისალმების „წესი“-ც კი არსებობდა თურმე. წარჩინებულნი მოვალენი იყვნენ ერთმანერთისადმი თანასწორი პატივისცემა გამოეჩინათ, იმიტომ რომ ურთიერთის „პატივით ხილვა“ ამ წესის ზრდილობიანობის საანბანო ჰემმარიტებად ითვლებოდა. „წესის სამებრ პატივით ხილვა“

<sup>4</sup> საგულისხმოა, რომ რომაული სამართლის თანახმადაც უძრავი ქონების მფლობელობისა და განაწესების უფლება, ანუ ე. წოდებული „იუს კომერციი“ (jus commercii) და ლეგიონებში სამხედრო სამსახურის უფლება საარჩევნო უფლებასთან ერთად (jus suffragii და jus honorum) რომელი ზოქალაქის ძირითად უფლებას შეადგენდა (იხ. P. F. Girard. Droit romain V-ième éd. 1911. გვ. 107). საფრანგეთშიაც საშუალო საუკუნეების საპატრონუზო წესწყობილების დროსაც საპატრონუზო მიწის მფლობელობის უფლება, განსაკუთრებით კი სამხედრო რაინდული სამსახურის უფლება, წარჩინებულთა ძირითად უფლებას შეადგენდა (A. Esmein. Cours d'histoire du droit français. 1892—1893, წიგნი I—II, გვ. 220, 223).

იმ აშენი მდგომარეობდა, რომ როდესაც წარჩინებულნი ცხენზე მჯდომნი ერთი მეორეს შეხედებოდნენ, ორივენი მოვალენი იყვნენ ჯერ ჩამოქვეითებულ იყვნენ, ხოლო შემდეგ კოცნით მისალმებოდნენ ერთმანეთს. ქართველ ჟამთააღმწერელს აღწერილი აქვს ერთი შემთხვევა, როდესაც ეს წესი დაურღვევიათ, მაგრამ ესეც ისტორიკოსს საძრახისი სილალის შედეგად მიაჩნია. ჟამთააღმწერელს ასე აქვს მოთხრობილი მთელი ეს ამბავი. ავაგ ამირსპასალარი უცხოეთითგან საქართველოში ბრუნდებოდა და „ვითარ ცნეს ქართველთა მოსვლა ავაგისი ამირსპასალარისა, წინამოეგებნეს ყოველნი მთავარნი და წარჩინებულნი—ვთ შანშა და ეგარსლანი, რომელსა კნინდა და სახელიცა მეფობისა ეპყრა და ვითარ მიეახლა ავაგ, ჰგონებდა [ჰ]ონისაგან გარდმოვლომად და ეგრეთ ხილვად ეგარსლანისაგან. ხოლო იგი განლაღებულ იყო: არაინება წესისამებრ პატივით ხილვად და ამბორის ყოფად ავაგისა“ (ჯამთააღ., \*807, გვ. 650) და ამიტომაც შესაფერისად დაისაჯა.

### § 5. პატრონელობა

საქართველოს სახელმწიფო და განსაკუთრებით საზოგადოებრივი წესწყობილების გათვალისწინება და ხორცმესხმულად წარმოდგენა შეუძლებელია, თუ პატრონელობა შესწავლილი არ გვექმნება, იმიტომ რომ საქართველოს სოციალური ცხოვრება ამ დაწესებულებაზე იყო დამყარებული. პატრონელობა მაშინდელ საქართველოს თავისებურ მიმართულებასა და ელფერს აძლევდა.

სიტყვა „პატრონი“ ქართულ მწერლობაში ძველი არ არის. X საუკუნის ისტორიკოსების თხზულებებში, მაგ. გიორგი მერჩულისა და ბასილი ზარზმელის ნაწარმოებებში, ეს ტერმინი არა გვხვდება. მხოლოდ შემდეგში, XI საუკუნიდან მოყოლებული, შემოდის ეს ტერმინი საყოველთაო ხმარებაში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ცხოვრებაში ამაზე კარგა ხნით უწინარეს უნდა ყოფილიყო მიღებული, თუ „XV საუკუნის ხელით“ მიწერილის ფაენელისა და მიქაელ მემლვიმის X საუკუნის საბუთში გადაწერის დროს სიგელის ენა შეცვლილი არ არის, მაშინ ამ საბუთში პირველად გვხვდება ტერმინი „პატრონი“, რომელიც XV ს-ის გადამწერს თავისდროინდელ გამოთქმით და მართლწერით „პატონ“—ად გადაუკეთებია (იხ. შიომღ. ისტ. საბ., 216).

„პატრონი“ ვითარცა ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა. ჯერ ერთი „პატრონი“ მფარველს, მზრუნველს და მეურნეს აჰნიშნავდა. მაგ., „მტნე ქა“ ამბობს, რომ მცირეწლოვანი გიორგი უფლისწულისათვის, ბაგრატ IV-ის ძისათვის, „მოიყვანეს მზრუნველად ამისა ლიპარიტ და პატრონად და ბაჯრატისი“—ო (493, გვ. 266). თამარ მეფის ისტორიკოსსაც ნათქვამი აქვს, რომ როდესაც თამარისათვის საქმროს ირჩევდნენ, მაშინ სხვათა შორის იპიტომაც ჩქარობდნენ, რომ იყო „წადილი პატრონისა... ლაშქართა სპათა მისთა ზედა“ (ისტორნი და აზნი, \*634, გვ. 413). ატენის სიონის XI საუკ. კელის წარწერაშიაც წერია: „ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ ბრძანეს... მირიანს პატრონსა ჩემსა სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებად... ავა-

შენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვწყალნა მეფობამან მათმან სასახლენი ადგილნი და საქოლბაგენი მკვდრად ნებიერობით გვიბოძნა მირიანს და ყმათა მისთა... შევსწირე წმიდასა სიონს ატენის... სალოცველად სულისა მირიან... გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳს“-ო (იხ. ჩემი. Къ вопросу о врем. пост. груз. храма въ Атенн. ХВ. т. I, вып. III, გვ. 286 და 289—290). როგორც პირველ ორს მაგალითში, ისევე ამწარწერაშიაც რასაკვირველია პირად პატრონობაზე, მზრუნველობაზე, პირად-დაპოკიდებულებაზეა ლაპარაკი. ამას ამტკიცებს სიტყვები „მზრდელი“ და „პატრონი“, „გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳს“.

ატენის ზემომოყვანილი წარწერავე გვიჩვენებს, რომ ეკლესიისადმი მამულის შემწირველი მირიანის „ყმა“ ყოფილა. როგორც ეტყობა, მირიანს აწინაირი ყმები სხვაეც ჰყოლია იმიტომ, რომ წარწერაში მრავლობითად არის ნათქვამი, — „ყმათა მისთა“-ო.

ტერმინი „ყმა“, რომელსაც განსაზღვრული პირად და უფლებრივ დაპოკიდებულებაში მყოფი ადამიანის აღსანიშნავად ხმარობდენ ხოლმე, წარმოსდგა სიტყვისაგან „ყრმა“, რაც ძველს ქართულ მწერლობაში, მაგ. დაბადებასა და სახარებაში, ბავშვსა პნიშნავს: ამ ძეგლებში ქართული „ყრმა“ ბერძნულს „პაის“-ს და სომხურს „მანუკ“-ს უდრის (შეად. მათე, თ. XIV<sup>21</sup>, XV<sup>39</sup>, XVIII<sup>2</sup>, XIX<sup>15</sup>; მარკოზ, თ. V<sup>46—41</sup>, IX<sup>37</sup>, X<sup>37</sup> და სხვაგან ბევრგან). „ყრმა“ თავდაპირველად სქესისა განურჩევლად, ხოლო შემდეგში მამრობითი სქესის ბავშვის აღსანიშნავად ითვლებოდა და განსაკუთრებით მცირეწლოვანისა. ამგვარი მნიშვნელობა ამ სიტყვას XIII—XIV საუკუნის ძეგლებშიაც აქვს შერჩენილი. თუმცა საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „ათხუთმეტის წლიდამ ვიდრე ოცს წლამდე ვაჟს—ყრმა“ ეწოდებოდა, ხოლო ოცის წლიდან ვიდრე ოცდაათამდე ვაჟსა ჰაბუკი“ ერქვაო (გვ. 143), მაგრამ ქართული საისტორიო ძეგლები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი დაუფიწყარი მეცნიერი ამ შემთხვევაში ცდება. იოანე საბანის ძე ჰაბო ტფილელზე, მაგ. ამბობს, რომ იგი „იყო ყრმა—ჰაბუკ ვითარ ათვრამეტისა წლისა, გინა უკნინძს ათშუდმეტის წლისა“-ო, როდესაც ნერსე ერისთავს მსახურად დაუდგა (ც<sup>ე</sup> ჰაბოძის, 15<sup>25—26</sup>). მასასადამე, ჰაბუკად ოცის წლითგან კი არ ითვლებოდენ, არამედ 17 წლისანიც-კი უკვე ჰაბუკები ყოფილან. მაგრამ ამაზე უფრო ჭეყნებიც ჰაბუკად ყოფილან ცნობილნი: ამას „მტნე ქე“-ს შემდეგი ცნობაც ამტკიცებს. მეფე გიორგი I-ზე იქ ნათქვამია: სამეფო ტახტზე ავიდა „ეჰამსა ოდენ სიყრმისა და სიჰაბუკისა მისისა რამეთუ იყო რაჟამსა მეფე იქმნა წლისა ათექუსმეტისა“-ო (\*473, გვ. 247). ანა დედოფლისეულს ხელთნაწერში ამ ადგილას 16 წლის მაგიერ 12 სწერია (იხ. ქ<sup>ლი</sup> ერის ისტორია, II, 423). თუნდაც რომ ამ უკანასკნელ ხელთნაწერში ამ ადგილას შეცდომა იყოს, მაინც ცხადია, 16 წლისანიც უკვე ჰაბუკებად ირიცხებოდენ.

ყველა ზემომოყვანილი ცნობითგან ისიც ირკვევა, რომ საბა ორბელიანის პირველი განმარტებაც, ვითომც ყრმად 16—20 წლისანი ითვლებოდენ, შემცდარია: რაკი 16 წლისა უკვე ჰაბუკად იხსენიება, აშკარაა, რომ ყრმობის დასაწყისი სამზღვარი ამაზე გაცილებით ადრე უნდა იწყებოდეს. მართლაც, ქართველი ეპითაღმწერელი ამბობს: „გვანცა მიუდგა და შუა ყრმა და

უწოდა დიმიტრი“-ო (\*823, გვ. 669). მაშასადამე, მამრობითი სქესის ბავშვი უკვე დაბადებით განვეყრმად იწოდებოდა.

რომ ამ შემთხვევაში ქართველ ჟამთაღმწერელს მხოლოდ ძველი მნიშვნელობა აქვს შენახული და „ყრმა“ თავდაპირველად ბავშვის დაბადებით განვეყრდებოდა, ამას ძველი აღთქმის ქართული თარგმანიც ცხად ჰყოფს. აი, მაგ., „გამოსლვათა“ წიგნში ახლად დაბადებულ მოსეს ფარაოს ასულის მიერ პოვნის ამბავი როგორ არის მოთხრობილი: „შთავიდოდა ასულ ფარაოისი ბანად მდინარისა მას და შიმონგარნი მისნი უვიდოდეს იმიერ და ამიერ მდინარისა კიდესა მას. და იხილა კიდობანი იგი მწყურებსა მას. მიავლინა შიმონგარი და მოილო იგი, ალალო და იხილა ყრმა იგი ტიროდა რაჲ კიდობანსა მას შინა“ (გამოს., თ. II, 5—6). ამ ადგილს გარდა, სადაც ცხადზედ უცხადესად ჩანს, რომ „ყრმა“ ახლად დაბადებულ ბავშვსაც ეწოდებოდა, თვით სიტყვა „ყრმისა აღმქუმელი“-ც ამტკიცებს, რომ „ყრმა“ თავდაპირველად სწორედ ახლად შობილს ბავშვს ჰნიშნავდა, ამასთანავე სქესის განუჩევლად. „ყრმისა აღმქუმელი“ ბებიას ერქვა და ამ ორნაწილედს სიტყვაში, რომელიც ბავშვის-ამლებს ნიშნავს, „ყრმა“ ახლად დაბადებულის, ჩვეილი ბავშვის აღმნიშვნელია. ყველა ზემომოყვანილი ცნობა ცხად ჰყოფს, რომ პროფ. ნ. მარტის აზრი, ვითომც „ყრმის“ ძირითადი მნიშვნელობა „სქესობრივად ჰასაკში მოსული“ („Зрелый в половом отношении“. იხ. „Вступ. и заключ. строфах Витязя в барсовой коже“, ТР., წიგნი XII, გვ. XXXVI—XXXVII) ყოფილიყო, არ მართლდება.

მარტო ის გარემოებაც, რომ ტერმინი „ყრმა“ სიტყვა „ყრმისა“-გან არის წარმომდგარი, გვაფიქრებინებს, რომ ყმათა პირადი უფლება ცოტად თუ ბევრად მაინც შეზღუდვილი უნდა ყოფილიყო, რაც საბუთებითა და საისტორიო წყაროების მოწმობითაც მტკიცდება.

ზევით უკვე აღნიშნული იყო „პატრონი“-ს ერთი მნიშვნელობათაგანი. ამ ტერმინს, როგორც ვსთქვით, სხვა მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. მაგ. ეს სიტყვა კერძო მესაყუთრესა და მფლობელსაც ჰნიშნავდა. მიქელ მემღვიმე, რომელმაც თავის მამულში ციხე ააგო, თავის თავს ამ ციხის „პატრონი“-ად სთვლის (შიომღ. ისტ. საბ., გვ. 2). კერძო მფლობელისავე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შიომღვიმის 1250—60 წ. სიგელშიაც, სადაც „მიწის პატრონი“-ა მოხსენებული (იქვე, 60).

ზემოთქმულის შემდგომ ცხადია, რომ პატრონყმობა მაშინ დელი საქართველოს ცხოვრების როგორც სოციალურს, ისე ეკონომიურს მოვლენას ახასიათებდა და გამომხატველი იყო.

მაგრამ ამასთანავე „პატრონყმობა“-ს სახელმწიფო წესწყობილებაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. ამაზე მეტიც ითქმის, საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენის გამომხატველიც იყო. ეს იმითაც მტკიცდება, რომ „პატრონი“ მარტო კერძო მესაყუთრესა და მფარველს კი არ ეწოდებოდა, ე. ი. მარტო საზოგადოებრივ და უფლებრივ დამოკიდებულებათა დამახასიათებლად კი არ ჩანს, არამედ მეფეს და

ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს ა ც ჰ ნ ი შ ნ ა ვ დ ა. მემბტიანეს უნდოდა, მაგ., მკითხველი-სათვის ემცნო, მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი მეფე დავით აღმაშენებელთან ერთად იყო აღზრდილი, და აი როგორ აქვს მას ეს აზრი გამოთქმული: გიორგი ჭყონდიდელი იყო „თანააღმზრდელ აღზრდილი პატრონი“-ო (ც<sup>ა</sup> მფ<sup>ს</sup>სა დ<sup>თ</sup>ი, \*534, გვ. 301), თანაც იგი „თავადგა სიყრმითგანთა პატრონის მსახურებათა“-ო (იქვე, \*535, გვ. 301), პატარაობითგანვე საშეფო სამსახურში იყო. თამარ მეფის ისტორიკოსი ც ხშირად მეფის მაგიერ „პატრონი“-სა ხმარობს. მას, მაგ., აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს ძლევაშილი ლაშქარი და სახელოვანი მეომარნი, დაბრუნდნენ თუ არა ბრძოლის ველითგან, „მოვიდეს წინაშე პატრონისა ნას ღვთივ-განათლებულსა“-ო, თამარ მეფეს წარუდგენო (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*637, გვ. 418). როდესაც თავის საბრძანებლითგან განდევნილი შარვანშა თამარ მეფესთან მოვიდა და დახმარებას სთხოვდა: „უბძანეთ ლაშქართა თქვენთასა აღება ყოვლისა სპარსეთისა, მაშინ დასუთ ასული თქვენი... პატრონად ყოვლისა სპარსეთისა“-ო (იქვე, \*667, გვ. 456).

ყველა ზემომოყვანილი და მრავალი სხვა ამგვარი მაგალითი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ცხადყოფს, რომ „პატრონი“ მეფესაც ჰნიშნავდა და ეწოდებოდა.

მაგრამ როგორც „პატრონი“ მესაკუთრესაც, მფარველსაც და მეფესაც ეწოდებოდა, თავის მხრივ ტერმინი „ყმა“-ც ქვეშევრდომსაც ჰნიშნავდა. თუნდაც ეს ქვეშევრდომი დიდებული აზნაური, ან მოხელე ყოფილიყო. მაგ., თამარ მეფის ისტორიკოსი თამარის დიდებულების შესახებ ამბობს: „მოვეგბნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელი, კალმახელი, ყმანი კარგნი, პატრონისაგან შეწყალებულნი“-ო (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*658, გვ. 445). ცხადია აქ „ყმანი“ ქვეშევრდომს უდრის, ე. ი. სახელმწიფო ცხოვრების მოვლენას ახასიათებს.

ამისღა გვარად სიტყვა „ყმობა“-ც ქვეშევრდომობის აღმნიშვნელად იხმარებოდა. ქართველი მემბტიანე ლიპარტის შვილის ნინიას შესახებ, რომელიც ბაგრატ IV-ეს გაექცა და ბიზანტიას შეეფარა, ამბობს: თავისი დღენი იქ გაატარა „და ნინია მოკუდა ბერძენთა ყმობასა შინა“-ო (მტ<sup>ნე</sup> ქ<sup>მ</sup>, \*496, გვ. 268).

სიტყვა „ყმა“-ს რომ „პატრონი“-სავით პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და სახელმწიფო ცხოვრების მოვლენისა და დამოკიდებულებათა გამომხატველი იყო. შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს: ჩვენი ისტორიკოსი ათაბაგსა და შარვანშაჰს, რომელნიც საქართველოს მეფის მფარველობის ქვეშ იყვნენ, თამარ მეფის „ყმებს“ ეძახის, ხოლო მათ მორჩილებას „ყმად ყოლა“-ს (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმანი, \*677, გვ. 470).

როგორც მეფე თავისი დიდებული ქვეშევრდომი „ყმების“ პატრონად იწოდებოდა, ისე ეს მეფის „ყმები“ თავიანთ მხრივ, საკუთარი ხელქვეითების „პატრონი“- იყვნენ. ხოლო მათი „ხელქვეითნი“, როგორც ზემომოყვანილი ატენის სიონის წარწერამაც დაგვარწმუნა, „ყმებად“ იწოდებოდნენ. ამ ყმებსაც შეიძლება თავიანთი საკუთარი ყმები ჰყოლოდათ, რომელთათვის ისინი „პატრონი“- იყვნენ. ამნაირად თითქმის მთელი საქართველო მეფისაგან მოყოლებულად უბრალო მდაბიომდე „პატრონყმობის“ უღელნი იყო შემბული და ცხოვრების ტვირთს ეზიდებოდა.



დიდებულის ხელისუფალი და ძლიერი გეარის შვილნიც რომ მეფესავით „პატრონებ“-ად იწოდებოდენ, ამას ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებიც ცხადპყოფენ. თამარ მეფის ისტორიკოსი, მაგ., შემდეგ პირთ ასახელებს: აფრიღონ „თმოგვისა და სხვათა ციხეთა პატრონობამდის აღზეებული“ (ისტორი და აზმანი, \*629, გვ. 406), გუზან „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“ (იქვე, \*649, გვ. 434), ვარდან დადიანი „პატრონი ორბეთისა და კენისა და ლიხთ-იქით ნიკოფსიამდის უცილობლად“ მქონებელი (იქვე, \*650, გვ. 435), მკარგრძელი „პატრონი ლორისა“ (იქვე, \*657, გვ. 444), იოანე ვარდანისძე „პატრონი გაგისა“ (იქვე, \*652, გვ. 438) და მათა „პატრონი კოწონისა“ (იქვე).

მაშასადამე, ყველა საისტორიო საბუთიდან ნათლად მტკიცდება, რომ „პატრონყმობა“ ერთსა და იმავე დროს სოციალური ცხოვრების მოვლენის დამახასიათებელიც იყო, სახელმწიფო წესწყობილების მოვლენისაც: „პატრონი“ მეფესაც პნიშნავდა, მზრუნველსა და მფარველსაც, მესაკუთრესაც,—„ყმა“ ქვეშევრდომსაც ეწოდებოდა და სხვის მფარველობის ქვეშე მყოფსაც, სხვის უფლების მორჩილსაც, რომელიც ამასთანავე „პატრონის“ საკუთრებად ითვლებოდა. ერთი სიტყვით, კერძო და სახელმწიფო ცხოვრების მოვლენანი და დაწესებულებანი ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულნი, თითქოს სახელმწიფო წესწყობილება საქართველოში ცხოვრების კერძო განწყობილებისაგან ყოფილიყოს წარმომდგარი. იმ დროს მაინცა დამაინც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმთავრეს და დამახასიათებელ მოვლენას სწორედ ეს „პატრონყმობა“ შეადგენდა.

ბაგრატიონიანთა საგვარეულო მემკვიდრე სუმბატს ერთი ფრიად საგულისხმო და საყურადღებო ცნობა აქვს შენახული, რომელიც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვაგვარი პატრონყმური დამოკიდებულების წარმოშობა და განსხვავებაც გავითვალისწინოთ. მემკვიდრე აშოტ დიდი კურაპალატის მოღვაწეობას გვისურათებს მისს ახალ სამფლობელოში, შავშეთ-კლარჯეთში. სუმბატს ნათქვამი აქვს, რომ „ქევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჯრდა... კუალად შემდგომად მისსა სლვამან სატლობისამან მოაოჯრა შავშეთი და კლარჯეთი და მცირედლა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკვდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა. და დაემკვდრა მუნ და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აქელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა დამან სოფლები ზოგი იყიდა საფასითა და ზოგი ოკერი აღაშენა და განამრავლნა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა“-ო (სუმბატ, ცა და უწყება, \*573—574, გვ. 343).

მაშასადამე, აშოტ კურაპალატი აოხრებულ ქვეყანაში მისულა, სადაც თითო-ოროლა სოფელში შერჩენილ მცხოვრებლებს სიხარულით მიუღიათ. მათ მისი უფლება და მფარველობა ნებაყოფლობით „შეუწყნარებიათ“. აშოტი მათ მფარველობას გაუწევდა, განსაცდელისა და მტრისაგან დაიცავდა. სამაგიეროდ მცხოვრებლებმა ის „შეიწყნარეს“, მისი უფლება აღიარეს,

„პატრონად“, ანუ როგორც იმ დროს ამბობდნენ, „უფლად“ გაიხადეს. ამით რასაკვირველია მათი პირადი თავისუფლება უნდა შეზღუდულიყო.

შემდეგ მემბტიანეს თქმით აშოტს ზოგი სოფელი უყიდა, პირად, კერძო საკუთრებად გაუხდია. ზოგი კიდევ, სრულებით გაოხრებული და უკაცრიელი ნასოფლარი. მას კვლავ აღუდგენია: ხალხი მოუყვანია და დაუსახლება.

ამგვარად ცხადია, რომ აშოტ დიდი კურაპალატის მოღვაწეობაში სამი სხვადასხვანაირი მოქმედებაა, რომელთა თვისება არსებითად განსხვავდება ერთი მეორისაგან. ამის გამო უეჭველია, რომ ის დამოკიდებულებაც, რომელიც აშოტსა და შავშეთ-კლარჯეთის მცხოვრებთა შორის უნდა დამყარებულიყო, სხვადასხვა ხასიათისა იქმნებოდა, სულ ცოტა, იქ სამგვარი მაინც ერთი მეორისაგან განსხვავებული პატრონ-ყმური დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო.

მართლაც და პატრონ-ყმური დამოკიდებულება უფლებრივადაც და ქონებრივადაც სხვადასხვანაირი იყო, იმისდა მიხედვით, თუ რა ნიადაგზე იყო დამყარებული იგი. ყმები სახელითაც განსხვავდებოდნენ ერთმანერთისგან, მაგ., ზოგი იყო „შეწირული“, ზოგი „ნებიერი“, ზოგი კიდევ „სიგლოსანი“ (რკონის 1258 წ. სიგ., ქვბი, II, 13514). ამ სამ ჯგუფს გარდა ყმათა სხვა ჯგუფებიც არსებობდნენ.

იმისდა გვარად, თუ რა საფუძველზე იყო დამყარებული ყმობა, ყმის მდგომარეობაც განსხვავდებოდა ხოლმე.

ცხადია, მაგ., რომ როდესაც მებატონე უმამულო ყმას თავისს საკუთარს მიწას აძლევდა და ზედ დაასახლებდა, ამ შემთხვევაში პირად პატრონ-ყმობასა და მფარველობას გარდა ეკონომიური დამოკიდებულებაც იყო ხოლმე და ყმა უკვე ქონებრივადაც პატრონისაგან იყო დაკლებული. ასეთის ყმის მდგომარეობა უეჭველია უფლებრივადაც უფრო შეზღუდული იქმნებოდა, ვიდრე ისეთ ყმებისა, რომელთაც თავიანთი საკუთარი მამული ჰქონდათ. ქვემოთმოყვანილი მაგალითების დედაზრის გასათვალისწინებლად უნდა ვიცოდეთ, რომ ძველს ქართულ საბუთებში ხშირად „ყმა“-ს მაგიერ „გლეხი“ იხმარებოდა და „გლეხი“ ყმასა ჰქონდა.

მიწის პატრონს თავის მიწაზე ყმა-გლეხის დასმა მაშინ შეეძლო, როდესაც მას თავისუფალი, უკაცრიელი მიწა ჰქონდა. გლეხის ამგვარ დასახლებას „მიწასა ზედა დასმა“ ან „დასახლება“ (ნიკორწ. XI ს. სიგ. ქვბი, II, 47) ეწოდებოდა. „თუ მიწა და უკაცრდება“-ო, ნათქვამი აქვს კახა ერისთავთ-ერისთავს რკონის 1258 წ. სიგელში, ამოვარდნილი ყმა-გლეხის მაგიერ „სხუაი გლეხი და ის მოდეს ზედა“, რომ ამ გზით შეწირულ მამულს მონასტრისათვის ყოველთვის ერთგვარი შემოსავალი მოეტანა: ყმათათვის დადებული „სამსახური და კულუხი ნუ წაგდების“-ო (ქვბი, II, 13714—16). ნიკორწმინდის მონასტრის XI საუკუნის საბუთშიაც ნათქვამია: „გლეხი დავასახლე ავარასა შინა და ბეგარასა გარდაიხდიდეს“-ო (ქვბი, II, 4718—19).

საფიქრებელია, რომ მიწის „სახეგროდ გაცემა“, ან „საკაბალოდ გაცემა“ ყოველთვის და თავისდა თავად პატრონყმობის დამკვიდრებას არ მოასწავებს. მაგ., როდესაც იმავე ნიკორწმინდის მონასტრის საბუთში წერია: „ვიყიდე ვენაჯი... და გლეხთა მივეც“-ო (ქვბი, II,

488—9), ვიციდე ვ ე ნ ა ჯ ი... და მივეც გ ლ ე ხ ს ა ს ა ბ ე გ რ ო დ"—ო (იქვე, II, 4810—11), „მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ"—ო (იქვე, II, 4819), „მოვიგე მიწა და მივეც გ ლ ე ხ ს ა ს ა ბ ე გ რ ო დ"—ო (იქვე, II, 4833), იქნებ ყველა ამ შემთხვევაში მხოლოდ მიწის ან ვენახის მოსახნავად და დასამუშავებლად მიცემაზე იყოს ლაპარაკი, საღალოდ და საკულუხოდ გაცემაზე. მაინცდამაინც არა ჩანს, რომ ამ მიცემით პატრონ-ყმური დამოკიდებულება დამყარებულ იყოს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული არ არის, რომ ეს გლეხნი მიწის პატრონს თავის მიწაზე „დაესვას“ და დაესახლებინოს. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ აღნიშნული არ არის ამ გლეხთა მიერ ნაკისრი, ან მეპატრონეს მიერ მათზე დადებული „სამსახური“, სახელდობრ „სამსახური ყმებრივი“. რაკი პატრონ-ყმური დამოკიდებულება ყმისაგან „სამსახურს“ ითხოვდა, ამიტომ ცხადია, რომ მართო მიწის „საბეგროდ მიცემა“ პატრონ-ყმობას ვერ შექმნიდა, თუკი „გლეხი“, რომელიც საბატრონო მიწას აიღებდა, ამასთანავე ყმობას არ იკისრებდა და „ყმებრივს სამსახურს“ არ დაიდებდა. მერმინდელს დროშიაც კი, ვახტანგის კანონებშიაც საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ როდესაც ვისმე უნდოდა რომელისამე მეპატრონის ყმად გამხდარიყო, თვითონ უნდა მისულიყო და განეცხადებინა: „შენ გყმობივარო“ (§ 198). მით უმეტეს რასაკვირველია იმ დროს, რომელსაც ვიკვლევთ, ამგვარი ნებაყოფლობითი განცხადება ყმობისა და ყმებრივი სამსახურის სურვილის შესახებ აუცილებლად საჭირო იქნებოდა. ამასთანავე საყმოდ მიცემული მიწაც ამისთანა შემთხვევებში „მკვიდრად და სამუდამოდ“ ეძლეოდა ხოლმე ყმას მიწის და ყმის პატრონისაგან.

როგორც ზევით აღნიშნული იყო, ყმათა ანუ გლეხთა ერთ-ერთ ჯგუფს „ნ ე ბ ი ე რ ნ ი“ (1258 წ. რკონის სიგ., ქაბი, II, 135) შეადგენდნენ. ძველ ქართულში „ნებიერი“ ისეთს აღამიანს ეწოდებოდა, რომელსაც თავის ნებისა და სურვილისამებრ შეეძლო ემოქმედნა. ამისდა მიხედვით „ნებიერი გლეხი“, ალბათ, ისეთს ერქვა, რომელიც თავის ნებაყოფლობით და სურვილით ეყმო „პატრონს“ და ვითარცა „ნებიერს“ იქნებ საპატრონეყო პირობის შექცერის დროს აღნიშნული ჰქონდა, რომ განსაზღვრულ გარემოებაში შეეძლო ყმობისაგან ისევ თავი დაეღწია და წასულიყო. ნებაყოფლობით შესულ ყმას ხშირად საკუთარი მამული ჰქონდა ხოლმე (იხ. ჩემი საქართველოს ეკონომიური ისტორია I, 12).

გაცილებით უფრო დაბლა უნდა მდგარიყო უფლებრივად „ნ ა ს ყ ი დ ი ყ მ ა“ ანუ „ნ ა ს ყ ი დ ი გ ლ ე ხ ი“ (გრიგ. სურამელის 1250 წ. შეწირ. წიგ., ს. კაკაბაძე, გამ., 516-17) იმიტომ, რომ ის პირადად „ნებიერად“ კი არ იყო ყმად გამხდარი, არამედ „პატრონის“ მიერ იყო ნაყიდი. „ნასყიდი“ გლეხთაგან ზოგს საკუთარი მამული ჰქონდა. ხოლმე და „პატრონი“ მათ მამულიანად ყიდულობდა. მაგრამ „ნასყიდი“ ყმათა შორის უმამულონიც იყვნენ (სქს ეკონ. ისტორია, I, 12—13) და რასაკვირველია ისინი სხვებზე უფრო უარესს უფლებრივს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, იმიტომ რომ მათთვის „პატრონს“ ან მამული, ან სხვა რაიმე სარჩო უნდა მიეცა. ყიდვის დროს ხშირად საგანგებო პირობა იღებოდა და მიზანიც განსაზღვრული იყო ხოლმე, თუ რისთვის ყიდულობდნენ ამა თუ იმ პირს: ზოგჯერ „პატრონი“-სათვის ხელოსანი იყო საჭირო და ხელობის მცოდნე კაცი და ისიც საამისო კაცს ყიდულობდა ყმად. მაგ., როდესაც მსახურთ-უხუცესმა გრიგოლ სურამელმა მღვი-

მელთ „წისქვილნი აოშენა“, მან ამ წისქვილისათვის „გლესი იყიდა მეწისქვილედ“ და მათვე, „მლუიმელთა შესწირა“ (1250 წ. გრ. სურამელის შეწ. წიგ., ს. კაკ. გამ., 714—16). მაშასადამე, ეს ყმა „მეწისქვილე“-დ იყო ნაყიდი და ამის მეტი მას სხვა არავითარი მოვალეობა და სამსახური არ ედვა. მისი შთამომავლობისაგანაც ერთ-ერთი ყოველთვის მეწისქვილედ უნდა ყოფილიყო გაწვრთნილი და წისქვილში ემსახურა.

პატრონყმობის ერთ-ერთ მიზეზად შეუძლებელი მოვალეობაც იყო. ვახტანგ VI-ესაც აღნიშნული აქვს, რომ შეუძლებელი მოვალე, თუ მას „საქონელი არა ჰქონდეს“, ყმად „მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს“-ო (§142). ასევე იყო ძველ დროს, იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ, თუ არა?

„კოსტანტინე-კახაა“-ს ცაში არის ერთი ცნობა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ძველადაც უნდა ყოფილიყო დაახლოვებით ისეთი უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც აღნიშნული აქვს ვახტანგ VI-ს თავის სამართლის წიგნში. „კოსტანტინე-კახაა“-ს წამებაში აღნიშნულია სხვათა შორის, რომ კახასთან „მრავალნი მოივლტოდეს... შორით ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თვსთაგან, ზოლონეტარებითა დიდითა გარდახადის თანაქნადები იგი მათი“-ო (სქს სამოთხე, 364). რატომ გარბოდენ მოვალენი, რომელთაც თავიანთი ვალის გადახდა არ შეეძლოთ, საქართველოს ერთის კუთხიდან, თავიანთი ქვეყნითგან, მეორე კუთხეში? საფიქრებელია, იმიტომ, რომ ასეთს შეუძლებელ მოვალეებს თავისუფლება ესპობოდა და მოსესხეს მონებად ან ყმებად უნდა გამხდარიყვნენ: ალბათ ამ ყმობას გაუბროდენ ეს მოვალეები, ამის გამო საფიქრებელია, რომ შეუძლებლობითი მოვალეობა საქართველოშიც ყმობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ყოფილიყო.

როგორ ყმას ეწოდება „სიგლოსანი“? თვით სახელიც ამტკიცებს, რომ მას „სიგელი“ უნდა ჰქონოდა და სჭეროდა. მაგრამ რა სიგელი, ყმობის პირობების შემცველი და განმსაზღვრელი? საფიქრებელი იყო, რომ „სიგლოსანი“-ად სწორედ ის ყმა უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომელიც თავისი ნებით ეყმობოდა „პატრონს“ და ამ დროს „ყმობის სიგელ“-ს დაადებინებდა, რომელშიაც მკაფიოდ იყო განსაზღვრული „პატრონისა“ და ყმის პატრონყმური უფლება-მოვალეობანი. მაგრამ საბუთები ამ თეორიულ განმარტებას მთლად არ ამართლებენ. კახა ერისთავთ-ერისთავი, მაგ., რკონის 1258 წ. სიგელში ამბობს: ს. ხოვლეში მცხოვრები გლეხები „შეწირული, ნებიერი და სიგლოსანი ერთობ ყუელაი მიყიდი“-ო (ქკზი, II, 135). მაშასადამე, „სიგლოსანის“ ყიდვაც შესაძლებელი ყოფილა, „ნებიერისაც“ და ამ შემთხვევაში მათ შორის თითქოს განსხვავება ისპობა, თუმცა ეს სიტყვები ვგონებ ისე უნდა გავიგოთ, რომ კახამ მთელი სოფელი მთელის თავის მოსახლეობითა და მიწებით შეიძინა. მაშინ ცხადია, რომ ზემომოყვანილი წინადადება „სიგლოსანი“-ს მნიშვნელობის გამოსარკვევად საკმაო არ არის და გარკვეულს ცნობებს არ გვაძლევს.

„სიგლოსანი“ კიდევ ერთს XIII საუკუნის სიგელშია მოხსენებული, რომელიც მიქაელ კათალიკოზის წყალობის წიგნს შეიცავს. იქ ნათქვამია: „მოგეცით... სოფელი ორომაშენი... თუნიერ მუნ შინა მსხლომთა ხუცესთა

სიგლოსანთაგან კიდე, რომელიც სანატრელსა ნიკოლოზ ქართლისა კათალიკოზსა გადმა გაჯმულნი საყდრისათუინვე შინა შემოუკმან დაღმრთივ გუიარგუინოსანთა მეფეთა და კათალიკოზთათუის მწირველნი უჩენიან“-ო (იხ. ს. კაკაბაძის XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზები, გვ. 512—17, 61—4). მაინცადამაინც არც ეს ცნობაა სრულებით მკაფიო და არა ჩანს ეს ხუცესნი წინადაც „სიგლოსანი“ იყვნენ, თუ მხოლოდ მას შემდგომ, რაც ნიკოლოზ კათალიკოზმა კვლავ ორომაშენის ეკლესიას დაუბრუნა და მეფეთა და კათალიკოზთა მწირველად „აჩინა“. ამისდა მიუხედავად ზემომოყვანილი წინადადება საყურადღებოა, რაკი მტკიცდება, რომ სიგლოსანი მარტო გლეხები კი არ ყოფილან, არამედ მღვდლებიც. მაშასადამე, ტერმინი „სიგლოსანი“ საზოგადოა და ყმობის მდგომარეობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. წინათაც სიგლოსანი იყვნენ ეს ხუცესნი, თუ არა, ამის შესახებ გარკვეული ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ ისინი რომ ნიკოლოზ კათალიკოზის შემდგომ „სიგლოსანი“ იყვნენ, ეს სრულებით ცხადია. როდესაც ნიკოლოზ კათალიკოზს ეს ხუცესნი საყდრისათვის დაუბრუნებია, მას ისინი ორომაშენის ეკლესიისათვის შეუწირავს და მეფეთა და კათალიკოზთა სულის მოსახსენებლად მწირველად დაუდგენია. ამ ხუცესთა ეს უფლება-მოვალეობანი ნიკოლოზს მათს შეწირულობის სიგელში ექნებოდა აღნიშნული და განსაზღვრული და მათი ყმობრივ უფლება-მოვალეობათა შეცვლა არ შეიძლება და ალბათ სწორედ ამის გამოვე იხილთ „სიგლოსნებად“ იწოდებოდნენ. ყველა ზემოთქმულის შემდგომ საფიქრებელია, რომ ყმები ორგვარნი უნდა ყოფილიყვნენ „სიგლოსანი“ და არა-სიგლოსანი: პირველთა პატრონ-ყმობის უფლება მოვალეობანი წერილობით იყო განსაზღვრული „სიგელში“, ხოლო მეორეთა ყმობა სიტყვიერად იყო დადებული, ჩვეულებაზე იქნებოდა დამყარებული.

კახაერისთავთ-ერისთავის ზემომოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ ყმათა შორის ცალკე ჯგუფად „შეწირულნი“-ც ითვლებოდნენ. როგორც თვით სახელიც ამტკიცებს, „შეწირულ“ ყმად რასაკვირველია ეკლესიებისა და მონასტრებისათვის „საალაპედ“ შეწირული და მოხსენებული გლეხები და ყმები იყვნენ. შენახული „შეწირულობის წიგნები“ ამტკიცებენ, რომ მრავალი სხვაობის მიუხედავად „შეწირულ ყმათა“ მდგომარეობა საერთო დამახასიათებელ თვისებებს შეიცავს, რაც მართლაც მათ ყმათა ცალკე ჯგუფად ჰხდის. რაკი მონასტრისადმი შეწირული ყმები „სულთა საოხად“ იყვნენ განკუთვნილნი, რომ შემწირველის აღაპისათვის „შეწირულს ყმას“ საჭირო პური, ღვინო და სხვა ყოველგვარი სახმარი ყოველწლივ მონასტრისათვის მიერთმია და ცოდვათა მიერ დამძიმებული სულის ცხონების სავედრებელი ლოცვა-აღაპისათვის ხელი შეეწყო, ამიტომ „შემწირველნი“ ცდილობდნენ თავიანთი „შეწირული“ ყმები რაც შეიძლება კარგსა და ხელსაყრელს პირობებში ჩაეყენებინათ, რომ მათაც თავიანთი ყოფილი „პატრონის“ სახელი დაელოცნათ და

ღმერთს მის ცხოვნებას შეჰვედრებოდენ. ამიტომვე იყო, რომ შესაწირავ ყმასა და საყმო მიწას შემწირველი ყოველთვის „ალალ“, თავის პირადი შრომით, ან სახსრით შეძენილის ფულით ყიდულობდა: ამ საქმეს არაფერი უწმიდურობა და უსამართლობა არ უნდა მიჰკარებოდა. სწორედ ამის გამოვე იყო, რომ „საადაპედ“ შეწირულ ყმას „პატრონი“ განსაკუთრებულს, შეღავათიან პირობებში აყენებდა: ჭერეს ერთი, რომ ყოველგვარი საბატონო სამსახურისა და გამოსაღებისაგან ათავისუფლებდა. მეორე ისა, რომ მუდამ ცდილობდა თავის „შეწირული“ ყმისათვის მთავრობისაგანაც წყალობა მოეპოვებინა და სამეფო და სამოხელეო გადასახადებისაგან განეთავისუფლებინა და შეუვალობა მიენიჭებინა. შემწირველივე თვით ჰსაზღვრავდა შეწირული ყმის უფლებამოვალეობას და ჩვეულებრივ მას დაკისრებულ ჰქონდა ხოლმე მართო განსაზღვრული რაოდენობის პურისა და ღვინის, აგრეთვე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ სხვა ყველაფრის მიტანა მონასტრისათვის, რაც კისაჭირო იყო, რომ სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი ეწირათ და მონასტრის ძმობისა და გლახაკთათვის აღაპი მოემზადებინათ. ამგვარად ირყევა, რომ „შეწირული“ ყმის ყმებრივი მოვალეობა ერთხელ და სამუდამოდ შემწირველის მიერ იყო ხოლმე განსაზღვრული. არც მონასტერს, არც სხვას ვისმე ამ პირობის შეცვლა და საყმო მოვალეობის დამძიმება არ შეეძლო.

იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეკლესიისა და მონასტრისადმი შეწირული ყმა მიწის მოქმედი არ იყო, არამედ ხელოსანი, ან ვაჭარი, ან სხვა რაიმე თანამდებობის კაცი, მაშინაც შეწირვის დროს მისი მოვალეობაც გარკვევით იყო ხოლმე აღნიშნული. მაგ., როდესაც ანტონ ჰყონდიდელმა და მწიგნობართა უხუცესმა შიომღვიმის მონასტერს მილით წყაროს წყალი გამოუყვანა, მან ამასთანავე მონასტერს ყმებად შესწირა „გიორგი და იაბერი ფუძედ ერთი და კომლად ორი“, რომელთაც თვით შემწირველმა დააკისრა მოვალეობა, — ამ წყაროს მილის ყურის გდება და როცა კი დასჭირდებოდა შეკეთებაც, „კაზმვა“. თვით ანტონი ამბობს: მათ „მე გაუჩინე“ მოვალეობად „სამსახური მის წყაროსისაი“. მათ აღარავითარი სამეფო და სამოხელეო „სათხოვარი და გამოსაღები“ არ ეღვათ. შემწირველმა ამას გარდა დაადგინა: „სხუაი სამსახური არც რაი ეკლესიისაი ეღვას“-ო. ამ ორი კომლი ყმის ყმური მოვალეობა და სამსახური იმაში მდგომარეობდა, რომ მუდამ „ორისავე სახლისაგან თუითთი შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდის და ჰკაზმიდენ მას წყაროსა“-ო (1202 წ. თამარ მეფის სხალტ. სიგ., ს. კაკ. შიომღ. სამი სიგ., 91-92). მაშასადამე, შეწირული ყმები მოვალენი ყოფილან, რომ თავთავიანთი ოჯახის ერთ-ერთი შვილისათვის წყაროს მილით გამოყვანის ხელობა საგანგებოდ შესწავლებინათ და ამ წყაროსათვის ყური ეგდოთ, ხოლო როცა საჭირო იქნებოდა „კაზმიდენ მას წყაროსა“-ო, გაფუჭებული შეკეთებინათ. „თუნიერ წყაროსისა კაზმვისაგან კიდე“ მათ არავითარი სხვა

მოვალეობა არ ედვით (იქვე, 923-24). ამგვარად ცხადია, რომ აქაც შემწირველის მიერ განსაზღვრულია შეწირული ყმის საყმო სამსახური—და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი, რომ „წყლის მკაზმავ“—ებად, ანუ „ქუქანკ“—ებად უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმეო ის არის, რომ ქუქანკობა ყველას კი არ უნდა შეეცნა ვლათ, წყლის „კაზმვა“ თვითოეულის სახლის წევრის მოვალეობა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ თითო კომლითგან მხოლოდ ერთი უნდა ყოფილიყო ამ ხელობაში განსწავლული და ყოველს თაობას მარტო ორი ქუქანკი უნდა მიეცა მონასტრისათვის. ამ ორი შეწირული ყმის ჩამომავლობის დანარჩენი წევრნი რასაქმეც უნდოდათ, იმას აირჩევედენ, ეს მონასტერს არ ეხებოდა. ისინი მხოლოდ თავიანთ სახლიკაცს-ქუქანკებს „წყაროს კაზმვა“-ში ქონებრივად და სხვაგვარად ეხმარებოდენ.

გრიგოლ სურამელმაც, რომ თავისი „ნასყიდი გლეხი“ შიომღვიმის მონასტერს ყმად შესწირა, რომ მის მიერ მონასტრისათვის აგებულ წისქვილში ყოფილიყო, იმთავითვე მისი ყნური მოვალეობაც განსაზღვრა: უკვე ყიდვის დროს მან ეს „გლეხი იყიდა მეწისქვილედ“ და ამავე მიზნით „მღუიშელთა შესწირა“ (1250 წ. გრ. სურამელის შეწ. წიგ., ს. კაკ. გამ., 514—16). გრიგოლმაც თავისი შეწირული ყმა „მუუვალ“-ად გახადა და გადასახადებისაგან განათავისუფლა (იქვე, 514—22 და 64—6). მის მიერვე იყო დადგენილი, რაც რამ ამ გლეხს მოვალეობა უნდა ჰქონოდა: ჯერ ერთი, რომ „წისქვილთა რაიცი საკაზმავი უნდოდეს ესევე ჰკაზმოდეს“-ო (იქვე, 524—25). ამას გარდა მას წისქვილისათვის ყური უნდა ეგდო. მეწისქვილედ ყოფილიყო ისე კი, რომ წელიწადში სამი დღის გარდა სხვა დროს „ვინ გინდა მოფქავი იყოს, მინდი ნუ ვის ნუ. აელების“-ო (იქვე, 530—31). მინდი არავის გამოერთმეოდა, მუქთად იქნებოდა დაფქული, რომ „მოფქავნი“ გრიგოლ სურამელის „სულის სალოცავად“ ღმერთს შეჰვედრებოდენ. მეწისქვილეს მხოლოდ თავისი სარგო „საპატიო“ უნდა აელო დაფქულითგან და აქედან „წელიწადის თავსა“ მონასტრის წინამძღვრისათვის ძღვენი მიერთმია. მორჩა და გათავდა: ამის მეტი მას არაფერი არც ეთხოვებოდა და არც უნდა გაეკეთებინა (იქვე, 530—33 — 61—6). ამ შემთხვევაშიაც ცხადია, რომ ამ მეწისქვილე ყმის ჩამომავლობითგან მეწისქვილედ ყველანი კი არ უნდა გამოსულიყვნენ. არამედ მხოლოდ თითო თაობაში ერთი.

ამგვარადვე, როდესაც საფლაოზე, ან სამწირველოში ვინმე ხუცესად და „მწირველად“ იყო ხოლმე რომელსამე მონასტერში შეწირული, მაშინ მათი მოვალეობა და უფლება იმ თავითვე განისაზღვრებოდა ხოლმე. ამასთანავე აქ „მწირველად“ და „მოდურად“ შეწირულის გვარის მხოლოდ ერთერთი წევრთაგანი უნდა ყოფილიყო, მაგ., მელქისედეკ კათალიკოსსაც 1020 წ. მცხეთის საყდრისადმი შეწირულობის სიგელში თავისთვის განმზადებულ საფლაოზე მწირველის შესახებ ნათქვამი აქვს: „ვიდრე ცოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ჟამსა წირვიდეს და მილოცავდეს და შემდგომად მისსა შვილთა და შვილის შვილთა მოსთა და უტეოს და იგი დგეს და ჟამსა წირვიდეს და გვილოცვი-

დეს და შეეუცვალე ბელად ჰქონდეს ესე გასარომელი საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის მწირველსა ხუცესსა უკუნისაღმე ჟამთა“-ო (ქკბი, II, 3419—23, იხ. აგრეთვე თამარ მეფის დროინდ. შიომღ. კრებულის მიერ დაწერილი სიმტკ. წიგნ., იქ. 59).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „შეწირული“ ყმის ყველა უფლებამოვალეობა ყოველთვის „შეწირულობის სიგელ“-ში იყო აღნიშნული, წერილობითი დებობა და ისახლვრებოდა. ამის გამო „შეწირულთა“ ყმური მდგომარეობა მტკიცე და უცვლელი უნდა ყოფილიყო „მიუკუნისაღმე“. ამავე მიზეზით „შეწირული“ ყმა ან გლეხი იმავე დროს ყოველთვის „სიგლოსანი“-ც იყო, მაგრამ თავისდა თავად ცხადია ყოველი „სიგლოსანი“ ყმა „შეწირული“ არ იყო და ეს ორი ტერმინი ერთისა და იმავე ცნების გამომხატველი არ იყო.

ჟმთა განსაკუთრებულ ჯგუფს ნაწყალობევი ყმები შეადგენდნენ. მათ შემდგომში, მაგ. ვახტანგ VI-ის დროს, „წყალობის ყმა“-თა სახელი ეწოდებოდათ. რას ეძახდნენ ძველ დროს, ამასვე, თუ სხვა ტერმინი იხმარებოდა, ჯერ არა ჩანს. ნაწყალობევი ყმა „პატრონის“ მიერ „შეწყალებით“ ნაბოძები ყმა იყო ხოლმე. ასეთს ყმას „პატრონი“ თავის ერთგულს და „შეწყალებულს“ ყმას აძლევდა ხოლმე. ნაწყალობევე ყმათა უფლებრივი მდგომარეობისა და საზოგადოდ „პატრონყმობის“ ბუნების გათვალისწინება შეუძლებელია, თუ თავდაპირველად „შეწყალებ“-ისა და „შეწყალებული“-ს მნიშვნელობა არ გამოვარკვეით.

ქართული „პატრონ-ყმობის“ სრულის ბუნებისა და დამახასიათებელ თვისებათა შეგნებისათვის სწორედ რომ „შეწყალებ“-ისა და „შეწყალებული“-ს მნიშვნელობის გათვალისწინებაა საჭირო. „შეწყალება“ პატრონ-ყმობის აუცილებელი და არსებითი თვისება იყო. რა იყო „შეწყალება“ და ვინ იყვნენ „შეწყალებულნი“ (დავით აღმაშ. ანდერძი, ქკბი, II, 515).

ვისაც ძველი ქართული საისტორიო ძეგლების ენა და ტერმინოლოგია შესწავლილი არა აქვს, მას ეგონება, ვითომც „შეწყალებული“ და „შეწყალება“ შესაბრალის ადამიანის შემბრალებასა და ხელის გამართვას, ან დამნაშავის პატიებას ნიშნავდეს. მაგრამ ნამდვილად კი ეს ორი სიტყვა სულ სხვა ცნების აღმნიშვნელი ტერმინი იყო. მაინცადამაინც „შეწყალებული“ არც შესაბრალის ადამიანს ეწოდებოდა, არც ისეთს კაცს, რომელსაც რაიმე ხელის გამართვა ესაჭიროებოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსს, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ საქართველოს დიდებულ გვირგვინოსანს „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“ გუზანი „ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილთა ზედა შეეწყალებულ“-ო (ისტორი და აზმნი, \*649, გვ. 434). მაშასადამე, „შეწყალება“ აქ მეფის მიერ დიდი თანამდებობის ბოძებას და წყალობას ჰნიშნავს. ამგვარადვე იმავე ავტორის თხზულებაში ივანე მხარგრძელის შესახებ ნათქვამია: „შეიწყალებს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა კელშინაური და საპატრიოკაენი და კაიწონი გელაქუნითა და სხუათა მრავალთა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“ (იქვე, \*656, გვ. 442). ამ შემთხვევაში ცნობა უფრო ვრცელია: „შეწყალება“ მარტომოხელეობის ბოძებას



კი არ ჰგულისხმობს, არამედ „საპატიო“ და „სახარაჯო“ ჰქვეყნების, ციხე-ქალაქების მიცემასაც.

მამულებისა და ქვეყნების ბოძების აღსანიშნავად არის ნახმარი ტერმინი „შეწყალება“ შემდეგ შემთხვევაშიაც: სარგის ვარდანის ძეს „უბოძეს თმოგვი“ და ქუემოთ წირქულელნი, ზარტიბისა (შევს. ქც-ზარტიბისა) ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიბერის ძენი, მახატლის ძენი, თავნი კახეთისანი თორღის ძენი. შეიწყალნეს თუითთელი თვისითა წესითა“-ო (იქვე, \*657, გვ. 444).

მაშასადამე, „შეწყალება“ სხვადასხვა „წესით“ სცოდნიათ. ამ წესის სხვადასხვაობა იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგის შეწყალება გამოიხატებოდა „ახლად დალოცვითა“, ზოგისა კიდევ „მიმატებითა“. ისტორიკოსი სწორედ ზემოაღნიშნული გვარის შვილების შესახებ ამბობს, რომ თამარ მეფემ ისინი „შეიწყალნეს თუითთელნი თვისითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა და რომელნიმე მომატებითა“ (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*657, გვ. 444). ეს უკანასკნელი ცნობა ნათლად გვიჩვენებს, რომ „შეწყალებისათვის არსებითი მნიშვნელობა მართო „ბოძებას“ კი არაა ჰქონია, არამედ „დალოცვა“-საც.

„დალოცვა“ უქვევლია თანსდევდა ყოველი მოხელეობის მიბოძებას: როდესაც ვისმე თანამდებობას უბოძებდნენ, მას ამ მოხელეობაზე „დალოცავდნენ“ ხოლმე და თანაც „საპატიო“ მაჩულიც გარდაეცემოდა. იქ, სადაც თამარ მეფის ისტორიკოსს იეანე სარგისის ძის მსახურთუხუცესად „შეწყალების“ შესახებ აქვს ლაპარაკი, შემდეგ დამატებულია: „შეიწყალნეს და დალოცეს სხვანიცა დიდებულნი მრავალნი“-ო (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*656, გვ. 442). როდესაც ადამიანს პირველად აძლევდნენ რომელსამე თანამდებობას, ამას „ახლად დალოცვა“ ერქვა.

საფიქრებელია, რომ მაშინ მტკიცედ შემუშავებული „დალოცვის წესი“ არსებობდა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ დალოცვილ მოხელეზე ამბობდნენ „წყალობა-ჯელდასხმული“-ო. „ქელდასხმა“, როგორც ვიცით, საეკლესიო მღვდელმსახურების ტერმინია და სასულიერო პირთა დადგენისა და კურთხევის წესის დროს აღსასრულბელი მოქმედების აღსანიშნავად იხმარებოდა. რაკი ასეთი სამღვდელმსახურთ ტერმინი ყოფილა „დალოცვის წესი“-სათვის შეთვისებული, ამიტომ უქვევლია ამ დალოცვის დროსაც რაიმე „ქელდასხმის“ მსგავსი მოქმედება იქნებოდა მიღებული. თამარ მეფის ისტორიკოსი სხელდობრ - აბულასანის შესახებ ამბობს, იგი იყო „მეფეთ მეფისაგან წყალობა-ჯელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა“-ო (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*635, გვ. 415).

როგორც აღნიშნული იყო, მეფის „შეწყალება“-ს და „წყალობა“-ს (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*631, გვ. 409) მოხელედ დადგენის დროს „დალოცვა“ თანსდევდა: თანამდებობაზე დანიშნვის „წყალობა“ უპირველესად ყოვლისა გამოიხატებოდა „დალოცვითა“. ზაქარია მხარგრძელის შესახებ, მაგ., ნათქვამია: თამარმა „წყალობა ყო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა“-ო (იქვე, \*631, გვ. 409—410).

მოხელედ დასალოცავს „დალოცვის“ დროს, ზოგს მაინც, მისი მოხელეობის საგანგებო ნიშანი ეძლეოდა ხოლმე. მაგ., მანდატურთ-უხუცესს მეფე ოქროს არგანს უბოძებდა ხოლმე (იქვე, \*631, გვ. 410), მოლარეთ-უხუცესს კიდევ დალოცვის დროს ბეჰედი ეძლეოდა თურმე (ვ. გარ. \*631, 1111). ამირსპასალარს მეფე ალბათ ხმალს უწყალობებდა და ამის მეტი დალოცვის შესახებ ჯერ არა ვიცით რა, მაგრამ იმედია მომავალში, თუ ამ საკითხს ჯეროვანს ყურადღებას მივაქცევთ, ბევრი რაზე გამოიჩვენება. იმის თქმა, სდებდა თუ არა რაიმე ფიცს მოხელედ დასალოცავი, ჯერ არ შეგვიძლიან, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ „დალოცვის“ დროს „თაყვანება“ წესად ყოფილა დადებული (ისტორი და აზმნი, \*631, გვ. 410).

როგორც აღნიშნული იყო, „შეწყალება“ მართო დალოცვით არ თავდებოდა, არამედ ჩვეულებრივ დალოცვას ბოძებდაც თან სდევდა ხოლმე, მეტადრე სამოხელოდ შეწყალების დროს. ყოველ ხელისუფლობასთან გარკვეული რაოდენობის ქვეყნებისა და მამულების მფლობელობა იყო დაკავშირებული. ამგვარს ხელისუფლობაზე დამოკიდებულ სამფლობელო ქვეყანასა და მამულს „საპატიო“ ეწოდებოდა. მაგ., ხელისუფლობის წყალობით მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი იყო „პატრონი ორბეთისა და კაენისა“ (ისტორი და აზმნი, \*650, გვ. 435) და თანაც ყოფილა „პატრონი კაიწონისი“ (იქვე, \*652, გვ. 438). ხოლო, როდესაც განდგომილნი ვარდან დადიანის მაგიერ თამარ მეფემ მსახურთ-უხუცესობა ივანე სარგისის ძეს უბოძა, ამასთანავე „შეიწყალეს და უბოძეს... საპატიო კაენი და კაიწონი“ (იქვე, \*514, 628, 629, 630 და 631, გვ. 387, 406, 407 და 409).

ამ „საპატიო“ და სამოხელო ქალაქ-ციხე-სოფლებს გარდა ერთგულ ხელისუფლებსა და ყმებზე შეწყალების სახით „სახარაჯონი“-ც გაიცემოდა ხოლმე. „სახარაჯო“-დ ალბათ იმიტომ იწოდებოდა, რომ დასაჩუქრებულს ნაწყალობევის მხოლოდ „ხარაჯით“, ანუ დაწესებული გადასახადით შეეძლო ესარგებლა. მსახურთ-უხუცესად დანიშნულს ივანე მკარგრძელს თამარმა, მაგ., „საპატიო“-ს ბოძებას გარდა ისეთი სიკეთეც უყო, რომ „შეიწყალეს... გელაქუნითა და სხუათა მრავალთა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა“ (ისტორი და აზმნი, \*656, გვ. 442).

ეს სახარაჯო ციხე-სოფელ-ქალაქები სხვადასხვა პირობით ეძლეოდათ ხოლმე „შეწყალებულთ“: ზოგი ადგილი ვითარცა „საკუთარი“, ზოგი კიდევ „სანახევრო“-დ. ზაქარია ვარდანის ძის შესახებ, მაგ., წერია, რომ თამარ მეფემ „შეიწყალა და უბოძა გავი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთართითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებით, ციხეებითა და სოფლებითა“ (იქვე, \*655—656, გვ. 442). „სანახევრო“ ცხადია იმას ჰნიშნავს, რომ ნაწყალობევი ქვეყნის „ხარაჯის“ მხოლოდ ნახევრის აღება შეეძლო, ან ნახევრით შეეძლო ესარგებლა. ამისდა მიხედვით „საკუთარი“ ალბათ ისეთ ქვეყნებს ეწოდებოდა, რომელთა მთელი შემოსავლით, მთელის „ხარაჯით“ შეეძლო დასაჩუქრებულს ესარგებლა.

რაკი ჩვენ უკვე ვიცით, რომ „შეწყალება“ მეფისა ან რომელიმე სხვა პატრონის მიერ ყმისადმი „წყალობის ყოფა“-ს, ან რაიმე მოხელეობით, ან

უპირატესობით და „საპატიო“, „თუ „სახარაჯო“ ქალაქ-ციხე-სოფლებითა და მიწებით დასაჩუქრებას ჰნიშნავდა, ტერმინ „შეწყალებული“-ს (ისტორი და აზმანი, \*649, გვ. 435) მნიშვნელობის გაგებაც აღარ გაგვიძნელდება. „შეწყალებული“ (დავით აღმაშენებლის ანდერძი, ქტბი, II, 51s), რასაკვირველია, ყოველთვის „პატრონისაგან შეწყალებული“ და აუცილებლად „კარგნი ყმანი“ იყვნენ (ისტორი და აზმანი, \*658, გვ. 445), რომელნიც თავიანთი „ყმებრივი მსახურების“ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ.

ყოველი კარგი და „პატრონთაგან შეწყალებული“ ყმა უნდა „მონებდეს და მსახურებდეს... მონებით ყმებრივითა“ (იქვე, \*639, გვ. 420). „პატრონი“-ც რასაკვირველია ყმის სამსახურს არ დაივიწყებდა და შესაფერისად ავილდოვებდა ხოლმე: „მსახურებისა ნაცულად“ ერთგულ ყმას „შეიწყალებდა“ და ხან „ქვეყნებს“ ან „მამულობით“, ე. ი. მემკვიდრეობით, ან „სახარაჯოდ“, ხან კიდევ მოხელეობას, ან რაიმე უპირატესობას, მაგ., თუნდ შეუვალობის სიგელს უბოძებდა. როდესაც სულა კალმახელმა ბაგრატ IV დაუძინებელი მტერი, მისი ურჩი ყმა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი შეიპყრო და დატყვევებული მეფე ბაგრატს მიჰგვარა, „ამის მსახურებისა ნაცულად უბოძა მამულობით ციხისჯვარი და ოძრქვე, ბოდოკლდითა და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღუღელთ-მოდურენი და რაცა უნდოდა“-ო (მტნე ქტ, \*495, გვ. 267). სწორედ ყოველი ამგვარად „პატრონისაგან“ დაჯილდოვებული ყმა იყო „შეწყალებული“ და ასეთ პირებს ეძახდნენ „შეწყალებულებს“.

ყველა ყმის მოვალეობას „პატრონი“-ისადმი ყმური „მსახურება“ (მტნე ქტ, \*495, გვ. 267) შეადგენდა. სწორედ რომ ყმის „ერთგულება“ (თამარ მეფის დროინდ. სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 24) და „სამსახური“ (ისტორი და აზმანი, \*628, გვ. 406) ფასობდა და ერმრავალ „პატრონი“-ისათვის განსაკუთრებით ამას ჰქონდა მნიშვნელობა. იმ დროს ყმები „პატრონი“-ისათვის მარტო ქონებრივად კი არ იყვნენ ძვირფასნი, არამედ აგრეთვე, როგორც სამხედრო ძალა და საფარი. ყმათა სიმრავლეზე იყო თვით „პატრონთა“ ძლიერებაც დამოკიდებული: ვისაც მეტი ყმები ჰყავდა აკი გრძნობდა კიდევ თავის ძლიერებას. მრავალრიცხოვან ყმათა „პატრონნი სწორედ ამიტომაც იყვნენ „სიმრავლესა ზედა ერისასა აღზევებულნი“ (ცტ გ-ი მთწდ-მ, 319). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ლაშქრობისა და ბრძოლის დროს „ყმები“ მოვალენი იყვნენ „პატრონებს“ მიჰმველებდნენ და თავ-თავიანთ „პატრონთა“ გვერდით და მეთაურობით ეომნათ. მართლაც, თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ ყმები ომის დროს „პატრონებს“ ამაღასავით თან ახლდნენ ხოლმე. ერთი მკაცრი ხელჩართული ომის შემდგომად „იხარებდეს“, ამბობს ისტორიკოსი, „ვითარ მპოვნელნი... პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა“-ო (ისტორი და აზმანი, \*603, გვ. 373), ან კიდევ ნათქვამი აქვს: ომში „უსწრობდა პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა“-ო (იქვე, 639, გვ. 421).

მარტო ომში კი არა, ისედაც „პატრონი“ სადმე რომ გაემგზავრებოდა, მას „ყმები“ თან უნდა ხლებოდნენ, ყველანი კი არა, არამედ ვისაც ეს მოვალეობად ჰქონდა დაკისრებული. დიდ აზნაურსა და მოხელე „პატრონს“

ანგვარ ამაღაში აზნაურნიც კი ჰყავდა ხოლმე. მათ ეწოდებოდათ „აზნაურნი თანამყოლნი“ და თავიანთი პატრონის დაცვა ედვათ: ვალად. როდესაც სარგის ჭაყელი დავით ლაშას ძემ შეიპყრა, „ცნეს ესე აზნაურთა თანამყოლთა სარგისისათა, იელტოდეს და წარვიდეს ყანს წინაშე და მოაქსენეს აბალა ნოინს რათა მან... მოაქსენოს ყაენს აბალას და სთხოვოს სარგის“-ის განთავისუფლებინება (ქაძაძე, \*849, გვ. 694-95).

ყოველ „პატრონის“ მიწაზე, მამულში მყოფ ყმებს „მამულის კაცნი“ ეწოდებოდა (აბუხერიძე ტბელი, ქ-ები, II, 120<sub>27</sub>). ყველა „მამულის კაცი“ უფლებრივი მდგომარეობისა და განურჩევლად მოვალენი იყვნენ თუ არა „პატრონს“ ბრძოლის დროს გვერდში ამოსდგომოდნენ და მისი „თანამყოლნი“ ყოფილიყვნენ, ამის თქმა ცნობების უქონლობის გამო ჭერ არ შეიძლება. მაგრამ „შეწყალებულ“ ყმას კი „ერთგული სამსახური“ აუცილებელ მოვალეობად ჰქონდა. როდესაც მას „პატრონი“ უბოძებდა რასმე „წყალობის წიგნში“-აც კი საგანგებოდ აღნიშნული იყო ხოლმე: „გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულობასა“, ანუ „ერთგულად სამსახურსა შინა“-ო. თამარ მეფის დროინდელს შიომღვიმის მონასტრის ერთს მიცემულს სიმტიციის წიგნში, რომელშიაც მონასტრის კრებული ტოხაძეს. „სამამულოდ და მკვდრად“ წყალობას ანიჭებს, მაგალითად, ნათქვამია: „აწ გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ტოხაძეთა... და ყოველთა ძმათა და შვილთა და მომავალთა... უკუნითი უკუნისამდე ერთგულობასა შინა ამის [უდაბ]-ნოჯსა“-საო („შიომღ. ისტ. საბ., 24<sub>21-23</sub>). ამგვარადვე კათალიკოზ მიქაელის წყალობის წიგნში წერია: მოგეცით სამამულოდ შენ ვაჩე გუარამას ძესა, ჩუენსა მსახურთ-უხუცესსა, შვილთა და მომავალთა შენთა კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი ორომაშენი“-ო (ს. კაკ., XIII ს. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები, 5<sub>11-14</sub>). იმავე საბუთში, თავის დამტკიცებაში არსენი ამბობს: „ქართლისა კათალიკოზს მიქაელს გუარამას ძე ვაჩე შეუწყალე ბიად... სოფელი ორომაშენი მისთვის სამამულედ და საყდრის სამსახუროდ უბოძებია“-ო (იქვე, 6<sub>18-21</sub>).

ვინც უფრო მეტს გულმოდგინებასა და ერთგულებას იჩენდა, ის შესაფერისადაც „შეწყალებული“ იქნებოდა: თუ ჭერ არავითარი ჭილდო მიღებულ იქნა არა ჰქონდა, „ახლად დალოცვითა“, ხოლო თუ უკვე „დალოცვილი“ იყო, მოხელობა, ან სხვა რაზე მისანდობლობა ჰქონდა, მაშინ მხოლოდ წყალობის „მომატებითა“. თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით, მაგალითად, საქართველოს დიდებულმა გვირგვინოსანმა თავისი ერთგული ყმები „შეიწყალნეს თუთუღა თუსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა და რომელნიმე მომატებითა“ (ისტ-რნი და ანმ-ნი, \*657, გვ. 444). როდესაც თამარ მეფემ უბოძა „ამირსპასალარობა ზაქარაის ნგარგრძელსა“, მას „პატრონსა ლორისასა მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი“. ხოლო ამავე დროს „ვიაბერსა მანდატურ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს შინოანი ქალაქი და ციხე“ და სხვა (იქვე).

მიფენილი წყალობისა და მიხედვით ყმა შეიძლებოდა ან მარტივად „შეწყალებული“ ყოფილიყო, ან „აღმატებით შეწყალებული“ (იქვე, \*649, გვ. 435).

ზემონათქვამის შემდგომ, მაშასადამე, ცხადია, რომ „ყმათა“ ხელში საკუთარ მამა-პაპეულს გარდა 1) „საპატიო“ ქვეყანა და მიწები იყო, თუ რომ მას „პატრონთაგან“ რაიმე „მისანდობლობა“ ჰქონდა ჩაბარებული და მოხელედ იყო დადგენილი; 2) „მსახურებისა ნაცულად“ შიღებულნი ან „მამულობით“, ან „სახარაჯოდ“ ნაბოძები და ნაწყალობევი ციხე-ქალაქ-სოფლები და მიწები, თუ რომ მას განსაკუთრებული გულმოდგინეობა გამოჩენილი ჰქონდა „ყმებრივ“ სამსახურში.

„საპატიო“ ქონება პირადი თვისებისა უნდა ყოფილიყო და ერთგული ყმის ხელში მხოლოდ იმ დრომდე იქნებოდა, სანამ მას მოხელეობა ებარა.

რაკი „საპატიო“ ქონების მფლობელობა მოხელის „დიდება“-ზე იყო დამოკიდებული, ამიტომ ვგონებ ამ „საპატიო ქონება“-ს აგრეთვე „დიდება“ ული ქონება“ ეწოდება. როდესაც გაფიცულმა დიდგვარიანმა მოხელეებმა თამარ მეფეს წინადადება მისცეს, „აწვიეს მოღებად ყოვლისა დიდებულისა ქონებისა და სიმდიდრისა“, ამირსპასალარს ყუბასარს მთელი „დიდება ული ქონება და სიმდიდრე“ ჩამოართვიო, თამარმა ეს მთლად არ შეიწყნარაო (ისტორი და აზმნი, \*628, გვ. 406).

„ნაწყალობევი“ ქონებისა და ყმის იურიდიული ბუნება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სახელდობრ რა პირობით იყო ხოლმე იმთავითვე ნაბოძები: „მამულობით“, ანუ სამემკვიდრეოდ, თუ მხოლოდ პირადად, ან კიდევ მარტო „სახარაჯოდ“.

„მამულობით“ ნაბოძები აგრეთვე „სამამულოდ“ მიბოძებულად იწოდებოდა. თამარ მეფის დროინდელს შიომღვიმის მონასტრის მიერ მიცემულს სიმტიციის წიგნში, მაგ., ნათქვამია: „ჩუენ მღვმისა ლავრისა კრებულმან... სამწირველომ... მოგეცით და მოგაქსენეთ სამამულოდ და მკვდრად“-ო (შიომღ. მონ. ისტ. საბ., 242, 6-7). ხოლო იმავე საბუთში ქვემოთ, იქ სადაც ამ მიბოძებას თანამედროვე და თანადამხუდარნი ამტკიცებენ, ამავე საგანზე წერია: „მამათა და ძმათა ამის უდაბნოხსათა ტუხამსძისადა და ყოველთა მომავალთა მათთა და კუირიკე კახთა მეფისა სამწირველოი მკუიღრად და მამულობით უბოძებია“-ო (იქვე, 259-11). მაშასადამე, ერთსა და იმავე საბუთში, ერთსა და იმავე დროს „სამამულოდ“-აც იხმარებოდა და „მამულობით“-აც. ამ ორ ტერმინს სრულებით ერთი და იგივე, თანასწორი მნიშვნელობა ჰქონია.

ტერმინი „სამამულოდ“ შემდეგ დროინდელს საბუთებსა და ძეგლებშიაც ჩვეულებრივად იხმარებოდა. მაგ., XIII საუკ. პირველი ნახევრის მიქაელ კათალიკოზის ერთს „შეწყალების წიგნში“ წერია: „ვისმინეთ აჯა თქუენი და მოგეცით სამამულოდ შენ ვაჩე გუარამამს ძესა, ჩუენსა მსახურთა უხუცესსა, შვილთა და მომავალთა შენთა... სოფელი ორთმაშენი“-ო (ს. კაკაბაძე, XIII საუკ. პირვ. ნახევრის საქართველოს კათალ., 511-14). ქართველ ჟამთააღმწერელსაც აღნიშნული აქვს, რომ სამაგალითო თავგანწირულების დასაჯილდოვებლად „დაიპაღლა მეფემან ეზომ რომელ ქვაბულიანი თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა

შავშეთს სიგლითა სამამულოდ მიუბოძა“-ო (ქამთაღ., \*837, გვ. 683).

როდესაც „შეწყალებულ“ ყმას ნაწყალობევი „მამულობ“-ით ანუ „სამამულ“-ოდ ნაბოძები ჰქონდა, მის შემკვიდრებესაც უფლება ენიჭებოდათ ნაწყალობევი დაემკვიდრებიათ და ესარგებლათ.

ამიტომაც იყო, რომ „მამულობით“ ანუ „სამამულოდ“ ნაწყალობევი ამასთანავე „მკვდრად და ნებიერობით“ ნაბოძებადაც იწოდებოდა. ატენის „სიონის“ 1060—1068 წ. კედლის წარწერაში, მაგ., ნათქვამია: რაკი ბაგრატ მეფის მიერ მინდობილი საქმე ატენში ქალაქის აშენების შესახებ პირნათლად ავასრულებთ, „შეგკწყალნა მეფობამან მათმან: სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკვდრად, ნებიერობით გვბოძა მირიანს და ყმათა მისთა“-ო (იხ. ჩემი „К вопросу о врем. постр. груз. храма в Атени“. ХВ, т. I, вып. III, გვ. 286—8). ჩვენამდის ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა, XIII საუკ. პირველი ნახევრის „წყალობის წიგნმა“ მოაღწია და ისიც ეკლესიის მიერ არის ნაბოძები. თუმცა სრულიად არა, მაგრამ დაახლოვებით მაინც ამ საბუთის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი წესი ყოფილა „შეწყალების“ და „წყალობის“ მიფენის დროს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, დიდი ომებისა და ლაშქრობის შემდგომ, ან საგანგებო, არაჩვეულებრივი სამსახურის დასაჯილდოვებლად თვით „პატრონი“ თავის წადილით უბოძებდა ხოლმე „წყალობა“-ს. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი „შეწყალება“ ჩვეულებრივ ერთგული და მსახურეული ყმის „აჯისა და მოხსენების“ შედეგი იყო ხოლმე, „აჯა და მოხსენება“ წინ უძღოდა, რომ „პატრონს“ დამსახურებული, ან გაჭირვებული ყმა „შეეწყალა“. აი, მაგ., რას ამბობს თავის წყალობის წიგნში კათალიკოზი მიქაელ: „ოდეს პირველ ხუარაზმელთაგან და მერმე თათართაგან მოოჯრდეს ესე სამეფო და ზოგნი ქუეყანანი და სოფელნი დიდადრე მოოჯრდეს და შენ და შენნი ძმანი დიდსა უგემურობასა შინა იყუენით, ამისთუის რამეთუ რანიცა მამულნი გქონდეს, იგინიცა ამოწყუეტილნი იყუნეს და მითოდენ ვერ დარჩებოდით... და ამისითა მიზეზითა გუეაჯენით... ვითამცა შეგუეწყალენით შენ ვაჩე გურამის ძე და საყდრისა სამსახუროდ, სამამულოდ სარჩომი გაგუეჩინა... ვისმინეთ აჯა თქუენი და მოგეციოთ სამამულოდ შენ ვაჩე გურამის ძესა, ჩუენსა მსახურთ-უხუეცესა, შვილთა და მომავალთა შენთა კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი ორომაშენი“-ო (ს. კაკაბაძე, XIII საუკ. პირვ. ნახ. საქართველოს კათალიკოზები, 54-14).

მაშასადამე, ჯერ ჩვეულებრივ ყმას „აჯა და მოხსენება“ უნდა წარედგინა თავისი „პატრონისა“-თვის, ხოლო შემდეგ, თუ პატრონი „ისმენდა“ ამ აჯას შეწყალების შესახებ, ყმას ებოძებოდა ხოლმე ნაწყალობევი და ის უკვე „შეწყალებული“ იყო. როგორც აღნიშნული გვქონდა, „შეწყალება“ სხვადასხვა სახითა და პირობით შეიძლებოდა, მაგრამ ყოველთვის და ყველა

„შეწყალებულ“ ყმას აუცილებლად „ერთგულება“ და „სამსახური“, ანუ უკეთ რომ ვთქვათ „ერთგული სამსახური“ კი ეთხოვებოდა: ეს თვით „წყალობის წიგნ“-შიც მუდამ საგანგებოდ აღნიშნული იყო კიდევ.

როდესაც ნაწყალობევი მარტო პირადად კი არ ებოძებოდა, არამედ საშვილიშვილოდაც სახმარებლად, მაშინ, როგორც ზემომოყვანილი ცნობებითგანაც ჩანს, წყალობის წიგნში ეს გარემოებაც განსაუთრებით დასახელებული იყო ხოლმე და იწერებოდა, რომ „შეწყალებულ“-ს ნაბოძები აქვს „მკვდრად და ნებიერობით“, ანარა და „სამამულოდ“, „მამულობით“. X—XIII სს-ის დროინდელი „წყალობის წიგნები“ რომ შენახულიყო, იქნებ იქაც ეს ტერმინები ერთად ყოფილიყო დასახელებული, როგორადაც ერთად და განუყრელად გვხვდებიან XIV—XV სს-ის წიგნებში, სადაც ჩვეულებრივ წერია: „მკუილრად, სამამულოდ და შეძულებით“-ო და სხვა.

ხოლო როდესაც „ნაწყალობევი“ შეწყალებულ ყმას „მამულობით“ კი არა, არამედ მხოლოდ პირადად „შეწყალებულ“-ს ჰქონდა ნაბოძები, მაშინ რასაკვირველია მემკვიდრეებს ამ ნაწყალობევეთან ხელი არა ჰქონდათ და ისევე „პატრონსა“ უბრუნდებოდა უკან. ამ შემთხვევაში ქონება „შეწყალებულს“ არამც თუ „მამულობით“ არ ჰქონდა მიცემული, არამედ არც „ნებიერობით“ შეეძლო ფლობა იმიტომ, რომ განთვისების უფლება მას არა ჰქონდა. მაშასადამე, აქ მხოლოდ მფლობელობისა და სარგებლობის უფლება იყო და არა საკუთრება.

„საპატიო“ და „ნაწყალობევი“ ქონებათა იურადიული თავისუფლება ზოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც ეტყობა, იცვლებოდა ხოლმე: „საპატიო“ ქონება მოხელეობის ჩამორთმევისა და მიუხედავად ხელმწიფის წყალობით მთლად არ წაერთმეოდა ხოლმე, პირადად ნაწყალობევისგან მეფეს მემკვიდრეებისათვისაც ზოგი რამე შეეძლო დაეტოვებინა, მაგ., როდესაც ამირსპასალარ ყუბასარს დიდგვარიან მოხელეთა გაფიცვის გამო თამარ მეფემ ვაზრობა წაართვა, მინც რაკი მას მართლაც განსაუთრებული ღვაწლი და „სამსახური“ მიუძღოდა თამარის მამის გიორგი III-ის წინაშე, თამარმა „მოიხსენა“ ყუბასარის ეს „სამსახური“ და „თუ ინიერ ქელის უფლობისა და ლორესაგან კიდე არა რა დააკლო“-ო (ისტორი და აზმნი, \*628, გვ. 406). ლორე სხვათა შორის ამირსპასალარის „საპატიო“ ქონებას ეკუთვნოდა. რაკი ყუბასარს ამირსპასალარობა ჩამოერთვა, ამიტომ ლორეც წაერთვა. მაგრამ დანარჩენი „დიდებული ქონება“ კი თამარ მეფეს წინანდებურად ყუბასარის ხელში დაუტოვებია. თავისდათავად ცხადია, რომ რაც ამის გამონისობით „საპატიო“ ქონებას მოაკლდებოდა, სხვა შესაფერი მამულების მიმატებით იქნებოდა ანაზღაურებული.

ამნაირადვე, როდესაც „მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი“, მამის დიდი ღვაწლის გამო, თამარ მეფის ბრძანებით „თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა“-ო (იქვე, \*657, გვ. 444). ცხადია, აქ ან „საპატიო“, ან ისეთ „ნაწყალობევი“ ქონებაზეა საუბარი, რომელიც „მამულობით“ და „ნებიერობით“ არ ყოფილა ნაბოძები. მეფეს იმის მაგიერ, რომ შვილებისათვის ჩამოერთმია, თმოგვის გარდა დანარჩენი ყველაფერი შვილებისათვისაც უწყალობებია. ამ გვარად თანდათანობით ზოგჯერ

(თუმცა უფრო იშვიათად) „საპატრიო“ და ხშირად „ნაწილობრივი“ ქონება დროთა განმავლობაში „სამკვდროდ“ და „სამამულოდ“, ე. ი. თითქმის მემკვიდრეობით საკუთრებად ხდებოდა. მაგრამ ეს კია, რომ, როგორც მერმინდელი სიგელებითგანაც ცხადად ჩანს, არც იმთავითვე „მამულობით“ და „ნებიერობით“ ნაწყალობევი, არც დროთა განმავლობაში „სამამულოდ“ ქცეული მაინცადამაინც „შეწყალებული“ და მისი შთამომავლობის სრულ საკუთრებად არ ითვლებოდა. ამგვარი ქონების განთვისების—გაყიდვის, თუ გაცვლის, ან შეწირვის—უფლება პირადად ხელმწიფის საგანგებო ნებისდაურთველად არა ჰქონდათ და მხოლოდ „პატრონის“ „კითხვითა“ და „ნება დართვითა“ შეეძლოთ შეეწირათ, გაეყიდათ, ან გაეცვალათ, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება შეურყევლად ამტკიცებს, რომ მამულობით „ნაწყალობევი“ ქონების უზენაეს მესაკუთრედ ბოლოს და ბოლოს მხოლოდ მწყალობელი „პატრონი“ ითვლებოდა და არა „შეწყალებული“.

რაკი ჩვენ უკვე შეძლებისამებრ შესწავლილი გვაქვს, თუ რა და რა ყმობა არსებობდა საქართველოში, რა ნიადაგზე და როგორ იყო თვითოეული მათგანი აღმოცენებული, ახლა ურიგო არ იქმნება თვალი გადავავლოთ ქართულ „პატრონყმობა“-სა და მის უმთავრეს დამახასიათებელ საზოგადო თვისებებს, რომ შემდეგ ქართული პატრონყმობა სხვა ქვეყნების მსგავსავე დაწესებულებას შეეადაროთ.

უკვე გამორკვეულია, რომ ყმა ან „ნასყიდი“ იყო ხოლმე, ან „ნებიერი“, ან „შეწირული“, ან არადა „ნაწყალობევი“. ზემომოყვანილს დაწვრილებით განხილვაში მხოლოდ „მკვიდრი ყმა“ არ არის მოხსენებული, იმიტომ რომ იმ დროინდელს საბუთებში, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევია, ეს ტერმინი არა გვხვდება. ეს გარემოება რასაკვირველია იმის საბუთად ვერ გამოდგება, ვითომც მაშინ „მკვდრი ყმა“ საქართველოში არ ყოფილყო. აქ სულ სხვა მიზეზია. „მკვდრი“ ყმობა ყმობის განსაკუთრებული სახე არა ყოფილა, არამედ „მკვდრ“ ყმად ისეთი ყმა ითვლებოდა, რომელიც პატრონს თვითონ კი არ შეუძენია, ან პირველად მას კი არ ჰყმობია, ან არა და პირველად მისთვის კი არ უწყალობნიათ, არამედ მის წინაპრებს, მას კი ეს ყმა მხოლოდ მემკვიდრეობით ჰრგებია. ხოლო რაკი საგვარეულო მემკვიდრეობის ეკლესიისათვის შეწირვა მოგვარეთა დაუკითხავად არ შეიძლებოდა და „სულის საოხად“-აც უეჭველად პირადად შეძენილის შეწირვა ითვლებოდა საუკეთესოდ, ამიტომაც არის, რომ იმ საბუთებში,—მონასტრისადმი შეწირულების სიგელებში,—რომელთაც იმ დროითგან ჩვენამდის მოაღწიეს, „მკვდრი ყმა“ მოხსენებული არ არის. რაკი „მკვდრი“ ყმობა პატრონყმობის განსაკუთრებულ სახეს არც შეადგენდა, ამიტომ არც აქ არის საჭირო ყველა იმ ცნობის მოყვანა, რომელიც კი ამის შესახებ მერმინდელს წყაროებში მოიპოვება, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი თავის დროზე და შესაფერისად ადგილას დაწვრილებით იქნება განხილული.



თუ ჩვენ ყმათა ზემოჩამოთვლილი ჯგუფების თვისებას დაეკვირდებით, ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა და „ნასყიდი ყმა“ პატრონის კერძო მეურნეობისა და გამჭირახობის ნაყოფი იყო. ამგვარი ყმის შექმნა პატრონის ქონებრივ ძალასა და ხერხიანობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც არის, რომ ნასყიდობაზე აღმოცენებული ყმობა უფრო კერძოუფლებრივისა და კერძომეურნეობითი ხასიათის მოვლენად გვეჩვენება.

სულ სხვა თვისება ჰქონდა „ნებიერ“ ყმობას, როდესაც ადამიანი თავის ნებით ეყმობოდა ვისმე და „პატრონ“-ად აირჩევა, მფარველს გაიჩენდა. რასაკვირველია ხშირად აქაც სრული „ნებიერობა არ იყო ხოლმე, არამედ ქონებრივი გაჭირვება და ძლიერა კაცის მფარველობის საჭიროება აიძულებდა მას თავისთვის „პატრონი“ მოეძებნა და ჰყმობოდა. მაგრამ მაინც ცხადია, აქ უკვე საზოგადო-უფლებრივი მოვლენა იყო. „ნებიერი“ ყმა ამასთანავე პატრონყმობის პირობების დამდებიც იყო და ამის გამო „ნებიერ“ ყმობას ქართული პატრონყმობის შემოქმედებაში რასაკვირველია თვალსაჩინო მონაწილეობა ექნებოდა მიღებულ: საფიქრებელია, რომ ბოლოსდაბოლოს ალბათ „ნებიერი“ ყმობის ერთგვარი და საზოგადო სახე უნდა შემუშავებულიყო და საპატრონყმო უფლება-მოვალეობათა გარკვეული სამაგალითო წესი შექმნილიყო. „ნებიერი“ ყმობა იმგვარადვე, როგორც „ნასყიდი“ ყმობა, შეიძლებოდა სამეფო და საუფლისწულო უწყებებშიც ყოფილიყო, კერძო მესაკუთრეებსაც ჰყოლოდათ ამგვარი ყმები და ეკლესიასაც.

პირიქით „შეწირული“ ყმების „პატრონ“-ად მხოლოდ ეკლესია და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი იყვნენ. ეს გარემოება ეკლესიას და მონასტრებს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა და მრავალრიცხოვან ყმათა და დიდძალი ქონების პატრონად ხდიდა. რაკი „შეწირული“ ყმები „სულთა საოხად“ და „საალაპედ“ იყვნენ განკუთვნილნი, ამიტომ შემწირველნი ცდილობდნენ ისეთის ეკლესიისა და მონასტრისათვის მიეცათ თავიანთი შეწირულობა, რომელიც ან სასწაულთმოქმედი ხატით, ან მონაზონთა წმიდა ცხოვრებით იყო განთქმული. სწორედ ამის გამო იყო, რომ რაც უფრო სახელი მოხვეჭილი ჰქონდა ამა თუ იმ ეკლესიას ან მონასტრს, მით უფრო დაუფრო მეტს შეწირულობასა, მიწებსა და „შეწირულ ყმებს“ იზიდავდა და მდიდრდებოდა. ამ „შეწირულობის“ წყალობით ქართული ეკლესია ერმრავალ და ძლიერ „პატრონ“-ად იქცა, მონასტრები და განთქმული საერო ეკლესიები დიდ მესაკუთრეებად გახდნენ. „ნებიერ“ ყმობასავით განსაკუთრებული მნიშვნელობა პატრონყმობის წესწყობილების შემუშავებისა და დამკვიდრებისათვის საქართველოში „შეწყალება“-სა და „შეწყალებული“-ბას ჰქონდა. ამგვარი ყმობა „ნასყიდი“ ყმობისაგანაც და ნებიერობისაგანაც არსებითად განსხვავდებოდა. ამასთანავე აქ შეწყალებული „ყმების“ მოვალეობად „ერთგულება“ და „სამსახური“ გარკვევით და საგანგებოდ იყო ხოლმე აღნიშნული თვით „წყალობის სიგელ“-შივე. მწყალობელი „პატრონი“ „შეწყალებული“ ყმისაგან ქონებრივ უამორჩენასა და სარგებლობას კი არ ელოდა, საყმო გადასახადებს კი არ სთხოვდა, არამედ „ერთგულად სამსახურს“. დაჯილდოვებულს ეს თვისება და მოვალეობა ან უკვე გამოჩენილი ჰქონდა და ამის „ნაცვლად“ იყო „შეწყალებული“, ან „ახლად“ და-

ილოცებოდა ხოლმე, რომ მომავალში თავისი „ერთგულება“ და „სამსახური“ დაემტკიცებინა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში პატრონყმური დამოკიდებულება სულ სხვა საფუძველზეა დამყარებული. ამისთანა ყმობაც არაფერს სათაკილოსა და დამამცირებელს არ შეიცავს, როგორც დამამცირებელი იყო ნაყიდი ყმობა, ჭერეთი, იმიტომ რომ „შეწყალებული“ პატრონის სასარგებლოდ არავითარს „გამოსაღებელს“-ს არ იხდიდა და მართო „ერთგულება“ და „სამსახური“ ეღვა ვალად. ამას გარდა იმიტომაც, რომ „შეწყალებული“ თვით იყო ხოლმე „შეწყალებისა“ და ყმობის მოაჯე. მაშასადამე, თვით მისი ნებით ნაკისრები მოვალეობა ეღვა. ამ მხრივ „შეწყალებული“ ცოტა არ იყოს „ნებიერ“ ყმას მიაგავდა.

„შეწყალება“ მიღებული იყო როგორც მეფე-პატრონსა და ყმა-ქვეშევრდომთა შორის, ისე ქართული საზოგადოებრივი ყველა წრის წარმომადგენელთა შორისაც, როდესაც ყოველი უმაღლესის წრის წევრი, ან დაწესებულება შეიძლებოდა შემწყალებელი „პატრონი“ ყოფილიყო უფრო დაბლა მდგომი „მოაჯე“ ყმისა.

მაგრამ „შეწყალება“-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს სამეფოს მაღალ და გავლენიან მოხელეთათვის ჰქონდა. მართო „საპატიო“ მამულებიც ყოველ მოხელეს იმ დროს უკვე ქონებრივადაც შეძლებულად ხდიდა. ხოლო რაკი მეფისათვის სწორედ ხელისუფალთა ერთგულ სამსახურს ჰქონდა ფასი, ამიტომ მეფეს ყველაზე მეტად „შეწყალება“ თავისი დიდი ხელისუფლებისათვის უნდა ებოძებინა. სწორედ ასეც ხდებოდა და მეფის მიერ „შეწყალებული“ განსაკუთრებით დიდი ხელისუფალნი და მოწინავე, გავლენიანი წრეების წევრნი იყვნენ: „წყალობის“ უუდიდესი ნაწილი მათ ხედებოდათ.

რაც უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა საქართველო და მისი სახელმწიფოებრივი საზღვრები ახლად შემოერთებულის ვრცელი ქვეყნების წყალობით გასაოცარის სისწრაფით ფართოვდებოდა, საქართველოს დიდებულ ხელისუფალთა და მმართველი წრეების ქონებრივი ავლადიღებაც შეუჩერებლივ იზრდებოდა და მატულობდა. მართო ნადავლით და ნატყუენავით კი არ აიხსნება ეს გამდიდრება: ამ წყაროს მხოლოდ დროებითი და ამასთანავე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა,—არა, ყოველი ძლევამოსილი ლაშქრობა, რომლის შემდგომაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს ახალი ქვეყნები შეემატებოდა ხოლმე, ან ყოველი სამხედრო მოქმედების შემდგომ. როდესაც მებრძოლთა მეთაურნი სამეფოს დიდს ღვაწლს დასდებდენ, ხელისუფლებს „მსახურებისა ნაცვლად“ და კვლავ „ერთგულ სამსახურის“ განსაცხოველებლად „შეწყალება“-ის სახით ან „საკუთრად“, ან „სანახევროდ“ „სახარაჯო“ ქალაქები, ციხეები და მთელი სანახების სოფლებიც კი ებოძებოდათ ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ ომს და სალაშქრო საქმეს მაშინ ასეთი ძლიერი მიმზიდველობა ჰქონდა!

„შეწყალება“-მ განსაკუთრებით მორჩილ გვარიან ხელისუფლების განმაცვიფრებელს გაძლიერებას შეუწყო ხელი. დავით აღმაშენებლისა და განსაკუთრებით თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებიდან ჩანს, რომ

XII საუკუნეში, მეტადრე გიორგი III და მის დიდებული გვირგვინოსანი ასულის დროს, „შეწყალება“-მ დიდებულ და „შეწყალებულ“ ხელისუფალთა და მმართველ წრეებს უზარმაზარი უძრავი ქონება ჩაუგდო ხელში, საარაკო სიმდიდრე შესძინა და მრავალი ყმის მფლობელად და „პატრონ“-ად განაღდა.

როგორც შემდეგში გამორკვეული იქმნება (იხ. აქვე, თავი „ბრძოლა აზნაურთა და საქართველოს მეფეებს შორის“), საქართველოს მეფეების დაუცხრომელი წადილი ის იყო, რომ დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა ურჩობა და ქედდუცხელობა აელაგმათ, იმიტომ, რომ თავიანთი სურვილი განხორციელებინათ, ისინი დიდგვარიანი მოხელეების მაგიერ უგვარო ჩამომავლობის, მაგრამ ერთგულს პირებს ჰნიშნავდნენ ხოლმე. დიდგვარიანი მოხელეები, ვითარცა მრავალი ყმის მფლობელნი, მეფეებს მდგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და ამიტომ საშიშარი მეტოქეები იყვნენ. უგვარო მოხელეებს კი არც ამგვარი კავშირი ჰქონდათ ადგილობრივ და არც ყმებით ჰქონდათ ზურგი მაგარი. ისინი საშიშარნი არ იყვნენ და მათთვისაც მეფისადმი ერთგულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოს მეფეთა ხელში „შეწყალების“ წესი დიადი და ძლიერი იარაღი იყო მათი პოლიტიკის განსახორციელებლად. ვინც მათი „ერთგული მსახური“, მათ წადიერებათა და ბრძანებათა „მოსწრაფედ“ აღმასრულებელი გამოდგებოდა, უფრო „შეწყალებული“-ც იქმნებოდა. „შეწყალებით“ მეფეთავე ერთგულთ ზურგს უმაგრებდა, ეკონომიურად აღონიერებდა, „ყმათა“ რიცხვს უმრავლებდა. ამნაირად თანდათან დიდგვარიან მოხელეთა გვერდით მსახურეული „შეწყალებულთა“ ჯგუფი უნდა გაჩენილიყო, რომელიც მართოდ დიდგვარიანობას და „მემამულე“ აზნაურობას იყო მოკლებული, მაგრამ რომელთა წევრნი ქონებრივად ძლიერნი იყვნენ და მრავალი ნაწყალობევი ციხე-ქალაქ-სოფლების „პატრონებად“ იყვნენ აღზეებულნი.

მხოლოდ „შეწყალების“ წესი ამასთანავე ძირს უთხრიდა თვით იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა ეგოდენი ძალა შეაღიეს. „შეწყალება“ მოხელეს თუნდაც „უგვაროს“ და „უაზნოს“ ისევ თანდათანობით ქონებრივად ძლიერ და მრავალ „ყმათა“ პატრონად ხდიდა. მის ხელში დიდძალი სიმდიდრე გროვდებოდა. ამასთანავე ხელისუფლობის წყალობით მას დიდი პოლიტიკური გავლენაც ჰქონდა. მის მემკვიდრეებს თავიანთი „უაზნობა“ ადვილად ავიწყდებოდათ და ისინიც მსხვილ მემამულეებად ხდებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში მათაც ქედმაღლობა ბუნებრივად უჩნდებოდათ.

უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ყმათა შეზღუდვილ უფლებებზე მდგომარეობას თვით მათი სახელიც ნათელჰყოფდა. ზემოთქმულითგან ცხადია, რომ ეს შეზღუდვილობაც ყმათა თვითოეულ ჯგუფთაგანს სხვადასხვაგვარი ექმნებოდა: ზოგს მეტი, ზოგს კიდევ ნაკლები. სამწუხაროდ მასალები საშუალებას არ გვაძლევენ ეს საკითხი ცოტადენად მაინც გამოვარკვიოთ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ ყველას არა, ზოგიერთ ყმას მაინც „პატრონის“ ანუ „უფლის“

ნებადაურთველად მონაზონადაც კი აღკვეცა და შედგომა არ შეეძლო. ბასილ ზარზმელს იქ მოთხრობილი აქვს, რომ ერის კაცს, რომელიც „ძარღუას-სოფელი“-თგან ყოფილა და თანაც მალემსრბოლად ითვლებოდა თავის „უფალ“-თან, მონაზონად შედგომა მოუწადინებია და უჩუმრად თავისი სურვილი განუხორციელებია კიდევ. როდესაც ის ბერად გამოწყობილი თავის სოფელს სწევვია, იქ მისი ისევ გაერისკაცება უნდოდათ თურმე: „ენებამ კულად ერისაგან ყოფამ“. ხოლო რაკი ნებაყოფლობით ვერ დაიმორჩილეს, მის პატრონს შეატყობინეს: „უთხრეს ესე უფალსა მისსა რამეთუ იყო კაცი იგი სახმარ და მსრბოლ გზათა შორთა“-ო (ც-ა სპ-ნ ზრზ-მლსა, 383-6). ბერად შემდგარი მაშინ კი გაიქცა თავისი სოფლითგან და თუმცა მის „უფლის“ ბრძანებით მას „დევნა უყვეს უკანა მისსა“, რომ დაეკირათ და პატრონთან დაებრუნებინათ, მაგრამ მან დაასწრო „შევიდა კაცი იგი მონასტრად და მდევარნიცა იგი უკანა მისსა“. მხოლოდ იმ დროს, როდესაც მათ „ენებამ რათა შეიპყრან“, მან თავისი „ხელთ-სახოცელი“ ეკლესიაში შეაგდო და ამის შემდგომ მდევართ მისი დაჭერის უფლება აღარ ჰქონდათ და ხელს ვერ შეახებდენ (იქვე 3810-16). საფიქრებელია, რომ უფლება ასე შეზღუდვილი განსაკუთრებით ნასყიდის ყმებს უნდა ჰქონოდათ, თუმცა სრულებით დაუკითხავად ბერად შედგომისათვის ეგების არც ნაწყალობევე, შეწირულ და ვადამდე არც ნებიერ ყმებს ჰქონოდათ უფლება.

ზემონათქვამს შემდგომ ქართული პატრონყმობის დამახასიათებელ და არსებით თვისებათა მოკლედ აღნუსხვაც შეიძლება. პატრონყმობა მთელს ძველ საქართველოს ნიშანდობლივ ელფერს აძლევდა: იგი სუფევდა როგორც სოციალურს, ისე სახელმწიფო წესწყობილებაში. პატრონი მეფესაც ეწოდებოდა და ჩვეულებრივ მომაკვდავსაც, თუ მათ ყმები ჰყავდათ. ყმაც ქვეშევრდომსაც ნიშნავდა და პატრონთაღმი ყმებრივი სამსახურითა და ერთგულებით ვალდებულთაც, ჩვეულებრივ ყმებსაც. მეფის გარდა, რომელიც მხოლოდ პატრონი იყო და არავის ყმად არ ითვლებოდა, ყოველი პატრონი, რომელსაც ყმები ჰყავდა, შეიძლებოდა იმავე დროს თვითონაც სხვისი ყმა ყოფილიყო და ჩვეულებრივ იყო ზოლმე კიდევ ან მეფისა ან არა და დიდებულისა ან აზნაურის. მამასადამე, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თითქმის მთელი მაშინდელი საქართველო, მეფისაგან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე, პატრონყმობის უღელში იყო შებმული. პატრონყმობის დამახასიათებელს ნაწილს და დაწესებულებას „შეწყალება“ შეადგენდა და ყმა ჩვეულებრივ იმავე დროს „შეწყალებული“ იყო ზოლმე. პატრონყმური დამოკიდებულების ჩამოგდებას, როდესაც ყმობა ნასყიდობისა და შეუძლებლობითი მოვალეობისაგან არ წარმომდინარეობდა, არამედ ნებაყოფლობითი იყო და შეწყალებულ ყმობას კი ყოველთვის ყმობის მსურველის შესაფერისი აჭა და მოხსენება წინ უძღოდა. პატრონის თანხმობის შემდგომ შეწყალებული ყმა დაილოცებოდა ხოლმე, „წყალობა-ხელდასხმული“ უნდა ყოფილიყო. ყმის მოვალეობას პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება შეადგენდა, განსაკუთრებით ლაშქრობაში. ქონებრივი დამოკიდებულება

სხვადასხვაგვარი იყო ხოლმე, იმისდა მიხედვით თუ რა წესით იყო ყმა შეწყალებული, ან რა პირობა ჰქონდათ ერთმანერთში ნებაყოფლობით პატრონ-ყმათა დადებული. შეწყალებულობის არსებითს და მთავარს თვისებას ის საზოგადო და იმდროისათვის დამახასიათებელი დებულება შეადგენდა, რომ „მსახურებისა ნაცულად“ უძრავი ქონების ბოძება იყო წესად მიღებული. ქირში თუ ლხინში პატრონყმანი ერთი მეორეს უნდა მიჰმეველებოდენ. ომიანობის დროს საქართველოს მხედრობა და ჯარი რასაკვირველია ტომობრივად იყო დაყოფილი და ასევე იბრძოდა, მაგრამ ამას გარდა და იმავე დროს პატრონყმურადაც იყო დარაზმული, თვითვე პატრონს გარს ეხვივნენ მისი ყმები, რომელნიც პატრონთან ერთად იბრძოდენ. ყმები პატრონის თანამყოლნი იყვნენ და მასთან მკიდროდ დაკავშირებულნი უმკლავდებოდენ ხოლმე მტერს. ამიტომ ვინც უფრო ერმრავალი იყო, ის სხვებზე უფრო ძლიერად გრძნობდა თავის თავს.

ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს წესწყობილებას, ე. წ. ფეოდალიზმს. როგორც საქართველოში პატრონყმობა, ისე დასავლეთ ევროპაშიც ფეოდალური წესწყობილება სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების საზოგადო მოვლენა იყო, საერთო თვისება ჰქონდა. იქაც მაშინ ყველანი ფეოდალური დამოკიდებულებით იყვნენ დაკავშირებულნი. მაგ., საფრანგეთში უბრალო მდაბითგან დაწყებული თვით საფრანგეთის მეფემდი ყველანი საფეხურის მსგავსად ფეოდალიზმით ერთმანერთზე იყვნენ გადაბმულნი (A. Esmein. Cours d'histoire du droit français, I, გვ. 178).

დასავლეთ ევროპაშიაც პატრონყმობა წარმოსდგა ორგვარის დამოკიდებულებისაგან, რომელთაგან ერთი პირადი თვისებისა იყო და „ევასალობად“ (vassalité, die Vassalität) იწოდებოდა, რაც პირადს „ყმობას“ უდრის, მეორე კი ქონებრივი თვისებისა იყო ბენეფიციუმი (beneficium, le bénéfice, das Benefizialwesen) ერქვა, რაც მნიშვნელობითაცა და არსებითადაც ქართულს „შეწყალებას“ უდრის (A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია, I, 186; R. Schröder. Lehrbuch der deutschen Rechtsgeschichte, გვ. 156). საფრანგეთშიაცა და გერმანიაშიც ბენეფიციუმი ქართულ „შეწყალება“-სავით მარტო ჩვეულებრივ დასაჩუქრებას კი არ ეწოდებოდა, არამედ განსაკუთრებით პატრონის მიერ ყმისადმი უძრავი ქონების და მოხელეობის ბოძებას, რისთვისაც ყმას ვალად ედგა პატრონის ყმებრივი სამსახური და ერთგულება (A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია, 184—189; R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, 161—163 და H. Brunner. Deutsche Rechtsgeschichte, 1906, I, 308—309). ტერმინი „ბენეფიციუმი“ შემდეგში შეიცვალა სხვა ტერმინად, რომელსაც ლათინურად „feudum“: „ფეუდუმ“-ს ეძახდნენ. ეს სიტყვა სამხრეთ საფრანგეთითგან გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც და უკვე XI საუკუნიდან გერმანიაშიც იყო ცნობილი. სწორედ ამ ტერმინმა XIII საუკუნიდან მოყოლებული სრულებით განდევნა და მოსპო თავდაპირველი „ბენეფიციუმი“ (R. Schröder, გერმანული სამართლის ისტორია, 393—394).

ამ შედარებით ახალი ტერმინისაგან, რომელსაც ფრანგულად *le fief*, ხოლო გერმანულად *das Lehn* (ძველ ზემოდომიურად *Lehan, Lehen*) უდრის, წარმოდგა თვით ის სიტყვაც, რომელიც დასავლეთ ევროპის საპატრონეზმო წესწყობილების (ე. წ. ფეოდალიზმი *Feudalverfassung, das Lehnwesen, das Feudalwesen, la féodalite, le regime féodal, système féodal*) აღსანიშნავად იხმარება.

დასავლეთ ევროპაში პატრონს *dominus*, „დომინუსი“-ი (უფალი), ან უფრო იშვიათად *senior*, „სენიორ“-ი ეწოდებოდა, ხოლო ყმას *vassus, vassalus, homo, puer*, „ვასსუს“, „ვასსალუს“, „ჰომო“ (კაცი), „ჰუერ“ (ყრმა) ერქვა (*A. Esmein. ფრანგული სამართლის ისტორია, I, 186, 194; R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, 156, 157, 398 და 442*). იქ მტკიცედ შემუშავებული წესიც კი არსებობდა, რომელსაც საპატრონეზმო ხელშეკრულების დადების დროს მისდევდნ ხოლმე. ამ წესს გერმანიაში „ჰულდე“ (*die Hulde*) ერქვა. ჰულდეს წესით ყმობის მოწადინებულს პატრონი ხელს ჩამოართმევდა (*mannschaft, homagium, hominium, hulde thun*), ყმას უნდა ხელზე ეკოცნა და ერთგულებისა და მსახურების ფიცი დაედგა (*fidelitas, hulde schwören*). პატრონი თავის ყმად ნაფიცს შეწყალების ნიშანს აძლევდა, წყალობის მიხედვით, უფრო ხშირად ხმალს ან შუბს, ან საბუხარს, ან ქუდს, ან კვერთხს, ან უფრო იშვიათად ბეჭედსაც. როდესაც ყმა მთავრად ინიშნებოდა, მაშინ პატრონი მას დროშას აძლევდა ხოლმე (*R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, 398—399*).

საფრანგეთში საპატრონეზმო ხელშეკრულობა (ფრანგ. *le contrat féodal, hommage*; ლათ. *hominium, homagium*) შემდეგი წესით უნდა ყოფილიყო დადებული. ყმობის მიძიებელი ანუ „ვასსალი“ თავ-შიშველა და უხმლოდ პატრონს მუხლს მოუყრიდა ხოლმე, ხელების აპყრობით პატრონს შეჰფიცავდა, რომ ამიერითგან ის ფიცსა სდებს (*fidei datio*) თავის ახალს პატრონს ერთგულად ემსახუროს ყველა მისი მტრის წინააღმდეგ. მაშინ პატრონი მუხლმოყრილს ყმას წამოაყენებდა და პირში აკოცებდა, თანაც გამოაცხადებდა, რომ ისიც ამიერითგან მას კაცად (*homo*), ანუ ყმად სთვლიდა. მეტი სიმტკიცის გულისათვის ჩვეულებად შემოიღეს, რომ ზემოაღნიშნულ სიტყვიერ ფიცს გარდა ყმას პატრონისათვის სახარებაზედაც უნდა შეეფიცა ერთგულება. ამის შემდგომ პატრონს ყმა უნდა „შეეწყალა“, ე. ი. ყმისათვის გამომეტებული „წყალობის“ ნიშანი უნდა ებოძებინა. ჩვეულებრივ ეს ნიშანი სიმბოლური იყო და როგორც გერმანიაშიც პატრონს იარაღისა, ან სამოსელისა, ან სამოხელეო ნიშნის ჩუქებით უნდა გამოეხატა თავისი წყალობა (*A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია, I, 187—189*).

სამწუხაროდ საპატრონეზმო პირობისა და ხელშეკრულობის დადების წესრიგის შესახებ საქართველოში ჯერ ჩვენ ძველი ცნობები და აღწერილობა არ მოგვეპოვება, რომ დასავლეთ ევროპის ზემოაღნიშნული წესებისათვის დაწვრილებით შეგვედარებინა. მაგრამ ის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, რომელნიც აქა-იქ შენახული არიან, გვაფიქრებინებენ, რომ ქართული პატ-

რონყმობა ამ მხრივაც დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას მიემსგავსება. მაგ., შეწყალებული ყმა, როგორც უკვე დავრწმუნდით, საქართველოშიაც მოვალე იყო პატრონისათვის ერთგულება და სამსახური ყმებრი დაემტკიცებინა, პატრონს ლაშქრობაში მიშველებოდა. ამასთანავე ჩვენშიაც „შეწყალებული“ იმავე დროს „წყალობა-კელდასხმული“ იყო ხოლმე და საქართველოშიაც მოხლეობის ბოძებისა და წყალობის დროს მეფე „შეწყალებულს“ თავ-თავის შესაფერ ნიშანს უბოძებდა ხოლმე, ან არგანს და ბეჭედს ან სხვა რასმე. რაკი ჩვენშიაც ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს მათ სამოხელეო ღირსების ნიშნად სხვათა შორის დროშაც ჰქონდათ (იხ. მოხელეობა), ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ ნიშანსაც ერისთავებსა და ერისთავთ-ერისთავებს მეფე აძლევდა ხოლმე მისიანდობლობის წყალობის დროს. ამავე წიგნის უკანასკნელ ნაწილში თავის ადგილას აღნიშნული იქმნება, რომ საქართველოშიაც სამეფო მონასტრის ახლად არჩეულ მამასახლისს მეფის დარბაზში მიიყვანდნ და მეფე მას „არგანს მოახსენებდა“ და მონასტერს „შეპვედრებდა“. ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაშიც, მაგ. გერმანიაში, ეპისკოპოსებსა და მონასტრების წინამძღვრებს მეფეები ჯერ არგანს (*ferula, virga pastoralis*), შემდეგ ეპისკოპოსებს არგანს გარდა ბეჭედსაც, ხოლო ვორმისის კონკორდატის (1122 წ.) შემდგომ კი სკიპტრას უბოძებდნ ხოლმე (R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, 399). ზემონათქვამის შემდგომ ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძველ საქართველოშიაც არსებობდა მოხლეობისა და „წყალობის“ სიმბოლურად გადაცემა, ე. წ. „ინვესტიტურა“ (ლათ. *investitura*, გერმ. *die Investitur, Symvolische Inv.*, ფრანგ. *l'investiture*). ცნობების უქონლობის გამო ჩვენ ჯერ დანამდვილებით ვერ ვიტყვით ნიშანდობლივ იარაღის ყმისათვის ბოძება პატრონის მიერ საერთო ჩვეულება იყო „შეწყალების“ დროს საქართველოში, თუ მხოლოდ ზოგიერთს, განსაკუთრებულ შემთხვევაში იცოდნ.

რაკი მასალები ჯერჯერობით მაინც მთლიან სურათს არ გვიხატავენ და ცნობები ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის შენახული სხვადასხვა წყაროებში, ამიტომ ქართული „შეწყალებულობის“ მთლიანი სურათის აღდგენაც შეუძლებელია და ამის გამო ვერც იმის თქმა შეიძლება, თუ რამდენად ზედმიწევნით მიაგავდა დასავლეთ ევროპის შესატყვისს მოვლენას (ინვესტიტურის წესს). ცხადია მხოლოდ, რომ ტერმინი „წყალობა-კელდასხმული“ გვაფიქრებინებს, რომ საქართველოშიაც „შეწყალების“ მტკიცე და საჯარო წესი უნდა ყოფილიყო შემუშავებული. ისიც ვიცით, რომ საქართველოშიაც „შეწყალებულს“ ყმას დარბაზობის წესი „თავყანება“-ს ავალებდა.

როგორც საქართველოში „შეწყალება“ და „ნაწყალობევი“ ქონება შეიძლებოდა მკვიდრად ყოფილიყო და პატრონის ნებართვით მემკვიდრეებზეც გადასულიყო და თანდათან თითქმის მამულად ქცეულიყო, ისე დასავლეთ ევროპაშიც, მაგ. საფრანგეთსა და გერმანიაში, „ფეოდს“ თანდათან მემკვიდრეობითი საკუთრებისა და თითქმის მამულის თვისება მიენიჭა, ფეოდი უკვე ჩვეულებრივ სამამულოდ გაიცემოდა ხოლმე. გერმანიაში ფეოდის მემკვიდრეობით გადასვლა შთამომავლობაზე (*Die Erblichkeit der Lehen*) უკვე XI საუკუნიდან მოყოლებული საერთო წესად ითვლებოდა (R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, 408), საფრანგეთშიაც ნაწყალობევის

სამამულო საკუთრებად გადაქცევა (la patrimonialite des fiefs) XIII და XIV საუკუნეებში საზოგადო, ყველასაგან ცნობილი მოვლენა იყო, მხოლოდ დამკვიდრებისათვის პატრონის ნებართვა და დამტკიცება ისე, როგორც საქართველოშიაც, აუცილებლად საქირო იყო ხოლმე (A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია, I, 194—195).

მაგრამ მრავალი ზემოაღნიშნული ცხადი მსგავსების გარდა, რომელიც ქართულ პატრონყმობასა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას ემჩნევს, მათ შორის ერთი არსებითი განსხვავებაც იყო. დასავლეთ ევროპაში ფრანგი და გერმანელი პატრონი „ფეოდალი“, „სენიორი“ თავისი საპატრონო ქვეყნის უზენაესი გამგე იყო, მის ხელთ იყო სახელმწიფო სამართლის უძვირფასესი განძი: მართლმსაჯულებისა და გადასახადების აკრეფის უფლება. მის ხელთ იყო როგორც სისხლისა, ისე სამოქალაქო სამართალი და სასამართლო, მისი განაჩენი უზენაესი და უქცეველი იყო (A. Esmein, ფრანგული სამართლის ისტორია, 181—182). მაშასადამე, დასავლეთ ევროპის სენიორებს და მათ საპატრონოს ე. წ. „იმუნიტეტი“ (ლათ. immunitas, ჩვეულებრივ emmunitas-ად იწერებოდა. გერმ. die Immunität, l'immunité) ჰქონდათ. ამგვარი დაწესებულება საქართველოშიაც არსებობდა და მას „შეუვალობა“ ეწოდებოდა. „იმუნიტეტი“-შეუვალობა თავისი ყმებისათვის მხოლოდ პატრონს შეეძლო მიენიჭებინა და, როგორც თვით ქართულს ტერმინში ნიშანდობლივ გამოთქმულიც არის, იგი იმაში მდგომარეობდა, რომ პატრონ-მეფის მოხელეებს, არც სასამართლოს და არც გადასახადების ამკრებთ „შეწყალებული“ ყმის, ან ეკლესიის, ან მონასტრის სამფლობელოში შესვლის უფლება არ ჰქონდათ და იმ სამფლობელოს მკვიდრნი სამეფო სასამართლოსა და ყოველგვარი სამეფო გადასახადებისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ, მხოლოდ თავიანთი საკუთარი პატრონის სასამართლოს ექვემდებარებოდნენ და ყოველგვარი გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლებაც მართო მათ პატრონს ჰქონდა (R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, I, 197—199, 391—392). „შეუვალობა“ ნიადაგს აცლიდა სახელმწიფოს მთლიანობას, სრულებით ამცირებდა მეფის უფლებას და სახელმწიფო სამართლის უძვირფასეს ნაწილს ძირს უთხრიდა: მთელმა სახელმწიფომ თითქოს კერძო მეურნეობის ელფერი მიიღო და მრავალ კერძო სამეურნეო ერთეულად და საკუთრებად იქცა. ამიტომაც იყო, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს საშუალო საუკუნეებში საზოგადო-უფლებრივი თვისება და ხასიათი თითქმის სრულებით დაკარგული ჰქონდათ.

საქართველოშიც არსებობდა „შეუვალობა“, მაგრამ იგი არასდროს სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენად არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა. ამასთანავე იგი თითქმის მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს ეხებოდა და სასამართლო შეუვალობა საქართველოში არასდროს არ ყოფილა. გადასახადების შეუვალობაც უმეტესად საეკლესიო და სამონასტრო ყმებს ჰქონდათ მიენიჭებული. მაინცადამაინც ჩვეულებრივ საპატრონო ყმებსაც სა-



ხელმწიფო თავის გადასახადებს თავისვე მოხელეთა ხელით ართმევდა ხოლმე და მათ პატრონებს ამასთან საქმე არაჰქონდათ. არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ სასამართლოს შეუვალობა რომელსამე პატრონსა და მის ყმებს მინიჭებული ჰქონოდა.

ცნობილია მხოლოდ „სისხლის სიგელები“, რომლის რამდენიმე ცალი დაბეჭდილიც არის თ. ჟორდანიას მიერ „ქრონიკებ“-ში (წ. II), ე. თაყაიშვილის მიერ „საქართველოს სიძველენ“-ში (მეტადრე წ. II) და ს. კაკაბაძის სხვადასხვა ნაშრომებში, მაგრამ ეს „სისხლის სიგელები“ სასამართლო შეუვალობის წიგნებად ვერ ჩაითვლება, არამედ სულ სხვა ხასიათის ძეგლად უნდა იყვნენ ცნობილი. ამ „სისხლის სიგელებ“-ში მეფე ამა თუ იმ საგვარეულოს მხოლოდ პირადად უპირატესობას ანიჭებს, რომ თუ ვინცოთაა მათ ვინმემ რაიმე ვნება, ან ზარალი მიაყენოს, მას სასჯელი, ე. წ. „სისხლი“, ჩვეულებრივზე მეტი გადახდომოდა და თვით „სისხლის“ რაოდენობაც ამ სიგელში განსაზღვრულია. ამ საბუთებში ნათქვამი არ არის, რომ მათი საქმე სამეფო სასამართლოს არ უნდა გაერჩია, პირიქით სრულებით ცხადია, რომ „სისხლის“ რაოდენობა სწორედ სამეფოს მსაჯულთათვის იყო სახელმძღვანელოდ დადებული. ამაზე უფრო დიდმნიშვნელოვან გარემოებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სისხლის სიგელითაც მის მფლობელს თავისი ყმების განკითხვა-გასამართლებების უფლება სრულებითაც არ ენიჭებოდა და ამაზე იქ არაფერი იყო ნათქვამი. უდიდესი უპირატესობა, რომლის მინიჭებაც ამ საბუთს მის პატრონისათვის შეეძლო, მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მის ყმებსაც ჩვეულებრივზე მეტი „სისხლი სდენოდა“, ე. ი. მიმძღავრებული ყმის სასარგებლოდ დამნაშავეს უფრო მკაცრი ქონებრივი სასჯელი დასდებოდა. დასავლეთ ევროპის შეუვალობა კი სულ სხვა რამე იყო: იმუნიტეტი იქ პატრონს თავის ყმების ერთადერთ უზენაეს მსაჯულად ხდიდა, მის საპატრონო ქვეყანაში სამეფოს სასამართლო არ მოქმედებდა, მისი ყმები მეფის მსაჯულებს არ ექვემდებარებოდნენ, მათთვის სამეფო სამართლისა და სასამართლოს კარები დახშული იყო. არაფერი ამის მსგავსი საქართველოში არ ყოფილა: პატრონებს თავიანთი ყმებისადმი მსაჯულის უფლება არ ჰქონიათ, არამედ ყმებიც სამეფოს მოსამართლეებს ექვემდებარებოდნენ და ყმათათვისაც სახელმწიფო სასამართლოს კარები მუდამ ღია იყო. მხოლოდ საქართველოს ეკლესიას ერთობლივ ჰქონდა სასამართლო შეუვალობის უფლება და მისი ყმები მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ეს უპირატესობაც მარტო საპატრონყმო უფლებისა და წესწყობილების ნიადაგზე არ არის აღმოცენებული. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა გამოქვეყნებული „სისხლის სიგელი“ საეკვო ღირსებისაა და ყალბია (იხ. ჩემი „ქართული სიგელთმცოდნეობა“).

მაშასადამე, ცხადია, რომ საქართველოში სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამართალი ისე არ ყოფილა დაცემული, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში იყო საშუალო საუკუნეებში.

სახელმწიფოსა და ყველა ქვეშევრდომს შორის კავშირი და პირდაპირი დამოკიდებულება საქართველოში შეწყვეტილი არ ყოფილა და სახელმწიფო სამართლის ორი უზენაესი გამოხატულება, მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლება, მეფეს მტკიცედ ეპყრა. ამის გამო ცხადია, რომ ქართულ საპატრონუმო ქვეყანას და პატრონებს სახელმწიფოებრივი უფლება აკლდათ და სრულებით ცალკე, დამთავრებულ ერთეულებად ვერ ჩაითვლებოდენ, სწორედ ამ მხრივ ქართული პატრონუმობა დასავლეთ ევროპის პატრონუმობისაგან არსებითად განსხვავდება.

მომავალი გვიჩვენებს, თუ რა მიზეზია, რომ ქართული და დასავლეთ ევროპის პატრონუმობის ზოგიერთი ტერმინი, როგორც მაგ. „ყმა“, „ყმანი“ და puer, pueri, Knaben (H. Brunner. Deutsche Rechtsgeschichte, I, 371-2; R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, 441—442), „ლაშქარნი“ ანუ „სპანი“ და milites, „წყალობა“, ანუ „შეწყალება“ და Beneficium „შეწყალებულნი“ და „beneficarii“ (H. Brunner. გერმანული სამართლის ისტორია, I, 309) ასე გასაოცრად მიემსგავსებიან ერთმანერთს: მხოლოდ შემთხვევითი მოვლენაა, თუ ამ მსგავსებას უფრო ღრმა მიზეზი აქვს.

რამდენად ფრთხილად უნდა მსჯელობდეს მეცნიერი ამისთანა შემთხვევებში, ტერმინი „პატრონი“-ც საუტხოვოდ ამტკიცებს, ის „პატრონი“, რომლისაგანაც შემდეგში თანდათანობით ქართული სამწერლო ენის „ბატონი“ და მეგრული „პატონი“, „პატენი“, „პატინი“, „პატენი“ წარმოდგა. უეჭველია ქართული „პატრონი“ რომაელების „patronus“-ი არის. მაშასადამე, უნებლიეთ აზრი ებადება მკვლევარს რომაულ პატრონატსა და ქართულ პატრონუმობას შორის დამოკიდებულების შესახებ, სახელდობრ ქართული პატრონუმობა ხომ რომაულ „პატროცინიუმ“-ისაგან არ არის წარმომდგარი? ამიტომ ჩვენ რომაული ამ დაწესებულების თვისებები უნდა შევისწავლოთ.

„პატრონუს“-ი რომაულად და რომში ციცირონის დროს და შემდეგშიაც კეისრობის დროსაც ისეთს გავლენიან მფარველს, მზრუნველს ჰნიშნავდა, რომელსაც თავისი cliens „კლიენტი“, ანუ უფრო რჩეული „amicus“, „მეგობარი“ და „comes“, comites „თანამყოლნი“ სასამართლოში და სახელმწიფო ცხოვრების სარბიელზე ყოველგვარი ძალმომრეობისაგან უნდა დაეცვა და მის დაწინაურებას ცდილიყო (Fustel de Coulanges, Les origines du système féodale, Le bénéfice et le patronat pendant l'époque mérovingienne. Paris, 1890, 207, 209, 213 და გვ. 221—222, 231). „კლიენტი“-ს, „თანამყოლისა“ და „მეგობრის“ მოვალეობა იყო თავის პატრონის მისწრაფებისა და წადიერების განხორციელებისათვის ხელი შეეწყობო, თუ იგი რომელსამე თანამდებობას მოისურვებდა, მისი არჩევანის დროს პირადადაც უნდა მისთვის მხარი დაეჭირა და საზოგადოებაშიაც მის მომხრეთა რიცხვის გამრავლებისათვის ეზრუნა, თუ პატრონს რაიმე საქმე ჰქონდა სასამართლოში, ისინი მის გვერდით უნდა ყოფილიყვნენ და თან წაჰყოლოდენ. ჩვეულებრივაც ქუჩებში სიარულის დროს მის მხლებლად უნ-

და ყოფილიყვნენ, ყოველ დღე დილით პატრონთან მისულიყვნენ, რომ მიქსალმებოდენ და მისი განკარგულება შეეტყოთ. საყურადღებო ის არის, რომ „კლიენტს“, „თანამყოლსა“ და „მეგობარს“ პატრონისათვის მიშველება ომია-ნობის დროს და სხვაგვარი სამხედრო დახმარება ვალად არ ეღვა (იქვე, 223).

ამგვარს დამოკიდებულებას რომში *clientela*, *patrocinium*, *tutela*, *amittitia*-ს (კლიენტელა, პატროცინიუმ, ტუტელა, ამიტიცია-ს) ეძახდნენ და იგი ყოველ-თვის ნებაყოფლობითი უნდა ყოფილიყო (იქვე, 217 და 215). ამ დამოკიდებულების ჩამოსაგდებად საჭირო იყო, რომ „კლიენტი“, ან „თანამყოლი“, ან „მეგობარი“ იმ პირთან მისულიყო, რომელსაც პატრონად ირჩევდა, და მისთვის ეთქვა: *me commendo*, *me totum trado* „ჩემ თავს მთლად შენ გაბარებ, შენ გაძლევა“ (იქვე, 217). ასე იყო რესპუბლიკის ხანაში.

როდესაც კეისრობა დაწესდა, ხელმწიფე-კეისრის „კლიენტები“ ერთ-ბაშად ყველა სახელმწიფო დაწესებულების სათავეში მოექცნენ (იქვე, 232—233). მარკოზ ავრელიუსმა „მეგობრები“ კეისარის მახლობლობას ჩამოაშორა და მუდმივი საბჭო შექმნა, რომელშიაც ისინი წევრებად დასხა. როცა საჭირო იყო, კეისარი მათ ეთათბირებოდა და მათ რჩევას ჰკითხავდა ხოლმე. ამგვარად „*amici*“ „მეგობარნი“ სახელმწიფო საბჭოს წევრებად იქცნენ (იქვე, 234).

*Comites principis* „თანამყოლნი ხელმწიფისანი“-ც დიდ ხელისუფლებით იქმნენ აღჭურვილნი და დიდებულ მოხელეებად იქცნენ, ან მეჭურჭლეთ-უხუცესად, ან მწიგნობართა მთავრად, ან გამგეთ-უხუცესად, განსაკუთრებით კი მთავრებად. ცნობილნი არიან მაგ. *comes* აღმოსავლეთისა, „კომეს“ ეგვიპტისა, ესპანიისა, მარსელისა (იქვე, 234). IV საუკუნის წყაროები ცხად-ჰყოფენ, რაოდენად გავრცელებული და მოდებული იყო პატრონ-კლიენტობა. ყოველ გავლენიან რომაელს უეჭველად მრავალრიცხოვანი მონები და „კლიენტები“ ჰყავდა, თვითოეულს მათგანს დიდი ქონება და შემოსავალი ჰქონდა და კლიენტების აუარებელი საჩივრების მოსარჩლეობა საქმეს უჭირებდა (იქვე, 235—236).

„კლიენტობის“ გავრცელების თავდაპირველ მიზეზს ზედ დაერთო აგრეთვე ის გარემოებაც, რომ წვრილ მესაკუთრეთათვის სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე თანდათან აუტანელი ხდებოდა და მათ შორის ბუნებრივმა სურვილმა და ძლიერმა მიდრეკილებამ იჩინა თავი, რომ სახელმწიფო გადასახადებისაგან როგორმე თავი დაეღწიათ. საამისოდ უებარ საშუალებად ძლიერი „პატრონის“ გაჩენა იყო, მაგრამ ასეთს შემთხვევებში უეჭველია მართო პირადი კლიენტობით თავიანთ წადილს ვერ შეისრულებდენ და თავიანთ თავთან ერთად მთელი უძრავი ქონებაც ფორმალურად მიანიც პატრონისათვის უნდა გადაეცათ. სწორედ ასეც იქცეოდენ (იქვე, 242—244). სალვიანეს თავის თხზულებაში *De gubernatione Dei* მხატვრულად აქვს აღწერილი ამგვარი კლიენტების უმწეო უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა: „წვრილი ერი მფარველობის გულისათვის თავიანთ თავს დიდებულებს ანდობენ. ყველანი ვინც მფარველობას ეძებდენ, სანამ მფარველობას ეღირსებოდენ, თითქმის მთელ თავიანთ ქონებას მათ განუთვისებენ ხოლმე და ამგვარად იმის გულისთვის, რომ მამებმა მფარველობა მოიპოვონ, შვილები მემკვიდრეობას ჰკარგავენ“-ო (იქვე, 244). ამგვარმა მოძრაობამ იმდენად იმა-

ტა, რომ რომში და რომის სახელმწიფოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა: ქვეყანა პატრონებად და კლიენტებად დაიყო. შეძლებულნიც კი მათზე უფრო ძლიერი და გავლენიანი კაცის კლიენტობას არ თაკილობდნენ, რაკი სახელმწიფო ასპარეზზე დასაწინაურებლად საჭირო იყო, რომ მოხელეობის ნაღალ საფეხურამდის მისაღწევად ადამიანს ძლიერი მფარველი ჰყოლოდა (იქვე, 246—247 და 239—240).

სრულებით ცხადია, რომ რომაულს პატრონ-კლიენტობას ბევრი რამ აქვს საერთო საშუალო საუკუნეების ფეოდალურ წესწყობილებასთან, მაგრამ გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ფუსტელ დე კულანჟი მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ ამ მსგავსების და მიუხედავად საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმი, ანუ პატრონყმობა რომაული პატრონატისაგან არ არის წარმომდგარი (იქვე, 225, 234—235 და 247) და მათ შორის ის არსებითი განსხვავება იყო, რომ რომაულ დაწესებულებას სრულებით სამხედრო აგებულება არა ჰქონია და კლიენტი სრულებით პატრონის ჯარისკაცი არ ყოფილა, ფეოდალის ყმათა უპირველეს მოვალეობას კი სწორედ პატრონთან ერთად თანამოლაშქრეობა შეადგენდა (იქვე, 247).

ზემოაღნიშნულის გამო ცხადია, რომ შეუძლებელია ქართული პატრონყმობაც რომაულ „პატროცინია“-სგან იყოს წარმოშობილი, თუმცა თვით ტერმინი „პატრონი“ ასეთს მკიდრო ნათესაობას უნებლიეთ გვაფიქრებინებდა. ამ ტერმინის ისტორიაც სწორედ რომ უცნაურია. იგი შეთვისებული ჰქონდათ გერმანელებს და ფრანგებსაც, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველებს მათთვის ასეთ შორეული ქვეყნებითგან უშუამავლოდ შეთვისებით, ჯერ ეს ერთი. მეორე კიდევ ის გარემოება არის, რომ თვით დასავლეთს ევროპაში საშუალო საუკუნეებში „პატრონუსი“ ჩვეულებრივ მხოლოდ უპასუხო მზრუნველს (patronus, defensor) ჰქონდა, ყმათა პატრონს, სენიორს კი განსაკუთრებით dominus „დომინუს“-ი, ანუ „უფალი“ ეწოდებოდა და ძალიან იშვიათი შემთხვევა არის, რომ საამისო ტერმინად „პატრონუს“-ი ყოფილიყოს ნახმარი (R. Schröder. გერმანული სამართლის ისტორია, 268). მაშასადამე, სწორედ ის მნიშვნელობა, რომელიც „პატრონს“ ქართულში განსაკუთრებით ჰქონდა, დასავლეთ ევროპაში ჩვეულებრივ არა ჰქონია. ამიტომაც შეუძლებელია, ეს ქართული ტერმინი დასავლეთ ევროპიდან იყოს ჩვენში შემოხიზნული.

მართალია, საქართველოში პირადად რომაელებსაც ჰქონდათ გავლენა. ერთ დროს ჩვენი სამშობლო მათ მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა კიდევ მაგრამ ეს ხომ დიდის ხნის ამბავი იყო (I—III სს.). სიტყვა „პატრონი“ კი ქართულ მწერლობაში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მხოლოდ X—XI ს-ში შემოდის, ცხოვრებაში კი შეიძლება და ალბათ უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო შემოხიზნული. ამიტომ ცხადია, რომ შეუძლებელია ქართული „პატრონი“ რომაელების ბატონობის დროინდელ ნაშთადაც ჩაითვალოს.

ეს სიტყვა („პატრონუს“, „პატრონი“) ბერძნულს („პატრონუს“, „პატრონო“, „პატრონი“) და ასურულსაც აქვთ შეთვისებული. ამიტომ შეიძლება აღმოიჩინა იფიქროს, რომ ქართულს სწორედ ბიზანტიითგან ჰქონდეს შეძენილი, მაგრამ ეს აზრიც ძალიან საეჭვო ხდება და საკითხის გადაწყვეტა იმის გამო ძნელდება, რომ თვით ბიზანტიაში ქართული პატრონყმობისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის მსგავსი დაწესებულება არ ყოფილა. ბიზანტიაში მფარველობას განსაკუთრებით მონასტრები ეძებდნენ ხოლმე: შეეფარებოდნენ რომელსამე გავლენიანს პირსა და თავიანთ მამულების საკუთრების უფლებას მათ უთმობდნენ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბიზანტიაში მონასტრების ამგვარს მფარველს „პატრონს“ კი არ ეძახდნენ, არამედ „ხარისტიკარს“. სიტყვა „პატრონი“ ამ ცნების აღსანიშნავად არ იხმარებოდა. რაკი საქართველოს „პატრონყმობის“ დაწესებულების ეს ნიშანდობლივ გამომხატველი სიტყვა ბიზანტიაში გავრცელებული არ ყოფილა, ამის გამო მკვლევარს არც შეუძლიან იმ დასკვნასაც მიემხროს, ვითომც პატრონყმობა ბიზანტიის ზეგავლენის წყალობით გაჩენილი იყოს საქართველოში.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თვით რომაული სიტყვა და ტერმინი „პატრონი“ ქართული პატრონყმობის წარმოშობის ისტორიას ვერ გაგვიშუქებს იმიტომ, რომ იგი ქართულში ისეთს დროს შემოდის, როდესაც თვით ის დაწესებულება საქართველოში კარგა ხანია უკვე არსებობდა. მხოლოდ წინათ ამ ცნების აღსანიშნავად ნამდვილს ქართულს სიტყვას ხმარობდნენ. თავდაპირველად „პატრონის“ მაგიერ ტერმინად „უფალი“ იხმარებოდა. როგორც სახარების ქართულს თარგმანში (მათე, X, 24, 25, XVIII, 26. XXIV, 48, 50. XXV, 14, 19, 21, 22, 23; მარკოზ, II, 27; ლუკა, X, 2, XII 42, 43, 46. XIV 21, 23), ისევე წაუშუშანიკისა და ევსტაჟე მცხეთელის და აბო ტფილელის მარტულობაში არსად სიტყვა „პატრონი“ არა გვხვდება, არამედ „უფალი“. მაგ., მათეს სახარებაში (თ. XXIV) ნათქვამია: „ნეტარ არს მონისა, რომლისა მოვიდეს უფალი მისი და ჰპოვოს“-ო. ამ შემთხვევაში საუბარი პატრონ-მონათა დამოკიდებულებას ეხება. მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც XI—XII სს.-ში და შემდეგშიაც სიტყვა „პატრონი“ იქმნებოდა ნახმარი, IX—X სს. თხზულებებში „უფალი“ წერია. მაგ., ბასილ ზარზმელს ნათქვამი აქვს: „წარვიდა კაცი იგი (მსახური) სოფლად თქსსა... უთხრეს ესე უფალსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი სახმარ და მსრბოლ გზათა შორთა“ (ც-მ სრპ-ნ ზრზმ-ლსმ, 8), „უფალი მის დაბისა“ (იქვე, 8), „უფალი არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთაჲ“. მაშასადამე, ცხადია, რომ სანამ ქართულ მწერლობაში სიტყვა „პატრონი“ შემოვიდოდა, მანამდის უკვე სხვა ადგილობრივი ქართული ტერმინი „უფალი“ არსებობდა და მიღებული იყო. საგულისხმოა, რომ საფრანგეთსა და გერმანიაშიც ამგვარადვე ცნება პატრონის გამოსახატავად, როგორც უკვე ნათქვამი გვექონდა, dominus „დომინუს“-ი ე. ი. უფალი იხმარებოდა. ზემოაღნიშნული ცხად-პყოფს, რომ ტერმინ „პატრონის“ სადაურობის გამორკვევა ქართული პატრონყმობის ისტორიის დასაწყისს და თვით დაწესებულების სადაურობის

საკითხს ვერ გააშუქებს. როგორც ქართული სამართლის ისტორიის I წიგნში (გვ. 198) აღნიშნული გვაქვს, I—VII ს-ისა და X—XIII სს. საქართველოს სოციალურ წესწყობილებას შორის მაინც არსებითი განსხვავებაა იმ მხრივ, რომ ძველად მონობა იყო, X—XIII სს-ში კი მონობა აღარა ჩანს და სამაგიეროდ პატრონყმობაა გაბატონებული. მომავალში, როდესაც VII—IX სს. გარდაშავალი ხანის სოციალური ცხოვრების ვითარებისათვის ცნობები აღმოჩნდება, მაშინ პატრონყმობის დასაწყის საფეხურთან დაკავშირებული საკითხებიც გამოირკვევა.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

### მოხელენი და მოხელეობა

#### § 1. მოხელეთა დანაწილება

სახელმწიფოს მართვა-გამგეობას მეფე რასაკვირველია მართო პირადად სულ პატარა სამეფოშიაც კი ვერ გაუძღვებოდა და ამ საქმეში მას ეშველებოდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირნი, ამისათვის არსებობდა სხვადასხვა დაწესებულება. იმ თანამდებობის პირთ, რომელნიც მეფის ბრძანებისა და კანონის აღმასრულებელნი იყვნენ და სამეფოს მართვა-გამგეობაში ეშველებოდნენ, „მ ო ხ ე ლ ე ნ ი“ (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*625, გვ. 400) და „ქ ე ლ ო ს ა ნ ი“ (X ს. შიო მღ. სიგ., შიომღ. საბ., 3; ც-ა მფ-სა დთ-სი, \*554, გვ. 320) ეწოდებოდა. X საუკ. ერთს სიგელში, მაგ., ნათქვამია: „მითაეისუფ-ლებიან ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ე კ ე ლ ო ს ა ნ თ ა გ ა ნ: მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჩინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ე დ ა რ ბ ა ზ ი თ გ ა მ ო ს უ ლ თ ა კ ე ლ ო ს ა ნ თ ა გ ა ნ“-ო (შიო მღ. ისტ. საბ., 3). დავით აღმაშენებლის ქველმოქმედების შესახებ ქართველი ისტორიკოსი ამბობს: ქველმოქმედებას „იქმოდის არა თუ კ ე ლ ო ს ა ნ თ ა მორთმეულისაგან ანუ საქურქლითა, არამედ ხელთა თვსთა ნადირებულთა“-ო (ც-ა მფ-სა დთ-სი, \*554, გვ. 322).

„ქ ე ლ ი“ მნიშვნელობით ლათინურს *manus* „მანუს“-ს უდრიდა და უფლებასა და საქმეს ეწოდებოდა. აქედან არის ნაწარმოები „ქ ე ლ მ წ ი ფ ე“-სრულუფლებოსანი მოხელე და შემდეგ განსაკუთრებით მეფე; აქედანვეა ნაწარმოები „ქ ე ლ ის უ ფ ა ლ ი“ ანუ რაიმე თანამდებობის მექონი მოხელე (ოპიზის სიგ. ბაგრატ IV, სქ-ს სძე-ლნი, II, 4; გელათის 1078 წ. სიგ., ქკ-ბი, II, 50: ისტ-რნი და აზმ-ნი, \*628, გვ. 405). სიტყვას „ქელი“ ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში რომ უფლების მნიშვნელობაც ჰქონდა, ეს თუნდაც თამარ მეფის შიომღვიმისადმი ნაბოძები სიგელის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა კელისუფალთა ჩუენთა კ ე ლ ი შეუვიდოდეს“-ო (ს. კაკაბაძის გამ., შიომღ. სამი სიგელი, 7), ესე იგი ჩემს მოხელეებს უფლება არა ჰქონდეთ გლეხებზედაო. ამიტომაც არის, რომ ვისაც რაიმე თანამდებობა „ქ ე ლ ი“ ჰქონდა, ის „ქ ე ლ ო ს ა ნ ი“ იყო და „მ ო კ ე ლ ე“. სწორედ ამ თანამდებობის მნიშვნელობით არის ეს სიტყვა „ქ ე ლ ი“ ნახმარი ქართველი ეპითაღმწერლის შემდეგს მოთხრობაში. ვახტანგ მეფე-

მაო, „ალიყუნა პატრისა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუ-ბულა და მიუბოძა ორივე ქელი“-ო (\*903, გვ. 744). ესე იგი ორივე თანამდებობა, ათაბაგობაცა და ამირსპასალარობაც ხუტლუბულას უწყალობაო. თვით იმ თანამდებობას, რომელიც ხელისუფალსა ჰქონდა, „ქელი-სუფლობა“ ეწოდებოდა. ისტორიკოსი, მაგ., ამბობს, რომ გაფიცული დიდგვარიანი აზნაურნი „ბრძო[ლი]სა მყოფთა ქელისუფლობისა და დიდებისათვის“ ერთმანერთს ეცილებოდნო (ისტორნი და აზმნი, \*629, გვ. 406). ხოლო თვითეული მოხელის უფლება-მოვალეობას, იმას, რაც მას ეკითხებოდა და რაც მას ექვემდებარებოდა, „საქელი“ ერქვა (კ. გარიგება, 459). კ. გარიგებაში, მაგ., წერია, რომ „საყადარ[ნი] და სხვანი მონასტრნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიო დასნი არიან, ყველა ქყონდი დელისა და საწოლის მწიგნობრის საქელი ოისა“ არიანო (იქვე, 457—58).

იმავე ცნების გამოსახატავად, რისთვისაც სიტყვა „საქელი“ არსებობდა, ამგვარ წინადადებასაც ხმარობდენ ხოლმე: ესა და ეს დაწესებულება და მოხელენი „მისის ქელისა არიან“ ან არისო. მაგ., მსახურთუხუცესის შესახებ ნათქვამია: „ვაზირია და მისის ქელისა არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარეშთ-უხუცესი“ და სხვანიო (კ. გარიგება, 6100—102). ან კიდევ მეჭურჭლე და საჭურჭლის მოხელეები, ძველი ქალაქები და ვაჭრები, „ქალაქის ამირანი და მეჭურჭლენი ქალაქისანი და თვით დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მისისა ქელისა არიან“-ო (იქვე, 8174—9175). ან კიდევ ამირახორის შესახებ ნათქვამია: „საჩინბოს შემავალნი ყოველნივე ამირახორის ქელისანი არიანო“ (იქვე, 9185).

როგორც ძველი ქართული საბუთებითგან ჩანს, მოხელენი საქართველოში რამდენსამე მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ერთს ჯგუფს შეადგენდენ „ქელისუფალნი“, მეორეს „საქმის-მოქმედნი“, მაგ., ბაგრატ IV მიერ ოპიზის მონასტრისადმი ნაბოძებს სიგელში წერია: გამცნებთ „სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოსა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა და ქელისუფალთა და საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ“-ო (სქეს სძვლნი, II, 4). გელათის მონასტრის 1078 წ. სიგელშიც ნათქვამია: „აწ ვინცა ჰნახოთ.. (ეს სიგელი)... ყოველთა... ქელისუფალთა და საქმის მოქმედთა ჩუენთა, დაამტკიცეთ“-ო (ქქი, II, 50).

თუ ამ ორი ტერმინის მნიშვნელობას დავაკვირდებით, შეუძლებელია არ შევამჩნიოთ, რომ მათ შორის არსებითი განსხვავება უნდა ყოფილიყო. „ქელისუფალია“ ის, ვინც უფლებით არის აღჭურვილი, ბრძანების გაცემა შეუძლიან. „საქმის-მოქმედი“ (გიორგი II სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 12; ს. კაკაბაძის გამ., შიომღ. სამი სიგ., 5; იმავე მეფის მეორე საბუთში. შიომღ. ისტ. საბ., 14; გელათის 1078 წ. სიგ., ქქი, II, 50; თამარ მეფის 1189 წ. გელათისადმი ბოძებული სიგელი, ქქი, II, 74; თამარ მეფისავე 1202 წ. სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 26; შიომღ. სამი სიგ., 8) კი საქმის ან ბრძანების აღმასრულებელი და სრულყოფელია. ამ მხრივ ყურადღების ღირსია თამარის დროს გაფიცულ დიდგვარიან აზნაურთა მიერ წარმოთქმული სიტყვები: „აღარ ვეგებთ ძუელთა ქელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი“-ო (ისტორნი და აზმნი, \*628, გვ.

405). ფარმანი სპარსული სიტყვაა და ბრძანებასა ნიშნავს. მაშასადამე, ხელისუფალნი და გამგებელნი საქმისანი ბრძანების მიმცემნი იყვნენ; ხელისუფლებს სახელმწიფოს საქმეების განგების უფლება ჰქონდათ, ხოლო მათ „ფარმანსა ქუეშე მყოფნი“, მათ ბრძანებათა და განგებულებათა აღმასრულებელნი მოხელენი იქმნებოდენ „საქმის მოქმედნი“. ქართველ უამთააღმწერელს, მაგ., აღნიშნული აქვს, რომ სადუნს, რომელიც დიდი ხელისუფალი იყო, „საქართველოს ლაშქართა საქმე და განგება“ ებარა (\*874, გვ. 718), თანაც იმავე ისტორიკოსს არ დაჰვიწყებია აღნიშნა, რომ ეს სადუნი კარგად, კეთილად განაგებდა საქმეთა საქართველომასათა (\*873, გვ. 717). ამგვარად, ყოველი დიდი ხელისუფალი „საურავთა... გამგე“ იყო (ყამთალ., \*892, გვ. 734).

საქმის-მოქმედნი ორხარისხოვანნი იყვნენ — „დიდნი და მცირენი“. ეს ცხადად მტკიცდება ძველის საბუთებით, იქ, მაგ., ნათქვამია: „ბრძანებაი და სიგელი ეს ჩუენი... ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა, (გამცნებთ) დაამტკიცეთ“-ო (1082 წ. გიორგი IP სიგელი, შიომღ. ისტ. საბ., 14). „ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი... (გამცნებთ) ყოველთა საქმის-მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ“-ო (1202 წ. თამარ მეფის სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 26 და ს. კაჟაბაძის, შიომღ. სამი სიგელი მ; ამგვარივე წინადადება თამარ მეფის 1189 წ. გელათისადმი ნაბოძებს სიგელშიც არის, იხ. ქვბი, II, 73—74). დიდებულნი ხელისუფალნი და ვაზირნი იყვნენ „განმგებლად და ზედამხედველად... საქმეთა“ (ცამფსა ღთსი, \* გვ. 311), ესე იგი მათ თვითთულს თავის დარგში სახელმწიფო საქმეების „განგებისა“ და „ზედამხედველობის“ უფლება ჰქონდათ.

ამისდაგვარად დიდებული მოხელეები იყვნენ „თანაზიარ მეფობისა“ ხელმწიფისასა (ისტნი და აზნი, \*649, გვ. 434), მეფის მართვა-გამგეობის მონაწილედ ითვლებოდენ.

ხოლო რაკი დიდ მოხელობის წყალობა ვისთვისმე მეფის განსაკუთრებული ნდობისა და მინდობილობის მინიჭებას მოასწავებდა, ამიტომ ხელისუფლობის წყალობა „მისანდობლობის“ ბოძებად ითვლებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსი, მაგ., ამბობს: გიორგი (III) მეფემ სარგის მხარგრძელს „მისცა მისანდობლობა (მსგავსად) გუარისშვილობისა მისისა“-ო (ისტნი და აზნი, \*614, გვ. 387).

მაშასადამე, დიდებული მოხელეები ან ხელისუფალნი იყვნენ „თანაზიარნი მეფობის“ უფლებისა, „ფარმანის“ ანუ ბრძანების გამცემნი, „გამგებელნი საქმისანი“, ხოლო დანარჩენნი „საქმის-მოქმედნი იყვნენ, რომელიც უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ „ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა“ მეფისა და მისი უფლების თანამოზიარე ხელისუფალთა „ფარმანის“ და „განგების“ აღმასრულებელნი და „მოქმედნი“.

როგორც ხელისუფლებს, ისე საქმის-მოქმედთა შორის იყვნენ, რასაკვირველია, უფროს-უმცროსნი, რომელთაგან უმცროსნი თავთავიანთ უფროს მოხელეებს ემორჩილებოდენ. ამგვარი უფროს მოხელის ხელქვეითი უმცროსი თანამდებობის პირნი „ქუეშე დაწესებულთა“ სახელით იყვნენ ცნობილნი. ქართველი ისტორიკოსი, მაგ., ამბობს, რომ ავაგ ამირ-



სპასალარმა „უბრძანა მას ქუე შე დაწესებულთა... და ყუესცა ეგრეთ“-ო (ქამთაალ., \*808, გვ. 650).

ასეთს ხელქვეით მოხელეებს „ქუე შე თთა კელისუფალთა და საქმის-მოქმედთა“ სახელი ერქვა. გელათის 1078 წ. სიგელში, მაგ., ნათქვამია: „ერისთავთ-ერისთავთა, ოთხმისდურთა, ნაცვალთა, ტყისმცველთ-უხუცესთა და ყოველთა მათ ქუეშეთ[თ]ა კელისუფალთა და საქმის მოქმედთა ჩუენთა (ვამცნებთ, ეს სიგელი) დაამტკიცეთ“-ო (ქქები, II, 50). თვითოეულს მოხელეს „მის ქუე შე თთი მოკელენი“ ჰყავდა.

მოქმედების ასპარეზის მიხედვით მოკელენი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდენ: ერთს ჯგუფს შეადგენდენ „დარბაზის კარს მყოფნი“ მოკელენი (ისტორი და აზმნი, \*685, გვ. 480), რომელნიც სახელმწიფოს მთავარს და ცენტრალურს დაწესებულებაში, „დარბაზში“ მსახურობდენ. რასაკვირველია, შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ საქმის ვითარებისა და სამსახურის გარემოების გამო ამგვარი მოხელე დარბაზს გარეთ გაეგზავნათ საგანგებო მინდობილობით, ან ჩვეულებრივ მოხელეთა მოქმედების შესამოწმებლად წასულიყო ხოლმე, მაგრამ ისინი მაინც სახელმწიფოს ცენტრალურ დაწესებულებათა მოხელეებად ითვლებოდენ და მხოლოდ „დარბაზით გამოსულნი კელოსანნი“ და მოხელენი იყვნენ. ერთს X საუკუნეში, მაგ., სწერია: „მთავისუფლებიან ყოველთავე კელოსანთაგან: მოლარეთაგან, გუელუფეთა, მეჩინებეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჭამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა კელოსანთაგან“-ო (შიომღ. ისტ. საბ., 3). დარბაზის კარსა მყოფ მოხელეებს ვახტანგ VI სასამართლო წიგნში „კარზედ გამგენი“ ეწოდებოდა (ჯ 34).

რა სახელს ეძახდენ ძველს დროს ადგილობრივ დაწესებულებათა მოკელეებს, ჯერ არა ჩანს, ვახტანგ VI სასამართლო წიგნში კი მათ სახელად „საქვეყნოდ გამრიგენი“ არის ნახმარი (ჯ 34). შესაძლებელია ამის მსგავსივე ტერმინი ყოფილიყო ძველდაც. თუ სახელმწიფოს მოხელეებს ამ მხრივ განვიხილავთ, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ვაზირები, მაგ. მწიგნობართ-უხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი და სხვანი, დარბაზის კარსა მყოფი ხელისუფლები იყვნენ, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი, ამირანი და სხვანი მათ მსგავსნი კი საქვეყნოდ გამრიგენი არიან. მაგრამ ამასთანავე ერთისა და იმავე სახელწოდების მოხელე შეიძლებოდა დარბაზის კარსა მყოფიც ყოფილიყო და საქვეყნოდ გამრიგეც, მაგ. „დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი“ (კ. გარიგება, 8174—9175) დარბაზის კარსა მყოფი მოხელეები იყვნენ, ხოლო „მეჭურჭლენი ქალაქისანი“ (იქვე, 8174), რასაკვირველია, საქვეყნოდ გამრიგენი. ამ გვარადვე ვაზირი მწიგნობართ-უხუცესი დარბაზის კარსა მყოფი ხელისუფალი იყო, ერისთავთ-ერისთავის მწიგნობართ-უხუცესი კი საქვეყნოდ გამრიგე მოხელედ უნდა ჩაითვალოს.

თანამდებობასვე ჰნიშნავდა აგრეთვე სიტყვა „დიდება“-ც. რომ ეს ასეა და დიდება მოხელეობასა და მასზე დაფუძნებულს პატივს ერქვა, ეს შემდეგ მაგალითებითაც მტკიცდება. ბაგრატ III შესახებ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: მეფემ „განაგნა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი. ურჩნი თვისნი შესცუალნა დიდებისაგან, ადგილთა მათთა [დაადგინნა] და აღიღნა ერთ-

გულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“ (მ<sup>ტ</sup>ენე ქ<sup>ა</sup>, \*467, გვ. 242). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიკ ამბობს, რომ რაკი „ლიპარი-ტი ამირა“ წინაშე მეფისა „ზაკვდა“ და ორგულობდა, მეფემ „ინება გაწურ-თუა მისი, ამისთვისა პყრობილ ყო იგი ჟამსა რაოდენ(სა)მე“, ხოლო შემდეგ „განუტევა იგი და მითვე დიდებითა აღიდა და არა შეუცუ-ლა“-ო (ც<sup>ა</sup> მ<sup>ფ</sup>სა დ<sup>თ</sup>-სი, \*521, გვ. 289). თამარ მეფის ისტორიკოსსაყ აღნიშნული აქვს, რომ დიდგვარიანი ხელისუფლები განთავისუფლებულ ამირსპასალარობისა, მანდატურთ-უხუცესობისა და მსახურთუხუცესობისა გამო ერთმანერთს ეცილებოდენ, „ბრძოლ[ისა] მყოფთ ხელისუფლო-ბისა და დიდებისა-თჳს“-ო (ის<sup>ტ</sup>რნი და აზ<sup>მ</sup>ნი, \*629, გვ. 406). ეპის-კოპოსობის შესახებაც გრიგოლ ხანძთელის ც<sup>ა</sup>ში ნათქვამია, რომ იგი არის „ხორციელი დიდება“ (გვ. ე<sup>ნ</sup>, თ<sup>ნ</sup> დ, სტრქ. 1), ხოლო ეფთჳმე და გი-ორგი მთაწმიდელნიკ ეპისკოპოსობას ერიდებოდენ ვითარცა „დიდებასა კაცთასა“ (ც<sup>ა</sup> იე<sup>ს</sup>ი და ეფთ<sup>ს</sup>ი, 35; ც<sup>ა</sup> გ<sup>ი</sup> მ<sup>წ</sup>მ<sup>დ</sup>-ლისა, 305 და 317).

მღვდლობის თავობაზედაც გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“-ში წერია: იგი „უფრომს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ხორ-ციელთა“-ო (გვ. დ), მაშასადამე, სასულიერო თანამდებობა იყო თუ სა-ერო, „დიდება“-დ იწოდებოდა და არსებობდა „დიდებანი სულიერნი და ხორციელნი“.

უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვას „პატივი“, რო-მელიც ჯერ ერთი საკარისკაცო სახელწოდების აღსანიშნავად იხმარებოდა. ბაგრატუნიანთა მემკვიდრე სუმბატი, მაგ., ამბობს, რომ გუარამს „მისცა... მეფემან ბერძენთამან პატივად კურაპალატობა“-ო (ც<sup>ა</sup> და უწყ<sup>ა</sup>-ბა, 45); ხოლო იმავე ავტორს გურგენ მეფისა და მის შვილის ბაგრატ III შე-სახებ ნათქვამი აქვს, რომ დავით დიდის კურაპალატის სიკვდილის უმაღ-ალმოსავლეთში მოსულმა „მოსცა... ბასილი მეფემან პატივი გურგენს მ-გისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა“-ო (იქვე, 65). „მატიანე ქარ-თლისა“-ც ერთგან ამბობს, რომ ბაგრატ IV დედა ბიზანტიაში გაემგზავრა „ძებნად პატივისა კურაპალატობისა და ძისა თვისისა“-თჳს და თავის წადილს მიაღწია კიდევ, კეისარმა „მისცა პატივი კურაპალატობისა“ მის შვილს მეფე ბაგრატსაო (\*482, გვ. 256). მართლაც, კურაპალატობა და მაგის-ტროსობა ბიზანტიაში საკარისკაცო ღირსება იყო და მოხელეობისაგან, რო-მელსაც „ἀρχισι“ და „ἀρχαῖς“ ოქტიკიოზა და „არხაჲ“ ეწოდებოდა, სახელი-თაც განსხვავდებოდა. საკარისკაცო სხვადასხვა ღირსებას „ἀξιωματα“ „აქსო. მატას“-ს ეძახდნენ (Н. Скабалапович. Визант. государство и церковь в XI веке. გვ. 162).

მაგრამ ამასთანავე აქა-იქ ისეთი შემთხვევებიც მოიპოვება, როდესაც „პა-ტივი“ მოხელეობასაც ჰნიშნავს. მაგ., თამარ მეფის ისტორიკოსს ნათქვამი აქვს: დიდებულმა მეფემ „უბოძა... მსახურთუხუცესობა ვარდანს (დადიანსა), ჩუხჩერაბობა მარუშიანსა ძესა ჩუხჩერაბისასა; ვინაცა მათ ორთავე მამანი მომკოვრებულ იყუნეს, დასდვა მამისა პატივი მათისა“-ო (ის<sup>ტ</sup>რნი და აზ<sup>მ</sup>ნი, \*632, გვ. 410); ხოლო იმავე ისტორიკოსს მოთხრობი-ლი აქვს, რომ ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდგომ თამარ მეფემ

მოუწოდა მის ძმას „ივანე მსახურთ-უხუცესისა და ინება პ ა ტ ი ვ ს ა ძმისა მისისა ალყუანება და უბოძა ამირსპასალარობისა პ ა ტ ი ვ ი“ (ისტორი და აზმონი, \*719, გვ. 526). ქართველი ეპითიმოლოგიკოსი ამბობს, რომ ივანე-ყვარყვარე ჭაყელი-ციხისჯვარელი „პ ა ტ ი ვ ი თ ა ი ყ თ მ ე ქ უ რ ჭ ლ ე თ - უ ხ უ ც ე ს ი“-ო (\*769, გვ. 599), ხოლო სარგის ჭაყელს „აქენდა პ ა ტ ი ვ ი ს ა მ ც ხ ი ს ს პ ა ს ა ლ ა რ ო ბ ი ს ა“ (იქვე, \*826, გვ. 671), კახა თორელსაც „აქენდა პ ა ტ ი ვ ა დ მ ე ქ უ რ ჭ ლ ე თ - უ ხ უ ც ე ს ო ბ ა“ (იქვე, \*864, გვ. 708), დასასრულ — ხუტლუბულა საღუნის ძე მეფე დიმიტრიმ „ს პ ა ს პ ე ტ ო ბ ი ს ა პ ა ტ ი ვ ს ა ალიყუანა“ (იქვე \*886, გვ. 729). ყველა ამ მაგალითითგან ჩანს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი და ქართველი ეპითიმოლოგიკოსი მსახურთ-უხუცესობასა, მექურჭლეთ-უხუცესობასა, ამირსპასალარობასა, სპასპეტობასა და სპასალარობას „პ ა ტ ი ვ ს“ უწოდებს, ესე იგი ამ სიტყვას თითქოს მოხელეობის ანუ ხელისუფლების ნაცვლად ხმარობს.

მღვდელთმსახურთა თანამდებობის აღსანიშნავადაც ზოგჯერ სიტყვა „პ ა ტ ი ვ ი“ იხმარება. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში კლარჯეთის მონასტრების დამაარსებელი, მას რომ მღვდლობას აძლევდენ და იგი უარზე იდგა, ამბობს: „აწ პ ა ტ ი ვ ს ა (=მღვდლობას) ვხედავ და პ ა ტ ი ვ ს ა გ ა ნ მ ე შ ი ნ ს“-ო (გვ. დ). იმავე თხზულებაში ცქირის ეპისკოპოსობისაგან გადაყენების შესახებ წერია: „მღვდელთმოდვართა განკუთეს იგი (ცქირი) პ ა ტ ი ვ ს ა გ ა ნ (ესე იგი ეპისკოპოსობისაგან) მისისაო“-ო (იქვე, გვ. მზ, სტრ. 37). გრიგოლ ხანძთელიც ეფერებ ეპისკოპოსს ეუბნებოდა თურმე: „პ ა ტ ი ვ ს ა მ ა გ ა ს წ მ ი დ ი ს ა მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა ს ა გ ა ფ უ ც ე ბ“-ო (იქვე, გვ. მვ, სტრიქ. 43). ამაზე უფრო განმაცვიფრებელი მაგალითიც მოიპოვება. ქართველ ეპითიმოლოგიკოსს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ ყაანმა გაწყრომის შემდგომ ხვამაქ დედოფალს ისევ ნება დართო, „რათა... კვალად ეგოს პირველსავე პ ა ტ ი ვ ს ა დ ე დ ო ფ ლ ო ბ ი ს ა ს ა“ (\*833, გვ. 678). მასთანადე, თვით დედოფლობაც კი პ ა ტ ი ვ ა დ არის წოდებული.

სიტყვას „პ ა ტ ი ვ ი“ ამგვარი ორმაგი მნიშვნელობა ქართულ ნათარგმნ თხზულებებშიაც ემჩნევა და ეფთვმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ მეექვსე მსოფლიო კრების „წესი და განგება და სჯულის კანონ“-ში ეს სიტყვა „პ ა ტ ი ვ ი“ ხან ბერძნულს „აქსიომატა“-ს (ἀξιόματα) უღრის, ხან „ოქტოკია“-ს (ὀφθαλμία). მაგ., § 3 „პ ა ტ ი ვ ი რ ა მ ე ს ა ე კ ლ ე ს ი ო მ“-  
«ὀφθαλμία ἐκκλησιαστικῆ» (§ 3), ხოლო სიტყვები „სულიერნი პ ა ტ ი ვ ი ო რ ო ც ი ე ლ ო ს ა ს უ პ ა ტ ო ს ნ ე ს... არიან“ უღრის დედნის «τὸν κατὰ χθῆρον ἀξιωματῶν χρεῖσταιν ἔχοντων ἡμῶν ἐκκλησιαστικῶν»-ს. თვით ბერძნულშიაც ამ უკანასკნელს ადგილას, სადაც საერო „დიდება“-ზეა ლაპარაკი, „ოქტოკია“-ს მაგიერ, როგორც უნდა ყოფილიყო, „აქსიომატა“ სწერია. სლავურს თარგმანშიაც აგრეთვე არეულია ტერმინოლოგია და პირველ შემთხვევაში ნათქვამია „саны црквыныя“, ხოლო მეორეში „Мирьскихъ санов“ (იხ. გ. ბენეშევიჩის. Древнеславянская кормчая, გვ. 150—152).

თუ ამ სიტყვის „პ ა ტ ი ვ ი“ (სომხ. պատիւ, პ ა ტ ი ვ) თავდაპირველ მნიშვნელობას დავაკვირდებით, მისი ორგვარი მნიშვნელობა შემდეგშიც, იმ ხანაში, რომელსაც ვიკვლევთ, არ გავაკვირვებს. „პ ა ტ ი ვ“-ს დიდი მნიშვნელო-

ბა ჰქონდა სასანიანთა გვარის შაჰების ხანაში, როდესაც იგი თანამდებობასა და მოხელეობასაც ეწოდებოდა და იმ ნიშანდობლივს სამკაულსა და ტანსაცმელსაც, რომელიც თვითთველ თანამდებობას ეკუთვნოდა ხოლმე, განსაკუთრებით იმ თავსაკრავს, რომელსაც იმდროინდელი სპარსეთის მოხელეები იკრავდნენ ხოლმე ოქროსა და მარგალიტითგან გაკეთებულს (იხ. პროკოპი კესარიელის De bello persico I. 17 J. Haury-ს გამ., გვ. 86<sub>2</sub>—25): ეს უაღრეს პატივად (ἀξιωμα) ითვლებოდა სპარსეთშიო, ამბობს გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი. ზემოაღნიშნულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ სიტყვას „პატივი“ შეიძლება ორგვარი აზრი ჰქონოდა, თანამდებობისაცა და ამ თანამდებობის ნიშნებისა და სამკაულისაც. აქიდან წარმოსდგებოდა მისი მერმინდელი ორმაგი მნიშვნელობა საკარისკაცო და საეკლესიო პატივისა და სახელმწიფო მოხელეობისაც. ამგვარი არევა იქნებ იქიდანაც წარმოიშვა, რომ თვითთველ დიდ მოხელეს შესაფერი საკარისკაცო პატივიც ჰქონდა და დიდმოხელეობა და საკარისკაცო პატივი ერთმანერთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ერთსა და იმავე პირსა ერთიც ჰქონდა და მეორეც. ასე იყო თვით ბიზანტიამიც კი (Скабаланович. Визант. госуд. и церк.. 162). რაკი საერთო თანამდებობათათვის IX — XII სს. თითქმის განსაკუთრებით სიტყვებს „ქელისუფლობა“-სა და „მოქელეობა“-ს ნმარობდენ ხოლმე, „პატივ“-ს საკარისკაცო სახელწოდების (მაგისტროსი, კურაპალატი და სხვა), ან საეკლესიო ღირსების მნიშვნელობა მიეცა, მაგრამ ეს სიტყვა მოხელეობის ღირსების აღსანიშნავადაც იხმარებოდა ხოლმე, განსაკუთრებით XII საუკ. მეორე ნახევრიდან მოყოლებული და XIII საუკუნეშიც. მხოლოდ მაშინაც კი, როგორც ეტყობა, „პატივი“ თვით ხელისუფლებასაც კი არა ნიშნავდა, არამედ უფრო მოხელეობის ღირსებას, მაგ., ჟამთააღმწერელი ამბობს: ვახტანგ მეფემ „აღიყუანა პატივისა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუბულა და მიუბოძა ორივე ქელი“-ო (\*903, გვ. 744). მაშასადამე, აქ ხელისუფლობისა და მოხელეობის აღსანიშნავად „ქელი“-ა ნახმარი, ხოლო თანამდებობის ღირსების გამოსახატავად — პატივია.

შემდეგში ჩვენს გამოკვლევაში სიტყვა „პატივი“ მხოლოდ საკარისკაცო პატივის მნიშვნელობით იქმნება ნაგულისხმევი და ნახმარი.

პატივის მინიჭება ყოველთვის დაწინაურებას უდრიდა და ამის გამო „პატივისა აღყუანა“-დ იწოდებოდა, ჟამთააღმწერელი, მაგ., ამბობს: მეფემ ხუტლუბულა „სპასპეტობისა პატივისა აღიყუანა“-ო (\*886, გვ. 729), ხოლო ვახტანგ მეფემ იგივე მოხელე „აღიყუანა პატივისა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა“-ო (ჟამთააღმ., \*903, გვ. 744).

## § 2. ვაზირები

ხელისუფალთა შორის პირველი ადგილი საქართველოში ვაზირებს ეკითრათ. „ვაზირი“ (ისტორი და აზმნი, \*603, 635, 640, 647 და 671, გვ. 373, 416, 422, 431 და 461) არაბულ-სპარსული სიტყვაა. მეცნიერნი ფიქრობენ, რომ ეს სიტყვა არაბებს აბბასელების დროს სპარსელებისაგან, ვითარცა სასანელთა ხანის განძი, უნდა ჰქონდეთ შეთვისებული, მაგრამ ჭერ-

ჯერობით ფაქლავურ მწერლობაში იგი არა ჩანს (A. von Kremer. Kulturgeschichte des Orients, I, 185). არაბულად სიტყვა „ვაზირუნ“ თანაშემწეს, მეშველს, ვაზირს და მინისტრსა კნიშნავს.

როგორც დიდიხანია მაქს. ენგერმა გამოარკვია, უკვე სასანელთა გვარის შაჰებს ჰყოლიათ ვაზირები და თვით არაბ ისტორიკოსთა ცნობებითაგანაც ჩანს, რომ არაბებს ვაზირობა სპარსელებისაგან უნდა ჰქონოდათ შეთვისებული (Max. Enger. Ueber das Vezirat. ZDMG, XIII წ., გვ. 240). შეთვისებულია თუ არა არაბულში თვით სიტყვაც „ვაზირუნ“ ფაქლავრითგან, როგორც ფიქრობს ნაოლდეკე (Tabari, გვ. 444, შენ. 3), თუ მართო დაწესებულება მხოლოდ ნასესხები, ხოლო სიტყვა ნამდვილი არაბულია, როგორც მაქს. ენგერს ეგონა (Vezirat, იქვე, გვ. 241), ამისი გადაწყვეტა ჯერ ძნელია. მაგრამ ეს კი უნდა ითქვას, რომ თვით ფაქლავრს მწერლობაში იგი ჯერ-ჯერობით არა ჩანს (Arthur Christensen. L'Empire des Sassanides, 1907 გვ. 40 და A. von Kremer. Kulturgeschichte des Orients, I, 185). ეს გარემოება თავისთავად შეურყეველ საბუთად ვერ გამოდგება იმიტომ, რომ ფაქლავრი საისტორიო მწერლობა თითქმის სრულებით შენახული არ არის და ბევრის რისამე შესახებ ცნობები შენახულს ფაქლავრ მწერლობაშიც კი არ მოიპოვება, თუმცა ზიზანტიელ და არაბ ისტორიკოსთა სიტყვით მათი არსებობის ამბავი დანამდვილებით ვიცით.

სიტყვა „ვაზირუნ“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაბულად თანაშემწეს, მეშველს და მინისტრსა კნიშნავს. იგი უკვე ყურანში მოიპოვება და თვით მუჰამედს უხმარია (იხ. Enger-ის იგივე წერილი, გვ. 241). პირველი ოთხი ხალიფის დროს ჯერ ვაზირები არ იყვნენ და პირველად ვაზირობა მხოლოდ ომაიანთა საგვარეულოს ხალიფობის უქანასკნელ ხანებში გაჩნდა, აბასიანთა საგვარეულოს ხალიფობის დროს კი ვაზირობამ დიდი გავლენა და ძალა მოიხვეჭა (იქვე, 243 და A. von Kremer. Kulturgeschichte..., I, 186). არაბ სჯულის მეცნიერთა მოძღვრებისა და მიხედვით ორგვარი ვაზირობა შეიძლება: ან სრულუფლებოსანი ვაზირი („ვაზირუ-ტაჰტიზ“) იყო ხოლმე ან არა და განსაზღვრული უფლებით აღჭურვილი (ვაზირატ-ტანჰიდ). სრულუფლებიანი ვაზირი შემდეგში დიდ ვაზირად იწოდებოდა და სწორედ მას ჰქონდა განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა სახალიფოში. მას თითქმის იგივე უფლება ჰქონია, რაც ხალიფას იმ განსხვავებით, რომ: 1) მას ხალიფას მიერ დადგენილი მოხელეების გადაყენება თავის მბრძანებელის დაუკითხავად არ შეეძლო, 2) თავისი მოადგილის დანიშვნის უფლება არა ჰქონდა და 3) ხალიფას მისი დათხოვნა დაუყოვნებლივ შეეძლო, როდესაც კი მოისურვებდა. იგი სახელმწიფო საქმეების სრული გამგე იყო, ხალიფას სახელით მოხელეების დანიშვნა და დადგენა-გადაყენებაც შეეძლო და უზენაესი მართლმსაჯულების უფლებითაც იყო აღჭურვილი. იგი მოვალე იყო მხოლოდ თავისი მოღვაწეობისა და მოქმედების შესახებ ხალიფასთვის მოეხსენებინა ხოლმე (Max. Enger, იქვე, 241—242 და A. Kremer. Kulturgeschichte, I, 185—186). ხალიფას შეეძლო, თუ საჭიროდ სცნობდა, თავის სრულუფლებიანი ვაზირის ბრძანება ან განკარგულება გაეუქმებინა (იქვე). განსაზღვ-

რული უფლებით აღჭურვილი ვაზირი მხოლოდ ხალიფას ბრძანებათა აღმასრულებელი და საქმის-მოქმედი იყო (Max. Enger, იქვე, 244; A. Kremer, Kulturgeschichte, I, 187).

რასაკვირველია, მხოლოდ თვით ხალიფას პირად სურვილს, ნებასა და ხასიათზე იყო დამოკიდებული, ვაზირს სრულის თუ შეზღუდვილის უფლებით აღჭურვავდა: მხნე და მოქმედი პიროვნება სახელმწიფოს უზენაესი გამგეობის საქვს ხელთგან არ გაუშვებდა და არავის დაანებებდა, სუსტი და მცონარე ადამიანი ყოველთვის უფრო მეტად იქნებოდა მოწადინებული მართვა-გამგეობის მძიმე ტვირთი როგორმე თავითგან მოეშორებინა. ვაზირობის უფლების გარეგან ნიშნად საბეჭდავი, ეგრეთწოდებული „სასიგლე“ ბეჭედი იყო (M. Enger, იქვე, 244). ჩვეულებრივ ერთსა და იმავე დროს სახალიფოში ერთი ვაზირი იყო ხოლმე, მაგრამ ისიც მომხდარა ხოლმე ზოგჯერ, რომ რამდენიმე ვაზირი ყოფილა ერთბაშად; მხოლოდ არაბთა გამოჩენილი სჯულთმეცნიერნი ამას უკანონობად სთვლიდენ. მათის აზრით რამდენიმე სრულუფლებიანი ვაზირის ერთსა და იმავე დროს დანიშვნა მხოლოდ იმ პირობით შეიძლებოდა, თუ თვითოეულ მათგანს ცალკე განსაკუთრებული დარგი ექნებოდა ჩაბარებული, ან არადა თუ ყველა ვაზირს საერთო უფლება ექნებოდა ვითარცა ერთს ერთეულს, ისე რომ ყველა საქმე ერთობლივ და ერთნებობით გადაეწყვიტათ (M. Enger, იქვე, 247 და A. Kremer. Kulturgeschichte, I, 188—189). ზოგჯერ ხალიფა ამა თუ იმ ხელისუფალს რომელისამე თემის ან ქვეყნის (მაგ., ერაყის, ან ეგვიპტის) ვაზირად ჰნიშნავდა ხოლმე და ყველა იქაურ საქმეს მას აბარებდა განსაგებლად (M. Enger, იქვე, 247).

მასასადამე, ჩვეულებრივ სახალიფოში ერთი ვაზირი იყო ხოლმე, რომელიც უფროს და ყველაზე უფრო ძლიერ მინისტრად ითვლებოდა; დანარჩენ მინისტრებს ვაზირი კი არ ეწოდებოდა, არამედ თვითოეულს საკუთარი სახელი ჰქონდა, მაგ. „საპიბ ალ ხარაჯ“ მექურჭლეთ-უხუცესს ერქვა, „საპიბ ალ-ბარიდ“ ფოსტისა და მიმოსვლის მინისტრს ეძახდენ და სხვა (A. Kremer. Kulturgeschichte, I, 189—190). გამაჰმადიანებულ სპარსთა ქვეყნებშიაც განახლების დროს სახელმწიფო წესწყობილებასაც არსებობდა ვაზირობა, მაგრამ როგორც სპარსელი ისტორიკოსის ნერშაჰის თხზულებითგან ჩანს, სამანიანთა სამეფოშიც, ბუხარაში, მხოლოდ ერთი ვაზირი ყოფილა, რომელიც აგრეთვე სხვა მინისტრებზე უფროსად ითვლებოდა და სახელადაც „დიდი ხოჯა“ (ხოჯა ბუზურჯ) ეწოდებოდა. აგრეთვე მხოლოდ მის ხელქვეით მყოფ დაწესებულებას ერქვა „ვაზირის დივანი“, დანარჩენ მინისტრებისას კი არა (იხ. Nerchakhy. Description... de Boukhara, publ. par. Schefer, p. 24 და ნ. ლიკოშინის რუს. თარგმანი Мух. Нершахи, История Бухары, გვ. 36; ვ. ბარტპოლდი Туркестан в эпоху Монгольского нашествия, II, 238).

ვაზირს ანუ დიდ ხოჯას ემორჩილებოდა ყველა „კალმის ხალხი“ ანუ მდივნები. მის ღირსების გარეგან ნიშნად ამ დროს და სელჩუკიანთა შაჰების დროსაც, იბნალასირის სიტყვით საწერელი იყო (ვ. ბარტპოლდი. Туркестан, II, 238). ნერშაჰი ამბობს, რომ სამანიანთა ამირამ საიდ ნას-

რმა რიგისტანში თავისთვის სასახლე ააშენებინა. ამ სასახლის კარებთან მან თავისი მოხელეებისათვისაც ააგებინა შენობები და თვითოეულს ჯელისუფალ-თაგანს ცალ-ცალკე „დივანი“ (ესე იგი სამმართველო) ჰქონდა თავის ბინაში. ამგვარად სასახლის აქეთ-იქით შემდეგი „დივნები“ ყოფილა მოთავსებული: 1) ვაზირის დივანი. 2) მუსტაუფის (ხაზინადრის) დივანი, 3) „სამეფოს სვეტის“ (ამიდ-ალ-მულკ) დივანი, 4) მონასპათა მთავრის დივანი (საპიბ შურატ), 5) ფოსტის უფროსის (საპიბ ბერიდ) დივანი, 6) მუშრების დივანი, 7) სახასო მამულების დივანი, 8) მუხტასიბის დივანი, 9) სახელმწიფო ქონებათა (ვაკუფ) დივანი და 10) ყადის მდივანი (Мух. Нершахи, История Бухары, 36 და ვ. ბარტოლდი, Туркестан, II, 238).

სელჩუკიანთა მეფობის დროსაც სპარსეთში, როგორც ვაზირის ნიზამ ულ-მულკის თხზულების „სიასეტ-ნამე“-დან ჩანს, მხოლოდ ერთი ვაზირი ყოფილა, რომელიც სახელმწიფო საქმეების მთავარი გამგე იყო. ნიზამ ულ-მულკი თვითოეული მეფის დროისას მარტო თითო-თითო ვაზირს ასახელებს (იხ. Siasset Namèh, texte persan édité par Ch. Schefer, პარიზი, 1891, გვ. 150—151). მას ამასთანავე ჰგონია, რომ შემკვიდრებობითი ვაზირობა სჯობდა პირადს ვაზირობას და როდესაც ახალ ვაზირს მამაც და პაპაც ვაზირები ჰყავდა, უკეთესი გამოდგებოდა, ვიდრე გამოუცდელი (ნიზამ ულ-მულკი, „სიასეტ ნამე“, იქვე, გვ. 150).

თუ ეს უბრალო შემთხვევა არ არის, მეტად საყურადღებოა, რომ სიტყვა „ვაზირი“ თამარ მეფისა და გიორგი III ისტორიკოსს გარდა არც ერთს სხვა ქართველ მემკვიდრეს არსად ნახმარი არა აქვს, თუმცა სიტყვა „ვაზირი“<sup>1</sup> მოხსენებულია ერთს X—XI<sup>2</sup> საუკუნის ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება „სიტყუს-გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთ მოძღვარისა“, მაგრამ ეფთჳმე გრძელი სომეხთა მოძღვარს ეუბნება: „შეჰკრიბეთ კრება დუნს და დასჩახბეთ განდრეკილი სარწმუნოება განზრახვითა აბდიშო[ა]სითა<sup>3</sup>, რომელი იყო ვაზირი სპარსთა მეფისა წულალები-საგან იაკობ ბ[უ]რჯანელისა“-ო სქ<sup>4</sup>ს სამოთხე, 617). აქ, მაშასადამე, სპარსთა მეფის ვაზირზეა ლაპარაკი და საქართველოსათვის საბუთად ვერ გამოდგება. ამასთანავე საგულისხმეოა, რომ არც ამ „სიტყუს გება“-ში, არც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში სიტყვა „ვაზირი“ ნახმარი არ არის, თუმცა ორივეში ერთი ვაზირთაგანი „მწიგნობართ-უხუცესი“-ა მოხსენებული.

იქნებ სწორედ გიორგი III და თამარ მეფის დროს შემოსულიყოს ეს სიტყვა ქართულში და შესაფერი ქართული ტერმინი განედევნოს ცხოვრებიდან, სიტყვა „ვაზირის“ თავდაპირველი მნიშვნელობა თანაშემწისა და მეშველისა ქართულადაც არის შენახული. თამარ მეფის ისტორიკოსი ამბობს, მაგ., რომ გიორგი III „მთავიდა შირაკად, რომელსა თანა ვაზირი-

<sup>1</sup> საბინის დაბეჭდილი აქვს „ვეზირი“.

<sup>2</sup> ბაგრატ III დროს (იხ. ქ<sup>4</sup>ბი, I, 125—126).

<sup>3</sup> დაბეჭდილია „აბდბასითა“ და „ბრტანელისა“, ასურულად ისინი იწოდებოდნენ „აბდ-შო“-დ და „ბურდენაო“-დ (იხ. კ. ტურაევისა. В. Райт. Краткий очерк истории сиряцкой литературы, 59).

რობდეს იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ“ ამირახორიო (ისტორნი და აზმნი, \*600, გვ. 370, შეად. გვ. 372). „კარის გარიგება“-შიც ნათქვამია: „ამირახორი ვაზირი არის ამირსპასალარი ისა“-ო (9182-183). ორსავე შემთხვევაში „თანავაზირობა“ და „ვაზირი“ თანამემწეობასა და თანამემწესა ჰნიშნავს.

მაგრამ „ვაზირი“ ქართულად განსაკუთრებით მინისტრთა საზოგადო სახელად იქცა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, რომ საქართველოში XII საუკუნეში ერთს უზენაესს მინისტრს კი არა რქმევია ვაზირის სახელი, როგორც არაბთა სახალიფოსა და სპარსეთში იყო მიღებული, ურამედ რამდენიმე ვაზირი ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი და ქართველი ჟამთააღმწერელი ამბობდენ ზოლმე „ვაზირნი“-ო<sup>5</sup> (ისტორნი, \*603, 635, 640 და 647, გვ. 373, 416, 422 და 431; ჟამთააღმწერელი, \*727, 747, 852, 899 და 913; გვ. 543, 574, 697, 740 და 755) და არა „ვაზირი“. „შეკრებს თამარს წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი“-ო, ნათქვამია, მაგალითად, ისტორიანსა და აზმანში (იქვე, \*671, გვ. 461). ქართველი ჟამთააღმწერელიც ამბობს: ლაშა გიორგიმ „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა“ თამარისა (727, გვ. 543). ჯალალედინისათვისაც ავაგ ამირსპასალარს უპასუხნია: „ვაუწყებ თქმულსა მაგას მეფესა და ვაზირთა მისთა“ (იქვე, \*747, გვ. 574). დავით ლაშას ძის შესახებაც ნაამბობია, რომ ის „მიისწრაფოდა პალატად, სადა დახვდეს სპანი და ვაზირნი“ (\*852, გვ. 697). დიმიტრი თავდადებულს „ვაზირთა მეფისათა... ჰრქვეს“ შენ თავს უშველე და სიკვდილს გადურჩებიო. დასასრულ დიმიტრი II ძის დავით მეფის შესახებ სწერია, რომ ის „განეზრახა ვაზირთა, უკეთუ წარვიდე ურდოსა? დაამტკიცეს ვაზირთა წარსულა“-ო (\*913, გვ. 755). თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში ერთს ალაგს აღნიშნულია, რომ თამარ მეფემ „გამოჩენასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტასა“ მწიგნობართუხუცესად ანტონი დანიშნა, ამირსპასალარად კი სარგის მხარგრძელიო (იქვე, \*631, გვ. 409). მაშასადამე, ცხადია, რომ მწიგნობართუხუცესი და ამირსპასალარი ვაზირებად იწოდებოდნენ. როდესაც თამარ მეფემ ივანე მხარგრძელის თხოვნისამებრ ათაბაგობა დააწესა, ამიერთგან და ლაშა გიორგის დროსაც ათაბაგი „იყო ვაზირი კარსა მეფისასა“ (ჟამთააღმწერელი, \*724, გვ. 539). ამგვარად გამოირკვა, რომ მესამე ვაზირიც ყოფილა საქართველოში.

„ველმწიფის კარის გარიგება“-ც ამტკიცებს, რომ „ვაზირი“ საქართველოში მინისტრთა სახელად იყო ქცეული. იქ, მაგ., ნათქვამია: სამეფო დარბაზითგან ღამით „რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჭყონდიდელს წაუძღვების და თვითო სამთა ვაზირთა“-ო (კარის გარიგება, 8155-156). „სამნი ვაზირნი“ საზოგადოდ მრავალჯერ სხვაგანაც არის მოხსენებული „კარის გარიგებაში“ (იხ. მაგ. 1276-278, 13289-290, 13300-301, 14307-310). ჩვენ ვიცით, რომ ჭყონდიდელიც ვითარცა მწიგნობართუხუცესი ვაზირი იყო. მაშასადამე, თუ ამ უკანასკნელ სამ ვაზირსაც მივუმატებთ, უკვე ოთხი ვაზირი გვე-

<sup>5</sup> ამ მხრივ საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსან“-ში „ვაზირნი“ მრავლობით იხსენებან, მაგ. „მეფეთა ესე თათბირი ვაზირთა ნავაზირები“ (იხ. კაკაბაძე, I, გამ. 67<sup>392</sup> კარიჭაშვილი, 67<sup>411</sup>, შეად. აგრეთვე კაკაბაძე, 9<sup>28</sup>, 67<sup>390</sup>, კარიჭაშვილი, 7<sup>24</sup>, 67<sup>408</sup>).



ყოლებდა. მაგრამ ვაზირი ოთხზე მეტიცა ყოფილა და თანაც მათი ვინაობისა და მოხელეობის გამორკვევაც შეიძლება. „ქარის გარიგება“-ში წერია: „მწდენ... დარბაზით ათქს... სამთა ვაზირთა ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესსა“-ო (12276-278), ხოლო რაკი „მეჭურჭლეთუხუცესი ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვაზირი“ იყო (იქვე, 816), დასასრულ იმის შესახებაც ცნობა მოიპოვება, რომ „მსახურთუხუცესიც ვაზირია“ (იქვე, 6100), მაშასადამე, საქართველოში ვაზირებად მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მანდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი ითვლებოდნენ, ესე იგი სულ ხუთი ვაზირი ყოფილა. მაგრამ თავდაპირველადვე ასე არ ყოფილა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მსახურთუხუცესი მხოლოდ რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროში, ამგვარად ცხადია, რომ თამარ მეფის დროს მხოლოდ ოთხი ვაზირი უნდა ყოფილიყო, ხოლო 1212—1213 წ. თამარ მეფემ რომ ათაბაგობა დააწესა, მაშინ ხუთი გახდა საქართველოში, რუსუდანის მეფობაში კი უკვე ექვსი ვაზირი ყოფილა.

ამათგან მწიგნობართუხუცესი პირველი ვაზირი იყო და დანარჩენებზე უფროსი; ხოლო სხვა ვაზირები ორ მთავარ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, რომელთა შორის მცირედი განსხვავება არსებობდა. ერთი იყო „სამთა ვაზირთა“ ჯგუფი, მეორე „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი (ქარის გარიგება, 13300-301 და 14307-310). პირველს ჯგუფს დიდ დარბაზობისა, ვაზირობისა და პურობის დროს უფრო მეტი უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული, ვიდრე მეორეს (იხ. დარბაზობა). „სამთა ვაზირთა“ ჯგუფს შეადგენდნენ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი (იქვე, 12276-278), ხოლო მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი „ვაზირთა ორთა“ ჯგუფს ეკუთვნოდნენ (იქვე, 14307-310). რაკი წინათ XII ს., გიორგი III და თამარ მეფის დროს, 1212 წლებამდის ათაბაგობა საქართველოში არ არსებობდა (იხ. ქლი ერის ისტორია, II, 631) და მხოლოდ XIII ს. დამდეგს 1212, 1213 წ. იყო შემოღებული, ან ორივე ჯგუფი ორ-ორის ვაზირისაგან იქმნებოდა შემდგარი, ან არადა „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში მწიგნობართუხუცესიც იქმნებოდა.

ამას გარდა მეფის კურთხევის წესითგან ჩანს, რომ ვაზირნი და მათი თანამემწენი სხვაგვარადაც ყოფილან ორ მთავარ ჯგუფად დაყოფილნი. მეფეს რომ კურთხევისათვის საყდარში წააბრძანებდნენ, „ამირსპასალარი... (მეფეს) მარჯუენით კერძო ჰყვებოდეს... ეგრეთვე ამილახორი და მებაჭრეთუხუცესი... ამირსპასალარის კერძო ვილოდნენ. ხოლო ჰყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით კერძო ვილოდნენ და სხვანი მთავარნი“-ო (მეფის კურთხ. წესი, 528-64). თუ ამ წესს დაეკვირდებით, მეფის მარჯვნივ სამხედრო უწყების წარმომადგენელნი იდგნენ, ხოლო მარცხნივ სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი. როგორც ჩანს, ამისდა მიხედვით არიან დიდი მოხელეები ამ შემთხვევაში ორ ჯგუფად დაყოფილნი.

ვაზირთა შედარებით უფროს-უმცროსობის გამორკვევაც შეიძლება. დაწვრილებით ეს საკითხი თვითეული ვაზირის შესახებ თავთავის ადგილას იქმნება განხილული, აქ კი მხოლოდ საზოგადო ცნობით უნდა დავკმაყოფილდეთ. თუმცა მწიგნობართუხუცესს გარდა, რომელსაც ვითარცა ყველაზე უფროსს უპირატესობა ჰქონდა, დანარჩენი ვაზირები ერთმანეთის თითქმის

თანასწორნი იყვნენ, მაგრამ მაინც მათ შორის მცირეოდენი განსხვავებაც იყო ვაზირთა შედარებითი ღირსება ცხადად ჩანს მეფის კურთხევის წესში, იქ, სადაც თაყვანისცემასა და მილოცვაზეა საუბარი. ისე იყო მიღებული, რომ მეფისათვის უფროს-უმცროსობისდა მიხედვით უნდა მიელოცათ. კურთხევის წესში ნათქვამია: „პირველად დედოფალმან თაყვანისცეს მერმე კათალიკოზმან, ჰყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთუხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჭურჭლეთუხუცესმან, მსახურთუხუცესმან“-ო (გვ. 816-18). თუ ვაზირთ ავიღებთ, მაშინ პირველობა მწიგნობართუხუცესს ჰკუთნებია, შემდეგ ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, და სულ ბოლოში მსახურთუხუცესი ყოფილა. ცხადია, რომ სანამ თამარ მეფე ათაბაგობას დააწესებდა, მაშინ მწიგნობართუხუცესის შემდგომ ყველაზე უფროსი ვაზირთა შორის მანდატურთუხუცესი იქმნებოდა.

### § 3. მწიგნობართუხუცესი

ვაზირებში ყველაზე უფროსად, როგორც აღნიშნული იყო, მწიგნობართუხუცესი ითვლებოდა. პირველად მწიგნობართუხუცესი მხოლოდ X—XI საუკუნის ძეგლშია მოხსენებული, სახელდობრ იმ ღრტილას მომხდარ სამღვდლო კრებისა და პაექრობის აღწერილობაში, რომელსაც ეწოდებოდა „სიტყუს-გება ბერისა ეფთჳმე გრძელისა ხოსთენის მიმართ სომეხთა მოძღურისა“. ამ თხზულებაში ბაგრატ მეფის თანამედროვედ დასახელებულია „მწიგნობართუხუცესი მეფისა სახელით ეფთჳმე“ (სქ<sup>ს</sup> სამოთხე, 616). ჭრჭერობით ამაზე უწინარეს ქართულს საისტორიო მწერლობაში ჩვენ მწიგნობართუხუცესის ხსენება არ მოგვეპოვება, საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ეფთჳმე მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელად არ არის წოდებული, ამასთანავე, ვგონებ, ერისკაცი უნდა ყოფილიყო და არა სამღვდლო (იხ. იქვე, 616). მეორე ცნობა მწიგნობართუხუცესის შესახებ შენახულია მოსე ხანძთელის მიერ 1085 წელს გადაწერილს გიორგი მთაწმიდელის ახალნათარგმნ თხზულების ბოლოში. ამ წიგნის ანდერძში ნათქვამია, რომ იგი დაწერილია „სალოცველად ღმრთივ-გვირგვინოსანთა მეფეთა ჩვენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა... და კუალად სალოცველად ძმათა ჩემთა იოანე ჰყონდიდელ მთავარეპისკოპოსისა და სუნგელოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართუხუცესისა“-ო (ქ<sup>კ</sup>ბი, I, 232; პ. კარბელაშვილი, „ივერია“, 1889 წ. № 28). ეს ანდერძი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ აქ თარიღიც გარკვეულია და ცნობებიც მკაფიოდ არის გამოთქმული. 1085 წელს, მაშასადამე, საქართველოში მწიგნობართუხუცესობა და ჰყონდიდლობა ჯერ კიდევ შეერთებულ იარყოფილა, არაშედ ერთმანერთისაგან განცალკევებული ორ სხვადასხვა პირს ჰქონია. ამასთანავე მწიგნობართუხუცესი ამ დროსაც ჯერ კიდევ ერისკაცი ყოფილა.

შემდეგში, როგორც ცნობილია, მწიგნობართუხუცესობა და ჰყონდიდლობა განუყრელი იყო და მწიგნობართუხუცესი ყოველთვის ჰყონდიდელიც იყო ხოლმე. მაგრამ იმის გამორკვევა იყო საჭირო, იმთავითვე ასეთი წესი

სუფევდა, თუ შემდეგ იქმნა შემოღებული. ზეპირადაც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ რაკი მწიგნობართუხუცესობა საქართველოში ძველი დაწესებულებაა, იმთავითვე ჰყონდიდლობასთან ვერ იქმნებოდა იგი დაკავშირებული. ჩვენ ვიცით, რომ ჰყონდიდის საეპისკოპოსო საყდარი აავთ და ეპისკოპოსობა დააწესა გიორგი აფხაზთა მეფემ (იხ. ჩემი „ქლი ერის ისტორია“, II, 405—406). მაშასადამე, ამაზე უწინარეს შეუძლებელი იყო მწიგნობართუხუცესი იმავე დროს ჰყონდიდელიც ყოფილიყო, ამის შემდგომ კი, რასაკვირველია, შეიძლებოდა. ზემომოყვანილს ორ ცნობას, „სიტყუსგებ“-იდან, განსაკუთრებით კი მოსე ხანძელის ხელნაწერის ანდერძითგან ამოღებულს, სწორედ ამ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ ნამდვილ ვითარებას ცხადად გვიჩვენებს: მაშინაც, როდესაც ჰყონდიდლობა უკვე არსებობდა, მწიგნობართუხუცესობა და ჰყონდიდლობა ერთი და იგივე არა ყოფილა და ერთის მოხელის ხელში არა ყოფილა. გიორგი II მეფობაშიაც კი, 1085 წელსა, მაგ., ეს ორი თანამდებობა ჯერ კიდევ შეერთებული არ იყო, ორს სხვადასხვა ადამიანს სკერია და მწიგნობართუხუცესი წინანდებურად ერისკაცი ყოფილა.

ხოლო თუ ჩვენ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ გიორგი II შვილის, დიდებულის დავით აღმაშენებლის, მეფობაში უკვე იხსენიება „გიორგი ჰყონდიდელი მწიგნობართუხუცესი“ (ცა მფსა დთსი, \*529 და 534, გვ. 296 და 301) და მწიგნობართუხუცესი უკვე მარტივად ჰყონდიდლადაც იწოდება (იქვე, \*529 და 531, გვ. 295—297), მაშინ ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ ამ ორი თანამდებობის შეერთება პირველად სწორედ დავით აღმაშენებელის დროს და მისივე ბრძანებით უნდა მომხდარიყო.

დაახლოვებით იმ თარიღის გამორკვევაც შეიძლება, როდესაც მწიგნობართუხუცესობა და ჰყონდიდლობა მეფე დავით აღმაშენებელს უნდა შეერთებინა. ამ მხრივ განსაკუთრებულის ყურადღების ღირსი ის გარემოებაა, რომ სამშვილდისა და ძერნას ალების ამბავში, ანუ 1110 წელს, უკვე გიორგი ჰყონდიდელ და მწიგნობართუხუცესად არის მოხსენებული (იხ. ჩემი „ქლი ერის ისტორია“, II). მაშასადამე, მაინცდამაინც 1110 წელს მწიგნობართუხუცესი უკვე ჰყონდიდელიც ყოფილა. მაგრამ მართლ ეს არა კმარა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის-წერაში ამავე გიორგი მწიგნობართუხუცესის შესახებ ასე არის ნათქვამი: „ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა მრავალმაც“ არიან წელნიო (ქკბი, II, 71). ამგვარად, აქ იგი ჰყონდიდლად არ იწოდება და მხოლოდ „მონაზონად“ არის მოხსენებული, საქართველოს კათალიკოზის იოანეს შესახებ კი იმავე ძეგლში სწერია: „იოვანე წმიდის მთავარ-ეპისკოპოზისა ჩუენისა კათალიკოზისა და ყოვლისა საქართველოისა ყოვლადღირსისა მამათ-მთავარისა მრავალმცა არიან წელნი“-ო (იქვე, II, 70). ხოლო რაკი გიორგი მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელ ეპისკოპოსად კი არ არის წოდებული, არამედ უბრალო მონაზონად, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ დროს, ანუ 1103 წელს, მწიგნობართუხუცესისა და ჰყონდიდლობის ღირსება ჯერ კიდევ შე-

ერთე ბუღი არყოფილა. მაგრამ ნიადაგი უკვე მომზადებულია: გიორგი მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო და არა ერისკაცი. ამასთანავე ზემომოყვანილი მისი ქება და ცნობა იმის შესახებ, რომ იგი „თუ ალად წმიდისა ამის კრებისა“ ითვლებოდა ამტიცებს, რომ მას გამოჩენილ სასულიერო მეცნიერისა და მოღვაწის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ღირსეულ პიროვნებად ყოფილა ცნობილი. ზემოთქმულის შემდგომ, მაშასადამე, ცხადია, რომ მწიგნობართუხუცესობისა და ჰყონდიდლობის შეერთება 1103—1110 წლებს შუა უნდა მომხდარიყო.

ამიერიდან მწიგნობართუხუცესობა და ჰყონდიდლობა ერთმანეთისაგან განუყრელი იყო და ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც წესი დარღვეული ყოფილა. ეს შემთხვევა თვით თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში კი არ არის შენახული, არამედ შევსებულ ქ-ც-ში. თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის შეპარული და შემავსებელთ, როგორც საფიქრებელია, ამ ადგილასაც ძველი საისტორიო წყაროთი უსარგებლნიათ, მაშინ ამ შემთხვევის ვითარება ამგვარი ყოფილა.

ერთხელ, სახელდობრ თამარის მეფობის პირველ ხანებში, თურმე მწიგნობართუხუცესობაც და ჰყონდიდლობაც ქართლის კათალიკოზის მიქაელის ხელთა ყოფილა, მაგრამ ეს ყველას უწესობად და უკანონოდ მიაჩნდა: მის უწინარეს მწიგნობართუხუცესად და ჰყონდიდლად ანტონი ყოფილა, მაგრამ „მიქაელ კათალიკოზმან მას მისტაცა მოძმაცვითა ვიეთ-თაქმე მეფის განმზრახათათა“-ო (მ-მ დფ-სი ქ-ცა, გვ. 433, შენ. 9). თვით მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია და თამარ მეფესაც თურმე ჰსურდა ხელისუფლობის მოყვარე მამათმთავარი თავითგან მოეშორებინა (იქვე, გვ. 405, შენ). მაინცადამაინც, მაშასადამე, ეს კანონიერ მოვლენად ვერ ჩაითვლება და ჩვეულებრივ მწიგნობართუხუცესი იმავე დროს ჰყონდიდლად უნდა ყოფილიყო<sup>6</sup>.

როდესაც საქართველოში სიტყვა „ვაზირი“ შემოვიდა, ყველაზე უწინარეს მწიგნობართუხუცესს შეჰშვენოდა ეს სახელწოდება და, მართლაც, თამარ მეფის ისტორიკოსი მას არაერთხელ და ორჯერ უწოდებს ვაზირს. თვით თამარ მეფე შიომღვიმის მონასტრისადმი 1202 წ. ნაბოძებ სიგელში ამბობს: „მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი ჰყონდიდელი მთავარეპისკოპოსი მწიგნობართუხუცესი“-ო (ს. კაკაბაძე, შიომღვ. სამი სიგელი, გვ. 74—5).

ვინ იყო და რა უფლება-მოვალეობის პატრონი იყო მწიგნობართუხუცესი? დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გიორგი ჰყონდიდელ მწიგნობართუხუცესზე ამბობს: იგი იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჯორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, გან[მ]ზრახნი სვიანი და ფრთხილი... თანა-გან[მ]კაფელი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა“ მეფისათაო (ქ-ა მფ-სა დთ-სი, \*534 გვ. 301). მწიგნობართუხუცესი, მაშასადამე, იყო მეფის „გამზრახნი“ ანუ მრჩეველი და მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის „თანა-განმკაფელი“, ანუ თანამშრომელი. იგი

<sup>6</sup> დავით ლაშას ძის დროს ბასილი მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელიც ყოფილა და უქარბელიც (ქამთაღ., \*846, გვ. 691).

„თავ[ს] აღგა... პატრონის მსახურებათა“ (იქვე, \*535, გვ. 301), ესე იგი მეფის მსახურებას სათავეში უდგა.

ამგვარი საზოგადო განმარტება, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. საბედნიეროდ, მასალები საშუალებას გვაძლევენ უფრო ზედმიწევნითაც განვსაზღვროთ მწიგნობართუხუცესის უფლება-მოვქალობანი. მწიგნობართ-უხუცესი უნდა ყოფილიყო „ბრძენი და გონიერი, პატრონთათვის სვიანი და ურთგული და შემეცნებელი საურავთა“ (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*631, გვ. 409). მას „საურავნი“ ჰქონდა და საქმე სწორედ ამ საურავების გამორკვევა არის. ერთს ქართულს კარაბადინში (წ. კ. გ. ს. ხელნაწერი № 1274) სხვათა შორის მწიგნობართუხუცესის შესახებ შემდეგი საყურადღებო ცნობა მოიპოვება: ამ კარნუ-ქალაქიდან რუქნადინის დამარცხების შემდგომ ალაფად მოტანილ სააქიმო წიგნის გადმოთარგმნა მიბრძანაო „ქრისტეს მიერ პატრონმან ჰყონდიღელმან, მისმან მწიგნობართ-უხუცესობამან, პროტოპერტიმოსმან<sup>7</sup> და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონება-მოზაემან და საღმრთო მათა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და ქელისამჰყობელმან უღონოთა და ქუჩითა მან“-ო (ე. თაყაიშვილი. Опис., I, 641); ამ მოკლე, მაგრამ მეტად საგულისხმიერო და შინაარსიან ცნობითგან ჩანს, რომ მწიგნობართუხუცესი „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ ყოფილა, ამასთანავე „მართლმსაჯული და ქელისამჰყობელი უღონოთა და ქუჩითა“.

ამას გარდა, შევსებულს ქც<sup>ში</sup> იქ, სადაც ისტორიკოსს საუბარი ახალი მწიგნობართუხუცესის დანიშვნის შესახებ აქვს, ნათქვამია: თამარ მეფე დიდს საგონებელს მიეცა და „გონებდა თუ ვის მიიანდოს დავით და სპათვისი და განსაგებელი სახლისათვისისა“-ო (მ<sup>მ</sup> დფ<sup>სი</sup> ქც<sup>ა</sup>. გვ. 433, შენ. 9). მაშასადამე, მწიგნობართუხუცესს ებარა სახელმწიფო სახლის „განსაგებელი“, სამეფოს სპა და თვით თამარ მეფის თანამეცხედრეც კი, დავით მეფე, მისი საზრუნავი უნდა ყოფილიყო. ქართველი უამთაალმწერელის სიტყვებიდან ჩანს, რომ მწიგნობართუხუცესის უფლებას „სამეფოსა და სახლის განგება“ შეადგენდა. როდესაც, მაგ., დავით ლაშას ძემ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება დაარღვია და ბათო ყაანთან გამგზავრებისას უბრალო მესტუმრე ჩიქური მწიგნობართუხუცესის მაგიერ სამეფოს უზენაეს გამგებლად გახადა, მეფემ მას „ქელთ უდვა სამეფოსა და სახლისა განგება“ (უამთაალ., \*813, გვ. 657). რომ მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი მართო სახელმწიფო საქმეების მთავარი გამგეკი არ იყო, არამედ იგი ამასთანავე მესტუმრე ჩიქურივით „გამგებლად სახლისასამეფოსა“ (იქვე, \*813, გვ. 656) იყო ხოლმე და სამეფო, მეფის საკუთარი და პირადი ქონების საგამგეოს უზენაეს მმართველად ითვლებოდა, ამას ის გარემოებაც აბტკიცებს,

7 1202 წ. თამარ მეფის სიგელშიც ეს სიტყვა არის ნახმარი „პროტოპერტიმოსი“ (წიგნი. ისტ. საბ., 26; შეად. ს. კავ. შიგნი. სამი სიგელი, გვ. 74—5, სადაც „პროტოპერტიმოსი“-ა დაბეჭდილი). ეს სიტყვა ბერძნულია. ბიზანტიაში არსებობდა  $\pi\rho\acute{o}\tau\omicron\upsilon\mu\omicron\varsigma$  „ჰქერტიმოს“-ისა პარტეი (იხ. Служава восточн. Визант. и госуд. 158—159). მაშასადამე, „პროტოპერტიმოსი“ ჰქერტიმოსთ-უხუცესს უნდა უღიოდეს.

რომ როდესაც ბასილ მწიგნობართუხუცესმა „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“, თურმე „დ ი ა დ ე წ ყ ი ნ ა მ ე ფ ე თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა თ ა“ (იქვე, \*846, გვ. 691). ერთი სიტყვით, როგორც ეტყობა, მეფის შემდგომ მწიგნობართუხუცესი ქვეყნის უზენაესი მზრუნველი, საზოგადო კეთილდღეობისა და წარმატების მოურნე და პოლიტიკისა და მიმართულების საქეთმპყრობელი იყო.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ საისტორიო მასალების ცნობები საუცხოვოდ მტკიცდება „კარის გარიგებით“. იქ მაგ. ნათქვამია: „მწიგნობართუხუცესი ვითა მამა არს მეფისა, ეგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“-ო (461—62). ეს აზრი, რომ „ქყონდიდელი მამა არის მეფისა“, მეორეჯერაც არის აღნიშნული ამ ძეგლში (1937). ხოლო თუ არც ერთი „საურავი“ სახელმწიფო საქმე შეუძლებელი იყო, რომ უმწიგნობართუხუცესოდ გარჩეულიყო, მაშასადამე, იგი, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც ნათქვამი აქვს, მეფის მუდმივი „განმზრახი“, მრჩეველი და თანამშრომელი, მისი სახელმწიფო მოღვაწეობის „თანა-განმკაფელი“ იქმნებოდა და იყო კიდევც.

მაშასადამე, ყველა მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მწიგნობართუხუცესი ქყონდიდელი და ვაზირთა უპირველესი საქართველოს სახელმწიფოს საქეთმპყრობელი იყო და თვით მეფეც კი მის დაუკითხავად არ მოქმედებდა, „ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“, ამის გამო უნებლიეთ იბადება საკითხი მწიგნობართუხუცესის უფლების სამზღვრებისა ან განუსაზღვრელობის შესახებ. იყო თუ არა საქართველოში იმის მსგავსი რაც არაბთა სახალიფოში გვხვდება და რასაც არაბი სჯულისმეცნიერი განუსაზღვრელ ვაზირობას უწოდებდენ? შეეძლო თუ არა საქართველოში მწიგნობართუხუცესს სრულიად დამოუკიდებლად ემოქმედნა? ქართულ ყველა წყაროდან ჩანს, რომ არა, არ შეეძლო. ამის შესახებ პირდაპირი ცნობაც კი მოგვეპოვება და ცხადად ეტყობა, რომ „საურავთა ქმნა“ მწიგნობართუხუცესს ქყონდიდელს და ვაზირთა უპირველესს არც შეეძლო „თვინიერ მეფისა კითხვისა“, მას ამის უფლება არა ჰქონდა. ქართველ ჟამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს კიდევც, რომ რაკი ბასილ ქყონდიდელმა მეფე დავით ლაშას ძის მოუცლევლობით ისარგებლა და „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“, მეფის მიერ სიკვდილად იქმნა დასჯილი (\*846, გვ. 691). მაშასადამე, როგორც მეფეს უმწიგნობართუხუცესოდ სახელმწიფო საქმეები არ უნდა განეგო, ისევე არც ამ ვაზირთა უპირველესს შეეძლო „თვინიერ მეფისა კითხვისა“ ემოქმედნა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტის დროს.

მწიგნობართუხუცესი ქყონდიდელი მოვალე იყო სახელმწიფოს საზოგადო კეთილდღეობისათვის ეზრუნა, თაოსნობა და ფხა გამოეჩინა ამ საქმეში, მოთავე ყოფილიყო „განზრახვათა კეთილთა სამეფოსათვის და ერისა უმჯობესათვის“ (შეესებული ქცა, მშდ უსი ქცა გვ. 433, შენ. 9).

იგი ამასთანავე სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო, მის უფლებათა დამცველი. სტეფანოს ორბელიანი ამბობს, მაგ., რომ იმ დავის გარჩევის დროს, რომლითაც ორი სომეხთა მონასტერი ერთიერთმანეთს ვერცხლის

ჯვარს ეცილებოდა, სამეფოს წარმომადგენლად დიდი ჰყონდიდელი მწიგნობართუხუცესი იყო (იხ. *ყაამიძის თან შჩასკანს*, მოსკოვის გამ., გვ. 260—261).

შევსებული ქცის ზემომოყვანილს ცნობაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მწიგნობართუხუცესს ჰქონდა მინდობილი საქართველოს სამეფოს სპაც. რაკი ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო საქმე ამირსპასალარს ებარა და იგი იყო ჯარის მთავარი სარდალი, ამიტომ უნებლიედ საკითხი იბადება, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ სპა მწიგნობართუხუცესსაც ჰქონოდა მინდობილი. ქართული საისტორიო წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ სანამ მეფე დიდი ომის გამოცხადებას გადასწყვეტდა, საქართველოში წესად ყოფილა, რომ მეფის „წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი“ შეიკრიბებოდნენ და განზრახული სამხედრო მოქმედების შესახებ სჯა ჰქონდათ. ამ კრების გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული „დაასკენიდა“ იგი ომს და „მიმართებას“ თუ არა (ისტორი და აზმნი, \*671, გვ. 461, იხ. აგრეთვე \*711, გვ. 516). ვითარცა „ვაზირთა ყოველთა უპირველესს“ და ისეთს ხელისუფალს, ურომლოდაც არა „საურავის“ გადაწყვეტა არა შეიძლებოდა, ომიანობისა თუ მშვიდობიანობის გადაწყვეტის საკითხშიც მას, რასაკვირველია, თავისი ძლიერი გავლენა ექმნებოდა. როდესაც ბქობა ომიანობის დაწყობას დაასკენიდა, მეფე ბრძანებას გასცემდა ხოლმე „წუვეად ლაშქრისა“ (იქვე, \*667, გვ. 456). შევსებულს ქც-ში უფრო ვრცელი ცნობები მოიპოვება ამ საგნის თავობაზე. აბუ-ბაქარ ათაბაგის წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ ბქობა იყო და კრებამ ომი დაასკენა. თამარ მეფემ მწიგნობართუხუცესს და ჰყონდიდელს ანტონს „ესრეთ უბრძანა: „ისწრაფეთ დაწერად და მამაცურითა სიტყვითა მიმოდასდევით ბრძანება რათა მსწრაფლ შემოკრბეს მკედრობა“-ო (მ-მ დღ-სი ქც-ა გვ. 462, შენ. 1). მაშასადამე, კანონით მწიგნობართუხუცესს და არა ამირსპასალარს უნდა დაეგზავნა ლაშქრის წვევის წიგნები და ჯარის შეყრის შესახებ ბრძანება გაეცა. და ამ მხრივ მართლაც სჩანს, რომ მშვიდობიანობის დროს მწიგნობართუხუცესს სპაზეც მიუწვდებოდა ხელი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი, თუმც მონაზონი, ომშიაც მიდიოდა და საქართველოს მხედრობას ბრძოლის ველზე მიჰყვებოდა. შევსებულს ქც-ა-ში მაგ. აღნიშნულია, რომ, როდესაც თამარ მეფემ აბუბაქარის წინააღმდეგ საომრად ჯარი გაისტუმრა, მან „თანაწარბტანა ანტონი ჰყონდიდელი“-ო (მ-მ დღ-სი ქც-ა, გვ. 462, შენ. 5). რომ შევსებული ქცის ეს ცნობა მართალია, ეს თვით თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითაცა მტკიცდება, რომელიც ამბობს, რომ შამქორის ომის „ეამსა მწიგნობართუხუცესი ანტონიცა წინაშე იყო... და (მეფე დავითმა) მას უბრძანა წარძღუან[ებ]ა ძელისა ცხორებისა რომელ არს სკიპტრა და ჯა[ჭვ]-ქური მეფეთა“ (ისტორი და აზმნი, \*672, გვ. 464). ბრძოლა რომ დაწყებულა, იგი საომარ ველს მოჰშორებია, ხოლო შემდეგ ომიდან ძლევა მოსილებით გამოსულს მეფე დავით სოსლანს იქვე „მიეგება წინა ანტონი ვაზირი“-ო, „რომელმან რი დობითა მონაზონობისათა არა იკადა მახვილი და მისრულმან ორითა ყმითა შემოაქცია სამასი ჯორი და აქლემი“-ო (ისტორი, და აზმნი, \*675-676, გვ. 468-469). ერთი სიტყვით, ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ შევსებული ქც-ა არა

სტყუის და მწიგნობართუხუცესს მართლაც საქართველოს სპაზე ზრუნვა ედვა ვალად. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ისტორიკოსის სიტყვები „არა იყადა მახვილი“-ო, თითქოს მწიგნობართუხუცესს, თუმც მონაზონს, მაინც ვითარცა ვაზირთა უპირველესს მახვილი ჰქონდეს და ჰკუთნებოდეს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მწიგნობართუხუცესი იყო აგრეთვე „მართლმსაჯულნი... და ხელდასამკაცრთა... და დაქვრივთა“. ამ საგნის თაობაზეც „ქარის გარიგება“-ში უფრო ვრცელი ცნობები მოიპოვება. „ჰყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ~~ობოლთა და ქვრივთა~~ და მიმძღავრებულთა მოჩივართა განიკადხადეს“-ო, ნათქვამია იქ (350—51). მაშასადამე, მწიგნობართუხუცესი, მართლაც, ქვრივობოლთა და უღონოთა საჩივრებს არჩევდა, როდესაც კი ისინი თავიანთ თავს დაჩაგრულად და მიმძღავრებულად სთვლიდნენ: იგი მათი მფარველი, „ხელისმპყრობელი“ და მათ შელახულ უფლებათა აღმადგენელი უნდა ყოფილიყო. „რაც ვის უსამართლო სჭირს, არ მოეშვეების, რომ არ დაუურვოს“ მწიგნობართუხუცესმა-ო, ნათქვამია „ქარის გარიგება“-ში (355—56). ამგვარი საჩივრების გასარჩევად ორშაბათი დღე ყოფილა დაწესებული.

მწიგნობართუხუცესს ვითარცა სახელმწიფოს უზენაეს მოურნეს საქურკლესთანაც ჰქონია კავშირი: „ქარის გარიგება“-ში ნათქვამია, მწიგნობართუხუცესი „საქურკლესაც შეევა“-ო (461), ალბათ როგორც მთავარი ზედამხედველი.

მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი ვითარცა მთავარეპისკოპოზი და ვაზირი სასულიერო და საერო, სახელმწიფო ხელისუფლობისა და დიდების შემაერთებელი იყო. იგი დიდ მონაზონთა ჯგუფშიაც ირიცხებოდა და ვაზირთა ყოველთა უპირველესადაც ითვლებოდა. მაგ., „ქარის გარიგება“-ში „პურობის“ წესის აღწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია: „მწღე... დარბაზით ათქს ოთხთავე. მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა (ორს, ქართლისას და აფხაზეთისას), ჰყონდიდელსა, და სამთა ვაზირთა: ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესთა“-ო (12276—290). შემდეგ კი სწერია: „ამირეჩიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა წვევაო“ (იქვე, 13289—290). მაშასადამე, მწიგნობართუხუცესიც ოთხთა მონაზონთა ჯგუფში ყოფილა მოქცეული.

ამიტომაც მწიგნობართუხუცესს ეკითხებოდა ყველა საქმე ეკლესიებისა და მონასტრების, სამღვდელოებისა და მოწესეთა შესახებ. შევსებულ ქუცაში სწორედ ამიტომაც არის ნათქვამი ანტონი მწიგნობართუხუცესისა და ჰყონდიდელის შესახებ, რომ იგი იყო „შემეცნებული საურავთა ეკლესიათა და მონასტერთა“-ო (მწმღწიქუცა, გვ. 433, შენ. 9). საეკლესიო და სამონასტრო საურავნი პირადად მას ეკითხებოდა ხოლმე და მათი კარგი ცოდნა აუცილებელი იყო მწიგნობართუხუცესისათვის. ამ აზრს „ქარის გარიგება“-ც ადასტურებს. იქ სწერია: „გელათისაგან კიდე, საყდარ [ნ]ი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ზუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი არიან, ყველა ჰყონდიდლისა და საწოლის მწიგნობრის საჯელოისა“ არიანო (457—58).



თავისთავად ცხადია, რომ მწიგნობართუხუცესს ვითარცა ვაზირს ეკლესიაზე ხელი მხოლოდ იმ მხრივ მიუწვდებოდა რამდენადაც ეკლესია სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული, — მაშასადამე, ეკლესიის შეუვალობისა და სხვადასხვაგვარი უპირატესობის მინიჭებისა თუ წართმევის საკითხებს ეხებოდა, როდესაც ქონებრივი დახმარება და მისი კანონიერი გადაწყვეტილების იძულებითი სრულყოფაც საჭირო იყო. ამას გარდა, როდესაც მეფეს ჰსურდა ეკლესიისადმი საჩქარო მიწერილობა დაეგზავნა, ბრძანებას მწიგნობართუხუცესის პირით შეუთვლიდა ხოლმე. შევსებულ ქ<sup>ა</sup>-ში, მაგ., ნათქვამია, თამარ მეფემ აბუბაქრ ათაბაგის წინააღმდეგ ვალაშქრების გადაწყვეტის შემდგომ ანტონ მწიგნობართუხუცესს უბრძანა: „მიუძვინით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდინ ყოველთა ადგილთა“-ო (მ<sup>მ</sup> ლ<sup>ფ</sup>სი ქ<sup>ა</sup>, გვ. 462, შენ. 1). მაინცდამაინც წმინდა საეკლესიო-იერარქიული და დოგმატიკური საკითხების განხილვა და გადაწყვეტა მხოლოდ თვით საქართველოს მამათმთავარს ქართლისა კათალიკოსს და ადგილობრივს საეკლესიო კრებას შეეძლო და ამ სფეროში მწიგნობართუხუცესს ხელი არ მიუწვდებოდა. მართო განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც, მაგ., შიომღვიმის მონასტრის მიერ არჩეული წინამძღვრის დამტკიცება არის, საქართველოს მთავრობას უფლება ჰქონდა ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარეულიყო. დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის მონასტერს საქართველოს კათალიკოსის თანხმობით არაჩვეულებრივი უპირატესობა მიანიჭა, სამოსამაჩთლო შეუვალობა და კათალიკოსისაგან დამოუკიდებლობა უწყალობა ისე, რომ რაკი მონასტერი წინამძღვარს „მთავარ-მემღვმე“-ს წილისყრით („წილგდებით“) აირჩევდა, მას პირდაპირ მეფე ამტკიცებდა, დარბაზს მოსულს არგანს უწყალობებდა და ამ გვარად მონასტერის მართვა-გამგეობას ჩააბარებდა ხოლმე. „რაცა საქმე და საუბრავი მათი (ესე იგი ამ მონასტრისა) იყოს, მწიგნობართ-უხუცესი იყოფოდის“ მოუწინედ და „რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეო“, ვინც მწიგნობართ-უხუცესად იყოფიდა, იგი იურვოდის“. ხოლო „არცა ქართლისა კათალიკოსისა საქმე არს მღვმესა ზედა, არცვის სხვისა ეპისკოპოსისა“-ო ნათქვამია დავით აღმაშენებლის ანდერძში (ს. კაკაბაძის გამ., გვ. 13—14, თ. ჟორდანიას შიომღ. ისტ. საბუთები, 18).

უეჭველია აგრეთვე, რომ როდესაც მთავრობა საეკლესიო საქმეებში ჩარევას ღამობდა, მას ამის განხორციელება მხოლოდ მწიგნობართუხუცესისავე საშუალებით შეეძლო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მაგ., ამბობს: დიდებული მეფის დროს „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვი[სა] [და] ყოველისა განგებისა საეკლესიო[ისასა] დარბაზის კარით მიიღებდია(ნ)“-ო (ც<sup>ა</sup> მგ<sup>სა</sup> ლთ<sup>სი</sup>, \*553, გვ. 320-321). რასაკვირველია, მთელი ეს ცნობა ძალზე გაზვიადებულია და გადაჭარბებული, მაგრამ იმდენადაც, რამდენადაც მაშინ სახელმწიფო მთავრობას უფლება ჰქონდა საეკლესიო საკითხებში ჩარეულიყო, მას ამ თავის უფლების განხორციელება ალბათ მწიგნობართუხუცესის საშუალებით შეეძლო. ვაზირთა შორის მხოლოდ იგი იყო მღვდელთმთავარი და სასულიერო პირი და ვითარცა სამეფოს პირველს ხელისუფილს სხვებზე მეტად ამგვარს საქმეებზე ზრუნვა მას შეეძებინდა.

როგორც „მწიგნობართ-უხუცესის“ თვით სახელწოდებითგანაც ჩანს, სწორედ მის ხელქვეით მოხელეებად „მწიგნობარნი“ უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო იგი მწიგნობართა მთავარი იქმნებოდა. „მწიგნობარი“ უკვე ქართლის ერისთავის სტეფანოზის დროს არის მოხსენებული ვითარცა მოხელე, რომელიც მთავრის ბრძანებით „ქართა“-ს საბუთებს ადგენს (თხოობა სასწაულთათჳს წმიდისა... შიოსთა, ს<sup>ქ</sup>ს სამოთხე, გვ. 258). „მწიგნობარი“ მეფისა გიორგი II 1078 წელს „ბრძანებისა და სიგელის“ შემდგენელად და მწერლადაც ჩანს (ქ<sup>ქ</sup>ბი, II, 50). ბაგრატ IV „მწიგნობარი“ იხსენიება „გიორგი მთაწმიდელის ც<sup>ა</sup>“-ში: როდესაც მეფემ შეიტყო გიორგი მთაწმიდელის ფოთში ჩამოსვლის ამბავი, მეფემ „მეყსეულად წარგზავნა მწიგნობარი თჳსი და უბრძანა დიდითა პატივითა წარ[მო]ყვანებაჲ ბერისა“ (ათონის კრებული, 319). მაშასადამე, აქ მწიგნობარი საგანგებო მინდობილობათა მოხელეა ჰგავს. ხოლო 1189 წელს თამარ მეფის მიერ გელათის მონასტრისადმი ნაბოძებს სიგელში მოხსენებულია „საწოლისა და საკუთრებისა მწიგნობარი“ (ქ<sup>ქ</sup>ბი, II, 74). „მწიგნობარი“-ს სახელი სტეფანოს ორბელიანმაც იცის. მას სხვათა შორის მოთხოვნილი აქვს, რომ ტარსაიჲ ათაბაგი ტფილისში ჩამოვიდა და რაკი უნდოდა, რომ სომეხთა მონასტრებს შეუვალობა მიჰნიჭებოდა, ამიტომ „მოატანინა სამეფო დივანი (ყ<sup>ყ</sup>ქსანს არქონს) და ყოველი დავთარი (ჯამქნასჯან ჯამქარის), გადიკითხა და რაკი დავთარში სომეხთა მონასტრების სახელები ეწერა, ხარკსა და დივანს რომ ექვემდებარებოდენ, მოაყვანინა მწიგნობარი მთავარ დივან-სამწიგნობროსი (ჯამქინასჯარ ასაჯ ყ<sup>ყ</sup>ქსანსაჲყ<sup>ყ</sup>ქსანს), დავთარი გამოსცვალა და 150-ზე მეტი მონასტრის სახელები ამოშალა, ხოლო ძველი დავთარი კი დასწვა და ამ გზით ყველა ეკლესია გაააზატა“-ო (წათმობქინ თანს შ<sup>ქ</sup>სასკარ, მოსკოვის 1861 წ. გამოც., გვ. 312—313). მაშასადამე, ყოფილა აგრეთვე „მთავარ დივანსამწიგნობროს“ განსაკუთრებული „მწიგნობარი“, რომელსაც ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები ებარა და იცავდა. იგი ამ სახელმწიფო დავთარხანის მოხელე ყოფილა, სადაც ყოველგვარი სახელმწიფო საბუთები ინახებოდა.

გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში ამას გარდა მოხსენებულია „გიორგი მწერალი რომელი ყოფილიყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა“ (ათონის კრებული, გვ. 288). სამწუხაროდ, დანამდვილებით გადაწყვეტა ჯერ ძნელია, მწერალი და მწიგნობარი ერთი და იგივე თანამდებობა იყო თუ არა? მაგრამ რაკი იმავე თხზულებაში სხვაგან მეფის მწიგნობარიც არის დასახელებული (იქვე, 319), ამიტომ ვგონებ ჰქუასთან უფრო ახლო უნდა იყოს, თუ დავასკვნით, რომ „მწიგნობარი“ და „მწერალი“ სხვა და სხვა მოხელენი უნდა ყოფილიყვნენ. ამისდა მიხედვით „მწერალთა მთავარი“-ც ალბათ „მწიგნობართ-უხუცესი“ არ იქმნებოდა. ყურადღების ღირსია, რომ ზემოხსენებული „მწერალთა მთავარი“ X საუკ. ჯერ ერისკაცად ყოფილა, ხოლო შემდეგ (ალბათ თანამდებობის მიტოვების შემდგომ) ბერად აღკვეცილა (იქვე, 288-289).

როგორც ბაგრატ IV 1058 წ. შიო მღვიმეს მონასტრისადმი ნაბოძები სიგელითგანა ჩანს, ზოგჯერ ამ ორ „მწიგნობრისა“ და „მწერლის“ თანამდებობათა შეერთება შეიძლებოდა: სწორედ ამ საბუთში ნათქვამია: „დაიწერა პრძანებაი და სიგელი ესე... ჴელითა იოვანე მწიგნობრისა-მწერლისაითა“-ო (შიო მღ-ს სბ-ბი, 4). მაშასადამე, ეს იოვანე მწიგნობარი ყოფილა მწერალიც.

მწიგნობართა შესახებ უფრო მეტი ცნობებია შენახული „კარის გარიგება“-ში. იქ, სადაც დიდ დარბაზობაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, ნათქვამია: „ზარდახნის მწიგნობარი საწოლის მწიგნობრის გვერდით დგას, ეგრეთ(ვე) საწერელი აქვს ილღისა... ესენი ყოველნი პირისპირ დგანან. სხვანი მწიგნობარნი ოცდაოთხნი საწერლებით ჴყონდიდელის მკარს“ დგანანო (1635—373). ამ საყურადღებო აღწერილობითგანა ჩანს, რომ სულ 26 მწიგნობარი ყოფილა, რომელთა შორის ერთს მართლაც, როგორც უკვე თამარ მეფის ზემომოყვანილ სიგელშია ნათქვამი, „საწოლის მწიგნობარი“ რქმევია, ხოლო მეორეს „ზარდახნის მწიგნობარი“. დანარჩენ 24 მწიგნობრის ნიშანდობლივი სახელი „კარის გარიგება“-ში აღნიშნული არ არის. ამიტომ ჴერჯერობით გადაჭრით არაფრის თქმა შეიძლება, „საკურქლის მწიგნობარი“, რომელიც თამარ მეფის იმავე სიგელშია დასახელებული, ამ 24 მწიგნობრის ჴგუფში შედიოდა, თუ მათ გარეშე იდგა და მწიგნობრებში განცალკევებული ადგილი ეჭირა?

ყველა 26 მწიგნობარს განსაკუთრებულ სამოქმედო ნიშნად „საწერელი“ ჴქონია. საწოლის მწიგნობარსაც „საწერელი აქვს თავისი“-ო (1945). როგორც ეტყობა, ამ 26 მწიგნობარს შორის ყველაზე უფროსი, რაც მოსალოდნელიც იყო, საწოლის მწიგნობარი ყოფილა. ვითარცა სამეფოს საწოლის მწიგნობარი იგი რასაკვირველია მეფესთან დაახლოვებული და გავლენიანი პიროვნება იქმნებოდა. მეორე ადგილი ზარდახნის მწიგნობარს ეჭირა, ხოლო დანარჩენი 24 მწიგნობარი, როგორც ჩანს, თანასწორი იყო ღირსებით. ეს უფროს-უმცროსობა და თანასწორობა სხვათა შორის იმაში ემჩნევა, რომ „ხუთი ფურცელი ქაღალდი ყოველთა დღეთა ჴყონდიდელსა, სამი ფურცელი საწოლის მწიგნობარსა, ორი ფურცელი ზარდახნის მწიგნობარსა და თუთო ფურცელი სხვათა მწიგნობართა“ (463—66) უნდა მისცემოდა. ხოლო რომ საწოლის მწიგნობარი დანარჩენ ყველა მწიგნობარზე მალა იდგა და უფროსი იყო, იმითაც მტკიცდება, რომ ვაზირობის დროს მწიგნობართაგან „საწოლის მწიგნობარს“ გარდა არავის უფლება არა ჴქონდა ვაზირთა ბჴობას დასწრებოდა, ზარდახნის მწიგნობარი კი ამ უფლებას მოკლებული ყოფილა: იგი დარბაზს გარეთ იდგა და თუ ვაზირები დაიბარებდნენ, მხოლოდ მაშინ შეეძლო დარბაზში შესულიყო და ბრძანება მოესმინა (კარის გარიგება, 19458—20460).

საწოლის მწიგნობარი მართლმსაჯულებაში მწიგნობართუხუცესის თანაშემწე ყოფილა და როდესაც ვაზირთა უპირველესი „სააჯოსა კარსა შიგან“ დაჯდებოდა ხოლმე შოჩივართა განსაკითხავად, მას ყოველთვის „საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის“-ო (იქვე, 352).

საეკლესიო და სამონასტრო საკითხებშიაც საწო-

ლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცესის უფლების თანამოზიარე და მონაწილე იყო: „ყველა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობარის საჯელოისა“ არისო (იქვე, 457—59).

ამას გარდა, სიგელის პიცემის დროს „ქრთამი“ უნდა გამოელო ამას, „სიგელი ვისცა უბოძონ“ და თავი და თავი წილი აქეთგან „ჰყონდიდლისა და საწოლის მწიგნობარის ქრთამი“ იყო (იქვე, 589). აქაც სხვა მწიგნობრებთან შედარებით მას დიდი უპირატესობა ჰქონდა და მწიგნობართუხუცესის თანაშემწედ და ჩანს. დიდი დარბაზობის დროსაც საწოლის მწიგნობარს სხვა მოხელეებზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა (კარის გარიგება, 12283 და 292).

საწოლის მწიგნობარსავით ზარდახნის მწიგნობარიც მწიგნობართუხუცესს „მოჩივართა განკითხვის“ დროს ეხმარებოდა, მაგრამ მას შედარებით ნაკლები უფლება ჰქონდა. მწიგნობართუხუცესი „ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს რაც ვის რა სკირს“-ო, ნათქვამია „კარის გარიგებაში“ (352—54). თუ რომ ამ გაგზავნილს მოხელეს საქმის გარიგება არ შეეძლო და სამართალს იგი ვერ იქმოდა, „რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების (მწიგნობართუხუცესი?) და რა ჟამსაც ჟამი იყოს, თუთ მივა და მაშინ იურვისო“-ო (იქვე, 354—55). მაშასადამე, სამოსამართლო საქმეებში ზარდახნის მწიგნობარი ვაზირთა უპირველესის წარვლენილი მოხელე, მისი მინდობილობათა აღმასრულებელი და ნაცვალია.

ზარდახნის მწიგნობარს, როგორც თვით მისივე სახელწოდება მოწმობს, რასაკვირველია, განსაკუთრებით მაინც ზარდახანთან უნდა ჰქონოდა საქმე, მაგრამ მის ყოველდღიურ მოვალეობათა შესახებ ამ დაწესებულებაში ჩვენ ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ ზარდახნის უხუცესთან ერთად ზარდახნის „მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახანს შევლენ და ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ და საანგარიშოსა გოდორსა შიგან ჩასდებს“ (კარის გარიგება, 9194—195 და 10204—205). მაშასადამე, ზარდახნის მწიგნობარი საანგარიშო საბუთებს აწარმოებდა და ზარდახნის ანგარიშის სიმართლეს თვალყურს ადევნებდა.

ყველა მწიგნობარი მწიგნობართუხუცესის „ქუეშეთი საქმის მოქმედი“ იყო, მისი ბრძანების აღმასრულებელი. მათი საქმე განსაკუთრებით წერა იყო, მაგრამ სასაურვოც. მწიგნობართ „ჰყონდიდელი გადასცემს (რაც დასაწერი არის) და ასწერენ და იურვიან რაც სასაურვო იყოსო“-ო, ამბობს „კარის გარიგება“-ც (20460—461).

მეფისა და მწიგნობართუხუცესის ბრძანებით მწიგნობარნივე სწერდნენ სიგელებსა და სხვადასხვა წყალობის, შეწირულების ან შეუვალობის წიგნებს. დიდმნიშვნელოვან სიგელებს თვით საწოლის მწიგნობარი სწერდა (1189 წ. თამარ მეფის სიგელი, ქკბი, II, 74) ან მეფის მწიგნობარი (1078 წ. სიგელი, ქკბი, II, 50).

როდესაც სიგელი ან წყალობის წიგნი კერძო პირს ეძლეოდა, „შეწყალე-ბულს“, რომელსაც საბუთი უნდა მიეღო, მწიგნობრისათვის გასამრჯელო უნდა მიეცა. მას შემდგომ, როცა სიგელისათვის დაწესებულ „ქრთამს“ მწიგნობართა უხუცესი და საწოლის მწიგნობარი ჩაიბარებდენ, „რომელსაც დაეწეროს, მას უკან მან მისი აილოს“-ო (ჯარის გარიგება 588-89). იმას გარდა რომ იგი საბუთს სწერდა, „დაბეჭდავს მწიგნობარი“-ვეო (იქვე, 6114).

დასასრულ ორიოდ სიტყვა მწიგნობართუხუცესის მდგომარეობის შესახებ ვაზირთა შორის. ვაზირები ვითარცა საქმის გამგებელი ხელისუფალნი საერთოდ თანასწორნი იყვნენ (ჯარის გარიგება, 9177-178 და 19443-444), მაგრამ მათ შორის მაინც მცირედი განსხვავება იყო. ზოგი ვაზირობა ძველი იყო, ზოგი შედარებით ახალი, ზოგი კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვნად ითვლებოდა. ამისდა მიხედვით მათი პატივისცემაც ცოტათი განსხვავდებოდა.

ამ მხრივ დარბაზობის დროს ვაზირნი ორ ჯგუფად იყოფოდნენ: „სამთა ვაზირთა“ და „ორთა ვაზირთა“ ჯგუფად და პირველს მცირეოდენად უფრო მეტი პატივისცემა ჰქონდა (ჯარის გარიგება, 14305-310). მაგრამ ყველაზე მეტი პატივი ვაზირთა შორის რასაკვირველია მწიგნობართუხუცესს ეკუთვნოდა: იგი ხომ „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ იყო, ანუ როგორც რომაელები ამბობდნენ იგი იქნებოდა „primus inter pares“, რასაც ქართველები „უწარჩინებულეს ყოველთა სწორთა“-ს უძახდნენ (ყამთაღმწერელი, \*733 გვ. 553). მწიგნობართუხუცესის უპირველესობა ვაზირთა შორის როგორც მის უფლებაში გამოსჰვივოდა, ისე იმ უპირატესობაშიც, რომელიც მას ვაზირობის დროს მინიჭებული ჰქონდა (იხ. ამის შესახებ ქვემოთ „ვაზირობა და „დარბაზობა“). მეფის კურთხევის წესშიაც მწიგნობართუხუცესს ვაზირთა შორის უფროსობა ცხადად ემჩნევა: დედოფლისა და კათალიკოზის შემდგომ ყველაზე უწინარესად სწორედ მას, მწიგნობართუხუცესს და ჰყონდიდელს, უნდა მიელოცნა მეფისათვის სამეფო ტახტზე აბრძანება და მეფედ ცხება, ხოლო მერმე დანარჩენ ვაზირებს (გვ. 816-17).

მის უწარჩინებულებობის გარეგან გამოხატულობად და თვალსაჩინო ნიშნად კი შემდეგი უპირატესობა იყო: როდესაც დარბაზობას და პურობას ბინდი და ღამე შემოესწრებოდა, წესად ყოფილა დადებული, რომ „რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჰყონდიდელს წაუქლევების და თითქოსამთა ვაზირთა და სხვათა არავის“-ო (ჯარის გარიგება, 8155—156).

ყველა ზემოთქმულის შემდგომ შეიძლება უკანასკნელ საკითხსაც შევეხოთ. მწიგნობართუხუცესი, როგორც გამორკვეული იყო, მხოლოდ დროთა განმავლობაში 1103—1110 წ. შუა, დავით აღმაშენებლის მიერ ჰყონდიდელად იქცა, წინათ იგი ერისკაცი იყო, ხოლო ვაზირის სახელი ქართულ საისტორიო მწერლობაში გიორგი III (ან იქნებ დემეტრე I) მეფობაში ჩნდება.

თვით სახელწოდება „მწიგნობართ-უხუცესი“ მშვენიერად უდრის ძველ სპარსულს, ფაალურს „დაბირბედ“-ს, რომელიც აგრეთვე მწიგნობართა მთავარს ჰნიშნავდა და ერთ-ერთი მთავარი ხელისუფლის სახელი იყო. მას შაჰის მწიგნობარნი და დავთარხანა ექვემდებარებოდა და სახელმწიფოს ბეჭედი ებარა (Th. Nöldeke, Tabari Geschichte და Arth. Christensen. L'Empire des Sassanides, 1907, გვ. 30, 38—40).

ამის გამო მწიგნობართუხუცესის თანამდებობა საქართველოშიც შეიძლება ძველისძველი იყოს. მაგრამ ქართული მწიგნობართუხუცესი სპარსულ „დაბირბედი“-საგან მიიწვით თვალსაჩინოდ განსხვავდება: სპარსეთში მას ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონდა და პირველ ვაზირად არ ითვლებოდა, როგორც საქართველოში იყო. სასანიანთ სამეფოში ვაზირთა უპირველესად ჯერ „პაზარაპატი“, ანუ „ათასისთავი“ და „ვაზურგ-ფრამადარი“ იყო (Christensen. იქვე, 32), მერე აგრეთვე „სპაპბეტი“ ანუ სპაპბეტი (Nöldeke და Christensen. 30, 33). სასანიანთა სახელმწიფოში „დაბირბედ“-ს ანუ მწიგნობართუხუცესს არასდროს პირველი ვაზირის პატივი არა ჰქონია.

ქართველი მწიგნობართუხუცესი თავისი უფლებით ცოტა არ იყოს ბიზანტიის სახელმწიფოს პირველ მინისტრსაც მიაგავდა, რომელსაც განსაკუთრებული სახელი არა ჰქონია და არც რაიმე სამინისტრო ებარა, მაგრამ ყველაზე ხელი მიუწევდებოდა და სახელმწიფოს უზენაესი გამგე იყო (Н. Скабаланович. Византийское государство и церковь въ XI веке, გვ. 178—179).

მაგრამ საქართველოს მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი და ვაზირთა უპირველესი ბიზანტიის პირველი მინისტრისაგანაც არსებითად განსხვავდებოდა. ჯერ ერთი ის, რომ ბიზანტიის პირველი მინისტრი შეიძლება კარის კაციც ყოფილიყო, ერთი ვაზირთაგანიც, ერის კაციც და სასულიეროც. ამასთანავე პირველ მინისტრად დანიშვნის შემდგომაც ის თავის წინანდელს თანამდებობასაც (თუნდა ერთ-ერთ ვაზირობასაც) თავს არ ანებებდა, ხოლო ვითარცა ვაზირთა უპირველესს მას არავითარი განსაკუთრებული სახელწოდება არა ჰქონდა (Н. Скабаланович. იქვე, 178).

ამასთანავე ყურადღების ღირსია, რომ ეს მუდმივი თანამდებობა კი არ იყო, არამედ კეისრის პირად სურვილზე იყო დამოკიდებული: თუ მას პირად ღნდოდა ქვეყნის მართვა-გამგეობა, პირველ მინისტრს სრულებითაც არ დანიშნავდა (იქვე, 178—179).

ყველა ამ მხრივ საქართველოს მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი ბიზანტიისას არ მიაგავდა. ამასთანავე ქართველი მწიგნობართუხუცესი ვითარცა მწიგნობართა ყოველთა უფროსი ბიზანტიელს „პროტო-ასიკრიტ“-სა ჰგავს (იქვე, 174—175), მაგრამ, რასაკვირველია, მწიგნობართუხუცესს მეტი მნიშვნელობაც ჰქონდა, უფლებაც და გაცილებით უფრო ვრცელი და ფართო მოვალეობაც ედვა კისრად.

#### § 4. ამირსპასალარი და მისი სახელისუფლო

ამირსპასალარი, როგორც თვით სახელიც მოწმობს, სახელმწიფო მხედრობისა და სპის წინამძღოლი და სარდალი უნდა ყოფილიყო. იგი სამხედრო მინისტრს უდრიდა. გასაოცარი ეს არის, რომ ეს სიტყვა „ამირსპასალარი“ პირველად მხოლოდ გიორგი III და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში გვხვდება (ისტორი და აზმნი, \*598, 616, 622, 629—630, 631, 657; გვ. 368, 389, 396, 407, 409, 444, და სხვაგანაც ბევრგან).

შემდეგ კი, მაგ. ლაშა-გიორგისა, რუსუდანიისა, დავით ლაშას ძისა, დიმიტრი თავდადებულისა და ვახტანგ მეფეთა დროს ამირსპასალარი მრავალ-

ჯერ იხსენიება (იხ. უამთაალ., \*843, 862, 903, 890, 886 გვ. 688, 706, 744, 732, 729).

არც დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ნაწარმოებში, არც „მატიანე ქართლისაჲ“-ში და არც სხვა რომელსაჲე საისტორიო თხზულებაში სიტყვა „ამირსპასალარი“ არ მოიპოვება. სამაგიეროდ ყველა ზემოაღნიშნულ ნაწარმოებში მოხსენებულია „სპასალარი“. მაგ., ივანე ლიპარიტის ძის შესახებ „მტნე ქა“-ში ნათქვამია: იგი „იყო თავად თავადთაჲე თანა ამის სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა“ (\*497, გვ. 268). ზოლო როდესაც დავით დიდმა კურაპალატმა სკლიაროსის წინააღმდეგ ბერძენთა კეისარის თხოვნისაებრ მისაშველებელი ქართველი ჯარის გაგზავნა გადასწყვიტა, „სპასალარად თორნიკ განაჩინეს“-ო (ცა იე სი და ეფთჳმესი, 11). არც XI ს. ისტორიკოსების ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებში მოიპოვება „ამირსპასალარი“. მათის სიტყვით ფარნავაზის და ვახტანგ გურგასლის დროს საქართველოს ჯარების უფროსს „სპასპეტი“ ეწოდებოდა (ცა მეფეთა, \*129—130, გვ. 21; ცა მსა ვხტნ გსი \*306, გვ. 125) და, მართლაც, ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. მაინცდამაინც ცხადია, რომ მაშინ, არაბთა გამოჩენამდე, „ამირსპასალარ“-ობა შეუძლებელია რომ ყოფილიყო.

მართლის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს „ამირსპასალარი“ მოხსენებული არა ჰყავს, ვერავითარ საბუთად ვერ გამოდგება იმიტომ, რომ საზოგადოდ მას ხელისუფალთა შესახებ ძალიან ცოტა ცნობები აქვს აღნიშნული. მაგრამ რაკი დანარჩენ ქართულ საისტორიო მწერლობაში და ხელნაწერთა მინაწერებსა და ანდერძშიაც იგი არსადა გვხვდება, ამიტომ ამ გარემოებას უნდა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. იქნებ შოშავალში, თუ ყველა მასალა შესაფერისის გულისხმიერებით განხილულ იქმნა, გამოირკვეს კიდევ, რომ საქართველოს სამხედრო მინისტრს მართლაც მხოლოდ XII ს-ში ეწოდა „ამირსპასალარი“-ს სახელი.

სიტყვა „ამირსპასალარი“ არაბულ-სპარსული რთული სიტყვაა, პირველი არის არაბული „ამირ“, ზოლო მეორე სპარსული „სიფაჰსალარ“. მაგრამ თვით სპარსულში და არაბულში ი ამ გვარი ო რ ნ ა წ რ ლ ე დ ი ს ი ტ ყ ვ ა „ამირსიფაჰსალარ“ არ ი ხ მ ა რ ე ბ ო დ ა. არაბულ სამხედრო ტერმინოლოგიაში „ამირ“ 10000 ჯარისკაცის მხედართმთავარს ეწოდება, რომელსაც ხელქვეითად ჰყავდა 10 „ყაიდი“. თითო მათგანს 1000 მეომარი ემორჩილებოდა (A. von Kremer. Kulturgeschichte des Orients, I. 237), წმინდა გობრონის წამებითგანა ჩანს, რომ „ყაიდ“-ს, ანუ როგორც შემატანე სტეფანე მტბევეარ ეპისკოპოსი წერს „კაეტ“-ს, მართლაც 1000 კაცი ჰყოლია ხელქვეით, მაგრამ 10000-ც შეიძლებოდა ჰყოლოდა. იქ ნათქვამია: სარკინოზთა მეფემ გამოგზავნა საქართველოში ამირა აბულ ყასიმ ძე აბუსაჰისი და „აღჭურა ერითა მრავლითა. კაეტებითა რჩეულითა, რომელთა ჰყუანდა ათასეული და ბევრეული“-ო (სქს სმთხე, 395). მაშასადამე, თუ „კაეტ“-ს ბევრეული ან 10000 მეომარი შეიძლებოდა ჰყოლოდა, მაშინ ამირა 10000-ზე მეტის მბრძანებელიც იქნებოდა. მაგრამ მაინც არაბულად მთავარ სარდალს ამირსპასალარს კი არ უძახდენ, არამედ „ამირალ-ჯუღუშ“-ს. სპარსეთში კი ჯარის მბრძანებელს მარტივად „სიფაჰსალარი“ (ვ. ბარტოლდი Туркестан, II, 238), ანუ სპასალარი ეწოდებოდა და თავში ქართულისავეით „ამირ“-ი არ უჯდა.

„ამირსპასალარი“-ს უმთავრესი მნიშვნელობა ქართულში ლაშქრის საბრძოლველად და წინამძღოლობა უნდა ყოფილიყო და აკი ქართველი უმთავრესი მწიგნობარი ამბობს „მხედართმთავარი... არს ამირსპასალარი“-ო (\*862, გვ. 706). სამხედრო მინისტრის მოქმედება საქართველოში უფლებით შეზღუდვილი უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ მეფეები თვით იყვნენ სახელმწიფოს ჯარის წინამძღოლად და მთავარსარდლად, ომშიც თითონ მიდიოდნენ და ბრძოლასაც თითონ უწევდნენ საზოგადო ხელმძღვანელობას. ასე იქცეოდნენ მემკვიდრეობით სიტყვით ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV და გიორგი II. ხოლო დავით აღმაშენებელის შესახებ მისი ისტორიკოსი ამბობს, რომ იგი ომში მუდამ გულად წინუძღოდა თავის ლაშქარს და „თვთ მეფე არა ვითარცა სხუაი ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვსთა ანუ შორით უზრახებდა ვითარცა ერთი მრავალთაგანი, არამედ უპირატეს ყოველთა თვთ წინა უვიდოდა“ და პირადის მაგალითით თავის ჯარს ამხნევებდაო (ცა მფსა დთსი, \*525, გვ. 292). დემეტრე I და გიორგი III დროსაც სამხედრო მინისტრს ფართო სამოქმედო ასპარეზი არ ექმნებოდა. მხოლოდ თამარ მეფის დროს, სანამ იგი ქმარს მოიყვანდა, ამირსპასალარს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კიდევ. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ თამარის ქმრის დავით სოსლანის დროს საქართველოს მხედრობის მთავარსარდლად ამირსპასალარი კი არა სჩანს, არამედ თვით ომში წამავალი მეფე დავით ამირსპასალარი წინამბრძოლად იყო (ისტორნი და აზმნი, \*701, გვ. 501).

ამიტომ შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ თამარ მეფემდე ამირსპასალარის არსებობის საკითხი არც კი ყოფილიყოს. მათ მაგიერ სამხედრო საქმეს თვით მეფე განაგებდა, ხოლო „სპასალარნი“ თანამშრომლებად ჰყავდათ. ამ აზრს ადასტურებს დავით აღმაშენებელის მოქმედებაც. მაგ., როდესაც მეფემ ყივჩაყნი საქართველოში გადმოიყვანა და მათგან მუდმივი ჯარი შექმნა, მან „დაუდგინა სპასალარნი და მმართველნი“ (ცა მფსა დთსი, \*536, გვ. 302). ივანე ლიპარიტის ძეც ბაგრატ IV დროს სპასალარად არის წოდებული და არა ამირსპასალარად (მტნე ქა, \*497, გვ. 268). მაგრამ მაინც ამგვარი დასკვნა სწორი არ იქნებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებითგანა ჩანს, რომ მაინცადამაინც უკვე გიორგი III დროს საქართველოს სამხედრო მინისტრად ამირსპასალარად იწოდებოდა, ესე იგი მაშინც, როდესაც სახელმწიფოს გამგედ მოქმედი და გულადი მეომარი სარდალი-მეფე იყო. მაშასადამე, საქართველოს სამხედრო მინისტრის ამირსპასალარად წოდება რალაც სხვა მიზეზის შედეგი უნდა იყოს.

საქართველოში ლაშქრის მთავარ გამგებლად ისეთს განთქმულს მეომარს ნიშნავდნენ, რომელიც თორნიკით „წყობათა შინა აღზრდილიყო და სალაშქროთა საქმეთა“ (ცა იენის და ეფთჳმისი, 15), ან ამირსპასალარ სარგის მხარგრძელივით იყო „აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ქაბულობათა“ (ისტორნი და აზმნი, \*631, გვ. 409, შეად. აგრეთვე, \*670, 460 გვ., 461), ან გამრეკელ-თორელსავეთ, რომელიც სარგისის შემდგომ ამირსპასალარად იყო დადგენილი, „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“-ს (იქვე, \*607, გვ. 378) სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.



თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებითგან ჩანს, რომ ამირსპასალარის საზრუნავად საზოგადოდ ის უნდა ყოფილიყო, რასაც „სალაშქრონი საქმენი“ (მტნე ქმ, \*470—471, გვ. 244) ერქვა ხოლმე. რასაკვირველია საქართველოსა ლაშქართა საქმე და განგება“ (ყამთა-აღ., \*874, გვ. 718) მის ხელში უნდა ყოფილიყო. უეპველია, რომ „ლაშქრობათა მეცადინეობანი“ და „მხედართა განწესებანი“, „სპათა დაწყობათა ლონენი და მიმართებანი“ რომელნიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით მეფის საზრუნავს შეადგენდენ (ცა დთსი, \*551, გვ. 319), ამირსპასალარის პირდაპირ მოვალეობად უნდა ყოფილიყო.

როდესაც მეფე თვით ომში არა ბრძანდებოდა, ჯარის წინამძღოლობა და სარდლობა ამირსპასალარს ედგა ვალად (ისტრნი და აზმნი, \*652, გვ. 438): მაგ., თამარ მეფემ რომ საქართველოს შეერთებული მხედრობა სპარსეთში გაგზავნა, მთავარსარდლად სწორედ ამირსპასალარი იყო (იქვე, \*712, გვ. 516). ამირსპასალარისავე მოვალეობად ითვლებოდა ლაშქრობის გეგმისა და მოქმედების შემუშავება და განხორციელება (იქვე, \*708—709, 710—711, გვ. 512, და 515). ამირსპასალარი ამის გარდა ვითარცა მთელი ჯარის თავი და წარმომადგენელი სხვა მხედართმთავრებს „შეუძღვებოდა“ ხოლმე, როდესაც ძლევამოსილი ლაშქარი შინ დაბრუნდებოდა და მეფეს წარუდგებოდა (იქვე, \*718, გვ. 525).

ეს დაკვირვება და დასკვნა, თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების მიხედვით შედგენილი, „ქარის ვარიგებითაც“ მტკიცდება: „ლაშქრობა და ლაშქრობისა ვაზირობა ამირსპასალარის კელთარის. მას წინათ არავინ იტყვის რამ ვაზირობა იყოს“-ო (9181—182). მამასადამე, როდესაც ვაზირთა ბეობა იყო თმიანობის დაწყობის შესახებ, პირველად ამირსპასალარს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი. ამასთანავე „ამირსპასალარი საპატიო ვაზირი არის და თავადი ლაშქართ“-ო (იქვე, 19441—442).

ამირსპასალარს ვითარცა ლაშქართა თავადს საქართველოს მთელი ჯარი და ყველა მხედართმთავარი ემორჩილებოდა, მისი ბრძანების შემკითხველნი და აღმასრულებელნი იყვნენ. როდესაც, მაგ., თაყაიადინ თმოგველი ამირსპასალარის მიერ მოწინავე რაზმის „მხედართ მთავრად“ დანიშნული ამირსპასალარის ბრძანებისდა მიუხედავად შეებრძოლა მტერს და სდია მას, ისე, რომ ეს ამბავი მას არც აცნობა, ბრწყინვალედ გამარჯვებულსაც კი „აბრალე ბდეს თაყაიადინს და უმეტეს ზაქარია (ამირსპასალარი) მქისედ ეტყოდა ამბისა უცნობელად შებმისათვის“-ო (ისტრნი და აზმნი, \*713, გვ. 519).

საქართველოს სამეფოს მთელი ჯარი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: ერთი იყო „ქუეითნი ლაშქარნი“, მეორე „მხედარნი ლაშქარნი“ ლეონტი მროველს, მაგ., ერთი ბრძოლის აღწერილობაში ნათქვამი აქვს: მეფემ „განაწესნა“ ქუეითნი იგი არაგუსა იმიერ და ამიერ სიმაგრეთა შინა კართასა, ხოლო მხედრითა ლაშქრითა განვიდა“-ო (ცა მწთა, \*165-166, გვ. 41). შემდგომში როდესაც განსაკუთრებით ცხენოსანი მეომრობა შემოვიდა, „მხედრობა“ ხშირად მნიშვნელობით სპასა და

ლაშქარს უდრიდა. დანიშნულებისა და მიხედვითაც საქართველოს ჯარი ორ მთავარ ჯგუფად იყო დანაწილებული: ერთი ნაწილი ლაშქარისა განკუთვნილი იყო „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“ (ცა მფსა დთსი, \*533, გვ. 300), რომელსაც ციხეებისა და „ქალაქისა მცუელნი“ (ისტრნი და აზმნი, \*714, გვ. 520), „მცუელნი ქალაქისანი“ (ქმთლმწერელი, \*647 და 648, გვ. 575) და „ციხოვანი“ („მტნე ქა, \*510, გვ. 279) შეადგენდნენ. რაწამს საქართველოს ჯარი მტრის ქვეყანას იპყრობდა, მაშინვე იქაურ ციხეებში მცველებს ჩააყენებდნენ ხოლმე (იხ. მაგ. ცა მფსა დთსი, \*512, გვ. 281 კარის შესახებ; იქვე, \*544, გვ. 311 ანისის მცუელთა და შირვანის ციხეების შესახებ და სხვაგან ბევრგან). მეორე ნაწილი მეფისა და მთავარსარდლის თანამყოფელად და მოლაშქრედ“ (ცა მფსა დთსი, \*533, გვ. 300) იყო. მოქმედ საომარ ძალას შეადგენდა.

ხოლო შემადგენლობისა და გვარად საქართველოს ლაშქარში შედიოდნენ: 1. „სამეფოსა სპანი“ (ცა მფსა დთსი, \*536, გვ. 302), რომელიც საქართველოს ყოველ კუთხეთგან და თემითგან ცალ-ცალკე გამომავალი სააზნაურო და მოყმეთა ჯარი იყო, სპანი იმერნი და ამერნი“ (ისტრნი და აზმნი, \*701, გვ. 500), როგორც, მაგ., ტაოს „ქუეყანისა ლაშქარი“ (იქვე, \*637, გვ. 419) და ჯარები კლარჯთა, შავშთა, მესხთა, თორელთა, სომხითართა, ქართლელთა და სხვათა (იქვე, \*610 გვ. 382—383). ამ „ლაშქართა“ თავთავისი „პატრონი“ ჰყავდათ (იქვე, \*703, გვ. 503) და ამის გამო მთელი შეიძლება საპატრონ-ყმო ლაშქარი ვუწოდოთ.

დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ ხანებში ეს ჯარი პატარა იყო, არსებობდა მხოლოდ „მცირე გუნდი მხედრობისა“ (ცა მფსა დთსი, \*560, გვ. 328). მაშინ საპატრონ-ყმო ლაშქარი ასე მცირე რიცხოვანი იმიტომ ყოფილა, რომ სეღჩუქიანთა მძლავრობისა და აოხრებისაგან „სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა... და შემცირებული ტყუეობათა და... ქირთავან“ (იქვე).

ამასთანავე თვით მეომარნიც სიმცირეს გარდა „შეჯანებული მრავალგზის მტერთაგან სივლტოლისათა“ თურმე „უტხენონი, უსაქურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“ (იქვე) ყოფილან. გასაოცარის მხნეობისა და დაუღალავის შრომის წყალობით დავით აღმაშენებელმა ის შესძლო, რომ საქართველოს ეს ჯარიც მძლავრ საომარ იარაღად გარდაქმნა: თანდათან მან „თვისისა სამეფოსა სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი“ (იქვე, \*536, გვ. 302) მედგარი მტრის ღირსეულ მოწინააღმდეგედ აქცია.

2. ყივჩაყთა მუდმივი ჯარი, 40000 „წყობად განმავალნი“, რომელიც პირველად დავით აღმაშენებელმა 1118 წ. გადმოიყვანა და გადმოსახლა (იხ. ქლი ერის ისტორია, II, 514-516). მეფემ თავისი ახალი ლაშქარი და მეომარნი „განასრულნა ცხენებითა და საქურველითა“ (ცა მფსა დთსი, \*535, გვ. 302), ამასთანავე „დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართველნი“ (იქვე, \*536, გვ. 302).

ამ აღმაშენებლის მიერ გადმოსახლებულ ყივჩაყთა მუდმივ ჯარს გარდა, რომელიც თამარ მეფის დროს უკვე ნახევარზე გაქართველებული იქმნებოდა, თამარის დროს სჩანან კიდევ „ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი“ (ისტ

ტრნი და აზმნი, \*669, გვ. 458). მხოლოდ ჭერჭერობით დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, ესენიც წინანდლებივით გადმო-სახლებულები იყვნენ, თუ დროებით იყვნენ მოსულნი საქართველოში.

უფრო კი საფიქრებელია, რომ ახალი ყივჩაყანი „სამსახურად“ იყვნენ ჩამოსულნი იმიტომ, რომ ისტორიკოსის სიტყვით: შანქორის ომის უწინარეს, როდესაც ქართველები აბუბაქარ ათაბეგის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის ემზადებოდნენ, „მას ეამსა ძმა ყივჩაყთა მეფისა სევიჩისა სავალათი აქა იყო სამსახურად დიდითა ლაშქრითა“ (ისტრნი და აზმნი, \*667, გვ. 456-457).

3. მასადაამე, მესამე ჯგუფს „სამსახურად“ მყოფი კავკასიის მთიულთა ჯარი ეკუთვნოდა.

4. დასასრულ დავით აღმაშენებელმავე დააწესა მეფის პირადი მცველი ჯარი „მონა-სპებალ“ წოდებული (ისტრნი და აზმნი, \*622, გვ. 397). როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, ესენი იყვნენ „მონანი მეფისანი“ (ცა მფსი დთსი, \*542, გვ. 310), რომელნიც „პყუეს რჩეულნი“ დავით აღმაშენებელს „ვითარ ხუთ ათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“ (ცა მფსა დთსი, \*535, გვ. 302, აგრეთვე \*549 და 550, გვ. 317).

ყოველთვის, როდესაც საქართველოს მეფე და სამეფო მტერთან საომრად ემზადებოდა ან ძლიერს ომში იყო, თავდაპირველად ომიანობის დაწყებამდე და ზავის ჩამოგდებაამდე მეფე დიდებულ ხელისუფლებს და დარბაზის ერს დაეკითხებოდა ხოლმე. მაგ., როდესაც შარვანშაჰ ფადლუნმა, სანამ ქართველები შანქორის „დალეწილ“ ქალაქისა და ზღუდეების აღებას შეუდგებოდნენ, მეფე ბაგრატ III-ეს მოციქული მოუგზავნა და ზავი სთხოვა და მორჩილება, ყოველწლიური ხარჯის ძლევა და მსახურება აღუთქვა, საქართველოს მეფემ ვიდრე გადაჭრილს პასუხს შეუთვლიდა, „უბრძანა და შეემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინააშე მისისა“ და მათ ომიანობის განგრძობასა და დაზავებაზე დაეკითხა. ამ დიდებულთა საბჭოს წევრებმა „სიბრძნითა გამოარჩიეს და უმჯობესად აწვიეს ზავი“-ო და მეფემაც ამის შემდგომ მოაჯე ფადლონს მოგზავნილის მოციქულის პირით დაზავების დასტური შეუთვალა (მტნე ქა, \*470—471, გვ. 244). თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგანაც ვიცით, რომ ყოველ დიდმნიშვნელოვან სამხედრო მოქმედებას „დარბაზის“ თათბირი და ბჭობა წინ უძღოდა ხოლმე (იხ. ქლი ერის ისტორია, II, 603 და 604 შანქორის ომისა და სპარსეთში ლაშქრობის ამბავი).

რაკი „დარბაზი“ ლაშქრობას და ომს „დაასკენიდა“ („დამასკუნელმან ლაშქრობისამან“, ისტრნი და აზმნი, \*610, გვ. 382; „დაასკუნეს ლაშქრობა“, ისტრნი და აზმნი, 711, გვ. 516), ამის შემდგომ იწყებოდა „წუევეა ლაშქრისა“ (ისტრნი და აზმნი, \*667, გვ. 456) ანუ „სპათა“ (მტნე ქა, \*468, გვ. 242), „წუევეა ლაშქართა“ (ვეფხისტყაოსანი, კაკაბ., 642<sup>69</sup>, კარიქ., 643<sup>88</sup>). ამისათვის ხელმწიფე ბრძანებას „გასცემდა“ („განსცა ბრძანება“, ისტრნი და აზმნი, \*667, გვ. 456) ხოლმე, რომ საქართველოს ჯარისათვის დაეგზავნათ „წიგნები წუევისა“ (ცა მფსი დთსი, \*544, გვ. 311 და შეესებულნი ქცა, მმ დფსი ქცა, გვ. 500, შენ. 9).

ლაშქრის წვევის ბრძანების გაცემის უფლება მხოლოდ მეფესა ჰქონდა (ისტორი და აზმნი, \*638, 667, 708, 709; გვ. 420, 456, 512). ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ თვით თამარ მეფის ქმრის მეფე დავით სოსლანის შესახებაც კი ნათქვამია, რომ „მეფემან (დავით) შემყრელ მან სპათამან ბრძანებითა თამარისითა“ გაილაშქრა პართთა ქვეყანაში (ისტორი და აზმნი, \*638, გვ. 420).

ლაშქრის „წუევისა“-თვის განსაკუთრებული მოხელეები, „კაცი“ იყვნენ (მტნე ქა, \*468, გვ. 242), რომელთაც „ლაშქრის მწუეველნი“ (სუმბატ. ცა და უწყება, \*574, გვ. 344) ერქვა. ჩვეულებრივ ლაშქრის მწვეველებად „შიკრიკნი და მალემსრბოლნი“ (ისტორი და აზმნი, 667, გვ. 456, აგრეთვე შეესებული ქა, მამ დჟსი, ქცა, გვ. 500, შენ. 9) იგზავნებოდნენ ხოლმე.

„წუევის წიგნებში“ აღნიშნული იყო ხოლმე ვადა ანუ „პაემანი“ (ცამჟსა დჟსი, \*531, გვ. 298 და \*610, გვ. 382), როდესაც ჯარი საომრად გამოწყობილი უნდა გამოცხადებულიყო.

წიგნებში, მასადაამე, „მზაობა“ (ცამჟსა დჟსი, \*531, გვ. 298) იყო ნაბრძანები და აღნიშნული იყო, რომ ბრძანა „მეფემან რათა მზა იყუნენ სპანი მისნი“ (ისტორი და აზმნი, \*709, გვ. 513). თანაც დასახელებული იყო ხოლმე პაემანი მზაობისა და შეყრისა. ამის შემდგომ ლაშქარნი „ეკაზმოდეს და ემზადებოდეს“ (ისტორი და აზმნი, \*671, გვ. 461), „იწყებდენ კაზმად“ (იქვე, \*709 და 711; გვ. 513 და 516).

აღნიშნულს „პაემანს“ და ადგილს საქართველოს სამხედრო ძალა მზად გამოწყობილი უნდა შეკრებილიყო. ამას „სპათა“ ანუ ლაშქართა შეყრა“ ეწოდებოდა („შემყრელმან სპათამან“, ისტორი და აზმნი, \*638, გვ. 420; ლაშქართა „შემყრელნი“, იქვე, \*667, გვ. 457).

შეყრილ ჯარს მეფე ჯერ დაათვალიერებდა და გაუსინჯავდა იარაღსა და მოკაზმულობას ხოლმე. ამას „სპათა განახვა“ ეწოდებოდა (ისტორი და აზმნი, \*711, გვ. 516). მაგ., როდესაც სპარსეთში გასალაშქრებლად გამზადებული საქართველოს მხედრობა აღნიშნულ პაემანს ტფილისში შეიყრა, თამარ მეფემ „განახვნა სპანი მისნი და იხილა აბჯართა კეთილთა და პათიოსნითა და მოუწონა აბჯართა და ცხენკეთილობა მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა“ (ისტორი და აზმნი, \*711, გვ. 516). ეს „განახვა“ ერთგვარი აღლუმი იყო, როგორც იგი შოთას „გეფხისტყაოსან“-შია აღწერილი:

აღლუმი ვნახე. მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა  
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა.

და ტაიქთა მათთა სიმალე, აბჯართა ხუარაზმულობა.

(კაკაბ., გვ. 64370; კარიჭ., გვ. 64389).

როდესაც მეფე თვით არ მიბრძანდებოდა ხოლმე ომში, მაშინ ლაშქრის განახვის შემდგომ მეფე სახელმწიფო დროშას სასახლითგან გამოატანინებდა, დალოცავდა ჯარს და დროშას ამირსპასალარს ჩააბარებდა. ამის შემდგომ ლაშქარი საომრად დაიძვრებოდა ხოლმე. თამარ მეფემ სპარსეთში მიმავალი საქართველოს სპა რომ განიხილა და ცხენკეთილობა და აბჯარკეთილობა მოუწონა, ამის შემდგომ ისტორიკოსის სიტყვით „მოილო დროშა სვიანად ხმარებული გორგასრიანი და დავითიანი და შევედრა მასვე ვარ-

ძიის აღმართის მუხებელსა დროშა და ლაშქარი დალოცა... და მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა და წარემართნეს სპარსეთად“-ო (ისტორი და აზმნი, \*712, გვ. 516—517).

ჯალალედინის შემოსევის დროსაც რუსუდან მეფემ „მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა (რომელიც ამასთანავე ამირსპასალარიც იყო)... განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა [თავად]. უბოძა დროშა სამეფო სეიანი, წარავლინა ბრძოლად სულტანისა“ წინააღმდეგ (წამთააღმწერელი, \*744, გვ. 566—567).

ამ ომში საქართველოს ჯარის დამარცხების დროს, როგორც ჩანს, სახელმწიფო დროშას რაღაც განსაცდელი დასტყდომია თავს და ამის გამო შემდეგში, როდესაც რუსუდანმა საქართველოს ლაშქარი მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაისტუმრა, „თვით დროშა სეფე არა წარგზავნა საქმისათვის ივანე ათაბაგისა“-ო (წამთააღმწერელი, \*760, გვ. 588).

ძღვეამოსილი ლაშქრობითგან რომ მობრუნდებოდა ხოლმე საქართველოს ჯარი, განსაკუთრებით თუ მეფე თვით ბრძოლის ველზე არ იყო, მაგრამ ისედაც, ჯერ მახარობელს მეფეს, ან დედოფალს აახლებდნენ, შემდეგ როდესაც თვით ლაშქარიც და დიდებულნიც დედაქალაქს მოაღწევდნენ, მაშინ კვლავ დარბაზობა იმართებოდა და ამირსპასალარი ვითარცა ჯარის მთავარი წარმომადგენელი დანარჩენ მხედართმთავრებს შეუძღვებოდა, ომის ამბავს მოახსენებდა და უფრო თელსაჩინო ნადავლსა და ძღვენსა მიართმევდა (ისტორი და აზმნი, \*604, გვ. 374—375; გვ. 505, შენ. 4, \*718, გვ. 525).

დასაჩუქრებისა და ნადავლის განაწილების შემდგომ მეფე ლაშქარს დაითხოვდა ხოლმე. ამას „ლაშქართა გაყრა“ ეწოდებოდა (იქვე, \*544, გვ. 311; \*607, გვ. 377; \*679, გვ. 474).

ამირსპასალარს თავისი სამხედრო თანამდებობის ნიშნად „ჯრმალი“ ჰქონდა და მგზავრობაში თუ დიდი დარბაზობის დროს იგი „ჯრმალი-შემორტყმული“ იყო ხოლმე (მეფის კურთხევის წესი, გვ. 5—6). ამასთანავე მას, ვითარცა საქართველოს მთელი სამხედრო ძლიერების გამომხატველს, მეფის კურთხევის წესში განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა. „სამეფო ჯრმალი“ სანამ მეფე ეკურთხებოდა სწორედ მის ხელთ იყო და როდესაც ეკლესიაში მიდიოდნენ, ეს „სამეფო ჯრმალი ორთავე ხელთა ზედა“ მას ეტვირთა (მეფის კურთხ. წესი, 81—2), ხოლო როდესაც საეკლესიო კურთხევა ვათავდებოდა და საკურთხეველის კართვან ჩამოვიდოდა, მაშინ მეფის კურთხევის წესში ნათქვამი იყო „ამირსპასალარმან ჯრმალი შეარტყას“-ო (86), ალბათ როგორც საქართველოს ჯარის მთავარმა გამგემ და წინამძღოლმა. ამის გარდა ამირსპასალარს და ამილახორს, როგორც მხედართმთავართ, „საყედარი ცხენი მართებს საურავად“-ო (ყ. გარიგება, 1188—1189).

„ჯარის გარიგებაში“ ამირსპასალარის შესახებ ამასთანავე აღნიშნულია, რომ „უამისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სიმამულოდ შეიწყალებიოსო“ (19441—443). ასეც უნდა ყოფილიყო. ქვეყნის გაცემა სახარაჯოდ ან მამულის წყალობა საყმოდ ვისთვისმე ამირსპასალარის დაუკითხავად იმიტომ არ შეიძლებოდა, რომ ლაშქარ-ნადირობის საქმე მამულზე იყო დამოკიდებული და რომ ქვეყნის გაცემით და წყალობით

დიდმნიშვნელოვანი საქმე არ შეფერხებულა, ამირსპასალარის დაკითხვა იყო საჭირო.

როგორც ყველგან საშუალო საუკუნეებში, საქართველოშიც არაერთხელ ყოფილა, რომ ამირსპასალარს კიდევ სხვა ვაზირობაც ჰქონოდა მინიჭებული. მაგ., გიორგი III დროს ივანე ორბელი მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი იყო (ისტორი და აზმნი, \*598, გვ. 388). ყუბასარი „იყო ამირსპასალარი და მანდატურთა-უხუცესი“ (ისტორი და აზმნი, \*628, გვ. 405). ჭიაბერიც თავის თავზე წერს: „მე მანდატურთუხუცესმან და ამირსპასალარმან“-ო (1190 წ. შეწ. წიგ., ისტ. საბ. შიომღ. მონ., 22).

ცხადია, და ამას თვით სახელწოდებაც ამტკიცებს, რომ ამირსპასალარი სპასალართა უფროსი უნდა ყოფილიყო და სპასალარნი მის ქვეშეთი მოხელენი იქმნებოდნენ, მაგრამ ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ არსებობს.

„სპასალარი“ საქართველოში ბევრი უნდა ყოფილიყო. თამარ მეფის ისტორიკოსი, მაგ., ამბობს: ბრძოლის ველიდან დაბრუნდნენ და „მოვიდეს... სპასალარნი და სპასპეტნი“-ო (ისტორი და აზმნი, \*676, გვ. 469). საფიქრებელია, რომ თვითოეულს თემს და კუთხეს საქართველოში თავის სპასალარი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ გასაოცარია, რომ ქართულ წყაროებში სახელდობრივ ვგონებ მარტო „სამცხის სპასალარი“-ა მოხსენებული (ისტორი და აზმნი, \*649, გვ. 434—435; უამთაღ. \*795, გვ. 633, \*826, გვ. 671, \*874, გვ. 718, \*907 და 920, გვ. 749 და 768. ზარზმის წარწერა იხ. ე. თაყაიშვილის Arch. зкц., I, 47). იქნება ეს გარემოება იმით აიხსნებოდეს, რომ სამცხის სპასალარი ვითარცა მეწინავე ჯარის უფროსი ომების აღწერილობაში რასაკვირველია სხვებზე უფრო ხშირად უნდა იყოს მოხსენებული? დამაფიქრებელია, რომ „ქარის გარიგება“-შიაც მხოლოდ სამცხის სპასალარი გვხვდება (15332—333), მაგრამ ესეც კია, რომ ეს ძეგლი მთლად შენახული არ არის და შეიძლება სწორედ დაქარგულს ნაწილში ყოფილიყვნენ სხვა თემის სპასალარნი მოხსენებულნი.

XIII საუკ. მეფის კურთხევის წესის განგებაში ნათქვამია, რომ როდესაც მეფედ განმზადებული საყდარში გაემგზავრება, „ამირსპასალარი კრმალ-შემორტყმული მარჯუენით კერძო ჰყვებოდეს... და ამილახორი და მებაჭრეთ-უხუცესი კრმალ შემორტყმულ- [5] ივე ამირსპასალარის კერძო ვიდოდენ“-ო (მეფის კურთხევის წესი, გვ. 5—6). ამ წესითგანა ჩანს, რომ ამილახორსა და მებაჭრეთ-

მ ყურადღების ღირსია, რომ ლეონტი მროველის მიერ აღწერილ საარაქოპირველი მეფის ფარნაოზის სამეფოს წესწყობილებაში ნათქვამია, ვითომც ფარნავაზმა „ერისთავთა ქუეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინა სპასალარნი და ათასთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთო“ (ცა მეფეთა, \*130, გვ. 21). მაშასადამე, აქ სპასალარნი პირდაპირ მთავარ მხედართმთავარს კი არ ემორჩილებოდნენ, არამედ ერისთავებს. ამასთანავე სპასალართ სამოქალაქო მმართველობის მოვალეობაც ჰქონიათ, მაგრამ ჯერ ერთი ეს სურათი ლ. მროველის სიტყვით უძველესი ხანის წესწყობილების გამომხატველი უნდა იყოს, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო მოწყობილი უნდა ყოფილიყო „მომსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ (იქვე). ამას გარდა ლ. მროველის მიერ აღწერილი წესწყობილება სულ სხვა საფუძველზე—სამხედროზეა დამყარებული, ვიდრე იმ დროს იყო, რომელსაც ჩვენ ეხლა ვიკვლევთ და ამის გამო ის ჩვენი მზნისთვის ვერ გამოგვიდგება.

უხუცესს ვითარცა სამხედრო თანამდებობის პატრონთ ამირსპასალართან რალაც დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ. და „ქარის გარიგება“-ში მართლაც წერია: „ამირახორი ვაზირი არის ამირსპასალარისა“-ო (9182—191), ხოლო „მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრენი და მესართყლენი და საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამირახორის კელისანი არიან“-ო (იქვე, 9183—185). მაშასადამე, ამილახორი ამირსპასალარის თანაშემწე ხელისუფალი იყო, მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი კი ამილახორის ხელქვეითი მოხელენი ყოფილან. ამიტომაც არის, რომ კანონი ბრძანებდა: „რასაც ამირსპასალარი იურვოდეს სალაშქროსა საქმეს. მასვე გვერდით ა (დგენ) იგიცა (ესე იგი ამირახორი) და მეაბჯრეთ-უხუცესი და მათი მუახლენი“-ო. (იქვე, 9139—191).

„ამირახორი“ (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზ<sup>მ</sup>ნი, \*601—602, 632; გვ. 371 — 372, 410) დიდი ხელისუფალი იყო. თვით სახელწოდება არაბულია (ამირახურ) და უფროს შტაილმაისტერსა ნიშნავს. ამირახორობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ამირახორობის შემდგომ საფეხურად ამირსპასალარობა იყო (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზ<sup>მ</sup>ნი, \*632, გვ. 410), მეტადრე კი ის უპირატესობანი, რომელნიც ამირახორს მინიჭებული ჰქონია: ჯერ ერთი ის, რომ დარბაზობის დროს, როგორც ნათქვამია „ქარის გარიგება“-ში, „ამირახორიც... ორთა (ვაზირთა) სწორედ ნახოს მეფემან“-ო (1431a), ესე იგი მას იმნაირივე პატივისცემა და უპირატესობა ჰქონდა, რაც მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესს ეკუთვნოდა. მეორე ის, რომ ქვეშეთ მოხელეთაგან მართო ამირახორს ჰქონდა უფლება ვაზირთა ბჭობას დასწრებოდა. იგი ვაზირობის წევრი იყო. თუმცა მისი უფლება შედარებით უფრო შეზღუდვილი ყოფილა და მას მხოლოდ „ვაზირებასა ზედან ამირახორსა მათ უკანით... ზესკაში უთქს და ვაზრობა ესმის და იგი არას იტყუს, რასაცა არა ჰკითხავენ, და რაჲ (3)კითხონ, მაშინ-და პასუხს იტყვის“-ო, განმარტებულია „ქარის გარიგება“-ში (19459—451). მაშასადამე, მხოლოდ სათათბირო უფლება ჰქონდა და არა გადაწყვეტი. თუ გავიხსენებთ, რომ დანარჩენ ქვეშეთ მოხელეთაგან არც ერთს არამც თუ სათათბირო ხმა არ ეკუთვნოდათ, ვაზირობას ვერც კი დაესწრებოდენ ხოლმე, მაშინ ცხადი იქნება რამდენად მაღლა მდგარა ამირახორი. ამირსპასალარსავით ამილახორსა ვითარცა სამხედრო უწყების წარმომადგენელს „ხმალი“ ეკუთვნოდა. არამც თუ მართო მეფის კურთხევის დროს იყო ხოლმე იგი „ჩრმალ-შემორტყმული“ (მ. კურთხევის წესი, გვ. 5—6), არამედ „ჩრმალი ამირახორსა არტყია დარბაზობასა ზედა“-ც (ჯ. გარიგება, 228—29). ლაშქრობის დროსა და სალაშქრო საქმეებზე „ურვის“ დროს ხომ თავისთავადაც ცხადია, რომ იგი ხმალ-შემორტყმული იქნებოდა.

დარბაზობის დროს ამილახორს თან ახლდენ მის ქვეშეთი ხელისუფალნი, „მეაბჯრენი“, რომელნიც „ზურგით დგანან“-ო (ჯ. გარიგება, 229—32). მეაბჯრეთაგან ერთი „ქარგ“ მეაბჯრედ ითვლებოდა და მას ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა. როდესაც დარბაზობის დროს ამირახორის „დაჯდომისა ეამი მოვიდეს, ჩრმალი ქარგს მეაბჯრესა მისცეს და იგი მჯარს ჩამოიკიდებს“-ო (იქვე, 230—32).

„მეაბჯრეთუხუცესი“ (შიომლ. 1227—1230 წ. სიგელ., ქ<sup>1</sup>ები, II, 100 და 101; მეფის კურთხ. წესი, 6; კარის გარგება, 9183—184), როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, „მეაბჯრეთა“ (კ. გარიგება, 230—31, 9184) უფროსად უნდა ყოფილიყო. ვითარცა ამილახორის ქვეშეთს მოხელეს, მას რასაკვირველია, ამილახორზე გაცილებით ნაკლები უფლება და პატივისცემა ჰქონდა. მაგ., მეაბჯრეთუხუცესს უფლება არა ჰქონდა, რომ ვაზირობას დასწრებოდა და მხოლოდ, როდესაც ვაზირები მას „სამოციქულოდ“ დაიბარებდენ, მაშინ შეეძლოთ იგი სავაზიროს შეეყვანათ (იქვე, 19457—8, 20459). მეაბჯრეთუხუცესსაც ვითარცა სამხედრო უწყების მოხელეს „ქრმალი“ ეკუთვნოდა და მეფის კურთხევის დროს იგი „ქრმალი-შემორტყმული“ მიდიოდა ხოლმე ამირსპასალარისა და ამილახორის გვერდით (მ. კურთხევის წესი, გვ. 5—6). უეჭველია სალაშქრო საქმეების დროსაც იგი „ქრმალი-შემორტყმული“ იქნებოდა.

მეაბჯრეთუხუცესს ვითარცა აბჯრის მთავარ გამგე მოხელეს მეფის კურთხევაში თავისი განსაკუთრებული შოვალეობა ჰქონდა და წესში ნათქვამი იყო: როდესაც მეფე საყდარში საკურთხებლად წაბრძანდეს და როდესაც უკან დაბრუნდეს, „მეაბჯრეთ-უხუცესსა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში და უკანა უდგეს მეფესა“-ო (გვ. 6). რამდენი იყვნენ მეაბჯრენი არა ჩანს, მხოლოდ ცხადია, რომ არაერთი და ორი. მეაბჯრეთაგან ერთი „სეფე-მეაბჯრე“-დ იწოდებოდა (კ. გარიგება, 231), ერთს მათგანს კიდევ „ქარგი მეაბჯრე“-ს სახელი ჰქონდა (იქვე 259).

ყველა მეაბჯრეს დარბაზობის დროს „ჯაჭვი აცვია“-ო, ნათქვამია „კარის გარიგება“-ში (231—32). ეს ჩასაცმელი ჯაჭვი „გიორგი მეფეს, თამარის მამას, თვით ვერცხლისა შეუქნია სალმასურის სახესა ზედა და მას ჩაიცმიდენ“-ო (იქვე, 233—34). კარის გარიგებითგან კარგად არა ჩანს, გიორგი მეფეს მარტო ის ცვლილება შემოუღია, რომ ჯაჭვი დარბაზობის დროს ვერცხლისა უნდა ყოფილიყო და სალმასურად გაკეთებული, თუ თვით მეაბჯრეთა ჯაჭვით შემოსვის წესიც პირველად მთლად მას შემოუღია? უფრო კი საფიქრებელია, რომ პირველი აზრი იყოს სწორე. „სეფე მეაბჯრე“-ს, როგორც მოსალოდნელიც არის, „ჯაჭვი აცვია უთეთრესი“ (კ. გარიგება, 231—32).

მეაბჯრეთა გარდა „აბჯრის მტვირთველი“-ც არსებობდა, საგანგებო მოხელე, რომელსაც აბჯარი ეჭირა და ომში თავის პატრონს ეხმარებოდა. აბჯრის მტვირთველის მოვალეობა იმდენად მარტივი არ ყოფილა, რომ ყველას უსწავლელად შესძლებოდა. ამისათვის საგანგებო გაწვრთნა და დახელოვნება იყო საჭირო ისე, რომ ამ თანამდებობის კაცი ჩვეულებრივ „აღზრდილი იყო აბჯრის მტვირთველად“ (ყამთააღ., \*925, გვ. 770). თუმცა მეფის აბჯრის მტვირთველი შენახულ წყაროებში მოხსენებული არ არის, მაგრამ უეჭველია ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს იმიტომ, რომ დაუჭერებელი რამ იქნებოდა გვეფიქრა, ვითომც მეფეს აბჯრის მტვირთველი არა ჰყოლოდეს იმ დროს, როდესაც დანამდვილებით ვიცით,



რომ აბჯრის მტვირთველი სამცხის მთავარსაც კი ჰყავდა (ქამთაძე, \*925, გვ. 770). მეფის კურთხევის დროს, როგორც ვნახეთ, მეფის აბჯრის მტვირთველობის მოვალეობას მებაჯრეთუხუცესი ასრულებდა და სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში მას ეჭირა (გვ. 6).

რაკი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, „საჩინბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის კელისანი“ იყვნენ, ამიტომ ალბათ „მეჩინიბეთუხუცესისი“-ც (ისტორი და აზმნი, \*614, 615, 622; გვ. 388, 389, 396) ვითარცა საჩინბოს ხელოსანთა, მეჩინიბეთა მთავარი გამგე ამილახორის ქვეშეთი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო და სამხედრო უწყებას უნდა ჰკუთნებოდა. მეჩინიბეთუხუცესის გამგებლობის ქვეშ უნდა ყოფილიყო ის განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც „საჩინბო“ რქმევია (ქ. გარ., 918). ხოლო ხელქვეით მოხელეებად „მეჩინიბენი“ უნდა ჰყოლოდა, რომელნიც უკვე X საუკუნეში გვხვდებიან (შიომღ. ისტ. საბ., 3 და „ქ. გარ.“ 18415). ერთ მეჩინიბეთაგანს თურმე „ზარდახანის მეჩინიბე“ ეწოდებოდა (ქ. გარ., 10207—208, 209—210), მაგრამ ვგონებ ის ზარდახანისუხუცესის ქვეშეთი მოხელე იყო და არა მეჩინიბეთუხუცესისა.

ამირსპასალარისავე სახელს ეკუთვნოდენ აგრეთვე „აჩუხჩი და ამირჩქარი და მერემეთუხუცესი“ და, როდესაც ამირსპასალარი თავის თანამშრომლებითურთ სალაშქრო საქმეს „იურვოდა“, აჩუხჩი, ამირჩქარი და მერემეთუხუცესი „წინათ დგანან შორს და სიარულადაც წინათ იარებიან“-ო, ნათქვამია „ქარის გარიგებაში“ (9191—192). მეტი ამ მოხელეთა უფლება-მოვალეობის შესახებ ჭერჭეობით არა ვიცით რა.

ორიოდე სიტყვის თქმა შეიძლება მხოლოდ „მერემეთუხუცესისი“ შესახებ (9191, 16374—375, 18414). ნას, როგორც ეტყობა, საგანგებო დაწესებულება ჰბარებია, რომელსაც „სარემო“ რქმევია (ქ. გარ., 349). ამ დაწესებულების ერთი მოხელის სახელიც არის შენახული და თურმე „სარემოს ნაცვალის“ (ქ. გარ., 349) ეწოდებოდა. ხოლო რაკი „სარემოს ნაცვალის“ ყოფილა, თავისთავად ცხადია, რომ „სარემოს უხუცესისი“-ც უნდა ყოფილიყო; ამას გარდა რასაკვირველია, „მერემენისი“-ც, რომელნიც „ქ. გარ.“-შიც არიან დასახელებულნი (16374—375).

ამირახორსა და მებაჯრეთუხუცესს ექვემდებარებოდა აგრეთვე ერთი განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც „ზარდახანა“ ეწოდებოდა (ქ. გარიგება, 9194). ამ დაწესებულებაში ინახებოდა „ერთის ტანსაცმლის აბჯრის მეტი სხვა ყველა აბჯარი, რაზომიცა თანა აქვს: ჭაჭვი, მუზარადი, კრმალი, ქაფა, საბარკული, მშულდ-კაპარკი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოქედლი და ხამი აკაზმულობა, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუეები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოქედლი, კანჯრის კუდი და მასთან ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნივე თავგადაქედლინი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბისეფე ალმითა“ (იქვე, 9196—10204), — ერთი სიტყვით, ზარდახანა ყოველგვარ აბჯარი-იარადის და სამხედრო ნიშნებისა და სამკაულის საწყობი ყოფილა. „ზარდახანის“ შემადგენლობა ამტიკებს, რომ თავდაპირველად მას ალბათ „ზარდახანა“ უნდა რქმეოდა, და მხოლოდ შემდეგში დამახინჯდებოდა „ზარდახანად“. „ზარდახანა“ სპარსული სიტყვაა,

რაც სპარსულად იარაღისა და ნიშნების საწყობს ჰნიშნავდა, გერმანულად „ცოლექაუს“-ს რომ ეძახიან.

„ზარდახან“-ის სათავეში იდგა გამგე, რომელსაც „ზარდახანის უხუცესი“ (იქვე, 9193—194 და 10211—212) ეწოდებოდა. ამას გარდა არსებობდა „ზარდახანის მოლარე“ (იქვე, 10206, 208), „ზარდახანის მეჯინიბე“ (იქვე, 10207—208, 10209—210), „მისრატულთ-უხუცესი“ (იქვე, 10206, 210) და როგორც ვიცით „ზარდახანის მწიგნობარი“-ც (იქვე, 9194, 195; 10204—205 და ქვბი, II, 162). უეჭველია „კვანჭირის დავთარში“, რომელიც თ. ჟორდანიამ გამოსცა, დედანში ეწერებოდა „ზარდახანის მწიგნობარსა... კელითა დამიწერიო“-ო და არა „ზარდახანის მწიგნობარსა“, როგორც ქვბშია დაბეჭდილი (ქვბი, II, 1625—6). მხოლოდ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზარდახანის მწიგნობარი ამირსპასალარსა და აზირაზორს კი არ ექვემდებარებოდა, არამედ მწიგნობართუხუცესს.

როგორც „კ. გარიგები“-დან ჩანს, ზარდახანის უხუცესი, ზარდახანის მოლარე და მისრატულთუხუცესი უფროსი მოხელეები იყვნენ, მისრატული და ზარდახანის მეჯინიბე მცირე მოხელეებად ითვლებოდნენ. ამასთანავე ზარდახანის უხუცესსა და ზარდახანის მოლარეს ჰბარებია აბჯარ-იარაღი და როდესაც დასჭირდებოდათ, ისინი აძლევდნენ ხოლმე ზარდახანიდან. მაგ., როდესაც მეფისათვის ცხენი უნდა მოეყვანათ, აღვირს და უნაგირს ზარდახანის მოლარე მისცემდა ხოლმე (კ. გარიგება, 10205—206, 10208—209). ხოლო მათრახს ზარდახანის უხუცესი (იქვე, 10211). მისრატულთუხუცესის შესახებ ნათქვამია, რომ იგი იმ ცხენზე „შეჯლების“-ო, რომელსაც მისრატულისა და თავის მიერ შეკაზმულს ზარდახანის მეჯინიბე „მიუყენებს“ (იქვე, 10209—211). მაგრამ არა ჩანს, ეს ცხენი მეფისათვის იყო, თუ აქ მისრატულთუხუცესის საკუთარ ცხენზეა ლაპარაკი. ზარდახანის მეჯინიბე და მისრატული კი ცხენის შემკაზმავები იყვნენ (იქვე, 10206—210).

როდესაც მეფე ცხენით სადმე წაბრძანდებოდა, „ზარდახანის უხუცესი და ამერიით აჩუხჩი წინათ იარების ჯუარის მტვრთველსა და მეფეს შუა“ (იქვე, 10212—213). სანამ მეფე ცხენზე იჯდა, ეს ორი მოხელეც ცხენით მისდევდა, „სადაც მეფე მივა, ცხენისაგან ჩამოვა, აჩუხჩი მანამდი ცხენით მივა“ და იქვე ჩამოხტება (იქვე, 10213—215). როგორც მოსალოდნელიც იყო, ზარდახანის მეჯინიბე და მისრატულთუხუცესი მეფის მგზავრობის დროს „ორივენი უკანით იარებიან“ (იქვე, 10211—212).

საქართველოს სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან ერთად ზარდახანაშიც ყოველი დანახარჯის ანგარიში წერილობით უნდა ყოფილიყო აღნუსხული, ხოლო წელიწადში ერთხელ წლის თავსა ერთო და საბოლოო ანგარიში უნდა მოეხდინათ. ეს უკანასკნელი ანგარიში იმავე დროს შემოწმება-რევიზიასავითაც იყო და ზარდახანში მამ-ნ რამდენიმე მოხელე უნდა შესულიყო და შეემოწმებინა. „ქარის გარიგება“-ში სახელდობრ ნათქვამია: „ამილახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახანის-უხუცესი და მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახანს შეველენ და ზარდახანის-მწიგნობარი დასწერს, ანგა-

რიშს იქმენ და საანგარიშო გოდორსა შიგან ჩასდებს“-ო (9193—196). როგორც ჩანს, ზარდახნის ანგარიშებისა და მდგომარეობის ამგვარი შემოწმება ყოველ წლის დამდებს უნდა მოეხდინათ. „ქარის გარიგება“-ში პირდაპირ არის აღნიშნული: ზარდახნის მწიგნობარმა „ყოველი რაამასწეროს წლისთავსა, ერთი უნაგირი ზარდახნის მწიგნობარს“ უნდა მიეცეს (იქვე, 10204—205). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „საანგარიშო გოდორი“, რომელშიაც თურმე ინახებოდა ზარდახნის ყოველწლიური ანგარიში და შემოწმების საბუთები. ამგვარი „საანგარიშო გოდორი“, როგორც ირკვევა, საქართველოს სამეფოს ყველა მთავარ დაწესებულებაში ყოფილა და საანგარიშო საბუთების საცავი, თავისებური „გროსბუხ“-ი ყოფილა. როგორც ეტყობა ამ „საანგარიშო გოდორებს“ საგანგებო მცველი მოხელეები ჰყოლია მიჩენილი და ალბათ მათ თუ ეწოდებოდათ „მეგოდრენი“, უკვე X საუკუნის საბუთში რომ არიან მოხსენებულნი (შიომლ. ისტ. საბ., 32—3).

## § 5. მანდატურთუხუცესი და მისი სახელისუფლო

„მანდატურთუხუცესი“ ქართულ საისტორიო თხზულებებში პირველად გიორგი III დროს არის მოხსენებული (ისტორი და აზმნი, \*598, გვ. 368). შემდეგ კი თვით XIII საუკუნეშიაც ხშირად გვხვდება და ჩვეულებრივია (1190 წ. თამარ მეფის სიგელი, შიომლ. ისტ. საბ., 22;—ჯამთაად. \*743, გვ. 566. \*758, გვ. 584. \*765, გვ. 594. \*792, გვ. 629. \*792 — 793, გვ. 631. \*855, გვ. 700. \*870, გვ. 714. \*890, გვ. 732. \*925, გვ. 770 და \*927, გვ. 772;—მეფის კურთხ. წესი 6 და ბევრგან სხვაგანაც). საფიქრებელია, რომ ეს ხელისუფლება გიორგი III-ზე კარგა ხნით უწინარესაც უნდა ყოფილიყო. იმის თქმა და დამტკიცება მაინცდამაინც შეგვიძლიან, რომ „მანდატურნი“ საქართველოში უკვე XI საუკუნეში არსებობდნენ და ბაგრატ IV დროს გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში (გვ. 330) და გიორგი II 1072 წ. სიგელში (შიომლ. ისტ. საბ., 12; ს. კაკაბაძე, შიომლ. სამი სიგელი 5) არიან მოხსენებულნი. თამარ მეფის დროს „მანდატურთ-უხუცესი“ არა ერთხელ და ორჯერ იხსენიება (ისტორი და აზმნი, \*631, 654 და 677, გვ. 410, 440 და 470).

თამარის ისტორიკოსს შენახული აქვს ერთი ძვირფასი ცნობა ამ თანამდებობის შესახებ. მას სახელდობრ ნათქვამი აქვს: დიდებულმა მეფემ „განაჩინა და უბოძა კიბერსა მანდატურთ-უხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა“-ო (იქვე, \*631, გვ. 410). ცხადია, რომ რაკი თამარს მანდატურთუხუცესისათვის ვაზირად დანიშნის დროს ოქროს არგანი მიუცია, მაშასადამე, ოქროს არგანი მანდატურთუხუცესობის საგანგებო ნიშანი უნდა ყოფილიყო. მართლაც, XIII საუკ. მეფის კურთხევის „განგება“-ში წერია: „მანდატურთ-უხუცესი სამანდატუროსა არგანისა ხელთაქონებელი შემდგომად ჭუარისმტურთველისა წინა უვიდოდეს მეფესა“-ო (გვ. 65—6). ამგვარად ირკვევა, რომ იმ ოქროს არგანს, რომელიც თამარ მეფემ მანდატურთუხუცესად დანიშნულს კიბერს უწყალობა, „სამანდატურო არგანი“ რქმევია და მის ხელისუფლობის განსაკუთრებული კუთვნილება

და ნიშანი ყოფილა. ზემოთმოყვანილი ცნობითგანვე ჩანს აგრეთვე, რომ მანდატურთუხუცესი მეფის გამობრძანებასა და მგზავრობის დროს თბერტყრემონი მაქსტერის მაგვარს ხელისუფლად მოსჩანს, როგორც თვით სახელიდგანაც ცხადია, მას ხელქვეით მოხელეებად მანდატურნი უნდა ჰყოლოდა.

მაგრამ მართა ამ დროს კი არა, დარბაზობისა და პურობის დროსაც მანდატურთუხუცესს ხელთა არგანი ეჭირა და ამავდემოვალეობას ასრულებდა თურმე. „ქ. გარიგება“-ში, მაგ., ნათქვამია: „მეფე უბრძანებს მანდატურთუხუცესსა, იგი არგანს დაადებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს. მანდატურთუხუცესი ტახტს წინ მიდგების, „პური მოიღეო“. მანდატურთუხუცესი მობრუნდების, არგანს გამოულებს და პურის წინაობას იურეებს“-ო (ქ. გარიგება, 17383—386).

მანდატურთუხუცესი როგორც ვიცით ვაზირი იყო და „პატივი მისი (ამირსპასალარისა) და მანდატურთუხუცესისა სწორი არის“-ო (ქ. გარიგება, 1943—44).

თუ მანდატურთუხუცესის სახელს მივაქცევთ ყურადღებას და დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ იგი ორნაწილადი სიტყვაა და პირველი „მანდატორ“ ბერძნულ-ლათინურია, ხოლო მეორე „უხუცესი“—ქართულია. მაგრამ თუ ისიც ბერძნულად გადავთარგმნეთ, მაშინ იქნებოდა „პროტოს“. მართლაც, ბიზანტიაში არსებობდა მოხელე ექსკუვიტების „პროტომანდატორი“ (πρωτομανδρατορ τῶν ἐξουσιῶν), რომელიც კეისრის სეფე-ლაშქრისა და მონა-სპეების უფროსი იყო. იგი მხოლოდ „ექსკუვიტების ტოპოტირიტს“ ანუ ნაცვალს ექვემდებარებოდა. დანამდვილებით არ ვიცით, ბიზანტიელს პროტომანდატორს არგანი ეჭირა ხოლმე, თუ არა. მხოლოდ საფიქრებელია, რომ მასაც უნდა ჰქონოდა არგანი იმიტომ რომ, მის ხელქვეითებს, სკრივონებს, თანამდებობაზე დანიშვნის დროს მეფე არგანს უწყალობებდა ხოლმე (იხ. Беляев. Ежед. приемы, 12 და 73). მაგრამ ქართველ მანდატურთუხუცესსა და ბიზანტიელ პროტომანდატორს შორის სხვა არა იყოს რა, ის განსხვავებაც იყო რომ ბიზანტიელ მოხელეს მანდატორნი არ ექვემდებარებოდენ, ქართველს კი მანდატურნი ჰყავდა ხელქვეით. თუ ამ მხრივ მანდატურთუხუცესი ბიზანტიელ ხელისუფლებს შევადარეთ, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ქართველი მანდატურთუხუცესი „დრომის ლოგოთეტ“-ს ანუ სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსს მიაგავდა; სწორედ „დრომის ლოგოთეტს“ ექვემდებარებოდენ მანდატორნი, რომელნიც თანსდევდენ დიდებულ ხელისუფლებს, დესპანებსა და სხვებს (Н. Скабаланович. Византийское государство და სხვა, გვ. 176).

„ქ. გარიგება“-ში ნათქვამია: „მანდატური სამასი სახლი არის ამიერ და იმიერ, ხოლო სამნი აზნაურნი არიან: იქუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე და სხვაჲ გლეხია“-ო (593—95). ცხადია, ესენი იყვნენ მანდატურთუხუცესის ხელისანი. აქ იმგვარადვე უნდა ყოფილიყო, როგორც მესაწოლეთუხუცესისა და მონადირეთუხუცესის შესახება წერია. როგორც იქ ნათქვამია: „მონადირეთუხუცესისა ზემოთ დაგვიწერია. მონადირენი კახეთს და იმერეთს ყო-

ველგან არიან ორას ორმოცი სახლი“-ო (იქვე, 11239—240), ხოლო მესაწოლეთ შესახებ აღნიშნულია: „მუდასი სახლი მესაწოლეთ სახლი არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური“-ო (იქვე, 7125—126). ამგვარადვე მანდატურთუხუცესის შესახებ თავდაპირველად დედანში ასე ეწერებოდა: „მანდატურ[თუხუცეს]ისა მის ხელი არის ამიერ და იმიერ მანდატურნი სახლი სამასი“. მაშასადამე, მანდატურთუხუცესის იმიერ-ამიერ საქართველოს მანდატურნი ექვემდებარებოდენ.

რა მოვალეობა ჰქონდათ მანდატურებს საქართველოში? ვაზირობის დროს სავაზიროთა ხს. გარეთ „მანდატურნი გარეშემოშორს დგანან და ვისაც არ უბრძანებენ, არავის მიიყვანენ სიახლოვესა“-ო (ე. გარიგება, 20464—465). მაშასადამე, ამისთანა შემთხვევებში მანდატურებს მცველების მოვალეობა ჰქონიათ. მაგრამ ჩვენ ისეთი ცნობაც მოგვეპოვება, როდესაც მანდატური სავატიო კაცის გამყოლია მგზავრობაში. მაგ., გიორგი მთაწმიდელის ცაში ნათქვამია, რომ მეფე ბაგრატმა საქართველოდან ისევ ბიზანტიაში მიმავალი გიორგი მთაწმიდელი „სამეფოთა წიგნთა მიერ და მანდატურთა... წარგზავნა“-ო (ცა, 330). აქ ქართველი მანდატური თითქოს ბიზანტიელ მანდატორს მიაგავს და მიმოსვლისა და სახელმწიფო ფოსტის მოხელეა ჩანს.

ხოლო „კ. გარიგება“-ში ნათქვამია, რომ მანდატურთუხუცესი ზვრების „სამუშაოსა ზედამდგომელად მანდატურს მისცემს, ბრძანებასა დაწერიანებს გამოსაჩვენისა, უჩვენებს მუშათ ვითა ესე ქვეყანა მოასხითო. მანდატური და ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი მეღვინე წავლენ“-ო (471—75 და 11293). აქედან ირკვევა, რომ მანდატურებს მოვალეობად აგრეთვე ზვრის მუშათა ზედამდგომელობა ჰქონიათ, ხოლო თვით „ზვარი... არიან... მანდატურთუხუცესისა ხელისანი“ (იქვე, 417), ზვრების დამუშავება მანდატურთ-უხუცესის საზრუნავს შეადგენდა: იგი თადარიგის დამკვერი, ბრძანების გამცემი ყოფილა. ამას გარდა სიგლების მოცემაც, როგორც ეტყობა, მანდატურთ-უხუცესის დაუხწრებლივარ შეძლებოდა და მასაც სიჯლის ქრთამის წილი ერგებოდა „ამირსპასალარისა სწორი“-ო (იქვე, 590—91).

დასასრულ, ერთი ცნობაც მოიპოვება, რომლიდანაც ჩანს, რომ მანდატურთუხუცესსავით მანდატურებსაც არგანი ჰქონიათ ნიშნად. „კ. გ. -ში“ სახელდობრ ნათქვამია: საწელიწდისთავო ძღვნის მიტანის დროს „ვერცა მანდატური არგანს დაიჭირავს“-ო (იქვე, 15336), აქედან ცხადია, რომ ჩვეულებრივ, მაშასადამე, მანდატურსაც ხელთ არგანი სჭერია.

რაკი მანდატურთუხუცესი უფრო სამეფო კარის ვაზირად მოსჩანს და სამეფო კარზე უნდა ყოფილიყო, საფიქრებელია, რომ ამის გამო იგი ომში და ლაშქარში ჩვეულებრივ არ მიდიოდა ხოლმე, არამედ სამეფო კარზედ რჩებოდა, რასაკვირველია, თუ რომ მეფე ომში არ მიდიოდა. თამარ მეფის ისტორიკოსს ეს გარემოება აქვს ნაგულისხმევი, როდესაც ამბობს რუქნადინის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად სხვებთან ერთად „წარემართნეს ბასიანს“ თვით ქიაბერიც, „დაღათუ მანდატურთ-

უხუცესი იყო ჭიებერი“-ო (ისტორი და აზმნი, \*701, გვ. 501), ე. ი. თუმცა მანდატურთ-უხუცესი იყო ჭიებერი, მაგრამ ალბათ რაკი ამ ბრძოლას საქართველოსათვის ფრიადი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ მანდატურთ უხუცესიც კი გაემგზავრაო.

ზევით, ამირსპასალარის თანამდებობისა და სახელის განხილვის დროს, უკვე აღნიშნული გვექონდა და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ საქართველოშიც შეიძლებოდა ერთს მოხელეს ორი თანამდებობა ჰქონოდა და იქვეა მაგალითები მოყვანილი, როდესაც მანდატურთუხუცესს იმავე დროს ამირსპასალარობაც ეკუთვნოდა.

ვინ იყვნენ მანდატურებს გარდა მანდატურთ-უხუცესის ქვეშეთი მოხელეები, ამის შესახებ ზემომოყვანილის მეტი პირდაპირი ცნობები შენახული არ არის, მხოლოდ „აღსებების საკითხავ“-ის აღწერაში ჩამოთვლილი არიან უფროს-უმცროსობით მოხელეები უწყებათა მიხედვით და ამ გზით შეიძლება ეს საკითხი გამოიკვვეს. იქ სხვათა შორის ნათქვამია: „მანდატურთ-უხუცესი—ამირეჯიბს, ამირეჯიბი—მესტუმრესა და მერიგესა“-ო (ჯ. გარიგება, 343—44). ხოლო უფრო ქვემოთ წერია: „განმგეთ-უხუცესი — საგამგეოსა მუქიფისა, საგანმგეოს უხუცესი — მეჯამეთ-უხუცესისა, მეჯამეთ-უხუცესი — სარემოს ნაცვლისა“-ო (იქვე, 348—49).

პურობის წესითგანაც ჩანს, რომ ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი მანდატურთუხუცესის ქვეშეთი ჯელისუფლები უნდა ყოფილიყვნენ. როდესაც მეფე მანდატურთუხუცესს უბრძანებდა „პური მოიღეო“ და იგი „პურის წინაობას იურებდა“, ამ ბრძანების აღსასრულებლად ამირეჯიბი და განმგეთუხუცესი გავილოდენ ხოლმე (ჯ. გარიგება, 17383—387) და თვით პურობის წესში მანდატურთ-უხუცესი, ამირეჯიბი და განმგეთუხუცესი ერთიერთ-მანერთის თანამშრომელი ყოფილან, მაგრამ მანდატურთუხუცესი უფრო მათ ხელმძღვანელადა ჩანს (იქვე, 17392—404). ამიტომ, ვგონებ, სიმაართლე შელახული არ იქმნება, თუ კი დავასკვნით, რომ ამირეჯიბი და განმგეთუხუცესი მანდატურთუხუცესის ქვეშეთი ხელისუფლები იყვნენ. ამირეჯიბიც რომ მანდატურთუხუცესის სახელის ეკუთვნოდა, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს“-ო (ჯ. გარიგება, 582—83).

მანდატურთუხუცესისა და მესტუმრესავით ამირეჯიბიც დარბაზობის წესის აღსრულებაში მონაწილეობას იღებდა. „ქარის გარიგება“-ში, მაგ., ნათქვამია „ამირეჯიბს მართებს ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა წვევა“-ო (13289—90). ამ შემთხვევაში ის, მაშასადამე, ცერემონიამატერის მოვალეობას ასრულებდა.

რაკი თვით მანდატურთუხუცესის შესახებ ცნობები საკმაო არ არის, ამიტომ მის მოვალეობისა და უფლების გათვალისწინება იმ მხრივ შეიძლება, თუ ჩვენ მის ქვეშეთ ხელისუფლების უფლებამოვალეობას გამოვარკვევთ და მხედველობაში გვექნება.

ამირეჯიბი, როგორც უკვე ვნახეთ, დარბაზობისა და პურობის დროს მანდატურთუხუცესის თანაშემწე იყო. მაგრამ მას საზოგადოდ დიდი უფლება ჰქონია: „ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა,

შადა გინდ იყოს მეფე,—სალაროს, საწოლს, საქურქლეს, ყოველგან მივა და ყოველგან იურვის“-ო, იმის გარდა თუ მეფე ჩაუცმელია (კ. გარიგება, 577—78). ამ დროსაც თუმცა საქმე მსახურთ-უხუცესს უნდა მოეხსენებინა მეფისათვის, „მაგრამ ამირეჯიბის და-თხოვნა არც მათგან ეგებოს“-ო (იქვე, 580—81). საზოგადოდ კი ისე ყოფილა დაწესებული, რომ მეფე „რა შეეკაზმოს და გამოვი-დეს (საწოლთაგან), საურავი და ძღვენის შეწირვა ყოველი მათი სალამოს რეკამდის“-ო (იქვე, 581—82). ამ ძვირფას ცნობებში ბევრი რამე არის გამოურკვეველი და ბუნდოვანი.

იმ გარემოებითგან, რომ ამირეჯიბს ისეთი დიდი და განსაკუთრებული უფლება ჰქონდა მინიჭებული და ყოველთვის და ყოველგან მეფის ნახვა და მოხსენების წარდგენა შეეძლო, ნათლად ჩანს, რომ მას დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები უნდა ჰბარებოდა. ამიტომ პირველი შეხედვით და მხოლოდ ეს ცნობა რომ გვეჩონოდა, შეიძლებოდა ამირეჯიბი დამოუკიდებელ ხელისუფლად და ვაზირადაც კი მოგვეჩვენებოდა, მაგრამ მის ვაზირობაზე ფიქრი მცდარი იქნებოდა: არსად იგი ვაზირად არ იხსენიება, არც საისტორიო წყაროებში, არც ქართული სამართლის ძეგლებში. ამას გარდა არც მეფის კურთხევის წესში, არც „ქარის გარიგება“-ში ის ვაზირთა შორის ჩამოთვლილი არ არის. ხოლო რომ ის მოვალე იყო ნამდვილ ვაზირს, მანდატურთუხუცესს, მიჰმარებოდა და მიჰშველებოდა, ამაზე უკვე ზევით იყო საუბარი.

ამირეჯიბი, როგორც აღნიშნული გვეჩონდა, დიდი უფლებით იყო აღ-ქურვილი. ამირეჯიბის თანამდებობის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაც მტკიცდება და იქითგანაც ჩანს, რომ იმ სამ მოხელეს შორის, რომელთაც არავაზირთაგანთ ვაზირობის დროს სავაზირო დარბაზში ყოფნის უფ-ლება ჰქონდათ, ამირეჯიბიც ყოფილა, „ამირეჯიბი შუაზედ... დგას“-ო (კ. გარიგება, 19454). მას არც საქმეების გადაწყვეტაში, არც თათბირში მონაწი-ლეობის უფლება არა ჰქონდა, არამედ უნდა მხოლოდ უტყვი და მსწ-რე ყოფილიყო. მაგრამ ამგვარ უფლებასაც დიდი ფასი და მნიშვნელო-ბა ჰქონდა.

თვით სახელწოდებითგანაც ჩანს, რომ ამირეჯიბი თავდაპირველად ეჯიბების უფროსი უნდა ყოფილიყო. შემდეგშიაც იგი რა-საკვირველია მათი მთავარი იქნებოდა. „ეჯიბი“, სახელდობრ „შინაურ-რი ეჯიბი“, იხსენიება თამარ მეფის დროს (ისტორი და აზმნი, \*651, გვ. 437). ხოლო რაკი ქართველი ისტორიკოსი მას „შინაურ ეჯიბს“ (იქვე) ეძახის, ამიტომ ცხადია, რომ ეჯიბი ერთი არა ყოფილა, არამედ „ეჯიბო-ბა“ (1260 წ. ახლო ხან. სიგ., ქკ-ბი, II, 1484, ეამთაალ., \*858, გვ. 698, და 869, გვ. 713—714) სულ ცოტა ორგვარი მაინც უნდა ყოფილიყო და თვი-თეულს თავისი განსაკუთრებული სახელიც რქმევია. სხვათა შორის ერთი ეჯიბთაგანი მწიგნობართუხუცესის ზედამდგომელად იყო ხოლმე (კ. გარიგ., 459—60).

იქნება უფრო შემთხვევით უნდა აიხსნებოდეს, რომ თამარ მეფის ისტო-რიკოსის თხზულებაში არც გიორგი III და არც თამარის დროს ამირეჯიბი მოხსენებული არ არის და პირველად XIII საუკუნეში, რუსუდანის მეფო-ბაშია დასახელებული (ეამთაალ., \*786 და 802, გვ. 621 და 642) და შემდეგში

ჩვეულებრივია (იხ. დავთარი კვახჭარისა, ქ<sup>ე</sup>ბი, II, 1613; კარის გარიგ. და სხვა).

„ამირეჯიბი“ ორნაწილადი სიტყვაა და ამირსპასალარსავით მასაც თავში „ამირ“-ი უზის, ხოლო მეორე ნაწილი „ეჯიბი“ ხომ ისედაც ცალკე იხმარება. ქართული „ეჯიბი“ არაბულს „ჰაჯიბ“-ს უდრის. ეს სიტყვა არაბულად მეკარეს, მეკარეთუხუცესს, ცერემონიმახსტერს ჰნიშნავდა და ჩვეულებრივ არაბულში და სპარსულშიაც მარტივად „ჰაჯიბ“-ად იხმარებოდა (იხ. К. Иностранцев. Торжественный выезд Фатымидских халифов, 1905, გვ. 25 და В. Бартольд, Туркестан, 236). მაგრამ სელჩუკიანთა სახელმწიფოში არსებობდა საგანგებო მოხელე „დიდი ჰაჯიბი“ (ჰაჯიბ-ი-ბუზურგ) ანუ „ჰაჯიბთ-ჰაჯიბი“ (ჰაჯიბ-ალ-ჰუჯაბ), რომელიც დიდი ხელისუფალი იყო და სასახლის ყველა მსახურის უფროსად ითვლებოდა (ვ. ბარტოლდი, Туркестан, 236). ჩვენთვის გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ სელჩუკიანთა სამეფოში ქართული „ამირეჯიბი“-ს შესატყვისი სახელი „ამირჰაჯიბ“-ი ცუფილა. ეს სახელი ნიჰამულ-მულკის „სიასეტ-ნამე“-ში არის მოყვანილი (Siasset namèh, texte persan ed. par Ch. Schefer, 1891, გვ. 90). მაშასადამე, ქართული „ამირეჯიბი“ სპარსულითგან შეთვისებული სამოხელეო სახელი ყოფილა.

ეჯიბობასაც საქართველოში დიდი პატივისცემა ჰქონია მოხვეჭილი: რაკი დარბაზობის დროს ეჯიბი შევიდოდა და მეფეს თაყვანსა სცემდა, მეფე მას თუმცა ვაზირებზე ნაკლებად მოიკითხავდა ხოლმე, მაგრამ მაინც მას ვაზირთათვის დაწესებული პატივისცემის ნახევარი ეკუთვნოდა და თუ იმათთვის „კარის გარიგება“-ში ნათქვამი იყო, მეფემ „მელნი დაახხნეს დამრუდებითა“-ო (კ. გარიგ., 1328-299), ეჯიბისათვის მეფემ „ნებნი ნახეჯრამდის დაახხნეს დამრუდებითა“-ო (იქვე, 13302). ამას გარდა თაყვანისცემის შემდგომ ეჯიბი „უკუდგეს და მარჯვენით ახლოს იყოს“-ო მეფესთან (3304).

როგორც ჩვენ უკვე დავრწმუნდით, ამირეჯიბი სხვათა შორის დარბაზობისა და პურობის დროს მანდატურთუხუცესის თანამემწე იყო და ამასთანავე მეფის მომხსენებელი. უეჭველია ეჯიბსაც იმგვარივე მოვალეობა უნდა ჰქონოდა, როგორც მის უფროსს, ამირეჯიბს. ამ მხრივ საგულისხმიეროა, რომ შოთას დიდებულს თხზულებაში როდესაც ავთანდილი მეფესთან „დარბაზს მივა სადარბაზოდ“, ჯერ „დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია“, და თავისი თხოვნა შეუთვალა (ს. კაკ., 27128). აქაც ეჯიბს დარბაზში შესვლის განსაკუთრებული უფლება აქვს და მეფისადმი მთხოვნელთა სურვილის მომხსენებელია.

დასასრულ, ყურადღების ღირსია, რომ საქართველოში ეჯიბები მარტო მეფეს კი არა ჰყოლია, არამედ დიდებულ ხელისუფლებს და თვით დიდებულ მანდილოსნებსაც კი, დიოფალს. მაგ., ქართ. საისტორიო წყაროში მოხსენებულია ათაბაგის ეჯიბი: ყანთან წასვლისას „თანა წარეყუნა ათაბაგსა ავაგს ივანე ახალციხელის ძე და ეჯიბი ავაგის-ო“ (ყამთაღ., \*776. გვ. 608). ავაგის ასულს ხეაშაგსაც



ჰყოლია ეჯიბი: სადუნ მანკაბერდელს დიდი სიბღივანის „ცოლის, ავაგის ასულის ხვაშაქის ეჯიბობა აქენდა“ (ჟამთააღმ., \*858, გვ. 698). ამ სადუნს თურმე თვით „ხვაშაგმან ეჯიბობა მისცა“ (იქვე, \*869, გვ. 713—714).

როგორც აღვსების საკითხავის შესახებ ზემომოყვანილი ცნობითგანა ჩანს, მანდატურთუხუცესისა და ამირეჯიბის ქვეშეთ მოხელეებად „მესტუმრე“ და „მერიგე“ უნდა ყოფილიყვნენ. თვით ამირეჯიბსაც დარბაზობის დროს მესტუმრის მსგავსი მოვალეობა ჰქონია: „ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა წვევაო“ დარბაზში (კ. გარიგება, 13289—290). „მესტუმრე“ მოხსენებულია თამარ მეფის ისტორიკოსისა და ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებებში (ისტ<sup>ნი</sup> და აზმ<sup>ნი</sup>, \*651, გვ. 437; ჟამთააღმ., \*813 და 823, გვ. 657 და 969), მაგრამ ცხადია, რომ ეს თანამდებობა საქართველოში ძველისძველი უნდა იყოს. რასაკვირველია, „მოციქულთა შემთხუევიანი“ და „მეძღუნეთა ჯეროვანი მისაგებელნი“ (ც<sup>ა</sup> მ<sup>სა</sup> ღ<sup>სი</sup>, \*551, გვ. 319) მესტუმრეს ექმნებოდა მინდობილი. მოციქულების, სტუმრებისა და მეძღვნეთა დახვედრის და მიღების თადარიგი მას ებარებოდა. „რაზომიცა ქვეითი მეძღვნე მოვალა მწიგნობარი, იგი აკმევს“-ო (კ. გარიგება, 588). სიველის წყალობა და მიცემაც ვისთვისმე უმისოდ ვერ მოხდებოდა და მასაც ეკუთვნოდა „ქრთამი სიგლისა“. თუმცა ამ ქრთამში ვაზირთა თანასწორი წილი არ ედვა, მაგრამ ისე იყო დაწესებული, რომ „ქრთამი სიგლისა... მართებს მესტუმრეს უმცროსი და მერიგეს“-ო (იქვე, 590—92). თავისთავად ცხადია, რომ „მესტუმრე“-ს დარბაზობაში მონაწილეობა უნდა მიეღო, ვაზრობას კი იგი ვერ დაესწრებოდა: სავაზირო ოთახის მახლობლად იყო და თუ ვაზირები არ დაიბარებდნენ, სავაზიროში შესვლის უფლება არა ჰქონდა (იქვე, 19458—20459). „მერიგე“-ც ვაზრობას ვერ დაესწრებოდა და სავაზიროს კარებს წინ „მერიგე შორსა დგასა“-ო (იქვე, 20454). მერიგეს სიგლის მიცემაშიც რალაც მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მიკუთვნიებული. ეს იმითა მტკიცდება, რომ „ქრთამი სიგლისა“ მესტუმრესავით „უმცროსი“ მერიგესაც „მართებს“-ო (კ. გარ., 592). მესტუმრეს გადაკვეთილი სარგო ჰქონია „რაზომიცა მრავალი დაიკლას, ერთი მკარი, და თუ ერთი დაიკლას, ერთი მკარი ზროხისა მესტუმრისა[ა] კვრას დღესა და ერთი კაბიწი ფქვილი და ერთი საკლავი“-ო (იქვე, 583—85).

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამირეჯიბს გარდა მანდატურთუხუცესს ქვეშეთ მოხელედ გამგეთუხუცესიც უნდა ჰყოლოდა. გამგეთუხუცესი ღირსებით ამირაზორზეცა და ამირეჯიბზეც დაბლა მდგარა: მას, მაგ., უფლება არა ჰქონდა ვაზრობას დასწრებოდა და მხოლოდ თუ მეფე და ვაზირები უხმობდნენ, მაშინ შეეძლო სავაზიროს შესულიყო (კ. გარიგება, 19458—20459). გამგეთუხუცესის ქვეშეთ მოხელეებად ყოფილან: საგანმგეოს უხუცესი, მეჯამეთუხუცესი და სარემოს ნაცვალი (კ. გარიგება, 348—49). მას ებარა ალბათ განსაკუთრებული დაწესებულება, რომელსაც „საგანმგეო“ ერქვა. ეს სიტყვა მოხსენებულია გიორგი II სიგელში, სადაც აღნიშნულია „საგანმგეოსა... მოურავნი“ (მოიძლ. ისტ. საბ., 14, და კ. გარიგება<sup>ა</sup>-შიც 348, 11254—12255, 15334—335). ამ დაწესებულებასაც თავისი მოხელეები ჰყავდა: „საგანმგეოს მუქაფი“ (იქვე),

„ს ა გ ა მ გ ე ო ს უ ხ უ ც ე ს ი“ (იქვე, 348—49). რა დაწესებულება იყო „საგანმგეო“, ამაზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

„მ ე ჯ ა მ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი“, რომელიც განმგეთუხუცესის ქვეშეთი მოხელე უნდა ყოფილიყო, თავის მხრივ, რასაკვირველია, „მეჯამეთა“ უფროსი იქმნებოდა. „მ ე ჯ ა მ ე ნ ი“ მოხსენებულნი არიან X ს. საბუთში (შიომღ. ისტ. საბ., 3). ხოლო „მ ე ჯ ა მ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი ს ა ჯ ე ლ ი ს ა არის ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი, წველა, მეკირე, კმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო, ყოველი მეკამბეჩე დიასახლისი, კარავი სამზარეულოსა და უვერცხლო ჭურჭელი, სპილენძისა და შეშისა“-ო (კ. გარიგება, 596—99). ამ ცნობითგანა ჩანს, რომ მეჯამეთუხუცესს ჰპარებია ყოველგვარი სანოვაგე და სამზარეულო მასალა, წველა და მწველენი, სამზარეულოს ჭურჭელი და თვით „კარავი სამზარეულოსა“. ქართულ წყაროებში ჯერ არავითარი ცნობები არ არის აღმოჩენილი იმის შესახებ, თუ რომელ მოხელეს ექვემდებარებოდა მუდმივი „სამზარეულო მეფისა“ (ყამთააღ., \*825, გვ. 670). უეჭველია მეჯამეთუხუცესს მეჯამეებსა და მეკამბეჩე დიასახლისებს გარდა ასეთი რთული საქმის გასაძღოლად სხვა თანამშრომელი და ქვეშეთი „ქელოსნები“-ც ეყოლებოდა, მაგრამ ვინ იყვნენ სახელდობრ, ამის შესახებ ცნობები შენახული არ არის. რაკი „წველა“ მეჯამეთუხუცესის ხელი იყო, ამიტომ შესაძლებელია, რომ „მეზროხენი“-ც (გიორგი II სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 14) მისი ხელქვეითი ყოფილიყვნენ. არც ის ვიცით ყველა „მზარეული“ (ლეონტი მროველი, ცა მფთა, \*162, გვ. 39) მას ექვემდებარებოდა, თუ ისინი „ქელოსანთა“ რამდენსამე ცალკე ჯგუფს შეადგენდნენ.

## § 6. მეჭურჭლეთუხუცესი და მისი სახელისუფლო

თუმცა „მ ე ჯ ა მ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი“ ქართულ საისტორიო მწერლობაში XII საუკუნეზე უწინარეს ჯერ აღმოჩენილი არ არის (ისტორნი და აზმნი, \*622, 631—632, 648; გვ. 396, 410, 434), ხოლო XII და XIII საუკუნის წყაროებში ხშირად გვხვდება და ჩვეულებრივია (ყამთააღ., \*739, 769, 764 და 874, გვ. 560, 599, 708 და 718, სხვაგანაც), მაგრამ უეჭველია, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს და თვით მეჭურჭლეთუხუცესობა მეტორმეტე საუკუნეზე გაცილებით ადრე, მრავალი ხნის განმავლობაში არსებობდა. „კარის გარიგება“-შიც ნათქვამია, რომ „მეჭურჭლეთ-უხუცესი ძველი ვაზირი არის“-ო (19446). მეჭურჭლეთუხუცესს ვითარცა ფინანსთა მინისტრს რასაკვირველია განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. „კარის გარიგება“-ც ადასტურებს: „დიდი (ვაზირი) არის მეჭურჭლეთუხუცესი“-ო და „ათაბაგობის დაწყებამდი მეოთხე ვაზირი“ ყოფილა (იქვე, 8167—168). ამასთანავე იგი „საპატო“ ვაზირად ითვლებოდა (იქვე, 19446). მართლაც, „კარის გარიგება“-ში ნათქვამია: იგი „მსახურთ-უხუცესისა სწორია ვითარცა აშირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა“-ო (იქვე, 9177—178). მაშასადამე, ~~დიასახლისი~~ მეჭურჭლეთ-უხუცესისა ვაზირთა უპირველესისა და მწიგნობართ-უხუცესისა გარდა დანარჩენ ყველა ვაზირს უდრიდა

მაგრამ დარბაზობის დროს მინც ყველა ვაზირს ერთგვარი პატივისცემა არ ეკუთვნოდა: მეჭურჭლეთუხუცესი „ვაზირთა ორთა“ ჯგუფში იყო, რომლისათვისაც დარბაზობის დროს „სამთა ვაზირთა“ ჯგუფზე მცირედნად ნაკლები პატივისცემა ყოფილა დაწესებული (იქვე, 14305—310).

როგორც თვით სახელწოდებიდანაც ჩანს, მეჭურჭლეთუხუცესი „მეჭურჭლეთა“ უფროსი უნდა ყოფილიყო და „საჭურჭლე“-ს უზენაეს გამგედ იქმნებოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსს ამას გარდა მოხსენებული ჰყავს „ნაცვალის მეჭურჭლეთუხუცესისა“ (ისტორი და აზმნი, \*648, გვ. 434). „ნაცვალის“ ძველ ქართულ მწერლობაში მოადგილეს ნიშნავდა, მაგ., გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“-ში ნათქვამია: „თუისისა მის მღვდლობისა ნაცვლად უფალმან მოციქულნი დაადგინა“-ო (გვ. დ). ამისდა გვირად „ნაცვლობაჲ“ მოადგილეობას, მაგიერობას ერქვა. იმავე თხზულებაში წერია: მღვდლეობა „ქრისტმს ნაცვლობაჲ არს“-ო (იქვე, დ). მაშასადამე, „ნაცვალის მეჭურჭლეთუხუცესისა“ ამ ვაზირის მოადგილე და წარმომადგენელი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო.

გასაოცარია, რომ „ქარის გარიგება“-ში ამ სამოხელეო სახელწოდების მაგიერ იხსენიება მხოლოდ „საჭურჭლის ნაცვალის“ (8173 და 19458). მაგრამ უეჭველია, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა სწორეა იმიტომ, რომ თავდაპირველად რასაკვირველია უნდა ყოფილიყო „ნაცვალის მეჭურჭლეთუხუცესისა“ და არა საჭურჭლისა. უკანასკნელი სახელწოდება შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როდესაც სიტყვას „ნაცვალის“ თავდაპირველი მნიშვნელობა დაეკარგა. „საჭურჭლის ნაცვალის“ ამასთანავე არც ისეთ დიდ მოხელედ ჩანს, როგორც უნდა ყოფილიყო მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის. საჭურჭლის ნაცვალს, მაგ., უფლება არა ჰქონდა, რომ ვაზირობას დასწრებოდა: იგი სავაზირო დარბაზს გარეთ იდგა და თუ ვაზირები რაიმე საქმისათვის დაიბარებდნენ, მხოლოდ მაშინ შეეძლოთ, რომ იგი სავაზიროში შეეყვანათ (ქარის გარიგება, 19458 და 20458). ამიტომ საფიქრებელია, რომ თამარ მეფის შემდგომ ამ მხრივ რაიმე ცვლილება არ მომხდარიყოს და მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის ჩამოქვეითებულიყო და საჭურჭლის ნაცვლად გაეხადათ.

„ნაცვალის“ უკვე XI საუკუნეში, საბუთებში, 1078 წ. გელათის სიგელში და თამარ მეფის 1189 წ. სიგელშიც არის მოხსენებული (ქებნი, II, 50, 73—75), მაგრამ რაკი შეიძლება ყოველს უხუცესს ხელისუფალს ნაცვალის ჰყოლოდა და ვგონებ ჰყავდა კიდევ, ამიტომ ძნელი სათქმელია, იმ ორ საბუთში ყველა ნაცვალისა ნაგულისხმევი, თუ ზოგი მათგანი და სახელდობრ რომელი?

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მეჭურჭლეთუხუცესის საჭურჭლის მთავარი გამგე უნდა ყოფილიყო. „საჭურჭლე“ და „საჭურჭლენი“ (მტნე ქმ, \*509, გვ. 278; ცამფსადთსი, \*513, 541, 545 და 554, გვ. 282, 308, 312 და 322; ისტორი და აზმნი, \*613, გვ. 385 და უამთაღ., \*831, 832, 898—899 და 913, გვ. 676, 677, 739 და 755 და სხვაგან) სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. თავდაპირველად „საჭურჭლენი“

„საქურქლეს“ საწყობსა პნიშნავდა. შემდეგ მას განძისა და სიმდიდრის საზოგადო მნიშვნელობა მიეცა. ამგვარი აზრი აქვს ამ სიტყვას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შემდეგ წინადადებაში: როდესაც თურქებმა გიორგი II აოტეს, „საქურქლენი დონი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი... აიხუნეს იავარად“-ო (ცა მ-ფსა დ-თსი, \*513, გვ. 282). სულთანი მეფე დავით აღმაშენებლის შიშით „ზედას ზედა წარმოაღელნდის მოციქულთა ძლუნითა მომშუიღებად პირსა მისსა და წარმოსცნის საქურქლენი მძიმენი, ტურფანი მრავალფერნი“-ო (იქვე, \*545, გვ. 312). განძეულობის მნიშვნელობა აქვს სიტყვას „საქურქლენი“ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში, როდესაც მას ნათქვამი აქვს, რომ გიორგი III „ესე ვითარსა მარჯუებასა [და] ზეობასა განამრავლნა საქურქლენიცა და დადგა თვთ მისით მონაგები და მისთა [ნა]ტყუე [ნავ]თა განმონაგები ციხესა შინა უჯარმისასა“-ო (ისტ-რნი და აზმ-ნი, \*613, გვ. 385).

საყურადღებოა, რომ ყველა ზემომოყვანილ მაგალითში ეს სიტყვა მრავლობითად არის მოხსენებული და როგორც ეტყობა სწორედ ამ სახით („საქურქლენი“) ეს სიტყვა განძეულობასა პნიშნავდა. ამ საზოგადო დაკვირვებას ეწინააღმდეგება რამდენიმე მაგალითი, რომელიც ქართველი ჟამთააღმწერელის თხზულებაში გვხვდება. იქ სახელდობრ წერია: სარგის ჭაყელი გამდგარსა და სამცხეში შეხიზნულ მეფეს დავით ლაშას ძეს ეუბნებოდა, გადაბრძანდი დასავლეთ საქართველოში დავით რუსუდანის ძესთან და „აპა სიმდიდრე ჩემი მზა არის თქვენთვის, ნუცა შენ სწყალობ საქურქლესა შენსა და ვეზარხნეთ თავადთა იმერთა და განვსცეთ საქურქლე და ჩვენ კერძო დავიყენოთ“-ო (ჟამთააღმწ., \*831, გვ. 676). ცხადია, აქ იმერთა მეთაურთა მოსყიდვაზეა ლაპარაკი და ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მრავლობითი რიცხვი, „საქურქლენი“ და არა „საქურქლე“. ერთგან კიდევ ნათქვამია: ბათო ყანის შვილის შვილმა მეფე დავითს დიმიტრი თავდადებულის ძეს „უქადა ქუეყანა“ და „საქურქლე მრავალი“, თუ ყაზან ყანის სამფლობელოში შესეეას მიშველიო (იქვე, \*913, გვ. 755). აქაც მრავლობითი რიცხვი იყო მოსალოდნელი და არა მხოლოდობითი შესაძლებელია ეს და ორიოდ ამგვარივე ადგილი მერმინდელი გადამწერი-საგან იყოს დამახინჯებული და თავდაპირველად თვით ისტორიკოსს ამ შემთხვევაში „საქურქლენი“ ეწერა და არა „საქურქლე“. თუ არა და უნდა ვიფიქროთ, რომ XIV საუკუნეში ამ სიტყვის ხმარების პირვანდელი წესი უკვე შეცვლილი იყო.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ „საქურქლე“ სახელმწიფო ხაზინას ერქვა. ისტორიკოსი ამბობს, რომ როდესაც დავით აღმაშენებელმა 1122 წ. ტფილისი ამიკას წაართვა და დაიპყრა, მან „ქალაქი ტფილისი... და უმკვდრა შვილთა თვსთა საქურქლედ და სახლად საუკუნოდ“-ო (ცა მ-ფსა დ-თსი, \*541 გვ. 308). ქართველს ჟამთააღმწერელსაც აღნიშნული აქვს: რუსუდანის ძის დავითისა და ლაშას ძის დავითის და მათ მომხრეთა შეუთანხმებლობისა და აშლილობის გამო, რომ შუღლი მოესპოთ, იმაზე უკეთესი ვერა მოიგონეს რა, რომ „დაამტკიცეს რათა განყონ სამეფო და საქურქლე ორად და განყვეს სამეფო [და] საქურქლენი“ (\*832, გვ. 677). ორთავ ზემომოყვანილ წინადადებაში საქურქლე სახელმწიფო ხაზინას პნიშნავს. თუ უკანასკნელს წინადადებაში მეორე შემ-

თხვევაში გადამწერისაგან არ არის დედანი დამახინჯებული, მაშინ აქ, ამ წინადადებაში, ამ სიტყვის ორგვარი მნიშვნელობა ერთად არის თავმოყრილი და პირველ შემთხვევაში სახელმწიფო ხაზინაზეა ლაპარაკი, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ ხაზინის შინაარსზე, განძეულობასა და სიმდიდრეზე.

XIII საუკ. ქართული საეკლესიო კრების ძეგლისწერის ნაწყვეტშიაც სახელმწიფო ხაზინა „საქურტლე“-დ იწოდება, მხოლოდობითად არის ნახმარი და არა მრავლობითად. იქ სამღვდლოება და საეკლესიო კრების მონაწილენი მეფეს ეუბნებიან: „თუ ერთხელ საქურტლესა თქვენსა შემოღებულნი... საქურტლესა თქვენსა მღებარე“ ვინმემ მოიტაცოს, ან დახარჯოს, თქვენ ხომ არ დაუმაღლებდითო? (ქეზი, II, 164<sup>17</sup> და 20). ყურადღების ღირსია, რომ „ქარის გარიგება“-შიც „საქურტლე“ მხოლოდობითად არის ნახმარი და იქ ნათქვამია: მწიგნობართუხუცესი ჰყონდილეი „საქურტლესაც შევა“-ო (461). ან კიდევ „სადა ვინდ იყოს მეფე,—სალაროს, საწოლს და საქურტლესა“,—ამირეჯიბს უფლება აქვს მეფეს წარუდგესო (578). ერთი სიტყვით, როდესაც დაწესებულებაზე, სახელმწიფო ხაზინაზეა ლაპარაკი, „საქურტლე“-ა ნახმარი<sup>10</sup>.

ქვემოთ გამოკვეთული იქნება, რომ ხაზინის განყოფილებანი, რომელშიაც სახელმწიფო ქონება ინახებოდა, საგანძურებად იწოდებოდნენ. დაეით აღმაშენებელის ანდერძი ამტკიცებს, რომ როდესაც საგანძურების მრავლობითად აღნიშვნა ჰსურდათ, მაშინაც „საგანძურნი“-ს მაგიერ შეიძლებოდა ეთქვათ „საქურტლენი“-ო. მაგ., დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში თავის მლოცველი ბერის პირით ამბობს: როდესაც ძე ჩემი დიმიტრი სამეფო ტახტზე ავიყვანე, „მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საქურტლენი ჩემნი ზემონი და ქუეშონი“-ო (ქეზი, II, 51), ესე იგი საქართველოს სხვადასხვა ადგილას, ზემო და ქვემო საქართველოს სახელმწიფო საგანძურიც მას გადაეცეო.

საგულისხმეოა, რომ „ქ. გარიგება“-ში „სახლის საქურტლეს“-ც არის მოხსენებული (8168), რაც ალბათ სამეფო სახლის საქურტლეს უნდა ნიშნავდეს.

სანამ ტფილისს ისევ საქართველოს შეუერთებდნენ, სახელმწიფო მთავარი საქურტლე ქუთაისში იყო დაბინავებული. ქართველი ისტორიკოსი ამბობს, რომ როდესაც გიორგი II-ს ნიანია ქუაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი აუჯანყდნენ, ნიანიამ „წარიღო ქუთაისისა საქურტლე“ (მტნე ქმ, \*509, გვ. 278).

10 საგულისხმეოა, რომ შოთას „ვეფხისტყაოსან“-შიც ხაზინა როგორც დაწესებულება „საქურტლე“-დ იწოდება, იქ, მაგ., ტახტზე ახლად აყვანილი თინათინის შესახებ წერია:

„მერე ბრძანა: „ვიქ საქმესა, მაშისაგან სწავლებულსა და ჩემსა ნუ ვინ ნუ დამალათ საქურტლესა დაღებულსა“.

მოხბო მისი გამზრდელი, ერთგული, ნერთგულევი, უბრძანა: „ჩემი საქურტლე შენგან დანაბეჭდულევი მომართუთ ჩემი ყუელაო, ჩემი ნაუფლისწულევი“.

და მოართეს. გასცა ურციხევი, უანგარიშო, ულევი“ (ს. კავ. 12<sup>46</sup> და 47).

თუმცა ჩვეულებრივ 47 ტაევი 46 მისდევს, მაგრამ ცხადია აქ დედანში სწორედ ჭერ 47, ხოლო შემდეგ 46 ტაევი უნდა ყოფილიყო. აზრის ლოგიკური მიმდინარეობა სხვაფრთვ შეუძლებელია. ამას გარდა ტაევი 48 და 49, როგორც იმავე ზემომოყვანილს ტაეებში გამოთქმული აზრების წინაუქმო და აღრეული გარემოება, უეჭველია, ყალბი უნდა იყოს, განსაკუთრებით სიყალბე 48-ე ტაეის ეტყობა, რომელშიაც მოიპოვება „საქურტლენი“.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს მთავარი საკურკლე ქუთაისიდან ტფილისს გადმოიტანა. დასტოვა ადგილობრივ ამ საკურკლიდან რაიმე და საკურკლის განყოფილებასავით თუ არა, ცნობები არ მოიპოვება.

აღმოსავლეთ საქართველოში ტფილისს გარდა სხვაგანაც ყოფილა სახელმწიფო საგანძურები. დავით აღმაშენებელის ანდერძში მაგ. დასახელებულია „ატენისა საკურკლე“ (ქეზი, II, 52), ანუ საგანძური. დიდებული მეფის მლოცველი ბერას სიტყვებითგან არა ჩანს ვისი აგებული იყო ან დაარსებული ეს „ატენის საკურკლე“. მაგრამ ეს კი ცხადია და ამას თვით მეფეც ამბობს, რომ ამ საგანძურში თვით „ჩემითა (ე. ი. დავით აღმაშენებელის) სისხლითა მოგებული“, ომებით შექმნილი ფულიც ინახებოდა (ქეზი, II, 51<sub>34</sub>—52<sub>1</sub>), საქართველოს სახელმწიფო საკურკლე გაუმდიდრებია. სამაგიეროდ თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ გიორგი III ხშირი და ძლევამოსილი ომებით იმოდენა სიმდიდრე შეიძინა, რომ ტფილისის მთავარ საკურკლეში აღარ ეტეოდა და მის გამო „და დეა... მისთა [ნა]ტყუე[ნავ]თაგან მონაგები ციხესა შინა უჭარმისასა“ (ისტორი და აზმნი, \*613, გვ. 385).

შესაძლებელია თამარ მეფის დროსაც, როდესაც საქართველოს სამეფოში წინანდელზე უფრო მეტი სიმდიდრე დატრიალდა, კიდევ სადმე სხვაგანაც მოენახათ საკურკლისათვის ბინა. იმ შენობას, სადაც სამეფო საკურკლე, ხაზინა იყო მოთავსებული, „საგანძური“, „საგანძურნი სამეფონი“ (ქამთააღ., \*898—899, გვ. 739 და თამარ მეფის მეორე ისტ.) ეწოდებოდა. ეს ქართველი ქამთააღმწერელის შემდეგი სიტყვებით მტკიცდება: როდესაც არღუნ ყაანმა ბრძანა მეფე დიმიტრი II-ისათვის ყველაფერი ჩამოერთმიათ, საამისოდ მოსულმა მონღოლებმაო, „წარიდეს ყოველი, არა რა დაშთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინაგამცემელ იქმნეს“ და ამის წყალობით „მვიდა ყაანს წინაშე საკურკლე მეფისა“-ო (ქამთააღ., \*898—899, გვ. 739).

მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ სახელმწიფო ხაზინა და საგანძურნი ტფილისს გარდა სხვა ადგილებშიაც იყო მოთავსებული, თვით „საკურკლე“ როგორც სახელმწიფო დაწესებულება ერთი იყო და განუყოფელი. ამ აზრის გარემოებაც ამტკიცებს, რომ როდესაც მეფეებმა დავით ლაშას ძემ და დავით რუსუდანის ძემ უთანხმოების და აშლილობის მოსასპობად გადასწყვიტეს, რომ შუღლს ისევ საქართველოს გაყოფა სჯობია, „დაამტკიცეს რათა განყოინ სამეფოს და საკურკლე ორად“ (ქამთააღ., \*832, გვ. 677). მაშასადამე, როგორც სამეფო ერთი იყო, ისევე „საკურკლე“-ც საქართველოში, ვითარცა სახელმწიფო დაწესებულება, ერთი და განუყოფელი ყოფილა, თუმცა ამისი შინაარსი სხვადასხვა ადგილას ინახებოდა.

გიორგი II-ის დროს თურმე ყოფილა „ქუთაისსა საკურკლე“ (მტნე ქე, \*509, გვ. 278). შემდეგ კი როდესაც ტფილისი დავით აღმაშენებელმა აიღო და კვლავ საქართველოს სატახტო ქალაქად და მეფეთა საჯლომად აქცია, სახელმწიფო ხაზინაც ქუთაისიდან ტფილისში გადმოიტანეს.

რას ინახავდენ სახელმწიფო საკურქლეში? დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ერთგან ნათქვამი აქვს, რომ დიდებული მეფე ყოველ დღე თავის ქისას „აღავსებდა დ რ ა ჰ კ ნ ი თ ა, ფულითა, წავიდოდა, მოივლიდა ქალაქს და ღარიბ-უძღურს დაურიგებდაო და „ამას იქმოდის არათუ ხელოსანთაგან მორთმეულისაგან ანუ საკურქკლით, არამედ კელითა თვისითა ნადირებულთა[გან]“-ო (ც<sup>ა</sup> მფ<sup>ს</sup>ა დ<sup>ს</sup>ი, \*554, გვ. 322). ქართული ისტორიკოსის ამ სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ საკურქლეში ფული ყოფილა შენახული. ამის დამამტიცებელი პირდაპირი ცნობაც მოიპოვება. ჩვეულებრივ დავით აღმაშენებელი თავისი მლოცველი ზერის პირით თავის ანდერძში ამბობს: „ღუკატი და ბოტინატი ატენისა საკურქლესა... ჩემითა სისხლითა მოგებული ნახევარი მაინც ჩემმა შვილმა დიმიტრამ ჩემს მოძღვარს გადასცეს მონასტერთათვის გადასაცემადო (ქ<sup>ბ</sup>ი, II, 51<sub>34</sub>—52<sub>4</sub>). ღუკატი და ბოტინატი ბიზანტიური ფული იყო და სწორედ ამ დროს საქართველოშიც ტრიალებდა (იხ. ს<sup>ქ</sup>ს ეკონომიური ისტორია, I, 91—92). მაშასადამე, აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ ფული საქართველოში სახელმწიფო საკურქლეში ინახებოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისაგან ვიცით, რომ „საკურქლეთა შემოსავალი“ (ც<sup>ა</sup> მფ<sup>ს</sup>ა დ<sup>ს</sup>ი, \*551, გვ. 319) არსებობდა. ეს იყო ალბათ სახელმწიფო საკურქლის უმთავრესი წყარო.

ფულს გარდა საკურქლეში, როგორც თვით სახელიდანაც საფიქრებელია, უეჭველია, სხვადასხვა ძვირფასი ჭურჭელიც უნდა ყოფილიყო შენახული. მართლაც XIII საუკ. ქართული საეკლესიო კრების ძეგლის წერაში საეკლესიო კრების წევრნი მეფეს ეუბნებიან: „თუ ერთხელ საკურქლესა თქვენსა შემოღებული და ერთგზის თქვენთვის შემოძღვანებული თუალთა და მარგალიტთა და ჭურჭელთა ოქროსა და ვერცხლისათა თანა რამე მცირე გინა დიდი საკურქლესა შინა თქვენსა მდებარე“ ვინმემ გამოიტანოს და მითვისოს, ან გაფლანგოს, ხომ ხეირს არ დააყრიტ, საეკლესიო მამულების მითვისებას-და რად უწყობთ ხელსაო? (ქ<sup>ბ</sup>ი, II, 164<sub>27</sub>—20). მაშასადამე, სამეფო საკურქლეში სხვათა შორის ინახებოდა, „საკურქლესა შინა მდებარე“ იყო „შემოღებულნი“ და მეფისათვის „შემოძღვანებული“ ძვირფასი განძეულობა, თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი.

„ქარის გარიგება“ ადასტურებს საისტორიო და იურიდიული წყაროების-და მიხედვით აღდგენილ სურათს და ზოგიერთში ავსებს კიდევ. მაგრამ იქ არ არის მთლიანი სურათი წარმოდგენილი. სრული სურათის აღდგენა მხოლოდ ყველა წყაროს საშუალებით შეიძლება.

იქ სახელდობრ აღნიშნულია, რომ „ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსადვინო“, რომელიც კი „სახმარებლად სანიადაგოდ“ განკუთვნილი იყო, „ყოველი საკურქლესა ძეს და დგას“-ო (მ<sup>170</sup>—173). საკურქლის არსებითი და დამახასიათებელი თვისება რომ ჩვენთვის უფრო ცხადი იყოს, ამისათვის უნდა ისიც ვიცოდეთ, თუ რა ინახებოდა სალაროში. „ოქროს ჭურჭელი ანუ ვერცხლისა“, რომელიც „სახმარებლად“

რებლად სანიადაგოდ არ უნდა[თ]“, ის „შეკრული სალა-  
როსა ძე[ვ]ს“-ო (ყ. გარიგება).

მამსაღამე, არსებითად, საჭურჭლე და სალარო იმით განსხვავდებოდნენ ერთი-ერთმანერთისაგან, რომ საჭურჭლეში მხოლოდ „საჯმარებლად სანიადაგოდ“ საჭირო და განკუთვნილი განძეულობა იყო შენახული. სალაროში კი პირაქით ისეთი განძეულობა იდგა. რაც სწორედ „სახმარებლად სანიადაგოდ“ არ იყო განკუთვნილი და უზმარებელი „შეკრული“ იდგა. თუ გავიხსენებთ ამასთანავე, რომ სანიადაგო, ყოველდღიურ სახარჯავ ფულსაც მეფე, როგორც ვიცით (იხ. ზემოთ), თურმე საჭურჭლიდან იღებდა ხოლმე და „საეაქრო რაც მეფისა[ა], სადაც წავა ანუ მოვა“ ყველა მეჭურჭლეთუხუცესის საზრუნავ და საურავ საქმედ იყო (ყ. გარიგება, 8169—170), მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ საჭურჭლე სანიადაგოდ სახმარებელი და სახარჯავი ხაზინა უოფილა, სალარო კი ერთგვარი ხელუხლებელი, „შეკრული“, სათავენოს მსგავსად განკუთვნილი ხაზინა არის. რომ სალაროს შესახებაც ეს აზრი სრულ შემართებლად ვიცნათ, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ ინახებოდა თუ არა იქაც განძეულობა ფულად, რომელიც ჩვეულებრივ ხელუხლებელ ძირითად სათავენოდ იდგა? ამის შესახებ სამწუხაროდ ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ სალარო მეჭურჭლეთუხუცესს არ ექვემდებარებოდა, არამედ მარტო საჭურჭლე, საგულისხმოდ აგრეთვე, რომ საქართველოს სახელმწიფო საჭურჭლეში, როგორც სხვა ქვეყნებშიაც საშუალო საუკუნოებში, ფულთან ერთად ძვირფასი განძეულობა, ოქრო-ვერცხლის ჭურჭელიც ინახებოდა. ხოლო რაკი „ქარის გარიგება“-ში წერია, რომ სამაშხალე ალყის გასაკეთებლად „მეჭურჭლენი მიიღებენ ქონსა“ და ფარეშთუხუცესს „სასაპოვნედცა იგინი მისცემენ (ქონს ან ზეთსა) სამაშხალედაც“-ო (8150—152), ამიტომ იქნებ ფულსა და სხვაგვარ განძეულობასა და ძვირფას ჭურჭელს გარდა საჭურჭლეში სხვადასხვა სახმარებელი მასალაც ინახებოდა, რაც კი სახელმწიფო გადასახადების სახით შემოდის?

სელჩუკიანთა სამეფოში, სპარსეთში ორი ხაზინა არსებობდა: ერთი სათავენო ხაზინა იყო, მეორე სახარჯავი. ნიზამ-ულ-მულკი ამტკიცებს კიდევ, რომ მეფეებს ყოველთვის ასე ჰქონდათ და სახელმწიფო შემოსავლის უმეტესი ნაწილი სათავენო ხაზინაში შეჰქონდათ, უმცირესი კი სახარჯავში. სათავენო ხაზინა ჩვეულებრივ ხელუხლებელი იყო და თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში იქიდან ფულს აიღებდენ, შემდეგში უეჭველად უნდა შეევსოთ Siasset Namèh, texte persan, ed. par Ch. Schefer, გვ. 205—206: გ. ბარტოლდი, Туркестан, II. 239).

ბიზანტიაში ქართველ მეჭურჭლეთუხუცესს „დიდი საკელლარი“, ანუ „საკელლარი“ უდრიდა, რომელიც ყველა საჭურჭლის ანუ ხაზინების ზედამხედველი იყო. ერთ ამ ხაზინათაგანს ერქვა „საერთო საქმეთა სეკრეტონი“ (ს. რე:ჩაზ, Λογιστήρις ἢ ρεσιχάς, Λογιστήρις τῶν ρεσιχῶν), მეორეს — „მეფის ხაზინის სეკრეტონი“. ამ ხაზინაში ფულსაც ინახავდენ და სხვადასხვაგვარ განძეულობასაც. მესამეს „სამხედრო ლოგოთეტის სეკრეტონი“-ს ეძახდნენ, ეს დაწესებულება ლაშქრისა და სამხედრო ზომალდების შესანახავად საჭირო



ფულს ინახავდა და ხარჯს ეწეოდა. სხვა ხაზინებიც იყო (Н. Скабаланович. Византийское государство, გვ. 176—177).

მაშასადამე, სახელმწიფო ხაზინის მოწყობილობა საქართველოში სპარსეთისას უფრო მიაგავს, ვიდრე ბიზანტიისას, მაგრამ სრული მსგავსება, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით (იხ. „სალეინე“), ქართულ საფინანსო დაწესებულებებს არც სპარსეთისასთან ჰქონია.

საქართველოს სახელმწიფო საქურძლეში შემდეგი მოხედეები მსახურობდნენ: 1) „ს ა ქ უ რ კ ლ ი ს ნ ა ც ე ა ლ ი“ (კ. გარიგება, 344, 8173, 14305 და 17369), რომელსაც თამარ მეფის დროს უძახდნენ „ნაცვალს მეჭურჭლეთ-უხუცესისას“. 2) „მ უ შ რ ი ბ ი“ (იქვე, 8174 და 9178,—180). 3) „ს ა ქ უ რ კ ლ ი ს მ უ ქ ი ფ ი“ (იქვე, 345, 8173) და 4) „მ ე ქ უ რ კ ლ ე ნ ი“ (იქვე, 466, 8150 და 8174—176). სხვადასხვაგვარი მეჭურჭლენი იყვნენ: ერთს ჯგუფს შეადგენდნენ „დ ა რ ბ ა ზ ს მ ყ ო ფ ნ ი მ ე ქ უ რ კ ლ ე ნ ი“ (იქვე, 8174—9175), მეორეს—„მ ე ქ უ რ კ ლ ე ნ ი ქ ა ლ ა ქ ი ს ა ნ ი“ (იქვე, 8174). ერთი მეჭურჭლეთაგანი მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის „ქ ყ ო ნ დ ი დ ლ ი ს ა ზ ე დ ა მ დ გ ო მ ე ლ ი“ იყო ხოლმე (იქვე, 460). თუმცა „ქარის გარიგება“-ში დასახელებული არ არის, მაგრამ საქართველოს სხვა დაწესებულებათა წყობილებისა და მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ს ა ქ უ რ კ ლ ი ს უ ხ უ ც ე ს ი“-ც უნდა ყოფილიყო. იქნებ იქ, სადაც ნათქვამია, რომ მუშრიბი ქალაქის შემოსავალს „უ ხ უ ც ე ს თ ა მ ი ა თ ვ ლ ს“-ო (კ. გარიგება, 9180), სწორედ საქურძლის უხუცესი არის ნაგულისხმევი? ამას გარდა თუმცა შენახულს „კ. გარიგება“-ში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება იმიტომ, რომ ეს ძეგლი ძალზე დაზიანებულია და ბევრიც აკლია, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ „ს ა ქ უ რ კ ლ ი ს მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი“-ც არსებობდა. იგი მოხსენებულია თამარ მეფის 1189 წლის სიგელში (ქკ-ბი, II, 74), მაგრამ თუნდაც რომ ეს საბუთი შემთხვევით შენახული არა ყოფილიყო, ისედაც შეგვეძლო დავგვესკვნა, რომ საქურძლის მწიგნობარი უნდა ყოფილიყო. თუ რომ ზარდახნის და ძაღლების აღწერისათვისაც-ი მწიგნობარები იყვნენ მიჩენილნი (იხ. ჭვემთ, მონადირეთ-უხუცესი), განა დასაყრებელია, რომ ისეთს დიდმნიშვნელოვან დაწესებულებას, როგორც იყო საქურძლე, მწიგნობარნი არა ჰყოლოდა? საქურძლის მწიგნობარი იმ 24 მწიგნობარს შორის ირიცხებოდა, რომელნიც მწიგნობართუხუცესის ხელქვეით იყვნენ, თუ ცალკე იყო იგი, ჯერ ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ იმის გარდაც უკვეელია საქურძლის ყოველდღიური ანგარიშების შემადგენელნი საგანგებო „პელოსანნი“-ც იქნებოდნენ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „მ უ შ რ ი ბ ი“. ეს სიტყვა არაბულია (მუშრიბ) და ჰნიშნავს ზედამხედველს, მეთვალყურეს. ნიჰამ-ულ-მულკის სიტყვით, სპარსეთში მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა, რაც კი სასახლეში თუ გარეთ ხდებოდა და, როდესაც საჭირო იყო, მთავრობისთვის უნდა ეცნობებინა. სპარსელ ისტორიკოსს ბეიხაკის მ უ შ რ ი ბ ე ბ ი და ხ ა ზ ი ნ ა დ რ ე ბ ი ე რ თ ა დ ჰ ყ ა ვ ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ნ ი და მ უ შ რ ი ბ ე ბ ი მ ი ს ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ ს ა ს ა ხ ლ ი ს ქ ო ნ ე ბ ი ს ნ უ ს ხ ე ბ ს ა დ გ ე ნ დ ე ნ. ამის გამო ე. ბარტპოლდი ფიქრობს, რომ მუშრიბები მხოლოდ იმ ქონებასა და ფულს ადევნებდნენ თვალყურს, რომელიც სასახლეში იყო და სასახ-

ლის სახარჯოდ და შესანახავად იყო განკუთვნილი (Туркестан, II, 240). „კარის გარიგებით“-განა ჩანს, რომ საქართველოშიც მუშრები სადინანსო სამინისტროს, მექურჭლეთ-უხუცესის ქვეშეთი მოხელე ყოფილა (8174) და შემოსავლის განსაკუთრებული დარგი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ჰპარებია, „კარის გარიგება“-ში, მაგ., ნათქვამია: „მუშრები რაც ქალაქთა საქურჭლე[ნი] შევა და ნავაჭრი რაც შევა, და სანელბელი, მასტიკი და სამარხო წამალი, სავმარი თუთუბო, ესეც მუშრებმან იცის“-ო (9178—180). ამ წინადადებითგანა ჩანს, რომ მუშრებს ჰპარებია ის, რაც „ქალაქთა შევა“: საქურჭლე იყო თუ ნავაჭრი ან სხვა რამე საზარეულო მასალა (სანელბელი, მასტიკი, სამარხო, თუთუბო და სხვა). სხვა იმდროინდელ ქვეყნებსავით საქართველოშიც განსაზღვრულ საქონელსა და საგნებზე, რაც კი ქალაქებში გასაყიდავად და სახმარად შექონდათ, განსაკუთრებული გადასახადი, ბაჟი და სავაჭრო გადასახადი იყო დაწესებული. ზოგი მათგანი ფულად იყო გადაკვეთილი. ზოგს საქონელზე სულადად იღებდენ ხოლმე, როგორც ზემომოყვანილი ცნობიდანა ჩანს, მაშინ საქართველოში სანელბელზე და სხვა საზარეულო მასალაზე (მასტიკი, სამარხო წამალი, თუთუბო და სხვა) სწორედ სულადად ყოფილა ბაჟი დაწესებული. აი ეს ქალაქთა ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ჰპარებია ქართველ მუშრებს. მაგრამ იგი ამ შემოსავალს თითონ კი არ ინახავდა თურმე, არამედ „უხუცესთა მიათვლის“-ო (კ. გარიგება, 9180), ესე იგი საქურჭლის უხუცესთ ანგარიშითურთ ჩააბარებდა. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოში არსებობდენ „მექურჭლენი ქალაქისანი“, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქნებ არსებობდა აგრეთვე „საქურჭლე ქალაქისა“-ც და ეგების ჯერ იქ იკრიბებოდა ხოლმე ქალაქთაგან შემოსული ბაჟი და სავაჭრო გადასახადი, მუშრები საქურჭლის უხუცესთა „წითელიდა“, ჩააბარებდა ამ დარგის შემოსავალს, ხოლო შემდეგ რაც საქირო იყო, იქითგან სახელმწიფოს მთავარ საქურჭლეში იგზავნებოდა.

რაც ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ქალაქებში მუშრებს ეკითხებოდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ „საკოშრე“ (1058 წ. სიგ. შიომღ. ისტ. საბ., 42) ანუ სასასწორო გადასახადი მის ზედამხედველობას ექვემდებარებოდა.

საქურჭლის ყოველწლიური ანგარიშები და მათი შემოწმება ალბათ იმავე დროს, წლის თავს, და იმავე წესით ხდებოდა როგორც საქართველოს სხვა ამგვარსავე დაწესებულებებში, მაგ. ზარდახანში.

სახელმწიფო საქურჭლის მთავარი გამგე და ზედამხედველი რასაკვირველია მექურჭლეთუხუცესი იყო, მაგრამ მისი უზენაესი ზედამხედველობა მწიგნობართუხუცესსაც ეკუთვნოდა და როდესაც საქიროდ მიიჩნევს იგი „საქურჭლესაც შევა“-ო (კ. გარიგება, 461).

„ბეჭედი მექურჭლეთუხუცესის“ (კ. გარიგება, 11229—230) კუთვნილებაც ყოფილა. არა ჩანს მხოლოდ, რანაირი ბეჭედი იყო და როდის და როგორ ეძლეოდა მას ეს ბეჭედი.

მექურჭლეთუხუცესს, ვითარცა საქართველოს ფინანსთა მინისტრს, შემდეგი დაწესებულებანი და მის ქვეშეთი მოხელენი ექვემდებარებოდენ და შემდეგი საქმეები ეკითხებოდა: მძველნი ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო რაც მეფისა[ა] სადაც წავა ანუ მოვა, და

რაც... საჭურჭლესა ძეს და დგას. საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თუთ დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მისისა ველისანი არიან“-ო, ნათქვამია „ქარის გარიგებაში“ (8169 — 9175).

მამსადადამე, საჭურჭლეს მოკელეებს გარდა, რომელზედაც უკვე იყო ზემოთ საუბარი, მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეით ყოფილა: 1) ძველი ქალაქები, 2) საზოგადოდ ყველა „ქალაქის ამირანი“ და „მეჭურჭლენი ქალაქისანი“, 3) ვაჭარნი და აღებშიცემობა, 4) სავაჭრო გადასახადები და ბაჟი და 5) მეფის ყოველგვარი „სავაჭრო“ და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი.

რაკი „ქ. გარიგება“-ში ნათქვამია, რომ ვაჭარნი „მეჭურჭლეთუხუცესის ველისანი არიან“-ო, ამიტომ საფიქრებელია, რომ „ვაჭართა-უხუცესის“-ც (ვეფხისტყაოსანი, კაკ., 1431c22, კარიკ., 1741046) მისი ხელქვეითი იქნებოდა. თუ რომ სახელმწიფო გადასახადი „ხარაჯა“ პირდაპირ საჭურჭლეში შემოდითა, მაშინ „მოხარაჯენი“-ც, რომელნიც თამარ მეფის 1202 წ. სიგელში არიან დასახელებულნი (შიომლ. ისტ. საბ., 26 და ს. კაკ. შიომლ. სამი სიგ., 82—3), მეჭურჭლეთუხუცესის ქვეშეთი მოხელენი იქნებოდენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესსაც შეიძლებოდა ამ ვაზრობას გარდა სხვა ხელისუფლობაც ჰქონოდა, თვით საქვეყნოდ გამრიგისაც კი. მაგ., აბულასანი ყოფილა ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი (იხ. ხატის წარწ. ე. თაყაიშვილი, *Арх. эк. II*, 70), ხოლო ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელი ჯაყელი პატივითა იყო „მეჭურჭლეთ-უხუცესი და მთავარ ქვეყანასა სამცხისასა“ (ყამთაალ., \*769, გვ. 599), სარგის ჯაყელიც იყო „სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი“ (იქვე, \*874, გვ. 718).

## § 7. ათაბაგი

ცნობილია, რომ ათაბაგობა ქართული ხელისუფლობა არ არის და უცხოეთიდან იყო შეთვისებული. ათაბაგობა 1212 წლამდე „არა ყოფილა საქართველოს მეფეთა წინაშე“. თვით ეს დაწესებულებაც „სულტანთა წესი არს“ და არა საქართველოს მეფეთა. თურქულად „მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი“ (ისტორი და აზმნი, 719, გვ. 526—527). მართლაც „ათაბაგ“-ი თურქული სიტყვაა და მამა-ბეგს ჰნიშნავდა. მაგრამ ათაბაგს სელჩუკიანთა სამეფოში იმ თურქ მონებს ეძახდენ, რომელნიც საგანგებოდ სულტანთა სამსახურისათვის აღზრდილნი იყვნენ და განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილნი უფლისწულთა მზრუნველად ინიშნებოდენ. თანდათან მათ დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მთავრებად იქცნენ. (A. Müller. *Der Islam im Morgen-und Abendland*. 1887, II, 113 და 124).

ათაბაგობა საქართველოში შემთხვევით იყო შემოღებული და განსაკუთრებით სწრაფ მხარგრძელის პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქმნა დაწესებული. ქართველი ისტორიკოსი ამბობს, რომ ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდგომ, როდესაც თამარ მეფემ მის ძმას ივანეს

ამირსპასალარობა შეაძლია, უკანასკნელმა თამარს სთხოვა: „განადიდე წყალობა შენი ჩემზედა, რომელ ახალსა და უადრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო“-ო (ისტორი და აზრნი, \*719 გვ. 526). დიდებულს მეფეს თავისი ერთგული და დამსახურებული ხელისუფლის თხოვნა შეუსრულებია: „ახალი პატივი“, ათაბაგობა დაუწესებია საქართველოში და პირველ ათაბაგად ივანე მხარგრძელი დაუნიშნავს.

როდესაც თამარ მეფემ ათაბაგობა შემოიღო საქართველოში, აღსაზრდელი უფლისწული არავინ იყო იმიტომ, რომ ლაშა-გიორგი უკვე თავის სახელობიანი დედის თანამოსაყდრედ იჯდა, თანაც დედა ცოცხალი ჰყავდა და ამის გამო „ახალ“ ათაბაგს რასკვირველია არ შეეძლო ისეთი გავლენა მოეპოვა, როგორც ათაბაგებს სელჩუქიანთა სამეფოსა და სპარსეთში ჰქონდათ. ამასთანავე საქართველოს სახელმწიფო წესწყობილობის მიხედვით სამეფოში ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი ხელისუფალთა შორის მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა ყოველთა უპირველესი იყო, რომელიც „ქ. გარიგების“ სიტყვით „მამა არს მეფისა“ (19437). მაშასადამე, ამ მხრივ ათაბაგს არ შეეძლო საქართველოში ის თვისებები შეენარჩუნებია, რომელიც მას თურქთა სასულტნოების ნიადაგზე ჰქონდა. სულ სხვა პირობებში იყო იქ ათაბაგობა აღმოცენებული და უცვლელად მისი გადმონერგვა არ იქნებოდა.

ამიტომაც არის, რომ თუმცა თამარ მეფისაგან „ათაბაგობა განდიდებული“ იყო (ყამთააღ., \*723, გვ. 639) და „ათაბაგი დიდი და საპატიო“ ხელისუფალი ბრძანდებოდა (ქ. გარ., 19439), მაგრამ მაინც მწიგნობართუხუცესს და ბლაიდგა და საქართველოს სამოხელეო წესწყობილებაში მას ყველაზე უმაღლესი ადგილი არ ექირა, არც პირველი ვაზირი ყოფილა<sup>11</sup>. მეფის კურთხევის წესმა, მაგ., მას მხოლოდ მწიგნობართუხუცესის ჰქონდიდელის შემდგომი ადგილი მიაკუთნა და მეფის ტახტზე აბრძანებასა და კურთხევას რომ მიუღოცდენ, ათაბაგი მხოლოდ ვაზირთა უპირველესის მერმე უნდა მისულიყო მისალოცავად (კურთ. წეს., 817). ვაზირობის და დარბაზობის დროსაც უმაღლეს ხელისუფალთა შორის უპირატესობა ათაბაგს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მწიგნობართუხუცესს (ქ. გარ., 18429—430, 19435—441), „ქ. გარ.“-ში პირდაპირ არის ნათქვამი: ვაზირთა უპირველესის და მწიგნობართუხუცესის „ჰყონდიდელის ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“-ო (19440—441). ვაზირობა რომ უნდა დაწყობილიყო, ჯერ მწიგნობართუხუცესი დაჯდებოდა ხოლმე, ხოლო მის შემდგომ ათაბაგი და დანარჩენი ვაზირნი და ვაზირობის წესში საგანგებოდ განმარტებულიც არის: „ჰყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია“-ო (ქ. გარ., 19435—438). პურობის დროსაც ჰყონდიდელს, განსაკუთრებული და უფრო მეტი პატივისცემა ჰქონდა მინიჭებული, ვიდრე ათაბაგს: პირველს თუ თვით ამირეჯიბი დაუდგამდა ტაბაკს, ათაბაგს იმგვარადვე, როგორც ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს „ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს“ (ქ. გარ., 17398—403).

<sup>11</sup> ასე ეგონა, მაგ., ქართული სამართლის ისტორიის პირველ და ნიქერ მკვლევარს განს. ნ. ურბნელს (ათაბაგი ბექა და აღბულა და მათი სამართალი. 10).

გარეგნობითაც მწიგნობართუხუცესის ათაბაგზე უფროსობა ყველასთვის ცხადი იყო ხოლმე: როდესაც პურობა შებინდებისას გათავადებოდა, ვაზირნი გაიყრებოდენ და თავთავიანთ სახლში წავიდოდნენ, მწიგნობართუხუცესს ორი მაშხალა წაუძღვებოდა წინ, ათაბაგს კი დანარჩენ ვაზირებსაცით მხოლოდ ერთი მაშხალა (კ. გარ., 8155—156).

მაგრამ თუ ათაბაგი ღირსებით მწიგნობართუხუცესზე დაბლა იდგა, დანარჩენ მოხელეებზე მაინც უფრო დაწინაურებულად ითვლებოდა, თვით ამირსპასალარობასაც კი სქარბობდა და „უღარეს პატივ“-ად იყო მიჩნეული (ისტორი და აზ-მნი, \*719, გვ. 526). ამ გარემოებას, თამარ მეფის ისტორიკოსის ზემომოყვანილ ცნობას გარდა, ქართველ ეპითაღმწერლის შემდეგი სიტყვებიც ადასტურებენ: ავაგ მხარგრძელის შესახებ მას ნათქვამი აქვს, რომ ის „სპასალარობისაგან ათაბაგიქმნა მეფისა რუსუდანის მიერ“ (ეპითაღ., \*775, გვ. 607). მაშასადამე, სპასალარისათვის რომ ეწყალობებინა მეფეს, ეს დაწინაურებად ეჩვენებოდა და ითვლებოდა.

ვინ იყო მაშასადამე ათაბაგი? საქართველოში იგი „იყო ვაზირი კარსა მეფისასა“ (ეპითაღ., 723, გვ. 539). „კ. გარიგება“-შიც ათაბაგი ვაზირად იწოდება. იქ, მაგ., ნათქვამია: „მწღე... დარბაზით ათქს... სამთა ვაზირთა: ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთა-უხუცესს“-ო (12276—278). ერთი სიტყვით, ათაბაგი დარბაზის კარს მყოფი ხელისუფალი ყოფილა.

მაგრამ ამავე დროს ქართველი ეპითაღმწერელი ამტკიცებს, რომ თამარ მეფისაგან ათაბაგობა იყო „განდიდებული... უმეტეს სხვათა ერისთავთათა“ (\*723, გვ. 539). ერისთავნი საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ და თუ ისტორიკოსი ამბობს, ათაბაგი სხვა ერისთავებზე უფრო დაწინაურებული იყო, ალბათ ათაბაგობას საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებთანაც რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა. იქნებ ამიტომაც იყო, რომ მეფის კურთხევის დროს ათაბაგი „და სხვანი მთავარნი“ ერთ მხარეს იდგენ (კურთ. წესი, 64).

ამაზე მეტი ცნობები ათაბაგობის შესახებ სხვა ჯერ არ მოგვეპოება და ამის გამო მის უფლება-მოვალეობაზე არა ვიცით რა. როგორც ეტყობა ათაბაგობა შემდეგშიც იშვიათ და უცხო რამედ დარჩა საქართველოსათვის: „ძურად ოდესმე იქნების“-ო ნათქვამია „კ. გარიგება“-ში. შემდეგშიც, როგორც ცნობილია, საქართველოში ათაბაგობა სამცხის მმართველთა საგვარეულო სამკაულად იქცა და იქაც ათაბაგნი განკერძოებისა და დამოუკიდებლობის მოწვევის გზას დაადგინენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ათაბაგობაც შეიძლება კიდევ სხვა თანამდებობასთან ყოფილიყო შეერთებული, მაგ. ავაგ მხარგრძელი ერთსა და იმავე დროს „ათაბაგისა და ამირსპასალარის ხელისუფლობათა მქონებელი ყოფილა“ (ეპითაღ., \*751, გვ. 572). სადუნსაც ათაბაგობა და ამირსპასალარობა ერთსა და იმავე დროს ჰქონდა, ვახტანგ მეფემაც „ალიყუანა პატივისა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუბულა“ სადუნ მანკაბერდელის ძე (ეპითაღ., \*903, გვ. 744) და სხვა.

## § 8. მსახურთ-უხუცესი და მისი სახელისუფლო

„მსახურთ-უხუცესი“-ც (ისტორი და აზ-მნი, \*622, 632, 640, 650, 656, გვ. 396, 410, 421, 435, 442; 1250 წ. გრიგ. სურამელის შეწირ. წიგ., სარ. კაკაბაძის გამოც. 626—28 და 72—13; რკონის 1259 წ. სიგ; ქ-ბი, II, 141; ჟამთააღ., \*760 და 919, გვ. 587 და 762 და სხვაგან) თუმცა პირველად გიორგი III მეფობაში არის მოხსენებული, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ მსახურთ-უხუცესობა ძველი ხელისუფლობა უნდა იყოს. მსახურთუხუცესის ქვეშეთ მოხელეებად, რასაკვირველია, „მსახურნი“, „მსახურნი მეფისანი“ (1047 წ. ხელთნ. ქ-ბი, I, 191 და ჟამთააღ., \*824 და 835, გვ. 669 და 680) უნდა ყოფილიყვნენ. „ქარის გარიგება“-ითგან ჩანს მხოლოდ, რომ თავდაპირველად მსახურთ-უხუცესი სავაზირო საბჭოს წევრად არ ითვლებოდა და პირველად „მსახურთ-უხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შუყვანიასავაზიროსა“ (1947—48). წინათ მამასადამე, სავაზირო ბჭობაში მონაწილეობის მიღების უფლება არა ჰქონია.

მსახურთუხუცესი, მას შემდგომ, რაც იგი რუსუდანმა სავაზიროს შეიყვანა, ვაზირად ითვლებოდა (ყ. გარიგება, 6100), ორთა ვაზირთა ჯგუფში იყო და დარბაზობის დროს მეჭურჭლეთუხუცესის თანასწორი პატივისცემა ჰქონდა მინიჭებული (ყ. გარიგება, 14305—310). წინათ კი როგორ იყო და რა ადგილი ეკავა მას ან ვაზირობის, ან დარბაზობის დროს, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ამ ხელისუფლების შესახებ საზოგადოდ თითქმის მხოლოდ „ქარის გარიგება“-შია შენახული ცნობები, თამარ მეფის ისტორიკოსს და ჟამთააღმწერელს სახელის მეტი არა აქვთ რა.

მსახურთუხუცესის „კელისა არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთაუხუცესი, მეხილეთუხუცესი. საწოლისა და სალაროს მეფის შეკაზმამდის ამათი საურავი და ზღვენი მსახურთუხუცესისა“ არისო (ყ. გარიგება, 6100—104). ამას გარდა იმავე თხზულებაში ნათქვამია: „ცხოვარნი ყოველნი და მატყლნი მსახურთ-უხუცესისა კელთავე არს“-ო (6116—117). ამგვარად ირკვევა, რომ მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა ორისამი დაწესებულება თავისი ყველა მოხელითურთ: ერთი იყო სალარო, რომლის გამგეს მოლარეთუხუცესი ეწოდებოდა, ხოლო მეორე იყო საწოლი, და მისი გამგე მესაწოლეთუხუცესი. მასვე ებარა მეფის კერძო მეურნეობა და სხვადასხვა „საფარეშონი“ (იქვე, 3147). ამიტომაც იყო, რომ ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი და მეხილეთუხუცესი მის ქვეშეთი მოხელეები იყვნენ. ამავე მიზეზის გამო ცხვარი და ალბათ საქონელიც მსახურთუხუცესის ხელქვეით იყო.

სალაროს გარდა მსახურთუხუცესის ხელქვეითი სხვა ყველა დაწესებულება სამეფო სახლის შინაურ მეურნეობას და საქმეს ემსახურებოდა და იქნებ სწორედ ამიტომაც არის, რომ ამ ხელისუფლობას ეწოდებოდა „მსახურთ-უხუცესობა კელ-შინაური“ (ისტორი და აზ-მნი, \*656, გვ. 442) და იქნებ სწორედ ამის გამოვე თამარისა და ლაშა-გიორგის დროს მსახურთუხუცესი ვაზირად არ ითვლებოდა. მისი გავაზირების დროს შესაძლებელია რუსუდანმა მას ისეთი დაწესებულებაც დაუქვემდებარა, რომელიც მას წინათ არ ემორჩილებოდა.

„სალარო“ (ჯ. გარიგება, 578, 8166,—8170) დიდმნიშვნელოვანი დაწესებულება იყო, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ნათქვამი გვექონდა, თუ რა და რა ინახებოდა და რა განსხვავება არსებობდა სალაროსა და საჭურჭლეს შორის (იხ. მეჭურჭლეთ-უხუცესი). თუმცა, ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ მაინც საგულისხმშიერია, რომ საქართველოში მუდმივ და უძრავ სალაროს გარდა მოძრავი სალაროც ყოფილა. ეს ნათლად ჩანს „კარის გარიგება“-ის შემდეგი ადგილიდან: „სალაროს წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათარი სხვაა ჯორი სასაგებლე ტურფადვე მოკაზმული, მაგრამ იგიცა სალაროს წინათ იარების სიკისტრონს უკანით“-ო (7127—129). მაშასადამე, მეფის სადმე გზად წაბრძანების დროს თან მიჰქონდათ მოძრავი სალაროც, რომელსაც თავისი განკუთვნილი და მიჩენილი ადგილი ჰქონია: ჯერ სიკისტრონი ჯორი მიდიოდა, შემდეგ სასაგებლე ჯორი საგებლით დატვირთულა და სულ ბოლოს მოძრავი სალარო მისდევდა. აქ მხოლოდ სალაროს აგებულობისა და მოხელეების შესახებ-ლა დაგვრჩა სათქმელი.

სალაროს სათავეში იდგა „მოლარეთ-უხუცესი“ (ჯ. გარიგება, 11, 6101, 104—106, 109—111, 19456—467). ის, როგორც ეტყობა, „სალაროთ“ (იქვე, 11) უფროსი იყო, ესე იგი მას ყველა სალარო ექვემდებარებოდა.

მეჭურჭლეთუხუცესისავეთ მოლარეთუხუცესსაც ბექედი ჰქონდა. ეს იმის თანამდებობის ერთ-ერთ ნიშნად ყოფილა. ამიტომაც არის, რომ „კარის გარიგება“-ში ნათქვამია: „მოლარეთ-უხუცესისა რა ითაყვანოს ბექედი მართებს. რომ უბოძოს მეფემან თვალედი“-ო (6104—105). ეს თურმე დიდი ბექედი ყოფილა, „სასიგლე, საგახსნითე რომ ბექედი არის“ (იქვე, 9106—107), რომლითაც სხვადასხვა სიგლებსა და საბუთებს დაბეჭდავდენ ხოლმე. ეს „თვალედი“ ბექედი „მოლარეთ-უხუცესსა გელთაც ვია“ და როდესაც საბუთზე ბექედის დასმა იყო საჭირო, მაშინ, „მოლარეთ-უხუცესი გახსნის“, ოქროს თასში „წყალს შთასხამს“, ხოლო თვით საბუთს „დაბეჭდავს მწიგნობარი“-ო (იქვე, 6107—114) და არა მოლარეთუხუცესი.

მოლარეთუხუცესს რასაკვირველია „სალაროს მოლარე“ (ჯ. გარიგ., 6110, 112) ექვემდებარებოდა. მის ქვეშეთ მოხელეებად იყვნენ „მოლარენი“, რომელნიც უკვე X საუკ. ერთს საბუთში იხსენიებიან (შოთა მლ. ისტ. საბ., 3). რაკი „ჯ. გარიგება“-შიც ერთგან ნათქვამია, რომ მონადირენი „ვაზირთა და მოლარეთა ყველას მიაართმე[ვენ]“ საჩუქარსაო (11250—251) და X საუკ. სიგელშიაც „მოლარენი“ მრავლობით არიან მოხსენებულნი, ამიტომც ცხადია, რომ მოლარენი თუ ბევრნი არა, რამდენიმე მაინც უნდა ყოფილიყვნენ. მოლარე მოლარეთუხუცესის მომხმარე და მშველელი მოხელე იყო: სიგლების „დაბეჭდვის“ დროსაც იგი თავის უფროსს ეხმარებოდა.

თუმცა მოლარეთუხუცესი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დაწესებულების გამგედ ითვლებოდა, როგორც არის სალარო, მაგრამ მაინც მას უფლება არა ჰქონდა ვაზირობას დასწრებოდა. ამ მხრივ იგი ამირახორზე და ც დაბლა იდგა. თუმცა ასეც კია, რომ მოლარეთუხუცესს შედარებით მაინც სხვა ქვეშეთ მოხელეებზე

მეტე უპირატესობა ჰქონია და თუ დანარჩენნი სავაზირო დარბაზს გარეთ უნდა მდგარიყვნენ, იგი „სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა“-ო (კ. გარიგება, 19456—457). თუმცა „კ. გარიგება“-ში ამის შესახებ არაფერია შენახული, მაგრამ საქართველოს სამეფოს სხვა დაწესებულებათა მიხედვით მოსალოდნელია და საფიქრებელი, რომ სალაროს უხუცესსა და მოლარეებს გარდა სალაროს მუქიფი და მწიგნობარიც უნდა ყოფილიყო. სალაროს ყოველწლიური ანგარიშების შედგენა და გასწორება უქველია ჩვეულებრივი წესისაებრ იქნებოდა მოწყობილი.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მსახურთუხუცესს მეორე დაწესებულებაც „საწოლი“-ც ებარა. რა იყო საწოლი? „საწოლი“ (კ. გარიგება, 20467—469, 7136—145, 12259) რასაკვირველია ჭერ ერთი, რომ მეფის დასაძინებელი და დასაწოლი ოთახი იყო, მაგრამ ამასთანავე მის მახლობლად მდებარე და საწოლის სამსახურებელისათვის საჭირო ოთახებიც. ამ ოთახში ესვენა „საწოლისა ღმრთისმშობელი“, რომლის წინაშე „ენთების სანიადაგო სანთელი და კანდელი. მცველი მისი მესაწოლე არის“-ო (იქვე, 20467—470). საწოლშივე იდგა რასაკვირველია საწოლის ყოველივე იარაღი, სარეცელი და ტახტი. „კ. გარიგება“-იდან არა ჩანს, მეფე XIV ს-ში სარეცელზე იწვა თუ ტახტზე, ვიცით მხოლოდ რომ ტახტი საწოლშიც იყო (7140). საწოლი „მოკაზმული“ იყო ნახებითა და სხვაგვარი საფენით (იქვე, 7136, 140—142). იქვე იყო ხოლმე ყოველთვის „სანთელი, ფანარი მაშხალა“ (იქვე, 7137). იქვე იყო სხვადასხვა სასმური ჭურჭელი ღამე წყურვილის მოსაკლავად. „სალამოს მეღვინე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანთა ჭურჭლითა ანუ ტაბაქითა, ზედა მყინვარს დაჰყრის... და თუ მეფესა ღამით მოეწყურის ბრძანოს რომელიცა უნდა“-ო, ნათქვამია „კარის გარიგება“-ში (7131—135).

მეფე საწოლში ბრძანდებოდა ღამით და დილით, სანამ ლოგინითგან ადგებოდა და გამობრძანდებოდა. ამ ხნის განმავლობაში „საწოლისა... მეფის შეკაზმამდის... საურავი... მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა“ არის (კ. გარიგება, 6102—104). ეს მარტო იმას კი არა ნიშნავს, რომ ეს მოხელენი კერძოდ საწოლის შესახებ საქმეების გამგენი და თვალყურის მგდებელნი იყვნენ, არამედ იმასაც, რომ ყოველთვის, როდესაც კი „უკაზმავი... იყო მეფე, მსახურთ უხუცესი და მისის ჯელისანი უფრო იურვიან“ საქმეებს (კ. გარიგება, 579—80): ხელმწიფეს მოახსენებენ და მის ბრძანებას სათანადო დაწესებულებას და მოხელეს გადასცემდა.

თუმცა საწოლის საქმეები პირადად მსახურთუხუცესს კი არ ებარა, არამედ მის ქვეშეთს ხელისუფალს, მესაწოლეთაუხუცესს, მაგრამ ზოგიერთში იმასაც უქველად უნდა მიეღო მონაწილეობა. მის ერთ-ერთ ამგვარ მოვალეობად ითვლებოდა „შეკაზმა მეფისა“ (იქვე, 18424). „კ. გარიგება“-ში სახელდობრ ნათქვამია: „რაჲ მეფე შეკაზმოდეს, ტაშტი მსახურთუხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი მესაწოლეთუხუცესმან, წყალი მოლარეთუხუცესმან დაუსხას, ტანისამოსი მსახურთუხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთუხუცესმან შეუტრას, მუხლთ დაყრით ქუდი მოლარეთუხუცესმან მიიღოს“-ო (13424—428).

„საწოლსაც“, ვითარცა განსაკუთრებულ დაწესებულებას, თავისი მოხელენი ჰყავდა. სათავეში იდგა „მესაწოლეთუხუცესი“ (კ. გარიგება



ბა, 6101. 105—106, 14306 და 19455—456). მესაწოლეთუხუცესი მოლარეთუხუცესსავეთ ვაზრობას ვერ დაეცწრებოდა. ამ მხრივ იგი მოლარეთუხუცესზე დაბლა იდგა და თუ მოლარეთუხუცესი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ვაზრობის დროს სალაროს კარებში იდგა, „მესაწოლეთუხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ, მეფის ზურგით“ (კ. გარიგება, 19455—456). მას ექვემდებარებოდნ „მესაწოლენი“ (იქვე, 7125—126, 130 და 20470). მესაწოლენი ბევრი ყოფილან და ეს თანამდებობა საგვარეულო კუთვნილებად ითვლებოდა. „შუდასი სახლი მესაწოლენ არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური“-ო, ნათქვამია „კარის გარიგება“-ში (7125—126). მესაწოლეთა ერთ ჯგუფს მეფის „წინამწოლენი“ (იქვე, 7135, 2259—260) შეადგენდენ, ერთ მათგანს ებარა საწოლის ღმრთისმშობლის სანიადაგო სანთელ-კანდელი: „მცველი მისი მესაწოლენ არის, იგივე რომელი წინამწოლენ არის მეფისა“-ო (იქვე, 20470—471). წინამწოლი ერთი კი არ იყო, არამედ რამდენიმე, ამიტომაც არის, რომ „კ. გარიგება“-ში „წინამწოლენი“ (იქვე, 7435) არიან მოხსენებულნი.

როგორც მოძრავი სალარო იყო, იმგვარადვე მოძრავი საწოლიც არსებობდა. ამისათვის განკუთვნილი იყო „სიკისტროსანი ჯორი“ ანუ „სიკისტრონი“ და „ერთი ყათარი სხვაა ჯორი სასაგებლენ“ (იქვე, 6117 და 7127, 128). ამ ორ ჯორს საწოლის სამსახურებელიდან ლოგინი და საფენი, რაც კი რამე საჭირო იყო მგზავრობაში, აკიდებული ჰქონდა (იქვე, 6117—7121, 127—128). მესაწოლენი, სამეფო სასახლესა და საწოლში სამსახურს გარდა, მოვალენი იყვნენ, რომ მოძრავ საწოლსაც მცველად გაჰყოლოდნენ, თუ რომ მეფე აიყრებოდა და სადმე გაემგზავრებოდა. ამისთანა დროს „შუდასივე შუბოსანი... სიკისტროსანი ჯორსა მისდევედეს, რა მეფე აიყაროს“-ო (კ. გარიგება, 7126—127). ხოლო რაკი სიკისტროსნი გარდა ამგვარ შემთხვევაში მოგზაურობის დროს სასაგებლენ და სალარო ჯორებიც მეფეს თანსდევდენ ხოლმე, ამიტომ თვითოეულ მათგანს თავისი ადგილი ჰქონდა და თავ-თავისი მიმყოლიც ჰყავდა. ჯერ სიკისტროსნი ჯორი მიდიოდა, შემდეგ „სიკისტროსნი უკანით“ და „სალაროს წინათ“ სასაგებლენ ჯორი მისდევდა და სულ ბოლოში მოძრავი სალარო იყო მოქცეული. ამ სამსავე მოძრავ დაწესებულებას „ბარგის-უხუცესი წინ მიუძღვების“, ხოლო „მესაწოლენი წინ იარებიან“ (იქვე, 7127—130).

მესაწოლეთუხუცესისა, მესაწოლეთა და წინამწოლთა გარდა საწოლის მოხელეებად იყვნენ: „საწოლის მეკარე“ (კ. გარიგება, 7136 და 12258), რომელსაც თავის თანამდებობის ნიშნად „ქელთა არგანი აქვეს“ (იქვე, 20461—463) და „კარის დარაჯა“ (იქვე, 7135—136). ორივენი საწოლს ღამითაც იცავდენ დილამდის, სანამ მეფე საწოლში ბრძანდებოდა და საწოლიდან არ გამოვიდოდა (იქვე, 7135—137). ვაზრობის დროს საწოლის მეკარე „კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კართან და გამოუხმავს, ქელთა არგანი აქვეს, ქვე ზის და ვისაც უბრძანებენ „შემოიყვანს“-ო (იქვე, 20461—463). მაშასადამე, საწოლის მეკარე მართო საწოლისაკი არა, არამედ ვაზრობის დროსაც სავაზირო დარბაზის კარის მცველად ყოფილა. საწოლის მეკარე დიდ დარბაზობასაც

უნდა დასწრებოდა და პურობასაც. „ქ. გარიგება“-ში ნათქვამია: „საწოლის მექარე დიდსა და რბაზობასა ზედა ქვევერ დაჯდების“-ო (1258-259). ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, განსხვავება იყო ვაზრობასა და დარბაზობას შორის: ვაზრობის დროს იგი კარებს წინ იჭდა, დარბაზობის დროს კი მისი დაჯდომა არ შეიძლებოდა. პურობის დროსაც საწოლის მექარეს საერთო სასადილო დარბაზში სხვებთან ერთად დაჯდომისა და ქამის უფლება არ ჰქონდა, იგი „საწოლსა წავა და წინამწოლსაც მიუვა სათვალავი და მუნ სკამენ“-ო (იქვე, 12259-266).

რა მოვალეობა ჰქონდა სიკისტრონსა, სასაგებლე და სალაროს ჯორებს წინგაძლოლას გარდა „ბარგისუხუცეს“-ს (იქვე, 7129-130), საწოლის მოხელე იყო, თუ სხვა დაწესებულებისა, არა ჩანს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „საწოლის მწიგნობარი“-ც (თამარ მეფის 1189 წ. სიგელი, ქ. ბი, II, 74, ქ. გარიგება 16369-373) არსებობდა, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მწიგნობართუხუცესის თანაშემწე იყო (იხ. ზემოთ, მწიგნობართუხუცესი). მაგრამ იგი მესაწოლეთუხუცესის კი არ ექვემდებარებოდა, არამედ მწიგნობართუხუცესის ქვეშეთი მოხელე იყო. ზარდახნის მწიგნობარსავით ალბათ საწოლის მწიგნობარიც წელიწადში ერთხელ, უეჭველია წლისთავს, საწოლის ანგარიშს ადგენდა ხოლმე და ამოწმებდა.

მსახურთუხუცესს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ფარეშთუხუცესიც ექვემდებარებოდა. ფარეშთუხუცესის ხელთ იყო სხვადასხვა „საფარეშონი“ (ქ. გარიგება, 7147 და 10 220-221) და მასვე ემორჩილებოდა მრავალი „ფარეშნი“ (იქვე, 7139-142 და 8 157). „საფარეშო“-დ შინაური მეურნეობისათვის განკუთვნილი სხვადასხვა საწყობი და დაწესებულება იწოდებოდა. მაგ., „ქ. გარიგება“-ში ნათქვამია: „სანთელი სასანთლითა და მისითა ნატიითა თავ-თავის საფარეშოთა არის“ და როდესაც საჭიროა, ფარეშთუხუცესი მიიღებს, წამოაყენებს და თავ-თავის ადგილს ჩასდებს“-ო (7145-8148). მასთანადამე, სანთლისა და შანდლებისათვის ცალკე საფარეშო ყოფილა და იქ ინახებოდა. შემდეგ იმავე თხზულებაში სწერია, რომ გამტკვარიანებულს ფანჯის ზელმანდილს „საფარეშოს მიიღებს მელვინე“ და იქ „გარეცხენ“-ო (იქვე, 10220-221). ამ წინადადებიდანა ჩანს, რომ სამრეცხავო საფარეშოც ყოფილა. თუმცა დანარჩენ საფარეშოთა სახელები შენახული არ არის, მაგრამ ცხადია, რომ მრავალი სხვა საფარეშოც უნდა ყოფილიყო. რაკი „მკერვალთუხუცესი“ არსებობდა (იქვე, 19), რასაკვირველია, „სამკერვალო“ საფარეშოც იქმნებოდა და „მკერვალნი“-იც უნდა ყოფილიყვნენ.

„მეხილეთუხუცესი“ (იქვე, 6102 და 8162), რომელიც მსახურთუხუცესის ქვეშეთი მოხელე იყო, ალბათ „სახილე“-ს (იქვე 8157) გამგე და „მეხილე“-ების (იქვე, 8163) უფროსი იქმნებოდა. მას ებარა ხილის საქმე და ჭურჭელ-იარაღი, როგორც მაგ., „სახილე ტაბაკი“ (იქვე, 8161), გზმარწუხივით შექმნილი სათხილე“ (იქვე, 8157-158), რომლითაც „მეხილე ანუ მოლარე თხილსა... ლეწდენ“ და ტაბაკზე დაჰყრიდენ ხოლმეო (იქვე, 8163-164) და სხვა.

„ციცხეთ-უხუცესი“ (იქვე, 6102) ფარეშთ-უხუცესის ქვეშეთი მოხელე იყო თუ არა, ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ვიცით მხოლოდ რომ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ის მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა. ციცხეთაუხუცესი ცოტა არ იყოს უცნაური სახელია, მაგრამ უფრო გასაოცარია, რომ მის ქვეშეთს მოხელეებს „ციცხენი“ (იქვე, 8165 და 167) ერქვა. ამ „ციცხეთა (ხელთ) არის სახლისა საქურქელი“ (იქვე, 8167), შინ სახმარებელი სხვადასხვა ქურქელი და ამას გარდა „აბანოსთობა, სახლის გვა, შეშის კოდა, ცეცხლისნთება, წყლის ზიდვა“ და სხვა (იქვე, 8165—166). ერთი სიტყვით, სამეფო სასახლეში იმდენი საფარეშო უნდა ყოფილიყო, რამდენ დარგადაც იყო ფოდა სასახლის შინაური მეურნეობა. საყურადღებოა, რომ თვით მოსახმარებელი მთელი მასალა საფარეშოში კი არ ინახებოდა, არამედ საგანგებო დაწესებულებიდან საფარეშოს ეძლეოდა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო ხოლმე. მაგ., ასანთები ალყა ქონისა და სელისა მამხალისათვის, ან საბონი საფარეშოში კეთდებოდა, მაგრამ თვით ქონი და ზეთი იმავე საფარეშოში კი არ აჰქონდათ, არამედ „მეტყავენი და მექურქლენი მიიღებენ ქონსა, სასაპონენდაცა იგინი მისცემენ და სამამხალედაცა და ქონი თუ არ იყოს, სელის ზეთს ქალაქით აიღებდენ და მით იქმონენ სამამხალესა ალყასა“-ო (იქვე, 8149—152).

ფარეშთა და ფარეშთუხუცესის საქმე იყო ყოველგვარი საფენების დაფენა და ოთახების ნოხებითა და სხვადასხვაგვარი მანდილებით „მოკაზმა“, მათი „დაფენა, კარავი, ხარგავი, ჩადრი, ესე და მისი კაზმა მას (ფარეშთუხუცესს) მართებს“-ო (ყ. გარიგება, 7144—145) დილით რომ მეფე საწოლით გამობრძანდებოდა, ფარეშთუხუცესი და ფარეშნი ეხმარებოდნენ ხოლმე. მეფეს ჩვეულებრივ „სარმუზა აცვია ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა მას კედლის ძირსა ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში გახსნის და შეუწავს და იგი (მეფე) ტახტსა ზედა გავა“, ხოლო ფარეში გრძელ მანდილს „მეფეს გარდმოუკაზმავს წინა და სხვათა ნოხთა ფარეშნი გარდაჰკაზმენ“-ო (იქვე, 7138—142). ფარეშთუხუცესი უფროსი ხელმძღვანელი იყო დარბაზისა და სხვა სადგომების მოკაზმის დროს „იგიახლავს“ და „ვითარცა ასწავლიან“, ისე აფენინებს და ამკობინებს ოთახებს, მაგრამ ზოგჯერ იგი თითონაც აკეთებდა საფარეშო საქმეს. მაგ. მეფის პურობის დროს, როდესაც დარბაზობა იყო, „ცოცხს ფარეშთ-უხუცესი აიღებს“ და „პურობის უკანით ნოხსა გადმოგვს მეფის წინაშე ოდეს წესია“-ო, ნათქვამია კარის გარიგებაში (იქვე, 15340—341).

## 9. მეღუინეთუხუცესი და მისი სახელისუფლო

„მეღუინეთ-უხუცესი“-ც (ისტრნი და აზმნი, \*658, გვ. 445) პირველად თუმცა მარტო თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში არის მოხსენებული და ამასთანავე მხოლოდ ერთხელ, მაგრამ მაინც ცხადია, რომ მეღუინეთუხუცესობა საქართველოში ძველი მოხელეობა უნდა ყოფილიყო.

სახელის მეტი მელუინეთუხუცესის შესახებ ზემოდასახელებულ საისტორიო ნაწარმოებში სხვა არაფერი მოიპოვება და მხოლოდ „კარის გარიგება“ გვაძლევს საკმაოდ საგულისხმეო მასალებს. „მელუინეთ-უხუცესი“ (კ. გარიგება, 317, 476, 11233 და 234-235) მელუინეთა უფროსი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. „მელუინე“ და „მელუინენი“ (იქვე, 474, 7132-134, 10220-221, 11237 და 11236-238) ბევრნი და სხვადასხვაგვარნი ყოფილან. მელუინეთუხუცესს ექვემდებარებოდა აგრეთვე განსაკუთრებული დაწესებულება „სალვინე“ მთელი თავისი მოხელეებითურთ. „სალვინე“ (იქვე, 17, 9, 10217 და 11229) იმ დროს ეხლანდელივით ჭურჭელს კი არ ერქვა, არამედ განსაკუთრებულ დაწესებულებას. ჩვენთვის რომ ამ დაწესებულების მთელი თავისებურება და დანიშნულება ნათელი იყოს, უნდა „კ. გარიგების“ შემდეგ ცნობას დავაკვირდეთ. იქ ნათქვამია: „სალვინე ჭურჭელი სანიადაგო, უმეჯლისო სალვინეში დგას და მეჯლისისანი კიდეგან დგანან“-ო (11228-229). მაშასადამე, „სალვინე“-ში ყოველდღიურად სახმარებელი, „სანიადაგო“ და ჩვეულებრივი, „უმეჯლისო“ ღვინის ჭურჭელი მდგარა, ხოლო მეჯლისისათვის განკუთვნილი ღვინის ჭურჭელი „სალვინე“-ში კი არ ინახებოდა, არამედ „კიდეგან“. სად? იქნება სხვა ამგვარ ჭურჭელივით (შეად. მეჭურჭლეთუხუცესი, საჭურჭლე და და სალარო) სალაროში ინახებოდა? მართო ღვინის ჭურჭელი კი არა, არამედ თითქმის ყველაფერი, რასაც კი სასმელთან რაიმე კავშირი აქვს და სანიადაგოდ სახმარებლად ითვლებოდა „სალვინე“-ში ინახებოდა თურმე. მაგ., ის ჩამოსაყიდებელი სათიხრიანი იარაღი, რომელსაც „დაასობენ სალვინესა შიგან“ და რომელზედაც სალვინის მოლარე ფანჯს დაკიდებდა ხოლმე და „ფანჯისა მისაღებელი ჯელმანდილიცა მასვე ზედა ჰკიდავს“, სალვინეში ინახებოდა (იქვე, 10217-222). რაკი სამყინვარი იარაღი, ტაბაკი, ცულ-წერაქვი, ვერცხლის კოვზი „სალვინის მოლარეს ვედრია“ (იქვე, 10223—11228), ამიტომ ცხადია, რომ ეს იარაღებიც სალვინეს კუთვნილებას შეადგენდა, თუმცა თვითონ ისინი ვითარცა სახმარებლად ნიადაგ საჭირო ვგონებ მუდამ სალვინის სალაროს ხელთ იყო (იქვე).

ყოველგვარ სასმურ ჭურჭელს და მანდილებს გარდა სალვინეში უქვევლია ღვინოც ინახებოდა იმიტომ, რომ „კ. გარიგება“-ში სწერია: „სალვინის მოლარენი მეზვრეთაგან აიღებენ ღვინოსა ვითარცა ზვარი იყოს ანუ მეზვრე“-ო (11235-236). ცხადია, რომ ღვინო იმავე ადგილას არ იქნებოდა შენახული, სადაც ჭურჭელი და მანდილები იდგა და იღვა, არამედ მარნებში, მაგრამ ისიც ალბათ „სალვინეს“ დაწესებულებას ეკუთვნოდა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ „სალვინე“, როგორც ზემომოყვანილი განმარტებიდანაც ჩანს, „საკუთრჭლის“ მსგავსი დაწესებულება იყო, სანიადაგო სახმარებლად განკუთვნილი ხაზინასავით იმ განსხვავებით კი, რომ სალვინეში მხოლოდ ღვინის შემოსავალი და ჭურჭელი-სამსახურებელი ინახებოდა. სალვინეს სხვა ამგვარ დაწესებულებასავით თავისი განსაკუთრებული გამგეობა და მოხელენი ჰყავდა. ამ მოხელეებს რქმევიათ „სალვინის კელისუფალი“-ი“ (კ. გარიგება, 15335).

„საღვინე“-ს უზენაეს გამგედ, რასაკვირველია, მეღვინეთუხუცესი იყო. ის საქმეებს განაგებდა და თავის ხელქვეითთ სამუშაოს აძლევდა და მათ სამსახურს თვალყურს აღევნებდა (იქვე, 474). მას სასყიდელიც ეძლეოდა: „თითო ჭური ღვინო ზვართავან მელვინეთ-უხუცესისა“ არისო (იქვე, 11234-235). მის ქვეშეთ მოხელედ და თანამშრომელად „საღვინის მუქი ფი“ (იქვე, 347-48, 11232, 234, 235 და 254) ითვლებოდა. „კ. გარიგება“-ში, მაგ., ნათქვამია: „ზვართა... მანდატურიცა ადგს ზედა და სხვათა მეღვინეთ-უხუცესი და მუქი ფი იურვიან სამუშაოსა“-ო (იქვე, 11232-235). მაშასადამე, ზვრების დამუშავებისა და მოვლის გარდა სხვა რაც ღვინისათვის საჭირო „სამუშაო“ არის, იმაზე მელვინეთუხუცესს და მუქიფს ერთად უნდა ეზრუნათ და თვალყური სქე-როდათ. სარგო მასაც ჰქონდა და ისე იყო დაწესებული, რომ „თვთო უმცროსი (ჭური ღვინო ზვართავან) მუქიფისა“ არისო (იქვე, 11234-235). მუქიფს გარდა „საღვინის მოლარე“-ც (კ. გარიგება, 10218, 11227-228, და 11235) არსებობდა. იგი „საღვინის“ ქონების მცველი იყო (იქვე, 10218, და 11227-228). მისთვისვე უნდა ჩაებარებინათ ალბათ ღვინის გადასახადიც (იხ. ქვემოთ). „საღვინის მოლარე“-საც სარგო ჰქონდა დანიშნული და წესად იყო დადებული, რომ „საღვინის მოლარე მეზვრეთავან აიღებს ღვინოსა ვითარცა ზვარი იყოს და მეზვრე“-ო (იქვე, 11235-236). დასასრულ, საღვინის მოხელედ „მეღვინენი“-ც იყვნენ. მელვინენი საღვინის იარაღსა და მანდილებს ყურს უგდებდენ, მაგ., „ფანჯის მისაღებელი კელმანდილი... მანდილი ულარო, სამუქლე და საფუკე... რა დამტკერიანდეს“ და გასარეცხი გახდეს, „სათვარეშოსა მიიღებს მელვინე... გარეცხენ და [სა]ღვინესავე მიიღებენო“ (იქვე, 10218-222). მელვინესავე უნდა მიერთმია მეფისათვის ღვინო, როდესაც საჭირო იყო ხოლმე. მაგ., „სალამოს მელვინე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანითა ჭურჭელითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჰყრის და კელთა მანდილი აქვს ბალდაღისა“-ო (იქვე, 7133-134). ეს ღვინო ღვინისათვის უნდა ყოფილიყო მომზადებული, „თუ მეფესა ღვინო მოეწყუროს“-ო (იქვე, 734). მელვინეთა სხვადასხვანაირ მოვალეობათა გამოკრევის დროს ჩვენ არ უნდა გვავიწყვდებოდეს ის გარემოება, რომ მელვინენი ბევრნი და სხვადასხვაგვარნი ყოფილან. ერთს მათგანს, მაგ., „პირის მეღვინე“ რქმევია (იქვე, 347) და ალბათ მეფის ზედამდგომელი მელვინე უნდა ყოფილიყო. ამას გარდა, თუმცა ზვრების დამუშავების თვალ-ყურის გდება მანდატურთუხუცესის და მის ქვეშეთ მოხელეთა მოვალეობა იყო, მაგრამ მას ამ საქმეში მონაწილედ მელვინეთუხუცესი და მელვინენიც ჰყოლია და „მანდატური და ერთი მეღვინეთუხუცესისა განაგან ჩენილი მეღვინე წავლენ“ ამ საქმეზეო, ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (იქვე, 474-75).

მაგრამ მელვინეთა თავი და თავი მოვალეობა ჩვენ მაინც გამოკრეველი არ გვექნებოდა, თუ კი „კარის გარიგების“ ერთი საყურადღებო ცნობა გამოგვეპარებოდა. იქა სწერია: მელვინებმა „ღვინის ულუფა დაწერონ“-ო (იქვე, 11236-238). მაშასადამე, ღვინის ულუფის შეწერა მეღვინეთა მოვალეობა და ხელთა ყოფილა, ხოლო ღვინის ულუფის ასაღებად უმჯველია „მეულუფენი“ უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც უკვე X საუკ. სიგელში არიან მოხსენებული (შიო მლ. ისტ. საბ., 3). სახელისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ „ღვინის მკრეფელ-

ნ-ი-ც (კ. გარიგება, 475) ალბათ ამისთვისვე იქნებოდენ დადგენილნი, თუმცა მათ ზერების დამუშავების თვალ-ყურის გდებაც ჰქონდათ დავალებული (იქვე). ზემოთხსენებული ცნობების შემდგომ ჩვენ ამგვარი სურათი გვეხატება: ღვინის ულუფის შემოსავლის აღწერასა და დავთარს „მელვინენი“ ადგენდენ, „ღვინის მკრეფელნი“ ამ გადასახადს აღწერისდა მიხედვით ჰკრეფდენ და ანგარიშითურთ ალბათ „საღვინეს მოლარეს“ აბარებდენ ხოლმე, ხოლო ის მთელი ღვინის შემოსავალს „საღვინე“-ში ინახავდა. ამგვარად ირკვევა, რომ „მ ე ლ ვ ი ნ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი“ ღვინის გადასახადის კულუხისა და „ღვინის ულუფა“-ს უზენაესი მეთვალყურე და გამგეყოფილა, ხოლო „საღვინე“ ამასთანავე ღვინის გადასახადის შესანახად და ერთგვარ ზახინად მოჩანს. „კ. გარიგებით“ მტკიცდება, რომ „მეხელადეთ-უხუცესი“-ც ყოფილა (110). უეჭველია მეხელადენაც იქნებოდენ. რაკი ხელადა ღვინის ჰურჭელია, ხოლო ღვინის ყოველივე ჰურჭელი სანიადაგო „საღვინე“-ში იდგა, ამიტომ საფიქრებელია, რომ მეხელადეთუხუცესი და მეხელადენი მელვინეთუხუცესის ქვეშეთი მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ (იქვე, 19—10).

მასალების უქონლობის გამო ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, „მწდე“-ნი (კ. გარიგება, 12275, 276—278) მელვინეთუხუცესს ექვემდებარებოდენ და „საღვინე“-ს ხელისუფალთა ჯგუფს ეკუთვნოდენ, თუ სხვა რომელსამე ხელისუფლის ქვეშეთი მოხელე იყვნენ? უფრო საფიქრებელი კი არის, რომ მწდე მელვინეთუხუცესის ერთი ხელქვეითთაგანი ყოფილიყო.

თუმცა სიტყვა „მწდე“ არც დავით აღმაშენებლის, არც თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებში არა გვხვდება, მაგრამ უეჭველია, რომ იგი უკვე გიორგი II და უწინარესაც არსებობდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, მაგ., მოთხრობილი აქვს, რომ თურქებმა გიორგი II-ეს თავდაცემის დროს იავარად წაუღეს სხვათა შორის აგრეთვე „სასმურნი სამწდეონი“-ო (ცა მფსაღთსი, \*513, გვ. 282). რაკი სასმელი ჰურჭელი „სამწდეონი“ არსებობდა, რასაკვირველია „მწდენი“-ც იქნებოდენ. მეფის და სტუმრად მოსულ უფლისწულებს და ნეფეებს პურობის დროს „მწდე განაღამცა თვთო აღგა“ (იქვე, 12275). ამასგარდა პურობის დროსვე „მწდე... დარბაზით ათქს... მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჰყონდიდელსა და სამთა ვაზირთა ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთ უხუცესსა“-ო, ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (12276—278). მაშასადამე, სულ ცოტა 8—10 მწდე უნდა ყოფილიყო, „კ. გარიგება“-ში წერია: „პირის მწდეს, რად მეორესა ჰიქას გამოუღებს მეფე ანუ მესამესა, სათვალავსა მიატანიებს, დაჯდების ამირაჯიბსა და განმგეთუხუცესსა თანა“-ო (17406, 18408). ამ წინადადებიდან ჩანს, რომ „პირის მწდე“ (იქვე, 11230—231), მეფის მწდეს რქმევია. ხოლო ზემოთ აღნიშნული იყო, რომ „პირის მელვინე“-ც არსებობდა, რომელიც აგრეთვე მეფის მელვინეყოფილა. ამიტომ უნებლიეთ იბადება საკითხი, ეს ორი სახელი ერთსა და იმავე მოხელეს ეწოდებოდა, მწდე იგივე მელვინე იყო თუ არა? ამის გადასაწყვეტად ჯერ შესაფერისი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ორი სიტყვა ორი სხვადასხვა თანამდებობის სახელი უნდა იყოს. განსაკუთრებით შეიძლება ითქვას, რომ შინცაღამიანიც „პირის მწდე“ და „პირის მელვი-

ნე“ ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო . თუმცა „კ. გარიგ.“-ში ამის შესახებ ცნობები შერჩენილი არ არის, მაგრამ ცხადია, რომ „საღვინო“-შიც საწლის თავო ანგარიშის შედგენა და შემოწმება იმავე წესით უნდა ყოფილიყო, როგორც საქართველოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში იყო დაკანონებული და ამ აზრს წინადადების ის პატარანაწვეტიც ამტკიცებს, რომელიც შენახულია ზემოაღნიშნულს ძეგლში, რომ „ანგარიში საანგარიშო გოდორთა შინა ძეს“-ო (იქვე, 11230).

## § 10. მონადირეთუხუცესი და მისი სახელისუფლო

ნადირობას ძველს დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მართო გასართობად არ ითვლებოდა: იგი ერთგვარი სამხედრო და სალაშქრო ვარჯიშობა იყო, როდესაც ადამიანის თვალი და ხელი მარჯვე სროლას, განსაცდელის გულად აღიარებდა და მოქმედების მსწრაფ სიმკვირცხლეს ეჩვეოდა; ამიტომაც იყო, რომ მაშინ ხელმწიფე ყველაფერს დასთმობდა და ყოველგვარი გადასახადების შეუვალობას მიანიჭებდა ხოლმე, მაგრამ ლაშქარ-ნადირობისაგან რომ გაერთავისუფლებინა, თუ არ მოხუცი და უძლური, არას გზით არ შეიძლებოდა. საკმარისია ადამიანმა თვალი გადაავლოს მრავალ წყალობის წიგნებს, რომ თვითვე დარწმუნდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაშქარ-ნადირობას. მხოლოდ ის, ვისაც მოხუცებულობისა ან უძლურების გამო „ლაშქრობა აღარ შეეძლო“ (დავით მეფის სიგ. არიშინისადმი, შიომღ. ისტ. საბ., 216), იყო ხოლმე ამ ორი მოვალეობისგან განთავისუფლებული. ნადირობის საქმე და სამზადისი საგანგებო მოხელეს ებარა, რომელსაც „მონადირეთუხუცესი“ ეწოდებოდა (კ. გარიგება, 13—4, 213—17). მას „მონადირენი“ ექვემდებარებოდნენ (იქვე, 111—12, 11239—240, 11247—12258). მონადირენი ბევრნი ყოფილან: „მონადირენი კახეთს და იმერეთს ყოველგან არიან, ორას სამოცი სახლი არის“-ო, ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (11239—240). კახეთი და იმერეთი განთქმული იყო თავისი სანადირო ადგილებით (იხ. ჩემი ქლი ერის ისტორია) და იმიტომ არის, რომ მონადირენი საქართველოს ამ ორი კუთხიდან ყოფილან არჩეულნი. ყურადღების ღირსია, რომ მონადირენი სახლობრივ ყოფილან ამ თანამდებობის აღმასრულებელნი. აქაც, მაშასადამე, საგვარეულო მოხელეობა ყოფილა მიღებული წესად. მონადირეებს ძაღლები უნდა გამოეყვებათ, გაეზარდათ და შესაფერისად გაეწვრთნათ. ამისთვის წესად იყო დადებული, რომ ყოველწლივ „ძაღლთა აღწერა“ უნდა მოეხდინათ: „თევდორობის მეორე დღეს ძაღლთ დასწერენ და რომელიც მწიგნობარი დასწერს ოთხსა ანუ სამს ძაღლსა მეფისად გარდაყენებს“-ო (კ. გარიგება, 11244—246). ამის შემდგომ რაკი ძაღლები აღწერილი და სამეფოდ გადაყენებულნი იყვნენ, მონადირენი თავთავიანთ სახლში წავიდოდნენ ხოლმე ძაღლების გამოსაზრდელად: „თორმეტ-თორმეტი ძაღლი, სამსამი მონადირე წავა საკვებად“-ო (იქვე, 11247). მონადირენი „გიორგობას კარზედ მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან“-ო (იქვე, 11240—241). მათ განსაკუთრებული სარგო ჰქონდათ გადაკვეთილი და წესად იყო, რომ ორშაბათს მეორე ლამპრობას მეფე-დედოფალსა და დარბაზის მოხელეებს უნდა დაესაჩუქრებინათ (იქვე, 11249—12250).

## § 11. ტყისმცველთუხუცესი და ტყის-მცველნი

მონადირეთ-უხუცესს, როგორც ჩანს, „ტყის მცველთა“-ც მონადირეობასთან კავშირი ჰქონდა იმიტომ, რომ მაშინ ნადირობისათვის ტყეში ჯეოგას აკეთებდნენ ხოლმე და ისე ნადირობდნენ. „ტყის მცველნი“<sup>12</sup> მოხსენებულნი არიან თამარ მეფის 1189 წ. სიგელში (ქე-ბი, II, 73—74). ამ ტყისმცველთ თავიანთი უფროსი ცუყოლიათ, რომელთაც სახელად „ტყისმცველთ-უხუცესნი“ ეწოდებოდა (1078 წ. სიგელი, ქე-ბი, II, 50). რაკი ეს უკანასკნელი უმაღლესი თანამდებობა ტყისმცველებზე უწინარესს საბუთში იხსენიება, ამიტომ თვით ტყისმცველთა თანამდებობაც თამარის მეფობამდისაც უნდა ყოფილიყო საქართველოში. საყურადღებოა, რომ ტყისმცველთ-უხუცესნი მრავლობით არიან მოხსენებულნი. თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის ან მწიგნობრისა, ან გამომცემლის მხრივ, მაშინ ირკვევა, რომ ტყისმცველთუხუცესი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ერთი კი არა ყოფილა, არამედ რამდენიმე, იქნება საქართველოს თვითეულ კუთხისათვის, ან განთქმულ სანადირო ტყისათვის ცალცალკე. „ქ. გარიგება“-ში ტყისმცველთ-უხუცესნი მოხსენებულნი არ არიან, მაგრამ ეს უეჭველია შემთხვევითი მოვლენაა იმიტომ, რომ ეს ძველი მეტად დაზიანებულია. ტყისმცველნი მონადირეებსავე, რასაკვირველია, ბევრნი იქნებოდნენ და ისინიც სხვებსავე ალბათ სახლობრივ და გვარეულობრივ იქნებოდნენ ტყისმცველთა თანამდებობის პატრონებად. „ქ. გარიგება“-ში, იქ სადაც მონადირეთა რაოდენობა არის დასახელებული, თავდაპირველს დედანში მონადირეთა რიცხვიც ყოფილა მოხსენებული, მაგრამ მერმე დროთა განმავლობაში გადაშფეროვდა რიცხვი გამორჩენიათ და ახლა შერჩენილი-და არის მხოლოდ „ტყის-მცველნი კიდე არიან“-ო (1124), ხოლო რაოდენობა კი შენახული არ არის.

არავითარი ცნობები სახელის მეტი არ მოგვეპოვება ძველ ქართულ წყაროებში და ამის გამო დანამდვილებით არა ვიცით რა, თუ რა თანამდებობა იყო „ჩუხჩერასობა“ (ისტ-რნი და აზ-მნი, \*632, გვ. 410) და რა უფლება-მოვალეობა ჰქონდა „ჩუხჩერას“-ს (იქვე, \*622 და 632, გვ. 396 და 410) ან „ჩუხჩერას“-ს (მეფის კურთ. წესი, 67). ცხადია მხოლოდ, რომ ეს მოხელეობაც საპატიო უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ „ჩუხჩერასი“-ც იმ ხელისუფალთა შორის ყოფილა, რომელნიც თამარ მეფემ „დასხნა სასთა-ულითა“ (ისტ-რნი და აზ-მნი, \*632, გვ. 410). ამას გარდა ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „ჩუხჩერასობა“ ისეთ დიდ გვარის შვილებს ჰქონდათ, როგორც იყვნენ დადიანი და მარუშიანი (იქვე, 622, გვ. 396 და 410). სახელის მეტი არა ვიცით რა არც „ეზოთუხუცესი“-ს შესახებ, რომელიც ჭერჭერობით მხოლოდ მეფის კურთხევის წესში, ისიც ერთხელ, გვხვდება იქ, სადაც აღწერილია, თუ როგორ უნდა გამგზავრებულიყო სამე-

<sup>12</sup> თ. ეო რ დ ა ნ ი ა ს დაბეჭდილი აქვს „ტყისმცველთა, უცხოთა (უცხოთა)“ ქე-ბი, II, 74, დედანში რასაკვირველია მძიმე არ იქნებოდა. ამას გარდა საფიქრებელია, რომ აქ „უცხოთა“ ან სწორედ არ უნდა იყოს წაითხული, ან არადა თვით დედანში შეიძლება შეცდომა იყოს. ალბათ უნდა წერებოდა „ტყის მცველთა უცხოთა“, რაც უდრის „ტყის მცველთა უხუცესთა“. ამგვარად ვგონებ თამარ მეფის სიგელშიც „ტყის მცველნი“-კი არ უნდა იყოს, არამედ „ტყის მცველთ-უხუცესნი“.



ფოდ გამზადებული საყდარში. „ეზოთუხუცესისა, ჩუხჩეარახსა და მეაბჯრეთუხუცესისა სამეფო ფარი და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში, უკანა უდგეს მეფესა“-ო (67—ა).

## § 12. ვაზირობა

„ვაზირობ“-ის თავიდათავე მნიშვნელობა ვაზირთა ბჭობა და თათბირია, მაგრამ შემდეგ საზოგადოდ ყოველგვარ თათბირსაც და მზრუნველობა-დახმარებას უწოდებდენ, მაგ., „ვეფხისტყაოსან“-ში წერია:

„მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირევი“-ო.

(კარიკ. 67<sub>411</sub>; კაკაბ. 45<sub>392</sub>)

ასმათმა ტარიელს უთხრა:

„რათგან ლმერთსა ვაზირობა შენი ჩემს ზედ მოუგდია“-ო

(კარიკ. 42<sub>270</sub>; კაკაბ. 45<sub>253</sub>).

უსენის ცოლი ფატმანი ამბობს:

„უსენ მითხრა: „არ მინახავს ძოღანიტგან მეფე ჩუენი,  
მივავირებ, წავალ, ვნახავ, უდარბაზო, უძღვნა ძღუენი,

(კარიკ. 191<sub>1141</sub>; კაკაბ. 154<sub>1116</sub>)

აბუსერიძე ტბელსაც ნათქვამი აქვს: „ბაკოელთა... ვაზირობითა და შემოხუეწითა ქელ-ვყავ ეკლესიისა... აღშენება“-ო (ქქ<sup>1</sup> ბი, II, 121<sub>1—3</sub>). მაგრამ ვაზირობას საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში განსაკუთრებით სახელმწიფო საქმეებზე ვაზირთა ბჭობასა და თათბირს ეძახდენ: ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას „კ. გარიგება“-შიც (18<sub>429</sub>, 19<sub>449—451</sub>), მაგ., იქ ნათქვამია: „მსახურთა-უხუცესი მეჭურჭლეთა-უხუცესისა გვერდით ზის ვაზირობასა ზედან, ამირახორსა მათ (ვაზირთა) უკანით ვითა ზესკამი უთქს და ვაზირობა ესმის და იგი არას იტყუს“-ო (19<sub>449—451</sub>), ესე იგი ამირახორს ვაზირთა თათბირის მოსმენა შეუძლიან, თვითონ კი ამ თათბირში დაუკითხავად ჩარევა და თავის აზრის გამოთქმა არ შეეძლო. თვით ვაზირობას, ვითარცა დაწესებულებას ანუ ვითარცა მინისტრთა საბჭოს, „სავაზირო“ (იქვე, 19<sub>448</sub>) რქმევია.

როდესაც ვაზირობა დაინიშნებოდა და უნდა მომხდარიყო, ვაზირთათვის უნდა შეეტყობინებინათ. „მოახსენონ ჰქონდიდელსა და ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მეჭურჭლეთ-უხუცესსა, მსახურთ-უხუცესსა და ამირახორსა“-ო (კ. გარიგება, 18<sub>429—19<sub>431</sub></sub>). თუმცა „კ. გარიგება“-ში მოხსენებული არ არის, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ვაზირობაში მანდატურთუხუცესიც იღებდა მონაწილეობას. მხოლოდ ამ ხელისუფალთ, ვითარცა ვაზირებს, უფლება ჰქონდათ სავაზიროში მონაწილეობა მიეღოთ. წინათ, რუსუდან მეფემდე თურმე მსახურთ-უხუცესსაც კი არ შეეძლო ვაზირობის ბჭობაში მონაწილეობა მიეღო და პირველად „მსახურთ-უხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა“-ო, ნათქვამია „კ. გარიგება“-ში (19<sub>446—447</sub>). სანამ თამარ მეფე ათაბაგობას დააწესებდა საქართველოში, რასაკვირველია არც ათაბაგი იქნებოდა სავაზიროს მონაწილედ. მაშასადამე, თავდაპირველად სავაზი-

როს წევრებად მხოლოდ ოთხი სწორუფლებიანი ვაზირი იყო და ერთი ვაზირის თანაშემწე, საერთოდ ხუთი ხელისუფალი.

როგორც საისტორიო თხზულებებიდან ირკვევა, თამარ მეფეს ვაზირობისა და დარბაზობის ძველს წესში რაღაც ცვლილება უნდა შეეტანა. დიდებული მეფის ისტორიკოსი ამბობს: თამარ მეფემ ვაზირებს „შთააცვეს სკარამანგი ტანსა მათსა [და] დასვეს სელებითა ოქროქედითა რომელნიმე მარჯვენით მისისა და რომელნიმე მარცხენით... და დასხნასასთაულითა“-ო (ისტორნი და აზმნი, \*631-632, გვ. 410). ამ ცნობითგან ჩანს, რომ ვაზირებს ოქროქსოვილი სკარამანგის ტანისამოსი სცემიათ დარბაზობისა და ვაზირობის დროს. ვაზირობის შესახებ საგულისხმიერო ცნობები „კ. გარიგება“-შიც საკმაოდ მოიპოვება. იქა წერია: ვაზირობისათვის „დაფინოს ორხოვა ფარეშთ-უხუცესმა მომცრო და ზედ სასთაული დაღვას“-ო (19431-432). ეს მეფის საჯდომი იყო. შემდეგ „მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაფინონ პირისპირ. თავსა სუფრის ნოხისასა სელნი დაღვას“-ო (იქვე, 19432-434). ეს კიდევ ვაზირთა საჯდომები იყო. ამგვარად ორივე ქართული წყარო ერთხმად გვიმოწმებენ, რომ ვაზირები დარბაზობისა და ვაზირობის დროს სელებზე ისხდენ. სელი დასაყეცი უმისაყრდნობო საჯდომი იყო. თამარ მეფის ისტორიკოსს უფრო ზედმიწევნით აქვს აღწერილი ეს საჯდომები და მისი სიტყვით ოქროქედით სელები იყო ფილა. რაკი ვაზირები მაღალ საჯდომზე ისხდენ, ამიტომ, ცხადია, მეფეც ან სკამზე ან ტახტზე უნდა მჯდარიყო. თამარ მეფის ისტორიკოსისაგან ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მეფე იჯდა „ტახტსაზე და ოქროქედით სედა“-ო (ისტორნი და აზმნი, 668\*, გვ. 458). თვით „კ. გარიგება“-ში ეს გარკვევით აღნიშნული არ არის და თითქოს იქ ისე გამოდის, რომ მეფე სასთაულზე იჯდა, რომელიც თითქოს მომცრო ორხოვაზე იდგა. ვაზირობის დროს შესაძლებელია მეფე ტახტს გარდა სკამზეც მჯდარიყო, რომელზედაც მომცრო ორხოვა ყოფილა დაფენილი და ზედ სასთაული დებულა. მეფესა და ვაზირებს წინ „სუფრა“, ხის ფერხედი მაგიდა ედგათ, რომელზედაც „სუფრის ნოხი“ იყო გადაფენილი. „კ. გარიგება“-ში აქაც „სუფრის ნოხი“-ა მარტო მოხსენებული და თვით „სუფრა“-ის, ესე იგი ფერხედი მაგიდის, დაღვმის მოხსენება დაჰიწყებია, იქნება იმიტომ, რომ თავისთავად ნაგულისხმევია. „კ. გარიგება“-ისდა მიხედვით იმის გამორკვევაც შეიძლება, თუ რა ადგილას უნდა მდგარიყო ვაზირობის დროს მეფის საჯდომი. იქ სხვათა შორის ნათქვამია: „მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ მეფის ზურგით, მოლარეთ-უხუცესი სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა“-ო (19455-457). მაშასადამე, მეფის ზურგით სალაროს კარის გამოსავალი ყოფილა. თვით მეფის საჯდომი თუ დარბაზის შუაგულს არა, კედლებსა და კარებზე მაინც მოშორებით მდგარა. „სუფრის“ თავს „სელნი“ მდგარა ვაზირთათვის. მაგრამ რას ჰნიშნავს აქ თავი, ძნელი გამოსარკვევია. თამარ მეფის ისტორიკოსს უკეთესად აქვს ეს აღწერილი, იგი ნათლად ამბობს, რომ ვაზირები „რომელნიმე მარჯვენით“ მეფისა ისხდენ, „რომელნიმე მარცხენით“. მაშასადამე, ვაზირე-

ბი მაგიდის ორთავე მხრივე მსხდარან, მეფე კი შუაში, თავში. როცა სხდომა უნდა დაწყებულყო, მსახურთ-უხუცესს უნდა ეთქვა „ბრძანეთ“—ო და იმ წამსვე „ჯალაბი გაიყაროს“—ო (კ. გარიგება, 1943—435), ესე იგი ქალები და ყმაწვილები, ალბათ სამეფო და ან იქნებ დარბაისელთა სახლობაც, დარბაზიდან უნდა გასულიყვნენ. ამის შემდგომ ვაზირთაგან პირველი ვითარცა „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ მწიგნობართუხუცესი „ჰყონდიდელი ნოხოთავე პირს მიბრუნდეს“—ო (იქვე, 19435—436). იგი თავის ალაგს დაიჭერდა. შემდეგ „ათაბაგსა, ამირსპასალარსა მოახსენონ“ და ისინიც „მობრუნდენ“ (იქვე, 19436) და თავთავიანთი ალაგი დაიჭირონო. „ჰყონდიდელს ქვემოთ ნოხოთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“—ო (იქვე, 19440—441). ამავე წესით მექუჩუკლეთუხუცესიც (იქვე, 19437) დაჯდებოდა თავის ალაგას. ამას გარდა მანდატურთუხუცესიც, რომელსაც ამირსპასალარის სწორი პატივი ჰქონდა (იქვე, 19443—444), დარუსუდან მეფის დროითგან მოყოლებული მსახურთუხუცესიც დასხდებოდენ, სადაც ეკუთვნოდათ. „აწე მსახურთ-უხუცესი მექუჩუკლეთუხუცესისა გვერდით ზის ვაზირობასა ზედან“—ო (იქვე, 19449).

რაკი ამირახორი სწორუფლებიანი ვაზირი არ იყო და მხოლოდ ამირსპასალარის თანაშემწე ვაზირად ითვლებოდა, ამიტომ მისი საჯდომიც ვაზირთა უკან იდგა და თვით თათბირში, ვაზირობაშიც ჩარევის უფლება არა ჰქონდა: „ამირახორსა მათ (ვაზირთა) უკანით ვითა ზესკამი უთქს და ვაზირობა ესმის და იგი არას იტყვის რასაც არა ჰკითხავენ და, რამ ჰკითხონ, მაშინ-ლა პასუხს იტყვს“—ო (იქვე, 19450—452). მაშასადამე, მას მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონია. არავაზირთაგან, დარბაზის კარსა მყოფ მოხელეთაგან, ვაზირობას მხოლოდ ამირახორი, ამირეჯიბი და საწოლის მწიგნობარი ესწრებოდა (იქვე, 19453—455). ვგონებ სხვა მწიგნობრებიც უნდა ყოფილიყვნენ აუცილებლად, მაგრამ სავაზიროს გარეთ იდგენ და ბრძანებას უცდიდენ, ვაზირობის დროს „საწოლის მწიგნობარი ჰყონდიდლისაკენ დგას კედლის ძირსა, საწერელი აქვს თავისი. ამირეჯიბი შუაზედ“ იდგა (იქვე, 19453—455), ხოლო „მესაწოლეთუხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ მეფის ზურგით“—ო (იქვე, 19455—456). მოლარეთუხუცესი კი „სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა“—ო (იქვე, 19456—457).

„სავაზირო“ დარბაზს, სადაც ბჭობა და ვაზირობა იყო, იცავდა მრავალრიცხოვან მოხელეთა დარაჯა, რომელთაც თავ-თავიანთი ადგილი ეჭირათ. მაგ., „საწოლის მეკარე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევი კართ, ან გამოუხმავს, ხელთ არგანი აქვს, ქვე ზის და, ვისაც უბრძანებენ, შემოიყვანს“ (იქვე, 20461—464) სავაზიროშიო. საწოლის მეკარეს წინ კიდევ „მერიგე შორსა დგას“ (იქვე, 2264), ხოლო უფრო მოშორებით „მანდატურნი გარეშემო შორს დგანან და ვისაც არ უბრძანებენ, არავის მოიყვანენ სიახლოვესა“—ო (იქვე, 20462—465). მცველთ გარდა სავაზიროს გარეთ იყვნენ და ბრძანებას უცდიდენ დარბაზის

კარსა მყოფნი მოხელენი, რომელთაც უფლება არა ჰქონდათ ვაზირობას დასწრებოდენ. ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ და ვაზირებს, „ვინც უნდა—მეაბჯრეთ-უხუცესსა, განმგეთ-უხუცესსა, საჭურჭლის ნაცვალსა, მესტუმრესა, ზარდახნის მწიგნობარსა—და ვინცა ხელისუფალნი სა-მოციქულოდ უნდათ, შეასხმენ“ სავაზირო დარბაზში და საგანგებო მინდობილობით „გაგზავნიან“-ო (იქვე, 19<sup>457</sup>—20<sup>460</sup>). ვაზირობის დადგენილებას „მწიგნობართ კყონ-დიდელი გადასცემს“. ისინი ამ ბრძანებას „ასწერენ და იურვიან, რაც სასაურვო იყოს“-ო (იქვე, 20<sup>460</sup>—461).

### § 13. საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი

ვიდრე საქართველოს სამეფოს საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შესახებ გამოკვლევას შეევუდგებოდეთ, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ საამისოდ ჯერ საკმაო მასალები არ მოიპოვება და ამის გამო ამ საკითხის სრულიად გაშუქება არ შეიძლება. საფიქრებელია და ამის დამამტკიცებელი საბუთებიც გვაქვს, რომ საქართველოში გაერთიანებამდე სხვადასხვა სამეფოში, საერთო დაწესებულებებს გარდა, თვითოეულში რამდენიმე ადგილობრივი, განსხვავებული თანამდებობაც იყო, იქნებ იმდენად არსებითად არა, როგორც სახელებით მაინც.

ამას ცხადპყოფს თუნდაც კანთა სამეფოსა „ქორეპისკოპოსობა“, კლარჯთა მფლობელობის „მამფალობა“ (იხ. ქლი ერის ისტორია, II, 395—396), ტაო-კლარჯეთის „ტანუტრობა“ (იხ. ქვევით), „ოთხმიზღურობა“ დასავლეთ საქართველოში და სხვა.

როდესაც ქართველთა სამეფოები ერთ სახელმწიფოდ იქცენ და საქართველო გაერთიანდა, ქართული სამართლის სწორედ ამ დარგში, სამოხელეო წესწყობილებაში, უნდა უფრო დიდხანს და უკეთესად ვიდრე სხვა დარგებში შენახულიყო ადგილობრივ განსხვავებულ დაწესებულებათა თუ სამოხელეო სახელებისა კვალი. აქა-იქ ცნობებიც მოგვეპოვება, რომ მართლაც შენახული იყო.

საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, მეტადრე სამოხელეო დარგის შესწავლისათვის ძვირფას წყაროებად განსაკუთრებით მეფეთა სიგელები უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, IX—XII სს. სიგელები ცოტა გვაქვს შენახული თუ აღმოჩენილი, ამასთანავე კახეთიდან ჯერ არც ერთი არ მოგვეპოვება და მხოლოდ ორია გელათური, მამასადაძე, დასავლეთ საქართველოში. სწორედ ეს ორი გელათური სიგელი, რომელშიაც მხოლოდ „ოთხმიზღური“-ა შენახული, ამტკიცებს, რაოდენი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კუთხის საბუთებს სამოხელეო წესწყობილების სრული სურათის აღსადგენად. რაკი ჯერჯერობით ამგვარი მასალები ძალიან ცოტაც გვაქვს და საქართველოს ყოველის მხრიდან არ არის შენახული, ამიტომ ამჟამად მკვლევარს შეუძლია საქართველოს საქვეყნოდ გამრიგეთა მხოლოდ საზოგადო დაწესებულებებზე ილაპარაკოს. რაც კუთხობრივ სხვაობის დამახასიათებელი ცნობები მოიპოვება, რასაკვირველია, ქვემოთ ისიც აღნუსხული იქმნება.

მაგრამ მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ქვემდებარე გამოკვლევა საქარ-

თველოს სამეფოს საქვეყნოდ გამრიგეთა სამოხელეოს წესწყობილების ს რ უ ლ ს უ რ ა თ ს ა რ შ ე ი ც ა ვ ს .

საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შორის პირველი ადგილი ერისთავთ-ერისთავებსა და ერისთავებს ეჭირათ. „ე რ ის თ ა ვ ი“ (მქც-მ, ქ-მ, Опис., II, 721; ლ. მროველი, ც-ა მფ-თა, \*128—130, გვ. 20—21 და სხვაგან; ჭუან-შერ, ც-ა ვხ-ტნგ გრგ-სლსა, \*407, გვ. 190, \*410, გვ. 192 და ბევრგან სხვა-განაც), ანუ როგორც იგი უძველეს ქართულ წყაროებში იწოდება, „ე რ ის-მ თ ა ვ ა რ ი“ (ც-ა აბოასი, 15<sub>1</sub>, 2. 15, 20<sub>15</sub> და 22<sub>22</sub> და სხვაგანაც, მაგ. ქაშთა-აღ., \*798—799, გვ. 638 „მრავალნი ე რ ის მ თ ა ვ ა რ ნ ი“) ორნაწილედ იყო და დათვლილი იყო ჯარისუფროსსა კნიშნავდა. ეს გარემოება ჯერ კიდევ კარგად სცოდნია ლეონტი მროველს, რომელიც ერისთავებს სპასალართა და ათასის-თავთა ჯგუფში ათავსებს (ც-ა მფ-თა, \*130, გვ. 21). ძველ ქართულ-თარგმანებშიაც ერისმთავარი ბერძნულს „სტრატეგო“-ს და სომხურს „ზორა-ვარს“ ანუ ჯარის უფროსს უდრის ხოლმე (ქ-ლი სამართლის ისტორია, 1).

დროთა განმავლობაში ერისმთავარი სამოქალაქო მოხელეობის სახელად იქცა. ერისმთავარის მაგიერ მაშინ მარტივად „მ თ ა ვ ა რ ი ც“ იხმარებოდა ხოლმე (ც-ა სრ-პნ ზრზმ-ლსა, 9, 11, 23; ც-ა ნინოასი, Опис., II, 766). თან-დათან „მთავარს“ ერისთავზე უფრო მაღალხარისხოვანი თანამდებობის მნიშ-ვნელობა მიენიჭა ისე, რომ მთავარი და ერისთავი ორ თითქმის სხვადასხვა-თანამდებობად ითვლებოდა. მაგ., გ-ი მთაწ-მდლის ც-ა ში წერია, რომ თურ-ქთა შემოსევის დროს ბაგრატ IV დროს „დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მ თ ა ვ ა რ ნ ი და ე რ ის თ ა ვ ე ნ ი სამეფოსა ჩუენისანი ძვრ-ძვირად მოისრნეს“-ო (გვ. 329).

თვით სიტყვაც „მთავარი“ ბერძნულს „არხოან“-ს უდრის. რაკი ერისთა-ვებს ქვეყნის ამათუი მთავრის მართვა-გამგეობა ებარათ, ამიტომ თვითველ-მათგანს თავისი „გ ა ნ ს ა გ ე ბ ე ლ ი“ (ლეონტი მროველი, ც-ა მფ-თა, \*295, გვ. 118) ჰქონდა, რომელსაც „ს ა ე რ ის თ ა ვ ო“ (ჭუან-შერ, ც-ა ვხ-ტნგ გრგ-სლსა, \*407, 410, გვ. 190, 192), ანუ „ს ა მ თ ა ვ რ ო“ (ც-ა მფ-სა დ-თსი, \*546, გვ. 313) ეწოდებოდა. ხოლო თვით ამ ხელისუფლებას „ე რ ის მ თ ა ვ -რ ო ბ ა მ“ (ც-ა ჰაბოასი, 15<sub>15</sub>, და 22<sub>22</sub>) ანუ „ე რ ის თ ა ვ ო ბ ა“ (მტ-ნე ქ-მ, \*487, გვ. 260, ისტ-რნი და აზმ-ნი, \*632, გვ. 411) ერქვა. რაკი თვით ერისთავისა და მთავრის მნიშვნელობა შეიცვალა, ამისდაგვარად თვით „სამ-თავრო“-საც საერისთავოზე უაღრესი მნიშვნელობა მიენიჭა.

არსებობდა თუ არა წინათ „ერისთავთა-ერისთავი“, ჯერ ამის გამოსარკვე-ვად საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ დანამდვილებით ვიცით, რომ IX საუკუნეში უკვე არსებობდა ეს თანამდებობა.

ვინ იყო და რა იყო ერისმთავარი. ანუ ერის თავი? იგი იყო „მთავარი“ და უფალი ადგილთა მათ... და მპყრობელი ყოველთა მათ სანახებთა“-მ (ც-ა სრ-პნ ზრზმ-ლსა, 10—11). მამასადავით, იგი თავის საერისთავოში გამგე და მბრძანებელი, ბატონი და მპყრობელი იყო. რაკი ის საერისთავოში უფალი ყოფილა და ბრძანების გაცემა შეეძლო, ამიტომ მისი საერისთავო მისი „გ ა ნ ს ა გ ე ბ ე ლ ი ი ყ ო“ (ლ. მროველი, ც-ა მფ-თა, \*295 გვ. 118) და „ს ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ლ ი“-ც (ც-ა სრ-პნ ზრზმ-ლსა, 23). იმის გარდა, რომ ერისთავი საერისთავოს გამგე იყო, ძველ დროს „მათ ყო-ველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო“-ო (ლეონტი მროველი,

ც-ა მფ-თა, \*130, გვ. 21), ესე იგი სახელმწიფო გადასახადების აკრეფისათვის თვალყურის დევნება ვალად სდებია. მაგრამ შესაძლებელია ეს მხოლოდ თავდაპირველად ყოფილიყო და შემდგომი გადასახადების აკრეფა განსაკუთრებულ მოხელეთა ხელში იყო. ერისთავისა და ერისთავთ-ერისთავის უფლება-მოვალეობის შესახებ საისტორიო მატრიანეში „ძეგლი ერისთავთა“-ში მეტად საგულისხმიერო და ძვირფასი ცნობებია შენახული. ამ თხზულებიდან ჩანს, რომ ერისთავს ჰქონია: „განსაგებელი ეკლესიისა, მსახურება (მეფისა) და მთავრობა... მათვე ეთაჲ“ (ქ-ები, II, 4). იმავე ნაწარმოებში მოთხრობილია, ვითომც კეისარმა ლარგველის ერისთავად დადგენის დროს „მიუბოძა შვიდნი ესე ქვენი განსაგებლად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა“-ო (ქ-ები, II, 4). ამ ორი ამონაწერიდან ჩანს, რომ ერისთავი საერისთავოს მკვიდრთა და ქვეყნის გამგე იყო. მას ექვემდებარებოდენ მარტო გლეხები კი არა, არამედ აზნაურნიც მის განსაგებელს ემორჩილებოდენ, ეკლესიებიც კი, რასაკვირველია იმდენად, რამდენადაც ეკლესიას სამოქალაქო მთავრობასთან დამოკიდებულება ჰქონდა. ერისთავს განსაკუთრებული სამოსელი ეცვა.

„ძეგლი ერისთავთა“-ს სიტყვით ეს სამოსელი იმგვარი იყო, როგორც ბიზანტიის მეფეს იუსტინიანეს ეცვა (ქ-ები, II, 4), ამას გარდა ჰქონდა „ბეჭედი და საყურე და სარტყელი“, აგრეთვე „ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი“ (იქვე, ქ-ები, II, 4).

ერისთავთ-ერისთავს ჰქონდა „მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრ არიან“ მის საბრძანებელში (ძეგლი ერისთავთა, ქ-ები, II, 4). მაშასადამე, ერისთავს დიდებულეებზე ხელი არ მიუწვდებოდა, მათ მთავრად შეიძლებოდა ყოფილიყო და იყო კიდევ მხოლოდ ერისთავთ-ერისთავი. „შემდგომად მეფისა“ მისი „იყვნენ მორჩილი“ დიდებულნი და აზნაურნი. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ ყოველნი დიდებულნი და აზნაურნი და მისი საბრძანებელის დანარჩენი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ „თანა მოლაშქრე ერისთავთ-ერისთავისა“-ო (იქვე, II, 4), მის ხელქვეით უნდა გასულიყვნენ ბრძოლის ველზე.

მთავარი და ერისთავთ-ერისთავი ძლიერი და გავლენიანი, ქონებრივადაც შეძლებული ხელისუფლები იყვნენ: იგი სხვეს „ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთათა...მრავალთა ტაძართა და კარავთა“ მფლობელი იყო ხოლმე (ც-ა სრ-პნ ზრ-ზმლსა, 9). ზოგჯერ ისინი იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ „სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისა აღზვავებულნი“ თვით მეფესაც კი ებრძოდენ ხოლმე (ქ-ლი ერის ისტორია, II). ვითარცა რაინდულ ზნეს შექმვენოდა, ამგვარი მთავარი, როდესაც-კი მოცილილი იყო, „უმრავლესთა ქამთა ინადირობნ“ (ც-ა სრ-პნ ზრ-ზმლსა, 10).

იგივე ნიშნები, რაც ერისთავსა ჰქონდა, განსაკუთრებით დროშა, ერისთავთ-ერისთავსაც უნდა ჰქონოდა.

როგორც ეტყობა დარბაზობის დროს ერისთავთ-ერისთავს ის უპირატესობა ჰქონია, რომ „მისსა საჯდომსა უკანით“ მისსა განგებო მოხელეს „მოლარეთ უხუცესსა ფარი და ვრმალი“ ექირახოლმე. ეს იქიდან ჩანს, რომ მტბევარის შესახებ „ქ. გარიგება“-ში ნათქვამია: დარბაზობის დროს „მისსა საჯდომსა უკანით მისსა მოლარეთ-უხუცესსა ფარი და ვ[რ]მალი აქვს უკანით“ (15329-331) და თანაც იქვე აღნიშნულია, რომ მტბევარს ეს უპირატესობა იმიტომ ჰქონდა, „რომე ერისთავიც არის შეფუთისა“-ო (იქვე, 15331). მაშასადამე, დარბაზობის დროს ერისთავებს ჩვეულებრივ საჯდომს უკან მათი მოლარეთუხუცესნი უდგნენ ფართა და ხრმლითა.

გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის 1227—1230 წ. შეწირულობის წიგნი ამტკიცებს, რომ ერისთავთ-ერისთავს მის საბრძანებელში გლესთა სამოსამართლო საქმეებიც ეკითხებოდა საეკლესიო გლესთ გარდა რასაკვირველია. ამ სამოსამართლო საქმეების გარჩევა და დაურეგება მის საერისთავთ-საერისთავოს მამასახლისებს ჰქონიათ ჩაბარებული (ქკბი, II, 98). ამ სამოსამართლო საქმეების გარჩევაზე დაამხედველობისათვის ერისთავის სასარგებლოდ სასამართლო ჯარიმის განსაზღვრული წილი ყოფილად აწესებულა, რომელსაც ეწოდებოდა „კერძი საერისთავოა“ (ქკბი, II, 98, 14—15). როდესაც საქმე „ნაპარევი“-ს ეხებოდა, ეს „საერისთავოა“ თურმე ერთს მეწიდედს შეადგენდა, „შვიდეოლი“ იყო (იქვე, II, 98, 12—14).

ერისთავების უმთავრეს სარგოს, ჯერ ერთი, საგანგებო დაკვეთილი გადასახადი „გამოსავალი“ შეადგენდა, რომელსაც „საერისთავოა გამოსავალი“ ერქვა (1058 წ. სიგ. შიომღ. ისტ. საბ., 4; 1072 წ. სიგ., იქვე, 11, 14—15). ამ ჩვეულებრივ და მუდმივ სარგოს გარდა, „დაქირეებასა რას უამსა“, ან „ლხინსა“ ერისთავთა ერისთავის სასარგებლოდ ერთდროულ შესაწევარი და ძღვენი „ბეგარაი“ უნდა გადაეხადათ (1227—1230 წ. გრიგოლ ერისთ. შეწირ. წიგ., ქკბი, II, 98, 16—18).

ერისთავთ-ერისთავს მრავალი ქვეშეთი მოხელე, „ხელისუფალი“-ც კი (1227—1230 წ. საბ., ქკბი, II, 98) ჰყავდა, მათ შორის რასაკვირველია იყვნენ ყველა მისი თემის ერისთავნი, საკუთარი მწიგნობართ-უხუცესნი (მტენ ქკ, \*495, გვ. 267), მოლარეთ-უხუცესნი (იხ. ზემოთ) და მრავალი მსახური. იმიტომაც არიან ერთ ხელნაწერში მოხსენებულნი „ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღვდელნი და ყოველნი მსახურნი ერისთავთ-ერისთავისა“ (ქლი ერის ისტორია, II, 468). მას ჰყავდა „წინა შემდგომელნი“ და საკუთარნი“ (ცქ სრპნ ზრზ-მლს, 11), „ქვრცხლ-მავალნი“ (იქვე, 12) და მალე მსრბოლნი, საგანგებო კაცნი, რომელნიც იყვნენ „მსრბოლ გზათა შორთა“ (იქვე, 38).

თვისსა საერისთავთ-ერისთავოსა და სპერისთავოში ერისთავთ-ერისთავსა და ერისთავს ქვეშეთ მოხელეებად ჰყავდათ ციხისთავნი, ხევისუფალნი, მამასახლისნი და გზირნი. გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავს, მაგ., თავის შიომღვიმის

მონასტრისადმი მირთმეულს 1227—1230 წ. შეწირულობის წიგნში ნათქვამი აქვს: „გარეთ ვინც მაწყინარი გამოჩნდეს მღუიშის გლეხთაი, მამასახლისი ჩუენი ესე იურვოდეს... სხუაი ყოველი ამიჯდია ჩუენი ბეგარაი... და ნუც ჩუენს დაჭირვებასა რას უამსა და ნუც ლხინსა ნურათ შეუვალს: ნუ მამასახლისი, ნუ ეელისუფალი (ჯევისუფალი?), ნუ ციხისთავი, ნუ გზირი, ნუ მსახური“-ო (ქები, II, 98<sub>15-19</sub>). მაშასადამე, ერისთავთ-ერისთავის სარგო „ბეგარი“-სა ან სხვაგვარი შესაწევარის („დაჭირვებასა რას უამსა“), ან ძღვენის („ლხინისა“) ასაკრებად და საზოგადოდ ერისთავთ-ერისთავის ბრძანების ასასრულებლად ხელისუფალნი (თუ ქვეისუფალნი?), ციხისთავნი, მსახურნი, მამასახლისნი და გზირნი ყოფილან განჩენილნი: ესენი ემორჩილებოდენ მათ ვითარცა უფროსს.

„ციხისთავნი“ (ბაგრატ IV სიგ., შიომღ. ისტორ. საბ., 14; გიორგი მეორის სიგ., შიომღ. ისტორ. საბ., 12; ს. კაკ. შიომღ. სამი სიგ. ნ. თამარ მეფის 1189 წ. სიგ., ქები, II, 73—74 და სხვაგან) რასაკვირველია, მარტო ციხისუფროსნი არ იყვნენ. თუმცა უეჭველია პირადად მათ ექვემდებარებოდენ „ციხოვანნი“ (მტნე ქა, 494 და 405, გვ. 266 და 267, \*510, გვ. 279 და ბევრგან სხვაგანაც), მაგრამ ციხისთავად იმავე დროს პატარა ქალაქების უფროსებიც იწოდებოდენ: ის, რაც დიდი ქალაქისათვის ამირთა-ამირა იყო, იგივე პატარა ქალაქისათვის ციხისთავი იყო. მაგ. ცნობილია ქ. მცხეთისა ციხისთავი, ქ. „ატენისა ციხისთავი“ (ატენის სიონის XI ს. წარწერა იხ. ჩემი К вопросу о времени постр. груз. храма в Атени, ХВ, I, III, 286), „მუხარისა ციხისთავნი“ (გიორგი II სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 14) და სხვანი.

ციხისთავის უფლება-მოვალეობის შესახებ IX-XIII სს. განმავლობაში სხვა ცნობები არ მოიპოვება. საბუთებიდან ჩანს, რომ როგორც ერისთავისა სასარგებლოდ საერისთავო სარგო იყო დაწესებული, ისევე ციხისთავთათვისაც საგანგებო „საციხისთავო“ გადასახადი არსებობდა (ბაგრატ IV 1058 წ. სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 4; გიორგი II 1072 წ. სიგ., იქვე, 11<sub>14-15</sub>).

„ჯევისუფალნი“ (ბაგრატ IV 1058 წ. სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 4<sub>14</sub>; გიორგი II 1072 წ. სიგ., იქვე, 12<sub>5</sub>) როგორც თვით სახელიც გვიჩვენებს, ხევის უფროსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაღარა საქმეები ეკითხებოდა მას, ამაზე არავითარი ცნობები არ მოიპოვება, ხევისუფლის სარგოც არსებობდა, რომელსაც „საჯევისუფალო“-ი ეწოდებოდა (1058 წ. სიგ., შიომღ. ისტ. საბ., 4<sub>2</sub>, და 1072 წ. სიგ., იქვე, 11<sub>15</sub>).

როგორც ზევით უკვე აღნიშნული იყო ერისთავს დასასრულ სოფლის „მამასახლისი“ (ბაგრატ კურაპალატის კანონები. გრიგოლ ერისთავის 1227—1230 წ. შეწირ. წიგნი, ქები, II, 98<sub>4</sub>, 6, 15 და 18) და „გზირი“ (თამარ მეფის 1189 წ. გელათის წყალ. წიგ., ქები, II, 74<sub>213</sub>; გრიგ. ერისთავის 1227—1230 წ. შეწირ. წიგ., იქვე, II, 98<sub>18</sub>) ექვემდებარებოდა. გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავის შეწირულობის წიგნი ამტკიცებს, რომ მამასახლისის საგამგეო სოფლის მოსამართლისა და დამაურევებლის მოვალეობაც ჰქო-

13 თ. ეორდანიას დაბეჭდილი აქვს „მზირთა“, მაგრამ ცხადია აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.



ნია მოვალეობის გარდა დაკისრებული. „ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს“-ო (ქ<sup>ე</sup>ბი, II, 98<sub>4</sub>), „მამასახლისმან და მლუიმის ხელისუფალმან მართლითა სამართლითა დაუუტოვონ“-ო, „მამასახლისი ჩუენი“ „ესე იუტოვოს“-ო (იქვე, II, 98<sub>6</sub>—7 15—16). „ქარგი სოფლის მამასახლისის „ბჭედ ანუ მოსამართლედ დასმა ბაგრატ კურაპალატის დროინდელ კანონებშიაც იხსენიება, რაკი მამასახლისის შესახებ ყველა ცნობა „ს<sup>ე</sup>ქლს ეკონომიური ისტორი“-ის I წიგნშია მოთავსებული (გვ.13—16), ამიტომ აქ ამ საგანზე ლაპარაკი მეტი იქნებოდა.

„გზირი“ სპარსულ სიტყვას „გიზირ“-ს და სომხურს *գիր* „გზირ“-ს უდრის. სომხური სპარსულიდან ნასესხებად ითვლება (H. Hübschmann. Armenische Grammatik, I ნაწ., გვ. 264). სპარსულში ეს სიტყვა სოფლის საპოლიციო მოხელეს ნიშნავდა. რა მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ქართულში იმ დროს, როდესაც საბუთებში გვხვდება, ჭერ არა ჩანს. ჩვეულებრივი მნიშვნელობა კი ამ სიტყვას ისეთი აქვს, რომ სოფლის მამასახლისის მოციქულს და მოხელეთა განკარგულების და ამბავის მომტანსა და წამლებს ეწოდებოდა. თუ ძველ დროსაც ქართულში ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ შეიძლება ეს სიტყვა ნამდვილი ქართული იყოს და გზისაგან იყოს ნაწარმოები.

დასასრულ ოპიზის განთქმულ საგელში მოხსენებული არიან „ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერნი“ (სქ<sup>ე</sup>ს სძ<sup>ე</sup>ვლნი, II, 418—19). ტანუტერი სომხურად იგივე მამასახლისია. მაშასადამე, ამ საბუთში „ტაოისა და კლარჯეთის მამასახლისნი“ არიან ნაგულისხმევი. მხოლოდ აქაც „ტანუტერნი“ სოფლის მამასახლისებს ნიშნავდა, თუ უფრო მაღალხარისხოვან მოხელეს, არა ჩანს. სომხური სახელი ამ ხელისუფლობისა ალბათ ამ კუთხის წინადროინდელი ხანის ნარევი მოსახლეობის ნაშთი უნდა იყოს.

ქართულ საისტორიო წყაროებში ერისთავები და ერისთავთა ერისთავები შედარებით ხშირად იხსენიებიან, მაგრამ რაკი თვითოეული მათგანი მხოლოდ მაშინ არის ხოლმე დასახელებული, როდესაც რაიმე ისტორიულს ამბავში მონაწილედ გამოვიდოდა, ამიტომ ამ ცნობებსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს და სრულად ვერ ჩაითვლება: ხან ერისთავი გვხვდება და ერისთავთა ერისთავი არ იხსენიება, ხან ერთიცა და მეორეც, მაგრამ არც ამისთანა შემთხვევებშია ხოლმე სრული სია მოყვანილი, მხოლოდ ორგან პროველის და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებებშია ერისთავთა ერისთავების სრული სია ჩამოთვლილი. ლ. პროველს აღნიშნული აქვს, ზღაპრული მეფის ფარნავაზის დროს ვითომც საქართველოში შემდეგი რვა ერისთავი ყოფილიყვნენ: მარგუეთის ერისთავი, კახეთისა, ხუნანისა, სამშვილდისა, წუნდისა, ოძრგისა, კლარჯეთისა და ქუჭოსა და ეგრისის ერისთავი (ც<sup>ე</sup>ა მ<sup>ე</sup>ფთა, \*129, გვ. 21—30). ამ სიაში დასავლეთ საქართველოს საერისთავოები ნაკლებად არის შეტანილი, ამას გარდა უცნაურია, რომ ავტორს ქართლის ერისთავიც კი დავიწყებია. თუმცე ლ. პროველს ეს სია საქართველოს ვითომც პირველ მეფის დროინდელად მიაჩნია, მაგრამ უეჭველია თვით ავტორის ხანის ახლო დროისა უნდა იყოს. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა კი მართლაც მხოლოდ მაშინდელ ერისთავთ-ერისთავების სრულს სიას შეიცავს და ქვემოთ იქმნება მოყვანილი.

გიორგი აფხაზთა მეფის დროს იხსენიება ქართლის ერისთავი (მ<sup>ტ</sup>ნე ქ<sup>ა</sup>, \*455, გვ. 231), რომლადაც მაშინ თვით უფლისწული ყოფილა. ბაგრატ III და მერმინდელი მეფეების დროსაც ქართლის ერისთავის სახელი ხშირად გვხვდება (მ<sup>ტ</sup>ნე ქ<sup>ა</sup>, \*460, გვ. 236; \*484, გვ. 258; \*487, გვ. 260 და ბევრგან სხვაგანაც).

კახთა მეფის გაგიკისა და საქართველოს მეფის ბაგრატის დროს დასახელებულია კახეთის ერისთავთ-ერისთავი გოდერძი (მ<sup>ტ</sup>ნე ქ<sup>ა</sup>, \*488, გვ. 261). ამას გარდა კახეთის შემდეგი ადგილების ერისთავთა სახელები გვხვდება: პანკისის ერისთავი, ზორნაბუჯისა, შტორისა და მაქელისა, ვეუინის ერისთავნი (იქვე, \*486, გვ. 259 და \*500, გვ. 270). ჰერეთის ერისთავიც არსებობდა რასაკვირველია (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*606, გვ. 377).

მესხეთის ერისთავთაგან დასახელებულნი არიან შავშეთისა (მ<sup>ტ</sup>ნე ქ<sup>ა</sup>, გვ. 254), არტანუჯისა (იქვე, \*489 და 490 გვ. 262 და 263), თუხარისძისა (იქვე, \*486, გვ. 260), კალმახისა (იქვე, \*490 გვ. 263 და 264), ყუელისა (იქვე, \*503, გვ. 273) და სამცხის ერისთავი (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup>, \*632, გვ. 411). მაგრამ ეს სია რომ სრული არ არის, ამას ქართველი ეპოქოლოგის თხზულებაც ამტკიცებს, სადაც იხსენიება „ერისთავი ტაოსა“ (\*922, გვ. 767).

გიორგი II დროს აღნიშნულია „სვანთა ერისთავი“, რომელმაც „გაადგინნა საუანნი“ (მ<sup>ტ</sup>ნე ქ<sup>ა</sup> \*509, გვ. 278).

გიორგი III და თამარ მეფის დროს საქართველოში შემდეგი ერისთავთ-ერისთავები იყვნენ: სვანთა ერისთავთ-ერისთავი, რაქის ერ<sup>ვი</sup>, ცხუმისა, ოდიშისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა და სამცხისა (ისტ<sup>რ</sup>ნი და აზმ<sup>ნი</sup> \*632, გვ. 410—411).

ქართველი ისტორიკოსები ლეონტი მროველი და ჯუანშერი ამტკიცებენ, რომ თავდაპირველად საგვარეულოდ იქცა. ამგვარი ცვლილება ჯუანშერის სიტყვით სასანელთა შაჰების ბატონობის დროს უნდა მომხდარიყო. იგი ამბობს: „მოკულდა ბაჟურ და დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერა იპყრობდეს მეფობასა. მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ (IV, 579—590) მისცა ძესა თვსსა [რომელსა ერქვა ქასრე ამბარვეზ (590—628)] რანი და მოვაკანი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს და უწყოზრახვად ერისთავთა ქართლისათა, აღუთქვა კეთილი დიდი და დაუწერა მამულეები შვილითი შვილამდე. და განდგეს ერისთავნი თვსთვსად, ხარკსა მისცემდეს ქასრეს“-ო (ც<sup>ა</sup> ვ<sup>ტ</sup>ნე გ<sup>რ</sup>გ<sup>ს</sup>ისა\* 406, გვ. 189). ამის შემდგომ იმავე მემბტიანის თქმით შინაური მდგომარეობისა და გაქირვების (თურქების შემოსევის) გამო „უცალო იქმნეს სპარსნი. მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი ზემონი და ქუემონი და... წინაშე ბერძენთა მეფისა... ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავისაგან მეფეთა ქართლისათა, რათა იყუნენ ერისთავნი იგი თვს-თვსსა საერისთავოსა შეუცვალებლად“. კეისარმა მათი თხოვნა დასრულაო (იქვე, 407, გვ. 190). მართლაც გურამ კურაპალატმაო „ერისთავნი ქართლისანი ვერცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვდრობისანი“-ო (იქვე, 410, გვ. 192).

უკვე განსვენებულმა მ. ბროსემ გამოაკვია, რომ ჰერმიზდის დროს ავგარი შემთხვევა არა ყოფილა (Histoire de la Géorgie, I, 216, შენ. 1), მაგრამ თუმცა ზემომოყვანილი ცნობების ისტორიული სამოსელი საეკვიპოლირსებისაა, თვით ცნობები კი ერისთავობის მექვიდრეობით თანამდებობად ქცევის შესახებ შესაძლებელია მართალი იყოს. უეჭველია უმეფობის დროს ერისთავები უფრო უნდა გაძლიერებულიყვნენ და მეფეთა მაგიერობა უნდა გაეწიათ ქართველ ერისთავებს. მაგრამ უცხო მებატონის ძალას საქართველოს გადაყენებულ სამეფო საგვარეულოს გავლენის შესარყევად და მოსასპობლად მართლაც შეეძლო თუსთვსად გამდგარ ერისთავთათვის განსაკუთრებული მფარველობა გაეწია და ამ გზით მათი „შეუცვალელობისა“-თვის ნიადავი მოემზადებინა და ხელი შეეწყო.

ამ ფრიად საყურადღებო საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება: ჩვენ არ ვიცით სასანელთა გაბატონებამდე აღმოსავლეთს საქართველოში ერისთავობა მართლა პირადი ხელისუფლება იყო, თუ იქნებ მაშინაც „შეუცვალელებნი“ იყვნენ? მხოლოდ აბო ტფილელის მარტივობიდან ცხადადა ჩანს, რომ VIII საუკუნეში ერისთავობა უკვე თვით ერისთავებს საგვარეულო კუთვნილებად მიაჩნდათ და მხოლოდ არაბები ზოგჯერ არღვევდნენ ხოლმე ამ წესს (იხ. ქლი ერის ისტორია, II). როდესაც საქართველოში მეფობა განახლდა, თვითმეფეს სამეფოში უნდა დაწყებულიყო ბრძოლა ერისთავობის „შესაცვლელიობისა“ და „შეუცვალელიობისა“ გამო: მეფენი რასაკვირველია შესაცვლელიობის მომხრენი იქნებოდნენ და ეცდებოდნენ ხანდახან ეს განეხორციელებინათ, თვით ერისთავნი კი თავიანთ „შეუცვალელობის“ უფლების დამცველნი იქნებოდნენ.

ჯერჯერობით თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს ბრძოლა IX—X სს., მაგრამ ბაგრატ III დროს ერისთავთა „შეუცვალელობას“ უკვე ბოლო მოღებული აქვს და მან არა ერთხელ და ორჯელ „ურჩინი თუსნი სცუალნა დიდებისაგან, ადგილთა მათთა განადიდნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებით მისთა“ (მტნე ქა \*467, გვ. 242 და 465, გვ. 240). მართლაც, ქართულ წყაროებში აღნიშნულია ხოლმე, რომ მეფემ ამა და ამ პირს ერისთავობა ჩამოართვა და სხვას მისცაო. მაგ., როდესაც ლიპარიტი და ბაგრატ IV შერიგდნენ, მეფემ მას „უბოძა ქართლის ერისთავობა“ (მტნე ქა \*487, გვ. 260), ხოლო იმავე მატთანში, რომელსაც ეს ცნობა მოჰყავს, ამ ხანის უწინარეს ქართლის ერისთავად ივანე აბაზასძეა დასახელებული (იქვე, \*484, გვ. 258). ალბათ ბაგრატ IV მისთვის ერისთავობა ჩამოურთმევია და იქნებ ამ ნიადავზე იყო აღმოცენებული ის მტრობა, რომელიც გიორგი ხუცეს მონაზონის სიტყვით აბაზასძეთა და მეფეს შორის ყოფილა ჩამოვარდნილი.

ბაგრატ III-მაც რომ ჰერეთი შემოიერთა, მან თავისი კაცი დანიშნა ერისთავად და „განაჩინა მთავრად აბულალ“ (მტნე ქა, \*468, გვ. 243). მხოლოდ, როცა ბაგრატ მეფე გარდაიცვალა, მაშინ ჰერეთ-კახეთი აჯანყდა და „შეპყრობილ იქნეს ერისთავნი“, ბაგრატ III-ის მიერ დაღვენილნი (სუმბატ ძე დავითის ი. ცა და უწყება, \*584, გვ. 353).

საყურადღებოა, რომ აფხაზთა მეფეები თავდაპირველად ქართლის ერის-

თავთ-ერისთავებად თავიანთ უფლისწულებს ნიშნავდენ (ქლი ერის ისტორია, II, 378, 385 და 387).

ყველა ერისთავთ-ერისთავის საგამგეო ერთნაირ ღირსებითად არ ითვლებოდა: მათ შორის ზოგი უფრო საპატიოდ იყო ცნობილი, ზოგს კიდევ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. საერისთავთ-ერისთავოთა ანუ სამთავროთაგან ყველაზე უფრო მეტი ხარისხი ეპყრათ და უაღრესად საპატიოდ ისეთი ადგალები ითვლებოდენ, რომელნიც წინათ მეფეთა საჭდომად და სამეფოებად იყვნენ. ის ხელისუფალი, რომელსაც ამგვარ სამთავროს მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული, იყო „მჭდომი მეფეთა ადგილისა“, „მეფეთა ადგილსა ზედა“ დადგენილად ირიცხებოდა და ეს კი საქვეყნოდ გამგე ხელისუფალთათვის, რასაკვირველია, უაღრესი პატივისცემა უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ. თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში მხოლოდ ორი ამგვარი „მეფეთა ადგილსა ზედა მჭდომი“-ა დასახელებული: ერთი იყო „გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“, რომელიც საქართველოს მბრძანებელს „ძუელთა მეფეთა ტაოელთა“ ადგილსა ზედა შეეწყალა“ (ისტრნი და აზმნი, \*649 გვ. 434), მეორეს კიდევ ზაქარია მხარგრძელს იხსენიებს ქართველი ისტორიკოსი, „მჭდომსა სომეხთა მეფეთა ადგილსა“ (იქვე, \*657, გვ. 444).

თუმცა სხვები მოხსენებულნი არ არიან, მაგრამ საფიქრებელია, რომ სრულიად საქართველოს ყველა იმ საერისთავთ-ერისთავოების ადგილებიც, რომელიც წინათ, გაერთიანებამდე დამოუკიდებელ სამეფოებად ითვლებოდენ, როგორც, მაგ., კახთა და რანთა სამეფო და სხვა, განსაკუთრებით საპატიო სახელისუფლოდ იყვნენ ცნობილნი და ამ სახელოთა მქონელებიც მეფეთა ადგილსა მჭდომად იყვნენ ცნობილნი.

საქართველოში ამირობაც არსებობდა და ისეთი ხელისუფალნიც იყვნენ, რომელთაც „ამირა“ ეწოდებოდათ. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს, მაგ., მოხსენებული ჰყავს „ლიპარიტ ამირა“ (ცაღთსი, \*521, გვ. 288). თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაშიაც დასახელებულია ერთი „მკვდრთა ტფილისისათაგანი, თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-ჯელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილისისა, სახელითა აბულასან“ (ისტრნი და აზმნი, \*635, გვ. 415). ვინ იყო ამირა და რა თანამდებობა ჰქონდა მას? თუ უკანასკნელ ცნობას დავაკვირდებით, აბულასანი ყოფილა „ამირად ქართლისა და ტფილისისა“. ეს აბულასანი კიდევ ორს წარწერაში იხსენიება, ერთში, ხატზე თვით აბულასანი თავის თავზე ამბობს: „შეიწირე... ესე მსახურებაი ჩემგან ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურ[ჭლეთ]-უხუცესისა აბულასანისაგან, იობის ძისა“-ო (ე. თაყაიშვილის Arch. ex., II, 70). მეორეგან ვერეს „ლურჯ მონასტრად“ წოდებულის ეკლესიის კარიბჭის წარწერაში აბულასანის ძმა, „ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოს-ყოფილი, ძე კეთილ-ნათესავისა იობისი“ ამბობს, რომ მან ააგო ეკლესია „ნაცვალსაგებულად ჩემთვის და საყუარელისა ძმისა ჩემისა, ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა ამირთა-ამირისა რუხსთავისა და შვდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათვის (ე. თაყაიშვილის Arch. ex., IV, 149-150). ამ უკანასკნელ წინადად-

<sup>14</sup> იხ. „მეფენი ტაოსნი“ (ქლი ერის ისტორია, II, 396).

ბაში სასვენი ნიშნები განგებ გამოგტოვეთ იმგვარადვე, როგორც თვით წარწერა უსასვენიშნებოდ არის, რომ მკითხველისათვის ცხადი იყოს, რამდენად ძნელი და პასუხსაგები საქმეა ხოლმე ზოგჯერ ერთი სასვენი ნიშნის, მძიმის დასმაც კი.

მთავარი სიძნელე ის არის, თუ სად უნდა დაისვას მძიმე, რომ ეს წინადადება ისე გავიგოთ, როგორც თვით აბულასანის ძმას ბასილს ესმოდა, როდესაც ამ წარწერას აკრეფინებდა. თუ რომ მძიმე „ერისთავთ-ერისთავისა“ შემდგომ დავსვით, გამოვა, რომ აბულასანი „ქართლისა ამირთ-ამირა“ ყოფილა. ხოლო თუ მძიმე „ქართლისა“-ს შემდგომ დავსვით, მაშინ ის ყოფილა „ერისთავთ-ერისთავი ქართლისა“ და არა „ქართლისა ამირთ-ამირა“.

ძველი ქართული სინტაქსის მიხედვით განმარტება განსამარტავ სიტყვას მისდევდა ხოლმე, მაგ.: „ერისთავარი იგი ქართლისა... ნერსტ“ (ც<sup>ა</sup> პაბოლსი 15), „სტეფანოზ ერისთავმან ქართლისამან“ (იქვე, 23) „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა“ (ც<sup>ა</sup> ვხ<sup>ტ</sup> გრგ<sup>ს</sup> ლსა, \*406, გვ. 190), „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა“-ო (იქვე, \*410, გვ. 192). მაგრამ უკვე XI საუკუნეში ძველი სინტაქსური წესის მაგიერ ახალი შემოდის და ხშირად განსამარტებად სიტყვას განმარტება წინ მიუძღვის. მაგ., „მოვეება წინა ქართლისა ერისთავი ითანე მარუშის-ძე“ (მ<sup>ტ</sup> ნე ქ<sup>ა</sup>, \*461, გვ. 237), „ბაგრატ ქართველთა მეფე“ (იქვე, \*466, გვ. 241), „ბაგრატ აფხაზთა მეფე“ (იქვე, \*467, გვ. 241), „უბოძა ქართლისა ერისთავობა“ (იქვე \*487, გვ. 260). თვით თამარ მეფის ისტორიკოსსაც უკვე ამგვარი წესი ეხერხება: ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ (ისტ<sup>ტ</sup> რნი და აზ<sup>მ</sup> ნი, \*615, გვ. 389), „ქართლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ერისთავად ბაჟურ-ყმა ძაგანის ძე“ (იქვე, \*632, გვ. 411).

მაშასადამე, ძველი ქართული სინტაქსის მიხედვით უნდა ყოფილიყო „ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა, ამირთა ამირისა“, მაგრამ XI და განსაკუთრებით XII საუკ. თამარ მეფის დროსაც, რომელ ხანასაც ეს წარწერა ეკუთვნის, უფრო მოსალოდნელია და ალბათ ასეც ექმნებოდა თვით ბასილს ნაგულისხმევი: „ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა-ამირისა“ და სხვა.

ერთი სიტყვით აბულასანს მისი ძმა ერისთავთ-ერისთავს და ქართლის ამირთა ამირას ეძახის. როგორც ვნახეთ, თვით აბულასანიც ამგვარადვე თავის თავს ერისთავთ-ერისთავს უძახის სადაურობის აღუნიშვნელად.

მაგრამ თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვები გვიჩვენებენ, რომ ბასილს თავის წარწერაში თავის ძმის აბულასანის მოხელეობის ნუსხა სრულის სისწორით ვერ აღუნიშნავს. მართალია, რომ ის იყო „ამირთა-ამირად ქართლისა“, მაგრამ მას დავიწყებია დაემატებინა, რომ ის მარტო ქართლის ამირად კი არ იყო, არამედ ერისთავთ-ერისთავად, „ამირთა-ამირად ქართლისა და ტფილისისა“.

მაშასადამე, ირკვევა, რომ საქართველოში ისეთი ხელისუფლებიც ყოფილან, რომელთაც „ამირთა-ამირა“ ეწოდებოდა. თვით ხელისუფლობას კი თურმე „ამირთა-ამირობა“ (ისტ<sup>ტ</sup> რნი და აზ<sup>მ</sup> ნი, \*699, გვ. 496) რქმევია. უეჭველია ეს სამოხელეო სახელი ტფილისის არაბი საამიროს დროინდელი ნაშთი უნდა იყოს, მაგრამ ამირობა საქართველოს სამოხელეო წესწყობილებაში, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ იმ ხანში უნდა შემოსული-

ყო, როდესაც ტფილისი ქართველებს დაპყრობილი არა ჰქონდათ. მაგალითად, დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ წლებშივე „ლიპარიტ ამირა“-ა მოხსენებული, ტფილისი კი მხოლოდ დავითის მეფობის უკანასკნელ წლებში, 1122 წ. იყო აღებული. მაშასადამე, ამირობის თანამდებობის არსებობა ტფილისის დაპყრობით არ ყოფილა გამოწვეული. თუ ლიპარიტის ამირობის დროს ტფილისი ჯერ კიდევ ტფილისის ამირას ხელთ იყო, სამაგიეროდ ტფილისის საამიროს მომეტებული ნაწილი ქართველებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, თვით ქალაქს გარდა თითქმის მთელი სანახები ქართველებს ეკუთვნოდათ. აი სწორედ საამიროს ყოფილი სამფლობელოს შემოერთების დროს შეიძლება გაჩენილიყოს პირველად საქართველოშიც ქართლის ამირას თანამდებობა. ხოლო როდესაც ტფილისი დაპყრობილი იყო, მაშინ უკვე გაჩნდებოდა „ამირთა-ამირა ქართლისა და ტფილისისა“.

ამირთა-ამირა უმთავრესად, რასაკვირველია, ქალაქის უფროსი იყო. მერძინდელი საბუთები გვიჩვენებენ, რომ ამირთა-ამირა ქუთაისშიაც ყოფილა, მაშასადამე, ეს ხელისუფლება მარტო საქართველოს დედაქალაქში კი არ ყოფილა დაწესებული, არამედ დიდმნიშვნელოვანი ქალაქების უფროსთა ერთგვარ საზოგადო სახელად გამოდის. ამ აზრს საუცხოვოდ ის გარემოებაც ადასტურებს, რომ თამარ მეფემ, რაკი 1206 წ. ქალ. კარი ქართველთა მიერ დაპყრობილ იქმნა (იხ. ქალი ერის ისტორია, II, 611—612), „დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე“ და მასაც უბოძა „ამირთა-ამირობა“ (ისტორი და აზრნი, \*699 გვ. 496).

ამირთა-ამირას გარდა საქართველოში თურმე „ქალაქის ამირანი“-ც იყვნენ (კ. გარ., 8174), მაგრამ ისინი, როგორც უკვე დავრწმუნდით (იხ. მექურპლეთ-უხუცესი), მექურპლეთუხუცესის ქვეშეთი მოხელენი ყოფილან. ხოლო რაც შეეხება საქალაქო წესწყობილებას საქართველოში, რაკი ყველა ცნობა ამის შესახებ „საქართველოს ეკონომიურ ისტორია“-შია გამოქვეყნებული, აქ მეტს აღარას ვიტყვი.

რადგან ტფილისის ამირთა-ამირა იმავე დროს ქართლის ამირთა-ამირად და ერისთავთ-ერისთავადაც ითვლებოდა, ამიტომ უნებლიედ იზადება საკითხი, თუ როგორ უნდა ყოფილიყო განაწილებული ქართლის ერისთავთ-ერისთავისა და ქართლის ამირთა-ამირას საპრძანებელნი, როდესაც ეს ორი მოხელეობა ერთსადიამავე პირს არ ებარა? მაგრამ ამ საკითხის გამორკვევისათვის ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

გელათის 1078 წ. სიგელში და თამარ მეფის გელათისადმივე 1189 წ. ბოძებულს სიგელში მოხსენებულნი არიან „ოთხმისდურნი“ (ქკბი, II, 50), ან „ოთხმესდურნი“ (ქკბი, II, გვ. 73). პირველ საბუთში ეს სამოხელეო სახელი ერისთავთ-ერისთავთა და ნაცვალთა შუაა დასახელებული, ხოლო მეორეში აზნაურთა და ნაცვალთა შუა ისე, რომ ჯერ ერისთავნი არიან, მერე აზნაურნი. შემდეგ „ოთხმესდურნი“. სხვა საბუთებში არსად გვხვდება ეს სახელი და იქნებ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ყოფილიყოს ამგვარი სამოხელეო სახელი? არავითარი ცნობები ამ თანამდებობაზე არ მოგვეპოვება. ისიც კი არ ვიცით, დარბაზის კარს მყოფი მოხელე იყო ოთხმესდური, თუ საქვეყნოდ გამრიგე? თვით აგებულობითაც კი, ეს სიტყვა უცნაურია და მხოლოდ კიდევ ერთი სიტყვაა, — მანდატური, რომელიც ამგვარისავე აგებულობის

არის. მანდატური, როგორც ვიცით, უცხო სიტყვაა, ლათინურ-ბიზანტიურია. ოთხმესღური კი, მის პირველ ნაწილში, მაინც არც ლათინურს, არც ბერძნულს არ მიაგავს.

ზოგიერთს შემთხვევაში, როგორც ეტყობა, მეტადრე როდესაც საქართველოს სამეფო ჯარი და ხელმწიფე მტრის ქვეყანას იპყრობდა და საქართველოს შემოუერთებდნენ ხოლმე, ახალ შემოერთებული ქვეყნის მართვა-გამგეობა სათანადო ვაზირთა შორის კი არ იყო ხოლმე განაწილებული და თვითეულს თავ-თავისი დარგი კი არა ჰქონდა მინდობილი, არამედ ერთს ვაზირთაგანს ჩაებარებოდა ხოლმე ყველა აქაური საქმის უზენაესი გამგებლობა, იგი ნეფის მოადგილესავით იყო ხოლმე. მაგ., როდესაც დავით აღმაშენებელმა „აილო ქალაქი შამახია... და სრულიად ყოველი შარვანი... განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდატურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თუხი ქყონდიდელი მთავარ ეპისკოპოსი“ (ც<sup>ა</sup> მ<sup>შ</sup>ფსა და<sup>თ</sup>სი, \*544, გვ. 311). როდესაც გიორგი III ანისი აილო, მან „დაიმჭირა... ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“, ხოლო ახალშემოერთებული ქვეყნის მართვა-გამგედ დანიშნა იუანე ორბელი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი „თანაშემწეობითა სარგის მკარგრძელისათა და სხუთა თემისა დიდებულ[თა] ახნაურთა“ (ის<sup>ტ</sup>რნი და აზ<sup>მ</sup>ნი, \*598, გვ. 368).

ერთს 1052 წ. დაწერილ წიგნის ანდერძში მოხსენებულია „ბოცოასა მარზაპნისა ჯაყელისა“ ძე არსენი ეპისკოპოსი (მ. ბროსე, Voyage, onz rap. 30 და ქ<sup>კ</sup>ბი, I, 194). ხოლო ვანანა-ვანქის მონასტრის კედლის წარწერაში ნათქვამია: მე გიორგი მთავარ-ეპისკოპოსმა „ქემან დემეტრე მარზაპნისამან ავაშენე ესე ეკლესია“-ო (მ. ბროსე, Voyage, Six. rap. 135 შეად. ქ<sup>კ</sup>ბი I, 243—244). ამ წარწერას თარიღად 1022 წელი უზის, მაგრამ რაკი ამასთანავე აღნიშნულია „დავით [მე]ფობასა“-ო, ამიტომ მ. ბროსე ფიქრობს, რომ წარწერის თარიღში იმგვარადვე, როგორც აქა-იქ სხვაგანაც, ასოები აკლია და ქრონიკონში შეცდომაა: „ს“ (200)-ის მაგიერ „ტ“ (300) უნდა ეწეროსო. მაშინ წარწერის თარიღად 1122 წ. გამოვა, დავით აღმაშენებლის მეფობა. ამ ორი შემთხვევის გარდა, თუ არ ვცდები, სხვაგან ამ ხანაში სამოხელეო სახელი „მარზაპანი“ ჯერ აღმოჩენილი არ არის. ამის გამო დანამდვილებით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება ამ მოხელეების შესახებ, ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ამგვარი სამოხელეო სახელი „მარზაპანი“ და თვით თანამდებობაც სასანიანთა მეფობის დროინდელ სპარსეთში არსებობდა. ქართულ ძველ წყაროებშიაც გვხვდება, მაგრამ როგორც სპარსული სამოხელეო სახელი მარზაპანები სპარსთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების უზენაესი მმართველნი იყვნენ, ხოლო თვით სიტყვა საზღვრის მცველსა ნიშნავს (იხ. ქ<sup>ლ</sup>ი ერის ისტ., I, 230). ცხადია, ეს სიტყვა და თანამდებობა ქართულში და საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაში შერჩენილა, მაგრამ იმავე მნიშვნელობით, თუ მას, როგორც სხვა შემთხვევაში არა ერთხელ მომხდარა, მნიშვნელობაც და მოვალეობაც შეეცვალა, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება.

ქართული ძველი სახელმწიფო სამართლის ტერმინოლოგიაში და თვით სამოხელეო წესწყობილებაშიაც იყო ისეთი სიტყვა და თანამდებობაც, რომელიც მნიშვნელობით სპარსულს „მარზაპანს“ მოგვაგონებს.

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება გვიმტკიცებს, რომ საქართველოში საგანგებო ხელისუფალი ყოფილა, რომელსაც თურმე „მონაპირე“ რქმევია. ის სახელმწიფოს ახალშემოერთებული ქვეყნის და საზღვრის მცველად და გამგედ ითვლებოდა. როდესაც საქართველომ ქ. კარი დაიპყრო და შემოიერთა, თამარ მეფემ, მაგ., „დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ“ (ისტორი და აზმნი, \*699, გვ. 496).

„მარზპანი“-სა და „მონაპირე“-ს მნიშვნელობათა მსგავსების გამო საკითხი იბადება, ეს ორი სახელი სხვადასხვა თანამდებობის აღმნიშვნელი იყო, თუ ერთისა და იმავესი. მაგრამ, თუ მომავალში რაიმე ახალი ცნობები არ აღმოჩნდა, ისე ამ საკითხის გამორკვევა შეუძლებელია.



სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში  
IX—XIII საუკუნეებში

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი დამოუკიდებელი ნაშრომი კი არ არის, არამედ ამოღებულია ჩემი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ჯერ გამოუქვეყნებელი სათანადო წიგნებიდან. ამიტომ მისი შინაარსის მთელი სისრულით გასაგებად აქა-იქ იმ ცნობების გათვალისწინება იყო საჭირო, რომლებიც იმ წიგნებში მომეპოვება. მაგრამ, რაკი „საქართველოს ეკონ. ისტორიის“ ბეჭდვა ფერხდება და იმ წიგნების გამოქვეყნებას, საიდგანაც სოციალური ბრძოლის IX—XIII სს. ამბები მაქვს ამოღებული, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი დრო მოუნდება, საქართველოს ზოგადი ისტორიისათვის კი ამ ფაქტების ცოდნა საჭირო, ამიტომ ამ ნაწილების „საქართველოს ეკონომ. ისტორიიდან“ დროებით ამოღება და ცალკეულ პატარა მონოგრაფიად გამოქვეყნება ვამჯობინე. რაკი იგი დიდი წიგნის მხოლოდ პატარა ნაწილია, ბუნებრივია, რომ მას მთლიანობა აკლდეს, მაგრამ სხვა გზა არ იყო. იმედი მაქვს, რომ ამ სახითაც აქ მოთხრობილი ამბები მკითხველისათვის საინტერესო იქნება, საქართველოს XIII ს. შესწავლასაც, რომლის შესახებ „ქართველი ერის ისტორიის“ III წიგნის გამოქვეყნება აქამდის ვერ მოვახერხე<sup>1</sup>, ცოტად მაინც ხელს შეუწყობს. ვითარცა „საქართველოს ეკონ. ისტორიის“ ნაწილი, წინამდებარე წიგნში მონათხრობი თბილისის სახ. უნივერსიტეტშიაც 1918—1928 წ-მდე არა ერთხელ და საისტორიო საზოგადოებაშიც ორი მოხსენების სახით მქონდა წაკითხული.

1934. 24 VII.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ვაონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოებისა და ბრძოლის ანარქიის  
IX—X სს. საისტორიო თხზულებაზე

„ქართული სამართლის ისტორიაში“ მოთხრობილი გვაქვს იმ ხანგრძლივი საყურადღებო ბრძოლის მიმდინარეობა, რომელიც საქართველოში IX—XII საუკუნეებში იყო როგორც წოდებრივობის გარშემო, ისევე ხელისუფლების გამოც<sup>2</sup>. იქვეა აღნიშნული მაშინდელი იდეალებიცა და მოძღვრებაც

<sup>1</sup> [გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1949 წელს. რედ.]  
<sup>2</sup> იხ. წიგნი II, ნაკვეთი 2, გვ. 63—107, 123—186.

საკუთრებასა და შრომაზე<sup>3</sup>, ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და ბრძოლა კი „საქართველოს ეკონომიურ ისტორია“-ში გვაქვს განსახილველი. მაინც გასაშუქებლად უხვი ცნობების იმედი არ შეიძლება რომ ადამიანს ჰქონდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ საისტორიო თხზულებებში, თუ საერო იყო, ავტორებს მიზნად მაშინდელი პოლიტიკური ამბების მოთხრობა ჰქონდათ დასახული, ხოლო, თუ საეკლესიო იყო, არც მათ დამწერთ, არც მათ წამკითხველთ, ცხადია მაინცდამაინც სოციალური ბრძოლის ამბები არ აინტერესებდათ. ამიტომაც არის, რომ ასეთ ძეგლებში ამ საკითხის შესასწავლად იშვიათად თუ მოიპოვება ხოლმე ცნობები.

ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებასა და ბრძოლაზე ყველაზე მეტად ცნობები, რასაკვირველია, საბუთებში იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ X საუკუნემდე ჯერ არც ერთი საბუთი არა ჩანს გადარჩენილი და XI საუკუნიდანაც ძალიან ცოტაა შერჩენილი. მით უფრო ძვირფასია ყოველი ცნობა, რომელიც ამა თუ იმ ძეგლში თუ საბუთში მოგვეპოვება. მაგრამ ეს რამდენიმე ცნობაც აქამომდე შეუმჩნეველი და გამოუქვეყნებელი იყო.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა შემდგომ, ვგონებ ცხადი უნდა იყოს, რომ ქვემოთ XI—XII საუკუნემდე შესაძლებელია სოციალური ბრძოლის მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებზე იყოს საუბარი.

მონასტრების დამაარსებელთა ცხოვრების ავტორებს აღნიშნული აქვთ, რომ ჩვეულებრივ ერისკაცნი, მეტადრე მსხვილი მემამულე აზნაურნი, ახალი მონასტრების აგებასა და სამონასტრო მეურნეობის აღორძინებას ყოველნაირად უწყობდნენ ხელს. უფრო ნაკლები ცნობები მოიპოვება მდაბიო ხალხის განწყობილების შესახებ, მაგრამ აქაც ჩვეულებრივ თანაგრძნობაზეა ხოლმე საუბარი. ასეთ შემთხვევაში კი, უეპველია, ინტერესთა წინააღმდეგობის გამო, ზოგჯერ შესაძლებელი იყო უთანხმოება და მტრობაც კი ჩამოეარდნილიყო, რადგან, ცხადია, რომ, რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო ქრისტიანული რწმენა, როდესაც მონასტრის გაშენება მათ რაიმე განსაცდელს უქაღდა, ეს გრძნობა მათი ეკონომიური ინტერესების შელახვით გამოწვეულს გულისწყრომას ვერ დაწმავდა, მართლაც, მახლობლად მდებარე დაბა-სოფლების მკვიდრთ შორის მონასტრების გაშენებას ყოველთვის ალტაცება არ გამოუწვევია.

ამის გამომჟღავნებელი ორიოდე ამბავი ბასილ ზარზმელს აქვს მოთხრობილი.

იმ მიწა-წყლის პატრონმა მთავარმა, სადაც სერაპიონი თავისი მონასტრის გაშენებას აპირებდა, თურმე სერაპიონს განუცხადა „მე არა მშურს ადგილი ესე“ და იმაზე უკეთესს აძლევდა კიდევაც<sup>4</sup>. ის თურმე ეხვეწებოდა: „არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი“, სადაც თქვენ „ადგილნი და შესავალნი და ყოველი საქმარი უხუებით გექნებათო“<sup>5</sup>. ამ მთავარმა თავის ხელქვეითებს უბრძანა კიდევ: სადაც კი რა მოეწონათ, ამ ბერებისათვის მიწუხლობებია და, რაც კი „განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე შემოწერით შემოვლონ, მიმიცემია მათდა“-ო<sup>6</sup>.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 33—62 და 92—107.

<sup>4</sup> ც<sup>ა</sup> სარკ<sup>ნ</sup> ზარზ<sup>მ</sup>ელსა, 14.

<sup>5</sup> იქვე, 15.

<sup>6</sup> იქვე, 15.

მაგრამ იქაური მცხოვრებნი, მონადირენი და ზოგიერთი სოფლელი, სრულებით ასეთი სტუმართმოყვარე და ბერთა-მოტრფიალე არ აღმოჩენილან. საკმარისი ყოფილა, რომ სერაპიონსა და მის თანამგზავრებს სამონასტროდ ადგალი დაბა ძინძეთის ტყეში ამოერჩიათ და მცირე ტალავრის, ანუ კარაგის შენება დაეწყათ, რომ სოფლელებს მაშინვე მათთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ისტორიკოსის სიტყვით, „ეუწყა რაა უფალსა მის დაბისასა, ვითარმედ უცხოთა ვიეთთამე მონაზონთა ნებავეს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი“, ეს ამბავი მასაც და იქაურ მცხოვრებლებსაც, თურმე, ვერაფრად მოსწონებიათ, მათი იქ ჩასახლება სრულებით არ სდომებიათ, ეს „მათ არა ინებეს“—ო.

ბასილ ზარზმელის სიტყვით, ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი ვითომც მხოლოდ იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ ამ დაბის პატრონი და მცხოვრებნი „რყენეს ყოვლითურთ მკეცებრივ, უწირავ და ბოროტ“. მათი მტრული განწყობილების ნამდვილი მიზეზი კი, რასაკვირველია, ის ბუნებრივი შიში იქნებოდა, რომ მონასტერს მთელი მაზლობელი მიწაწყალი, მათ შორის მათი საკუთარი ადგილებიც, ხელთ არ ჩავარდნოდა.

აღსანიშნავია, რომ სოფლელთა მტრული გრძნობა და აღშფოთება იმდენად დიდი ყოფილა, რომ, ბასილ ზარზმელისავე ცნობით, ბერთა იქ დასახლების წადილის გამო, „ზედა მიეტევენეს მათ“, ბერებს მივარდნენ ისე, რომ ისინი იძულებულნი ყოფილან იმ ადგილიდან „დასავალით მისსა ვითარ ორ მილიონ“-ის<sup>7</sup> სიმორეზე წასულიყვნენ „ადგილთა ყოვლად ტყე[ან]თა და უვალთა კაცთა შიერ“<sup>8</sup>.

ასევე უკმეხად და მტრულად დაჰყვედრიან ადგილობრივი მკვიდრნი ზარზმის პირველ დამაარსებელთ მაშინაც, როცა ისინი „მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა“, სადაც მდგარა „წისქვილი, სახლი რამე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა სამმო ეწოდებოდა“. როდესაც ბერებს სამონასტრო სამუშაობელს „გარეშეწერით“ შემოსაზღვრა უნდოდათ, მაშინვე იმ დაბის მცხოვრებთ წინააღმდეგობა გაუწევიათ. ეს შემთხვევა ერთ თანამგზავრთაგანს ასე აქვს აღწერილი: როდესაც „ჩუენ გუენება“, რომ „გარეშეწერით შემოვლოთ სიმგრკულე მათ ადგილთა... გუხილნეს რაა კაცთა მის დაბაწისქვლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინარბიოდეს“ გზის გადასაღობადაო<sup>9</sup>.

ცხადია, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევები ასეთი უთანხმოებისა და მტრული განწყობილების ერთადერთი მაგალითი არ იქნებოდა. ამაზეც ხომ არა გვეცოდინებოდა რა, ბასილ ზარზმელს ეს ცნობები წმინდანის, სერაპიონ ზარზმელის, ცხოვრებაში რომ არ შეეტანა. ვინ იცის, სხვა წმინდანთა და სამონასტრო თუ საეკლესიო ქართველ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერილობას რომ ჩვენამდის მოეღწია, ეგების რამდენამე კიდევ ასეთივე შინაარსის სხვა ცნობებიც შეგვეძენოდა. ამიტომ, თუ მომავალში ზოგი ამ დაკარგულ წყაროთაგანი აღმოჩნდა, შესაძლებელია ამ საკითხის გასაშუქებლად კიდევ ახალი ამბები გაგვეგო.

თუ ზემოაღნიშნულ გარემოებას გავითვალისწინებთ და გვეხსომება, რომ მონასტრებსა და მაზლობელ ადგილობრივ მოსახლეობას შორის ზოგჯერ ეკო-

<sup>7</sup> მანძილის საზომის სახელია.

<sup>8</sup> ე.ა სრპ.ნ ზარზმელსა. 8—9.

<sup>9</sup> ე.ა სრპ.ნ ზარზმელსა, 16.

ნომიურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება და მტრობაც კი ყოფილა, მაშინ შესაძლებელია ზოგი აქამდე გაუგებარი ცნობაც გასაგები გახდეს. მაგალითად, საფიქრებელია, რომ გრიგოლ ხანძთელის მოწინააღმდეგემ და დაუძინებელმა მტერმა, უკანონო გზით გაეპისკოპოზებულმა, ცქირმაც ხანძთის მონასტრისა და ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობითა და უკმაყოფილებით ისარგებლა, როდესაც მან იმდროისათვის იმდენად არაჩვეულებრივი და მკვრეხელობად მიჩნეული საქმე მოაწყო, რომ „შეკრიბა ერი ანჩისაჲ და წარავლინა დარღვევად ხანძთისაჲ“. წაქეზებული სოფლელნი თურმე „აღმოსვლასა ოდენ მზისასა მივიდეს“ ხანძთას მონასტრის დასანგრევად<sup>10</sup>.

ანჩელთა ასეთი, იმ დროისათვის სრულებით გაუგონარი, განზრახვა და გადაწყვეტილება მათს უკიდურეს გულისწყრომასა და მღელვარებას ამჟღავნებს. ცქირს ხალხის მონასტრისადმი სამტროდ ასე სწრაფად აყოლიება არ შეეძლო, რომ ამისთვის ნიადაგი უკვე მომზადებული არ ყოფილიყო. ანჩელთა გადაწყვეტილების დაუნდობელი სიმკაცრე გვაფიქრებინებს, რომ აქაც მტრობა აგრარულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული.

მონასტრებსა და თვით მათ შეძლებულ მეზობლებს შორისაც ყოველთვის კეთილი განწყობილება არ ყოფილა. ამას თუნდაც ის ერთი ხაგულისხმო ცნობაც ამტკიცებს, რომელიც გ. მერჩულს აქვს მოთხრობილი. მისი სიტყვით, გრიგოლ ხანძთელის მოწაფის „ხანძთას ეპიფანწს მამობასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას“, რომელსაც სახელად თურმე წერტა ეწოდებოდა. მას თხები ჰყოლია და სადაც „თხათა მისთა სადგური ყოფილ არს“, იმას შემდეგ შიაც, ჯერ კიდევ გ. მერჩულის დროსაც კი, „წერტამანი“ ჰრქმევია. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ „მას უამსა კაცი იგი მონაზონთათჳს მკსინვარედ იყო“<sup>11</sup>. ბერებზე გადამტერება შესაძლებელია თხათა საძოვრების გამო ყოფილიყო ამტყდარი.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

### მეფაშულისა და მონასტრის მიწების მითვისებისა და სოფლის მოსახლეობისაგან

თუ ამ ხანაში, როდესაც, როგორც ცნობილია, ეკლესიას ხალხზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, მაინც მოსახლეობასა და მონასტრებს შორის ეკონომიურ ნიადაგზე უთანხმოება და მტრობაც კი ჩამოვარდნილა, ცხადია, რომ წოდებათა და კლასთა შორისაც ამავე მიზეზით მაშინდელსა და მერმინდელ საქართველოში უთანხმოებაც არა ერთხელ მოხდებოდა, ბრძოლაც გაჩაღდებოდა და მტრობაც იქნებოდა ჩათესლებული, მაგრამ, იმდროინდელი წერილობითი ძეგლების მომეტებული ნაწილის დადუბვილობისა და გადარჩენილ ხელთნაწერთა ჯეროვნად შეუსწავლელობის გამო, ზემოაღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითი, ერთს გარდა, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. იმ ერთადაც კორიდეთის სახარებაში მინაწერის სახით დაცულს იმ საბუთს ვგულისხმობ, რომელზედაც „ქართული სამართლის ისტორიაში“ უკვე მქონდა

<sup>10</sup> გ. მერჩული, ტ. II გვ. 46—50.

<sup>11</sup> გვ. 33, § 33.

სისხლის სამართლის თვალსაზრისით საუბარი<sup>12</sup>. იქვეა მოყვანილი ამ საბუთის მთელი ტექსტიც, ისე რომ მისი გამეორება აქ აღარ დაგვჭირდება.

ს. კორიდეთის მახლობელ პატრონს, მურვანს, ს. თიხჩეთში მამული ჰქონია, რომელიც, როგორც ჩანს, უკაცრიელი ყოფილა. ეს უძრავი საკუთრება მურვანს კორიდეთის მონასტრისათვის შეუწირავს ამ პირობით, რომ მისთვისა და ავათისათვის, რომელიც საფიქრებელია მისი მეუღლე იქნებოდა, სამარადისო ხსენება და აღაპი გადაეხადათ. ამ შეწირულების უფრო მეტი დაცულობისა და დაუკარგველობისათვის, მურვანს თავის შეწირულობის წიგნი კორიდეთის სახარებაში დაუწერელ თავისუფალ ფურცელზე დაუწერია. თავიდანვე, თუ შემდეგში, ამ შეწირული მიწებით თურმე ს. თიხჩეთის მცხოვრებნი სარგებლობდნენ, რა თქმა უნდა, გარკვეული ყოველწლიური გამოსაღებლით. მაგრამ შემწირველის შვილისშვილისა ან და სხვა ერთ-ერთი შთამომავლის, მურვანადვე სახელდებულის, დროს თიხჩელებს ეს მიწები მოულოდნელად თავიანთ საკუთრებად გამოუცხადებიათ. კორიდეთის მონასტრის რომ თავისი შელახული უფლება აღედგინა და სასამართლოში დაემტკიცებინა, რომ მითვისებული მიწები, შეწირულების გზით მიღებული, კორიდეთის მონასტრის ქონებაა, უნდა თვით შეწირულობის წიგნის დედანი წარედგინა. მაგრამ, როდესაც ბერებს კორიდეთის სახარება, სადაც ეს საბუთი იყო ჩაწერილი, ხელში აუღიათ და გაუშინჯავთ, შეწირულობის წიგნი ვეღარ უპოვიათ: მთელი ფურცელი ამოჭრილი და მოპარული ყოფილა.

რაკი შეწირულობის წიგნი მოპარული აღმოჩნდა და შეწირული მიწაც მონასტრის უნდა დაჰკარგოდა, აჩიბომ ან შემწირველის კანონიერ მემკვიდრეს მონასტრისათვის თავისი წინაპრის შეწირულების უცილობელი მფლობელობის საშუალება უნდა მიეცა, ან და მონასტერი მისი წინაპრის საუკუნო სახსენებელს მოსპობდა. ქართული სამართლით, შეწირულება შენაწირვის წიგნების მხოლოდ პირობითს ქონებად ითვლებოდა, საკუთრების უფლება კი შემწირველის მემკვიდრეებს ეკუთვნოდათ<sup>13</sup>. მურვანსაც ამ საქმეზე უნდა თავი გამოედვა.

მურვანი კი რომ ამ საქმის გამორკვევას შესდგომია, ცხადი გამხდარა, რომ შეწირულების წიგნის ამოჭრა და მოპარვა ს. თიხჩეთის მთელი მოსახლეობის გადაწყვეტილებით უნდა ყოფილიყო მოწყობილი იმ მიზნით, რომ ამ მიწების სოფლისაგან დაპატრონებისა და საკუთრებად გამოცხადების წინააღმდეგ არც მონასტრისა და არც შემწირველის მემკვიდრეს სასამართლოში წერილობითი საბუთის წარდგენის საშუალება არ ჰქონოდა. ამნაირად, ამ შემთხვევაში მემამულის მიწების გლუხთაგან დაპატრონების მცდელობა ყოფილა.

რაკი საბუთის ამოჭრა და მოპარვა მთელი სოფლის თაოსნობით ისე საიდუმლოდ ყოფილა მოწყობილი, რომ მურვანს ამის ფიზიკური ამსრულებელის ვინაობის გამორკვევა ვერ მოუხერხებია, მთელი სოფლის წინააღმდეგ მოქმედება კი მურვანს, როგორც ჩანს, არ მოუხერხებია, თუ ვერ გაუბედნია, ამიტომ მურვანს თიხჩელებთან შეთანხმება უმჯობინებია. თიხჩელები მურვანის პირობებს დასთანხმებთან, რადგან თიხჩეთის ეს მიწები, ამ ახლად დადე-

<sup>12</sup> იხ. ჟ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2 ნაკვ., გვ. 313—314.

<sup>13</sup> იხ. იქვე, გვ. 437—438 და 409—411. \

ბული პირობის ძალით, ამიერიდან უკვე მათ ქონებად ხდებოდა მამულობით იმ პირობით, რომ მონასტრისათვის 50 ბოტინატი უნდა ეძლიათ სააღაპოდ. კორიდეთის მონასტერს კი ეს ქონება უნდა სამარადისოდ დაეკარგა. თიხჩელებს უფლება ჰქონდათ მაინც კმაყოფილი ყოფილიყვნენ, რადგან, თუ ეს მიწები მთლიანად ვერ დაისაკუთრეს, უკვე უცილობელ ქონებად მიიღეს შაინც.

### თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

უთანხმოება და არაოლა საეკლესიო მისამართების გამო ანისის კართველთა და ალაქილონიან სომეხთა მრავლსა და სააღვალთოებას შორის 1218 წ.

#### § 1. ამ ამბის შემცველი წყარო: ეტიფანე კათოლიკოზის 1218 წ. განაჩენი

1910 წელს ზაფხულში, ანისში გათხრის დროს, აკად. ნ. მარმა ქვებზე ამოკრილი ქართული ასომთავრული დიდი წარწერა აღმოაჩინა, რომლის ტექსტი ფოტოტიპირი სურათით, რუსული თარგმანითა და პატარა მოხსენებითურთ იმავე წელს რუს. სამეც. აკადემიის უწყებებში გამოაქვეყნა<sup>13</sup>. ახლად ნაბოვნი ძეგლი ეტიფანე კათოლიკოზის 1218 წ. განაჩენი გამოდგა. რაკი სხვადასხვა ქვებზე ამოკრილი ეს გრძელი წარწერა დაშლილი აღმოჩნდა, ამიტომ, მიწიდან ყველა ქვის ამოღების შემდგომ, აკად. ნ. მარმს ამ ქვების თავდაპირველი რიგისა და წარწერის ტექსტის აღდგენა მოუხდა, რაც ადვილი საქმე არ იყო. ქვების სათანადოდ დალაგებისა და წარწერის წაკითხვის შემდგომ უმთავრესი ყურადღება მან ამ ძეგლის პალეოგრაფიულ დახასიათებას მიაქცია<sup>14</sup>. მერე მის მოხსენებაში ამ წარწერის ქართული ტექსტი და რუსული თარგმანია მოყვანილი<sup>15</sup> და სულ ბოლოს ორნახევარ გვერდზე<sup>16</sup> მოკლედ ამ ძეგლის სხვადასხვა მხრივ მნიშვნელობაზეც არის ნათქვამი. არსებითად ამ წარწერის შინაარსს აკად. ნ. მარმი არ შეპხებია, არამედ მხოლოდ ზოგადად აღნიშნულია, რომ ქართული ეკლესიის რეფორმების ისტორიისათვისაც საინტერესოა<sup>17</sup>.

იმისდა მიუხედავად, რომ ამ ძეგლის აღმოჩენის შემდგომ უკვე ბევრმა დრომ განვლო, იგი აქამომდე შეუსწავლელი და გამოუყენებელია, მას-კი იმდენად საქართველოს საეკლესიო რეფორმებისათვის არა, რამდენადაც სოციალური მოძრაობის ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა.

რაკი რუს. სამეც. აკადემიის ის ორგანო, რომელშიც ეტიფანე კათოლიკოზის 1218 წ. განაჩენის ტექსტია დაბეჭდილი, ჩვენში ძნელი საშოვნელია, და რადგან იგი, როგორც აღნიშნული მქონდა, განსაკუთრებით საყურადღებო წყაროა, ამიტომ, რომ ეს ძეგლი ყველასათვის მისაწვდომი გახდეს, ამ წარწერის ტექსტი აქვე მომყავს მთლიანად ისევე, როგორც აკად. მარმს თავის ზემოდასახელებულ ნაშრომში გამოქვეყნებული აქვს.

<sup>13</sup> იხ. Изв. Акад. Наук. 1910 წ. გვ. 1433—1441: «Надпись Епифания, католика са Грузии».

<sup>14</sup> იქვე, გვ. 1433—1427.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 1437—1439.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 1439—1442.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 1441.

ენიფანე კათოლიკოსის 1218 წ. წარწერა:

ტყუს კმა საღმრთოა: „უსასყიდლოდ მიგიღიეს, უსასყიდლოდ მისცემდით“, ესე იგი არს გეტყუს||ღმერთი უკვდავი: ჩემდა რაჲ-მე გიცემიეს მალისა მისთვის, რომელი ჩემგან შიილეთ? თქუენცა პყიდლით ღიდას||მალსა ჩემგან უსყიდულსა. უკუეთუ მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არცა თქუენგან ჳერ არს სყიდაჲ ლოცვათა ერისა მიმართ. აჴ, სასონო ჩემნო ანელნო ხუცესნო, ნუ იქნებით დასაბრკოლებელსიტყუათ და ნუცა გარდავლებით მოციქულთ მცნებასა ცუდისა და წარმავლისათუს. ყოვლად უწყისო||არს აღებამ თქუენგანცა გურგუნ-თა კურთხევისათუს ასისა ღრამისა...||... არსთ ძალი ეღვას, პური აჳამოს. ეგრეთუ მკულ-რისათუს რომელი ჳირს...||...უფრო შესჳირღების მისისა სულისაჲ. ეღვნივე აბრისა ტფილუ-რისა მიეცეს და...||პური აჳამოს და სხუაჲ წაღებამ ძალისაებრად. ყოველი მისაცემელი მღ-ღელთა უბრკოლ]ებელი იყავნ თქუენდა მოსაცემლად. მკულდრო ამის ჳალაჳისანო ჳართუენ-რო... ცა...||იგი||პირველად ღიდად პატივეკემდით. მღღელთაგან გიჳს ლოცვაჲ და წირვაჲ. ნუ გეწყინების მათუს ძა||ლო||საეზრი მისაცემელი. უფროსად მხიარულებით მისცემდით თუნიერ დაჳირებისა. რამეთუ მხიარ]იულებით მისაცემელი უყ<უ>არს თუღალსა. და თქუენ გიყ-<უ>არდენ ვითარცა მამანი სულიერნი და მათ უყ<უ>არდით ე||თიარცა||შვილი სულიერნი. ლოცვასა ნუცა თქუენ დააკლებით და ნუცა თქუენ. ყოველსა ჴედა უფროსად საღმრთოჲ [იგი]|| სიყ<უ>არული ერთმანეთისაჲ მოიგეთ და ამით მიეცით სასურვო საღმრთოთა მცნე-ბათაჲ. ესე მე ეტიფ]ანეს კათოლიკოსსა ჩემითა კელითა დამიწერია, ოდეს ანის ეკლესიანი ვა-კურთხენ. ტფილური ასი ღრამა||იგი იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს. და ჴროხის ტყავი რომელ ერთობ წვაგლია აჳამდის, აჴ საწირავად||ვე მისცემდით თუთო შოლტს. და ჩუენ საეკლესიოთა წესთაგან რა შეიცვალებით? ვინცა ესე ჩემი გა[გე]მბული შეცვალოს, არ... ბრძანებამ ღმრთისაგან და მისთა წმიდათაგან ქორონიკონსა ვლმ.

*მკ. იოს. სა თქრ ' ჴრჩიორ ხრ[ცვაჳსთ ხაჳ[ს[კი]ჳიის. სა 'ჳარამ ამჩრჳჳ დაღმ.ქჩა იქაქსნდ, ორ კაშიიქიჳსინ რამანანდ ხე...*

**ჳ 2. ანისის ჳართველთა და ჳალკიდონიან სომეხთა მრევლსა და ხუცესთა შორის ამტყვლარი ბრძოლის მიზეზი და მიმდინარეობა**

1218 წ. ოდნავ ადრე ანელ ხუცესთ ჳ. ანისის ჳართველ და ჳალკიდონიან სომეხ სამწყსოსათვის საეკლესიო მისაცემლების ოდენობა გაუღიღებიათ: გვირგვინთა კურთხევისა და მიცვალებულის დამარხვისათვის, მაგ., თურმე 100 ღრამას თხოულობდნენ და იღებდნენ კიდევ. სხვა მისაცემლებიც, როგორც ეტყობა, საგრძნობლად გადიღებული ყოფილა.

ანისში მღვდლებისაგან ჳვარისწერისა და დამარხვისათვის შემოღებულ ნიხრს, 100 ღრამას, ანისის ჳართველნი და ჳალკიდონიანი სომეხები აუღელ-ვებია და ამ ნიადაგზე ჩამოვარდნილ უთანხმოებას მათ შორის წინათ არსებუ-ლი მშვიდობიანი დამოკიდებულება მეტად გაუშწავებია. ნებაყოფლობით და ხალისიანად, „თუნიერ დაჳირებისა“, მრევლს ხუცებისათვის ამოღენი ფუ-ლის მიცემა არ სურდა, ამიტომ მღვდლებს, როგორც ეს ეტიფანე კათალიკო-ზის დარიგების შემცველი წარწერიდანა ჩანს, თავიანთი ნიხრის კვალობაზე გასამრჩელოს მისაღებად „დაჳირების“-ათვის მიმართვა უხდებოდათ ხოლმე. ფეხის დაჳერა კი სხვისი უკიდურესი გაჳირვებით სარგებლობას ჳგულის-ხმობს. მწყემსისაგან თავის სულიერი შვილების, სამწყსოს წვერთადმი, ამის-თანა მოპყრობა, რასაკვირველია, საკადრისი საქციელი არ იყო და სიძულვი-ლის მეტს მრევლში ხუცესს არაფერს მოუხვეჳდა.

რადგან ამ ნიხრით სამწყსოს წვერთა ქონებრივი ინტერესი ერთნაირად ილაზებოდა, ამიტომ ამოდენი ფულის გამოღების მომთხოვნელი მღვდლები-სათვის წინააღმდეგობა, როგორც ეტყობა, ყველას გაუწევია. ამის წყალობით დამოკიდებულება უფრო გამწვავებულა და ხუცესნი და მრევლი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად ქცეულან. ამის საპასუხოდ მრევლს თავიანთ ხუცესთათვის წინანდებურად „ყოველივე მისაცემელი მღვდელთა უბრკოლებელი“ კი არ დაუტოვებია, არამედ იმასაც თავის მხრით ყოველგვარი საშუალებით მისაცემლების გამოღების დაბრკოლება დაუწყია.

ამ ორ მტრულად განწყობილ ბანაკს შორის დამოკიდებულება იმდენად გამწვავებულა, რომ ბრძოლა თვით ეკლესიაშიც კი შექპრილა და უკმაყოფილების ნიშნად, ხან, ზოგ ეკლესიაში, თურმე მრევლი არ დადიოდა თავის მოძღვრის წირვა-ლოცვაზე, ზოგან კიდევ, სამწყსოზე სასურველი გავლენის მოსახდენად და მაღალ ნიხრზე დასათანხმებლად, თვით ხუცესი აკლებდა ხოლმე მრევლს წირვა-ლოცვას.

### § 3. ეტიფანე კათოლიკოზის მიერ 1218 წ. ამ უთანხმოების გარჩევა და მსჯავრის დადება

ამ გამწვავებული ურთიერთობისა და ბრძოლის მოსპობა მხოლოდ გარეშე, ავტორიტეტით მოსილს, პირს შეეძლო და საქმემ თვით საქართველოს კათოლიკოზამდე მიიღწია კიდევ. 1218 წ. რომ ეტიფანე კათოლიკოზი ქართული ეკლესიების საკურთხეველად ანისში ჩაბრძანებულა, იქ ამ უთანხმოების გარჩევას შესდგომია და თავისი განაჩენიც დაუდვია. საფიქრებელია, რომ პირადად თვით კათალიკოზის ანისში ჩასვლას მიზნად იმდენად ახალი ეკლესიების კურთხევა არ უნდა ჰქონოდა, რამდენადაც ამ ატეხილი უთანხმოების გარჩევა და მოგვარება. ანისში ჩასვლისა და საქმის მთელი ვითარების გაგების-თანავე კათოლიკოზს უყოყმანოდ სამწყსოსთვის დაუქერია მხარი და ანელ ხუცესთა ქცევა მკაცრად დაუგმია<sup>18</sup>. თავის განაჩენსა და წარწერაში მას პირდაპირ აქვს ნათქვამი: როგორც ღმერთს, იესო ქრისტეს ნაბრძანები აქვს, „უსასყიდლოდ მიგიდიეს, უსასყიდლოდ მისცემდით“ო, თუ თქვენთვის „მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არცა თქუენგან ჯერ არს სყიდვაჲ ლოცვათა ერთსა მიმართ“, — ისევე, ამ მცნების თანახმად, ლოცვისათვის მღვდელმა არავითარი სასყიდელი არ უნდა აიღოს. მით უმეტეს „ყოვლად უწყესო არს აღებაჲ თქუენგანცა გუირგუინთა კურთხევისათვის ასისა ღრამისა“ და ამდენისავე მკვდრისათვისაო.

ამაზე მკაფიოდ და მკაცრად ანელ ხუცესთა მოქმედების დაგმობა წარმოუდგენელია. ისიც კი გასაკვირველია, რომ საქართველოს ეკლესიის მწყემს-მთავარმა მღვდლები ასე მოურიდებლივ და საჭაროდ გაკიცხა და მათ ქცევას „ყოვლად უწყესო“ უწოდა! ანისის ქართველთა და ქალკიდონიან სომეხთა სამწყსოს კათოლიკოზის ამ სიტყვებში, რასაკვირველია, შეეძლო ანელი მღვდლების გაკიცხვა ამოეკითხა და თავი ზნეობრივად მაინც დაკმაყოფილებულად ეგარძნო.

<sup>18</sup> გასათვარია, რომ პროფ. ნ. მარტი ამტკიცებდა, ვითომც კათალიკოზი ეტიფანე არც ერთ მხარეს არ მიმხრობოდას (იხ. op. cit. გვ. 1440).



ამ მკაფიო განცხადების შემდგომ, ეტიფანე კათოლიკოზი ორსავე მხარეს აგონებს, რომ მოძღვარ-სამწყსოს შორის სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობა უნდა სუფევდეს: „ყოველსა ზედა უფროსად საღმრთოა იგი სიყვარული ერთმანეთისაჲ მოიგეთ და ამით მიეცით სასურვო საღმრთოთა მცნებათაჲ“-ო. ქრისტიანობის ამ უზენაესი მცნებისდა თანახმად, კათოლიკოზი ორსავე მოწინააღმდეგე მებრძოლ მხარეს სთხოვდა: მრევლო, ხუცესნი „თქუენ გიყუარდენ, ვითარცა მამანი სულიერნი, და მათ უყუარდით, ვითარცა შვილნი“-ო.

მაგრამ ეტიფანეს, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა, რომ იქ, სადაც ურთიერთობაში ფულის ანგარიში იყო გარეული, და მას შემდგომ, რაც ხუცესთ თავიანთი ნიხრის კვალობაზე მისაცემლის მისაღებად „დაჭირებას“ მიჰპართეს, წინანდელი „მამაშვილური“, სათნო დამოკიდებულების აღდგენა მართო ცარიელი დარიგებითა და მუდარით არ შეიძლებოდა. მეორე მხრით, მისთვის ისიც ცხადი იყო, რომ სახარების მცნება სამღვდელო მოვალეობის უსასყიდლოდ ასრულების შესახებ იმ დროს და კარგა ხანია წინათაც უკვე მიუწვდომელ იდეალად იყო ქცეული. თუ ეტიფანე კათოლიკოზმა ანელ მღვდლებს ეს მცნება მაინც მოაგონა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მათთვის მათი ნიხრის მთელი შეუსაბამობა ცხად-ყო. ხუცესთა სრულ უსასყიდლობაზე ანისის ქართველი მკვიდრნიც, რასაკვირველია, ლაპარაკს არ დაიწყებდნენ.

ამისდა მიხედვით, საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელმა ანისის სამწყსოს შემდეგი დარიგებით მიჰპართა: რადგან კარგად იცით, რომ „მღვდელთაგან გიკმს ლოცვაჲ და წირვაჲ, ნუ გეწყინების მათთვის ძალისაებრი მისაცემელი. უფროსად მხიარულებით მისცემდით თუინიერ დაჭირებისა, რამეთუ მხიარულებით მისაცემელი უყუარს უფალსა“-ო.

ანელ ხუცესთა ნიხრად დადებული 100 დრამის მაგიერ, მაშასადამე, კათოლიკოზს მხოლოდ „ძალისაებრი მისაცემელი“ მიაჩნდა სამართლიანად. სამწუხაროდ, ეტიფანე კათოლიკოზის 1218 წ. წარწერის სწორედ ის ადგილები, სადაც ამ „ძალისაებრი მისაცემლის“ ოდენობა განსაზღვრული, დაზიანებულია და ზედმიწევნით ტექსტის აღდგენა ძნელია, მაგრამ წარწერის ბოლო ნაწილი ამ დაზიანებული ადგილების შინაარსის გაგების საშუალებას მაინც გვაძლევს.

ეტიფანე კათოლიკოზის სიტყვით, უთანხმოება ისე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი, რომ როგორც გვირგვინის კურთხევისათვის, ისევე მიცვალებულისათვის წესის აგებაში ხუცესს „ეგდენივე ასისა ტფილურისა (იგულისხმება ფული: დრამა) მიეცეს“ და რაოდენიც „ძალი ეღვას, პური აჰამოს“-ო. ხოლო მიცვალებულის დასაფლავებაში მღვდელს „სხუჲა წაღებაჲ ძალისაებრად“ მისცენო.

მაგრამ ასი ტფილური დრამა ანელ ხუცესთ ისე კი არ უნდა მიეღოთ, როგორც მათ ჰსურდათ, არამედ იმ ვარაუდითა და ანგარიშით, რომ „ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გ (ე. ი. სამში) მიეცეს და ზროხის ტყავი, რამელ ერთობ წაგილია აჰამდის, აწ საწირაჲადვე მისცემდით თუითო ქოლტსა“-ო.

მაშასადამე, ეტიფანე კათოლიკოზს მისაცემელის ოდენობა ისე შეუმცი-

რება, რომ სამი დანგის მაგიერ ერთი დანგის გამოღება დაუწესებია<sup>19</sup> და ზუცესისათვის მისაცემელი მრევლს სწორედ ამ ვარაუდით უნდა გამოეღო. სამწუხაროდ, რამდენი დანგი ითვლებოდა ამ დროს ერთ დრამაში, ამაზე ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება, თავდაპირველი შეფარდებით კი დანგი, როგორც ამას თვით სახელიც ცხად-ყოფს, დრამის 1/4-ედი იყო. მაგრამ შემდეგში დანგი დრამის 1/6-ედადაც ფასობდა. ხოლო საქართველოში XVI—XVII საუკუნეებში თეთრში ხუთი ორიანი დანგი ითვლებოდა<sup>20</sup>. მაგრამ, როგორადაც არ უნდა ვიანგარიშოთ, რაკი წინანდელი ყოველი 3 დანგის მაგიერ მრევლს ამიერიდან 1 დანგი უნდა გამოეღო, ცხადია, რომ მისაცემლის ოდენობა ეტიფანე კათოლიკოსს სამჯერ შეუმცირებია და, ამისდა მიხედვით, 100 ტფილური დრამის მაგიერ, ყოველ ანელ ქართველს ან ქალიღონიან სომეხ მკვიდრს უნდა 33 ტფილურ დრამაზე ცოტა მეტი გამოეღო. ამოდენა ფულის გამოღება გვირგვინთა კურთხევისა და მიცვალებულის წესის აგებისათვის ეტიფანე კათოლიკოსს, მაშასადამე, „ძალისაებრ მისაცემლად“ მიაჩნდა.

გვირგვინის კურთხევის ან მიცვალებულის დასაფლავების შემდგომ, ახალ ჯვარდაწერილების ნათესავებმა და ქირისუფლებმა ჩვეულებისამებრ მხოლოდ რაოდენიც ოჯახს „ძალი ეღვას, პური აჭამოს“-ო, უბრძანებია ეტიფანე კათოლიკოსს ანისში. აქაც ეტყობა ანელ მღვდლებს მადა გახსნილი ჰქონიათ და თავის მრეგლისაგან, როგორც ჩანს, მოქარბებული მასპინძლობა მოუთხოვიათ. ქართული ეკლესიის საკეთმპყრობელს აქაც მრეგლისათვის დაუქერია მხარი და ზუცესთა მადისათვის საზღვრის დადება საჭიროდ უცნია.

#### § 4. ეტიფანეს განაჩენში მრევლის მისაცემელთა შორის დასახლებული წაღებაჲს, საწირავისა და შოლტის რეალური მნიშვნელობა

პროფ. ნ. მარსს, ალიშანის *Շիրակ*-ის (გვ. 63—64) დამოწმებით, აღნიშნული აქვს, რომ ანისის სომეხთა ეპისკოპოსმა გრიგოლმა ის წესი, რომლის ძალითაც ანისის მცხოვრებნი მოვალენი იყვნენ ანისის სომეხთა ეპისკოპოსისათვის ყოველ წლივ აღდგომა დღეს ზვარაკის ტყავი მიერთმიათ ხოლმე, გააუქმა. ნ. მარსი ფიქრობდა, რომ ეტიფანე კათოლიკოსის ანისის 1218 წ. წარწერაშიც სწორედ ასეთ ზვარაკის ტყავზე იყო საუბარი და ეგონა, რომ გრიგოლ სომეხთა ეპისკოპოსისაგან ზვარაკის ტყავის მისაცემლის ამოკვეთილობამ ქართველთა სამრევლოც ამ ზვარაკის ტყავის მისაცემლის მოწინააღმდეგედ აქცია და მისი და სხვა მისაცემლის გაუქმების მეტწილად გახდა<sup>21</sup>. ნამდვილად კი კათოლიკოს ეტიფანეს ანისის 1218 წ. წარწერის „ზროხის ტყავი“ სრულებით სადღესასწაულო ზვარაკის ტყავს არ ჰგულისხმობდა და სამწყსოსა და ზუცესთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებაც ტყავის მისაცემლის გამო არ ყოფილა ატეხილი.

ეტიფანე კათოლიკოსის ანისის 1218 წ. წარწერაში დამარხვაში ზუცესისათვის დაწესებულს მისაცემელზე და პურისჭამა-ქელეხზეა საუბარი და ამ ადგილას დამატებულია: „და სხუამ წაღებაჲ ძალისაებრად“-ო. ხოლო

<sup>19</sup> ეს ვარაუდი აკად. ნ. მარსსაც აქვს თავის მოხსენებაში აღნიშნული.

<sup>20</sup> იხ. ჩემი „ქლი საფას-საზომთა...მცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“.

<sup>21</sup> Н. Марр, Надпись Епифания католикоса Грузин: ИАН 1910 წ., გვ. 1448.

ამავე ძეგლის ბოლოში ნათქვამია: „და ზროხის ტყავი, რომელ ერთობ წავგი-  
ლია აქამდის, აწ საწირავადვე მისცემდით თუითო შოლტსა“-ო. პირველი წი-  
ნადალებისა და მეტადრე ტერმინი წაღებაჲს, ისევე როგორც მეორე წინადა-  
ლების ტერმინების საწირავი-სა და შოლტი-ს მნიშვნელობის გასაგებად უნდა  
გაეხსენოთ, რომ პირველი წინადადება კათოლიკოზის იმ განკარგულების ნა-  
წილია, რომელიც მიცვალებულის წესის აგების და დამარხვისათვის დაწესე-  
ბულ მისაცემელს ეხება. ამისდა მიხედვით, ცხადია, რომ აქ საუბარი იმაზეა.  
რაც მკვდრის ოჯახიდან ხუცესს, ფულად მისაცემელს გარდა, კიდევ უნდა,  
ან შეეძლო წაეღო. მაგრამ მარტო ანისის 1218 წ. წარწერის ცნობებით ამა-  
ზე მეტის გაგება არაფრისა შეიძლება.

ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნისა და წილკნელის სარგოს გა-  
რიგების წიგნის ცნობების<sup>22</sup> წყალობით კი ეტიფანე კათოლიკოზის განკარგუ-  
ლების შინაარსი სახუცო სარგო-მისაცემლის შესახებ უკვე გასაგები ხდება.  
ერთი იმ ტერმინთაგანი, რომელიც მიცვალებულის პირისუფლებისაგან ხუცე-  
სისათვის მისაცემ გამოსაღებელს აღნიშნავდა, ეტიფანეს წარწერაშიც იხსე-  
ნება კიდევ. მისი სიტყვით, ანისის სამწყსოს წევრთ საწირავად წინათ ზროხის  
ტყავი უძღვეიათ: ასე ყოფილა გადაკვეთილი „საეკლესიო წესებში“. ამ ოდე-  
ნობის მაგიერ ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს გადაუწყვეტია, რომ ხუ-  
ცესისათვის მხოლოდ თითო შოლტი-ლა უნდა მიეცათ. აქ ერთგვარ დაბრკო-  
ლებას მხოლოდ ის გარემოება წარმოადგენს, რომ წილკნელის სარგოს გარი-  
გების წიგნში საწირავად არსად არც ძროხის ტყავი და არც „შოლტი“ მო-  
ხსენებული არ არის, საერთოდ ასეთი გადასახალი არა ჩანს. მაგრამ თუ იქ  
აშინაირი მისაცემელი არ გვხვდება, სამაგიეროდ მასზე უფრო აღრიხნულ ძეგლ-  
ში მკითხველი ამგვარ ცნობებს იპოვის.

ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნში „შოლტი-ქალამანი“ შემდეგ  
სოფლებს,—კიდარს, გუგუჟსჯუარს, ნოკორნას, შიგონასძის ქედს, თორნს და  
წიაბეთს, — ჰქონია მისაცემლად დაკისრებული, ხოლო. ს. ძაგუს უნდა „ცხუ-  
რის ტყავი მჯარი“ გამოეღო. უფრო მეტი მნიშვნელობა სამთავნელის სარ-  
გოს გარიგების წიგნის იმ ცნობასა აქვს, რომელშიც ნათქვამია: „რომელიც  
ხუცესი იყოს და ამისი (ე. ი. სამთავნელის) სამწყსო ეჭიროს და მოკუდეს,  
თუ შეეძლოს, მართებულის მსახურის საწირავი მიართვას (სამთავნელს მისმა  
სახლობამა), უკუეთუ არა, ერთი ტყავი მხარი“-ო<sup>23</sup>.

ზემომოყვანილთაგან ცხადი ხდება, რომ „ტყავი“ ჯერ კიდევ XV ს-ში  
საწირავად ითვლებოდა. ანისის 1218 წ. წარწერისა და სამთავნელის სარგოს  
გარიგების წიგნის ცნობები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმ მხრივ განსხვავდუ-  
ბიან, რომ XIII ს. დამდეგს „ზროხის ტყავი“ პირისუფალი მრევლისაგან ხუ-  
ცისათვის მისაცემ საწირავად ითვლებოდა, XV ს-ში კი „ტყავი მჯარი“ უკვე  
ეპისკოპოზისათვის ხელქვეითი გარდაცვლილი ხუცესის ოჯახისაგან მისაცემ  
საწირავად იხსენიება. ამ მხრივ საუკუნეთა განმავლობაში თვალსაჩინო ცვლი-  
ლება მომხდარა, მაგრამ ძროხის, ან საზოგადოდ საქონლის ტყავს თავისი  
დანიშნულება საეკლესიო მისაცემელთა სისტემაში მაინც შეუნარჩუნებია.

22 მათ შესახებ ჩემი „საქართ. ეკონ. ისტორიის“, იმ წიგნშია საუბარი, რომელიც გაღე-  
სახალების სისტემას ეხება.

23 იხ. ამის შესახებ იქვე „გადასახლების სისტემა“.

ყოველივე ზემონათქვამის შემდგომ, უფრო ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, თუ დანამდვილებით რას ჰკულისხმობდა ეტიფანე კათოლიკოზი, როდესაც ანისის მკვიდრთ და ხუცესთ აგონებდა, რომ მიცვალებულის ჰირსუფალთაგან ხუცესს „სხუაჲ წაღებჲა ძალისაებრ“ ეძლეოდა ესო. უეპველია, აქ იგივე იგულისხმება, რასაც შემდეგში ნიშანი ეწოდებოდა, რომლის ძალითაც მწირველს მიცვალებულის ტანისამოს-სამკაულისა და მოკაზმულობის გარკვეულ ნაწილს აძლევდნენ ხოლმე. ამ მისაცემლის ოდენობის თაობაზეც, როგორც ჩანს, ანისის მრევლსა და მღვდლებს შორის უთანხმოება ყოფილა. სამწყსოს ეს ნიშანი ეტყობა დიდად მიაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ კათოლიკოზს ეტიფანეს აქაც მრევლისათვის დაუქერია მხარი: მას საგრძნობლად შეუმცირებია იგი და, გარკვეული ოდენობის მაგიერ, ნიშნის მიცემა შეძლების კვალობაზე დაუწესებია.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად შეუმსუბუქდა 1218 წ. შემდგომ საწირავის ტვირთი ანისის ქართველთა და ქალკიდონიან სომეხთა სამრევლოს, უნდა ტერმინი შოლტის მნიშვნელობა ვიცოდეთ. ეს სიტყვა ქართულ მწერლობაში ამაზე გაცილებით უფრო ადრინდელ ძეგლებშია ნახმარი. ნიკორწმინდის XI ს. სიგელში, მაგ., ნათქვამია: „ქივშს ზოსქლელისაგან ვიციდე ვენაქი და მივეც კარი ა(1), საცნისი გ(3) და ქალამანი შოლტი ა(1)“-ო<sup>24</sup>. XIII—XIV ს. ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნშიც ეს ტერმინი ხშირად იხსენიება, საბა ორბელიანის განმარტებით შოლტი არის „ტყავის ნაჭერი გრძლად“ (ლექსიკ.). ხოლო, პროფ. ნ. მარტის სიტყვით, გურიაში მოხუცებულებს ჯერ კიდევ სხომებით, რომ წინათ მღვდელს აძლევდნენ საქონლის ტყავს, რომელიც ორი ტერფის სიგანეზე, შუაზე, უგრძელეს ადგილას, სიგრძლივ იყო ხოლმე ამოჭრილი<sup>25</sup>.

საფიქრებელია, რომ ხუცესისათვის საწირავად ძროხის მთელი ტყავის მისაცემელი მარტო ანისში კი არა, არამედ მთელ მაშინდელ საქართველოშიც იქნებოდა „საეკლესიო წესად“ მიღებული. მაგრამ, თუ მერმინდელ სარგოს გარიგების წიგნებს გადავშინჯავთ, დავრწმუნდებით, რომ ამ ოდენობის მაგიერ XIII—XIV ს-ში „ტყავი მვარი“ უკვე გარდაცვლილი ხუცესის ოჯახის მისაცემლად სწერია ეპისკოპოსისათვის, სოფლის კაცნი კი მხოლოდ „შოლტი ქალამანი“-ს გამომღებნი ყოფილან<sup>26</sup>. ცხადია, რომ ეტიფანე კათოლიკოზის 1218 წ. განკარგულებას საქართველოს სხვა სამრევლოებშიც ამ საეკლესიო მისაცემელის ოდენობის შემცირება მოჰყოლია. მომავალი გვიჩვენებს, თვით საქართველოში საწირავის ოდენობის ასეთი შემცირება უმტკივნეულოდ მოხდა, როგორც კათოლიკოზ ეტიფანეს 1218 წ. განკარგულების ბუნებრივი შედეგი, თუ აქაც მრევლს ამისთვის ბრძოლა დასჭირდა?

<sup>24</sup> ქცბი II, 48.

<sup>25</sup> იხ. Н. Марр, Надпись Епифания католикаса Грузии: ИАН 1910 წ. გვ. 1436. შენ. 1.

<sup>26</sup> იხ. ერწო-თიანეთის XIII—XIV ს. და სამთავნელის 1459 წ. სარგოს გარიგების წიგნები.

თ ა ვ ი მ ე ო თ ე

ბრძოლა საქართველოს ეკლესიასა და მთავრობას შორის საეკლესიო მიწების გამო

§ 1. ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი საქართველოში XIII ს. შუა ათეულებში

როდესაც მონღოლთა მიერ შემოღებული ზართვა-გამგეობისა და გადასახადების წყალობით, მიწა და ქონება სხვადასხვა გამოსაღებლით იმდენად დაიტვირთა, რომ ამოდენა ტვირთს ვეღარ უძლებდა, ისე რომ მიწის დამუშავება, თუ მთლად საზარალო არა, დამმუშავებლისა და პატრონისათვის თითქმის უნაყოფო შრომად იქცა, რადგან შემოსავლის უდიდესი ნაწილი გადასახადების გასასტუმრებლად უნდა წასულიყო, მიწამა და უძრავმა ქონებამ, როგორც ღაერწმუნდით, თავისი ფასი დაკარგა და მიწა ამოძრავდა. ვალებით დატვირთული მემამულენი იძულებული იყვნენ უძრავი ქონება ან თითონვე გაეყიდათ, ან მეველისათვის მიეცათ. ძველი და დიდი საგვარეულოების წარმომადგენელნი ამით გაღარიბების კარამდე მივიდნენ: უძრავი, ხშირად დიდი, ქონება ხელიდან ეცლებოდათ და თითქმის უმიწაწყლოდ ან მცირე ქონების პატრონად-ღა უნდა ქცეულიყვნენ.

ამ საშინელი ქონებრივი განსაცდელის დროს, რომელიც, როგორც ვნახეთ, ფართოდ იყო მოღებული და აზნაურთა წოდებას, მეტადრე მის უმოხელეო წრეს, სრულ განადგურებას უქადდა, ამ მწვავე კრიზისის შენელებისა და მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების წადილი და აზრი ბუნებრივად უნდა დაბადებულყო როგორც თვით დაზარალებულთა წიაღში, ისევე საქართველოს მთავრობის წრეშიც, რადგან ეს განსაცდელი უცხოთესლთა ბატონობის შედეგი იყო და მოწინავე წოდების გაღარიბება, მაშინდელი სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების გამო, სახელმწიფოსათვისაც ფრიალ მნიშვნელოვან და დამაფიქრებელ გარემოებად იყო მიჩნეული.

ქვეყნის ამ საერაო ვაჭირვების დროს მონღოლთა წესების წყალობით, განსაკუთრებული უპირატესობა, შეუვალობა, მხოლოდ ეკლესიასა და საეკლესიო საკუთრებასა ჰქონდა მინიჭებული. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ საეკლესიო დაწესებულებათა ქონებას საქართველოს მეფეთაგანაც ყოველგვარი გადასახადების შეუვალობაც ჰქონდა შერჩენილი, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ მაშინდელი საქართველოს გასაჭირში მყოფი ყველა წრე ეკლესიის დაწესებულებათა მესვეურებისა და მათი ყმების ამ უპირატესობითა და შეუვალობით შექმნილს ქონებრივ კეთილდღეობას, რა თქმა უნდა, შურის თვალთ დაუწყებდა ყურებას. ზოგს მათგანს, მეტადრე, რასაკვირველია, ეკლესიისათვის ოდესღაც გადაცემული მამულების უკვე დიდ გაჭირვებაში ჩაცვივულ შემწირველთა შთამომავლობას, ქონებრივი მდგომარეობის ასეთი განსხვავება შესაძლებელია დიდ უსამართლოებადაც კი ჩაეთვალა.

ყველა ყალანს, სხვა მოვალეობასა და ხარკს იხდიდა, ყველა სახელმწიფო გადასახადების გამომღები იყო, ეკლესიის გარდა. მისი შეუვალობა ვაჭირვებაში ჩავარდნილ საქართველოს სახელმწიფო საჭურჭლესაც და სალაროსაც და დანარჩენ მცხოვრებთაც მძიმე ტვირთად აწვებოდა.

მართალია, როგორც ქვევით აღნიშნული იქნება, საქართველოს მთავრობისაგან ნახმარი ღონისძიება, შეუვალობით მოსილს საეკლესიო მიწებს კი არ

ეხებოდა, არამედ სწორედ შესავალს, ე. ი. ისეთს, რომელიც გადასახადებისაგან განთავისუფლებული არ იყო. მაგრამ ჯერ ერთი ეკლესიის ქონება საეროსთან შედარებით მსუბუქად იყო დაბეგრული, მეორეც ის, რომ ეკლესიამონღოლთა ბატონობის ყველაზე უფრო მძიმე ტვირთისა, ყალნობისაგან, თავისუფალი ყოფილა. ამ გარემოებას ისიც ცხად-პყოფს, რომ ეკლესიის წარმომადგენელნი, როგორც დავრწმუნდებით, ყალნობის მოხდის თანახმანი იყვნენ, ოღონდ გაცემული ქონება კვლავ ეკლესიას დაპბრუნებოდა.

ულუ-დავითის-დროინდელი საეკლესიო კრების მონაწილეთა მოწმობითაც ჩანს, რომ ამაზე მაშინ ლაპარაკიცა და დრტვიწვაც ყოფილა. მართალია, ასეთი მსჯელობა მათ უსამართლოდ მიაჩნდათ, „ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებსო“—ო—მაგრამ ამას მათი მოწინააღმდეგენი, რასაკვირველია, არ დაეთანხმებოდნენ. ამავე კრების წევრები ადასტურებენ, „რომე მრავალნი კადრობენ ეამისა ძნელბედობასა და საქირობასა“—ო<sup>27</sup>.

## § 2. მთავრობის ღონისძიება იმ კრიზისის შესანელებლად, მისი არსება, დანიშნულება და უფლებრივი საფუძველი

იმ საშინელი კრიზისის შესამსუბუქებლად, რომელიც მაშინდელ საქართველოს, უმთავრესად მის ამიერ ნაწილს, მონღოლთა ბატონობისა და საფინანსო სისტემის წყალობით თავს დაატყდა, საქართველოს მთავრობას ერთსაშუალებებისათვის მიუმართავს, რომელიც საქართველოს ეკლესიის მესვეურთათვის იურიდიულ და ქონებრივ უფლებათა შელახვად მიუჩნევიათ. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: საეკლესიო წრეებში მთავრობისაგან ნახმარი ღონისძიება მიჩნეული იყო „შლად საყდართა საეპისკოპოზოთა“ და „მონასტერთა“, ესე იგი ეკლესიათა რღვევადა და ყველა საეკლესიო მამულის თითქოს მიტაცებადა სთვლიდნენ. მაგრამ ასეთი ბრალდება უეჭველია ვნებათა-ღელვითა და მოწინააღმდეგესთან საბრძოლველ საშუალებათა გაურჩევლობით იყო წარმოშობილი.

ნამდვილად კი საქართველოს მთავრობისაგან საეკლესიო ქონებიდან დაზარალებულებზე მართო იმ ნაწილის გაცემა იყო ამ გაჭირვების შემანელებელ ღონისძიებად განზრახული, რომელიც ეკლესიას საქართველოს მეფეთაგან ოდესმე შეწირულებად ჰქონდა მიღებული. ეს საშუალებაც მხოლოდ საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრების შეწირულ ქონებას შეეხო. ეს თვით საეკლესიო კრების მოხსენებიდანაც ნათლად ჩანს და ეამთა აღმწერელის სიტყვებითაც მტკიცდება. საეკლესიო კრების მონაწილენი ულუ-დავითს ეკითხებოდნენ: განა წინათ კი არ ყოფილა საქართველოში დიდი გაჭირვება, მაგრამ რატომ ეს „მიზეზი არავინ კადრა საყდართა ქუეყნის ქონებას და დარღუევის მნებებელმან“—ო: საეკლესიოდ შეწირული ქონების წინანდელ მეფეთაგან გაცემულობის საბუთები არავის აქვს: „რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა სიგელი თქუენთა გუართაგან ბოძებული [აქუს] და, თუ ვის აქუს, არავინ დაჰმალავს, — რად არავინ გამოაჩინა, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემული იყოს და ეწეროს თუინიერ ამისისა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა“—ო<sup>28</sup>.

ქამთაბლმწერელიც ხომ ულუ-დავითზე ამბობს: „იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსოთა, რომელნი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიგნიჭნეს, ვასცემდა, — ეგრეთვე მონასტერთა“-ო<sup>29</sup>. ისტორიკოსის ეს უკანასკნელი ცნობა ცხად-ჰყოფს, რომ საქართველოს მთავრობისაგან გამოყენებული ღონისძიება მეფეთაგან საყდრებისა და მონასტრებისათვის ყველა შეწირულ მამულს კი არ ეხებოდა, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომელნიც „შესავალნი“ იყვნენ. ამგვარად, ყველა მეფისგან შეწირული „შეუვალობის“ მქონებელნი და კერძო პირთა ყველა შეწირული მამული ხელუხლებელი რჩებოდნენ და საყდართა და მონასტერთა „შლა“-ზე ლაპარაკი მხოლოდ გაბოროტებული მოწინააღმდეგის დაუზოგველი ბრძოლის წარმოების გამომყვალენებად უნდა იქნეს მიჩნეული.

საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრებისათვის შეწირული, როგორც ეტყობა, მარტო მოწინავე წოდებისათვის კი არ გადაუციათ, არამედ აგრეთვე დარბაზის ერთა და გლეხებზეც: ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საეკლესიო კრება ულუ-დავითს ეკითხებოდა: „რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა სიგელი თქუენთა გუარათაგან ბოძებული [აქუს] და, თუ ვის აქუს, არავინ დაჰმალავს, რად არავინ გამოაჩინა, რონე საყდართა სოფელი ვისზედა გაცემული იყოს და ეწეროს თვინიერ ამისასა, რომე, თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა“-ო.

საქართველოს მაშინდელი ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის შესამსუბუქებლად შემუშავებული ვაზირთა უპირველესის ეს გეგმა საქართველოს მთავრობას, ერთის მხრით, უძრავი ქონების ახალ ფონდს უქმნიდა, მეორე მხრით, ამ მამულების ერისკაცებზე გაცემით სახელმწიფო საკუთრება-სალაროს შემოსავლის ახალი ერთდროულიცა და ყოველწლიური წყაროც უჩინებოდა: წინათ თუ ეს საყდარ-მონასტრებისათვის შეწირული მიწები სახელმწიფო ხაზინას არას ჰმატებდნენ და ამიტომ სამეფოსათვის ფინანსიურად საზარალო იყვნენ, ეხლა იმას გარდა, რომ ამ მიწების გაცემისას ერთდროულად ფული უნდა შემოეტანათ, მიწების მიმღებნი ყოველწლიურად მონღოლთათვის განკუთვნილი ხარკის, ყალანის, გადახდის გარდა, ყველა სახელმწიფო გადასახადის მთლიანად გამოღებასაც კისრულობდნენ. ეს ცხადად ჩანს საეკლესიო კრების იმ წინადადებაიდანაც, რომელსაც მეფე და საქართველოს მთავრობა უნდა დაერწმუნებინა, რომ ამ მიწების ისევე ეკლესიის ხელში დაბრუნება და დატოვება სახელმწიფოსათვის ფინანსიურად საზარალო არ იქნებოდა.

შეეძლო თუ არა, მეფეთაგან ეკლესიისათვის დროთა განმავლობაში შეწირული შესავალი მიწების სხვებზე გაცემის დროს ულუ-დავითსა და მის მთავრობას თავისი მოქმედება, ფინანსიური თვალსაზრისით აუცილებლობის მოსაზრების გარდა, იურიდიულად, სამართლის თვალსაზრისითა და დებულებითაც გაემართლებინა? საეკლესიო წრეები და კრება, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, სრულ უკანონობად, სხვის ქონების მითვისებადა და მძარცველობად აცხადებდნენ. მაგრამ საქართველოს მთავრობის მტკიცე პოზიცია ამტკიცებს, რომ ის ამის შესახებ სულ სხვა აზრისა იყო და სხვანაირად მსჯელობდა.

ქართული სამართლის თანახმად, მეფის ყველა განკარგულებას ძალა მხოლოდ მისი სიკოცხლის დროსა და განმავლობაში ჰქონდა. მისი სიკვდილის შემდგომ მისგან მინიჭებულ უპირატესობასა და წყალობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ძალა შეერჩენოდა, თუ ტახტზე ასული მისი მომდევნო ჩუფე ამას დაამტკიცებდა, თუ არა და ეს წყალობა, ან განკარგულება გაუუღებულად და გაუქმებულად ითვლებოდა. ამ გარემოებით აიხსნება, რომ სახელმწიფო ტახტზე ახლად ასულ მეფესთან გარდაცვლილი მეფის წყალობისა, მეწირულობისა და სხვაგვარი წიგნები მოქმედობდათ ხოლმე განსაახლებლად და დასამტკიცებლად. ვინც ამნაირ საბუთებს არ განაახლებინებდა, წინააღმდეგობას უპირატესობას და უფლებას ჰკარგავდა. ამგვარად, შემწირველის მემკვიდრის ნებაყოფლობა იყო საჭირო, რომ შეწირულებას თავისი ძალა შეერჩენოდა<sup>30</sup>.

საფიქრებელია, რომ ულუ-დავითმა და საქართველოს მთავრობამ თავისი ფინანსიური გეგმის განხორციელებისათვის კანონიერი მოქმედების თვისების მისანიჭებლად, ვითარცა მის წინაპართაგან შეწირული მამულების მემკვიდრემ და პატრონმა, სწორედ ამის უფლებით ისარგებლა. ამ აზრს თვით გაცემული მამულების ახალ მფლობელთა ის სიტყვებიც ადასტურებენ, რომლებითაც მათ მიღებული მამულების უკან დაბრუნების ეკლესიისაგან მოთხოვნის უკანონობა დაუსაბუთებიათ: ეკლესიის მესვეურთათვის უპასუხნიათ— „მქონებელი და მნებებელი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისაჲ პატრონი არ დაგუადებინებს“ და თქვენ რა უფლებით გვთხოვთ პატრონისაგან ამ გადმოცემულ ქონებათა თქვენთვის უკან დაბრუნებასაო.

მაშასადამე, საქართველოს მთავრობის მოქმედება, მისი ფინანსიური გეგმისა და ღონისძიების განხორციელების დროს, იურიდიულად არას გზით სხვისი ქონების მითვისებად და გაფლანგვად არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო. ეპისკოპოზებსა და მონასტრებს ამის საპასუხოდ უფლება ჰქონდათ მხოლოდ ის აღაპები და სახსენებელი მოესპოთ, რომელიც ამ გაცემული ქონების პირვანდელ შემწირველთაგან დაწესებული იყო. ქართული სამართლის თვალსაზრისით მათ ამაზე მეტის არაფრის თქმა არ შეეძლოთ. სარწმუნოებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით კი სათქმელად ბევრი მოსაზრების მოყვანის საშუალება ჰქონდათ და ამით აიხსნება, რომ საეკლესიო კრებას თავის მოხსენებაში საცილობელი საკითხის სწორედ ამ მხარისათვის მიუქტევეია ყურადღება და საბუთად გამოუყენებია კიდევაც.

### § 3. ამ სოციალურ-ეკონომიური გეგმისა და ღონისძიების თაოსანის ვინაობა

მონღოლთა-დროინდელს ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული არა აქვს, თუ მიწის ამოპრავეებისა და დაკარგვით გაღარიბებულთა ქონებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პირველად ვის მოუვიდა აზრად, რომ წინანდელ მეფეთაგან მონასტრებისათვის შეწირული მიწები საეპისკოპოზო საყდრებსა და მონასტრებს ჩამოპრთმეოდათ და გაჭირვებულ ოჯახებს გადასცემოდათ, მაგრამ ამ სოციალ-ეკონომიური გეგმისა და ღონისძიების ავტორი ულუ-დავი-

<sup>30</sup> იხ. ამის შესახებ „ქლი სამართ. ისტორია“-ში წიგნი II, 2 ნაკვ., გვ. 409—411 და 437—438.



თის დროინდელი საეკლესიო კრების ძეგლისწერაშია მოხსენებული. ამ კრების მონაწილენი აღშფოთებით ამბობენ „ღმრთისათვის შეწირულთა ადგილთა ვაზირი, მნებებელი, მაწუეველი და მაქნეველი გაცემისაი, ვითამცა არა ღმრთისაგან რისხვეულ იქნა“-ო<sup>31</sup>. აქედან ცხადი ხდება, რომ შეწირული მიწების გაღარიბებულ მცხოვრებლებზე გაცემის „მნებებელი“, „მაწუეველი“ და „მაქნეველი“ თვით ვაზირი ყოფილა. საეკლესიო კრებას მისი ვინაობა, უეჭველია, მორიდებით არ დაუხსახლებია, მაგრამ მისი სახელი მეფესაც და ყველა იმდროინდელ ქართველს ისედაც კარგად ეცოდინებოდათ.

რაკი, ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, საეკლესიო საკითხები ვაზირთა ყოველთა უპირველესსა და მწიგნობართ-უხუცესს ჰქონდა ჩაბარებული<sup>32</sup>, ამიტომ ზემომოყვანილ ცნობაში, ცხადია, ვაზირთა-უპირველესი უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ, ამავე ქართული სამართლის მიხედვით, მამულის შეწყალების წესით გაცემის ან ბოძების დროს უეჭველად სამხედრო საქმეების ვაზირს, ამირსპასალარსაც, უნდა მიეცა თავისი დასტური. ამიტომ ამ საქმეში ამირსპასალარის მონაწილეობაც უნდა ვიგულისხმოთ.

ულუ-დავითის მეფობაში, რასაკვირველია, ერთი მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა უპირველესი არ იქნებოდა და არ იყო, მაგრამ მათ შორის იმ დროისათვის ესოდენ გაბედული გეგმა და მოქმედება ყველაზე მეტად ბასილ ჭყონდიდელ-უჭარმელს შეჰქმენის, რომელიც, ქართველი ჟამთააღმწერლის სიტყვით, იმდენად თამამად მოქმედებდა, რომ „იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“ და რომელმაც „მეფისა იმერით ყოფასა შინა დიდად აწყინა სეფეთა ქვეყანათა<sup>33</sup>, ხოლო ზღმდევ „ჩოჯანიცა აღიჯადა“. ე. ი. მონაზონობას თავი დაანება, საერისკაცო ტანისამოსი ჩაიცვა და „მთავრობა მიიტაცა“-ო<sup>34</sup>. ეს ის ბასილი ვაზირთა-უპირველესია, რომელიც სხვათა შორის არსენი ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის მგელა აბულხოტრისძისადმი მიცემულს დაწერილს ამტკიცებდა და თავის თავზე ამბობდა: „დაწერილისა ამისა მეცა დამამტკიცებელი ვარ უღირსი ბასილი ჭყონდიდელი მწიგნობართ-უხუცესი და პროტიპერტიმოსი, მტკიცე ყოს ღმერთმან და შემცვალებელთა ამისთა შერისხვითა მისცეს სასჯელი“-ო<sup>35</sup>.

მაგრამ ჩვენ რომ საეკლესიო კრების ძეგლის წერაში მოხსენებული ვაზირისა და ბასილი ვაზირთა-უპირველესისა და მწიგნობართ-უხუცესის ჭყონდიდელ-უჭარმელის ერთიდაიგივეობა დამარწმუნებლად ვიცნათ, ამისთვის წინასწარ უნდა როგორც საეკლესიო კრების, ისევე ბასილის მწიგნობართ-უხუცესობის ზეობის დრო ვიცოდეთ. თუმცა, საუბედუროდ, არც ერთი ამ თარიღთაგანი შენახული არ არის, მაგრამ „ქართული სამართლის ისტორიაში“<sup>36</sup> უკვე გამოკვლეული მაქვს, რომ ეს საეკლესიო კრება 1263 წ. ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო და მაშინვე უნდა იყოს კრების ეს მიმართვა დაწერილი.

ეხლა ვაზირის ვინაობის საკითხს რომ შევეცხოთ, ჟამთააღმწერელს ბასი-

31 იხ. აქვე, გვ. 355.

32 იხ. ამის შესახებ ჩემი „ქლი სამართლის ისტ.“, წ. 11, 1.

33 ჟამთააღმწერელი, \*846, გვ. 691.

34 იქვე \* 867, გვ. 712.

35 საისტ. შოამბე, 1925 წ., II, 132.

36 იხ. წიგნი, I, წყაროების შესახები თავი.

ლა ჰეონდიდელისა და უჯარმელის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ, ბერქა ყაენის მოსალოდნელი შემოსევის მოსაგერიებლად, ილხანებმა „თეთრსა წყალსა ზე-და ღობე შეკრეს და მუნ იზამთრიან. ვითარცა მითქუამს. ხოლო, ვითარცა ამათ ააქმეთაგან უცალო იქმნა მეფე“ ულუ-დავითი, „განდიდნა ბასილი ჰეონდი-დელი და უჯარმელი“ და სხვადასხვას, უკვე ზემომოყვანილ თვითნებთს მო-ქმედებას მიჰყო ხელიო<sup>37</sup>. რადგან მონღოლებმა ამ ღობის, ანუ „სიბას“ აგება 1263 წ. შემოდგომას დაიწყეს, ამიტომ ბასილი ვაზირთა-უპირველესის გან-დიდების დასაწყის თარიღად სწორედ 1263 წ. უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ რაკი ბასილი ჰეონდიდელ-უჯარმელის დამოუკიდებელი მოქმედების მიზეზად ულუ-დავითის სიბაზე გამგზავრება და ზამთრის იქ გატარებაა დასახელებული, ასე-თა თვითნებობა კი მეფის პირველსავე გამგზავრების დროს ვერ გამოძღვან-დებოდა, ამიტომ, ამ დასაწყის წლიდან მოყოლებული, რამდენსამე ხანს შინც უნდა გაველო, სანამ ულუ-დავითს მისი ვაზირთა-უპირველესის ქცევა მოთ-მინებიდან გამოიყვანდა და განარისხებდა. ამას ისტორიკოსის სიტყვებით— „ეთარ ამათ საქმეთაგან უცალო იქმნა მეფე“-ო—გვაფიქრებინებს. მრავლო-ბითი რიცხვი მეფის არაერთგზისი გამგზავრების გამომხატველი უნდა იყოს.

ქამთალმწერლის მოთხრობის თანმიმდევროების მიხედვით, ბასილი ჰეონ-დიდელ-უჯარმელის სიკვდილით დასჯა თითქოს 1264 წ. უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ამ ამბავს სწორედ 1264 წ. შემოდგომის სიბაზე მორიგე გამგზავრე-ბის შესახები ცნობა მოსდევს<sup>38</sup>. მაგრამ აქაც, როგორც არა ერთგან სხვაგანაც, შესაძლებელია ჩვენს ისტორიკოსს ქრონოლოგიური წესრიგი მთლად დაცუ-ლი არა ჰქონდეს და შესაძლებელია ბასილი ჰეონდიდელისა და ვაზირთა უპირველესის განდიდების ამბავის აღნუსხვას სისრულისათვის მისი. მერმინ-დელი საბოლოო ბედიღბალეც ჰქონდეს ზედ დართული.

ბასილის თვითნებური ქცევის დასაწყისი ქამთალმწერელს მთლად სისწო-რით თითონაც გათვალისწინებული არ უნდა ჰქონდეს და მის მოთხრობას ამ ადგილას სრული ზედმიწევნილობა არ ატყვია. ამას ის გარემოებაც ამტკი-ცებს, რომ ჭერ ნათქვამი აქვს, რომ მეფის დაუკითხავად ნოქმედება ვაზირთა-უპირველესმა მას შემდგომ დაიწყო, რაც ულუ-დავითი იძულებული შეიქმნა მონღოლებს ყოველწლიურად თეთრიწყლის სიბაზე გაჰყოლოდა, მაგრამ რამ-დენიმე სიტყვის შემდგომ თვითვე უმატებს: ბასილმა „მეფისა იმერით ყოფსა-შინა დიადი ეწყინა სეფეთა ქვეყანათა, რამეთუ ვითარ თუსთა ჰხედვიდა“-ო<sup>39</sup>. ამ სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ ბასილ მწიგნობართუხუცესს თვითნებური ნოქმედება გაცილებით ზემომოყვანილ თარიღზე უწინარეს დაუწყია, სახელ-დობრ უკვე 1260 წელს.

ყველა ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ, როგორც ულუ-დავითისა-გან საეკლესიო მიწების გაცემა, ისევე ბასილ ვაზირთაუპირველესის დამოუკი-დებელი მოქმედება ერთსა და იმავე დროს მონღოლთა საქმეებისა და მძლავ-რებისაგან მეფის „სიბაზე“ სიარულით გამოწვეული მოუცლევლობის დროს და-წვებულა. აქ, მამასადამე, ორს ერთი-და-იმავე-დროინდელს მოვლენასთან-გვაქვს საქმე. ხოლო, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ბასილ ვაზირთა უპირველესს თვითნებური მოქმედების გაჩაღება და განდიდება, ქამ-

37 ქამთალმწერელი, \* 846—847, გვ. 692.

38 იქვე \*846, გვ. 691.

\* ქამთალმწერელი, \* 846, გვ. 691.

თაღმწერელის სიტყვით, იმის წყალობით შესძლებია, რომ მეფე დავითს, მონღოლებთან ერთად სიბაზე ყოველწლიურად გალაშქრების გამო, საქართველოს სახელმწიფო საქმეებისათვის აღარ სცალოდა, თუ ისტორიკოსის ზემომოყვანილი ცნობა სამართლიანია, გამოდის, რომ საეკლესიო მიწების გაცემისათვის იმდენად ულუ-დავითი არ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი, რამდენადაც მისი კანონიერი მოადგილე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა-უპირველესი. საეკლესიო კრებაც, როგორც დაერწმუნდებით, საქმის ნამდვილ ვითარებას თავის ძეგლსწერაში სწორედ ასევე გვისურათებს. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ საეკლესიო მიწების გაცემის თაოსნობა, თუ აქტიური მონაწილეობა ბასილ ვაზირთა-უპირველესს უნდა ჰქუთვნებოდა.

#### § 4. მთავრობის მოქმედებით გამოწვეული საეკლესიო წრეების გულისწყრომა და ბრძოლა მის გასაქარწყლებლად

სოციალ-ეკონომიური კრიზისის შესამსუბუქებლად განკუთვნილს საქართველოს მთავრობის ამ ღონისძიებას ქართული ეკლესიის მესვეურნი, რა თქმა უნდა, გულხელდაკრფილნი არ დაჰხვედრიან, არამედ, პირიქით, წინააღმდეგობის გაწევასაც და ბრძოლასაც შეუდგნენ, მაგრამ ფრთხილად და მარჯვედ მოფიქრებული საშუალებით. ჯერ თურმე საუკეთესო საბრძოლველ იარაღად დაკრულვა მიუჩნევიათ, მაგრამ მთავრობა კი არა, არამედ მხოლოდ საეკლესიო მიწების მთავრობისაგან მიმღები შეუჩვენებიათ.

ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად, დაკრულვას უნდა სახელწიფო ხელისუფლების მხრივაც დაკრულვილის „შერისხვა“ მოჰყოლოდა. მას მოქალაქეობრივი უფლებები უნდა წაჰრთმეოდა: მამული ჩამორთმეოდა და „ლაშქართა შიგა“ აღარ ყოფილიყო შეშვებული, ე. ი. თავის საშობლოდან უნდა გაწბილებული განედენათ.

ეს იარაღი ეკლესიის მესვეურთათვის იმითაც იყო მარჯვე და ხელსაყრელი, რომ დაკრულვის მიზეზად შესაძლებელი იყო სულ სხვა გარემოება ყოფილიყო გამოცხადებული, რომ საქართველოს მთავრობას საბუთი არ ჰქონოდა, მღვდელთმთავართა ასეთს მოქმედებაში თავისი თავის შურაცხყოფა შეემჩნია, შედეგად კი ამ დაკრულვას სწორედ ის უნდა მოჰყოლოდა, რაც ეკლესიას სწადდა: ეკლესიისათვის შეწირული მიწის მიმღებს ყველა მამული ჩამორთმეოდა და ლაშქრიდანაც გაძევებული იქნებოდა. ასეთი სასჯელი იმდენად მკაცრი იყო, რომ სხვებს თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის „გაცემული“ საეკლესიო მიწებით გამოკეთების წადილს, სამღვდლოების აზრით, საპუდამოდ დაუქარავადა.

ქართული ეკლესიის მესვეურთ ამ საშუალებისათვის მიუმართავთ კიდევაც, მაგრამ როდესაც დაკრულვილისათვის ჯვარისწერაზე და, უეჭველია, სხვა საიდუმლოებათა ასრულებაზე მღვდელმსახურთ წესისაებრ უარი უთქვამთ, ნათ ეკლესიის ასეთი მოქმედება, როგორც ეტყობა, საეკლესიოდ შეწირული, მაგრამ „გაცემული“ მიწის მიღებით გამოწვეულ შურისძიებად მიუჩნევიათ და მღვდელმთავართა მსჯავრი, ვითარცა უსამართლო, სამეფო კარზე განუსაჩივრებიათ. უეჭველია, საჩივართან ერთად მათ მთავრობისადმი მართმეულ

წერილობითა, თუ სიტყვიერ განცხადებაში ეს თავიანთი ექვი და რწმენაც კი საგანგებოდ აღნიშნული ექნებოდათ.

საქართველოს მთავრობასაც, როგორც ჩანს, დაკრულვილ მოჩივართა ექვები და რწმენა, სადაც კი ასეთი ექვისათვის რაიმე საფუძველი არსებობდა, გაუზიარებია: დადებული სასჯელი უსამართლოდ მიუჩნევია, დაკრულვილთა მოსარჩლეობაცა და დაცვაც დაუწყია. ამ გარემოებას თვით საეკლესიო კრების მონაწილენიც აღიარებდნენ და მეფე ულუ-დავითისადმი წარგზავნილ მოხსენებასა და მუქარაში სხვათა შორის ნათქვამი აქვთ: წინათ ასეთი წესი იყო, რომ „ვინცაჲ ვინ დაკრულვილა, რაჲთაცა მიზეზითა და საქმითა, თქუენ (ე. ი. საქართველოს მთავრობის) მიერცა შერისხულა, მამული დასჯირვია და ლაშქართა შიგან არ შეშვებულა, ეხლა კი, „აწ, თუ ვის დაკჳრულავთ, გამოაქვენებს თქუენს დარბაზსა და თქუენთა ვაზირთა მოჰმართებს, ბრძანებასა და კაცს უბოძებთ „ჯუარი დასწერე“-ო, გაწყრომისა და ავად გავლის ნაცვლად“-ო.

ყოველთვის ჰშველოდათ, თუ არა, მთავრობის გამოქომაგება დაკრულვილთ, არა ჩანს, მაგრამ იქ, სადაც დაკრულვილის საარწმუნოების წინაშე ბრალეულობის დამტკიცება ასე თუ ისე შეიძლებოდა ეკლესიის მესვეურნი ალბათ უკან არ იხევდნენ. მაინც, რასაკვირველია, მღვდელთმთავართ, მონღოლთა ბატონობის ამ ხანაში, ულუ-დავითის დროს, როდესაც წინანდელი ზნეობრივი საფუძველი შეირყა და ცხოვრება უკვე ძირიანად აფორიაქებული იყო, მართო ამ თავიანთი იარაღით, მთავრობის დაუხმარებელიც, ბრძოლის მოგება არ შეეძლოთ. პირიქით, სოციალ-ეკონომიური კრიზისის შესამსუბუქებლად საქართველოს მთავრობის მხრით ასეთი ღონისძიების გამოყენება სხვებსაც მაგალითს აძლევდა. შესაძლებელი იყო, როგორც თანამედროვე, ისევე მომავალ თაობათა შორისაც, მიმბაძველები გამოსჩენოდნენ: განა კერძო პირთა შენაწირვეი მიწები კი ეკლესია-მონასტრებს ცოტა ჰქონდა?

სწორედ ამიტომ არის, რომ კრების მონაწილენი ულუ-დავითს ეკითხებოდნენ, თუ თქვენ თქვენივე წინაპრების საბუთებს არ ასრულებთ და ეკლესიის შელახულ უფლებებს არ აღადგენთ, სხვას ვისლა უნდა მივმართოთ, ანდა განა ამის შემდგომ თქვენი სიგლების დარღვევას კი ვინმე მოერიდებაო: „თუ თქუენსა მეფობასა შინა არ შეჰკაზმავთ საყდართა და მონასტერთა და არა უბოძებთ ჳელთა მათთა საქონებელთა, ვინმცა დაუურვა, ანუ ვინმცა არაჰკადრა თქუენთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხაი“. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ამაზე უმძიმესი ცოდვა არაფერია, როგორც „ცოდვისა სახედ და იგავად დადებამ მომავალთა და ყოფადთა ჳამთა და კაცთათუის მისათხრობელ-მოსაგსენებლად“-ო.

ეკლესიისათვის შეწირული მიწების ჩამორთმევა და გაცემა რომ უკვე ამ დროს მართო მთავრობის საქმე აღარ იყო და კერძო პირებიც, შემწირველთა მომდევნო შთამომავლობა და ნათესაობაც, ამავე გზას დასდგომიან, ამას კახა მეჭურჭლეთ-უხუცესის 1259 წ. რკონის სიგელში მოყვანილი სიტყვებიც ცხადჰყოფენ: „თუ ვინ იმისი მომშლელი გამოვიდეს ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყუასი, ანუ ყუთლუ არსლან ვითარ ყო და ვითა ქირშიშელარიონს უყო; თუ აბხაზთ (ე. ი. საქართველოს) მეფეთა წარიკითხონ ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მისაბიონ (ე. ი. დამტკიცებით დამეხმარონ), მათ ჰკითხეს

დნერომან... და ვინ ჩემის გუარისაი სხუაი იყოს, თუ მან არ მისაბიოს, მასცა უგმია ღმერთი“<sup>39</sup>. მაშასადამე, დიდგვარიან აზნაურთაგან 1259 წლისათვის ორს, ყუთლუარსლანს (რომელიც საფიქრებელია თამარის დროინდელი ცნობილი პირი არ უნდა იყოს) და ქარშიშს თავიანთი წინაპრების შეწირულობის დარღვევით უკვე გაუთქვამთ სახელი და ასეთ საქციელს იმდენად უკვე შესჩევნიან, რომ კახას აღარავინ ეგულებოდა, ვისაც მომავალში ასეთი საქმის ჩადენა არ შეეძლოს: თვით საკუთარ ძმაზე და შვილზეც კი, რომლის შეძენის იმედი მას ჰქონდა, კახას ამ მხრივ ეჭვი გულიდან ვერ ამოუშლია!

როდესაც ეკლესიის მესვეურნი გაცემული მიწების მფლობელებს ამ უძრავი ქონების უკან დაბრუნებას სთხოვდნენ, ისინი თურმე ცივსა და გადაჭრილ უარს ეუბნებოდნენ. საეკლესიო კრების მონაწილეთა სიტყვით მათ ასეთი პასუხი მიუღიათ: „თუთ პირად და ზედაით-დაღმა ამას გუეუბნებია: „მქონებელი და მნებებელი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისაი პატრონი არ დაგუადებინებს და არცა წაგუიღებს, რომელსა სიგლითა უბოძებია, — და თქუენ არ დაგიღებთ და არცა გუემართლებით დადებინებასა, — ქრთამსა მოგცემთო“<sup>40</sup>.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ გაცემული საეკლესიო ქონების ახალ მფლობელთა საბუთიანობა იმ დებულებაზე ყოფილა დამყარებული, რომ, რაკი წინანდელ მეფეთაგან საყდარ-მონასტრებისათვის შეწირული მიწების მზრუნველი მეფე ულუ-დავითი, ვითარცა კანონიერი მემკვიდრე, ამასთანავე მათი პატრონიც, მქონებელიცა და მნებებელიც, რომელმაც ეს ოდესღაც საყდარ-მონასტრებისათვის შეწირული ქონება მათ სიგლით უბოძა, ამ მიწების უკან დაბრუნებას არ თხოულობდა, ეკლესიასაც უკვე უფლება აღარა ჰქონდა, რომ მათგან ამ გაცემული მიწების დაბრუნება მოეთხოვა. ამ მსჯელობიდანა ჩანს, რომ მეფისა და საქართველოს შთავრობის განკარგულებით საყდარ-მონასტრებისათვის ჩამორთმეული და გადაცემული მიწების უფლების მქონებლად მხოლოდ მეფე და ამ მიწების თავდაპირველი მფლობელნი მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, რომ მათი უკან დაბრუნების მოთხოვნაც მარტო მათვე შეეძლოთ.

ამგვარად, მათი პასუხი მოკლედ ასე შეიძლება გამოითქვას: თუ საყდარ-მონასტრების მესვეურთ გაცემული მამულებისა და ქონების უკან დაბრუნების სურვილი ჰქონდათ, უნდა იმავე სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მიემართათ, რომელმაც ეს მიწები გასცა. მაგრამ ეს იყო, რასაკვირველია, ფორმალურ-უფლებრივი პასუხი და, თუ გაცემული მიწების პატრონთა საბუთიანობა ამ მხრივ უზადოა, ამ სადავო საკითხს ზნეობრივ-უფლებრივი მხარეც ჰქონდა და ამ თვალსაზრისით კი რომ დაიწყებოდა კამათი, მათ არ შეეძლოთ უარეყოთ, რომ ამ მიწების ახალ მფლობელებად ისინი მხოლოდ ძველი, კანონიერად შედგენილი, საბუთების, — შეწირულების წიგნებისა და ანდერძების, — ძალით შექმნილი უფლების დარღვეულობის წყალობით იქცნენ, ანუ, თუ ასე შეიძლება ითქვას, თავიანთი ახალი ფორმალურად კანონიერი უფლება ძველი კანონიერივე უფლებრივი მდგომარეობის დარღვევითა და ეკლესიისათვის ქონებრივი ზარალის მიყენებით მოაპოვეს.

გაცემული მიწების ახალი მფლობელების ზნეობრივ-უფლებრივი შეგნება

<sup>39</sup> ქ<sup>3</sup>კბი II, 136.

<sup>40</sup> იხ. იქვე, გვ. 166, სტრ. 16—19.

რომ ამ მხრივ მთლად დამშვიდებული არ ყოფილა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მათ საყდარ-მონასტრების მესვეურთათვის ერთგვარი ქონებრივი საზღაურიც კი შეუძლებელია: „ქრთამს მოგცემთ“-ო. ცხადია, რომ ამით მათ ასე თუ ისე ამ დავის მშვიდობიანი შეთანხმებით დამთავრება ჰსურვებიათ, რომ მათი მფლობელობის უცილობელ იურიდიულ უფლებას, ნებაყოფლობითი შეთანხმების გზით, ზნეობრივი საფუძველიც მოჰპოვებოდა.

## § 5. ბრძოლით დამყარებული ვითარება მაშინდელ საქართველოში

ატეხილი უსიამოვნება რომ მთავრობისა და ეკლესიის ბრძოლად იქცა, ამის შემდგომაც ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, მარტო მათ შორის არ სწარმოებდა. მრევლიც, ხალხიც მათ თვალყურსაც აღევნებდა და წინანდებურად მაინც მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

კრიზისის შესანელებლად მთავრობისაგან ნახმარმა ღონისძიებამ კრიზისისაგან დაზარალებულთა წრეებში მეფესა და ვაზირებს, რასაკვირველია, თანაგრძნობა და სიყვარული მოუპოვა. კერძო პირთაგან მთავრობის მსგავსად მათი წინაპრების საეკლესიოდ შეწირული მიწების მითვისებამ კი ეკლესიის მდგომარეობა უფრო გააუარესა. ეპისკოპოზებსა და მონასტრის მესვეურთ უბრძოლველად „მიტაცებული“ ქონების დანებება არ სურდათ. რაკი მარჯვედ მოფიქრებული ბრძოლის გეგმა, დაკრულვილთა მთავრობისაგან გამოქომაგების გამო, ჩაიშალა, ამიტომ საქმე ისე დატრიალდა, რომ ეკლესია უნდა თავის საძწყსოს თვითნება წევრებსაც და უნებლიეთ თვით საქართველოს მთავრობასაც შეჰბრძოლებოდა.

ამ დროს ატეხილი ბრძოლის გამო მრევლის დაინტერესებულ წრეებში ეკლესიის მესვეურებისადმი მტრულმა გრძნობამ იჩინა თავი და გამწვავებული დამოკიდებულება დამყარდა: ამ წრეებმა ეკლესია თავის მოძულედ, მთავრობა კი თავისი არსებობის საბრალე პირობების გამოსწორებისათვის მზრუნველად მიიჩნიეს, საქართველოს იმდროინდელი ეკლესიის ასეთი მძიმე მდგომარეობა თვით საეკლესიო კრების ძეგლისწერაშიც არის აწერილი. ამ კრების მონაწილენი თითონაც ვეღარ მალავდნენ და გულახდილად ამბობდნენ: „არღარავისგან გუაქუს პატივი, არც სჯულსა და არც ებისკოპოსთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიპრონსა, არც ქორებისკოპოსთა, ყუელაი ყუელასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ვჰყავთ“-ო<sup>41</sup>.

კრების მონაწილენი ფიქრობდნენ, რომ მრევლის მათდამი ასეთი მტრული განწყობილება და ამნაირი უპატივცემლობა საქართველოს მთავრობის წყალობით წარმოიშვა. ულუ-დავიტის საეკლესიო კრება პირდაპირ ეუბნებოდა კიდევაც: „რად უპატიო ჰყოფთ პატიოსნებასა და საკრძალოებასა ამის სახისა საქმისა? რომელი მეფე იქნების უპატიო-მყოფელი, შეურაცხად მკსენებელი ებისკოპოზთა და მონაზონთა?.. თუ თქვენ უპატიოდ გყავთ, ვინმცა არა შეურაც-გვეყენა, ვინმცა არ გუაგინნა, ვინმცა არა უპატიოდ და ჰავად დაგუჟანდა“-ო<sup>42</sup>.

41 ოს. იქვე, გვ. 166, სტრ. 3—6.

42 ოს. იქვე, გვ. 166, სტრ. 6—10.

რაკი დაკრულვითა და მოლაპარაკებით თითოეულ კერძო შემთხვევაში არაფერი გამოდიოდა, პირიქით საქმე უფრო-და-უფრო რთულდებოდა კიდევაც, რადგან შეწირული მიწების მიტაცება ლამის გადამდებ სენად ქცეულიყო, მთავრობა და თვით მეფეც, ეკლესიისათვის მხარის დაჭერისა და დანშარების მაგიერ, შესაჩივლელად მიმსვლელი მისი წარმომადგენლების შეუბრატყოფის მიყენებასაც კი არ მოპირდებიან, ამიტომ საქართველოს ეკლესიას მესვეურთ გადაუწყვეტიათ, რომ ამ გამანადგურებელ მიმართულებას შეერთებული ძალითა და უუკიდურესად მკაცრი საშუალებით შეპბრძოლებოდნენ. ამ მიზნით მოწვეული იყო საეკლესიო კრება, რომელმაც, შექმნილი ზღვომარეობის შესახებ მსჯელობის შემდგომ, გადასწყვიტა მეფისა, მთავრობისათვის და საყოველთაოდ ეცნობებინათ, რომ ეკლესიის მოთმინების ფაულა აივსო და, თუ მისი შეღახული უფლებები აღდგენილი არ იქნებოდა, მას, უკიდურესი საშუალებისათვის მიმართვის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენია.

## § 6. 1263 წ. საეკლესიო კრების დადგენილება, მეფისადმი წარდგენილი მოხსენება და ულტიმატუმი

1263 წ. მოწვეულმა საეკლესიო კრებამ, საქმის ვითარებაზე და უალრესად სახიფათო მდგომარეობაზე მსჯელობისა და ასეთი განსაცდელის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა შესაძლებელი საშუალების აწონ-დაწონის შემდგომ, მეფისა და მთავრობისათვის ვრცელი, დასაბუთებული მოხსენებისა და გადაჭრილი მოთხოვნის წარდგენა გადასწყვიტა და აასრულა კიდევაც.

ცენტრარქივში გ. გოზალიშვილმა 1925 წ. იპოვა ულუ-დავითის დროინდელი ამ საეკლესიო კრების დადგენილების თვით დედანი, რომლის ტექსტიც პირველად თ. ჟორდანიამ XVII საუკუნის პირის მიხედვით დაბეჭდა<sup>43</sup>.

გ. გოზალიშვილმა მისი ტექსტი ცენტრარქივის „საისტორიო მოამბე“-ში გამოაქვეყნა (1925 წ. II, 219—224). მისი სიტყვით, „საბუთი დაწერილია ქაულდზე (ზომით  $44\frac{3}{4} \times 24\frac{1}{2}$  სანტიმ. მაქსიმ.) XIII საუკუნის ლამაზი მხედრული ხელით. დასაწყისი დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა არ იკითხება, მაგრამ ალბათ იგივე უნდა წერებულყო, რაც ჟორდანიას მიერ დაბეჭდილში, რადგან ტექსტი სხვაში ერთმანეთს ეთანხმება. ამის მიუხედავად ჟორდანიას ტექსტი და ჩვენი საბუთი ბევრ რამეში განსხვავდებიან. წვრილმან განსხვავებათა გარდა, თვალსაჩინო განსხვავებაც საქამაა“-ო.

გ. გოზალიშვილს ეს ძეგლი საერთოდ კარგად აქვს გამოცემული, მაგრამ ხელთნაწერში აქა-იქ ტექსტი იმდენად წარყვნილია, რომ მოხსენება-ულტიმატუმის აზრი დამახინჯებულია, ამიტომ აქ ამ ძეგლის აღდგენილი ტექსტის დაბეჭდვა საჭირო. აი თვით ძეგლიც:

«[გვედრებით და ვრეკთ კარსა მოწყალებისა თქვენისასა მოიწყინეთ ჭრტინვა] ჩუენი და სიგლახაჲე და უქონებელი... და ობლად დასხმულნი ეკლესიანი ღვთისანი შეიწყალენით, განშიშულებანი [სამართ]ლით შემოსენით, იქსენით დაუწუნებულნი, უსაჲეთ სამართალი მართალი, რადთა მართალთა თანა დაეწესნ...გებისაგან მწარისა, ვითარცა იტყუის წინანსწარმეტყუელისა

43 თ. ჟორდანი, ქრონიკები და სხვა მასალები.. II, გვ. 163—166;

პირითა უფ-ლი საბაოთ ღ-თი წ-დაჲ ისრაელისაჲ. „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოსა“. რომელთა პირველი არის თავი სჯულისა და ეკლესიათაჲ მცხე[თა] და, უკეთუ თავსა, ჭერეთცა ნედლსა, ესრეთ ეყოს, კელ-ფერჯ-თით-მწუერვ(ა)ლებამან რამცლა ინაყოფეს: კ-დ იტყუის: „აღუთქუ და აღუსრულე უფალსა ყ-ელი აღნათქუემიო“ და „უმჯობეს არს არა აღთქუმაჲ, ვიდრე აღთქუმაჲ და არა აღსრულებაჲ“.

«სრულ ყავთ, წ-დაო და ქ-ტე-მოსილო მეფეო ბრძანებული ესე, თქუენი სიტყუანი საქმით სრულ-ყვენიო: მოალებინეთ სიგლები და ნიშნები ყუელაჲ ყუელას, ვისთვისცა გიბოძებია.

«[არა] თუ ჩუენთუის რასამე და ჩუენისა შეძენისათუის ვიწყინებით, მაგრა სლ-თოდ შ[ე]წირულისა ს-ლთოდვე ეამს ქონებაჲ და მიყენებაჲ და თუით საყდართა ქონებაჲ დიდად უფრო თქუენი ქონებაჲ: —

«აწ, თუ ერთხელ საქურჭლესა თქუენსა შინა შემოღებული და ერთგვის თქუენთუის შემოძღუნებული, თუალთა და მარგალიტთა და ჭურჭელთა ოქ-რომს და ვერცხლისათა თანაჲ რამე მცირე, ანუ გინა დიდი საქურჭლესა შინა თქუენსა მდებარე გამოიღოს ვინმე, ანუ თქუენვე შემოგწიროს, ანუ წა-რაგოს სადმე, ნიქნიმცა მიანიქენით, ანუ პატივნი და ქებანი აღუვარენით, არამცა უფრომს რისხვეულ და პატიყეულ ჰყავით?»

«ღ-თისთუის შეწირულთა ადგილთა<sup>44</sup> ვაზირი, მაწუეველი, მნებებელი<sup>45</sup> და მაქნეველი გაცემისაი ვითამცა არა ღ-თისაგან რისხვეულ იქმნა და ვინც იკადრებს და გაქნევს, ვითა კეთილის მამოქმედებელს კეთილი ნ[იჭ]ი მიენი-ჭების ღ-თისა მიერ, ეგრეთვე ბოროტისა მიზეზი ბოროტსა მოისთულებს

«ვიციოთ, რომე მრავალნი კადრებენ ეამისა ძნელბედობასა და საქირობ-ბასა, მაგრა ამის უძნელბედენსიც ყოფილან მაშინ ეამნი, ოდეს დიდი კათო-ლიკე ეკლესიაჲ შენებულა, ჰასრე რომე ჭაფარ ამირად ჯდომილა ტფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია, და თვით რამცა მიზეზი არავინ კადრა საყდარ-თა ქუეყნის ქონებისა და დარღუევის მნებებელმან? «ყოველი დრკულ მავალი მიზეზობად მზააო» (sic), მაგრა ნუ მისცემთ გზასა მეტყუელთა ესე-ვითარისა მეტყუელებისათა.

«სამოცდამეათხუთმეტენი შვილნი ხართ თქუენთა გუართანი და რომელი მეფე თქუენთა ოდენტა პირთა, ლუაწლთა და განსაცდელთაგან ვსნილა, ვითა ღ-თსა, თქუენსა მკსნელსა, თქუენ უკსნიხართ, და არცა რომელსა მეფესა თქუენგან უფრო ღ-თისა გზისა დაქირვად ჰმართებია. და ამ სამოცხათხუთ-მეტთა თქუენთა გარდასრულთა მეფობათა შიგა უფრომსი და უმრავლესი ეა-მი ამისაგან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა, ვითა ქართლისა ცხოვრებაჲ გამოაჩენს. რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა სიგელი, თქუენთა გუართაგან ბოძებული [აქუს] და, თუ ვის აქუს, არავინ დაჰმალავს რად არავინ გამოაჩინა, რომე საყდართა სოფელი ვის ზე-და გაცემული იყოს და ეწეროს, თუინიერ ამისასა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა:—

«ესეც იუწყოს წ-ნ მეფობამან თქუენმან აწ შეკრებულისა ამისა კრები-საგან: წესი სახლისა და პალატისა თქუენისაჲ ესე ყოფილა: ვინცა ვინ<sup>46</sup> დაყ-

<sup>44</sup> გაცემის.

<sup>45</sup> მქნეველი და მნებებელი.

<sup>46</sup> აქ რაღაც სიტყვა არის დაწერილი და ისევე წაშლილი ხაზების გასმით.



რულელია, რამათაც მიზეზითა და საქმითა, თქუენ მიერცა შერისხულა, მამუ-  
ლი დასჭირვია და ლაშქართა შიგან არ შეშუებულა. აწ თუ ვის დაეპკრუ-  
ლავთ, გამოაქენებს თქუენს დარბაზსა და თქუენთა ვაზირთა მოძმართებს,  
ბრძანებასა და კაცს უბოძებთ, ჟუარი დასწერეო, გაწყრომისა და ჰავად გაჭ-  
დის ნაცელად. ესე უწყსოი წესი ნულაროდეს იქნების, ნუც დაგუემართების.  
ვისაც დაეპკრულვიდეთ, თქუენც შეპრისხევდეთ და კრპლითა თანა-უღვეით  
სჯულთა და წესთა სამღვდელოთა, საღთოთა წერილთა მოძღურებისაებრ. თუ  
თქუენსა მფოთობასა შიგა არ შეკაზნავეთ საყდართა და მონასტერთა და არა  
უბოძებთ კელთა მათთა საქონებელთა, ვინმცაღა დაუურვა, ანუ ვინმცაღა  
[არა] ჰკადრა თქუენთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხა:

«ცოდვამ ეგრე ბრალი და ცოდვამ არ არის, ვითა ცოდვისამ სახედ და  
იგავად დადებამ მომავალთა და ყოფადთა ეამთა და კაცთათუის მისათხრო-  
ბელ-მოსაცნენებლად. არღარავისგან გუაქუს პატივი, არც სჯულსა და არც  
ებისკოპოსთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიპრონ-  
სა, არც ქორებისკოპოსთა! ყუელაჲ ყუელასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით  
და ბასრობით ვკაყვთ. რად დაქსნით წესსა საქებელსა, რად უპატიო ჰყოფთ  
პატიოსნობასა და საკრძალვობასა ამის სახისა საქმისასა? რომელი მეფე იქ-  
ნების უპატიო მყოფელი, შეურაცხად მკსენებელი ებისკოპოსთა და მონა-  
ზონთა?47. თქუენ სიყრმითგან ღთივ სწავლულნი ხართ და საღმრთონი წე-  
რილნი ზეპირათ უწყსით: რომელთა საქმეთ მოქმედი მეფე, იქნების, ანუ  
რომელთამ იყუედრების! რანიც პატივნი თქუენთა გუართაგან ზედსხმიან  
ებისკოპოსთა და მონაზონთა, მასეე თქუენგან ვიღირსებოდეთ და, თუ თქუენ  
უპატიოდ გყავთ, ვინმცა არა შეურაცხ-გუყვნა, ვინმცა არა გუაგინა, ვინმცა  
არა უპატიოდ და ჰავად დაგუყადანა? თუით პირად და, ზედაით დაღმა ამას  
გუეუბნებთან: „მქონებელი დ მნებებელი საყდართა და მონასტერთა საქონე-  
ბელთა ქონებისაი, პატრონი, არ დაგუადებინებს და არცა წაგუიღებს, რომელს  
სიგლითა უბოძებია, და თქუენ არ[ც] დაგიდებთ და არც გუემართლებით და-  
დებინებასა, ქრთამსა მოგცემთო“. ამა საქმისა თქუენვე სწამლეთ და დას-  
დევთ ემბლასტრომ საყურნებელი:

„ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებს: რამცა საყდართა საქონებელთა  
ყალანი ჰმართებს, მისნიცა მზღველნი ვართ, და არას უკუ ვაგდებლით და  
თქუენსა თქუენნი თქუენთაგან განალამცა გმსახურებლით, ძალისაებრ და შე-  
ძლებისა ჩუენისა!

„ესე ამისა კრებისა, აწ შეკრებულისა, ძალი ყოველთა შორის საცნაურ  
იყავნ წესსა და თუით-მპყრობელისა მეფეთა მეფობისა თქუენისა წინა-  
შე, რომელ, თუ ღთი გურისხავს და მიუღრეკელი და წღამ გონებამ თქუე-  
ნი, ცოდვათა ჩუენთა სიმრავლისაგან, მიღრეკების და ესე რამც გუიკადრებია  
და მოგუივსენებია, არ დაგუეურვების ჩუენითა წესითა48, რაცა დაგუიპირებია,  
ნისნი მქმნელნი ვართ: არცა მიპრონსა გაეპქსნით, საქართველომსა ეკლესიათა  
დავპბეჭდავთ ხუცესთა დაეყენებთ წირვისა და ნათვლისა და სამკუდროთა  
ზიარებისაგან! თუინიერ ამისისა ქნისა, სხუისა ღონისა ყოველისაგან უღონო  
ვართ და ნუთუ ამისითა ქნითა, სხუათ სჯულთა და სხუათ ტომთაგან49 მეფობასა

47 ამის შემდეგ დაწერილია იმავე ხელით უფრო წერილი ასოებით და სუფთად,  
ტექსტი უფრო შერბილად ჩანს.

48 და 49 სხუას ტომთაგან.

თქვენსა საწყინო რაამე შემოუვიდეს და სჯულიცა ჩუენი დაკინდეს! ეზომის კანდიერებისა და წყენა-კადრებისათვის ვითა საშინელისა ღთისა საშინელებათაგან, ვძრწით და ვიშიშვით, გარნა საღმრთონი სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობად ბრძანებულან და, სადა ღთი დაგუქირდების, მუნ ყოველსავე შეურაცხვეყოფთ, და „მაუნებელი კაცთაჲ ქტესცა მონა არ ვიყოვო“. წადა მოციქული პავლე ბრძანებს! აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი და მოპლოდენი ამისისა დაურვეებისანი ყელნივე აქა ვართ და ულოცავთ წაასა მეფეთ-მეფობასა თქუენსაჲ.

საეკლესიო კრების მიერ წარდგენილ მოხსენება-ულტიმატუმში საბუთიანობა საღმრთო წერილის იმ დებულებაზეა დამყარებული, რომ „აღუთქუ და აღუსრულე უფალსა ყოველი აღნათქუემი და უმჯობეს არს არა აღუთქუმაჲ, ვიდრე აღუთქუმაჲ და არა აღსრულებაჲ“-ო.

რაკი მიწები საქართველოს მეფეთა შეწირული იყო, ეს შეწირულებაჲ ისეთივე აღუთქმაჲ, რომელიც უეჭველად შესრულებული უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ღვთისათვის შეწირული ქონება საღმრთოდვე უნდა იყოს დაცული და გამოყენებულო. როგორც სახელმწიფო საქურძლეში შეტანილი განძეულობის გატანისა და გაფლანგვისათვის თქვენ, მეფეო, დამნაშავეს. რასაკვირველია, „რისხვეულ და პატიყელ“ ჰყოფდით და დასჯიდით, ისევე უნდა მოპყრობოდით უეჭველია საეკლესიო ქონების გაცემის მრჩველსაც. ამის მაგიერ კი, საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრების მიწები „თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა“-ო. ამნაირად წამოყენებული დებულებით საეკლესიო კრებას უნდოდა, უხეში სიტყვის უხმარებლივ, თვით მეფისათვის მიანიც ეგრძნობინებინა, რომ მისი და მისი მთავრობის მოქმედება ამ შემთხვევაში სხვისი ქონების მიტაცება მითვისებად და გაფლანგვად მიაჩნდათ.

ამას გარდა, თუ თქვენი წინაპრების შეწირულების წიგნებს თქვენ თითონვე არღვევთ, ამის შემდგომ „ვინმცა არა ჰკადრა თქუენთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხაჲ“-ო.

მართალია, ესეც კარგად „ვიციოთ, რომ მრავალნი“ მიწების მიტაცება-გაცემის მოსაბოღიშებლად და გასამართლებლად „კადრებენ ჟამისა ძნელბედობასა და საჭიროობასა მაგრა ამის უძნელ-ბედესნიც ყოფილან მაშინ ჟამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ<sup>50</sup> შენებულა, ჰასრე, რომე ჯაფარ ამირად ჯდომილა ტფილისის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“ და მაშინ რატომ „თვით რამცა მიზეზი არავინ კადრა საყდართა ქუეყნის ქონებას და დარღუევის მნებებელმან“-ო? მაგრამ ცნობილია, რომ „ყოველი დრკუდ მავალი მიზეზობად მზააო“.

თქვენ ასეთ მსჯელობასა და მობოღიშებას ყური არ უნდა უგდოთ, „ნუ მისცემთ გზასა მეტყუელთა ესე-ვითარისა მეტყუელებისათა“, რადგან სამოცდათხუთმეტ თქვენზე უწინარეს მყოფ „თქუენთა გარდასრულთა მეფობათა შიგა უფრომსი და უმრავლესი ჟამი ამისგან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა ვითა ქართლის ცხოვრებაჲ გამოაჩინს“ ამაზე უფრო ცუდი დროცა და უფრო მძიმე პირობებიც ყოფილაო.

ამასთანავე თქვენ „სამოცდამეათხუთმეტენი ხართ თქუენთა გუართა-

<sup>50</sup> სვეტიცხოველი იგულისხმება.

ნი და რომელი მეფე თქუენთა ოდენთა ჳირთა, ლუაწლთა და განსაცდელთაგან კსნილა, ვითა ლმერთსა თქუენსა მკსნელსა, თქუენ უკსნიხართ“ და სწორედ ამიტომ „არცა რომელსა მეფესა თქუენგან უფრო ლმრთისა გზისა დაჭირვამ ჰმართებია“<sup>51</sup>, არავის თქვენოდენი განსაცდელი არ გამოუვლია და არ გადარჩენილა, რისთვისაც ლმერთს მადლი უნდა შესწიროთ დ მისი ყველა მცნება დაიცვათ.

საეკლესიო კრება მეფე ულუ-დავითს აგონებდა აგრეთვე, რომ მის და საქართველოს ვაზირებისაგან დარღვეულია ქართული სახელმწიფო სამართლის ის ძირითადი დებულება („წესი სახლისა და პალატისა თქუენისაა“), რომლის მიხედვითაც «ვინცა ვინ» ეკლესიისაგან «დაკრულვილა რაათაც მიზეზითა და საქმითა», საქართველოს მთავრობის მიერაც, დაკრულვილობის მიზეზის განუხილავად, «შერისხულა: მამული დასკირვია და ლაშქართა შიგან არ შემვებულა». ამის მაგიერ ეხლა დაკრულვილი «თქუენს დარბაზსა და თქუენთა ვაზირთა მოჰმართებს» თუ არა, «განწყრომისა და ჰავად გაცდის ნაცვლად», მთავრობა საქმეში ერევა, დაკრულვილს ესარჩლება და «ბრძანებასა და კაცს უბოძებთ», რომლის ძალითაც კრულვა უნდა ახსნილი იყოსო. კრება გადაჭრით თხოულობდა, რომ ასეთ საქმეებში მთავრობის ჩარევა ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილიყო და დაკრულვილს, წინანდელი წესისდა მიხედვით, მთავრობისაგან მოქალაქეობრივი უფლებებიც ჩამოჰრთმეოდა: «ესე უწესოა წესი ნულაროდეს იქმნების, ნურც დაგუემართების», არამედ, «ვისაც დაეჰკრულვიდეთ, თქუენც შეჰრისხევდით და კრმლითა თანა უდევით სჯულთა და წესთა სამღდელთა, საღთთა წერილთა მოძღურებისაებრ»!

რაკი, საეკლესიო მიწების მიტაცების გამო ატეხილი ბრძოლის დროს, მთავრობას ასე გარკვევით ეკლესიის პრეტენზიების საწინააღმდეგო მიმართულება ჰქონია არჩეული და ეკლესიის წარმომადგენლებს მწვავე ცილობის დროს მთავრობისაგან უპატივეცემლობა და შეურაცხყოფაც კი უნახავთ, ამიტომ საეკლესიო კრება მეფეს სთხოვდა: «რანიც პატივნი თქუენთა გუართაგან ზედასხმიან ებისკოპოზთა და მონაზონთა. მასვე თქუენგან ველირსებოდეთ»-ო.

თუმცა, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, კრებამ ქონებრივი გაჭირვებითა და ცხოვრების მძიმე პირობებით საეკლესიო მიწების გაცემა-მიტაცების მობოდიშება უსაფუძვლო მომიზეზებად გამოაცხადა, მაგრამ საქმე რომ მთლად ასე არ იყო, ამის უარყოფა არც მას შეეძლო. ერთის მხრით, სახელმწიფო ხაზინის გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობა და მრავალგვარი ხარკით და გადასახადების ტვირთით საქართველოს გაღარიბებული მკვიდრნი, მეორე მხრით, ყოველგვარი შეუვალლობით აღჭურვილი ეკლესიის ქონებრივი კეთილდღეობა იმდენად ღიდ კონტრასტს წარმოადგენდა, რომ ამ განსხვავებასა და უთანასწორობას ყველა ცხადად გრძნობდა. ამაში რომ ბევრს უნებლიეთ ერთგვარი უსამართლობისა და ფინანსიური დატვირთულობის უსწორმასწორობის დანახვა შეეძლო, ეს, როგორც ეტყობა, საეკლესიო კრებასაც მშვენიერად ესმოდა. მისთვისაც ამის გამო ცხადი იყო, რომ ეკლესიას, ქონებრივი, საგადასახადო და მოქალაქეობრივი ტვირთის თავის თავზე აუღებლივ, საქართველოში აღმოცენებული ამ მიმართულება-მოძრაობისა და ატეხილი

გამწვავებული ბრძოლის არამცთუ სრულ მოსპობაზე, არამედ მის შენელებაზეც კი ოცნება არ შეეძლო. ამიტომაც არის, რომ საეკლესიო კრების წევრთ, ზემომოყვანილი მრავალგვარი საბუთიანობის შემდგომ, შაინც აუცილებლად საჭიროდ უცვნიათ თავიანთ ძეგლისწერაში მთავრობისათვის გარკვევით ეცნობებოდათ, რომ ისინი ყოველნაირი ხარკისა და გადასახადების გამოლებას იკისრებდნენ, რაც კი ეკლესიისათვის შეწირულ მიწებს შეხედებოდა. მეფისაგან მირთმეულ განცხადებაში მათ ნათქვამი აქეთ: მოგახსენებთ, რომ საეკლესიო მიწების გაცემის გასამართლებლად «ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებს». რადგან «რააცა საყდართა საქონებელთა ყალანი ჰმართებს, მისნიცა მზღველნი ვართ და არას უკუ-ვადგებიოთ», ხოლო «თქუენსა (იგულისხმება გადასახად-სამსახურს) თქუენნი თქუენთაგან განალამცა გმსახურებლით ძალისაებრ და შეძლებისა ჩუენისა»-ო.

ამგვარად, საქართველოს ეკლესია მეფეთაგან შეწირული მიწების შეუვალობაზე უარს ამბობდა და საგადასახადო ტვირთის ზიდვასაც კისრულობდა. ოღონდ შეწირული მიწები გაუტეველი შეენარჩუნებინა და გაცემული უკან დაებრუნებინა. ამით საეკლესიო კრებას იმ მთავარი მიზეზის მოსპობა უნდოდა, რომლითაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა საეკლესიოდ შეწირული მიწების გაცემის აუცილებლობას ამართლებდა.

მაგრამ საეკლესიო კრება დარწმუნებული არ ყოფილა, რომ საღმრთო წერილზე, ზნეობრავ მოსაზრებებზე და წინანდელ უფლებრივ წესებზე დამყარებული მთელი მისი საბუთიანობაცა და შეუვალობის უპირატესობაზე ნებაყოფლობითი, თუ უნებლიეთი უარისთქმა და საგადასახადო ტვირთის თავის თავზე აღებაც ჯეროვან შთაბეჭდილებას მოახდენდა და ეკლესიის შელახული უფლების აღდგენას ხელს შეუწყობდა. ამიტომ თავის მიმართვაში შეყრილ საზღვდელოებას საჭიროდ დაუნახავს მეფე, მთავრობა და ხალხი გაეფრთხილებინა, რომ თუ საეკლესიო კრების მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნებოდა და შელახული უფლებები აღდგენილი არ იქნებოდა, უკიდურეს საბრძოლველ საშუალებისათვის მიმართვასაც არ დაერიდებოდა. საეკლესიო კრებას უნდოდა ამით ეკლესიის ძალა ყველასთვის ეგრძნობინებინა. საეკლესიო კრების მიმართვა ამის გამო გაფრთხილებითა და მუქარით თავდება და შემდეგნაირად არის დაწერილი: «ესე ამის კრებისა, აწ შეკრებულისა, ძალი ყოველთა შორის საცნაურ იყავნ წმიდისა და თუით-მპყრობელისა მეფეთა-მეფობისა თქუენისა წინაშე», რომ «თუ ღმერთი გურისხავს და მიუღრეკელი და წმიდაა გონებაა თქუენი... მიდრკების და ესე რააც გუიკადრებია და მოგუიკუნებია, არ დაგუეუკრების ჩუენითა წესითა, რააცა დაგუიპირებია, მისნი მქმნელნი ვართ, — არცა მიპრონსა გავჰქსნით, საქართველომსა ეკლესიათა დაეჰბეჰდაეთ, ხუცესთა დაეყენებთ წირვისა და ნათელისა და სამკუდროთა ზიარებისაგანა»-ო.

მაშინდელი შეხედულებით ამ უმკაცრესი სასჯელის საბრძოლველ საშუალებად გამოყენების გასამართლებლად კრების მონაწილეთ აღნიშნული აქვთ, რომ ამის გარდა მათ აღარაფერი დარჩენოდათ: «თუინიერ ამისისა ქნისა სხუისა ღონისა ყოვლისაგან უღონო ვართ»-ო.

საეკლესიო კრების მონაწილენი ეტყობა ერთგვარ უხერხულობასა გრძნობდნენ, რომ მთავრობასა და სამწყსოსთან ქონებრივი საკითხის გამო ასეთი მტრული განწყობილება და განხეთქილება უნდა ჩამოვარდნილიყო, რომ

მთელი თავისივე სამრევლოს დაკრულვა ბოლოს-და-ბოლოს ამქვეყნიური ავლადილების გამო უნდა მომხდარიყო ისე, რომ სამღვდელოების მოქმედება აღამიანს უნებლიეთ ანგარებით ნაკარანხევად შეიძლება სჩვენებოდა. საეკლესიო კრება ცდილობდა მეფისათვის ამ ეკვის უსაფუძვლობა შთაეგონებინა და დაერწმუნებინა: «[არა] თუ ჩუენთვის და ჩუენისა შეძენისათვის ვიწყინებით, მაგრა საღმრთოდ [შე]წირულისა საღმრთოდვე კამს ქონებად და მიყენებად და თუით საყდართა ქონებად დიდად უფრო[ს] თქუენი ქონებაააა-ო.

საეკლესიო კრების მონაწილეთ სურდათ მეფეცა და სხვებიც დაერწმუნებინათ, რომ ანგარება და პირადი საზღვებლობის ინტერესი კი არ აღაპარაკებდათ, არამედ საღმრთო სჯულის დარღვეული კანონების აღდგენის წადილი. თავიანთ განცხადებაში ბოლოს პირდაპირ ნათქვამიცა აქეთ: «საღმრთონი სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობად ბრძანებულან და სადა ღმერთი დაგუქირდების, მუნ ყოველსავე შეურაცხვეყოთ»-ო.

თუმცა საეკლესიო კრების ძეგლისწერაში სხვადასხვა ადგილას აღნიშნულია, რომ სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის უფლებათა შელახვისათვის პასუხისმგებლად თვით მეფე ულუ-დავითსა სთვლიდა, მაგრამ კრების მონაწილეთ ეტყობა უნდოდათ მეფისათვის მაინც ეგრძნობინებინათ, რომ ნამდვილ დამნაშავედ მათ მისი ვაზირები მიაჩნდათ და მთავარი დამნაშავე კი ის ვაზირი იყო, რომელმაც მეფეს შეწირული მიწების გაცემა ფინანსიური გაჭირვების შესამსუბუქებელ საშუალებად წარმოუდგინა. მოხსენების წერის დროს, ამ ვაზირისადმი უაღრესი სიძულელით გამსჭვალულ კრებას იმდენად თავი ვერ შეუკავებია, რომ მას ამ დანაშაულობისათვის ღვთის დიდ რისხვასა და შავბედითს დასასრულს უქადადა: «ღმრთისათვის შეწირულთა ადგილთა ვაზირი მაწუეველი, მაქნეველი და მნებებელი გაცემისაჲ ვითარცა არა ღმრთისაგან რისხეულ იქმნა? და ვინც იკარებს და გაქნევს, — ვითა კეთილის მამოქმედებელს კეთილი ნ[იქი] მიენიჭების ღმრთისა მიერ, ეგრეთვე ბოროტისა მიზეზი ბოროტსა მოისთვლებს»-ო.

## § 7. საეკლესიო კრებისა და ულტიმატუმის შედეგი და საქმის მერმინდელი მიმდინარეობა

გაიმარჯვა თუ არა, საქართველოს სამღვდელოებამ, მიაღწია, თუ არა, თავს მიზანს საეკლესიო კრებამ? მისი ძეგლისწერის დასასრული სიტყვები ისეთი შეურყეველი გადაწყვეტილებით არის გამსჭვალული, რომ უკან დასახევი გზა არა ჩანს. მეფისადმი ნირთმეული ულტიმატუმში ასე თავდებოდა: «აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი და მომლოდენი ამისისა დაურვებისანი ყოველნივე აქა ვართ და ულოცავთ წმიდასა მეფეთ-მეფობასა თქუენსა»-ო.

ბრძოლა იმდენად გამწვავებული იყო, ხოლო მოთხოვნა საეკლესიო კრებას ისე კატეგორიულად ჰქონდა წარმოთქმული, რომ ეს უთანხმოება თითქოს მხოლოდ საქართველოს მთავრობის დათმობას შეეძლო ჩაექრო, რადგან უამისოდ საეკლესიო კრება თავის მუქარის განხორციელებას უნდა შედგომოდა. მაშასადამე, გამოსარკვევია, დაუთმო, თუ არა, საეკლესიო კრებას საქართველოს მთავრობამ და, თუ არა, სახელდობრ რა შედეგი მოჰყვა ამას?

ქართველი ეპითაღმწერელის თხზულებიდანა ჩანს რომ მეფე ულუ-დავითსა და მთავრობას სამღვდელოების მუქარისა არც შეშინებია და არც უკან დაუხევია. პირიქით, მეფეს ამ საკითხში მოქმედების ერთხელ არჩეული

გეზი სიკვდილამდის არ შეუცვლა. ჩვენს ისტორიკოსს ულუ-დავითზე დამტყდარი ოჯახური უბედურება, პირმშო ძის უღროვო სიკვდილი და თვით მეფის მეცლის სნეულებისაგან გარდაცვალება სწორედ ამისთვის მოვლენილ ღვთის რისხვად მიაჩნდა. ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს: ულუ-დავითს რომ მეცლის ავადმყოფობა შეხვდა და მკურნალთა წამლობამაცა და მარტყოფის ხატთან ლოცვამაც ვერა უშველა რა, ადარა პოვა ღვინება ამისთვის, რამეთუ მოაკლო ღმრთის მსახურება და იწყო რღვევად საყდართა და შლად [მონასტერთა]. ამისთვის ალილო ღმერთმან ველი წყალობისა და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო გიორგი, სიკეთე აღმატებული, და აქა მიიცივალა თვითცაა-ო<sup>52</sup>. საკმარისია ამავე ისტორიკოსის საეკლესიო მიწების გაცემის შესახები პირველი ცნობა გავიხსენოთ, სახელდობრ, რომ მასაც საყდართა და მონასტერთა „რღვევა“-სა და „შლა“-ს უწოდებს, რომ ცხადი შეიქმნეს, რომ აქაც სწორედ საეპისკოპოზო საყდრებისა და მონასტრებისათვის შეწირული მიწების გაცემას ჰგულისხმობს. ულუ-დავითს რომ საეკლესიო კრებისათვის დაეთმო და ეკონომიური პოლიტიკა შეეცვალა, ქართველი ისტორიკოსი პირველი ცნობის შემდგომ ამ გარემოებას, უეჭველია, სადმე აღნიშნავდა და მეფის სიკვდილის ამბავში ზემომოყვანილ წინადადებას აღარ ჩაურთავდა. ნაშასადამე, საეკლესიო კრების მთელ საბუთიანობასა, ვედრებასა და მუქარასაც სრულებით ამაოდ ჩაუვლია: საქართველოს მეფისა და მთავრობის ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკა არ შეცვლილა.

რაკი გამოირკვა, რომ საქართველოს მეფემა და მთავრობამ თავისი პოლიტიკა არ შეცვალა და საეკლესიო კრების ულტიმატუმმა, მაშასადამე, ვერ გასჭრა, საინტერესოა, თუ რა გზას დაადგა ამის შემდგომ სამღვდელთა: აასრულა, თუ არა, მან თავისი მუქარა, დაკეტა, თუ არა, ყველა ეკლესია, შეაჩერა, თუ არა, საიდუმლოებათა აღსრულება?

საეკლესიო კრების ძეგლისწერის ის ნაწილი, სადაც ამ უკიდურეს საშუალებაზეა საუბარი, ისე გადაჭრით არის გამოთქმული, რომ მთავრობისაგან უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე, საფიქრებელი იყო, რომ მუქარა ასრულებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველი ჟამთააღმწერელი ამაზე არაფერს ამბობს. ასეთი არაჩვეულებრივი ამბავი კი რომ საქართველოში დატრიალებულიყო, სრულებით დაუჭერებელია, რომ ამის შესახებ რაიმე ცნობა არ ჰქონოდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ, დინჯი მსჯელობის შემდგომ, საეკლესიო კრებას ასეთი უკიდურესი საშუალების საბრძოლველ იარაღად გამოყენება სახიფათოდ მიუჩნევია და მუქარის განხორციელებას არ შესდგომია.

თუ ამ საეკლესიო კრების ძეგლისწერასა და მიმართვას ჩაუუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ უკვე პირველი მსჯელობის დროსვე კრებას ამ საშუალებისათვის მიმართვის მთელი საშიშროება კარგად ჰქონია გათვალისწინებული და ეს მუქარა, როგორც ეტყობა, იმდენად განსახორციელებლად არ ჰქონია განზრახული, რამდენადაც მეფისა და სამწყსოს შესაძრწუნებლად და შესაშინებლად ნახმარი ფანდი იყო. საეკლესიო კრების მეფისადმი მირთმეულ ულტიმატუმში მუქარას შედგევი დამახასიათებელი სიტყვები მისდევდა: ადა ნუ თუ ამისითა ქნითა (ე. ი. ეკლესიების დაკეტვითა და შეჩვენებით) სხუა

სკულთა და სხვა ტომთაგან მეფობასა თქუენსა საწყინო რამე შემოუვიდეს და სკულიცა ჩუენი დაკნინდეს? ეზომისა კანდიერებისა და წყენისა კადრებისათუის, ვითა საშინელისა ღმრთისა საშინელებათაგან ვძრწით და ვიშიშვით»-ო.

ზემომოყვანილი წინადადებიდან ცხადად ჩანს, რომ საეკლესიო კრებას ესმოდა, თუ რამდენად საწინააღმდეგო საშუალება იყო ის, რის განხორციელება-საც მეფესა და სამწყსოს ემუქრებოდა, და, ეტყობა, გრძნობდა, რომ ამით შესაძლებელი იყო თვით ეკლესიასვე ეზარალა და უფრო უარესად დაცემულ-დაკნინებულიყო. ცხადია ამავე შიშმა და შეგნებამ დაიცვა კრება ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმისაგანაც.

როგორც მეგრძოლი და მეომარი, რომელსაც მოწინააღმდეგისაგან შიში და ძრწოლა ვერ დაუმაღავს, თავისი მღელვარების გამოძეგნებით თავისივე მტერის გამბედაობას აძლიერებს, ისევე საეკლესიო კრების მიმართავში შეჩვენების მუქარის შემდგომ შიშისა და ძრწოლის შესახები წინადადებისა და ცნობის ამოკითხვა მეფეს და საქართველოს მთავრობას დაარწმუნებდა, რომ ეკლესიის მუქარა საშიშარს არაფერს არ წარმოადგენდა. ამიტომ შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ საეკლესიო კრებამ თავის დამარცხებას ნაწილობრივ თითონაც შეუწყო ხელი.

## § 8. შურისძიება მარცხისთვის

ეკლესია და ეკლესიის მსახურნი თავის ასეთ დამარცხებასა და დამცი-რებას, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ: მათი გული სა-ეკლესიო მიწების გაცემის გეგმის შემმუშავებელისა და განმხორციელებელ-სადმი, რა თქმა უნდა, წყრომითა და სიძულვილით წინანდელზე უფრო მეტად იქნებოდა აესებული. მართლაც, ზევით უკვე გვქონდა ულუ-დავითის სიკვდი-ლის შესახებ ქართველი ჟამთააღმწერელისა, თუ მისი წყაროს ცნობა მოყვანილი, სადაც მეფის სენისაგან განუკურნებლობა და სიკვდილი საეკლესიო მიწების გაცემისათვის ღვთაებისაგან მოვლენილ რისხვადა და სასჯელად არის წარმოდგენილი. ამასთანავე აღსანიშნავია ის განზრახვი გაზვიადებაც, რო-გორადაც მეფეთაგან საეკლესიოდ შეწირული მამულების გაცემის ამბავია მოთხრობილი, როდესაც საქმის ნამდვილი ვითარების გადმოცემის მაგიერ, მთელი ეს ეკონომიურ-ფინანსიური ღონეობა ნაწოდებია „შლად საყდართა საებისკოპოსოთა“<sup>53</sup>, ანდა „რღვევად საყდართა და შლად“<sup>54</sup>. ამასვე უნდა ჰგულისხმობდეს ჩვენი ისტორიკოსი, როდესაც ულუ-დავითზე ამბობს «მო-აკლო ღმრთის მსახურებას»-ო<sup>55</sup>.

თუ სამღვდელოების მძულვარებამ მეფის პიროვნებაც კი არ დაინდო, ადვილი წარმოსადგენელია, რაოდენი შხამი იქნებოდა დანთხეული საქართვე-ლოს მაშინდელი მთავრობის იმ ვაზირთა-უპირველესის განსაქიქებლად და გა-პირშავებისათვის, რომელიც საეკლესიო უძრავი ქონების გაცემის „მნებე-ბელი“, „მაწვეველი“ და ნამდვილი „მაქნეველი“ იყო. აკი მას მისი მომავალი

53 ჟამთააღმწერელი, \*გვ. 696.

54 იქვე, \*867. გვ. 711.

55 იქვე, \*867. გვ. 711.

ჯერ კიდევ საეკლესიო კრებამ გაუთვალისწინა და უწინასწარმეტყველა, რომ „ბოროტისა მიზეზი ბოროტსა მოისთულებს“-ო! და აი მართლაც, ყოვლად ძლიერი და გაბედული ვაზირთა-უპირველესისა და მწიგნობართ-უხუცესის ჭყონდიდელ-უჯარმელის, ბასილის, ბედიც ხომ უკუღმა დატრიალდა!...

ყამთაალმწერელი მოგვითხრობს, რომ ბასილზე ხმა გაუვრცელებიათ; «სიტყუაყა იყო, ესუქნის (დედოფალს) თანა-ეყო. ამისთჳს შესმენილ იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელმან სწრაფლ მოიყუანა და ბრძანა ძელსა დამოკიდება. დამოჰტიდეს ძელსა შუა ქალაქსა»-ო<sup>56</sup>. ამ ამბავს ჩვენი ავტორი კვლავ უბრუნდება და იქ ზოგიერთი უფრო ვრცელი ცნობა. მისი სიტყვით, ბასილი უჯარმელი «მოაკუდინა მეფემან უწესოებისათჳს: თანა-ეყო ბასილი ესუქნის და არა ჰრიდა საწოლსა პატროსანსა მეფისასა, ჩოკანიცა აღიკადნა და მთავრობაც მიიტაცა, — ამის უწესოებისათჳს მოიკლა ბასილი»-ო<sup>57</sup>.

ულუ-დავითთან ბასილი, მაშასადამე, დაუსმენიათ, დედოფალთან სქესობრივი კავშირი აქვსო. ეს დასმენა ხმებზე და ჭორებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული: ამას ყამთაალმწერელის გამონათქვამიც ჰმონწილავს «სიტყუაყა იყო»-ო. ამ ბრალდების საფუძვლიანობა რომ თვით მასაც არ სჯეროდა, ამას ჩვენი ისტორიკოსის უკანასკნელი სიტყვებიც ცხად-ჰყოფენ. იმ საშინელი სასჯელის მოხსენების შემდგომ, რომლითაც ულუ-დავითს საქართველოს ვაზირთა-უპირველესი დაუსჯია, მას ასეთი მეტად დამახასიათებელი წინადადება აქვს დართული: «რამეთუ იყო მეფე მალე-მორწმუნე და ლიტონიცა»-ო<sup>58</sup>. ამგვარად, მეფე რომ ასეთი გულუბრყვილო არ ყოფილიყო და ისეთი ხასიათი არ ჰქონოდა, რომ ყველაფერს, რასაც-კი ეტყოდნენ, ადვილად იჯერებდა, შესაძლებელია საქმე არ დატრიალებულიყო. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ საეკლესიო მიწების გაცემის „მნებებელი“, „მაწვეველი“ და „მაქნეველი“, როგორც დავრწმუნდით, ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი უნდა ყოფილიყო, რომლისადმი ამის გამოც და იმიტომაც, რომ სასულიერო ტანისამოსის გახდა და საეროს ჩაცმაც გაბედა სამღვდელოების მთელი სიძულვილი იქნებოდა მიმართული, მაშინ შესაძლებელია ისეთი ეჭვიც კი წამოიჭრას, რომ ეგების ვაზირთა-უპირველესზე საბედისწერო ჭორებისა და ხმების გასავრცელებლად ნიადაგი სწორედ საეკლესიო მიწების გაცემით აღძრული ძლიერი სიძულვილით იყო მომზადებულ-გაპოზირებული.

<sup>56</sup> ყამთაალმწერელი, \*846, გვ. 691.

<sup>57</sup> იქვე, \*867, გვ. 712.

<sup>58</sup> იქვე, \*846, გვ. 692.



## ხელშეწყობის კარის განრიგება

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### „ხელშეწყობის კარის განრიგების“ ტექსტის ნაწილები და მათი თავდაპირველი აღნიშვნები

კ. განრიგების ტექსტის თავდაპირველი დალაგებულობის საკითხთან ყველაზე მნიშვნელოვანია დარბაზობის წესის მთელი შედგენილობა და მისი პირველადი ადგილი. დიდი დარბაზობის გარდა, ათორმეტ დიდ დღესასწაულებთან დაკავშირებული წესებიც დარბაზობის განგებისა და წესრიგის აღწერილობას ეკუთვნოდა, თუ არა? თუმცა ამ დღესასწაულების განრიგების შემცველ მთელ ტექსტს არ მოუღწევია ჩვენამდის, მაგრამ მისი გადარჩენილი ნაწილის გულდასმითი შესწავლა ადამიანს დაარწმუნებს, რომ დღესასწაულების განრიგება უეჭველია დარბაზობის წესრიგის განრიგების ნაწილი ყოფილა. ეს განცხადების, ანუ ნათლისღების დღესასწაულის განრიგებიდან ჩანს, რადგან იქ სხვათა შორის ნათქვამია: განცხადების დღეს «დარბაზობა ვითარცა მეფის ეპრიანოს, დიდისა წესითა და თუ უმცროსითა, ვითარცა და წესი იყოს იქნას»-ო (§ 3, სტრ. 26—27). ამჟამად ამას მე-4 მუხლად მიჩნეული ტექსტი მისდევს, რომელშიც ნათქვამია: «ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილანორსა არტყია დარბაზობასა ზედა»-ო (§ 4, სტრ. 28—29). ზემომოყვანილიდან ცხადი გახდება, რომ ზემოთაც დარბაზობაზე ყოფილა საუბარი და დღესასწაულების განრიგებაშიც ამა თუ იმ წესით დარბაზობის მოწყობა ნახსენები ყოფილა.

ამავე გარემოებას ძღვენის შესახები ცნობების შემცველი 28-ე და 29-ე §-იც ამჟღავნებენ: 29-ე §-ის ბოლოში პირდაპირ არის ნათქვამი: «დასრულდა დარბაზობის წესი»-ო (§ 29, სტრ. 380). ამ ორს §-ში, რომელნიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, ჯერ „ძღვენი საწმელისწმელთაო“-ა აღწერილი, ხოლო შემდეგ «სანახავი ძღვენი» (სტრ. 369—ბოლომდე 380-მდე) პირველი ახალწლის დღესასწაულთან არის დაკავშირებული, მეორე—მცირე დარბაზობასთან.

რაკი უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ ხელშეწყობის კარის განრიგებაში დიდი დღესასწაულების წესის განრიგება დარბაზობის წესის განრიგების ნაწილად და მის ერთ-ერთ შემადგენელთაგანად ყოფილა მიჩნეული, რომ ამ ძეგლის ავტორსაც თავდაპირველად სწორედ ასე ჰქონია აღწერილი, ეხლა მხოლოდ ისდაა გამოსარკვევი, თუ დარბაზობის განრიგების სახელდობრ რომელ ადგილას, თავში, შუაში თუ ბოლოში ყოფილა იგი თავდაპირველად მოთავსებული.

გადარჩენილ ხელნაწერებში ამჟამად დღესასწაულების წესის განრიგება თავშია მოთავსებული (გვ. 1—3, § 1—7), დარბაზობის დაცული ტექსტი კი გაცილებით უფრო გვიან იწყება, სახელდობრ მხოლოდ 279 სტრიქონიდან და 29-ე წ-ით თავდება.

დღესასწაულების განრიგებასა და დარბაზობას შუა ვაზირთა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ტექსტია მოთავსებული, რომელსაც თითქმის სრული 9 დაბეჭდილი გვერდი უკავია (სტრიქ. 52—278). ცხადია, რომ შეუძლებელია ტექსტის ნაწილების ადგილმდებარეობა თავდაპირველადაც ასე არეული უოფილიყო და დარბაზობის ნაწილში ასე უალაგო ალაგას ვაზირთა უფლება-მოვალეობის შემცველი ტექსტი უოფილიყო ჩაჩხირული. ამიტომ უპირველესად უნდა დავასკვნათ, რომ ვაზირთა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ნაწილი თავის თავდაპირველ ადგილას არ არის, არამედ შეცდომითაა დარბაზობის განრიგებაში ჩართული. ალბათ, ერთ-ერთი გადამწერის ხელში მყოფი „ხელმწიფის კარის განრიგების“ დედნის დაზიანებულობისა და ფურცლების არეულობის გამო.

ვაზირთა და სხვა მოხელეთა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ნაწილების გამოყოფის შემდგომ, უნდა დარბაზობის განრიგების ორი ნაწილის ადგილმდებარეობის გამორკვევას შევეუდგეთ, სახელდობრ, დღესასწაულების წესები, ისევე, დარბაზობის წინ იყო მოთავსებული, როგორც ამჟამადაა, თუ პირიქით წინაუქმო?

უკვე ის გარემოებაც, რომ განცხადების, ანუ ნათლისღების წესის აღწერილობაში ნათქვამია, დარბაზობა ამ დღეს, როგორც მეფეს ენებოს, დიდითა, თუ უმცროსითა წესითა, ესე იქნეს მოწყობილიო (§ 3, სტრ. 26—27), გვაგულისხმებინებს, რომ დარბაზობის ამ ორსავე წესზე ზემომოყვანილ სიტყვების ნეკცველ მუხლზე უწინარეს უკვე უნდა ჰქონოდა საუბარი. უფრო გარკვევით ეს მომდევნო მე-4 და მე-5 მუხლების შინაარსით მეტადრე პირველი ამათგანის დასაწყისი წინადადებით მტკიცდება. იქ ნათქვამია: «ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა»-ო (სტრ. 28—29).

ავტორის ამ სიტყვებიდან უცილობლად ირკვევა, რომ ზემოთ სწორედ დარბაზობის განრიგება ყოფილა მოთავსებული. დაცულ ხელნაწერში კი არც განცხადებისა და არც საწელიწდისთაო დღესასწაულის წესებში დარბაზობის არავითარი აღწერილობა არ მოიპოვება. რაკი დღესასწაულების წესებში პირველად ექვევლია ახალწლის ზნეჩვეულებების აღწერილობა იქნებოდა მოთავსებული, რადგან დღესასწაულთა შორის პირველი იყო, და ხელნაწერშიც ისევეა დაცული, ამიტომ ცხადია, რომ „კარის განრიგების“ ავტორისთვის სიტყვებში „ეს ზემოთ დამაკლდა“-ო „ზემოთ“-ად დღესასწაულების წესების შემცველი ნაწილი კი არ უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი, არამედ ამ ნაწილზე უწინარეს მდებარე. მაშასადამე, ამისდა მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ რომ „კარის განრიგების“ თავდაპირველ ტექსტში ჯერ დარბაზობის განრიგება ყოფილა მოთავსებული, ხოლო შემდეგ უკვე დიდი დღესასწაულების წესები, რომელთა აღწერილობით დარბაზობის მთელი განრიგება თავდებოდა კიდევაც.

დღესასწაულების წესები რომ დარბაზობის განრიგების სწორედ ბოლოში იყო მოთავსებული, ეს ამ ძეგლის ჩვენამდე მოღწეული ტექსტიდანაც

ჩანს: საწელიწდოსთავო და სანახავი ძღვენის შესახები ცნობების შემცველი § 28—29-ის ბოლოში სწერია «დასრულდა დარბაზობის წესი»-ო.

რაკი გამოირკვა, რომ „ხელმწიფის კარის“ განრიგება ორი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა, იბადება საკითხი, თუ თავდაპირველად როგორ უნდა ყოფილიყო ეს ნაწილები დალაგებული, სახელდობრ, ვაზირების უფლება-მოვალეობათა აღმწესხველი და ვაზრობის აღმწერი ნაწილები დარბაზობის წესრიგისა და დღესასწაულების მომხრობელ ნაწილს უსწრებდა, თუ პირიქით ჯერ დარბაზობაზე იყო საუბარი, ხოლო შემდეგ მოხელეთა ხელისუფლებასა და ვაზრობას ჰქონდა ადგილი დათმობილი.

თეორიული მსჯელობით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ პირველად მოხელობაზე იქნებოდა ლაპარაკი, მერმე კი დარბაზობაზე, რადგან დარბაზობის წესრიგის ჯეროვნად გასაგებად მოხელეთა უფლება-მოვალეობის ცოდნა იყო საჭირო. მაგრამ ეს თეორიული მოსაზრება ამ ძეგლის ტექსტის აწინდელი დალაგებულობით არ მართლდება. ამჟამად ჯერ დარბაზობის დარჩენილი ნაწილია, შემდეგ ვაზირების ხელისუფლებასა და მათ ქვეშეთს მოხელეებზეა საუბარი, მერმე ისევ დიდი დარბაზობის წესის ნაწყვეტი მისდევს და მარტო ამის ბოლოს იწყება, რომელიც თითქოს უცნაურად მეფის შეკაზმასთან არის დაკავშირებული: «აწე ვიწყეთ შეკაზმა მეფისა და ვაზრობისა»-ო (§ 35, სტრ. 458).

ამნაირად, ჯერ დარბაზობაა, შემდეგ ვაზრობა. საფიქრებელია, რომ «ხელმწიფის კარის განრიგების» თვით ავტორსაც ასევე ექნებოდა თავისი ნაშრომი დალაგებული, რადგან მისი ძვალსაზრისი, ვითარცა დარბაზობის ერთი მოხელეთაგანის, წმინდა პრაქტიკული იყო: მისთვის დარბაზობის აღწერილობას, როგორც უფრო რთულ საქმეს, უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა. სახელმწიფო წესწყობილების ნბრევაც დარბაზობა, ვითარცა უზენაესი ორგანოს სხდომა, ვაზრობაზე მალა იდგა. საგულისხმოა, ვახტანგ VI-მაც თავისს «დასტურლამალში» სასახლეებისა და მეჭლისის წესრიგი განსაზღვრა და აღწერა, ხოლო შემდეგ უკვე მოხელეთა უფლება-მოვალეობაა მოწესრიგებული.

ისევე როგორც დარბაზობა-დღესასწაულების შემცველი ნაწილის ტექსტის ოდინდელი დალაგებულობა გვაქვს გამორკვეული, მოხელეთა და ვაზრობის შესახები ნაწილის ტექსტის პირვანდელი თანამიმდევრობაც უნდა ვიცოდეთ.

ამჟამად «აღვსების საკითხავის» ცნობებს უშუალოდ მისდევს მუხლი, რომელიც ქუონდიდელის სამოსამართლო ხელისუფლებას ახასიათებს: «ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააქო კარსა შიგან დაჯდების, ოხოლთა და ჰვრივთა განიკითხავს»-ო (§ 8). ცხადია, რომ ვაზირთა-უპირველესის უფლება-მოვალეობის მომხრობელი ნაკვეთი შეუძლებელია თავდაპირველადაც ასე უშესავლო განმარტებითა და წინადადებით ყოფილიყო დაწერილი.

ვინც ქართული სამართლის დაწერილობის წესი იცის (იხ. ჩემი „ქართული სამართლის ისტორია 1), მისთვის ამ აზრს დასაბუთება არ დასჭირდება, მაგრამ სკობია ამ საკითხს აქაც შევეხოთ. „ხელმწიფის კარის განრიგება“, როგორც ცნობილია, ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლი არ არის, არამედ დარბაზის კარსა მყოფი მანდატურთ-უხუცესის ხელქვეშეთი ერთ-ერთი მოხელის ნაშრომია (იხ. იქვე), ამის გამო ბუნებრივად შესაძლებელია ადა-

ნიანს ექვი დაებადოს, რომ ასე ცალკეული მწერლისათვისაც, როგორც „ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორი იყო, ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში გაბატონებული წერის წესი სავალდებულო ყოფილიყოს, ანუ უფრო სწორად ითქვას, თავისთვის სავალდებულოდ მიეჩნის. სწორედ ასეთი ექვის თავიდან ასაცილებლად უკანასკნელი გარემოება უნდა იქნეს გამორკვეული.

ვაზირთა ხელისუფლების განმსაზღვრელი ნაწილის იმ ადგილებიდან, რომლებშიც ამა თუ იმ ვაზირის უფლება-მოვალეობის შესახები ცნობის დასაწყისი დაცულია, შემდეგი სურათი ეშლება ადამიანს. ნაკვეთი მსახურთ-უხუცესის შესახებ ასე იწყება: «აწ ვთქვათ მსახურთ-უხუცესი ვაზირია და მისისა კელისა არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი, ფარეშთ-უხუცესი, ციცივთ-უხუცესი, მეხილეთ-უხუცესი საწოლისა და სალაროს, მეფის შეკაზმამდის, ამათია საურავი და ზღვენი მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა [და] მოლარეთ უხუცესისა»-ო... (§ 14, სტრ. 107—111).

ამნაირადვე მეჭურჭლეთ-უხუცესის ხელისუფლების აღმნუსხველი ნაკვეთი ასე იწყება: «დიდი არის მეჭურჭლეთ უხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვაზირი იყო<sup>1</sup>, და ესა და ეს დაწყებულეებანი და მოხელენი «მისისა კელისა არიან»-ო (სტრ. 177—179).

ამირსპასალარის შესახები ნაკვეთის თავშიც ნათქვამი აქვს: «ლაშქრობა და ლაშქრობის ვაზრობა ამირსპასალარის კელთ არის. მას წინ არავინ იტყუს, რამ ვაზრობა იყოს, და ამილახორი ვაზირი არის ამირსპასალარისა და ამის კელისაა მეაბჯრეთ-უხუცესიცა. მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრენი და მესარტყლენი და საჯინბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის კელისანი არიან» (§ 18, სტრ. 193—197).

ზემომოყვანილი ამონაწერები ადამიანს დაარწმუნებს, რომ ვაზირთა ხელისუფლების მომთხრობელი თითოეული ნაკვეთი ჯერ ზოგადი ცნობებით იწყება, ხოლო შემდეგ უკვე ცალკეულ საკითხებზე აქვს ხოლმე „ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორსაც საუბარი. ამ გარემოების გამორკვევის შემდგომ სრულებით დაუჭერებელია, რომ ამავე პირს მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა-უპირველესის უფლება-მოვალეობის მოთხრობა, ზემომოყვანილი ამონაწერის მსგავსად, ცალკეული საკითხით, ჭყონდიდლის სამოსამართლო ფუნქციებით დაეწყოს და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობის შესახებ ზოგადი ცნობების მოთავსება სწორედ აქ დაპიწყებოდეს. ამიტომ ცხადია, რომ მოხელეთა და ვაზრობის შესახებ ნაწილს დასაწყისი აკლია და დაკარგული უჩანს.

ცნობილია, რომ მწიგნობართ-უხუცესის ხელისუფლების შესახები ნაკვეთი მის ქვეშეთ მწიგნობართათვის განკუთვნილი ქალაქის ოდენობაზე მომთხრობს წინადადებაზე ისე წყდება, რომ უკანასკნელი წინადადება დამთავრებული არც-კია, რადგან შემდეგ ხელთნაწერს ხუთი ფურცელი ანუ 10 გვერდი აკლია. ამის მომდევნო შერჩენილ ფურცელზე კი „ხელმწიფის კარის განრიგების“ ტექსტი აგრეთვე ნაკლოვანი წინადადებით იწყება, რომლისაგანაც ორი უკანასკნელი სიტყვადაა გადარჩენილი: «...ანგარიშს აიღებს»-ო, ამის შემდეგი დანაშავე ხაბაზის დასჯას ეხება (§ 10), რომლის შინაარსიდან არც

<sup>1</sup> ხელთნაწერში შეცდომით: „არის“.

ესა ჩანს, თუ ანგარიშს ვინ და რისას აიღებდა, არც ბრალდებული თუ დამნაშავე ხაბაზის განმსჯელ და დამსჯელად ვინ ივლისსმება. მომდევნო, მე-11 §-ი კი მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლებაზე მოგვითხრობს. რაკი დანარჩენი ორი მე-12 და მე-13 §-ებიც მანდატურთ-უხუცესის ხელქვეშეთ მოხელეებსა და დაწესებულებებს ეხება, ამიტომ დაკარგული ხუთი ფურცლის მომდევნო გადარჩენილ ფურცლებზე ზემოდასახელებული ნაკვთები უფლება გვაქვს მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლების განმსაზღვრელი ნაწილის ნაწყვეტად, სახელდობრ დასასრულად მივიჩნიოთ.

თუ გავიხსენებთ, რომ ამ ნაწილს მანდატურთ-უხუცესის უფლება-მოვალეობაზე მეტად მცირე ცნობები მოეპოვება, ზოგად დებულებათა შემცველი შესავალიც არსად უჩანს, მაშინ ჩვენთვის უცილობელი შეიქმნება, რომ მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლების მაუწყებელი ტექსტის უდიდესი ნაწილი დაკარგულია. უეჭველია, ეს იმ ხუთი ფურცლის უკანასკნელ გვერდებზე იქნებოდა მოთავსებული, რომლებიც ხელთნაწერს აკლია.

რა თქმა უნდა, ამ ხუთ ფურცელზე მარტო მწიგნობართ-უხუცესის ხელისუფლების განსაზღვრის დანაკლისი ნაწილი დასასრულიანად და მანდატურთ-უხუცესის უფლება-მოვალეობის შესახები ცნობის დასაწყისი არ იქნებოდა. ამიტომაც უნდა გამოირკვეს, თუ რომელი ვაზირებისა და მათ ქვეშეთი დაწესებულებისა და მოხელეების შესახებ უნდა ყოფილიყო იქ ცნობები და რა თანმიმდევროებით.

იმ ხანაში. როდესაც „ხელმწიფის კარის განრიგება“ იყო დაწერილი, საქართველოში სულ 6 ვაზირი იყო: მწიგნობართ-უხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, მანდატურთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი. ჩვენი ძეგლის გადარჩენილ ტექსტში კი ათაბაგის უფლება-მოვალეობის შესახებ ერთი სიტყვაც არ მოიპოვება. ეს ვაზირი მხოლოდ დარბაზობა-პურობისა და საეაზიროს სხდომის აღწერილობაშია მოხსენებული სხვებთან ერთად. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ათაბაგის ხელისუფლების განმსაზღვრელი ნაწილი მთლიანად აკლია და დაკარგულია.

ძალიან მოკლეა ცნობა მეჭურჭლეთ-უხუცესზეც, რომლის მოცულობაც მხოლოდ 14 დაბეჭდილ სტრიქონს უდრის (178—192). იმ დიდი მეურნეობისა და რთული მოვალეობის გამო, რომელიც საქართველს ფინანსთა მინისტრს ჰქონდა მინდობილი, სრულებით დაუჩერებელია, რომ „ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორს მეჭურჭლეთ-უხუცესზე შერჩენილზე მეტი არაფერი ჰქონოდა ნათქვამი. მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავალი საფრანგეთზე უფრო დიდი ჰქონდა (იხ. აკად. ვ. ბარტჰოლდის გამოკვლევა „აღმოსავლეთის“ და ჩემი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“). ცხადია, რომ მეჭურჭლეთ-უხუცესის ხელისუფლება დიდი და ფართო უნდა ყოფილიყო. თვით „ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორსაც ხომ აქვს აღნიშნული, რომ «დიდი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი», რომ მეჭურჭლეთ-უხუცესი ძველი ვაზირი არის საპატიო“-ო (სტრ. 178 და 482). ამიტომ უეჭველია მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ ოდინდელ ნაწილთაგან მხოლოდ მცირედი ნაწყვეტი-ღა უნდა იყოს გადარჩენილი, უდიდესი კი აკლია.

შედარებით ცოტაა ცნობები ჩვენს ძეგლში ამირსპასალარის უფლება-მოვალეობის შესახებ, მაგრამ იმით, რომ სწორედ აქ ხელთნაწერს ექვსი ფურცელი, ანუ 12 გვერდი მთლიანად აკლია (იხ. § 18).

მსახურთ-უხუცესის ხელისუფლების აღმნუსხველი ნაწილის დასაწყისი თუმცა გადარჩენილია და დანარჩენიც შედარებით უხვს ცნობებს შეიცავს (იხ. § 14—§ 17 სტრ. 177-მდე და ვგონებ § 19—20, სტრ. 233—278-მდეც), მაგრამ ამისდა მიუხედავად ამ ნაწილსაც ძალიან ბევრი უნდა აკლდეს. საკმარისია თუნდაც აღინიშნოს, რომ მაშინდელ საქართველოში მრავლად არსებულ საფარეშოებზე თითქმის არაფერია ნათქვამი. მთელი ეს ნაკვეთი ბევრ სწავსთან ერთად, როგორც ჩანს, დაკარგული უნდა იყოს.

მაგრამ თუ მწიგნობართ-უხუცესისა და მანდატურთ-უხუცესის, ისევე როგორც ამირსპასალარისა და ნაწილობრივ მსახურთ-უხუცესის, ხელისუფალთა ვანსაზღვრის ნაწილების დანაკლისი ხელთნაწერის დაზიანებულობის და ფურცლების დაკარგვის შედეგია, მწიგნობართ-უხუცესის შესახების მთელი უდიდესი ნახევრის დაკარგულობა აწინდელი ხელთნაწერის ბრალი არის, რადგან ამ ადგილებში ხელთნაწერის ფურცლები არეულად არის დაცული. როგორც ჩანს, ამ ხელთნაწერის თვითგადამწერს „ხელმწიფის კარის განრიგების“ ტექსტის უკვე დაზიანებული და არეული დედანი ჰქონია ხელთ.

დაკარგული ფურცლების შინაარსისაცა და ამ ძეგლის თავდაპირველი დედნის ტექსტის აღსადგენადაც მოხელეთა ხელისუფლების განმსაზღვრელი ცნობების ყველა ნაწილების დალაგებულობის თანამიმდევროების გამოკვლევა საჭირო. ამისთვის კი უნდა გათვალისწინებული გვექონდეს ის ძირითადი მოსაზრებანი, რომლებითაც „ხელმწიფის კარის განრიგების“ შემდგენელს თავის ნაშრომის ამ ნაწილის წერის დროს შეეძლო ეხელმძღვანელა. ვითარცა დარბაზობის ცერემონიალთან დაკავშირებულ მოხელეს, „ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორს საფიქრებელია უპირველესად თავისი ცოდნითა და გამოცდილებით უნდა ეხელმძღვანელა. ამიტომ ვაზირთა უფლება-მოვალეობაზე მსჯელობის დროს ჩვეულებისამებრ ის იმ რიგს მიჰყვებოდა, რომელიც დარბაზობისა და ვაზირობის დროს იყო დაკანონებული. ეს წესრიგი კი პოლიანად ხელისუფალთა უფროს-უმცროსობის პრინციპზე იყო დამყარებული. ამ მოსაზრებისდა მიხედვით შესაძლებელია ვითქვით, რომ ავტორს ჩვენი ძეგლის ეს ნაწილი ვაზირთა უფროს-უმცროსობისდა მიხედვით ექნებოდა მოთხრობილი.

მაგრამ შესაძლებელია „ხელმწიფის კარის განრიგების“ შემდგენელს იმ წესრიგითაც ეხელმძღვანელა, რომელიც ამავე შინაარსის უფრო ადრინდელს, ნის ხელთაწყოვს. წყაროებში იყო მიღებული. ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორის მოთხრობის თანამიმდევროება მისდა უნებლიედ ვაზირთა ხელისუფლების ისტორიული განვითარების აღმბეჭდველი იქნებოდა.

დასასრულ, შესაძლებელია „ხელმწიფის კარის განრიგების“ შემდგენელს წმინდა პრაქტიკული მოსაზრებითაც ეხელმძღვანელა და პირველად იმ ვაზირების უფლება-მოვალეობაზე ემსჯელა, რომელნიც სახელმწიფო დარბაზობასთან სხვებზე უფრო ახლო იდგნენ. მაშინ, რა თქმა უნდა, უწინარესად მწიგნობართ-უხუცესისა, მსახურთ-უხუცესისა და მანდატურთ-უხუცესზე ჩანოაგდებდა საუბარს.

ამ სამ შესაძლებლობათაგან მეორე ყველაზე ძნელი დასაჭერებელია, რადგან „ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორს, რასაკვირველია, დაწესე-

ბულებათა ისტორია კი არ აინტერესებდა, არამედ მხოლოდ თავის ამბები. ის მარტო მაშინ აგონდება და დასახელებული აქვს, როდესაც რაიმე სიტყვა საკამათოდ ქვეულ საკითხზე ჩამოვარდებოდა. ამიტომ ანგარიშგასაწევი მხოლოდ პირველი და მესამე შესაძლებლობაა. ის საკითხი, თუ რომელს მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და ჩვენი ძეგლის ავტორისაგან თავისთვის ხელმძღვანელ დებულებად მიჩნეულ იქნეს უეჭველია, იმისდაგვარად უნდა გადაწყდეს, თუ სხვა შემთხვევაში და „ხელმწიფის კარის განრიგების“ გადარჩენილ სხვადასხვა ადგილას თავისი თხრობის რა წესს მისდევს. ამისდა მიხედვით უფრო მეტი უფლება გვექნება დაეასკვნათ, რომ ხელისუფალთა უფლება-მოვალეობაზე საუბრის დროსაც თავის თხრობას ამავე წესით დაალაგებდა.

„ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხისათვის სრულებით გარკვეული ცნობები სავაზიროს სხდომის აღწერილობაში ნოემოვება. თუმცა მას აღნიშნული აქვს, რომ „ჰყონდიდელი მამა არს მეფისა“, ხოლო „ათაბაგი ახალი“ მწიგნობართ-უხუცესისა, ამირსპასალარისა, მანდატურთ-უხუცესისა და მეჭურჭლეთ-უხუცესთან შედარებით, რომ «ამირსპასალარი სპატიო ვაჭირი არის» და «მისი პატივი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის», რომ «მეჭურჭლეთ-უხუცესი ძველი ვაჭირი არის სპატიო», მსახურთ-უხუცესის გავაზირება შედარებით ყველაზე ახალი ამბავი იყო, რადგან პირველად ეს ხელისუფალი «რუსუდან მეფესა შეუყვანია სავაზიროსა»-ო (§ 36). მაგრამ ჩვენივე ავტორის სიტყვიდან ჩანს, რომ ყველა ამისდა მიუხედავად ვაზირთა უფროს-უმცროსობა და სავაზიროში მათი ჯდომის წესი ხელისუფლებს სიძველის პრინციპის მიხედვით არ ყოფილა განსაზღვრული.

სავაზიროს სხდომის დროს იქ, სადაც მეფე იჯდა, იმის „პირისპირა“ ნიხით მომრგვალებით დაფენილი ფერხედი სუფრის თავს დადგმულ სელებზე ესხდნენ ვაზირები. თითოეულს მათგანს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. როდესაც სავაზიროს სხდომა უნდა დაწყებულიყო, პირველი ადგილი ვაზირთა-უხუცესს, მწიგნობართა-უხუცესს ჰყონდიდელს უნდა დაეკავებინა, შემდეგ კი ათაბაგსა და ამირსპასალარს, მეჭურჭლეთ-უხუცესსაც და დანარჩენ წევრებსაც მოიწვევდნენ თავ-თავიანთ ადგილას დასაჯდომად. „ხელმწიფის კარის განრიგების“ ავტორს ისიც, თუ რომელი ვაზირი სად იჯდა. საკმაოდ გარკვევით აქვს აღნიშნული. მას ნათქვამი აქვს: «ჰყონდიდელს ქვემოთ... ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენ», ხოლო «მსახურთ-უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცესისა გვერდით ზის ვაზირობასა ზედან»-ო (§ 36, სტრ. 475—476 და 485—486). ჩვენი ძეგლის ავტორს, თუ უფრო მისი ნაშრომის გადამწერს. რატომღაც მხოლოდ მანდატურთ-უხუცესის ადგილს დასახელება დაეწეებია. მაგრამ ამის გამორკვევა ადვილია, რადგან, როგორც დაერწმუნდით. თვით მასვე აქვს ნათქვამი, რომ «პატივი ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის». ცხადია, რომ ამისდა მიხედვით მანდატურთ-უხუცესი უნდა ამირსპასალარის გვერდით მჯდარიყო. მაშასადამე. ვაზირთა უფროს-უმცროსობა ასე ყოფილა განსაზღვრული: პირველი ადგილი მწიგნობართ-უხუცესს ჰქონდა მიკუთვნებული. ეს გარემოება ხომ მის წოდებულბაშიც იყო აღბეჭდილი და ვაზირთა უპირველესი ერქვა კიდევაც. მერმე უფ-

როს-უმცროსობით ერთმანეთს მისდევენ: ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი, მეჭურჭლეთ-უხუცესი და მსახურთ-უხუცესი.

„ხელმწიფის კარის განრიგების“ ერთადერთ გადარჩენილს, დაზიანებულ ხელნაწერში პირველად მართლაც მწიგნობართ-უხუცესის უფლება-მოვალეობაზეა საუბარი, მაგრამ სამწუხაროდ სწორედ ამ ადგილას ხუთი ფურცელი აკლია და მომდევნო შერჩენილ ფურცლებზე კი უკვე მანდატურთ-უხუცესისა და მის ხელქვეშეთ თანამდებობის პირებზეა მსჯელობა. თუ ამ ძეგლის ავტორს ვაზირთა უფროს-უმცროსობისდა მიხედვით ჰქონდა თავისი ცნობები დალაგებული, მაშინ იმ დაკარგულ 10 გვერდზე მწიგნობართ-უხუცესის შესახები ცნობის დაასრული და ათაბაგისა, ამირსპასალარის უფლება-მოვალეობათა სრული აღწესება და მანდატურთ-უხუცესის ხელისუფლების შესახები ცნობის უდიდესი ნაწილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული და ხელთნაწერის გადარჩენილ ნაწილში ათაბაგისა და ამირსპასალარის უფლება-მოვალეობაზე აღარაფერი ყოფილიყო ნათქვამი.

მართლაც, ათაბაგის ხელისუფლებისა და მის ქვეშეთს დაწესებულებასა და თანამდებობის პირებზე „ხელმწიფის კარის განრიგების“ გადარჩენილ ნაწილში ცალკეული ცნობა არც მოგვეპოვება. მაგრამ ამირსპასალარის ხელისუფლების შესახებ თუმცა სრული ცნობა არ გვაქვს გადარჩენილ ფურცლებზე დაცული, არამედ, ზოგადი ცნობის შემცველი წინადადების შემდგომ, მხოლოდ მის ზოგიერთ ხელქვეშეთ თანამდებობის პირებსა და ზარდახანაზეა საუბარი, მაინც, მაშასადამე, მოულოდნელად ამირსპასალარზე მოგვეპოვება ცნობა ისეთ ადგილას, სადაც არ უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ცნობა მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ დაუმთავრებელ ცნობას მისდევს, რომელსაც თავის მხრით: მსახურთ-უხუცესის ხელისუფლების შესახებ დაუსრულებელსავე ცნობას მისდევს. ერთი სიტყვით მოთხრობა ამჟამად უფროს-უმცროსობის წესრიგისდა მიხედვით არ არის დალაგებული.

მწიგნობართ-უხუცესის უფლება-მოვალეობის განმარტებას რომ მთელა დასაწყისი ნაწილის ტექსტი არ აკლდეს და მსახურთ-უხუცესისა, მეჭურჭლეთ-უხუცესისა და ამირსპასალარის შესახები ცნობები ერთმანეთს დაუმთავრებელივ არ მისდევდნენ იმისდა მიუხედავად, რომ ხელთნაწერს ამ ადგილას ფურცლები სრულად აქვს დაცული, მსახურთ-უხუცესის ცნობის ერთი ნაწყვეტთაგანი მოულოდნელად ამირსპასალარის შესახებ ცნობას, რომლის შემდგომაც ექვსი ფურცელია დაკარგული, არ მისდევდეს, მაშინ კიდევ შეეძლო ადამიანს ეფიქრა, რომ ვაზირთა ხელისუფლების მომთხრობელი ნაწილი მოხელეთა უფროს უმცროსობისდა მიხედვით კი არა, არამედ რომელიღაც პრაქტიკული მოსაზრებით იყო დალაგებული. ზემოაღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ აქაც, სადაც ხელთნაწერი დაუზიანებელია, ტექსტი მაინც სრული არ არის, ხშირად სრულებით მოულოდნელად წყდება, ზოგი ცნობა უალაგო ალაგას არის მოთავსებული, ისე რომ მოთხრობას უაზროდ ხდის, ბევრიც აკლია და ერთი და იმავე ხელისუფლების უფლება-მოვალეობის შესახები ცნობის ნაწყვეტები სხვადასხვა ადგილას არის მოთავსებული. ერთი სიტყვით, ტექსტი ნაკლულოვანიც არის და არეულიც. ამიტომ „ხელმწიფის კარის განრიგების“ შინაარსის აწინდელი დალაგებულება ამ ძეგლის პირვანდელი დალაგების თანამიმდევნოების საფუძვლად არ გამოდგება. ერთადერთ სანდო საყრდნობად ამ შემთხვევაში ისევ მხოლოდ ვაზირთა უფროს-უმცროსობის



პრინციპის მიჩნევაა შესაძლებელი, რადგან ამ ძეგლის ავტორი თითონაც დარბაზობისა თუ ვაზირობის დროს სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობას იქნებოდა მიჩვეული.

### თ ა ვ ი მ ე ო რ ე

#### „ხელმწიფის კარის განრიგების“ ტექსტის წარუშინელი ადგილების აღდგენის ცდა და აღნაღგენის დასაბუთება

„ხელმწიფის კარის განრიგების“ დასაწყისის დაკარგულება აწ 1 და 2 მუხლების შინაარსის გაგებას აძნელებს, რადგან იმ მთავარი პირის ვინაობა, რომელსაც ეს ორი მუხლი ეხება და პკულისხმობს, ნათლად არა ჩანს. ორივე საწელიწადისთაჟო დღის წესს ეხება: პირველში ნათქვამია რომ ამას წელიწადის თავს დღეს მეფე არავის[გან] შე[ი]მოსს (sic) ამისგან კიდევ, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლითა ყაბარჩით შეიმოსების»-ო (§ 1, სტრ. 2—4) მეორე მუხლში კი სწერია რომ აქითგან წლის თავით თევდორობამდის მონადირეთ უხუცესი მწვადს მიიხვამს... იკითხავს „ხეალ სით ჰკვლევენ“? უბრაბანებს მ ე ფ ე, სითაც ეპრიანების»-ო (§ 2, სტრ. 13—15).

თვალის ერთი გადავლებითაც ცხადი გახდება, რომ პირველი მუხლის ზემომოყვანილი წინადადების შინაარსი, მისი ტექსტის ე. თაყაიშვილის შესწორების შემდგომაც, გაუგებარია: ჯერ ნათქვამია, რომ ახალწელიწადს მეფე არავისგან აშე[ი]მოსს ამისგან კიდევ“-ო, შემდეგ კი არამც თუ ის პირი. რომელსაც ამ დღეს უნდა მეფე შეემოსა, დასაძლებული არ არის, არამედ სრულებით მოულოდნელად აღნიშნულია, რომ მონადირეთ-უხუცესი ყვთლითა ყაბარჩით შეიმოსების»-ო. უკანასკნელი ცნობა შეუსაბამოც არის და დაუჭერებელიც: შეუსაბამოა იმიტომ, რომ წინამავალი სიტყვების შემდგომ უცილობლად მეფის შემოსველ მოხელეზე უნდა ყოფილიყო საუბარი, აქ კი ამის მაგიერ მონადირეთ-უხუცესის შემოსვაზეა მსჯელობა. მეორე მხრით, სრულებით დაუჭერებელია, რომ ახალწელსა, თუ სხვა დროს რომელსამე მოხელეს მეფის წინაშე შემოსვის ან უფლება ჰქონოდა ან-და ასეთი რამ თითონ ეკადრა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ტექსტი ამ ადგილას გადამწერთაგან უმჯველია დამახინჯებული უნდა იყოს. ხელნაწერში დამახინჯებული წინადადება ასეა დატული: «მას წელიწადის თავს დღეს მეფე არავის შემოსს ამისგან კიდევ, რომ მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შეიმოსების... და მაღლად აშვერილსა ქუდსა დაარქვამს»-ო (გვ. 1 § 12-7). ამ სახის წინადადება არც გრამატიკულად არის მართებულად აგებული და შინაარსითაც უაზროა: მეფეს ვინ უნდა შეემოსა? ისე გამოდის, თითქოს მონადირეთ-უხუცესი და ვითომც მეფევე მას ქუდსაც კი დახურავდა. უფროს-უმცროსობისა და დარბაზის კარზე განმტკიცებული ასევე როგორც მაშინდელი უბრალო ზრდილობის წესების მიხედვით ასეთი რამ სრულებით დუჭერებელია. იმიტომ, თუ „შემოსების“-ს ისე, როგორც ამჟამად არის, მონადირეთ-უხუცესს მივაკუთვნებთ, მაშინ ამ ზმნის შინაარსი ისე უნდა გავიგოთ, რომ ყვითელი ყაბარჩით თვით მონადირეთ-უხუცესი შეიმოსებოდა. მაგრამ, თუ ამ ზმნის მნიშვნელობა ასე ვიგულისხმებთ, მაშინ მომდევნო სიტყვები «და მაღლად აშვერილსა... ქუდსა

დაარქვამს» გრამატიკულადაც წინამავალთან შეუთანხმებელი აღმოჩნდება და ბათი დედანაწილიც გაუგებარი გახდება, რადგან გაუგებარი იქნებოდა თუ მონადირეთ უხუცესი ვის „დაარქვამს“, ე. ი. დახურავს ქულს.

ყველა ასეთი შეუთანხმებლობა, გაუგებრობა და უაზრობა გაქრება, თუ აქ გადაწერის მეხსიერებითი თვისების ისეთი შეცდომის შესაძლებლობას გავითვალისწინებთ, რომელიც ერთსა და იმავე წინადადების ორ ნაწილში ერთი და იმავე ზმნისაგან ორი ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული ფორმის („შემოსს“ და „შეიმოსების“) გამოისობით არის წარმომდგარი. რაკი გადაწერს, დედნის ტექსტის წაკითხვის შემდგომ, უკანასკნელი სიტყვები უფრო ძლიერად ახსოვდება ხოლმე, ამიტომ გადაწერით არა ერთხელ მოსდით შეცდომა, რომ თუ წინადადებაში ორი მსგავსი სიტყვაა, მათი ადგილმდებარეობა გადაწერის დროს ერევათ და უკანასკნელ სიტყვას წინა ფორმის მაგიერ წერენ ხოლმე.

საფიქრებელია, რომ იმ დედანში რომლიდანაც უკანასკნელი ხელთნაწერი გადმოწერილი ასე ეწერებოდა: «მას წელიწდის თავის დღეს მეფე არავისგან შეიმოსების ამისგან კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შემოსს... და მალლად აშვირილსა... ქულსა დაარქვამს». ამ წინადადების ზნების „შეიმოსების“ და „შემოსს“-ის გადაწერისაგან მეხსიერებითი შეცდომით ერთმანეთის ადგილას მოთავსებამ ამ ცნობის მთელი შინაარსი არია და გაუგებარი გახადა.

ზემოაღნიშნული სახით მთავარი წინადადების ტექსტის აღდგენის შემდგომ, ამ მუხლის, როგორც დასაწყისი წინადადებისა, ისევე მთელი მომდევნო ნაწილის შინაარსი უფრო გასაგები ხდება. პირველ წინადადებაში სახელდობრ ნათქვამია «მსახურთ-უხუცესსა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოართომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების», და შემდეგ უკვე აღდგენილი წინადადება მოსდევს.

დასაწყისის ზემოპოყვანილს ცნობაში გაუგებარია ან რატომ არის აქ მსახურთ უხუცესი დასახელებული, ან სალაროდან სახელდობრ რას მოართმევდა და მოუფენდა მოლარეთ-უხუცესი, ან დასასრულ ვის ეთაყვანებოდა მსახურთ-უხუცესი?

შემოსვასთან დაკავშირებული მთელი ამ ცნობის სისწორით გასაგებად, უნდა ამავე ძეგლის § 35-ად მიჩნეულის შინაარსი გვახსოვდეს. იქ სახელდობრ ნათქვამია: «აწე ვიწყოთ შეკაზმვა მეფისა და ვთქვათ ვეზირობისა: რაა მეფე შეეკაზმოდეს, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი მესაწოლეთ-უხუცესმა, წყალი მოლარეთ-უხუცესმან დაუსხას, ტანისამოსი მსახურთ-უხუცესმან ჩააცვას, ღილი მესაწოლეთ-უხუცესმან შეუკრას, — მუქლთ-დაყრით ქული მოლარეთ-უხუცესმან მიიღოს»-ო (§ 35, სტრ. 458—463). ამ დებულებიდან ჩანს, რომ მეფის შეკაზმვისა, ანუ ჩაქმვაში ჩვეულებრივ სამი მოხელე იღებდა მონაწილეობას: მსახურთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუცესი და მესაწოლეთ-უხუცესი, რომელთაგან ორი უკანასკნელი მსახურთ-უხუცესის თანაშემწენი იყვნენ. ტანისამოსს მეფეს მსახურთ-უხუცესი აცმევდა. ამას გარდა, «კარის განრიგებაში» ნათქვამია, რომ «რაა მეფე საწოლით გავიდეს, ... სარმუზა აცვიო, ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა». ფარეშთ-უხუცესი «ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში გახსნის და შეუნახავს და იგი ტახტსა ზედა გაევა» და თუ «აქვს ცოტა გარეჯით ნაძღნობი, ანუ თუ იგი არ იყოს, მანდილი გრძელი... მეფეს გარდამოუქმანავს წინ»-აო (§ 16, სტრ. 143—149).

ზემომოყვანილი ცნობისდა მიხედვით ჩანს, რომ დილას მეფე საწოლიდან გამოვიდოდა თუ არა და ტახტზე გასასვლელად შეემზადებოდა, მაშინვე ფარეშთ-უხუცესს გრძელი, ანდა უფრო პომცრო გადასათარებელი უნდა წინ მოეყინა.

ამის შემდგომ წელიწდის თავის დღის შესახები მუხლის შინაარსი შედარებით უფრო ადვილი გასაგები იქნება. სალაროდან მოლარეთ-უხუცესს რომ უნდა მსახურთ-უხუცესისათვის მიერთშია, აქ საფიქრებელია ყველაფერი უნდა იგულისხმებოდეს, რაც მეფის შესამოსავად და შესაკაზმავად იყო საჭირო. რაკი ეს მუხლი ახალი წლის დღესასწაულის წესის აღწერილობას შეიცავს, ცხადია, რომ მეფეს ამ დღეს სანიადაგოდ სახმარებელი ტანისამოსის თავსაბურავის ჩაცმა-დახურვა არ შეეძლო, არამედ ყველაფერი ახალი უნდა ჰქონოდა, რომ მაშინდელი წარმოდგენით ეს დაკვებებოდა. «კარის განრიგებიდან» კი ვიცით, რაც სანიადაგოდ სახმარებელი არ იყო, სალაროში იყო დაცული. ამითვე აიხსნება, რომ ამ მუხლში სწორედ სალაროდან მორთმევაზეა საუბარი და მოფენილიც იქიდანვე უნდა ყოფილიყო მოტანილი.

შემდეგ „კარის განრიგების“ § 1-ში მსახურთ-უხუცესი და მოლარეთ-უხუცესი მეფის შეკაზმაში, ანუ ჩაცმა-დახურვაში ჩვეულებრივად მთავარი მონაწილე მოხელეები ყოფილან, ახალწლის წესში ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ მხრივ ყოფილა განსხვავება, რომ ამ დღეს მეფეს ტანისამოსს უკვე პირადად მსახურთ-უხუცესი კი არ აცმევდა, არამედ მისი თანდასწრებით მარტო მონადირეთ-უხუცესი.

§ 2 პირველი მუხლის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს: აქაც ახალწლის დღესასწაულთან დაკავშირებული წესებია მოთხრობილი, აქაც მეფე და მონადირეთ-უხუცესი არიან მთავარი მონაწილე პირები. მართალია, აქაც მონათხრობი ისეთი სიტყვაძვირობით არის გამოთქმული, რომ მისი შინაარსის გაგებაც განუმარტავად ძნელია, მაგრამ მაინც... «აქითგან წლის თავით თვედრობამდის მონადირეთ-უხუცესი მწვადს მიიხვამს უკანის-ლა მიდგების. იკითხავს: „ხვალ სით ჰკვლევენ?“ უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების, —ქიქას უბოძებს, და მწვადს შესვამს და შესვამს ღვინოსა, მუნ[ვ]ე წავა და დაჯღების თავის ადგილსა»-ო (§ 2).

ზემომოყვანილი მონადირეთ-უხუცესის მოვალეობასა და უფლებას ეხება, მაგრამ აზრი იმდენად ბუნდოვნადაა გამოთქმული, რომ ნათლად არა ჩანს, თუ ვისთვის უნდა მოეტანა მწვადი, ან ვისთვის უნდა ეკითხა, „ხვალ სით ჰკვლევენ“-ო, ანდა ვინ იყო, რომ მწვადს შესვამდა და ღვინოს შესვამდა?

ის, რაც კითხვას „ხვალ სით ჰკვლევენ“-ს მისდევს, სახელდობრ „უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების“-ო, ცხად-ჰყოფს, რომ მონადირეთ უხუცესი სწორედ თვით მეფეს ჰკითხავდა, თუ ხვალ საითეც კნებავდა. ეს იმ გარემოებით მტკიცდება, რომ ამ კითხვის პასუხის გამცემად მეფეა დასახელებული. თუ მონადირეთ-უხუცესის კითხვა მეფისადმი პირდაპირს მიმართავს კი არა, არამედ მესამე პირის შესახებ გამოთქმული შეკითხვს სახით არის აგებული, ეს მხოლოდ უმცროსისათვის უფროსისადმი ზრდილობიანი მიმართვის დროს საჯალღებულო საუბრის წესით არის ნაკარნახევი: მაშინდელი შეხედულებით უმცროსს უფროსისადმი პატივისცემის ნიშნად სწორედ ასე უნდა ესაუბრა.

მეფის პასუხის მომდევნო სიტყვების მნიშვნელობას წინადადებას ამ ნაწილის მცდარი დანაწილება და ამისდა გვარად სასვენი ნიშნების ტექსტის დედააზრისათვის შეუფერებლად დასხმა აძნელებს. სახელდობრ, მძიმე (,) „უბოძებს“-თან კი არა, არამედ „მწვადს“-ის შემდეგ უნდა იყოს დასმული. მაშინ ტექსტი ასე წარმოგვიდგება: «ჭიქას უბოძებს და მწვადს, შესჭამს და შესვაშს ღვინოს და მუნვე წაეა და დაჯდების თავის ადგილსა». ამ ცნობაში იგულისხმება, რომ ჭიქას ღვინოთა და მწვადს მეფე უბოძებდა მონადირეთ-უხუცესს მას შემდგომ, როდესაც ამ მოხელეს მის შეკითხვაზე უპასუხებდა, ხოლო მონადირეთ-უხუცესი ამ ნაბოძებს შესჭამდა და შესვამდა, მერე კი წავიდოდა და თავის ადგილას დაჯდებოდა.

იმის გასაგებად, თუ რატომ იყო, რომ მწვადი მეფისათვის მონადირეთ-უხუცესს სწორედ „წლისთავით თევდორობამდის“ უნდა მიერთმია, „კარის განრიგების“ § 20, სტრქ. 259—268-ის გახსენებაა საჭირო. იქ ნათქვამია: მონადირეთ-უხუცესი და მონადირენი «გიორგობას კარზედ (იგულისხმება: სა-მეფო კარი) მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან»-ო.

## [გარიგება ველმწიფის კარისა]

### 1

მსახურთ-უხუცეს[ს]ა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოარ-  
თომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების<sup>1</sup>. მას წე-  
ლიწლის თავ[ი]ს<sup>2</sup> ღღეს მეფე არავის[გან] შეიმოსების<sup>3</sup> ამისგან  
5 კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვითით ყაბარჩით შემოსს სა-  
კვლმოკლით, ტყავიანითა მოყვენთუსლითა, არა დია პრტყელად, 5  
თავსა და საყელოსა კარგისა ყუნდიზისა და მალლად აშვერილსა.  
მქლოდ შეკერულსა ქუდსა დაარქვამს. საღვინეთ წინ ქვე დასმენ  
მალლა სკაპითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს  
10 მოხარშულს წინ დაუდგმენ. ამას წინათ, საღვინეთაყე, იმის კერძს.  
შორს, ადრე მკერვალთ-უხუცესი და ტყისმცველ[ნი]ი დასხდებიან. 10  
და მეხელადეთ-უხუცეს[ნი]ი დგანან. აღთვალვენ მათცა, და და-  
სხდებიან მასევე ადგილსა, საცა ღგებიან, და მონადირეთაცა:.

### 2

აქითგან, წლის თავით, თევდორობამდის<sup>4</sup> მონადირეთ-უხუცე-  
15 სი მწვადს მიიხვამს. უკანისლა მიდგების, იკითხავს: „ხვალ სით  
ჰკვლევენ“. უბრძანებს მეფე<sup>5</sup>, სითაც ებრძანების, ჰიქვას უბოძებს 15  
და მწვადს, შესჯამს და შესევამს ღვინოსა, და მუნ[ვ]ე წავა და  
დაჯდების თავის ადგილსა.

### 3

აწ განცხადება ვსტქვათ დიდი ღღესასწაული. და წესი არის,  
20 რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოვე-  
ლივე წავა. დიდი ღროშა ააბან და მენობათენი წინათ და ღროშა 20  
განალამცა წინა ამართული, და მერმე ჭვარის-მტვრთველი შემოსი-

<sup>1</sup> კ. მწიფის.—<sup>6</sup> ტყეიანითა.—<sup>7</sup> აშვერილსა.—<sup>8</sup> წინათ ყოფილა „შეკერულისა“.—<sup>11</sup> ტყვის მცველი.—<sup>14</sup> თვით.—<sup>17</sup> შესჯამს შესწავს.

<sup>1</sup> შეად. § 14, სტრ. 112 („რა ითაყვანოს“). <sup>2</sup> წელიწდისთავი, ნახე § 28 და 29 („საწე-  
ლიწლისთაო“). <sup>3</sup> მეფის შემოსვა შეად. § 35. შეად. § 16, 143—152. <sup>4</sup> შეად. § 20, 264  
(„თევდორობამდის“). 267 („თევდორობის მერვე ღღეს“). <sup>5</sup> შეად. § 20, სტრ. 275 („მეფე  
უბრძანებს“).

ლი და ძელი ცხოვრებისა კელთა. ეგრევე წამოვიდნენ<sup>5</sup> ეკლესიას, მია შეფე და მენობათენი აღარა სცემენ ნობათსა და დროშა ეკლესიის კარსა დგას. და რა წყალი აქურთხონ, მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დროშით წავა და მუნვე კარის შესავ[ა]ლს ქ[ვ]ეშე და-  
 5 დგების. დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს, დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ვითარცაღა წესი იყოს, იქნას: 25

## 4

ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა<sup>6</sup>, სადა ძელი ცხოვრებისა ასვენია, მართ ერთითა ტერფითა უკანარე დგას. რა მისისა დაჯდომისა უამი მოვიდეს, კმალი  
 10 კარგს შეაბჯრეს მისცეს, და იგი მკარს ჩამოიკიდებს. და ერთსა სეფესა ჯაჭვი აცვია უთეთრესი, ზურგით დგანან: 30

## 5

გიორგი<sup>7</sup> მეფეს, თამარის მამას, თვით ვერცხლისა შეუქნია სალამასურის სახესა ზედა და მას ჩაიციმდენ. ამილახორი თვის აღგილს დაჯდების. და რა ჯვარის-მტვრთველმან ძველი ცხოვრე-  
 15 ბისა წაასვენოს, იგივე დგას<sup>8</sup> და მაშინლა მისცემს—რათა ტაბაკი დადგან სეფე<sup>9</sup>: 35

## 6

აღვსებისა საკითხავი<sup>10</sup>—ჯვარის-მტვრთველისა და ხუცესთუხუცესისსა[ა], მწიგნობართა—ვინცა კარგი მკითხველი იყოს სხვანი. ჰყონდიდელი<sup>11</sup> — მეფესა და საწოლის მწიგნობარი ზარდახნის მწი-  
 20 გნობარსა: 40

## 7

აღვსებასა<sup>12</sup> ამირ-სპასალარი [საკითხავია]<sup>13</sup> ამილახორისა; ამილახორი მებაჯრეთ-უხუცესისა: მებაჯრეთ-უხუცესი—მესაწოლეთ უხუცესისა; მანდატურთ-უხუცესი—ამირეჯიბთ[ა]; ამირეჯიბი —

<sup>5</sup> ვაღა.—13 ეს სიტყვა ტექსტის ხელით განმეორებულია აშიაზედ: ს ლ მ ა ს უ რ ი. —14—  
 —15 ცხრების.—15 რათა] რა.—16 დადგენ.—17 აღსბსა.—19 ჰყონდიდელი] სხვა ყველა შემ-  
 თხვევაში ეს სიტყვა ნახმარია ამ სახით: ჰყონდიდელი — 19 მწიგნობარი] აქ უნდა აკლ-  
 დეს სიტყვები, ვინაიდან საწოლის მწიგნობარი მაღლა იდგა ზარდახნის მწიგნობარზედ და  
 ამიტომ მისი მკითხველი ვერ იქნებოდა.—19 აშიაზედ ტექსტის ხელით ზ ა რ დ ა ხ ნ ი ს .  
 23 აშიაზედ: შ ნ დ ა ტ უ რ ი .

<sup>5</sup> წამოვიდნენ.

<sup>6</sup> დარბაზობა. იხ. § 29, ბოლო („დასრულდა დარბაზის წესი“).

<sup>7</sup> ამ აბზაცს ივ. ჯავახიშვილი თელის წინა პარაგრაფის გაგრძელებად: „ზურგით დგანან. გიორგი მეფეს...“.

<sup>8</sup> „დგას“ ამილახორს არ ეხება.

<sup>9</sup> იხ. § 33, სტრ. 431, საიდანაც უნდა იყოს თითქოს ეს ნაწყვეტი.

<sup>10</sup> იხ. § 29, სტრ. 380—384 („აღვსებისა ორშაბათს...“).

<sup>11</sup> რაკი აქ ჰყონდიდელია, ამიტომ ყველგან სხვაგანაც ეს ფორმა უნდა.

<sup>12</sup> [ამ აბზაცს ივ. ჯავახიშვილი თელის წინა პარაგრაფის გაგრძელებად.]

<sup>13</sup> [ე. თყაიშვილის მიერ აღდგენილ სიტყვას „საკითხავია“ ივ. ჯავახიშვილი კითხვი-  
 ნიშანს (?) უწერს].

- მესტუმრისა და მერიგისა<sup>14</sup>; მეჭურჭლეთ-უხუცესი—საჭურჭლეთ 45  
 ნაცვალ[ი]სა; საჭურჭლის ნაცვალი—მუჭიფის[ა]<sup>15</sup>; მსახურთ-უხუ-  
 ცესი — მესაწოლეთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესი—მოლარეთ-  
 უხუცესისა; მოლარეთ-უხუცესი—სალაროთ მოლარეებ[ი]სა. პი-  
 5 რის მელვინე; მელვინეთ-უხუცესი—სალვინის მუჭაფის[ა]; განმგე-  
 თა-უხუცესი—საგანმგეოსა მუჭაფის[ა]; საგანმგეოს-უხუცესი<sup>16</sup>— 5B  
 მეჯამეთ-უხუცესისა; მეჯამეთ-უხუცესი—სარემოს ნაცვლისა:;

## 8

- ჰყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების.  
 ობოლთა და ქერიგთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს.  
 10 და ყოველი [საბჭოდ ჯდომის ჟამსა?] საწოლის მწიგნობარი გვერდს  
 უზის. და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მო- 8B  
 ახსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაი-  
 ურკვებს, ადგების და, რა ჟამსცა ჟამი იყოს, თუთ მივა და მაშინ  
 იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს. არ მოეშვების, რომ არ დაი-  
 15 ურვოს:.

## 9

- გელათისაგან კიდე საყდარ[ნ]ი და სხვანი მონასტერნი და ეკ- 6C  
 ლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიოანი დასნი არიან  
 ყველა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საწელოსა[ა].  
 ჰყონდიდელსა ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებს და ეჯიბი, სხვა  
 20 დარბაზით მართებს. საჭურჭლესაც შევა და, ვითა მამა არს მეფისა,  
 აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების. საწოლის მწიგნობარ- 6S  
 სა<sup>17</sup> ზედამდგომელი მეჭურჭლე მართებსა ხუთი ფურცელი ქალაღ-  
 დი ყოველთა დღეთა ჰყონდიდელსა, სამი ფურცელი საწოლი[ს]  
 მწიგნობარსა, ორი ფურცელი ზარდახანის მწიგნობარსა და თუთო  
 25 ფურცელი სხვათ[ა] მწიგნობართა. რამ ეს დაწერონ და მეჭურჭ-  
 ლეს ჩახვთ ყელსა... (აქ აკლია ხუთი ფურცელი)<sup>18</sup>. 7D

1 მემსტუმრისა.—1 მერიგისა.—4-5 პირის-მელვინე] აქაც უნდა აკლდეს ტექსტს.—11 აშო-  
 ზელ ზარ და ხანი.—14 იურვის.—18 საწელოსა] სხლისა.—19 მართს.—23 ყოველთა]  
 ყთა რა.

14 მესტუმრე, მერიგე: § 7, სტრ. 45; § 13, სტრ. 97; § 31, სტრ. 410—411, § 38, სტრ. 503.

15 მუჭიფი იგულისხმება საჭურჭლისა. შეად. სა-წოლჭორ. საღვინის მუჭაფი. „მუჭიფი“  
 ძღუენთ მენე, შემნახავი“ (საბა). მუჭაფი, საგამგეოს მუჭაფი.

16 იხ. საგანმგებო § 28, სტრ. 367.

17 ჰყონდიდელსა და საწოლის მწიგნობარს, ამერიჯობსაც იხ. § 12, სტრ. 88 („ზედა-  
 მდგომელი ამირეჯობს მანდატურივე მართებს“); მესაწოლეთ-უხუცესსაც იხ. § 14, სტრ.  
 113 („ზედამდგომელი მესაწოლეთ-უხუცესსაც მართებს“): მეჭურჭლეთ-უხუცესსაც იხ. § 17,  
 სტრ. 189 („ზედამდგომელი მართებს მეჭურჭლეთ“).

18 რაჟი აქ ხუთი ფურცელი აკლია, თუ ვაზირთა უფროს-უმცროსობას გაითვალისწი-  
 ნებთ (იხ. § 36, სტრ. 472—474 და 484—488), აქ უნდა მწიგნობართ-უხუცესის, ათაბაგის,  
 მანდიტურთ-უხუცესის, მეჭურჭლეთ უხ...

## 10

19... ანგარიშს აიღებს. და ზოგი გაპარსვადაც დაუწერია შეუ-  
ცოდებელისაცა, არცა რა შეეც[ოდე]ბინოს. ერთ ხაბაზს მაშინც  
გაპარსვა[დ] გამართავს. მაგრამე თუ არ შეუცოდებია. ცემა რად  
არ ეყოფის? თუ არ, ნაპარევი გამოაჩნდეს, განალამც გაპარსავს<sup>20</sup>..

## 11

5 ზვარნი ამად არიან<sup>21</sup>: და მანდატურთ-უხუცესისა გელისანი. სა- 75  
მუშაოსა ზედა-მდგომელად მანდატურს მისცემს, ბრძანებასა და  
გამოსაჩვენებელსა დააწერინებს. უჩვენებს მუშათ, ვითა ესე ქვე-  
ყანა მოასხითო. მანდატური და ერთი მეღვინეთ-უხუცესისაგან ჩე-  
ნილი მეღვინე წავლენ, მუშაობენ, და ღვინის მკრეფელნიცა. ერ-  
10 თი მანდატური იქნების:.. 80

## 12

ამირეჯიბს ყოველგან გზა აქვს საურავისა, სადა გინდ იყოს  
მეფე, სალაროს, საწოლს, საჭურჭლეს, ყოველგან მივა და ყოველ-  
გან იურვის, ამისგან კიდე რომე უკაზმავი არ იყო[ს] მეფე. მსა-  
ხურთ-უხუცესი და მისის [ქე]ლისანი<sup>22</sup> უფრო იურვიან, მაგრამ  
10 ამირეჯიბის დათხოვნა<sup>23</sup> არც მაგათგან ეგების. და რა შეეკაზმოს 85  
და გამოვიდეს, საურავი და ძღვნის შეწირვა ყოველი მათია სალა-  
მოს რეკამდის. ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მარ-  
თებს. ცოცხალი მუქიფის კელთ მიაბარონ და რამ თავი მოჰკვეთონ  
საკლავსა რაზომიცა მრავალი დაიკლას, ერთი მკარი, და თუ ერთი  
20 დაიკლას, ერთი მკარი ზროხისა მესტუმრისა კვრას დღესა და ერ- 90  
თი კაბიწი ფქვილი და ერთი საკლავი. და რაზომიც ქვეითი მე-  
ძღვენე მოვა და მწიგნობარი, იგი აქმევს:..

## 18

სიგელი ვისცა უბოძონ, ვისთვისცა დაუწერია, რა კყონდილ-  
ლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს, რომელსაც და-  
25 ეწეროს მასუკან მან მისი აილოს, მაშინდა მესტუმრეს მისცეს. 95

2-3 შეეც[ოდე]ბინოს, გაპარსვა[დ]. დედანში აქ ქალალი მოჰრილია და ფრჩხილებში  
ასობეს აზრის მიხედვით ვუმატებთ.—11 აშიაზედ ამირეჯიბი. 13 იურ[ეს].—16 მთ[ია].—18  
ც[ე]ბლი.

19 მანდატურთ-უხუცესის ნაწილს ეკუთვნის, თუ მსახურთ-უხუცესისას?

20 დამნაშავეთა და დასასჯელთა გაპარსვა საქართველოშიც ყოფილა და ამ ხანაშიაც.

21 + [მსახურთ-უხუცესისა], ანდა + [მეღვინეთ-უხუცესისა]. შეად. აქვე სტრ. 78-ს („მე-  
ღვინეთ-უხუცესისაგან ჩენილი...“) და სტრ. 253-ს („ზვართა ზემოთაც დაგუწერია...“).

22 მსახურთ-უხუცესის კელისანი. შეად. § 14, სტრ. 107—112 („მსახურთ-უხუცესი... მი-  
სის კელისა არის...“).

23 დათხოვნა = გასტუმრებას, მიუშვებლობას.



ქრთამი სიგლისა მანდატურთ-უხუცესსა და ამირ-სპასალარსა სწორი მართებს, მესტუმრეს უმცროსი და მერიგეს<sup>24</sup>. რაც მას დაუვარდეს, მანდატურს მართებს და მიხვდების, მისგან მართებს.

მანდატური სამ[ას]ი სახლი არის ამიერ და იმიერ. ხოლო  
5 სამნი აზნაურნი არიან: იკუნეელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე. და 100 სხვაჲ ყველა გლეხია.

[განმგეთ-უხუცესისაგან მიღება ზემო დამიწერია<sup>25</sup>.

მეჯამეთ-უხუცესისა კელისა არის: ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი<sup>26</sup>. წველა, მეკირე, კმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო,  
10 ყოველი მეკამბეჩე დიასახლისი. კარავე სამზარეულოსა და უვერ- 105 ცხლო ქურქელი: სპილენძისა და შემისა<sup>27</sup>.

## 14

აწ ვთქვათ მსახურთ-უხუცესი. ვეზირია და მისის კელისა<sup>28</sup>  
არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთ-უხუცესი, მოლარეთ-უხუ-  
ცესი, ფარეშთ-უხუცესი, ციხვთ-უხუცესი, მეხილეთ-უხუცესი.  
15 საწოლისა და სალაროს, მეფის შეკაზმამდის, ამთი[ა] საურავი და 110 ზღვენი მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესისა, მოლარეთ-  
უხუცესისა. რა ითაყვანოს<sup>29</sup>, ბეჭედი მართებს, რომ უბოძოს მეფე-  
მან თვალედი. და ზედამდგომელი მესაწოლეთ-უხუცესსაც მართებს.  
ბეჭედი ესრეთ სხენნ. დიდი ბეჭედი სასიგლე, საგასახსნთე რომ ბე-  
20 ჭედი არის, მით დაბეჭდულა. და მისი თასი ოქროსა გვერდსა უთქს, 115 და ტუირითა დაბეჭდული მოლარეთ-უხუცესსა კელთ აცვია, (მო-  
ლარეთ-უხუცესი გახსნის)<sup>30</sup> მეგოდრეს  $\sqrt{31}$  სალაროს მოლარე  
აიხვამს. და მოლარეთ-უხუცესი გახსნის, თასსა შიგან წყალს შთა-  
ასხამს. ჯორის ნალი უვერეტელი ორნი აქ. უნდა რომ ქვე დასხნეს.  
25  $\sqrt{31}$  და რა დაბეჭდვენ სალაროს მოლარეს დუკატი ორი, მეგოდ- 120 რეს დუკატი ერთი, ეს მისცეს ვისიცი სიგელი იყოს. და დაბეჭ-

4 სამი სხელი.—6 სხა ყი.—12 ვეზირთა.—18 ზადამდგომელი.—25 დედანში სწერია: დოკატი, ამიანდელ განმეორებულთა დუკატი.

24 მესტუმრე, მერიგე, იბ. § 7, სტრ. 45 („ამირეჯიბი—მესტუმრისა და მერიგისა“).

25 საღ ზემოთ დაწერია? მაშასადამე, ზემოთ გამგეთ-უხუცესზე ყოფილა საუბარი. განმგეთ-უხუცესი და ამირეჯიბი ერთი უწყებისა ყოფილან, იბ. § 33, სტრ. 435—438 („ამირეჯიბი... შეკამანდსა განმგეთ-უხუცესი მდილებს...“) და სტრ. 446 („ამირეჯიბი და განმგეთ-უხუცესი დასხდებიან“).

26 მუზაფარი=მუქუქს.

27 უვერცხო ქურქელი: სპილენძისა და შემისა. შეშა=ხეს. შეად. სტრ. 185 („ქურქელი ოქროსი და ვერცხლისა“).

28 შეად. § 12, სტრ. 83—84 („მსახურთ-უხუცესი და მისის კელისანი“).

29 რა ითაყვანოს მეფემან იბ. § 1, სტრ. 2 („მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების“).

30 „მოლარეთ-უხუცესი გახსნის“ მერმე კიდევ არის გამეორებული, მაგრამ უფრო ვერცხლად „მოლარეთ-უხუცესი გახსნის თასსა“; ალბათ, გადაწყურის შეცდომა.

31 (ივ. ჯავახიშვილი ასეთ ნიშანს  $\sqrt{\quad}$  სვამს, ალბათ, გამოტოვებული ადგილის აღსა-ნიშნავად).

დავს მწიგნობარი, თან გამოიტანს და წამოვა. და მიცემა სიგლისა ზემოთ დამიწერია<sup>32</sup>..

## 16

ცხოვარნი ყოველნი და მატყლნი მსახურთ-უხუცესისა კელ-  
თავე არს. სიკისტროსანი ჯორი<sup>33</sup> ესრე მოკაზმული<sup>34</sup>: კეხი კეკლუ- 125  
5 ცად მოკაზმული, მოქედლილი და ჯორის ყელსსაბამი და ზანზალაკი  
ოქროთა შეღებილი და სახურავი ხვედისა ნაკერი, ლაგამი ერ-  
თობ მოთვალული, დიდი მაფრაში<sup>35</sup>, რომელსა, შიგან იღვას ერთი  
მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი  
და ერთი სასთაული, ეს ერთს თხელს ლარის ბუდესა შიგან 130  
10 და ეგეთი მაფრაშისა შიგან იღვას. და ერთი ტყავიცა და  
ეგეთი ზედ გარდააფარონ., მით სახურავითა ნაკერთა დახურონ  
და წითლის ბანბის ქარშიკით დააქრან. და შვდასი სახლი მესა-  
წოლე<sup>36</sup> არის და გლეხი რვა სახლია და სხვა ყოველივე აზნაური<sup>37</sup>.  
და შვდასივე შუბოსანი ამა სიკისტრონსა ჯორისასა მიაღვევენ, რა მე- 135  
15 ფე აიყაროს. და სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი და ერთი  
ყათარი სხვადა ჯორი სასაგებლე ტურფადვე მოკაზმული, მაგრამ იგი-  
ცა სალაროს წინათ იარების, სიკისტრონს უკანით. ბარგის უხუ-  
ცესი წინ მიუძღვების, და [მე]სიკისტრონი<sup>38</sup> და მესაწოლენი წინ  
იარებინან: 140

## 16

20 საღამოს მელენე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანთა  
ქურქლითა ანუ ტაბაყითა, ზედა მყინვარსა დაჰყრის და კელთა მან-  
დილი<sup>39</sup> აქვს ბაღდადისა, და თუ მეფესა ღამით მოეწყურო[ს],  
ბ[რ]ძანოს, რომელიცა უნდა. რაც დარჩეს, წინა-მწოლნი და კარის  
დარაჯა და საწოლის მეკრე წაიღებენ. დილას, რამ მეფე საწო- 145  
25 ლით გავიდეს, ფარეშთ-უხუცესისა კელის ნოხნი, სანთელი, ფანარი,  
მაშხალა 1/4<sup>40</sup> და რამ ტაბაყი აიღონ, სარმუზა აცვიან, ანუ ჩაფლა

4 აშიაზედ განმეორებულთა: სიკისტრონი.—6 ხვედისა.—11 გარდაფარონ.—22 ბაღდა-  
დუითა.

32 იხ. § 13, სტრ. 93 („სიველი ვისცა უბოძონ...“).

33 შეად. სტრ. 135, 136 („სიკისტრონსა ჯორისასა...“). სიკისტრონისა ჯორსა: სიკიტო-  
ნისა ქარი-საგან.

34 (აქაც და სხვაგანაც სწერია „მოკაზმული“, ივ. ჭავჭავიძე ილი ასწორებს „მოკაზმუ-  
ლი“).

35 მაფრაში: „მაფრაშა სხუათა ენაა, ქართულად გულაგი ჰქვიან“ (საბა). არაბ. დაგე-  
ნული, საგებელი Teppich, Matte, Belt, tapis.

36 მესაწოლე. იხ. § 39, სადაც მოძრავი საწოლის შესახებაა და რაც, ვგონებ, ამასთან  
უნდა იყოს, დაკავშირებული.

37 700 სახლი გლეხი და აზნაური, თავადის ხსენება არ არის. 1

38 (მე-ს უმატებს ივ. ჭავჭავიძე ილი და კითხვით ნიშანს სემს).

39 მანდილი ბაღდადური.

40 (ესეთი ნიშანი  $\sqrt{\quad}$  უხის, ალბათ, გამოტოვებული ადგილის აღსანიშნავად).

მოგვსა ზედა. მას კედლის ძირსა ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში  
 განსნის და შეუწახავს, და იგი ტახტსა ზედა გავა (ანუ) თუ<sup>41</sup> აქვს  
 ცოტა [ძღვენი]<sup>42</sup> გარეჯით ნაძღნობი, ანუ, თუ იგი არა იყოს, 150  
 მანდილი გრძელი,  $\sqrt{48}$  და მეფეს გარდამოუკაზმავს წინა, და სხვა-  
 5 თა ნოხთა ფარეში გარდაჰკაზმენ. ცხვრის ტყავის ცოცხი აქვს ტა-  
 რიანი და აგრევე. და აგრევე ხილობას ტახტი ოდესაც მოეკაზმოს,  
 მას შიგან იგი ახლავს, ვითაცა ასწავლიან, დაფენა, კარავი, ხარ-  
 155 გაი ჩადრი, ესე და ამისი კაზმა მას მართებს:.

## 17

თუ პურობას ღამე შემოესწრას, სანთელი სასანთლითა და მი-  
 10 სითა ნატითა თავთავის საფარეშოთა არის, და ფარეშთა-უხუცესი  
 მიიღებს, წამოაყენებს და თავთავის ადგილს ჩასდებს ვაზირთა წი-  
 ნა. და სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები ალყა ქონითა ანუ სე-  
 ლითა იქნების. მეტყავენი და მეჭურჭლენი მიიღებენ ქონსა. სასა- 160  
 პონეთაცა<sup>43</sup> იგინი მისცემენ და სამაშხალედაცა. და ქონი თუ არ  
 15 იყოს, სელის ზეთ[ს] ქალაქით აიღებდენ და მით იქმონენ სა-  
 მამაშხალესა ალყასა. და მაშხალა ექვსი თუ ათამდისცა უნდა ტარ-  
 გ[რ]ძელი, თვთოს მემამაშხალეს აქვს და კალათით ალყა ძირსა  
 უდგს და ბოძალი შეშა აქვს და თვთოს ჩასდებს, ვითარცა დაი- 165  
 წვას. და რა გაიყარნენ, ორი მაშხალა ჰყონდიდელს წაუძღვების  
 20 და თვითო სამთა ვეზირთა<sup>44</sup>, და სხვათა არავის. და იგინი ფარეშთ  
 შექამადთა და ღვინოს მოსცემენ.

სახილესა [ტაბაკსა]<sup>45</sup> სათხილე უნდა იღვას, გაზნივითა<sup>46</sup> შე-  
 170 ქნილნი თავნი განმგულებით, რომე პირსა მარწუხივით ერთგან  
 შეყრიდეს, ამოგუბვილი, და გარე თავთა ზედა თვთო თვალი იჭ-  
 25 დეს, და განამლაცა ოქროსა. და უკან კერძი არის ტარი მგრგვალი  
 და სახილესა ტაბაკსა ზედა დადვას მეხილეთ-უხუცესმან ხისასა,  
 არა თუ ვერცხლისასა. და რა მსახურთ-უხუცესმან მანდილი საყე-  
 175 ლე, მერმე იგი დადვას და მეხილე ანუ მოლარე თხილსა მით  
 ლეწდენ, ტაბაკსა დაჰყრის, რომელსა ზედა იგი სათხილე იღვას.

1 ჩაფლთ] მფლთ.—6 ეს ორი სიტყვა („და აგრევე“) აქ შეცდომით უნდა იყოს განმეორებული.—7—8 ხარგაი] ეს სიტყვა განმეორებულია აშიაზედ.—9 პურობა.—12—13 სელითა] წერითა.—15 იქმონენ.—18 ბოძალი.—19 რა] არა.—22—23 ეს ორი სიტყვა („შექმნილნი თავნი“) განმეორებულია დედანში.—23 პირესა.—27—28 საყელე] აქ ექვს გარეშეა შესმენილი აკლია. შეიძლება იგულისხმებოდეს „გაიკეთოს“ ან სხვა რაიმე ამის მსგავსი.

41 (აქ დედანში სწერია „ანუ“, ხოლო ივ. ჭავჭავაძის მიერ უწერს „თუ“, ალბათ „ანუ“-ს შესაცვლელად).

42 [ძღვენი] იხ. § 29 (სტრ. 372: „ცოტა ძღვენი“).

43 (ამის გასწერვ ივ. ჭავჭავაძის მიერ არაა აშიაზედ წერს) საპონი.

44 ვაზირთა.

45 (ივ. ჭავჭავაძის მიერ უმატებს „ტაბაკსა“ და მოუთითებს ქვემოთ 173 სტრიქონში ნახმარ გამოთქმაზე „სახილესა ტაბაკსა“).

46 (სწერია „გაზნივითა“, ივ. ჭავჭავაძის მიერ ასწორებს „გაზნივითა“).

ციცხეთა ზედა კელი: აბანოსა თბობა, სახლის გვა, შეშის კო-  
და, ცეცხლის ნთება, წყლის ზიდვა სალაროს, სავაზ[ი]როსა და  
[აბანოს?]<sup>47</sup>. რა მეფე აბანოს იყოს, ციცხეთა<sup>48</sup> არის. !

- დიდი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდი 180  
5 მეოთხე ვეზირი [იყო, და მისისა კელისა]<sup>49</sup> არის. ძელნი<sup>50</sup>, ქალა-  
ქნი, ვაჭარნი, სავაჭრო რაც მეფისა[ა], სადაც წავე ანუ მოვა, და  
სახლისა საჭურჭლე<sup>51</sup>, რაც სალაროს ოქროს ჭურჭელი, ანუ ვერ-  
ცხლისა საკმარებლად სანიადაგოდ არ უნდა და შეკრული სალა-  
როსა ძეს, სხვადა ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა<sup>52</sup>, ჩი- 185  
10 ნური და ქაშანური უსადგინო, ყოველი საჭურჭლესა ძეს და დგას,  
საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრები, ქალაქის ამირანი, მეჭურ-  
ჭლენი ქალაქისანი და თვთ დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მი-  
სისა კელისა არიან. ზედამდგომელი მართებს მეჭურჭლე. და  
ქრთამი და სასაურგო, უქალაქოთ, სხვაც მისია, და მსახურთ-უხუ- 190  
15 ცესისა სწორია, ვით ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა.  
მუშრები, რაც ქალაქთა საჭურჭლე შევა და ნავაჭრი რაც შევა,  
და სანელბებელი, მასტაკი<sup>53</sup> და სამარხო წამალი, საკმარი თუთუბო,  
ესეცა მუშრებმან იცის და უხუცესთა მიათვლის.

## 18

- ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირ-სპასალარის 195  
20 კელთ არის. მას წინათ არეინ იტყვს რამ ვეზირობა იყოს, და<sup>54</sup>  
ამილახორი ვეზირი არის ამირ-სპასალარისა და ამის კელისა<sup>55</sup>  
შეაბჯრეთ-უხუცესიცა. შეაბჯრეთ-უხუცესი და შეაბჯრენი და მე-  
სარტყლენი და საჩინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის კე- 200  
25 ლისანი არიან.  
რამ მეფე ცხენსა ზედა ზის, ვისცა უდარბაზებს ვინგინდა  
იყოს, ათაყვანებს. თუ ვისი ძღვენი იყოს, შესძღვნის. თუ ოდეს-  
ცა არა იყოს, ესე ოდენვე, ეგრევე უდარბაზებენ და ძღვენსაც  
შესძღვნიან. საგედარი ცხენი მართებს საურავად. რასაც ამირ-

2 სავაზიროსა] სავაზროსა.—3 რა] არა.—6 შფსა.—12—13 მისისანი.—14 უქლქოთ.—22  
უხუცესისა.

47 (უმატებს ივ. ჭავჭავიძე).

48 ციცხეთა? რაჲ მათი მოვალეობა ცეცხლის ნთება ყოფილა, ხომ დამახინჯებული  
არაა?

49 (ანე ავსებს ივ. ჭავჭავიძე და მიუთითებს:) შეად. სტრ. 107, სტრ. 198 და 200  
(„მისის კელისა არის“, „კელისანი არიან“).

50 ალბათ: ძელნი.

51 („სასახლისა საჭურჭლე ტექსტში იყო ზემოთ, სტრ. 179, „ციცხეთა არის სახლისა  
საჭურჭლე“, და აქ ჩამოიტანა ივ. ჭავჭავიძემ.)

52 ხის ჭურჭელი („შეშისა“) შეკამეთ-უხუცესის ხელთ იყო. იხ. § 13, სტრ. 103 და 106.

53 მასტაკი. „ესე არს თეთრი კევი საცოხნელი“ (საბა).

54 (ტექსტში იყო: „და რამ ვეზირობა იყოს“. ივ. ჭავჭავიძელს „და“ აქ გადმოაქვს).

55 (ტექსტში იყო „კელის“, ივ. ჭავჭავიძელი ასწორებს „კელისა“).

- სპასალარი იურვოდეს, მასვე გვერდით სალაშქროს საქმეს და იგი- 205  
ცა და მებაძრეთ-უხუცესი და მათნი მუახლენი, ჩუხჩი და ამირ-ჩქა-  
რი და მერემეთ-უხუცესნი წინათ ღვანან შორს და სიარულადაც  
წინათ იარებიან. დაჯდომა და სხვა წესი ზემოთ დაგვწერია.
- 5 ამილახორი, მებაძრეთ-უხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და 210  
მწიგნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახან[ს] შევლენ, და  
ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ, და საანგარიშოს  
გოდორსა შიგან ჩასდებს<sup>56</sup>.
- 10 ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვადა ყველა აბჯარი, რა-  
ზომიცა თანა აქვს: ჭაჭვი, მუზარაღი, კმალი, ქაფა, საბარკული, 215  
მშვლდ-კაპარკი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი  
ძოქედლილი და ხამი, აკმაზულობა, რაც ზედ აბია და რაც საცხენე  
ჩავეშანი მანჯუვეები აბრეშუმისა, ცხენის ყელს-საბამი მოქედლილი,  
კანჯრის კუდი და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორ- 15  
ნი თავგადაქედლილ[ნი], ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე  
ალმითა, ეს[ე] ყოველნი მნათობნი, მოქედლილი ვეცხლითა და 220  
სპილენძიანი, [ზარდახანსა შიგან ძეს და დგას და ზარდახნის  
მწიგნობარმან ესე]<sup>57</sup> ყოველი რამ ასწეროს წლის თავსა, ერთი  
უნაგირი ზარდახნის მწიგნობრისა, ერთი აკმაზულობა აღუვსებად.
- 20 ცხენი რამ ითხოვოს მეფემან, ზარდახნის მოლარე აღვირთ<sup>58</sup>  
მისცემს, მისრა[ტ]ული პირსა აუსხამს, ერთს ყურს გაუყოფს და 225  
მეორეს ალარა. მერმე ზარდახნის მეჯინიბე აუსხამს, საყბეურს შე-  
უსხამს, ზარდახნის მოლარე უნაგირს გარდასდგამს, საძუეთ აღარ  
ჩაუყრის, იგივე ზარდახნის მეჯინიბე შეკაზმავს და წაიყვანს, მის- 25  
რატულთ უხუცესს მიუყენებს. შეჯდების, და მათრაცი ზარდახნის  
უხუცესმა მისცეს, და ორნივე უკანით იარებიან. ზარდახნის უხუ- 230  
ცესი და ამერთაჩუხჩი წინათ იარების, ჭუარის მტურთველსა და  
მეფეს შუა. და სადაც მეფე მივა, ცხენისაგან ჩამოვა, აჩუხჩიც მა-  
ნამდი ცხენით მივა და მერმე მობრუნდების და თავის ალავს  
30 გარდაქდების. ჭუარი წინათ, მარქაფანი იმერით ეზომსა... (აქ აკ- 235  
ლია ერთი რვეული, ანუ ექვსი ფურცელი).

3 მერემეთ] მერმე.—21 აშიაზე: მისრატული.—28 აშიაზე: აჩუხჩი.

56 შეად. § 20, სტრ. 250. (ანგარიში საანგარიშოთა გოდორთა შინა ძეს).

57 (ამას ალადგენს ივ. ჭავჭავიძე და მიუთითებს): შეად. სტრ. 185—186 (სქურქელი-  
ოქროსი და ვერცხლისა... საქურქულესა ძეს და დგას) და სტრ. 246—248.

58 (აქ ივ. ჭავჭავიძე ამონაწერი აქვს საბას ლექსიკონიდან: აღვირი, აღვირედი-  
რახტი).

...და ბოლოს სათიჯარი<sup>59</sup> რკინისა არის, დაასობენ საღვინესა შიგან, საღვინის მოლარე მას ზედა დაჰკიდებს, და ფანჯისა მისა-  
იმ დროს სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობი იყო სპარსული დასტურლამალი „თაჰქირათ ალ-მულუქ“, რომლის ხელნაწერი ბრიტანეთის მუზეუმს 1924 წელს შეუძენია. ეს ხელნაწერი, რომელშიც აღწერილია სეფიანთა ერანის სახელმწიფო წყობილება 1943 წელს გამოსცა პროფ. ვ. მინორსკიმ (Tadhkirat Al-Muluk. Manual of Safavid Administration, Persian Text in Facsimile, with Translation and Commentary by V. Minorsky, London, 1943).

ძეგლი შედგენილია 1725 წლის ახლო ხანაში. ასეთი გარიგების წიგნები მანამდეც არსებულა სპარსეთში. ჯერ კიდევ უზუნ ჰასანის (XV ს.) და თამაზ I-ის (1524—1576) დროს შედგენილი ყოფილა „დასტურ ალამალ“-ები, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

სპარსული და ქართული დასტურლამალების შემადგენლობის, მათი ურთიერთობისა და მსგავსება-განსხვავების საფუძვლიანი განხილვა მოცემულია პროფ. ვ. გაბაშვილის წერილში „სპარსული დასტურლამალი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV b, 1949, გვ. 191—219).

გვ. 84. „ვახტანგ VI-ემ ეს დარგი გამოაცალკევა და განსაკუთრებულ „სახევის თავო სამართლის წიგნის“ შედგენა დააპირა... სამწუხაროდ, მასალებითგან არა ჩანს, დასცალდა თუ არა ვახტანგს ამ თავისი განზრახვის ასრულება?“ დასტურლამალის 1729 წლის ნუსხამ, რომელიც იმ დროს ცნობილი არ იყო და რომელშიც დაცულია ხევის-თავების გარიგების წიგნი, დაადასტურა ივანე ჯავახიშვილის მიერ წინასწარი ვარაუდის სახით გამოთქმული ზემომოყვანილი მოსაზრებაც.

გვ. 85—84. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნსა და სჯულმდებელი მეფის ვინაობის საკითხს ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც ჯერ კიდევ 1909 წელს გამოქვეყნდა. მაშინ სამართლის წიგნის ავტორად ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ I კურაპალატს მიიჩნევდა, თანაც დასძენდა: „მხოლოდ ერთი დაბრკოლება არსებობს: სამართლის წიგნის შესავალში ბაგრატი მეფედ არის წოდებული, ხოლო ბაგრატ I კი მაშინ ცხოვრობდა, როცა მეფობის უფლება საქართველოში ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო; მაგრამ ეს დაბრკოლებაც გაჰქრება, თუ იმდროინდელ საისტორიო თხზულებას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ მივუბრუნდებით: იქიდანა ჩანს, რომ თვით ბაგრატ კურაპალატიც თავის თავს მეფეს უწოდებდა და მისი თანამედროვენიც მას მეფეს ეძახდნენ. მაშასადამე, კანონმდებელი მეფე ბაგრატ კურაპალატი შეიძლება „მეფე“ ბაგრატ I კურაპალატიც ყოფილიყო; საზოგადოდ საბუთების მიხედვით ბაგრატ III-სა და ბაგრატ I-ს თანასწორი უფლება აქვთ; მაგრამ, როგორც ჭკვემოთ დავინახავთ, თვით კანონების საზოგადო ხასიათი და ელფერი უფრო ბაგრატ I-ის ხანას შეესაბამება და შეჰშვენის, ვიდრე ბაგრატ III-ის ხანას; ასე რომ, ვგონებ, სიმართლეზე უფრო ახლო იქნება, რომ კანონმდებლად ბაგ-



რატ I აღვიართ; თუ ეს შემდეგში სხვა საბუთებითაც დამტკიცდა, მაშინ დაახლოებით ამ სასამართლო წიგნის თარიღის გამოარკვევაც შეიძლება; მისი მამა აშოტი 826 წ. მოკლეს, ვთქვათ ბაგრატ I 10 წლის შემდგომ გამხდარიყო სრულწლოვნად და კურაპალატობა მიეღოს, მაშინ სამართლის წიგნი 836—876 წლებს შორის უნდა იყოს შედგენილი“ (ალმანახი „ერი“, № 1, 1909 წ. გვ. 16).

20 წლის მანძილზე ფრთხილი სამეცნიერო დაკვირვების შედეგად ივ. ჯავახიშვილი მაინც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი მეფე ბაგრატ III უნდა იყოს: „რაკი ბაგრატ I-ს მაინც მეფეთმეფის წოდებულებას ვერავინ მოაწერდა, ამიტომ ეს წყუფროსწორე იქნება, თუ ბაგრატ III-ისად და XI ს. დამდეგისად მივიჩნით“ („ქართული სამართლის ისტორია“, I, 1928, გვ. 88). ამავე აზრს უფრო ვრცლად ნაშრომის სხვა ადგილებზე იმეორებს. „ამნაირად, რათგან კურაპალატისა და სხვა ამგვარი ბიზანტიური წოდებულება საქართველოს მეფეებს XII ს. დამდეგიდან აღარ უტარებიათ და ძეგლის საერთო ტენდენცია სამღვდელთების სრული ხელშეუხებლობის შესახებ დავით აღმაშენებლის მეფობაზე უწინარეს ხანას შეჰყვინის, ბაგრატ იმეფედ-მეფედ იწოდება, ამიტომ სანამ ამ დებულებათა საწინააღმდეგოდ მტკიცე უთუო საბუთები აღმოჩნდებოდეს, ეს ნაწყვეტი უფრო ბაგრატ III-ის დროისად უნდა მივიჩნიოთ“ (იქვე, გვ. 93).

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგ კურაპალატობასა და სხვა ბიზანტიურ სამოხელეო წოდებულებას ქართველი მეფეები აღარ ატარებდნენ, ამიტომ შეუძლებელია სამართლის წიგნის შემდგენელი XI საუკუნის შემდგომი პერიოდის რომელიმე ბაგრატ მეფე იყოს. ივ. ჯავახიშვილი სჯულმდებელ ბაგრატ კურაპალატის რიცხვიდან ბაგრატ მეხუთესაც გამორიცხავს: „XIV საუკუნეში 1360—95 წლებს შორის მეფედ იყო ბაგრატ V დიდი, მაგრამ მას კურაპალატობის პატივი არა ჰქონია და არც შეიძლება, რომ ჰქონოდა“.

ამრიგად სჯულმდებელ ბაგრატ კურაპალატის ვინაობის დადგენისას ივ. ჯავახიშვილი ვადამწყვეტ მნიშვნელობას ორ მთავარ ნიშანს ანიჭებს: სჯულმდებელ ბაგრატს, როგორც სამართლის წიგნის შესავალშია აღნიშნული, უნდა ჰქონდეს მეფეთმეფეთა და კურაპალატობის წოდებულება.

სჯულმდებელ ბაგრატ კურაპალატის ვინაობის საკითხს რამდენიმე წერილი მიუძღვნა პროფ. ს. კაკაბაძე, ისე რომ ყოველ წერილში ბაგრატის ვინაობაზე თავის აზრს იცვლიდა: 1912 წელს ბაგრატ კურაპალატი რაჭა-არგვეთის XVI საუკუნის მფლობელად მიიჩნია, 1920 წელს იგივე ბაგრატი XV საუკუნის გამგებლად ჩათვალა, შემდეგ კი აფხაზეთ-იმერეთის მეფედ აღიარა, ხოლო 1924 წელს ბაგრატ კურაპალატი დიდი ალექსანდრე მეფის ძმად გამოაცხადა და სამართლის წიგნის შედგენა 1420—1440 წლებით დაათარილა. გრძნობდა რა თავისი აზრის დაუსაბუთებლობას, ამავე წერილში ს. კაკაბაძე წერდა: „ცდა ამ საკითხის გარკვევისა ჯერ კიდევ რამდენჯერმე შეიძლება გამეორებულ იქმნას“-ო. უკანასკნელად ბაგრატ კურაპალატის სამართლის შედგენის დათარიღების საკითხს ს. კაკაბაძე გაკვრით 1966 წელს შეეხო: „ბაგრატ კურაპალატის (ჩემის აზრით XII საუკუნის) კანონებში (§ 150) იხსენიებიან აზნა-

ურნი „ტაძრობილი თუ უტაძრო“ („რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, 1966, გვ. 201).

სჯულმდებელ ბაგრატ კურაპალატის ვინაობისა და სამართლის წიგნის შედგენილობის საკითხი განხილულია ჩვენს ნაშრომში „ძველი ქართული სამართალი“, რომელშიც სამართლის წიგნის ავტორად ბაგრატ IV მივიჩნით, ხოლო სამართლის წიგნის მუხლების შინაარსის, ნორმებისა და ტერმინების ანალიზის შედეგად მისი შედგენილობა 99—160 მუხლებით განვსაზღვრეთ („ძველი ქართული სამართალი“, 1953, გვ. 43—60).

უკანასკნელ დროს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ავტორის ვინაობის შესახებ სპეციალური წერილი გამოქვეყნა პროფ. ა. კიკვიძემ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1909 წელს გამოქვეყნებულ წერილში ასაბუთებდა იმ დებულებას, რომ სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი IX საუკუნის მოღვაწე ბაგრატ I უნდა იყოს. ა. კიკვიძე კი შეცდომით წერს, თითქოს 1909 წელს გამოქვეყნებულ წერილში „მკვლევარმა სამართლის ეს ძეგლი მიაკუთვნა XI საუკუნეს“ (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI—XVII, 1972, გვ. 228).

მთლიანად ემყარება რა იმავე წყაროებს, რომლებიც თავის დროზე დამოწმებული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს, წერილის ავტორი არსებითად იმეორებს ივ. ჯავახიშვილის ადრინდელ მოსაზრებას, რომ სამართლის წიგნი ბაგრატ I ეკუთვნის.

1980 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები“ ახალგაზრდა მკვლევარი ილია ანთელავა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი შედგენილია იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ (1510—1565). მისი აზრით, ბაგრატის სამართალი XVI ს. ზოგადი მნიშვნელობის სასისხლო განჩინებაა, რომელიც „დამყარებულია სხვადასხვა პერიოდის პრეცედენტებზე“ (!). თავის მსჯელობას ავტორი ასეთი დასკვნით ამთავრებს: „ბაგრატ III იმერეთის მეფე კარგად ცნობილი მოღვაწეა... ჩანს (!) იგი იყო „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შექმნის ინიციატორიც. როგორც დავრწმუნდით, (!) მას „კურაპალატს“ ეძახდნენ. ეს წოდება, რომელსაც, ცხადია, რეალური შინაარსი არ ჰქონია, როგორც ჩანს (!) მოაგონებდა მის თანამედროვეებს ერთიანობის შორეულ ეპოქას, რომელიც XVI ს. დაქუცმაცებულობისა და „აღრევის“ ხანაში რომანტიკულად ესახებოდათ... ვფიქრობთ ყოველივე ზემონათქვამი საფუძველს გვაძლევს (!) ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ XVI ს. ძეგლად მივიჩნიოთ“ (გვ. 66).

არაფრით და არსაიდან არ ჩანს, რომ ბაგრატ მესამეს „ბაგრატ კურაპალატი“ ეწოდებოდა, არაფრით და არსაიდან არ ჩანს, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი „სასისხლო განაჩენია“. ორივე ეს მოსაზრება თავის დროზე ს. კაკაბაძემ გამოსთქვა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევების შემდეგ თვითონვე აღიარა ამ მოსაზრებათა უსაფუძვლობა და მცდარობა. ახლა კი ი. ანთელავა ცდილობს ს. კაკაბაძის შეცდომებს როგორმე გამართლება მოუძებნოს იმით, რომ თითქოს ს. კაკაბაძემ ნიკორწმინდის დაწერილის მინაწერის ქორონიკონის პირვანდელი მართებული წაკითხვა „შემდგომ შეცდომით შეცვალა და თვითონვე გააუფასურა ეს ძვირფასი დოკუმენტი“. მაინცდამაინც

ნიკორწმინდის დაწერილის მინაწერი, თუნდაც რომ ნამდვილ საბუთად მივიჩნოთ, ვერ გამოდგება იმის საფუძვლად, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი მე-16 საუკუნის ძეგლად, სასისხლო სიგელად ჩავთვალოთ და მის ავტორად ბაგრატ III გამოვაცხადოთ.

ბაგრატ კურაპალატის სამართალი ერთიანობის ხანის საქართველოსათვის შედგენილი სამართლის წიგნია, რომელიც განხორციელებული შინაარსის სამართლებრივ ნორმებს შეიცავს. სასისხლო სიგელი კი კერძო საგვარეულო პრივილეგიების ბოძების აქტია, რომელიც თავისი აგებულებითა და შინაარსით სამართლის წიგნს სრულიად არ უდგება. გარდა ამისა და რაც მთავარია, ბაგრატ კურაპალატის სამართალში ასახული რეალიები უცილობლად გამორიცხავს მისი XVI საუკუნეში შედგენის შესაძლებლობას.

გვ. 97. ს. კაქაბაძის აზრით, ძეგლის დადება „უნდა იყოს დაახლოებით 1325—1338 წლებში შედგენილი“. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ ამ დათარიღებას ჭეროვანი დასაბუთება აკლია, რის გამო „საკითხს ჭერ კიდევ გულდასმით შესწავლა სჭირდება“.

საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით ჩვენ შემდეგი მოსაზრება გამოვთქვით: „ძეგლის დადება შედგენილი უნდა იყოს 1334—1335 წლებში. მაგრამ ვინაიდან 1334 წელს გიორგი ბრწყინვალე სამცხის სამთავროს საქმეებს აწესრიგებდა, საფიქრებელია, რომ მთიულთა მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლას ვეღარ მოასწრებდა. ამიტომ მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძეგლის დადება შედგენილი უნდა იყოს 1335 წელს, როცა გიორგი ბრწყინვალეს უკვე საქართველოს ტახტი და სკიპტრა „ყოველგნით უცილებლად“ ხელთ ეპყრა და საკანონმდებლო კრებაზეც უკანასკნელად მონაწილეობდა ევფთვიმე, როგორც „წმინდა მეფე და ქართლის კათალიკოზი“ („გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957, გვ. 15).

ტერმინი „სასაქმო“, წერს ივ. ჯავახიშვილი, „საბა ორბელიანს ლექსიკონში შეტანილი არა აქვს და შედარებით იშვიათად გვხვდება, ამიტომ მისი მნიშვნელობის გამორკვევა ისე ადვილი არ არის“. ჩვენი გამოკვლევის მიხედვით „სასაქმო ეწოდება ყოველგვარ სადავო, სასარჩლო საქმეს, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო ხასიათის დავას“ („გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957, გვ.68).

გვ. 99. „ძეგლის დადების“ სამოქმედო ასპარეზის უკიდურეს სამხრეთის სამზღვრად ამბობს ივ. ჯავახიშვილი, დაახლოებით შეიძლება არანისი ჩავთვალოთ, რადგან კიბეთა და მენესოს მდებარეობის გამოუჩვევლობის გამო ამაზე ზედმიწევნით განსაზღვრა ჭერჭერობით შეუძლებელია“.

ძეგლის დადების შესავალში დაცული ცნობებისა და სხვა წყაროების შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა და დაზუსტდა ძეგლის მოქმედების ტერიტორიული საზღვრები: „ჩრდილოეთით — ჭერის გადასავალი, ანუ ჭუართა ყელი, სამხრეთით — სოფელი მენესო, აღმოსავლეთით — ზანდუკის ქევი, სამხრეთ-დასავლეთით ხადა-ცხაოტი... ჭუართა ყელი, კიბენი და მენესო აღნიშნულია როგორც კანონთა მოქ-

მედების ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის უკიდურესი სასაზღვრო პუნქტები“ („გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957, გვ. 28).

გვ. 102. „ძეგლის დაღების ტექსტის გამოცემის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „ამ საყურადღებო ძეგლის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემა აუცილებლად საჭიროა და ამნაირ გამოცემას ვამზადებთ კიდევ“. როგორც ირკვევა, ამ მიზნის განხორციელება სახელოვანმა მეცნიერმა ველარ ზოსაწრო. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ივ. ჯავახიშვილის არქივში (№ 624) დატულია „ძეგლის დაღების“ ხელნაწერი ტექსტი, რომელიც ერთ გვერდზე ნაწერ რვეულის 28 ფურცელს შეიცავს. ტექსტი გადმოწერილია პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა № 99 ნუსხიდან, რომელიც ვახტანგის კანონების კრებულს წარმოადგენს. ეს ნუსხა გადაწერილია პეტერბურგში 1919 წლის 19 აპრილს. ნუსხის აღწერილობა დატულია ივ. ჯავახიშვილის არქივში (№ 4127). „ძეგლის დაღების“ გადმოწერილი ტექსტი გასწორებული და გამართული არ არის და არც სხვა ნუსხების ვარიანტებია ამოწერილი. ძეგლის დაღების ტექსტი ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით, გამოკვლევითა და იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონით იხ. „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, 1957.

გვ. 107. „ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ტექსტიც დროთა განმავლობაში საგრძნობლად დამახინჯებულა და აღდგენა სჭირდება, რაც ადვილი საქმე არ არის, რათგან XIII-XIV სს. გადარჩენილი ძეგლების მეტისმეტი სიმცირის გამო ამდროის ძეგლების ენა ჯერ შესწავლილი არ არის... ბექა-აღბულას სამართლის წიგნის აღდგენილი ტექსტის გამოცემას უძველესი და ვახტანგის კოდიკოს მიხედვით ვამზადებ“. ეს განზრახვაც განუხორციელებელი დარჩა. ბ-ნ ივანეს არქივში (№ 408) დატულია მის მიერ გადაწერილი ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ტექსტი.

ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ტექსტი ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით 1953 წელს გამოქვეყნდა (იხ. „ძველი ქართული სამართალი“, 1953, გვ. 285—345). იგივე ტექსტი, ზოგიერთი შესწორებით, 1963 წ. დაიბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს შეიცავს. ამ ძეგლის რუსული თარგმანი XVII ს. (1672 წ.) ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნდა 1960 წელს (Судебник Бека и Агбуга, перевод В. Д. Дондуа и И. С. Дольдзе)

გვ. 111. 1909 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ბოლოში დართულ საეკლესიო კანონებსაც (მუხ. 161—170) ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ I კურაპალატს მიაკუთვნებდა. იგი წერდა: „შესაძლებელია, რომ აგრეთვე 161, 162, 163, 164, 165, 166, 167 (bis), 168 და 169 მუხლიც ბაგრატიანე სასამართლო წიგნიდან იყოს ამოღებული... დამნაშაის წყევლა-კრულვა და მოციქულთა და წმიდათა კრებათა კანონების ქვეშე დაყენება განსაკუთრებულ საეკლესიო ელფერს აძლევს მათ, თითქოს სამღვდელოების კრების დადგენილება იყოს და არა სამართლის ძეგლი. კანონების ამგვარი საეკლესიო ხასიათი და ელფერი სრულებით შეეფერება VIII—IX საუკუნეს, როცა სამღვდელოება ბატონობდა და ჩინებულად შეესაბამება ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნს, იმიტომ რომ იმ კრებაში, რომელმაც ეს კანონები შეადგინა, ეპისკოპოსები ბლომად იღებდნენ მონაწილეობას“ (ალმანახი „ერი“ № 2, 1909 წ. გვ. 14). წერილის ბოლოს ივ. ჯავახიშვილი

დაასკვნის: „ამგვარ მოსაზრების გამო 161, 162, 163, 164, 165, 166, 167 + 152, 167 bis, 168, 169 მუხლები ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტად მიმაჩნია და, მასასადამე, 99, 100, 101, 102, 103 და 104 მუხლების გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს“ (იქვე, გვ. 16).

ოცი წლის დაკვირვების შემდეგ, 1928 წელს გამოქვეყნებულ „ქართული სამართლის ისტორიის“ I წიგნში, ივ. ჯავახიშვილი ამ კანონებს (მუხ. 161—170) ბაგრატ I კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწილად აღარ მიიჩნევს და ასეთ ფრთხილ დასკვნას აკეთებს: „ბეჟალბულას სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონები თავისი შინაარსით არც ერთ აქამდე ცნობილს ქართულ საკანონმდებლო ძეგლს არ უდგება, წყველა-კრულვითა და ნაწილობრივ სასჯელთა სიმკაცრით მხოლოდ კათალიკოზთა სამართლის წიგნს უახლოვდება, მაგრამ ამგვარი თვისებები შეიძლება თამარ მეფეზე უწინარესი ხანის ძეგლებსაც ჰქონოდათ. რათგან ამ კანონების წეს-დათარიღებისათვის გამოსაყენებელი არავითარი მკაფიო ნიშნები არ ემჩნევათ, ენაც შეიძლება განახლებული იყოს, ამიტომ მათი დათარიღებისათვის ჯერ კიდევ საკმარის კვლევა-ძიება საჭირო“ („ქართული სამართლის ისტ.“ წიგნი პირველი, 1928, გვ. 116).

ა. კიკვიძის აზრით, ბეჟალბულას სამართლის წიგნის ბოლოს დართული საეკლესიო კანონები (მუხ. 161—170) XVI—XVII სს. კანონმდებლობად უნდა მივიჩნიოთ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 240). მაგრამ ეს მოსაზრება ჯეროვნად დასაბუთებული არ არის.

გვ. 114—116. „ბერძნული სამართლის წიგნი“-ს ქართული ტექსტი ჯერ გამოცემული და ფილოლოგიურად შესწავლილი არ არის“. ბერძნული სამართლის ქართული ტექსტი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ორი უძველესი ნუსხის მიხედვით პირველად გამოქვეყნდა 1963 წელს „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში (გვ. 129—221; შენიშ. გვ. 578—592). ბერძნული სამართლის ტექსტი ფილოლოგიურად შეისწავლა ბერძნულ-ქართული პარალელური ტექსტები ვრცელი გამოკვლევით, ბერძნულ-ქართული ლექსიკონისა და საძიებლების დართვით გამოსცა თამარ ბრეგაძემ („ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან“, 1964).

„ამ ძეგლის (სირიულ-რომაული სამართ.) სამი, არაბული, ასურული და სომხური, ტექსტია ცნობილი“ ნაცვლად „არაბულისა“ 1928 წ. გამოცემაში „ბერძნული“ სწერია, რაც კალმის შეცდომაა.

„სომხური სამართლის წიგნის“ ორივე ნაწილის (სირიულ-რომაულისა და მხითარ გოშის) ქართული ვერსიის ტექსტი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნდა 1963 წ. „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომში (გვ. 223—389; შენიშ. გვ. 593—602).

გვ. 116. „სამწუხაროდ მისი (ვახტანგის სამართლის) ტექსტი აქამდინა მეცნიერულად გამოცემული არ არის“. ვახტანგის სამართლის წიგნის არაკრიტიკული ტექსტი 1955 წ. გამოქვეყნდა („ვახტანგ VI, სამართლის წიგნი“, თ. ენუქიძის გამოცემა). კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემა 1981 წელს განხორციელდა (იხ. „სამართალი ვახტანგ მეექვსისა“ ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ).

გვ. 117. „სამთავნელის დრამისა და საკანონოს გარეგების წიგნის“ უახლესი გამოცემა და ტექსტისადმი დართული შენიშვნები იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი III, 1970, №№ 32 და 33; შენიშ. გვ. 1150—1152).

„წილკნელის სარგოს გარიგების წიგნის“ უახლესი გამოცემა და ტექსტისადმი დართული შენიშვნები იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი III, 1970, № 131. შენიშ. გვ. 1170—1171.

მეკობრეთ-მძებნელის შესახებ „სვიმონ მეფის 1590 წ. ბრძანების“ ტექსტის უახლესი გამოცემა იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, 1965, № 65.

გვ. 118. „სამწუხაროდ ჯერჯერობით ამ განჩინების ქართული დედანი გამოქვეყნებული არ არის“. 1765 წლის განჩინების ქართული ტექსტი „შინმოსულ ტყვეთა ყმობიდან განთავისუფლების შესახებ“ იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი IV, 1972, № 409.

1774 წლის „მორიგის ლაშქრობის განაჩენის“ ტექსტის უახლესი გამოცემა სამი ხელნაწერი დედნის მიხედვით იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი II, 1965, № 127.

ვახტანგ ბატონიშვილის 1782 წლის „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“ სამი ხელნაწერის მიხედვით და გამოკვლევით გამოაქვეყნა იაკობ ფუტყარაძემ („ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის“, 1964).

გვ. 120. იოანე ბატონიშვილის მოხსენებ აწინადადების გამოცემის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „მთელი ეს ნაწარმოები დედნითგან გადმოწერილი გვაქვს და ქართული სამართლის სხვა წყაროებთან ერთად ვაპირობთ გამოცემას“. მაგრამ ამ თხზულების ტექსტის გამოცემა განსვენებულმა მეცნიერმა ველარ მოასწრო. ნაშრომის ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოაქვეყნა ივ. სურგულაძემ (იხ. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, 1957). „ამ საყურადღებო მოხსენების გარდა იმავე დროს იოანე ბატონიშვილის უფროს ძმას საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს დავითსაც შეუდგენია სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და მართლმსაჯულების ცვლილებისათვის ახალი კანონები“. ამ კანონპროექტისადმი მიძღვნილი გამოკვლევა გამოაქვეყნა დავით ფურცელაძემ („სამოქალაქოს სჯულდება“, XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული, 1960). მანვე 1966 წელს გამოსცა კანონპროექტის ტექსტი „სამოქალაქოს სჯულდება“ II, ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები გამოსცა დავით ფურცელაძემ).

გვ. 121. „სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის ხელნაწერშიაც (№ 102 Msc. Georg.) შენახულია „სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ორ წილად“. ამ ხელნაწერის მიხედვით, ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონ-საძიებლების დართვით ძეგლი გამოაქვეყნა დავით ფურცელაძემ („სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, 1964).

დავით ბატონიშვილის სამართლის ტექსტის რუსული ვერსია ვრცელი გამოკვლევითა და საძიებლების დართვით გამოაქვეყნა აპოლონ როგავამ (იხ. დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა — Обзорение Грузии по части прав и законовведения, 1959).

გვ. 122. „ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „ქართველ მეფეების დროინდელთ ჩვეულებებ“-ს, რომელიც ჩაწერილი იყო 1810—15 წლებში. სამწუხაროდ, ამ საბუთის ქართული დედანი ჯერ აღმოჩენილი არ არის“. ეს ძეგლი, რომლის სათაურია „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“, აკად. პაატა გუგუშვილმა გამოავლინა და შესავალი წერილის

დართვით გამოაქვეყნა 1938 წელს („მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. III).

ამ ძეგლის ქართულ-რუსული პარალელური ტექსტი გამოკვლევისა და საძიებლების დართვით ცალკე წიგნად 1960 წ. გამოქვეყნდა (ი. დოლიძე, „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, 1960).

„სამართლის ისტორიისათვის, წერს ივ. ჯავახიშვილი, ძვირფასი ცნობები მეტადრე სიველ-გურჯებში არის შენახული. სწორედ დაუფასებელი განძია ეს უკანასკნელი წყარო იმიტომ, რომ იგი მოქმედი სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელ საბუთს წარმოადგენს“. მართლაც, მოქმედი სამართლის ვითარება ყველაზე მკაფიოდ ასახულია სასამართლო პრაქტიკაში, ხოლო სასამართლო პრაქტიკა — სასამართლო განჩინებებსა და არზა-ოქმებში. ქართული საერო და საეკლესიო სასამართლო განჩინებანი და სასამართლო არზა-ოქმები გამოქვეყნებულია „ქართული სამართლის ძეგლების“ IV—VII ტომებში.

გვ. 140. „უძველეს დროს საქართველოში სუფევდა საგვარეულო წესწყობილება: იგი გაბატონებული იყო სახელმწიფო ცხოვრებაშიაც, საზოგადოებრივშიაც“.

გვ. 144. „გვაროვნული წესწყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს... ადვილი შესაძლებელია სტრაბონის დროინდელი საქართველოს გვაროვნული წესწყობილება პირველადი არ იყოს“.

ეს დებულება ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნშიაც: „იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დაფუძნებული“ („თხზულებანი“ თორმეტ ტომად, ტომი I, 1979, გვ. 207; ტომის რედაქტორის შენიშვნა, გვ. 431). გვაროვნული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთ ორგანიზმად არსებობა, გვაროვნული წყობილების სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლად გამოცხადება, იმ დროს ევროპულ და რუსულ პოზიტივისტიკურ ისტორიოგრაფიაში აღიარებულ დებულებას წარმოადგენდა. სტრაბონის დროინდელი იბერიის გვაროვნული, სოციალური და სახელმწიფოებრივი წესწყობილების საკითხების ახლებური გაშუქება იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, 1970, თავი XIV.

გვ. 341. „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში“ იბეჭდება 1934 წლის გამოცემის მიხედვით. ეს მონოგრაფია თავდაპირველად „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ერთ ნაწილად იყო ნაკარაუდევო, არსებითად კი წარმოადგენს ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიის ნარკვევს (ავტოგრაფი დატულია ივ. ჯავახიშვილის არქივში, № 387).

გვ. 878 „ხელმწიფის კარის გარიგება“ (გამოკვლევა და ტექსტი) იბეჭდება „ქართველი ერის ისტორიის“ V ტომის გამოცემის (1953 წ.) მიხედვით. აღნიშნული ტომი დასაბეჭდად მოამზადა და ივ. ჯავახიშვილის არქივში დატული მასალით შეავსო აკად. სიმ. ყაუხჩიშვილმა, რომელიც წინასიტყვაობაში წერდა: „ივ. ჯავახიშვილის არქივში აღმოჩნდა ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთი ვეზემპლარი, რომელშიც არსებებზე განსვენებულ აკადემიკოსს შეუტანია შესწორებები და მოკლედ აღუნიშნავს თავისი შეხედულება ტექსტის ამა თუ იმ ადგილის შესახებ. ამ წინასწარი შე-

ნიშნების შემდეგ დაუწყია ნარკვევის წერა, ხოლო ვერ დაუმთავრებია. ჩვენ ამოვიკითხეთ ყველა მისი მარგინალური შენიშვნა და მოვათავსეთ სქოლიოებში, ხოლო დაუმთავრებელი ნარკვევი ძეგლის შესახებ თავში მოვათავსეთ“ (ნარკვევის ავტოგრაფი დატულია ივ. ჯავახიშვილის არქივში, № 401).

გვ. 405. ხელნაწერი ტექსტი „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“ დატულია ივ. ჯავახიშვილის პირად ფონდში (№ 408). ტექსტი გადმოწერილია Q 206 ნუსხიდან, რომელიც ბექა-ალბულას სამართლის წიგნის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ნუსხას წარმოადგენს. იგი გადაწერილია წერილი ნუსხა-ხუცურით „ქელითა ფ ღ ც-ისა იესესითა ქ კს ტა“ (1672 წ.). ეს ნუსხა თ. ჟორდანიას შეუძენია ვინმე ფეიქრიშვილისაგან, ბ-ნ ივანეს ეს ნუსხა, ორთოგრაფიისა და განკვეთილობის ნიშნების დაცვით, ლურჯი მელნით გადაუწერია, ხოლო ტექსტის სწორება და გამართვა ვარდისფერი მელნით დაუწერია. ასე გაუმართავს ბექას სამართლის წიგნის შესავალი და 1—16 მუხლების ტექსტი, შეუჭერებია იგი ვახტანგის სამართლის კრებულის ერთ-ერთი ხელნაწერის შესაბამის მუხლებთან და კითხვა-სხვაობანი სქოლიოში მიუთითებია. ფეიქრიშვილის ნუსხა ფ ლიტერით, ხოლო ვახტანგისა ვ ლიტერით აღუნიშნავს. რაც შეეხება ბექას სამართლის მომდევნო 17—66 მუხლების ტექსტს, გასწორებული და გამართული არ არის და არც ვარაიანტებია ნაჩვენები.

ალბულას სამართლის ტექსტის (მუხ. 67—97) კითხვა-სხვაობანი, გარდა 77-ე მუხლისა, ორივე ნუსხის მიხედვით ნაჩვენებია სქოლიოებში. ბ-ნ ივანეს მიერ გადაწერილი ტექსტი სულ 77 გვერდს შეიცავს, ბექას სამართლის შესავლისა და 1—16 მუხლის კითხვა-სხვაობანი ცალკე ფურცლებზეა ამოწერილი. ჩვენ გადმოვწერეთ აღნიშნული ტექსტი და შევაჯერეთ დედანს, ხოლო ცალკე ფურცლებზე ამოწერილი კითხვა-სხვაობანი შესაბამისი ტექსტის სქოლიოებში გადმოვიტანეთ.

Q 206 ნუსხაში კანონები მუხლებად დაყოფილი არ არის, ახალი დადგენილების ან აბზაცის მაჩვენებელი ტექსტი ასომთავრულით იწყება, მაგრამ ეს წესი ყველგან დატული არ არის, ზოგიერთი მუხლის შესაბამისი ტექსტი შერწყმულია წინა მუხლის ტექსტთან (მუხ. 4, 5, 6, 8, 28, 31, 32, 45, 52, 55, 57, 59, 66, 67, 77, 90). ამასთან ერთად დედნის ფურცლების დაშლილობის გამო Q 206 ნუსხაში 69—77 მუხლების შესაბამისი ტექსტი გადამწერის შეცდომით გადაადგილებულია. ბ-ნ ივანეს ხელნაწერშიც შენარჩუნებულია Q 206 ნუსხის ეს თავისებურებანი, მაგრამ ტექსტს მარცხენა კიდეზე შესაბამის ადგილას, ვახტანგის კრებულის ხელნაწერის მიხედვით, ფანქრით მიწერილი აქვს მუხლების პარაგრაფები. აღდგენილი ტექსტი ჩასმულია კვადრატულ კაგებში. Q 206 ნუსხის გვერდების სათვალავი ბ-ნ ივანეს ხელნაწერში აღნიშნულია მარცხენა კიდეზე. ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენ გვერდების სათვალავი ციფრები ტექსტშივე შევიტანეთ და კანონები ჩვენი გამოცემის (1953 წ.) მიხედვით მუხლებად დაყავით. „ჩვენს შენიშვნებს, ბ-ნ ივანეს შენიშვნებისაგან რომ განვასხვავოთ, სქოლიოში მიწერილი აქვს: (ი. დ.), სხვა მხრივ ტექსტი უცვლელად იბეჭდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ ივანეს მიერ ტექსტი ბოლომდე გამართული და დადგენილი არ არის, ის რაც გაკეთებულია, მეტად მნიშვნელოვანია ამ იურიდიული ძეგლის შესწავლისათვის.



## სამიგბლები<sup>1</sup>

### ა) პირთა

- აბაზას ძენი 335 .  
აბალა ნოინი, ყაენი 240.  
აბდიში 267.  
აბიზოს ნეკრესელი 181.  
აბირონი 64.  
აბო ტფილელი იხ. ჰაბო ტფილელი.  
აბრაამ, სომეხთა კათალიკოზი 39, 43, 44.  
აბუ-ბაქრ ათაბაგი 275, 277, 287.  
აბულასან ამირა 215, 218, 237, 311, 336, 338.  
აბულ-ყასიმ, ძე აბუსაყისი 283.  
აბუსერიძე ტბელი 183—184, 193, 205, 220, 240, 325.  
ადამი 124.  
ადარნერსე კუროპალატი 168.  
ადონცი გ. 135, 136, 174.  
ადრიანე კეისარი 174.  
აევგ ათაბაგი 184, 300.  
აევგ ამირსპასალარი. 225, 260, 268.  
აევგ მხარგრძელი 313.  
აეგინოსი 45.  
აეთანდილი 300.  
აერელოუსი მარკოზ 255.  
აესლუქტია, ეესლუქტია, ეესლუბტი, ოსტუქტია 159, 162.  
აზარმიდუბტ 159.  
აზო 136, 150, 196.  
აზონ 127.  
ათანასე ალექსანდრიელი 45.  
ალექსანდრე მაკედონელი 127, 150.  
ალექსანდრე მეფე 67—69, 93.  
ალექსიძე იოველ 80.  
ამანელისძე 209.  
ამბა ალავერდელი 209.  
ამილახვარი 210, 211.  
ამირიძენი 139.  
ამშიანე მარცელინი 160.  
ამფილოქე იკონიელი 45.  
ანა დედოფალი 226.  
ანდრია კრიტელი 41.  
ანტონ კათალიკოზი 67, 112.  
ანტონ მარტყოფელი 181.  
ანტონ შვიგნობართუხუცესი 268, 272, 275—277.  
ანტონ ნოკრებლისძე 191.  
ანტონ საღირის ძე ქუთათელი 75.  
ანტონ კუონდიდელი, შვიგნობართუხუცესი 234.  
აპოლოს 48.  
არაგვის ერისთავი 210, 211.  
არან 150.  
არვანდ გუშნასპ, ქაჩთლისა მარზპანი 133, 167.  
არისტოტელი 31.  
არკადი კეისარი 160.  
არმან 48.  
არსენი შამა 200.  
არსენი ბერი 188.  
არსენი ეპისკოპოზი 339.  
არსენი იუალთოელი 30, 39—43, 45—47.  
არსენი კათალიკოზი 240.  
არსენი მონაზონი 53, 55, 56.  
არსილოსი 160.  
არსლან მაჰმედისძე 200.  
არტაქსერქს შკარგრძელი 191, 194, 195.  
არტემოს 48.  
არქანჯელო ლამბერტი 148, 149.  
არლუნი 187.  
არლუნ ნოინი 197.  
არლუნ ყანი 191, 198, 306.  
არშეშა პიტიაზში 165—167, 173.  
არჩილი 204, 207.  
არჩილ მეფე 77, 159, 161—163.  
ასმათი 325.  
აფოც, ქართლისა ეპისკოპოზი 169.  
აფრილონი 132, 312.  
აფციათარი 139.  
ალა შამაღ-ხანი 80, 118, 142.  
ალბულა 85, 86, 88, 89, 91, 94, 102—109, 111, 312.  
აშოტ კურაპალატი 32, 87, 176, 183, 185, 200, 229, 230.  
ბაბკენ, სომეხთა კათალიკოზი 131.  
ბაგრატ მეფეთა-მეფე 117.  
ბაგრატ კურაპალატი 28, 29, 34, 35, 85, 86, 88, 90—94, 104, 108, 204, 333.

- ბაგრატ I, აშოტ კურაპალატის ძე 68, 87, 90, 91.
- ბაგრატ II, რევენი 87.
- ბაგრატ III 32, 35, 87, 90, 94, 180, 195, 208, 214, 261, 262, 267, 270, 284, 287, 334, 335, 337.
- ბაგრატ IV 87, 184, 185, 200, 201, 208, 215, 217, 225, 228, 239, 242, 258, 259, 262, 278, 279, 284, 295, 329, 332, 335.
- ბაგრატ დიდი 68, 86.
- ბაგრატ ნეფე 52, 117, 208.
- ბაგრატიონთა საგვარეულო 229.
- ბადაგონ 48.
- ბათო ყანი 273, 304.
- ბაქერ 334.
- ბაქურ, ძე რევისი 157.
- ბაქურ მეფე 158, 160—162.
- ბაქურ-ყმა ძაგანის ძე 337.
- ბაქურდუხტი 159—163.
- ბარტპოლი ვ. 266, 267, 283, 300, 308, 309.
- ბასილი 36, 205.
- ბასილი დიდი 45.
- ბასილი, ბიზანტიის კეისარი 87, 115.
- ბასილი ზარზმელი 205, 225, 248, 257.
- ბასილი კათალიკოზი 67, 68.
- ბასილი II, კეისარი 183, 208, 262.
- ბასილი კესარიელი 48.
- ბასილი მწიგნობართ-უბუცესი 272.
- ბასილი ქყონდიდელი 274.
- ბასილი ქყონდიდელ-უჭარმელი 60.
- ბასილი, ქართლისა მთავარ-ეპისკოპოს-ყოფილი 336, 337.
- ბასხაროვი 53.
- ბაქარ ბატონიშვილი 151.
- ბაქარძე დ. 85, 94, 113, 116, 131, 184, 202.
- ბედოძენი 139.
- ბუიხაკი 309.
- Белаяя 296.
- ბენედიქტე (წმ.) 35.
- ბენეშევიჩი ვ. 38—41, 44, 50, 52, 263.
- ბეიანიშვილი ზურაბ 141.
- ბერძენიშვილი ნ. 76.
- ბეჟა ათაბაგი 85, 103, 312.
- ბეჟა ჭაყელი 208.
- ბეჟა 85, 86, 88, 89, 91, 102, 103, 112.
- ბეჟა-ალბულა 28, 102, 107—109, 111, 114.
- ბეჟა, სამცხის მთავარი 192.
- ბეჟა, სამცხის სასაღარი 213.
- ბეჟა I, მანდატურთუხუცესი 105.
- ბეჟა II 105.
- ბეჟა (ახნაური) 202.
- ბეჟაურნი 139.
- ბეჟაურნი 139.
- Blastari Matthaei 114.
- ბოროზინი კორ. 145, 146.
- ბოჩი 48.
- ბოტო ბოტოს ძე 209.
- ბოტო ჭაყელი 339.
- ბროსსე მარი (Brosset M.) 62, 89, 99, 103, 114, 116, 171, 335, 339.
- Brunner H. 249, 254.
- ბრუნსი (Bruns K. G. Dr.) 115.
- ბუმირუსთარაა 162.
- ბურდულუმი 150.
- ბუსმპირი, ბუსშილი, ბუსმირი, ბუსმირიოს, ბუსმირიოს 159, 161—163.
- ბულა-თურქი 191, 195, 196.
- ბურჯუქურნი 139.
- გაბრიელ დაფანული 200, 209.
- გაბრიელ ერისმთავარი 203.
- გაბრიელ მლუღელი 121.
- გაბრიელ, ქართლისა კათალიკოზი 131.
- გაგიკი, კახთა მეფე 334.
- გამრეკელი, ამირსპასალარი 243.
- გამრეკელ-თორელი 284.
- გაიკი 48.
- გელდევანიშვილი ვ. 68.
- გენადი პატრიარქი, კონსტანტინეპოლელი 27, 45.
- George V 105.
- გერმანოზი 141.
- გვანტა 226.
- გვარამ მამფალი 24, 33, 35, 42, 43, 89.
- გიგაურნი 139.
- გიორგი (შოთა მღვიმისათვის შეწირული ყმა) 234.
- გიორგი, აფხაზთა მეფე 334.
- გიორგი ბრწყინვალე 28—30, 74, 83—85, 94—100, 102, 105, 106, 109—111, 114.
- გიორგი მეფე 148, 183.
- გიორგი I 226, 284.
- გიორგი II 200, 201, 216, 259, 271, 278, 295, 301, 302, 304, 306, 322, 332, 334.
- გიორგი III 93, 182, 185, 201, 206, 212, 220, 243, 247, 260, 267, 269, 281, 282, 284, 290, 292, 295, 299, 304, 306, 314, 334, 339.
- გიორგი XI 112.
- გიორგი XII 118.
- გიორგი XIII 119, 120.
- გიორგი ლაშა 76, 94, 216, 222, 268, 282, 312, 314.
- გიორგი ბაგრატის ძე 91.
- გიორგი მერჩულე 24, 28, 29, 42, 43, 69, 77, 88, 132, 176, 191, 197, 200, 202, 203, 205, 207, 225.
- გიორგი დავით ულუს ძე 59, 61.

- გიორგი, აფხაზთა მეფე 35.  
 გიორგი ამარტოლი 60.  
 გიორგი შთაწმინდელი 25, 32—36, 41, 46, 49, 69, 87, 183, 190, 192, 203, 207, 208, 212, 217, 239, 262, 270, 278, 295, 297, 329.  
 გიორგი მონაზონი და მწიგნობართუხუცესი 55, 69, 271, 272.  
 გიორგი მწერალი 278.  
 გიორგი რუსი 212, 214.  
 გიორგი კუონდიდელი და მწიგნობართ-უხუცესი 228, 271.  
 გიორგი ხუცეს-მონაზონი 61, 192, 212, 335.  
 გიორგი (წმ.) 189.  
 გობრონი (წმ.) 283.  
 გოდერძი 334.  
 გოზალიშვილი გ. 58, 59, 61.  
 გორგაძე ს. 130, 190, 199.  
 გოსტაშაბისშვილი დავით 141.  
 გრიგოლ ხანძთელი 24, 28, 29, 32—35, 42, 43, 51, 69, 88—90, 125, 132, 176, 197, 199, 200, 202, 203, 205, 207, 262, 263, 303.  
 გრიგოლ ერისთავთ-ერისთავი 331.  
 გრიგოლ ეპისკოპოზი, ნეოქესარიელი 27, 45.  
 გრიგოლ ნოსელი 45, 122—124.  
 გრიგოლ სურამელი 184, 220, 231, 232, 235, 314.  
 გრიგოლ, ქართლის ერისთავთ-ერისთავი 331, 332.  
 გრიგოლ, ქართლის მამასახლისი 167, 173.  
 გრიგოლ ხუცესი 45.  
 გრიგოლ ჩახრუხაძე 39—41.  
 გრიგოლ ღვთისმეტყველი 45.  
 გრიგოლ ბაკურიანი 69.  
 გრიგოლის ძენი 237.  
 გუარამ კურაპალატი 262, 334.  
 გუზაბი 163.  
 გუზანი 229, 236, 336.  
 გურანდუხტი 159.  
 გურგენ მეფე 262.  
 გუშნასპი 167.  
 დადიანი 324.  
 დადიან-ბედიანი ჯოანშერისძე 216.  
 დავით აღმაშენებელი 34, 53, 55, 56, 68, 69, 83, 86, 89, 94, 124, 180, 182, 187, 188, 194, 195, 201, 204, 208, 213, 228, 236, 239, 246, 258, 271, 277, 281, 284, 286, 287, 304—307, 322, 338, 339.  
 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 28, 41, 54, 182, 183, 187, 190—192, 194, 198, 205, 206, 208, 214, 218, 262, 267, 272, 274, 277, 283, 304, 307, 336.  
 დავით გარესჩელი 181.  
 დავით გიორგის ძე 97.  
 დავით დიდი კურაპალატი 214, 262, 283.  
 დავით დიმიტრი თავდადებულის ძე 268, 304.  
 დავით, საქართველოს ტახტის მემკვიდრე 120, 121.  
 დავით კურაპალატი 203.  
 დავით, კახთა მეფე 69.  
 დავით, ებრაელთა მეფე 60.  
 დავით გიორგი ლაშას ძე 60, 186, 213, 216, 218, 220, 222, 272—274, 282, 304, 306.  
 დავით მცირე 184.  
 დავით რუსუდანის ძე 187, 197, 212, 304, 306.  
 დავით სოსლანი 215, 273, 275, 284, 288.  
 დათან 64.  
 დაუნა 141.  
 დარეჯან დედოფალი 68  
 დემეტრე, აფხაზთა და ქართველთა მეფე 214.  
 დემეტრე, ბაგრატ IV-ის ნახევარძმა 217.  
 დემეტრე I 281, 284.  
 დიმიტრი დავითის ძე 187, 188, 305, 307.  
 დიმიტრი გვანცას ძე 227.  
 დიმიტრი თავდადებული 76, 95, 184, 193, 198, 212, 218, 263, 268, 282, 304.  
 დიოსკორე 64.  
 დიოდორე 27, 45.  
 დიოს 48.  
 დიონ კასიოსი 174.  
 დორეული 139.  
 დუკტია, დუხტი 160.  
 ეგარსლანი 213, 225.  
 ევდემონ, აფხაზეთის კათალიკოზი (ჩხეტიძე) 62.  
 ევლოქსია 160, 161.  
 ეესლუქტია იხ. აესლუქტია.  
 ეესლუხტი იხ. აესლუქტია.  
 ეესევი ეჯარხოსი 139.  
 ეესტათე მცხეთელი 128, 130—133, 156, 159, 166, 167, 169, 173, 175, 257.  
 Eicken H. 124.  
 ენგერი, მაქს 265, 266.  
 ერეკლე მეფე 67, 68, 118, 147.  
 Esmein A. 223, 224, 249, 250, 252.  
 ეფთუმე გრძელი 267, 270.  
 ეფთუმე შთაწმინდელი 24, 25, 29, 33—36, 38, 41—43, 46—50, 69, 190, 203, 207, 262, 263, 283, 284.  
 ეფთუმე მწიგნობართ-უხუცესი 270.  
 ეფთუმე ქართლისა კათალიკოზი 96.  
 ეფრემ ასური 126.  
 ეფრემ ეპისკოპოზი 263.  
 ეფრემ მცირე 41, 56, 193, 198.  
 ვანანე (ივანე აბუსერიძე ტბელის და) 220, 333.  
 ვარაზ ბაკურ 158.  
 ვარამ გაგელი 216.  
 ვარდან დადიანი 238, 262.

- ვარდანის ძენი 194, 209.  
 ვარდან, სუნათა ერისთავი 216, 217, 305.  
 ვარსკენ, ქართლის პიტიახში 132—134, 147, 157, 168, 172, 174, 190.  
 ვასილი დიდი 45.  
 ვაჩე გვარამის ძე 240—242.  
 ვახტანგ II 74.  
 ვახტანგ VI 28, 29, 32, 62, 63, 66, 74, 79, 81—85, 88, 91, 95, 99, 102—104, 106—108, 111—117, 122, 210, 211, 219, 232, 236, 261.  
 ვახტანგ ბატონიშვილი 147—149, 183.  
 ვახტანგ ბაგრატიის ძე 91.  
 ვახტანგ გორგასალი, ვახტანგ გურგანალი 93, 150—152, 159, 169, 200, 207, 283, 329, 334, 337.  
 ვახტანგ დავითის ძე 187, 258, 282, 313.  
 ვახტანგ დიმიტრის ძე 212, 264.  
 ვახტანგ ერეკლე მეფის ძე 118.  
 ვახტანგ შლივანბეგი 141.  
 ვახუშტი ბატონიშვილი 62, 98, 99, 105, 112.  
 ვეშაგურნი 139.  
 ვლასტარი 114.  
 ზანქან ზორაბაბელი 204, 215.  
 ზაოზერსკი ნ. 49—52.  
 ზარტიძისა ძენი 237.  
 ზაქარია ამირსპასალარი 262, 285, 289, 311.  
 ზაქარია ვარდანის ძე 238.  
 ზაქარია მკარგძელი 194, 237, 240, 336.  
 ზაქარია თანასკერტელი 228.  
 ზაქარია ქართველი 158.  
 ზახუ (Sachu Ed. Dr.) 115.  
 თაბიანე 64.  
 თამაზ სარდალი 141.  
 თამარ მეფე 68, 70, 75, 76, 78, 83, 95, 111, 182, 204, 206, 210, 212, 213—215, 221, 222, 228, 234, 236—241, 243, 258—260, 262, 267—270, 272, 273, 275, 277—280, 284—286, 288, 292, 299, 303, 306, 309, 311—314, 318, 324—326, 332, 334, 337, 338, 340.  
 თამარ მეფის ისტორიკოსი, 75, 95, 111, 182, 185, 191, 194, 195, 201, 206, 208, 210, 212, 214, 216—218, 220—222, 225, 228, 229, 236, 239, 240, 246, 260, 262, 263, 267, 268, 272, 275, 282, 284, 285, 287, 290, 297, 299, 301, 303, 304, 306, 313, 314, 319, 322, 326, 333, 336, 337, 340.  
 თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი 306.  
 თარხნიშვილი გ. 117.  
 თაყაიდან თმოგველი 285.  
 თაყაიშვილი ე. 67—71, 73, 74, 77, 78, 84, 94, 99, 115, 118, 136, 150, 253, 273, 290, 311, 336.  
 თეოდორე კენტერბერიის არქიეპისკოპოზი 52.  
 თეოდოსი II 161.  
 თეოდოსი მცირე 163.  
 თეოდოსი, აფხაზთა მეფე 212, 214.  
 თინათინი 305.  
 თინიკაანნი 139.  
 თლოშიაურნი 139.  
 თორნიკე 283, 284.  
 თორღას ძენი 237.  
 თორღუა 186, 188.  
 თრღატ 158.  
 თუმანიშვილი ბეჟან 141.  
 თუმანიშვილი გოგია 141.  
 თუმანიშვილი ფირან 141.  
 იაბერ (შომოღვიმისთვის შეწირული ყმა) 233.  
 იაკობ ბურტანელი 267.  
 იაკობ ხუცესი 128, 130—134, 147, 149, 151, 156, 168—170, 172—175.  
 იბნ-ალა-სირი 266.  
 ივრიაულნი 139.  
 იეზდიგერდ 165.  
 იესე 103, 141.  
 იესო ქრისტე 31, 64, 89, 130.  
 ივანე აბასას ძე 335.  
 ივანე ათაბაგი 192, 289.  
 ივანე ახალიხელის ძე 300, 338, 340.  
 ივანე ერისთავთ-ერისთავი 220.  
 ივანე ლიპარიტის ძე 215—217, 283, 284, 305.  
 ივანე მსახურთ-უხუცესი 263.  
 ივანე მწიგნობართ-უხუცესი 268.  
 ივანე მხარგრძელი 236, 268, 311, 312.  
 ივანე ორბელი 125, 186, 290.  
 ივანე ორბელი მანდატურთ-უხუცესი და ამირ-სპასალარი 339.  
 ივანე სარგისის ძე 237, 238.  
 ივანე-ყვარყვარე ჭაყელი ციხისყვარელი 263, 311.  
 ივანე შანშას ძე 220.  
 იკუნქელის ძე 296.  
 ილარიონ ქართველი 181.  
 ილურიძენი 139.  
 ინასარიძე მწიგნობარი 73.  
 Иностранцев К. 300.  
 იოანე ბატონიშვილი, გიორგის ძე 119, 120.  
 იოანე დამასკელი 49.  
 იოანე ვარდანის ძე 229.  
 იოანე კონსტანტინეპოლელი 51.  
 იოანე მარუშის ძე 337.  
 იოანე მახარებელი 135, 136, 192.  
 იოანე, ქართლის კათალიკოზი 55, 169, 271.  
 იოანე მთაწმინდელი 25, 34, 69, 190, 203, 207, 283, 284.

- იოანე მმარხველი 25, 46, 48—50.  
 იოანე მონაზონი 50, 51.  
 იოანე მწიგნობარი მწერალი 268, 279.  
 იოანე პეტრიწი 41.  
 იოანე საბანის ძე 130, 150, 176, 183, 187, 189, 190, 193, 196, 226.  
 იოანე სქოლასტიკოსი 40.  
 იოვანე ქუთათელი 74, 76.  
 იოანე ლეთისმეტყველი 9.  
 იოანე შავთელი 219.  
 იოანე ჭყონდიდელი 270.  
 იორამი 151.  
 იორია 151.  
 იოსაბე 151.  
 იოსელიანი პლ. 103, 104.  
 იოსიბოს ფლაბიოსი 192.  
 იულა 64.  
 იუსტინიანე დიდი, ბიზანტიის კეისარი 31, 136, 174, 330.  
 კაიშაურნი 139.  
 კაკაბაძე ს. 62, 63, 67, 69, 70, 75, 76, 90—93, 97, 102, 105, 204, 231—235, 241, 242, 253, 258—260, 268, 272, 277, 287, 295, 300, 305, 311, 314, 332.  
 კარბელაშვილი პ. 270.  
 კარიკაშვილი 204, 268.  
 კახაბერი, რაქის ერისთავის, კახაბერის ძე 216.  
 კახა ერისთავი-ერისთავი 230, 232, 233.  
 კახა, ერისთავი ახალქალაქისა 220.  
 კახა თორელი 263.  
 კაენი 64.  
 კეკელიძე კონს. 39—44, 47, 49, 56, 62.  
 კვირიკე 184.  
 კვირიკე, კახთა მეფე 241.  
 კიზირია პ. 117.  
 კირიონ, ქართლის კათალიკოზი 39, 43, 44.  
 კლიმენტოს დიდი 45.  
 ცობაძენი 139.  
 ცოლაელი 133.  
 კონსტანტინე 36, 74.  
 კონსტანტინე, მეფე ბიზანტიისა 30.  
 კონსტანტინე დიდი 26.  
 კონსტანტინე პორფიროსანი 150.  
 კონსტანტინე კახაა 232.  
 Kremer A. 265, 266, 283.  
 კრისკენტი 64.  
 კვრილე ალექსანდრიელი 45.  
 ლაზარე ფარპელი 165.  
 ლარაძე 117, 118.  
 ლატიშვილი 160, 163, 174.  
 ლევი 190.  
 ლეონ, აფხაზთა მეფე 35.  
 ლეონ ბატონიშვილი 68, 118.  
 ლეონტი მროველი 126—128, 132, 136, 155, 157, 165—168, 171, 285, 290, 302, 325, 333, 334.  
 ლიკოზინი ნ. 266.  
 ლიპარიტ ამირა 194, 203, 208, 212, 336, 338.  
 ლიპარიტ ერისთავი-ერისთავი, მაგისტროსც. 239.  
 ლიპარიტი 215, 225, 262, 335.  
 ლიპარიტ სუმბატის ძე 337.  
 ლუკა 135, 156, 192, 257.  
 მათე 131, 135, 137, 156, 192, 226, 257.  
 მაკარი არხ. 53.  
 მალაქია კათალიკოზი 62, 63.  
 მანაველი მსახურთუხუცესი 325.  
 მანოელ ნიკორწმინდელი 91, 92.  
 მანუჩარის შვილი გორჯასპი 141.  
 მაკოზ მახარებელი 131, 135, 156, 174.  
 მარტი ნ. 41, 50, 77, 133, 158, 159, 161, 173, 174, 199, 219, 223, 227.  
 მარიამ დედოფალი (მაცრატ IV-ის დედა) 217.  
 მარკოზი 192, 226, 257.  
 მარუშაინი 262, 324.  
 მაქსიმე აღმსარებელი 47, 49.  
 მავა 229.  
 მახატლის ძენი 237.  
 მაქი ამირა-მეშენი 150, 168, 196.  
 მამულე 201.  
 მელანია 161.  
 მელიქიშვილები 211.  
 მელიქიშვილი იესე 80—83.  
 მელიქსეთ-ბეგი ლეონ 114, 115.  
 მელიქსედე კათალიკოზი 40, 42, 204, 205, 235.  
 მერიბანეს იხ. მირიპანი.  
 მიდელანნი 139.  
 Migne 130.  
 მირიანი 225, 226, 242.  
 მირიან მეფე 157—159.  
 მირიპანი, მერიბანეს 160, 162.  
 Müller A. 311.  
 მიქაელ მემლიძე 225, 227.  
 მიქელ, ქართლისა კათალიკოზი 77.  
 მიწანძორთელი 157.  
 მიპარნდუხტი 159.  
 მიპარნატი 150.  
 მორვანოზი 159, იხ. აგრ. პეტრე ქართველი.  
 მორინი 50.  
 მოსე ხორენელი 173.  
 მოსე წინასწარმეტყველი 112, 113, 124, 227.  
 მოსე ხანძთელი 270, 271.  
 მტბევიარი 331.  
 მურვან ჩაყელი 216.  
 მუჰამედი 265.

- მცხეთოს 126.  
 მხითარ გოში 115.  
 მკარგაძე 191, 195, 209, 213, 214, 229.
- მაბარნევი 159, იხ. აგრ. პეტრე ქართველი.  
 ნარიანიძე 139.  
 ნერსე ერისთავი 150, 168, 175, 226.  
 ნერსე ერისთავთ-ერისთავი 203.  
 ნერსე ერისმთავარი 195, 196, 337.  
 ნერსეს ლამბრონი 115.  
 ნერშაკი (Nerchakhy) 266, 267.  
 ნიანია ლიპარიტის ძე 228.  
 ნიანია ქუაბულიძე 216, 305.  
 ნიშამ ულ-მულკი 267, 300, 308, 309.  
 ნიკოლოზ კათალიკოზი 233.  
 ნინო (წმ.) 159, 329.  
 ნისიძე 220.  
 ნოღღეძე 265, 281, 282, 333.
- ოთარი 141.  
 ოლივერ უორდროპი 102.  
 ოპიზარნი 157.  
 ორბელიანი საბა 98, 112, 151.  
 ორბელიშვილი 210.  
 ორბელიშვილი ვრასტი 84.  
 ორმინდუხტი 159.  
 ოსტრუქტია იხ. ავსტრუქტია.  
 ოფსიტე 163.  
 ოქოზია 151.
- პაატა 141.  
 პაველ მოციქული 25, 45, 124.  
 პაველური 139.  
 პაველ ხუცესი 159.  
 Павалов А. 51.  
 პაფნოტე, საფარის მოძღვარი 107.  
 პეროზდუხტი 159.  
 პეტრე ალექსანდრიელი 45.  
 პეტრე ვესტი და მწიგნობართუხუცესი 270.  
 პეტრე მოციქული 26, 45.  
 პეტრე ქართველი, იბერი, ერისკაცობაში ნა-  
 ბარნევი, მორავანოზი 150, 158—163.
- პილატე 31.  
 პიმენ სალოსი 191.  
 პლატონი 31.  
 პრისკოს პანიელი 163.  
 პროკოპი კესარიელი 163, 264.
- ჟამთაღმწერელი 59—61, 182—184, 186—189,  
 191—195, 197—199, 202, 205, 207—209,  
 212, 213, 216, 218, 220, 222, 225—227,  
 240—242, 258—261, 263, 264, 268, 271,  
 272, 281, 283—286, 289, 290, 292, 293,
- 295, 299, 301—304, 306, 311—313, 329,  
 334.  
 უორდანი თ. 27, 52, 55, 56, 58, 59, 67, 68, 70,  
 75, 77, 103, 104, 106, 117, 253, 277, 294,  
 324, 332.
- რაბე რ. 158, 159.  
 Раїт В. 267.  
 რამინ 201.  
 რაყდენი 150.  
 რატი ლიპარიტის ძე 208, 214.  
 რატი სურამელი 337.  
 Rachid ed-din 116.  
 რევი 157, 158.  
 რუბენი 133.  
 რუქნადინი, რუქნადინი 273, 297.  
 რუსუდან დედოფალი 215, 222.  
 რუსუდან მეფე 74, 76, 209, 216, 282, 289,  
 299, 313, 314, 325, 327.
- საბა ორბელიანი 226.  
 საბინინი 53, 267.  
 საღუნ მანკაბერდელი 208, 260, 301, 313.  
 სავალთი (ძმა ყივჩაყთა მეფისა) 287.  
 საიდ ნასრ ამირა 266.  
 სალივანე 255.  
 სამთაველი 146, 147.  
 სამეველ, ქართლის კათალიკოზი 167, 169, 173,  
 176.  
 სარგისი 105.  
 სარგის ვარდანის ძე 237.  
 სარგის მკარგაძელი 185, 202, 203, 207, 236,  
 260, 268, 284, 339.  
 სარგის ჯაყელი 186, 197, 208, 216, 240, 263,  
 304, 311.  
 სასანიანი 282.  
 საურმაგ მეფე 127, 128.  
 საურმაგ სპასპეტი 150, 160.  
 საღირის ძე 209.  
 სევენიჯი, ყივჩაყთა მეფე 287.  
 სეთურიძეები 139.  
 სერაპიონ ზარზმელი 206, 247, 257, 329—331.  
 სვიანაძენი 139.  
 სვიმონ მეფე 28, 117.  
 სითილ არაბი 200.  
 Скабалаховиц Н. 262, 264, 273, 282, 296, 309.  
 სკლიაროსი 283.  
 სოკოლსკი ე. 114, 115.  
 სოკრათი 31.  
 სოლონი 31.  
 სოლომონი 60, 61:  
 სოლომონ ბრძენი 59, 60.  
 სოლოლაშვილი ელიზბარ 142.  
 სოლოლაშვილი იესე 142.

- სოლოლაშვილი იორამ 142.  
 სოლოლაშვილი მანუჩარ 142.  
 სოლოლაშვილი ქაიხოსრო 142.  
 სოლოლაშვილი შიომ 142.  
 სოფრომიძე 73.  
 სტეფანე 176.  
 სტეფანოზ მტბევარი 283.  
 სტეფანოზ ძე გურგენისი 150, 168, 196.  
 სტეფანოზ ორბელიანი 274, 278.  
 სტეფანოზ ქართლის ერისთავი 178, 337.  
 სტრაბონი 127—129, 134—137, 140, 154, 155, 157, 158, 163—165, 168—170, 172.  
 სუარის-ძე ვანო 144.  
 სუარის-ძე ნიკო 144.  
 სუარის-ძე ნინია 144.  
 სუარის ძე სვიმონი 144.  
 სულა კალმახელი 212, 228, 239.  
 სულხან მღვიანი 79—83.  
 სუმბატ ამირახორი 268.  
 სუმბატ დავითის ძე 185, 205, 225, 262, 335.  
 სუმონ მესევეტე 34.
- ტარიელი 325.  
 ტარსაიკ ათაბაგი 178.  
 ტაყიტუსი 150.  
 ტომოთე შთავარეპისკოპოზი, ალექსანდრიელი 27, 28, 45, 176.  
 ტიტე-მესპასიანე კეისარი 192.  
 ტოხაძე 240, 241.  
 ტურაევი 267.
- ულო ყაანი 191, 208, 213.  
 ულუ დაით 59—61.  
 უმიკაშვილი პეტრე 78—81, 83, 84.  
 ურბნელი ნ. 58, 62, 85, 94, 104, 312.  
 ურმიზი 334.  
 უსენი 325.  
 უფლოს 126.  
 უხტანესი 43.
- ფადლონი 201, 215.  
 ფადლუნი შედაღის ძმა 38.  
 ფაენელი 225.  
 ფარაოს ასული 227.  
 ფარნავაზ მეფე 126, 127, 283, 290, 233.  
 ფარსმანი 150, 158, 160—162, 169, 174.  
 ფარჟანიანი სარგის 216.  
 ფატმანი 325.  
 ფეზრონია დედა 32.  
 ფეიქრიშვილი ა. (Пейкришвили) 103, 104, 114.  
 ფილოთეოს ალექსანდრიელი 45.  
 ფონ ლინგენტპალი ცახარიე 114.
- ფოტიოს პატრიარქი 40.  
 ფრენკელი ა. 62, 85, 94, 122.  
 Френкель 116.  
 ფსტელ ლე კულაჩი 254, 256.  
 ფურცელაძე ა. 117, 118, 142, 143.
- ქავთარაძე მიხეილ 144.  
 ქავთარაძე პეტრე 144.  
 ქავთარაძენი 139.  
 ქართლოს 126.  
 ქართლოსიანნი 127, 128, 155.  
 ქარჩოხი 139.  
 ქასრე ამბარევი 334.  
 ქვაბულისძენი 216.  
 ქვაბულიძე ამირჯიბი 73  
 ქენჭაძენი 139.  
 ქრისტე 199, 273.  
 ქსნის ერისთავი 97, 210, 211.
- ყაზან ყაენი 105, 106, 304.  
 ყაუხჩიშვილი სვ. 60.  
 ყვარყვარე ბექას ძე 105.  
 ყიფშიძე იოს. 171, 201.  
 ყუბასარი 241, 243, 290.  
 ყუთლუ არსლანი 221.
- ზადალი 201.  
 ზადინი 191.  
 ზალვა 225.  
 ზალვა ბექას ძე 105.  
 ზალვა ქუენიფნეველი 117.  
 ზანშა 225.  
 ზარვანშა 222, 228.  
 ზარვანშაპ ფადლონი 183, 287.  
 ზაშა 105, 107.  
 ზაშა არტანუჯელი, სარგისის შვილი 105.  
 შედაღიანი 201.  
 შერაქის ძე 296.  
 შერმაღინნი 139.  
 Schefer Ch. 300, 308.  
 შილტბერგერი ჰანს (Schiltberger Hans) 145, 146, 149.  
 შიმონეარი 227.  
 შიო (წმ.) 278.  
 შმიცი (Schmitz) 51.  
 Spiegel 127.  
 Schröder R. 223, 249—252, 254, 256, 267.  
 შოთა რუსთაველი 69, 204, 288, 300, 305.  
 შუმანიკი 130—132, 134, 140, 147, 151, 156, 168—170, 172, 174, 175, 190, 195, 199, 257.
- ჩინგოზხანი 188.  
 ჩიტაია გ. 144.

- ჩიტანნი 139.  
 ჩობანაურნი 139.  
 ჩოქურნი 139.  
 ჩოხელნი 139.  
 ჩუბინაშვილი დ. (ჩუბინოვი) 85, 90, 107, 112, 113, 116.  
 ჩხეტიძე ვედემონ იბ. ვედემონ, აფხაზეთის კათალიკოსი.  
 ცაგარელი ალ. 77.  
 Zahn Th. 23.  
 ციხიურნი 139.  
 ციცერონი 254.  
 ციციშვილი 210, 211.  
 ცქირი 263.  
 ძინიელი 228.  
 წათე 163.  
 წამალაძენი 139.  
 წილკნელი 146.  
 ჭყონია ალ. 148.  
 ჭიაბერი, მანდატურთუხუცესი 209, 240, 290, 295, 297, 298.  
 ჭიაბერის ძენი 237.  
 ხახანაშვილი ალ. 46, 47, 49, 135.  
 ხვაშავი ავაგის ასული 184, 300, 301.  
 ხვაშავ დედოფალი 263.  
 ხორნაბუჯელი 189.  
 ხოჯა აზიზი 197.  
 Christensen, Arthur 265.  
 ხურსი 208.  
 ხუტლუბულა 259, 263, 264, 313.  
 ჭავჭავიშვილი გომფარ 117, 118.  
 ჭავჭავიშვილი ივანე 117.  
 ჭალალდინი 268, 289.  
 ჭანაშვილი მ. 123, 150.  
 ჭარნას-ძე 296.  
 ჭალუმძიძეები 139.  
 ჭიგლა 213.  
 ჭიქური მესტუმრე 273.  
 ჭოჭიკი 172, 174, 175.  
 ჭუნაშერი, ისტორიკოსი 150, 151, 204, 207, 329, 334.  
 ზაბო ტფილელი 130, 150, 168, 175, 183, 187, 189, 195, 196, 203.  
 Haury I 264.  
 ჰომიროსი 25.  
 ჰურმიზდი 335.  
 ჰეშმანი 171.

### ბ) გეოგრაფიულ სახელთა

- იდარბაგანი 213.  
 ითონი 25, 34.  
 ითონის მონასტერი 25, 69, 183.  
 ითონის მთა 35.  
 ილი 73.  
 იმიერ-კავკასია 136, 151, 152, 196.  
 იმიერ-საქართველო 68, 73, 78, 187.  
 იმირთ-კარი 139.  
 ინასტას-წმინდა 44.  
 ინისი 185, 186, 201, 286, 339.  
 ინკურია 25, 45.  
 ინტიოქია 45, 190, 217.  
 ინჩა 73.  
 ინჩისხატი 121.  
 ირაბეთი 123.  
 ირაბთა სახალიფო 274.  
 ირაგვის საერისთაო 118.  
 ირაგვის ხეობა 96, 97, 118, 138, 139.  
 ირაგუი 144.  
 ირანისი 99.  
 ირგობისა სოფლები 130.  
 ირგუეთი 187, 215.  
 ირმაზ 33.  
 ირტინუჯი 334.  
 არტანუჯის ციხე 87, 176.  
 არშაკეთი (კვეცი) 130, 132.  
 ატენი 242, 332.  
 ატენის სიონი 225, 226, 228, 242, 306, 307.  
 აფხაზეთი 66, 74, 75, 93, 175, 181, 187, 195, 202, 208, 212, 214, 261, 286.  
 აღმოსავლეთი საქართველო 76, 78, 80, 116, 128, 129, 135—137, 140, 154—156, 164—167, 170, 173, 185, 187, 199, 210, 290, 306, 335.  
 აწყუერი აწყუერი 85, 131, 184.  
 აპარა 187.  
 ახალუბანი 146.  
 ახალქალაქის თემი 144.  
 ახალციხე 131, 184.  
 ახალციხის წყალი 131.  
 ბასიანი 297.  
 ბატატიანთ კარი 139.  
 ბაღდადი 168, 175.  
 ბეღია 73.  
 ბეკიანთ კარი 139.  
 ბიზანტია 38, 44, 148, 161, 174, 203, 217, 228, 257, 264, 273, 282, 296, 297, 308.



- ბოლო 239.  
 ბოდორნის ქვაბნი 99.  
 ბოლნისი 70.  
 ბოცოთ-ქვეი, ბოცოთ ხევი 131, 184.  
 ბრიტანია 51.  
 ბურღული 88.  
 ბუხარა 266.
- გაგი 229, 238.  
 გაგის ქვეყანა 183.  
 განძა 181, 201, 218, 238.  
 განძაკი 130, 133.  
 გარნისი 192.  
 გელათი 185, 258—261, 276, 278, 303, 332, 338.  
 გელათის მონასტერი 39.  
 გელაქუნი 236, 238.  
 გერმანია 249, 251, 257.  
 Georgia 102.  
 გვიდაქე 139.  
 გოგონაურთა 139.  
 გორი 97.  
 გორის მარა 144.  
 გრაკალი 144.  
 გურია 66.
- დარიალანი 99, 196.  
 დარიელი 95, 96.  
 დარუბანდი 183, 195.  
 დასაეღოთ ეგრობა 123, 124, 169, 223, 249—254, 256.  
 დასაეღოთ საქართველო 28, 67, 73, 76, 91, 128, 154, 163, 174, 181, 185, 214, 304, 328, 333, 338.  
 დვინი 267.  
 დიასამიძის სახლი 131, 132.  
 დილომი 118.  
 დმანისი 204.  
 დორეულთ კარი 139.
- ძეგბტე 193, 255, 266.  
 ეგრისი 333.  
 ეგრობა 117, 148.  
 ერაყი 266.  
 ესპანია 255.  
 ეფესოსი 26, 45.
- ვარძია 288—289.  
 ვაპანის მონასტერი 34, 70, 202, 203, 207.  
 ვეჟინი 334.  
 ვეშაგურთ-კარი 139.
- ზანდუკის ქვეი 94, 98.  
 ზანდუკლის ქვეი 99.  
 ზარზმა 290.
- ზემო ქართლი 202.  
 ზენგანი 185.  
 ზენ უბანი 139.  
 ზღვაი პონტოსია 183.
- თავრევი 219.  
 თინიკიანთ კარი 139.  
 თმოგვის ციხე 237, 243.  
 თრიალეთი 185, 192.
- იბერია 128, 129, 134, 135, 154—157, 160, 161, 163, 170, 174.  
 იერუსალიმი 44, 69, 163.  
 იერუსალმში 33, 40.  
 ივერია 160.  
 ილურთ-კარი 139.  
 იმერეთი 66, 68, 74, 91, 93, 296, 323.  
 იმერეთის სამეფო 66, 68.  
 იმიერ საქართველო 68, 73.  
 ინგლისი 51.  
 ირლანდია 51.  
 იშხანი 73, 207.
- კაენი 229, 236, 238.  
 კაქასი 98.  
 კაიშაურთ-კარი 139.  
 კაიწონი 229, 236, 238.  
 კართაგენი 44, 45.  
 კარი 338, 340.  
 კარნე ქალაქი 273.  
 კახეთი 74, 180, 181, 186, 189, 202, 204, 296, 323, 328, 333, 334.  
 კეახპარი 294, 300.  
 კიბე 94, 98, 99.  
 კიბენი 98.  
 კიბურა 98.  
 კიტოხი 139.  
 კლარჯეთი 38, 69, 108, 176, 187, 207, 229, 233, 236, 259, 263, 333.  
 კობიანთ-კარი 139.  
 კოლაი (ქვეი) 133.  
 კოლხიდა 148.  
 კონსტანტინეპოლი 26, 38, 45, 161, 217.  
 კორინთი 139.  
 Крестовий перевал 98.
- ლაზიკა 163.  
 ლარგისის მონასტერი 117.  
 ლაუდიკია 45.  
 ლეჩხუმი 93.  
 ლიდა 139.  
 ლიხთ იმერეთი 75, 93, 216.  
 ლიხის მთა 180.  
 ლომისი 98, 99, 102.

- ლორი 229, 240, 243.  
ლუჩვი მონასტერი 336.
- შარგვეთი 333.  
შარხის ჰიმოდრომი 174.  
შარსელი 255.  
შაქარა 139.  
შაქელი 334.  
შაწყვერელის სახლი 131.  
შენესო 94, 98, 99.  
შესხეთი 105, 108, 156, 180, 181, 185, 200, 202, 334.  
მთიულეთი 98.  
მიღელანთ კარი 139.  
მოქანაშორი 135.  
მოგაკანი 334.  
მოჯვი 35.  
მოქალაითი 139.  
მტყვარი, მტყუარი 118, 133, 196.  
მუხნარი 183, 332.  
მუხრანი 96, 99.  
მცხეთა 53, 77, 127, 131, 133, 155, 156, 184, 332.  
მცხეთის სახლი 184.  
მცხეთის საყდარი 295.
- ნეოკესარია 26.  
ნიქეა 26, 45.  
ნიკორწმინდა 90—92, 205, 230.  
ნიკოფსი 183.
- ოღიში 334.  
ოპიზა 173, 185, 259, 333.  
ორბეთი 229, 238.  
ორომამენი 233, 240—242.  
ორტილა 270.  
ოსეთი 145.  
ოძრე 239, 333.  
ოქერ-ქილი 99.
- პავლეურთ-კარი 139.  
პალესტინა 217.  
პართოთა ქვეყანა 288.  
პარიზი 103, 267.  
პეტერბურგი 116, 120.  
პეტრიწონის მონასტერი 69.
- ჟინვანი, ჟინოანი 99, 100, 240.
- ჩანი 334.  
ჩაქა 93, 334.  
ჩაქა-არგვეთი 90—92.  
ჩკონი 230, 232, 314.  
ჩომი 37, 51, 67, 256.
- რორო 139.  
რუისი 54.  
როის-ურბნისი 24, 26—30, 39, 40, 43, 45, 46, 53—56, 58, 66, 191, 198, 271.  
რუსეთი 121.  
რუსთავი 240, 336.
- საბა-წმიდის მონასტერი 35, 69.  
საბერძნეთი 25, 38, 186.  
სადგერი 131, 184.  
სამეგრელო 66, 146, 148.  
სამოქალაქო 187.  
სამშვილდე 184, 271, 333.  
სამცხე 38, 88, 89, 104, 107, 108, 186, 187, 192, 196, 202, 213, 241, 290, 304, 313, 334.  
სამცხე საათაბაგო 104, 131, 184.  
სარღიკია 45.  
საფარა 85.  
საფრანგეთი 116, 223, 224, 249—251, 257.  
